

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ჩუსთაულის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

გაიოზ იმედაშვილი

რუსთველოლოგიური
ლიტერატურა

1712 – 1956

წლები



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
თბილისი 1957

წინასიტყვაობა

ვეფხისტყაოსნის 1712 წლის პირველი გამოცემიდან ჩვენ დრომდე რუსთველოლოგიაში ნეერი მასალა დაგროვდა ვეფხისტყაოსნის შესწავლის — მისი ტექსტის დადგენა-განმარტების, რუსთაველის შემოქმედების, მსოფლმხედველობისა და ბიოგრაფიის ცალკეული საკითხების კვლევა-ძიების სფეროში როგორც ქართულად, ისე რუსულად და აგრეთვე ევროპის ხალხთა ენებზე. ამ საქმეად ხანგრძლივი დროის განმავლობაში საეციალური ლიტერატურა შეიქმნა და რუსთაველის შესწავლამ ცალკე სამეცნიერო დისციპლინის სახე მიიღო — რუსთველოლოგია ჩვენს პირობებში ლიტერატურათმცოდნეობის დარგად იქცა, რომელც უკვე მრავალმხრივად მნიშვნელოვანი პრობლემების რიგს მოიცავს, არა მხოლოდ ქართული მწერლობისა და კულტურის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოს. ვეფხისტყაოსანი დამოუკიდებელ ინტერესს აღძრავს როგორც პოეტური ხელოვნების დიდი მოვლენა და ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე აყენებს მძელ რიგ თეორიულ საკითხებს თავისი ფორმისა და შინაარსის თავისებურებით. თუმცა დაგვიანებით, მაგრამ უკვე მტკიცედ იქმნება იმის ტრადიცია, რომ მსოფლიო ლიტერატურულმა საზოგადოებრობამ მას ხელოვნების მარად უქმნობ ძეგლთა შორის ერთი პირველი ადგილთაგანი მიაკუთვნოს.

ამრიგად, რუსთაველი თავისი მნიშვნელობის მასშტაბით გასცილდა ქართული კულტურის ფარგლებს, მისით შემთხვევითი დაინტერესება შეიკვალა ღრმა მეცნიერული შესწავლისადმი ლტოლვიზი. თანდათანობით ჩამოისახა და დაკონკრეტდა პრობლემები რუსთაველის შემოქმედების, მისი პიროვნებისა და წარმომშობი ეპოქის ცალკეული საკითხების შესასწავლად და რუსთაველის შემოქმედების სისტემის შესაქმნელად. გაუართოვდა წარმოდგენა ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციისა, სტილისა და იდეოლოგიის გაგებისა ქართულ კულტურასთან ორგანული კავშირის თვალსაზრისით. პრობლემა ვეფხისტყაოსნისა და ქართული კულტურისა სავსებით ობიექტური საკითხების ნიადაგზე შექდება. რუსთაველის მოტივები და იდეალები ფესვებს პოულობენ ქართული ისტორიული ცხოვრების შემეცნებაში, მისი ხელოვნების ცალკეული ხერხები პარალელს პოულობენ ქართული ხელოვნების ფორმებში და ამიტომ რუსთაველის იდეოლოგიის საკითხი, მისი პოლიტიკური, რელიგიური, ესთეტიკური შეხედულებები ქართული იდეოლოგიის განმსაზღვრელი კომპონენტებია. ამ ნიადაგზე შესაძლებელი გახდა რუსთაველის პუმიანიში გაგებულიყო როგორც ქართული ისტორიული ცხოვრების 'ლოკური მოვლენა და მსოფლიო იდეალების განვითარების ისტორიას მოვლინებოდა როგორც ქართული რენესანსი, რომელიც ქართული აზროვნებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების სახეებით კანონზომიერ მიღწევას წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსანი მრავალი კუთხითაა გამოვლენილი ქართული კულტურის ყოველ დარგში — ხელოვნებასა და პოეზიაში თუ საერთოდ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებასა და აზროვნებაში. რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი ქართულ მწერლობაში, კერძოდ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში, ცოტა იქნება ვთქვათ, რომ მეტად პოპულარულია. იშვიათია შემთხვევა, რომ ქართულ მწერლობაზე იყოს საუბარი და იქ რუსთაველი არ ახსენონ ან თვით მხატვრულ თხზულებაშიც არ იყოს ის რაიმე ფორმით გამოვლენილი, მისი რომელიმე აფორიზმი გამოყენებული. ამ თვალსაზრისით, რუსთაველის შესწავლა თვით ქართული მწერლობის შესწავლას მის ძირითად ნაწილში და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების განვითარების გათვალისწინება.

რუსთაველის იდეალები და სახეები იმდენადაა შეჭრილი ქართულ ყოფასა და აზროვნებაში, ქართული გონების მიერ სინამდვილის აღქმისა და შეფენების პროცესში, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები სხვა მხატვრულ თხზულებებშიც ჩვეულებრივ თავიანთი მორალური სახითა და მხატვრული კაომპიტყველებით მოქმედებენ.

ეს ტრადიცია საქართველოში ძველთაგან მომდინარეობს, აღორძინების ხანიდანვე კარგადაა ცნობილი და ვერც ერთმა ქართველმა მწერალმა ვერ შეძლო გვერდი აეგლო რუსთაველის სიტყვასა და სახესთან კეთილშურდელი მიმართებისათვის. აღორძინების ხანის ქართულმა მწერლობამ რუსთაველი შეიმეცნა მხატვრულ სტილში, რუსთაველის მხატვრულ სიტყვას მან დააკისრა კრიტიკული აზროვნებისა და სიტყვის ფუნქცია და აღიარა მისი დიდი ავტორიტეტი როგორც მხატვრული შემოქმედებისა და აზროვნების საზომისა. ამ ნიადაგზე დასაყვამია, თუ რატომ ესმით ზოგჯერ ძველი ქართული ლიტერატურა როგორც რუსთაველის ეპიგონობა. ამ პარადოქსალურ მოსაზრებას მაინც აქვს შედარებითი გამართლება, რადგან ქართული პოეტური შემოქმედების ყოველ გამოვლინებაში ძალდაუტანებლად იგრძნობა რუსთაველის ტიტანური ფიგურის არსებობა, მისი კეთილშობილი გავლენა ქართულ სიტყვასა და სტილზე. ასეთვე გარდაუვალია რუსთაველი ახალი ქართული მწერლობის წარმოსახვაშიც და აქ რუსთაველის შემოქმედების ლიტერატურულ-კრიტიკულ შემეცნებასთან ერთად, კიდევ გრძელდება მისი მხატვრული წარმოსახვის ტრადიციაც. რუსთაველის კვალს ჩვენი კრიტიკა ხედავს ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, რუსთაველით შთაგონებული სახეები შენეშნულია. გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაშიც, რუსთაველისგაგების, მისი მოტივების, სახეებისა და აზრების მხატვრული ათვისების საილუსტრაციოდ შეიძლება მოიყენებოდა ილია ჭავჭავაძის უკლებლის ნაამბობიდან⁴ შემდეგი ადგილი:

„მე უფალმა იმოდენა ღონე კიდევ შემარჩინა, რომ ჩემს ბედს ბოლომდინ, საფლავის კარუ-
ბამდინ მივიტან, ეს კია რომ სადაური სადა გვდებში..“

„...კა. სოფელი. რამიან ხარ. რას გვებრუნებ, რა ზნე გვიარა?
ყოღამე ვენი მონდობილი ნიადაგზე ჩემბარ ტრასა,
სადაურსა სად წაიყვან, სად აღუფხვრი საღია ძირსა,
მაგრამ ღმერთი არ გასწირავს ქ-სსა შენგან განაწირსა!“

— მართალი უთქვამს ამის მოქმელსა, შენი ჭირიმე! თუ ქვეყანამ პირი უკუმარიდა და არ შემეიყვალა, ღვთის კალთა ხომ ფარცოა!..

ეს რომ სთქვა, ღმერთს შეხვდა, მე ამა, წარმოიდგინეთ, რა-რიგზე გამოიკვირდებოდა ძონ-
ძებში გახვეულის გლახისაგან ეს „ვეფხვის-ტყაოსნის“ სიტყვები — ბარათალა იმ კაცის
მეტყველებას, რომლის სიტყვები ამისთანა უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა.
შვილობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვლო რუსთაველ⁵.

ამ ფრაგმენტს ვეფხისტყაოსნის ქართული შემეცნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე ზოგიერთ საყილაღურ გამოკვლევას. ამით ილიამ აღ-
ნიშნა ვეფხისტყაოსნის უდიდესი როლი ქართულ ყოფასა და აზროვნებაში და მისდამი მიუ-
ღი თავისი თაობისა და ეპოქის დამოკიდებულება გამოხატა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ მივიჩნი-
ეთ მისი აღწერილობა მოგვეთავსებინა რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში, როგორც განსაკუთ-
რებული მნიშვნელობის ფაქტისა, რომელიც ლოგიკურად დაკავშირებულია ილიას რუსთველოლო-
გიურ კონცეფციასთან. ასევე აუცილებელ მასალად მივიჩნით ვეფხისტყაოსნთან აღორძინების
ხანის მწერალთა დამოკიდებულების ასახვაც, რომელიც ფაქტურად რუსთველოლოგიის პირველ
ფურცლებსა და საფუძვლს წარმოადგენს. ეს გარემოება იმიოთაცა განსაზღვრული, რომ მხატვრული
მწერლობის ფუნქცია ძველ ქართულ სინამდვილეში უფრო დიდი იყო, ის იმავე დროს თითქმის
შორეულ მატანეს წარმოადგენდა. თეიმურაზისა და არჩილის მხატვრულ თხზულებებში რუსთავე-
ლისა და ვეფხისტყაოსნის მოხსენიება არ არის მხოლოდ მხატვრული ასახვის ფაქტი, ის მისი
ტრადიციული მოგრაფიული ცნობების შემეცნელი ისტორიაა. ამ თვალსაზრისით, აღორძინების
ხანის მწერალთა ცნობები, რომელნიც გახვეულია მათ მხატვრულ თხზულებებში, რუსთველოლო-
გიის პირდაპირი წყაროს წარმოადგენს და ისინი აღწერილია ამ წიგნში თავისი პუბლიკაციის
დროის მიხედვით, თუმცა ზოგი მათგანი რუსთველოლოგიაში უფრო ადრეა გამოყენებული, რო-
გორც წყარო. ასევე ღირებულია მათიანებებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებში დაკული-
ცნობები, რომელნიც უშუალოდ რუსთაველის სახელს უკავშირდებიან. ეს მასალა საყურადღებოა-
თვით შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში.
არსებული ცნობების თანდათან შემუშავების ისტორიის თვალსაზრისით, რუსთველოლოგიის
უშუალო წყაროს, შოთა რუსთაველის მოგრაფიის ყველაზე უპირველეს ცნობას, როგორც ცნო-
ბილია, თვით ვეფხისტყაოსანში პოემის ავტორის ზედწოდების „რუსთაველის“ ოთხჯერ ხსენების
შემთხვევა წარმოადგენს, მათგან ორი მოხსენიება უშუალოდ XVII საუკუნეს განეკუთვნება, მეორე
ორი კი, თუ გვიანდელი წარმოშობისაა, ისინიც არსებითად ძველი ტრადიციის განმეორებას

წარმოადგენენ და ამრიგად ვეფხისტყაოსნის შექმნის ხანის ძლიერ არ უნდა იყვნენ დაშორებული. ამავე ხანას მიეკუთვნება „შოთას“ მოხსენიება ქართულ მატრიანში და წარწერა საორბელში ნაპოვნ ბარელიეფზე „შოთაჲ“, მათთანვე ახლოა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკის წარწერა, ცინვანის სიგელზე შოთას ხელწერა და ცოტა გვიანდელი ზარზმის მონასტრის წარწერა. ყველა ეს დოკუმენტი რუსთველოლოგიის მასალაა და წიგნში შეტანილია პუბლიკაციის თარიღების მიხედვით, თუმცა რუსთველოლოგიური აზრის შემუშავებაში წარმოშობიდანვე მიუღიათ მონაწილეობა.

რასაკვირველია, უახლოესი დროის მწერლობის ყოველ დოკუმენტს, კერძოდ, მხატვრულ ლიტერატურას, ისევე როგორც მატერიალურ ძეგლებს, რომელშიაც რუსთაველია გამოხატული, ძველი მწერლობის ძეგლებში დაცული ცნობების თანაბარი ღირებულება არა აქვს რუსთველოლოგიისათვის, იმტარებ რომ ამ ახალი მასალის წყარო თავისთავად ჩვენთვის გარკვეულია, ისინი ერთგვარ იმიტაციას და კომპილაციას წარმოადგენენ. არაკომპილაციისა და თავისებურებაში არ შეაქვთ რუსთაველის გაგებას და შემუშავებაში და მოკლებული არიან ტრადიციული წყაროებისა და მხატვრული უშუალობის. ასეთია, მაგ., რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები, რუსთაველისა და მისი გმირების გამოსახვა მხატვრულ თხზულებებში — მოთხრობაში, პოემაში, ლექსში და რუსთაველის მოტივებზე დაწერილი ნარკვევები, რომელთაც ყურადღების გაჩემე ეტოვებ და გამოიკაიოს იწვიათად ვუშვებ.

რუსთაველისადმი ყურადღება განსაკუთრებით გამაჩვიებდა ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავის იუბილეს ჩატარების შემდეგ, რასაც მთელი კულტურული მსოფლიო გამოეხმაურა. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ საქართველოსა და მთელ საბჭოთა კავშირში ეს იუბილე ქართული კულტურის ზეიმიად და ნამდვილ სახალხო დღესასწაულად იქცა, რამაც რუსთაველის შესწავლისა და გამოცემის საქმის მნიშვნელოვანი გაფართოება გამოიწვია, ამ მხრივ უფრო საყურადღებოა უცხოეთის სამეცნიერო კულტურულ ცენტრებში რუსთაველის შესწავლისადმი გაღვივებული ინტერესი. მაგ., იტალიის სამეცნიერო აკადემიამ სპეციალური პრემია დააწესა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების თემაზე საუკეთესო მონოგრაფიისათვის. ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში გამოიყა გამოკვლევები და კრებულები რუსთაველის შემოქმედების საკითხებზე და დღედღობით ვეფხისტყაოსანი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მინიშნავილი ხალხის ენაზე თარგმნილი, მათ შორის სრული თარგმანი რუსულად უკვე ხუთი მოაოეება, გერმანულად, ფრანგულად, უნგრულად, სომხურად — ორ-ორი, ინგლისურად, იტალიურად, რუმინულად, პოლონურად, ჩინურად, იაპონურად, უკრაინულად, ბელორუსულად, აზერბაიჯანულად, თათრულად, ყირგიზულად, ყაზახურად, აფხაზურად, ოსურად — თითო, ნაწილობრივ კი პოემა ითარგმნა აგრეთვე ჩეხურად, ფინურად, სპარსულად, თურქულად, ტაჯიკურად, ებრაულად, ჩუვაურად. ამასთან საყურადღებოა ისიც აღინიშნოს, რომ, მაგ., რუსულ ენაზე ვეფხისტყაოსნის სათარგმნელად ოცდაათამდე კაცი მუშაობდა, თუმცა მათგან მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა დაწყებული საქმის დამთავრება. ასევე უკრაინულ ენაზე ვეფხისტყაოსნის სათარგმნელად ბაჟანის გარდა მუშაობდნენ ნაფოცკი, გრაჟოლსკი. ფრანგულად ცნობილი იყო თარგმანები ბროსესი, მეუნარგასი, ორბელიანისა და უკანასკნელ ხანებში — ვაჟაფხაია.

ვეფხისტყაოსნის თარგმანების ისტორიაში შესამჩნევია ლტოლვა უშუალოდ ქართულ ტექსტზე მუშაობისადმი. ამის საუკეთესო მაგალითს ის ფაქტი წარმოადგენს, რომ პირველი თარგმანები ევროპულ ენებზე უშუალოდ ქართული დენიდან განხორციელდა. ასეთი იყო ბროსესი თარგმანი ფრანგულად, მარჯორი თარგმრობისა — ინგლისურად, ასევე დენიდან შესრულებულად ჩაითვლება გერმანული, უნგრული თარგმანები. რუსული თარგმანი უშუალოდ ქართული დენიდან მხოლოდ უკანასკნელ ხანებში განხორციელდა პროფ. შ. ნეუშვილისა და გ. ცაგარლის მიერ. უშუალოდ ქართულიდანაა შესრულებული სრული თარგმანი ჩეხურ ენაზე იარომირ ჯედლიჩკის მიერ, რომელიც ახლო ხანებში გამოვა. ამრიგად, მეორე ენის მეოხებით ან ზწყარედი თარგმანის საშუალებით ვეფხისტყაოსნის თარგმნა რომელიმე ენაზე უკვე გეგონია, დამაკმაყოფილებელია აღარ არის პოემის გაზრდილი, ნაწილი მხატვრული გემოვნებით ათვისებისა და მისი სიდიადის შეყნობის თვალსაზრისით.

ვეფხისტყაოსნის გატანამ მსოფლიო ლიტერატურულ ურთიერთობაში, მის უცხო ენებზე სათარგმნელად გაწეულმა მუშაობამ გაზარდა მოთხოვნილება რუსთველოლოგიური ლიტერატურის შექმნისა იმ ენებზედვე, რომელზედაც პოემა ითარგმნებოდა. ვეფხისტყაოსნის მსოფლიოში გატანამ ბევრი ისეთი ახალი საკითხი დააყენა რუსთაველის შესწავლაში, რომლის დასაწარებას მანამდე არ იგარანობოდა; ამ საკითხებს შორის მთავარია რუსთაველის შემოქმედების, მისი მო-

ტივების მსოფლიო კულტურის შექმნე შეუასება და რუსთაველის მხატვრული კონსტრუქციისა და მსოფლმხედველობის ხატიხების სპეციალური დამუშავება მსოფლიო პოეტური სტოლოვნების დიდ ნიმუშებთან მიმართებით. ასეთი გზით შექმნილი ლიტერატურა, რომელიც უშუალოდ პოემის ქართული დედნის შესწავლაზე არ იყო დაფუძნებული, ბუნებრივად იყო მოკლებული ორიგინალობასა და საფუძვლიანობას, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის შემოქმედების ზოგადი საკითხების შესწავლას ის წინ სწევდა და რუსთაველი ლიტერატურას ამდიდრებდა. ეს ლიტერატურა შეტყობდა მიუღწეველი რჩება ქართველი მკითხველისათვის და მისგან მსოფლიო მკითხველს ალწევს დაინტერესებულ სპეციალისტამდე კი უშთაერესად იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის გვეგაზომიერი დაკომპლექტებისა და დამუშავების საქმე, რაც უზრუნველყოფდა შესაძლებლად სრული ინფორმაციის არსებობას რუსთაველის ირგავი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სამწუხაროდ, ეს საქმე არც თვით საქართველოსა და საერთოდ საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრებში შექმნილ რუსთველოლოგიური ლიტერატურის მიმართ კეთდება. ერთი სიტყვით, შესაძლოა სწორედ ასეთი ინფორმაციის არ არსებობამ და იმავე დროს რუსთაველის ირგვლივ შექმნილი ლიტერატურის კრიტიკული ათვისების საჭიროებამ შეტად საშურ ამოცანად აქცია შესაძლებლად სრული ბიბლიოგრაფიული საძიებლის შედგენა, რაც საერთო ქართველოლოგიური მუშაობის თვალსაზრისითაც დიდი ხანია იგრძნობოდა. არსებული ლიტერატურის შედგენილობასა და მნიშვნელობაში გარკვევისა, სამეცნიერო წყაროების სრულყოფილად გამოყენებისა და სპეციალური კლავიკების წარმოებისათვის აუცილებელი იყო რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა, მისი გარკვეული მიზნით დალაგება, რაც მთლიანობაში წარმოგვიდგენდა რუსთველოლოგიური აზრის განვითარების სურათსაც.

შეუნებრივად, ასეთ წიგნში — რუსთველოლოგიის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში — გამოხატულა ბაგოვის ვეფხისტყაოსანთან და რუსთაველის სახელთან დაკავშირებულმა ყოველგვარი ხასიათის მასალამ, რაც კი რაიმე თვალსაზრისით მის შესწავლას უწყობს ხელს. ეს კი ნიშნავს რუსთველოლოგიური ლიტერატურის სრული ბიბლიოგრაფიის შედგენას, რომელშიაც გამოხატულა ბაგოვის იპოვიდა ყოველგვარ მნიშვნელოვანთან ერთად თითქმის არამნიშვნელოვანი მასალაც, ზოგჯერ ქრონიკული ცნობაც კი; როგორც მონოგრაფიული ნაშრომი, რუსთველოლოგიის ცალკეულ პირობებზე, აგრეთვე, ვიქვათ, საგაზეთო ცნობაც. მაგ., ასეთი:

„წ. კ. საზოგადოებას პროფ. ა. ცაგარელის ხელით ქალაქ სტოკჰოლმში მოწვეულ ორიენტალისტთა ყრილობის საპატიო თავმჯდომარის შვეციის მეფის ოსკარ მეორესთვის გაუგზავნა მიღიერულად გამოცემული ვეფხისტყაოსანი. მეფეს და დამსწრე მეცნიერებს ძლიერ მოსწონებიათ ვ. ტ. გამოცემა. მეფეს გადაუთვალერებია ბორენის მიერ ფრანგულად დაწერილი შინაარსი ვ. ტ.-ისა და თუქვამს — სოლომონის ქებათა ქებას ჰგავსო. მეფეს ცაგარელისათვის მადლობა თუქვამს ძვირფასი ძღვენისათვის. კონგრესის წევრებისაგან მიღებულ მრავალ წიგნთა შორის მეფეს რამდენიმე წიგნი დაუტოვებია თავისთვის, მათ შორის ვეფხისტყაოსანიც“ (ტურნ. „ოქტატი“, 1889, № 19, 20, 21, გვ. 5—6. იხ. ანოტაცია № 360).

ეს ცნობა და თავისთავად ფაქტი თუმცა, რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხის უშუალო კვლევასთან არაა დაკავშირებული და თვით ვეფხისტყაოსნის შემოქმედებას არაფერს მატებს, მაგრამ თვალსაზრისით გვემცნობს რუსთაველის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისდამი შეუნებელი ინტერესის არსებობას და მისი გავლენის უსაზღვრო მასშტაბს როგორც ქართულ ცხოვრებაში, ისე კულტურული მსოფლიოს საზოგადოებრივ ყოფაში. ასეთ ცნობებს თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, ეს წინასწარ ყოველთვის ცხადად არაა წარმოსადგენი. წინასწარი ინტერესის გარეშე, მხოლოდ სუფთა ლიტერატურული თვალსაზრისით თითქმის არაფერს უნდა გვეუბნებოდეს მაგ., ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში ჩამოსულა ეინში ნორვეგიული მოქალაქე, გვარად რუსთაველი, თავისი გვარის ისტორიის გასაცხად (გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910, 22 დეკემბერი, № 180, გვ. 2, ანოტაცია № 774), რომ ქვათახევი გერისთომის დღესასწაულზე თბილისიდან წასული ვეფხე მოგვტყობს ყოველთვის ცხადად არაა წარმოსადგენი. ბიჭის ტირილი დაუწყია ვეფხისტყაოსნის გამო, რადგანაც მის მამას ფული დაზანებია საყიდლად (გაზ. „ვეფხია“, 1890, № 189, ანოტაცია № 401), რომ ხარბისში გაბარებულ ქართულ საღამოზე, სხვათა შორის, დაუღვამო ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნიდან (გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910, 8 აპრილი, № 10). ბოლოს უამრავი ქრონიკული მასალა რუსთაველის იუბილეის საშადასთან და მის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ცნობები რუსთაველის საღამოების, მონ-

სენეგების, გამოყენების, სპეციალური გამოცემების შესახებ, სადაც ვხვდებით ცნობასაც, რომ ქედის რაიონის ზერეე კლასის მოწაფე ჯემალ ოსმანისძე რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის ეფუხისტყაოსანს ზეპირად სწავლობს (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 1, გვ. 4) და სხვ. მისთ. ერთი სიტყვით, მსგავსი ცნობები თვალსაჩინო მასალაა რუსთაველის პოპულარიზაციისა და მისი საზოგადოებრივი როლის წარმოსადგენად, რასაც გარკვეული ინტერესი აქვს.

ასეთი არაპირდაპირი მნიშვნელობის მასალის გარეშე თავისთავად რუსთაველოლოგიური ლიტერატურაც, ლიტერება ითქვამს, უკვე დიდია, თუმცა მონოგრაფიული გამოკვლევებით რუსთაველოლოგია მაინც ფარობდა ჩათვლებს. ბევრი დაიწერა უშთავრესად პრესაში, განსაკუთრებით კი საიუბილეო ხანს, 1934 — 1937 წლებში. ამ ხანებში 5000-ზე მეტჯერაა რუსთაველი ნახსენები სპეციალურ სტატიასა თუ რაიმე ხასიათის საინფორმაციო ცნობაში. ასეთ ცნობებს განეკუთვნება საკუთრივ რუსთაველის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის საკითხების გარეშე ისეთი მასალა, როგორიცაა რუსთაველის იუბილეო სამუშაოები და მიმდინარეობა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, სხვადასხვა ქალაქებში, ოლქებში, დაბებზე და სოფლებში. საგაზეთო ქრონიკული ცნობები რუსთაველის შესახებ ჩატარებულ ლექციებზე, რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოყენებულ ეფუხისტყაოსანის გამოცემებზე, რუსთაველის ძეგლის, ქანდაკების, ბიუსტის, პორტრეტის მოწოდება-დადგამაზე, დასასრულს ფართოდაა გაშუქებული მათში ისეთი საკითხები, როგორიცაა რუსთაველი მუსიკაში, მხატვრობაში, კინოში, დრამატურგიაში; ეფუხისტყაოსანის ილუსტრირება, ეფუხისტყაოსანის დელამაცია და სხვ.

ყველაფერი ეს გადმოსცემს რუსთაველის პოპულარიზაციას, ასახავს საზოგადოებრივ განწყობილებას და მიმართებას რუსთაველთან და თუმცა ბევრ მათგანს განსაკუთრებული და პირდაპირი მნიშვნელობა არა აქვს რუსთაველის პრობლემის კვლევისათვის, მაგრამ ჩვენი კულტურის ისტორიისათვის რაიმე თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებენ და ღირსნი არიან ცნობაში მოყვანისა. ამ მასალას ზრდის თვით ეფუხისტყაოსანის ნაწილობრივი პუბლიკაციათა სიუხვე. როგორც ცნობილია, ეფუხისტყაოსანის ტექსტი ქართულად თუ სხვა ენებზე თარგმანის სახით უამრავ სახელმძღვანელოში, ქრესტომათიასა თუ კრებულშია დაბეჭდილი უშთავრესად ნაწევრების სახით. მათი მთლიანად გათვალისწინება სრული თარგმანების შესწავლას თითქმის არაფერს მტკიცებს, მაგრამ უმისაზარდ რუსთაველის შესწავლის სურათს მტკიცედ განსჯიდა და ყურადღების გარეშე დარჩებოდა დიდი გამოხურება, რაც ეფუხისტყაოსანს აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამგვარ დროს ზოგ ენაზე ეფუხისტყაოსანი ნაწილობრივად თარგმნილი და მათ შესწავლას საქმიანი ინტერესი გეოკარნახებს, მაგ., ეფუხისტყაოსანის ნაწილობრივი თარგმანები ლაკურ, ჩუვაშურ, თურქულ, ებრაულ ენებზე გაუანტლია გაზეთებსა და ცალკეულ ქრესტომათიებში. რომელთა მიჯნება თითქმის შეუძლებელი იქნებოდა დაინტერესებულებისთვის, თუ კი ამ წიგნში მათი ადგილს არ მივაკუთვნებდით. მაგრამ ამ თითქმის შემთხვევითი მასალის გარეშე ბევრია შესასწავლი თვით რუსთაველოლოგიის ძირითად ლიტერატურაში, სადაც მტკიცედ პრინციპულ, საფუძვლამდებელ შრომებთან ერთად ბევრია განმეორება, კომპლიცია, მაგრამ მათი წინასწარ ცნობაში მოყვანაც აუცილებელია შემდგომი კრიტიკული შესწავლისათვის, მაგ., რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები მრავალე ვარიანტით ბევრჯერ დაბეჭდილია სხვადასხვა კონტექსტში და ახალს არაფერს შეიცავენ, მაგრამ ყველა მათგანის გათვალისწინება აუცილებელი ხდება რუსთაველოლოგიური აზრის განვითარების სრული სურათის წარმოსადგენად.

რუსთაველოლოგიის ჩვენ მიერ დასახული ბიბლიოგრაფიის ძირითადი მასალა თვით ეფუხისტყაოსანის ტექსტის დადგენას, კომენტირებას, გამოცემა და საკვლევადი მუშაობის ამსახველი ლიტერატურაა. აქ იგულისხმება პოემისა და მისი ავტორის შესწავლა ცალკე მონოგრაფიებისა თუ სპეციალური სტატიების სახით და ყოველგვარი მასალის გამოკვლევა, რომელიც უშუალოდ რუსთაველის შემოქმედების რომელიმე პრობლემის გაშუქებისათვის დაკავშირებულია.

წიგნის ძირითადი მიზანია რუსთაველოლოგიური, კონკრეტული ინტერესი. მან დაინტერესებულ პირს უნდა მიაწოდოს მისთვის საჭირო საკითხის მიხედვით არსებული ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. დაინტერესებულმა მკითხველმა ყოველ ცალკეულ სათაურზე უნდა მიიღოს ზოგადი დახასიათება, რითაც შესძლებს წინასწარ შეიმუშაოს წარმოდგენა მისთვის სასურველ საკითხზე არსებული ლიტერატურის შესახებ და ზოგადად გაერკვეს მის ღირებულებაში. წიგნმა მთლიანად უნდა ასახოს მთელი რუსთაველოლოგიური მუშაობა ძირითად გამოკვლევებში, ძირითად შეხედულებათა განვითარების სურათი, რითაც არის უშთავრესად ნაკარნახევი მისი ანოტირებული შედგენილობა.

რუსთაველოლოგიის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიაში გამოხატული პრობლემების შედეგად იქნება და ხასიათი თვალნათლადაა მოცემული წიგნისთვის დართულ საგნობრივ საძიებელში და

მისი განმეორება აქ აღარაა საჭირო. საძიებლის ზერელე გადათვლიერებაც ნათულს გახდის, რომ ზოგი პრობლემა რუსთველოლოგიაში მეტი სისრულითაა გაშლექებული. ზოგი — ნაკლებ. ამიტომ ზოგ ნაშრომს მეტი აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან დაკავშირებით, ბიბლიოგრაფიული ანოტაციის სისრულე პრობლემის ხასიათითაც განისაზღვრება. ყოველ ცალკე შემთხვევაში მხედველობაში მიღებულია ამა თუ იმ გამოცემის მნიშვნელობა, პოპულარობა, ხელმისაწვდომობა, იშვიათობა და სხვ. ცხადია, რომ ბიბლიოგრაფიულად იშვიათი წიგნების არტაკია უფრო ყურადღებას იქცევს, რადგან ზოგი გამოცემა, — წიგნი იქნება თუ გახვითი და ერთიანი — თბილისის არც ერთ ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება და ასეთ შემთხვევაში კი ვრცელი ანოტაცია ამა თუ იმ ნაშრომის ძირითად დებულებათა შესახებ დაინტერესებულ მკითხველს საჭირო წარმოდგენას მისცემს. ვრცელი ანოტაცია უკეთდება ისეთ გამოკვლევებსაც, რომელთაც უფრო პირდაპირი და აქტუალური მნიშვნელობა აქვთ რუსთველოლოგიის რომელიმე პრობლემის დასამაგად წყვეტისათვის და მნიშვნელოვანი როლი შეესრულებათ რუსთველის შესწავლის საქმეში.

ამ საშუაოს შესრულებამ ხანგრძლივი დრო, უამრავი მასალის გამოვლინება, მონახვა და სპეციალური შესწავლა მოიხოვოვა. წიგნი შევადგინე (de visu პრინციპით. წიგნში არ შემაქვს არც ერთი ისეთი ცნობა, რომელიც უშუალოდ არ მქონდეს ნახული და შესწავლილი. კიანადან რუსთველოლოგიური ლიტერატურის არსებული ბიბლიოგრაფიები ხშირად არაზუსტ. ან მცდარ ცნობებს შეიცავენ. მე წინაწარმი უნდობლობით მოვეცილე მათ, სპეციალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომებისათვის დამახასიათებელი შედეგები იმ სავალალო მდგომარეობით აიხსნება, რომ ჩვენ არ მოგვეპოვება რუსთველოლოგიური ლიტერატურის შემცველი ბიბლიოთეკა და არ გაქვს ვუფხისტყაოსნის ყველა გამოცემის ვგზამლარიც კი, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ სრული ქართული პერიოდიკა არც ერთ ბიბლიოთეკას არ შემოუნახავს. ამიტომ, როგორც წინას, არაზუსტი ბიბლიოგრაფიები, რომელნიც ცალკე ნაშრომების სახით გამოქვეყნდნენ, ანდა ვუფხისტყაოსნის გამოცემებში არიან მოთავსებული, სარგებლობდნენ შემოწმებული ცნობებით. რადგან ყველა შემთხვევაში საჭირო მასალის მონახვისა და უშუალო შესწავლის საშუალება არა მქონათ. ამ მდგომარეობის მიუხედავად, მოგვეპოვება სპეციალური რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიები და ბიბლიოგრაფიების ბიბლიოგრაფიაც კი, რომელთაც შუამობა რამდენიმედ გამაადვილეს. ასეთებია ა. გაწერელის მიერ შედგენილი პირველი, შედარებით სრული ბიბლიოგრაფიული ნაშრომი რუსთველოლოგიურ ლიტერატურაზე, რომელიც დართული აქვს 1934 წელს კ. ქვიჩინაძის რედაქციით გამოცემულ ვუფხისტყაოსნის (იხ. ანოტაცია № 1148). მეტიად საყურადღებოა უაგროლოდ გამოქვეყნებული ნაშრომი „შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში“, შედგენილი საჯარო ბიბლიოთეკის კავკასიონდნობის კაბინეტის მასალების მიხედვით (იხ. ანოტაცია № 1860). ვუფხისტყაოსნის ქართულ გამოცემებს მიძღვნილი აქვს სპეციალური ბიბლიოგრაფიული ცდა თ. მაჭავარიანისა „ვუფხისტყაოსნის გამოცემები (რქონოლოგიურ-ბიბლიოგრაფიული საძიებელი“, საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, 1938, ტ. IV, V., იხ. ანოტაცია № 1903). საკმაო ბიბლიოგრაფიული მასალას შეიცავს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების რამდენიმე სპეციალური მიმოხილვაც (განსაკუთრებით პროფ. იუსტინე აბულაძის, პროფ. კ. კყედიძის, პროფ. ა. შარაშიძისა და პროფ. ვ. ბერიძის ნაშრომებში). ამ მხრივ მასალა უკვე იმდენიყო დაგროვილი, რომ საჭირო გახდა რუსთველოლოგიის არსებული ბიბლიოგრაფიული საძიებლისათვის სპეციალური საძიებლის გაკეთება. მხედველობაში მაქვს ივ. შილაკაძის „მასალები რუსთველოლოგიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“, რომელიც 1940 წელს გამოსცა საჯარო ბიბლიოთეკამ (იხ. ანოტაცია № 2034). ამ მხრივ ყველაზე ნაკლებად სანდო წყაროდ უნდა მივიჩნიოთ ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის მიერ 1937 წ. რუსთაველის საიუბილეოდ დღეებში ორჯერ გამოცემული სპეციალური ბიბლიოგრაფიული ნაშრომი „შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე“ (იხ. ანოტაცია № 1729). ეს ბიბლიოგრაფია გარდა იმისა, რომ სხვა ბიბლიოგრაფიების შეცდომებს იშვრებს, საკუთარსაც უხვად ურთავს, რაც მას ფაქტურად უკარგავს ბიბლიოგრაფიული წყაროს მნიშვნელობას, თუმცა შედგენილობით ყველაზე ვრცელია.

რუსთველოლოგიური ლიტერატურის არსებულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელსა და სპეციალურ მიმოხილვას ბოლოს უნდა აღვნიშნოთ ერთი გამოუქვეყნებელი ნაშრომის შესახებ, რომელიც მე გავიცანი ნაკლები პირის სახით და მოგვიანებით, როდესაც უკვე ნაშრომი ძირითადად დამუშავებული მქონდა. 1941 წელს, როდესაც „რუსთველოლოგია“ დაეძგნა და მას „ძირითადი რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია“ დაედურთ, მე ვეპოე არა მჭირდა, რომ რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის თარგმ ინახებოდა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ბიბლიოგრაფიის მასალა ამოწერილი ქართულენოვან სახით, რომელიც რუსთა-

ველის საიუბილეოდ ყოფილიყო განზრახული და მისი შედგენა-გადაწერა კი ბოლომდე არ მიყვანათ. შემდეგ ინსტიტუტის ხელმძღვანელობისა და მუშაკების ცვლილების გამო ეს ნაშრომი კარგად ვერ შეენახათ, ნაწილი ქართაქებისა ქალაქად გამოეყენებინათ, ასე რომ, როდესაც მე ამ ნაშრომს გავეყვანი, დაერწმუნდი, რომ ისე დაწავლულბინათ, რომ მასზე დაყრდნობა, როგორც დაშთარებულ ნაშრომზე, არ შემეძლო, რის გამოც თაიდან ბოლომდე ახლად ჩაატარე ის მუშაობა, რაც, ალბათ, სხვებს უკუე ჩატარებინათ, თუმცა სხვა მიზნითა და მეთოდით. მაშინ შევეცადე, რომ ამ საბიბების სრული პირი შემოვანა, მაგრამ ვერ მოვაგენი, ისე რომ ინსტიტუტში მოუვლულად დატული შვიი პირი მხოლოდ ნაწილობრივ, ჩემივე მასალის შესამოწმებელ მასალად შემეძლო გამოიყენებინა.

ყველა აღნიშნული გარემოების გამო ნაშრომის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად უშუალოდ პირველწყაროებზე ვიბრძევი, რისთვისაც სპეციალურად გადავმინჯე პერიოდიკა, გამოწმბილი ვერნალ-გაზთების ბიბლიოგრაფიებისა და წიგნების კატალოგებს, ქრესტობიოგებს, ვენსობილი ვეფხისტყაოსნის პუბლიკაციებს სხვადასხვა ენაზე და ყოველგვარ მასალას პოემისა და მისი ავტორის შესახებ, რაც კი მანამდე უყურადღებოდ იყო დარჩენილი. ამრიგად, შევეცადე ყველა ენაზე არსებული მასალის გამოვლენასა და ცნობაში მოყვანას და დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ავტორის ასეთი შრომის შედეგად ბევრი აქამდე უცნობოდ დარჩენილი მასალა გამოვლენილი. რუსთველოლოგიური ლიტერატურის შესწავლასა და აღწერაში სომხური მასალის მიმართ გამოხალისი დავუშვი. მე ზედმეტად ჩათვალე სომხურად არსებული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირება, რამდენადაც ეს საქმე ჩვეული მუყათობითა და სისრულით შესანიშნავად აქვს გაკეთებული პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგს ნაშრომში; „შ. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი სომხურ ლიტერატურაში“ (ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა), საჯარო ბიბლიოთეკის IV — V ტომებში 1938 წელს (იხ. ანოტაცია № 1906). ასეთი ერთგვარი გამოხალისი იხიცი, რომ ვეფხისტყაოსნის პუბლიკაციების საილუსტრაციოდ სხვადასხვა ენაზე თუ ტექსტს ჩვეულბრივ იმ შრიფტით ვიძლევი, როგორც ეს მასალაშია მოცემული; სომხურისა და ებრაულის მიმართ საჭიროდ მოვიჩნეე ისინი ქართული ანბანით სომეცა, რითაც ქართველ მკითხველს გაუუადვილეთ გაიგოს, თუ როგორ ჟღერს ვეფხისტყაოსნის სტროფი სომხურად, მხნურად, ებრაულად ან იაპონურად, ე. ი., იმ ხალხების ენებზე, რომელთა ავტობიბონური ანბანები მკითხველისათვის ყოველთვის არაა გასაგები და ერთნაირად მისაწვდენი.

რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტაციკმწინილი ბიბლიოგრაფია, ცხადია, შეიცავს მხოლოდ ბუკდურ გამოცემებს, მაგრამ აუცილებელი გახდა გამოხალისი დაგვეყვა რამდენიმე ისეთი ნაშრომის ნიშნობა, რომელიც თუმცა არ არიან დაბეჭდილი, მაგრამ ლიტერატურული მდგომარეობის მიხედვით ბუბდური შრომის ღირებულება აქვთ მოპოვებული. ეს არის თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, რომელმაც რუსთველოლოგიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და მასზე საკმაო ლიტერატურაც შეიქმნა (იხ. ანოტაცია № 34); ასეთია აგრეთვე მ. ჯანაშვილის ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“, რომლის ცალკეულ ნაწილებს ავტორი სხვადასხვა სტატიებს ურთავდა ზოლზე, მთლიანად დაბეჭდვა კი სიცოცხლეში ვერ მოასწრო (იხ. ანოტაცია № 1131). ამავე ჯგუფს ეკუთვნებ აგრეთვე ა. ი. სლონინსკის ნაშრომს ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის შესახებ, რომელიც ავტორმა ნაწილობრივ დაბეჭდა, მთლიანი სახით კი ის სალოტტოროდ იყო განზრახული, მაგრამ ვერც დაბეჭდვა და ვეღარც დაცვა მოასწრო (იხ. ანოტაცია № 2076).

რუსთაველის ირგვლე ამდენი მასალის თაფმოყრამ და მთლიანი შრომის შედგენილობამ დაგვარწმუნა, რომ რუსთველოლოგიური პრობლემების წამოყენება-გადაწყვეტის ისტორია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შესწავლა, პოემის ტექსტის დადგენის ვითარება კარგადაა გადასახედი და საჭიროა ბევრ ავტორს დაუბრუნდეს დამსახურებული პრიორიტეტი რიგი საკითხების შესწავლასა თუ შეხედულებების გამოშუშაებაში, რაც სპეციალური ლიტერატურის უცნობლობის გამო აქამდის მივიწყებული იყო. ეს ნაშრომი ამჟამად იმასაც კარგად გვირკვეს, რომ სპეციალური ლიტერატურის არცოდნის შედეგად ხშირად ადვილი ჰქონია ისეთი საკითხების ცალკე-ძიებასაც, რომელნიც ადრევე ყოფილან გადაწყვეტილი. მაგ., რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში საეცხებთ უხობდ ჩაიარა 1907 წელს ლაფციკში დაბეჭდილი ველიქს პოლდკის შრომამ ქართული საპარტლის შესახებ, რომელშიაც ვეფხისტყაოსანზე საყურადღებო მისაზრებანია გამოთქმული ამ თვალსაზრისით (იხ. ანოტაცია № 684). ამ მხრივ ჯერ კიდევ გაბორი-ცხული არაა შესაძლებლობა აღმოჩნდეს რუსთველოლოგიური ნაშრომები, ვიქვამ, დაბეჭდილი. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, რომელთა შესახებ ჩვენ დღესაც არაფერი ვიცით. რაღა უნდა ვთქვათ საზღვარგარეთ დაბეჭდილ სპეციალურ გამოცკვლებზე, რომელთა შესახებ მხოლოდ

კანტონები ცნობები მოგვეპოვება, მათი შერევა და ცნობაში მოყვანა კი ვერ მოგვიხერხებია. რაღა ვთქვათ პერიოდულ გამოცემებზე, რომელშიაც უამრავი მასალაა, რომელთა შესახებ ცნობები გაქვს, მაგრამ თვით ლიტერატურა კი ხელთ ვერ ჩავვივლია. როგორც შემოთავაზებულნი ვიყავი, წიგნი შედგებოდა *de visis* პრინციპით, რის გამოც რიგი მნიშვნელოვანი ფაქტებისა რუსთაველილოგიაში, რომელთა შესახებ ცნობები არაა და შესასწავლად კი ვერ მიმოვიხილა, ამ წიგნში არ მოვიხსნიე. მათ რიგებს ეკუთვნის მაგ., 1937 წელს რუსთაველის საიუბილეოდ ბერლინში გამოცემული გაზ. „*კლდე*“, მთლიანად მიძღვნილი რუსთაველისადმი, რომელშიაც ყოფილა ცნობილი ქართველოლოგის დეტერისის სტატია „რუსთაველი და მისი მნიშვნელობა“. ამავე წელს ნდუ-დორკში გამოცემილი უორდროის მიერ ინგლისურად თარგმნილი ეფუხისტყაოსნის სრული ტექსტი. 1938 წელს ლაიფციგში დაბეჭდვად ლანსტის მიერ გერმანულად თარგმნილი ეფუხისტყაოსნის გეაქვს ცნობა, რომ 1946 წელს პარავაში დაბეჭდილა იარაშირ ველდოქსას მიერ ჩეხურად თარგმნილი ეფუხისტყაოსნის ნაწყვეტები. ალიო მირსხულაეას ცნობით, ეფუხისტყაოსნის პირველ ჩინურ თარგმანზე მუშაობა ლი ცი-ეს 1943 წელს დაუწყო („*მოგზაურობა ჩინეთში*“, 1956, გვ. 69—70.), შეიძლება ეს ის გამოცემაა, რომლის შესახებ აღრევე გაცერიო იტუბინებოდა გაზ. „*ლიტერატურა და ხელოვნება*“ (1947, 17.V). ამავედ დაბეჭდილი უნდა იყოს ეფუხისტყაოსნის ახალი პოლონური თარგმანის ნაწყვეტები იულიან ტუვიშისა. დაბეჭდილია ბოვდან გემბარასკის მიერ შესრულებული პროლოგის თარგმანი პოლონურ ენაზე ეტრნალ „*ტიგონდნი ბოვშეხანში*“ (გაზ. „*ლიტერატურული გაზუთი*“, 1956, 21.XII). ყოფილა ესტონური თარგმანი (გაზ. „*ლიტერატურული გაზუთი*“, 1941, 14 თებერვალი), ებრაული თარგმანი გოშტეინისა. მოიპოვება სრული ბელორუსული თარგმანი, მაგრამ ხელთ არაა ჩავივარდა.

სამწუხაროდ, ჩვენი ბიბლიოთეკები ყოველთვის არ ზრუნავენ ქართველოლოგიური ლიტერატურის გეგმაზომიერად მოპოვებას, რომ არაფერი ვთქვათ საზღვარგარეთულ გამოცემებზე, თვით საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გამოცემული წიგნებიც არაა მოგროვილი, ეტრძოდ, რუსთაველის ირ-გვლეც გამოცემული წიგნები, პერიოდიკა რუსთაველოლოგიური მასალით, მით უმეტეს ეფუხისტყაოსნის თარგმანთა გამოცემები. მაგ., ყაზანიში 1939 წელს ეფუხისტყაოსნის გამოცემა ყაზანურ-თარგმნულ ენაზე, 1941 წელს ტაშკენტში გამოცემა ეფუხისტყაოსნის უზბეკური თარგმანი მ. აფხალოვის წინასიტყვაობით, რომელიც იმავე წელსვე განმორდა უფრო სრული სახით, მაგრამ ამ წიგნებმა ჩვენამდე ვერ მოადრწეს. 1941 წელს მოსკოვში ბრძენისთვის გამოუცემი ეფუხისტყაოსნის ბალმონტისეული თარგმანი. პოლოს ადვინშავ უფრო მეტად საყვალად იმ ფაქტს, რომ ეფუხისტყაოსნის თვით ქართულ გამოცემათა სრული კოლექცია ამავემად არსად არ არსებობს და ეტრძოდ თბილისისა და საქართველოს არც ერთი ქალაქის ბიბლიოთეკაში აღარ იპოვება ეფუხისტყაოსნის 1903 წლის თავართილოგისეული გამოცემა. ვერსად მივაკვლიეთ 1920 წელს ქ. სიღნაღში გამოცემულ სიღნაღის გიმნაზიის მოწაფეთა ყოველთვიურ ეტრნალს „*იმედს*“, რომელშიაც დაბეჭდილია მეშვიდე კლასის მოწაფის ივანე მჭედლიძელის მიერ დაშუქებული ეფუხისტყაოსნის შესავლის მ სტროფის ტექსტი ძნელად გასაგები სიტყვების ლექსიკონითა და განმარტებით. ვერ ვიპოვეთ ვერც 1936 წელს ლაგოდეხის სკოლის მიერ გამოცემული ბრომურა „*რუსთაველის სიმბრძენე*“ და მისთ.

ანოტაციის მოყვლა და ხასიათი განსაზღვრულია ყოველ ცალკე შემთხვევაში ნაშრომის აქტუალობათა და პოზიტიური მონაცემებით. ეს ერთადერთი სფეროა, რომელიც ატკორმა, შესაძლოა, გამოაქვლენა რააც პირადელი, თუ კი ზოგი, მაგ., 300-გვერდიანი შრომა ერთ აბზუსაყანი ანოტაციით წარმოვივლიდინა, ზოგ სტატიას კი მთელი გვერდი უძღვნა. საერთოდ კი ჩვენ ანოტაციურ-რეფერენციებს კრიტიკული ხასიათი არა აქვს, მათ არც რეკომენდაციის როლი აქვსრიათ. ისინი ობიექტურად იძლევიან ნაშრომის მხოლოდ ძირითადი შინაარსის გადმოცემას, ხშირად ატკორის გამოთვლითაც, იმის მიუხედავად, მათში გამოთქმულ მოსაზრებას ვიზიარებ თუ არა. ზოგ შემთხვევაში ცალკეულ რაიოდ ცნობას, ქრონიკას თუ თეზისებს რუსთაველოლოგიურ სიახლზე ვიჭლევი თვით ტექსტის მთელი ციტაციით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათზე ანოტაციის გაკეთება ნაკლებ ადგილს არ დაიჭერდა და უფრო ზუსტად კი ვერ გადმოსცემდა საჭიქელს, ვიდრე თვითონ დედანი.

რაც შეეხება აღწერის ფორმას, ჩვენ უცვლელად გადავაქვს ყოველი ტიტული, თუ ნაშრომი წიგნს წარმოადგენს. თუ გვარი ტიტულზე მოცემული არ არის მთლიანად, ინიციალები ანდა ფსევდონომის რომელიმე ფორმაა, მათი გახსნა კვლარატულ ფრჩხილებში ჩვენ გვეუთვნის. თუ თარიღი ჩვენი აღდგენილია, ისიც ფრჩხილებშია. ზოგჯერ გამოცემა განმეორებულია, ასეთ შემთხვევაში ანოტაციას ერთათე პირველ გამოცემას, შემდგომი გამოცემანი კი, თუ წლებს მისედევაში შეტანილი თავის ტიტულებით, მითითებულა პირველი გამოცემის ანოტაციაზე. უკეთეს ნაშრომის მეორე, მესამე გამოცემა რაიოდ ცვლილებას შეიცავს, მაშინ მასაც უკვლევდა ცალკე ანო-

ტაცია, მხოლოდ პირველ გამოცემასთან შედარებით განსხვავების აღნიშვნით, რითაც შეთხვევლს საშუალება ექნება გაერკვეს საკითხის იმ თანდათან დამუშავებაში, რომელიც ამ გამოცემაშია ასახული.

ავტორთა გვარი, სახელი, ინიციალების დაწერილობა, წოდება ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში შეტანილია ზუსტად იმ ფორმით, როგორც თვით პუბლიკაციებშია. ამრიგად, შესაძლოა ერთი და იგივე პიროვნების სახელი და გვარი ერთ შემთხვევაში მოცემული იყოს სრული ფორმით, მეორეში — შეკვეცილად, ანდა შესაძლოა ერთგან მოხსენიებული იყოს წოდების დარღვევით, მაგ., აკად., პროფ., დოქ., პოეტი, მწერალი, მეორეში — უამაოდ.

ანბნათა რიგი მისდევს გვარის ინიციალს, სულერთია გვარი წინაა დასმული, პირველ ადგილზე, თუ სახელის შემდეგ, მეორე ადგილზე. თუ ავტორი წარმოდგენილია მხოლოდ ინიციალებით, გვარად ვეარაუდობთ მეორე ინიციალს და ის მისდევს ანბანს.

ქართულ-რუსული საძიებლის ერთად შედგენის დროს ზოგი სიძნელე წარმოიშობა ისეთი ასოების შეთანხმებაში როგორცაა მაგ., ქ. ჯ. ბ. მათი რუსულად დაწერილობა მაგ., ჯავახიშვილის გვარში მას „ლ“-სთან გადიტიანება. ჩვენ ვარჩიეთ ამ გაუცნობის აცილების მიზნით ქართული ანბანის საფუძვლივ მიგველი, ე. ი. მთელი მასალა, მათ შორის რუსულად დაკვეცილებული ქართულის მიხედვით და ამის მიხედვითვე განსაკუთრებით გვარების დაწერილობაში ქართული გამოქვეყნება დაკვეცვა. მაგ., *Лжедмитрий* შეტანილი იქნება ასო „ж“-ზე, ასევე *Церетьин* მოთავსებული იქნება წერეთელთან, *Чуихина* და ტიუჩინთან და არა „н“-სთან.

როგორც შეთხვეული ერთი შეხედვითვე მიხვდება, მთელი ბიბლიოგრაფიული მასალა ქრონოლოგიურადაა დალაგებული. ის იწყება 1712 წლიდან და ვრცელდება 1957 წლამდე. თვით წლებს შორის კი ანბანთა რიგია დაცული. ასე დალაგებული ბიბლიოგრაფია ზრავალი მოსაზრებით ვარჩიეთ. უპირველესად ის რუსთველოლოგიის თანდათან ზრდის სურათს გვიჩვენებს და იმავე დროს მის ისტორიასაც თვალნათლევ გვახედებს. აქედან ერთბაშად ხდება გასაგები, თუ გარკვეულმა ავტორმა თუ გამოცემამ როდის დაიკავა შეცნობებაში მისთვის მიჩენილი ადგილი, რა უკონდა მას წინ მემკვიდრეობად და რა შესაძლო გაეცნობებინა. მაგრამ ასეთი თითქოს მარტივი, დალაგების გზაც ერთგვარ დაბრკოლებას შეხვდა, რაც ზოგჯერ გაუგებრობასაც ქმნის. ყველა მასალის დალაგება ქრონოლოგიური პრინციპით, ე. ი. მათი გამოქვეყნების თარიღის მიხედვით ყოველთვის არ ასახავს კვლამარტ მდგომარეობას. საქმე ისაა, რომ ძველი ქართული მწერლობის ცნობები ხელნაწერთა სახით ვრცელდებოდნენ, მათ გამოქვეყნებისათვის არ უცდიათ, ისე მოიპოვეს ლიტერატურაში ადგილი, ამიტომ მათი პუბლიკაცია, რამაც ზოგჯერ საუკუნეები დააგვიანა. შეტად ჩამორჩება მათი შინაშეხეობის საზოგადოებაში დამკვიდრებას. მაგ., თეიმურაზ ბაგრატიონის ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ შეიტანეთ 1843 წელთან, რადგან ეს თარიღი, როგორც მისი დამთავრების თარიღი, მე მივიჩნიე გამოქვეყნების თარიღად, მაგრამ მთელი რიგი ძეგლები, რომელნიც თეიმურაზ ბაგრატიონზე ვაცილებთ ღრეც იყვნენ დაწერილი, მათი პუბლიკაციის მიხედვით მოხედდნენ მეოცე საუკუნის ვარკვეულ წლებში. /კარგადაა ცნობილი, რომ რუსთველოლოგიაში მოიპოვება ისეთი მასალა, რომლითაც ქართული ლიტერატურული სინამდვილე დიდი ხანია სარგებლობს, თუმცა მათ ბუკდურ გამოცემებს დააგვიანდა. მაგ., აღორძინების ხანის პოეტები, რომელნიც მრავალ საუკუნეებში ცნობებს გვინახავენ თავის თხზულებებში რუსთველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ და ქართულ საზოგადოებრიობაში დიდი ხანია პოპულარობით სარგებლობენ, გვიან იყვნენ გამოქვეყნებული. ასეთ შემთხვევაში ან თვით ანოტაციაში, ანდა საძიებელში ვერჩევთ ავტორის ხანას. მაგ., სერაპიონ სორგატის ძე საბაშვილის ცნობები რუსთველზე შეტანილია გამოცემის თარიღთან, 1916 წელთან, მაგრამ ჰქვე აღნიშნული იქნება, რომ ის XVI საუკუნეს განეკუთვნება. ასევე არილ მუყის ნაგაბასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში XVII საუკუნის დასასრულიდან იჭერს ადგილს და ის ცნობილი ხდება სხვა ლიტერატურული ძეგლებითაც. მაგრამ პირველად გამოიქვა XIX საუკუნეში, ანოტაცია კი ჩვენ ვერჩევთ 1837 წლის სრულ გამოცემასთან (№ 1371). დაინტერესებული გაითხველი სურვილისამებრ ცნობას იპოვის ამ თხზულების ყველა გამოცემაზე და იმაშიაც ვერჩევს, რომ ამ შემთხვევაში ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პუბლიკაცია ყოველთვის არა ხდება მათი ლიტერატურაში შესვლისა და დამკვიდრების თარიღს. ამიტომ ცხადია, რომ, თუ ნაშრომი ლიტერატურულ ურთიერთობაში სტამბურად გამოქვეყნებამდე ფაქტიურადაა შესრულებული ისე, რომ საზოგადოებრივი აღიარება აქვს მოპოებული, ეს ფაქტი უნდა ჩათვლიდნენ მისი გამოქვეყნების თარიღადაც, რადგანაც ის დაბეჭდვამდე კარგა ხნით ადრეც მონაწილეობას იღებს ლიტერატურულ ცხოვრებაში და ვარკვეულ გავლენას ახდენს რუსთველოლოგიური აზრის შექმნევაზე. მეორე მხრივ, თავისთავად ზოგი ბუკდური ნაშრომი რამე

მიზეზის გამო შესაძლებელია იგვიანებდეს ლიტერატურაში ფაქტური შემოსვლას, დაეწყებას ეძლეოდეს და საჭიროებდეს ზედახლად ცნობაში მოყვანას, თავის უფლებებში აღდგენას. ასეთი ბედი ეწია ზოგ გამაჰქვეყნებულ ნაშრომს რუსთაველის შემოქმედების სხვადასხვა საკითხზე. მაგ., უსამართლოდაა უგულვებლყოფილი ვუფხისტყაოსნის ინჯლისკარი თარგმანის 1912 წლის გამოცემის მრავალმხრივად საყურადღებო წინასიტყვაობა (იხ. ანოტაცია № 779), მივიწყებულია პლატონ ილიანის ნარკვევი „მოთა რუსთაველი“, რომელშიაც გამოთქმულია არა ერთი და ორი საფუძველ-მდებელი მოსაზრება რუსთაველის შესწავლისათვის (იხ. ანოტაცია, № 113), უფრო მეტი უყურადღებობა ხედავია წილად ზ. ავალიშვილის მეტად ორიგინალურ ნაშრომს რუსთაველის მსოფლმხედველობისა და მხატვრული შექმნელების საკითხებზე (იხ. ანოტაცია № 1108), საკვებით შეუმჩნეველი დარჩა მანველიშვილის მონოგრაფიული ნარკვევი (1933).

ყველა ამ ფაქტის გათვალისწინება ეგებ იმის საფუძველსაც ვგაძლევა, რომ რუსთაველოლოგიური ნაშრომები, რომელთაც ფაქტურა პუბლიკაცია დაუგვიანდათ, მათი დაწერის თარიღებთან შეგვეტანა, რადგან ასეთ შემთხვევაში სხვა ნაშრომებთან მიმართებაში მათი როლი ბუნებრივ სიტუაციაში იქნებოდა წარმოდგენილი და სურათი რუსთაველოლოგია აზრის განვითარებისა შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახებოდა. მაგრამ, რამდენადაც ასეთი ფაქტები არც ისე ბევრია, ვარჩიეთ პუბლიკაციის პრინციპი მიველო. ამის მიხედვით, მაგ., ვახტანგ VI-ის ეპიტაფია, რომელშიაც ვუფხისტყაოსნის თარგმნობა მოხსენიებული პუბლიკაციის თარიღთან, 1880 წელთან შეეიტანეთ (იხ. ანოტაცია № 156) და ასე შემდეგ.

ლიტერატურის ამ თვალსაზრისით დალაგების ვითარებაში წარმოშობილ ყველა გუგუბრობასა და წინააღმდეგობას შეესაბამება ვიგნისთვის დართული ავტორთა და პიროვნებათა საძიებელი, რომელიც მკითხველის საყურადღებოდ შეთანხმებს თარიღებსა და ავტორებს მათ თანმიმდევრობაში. ავტორთა და პიროვნებათა საძიებლებთან ერთად, წიგნისათვის დართული პრობლემათა სპეციალური, საგნობრივი საძიებელი გააადვილებს წიგნით სარგებლობას და დანატრეყებულს საშუალებას მისცემს მისთვის საჭირო საკითხზე არსებული ლიტერატურა ადვილად შეარჩიოს და მოხაზოს, მართლაც, ორიანსაზე მეტ სტატიაში მოცემული მასალის გამოყენება მეტად გაძნელებული და შეუძლებელიც იქნებოდა წინასწარი ცნობის გარეშე, რამდენადაც კონკრეტულად საჭირო რომელიმე ნაშრომის ანოტაცია მიიჩქმალებოდა დანარჩენ მასალაში. ამიტომ საგნობრივ საძიებელში შთითებულია ძირითადი წყაროები ყოველ საკითხზე, რომელიც რუსთაველოლოგიას მოუპოვება. ხშირად ერთი ნაშრომი შეიცავს რამდენიმე პრობლემის განხილვას, ასეთ შემთხვევაში თითოეული მათგანი თავისი ნომრით შეტანილი იქნება როგორც ერთ პრობლემასთან, ისე მეორესთან.

საგნობრივი საძიებელი თვალნათლად გვიჩვენებს ამა თუ იმ საკითხზე არსებული ლიტერატურის შედგენილობას და, ბუნებრივია, რომ ერთ მწერაში შესაძლოა ერთად მოხდეს როგორც მონოგრაფიული ნაშრომის ნომერი, ისე მცირე შენიშვნისა თუ რაიმე ცნობის ნომერიც, რომელშიაც მოცემული საკითხი გაკვრითაა მოხსენიებული და ჩვენ რაიც საძიებლების გაზრდას მოვერჩიეთ, აღარ გამოიყვით პრობლემათა მიხედვით სპეციალურ ნაშრომთა რიცხი, რომელშიაც გარკვეულ საკითხზე ესა თუ ის დებულება მონოგრაფიულადაა დამუშავებული, შემთხვევით გამოთქმულ მოსაზრებათაგან. მაგ., რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული მასალა უმეტესწილად კომპილაციებისაგან შედგება და მეტად მცირეა ლიტერატურა, რომელიც ამ საკითხს დამოუკიდებელი, ორიგინალური მასალით ასახავს. მათი წინასწარ დახარისხება ერთგვარად სცილდება წიგნის მიზანს და, თუ მკითხველი ამ გრაფიკაში რუსთაველის ბიოგრაფიაზე ყველა ნომერს ერთად ნახავს და ზედმეტი მუშაობა მოუხდება, რომ მისთვის საჭირო მასალას ცნობა იპოვოს, ამ შემთხვევაში იმედი მაქვს, რომ თვით მკითხველი გარკვევით მათ ღირებულებაში, ასარჩევს აარჩევს და გაკვრით გამოთქმული აზრის ცოდნაც ბევრს არაფერს დაუშავებს მას.

მთელი რუსთაველოლოგიური ლიტერატურის ანოტაცია-რეფერენციების სახით ერთად დალაგებამ გამოაქვავს გარკვეული საფერებში და ტენდენციებში, რითაც ვითარდებოდა რუსთაველოლოგიური აზრი და წინ მიიწვედა რუსთაველის შესწავლა. აქედან კარგად ჩანს, რომ მეცხრამეტე საუკუნეში, მიუხედავად რუსთაველის დიდი პოპულარობისა საზოგადო ცხოვრებაში და მისდამი ლიტერატურულ-მეცნიერული მზარდი ინტერესისა, მონოგრაფიული ნაშრომი რუსთაველზე ვერ შეიქმნა ალბათ იმიტომაც, რომ იყო კიდევ მისი შემოქმედების შესაწავლად საჭირო განპირობების შესაბამისი საკითხებიც არ იყო დასმული, თუმცა ვუფხისტყაოსნის ჩვენს კულტურის საუკეთესო ძალები ელოლიავებოდნენ. ამ საუკუნეში მეოცეს გადმოსცა მტიკინულად განცდილი ერთი პრობლემა — ვუფხისტყაოსნის ორიგინალის საკითხი, რომელიც წინაგანი საჭიროების გა-

რეშე იქცა რუსთველოლოგიის ერთ-ერთ, ყოვლის მომცველ პრობლემად და რომელზედაც პასუხის გაცემას ყველა სწავლადებულად თვლიდა, არსებობდა თვით პოემა კი, მისი მხატვრული კონსტრუქცია, პოეტური მეტყველება, მასში გამოხატული მსოფლმხედველობა, იდეალები და სასწები უგულებელყოფილი იყო. ამ პრობლემის დაყენების, გაგებისა და გადაწყვეტის ცდებს დიდი კვალი დააჩინა აკად. ნ. მარის არა იმდენად კონცეფციამ, რამდენადაც მისმა პიროვნებამ ავტორიტეტმა, რომლის მიერ წამოყენებული აზრი ვეფხისტყაოსნის საარსებლადან წარმოშობის შესახებ, თუმცა ლიტონ განცხადებას წარმოადგენდა; დიდხანს მეცნიერული საფუძვლიანობის პრეტენზიით იკვლავდა გზას. საფუძვარად, ამ ღვაწლმოსილ მეცნიერს მამინ აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს საკითხი არსებითად გადაწყვეტა თვით ვეფხისტყაოსნის შესწავლით ქართული მწერლობის, ისტორიული ცხოვრებისა და ქართული მსოფლმხედველობის საკითხებთან მიმართებით. ეს ერთგვარი კვლევა-ძიებითი გაუგებრობა ახლაც ბოლომდე არაა მთლიანად გასაგები, მით უმეტეს, რომ, თამამად შეიძლება ითქვას, იგი ძველი ქართული მწერლობისა და ვეფხისტყაოსნის შესანიშნავი მცოდნე იყო. როგორც ცნობილია, აკად. მარმა უკანასკნელ ხანებში საფუძვლიანად შეიცვალა შეხედულება საერთოდ ძველი ქართული საბრუნველობის წარმოშობა-განვითარებაზე და თავისი ნასესხობის თეორიის მთლიანად უარყოფასთან დაკავშირებით აღიარა ვეფხისტყაოსნის უაღრესად ქართული, ხალხური ხასიათი, მაგრამ მისთვის ჩვეული საფუძვლიანობით ვერც ამ დებულების დასაბუთება მოასწრო. უფრო მეტად სამწუხარო იყო ის გარემოება, რომ მარის ნასესხობის თეორიის ტყვეობაში ერთ ხანს მოექცა ჩვენი კლდური მრღვაწუთა თითქმის მთელი თაობა მის ისეთ შესანიშნავ წარმომადგენელსა სახით, როგორც იყვნენ მეცნიერულ კვლევა-ძიებაში პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ლიტერატურულ კრიტიკაში კიტა აბაშიძე და რომელნიც მართან ერთად მეცნიერული აზრის მიღწევად აცხადებდნენ ამ ნასესხობის თეორიის მიმდევრობას, ვეფხისტყაოსნის ქართული ძირებით ახსნის აზრის ყოველგვარ გამოქვინას კი თვლიდნენ მეცნიერულ ჩამორჩენილობად და ნაციონალიზმად.

მეოთხე დიდი პრობლემა იქცა შემკვიდრება, რომელიც ეახტებოდა დაწყებით ვითარდებობა და დღესაც ჯერ კიდევ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს, არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა. ვახტანგის შემდეგ ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო ვასული საუკუნის მოღვაწეთა ბრწყინვალე თაობამ გრიგოლ ორბელიანისა და ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, რომელთა ცდამ და ავტორიტეტმა შესაძლო გახადა კერძო მფლობელთაგან ოჯახებში შეკრებილიყო ვეფხისტყაოსნის ოცამდე ხელნაწერი, რომელთა შეკრების შედეგად დადგინდა კიდევ პირველი, შედარებით კრიტიკული ტექსტი პოემის 1888 წლის გამოცემაში. 1712 წლის პირველი გამოცემის შემდეგ, როგორც საძიებლადან ნათლად დაინახავს მეოთხეული გრაფაში „ვეფხისტყაოსნის სრული ქართული გამოცემა“, ვეფხისტყაოსანი დაიბეჭდა ორმოცჯერ და ჩვენ მათ ვუკეთებთ ანოტაციებს მათი მნიშვნელობის მიხედვით — ზოგს ვრცელს, შედგენილობის აღწერით, ტექსტის ფლუსტრაციით, ზოგს კი მოკლეს, მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მონაცემების მშრალი აღნიშვნით, თუ ისინი უბრალო განმეორებულ გამოცემებს წარმოადგენენ. ეს იმით აიხსნება, რომ ტექსტოლოგიის შედგენილობით და აპარატურის თავისებურებით მხოლოდ რამდენიმე გამოცემა იქცევს ყურადღებას, ესენია: 1712, 1841, 1888, 1914, 1926, 1934, 1937, 1953, 1951, 1956 წლის გამოცემები, რომელთაც ამიტომ ფართო ანოტაცია გაუკეთეთ. ეს გამოცემა იერთმანეთთან შეფარდებით იმის ნათელ სურათს იძლევიან, თუ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმე არ ვითარებაში იმყოფება პოემის ხელნაწერებთან მიმართებით. ამიტომ ჩვენ საპრობლემო მივიჩნევთ მათთვის დაგვიტოვო ვეფხისტყაოსნის შინაარსები, რაც ვადადრებს პოემის მოცულობის ვთავისფრისებასა და შედარებას იმ ძირითად გამოცემათა მიხედვით, რომელნიც მთლიანად გადმოსცემენ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ვითარებას მის სხვადასხვა ინტერპრეტაციაში.

უკანასკნელი ხანების მთავარ პრობლემად, რომელიც თანდათან მეტ ყურადღებას იძირობს, რუსთველის მსოფლმხედველობისა და მისი პოემის მხატვრული კონსტრუქციის საკითხებია. ეს პრობლემები აღრევე იყო აღძრული, მაგ., ბროსეს, ჭუბინაშვილის, პლატონ ოსელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, სუტუნერის ცალკეულ სტატიებში, მაგრამ ისინი მონოგრაფიულად არ დამუშავებულან. ამჟამად ჩემ მიზანს არ წარმოადგენს ამ ხაზით შექმნილი ლიტერატურის ზოგადი შეფასებაც კი, თუნდაც იმ მნიშვნელობის აღნიშვნით, რომელიც მას ჰქონდა რუსთველოლოგიის ცალკეული საკითხების შესწავლა-განვითარებაში, მაგრამ მათი უბრალო ჩამოთვლაც ნათელს გახდის, რომ რუსთველოლოგია ამჟამად თავისი განვითარების უფროდ ისეთ ფაზაში შევიდა, როდესაც მუშავდება არა მხოლოდ ზოგადი შეხედულებანი რუსთველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე, არამედ იწერება სატყუარული გამოკვლევები, ზოგჯერ მონოგრაფიული ხასიათისა, რომელთა მიზანია გარკვეული პრობლემების საფუძ-

ვლიანი დადგენილება არსებული ლიტერატურის კრიტიკული გათვალისწინებით. ამ მხრივ აღსანიშნავია პავლე ინგოროვას გამოკვლევა «Rustselianai» (1926 წ.), რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში იდეო გამოხატულება ჰქონდა რუსთველოლოგიის საკითხების აღქმის თვალსაზრისით. პროფ. კ. კეკელიძის «ქართული მწერლობის ისტორიაში» მოთავსებული ერთი ნაკვეთი რუსთველზე, რომელიც ავტორმა სამჯერ გადაამუშავა (1924, 1942, 1951), აგრეთვე სპეციალური ნარკვევები «ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა» (1931 წ.), «რუსთველოლოგიის საკითხები» (1939 წ.) და სხვა. პროფ. ა. შანიძის ცდანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის რედაქციების შესწავლისა და დადგენა-კომენტარების დარგში; კონსტანტინე ჭიჭინაძის ნაშრომები რუსთველის პოეტური მემკვიდრეობისა და ვეფხისტყაოსნის შედგენილობის საკითხებზე, განსაკუთრებით მისი «ლიტერატურა ქართულ შიარში და ვეფხისტყაოსნის პრობლემა» (1925 წ.); ზურაბ ავალიშვილის «ვეფხისტყაოსნის საკითხები» (1931 წ.); ვლ. მანველიშვილის «ვეფხისტყაოსანი და რუსთველის ზეობრივი იდეოლოგია» (1933 წ.); პროფ. ვ. ბერიძისა და პროფ. კარპუზ დონდუას რუსთველოლოგიური მემკვიდრეობის რუსთველის ლექსებისა და ტექსტის დადგენა-განმარტების საკითხებზე; პროფ. ა. ზარმაძის ნაკვეთები ვეფხისტყაოსნის სოციალური წრის, რუსთველის პოეტის, ტიპისა და მხატვრული სახეების სფეროში; ა. გაწერელიას და პროფ. პ. ბერიძის ნაშრომები რუსთველის ვერტიკალიზაციისა და პოეტის საკითხებზე; პროფ. დ. კობიძის ცდანი რუსთველის მემკვიდრეობის შესწავლაში სპარსულ კლასიკურ პოეზიასთან მიმართებით. რუსთველის წსოულმხედველობის სპეციალური საკითხების კვლევა-ძიებაში აღსანიშნავია პროფ. შალვა ნუცუბიძის ცდანი, განსაკუთრებით მისი მონოგრაფიული ნაშრომი «Руставели и Востоковские Религиозизмы» (1947 წ.); პროფ. მოსე გოგიბერიძის სტატიები რუსთველის მსოფლმხედველობისა და რელიგიის საკითხებზე; შ. ხიდაშელის ნაკვეთები ქართული აზროვნების ისტორიის შუქზე რუსთველის მსოფლმხედველობის წარმოსადგენად; დიმიტრი ბენაშვილის «სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში» (1954 წ.); ვიქტორ ნოზაძის «ფერთამბეტყველება ვეფხისტყაოსანში» (1954 წ.); მილერ-ბუდნიცკაიას ნარკვევები ქართული რენესანსის საკითხებზე რუსთველის იდეოლოგიასთან მიმართებით. ასევე საყურადღებოა ცალკეული ცდანი ნორაკიძისა რუსთველის გმირთა ხარაქტეროლოგიური თვალსაზრისით შესწავლის სფეროში, გ. ნაღრაძის ნარკვევები და სხვა.

რუსთველოლოგიური პრობლემებისადმი მეცნიერული ინტერესის ასეთი გაზრდა, მისი მსოფლიო კულტურის მიმართებით შესწავლის მასშტაბი და ამოცანები, გვერთა, სასებთი აუცილებელს ხდის, რომ დაარსდეს სპეციალური, სამეცნიერო რუსთველოლოგიური პერიოდული ორგანო, რომელშიაც დაიბეჭდებოდა უახლოესი გამოკვლევები რუსთველზე, ტექსტოლოგიური ძიებანი, ინფორმაციული მასალა ვეფხისტყაოსნის შესწავლა-პოპულარიზაციის საკითხებზე და საკმაოდ ბევრი მასალა, დაუცული საქართველოს მუზეუმსა და ლიტერატურის ინსტიტუტში ხელნაწერების სახით რუსთველის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის საკითხებზე, მაგ., თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიური ნარკვევები, მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი და სხვა დოკუმენტები რუსთველოლოგიის ისტორიისათვის.

წიგნი ძირითადად ამოსწურავს რუსთველოლოგიურ ლიტერატურას, იმ მასალას, რასაც გარკვეული როლი უთამაშია მთა რუსთველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლაში, მაგრამ მაინც არ ვფიქრობ, რომ ჩვენ ზღვრულად საშუალებათა განსაზღვრულობის გამო არ შეიძლება გამოჩენილი ზოგ შემთხვევაში რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტის, რაც უნდა დაბარადდეს უმთავრესად ჩვენი ბიბლიოთეკების საგალალო მდგომარეობას, კერძოდ კი იმ ფაქტს, რომ ზმირად დიდი ხალხით აგროვებენ ერთი და იმავე ავტორის რამდენიმე გამოცემას, სპეციალურად იწერენ გამოკვლევებს მრავალ უცხო ენაზე მეცნიერების სხვადასხვა დარგის საჭიროებისათვის, მაგრამ აქამდის ჯერ არ უცდათ სამჭოთა კავშირის ფარგლებში გამოცემული რუსთველოლოგიური ლიტერატურა მაინც დაგროვონ, თუ კი მსოფლიო მასშტაბით ეს შესაძლოა ძველი იყოს, ვეფხისტყაოსნის თარგმანთა ცალკე მანქან დააკომპლექტონ, რაც, ალბათ, უპირველეს ყოვლისა საჯარო ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს გაკეთებული. სპეციალური, რუსთველოლოგიური ბიბლიოთეკის ორგანიზაცია კი ხომ ჯერ ოცნების საგანია, თუმცა ძველი არ უნდა ყოფილიყოს მისი შექმნა რომელიმე წიგნისათვის. ანა დაინტერესებულ სხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან.

დასასრულს მადლიერებით უნდა აღვნიშნო ვახტანგ ასლანიშვილის გულისხმობება, რომელიც მან გამოიჩინა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკიდან ზოგი ძნელად საშუენელი გამოცემის თაეაზიან თხოვებაში.

1. ვახტანგ VI

თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა: თქმული ბატონის
შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა

წიგნში: ვეფხისტყაოსანი აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ცამსა
ამალღებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა, შრომითა და
წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. გაიმართა ჯელითა ჯელმწიფის კარის დეკანოზის
შვილის მიქელისათა, ქალაქსა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა,
დასაბამითჲან ვიდრე აქამომდე შეიდიათას ორას ოცსა, გვ. სპე-ტნა.

დასაწყისში ავტორი ეხება განმარტების დაწერის მიზანსა და საგანს, ვე-
ფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხს და გადაქრით აცხადებს, რომ ვეფხისტ-
ყაოსანი წმინდა ქართული თხზულებაა, მისი მსგავსი სიუჟეტი სპარსეთში
არ მოიპოვება:

„ეს ამბავი სპარსში არ არის“, „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება“,
„ამბავიე თვითან გააკეთა“ (16 სტროფის განმარტება, გვ. სჟე).

ავტორის ამ განმარტებათა საერთო მიზანია, ვეფხისტყაოსნის რეაბილი-
ტაცია მოახდინოს სასულიერო საზოგადოების თვალში პოემის ქრისტიანული,
ეკლესიურ-საღვთისმეტყველო გაგების წამოყენებით. მისი აზრით ვეფხისტყაო-
სანი წარმოადგენს ქრისტიანული მორალის ქადაგებას. შოთა რუსთაველი ხა-
ტავს ღვთაებისადმი სიყვარულს.

ავტორის შენიშვნა: „რაც რუსთაველისა იმას გარდა არა მითქვამს რა“-
ო (გვ. სპზ), სწორედ იმის დადასტურებაა, რომ ვახტანგის გაგებით, ის ქეშმა-
რიტად გამოხატავს რუსთაველის თვალსაზრისს ვეფხისტყაოსნის საღვთო
ნაწარმოებად განმარტების წამოყენებაში. ავტორი უმთავრესად მარტავს
ძნელად გასაგებ, ორაზროვან სიტყვებს, თქმებს, ეპითეტებს, მეტაფორებს—
პოემის სტროფების თანმიყოლებით ამორჩეულად აღ-დან ჩვენთ სტროფამდე.
დასაწყისი თარგმანთა შესავლისა:

„მე ვსწერ ძმის წული მეფის გიორგისა და ძე ლევანისა, გამგებელი ქართლისა ვახ-
ტანგ! წიგნსა ამას ამისთვის უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსკვალვითა სამე-
ძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილად ნამუშავეისა სამუშა-
ოსა, მსგავსად თვალთა, რომელთა ვერა სცნობენ მცნობელნი და კიჱასა ქვად პატროსნად
საქელ სდებენ...“ (გვ. სპე).

პირველი სტროფის განმარტება:

„რ ო მ ე ლ მ ა ნ შ ე ჯ: ლთნ შექმნა ქუეყანა: ქუეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით
და ზეციდამ სული ცხოველი მოჰბერა რომელნიც მყოფნი ვართ: ხოლო მრავლის ფერის
შემკობით კაცთა მისცა სოფელი და ყოველი ჯელმწიფობა ვითარცა იტყვის პავლე ზეგარ-
დამო არს: ავრვე ესეც ამას უბნობს რომე ლთისაგან არის ყოველი ჯელმწიფება იმავ ლთის
მიმზავსებულობით“ (გვ. სპშ).

დასასრული: ჩვენთ სტროფის განმარტება:

„მათ და გვ: სახედ რომ დაუწერია ვარსკვლავთათვის უმზავსებია“ (გვ. ტნა).

2. [შოთა რუხთველი]

ვეფხისტყაოსანი აწახალი დაბეჭდული ქართულს ენახა ზედა ეამხა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვასტანგისსა შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა.

გაიშაროა ტელითა ტელმწიფის კარის ლეკანოზის შეილის მიქელიხათა, ქალაქსა ტფილისისხსა, ქრისტეს აქეთ ათას შეიდას და თორმეტსა დასაპამითგან ვიდრე აქამომდე შეილიათას ორას ოცსა, 4+ტნა[351] გვ.

ტექსტის წინ ნუმერაციის გარეშე მოიპოვება 4 გვერდი. ნუმერაცია იწყება ქართული სათვალავით ა-დან ტნა-მდე.

ტიტულის მეორე და მესამე გვერდზე ჩართულია ექვსი სტროფი, რომელშიაც გალექსილია ქართველთა ზეფური გენეალოგიის, ქართული ღერბის და სტანბის მოწყობის საკითხები.

დასაწყისი: „გასინჯეთ ბეჭდის ოვაგი: მსმენლა ნუ გაქუან წყინება, ფსალმუნთ ქნართ ცემა დავითის: თუმც რახედ იყო სმინება...“

ბოლო: „სტამბას ბეჭდედენ ფრანგი და რუსნი და მერამე ვლახელნი, აქ არსად იყო აროდეს: ვერ ვაოუთ მისნი მნახელნი, გიორგის მეფობაშიგან; ვახტანგ აკვირვა მსახელნი, და ამ ბეჭდვამ ახლა მის გამო: გაუდუნა ყოელნი მრმახელნი“.

ლექსის ბოლოში მოიპოვება საყურადღებო შენიშვნა:

„მადიდებელი წმიდისა სამებისა მე გვარტომობით ძირ მოდგმობით დავითიანმან ძის ძემან სახელ განთქმულის მეფის ვახტანგისმან ძმისწულმან კებულის მეფის არჩილისმან და დიდად საბულოვანის ქართველთ მეფისა გიორგისმან და ძემან დრდად პატროსნის ლეენისა-მან მპყრობელმა საქართველოსმან ვახტანგ მოვიყვანე მესტანბე ვლახებით და გაუკეთე სტამბა საკსრად სულთა წინა თქმულთა მეფეთასა მამისა და დედისა ჩემისა გურგიელის ასულის თუთასათვის საღბინებელად სულისა ჩემისა და მეუღლისა ჩემისა ჩერკეხის ბატონის ასულისა დედოფლის რუსუდანიასა და ძეთა და ასულთა ჩვენთა აღსაზრდელად“.

ტექსტს წინ უძღვის სათაური:

„ქ. ამა ამბის დასაწყისი პირველი: ამა და სასმენლად შეენიერი სწავლისათვის მოშა-ირეთასა. ტარიელს და ნესტანდარეჯანს ვეფხის ტყაოსნობით უგმობენ“.

ტექსტი ქართული სათვალავით შეიცავს ა — ჩუბთ სტროფს (1589), მაგრამ, როგორც ცნობილია, ამ სათვალავში შეცდომა მოსვლიათ და ნამდვილად ვეფხისტყაოსნის ტექსტი ამ გამოცემაში შეიცავს 1587 სტროფს.

პირველი სტროფი: „რომელმან შექმნა სამყარო: ძალითა მით ძლიერითა“ (ა).

დასასრული: „ამირან დარეჯანის ძე: მოსეს უქია ხონელსა“ (ჩუბთ).

ამ ტექსტს ბოლოს სათვალავის გარეშე ერთვის ორი სტროფი, რომელშიც გალექსილია წიგნის ბეჭდვის ამბავი:

„აწ დაიბეჭდა სტამბაში: პირველ ნაწერი ქელისა: უგბილთა ფრიად სასწავლო: გონიერთ გულთა თმენისა: მეფის ვახტანგის ბძანებით და სიბრძნით კითხე მქნელისა; და ნაღაწი მისის მლოცელისა მესტამბე მიქაელისა“.

დაესრულა ესე წიგნი: ქორანიკონს უნსა სმულსა: ყველაქასა უხაროდა: რიტორსა და კმა უსულსა: სამლთოა და საეროცა: ვისაცა აქუს სმენა გულსა: და უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს: გონიერსა გულს უსწრულსა“.

ტექსტის მოპყვება ვეფხისტყაოსნის კომენტარები შემდეგი სათაურით:

„თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა: თქმული ბატონის ზვილის :გამგებელის პატრონის ვახტანგისა“ (გვ. ს.კ.—ტ.ნ.ა = 286—351).

შესავლის გარდა ტექსტი შეიცავს შემდეგ თავებს დასათაურების მიხედვით:

1. ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა (გვ. ე-იე).
2. ნახუ არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის ტყაოსნისა (გვ. იე-ლა).
3. აქა წიგნი აეთანდილისა ყმათა თანა (გვ. ლა-ლგ).
4. აეთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასვლა (გვ. ლგ-ნე).
5. ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ოდეს აეთანდილს უამბო პირველი (გვ. ნე-ა).
6. ამბავი ტარიელის გამიჯნურებისა პირველ რომ გაუმიჯნურდა (გვ. ა-აე).
7. წიგნი ნესტან დარეჯანისი საყვარელსა თანა მოწერილი პირველ (გვ. აე-აე).
8. წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა პირველად მიწერილი (გვ. აე-აზ).
9. წიგნი ტარიელისა ხატაველთა თანა მინაწერი და კაცის გაგზავნა (გვ. აზ-ა).
10. წიგნი ხატაველთა მეფისა ტარიელს წინაშე მოწერილი პასუხად (გვ. ა-პ).
11. წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფეთ წინაშე ოდეს გაიმარჯვა ხატაველთა ზედა (გვ. პ-კ).
12. წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი (გვ. კე-ქ).
13. წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მინაწერი პასუხად (გვ. კზ-ჟ).
14. ამბისა ცნობა ტარიელისგან ნესტანდარეჯანის დაკარგვისა (გვ. ჟშ-რა).
15. ამბავი ნურადინ ფრიდონისა ოდეს ტარიელ შემოაყვარა ზღვის პირსა (გვ. რბ-რე).
16. შევლა ტარიელისაგან ფრიდონისა და გამარჯვება მათგან მეთს მეომარზედა (გვ. რე-რზ).
17. ფრიდონისაგან ნესტანდარეჯანის ამბის მბობა ოდეს ტარიელს უამბო (გვ. რზ-რიე).
18. ამბავი აეთანდილის არაბეთს შექცევისა ტარიელ რომ იპოვნა და წავიდა (გვ. რიე-რყე).
19. დათხოვნა აეთანდილისაგან როსტევან მეფისა და ვეფხისის საუბარი და ზეწვნა (გვ. რყ-რლგ).
20. შერმადინის საუბარი აეთანდილისაგან ოდეს გაიპარა (გვ. რლგ-რლუ).
21. ანდერძი აეთანდილისა როსტევან მეფისა წინაშე ოდეს გაიპარა (გვ. რლუ-რლთ).
22. ლოცვა აეთანდილისგან მიზგივას და გაპარვა მისი (გვ. გლთ-რმ).
23. ცნობა როსტევან მეფისაგან აეთანდილის გაპარვიით წასვლისა (გვ. რმ-რმგ).
24. წასვლა აეთანდილისგან როსტევანს და ტარიელის შეყრა (გვ. რმგ-რმშ).
25. აეთანდილისგან ტარიელის ძებნა მოთქმა და ტირილი (გვ. რმთ).
26. პოვნა აეთანდილისგან ტარიელისა ლომ ვეფხნი რომ დახოცა (გვ. რმთ-რნე).
27. ამბო ტარიელისაგან აეთანდილის ლომ ვეფხთ დახოცისა (გვ. რნე-რნზ).
28. აქა ტარიელისაგან და აეთანდილისაგან კვებას მოსვლა და ასმითის ნახუ (გვ. რნშ-რრდ).
29. წასვლა აეთანდილისგან ფრიდონისას მულაზხანსარს რომ შეყვარა (გვ. რრდ-რრე).
30. აქა აეთანდილ ვარსკვლავთა ეუბნების თაის ბუნებასა (გვ. რრე-რრზ).
31. აეთანდილისაგან ფრიდონისას მოსვლა ტარიელს რომ გაეყრა (გვ. რრზ-რრზ).
32. წასვლა აეთანდილისაგან ფრიდონიდან ნესტანდარეჯანის საყვარელად (გვ. რრზ-რრე).
33. ამბავი აეთანდილისაგან გულანშარს მოსვლისა ზღვის პირს რომ გაეიდა (გვ. რრე-რრე).
34. აეთანდილისაგან ფატმანის ალაგში მოსვლა ფატმანის მიგებება და სიხარული (გვ. რრე).
35. ფატმანისაგან აეთანდილის გამიჯნურება წიგნის მიწერა და გაგზავნა (გვ. რრე).
36. წიგნი ფატმანისა აეთანდილთანა სამიჯნუროდ მიწერილი (გვ. რრე-რრეთ).
37. წიგნი აეთანდილისგან ფატმანთან პასუხად მიწერილი (გვ. რრეთ-სბ).
38. აქა აეთანდილისაგან ჩანაჯირისა და ორის მისის დარაჯათ დახოცა (გვ. სგ-სდ).
39. ნესტანდარეჯანის ამბის მბობა ფატმანისაგან აეთანდილის წინაშე (გვ. სდ-სზ).
40. წიგნი ფატმანისგან ნესტანდარეჯანისა კითხვა და მეცნიერობის შეტყობის ნდომა (გვ. სზ-სია).
41. უსენისაგან გამჟღავნება ნესტანდარეჯანისა მეფის წინაშე (გვ. სია-სით).
42. ამბავი ნესტანდარეჯანისა კაჯთაგან შეპყრობისა ფატმანისაგან მბობა აეთანდილთან (გვ. სკ-სკთ).
43. წიგნი ფატმანისა ნესტანდარეჯანის წინაშე მიწერილი (გვ. სკთ-სლბ).
44. წიგნი ნესტანდარეჯანისა ფატმანთან მიწერილი (გვ. სლბ-სლგ).
45. წიგნი ნესტანდარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი (გვ. სლგ-სლზ).

46. წიგნი ავთანდილისაგან მიწერილი ფრიდონს წინაშე (გვ. სლწ-სლთ).
47. ავთანდილისგან გულანშაროთ წასულა და ტარიელის შეყრა (გვ. სლთ-სმზ).
48. ტარიელისა და ავთანდილისაგან წასულა ფრადონისას (გვ. სმზ-სნა).
49. თათბირი ავთანდილისა ქაჯეთის ციხის შეპარებით შესვლისა და აღებისა (გვ. სნა-სნბ).
50. თათბირი ტარიელისა სამთავანვე ციხის შეხდომა და აღება (გვ. სნბ-სნვ).
51. ტარიელისგან ზღვათა მეფისას მისულა (გვ. სნვ-სა).
52. ტარიელისაგან ზღვათა მეფის გაყრა და ფრიდონისას მისულა (გვ. სა-საბ).
53. ჭორწილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა ფრიდონისაგან (გვ. საბ-სახ).
54. ტარიელისაგან კვაბასვე მისულა მეორედ და საკურტლეთ ნახვა (გვ. სახ-სახბ).
55. აქა ჭორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან (გვ. სახ-საყ).

1802

ა. [Евгений Митрополит—Болховитинов]

Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии

Сочинено в Александро-Невской академии в Санктпетербурге с дозволения указного, печатано в типографии Шнора 1802 года, 12+102 гв.

ქართული ერის კულტურისა და მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში ავტორი ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე 72, 86, 87, 90, 91. გვერდებზე. ეხება ქართული ხალხური საგმირო ეპოსის არსებობას, არჩევს ვეფხისტყაოსანს მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით და რუსთაველს უბირისპირებს არიოსტოსა და ოსიანეს. რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ მოკლევს ტრადიციული ცნობები. თამარის ეპოქის კულტურაზე მსჯელობისას შენიშნავს:

„Четыре наипаче сочинителя прославились при ней: два прозаические, Мойсе Хонель и Сергис Тногвели; а два стихотворца, Руставели и Чхурхуадзе“ (გვ. 72).

ქართულ კლასიკურ პოეზიის მიმოხილვისას ავტორი ამბობს:

„Особенного упоминения достойны две наипаче древняя поэмы Грузинския, Велихсткоасани, т. е. Барсова кожа, и Тамарианаи, т. е. хвала Тамаре. Обе писаны за шестьсот лет пред сим, во времена славного царствования царихи Тамары, по ея, так сказать, вдохновению. Обе сочинены близкими ея боярами, первая Руставелем, а вторая Чхурхуадзе. Обе у грузинов сохранены донныи в целости, и чрез столько веков разлитых угнетений, порабощений, опустошений их отечества, изтребивших многие их памятки, не могли изгладиться из их памяти. Содержание первой поэмы Велихсткоасани есть почти романическое, взятое из Индейской истории. Сцены действий подобны Арпостовой поэме, Роланду: но красоты, оригинальности картин, естественности идей и чувствований—Оссиановы. Поэма сия при царе Вахтанге V была в Тифлисе напечатана, однакож вскоре изтреблена так, что ныне песма редко можно видеть печатные оной экземпляры. Барсовою кожею названа она потому, что герой в ней прославилский, Индейский царевич Тариев, странствовавши по свету, одевался в барсову кожу. Вся поэма, довольно пространная, сочинена четверостишными строфами...“ (გვ. 86—87).

ქართული ლექსის საზომების დახასიათებაში შაირის საზომის მაგალითად მოკლევს ვეფხისტყაოსნის დასაწყისი სტროფი რუსული ტრანსკრიფციით (Ромелиан шекина самкаро...) და იგივე რუსული თარგმანით:

Кто сотворил твердь силою своею крепкою,
И осуществив свыше душу, создал с небеси дуновением,
Дал человекам в землю неисчислимю образображению,
От того суть царь и его суть образ“ (გვ. 91).

ეს არის პირველი ნიმუში ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანისა და ქართული ლექსთწყობისა, შაირისა და რითმის პირველი განხილვისა.

წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს, რომ მას შრომის შედეგ-
ნაში დახმარებას უწეედნენ პეტერბურგში მყოფი ქართველი თავადები.

ამ წიგნმა დიდი როლი შეასრულა რუსთაველის ირგვლივ შეხედულების შემზღვევაზე როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მიმართულება მისცა რუსულ ლიტერატურაში რუსთაველის გატანის საქმეს. აკად. ბროსეს პირველად ამ წიგნის წაითხვით გასრენია ინტერესი ქართული მწერლობის მიმართ. (იხ. მისი: „Additions à l' Histoire de la Géorgie, St. Pet. 1851, გვ. 290).

წიგნი გამოვლესთანავე ითარგმნა უცხო ენებზე: გერმანულად:

Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht. Aus dem Russischen übersetzt von Fr. Schmidt, doktor der Philosophie, Riga und Leipzig, 1804, XVI+166. გვ.

ფრანგული თარგმანი: ხას-ის: Description du Caucase avec le précis historique et statistique de la Géorgie, S. P. 1804.

ერცელი რეცენზია და გარდათქმა: ე. მალტ-ბრენ—Analyse du Tableau historique, politique, ecclésiastique et littéraire de la Géorgie, écrit en russe par l' archimandrite Eugenius (Annales des voyages de la géographie et de l'histoire, Paris, 1810, tom. XII, pag. 73—100).

რეცენზია: Schlezer—Göttingische gelehrte Anzeigen, 1803, den 12 März. 42, Stück. ss. 409—424.

პროფ. ა. ხახანაშვილი ამ წიგნიდან მოკვავს ერცელი ამონაწერი ქართულ ლექსთა წყობის შესახებ (А. Хаканаш, Очерки по истории грузинской словесности, III, გვ. 224).

თ. მაჭავარიანი—ერთი საყურადღებო წიგნის შესახებ, კარლ მარქსის სახელობის საკ. სსრ სახ. საჯარო ბიბლიოთეკის წიგნები, წიგნი III, 1937, გვ. 212—220.

წიგნის შედგენის პირობების შესახებ იხ. Е. Шмукло—Митрополит Евгений как ученый, СПб, 1888, გვ. 341—348. შმურლო ევეგნის მიერ მაკედონისათვის 1802 წ. 13 მისის მიწერილი წერილის მიხედვით არკვევს, რომ, როგორც თვით ევეგნი აღიარებს, მას ამ წიგნის დაწერის იდეა დაეხადა ქართველ მღვდელმთავარ ვარლამთან საუბრების დროს და მისგან მოსმენილი ამბების ჩანაწერებით შედგა მთელი წიგნი.

ვარლამს ევეგნი ესაუბრებოდა, შმურლოს აზრით, ალბათ ალექსანდრე-ნევესკის მონასტერში, სადაც იმ დროს ვარლამს ბინა ჰქონდა მიჩენილი.

ივ. ვნიკოლოფოვის აზრით, ქართველი, რომელსაც დახმარება გაუწევია ბოლხოვიტინოვისათვის, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, უნდა ცოფილიყო კალმასობის ავტორი იოანე ბატონიშვილი (იხ. ვეფხისტყაოსნის პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე, ეურ. „მნათობი“, 1938, № 1, გვ. 197—200). მაგრამ ასეთი მიხედვრის საფუძველი არ არსებობს; რამდენადაც შმურლომ დიდი ხანია გამოარკვია, რომ ეს პირთენება იყო ვარლამი.

4. Schlezer

St. Petersburg. Historische Beschreibung von Georgien, nach seinem politischen, kirchlichen, und litterarischen zustande; verfasst von der Alexander Nevsche Akademie, 1802, 103 Octavseiten, nebst 3 genealogischen Tabellen.

ურბ. Göttingische gelehrte Anzeigen, unter der Aufsicht der königl. Gesellschaft der Wissenschaften. 42. Stück. Den 12. März 1803, 33. 409—424.

ერცელ რეცენზიაში ავტორი 1802 წ. გამოცემულ ევეგნი ბოლხოვიტინოვის წიგნის შინაარსის გარდათქმაში ცალკეული თავების მიხედვით ეხება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე გამონათქვამებს და აკეთებს რამდენიმე შენიშვნას.

6. [Eugenius]

Georgien oder historisches Gemälde von Grusien in politischer, kirchlicher und gelehrter Hinsicht

Aus dem Russischen übersetzt von Friedrich Schmidt Doctor der Philosophie. Riga und Leipzig, 1804, XVI+166 გ.

წიგნი წარმოადგენს 1802 წ. პეტერბურგში დაბეჭდილ ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნის «Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ея состоянии» სრულ, ზუსტ თარგმანს, შესავალით და ქართული მეფეების გენეალოგიური ცხრილებით. რუსთაველზე იხ. გვ. 140, 141, 143, 147, 148.

მთარგმნელს წიგნისათვის დაურთავს საკუთარი წინასიტყვაობა „Vorbericht der Uebersetzers“ (გვ. VI—X) შემდეგი თარიღის წარწერით: „Geschrieben in Moskwa, im Monat November 1803“, რომელშიაც აღნიშნავს ქართული ხალხისა და მისი კულტურის ძველ ტრადიციებს. მთარგმნელი შენიშნავს, რომ წიგნი დაწერილია ალექსანდრე ნეველის ლავრაში ეუგენიუსის მიერ და მოჰყავს წიგნის რუსული სათაური გერმანული და რუსული ტრანსკრიფციით. მეშვიდე თავში: „Von der Grusinischen Dichtkunst und Musik“ ბოლხოვიტინოვის წიგნის ის ადგილი ქართული ლექსთწყობის გარჩევაში, სადაც მოყვანილია ვეფხისტყაოსნის პირველი სტროფი ქართულად—რუსული ტრანსკრიფციით და რუსული თარგმანით, აქ ქართული ტექსტი გერმანული ტრანსკრიფციითა და თარგმანითაა:

Wer die Weste durch seine starke kraft erschuf,
Wer der Seele von oben herab die Existenz gab und nebst dem
Himmel den Aether bereitete:
Der gab dem Menschen auch die Erde, die zahllos ist an
verschiedenen Gestalten;
Und die Könige sind sein Ebenbild. (გვ. 148).

ამავე წელს გამოვიდა „ევგენიუსის“ წიგნის ფრანგული თარგმანიც: „Description du Caucase avec le précis historique et statistique de la Géorgie (პეტერბურგი).

6. [Яков Ланген]

Описание Кавказа с краткими историческими и статистическими описаниями Грузии

Перевод с французского, Санктпетербург, в театральной типографии, 1805 года, 72 გვ.

ტიტულზე ავტორის სახელი და გვარი არ აწერია: ის მოიპოვება მხოლოდ წინასიტყვაობის ბოლოში, რომელიც უძღვის წიგნს.

საქართველოს ისტორიის მიმოხილვაში ავტორი გაკვირვებით ჩერდება ქართულ მწერლობაზე და აღნიშნავს, რომ მუდმივი ომიანობის პირობებში ქართული მწერლობა შესამჩნევად ვერ იყო განვითარებული. თამარ მეფის დროს გამოირჩევა მხოლოდ ორი მწერალი: «Две эпические поэмы сочинения в царствовании царицы Тамары; одна некоторым господином, по имени Руставелем, а другая Чахрухадзем. Первая под заглавием, Барсова кожа, а вторая Тамариани» (გვ. 47).

1810

[კ. შალტ-ბრენ]

Analyse du Tableau historique, politique, ecclésiastique et littéraire de la Géorgie, Écrit en russe par l'archimandrite Eugénien

Annales des Voyages de la géographie et de l'histoire, Paris, 1810, tom XII, p. 73—100.

სარეცენზიო წერილში აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე სრული თარგმანის საკურობა. შეიცავს სარეცენზიო წიგნის გარდათქმას. ავტორი მოკლედ ეხება ინდოეთის პრინცი ტარიელის თავგადასავალს, მოჰყავს პირველი სტროფის ორი ტაეპი ფრანგული ტრანსკრიფციით და რუსთაველის ლექსთწყობის საკითხების გარჩევისას აღნიშნავს მისი პოეტური მეტყველების თავისებურებებს (გვ. 95—96).

1828

8. M. Brosset

État actuel de la littérature Géorgienne

ჟურნ. Nouveau Journal Asiatique, 1828, I, გვ. 434—454.

ამ წერილით იწყება ბროსეს წერილების სერია მიძღვნილი ქართული ლიტერატურისა და ისტორიის საერთო საკითხებზე.

საქართველოს ისტორიისა და ქართული მწერლობის საკითხების მიმოხილვისას ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობას, გადმოსცემს შინაარსს, ახასიათებს გმირებს, არჩევს რუსთაველის ლექსთწყობას და მხატვრობას. დასასრულ ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მთლიანად თარგმნის ფრანგულად ვეფხისტყაოსანს.

1829

9. M. Brosset

Première histoire de Rostévan, roi d'Arabie, traduite du roman Géorgien intitulé „L'homme à la peau de tigre“, suivie de quelques observations sur les dictionnaires Géorgiens

ჟურნ. Nouveau Journal Asiatique, 1829, II, გვ. 277—294.

ავტორი განსაკუთრებით იხილავს ვეფხისტყაოსნის ტიპაჲის, სიუჲეტისა და კომპოზიციის საკითხებს და იძლევა პოემის მხატვრულ შეფასებას. ავტორი

ვეფხისტყაოსანში ხედავს ქართული გენიის გამოხატულებას. იძლევა როსტე-
ვანის ამბის პროზაულ თარგმანს ვეფხისტყაოსნის ორი ხელნაწერის მიხედვით.
მიმოიხილავს რუსთაველის შესახებ არსებულ ბიბლიოგრაფიული ცნობების
შემცველ გადმონაცემებს.

10. ლ. ა.—დ.

რამე რუსთაველისათვის

ვახ. ტფილისის უწყებანი, 1829, 21 იანვარი, № 3, გვ. 2—3.

წერილი წარმოადგენს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედე-
ბის საერთო მიმოხილვას. ავტორი ახასიათებს რუსთაველს როგორც უდიდეს
შემოქმედს და ადარებს ჰომეროსს. იძლევა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნო-
ბებს, რომლის მიხედვით პოეტის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1229 წელი.
ახასიათებს პოეტის ბავშვობას და აღნიშნავს თამარის მიერ სხვა ქაბუკებთან
ერთად მის ათინაში გაგზავნას, სადაც მან მიიღო ბერძნული კლასიკური
განათლება. ავტორის შენიშვნით, რუსთაველს იქვე უნდა დაბადებოდა სიყვა-
რული მაღალი პოეზიისა. საქართველოში დაბრუნებისას რუსთაველი მტრებ-
თან ბრძოლაში მეთაურობს მხედრობას და მამულს წინაშე ვალის მოხდის
შემდეგ, წერს ვეფხისტყაოსანს, რომელშიც ის მისწვდა ილიადის სიმაღლეს.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველი ქართული ენის რეფორმატორი
იყო. მან გაამდიდრა ქართული მეტყველება ახალი სახეებით, ლექსიკით.
რუსთაველის ენა ავტორს მოაჩნია „პირველ მამად აწინდელისა ენისა“.

იხ. მის შესახებ: ამბრაკი გაჩეჩილაძე—ლაერენტი არდახიანი, წიგნში: ნარკვევები XIX
საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, საქართველოს განათლების სამინისტრო,
თბილისი, 1952, გვ. 184, შენიშვნა. აგრეთვე: ქართული რეალიზმის ისტორიისათვის, I,
ლაერენტი არდახიანი, „ლიტერატურული ძიებანი“, 1950, ტ. VI, გვ. 155, სქოლიო.

1830

11. [M. Brosset]

*Recherches sur la poésie Géorgienne; notice de deux manuscrits et
extraits du roman de Tariel, par M. Brosset.*

ჟურნ. Nouveau Journal Asiatique ou recueil de mémoires,
d'extraits et de notices, Tome V. Paris 1830, გვ. 257—284.

ავტორი უთითებს „Eugenius“-ის (ბოლხოვიტინოვის) შრომის თარგმა-
ნის ფრანგულ 1803 წლისა და გერმანულ 1804 წლის გამოცემებს, რომელ-
თაც იმორწმებს ტექსტში. ზოგადად ეხება ქართული საერო პოეზიის საკითხებს,
განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და მოჰყავს ცალკეული სტროფე-
ბი ქართულად ფრანგული ტრანსკრიფციით და მათი ფრანგული სიტყვა-
სიტყვითი თარგმანით.

ეხება ქართული ვერსიფიკაციის საკითხებს და უჩვენებს მაღალი და
დაბალი შარის ლექსის სქემებს.

12. [M. Brosset]

Recherches sur la poésie Géorgienne; notice de deux manuscrits, extraits du roman de Tariel par M. Brosset, 3-e article, VII Esquisse du Tariel

ფურც. *Nouveau Journal Asiatique*, 1831, Mai, № VII, გვ. 321—372.

ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფები ავტორს მოჰყავს ქართულად ქართული მსხვილი შრიფტით, მათივე ფრანგული თარგმანით და განწარტეზებით. ზოგ სიტყვას მარტავს ეტიმოლოგიის გახსნით.

იწყება შესავლის სტროფით: „მიჯნური შმაგსა გვირქვან არაბულითა ენითა“ (გვ. 321). შესავლიდან მოყვანილია ნიჯნურობისა და შაირობის შესახები სტროფები. ასევე პოემიდან ავთანდილის მიერ ტარიელის პოვნისა და ტარიელისა და ასმათის გამოქვამულში ყოფნის სცენები. ავტორი ფართოდ ეხება ტარიელის თავგადასავალს (*Histoire de Tariel*), რომელიც რამდენიმე ნაწილს შეიცავს (IV. Traduction du Tariel გვ. 366—367; VII Lieux et noms du Tariel გვ. 367—372), და ჭაჯთა ქალაქის ამბავს.

ავტორი იხილავს პოემის გეოგრაფიული ადგილებისა და გმირთა ეროვნული კუთვნილების საკითხებს და ასკვნის, რომ ტარიელის მოთხრობა გარეგნულად ინდური იმბავი ჩანს, პოემის ყველა სახელიც სპარსულია, მაგრამ ყველაფერი დანარჩენი არსებითად ქართულია.

1889

13. [სოლომონ დოდაშვილი]

მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა

გახ. სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის ჯეჯებათანი, 1832, იანვარი, № 2, გვ. 30—31.

ქართული კლასიკური ხანის მწერლობის მოკლე ნიმოხილვაში ავტორი გაკერით აღნიშნავს ორ ტკბილზმოვან მოლექსეს შორის რუსთაველს (გვ. 30). ავტორი შემდეგ შენიშნავს, რომ „დასამტკიცებლად მისსა, რომელ სიტყვიერება ჩუენი ყოფილა მაღალსა ზედა სრულებისასა, საკმაო არს წარუედგინოთ განათლებულსა სჯასა ლექსნი რუსთველისანი—ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 31).

იგივე. გახ. «Тифлисские Ведомости», 1832, № 1, გვ. 18—24 სათაური: «Краткий взгляд на Грузинскую литературу», უაქტროოდ: Московские Ведомости, 1832, № 10, გვ. 424—427.

14. [Жарри де Манси]

История древних и новых литератур, наук и изящных искусств, сочинение А. Жарри де Манси. Перевел И. Милашевич

В типографии Лазаревых Института Восточных языков. Всеобщее изображение Восточных языков и литературы древних и новых. Москва, 1832, Часть вторая, 160 გვ.

წიგნის სხვადასხვა ადგილას ავტორი ჩერდება რუსთაველის ეპოქის მწერლობაზე და ზოგადად რუსთაველზე. საქართველოში ცნობილ პოემებს შორის აღნიშნავს «Тиграва кожа Рюставеля»-ს (გვ. 37).

გვ. 38—48 შეიცავს სოლ. დოდაშვილის წერილს «Взгляд на Грузинскую литературу» (Додлева-Магарского, редактора Грузинской газеты, Московские Ведомости, № 10, 1832 года), სადაც ნახსენებია რუსთაველი (იხ. ანოტაცია № 13).

წიგნისათვის დართულ ლექსიკონში: «Краткий исторический словарь восточных литератур древних и новых», რუსთაველზე ნათქვამია: «Рюставель груз. Поэт XII в. в царствовании Фамары, соч. поэмы: Вепхвис Ткаосани, и Тигрову кожу» (გვ. 153).

15. Додаев-Магарский

Редактор Грузинской газеты

Взгляд на грузинскую литературу

ჟურნ. „Московские Ведомости“, 1832, февраля 3-го дня, № 10, გვ. 424—427.

ავტორი დასაწყისში აღნიშნავს, რომ არსებობს შეხედულება, თითქოს ქართული ენა ღარიბი იყოს ლიტერატურული თხზულებებით, დაუმუშავებელია და არაა სასიამოვნო ჰარმონიულად. ამ აზრის გასაფანტავად ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული ენის, მწერლობისა და ისტორიის ზოგად საკითხებს იმის დასამტკიცებლად, თუ მწერლობა საქართველოში განვითარების როგორ სიმაღლეზე იდგა და ქართული მწერლობის შესანიშნავ ძეგლებს შორის ასახელებს რუსთაველის პოემას ვეფხისტყაოსანს (გვ. 426).

1832

16. M. Brossel

Coup-d'oeil sur les moeurs et la poésie de la Géorgie

ჟურნ. Le Cabinet de lecture, Paris, 1833, № 278, გვ. 1—3; № 279, გვ. 1—3.

ქართული ისტორიისა და კულტურის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი გაკვირით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და მოჰყავს რამდენიმე ადგილი.

17. [А. Ходзько]

Грузинский поэт Шота Руставели

С польскою П. Дубровский

ჟურნ. Т е л е с к о п, Журнал современного просвещения, издаваемый Николаем Надеждиным, Москва, 1833, № 5, часть четвертая, тал. გვ. 61—70.

წერილს ავტორის გვარი არა აქვს. სქოლიოში აწერია: «с Польск. П. Дубровский».

დასაწყისში ავტორი მოკლედ ეხება საქართველოს პოლიტიკურ ისტორიას და კულტურის განვითარებას ქრისტიანობასთან ერთად და ახასიათებს თამარის ეპოქის საქართველოს. თამარს უწოდებს ქართველ სემირამიდას, რომლის კარის პოეტიც იყო შოთა რუსთაველი. მისი დაბადების თარიღად მიჩნეულია 1183 წელი. რუსთაველის დაბადება-აღზრდის, განათლებისა და მოღვაწეობის შესახებ განმეორებულია ტრადიციული ცნობები, რომელთაც ატყვიათ ე. ბოლხოვიტინოვის წიგნის ცოდნის კვალი. მოჰყავს რუსთაველის შესახებ ლეგენდა მოლაღატე ცოლის ეპიზოდით. ავტორის შენიშვნით, შოთა

რუსთაველმა ვეფხისტყაოსანი (Покрываеть леопардовой кожей) სპარსულიდან ქართულად გადმოიღესა თამარ მეფის სურვილით, რომელსაც ის წაეკითხული ჰქონდა სპარსულად პროზაული სახით. მოჰყავს ცნობა, რომლის მიხედვით თამარზე უიმედოდ შეყვარებულმა პოეტმა თავი მოიკლა.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემა დაწერილია შაირის საზომით და მოჰყავს მისი სქემა. პოემის შინაარსი ინდურ ისტორიას შეიცავს. ავტორი პოემას აძლევს მაღალ შეფასებას მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით. მას პოემის ცალკეული ადგილები ავონებს არიოსტოსა და ოსიანეს თხზულებებს. რუსთაველის პოეტური ენის დახასიათებისა და პოპულარობის აღნიშვნისას, ამბობს, რომ პოლონეთში ისე ხშირად არ იმეორებენ კრასიციის მშვენიერ ლექსებს, როგორც ქართველები რუსთაველსა.

მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი, რამდენიმე სტროფის თარგმანი და ზოგიერთ ტაქსა და გამოთქმას უკეთებს კომენტარს და აღნიშნავს ქართული ენის მხატვრულ თავისებურებებს. მოკლედ შენიშნავს, რომ ზოგი ფილოლოგი პოემას მართავდა სასულიერო თვალსაზრისით და მაგ., ტარიელს აძლევდა სულის მნიშვნელობას, ნესტან-დარეჯანს—უმალეს სიყვარულისას.

წერილის მთარგმნელი პ. დუბროვსკი დასასრულს იმედს გამოთქვამს, რომ ხოქოს მაგალითი, რომელმაც „პოლონური ლიტერატურის ყანაში გადაიტანა ცხელი არაბეთის ყვავილები“ სხვებშიაც აღძრავს სურვილს შეისწავლონ ქართული ენა და ლიტერატურა, რომელშიაც მრავალი სიმდიდრეა შესაძენი. ამგანად კი საიდუმლოებითაა მოკლული და მხოლოდ „ფრანგულ-აზიურ საზოგადოება“ სწავლობს მას (მხედველობაში აქვს მ. ბროსეს საქმიანობა).

ვეფხისტყაოსნის ზოგი სტროფის პროზაული თარგმანი—შესავლის სამი სტროფი და ნესტანის წერილის პირველი სტროფი:

«Тот, который сотворил небесный свод могучею силою и даровал творениям душу, свыше вдохновенную, который дал людям землю, беззаконно размообразную, тот постановил царей носить Его образ».

«Боже единосущный, правящий жизнию всех творений! поддержи меня, даруй мне победу над злым духом, улеши огня милости своей до самой смерти и облегчи тяжесть грехов незначительных».

«Кому из львов приличнее употреблять копьё, шит и меч, как не Царице Солнца, Тамаре, которой лине рубиновое, волосы из черного кристалла? Я колеблюсь в вершинности, должен ли хвалить тебя языком обыкновенным. Те, которые тебя видят, должны есть сахар как голодные» (გვ. 66—67).

«Я пишу к милому, горестно рыдая сердцем, коего слезы гасят огонь, пожирающий меня. Написала письмо, раздирающее сердце слушателей... Разкрывась роза и обнажился кристалл, блистающий лучами».

«Возлюбленный мой! это письмо написано не пером, а бриллиантом, омоченным в желч, на бумаге сердца твоего, которое приковано к моему. О несчастное сердце! Оставайся навсегда прикованным» (გვ. 69).

ტექსტს სქოლიოებში დართული აქვს ზოგი მეტაფორის განმარტება.

1834

16. M. Brosset

Notice littéraire sur quelques auteurs Géorgiens

ჟურნ. Nouveau Journal Asiatique, 1834, Paris, ტ. XIV, გვ. 143—164, ტ. XIV, გვ. 232—250.

ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სტროფის „ამირან დარეჯანისძე“ ქართული და ფრანგული თარგმანის ტექსტები, ეხება ვეფხისტყაოსნის ხელ-

ნაწერებს, მოკლედ აღნიშნავს თეინურაზ ბატონიშვილის მუშაობას ვეფხის-ტყაოსნის შესწავლაზე, მოჰყავს მოკლე ცნობები რუსთაველის ბიოგრაფიიდან, ებება „შოთას“ სახელის ეტიმოლოგიას და აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და დიადობას.

1836

19. [А. Н. Муравьев]

Путешествие ко святым местам в 1830 году

Третье издание, часть II, С.-Петербург, 1835.

გვ. 345—353-ზე მოთავსებულია «Выписка из путешествия к св. местам Грузинского Архиепископа Тимофея».

ავტორი ტიმოთეს მიხედვით აღწერს პალესტინაში—იერუსალიმში ქართველების მიერ აშენებული მონასტრების ისტორიას და ზღვომარეობას. საბას ლავრის აღწერაში აღნიშნულია, რომ ის შეაკეთა და მოახატვინა თამარ მეფის მეპურკლეთ-უხუცესმა შოთა რუსთაველმა (გვ. 345), რომელმაც დაწერა პოემა ვეფხისტყაოსანიო (გვ. 346). თითონ ის მოხუცებულის სახით შიგარის დახატულია.

გვ. 351-ზე ნაზარეთში ვახტანგ გორგასალის მიერ აშენებული მონასტრის აღწერაში სხვა ქართულ ფრესკებს შორის ნახსენებია შოთა რუსთაველის ფრესკა.

1836

20. [Легкобытов]

Восхождение к обозрению Грузии

წიგნი: Обзорские Российских владений за Кавказом, в статистическом, этнографическом, топографическом и финансовом отношении, произведенное и изданное по высочайшему соизволению.

В типографии департамента высшей торговли, Санктпетербург, 1836, часть I, 399 გვ.

ავტორი შენიშნავს, რომ, მიუხედავად ქართული ენის ანბანის 1400 წლის არსებობისა, თვითონ ქართული ენა ჯერ კიდევ არ არის დამუშავებული და მას გარკვეული წესები არა აქვს (გვ. 120). ქართული განათლება და მწერლობა დაბალ დონეზე დგას, რომელიც მხოლოდ თარგმანებისა და მიბაძვებისაგან შედგება: «Литература Грузинская весьма бедна» (გვ. 123). ქართული სტამბების ზიზობილვაში, ვახტანგის მიერ გამოცემულ წიგნებს შორის, ასახელებს ვეფხისტყაოსანს, რომელიც მისი აზრით პატარა პოემას წარმოადგენს (იქვე).

1837

21. П. С. Савельев

Грузинския древности, надписи и монеты

Труды и.и. Дюбуа и Броссе

თრბ. ЖМНП, СПб, 1837, № XII, Декабрь, გვ. 485—498.

ავტორი წერილს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ქართულ ენას, ლიტერატურას, ისტორიას და სიძველეებს ჯერ არ გამოხსენიათ თავისი დე-სანსი-ან შამპოლიონი და რუს მეცნიერთა შორის არ მოიპოვება ირც ერთი ქართველოლოგი.

ეს შენიშვნები გამოწვეულია ბროსეს მიერ მეცნიერებათა აკადემიაში 1837 წ. 18 და 25 აგვისტოს წაკითხული სამეცნიერო მოხსენებით. ავტორი აღნიშნავს თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლს ბროსეს მუშაობაში და ბროსეს განსაკუთრებულ მიღწევას რომანის „ტარიელიანის“ თარგმანში.

1838

22. M. Brosset

Review of Georgian literature

ჟურნ. Journal of education, 1838, IX.

ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაში ავტორი გაკერით ეხება შოთა რუსთაველს (იხ. ანოტაცია № 23).

23. [M. Brosset]

*Взгляд на историю и литературу Грузии
Сочинение Г-на Академика Броссе*

ჟურნ. ЖМНП, 1838, № VII, Июль, გვ. 274—335.

სათაურს სკოლიოში რედაქციისაგან აქვს ასეთი შენიშვნა:

«Статья сия, столь же важная по новости своего предмета, сколько замечательная по своему изложению, предпозначена была Автором к произнесению в торжественном заседании Императорской Академии Наук, 29 декабря минувшего года; но время, употребленное на чтение отчета о действиях Академии и двух других разсуждений, к сожалению, лишило публику удовольствия слышать предлагаемое сочинение».

ავტორი ზოგადად აღნიშნავს, რომ ქართული ენა აღწევს უმაღლეს საფეხურს, ერთის მხრივ, ბიბლიის თარგმანებში, მეორეს მხრივ, ამირანისა და ტარიელის ეპოსის შემოქმედებაში (გვ. 280).

24. [პლატონ ეგნატესძე იოსელიანი]

[რუსთაველი შოთა]

წიგნში: თამარ მეფისა და მეფე ლიპსისა მისისა დაკითხვით შეფიცისა შესახებ, თქმული ლექსად აბდულ-მესია შავთელისაგან, წელსა ქრისტესით 1192-სა, აღბეჭდილი პლატონ ეგნატეს-ძის იოსელიანისა მიერ, ქალქსა შინა ტფილისს წიგნთ-საბეჭდვესა ი. და დ. არხანოვასა, 1838, გვ. 5—6.

წიგნის სათაურის შენიშვნაში, პლატონ იოსელიანი ეხება აბდულ-მესიანის ავტორობის საკითხს და გაკერით შენიშნავს „რომლისათვის იტყვს რუსთაველი შოთა, ვეფხისტყაოსნის—დამწერელი, კაცი ბრძენი, ლუთის-მეტყუელი და ფილოსოფოსი და მრავალთა ენათა ზედ-მიწევნილი: აბდულმესია შავთელსა, ლექსი მას უქვს რომელსა“.

25. О. И. Сенковский

Некоторые сомнения касательно истории Грузии

ჟურნ. Библиотека для чтения, Журнал словесности, наук, художеств, промышленности, новостей и мод, том тринадцатый, Санктпетербург, 1838, отд. III, გვ. 151—172.

წერილი წარმოადგენს პოლემიკურ შენიშვნებს აკად. ბროსესადმი, რომელსაც რეცენზიაში სენკოვსკისათვის უსაყვედურნია ქართული ისტორიის.

შაკითხების არცოდნა და ისტორიული სინამდვილის დამახინჯება.

ავტორი ზოგადად ეხება ქართული ისტორიის საკვანძო საკითხებს და ჟამოსთქვამს აზრს, რომ საქართველოს ისტორია შესწავლად არ ღირს, ქართული სახელმწიფოებრიობა იწყება XII საუკუნიდან, თითონ ქართველობა როგორც ხალხი ჩნდება მხოლოდ XI საუკუნიდან და ტერიტორია, რომელზედაც ამჟამად ქართველები მოსახლეობენ თბილისის ცენტრით, ეკუთვნოდათ სომხებს.

ქართული ისტორიის უარყოფის საფუძველს ავტორი იმაში ხედავს, თითქოს ქართლის ცხოვრება დაწერილია ვახტანგისა და ვახუშტის მიერ და შეიცავს არეულ-დარეულ ზღაპრებს. თუმცა სენკოვსკიმ საკუთარი აღიარებითვე ერთი ქართული სიტყვაც არ იცის და საქართველო არც უნახავს, მაინც აცხადებს, რომ რუსთაველის შესწავლა მაინცა და მაინც არ ღირს და დამკინნავად შენიშნავს «...но уж, увлекшись красотами «Барсовой кожи», перенести это утешительное пристрастие в оценку летописей Вахтаंगा и Вахушти, которые, как мне кажется, требуют большой недоверчивости и крайне хладнокровной критики со стороны ориенталиста» (გვ. 153).

სენკოვსკის ამ უსაფუძვლო და ყოვლად უვიცო ცილისმწამებლურმა გალაშქრებამ ქართული კულტურისა და ისტორიის წინააღმდეგ საერთო აღშფოთება გამოიწვია მთელ მოწინავე საზოგადოებაში, და ის საერთოდ დაგმობილი იყო.

იგივე დაიბეჭდა რამდენჯერმე: Собрание сочинений, т. VI, 1859, გვ. 169—198. მის შესახებ: მარი ბროსე: *Bulletin scientifique*, t. V; ილია ჭავჭავაძე—ჭავთა ლალადი, 1899, გვ. 23.

1840

26. [M. Броссе]

Очерк истории и литературы Грузинской (Сочинение 1-на Броссе)

ჟურნ. Сын Отечества, Журнал словесности, истории и
1840, яан, книжка вторая, № 10, გვ. 337—378.

ნაშრომი წარმოადგენს ქართული პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ისტორიას წყაროების მიმოხილვით. ქართული მწერლობის მიმოხილვისას ჩერდება რუსთაველზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ისტორიაში სამი საუკუნის (XI—XIII) განმავლობაში შესაძლებელი გახდა დიდი კულტურული მშენებლობა, როდესაც დაიწერა ეპოპეა ამირანი და ტარიელიო (გვ. 342).

ავტორი სხვა პოეტთა შორის ახსენებს რუსთაველს (Грузия помнит имена Руставели, Моше, Саргиса, Абдул-мессиа, Чахрухадзе) და შენიშნავს, რომ ქართული მწერლობა—ისტორიის სფეროა, გამოგონილი სახეებით ქართველი პოეტები გამოხატავენ საქართველოს გმირებს, და ის, რაც გვეკონია წარმოსახვა, ნამდვილად ისტორიულად ცნობილ პიროვნებათა შესახებ სამახსოვრო ჩანაწერებია (გვ. 362).

მის შესახებ რეცენზია: И. Галашии, Обзорные Русских газет и журналов за второе трехмесячье 1840 года, VIII, История литературы, ჟურნ. ЖМНП, 1840, ч. XXVIII, № 10, стр. VI, გვ. 30—32.

*Обзорение Русских газет и журналов за второе трехмесячье
1840 года, VIII, История литературы*

ჟურნ. ЖМНП, 1840, № 10, ч. XXVIII, отд. VI, გვ. 30—32.

წერილი წარმოადგენს მოკლე რეცენზიას ბროსეს სტატიაზე: Очерки истории и литературы Грузинской (დაბეჭდილია ჟურნალში «Сын Отечества», 1840, № 10, გვ. 376—378). რეცენზენტს მოჰყავს შენიშვნა იმის შესახებ, რომ ქართულ მწერლობაში ცნობილია შოთა რუსთაველი და რომ ქართულ თხზულებაში გამოვლილი სახელებით დახატული არიან ნაციონალური გმირები და ის, რაც გვეჩვენება გამოვლილად, ნამდვილად წარმოადგენს ჩანაწერებს ისტორიულ პიროვნებათა შესახებ.

28. Климент Коневский

Взгляд на ход наук в Грузии

გაზ. «Северная пчела», Газета политическая и литературная, С. Петербург, 1840, 4 марта, № 50, გვ. 199—200.

წერილი შეიცავს ბევრ უსაფუძვლო მტკიცებას. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ბუნების თავისებურება ხელს უწყობს უფრო მეტად პოეტების წარმოშობას და მათში პოეტებს უფრო ხშირად შეხედებით, ვიდრე ფილოსოფოსებს. მათი საამაყო სახელი, რომელსაც ჰომეროსს უყენებენ გვერდით, არის ძველი რაფსოდიისტი რუსთაველი ჩახრუხადესთან ერთად. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიას და შენიშნავს, თითქოს ქართულ საზოგადოებრავე ცხოვრებაში ისინი არ იყვნენ განვითარებული, თითქოს მხოლოდ სასულიერო მწერლობაა მდიდარი.

1841

29. ბროსეც

წინა-სიტყვაობა [ვეფხისტყაოსნის გამოცემისათვის]

წიგნში: ვეფხისტყაოსანი რუსულად Барсова Кожа კომეა დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ლეწლითა უფალთა ბროსეც, ზაქარია ფალანდოვილისა და დავით ჩუბინოვისათა. სანკტ-პეტერბურღს, სტანბაში საველმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841, გვ. VI—XIV.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, იძლევა მის მხატვრულიდური გახსნის ცდას, მისი ძირითადი იდეების გაგებას, და არკვევს მის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის თვისებებია: „ზღაპრის ტურფა-თხზულება, შაირების კეთილ-ხმიანობა, სიტყვა-ალრჩევით ენა-მკვერობა, პაზრების მშეენიერად დაწმასნვა და ქეშმარიტების მალად ფილოსოფიური ვხატერობა“ (გვ. VII). ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი შეუდარებელი თხზულებაა არა მარტო ქართულ მწერლობაში. რუსთაველის პოემაში შეერთებულია მწერლის ყოველი ღირსება. ავტორი იხილავს პოემის ფაბულის აგებულებას და კომპოზიციის საკითხს და გმირთა ხასიათებში ძებნის იდეურ სარჩულს. პოემის „თვითო მოქმედი პირი თვითო

რამდენიმე იდეასი წარმომადგინებელია“. „თინათინ და აეთანდილ წარმოადგენენ მარტივსა სიყვარულსა, ფატმან ბედითსა მიჯნურობასა, ფრიდონ და ასმათ გულითადს მეგობრობასა, ტარიელ და ნესტანდარეჯან ფრიადსა სიყვარულსა“ (გვ. VII).

ავტორი არ იზიარებს ვახტანგ მეექვსის ცდას, რომელიც თავის კომენტარებში ვეფხისტყაოსანს იგებს როგორც საღვთო სიყვარულის პოემას. ეს კომენტარები ავტორს მიაჩნია „ფრიად უშესაბამო და უხამსად“ (გვ. XII). ვახტანგის გამოცემა მას მიაჩნია კრიტიკულ გამოცემად: „გასინჯა და შეამოწმა ძველთ ჯელ-წერილებსა და შემდგომად დაჰბეჭდა“ (იქვე).

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი საქართველოს სინამდვილის გამოხატულებაა, მისი გმირები ხასიათით ქართველები არიან. რუსთაველს „თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაუწერია შეთანხმებითა საქართველოს მოთხოვნისათა“ (გვ. IX). „მოქმედნი პირნი ვეფხისტყაოსანისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“ (იქვე). „გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, უთუოდ ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის სიტყვით ესთქვათ, სრულს მათს ხარაქტერს გამოგვიხატვენ“ (იქვე). ავტორის აზრით ხეარაზმელ სასიძოს ნესტან-დარეჯანზე გამოჯნურება—ხორაზმ შაჰის ტფილისს თამარ მეფის სათხოვნელად მოსვლის გამოხატულებას წარმოადგენს. ეს და სხვა ანალოგიები ავტორს საბუთს აძლევს პოემა ორიგინალურ ქართულ თხზულებად იცნოს და გადაჭრით უარყოს მასზე სპარსულ-არაბული გავლენა. მისი დასკვნით ვეფხისტყაოსანი არ არის დაწერილი „უცხოთა აზიურთა ზღაპრების მიბაძვით“, რის გამოც მას ამირანდარეჯანისა და რუსუდანისავეთ მთლიანობა არ აკლია (გვ. VIII).

ავტორი მოკლედ ჩერდება რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებზე და იმეორებს ტრადიციულ ვერსიას რუსთაველის აღზრდის, ბერძნული განათლების მიღებისა და თამარის კარზე ცხოვრების შესახებ. ეხება ვახტანგის მიერ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემას და აყენებს ჩამატებათა საკითხს. ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-ლიტერატურული პრობლემების გაგებაში ავტორი ძირითადად ვახტანგის კომენტარებს და თეიმურაზ ბატონიშვილის ზოგიერთ შენიშვნებს ეყრდნობა. კერძოდ კი სიყვარულისადმი სწრაფვას პოემაში ვახტანგივით ის არ იგებს როგორც ღვთაებისადმი ლტოლვის გამოხატულებას. ვეფხისტყაოსნის ისტორიული ინტერპრეტაცია და ანალოგიები თამარის ცხოვრებასთან, რომელთაც ავტორი ავითარებს, მთლიანად თეიმურაზის რუსთველოლოგიური ნაშრომების გარდათქმას წარმოადგენს, რომელნიც ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ არის.

30. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი რუსულად *Парсова кожа*, პოემა დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ. ახლად დაბეჭდილი შეერთებულია ღვაწლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და ღვთის ჩუბინოვისათა

სანქტ-პეტერბურლს, სტანბაში საჯელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841., XIV+258 გვ.

ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა „ბროსეტ“-ის ხელმოწერით „ავგის-ტოს 15 1841 წელსა“ (იხ. ანოტაცია № 29).

ტექსტი შეიცავს ქართული ნუმერაციით ჩქლხ სტროფს (1637), რომელსაც ნომერაციის გარეშე მიჰყვება რედაქტორთაგან შედგენილი 9 სტროფი რუსთაველური შაირით. ამ სტროფებში გამოთქმულია წიგნის მიძღვნა იმპერატორისადმი და შენიშვნები წიგნის გამოცემის პირობებისა, რუსთაველისა და რედაქტორთა შესახებ. მეექვსე სტროფი ასე იკითხება:

„მე გვარ-ტომობით ძიანცუცი, ბროსეტ მზრუნველ ქართველთ ენის,
სწაულათ აკადემიისა ვარ მე წვერი მორთმად ძღვენის,
თქვენდა მსხვერპლად ქართველთ ერის, მარად მღვწელი შესაძენის,
ამად ეითხოვ შენდობის თქმას, ვედრებას ვყოფ ვითა ჰუენის“ (გვ. 224).

გამოცემას დართული აქვს მცირე ლექსიკონი (გვ. 225—236).

დასაწყისი: „ა დ ა მ ა ნ ტ ი ა ნ დ ა მ ა ნ ტ ი, ა ლ მ ა ხ ი ა“.

ბოლო: „ჰ გ ი ა — ა რ ის“.

1842

31. Д. Чубинов

О Грузинской поэме Вепхис-Ткаосани или Барсова кожа

თურბ. ЖМНП, 1842, № 8, XXXV, отд. II, Словесность, науки и художества
გვ. 112—126.

ავტორი აღნიშნავს, რომ თამარის ცნობილ ეპოქაში განთქმულ პოეტებსა და მწერლებს შორის შოთა რუსთაველი ყველაზე მაღლა დგას (გვ. 114). რუსთაველის ბიოგრაფიის მოკლე მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ მისი პოეზიის მთავარი საგანი იყო თამარ მეფის ქება. ვეფხისტყაოსანი დაწერილია თამარის საქებრად და ის გადაიქცა ქართველი ხალხის ეროვნულ განძად. მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას. ვეფხისტყაოსნის ვახტანგის გამოცემასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ვახტანგის სტამბაში ძირითადად სასულიერო წიგნები იბეჭდებოდა და ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვაც ამავე მიმართულების გამოხატულება იყო. ვახტანგის ალფაბრითული თეორიის განხილვაში ამბობს, რომ ვახტანგმა პოემის ტექსტისათვის დართულ თავის კომენტარიებში ტენდენციურად განმარტა პოემის ტექსტი და მისი გაგება დაიყვანა სახარების ტექსტამდე და მის დებულებებამდე, რაც ვეფხისტყაოსანს აქცევს მისტერიურ-ქრისტიანულ პოემად და დაცილებულია რუსთაველის მიზანს. აღნიშნავს გრამატიკულ-ორთოგრაფიული შეცდომების არსებობას ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებსა და ვახტანგის გამოცემაში. ეხება ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის რედაქციულ მუშაობას. ახსენებს ნანუჩა ციციშვილს, რომელმაც პოემას გაგრძელება დაუწერაო, მაგრამ მისი სტროფები არ დაებეჭდეთ, რადგან ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არისო. ვახტანგის გამოცემის აღწერაში აღნიშნავს, რომ მას გამორჩა 48 სტროფი, რომელიც 1841 წ. გამოცემაში ჩაუმატეს.

ქართული ლექსთწყობის გარჩევისას, განსაკუთრებით ჩერდება შაირზე და მოჰყავს მისი საზომი ვეფხისტყაოსნის პირველი სტროფის ნიმუშით და რუსული თარგმანი:

«Кто создал вселенную силою своею всемогущею,
И, одарив существа душою, ведемъ съ шебесъ,
Для намъ людьми землю не исчислимо уразноображенную.
От него суть щари и его суть подобие» (გვ. 121).

ადარებს ვეფხისტყაოსანს მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს და აღნიშნავს მასში აღმოსავლურ-დასავლური ელემენტების არაებობას. ვეფხისტყაოსანში იგრძნობა როგორც გარეგანი, ისე შინაგანი სპარსული გავლენის კვალი. მაგრამ რუსთაველმა თავის პოემას სპარსული ამბავი იმიტომ უწოდა, რომ მისთვის უფრო მეტი ფასი მიეცა. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ ტარიელის ისტორია არ მოიპოვება არც ინდოეთში, არც სპარსეთში, რაშიც იმეორებს ვახტანგის აზრს, მაგრამ ის შედგენილია სპარსული ნიმუშების მიხედვით და პოემის გმირთა სახელების ეტიმოლოგია სწორედ ამიტომ სპარსულ-არაბულ ნიშნებს ეხსენება. ასევე პოემის გეოგრაფიული გარემოც აღმოსავლური რომანების მსგავსად განუსაზღვრელია, ფანტასტიკური.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ავტორის დასკვნით, რუსთაველს თავისი პოემის სიუჟეტი არ უსესხებია აღმოსავლეთიდან. ის თვითონ მან შექმნა თამარის საქებრად. ნესტან-დარეჯანი—თამარია, ისევე როგორც პოემის ბევრი ეპიზოდი პარალელს პოულობს ქართული ისტორიის ცალკეულ შემთხვევებთან თამარის ეპოქაში. საქართველო შვიდი სამეფოთი ინდოეთს მოგვეგონებს, ქაჯეთის ციხე ახალციხეში პოულობს პროტოტიპს.

ბოლოს ავტორი ჩერდება რუსთაველის პოპულარობასა და მისი შემოქმედების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ის მაინც ვერ შეედრება ჰომეროსს, ვირგილიუსს, ტასოს. მასში არაა დროისა და ადგილის ერთიანობა, თუმცა არის აზრისა და მიზნის ერთიანობა.

ავტორს პოემის ნაკლად მიაჩნია მაჯამები და პლეონაზმები რუსთაველის პოეტურ მეტყველებაში და აგრეთვე მონოტონურობა, რაც თითქოს პოემას ბოლოში დამღვლად ხდის.

ეს წერილი იმავე წელს დაიბეჭდა გერმანულად სათაურით: „Rustawel, der grusische Dichter“ ჟურნალი: Archiv für Wissenschaftliche Kunde von Russland, Berlin 1842, Zweiter Band, გვ. 659—667.

33. David Tschubinow

Rustawel, der grusische Dichter

ჟურნ: Archiv für Wissenschaftliche Kunde von Russland, Herausgegeben von A. Erman, Berlin, 1842, Zweiter Band, Allgemeines Litterarisches, გვ. 659—667.

პირველად დაიბეჭდა რუსულად სათაურით: «О Грузинской поэме Венкис-Ткачосани или Барата Кожли» (ჟურნ. ЯСКМН, 1842, XXXV, отд. II, გვ. 112—126).

წერილს აქვს რედაქციის შენიშვნა, რომ იგი ავტორია ქართულ-რუსული ლექსიკონისა. წერილის დასაწყისი ზუსტად იმეორებს ორიგინალს:

„Grusien war nie berufen, in der weltgeschichte eine glänzende Rolle zu spielen. Dennoch hatte es sein goldnes Zeit-alter, seine Periode der Macht und des Ruhmes. Diese Periode fällt ins 12-to Jahrhundert“.

ვეფხისტყაოსანის პირველი სტროფი მოყვანილია გერმანული ტრანსკრიპციით და თარგმანით:

Der welcher mit seiner Allmacht die Welt erschuf,
Und, nachdem er die Wessen mit himmlischen Hauche begab,
Uns Menschen die Erde an gewiesen, die unberechenbar vielgestaltige:
Von ihm sind die Könige und Könich sind sie ihm“ (გვ. 663).

Stuttgart, 1842, t. I, გვ. 93.

ავტორი ქართულ მწერლობაზე ზოგადად მსჯელობისას გაკერით აღნიშნავს, რომ ცნობილია შოთა რუსთაველი, რომელმაც დაწერა ეფესისტყაოსანი.

1843

34. თეიმურაზ ბაგრატიონი

განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა

[სანკტპეტერბურგი] 1843 წელი, საქართველოს მუხუმის ხელნაწერი S 1732, 201 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ძნელად გასაგები, არქაული და იშვიათი სიტყვების, თქმების, აფორიზმების, პოეტური სახეებისა და მეტაფორების ვრცელ დოკუმენტალურ ლექსიკონს. ცალკეულ შემთხვევებში სიტყვის სპარსულ-არაბულ თუ სხვა ენის ძირთან ერთად ნაჩვენებია მისი სხვადასხვა მნიშვნელობა და კონტექსტის აზრი. ავტორის მეტყველების ლექსიკას ემჩნევა რუსოციზმების კვალი. თეიმურაზი ყურადღებას აქცევს რუსთაველის ლექსიკაში, სპარსიზმ-არაბიზმების გარდა, ქართული ძირებით ახსნის საკიროებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის სიტყვები ჰგვანან სპარსულ-არაბულს, მაგრამ „ფრიად გამოცდილება უნდა კაცსა რომ შეამცნოს, რომ თუმცა ჰგვანან სხვათა ენისა ლექსთა, მაგრამ კი არ არიან სხვისა ენისა, არამედ ნამდვილნი ქართულნი არიან“ (გვ. 200).

ავტორი აეთიარებს ვახტანგის დებულებას ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ. მისი აზრით, ეს წიგნი „ქართულსა ხარაქტერსა ზედა არს შეწყობილი, ხოლო შოლექსეობასა შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქვს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თუსთა შეთხზვისათვის საკუთარი ქართული ხარაქტერი და ჩვეულება გინა ზნეობა“ (გვ. 197—198). ვეფხისტყაოსანი „ფრიადისა ჰელოენებითა შეწყობილ არს სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაქტერსა ზედა ენისა ჩეენიასა“ (გვ. 198).

სხვადასხვა სტროფისა თუ სიტყვის განმარტებისას თეიმურაზი ეხება ქართული მწერლობის, იატორიის, სელოენების, რელიგიის, ეთნოგრაფიის, კულტურისა და ყოფის საკითხებს. ავტორი ყველა სტროფსა და სიტყვას ერთნაირი სისრულით არ განმარტავს. უფრო წართოდ მიმოიხილავს სტროფსა, რომელშიაც ნახსენებია შავთელი, თმოგველი, რუსთველი. ებილოგის ამ სტროფის განმარტებაში თეიმურაზი იძლევა რუსთაველის ბიოგრაფიის ახალ გაშუქებას, რითაც ლიტერატურაში შემოაქვს პერეთის რუსთავეის პრობლემა. რუსთაველი, მისი ცნობით, ტფილისთან ახლოს მდებარე რუსთავეში დაიბადა. რუსთაველი იყო „დიდებულთა და აზნაურთა წარჩინებულთა შთამომავლობისა ნათავარი რუსთავეისა და პალატსა შინა მეფეთასა პატივცემული და სანელოვანი.“ „იგი იყო ადგილით პერეთით ქალაქით რუსთავეით და ქალაქი იგი იყო სამთავროდ მისსა მიცემული მეფისა თამარისაგან“ (გვ. 197). ეს ის რუსთავეა, რომელშიაც შემდეგ ერეკლე პირველმა თავის საზამთრო რეზიდენციად პალატი ააშენა და ვახტანგ მეექვსემ კი შურით დააქციაო (გვ. 198).

(ავტორი ცდილობს შეუთანხმოს პოეტის სახელის დაკავშირება ჰერეთის რუსთავეთან ვინმე მესხის მოწმობას: „ვეწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთავისა დაბისა“, რომელსაც ასე კითხულობს: „ვესწერ ვინმე მესხი მელექსე, მე რუსთაველისა და მისსა“, რასაც იმით ასაბუთებს, რომ ეს „ვინმე მესხი“ იყო შოთა რუსთაველის პირადი მდივანი, რომელმაც პოეტის დავალებით გადაწერა ვეფხისტყაოსანი და რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს თვით ეს ტაეპიკაო. ამ „მესხობას“, ავტორის შენიშვნით, არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს მესხეთთან, რადგან მესხი მას მიაჩნია აზნაურულ გეარად, რომელსაც ეხედებით როგორც ქართლს, ისე კახეთსა და იმერეთშიაც) მესხიშვილების, მესხიანის და მესხიძის სახით (გვ. 193—194). (ავტორი სახელის „შოთა“-ს წარმოშობას უკავშირებს არმაზის კერპს „შოთა“-ს.)

(თეიმურაზი ყურადღებას აქცევს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობას მონღოლებთან რუსუდანის მიერ გაგზავნილ დელეგაციაში შოთას მონაწილეობის შესახებ, რომლის მიხედვით, სხვა დიდებულებთან ერთად იყო „ერეთის ერისთავი შოთა, რომელიცა მელნის სეფობისათჳს კუპრობით იხსენიების“ (გვ. 198). ამ „კუპრობას“ თეიმურაზი ხსნის იმით, რომ რუსთავეთან ახლოს კუპრის წყარო ყოფილა, რომელსაც ხმარობდნენ როგორც მელნად; აგრეთვე ტიკების გასაკუპრავად.)

დასაწყისი:

სტინი 1, ტაეპი 1. სამყარო — ესე ყოველთა ცათა გარეგან მყოფი, უზუნავსო, მტკიცე და უგრძელესი ყოველთა ცათა ზედა. მყარი, სამყარო — ქართული ლექსია. სამყაროსა უძრავად ცად რაცხენ, ესე არს ცაა უძრავთა ვარსკულათა. მყარი უმტკიცესი და უმაგრესი ყოველთა ნივთთა ზედა.

1845

35. [Платон Иоселиани]

[რუსთაველის ქრისტიანობა]

გაზ. «Закавказский Вестник», 1845. 1, января, Тифлис, № 1, Часть неофициальная.

წერილი წარმოადგენს გაზეთის მეთაურს უსათაუროდ. ქართველი ხალხის ცხოვრებაში ქრისტიანობის როლის აღნიშვნასთან დაკავშირებით გაკერით ეხება რუსთაველის ვეფხისტყაოსანს, რომელიც, მისი აზრით, ისე როგორც მთლიანად ქართული კულტურა, გამსკვალულია ქრისტიანობით.

83. Шота Руставели

Таргелъ — Барсова кожа

Поэма [შთარგმნული: И. Бартдинский]

ტრბ. И л я у с т р а и я, Ежеведельное издание всего полезного и изящного С.-Петербург, 1845, 12 мая, № 6, გვ. 82—83; 19 мая, № 7, გვ. 98—99.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის 63 სტროფს.

დასაწყისი:

1. „В Аравии был Ростевая, государь возделанный Богом, Великий и щедрый, и кроткий, и могущий народом и войском“.

დასასრული:

„Но войны руки протерли, чтоб взять молодого упряма...
Горе! что с нами сбилось, то видеть врагу бышб жалко“...

თარგმანს ქვეშ გაკეთებული აქვს ზოგი სიტყვის ასახსნელად შენიშვნები.
51 სტროფში მთარგმნელს სიტყვა „ნარდი“ გაუგია როგორც თამაში:
«Особая игра в шашки». «Царь слушал эти слова, ценил их как выигрыш
в нарды».

№ 7-ში მოთავსებულია 64—142 სტროფები ასეთივე შენიშვნებით. ხელ-
მოწერა «И. Бардинский» შოიბოვება მხოლოდ № 7-ში. მოთავსებულია
ტექსტის ბოლოს.

1846

37. [М. Броссе]

Некроли

ფრან. ЖСМНП, 1846, Октябрь, отд. VII, Новости и смеси, გვ. 38—40.

ცნობა იმის შესახებ, რომ 1846 წ. 23 ოქტომბერს პეტერბურგში გარ-
დაიცვალა ქართველი ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე, მეცნიერებათა
აკადემიის საპატიო წევრი 1837 წლიდან, რომელიც 29 ოქტომბერს პეტერ-
ბურგელმა ქართველებმა ნევის მონასტერში საშარეს მიიბარეს.

ნეკროლოგი შედგენილია აკად. ბროსეს ცნობების მიხედვით. მოცემუ-
ლია მოკლე ბიოგრაფია და მეცნიერული მოღვაწეობის აღწერაში აღნიშნუ-
ლია, რომ თეიმურაზს დაწერილი ჰქონია ერცელი შენიშვნები ვეფხისტყაო-
სანზე (გვ. 39), ივულისხმება თეიმურაზის ცნობილი ნაშრომი „განმარტება
პოემა ვეფხისტყაოსანისა“, დამთავრებული 1843 წელს.

38. И. Евлахов

Отрывок из поэмы „Барсова кожа“ (с грузинскою)

გაზ. Кавказ, 1846, 13 апреля, № 15, გვ. 59.

შენიშვნაში პროზაულად გადმოცემულია სათარგმნი თავის შინაარსი
მოკლედ იმ სტროფამდე, საიდანაც იწყება თარგმანი. თარგმანი წარმოად-
გენს „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ თავის ნაწილს
ექვსსტრიქონიანი სტროფით. შეიცავს 74 სტრიქონს. შენიშვნაში ეხება ვეფხის-
ტყაოსნის სათაურის თარგმნის საკითხს. «Барсова кожа» როგორც სათა-
ური მას შეეძლოდ მიიჩნია. პოემის სათაურის სიტყვასიტყვითი თარგმანი,
მისი აზრით, იქნება: «Герой покрытый (одетый) Барсовою кожей». თარგ-
მანის დასაწყისის საწინააღმდეგო:

...На бреге река вдруг узрели пришельца;

В близы, на поляме, стоял его конь вороной.

«Поэма Руставели великис-тка-осани имеет содержание романическое, заимствованное из индийской истории. Называется она барсовою кожею потому, что герой ея, индийский царевич Тармелъ, странствовавший по свету, одевался в барсову кожу.. Каждое из действующих в великис-тка-осани лиц выражает какую либо благородную идею: всякое приключение есть развитие нравственного правила. Главный недостаток героев ся это приторная их лезность: величием своим они затемняют свет солнца и падают (გვ. 77), ланиты их розы, они львы, ярицы и кипарисы; бьют врагов без жалости, а при расставаньях и печальных рассказах дождем проливают горькия слезы» (გვ. 78).

როგორც ჩანს, პოემის გმირებისა და იდეალების დახასიათებაში ავტორი იმეორებს ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემის წინასიტყვაობის დებულებებს. ავტორი დასასრულ ჩერდება ქართული პროზოდიის საკითხებზე და მოკლედ აღნიშნავს, რომ ბერძნულ-ლათინური პოეზიასავით ქართული ტონიკურია, რამდენადაც ქართული მდიდარია მახვილით. მასში ყველაზე ხშირად იხმარება პირაქო-დაქტილური მეტრი. ქართულ ლექსს აქვს ცეზურა. ბერძნულისაგან განსხვავებით ქართულ ლექსს აქვს მდიდარი რითმა, რაც ქართველებმა სპარსელებისა და არაბებისაგან ისწავლეს.

1865

86. Prof. Brokhaus

Kharthuli Khristomatia, an gamotserilni statiebi sqhwatha da sqhwatha tinebultha mtseraltha-gan (Georgische Chrestomathie, oder Auszüge aus verschiedenen ausgezeichneten Schriftstellern.).
Herausgegeben von David Tschubinof.

3 Bände. St. Petersburg, 1860—1863. (gr. 8)

1. Bd. Kharthuli proza (Georgische Prosa). (233 s.)

2. Bd. Kharthuli lekhsobi (Georgische Gedichte). (180 s.)

3. Bd. Wepqhwhis-tqaosani (der Mann mit dem Tiger fell, romantisches Epos) (243 s.)

ჟურნ. Literarisches Centralblatt für Deutschland-
Verantwortlicher Herausgegeben von professor Dr. Friedrich Zarnke, Verlegt von Eduard Avenarius in Leipzig, 1865, 6 Mai, Nr. 19, გვ. 507—511.

საკმაოდ ვრცელ რეცენზიაში ავტორი ცალკეულად ეხება ჩუბინაშვილის კრესტომატიის თითოეულ განყოფილებას. განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და მის ლექსთწყობაზე (გვ. 509—510). ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს, აღნიშნავს ბროსეს მუშაობას პოემის შესწავლა-თარგმანზე და ვადმოსცემს ვეფხისტყაოსნის შინაარსს, რომელიც შეიცავს 1593 სტროფს; ეხება ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხს ჩუბინაშვილის მიხედვით და აღნიშნავს სპარსული გავლენის შესაძლებლობას რუსთაველის შემოქმედებაზე.

ავტორი გაკვირთ ჩერდება რუსთაველის შემდეგდროინდელი ქართული ისტორიისა და ლიტერატურის მდგომარეობაზე და დასასრულს ჩუბინაშვილის მადლობას უხდის მშობლიური მწერლობის უცხოელთათვის გაცნობის საქმეში გაწეული შრომისათვის.

ავტორი ამჟღავნებს განსაკუთრებულ სიმპათიას ქართველი ხალხისა და კულტურისადმი. წერილი იწყება შემდეგი განცხადებით:

„Unter der vielen verschiedenartigen Volksstämmen, welche den Kaukasus und seine Thallandschaften bewohnen, sind die Georgier die einzigen, welche zu einem organisierten staatlichen Leben sich emporarbeiteten, eine Geschichte besitzen und eine Literatur ausbildeten“ (გვ. 507).

1866

97. Платон Иоселиани

Описание древности города Тифлиса

Сочинение Платона Иоселиани, Тифлис, 1866.

გვ. 36 ვერის ანდრია პირველწოდებულის ეკლესიის წარწერაში მოხსენებული „ქართლისა ამირთა ამირისა რუის-თავისა“ გამო შენიშნავს: «Руис-тави есть город, находившийся на юг от Тифлиса, где в древности была кафедра епископа Руставского, и откуда был родом величайший поэт Грузинский Руставели».

98. [უავტორო]

საბიბლიოგრაფიო ცნობა

გაზ. დროება, 1866, 9 დეკემბერი, № 41, გვ. 4.

განცხადება იმის შესახებ, რომ იბეჭდება იაფფასიანი ვეფხისტყაოსანი..

1867

99. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი - ტყაოსანი
თქმული შოთა რუსთაველისაგან

ტფილისი, მელიქიშვილისა და კამ. სტამბაში, 1867, 232+11 გვ.

ზოგი მითითების მიხედვით წიგნის გამომცემელი არიან გ. წერეთელი და დავ. ყიფიანი. ტექსტი შეიცავს 1563 სტროფს უნუმერაციოდ. წიგნს ბოლოში დართული აქვს „მოკლე განსამარტებელი ლექსიკონი“ ასეთი შენიშვნით:

„თუმცა იმ გვარი განმარტება, როგორც უ. ჩუბინოვისაგან 1860-ში გამოცემულს ვეფხისტყაოსანსა აქვს, უფრო სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ ხარჯსაც მოგვიმატებდა და არც შეგვეტლო ისეთს სისრულეში მოგვეყვანა, როგორსაც იმგვარი განმარტება მოითხოვს. ვეფხისტყაოსანის კარგათ გაგებისათვისა, ვგონებთ, ხშირად კითხვაზე უკეთესი ღონისძიება სხუა არა იყოს რა. მხოლოდ ზოგან სწორედ აზრის მიხედვარის გასაადვილებლად შევადგინეთ ეს მოკლე ლექსიკონი ეხლა უხმარისა და გაუგებარის ლექსებისა. ამისთვის ვიხმარეთ: უ. ჩუბინოვის განმარტება და იმისივე ლექსიკონი და უფ. ბროსეს, ჩუბინოვისა და ფალავანდი-შვილისაგან 1841-ში გამოცემულ ვეფხისტყაოსანთან ამავე აზრით დამატებული მცირე ლექსიკონი. ლექსნი უფრო მარტო პირველ სახეობითს ფორმებში ავიღეთ და მათგან წარ-
წოდგენილნი კი აღარ ჩავარაუჯი.“

100. [უაფტორო]

ძველის წლის ნაყოფი და ახალი წლის კოკრები

გაზ. დროება, 1867, 6 იანვარი, № 1, გვ. 1—3.

ქართულ ენაში უცხო სიტყვების შემოტანის საკითხთან დაკავშირებით ავტორი გაკერით ეხება რუსთაველს:

„აბა ახლა წარჩინებულს ძველს მწერალს რუსთველს ვკითხოთ, თუ რამდენი არაბული და ბერძნული სიტყვები უბმარია თავის თხზულებაში. ვეფხვის-ტყაოსანი გადაშალე, მკითხველო, და მაშინ შეიტყობ“ (გვ. 2, სვეტი 1).

101. [უაფტორო]

ნ. ავალიშვილისაგან გამოცემული ქართული კალენდარი

ქრნ. ცისკარი, 1867, აპრილი, გვ. 15—17.

მელიქიშვილისა და ამბ. სტამბის სასარგებლო საქმიანობაში აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის გამოცემა.

102. [უაფტორო]

საბიბლიოგრაფიო ცნობა

გაზ. დროება, 1867, 18 აგვისტო, № 33, გვ. 6; № 35, გვ. 4; № 38-ის დამატება № 39, გვ. 4; № 40, გვ. 4; № 41, გვ. 4; № 44, გვ. 4.

ცნობებში აღნიშნულია იმის შესახებ, რომ:

1. ამ დღეებში იბეჭდება და გამოვა ვეფხისტყაოსანი.
2. ახლად დაიბეჭდა და იყიდება ვეფხისტყაოსანი ს. მელიქიშვილის და კამ. სტამბაში ათ შაურად.
3. ადგილები სადაც იყიდება ვეფხისტყაოსანი.

1868

103. დ. ე.

წიგნები ს. პეტერბურგიდან

გაზ. დროება, 1868, 20 დეკემბერი, № 51, გვ. 1—2.

ახალი ამბების მიმოხილვაში გაკერით აღნიშნულია, რომ პეტერბურგში მზადდება შოთა რუსთაველის ფოტოგრაფიული პორტრეტი, გადაღებული გაგარინის თხზულებიდან „Caucase Pitoresque“, რომელიც ერთი აბაზი ელირება.

104. [კოსტანტინე მამაცაშვილი]

რამდენიმე ცნობა საქართველოზე

(თარგმანი კოსტანტინე მამაცაშვილის სტატიისა)

(«Кавказ», 1863 წ., № 32)

გაზ. დროება, 1868, 19 ივლისს, № 29, გვ. 3—4.

წერილი წარმოადგენს თარგმანს რუსულიდან (Кавказ, 1863, № 32), რომელშიც გაკერით მოხსენებულია შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი. კ. მამაცაშვილის აზრით ვეფხისტყაოსანში აღწერილია თამარ მეფე თავისი კარისკაცებით.

იხ. ანოტაცია № 89.

105. [უავტორო]

[ვეფხისტყაოსნის გამოცემა]

გახ. დროება, 1868, 12 იანვარი, № 2, გვ. 4; № 5, გვ. 4; № 22, გვ. 4.

განცხადება იმის შესახებ, რომ იყიდება ვეფხისტყაოსანი ათშაურად.

1869

106. პლატონ იოსელიანი

სიტყუა საუოველოოდ ხუწყებელი, წიგნთა ქართულთა ზეჭულის გამო

ყურნ. ცისკარი, 1869, მარტი, გვ. 1—5.

ქართულ ენაზე წიგნების ბეჭდვის მიმოხილვისა და ქართული ენის სიმდიდრეზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„ქართულთა მწერლობა ძუსლი, წინათ ქრისტესსა წყობილი და ქრისტიანობისა შემდგომად განერცილებული, არ არის დასაკარგავი. ენა ქართულთა, ეკლესიისათჳს ქრისტესსა შემხადებული უმეტეს და უკეთესად რომეულთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვა. ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შათელისა, ჩანრუბაძისა...“ (გვ. 1).

107. П. Надеждин

Тамара

წიგნში: Природа и люди на Кавказе и за Кавказом.

По рассказам путешественников, поэтическим произведением А. Пушкина, Лермонтова, Я. Погодина и ученым исследованиям учебное пособие для учащихся, Составил П. Надеждин, С. Петербург, 1869, гв. 334—339.

თამარის ცხოვრების აღწერისას, ავტორი მისი დროის მწერალთა შორის გაკვრით იხსენიებს „ივანე რუსთველს“, იძლევა მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს და ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, რომელსაც რომანული შინაარსი აქვს და ინდოეთის ისტორიიდანაა ნასესხებიო.

როგორც ჩანს, ავტორი იმეორებს ბროსეს მიერ გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებებს პოემის შესახებ.

108. [უავტორო]

[რუსთაველის სურათი]

გახ. დროება, 1869, 31 იულისი, № 31, გვ. 4; № 32, გვ. 4.

გახ. სასოფლო გაზეთი, 1869, № 15, გვ. 8.

ცნობა იმის შესახებ, რომ მზადდება რუსთაველის პორტრეტი ფოლაზე ამოქრილი, რომლის შეკვეთა მიცემულია საზღვარგარეთ.

109. [უავტორო]

საბიბლიოგრაფიო განცხადება

გახ. დროება, 1869, 17 აპრილი, № 16, გვ. 4.

ს. პეტერბურგში სტეფანე გამრეკელოვის მიერ განზრახულ ქართულ წიგნთა გამოცემასთან დაკავშირებით, ქართველ ავტორებზე მსჯელობისას ნათქვამია, რომ „არა თუ ღირსნი არიან, რომ ამნაირი წიგნები დაიბეჭდოს, არამედ ღირსნი არიან, რომ ვახუშტის, იოანნეს და ვეფხისტყაოსნის ავტორს აღუშართონ ძეგლი“.

10. დ[ავით ჩუბინაშვილი]

სიტყუა საოველოთოდ საუწუებელი, წიგნთა ქართულთა ბეჭდვისა გამო
პლატონ იოსელიანისა

გახ. დ რ ი ე ბ ა, 1869, 3 აპრილი, № 14, გვ. 2—3.

ავტორი ეყამათება პ. იოსელიანს, რომელსაც არ მოუხსენებია ქართულ
იბეჭდ წიგნებს შორის 1841 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსანი.

1 8 7 0

111. В. В. Григорьев

*Императорский Санкт-Петербургский университет в течение первых
пятидесяти лет его существования*

СПБ, 1870, გვ. 270.

დ. ე. ჩუბინოვის პეტერბურგის უნივერსიტეტში მოღვაწეობის მოკლე
მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მან სხვა წიგნებს შორის 1860 წელს პეტერ-
ბურგში გამოსცა XII საუკუნის ცნობილი პოემა ვეფხისტყაოსანი, რომელსაც
დაურთო კომენტარები.

112. M. de Villeneuve

La Géorgie

Ouvrage publié par M. F.-R. des Aves Avec introduction illustré des armes
royales de Géorgie et de fac-simile, Paris, 1870, 222 გვ.

ავტორი ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვაში გაკვრით შენიშ-
ნავს, რომ XII საუკუნეში დაწერილი პოეტური თხზულება ტარიელის რომანი
წარმოადგენს ერთადერთ სერიალულ ორიგინალურ ქართულ თხზულებას,
რომელიც ევროპელის ყურადღებას იქცევს: „le XIIe siècle produit le roman
de Tariel, l'épopée de l'Ibérie, qui est peut-être le seul monument digne d'
être cité parmi ses productions originales“ (გვ. 72—73).

113. Платон Иоселнани

Шота Руставели (1174—1212)

გახ. К а в к а з, 1870, 30 января, № 13, გვ. 2—4.

სტატია წარმოადგენს ისტორიულ-ლიტერატურულ დაპირისპირებათა
და პოემის მხატვრულ შთაბეჭდილებათა გამოხატულებას. ავტორი ეხება რუს-
თაველის იდეოლოგიის, რელიგიის, პოემის წარმოშობის, ლიტერატურული
წყაროების, მხატვრული კონსტრუქციის, მისი მსოფლიო მნიშვნელობის, რუს-
თაველის ბიოგრაფიის და სხვა საკითხებს.

რუსთაველის შემოქმედების საფუძველი ქართული მაღალი ცივილიზა-
ციაა, მისი ფესვები ქართულ ნიადაგში მოიპოვება. რუსთაველი ხატავს მაღალ
იდეალებს, რომელიც ქართველ საზოგადოებას ამოძრავებდა.

მიუხედავად სიუჟეტის მუსულმანურ სამყაროში წარმოშობისა, პოემა
გამსჭვალულია ქრისტიანული იდეებით, რადგან თვით პოეტი ქრისტიანია და
იმყოფება ძირითადად ქრისტიანულ ლიტერატურულ გარემოში. დავითის

ფსალმუნი, სახარება, ბასილ დიდის თხზულებათა თარგმანები და სხვა, მისთვის ჩვეულებრივი წყაროებია, რადგან მისი წინამორბედნი ირანული ლიტერატურის ნიმუშებზე უმეტესად იკვებებოდნენ ბიზანტიურ-ქრისტიანული ლიტერატურით, რომელთა გავლენასაც ის განიცდის.

ავტორი პირველად აღძრავს საკითხს ამ წერილში რუსთაველის მსოფლმხედველობაში ნეოპლატონური ნაკადის არსებობის შესახებ. მისი აზრით, შოთას უნდა ესწავლა აგრეთვე როდოსზე, სადაც იმ დროს ნეოპლატონიზმი იყო განვითარებული.

პოეტმა გამოხატა ქრისტიანულ რელიგიაში ასახული ჰუმანიტების, სიკეთის და მშვენიერების იდეალები, რითაც ის მაღლა დგას მსოფლიო პოეზიის სხვა დიად სახელებზე: «Руставели выше мрачного Байрона, чище Тасса, светлее Петрарки и нравственнее Мильтона и Данте. Он плывал по океану мира и миров, неизведанных пристани». რუსთაველი როგორც პოეტური სიტყვის ოსტატი მიუბაძველია. მის სიტყვათა და აზრთა მდინარებას არაფერი აკავებს. რითმა, თხრობის შინაარსი, ეპიზოდები, ერთმანეთს ენაცვლებიან ისე, რომ, თუ ჰორაციუსის მიხედვით ზოგჯერ ღვთაებრივ პომეროსსაც სძინავს, ეს რუსთაველზე არ ითქმის. მისი თხრობა თეოკრიტის მწვემსურ თხრობას სჯობს, მასში უფრო მეტი ელეგია და სინაზეა ვიდრე თბულში, მისი თავგადასავალი უფრო მიმზიდველია, ვიდრე ამადისა. დანტე, ტასო, მილტონი ერთმანეთს ბაძავდნენ, რუსთაველმა კი მათზე ადრე თქვა თავისი სიმღერა: «Не боюсь осуждения, если со всею смелостью скажу, что язык Руставели выше, чем язык Данте, Тасса и Мильтона». რუსთაველმა პოეტური შეუფარდა ფილოსოფიურს, რითაც დაიმსახურა გენიოსის სახელი.

მისი აზრით, პოემის სიუჟეტი არაბულია, მისი წყარო არაბულ-მუსლიმანურ გარემოშია. რუსთაველს არ უსარგებლია ბერძენ და რომაელ ავტორთაგან არც სტილით, არც პოეტური ხერხებითა და სიტუაციებით. პოეტური აპარატი მას სიუჟეტთან ერთად არაბული ლიტერატურული საწყაროდან მოაქვს. ვეფხისტყაოსნის სახელწოდება სპარსულია. შაჰნამეში ხოსროს დროინდელი სპარსელები ვეფხის ტყავს იცვამდნენ, რაც უძველესი დროიდან დარჩენილი ჩვეულება უნდა იყოს, მაგრამ სახელწოდების სპარსულობა თვით პოემის სადაურობაზე არაფერს ლაპარაკობს და არც რუსთაველის მითითება პოემის სპარსულიდან თარგმნილობის შესახებ. თავისი თხზულების სინამდვილე პოეტმა განგებ გახვია უცხო გარემოში.

ავტორი ცდილობს რუსთაველის ბიოგრაფიულ კონცეფციაში ორი რუსთაველის შერიგებას. მისი აზრით, რუსთავი არ არის მესხეთის რუსთავი. ის უნდა იყოს ბოსტან ქალაქი ჰერეთისა, რომელშიაც 450 წ. მახლობლად ტრდატის მიერ აშენებულ საყდარში 480 წ. ვახტანგ გორგასალმა დააწესა ეპისკოპოსობა რუსთაველის ტიტულით. ამ ქალაქმა იარსება დავით V-მდე და მონგოლთა მთავართ-მთავარმა ბერკამ 1260 წ. დააქცია, ისე რომ რუსთაველობის ტრადიცია მასზე გვიან ვეღარ დადგინდებოდა. პოეტის „რუსთაველობა“ ამ ადგილთანაა დაკავშირებული, „შოთა“ სახელი კი ისევე ძველია, როგორც ქართველთა მოდგმა, რის გამოც შეუძლებელია ის ქრისტიანული სახელი იყოს.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობათა სიმციერეს. იხილავს ხელნაწერთა საკითხს. აღნიშნავს ვინმე ელიოზოვის ნაქონ XV საუკუნის ხელნაწერს. გამოცემათა დახასიათებისას იწუნებს ვახტანგისა და ბროსეს ტექსტუალურ მუშაობას. ეხება თარგმანის პრობლემას.

ავტორი ცდილობს გაამართლოს ანტონ I-ის საქციელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი სიტუაციით, რომელიც განათლებულ კათოლიკოსს ამ ნაბიჯის გადადგმას უპარანახებდა, როგორც იძულებით საშუალებას სპარსულ-მაჰმადიანური პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლისათვის, თუმცა ის თავისი დროის კულტურისა და აზროვნების სიმაღლეზე იდგა და პოეზია საერთოდ და კერძოდ რუსთაველი კარგად ესმოდა და უყვარდა კიდევ.

ეს წერილი იმავე წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა შენიშნით: «Перепечатано из газеты «Кавказ», შემდეგი მიძღვნილი: «Посвящается снелайшему князю Давиду Багратовичу Грузинскому».

114. ივ. კერესელიძე

ვეფხვიის ტუაოხანი (რუსოველის პოემა)

ჟურნ. ცისკარი, 1870, ივნისი, № 6, გვ. 256—259.

ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის ვინმე იოსებ ტალკოს უჩვენებია პოლონურად თარგმნილი ვეფხისტყაოსანი, კაზიმირ ლაპჩინსკის უთარგმნია ვეფხისტყაოსნის ტექსტი გიორგი ერისთავის დახმარებით. აქვე მოხსენებულია პოლონური ვეფხისტყაოსნის გამოცემისათვის დართული წინასიტყვაობის ქართული თარგმანი (იხ. ანოტაცია № 119).

115. თ. კ. [ივანე კერესელიძე]

ცნობა სამცხე-საათაბაგოზე

ჟურნ. ცისკარი, 1870, მარტი, გვ. 149.

ეკლესია-მონასტრების აღწერაში, ვარძიის მონასტრისათვის შეწირული სოფლების მიმოხილვისას, ავტორი შენიშნავს, რომ სოფელი რუსთავეიც ვარძიის კუთვნილება ყოფილა, «სადაცა ჩენი სასიქადულო პოეტი რუსთაველი დაბადებულა».

116. [ნ. ნიკოლაძე]

„მნათობს“

გაზ. დროება, 1870, 21 მაისი, № 20, გვ. 3—4; № 21, გვ. 3—4.

ავტორი ეკამათება მ. ქიქოძეს, რომელსაც იმის დასამტკიცებლად, რომ ჩვენ მშვენიერი ლიტერატურა გვქონია, მოუყვანია რუსთაველის აფორიზმები:

„მოცუ გლახაკთა საჭურჭლე, ათაიხუფლე მონები“

„გვარი ათასად დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“.

1

ავტორი იხილავს მათ მნიშვნელობას და შენიშნავს, რომ, მართალია ლიტერატურა გვქონდა, მაგრამ ის საბერძნეთიდან იყო გადმოტანილი და სპარსეთის მასალებით ნაკვები (№ 20, გვ. 4, მეოთხე სვეტი). ამავე დროს, ავტორის შეხედულებით, „მოცუ გლახაკთა საჭურჭლე“-ს მაშინ ის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რასაც მას ეხლა. ი. ჭავჭავაძე და მ. ქიქოძე აძლევენო, მაშინ ეს უბრალო მოწყალებასა ნიშნავდა და ასევე: „აქედან იმ აზრის გამოყვანა, რომ რუსთველი მეფერთმეცე (sic) საუკუნეში ბატონყმობის მოსპობას ქადაგებდაო, შეცდომაზე უარესიც არის“.

117. [უაფთორო]

[ვეფხისტყაოსნის გამოცემა]

გაბ. დროება, ტფილისი, 1870, 8 იანვარი, № 1-ის დამატება, გვ. 2.

განცხადებაში დასახელებულია ადგილი, სადაც იყიდება ვეფხისტყაოსნის 1867 წლის გამოცემა.

118. [ალ. ცაგარელი]

ჩვენი უბელური მწიგნობრობა ამ საუკუნეში

გაბ. დროება, 1870, 15 იანვარი, № 2, გვ. 1—3, ქვედურა, 12 სექტი. 22 იანვარი, № 3, გვ. 1—3, ქვედურა, 12 სექტი. 12 თებერვალი, № 6, გვ. 1—3, ქვედურა, 10 სექტი.

სათაურს სქოლიოში აქვს ვრცელი შენიშვნა რედაქციისაგან იმის აღნიშვნით, რომ წერილი მიღებულია ნიუნქენიდან.

ავტორი ქართული მწერლობის ფართო მიმოხილვაში გაკერით შენიშნავს, რომ „ჩვენს ქართულს ლექსთ წყობაში ადრევე იყო ხმარებული და გვერცელებული შოთა რუსთაველის მოწყალეობით „შაირი“, რომლითაც არის დაწერილი იმის „ვეფხვის ტყაოსანი“ (№ 2, გვ. 2, სექტი 3).

ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ ის „ყველა გასაოცარი დიდი პოეტური თვისებით. ძნელი შესადარებელია ყველა დანარჩენ ჩვენ ქართველ პოეტებთან შოთა რუსთაველის გარდა“ (№ 3, გვ. 3, მეორე სექტი).

ავტორი ილია ქავეჯავაძის პოეზიის გარჩევისას გაკერით შენიშნავს, რომ „რუსთაველს რომ მიჯნურების მაგიერად თავის სიტყვები პოეტის თვისებაზედ ეთქვა, ასე იტყოდა: „ვისაც ეს კირი არა სჭირს, ნუ იტყვის პოეტობასა“ (№ 6, გვ. 3, სექტი 2).

119. [ა. ხოძკო]

ვეფხისტყაოსანი (რუსთაველის პოემა)

ჟურნ. ცისკარი, 1870, ივნისი, გვ. 256—283.

სარჩევში წერილის ავტორად აღნიშნულია ი. კერესელიძე, თვით ტექსტს კი ბოლოში უწერია კაზიმირ. ლოფჩინსკი. წერილის პირველი ნაწილი შესავლის სახით (გვ. 256—259) ი. კერესელიძეს ეკუთვნის, მეორე ნაწილი—სტატია საქართველოსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 259—283)—ხოძკოს. ეს სტატია დართული ჰქონია წინასიტყვაობის სახით პოლონურ ენაზე გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, რომლის ქართული თარგმანი კაზიმირ ლოფჩინსკის რუსული თარგმანის მიხედვით ი. კერესელიძემ შეასრულა.

ივ. კერესელიძე დასაწყისში აღნიშნავს ბროსეს ღვაწლს ქართული ლიტერატურის უცხოელთათვის გაცნობის საქმეში, მის მიერ ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნას, რუსული თარგმანის ცდებს, ჩერდება პოემის პოლონური თარგმანის არსებობაზე და აღწერს შემთხვევას, რომლიდანაც გაიგო ვეფხისტყაოსნის თარგმანის პოლონურ ენაზე არსებობა.

ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანის არსებობის შესახებ მას გაუგია „ტფილისის ნემენცების“ კოლონიაში მცხოვრებ თვალის ექიმის იოსებ ტალ-

კოსაგან, რომელსაც უშოვია ამ გამოცემის ეგზემპლარი და უთარგმნია კიდევ: მისი წინასიტყვაობა რუსულად. ამ რუსული თარგმანის მიხედვითაა შესრულებული ი. კერესელიძის მიერ ქართული თარგმანი ლოფჩინსკის წერილისა, რომელიც დართული ჰქონია პოლონურ გამოცემას. კაზიმირ ლოფჩინსკი, რომელსაც 40 თუ 45 წლის წინად უთარგმნია ვეფხისტყაოსანი, პოლონელი ინჟინერი ყოფილა, რომელიც რამდენიმე ხანს კავკასიაში მსახურობდა.

ამ ქართული თარგმანის მიხედვით, ლოფჩინსკი აღწერს საქართველოს გეოგრაფიულად, როგორც „ატმებისა, ნუშისა, ყურძნისა და ლელვის“ მხარეს, ქვეყანას გულგაშლილის ხალხისა, სტუმართ-მოყვარეობისა, მამაცობისა. ეხება პრომეთეს თქმულებას, კოლხეთს, ოქროსმატყლოვან ცხეარს, ქართველი ხალხის ცხოვრებას მტრების გარემოცვაში, მათ ხუროთმოძღვრებას, განათლებას. საქართველოს და ქართველებს ავტორი აღწერს მეტად სიმპატიურ ხაზებში და აღნიშნავს, რომ ქართველებმა მეტი იციან პოლონელებზე და მოჰყავს დამახასიათებელი ქართული ანდაზები.

აღნიშნავს, რომ მოიპოვება ვეფხისტყაოსნის ნაწილობრივი თარგმანები რუსულ და ფრანგულ ენებზე, და რომ იგი მის თარგმნას პოლონურად თფილისში შეუდგა განათლებული ქართველის ხელმძღვანელობით, რომელიც, ი. კერესელიძის შენიშვნით, იყო გიორგი ერისთავი (გვ. 261), რასაც ორი წელი მოანდომა.

ავტორი მოკლედ ეხება ბროსეს მუშაობას ქართული საისტორიო წყაროების შესწავლა-ბეჭდვის საქმეში და მიმოიხილავს საქართველოს ისტორიას. ქართლოსიდან დაწყებული: ქართველთა ცხოვრებას, ზნეობას, ქრისტიანობის მიღებას, სახელმწიფოებრივ გაძლიერებას, იმპერიის შექმნას. ახასიათებს დავით აღმაშენებელს, განსაკუთრებით თამარ მეფეს, ეხება მისი დროის ლიტერატურას და სპეციალურად ჩერდება შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანზე. ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრობას (გვ. 275) და ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას (გვ. 276). აღნიშნავს, რომ რუსთაველი დაიბადა ახალციხის რუსთავეში, საქართველოში გავრცელებული თქმულების მიხედვით რუსთაველს უყვარდა თამარი. ავტორი ეტყობა სარგებლობს ტიმოთეს ცნობებით რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგი საკითხის გაშუქებაში. მისი აზრით, რუსთაველზე ალბათ გავლენა ჰქონდა ფორდოუსისა და ბერძნულ ლიტერატურას. ვეფხისტყაოსნის მოქმედება თუმცა სპარსეთსა და სხვა უცხო ადგილებში წარმოებს, მის გმირებს მსგავსება არა. აქვთ აღმოსავლეთის ქვეყნის ხალხებთან. დროთა განმავლობაში ვეფხისტყაოსანს უმატებდნენ და ასწორებდნენ. ერთმა ყალბისმქნელმა ციციშვილმა 1500 სტრიქონი დაუმატა (გვ. 278). მოკლედ ეხება ხელნაწერთა საკითხებს და ვახტანგის მუშაობას მათი შეკრებისა და ტექსტის დაბეჭდვის საქმეში. აღნიშნავს, რომ პოემა შედგება 1637 სტროფისაგან.

ავტორი აღნიშნავს, რომ ტექსტი თარგმნა ვახტანგის გამოცემის მიხედვით. ბროსეს გამოცემა შეიცავს 60 ტაეპით მეტს (გვ. 279). ეხება ჩუბინაშვილის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თამარის ცხოვრებასა და ვეფხისტყაოსანს შორის მსგავსება შეინიშნება და აღნიშნავს, რომ ნესტანისა და თამარის იგივეობა შეიძლება მართალი იყოს.

მოკლედ ეხება რუსთაველის ლექსს, რომელშიაც ხორეი და დაკტიკაა ძირითადად (გვ. 282). მისი თარგმანის დროს ჩაუტარებია რედაქციული მუშაობა. უთარგმნია ლექსით და პროზით და, რაც რუსთაველისად არ მიუჩნევი, ის გამოუტოვებია.

წერილის ბოლოს ავტორი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ვეფხისტყაოსანს:

„რა გთარგმნი პოლშურს ენაზედ ჩემო ვეფხვის ტყაოსანო, ჩემო ნუგეზის მცემელო, გაოლიაკებულო, გამოდი ქუწყანაში! მე დიდათა მსურს, რომ რამდენიმე გული მზურვალე პოლიაქისა შეარყიო და შეაყვარო საქართველო“.

1871

120. С. Баратов

История Грузии

СПБ, 1871, Тетрадь IV—V, გვ. 94—96.

ავტორი ძირითადად იმეორებს ტრადიციულ ცნობებს რუსთაველის ენაობისა, განათლებისა და მოღვაწეობის შესახებ. მისი აზრით, რუსთაველი იყო არა მხოლოდ დიდი პოეტი, რომლის სტილი შეუდარებელია, არამედ დიდი მეცნიერიც. რუსთაველმა თავისი რომანი განგებ მოაცილა ქართულ გარემოს და მოქმედება ბედნიერ არაბეთსა და მოგონილ ქვეყნებში გადაიტანა, რადგან მოერიდა მის მიერ შექმბული სამეფო პიროვნების დასახელებას. გიორგი მესამე, რომელმაც თავისი ტახტი ერთადერთ ქალიშვილს დაუტოვა, გამოყვანილია როსტევეანის სახელით, მისი ქალი თინათინი კი თამარის პოეტური სახეა. ვეფხისტყაოსანი ნამდვილად გვესურათებს საქართველოს უოფა-ცხოვრებას, მის პოლიტიკურსა და სოციალურ ვითარებას. მასში გამოხატულია მაშინდელი ქართველი საზოგადოების იდეალები—პიროვნების აღზრდა-განათლებისა და სახელმწიფო მოღვაწეობისა.

121. Платон Иоселиани

Путевыя записки от Тифлиса до Мухеты

(Посвящается князю Василию Николаевичу Аруштинскому-Долгорукому)

გაზ. Кавказ, 1871, 24 февраля, № 24, გვ. 2—3; № 45, გვ. 3; № 48, გვ. 3—4.

წერილების სერია წარმოადგენს ვრცელ გამოკვლევას ქართული ისტორიისა და კულტურის საკითხებზე. ცალკეულ ადგილებში ეხება რუსთაველსაც. ბეთანიის ახლოს გაუკაცრიელებული ადგილის „შავთა“-ს აღწერისას, შენიშნავს, რომ აქ დაიბადა თამარის დროის პოეტი—ქართველ პოეტთა მეფის შოთა რუსთაველის თანამედროვე პოეტი აბდულმესია შავთელი (1150—1215) და უმატებს, რომ რუსთაველი 1637 სტროფში სხვა პოეტთა შორის ასახელებს აბდულ-მესიასაც.

ს. ე. ბასტამოვის მთარგმნელობით ზეშაობასთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ მას უთარგმნია ვეფხისტყაოსნის მეხუთედი ნაწილი, რომელიც დაბეჭდილია 1860—1861 წლებში სომხურ ჟურნალში «ՀԿՐԱՎԱՍ ԱՐՄԵՆԻԱ». ავტორი ექვს გამოსთქვამს, რომ შესაძლებელი იყოს თბილისურ დაუმუშავებელ სომხურ დიალექტზე, როგორც არალიტერატურულ ენაზე, რუსთაველის პოეზიის ყვეოვანების გახსარება.

ავტორი მოკვლევს ეხება 1836 წელს ეარშავაში დაბეჭდილ პოლონურ ჟურნალში ვეფხისტყაოსნის პოლონურ თარგმანს, შესრულებულს გ. დ. ერის-

თავის შეთვალურობით, და აღნიშნავს, რომ რუსთაველი, ჩახრუხაძე, შავთელი ქართული პოეზიის ნიმუშებად რჩებიან.

№ 45-ში ქართული ლექსთწყობის განხილვისას იამბიკოს სანიშნოდ მოჰყავს ანტონ კათოლიკოსის ციტატა „შოთა მსთქუა მისთვის“ (სტროფი 771) და მისი რუსული თარგმანი.

№ 48-ში რუსთაველთან დაკავშირებით მსჯელობს დანტეზე და სტატიის დასასრულს მოჰყავს რუსთაველის „გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი. ღამისა“ რუსული თარგმანით:

«Кочичася, изсяк ризказ о ших, как сновидение ночное пробужденного» (строфа: 1589).

122. [გ. წერეთელი]

რა გვეჭირება

ჟურნ. კრებულთ, 1871, მეხუთე წიგნი, გვ. 171—198.

ავტორი გაკერით ჩერდება რუსთაველზე და შენიშნავს, რომ ძველად ქართულ ოჯახში ჰყავდათ ვეფხისტყაოსნის მკოდრე დედაკაცები, რომელნიც ახალგაზრდობას ზრდიდნენ სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით (გვ. 185)-

1 8 7 2

123. Н. Б.

Грузинская литература и ся представителн до XVIII столетия

ჟურნ. Иллюстрированная Газета С.-Петербург, 20-го Июля, 1872, № 28, том XXX, გვ. 32—35.

ავტორი მოკლედ ეხება საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის ისტორიის საკითხებს და ქართული განათლებისა, მეცნიერებისა და ხელოვნების მდგომარეობას. იმოწმებს პლატონ იოსელიანის წერილს რუსთაველზე (Кавказ, 1870, № 13).

ქართული ლიტერატურის მიმოხილვაში ამბობს, რომ თამარის დროის შესანიშნავი პოეტია შოთა რუსთაველი და მოკლედ ეხება მის ბიოგრაფიას, მისდამი ქართული მწერლობის დამოკიდებულებას და პოემის პოპულარობას საქართველოში. მისი აზრით, პოეტი თავის პოემას განაგებ უწოდებს სპარსულიდან თარგმანს. არჩევს პოემის შინაარსს, მის აგებულებას, მთავარ გმირებს, რომელთაც ქართველ ისტორიულ პიროვნებებთან აიგივებს. გაჰყავს პარალელები პოემის ეპიზოდებსა და ქართული ისტორიული ცხოვრების ამბებს შორის.

პოემის სათაურთან დაკავშირებით შენიშნავს, რომ ძველი სპარსელთა ვეფხისტყავეს იცვამდნენ.

აღწერს ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ ხელნაწერს და მის 1712 წლის გამოცემას.

წერილს დართული აქვს შოთა რუსთაველის სურათი შესრულებული სპარსული მინიატურული სტილით, რომელიც მიჩნეულია პოეტის ძველ სურათად, მაგრამ ამჟამად ჩანს მისი სიახლე.

გაზ. Кавказ, 1872, 5 январа, № 2, გვ. 2 ქვედურა 10 სვეტი.

ავტორი ვახტანგის მიერ ტფილისში 1709 წელს დაარსებულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნების მიმოხილვისას, აღნიშნავს, რომ ამ სტამბაში იბეჭდებოდა განსაკუთრებით საეკლესიო წიგნები, სადაც ერთადერთი წიგნი დაიბეჭდა საერო შინაარსისა—ვეფხისტყაოსანი, მაგრამ მას არ შეეძლო ხალხში გავრცელება თავისი სიძვირის განო.

ავტორის შენიშვნით, ეს პოემა სამღვდლოების მხრით დევნას განიცდიდა. ანტონ I ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ცალეტი შეაგროვებინა და მტკვარში გადააყარებინა როგორც ზნეობის გამრყენელი წიგნები. მანამდე კი თვით ვახტანგ V (sic) მეორე უკიდურესობაში გადავარდა, რომელმაც გამოკემისათვის დართულ კომენტარიებში პოემის შინაარსისა და მისი გმირების გაგება რელიგიურ-სიმბოლიურ-ალეგორიულ მნიშვნელობას დააყრდნო. ამ კომენტარიებმა საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. მათ გააცხოველეს სამღვდლოების წყრომა ვეფხისტყაოსნისადმი და მისივე დევნის მიზეზად იქცნენ.

1873

126. А. Цагарели

О грамматической литературе грузинского языка

Критический очерк, Санктпетербург, 1873, гв. 102—104.

ავტორი აღნიშნავს, რომ 1712 წელს თბილისში დაბეჭდილ ვეფხისტყაოსნისათვის დართულ ვახტანგ მეექვსის კომენტარიებში გამოიხატა ის მიზანი, რომელიც თბილისის სტამბას ჰქონდა დასახული—დაბეჭდა საეკლესიო და ზნეობის მკადაგებელი წიგნები. ავტორი აკრიტიკებს ვახტანგის კომენტარიების ძირითად დებულებას იმის შესახებ, თითქმის ვეფხისტყაოსანი სასულიერო ალეგორია იყოს, რომელშიაც გამოხატულია სიყვარული ღმერთსა და ადამიანებს შორის. ვეფხისტყაოსნის ყველა ადგილის განმარტებისას ასეთი საფუძველით ხელმძღვანელობაში ავტორის შენიშვნით ვახტანგი მეტისმეტად აპარბებს, როცა სურს პოემის ესა თუ ის ადგილი სახარების ტექსტს შეუფარდოს, რაც ხელოვნურ ცდად რჩება.

ავტორის შენიშვნით, ვახტანგის კომენტარიებში ყურადღებას იმსახურებს ძველი ქართული და უცხო სიტყვების განმარტება თავისი სიზუსტით, რასაც ქართული ენის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ვახტანგის შემდგდროინდელ გამოცემებს—1844 (sic), 1846, 1860, 1867, და პოემის თარგმანებს ფრანგულ (1830, 1831), რუსულ, პოლონურ, სომხურ ენებზე.

ცალკე ჩერდება ვეფხისტყაოსნის სათაურის რუსულად თარგმანის პრობლემაზე. მის აზრით პოემის სათაური რუსულად უნდა იყოს: «Червоная и барсовая кожа» და არა «Барсовая кожа», რაც აზრობრივ და გრამატიკულ შეუსაბამობას შეიცავს. არკვევს „ოსანი“-ს ფუნქციას, რაც რუსულად ნიშნავს «имеющий, носящий, покрытый».

126. М. Владкина

Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу

Москва, 1874, გვ. 429.

გელათის აღწერისას ავტორი მოკლედ ჩერდება ქართულ ლიტერატურაზე და აღნიშნავს, რომ თამარის დროის მცხოვრები იოანე პეტრიწი და შოთა რუსთაველი ყველაზე დიდი სახელებია ქართულ მწერლობაში. შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანი თითოეული განათლებული ქართველის სამაგიდო წიგნი იყო და მას ზეპირად სწავლობდნენ (გვ. 429). იმავე გვერდის შენიშვნაში მოყვანილია რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები. ავტორს პოემის ნაკლად მიაჩნია ის, რომ მისი გმირები მეტისმეტი სინაზით არიან დაჯილდოებულნი. ისინი თავისი ბრწყინვალეობით მზესა და ვარსკვლავებსაც კი სჯობნიან და ერთნაერთთან შეხედრისა თუ დაცილების დროს წვიმასავით ღვრიან ცრემლს.

127. [უაგტორო]

წერილი ამაგვი

გახ. დროება, 1874, 15 თებერვალი, № 411, გვ. 2.

იოსებ ელიოზოვი გ. ერისთავის თეატრალურ მოღვაწეობაზე მსჯელობისას ისეთ თხზულებათა დასახელებაში, რომელნიც დაბეჭდილნი არ არიან, ახსენებს ვეფხისტყაოსანს გადაკეთებულს სცენისათვის.

128. [უაგტორო]

განცხადება ვეფხისტყაოსნის გამოცემის შესახებ

გახ. დროება, 1874, 15 ნოემბერი, № 449, გვ. 4.

ქრონიკალური განცხადების ტექსტი მომყავს მთლიანად:

„მომავალ თვეში გამოვა გასასყიდათ ახლად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი ებტანგ მეფისაგან დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანთან შესწორებული, გამოცემული არსენ კალანდაძე და ამხანაგობისაგან.“

იგივე განცხადება განმეორებულია რამდენიმე ნომერში.

129. ინგილო ჯანაშვილი

საქართველოს ცხოვრებიგან

გახ. დროება, 1874, 5 იელისი, № 430, გვ. 3—4.

საქართველოს ისტორიულ სამხედრო ძლიერებაზე მსჯელობისას, ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ პოეტის რუსთაველის მიამამ უწინამძღოლა მესხელებს და თორელებს შავი ზღვის ნაპირა ქვეყნების მოხიბვლაში. ამასთან დაკავშირებით, ავტორი სქოლიოში აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი რუსთაველმა თამარის შესამკობად დაწერა და ავთანდილის სახელით შიგ თავისი თავი გამოხატა.

130. გამომცემლებისაგან

[შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემის გამო]

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, მეექვსედ დაბეჭდილი არსენ კალანდაძისა და აშხ.-გან. ავტორის სურათით, თფილისი, 1875, გვ. XII+22.

წინასიტყვაობაში (გვ. IX—XI) ავტორები მოკლედ მიმოიხილავენ ვეფხისტყაოსნის გამოცემებს, არკვევენ მათ ურთიერთობას და აღნიშნავენ, რომ

ჩვენ შევადარეთ ეს ძველად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი ცახტანგის გამოცემა) ახლად გამოცემულებს და დაერწმუნდით, რომ ახლებზედ უფრო სწორი არის, თუმცა სტამბის შეცდომებით საესეა“. ავტორები შენიშნავენ, რომ 1841 წლის გამოცემაში არ უნდა ჩამატებულიყო 48 სტროფი, რადგან მათ რუსთველურობაში რედაქტორებიც დარწმუნებული არ იყვნენ, რადგანაც „ეს თხზულება უამისოთაც ერთობ დამახინჯებულია სხვა-და-სხვათაგან, რომელთაც თავისებურად გადაკეთებისა და შეესებისათვის უღეწიათ და გაკეთების მაგიერ გაუფუჭებიათ ზშენიერი თხზულება.“

ავტორების შენიშვნით, ჩუბინოვის გამოცემას ბროსეს წინასიტყვაობაზედ უფრო სუსტი და რუსულად ნაწერი სტატია ახლავს, და იმეორებს 1841 წ. გამოცემას. ავტორები იწონებენ 1867 წ. გამოცემის ტექსტის ზოგ დამახინჯებულ წაკითხვათა გასწორებას.

ამ გამოცემის ტექსტი ავტორებს შეუდარებიათ ცახტანგის გამოცემასთან და ჩამოუცილებიათ სხვა გამოცემებში გაპარული დამახინჯებული ადგილები და დამატებული სტროფები.

131. Г. Иоселиани

Барсова кожа (Грузинская поэма «Всехвиц ткаюосани»)

გახ. Кавказ, 1875, 14 марта, № 31, გვ. 1; № 33, გვ. 1; № 78, გვ. 1.

ავტორს მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები ტრადიციული წყაროების მიხედვით. ეხება ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურულ მიმართებაში და ცდილობს მოგვეცეს პოემის მხატვრული ანალიზი.

მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი ქართული ორიგინალური ნაწარმოებია. რუსთაველი მკითხველებს აცნობს იმ ხალხის ცხოვრების ყველა მხარესა და გამოხატულებას, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. მასში ასახულია ქართველთა ზნეჩვეულებანი. მისთვის ინდოეთის შეიდი სამეფო იგივე გიორგი მესამის შეიდი სამეფოა. ნესტან-დარეჯანი—თამარია, მისი შეყვარებული ტარიელი კი დავით სოსლანი. ვეფხისტყაოსნის გმირებსა და საქართველოს ისტორიულ პიროვნებებს შორის პარალელების დასაბუთებას ცდილობს ჩუბინაშვილის შრომებიდან ამოღებული მასალით. მისი აზრით, მთელ პოემაში მოცემულია თამარის ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების სურათები. პოემაში წარმოებული ომები გეაცნობენ საქართველოს სამხედრო ცხოვრებას.

პოემის ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით, გ. იოსელიანი ყურადღებას აქცევს ქალის მონურ მდგომარეობას აღმოსავლეთის ქვეყნებში და მის თავისუფლებასა და პატივისცემას საქართველოში და ასკენის, რომ რუსთაველის პოემის იდეა გამოხატოს ქართველი თავისუფალი ქალი, რომლის ხორციელ განსახიერებას წარმოადგენს თამარ მეფე, მაგრამ პოეტმა ეს მოქმედება განგებ ინდოეთში გადაიტანა, თუმცა შიგ შეიტანა საქართველოს გეოგრაფიული სურათებიც (ქაჯეთის ციხე ახალციხეში).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტიპების საკითხს და აღნიშნავს, რომ პოემის ყოველი გმირი გამოხატავს მაღალ-საკაცობრიო იდეას. ის რომელიმე ზნეობრივ კანონს ავითარებს. ამ გმირთა ხასიათები არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ზოგადსაკაცობრიონი არიან დაჯილდოებულნი რაინდობის ყველა მაღალი ღირსებით.

რუსთაველს დაცული არა აქვს ადგილის გარემოების მთლიანობა, მა-
რამ დაცულია პოემის იდეისა და ინტერესის მთლიანობა. ავტორის აზრით,
ეფხვის ტყაოსნის კოლიზია ნესტან-დარეჯანისა და ხვარაზმელ სასიძოს ამბით
იწყება.

132. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

მეექვსედ დაბეჭდილი არსენ კალანდაძისა და ანზ. გან. ავტორის სურათით, თფი-
ლისი, 1875, გვ. XII+220.

ტექსტს წინ უძღვის პატარა წინასიტყვა „გამომცემლებისაგან“ (გვ. IX—
X) და უმთავრესი შეცდომები (გვ. XI—XII).

ტექსტი სათვალავის გარეშეა დაბეჭდილი და შეიცავს 1556 სტროფს.
ბოლოში ერთვის „სიტყვების განმარტება“ (გვ. 207—220).

გამომცემელი შენიშნავენ, რომ ტექსტი დაუბეჭდავთ ძირითადად ვახ-
ტანგ მეექვსის 1712 წლის გამოცემის მიხედვით.

133. [უაგტორო]

ღლიური

გახ. დროება, 1875, 22 იანვარი, № 10, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში რამდენიმე პირს
განუზრავავს ვეფხისტყაოსნის იაფფასიანი გამოცემა. ქრონიკა ასკვნის, რომ
ასეთი იაფი სახალხო გამოცემა ჩვენი უკვდავი პოემისა ძალიან კარგი და სა-
სარგებლო საქმე იქნება.

134. [უაგტორო]

ღლიური

გახ. დროება, 1875, 9 აპრილი, № 42, გვ. 1.

სარეცენზიო ცნობა იმის შესახებ, რომ დ. ი. ყიფიანმა ვეფხისტყაოსნის
ერთი თავი წაიკითხა, რაც საზოგადოებამ ნამდვილი ოჯახით მიიღო.

135. [უაგტორო]

ჩინური რომანი.

გახ. დროება, 1875, 9 მკათათვე, № 77, გვ. 1.

ავტორი ახასიათებს ჩინელ რომანისტს ლიონ-ჩი-ფუს და შენიშნავს,
რომ „ის ისეთივე ცნობილი მწერალია ჩინეთში, როგორც ინგლისში დიკენსი,
საფრანგეთში ვიქტორ ჰიუგო, გერმანიაში შილერი, გინა ჩვენში რუსთაველი“.

136. [უაგტორო]

ღლიური

გახ. დროება, 1875, 3 ღვინობისთვე, № 112, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ უფ. როინოვის ფოტოგრა-
ფიაზე ერთი ფრანგული გამოცემიდან („Caucase Pittoresque“) გადმო-
ღებული სურათი შოთა რუსთაველისა. „რუსთაველი ფეხმოკეცი თის და
ხელში რვეული აქვს, რომელზედაც თავის უკვდავ პოემას „ვეფხვის ტყაოსანს“
სწერს. თვითონ სურათი ჩინებულად არის გადაღებული; ნამდვილი. ქართველის
პოეტური ალტაცებული სახეა“.

137. [უაფტორო]

[განცხადება ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე]

გაზ. დროება, 1875, 5 ქრისტესშობისთვე, № 138—145, გვ. 4.

არსენ კალანდაძის და იავორ ნერსესოვის გამოცემებში მოხსენებულია:

„ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველისა, მეექვსედ დაბეჭდილი, გამოცემული არსენ კალანდაძის; ექვთიმე ხელაძის და იავორ ნერსესოვისაგან“.

138. აკაკი [წერითელი]

სახიათები

სტატია მესამე

გაზ. დროება, 1875, 17 იანვარი, № 8, გვ. 1—2.

წერილის დასასრულს, ქართველ ტომთა ზოგადი დახასიათების დასკვნაში ავტორი სვამს კითხვას—გავსინჯოთ როგორები იყვნენ დღეს აქ მოყვანილი ტომები ძველს დროს, მაგალითად, მეთორმეტე საუკუნეში თამარ მეფისა დროს? და განაგრძობს:

„ამისათვის ჩვენ ავიღოთ უკუდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“, გავარჩიოთ და იქ ვნახეთ. ჩვენს ქვეყანას მისის კუთხეებით და მცხოვრებლებით, ისე გამოხატულს, როგორც სარკვეში ჩასახულს რამეს...“

139. პ. წულუკიძე

უენიშნვა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე

გაზ. დროება, 1875, 29 იანვარი, № 13, გვ. 3—4.

ავტორი სახალხო იაფფასიანი გამოცემების საქარობებაზე მსჯელობისას განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის იაფფასიანი გამოცემის თაობაზე. და გაზეთის რედაქციას მიუთითებს, რომ ამ გამოცემის ინიციატორებს ნერსესოსა და კალანდაძეს, რომელნიც ამ საქმისათვის ოფლით მოპოებულ ფულს არ იშურებენ, პატივით მოეპყრან და აცნობონ საზოგადოებას მათისაქმიანობა. ავტორი გაკვირებას გამოთქვამს, რომ ვეფხისტყაოსნის გამოცემის საქმე თითქოს შეჯიბრების საგანი იყოს ფულის მოგების მიზნით.

140. ინგილო ჯანაშვილი

ქართველები სეზოსტრისის დროს.

ფრან. დროება, 1875, 11 თებათვე, № 65, გვ. 4.

მზის ეტიმოლოგიის ახსნისას „თინა“-სთან დაკავშირებით, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თანათინობდა“ და აყენებს დებულებას, რომ ცნობილი ხალხური ლექსი „მზე შინ შემოდო“ წარმოშობილია სეზოსტრატესთან დაკავშირებით, როგორც მისი ღვთაებრიობის აღმნიშვნელი ეპითეტი.

141. G. Vapereau

Géorgienne

Dictionnaire universel de Littératures, Paris, 1876, გვ. 874—875.

ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვაში გაკერით ნახსენებია შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი.

1877

142. დ. ბ. [დემიტრი ბაქრაძე]

ოსმალოს საქართველო ანუ შესხეთი

წერილი: ზოგიერთი რამ ჩვენ ისტორიაზე, არხეოლოგიაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და სხვ.

თურნ. ივერია, 1877, 5 მისი, № 10, გვ. 8—10.

შესხეთიდან წარმოშობილ კულტურის მოღვაწეთა ჩამოთვლისას, აეტორი შენიშნავს, რომ მესხი იყო ვეფხისტყაოსნის აეტორი, რომელიც თავის სამშობლოდ ახსენებს რუსთავს—სამცხეში მდებარე დაბას (გვ. 9).

143. M. Brosset

De la littérature romanesque Géorgienne

თურნ. Bulletin de l'Académie impériale des sciences, st. P., 1877, t. XXIV, col. 262—300.

წაკითხული იყო მოხსენების სახით 1877 წ. 16 აგვისტოს მეცნიერებათა აკადემიაში. ქართული მწერლობის მიმოხილვაში აეტორი გაკერით ჩერდება ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველის ბიოგრაფიაზე. აეტორი ეხება ვეფხისტყაოსნის სახელწოდებას და აღნიშნავს პოემის ორიგინალობას, მის სილიადეს და ჩამოთვლის ვეფხისტყაოსნის გამოცემებს (1712, 1841, 1846, 1867, 1875) მოკლე დახასიათებით (გვ. 430—433). იქვე გაკერით იხსენიებს ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის ცდას ბარტდინსკისას. მოჰყავს სტროფი „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“ ფრანგული თარგმანით და კომენტარებით, რომელშიაც იმოწმებს თეიმურაზ ბატონიშვილს. ეხება ვეფხისტყაოსანში ჩანართ-დანართების საკითხს და ვახტანგის გამოცემის კომენტარებს.

144. Владимир Зотов

Грузинская литература

წიგნში: История всемирной литературы в общих очерках. С. Петербург—Москва, том I, გვ. 343—344.

აეტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და სილიადეს, მისი შენიშვნით რუსთაველი იყო ბოსტან-ქალაქიდან, რომლის აშენების ისტორიასაც ეხება. აეტორი იმოწმებს პლატონ იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის შრომებს და ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს. რუსთაველმა განათლება ათინაში მიიღო. მან იცოდა ბერძნული, სპარსულ-არაბული. იყო თამარის მოლარეთუხუცესი, მოხუცებისას გაემგზავრა იერუსალიმში, სადაც აღესრულა კიდეც.

შოთამ ვეფხისტყაოსანში შეაქო თამარის სილამაზე და ის პოემას გან-
გებ უწოდებს სპარსულიდან თარგმნის. ვეფხისტყაოსანი ორიგინალური
ქართული თხზულებაა. შაჰნამეს გმირის მიხედვით მის მთავარ გმირს ვეფხის-
ტყაოსანი დაარქვა. ავტორი მოკლედ გადასცემს პოემის შინაარსს, არჩევს
მთავარ გმირებს და ვაჰყავს ზოგი ანალოგია პოემასა და ქართლის ცხოვრე-
ბას შორის, რაც აღნიშნული ჰქონდათ იოსელიანსა და ჩუბინაშვილს.

მისი შენიშვნით, ვახტანგის გამოცემა პოემისა 1712 წელს გაკეთებულია
წარყენილი ხელნაწერის მიხედვით (რომელიც 1678 წ. შაჰნაევანის ნაქონი ხელ-
ნაწერი უნდა იყოს). მისთვის დართული კომენტარები შემდგომმა მკვლევა-
რებმა გააკრიტიკეს, რომელთაც არ გაიზიარეს ვახტანგის მიზანი პოემის
ლეთაებრივად გაგებისა.

დასასრულ ეხება პოემის რუსულად თარგმნის საკითხს და მოჰყავს
ი. ბარტდინსკის თარგმანის ნაწყვეტი, პირველი თავისა და უცხო მოყმის ნა-
ხვის ამბის შემცველი სტროფებით.

სტატიისათვის დართულ ვრცელ სქოლიოში მიმოიხილავს ვეფხისტყაოს-
ნის ძველ ხელნაწერებს, რომელნიც ქართულ ოჯახებში ინახებოდა.

145. შოთა რუსთავლი

Барсова кожа

წიგნში: Владимир Зотов, История всемирной литературы, в общих чертах.
С. Петербург—Москва, том I, гл. 343—344.

ტექსტი წარმოადგენს გამოკრებილ ადგილებს ბარტდინსკის თარგმანი-
სას, რომელიც შეიცავს პირველი თავისა, უცხო მოყმის ნახვისა და ავთანდი-
ლის უცხო მოყმის საძებრად წასვლის შემცველ სტროფებს.

დასაწყისი:

В Аравии был Ростеван, государь пожелелный Богом,
Великий и щедрый, и кроткий, и мощный народом и войском.

146. პ. უ. [პეტრე უმიკაშვილი]

ოსმალოს ზეპართველო შეგუთო

ჟურნ. ივერია, 1877, 30 ივნისი, № 18, გვ. 7—10.

ავტორი გაკერით შენიშნავს, რომ მას გაუგონია თითქოს არტანუჯიდან
ამ 50—55 წლის წინათ ვილაცას ძველი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი მოეტანოს.

147. პ. უ. [პეტრე უმიკაშვილი]

გარდაწერილი ქართლის წიგნებისა ღვით რეკტორი

ჟურნ. ივერია, 1877, 24 ნოემბერი, № 39, გვ. 7—14.

ავტორი ეხება სტამბების უქონლობის გამო ძველად წიგნების ხელით
გადაწერას, რომელიც მის დროსაც ინარჩუნებს საზოგადოებრივ მნიშვნელო-
ბას. მისი ცნობით, ვეფხისტყაოსნის გადაწერაში რამდენიმე ძროხას აძლევდ-
ნენ (გვ. 7). ავტორი გაკერით შენიშნავს, რომ აღმოჩნდა პეტრე ლარაძის
გადაწერილი ვეფხისტყაოსანი, რომელსაც მოკლედ ახასიათებს (გვ. 10).

გადამწერლებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ „ამ ახლო ხანებში ერთ სახლში აღმოჩნდა ვეფხისტყაოსანი გადაწერილი პეტრე ლარაძისაგან (ახლა დიმიტრი ბაქრაძესა აქვს). ეს „ვეფხისტყაოსანი“ ადგილ-ადგილ ძალიან შეცვლილია“ და მოჰყავს რამდენიმე განსხვავებული წაკითხვა.

ეს ხელნაწერი ლარაძის შენიშვნით გადაწერილი ყოფილა გიორგი თუმანიშვილის ნაქონი ძველი ხელნაწერიდან, რომელიც არდანუჯში მოუპოვებია იმასო.

ავტორის შენიშვნით, ლარაძეს შესაძლოა ვეფხისტყაოსანში თვითონვე მოეხდინოს ჩასწორებები და ავტორიტეტობის გულისთვის არდანუჯი (აწმარისძალეთში) დაესახელებინოს, როგორც საქართველოს განათლების პირველი ბინა-ადგილი (გვ. 10).

148. X

სომხებზედ შაგრამ კუტულის ენიჲ კი არა

გახ. დროება, 1877, 31 მკათათუე, № 110, გვ. 1—3.

სომხების დახასიათებისას ავტორი შენიშნავს, რომ ქართველებს ჰყავთ სახალხო პოეტი შოთა რუსთაველი, მუსულმანებს საადი, ფირდოუსი, და უკუდავი ლიტერატურა... სომხებს სახალხო პოეტი არა ჰყავთ (გვ. 3, სვ. II).

1878

149. Дм. Бакрадзе

[შოთა რუსთაველის მოხსენიება]

წიგნი: Археологическое путешествие по Гурии и Абхазии. СПб, 1878, 370 გვ.

ვახტანგ მეფის დროს დაბეჭდილ წიგნებს შორის ნახსენებია ვეფხისტყაოსანი, რომელმაც. დ. ბაქრაძის შენიშვნით, ჩვენამდე თითქმის არ მოაღწია. რასაც სქოლიოში იმ გარემოებით ხსნის, რომ ამ გამოცემის უდიდესი ნაწილი ერეკლეს დროს ანტონ I კათალიკოსის ბრძანებით დაწვეს (გვ. 8). იმომეტის ტომოთეს მოგზაურობის წიგნი (1852 წ.).

133—134 გვერდზე მოყვანილია ახალციხის ზარზმის მონასტრის წარწერა ბუკურად:

„ამისა აღმაშენებელსა წინამძღვარსა ზურციძესა გაბრიელს შეუნდენ ღწ მისა დედასა პატრონისა ივანეს ასულსა გულდამ ყოფილსა გაიანეს შეუნდენ ღწ მისა მამისა შოთა ყოფილსა შიოს შეუნდენ ღწ“.

150. წ. შთაწმინდელი

შეოგრაფიკუე ხაუენის მწიგნობრობა საქართველოში

გახ. დროება, 1878, 9 თიბათუე, № 111, გვ. 2—3.

ვახტანგის მიერ თბილისში მოწყობილ სტამბაში დაბეჭდილ წიგნებს შორის გაკერთ ნახსენებია ვეფხისტყაოსანი.

151. თეიმურაზ მეორე

რუსთველსა ზედა ბაასი პეტერბურლს

ჟურნ. ივერია, 1879, იელისი და აგვისტო, № 7—8, გვ. 92—95.

„სხვა და სხვა ლექსებში“ ამ ლექსის სრული სათაურია: „ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა დიდსა ფილოსოფოსსა, მცოდნესა ბრძენსა რუსთველსა ზედა ბაასი მეფის მეორისა თეიმურაზისაგან პეტრე ბურლს“ (გვ. 92), რომელშიაც დახასიათებულია რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი. მომყავს ნაწილობრივ შერჩევით სანიმუშოთ:

„მე უსწავლულსა ეით მეძლოს ვისზე ესთქვი ანბანთ ქებანი...“

„მინდა რუსთველსა შევკადრო სიტყვითა ბაასობანი:
ვკითხოთ რაზედ თქვა ლექსები ტბილი ღრმად მეტყველებანი“.

„აწ მოვახსენებ, რუსთველსა. რაც ჩემი სიტყვა არი სად,
ნესტანჯარ ესრეთ გიქია არ თუ სხვის შესადარისად,
თინათინ მზესა სწუნობსო, თვეენ ბრძანედ ქებად გმარისად...“

„ვეფხისტყაოსნის ლექსები სხვას ლექსთა გამკიცხებლია...“ (გვ. 93).

ამას მოჰყვება ქვესათაური: „მიგება ბრძნის რუსთველისაგან, მისვე მეფის მეორის თეიმურაზისადმი, და მისგანვე პასუხად ნათქვანი“, რომელშიაც თეიმურაზი რუსთაველის პირით ჰყვება თამარის ეპოქის საქართველოს ცხოვრებას, აღნიშნავს მის სიდიადეს და მოკლეთ ახასიათებს თავის პოეზიას.

152. კოტორაი

წერილი რელაქტორთან

გახ. დროება, 1879, 21 თებერვალი, № 38, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ კნ. პელაგია წერეთლისას ჰქონია პერგამენტზე ნაწერი, სურათებიანი ვეფხისტყაოსანი, რომლის ნოკლე აღწერასაც იძლევა.

153. მ. პეტრიძე [ჯანაშვილი]

მწიგნობრობის საქმე

ჟურნ. ივერია, 1879, იანვარი, № 1, გვ. 81—101.

ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების და განათლების მიმოხილვისას ქართულ ენაზე ბეჭდურ წიგნებს შორის გაეკრით ნახსენებია ვეფხისტყაოსანი (გვ. 84), რომლის ავტორი იყო პოეტი რუსთაველი მოლარეთუხუცესი თამარ დედოფლის დროს (გვ. 93).

154. აღექხანდრე როინიშვილი

წერილი რელაქტორთან

გახ. დროება, 1879, 3 მარტი, № 47, გვ. 3—4.

ავტორი სთხოვს კნ. ნ. დადიანისას, რომ დროებით ათხოვოს დასურათებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი, რომლიდანაც აპირებს სურათების გადაღებას.

155. თავ. რაფ. ერისთავი
ი. გოგებაშვილი
ო. მუნჯარაძე

ვეფხვის ტყაოსნის რედაქცია, ტფილისი, 14 ნოემბერი

ვახ. დროება, 1880, 15 ნოემბერი, № 241, გვ. 1-2.

წერილი წარმოადგენს მოწოდებას ქართველი საზოგადოებისადმი ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის დადგენაში მონაწილეობის მიღებისა და დახმარების აღმოჩენისათვის პოემის ხელნაწერთა შეგროვება-მოწოდებით წერა-კითხვის-საზოგადოების სახელზე.

ავტორები აღნიშნავენ ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ქართველობისათვის და მისი გამოცემის საჭიროებას, იხსენებენ პომეროსის თხზულებათა დადგენისათვის ჩატარებულ მუშაობას და შენიშნავენ, რომ „რაც პომერი ბერძნებისთვის იყო, ის რუსთაველი ქართველებისთვის არის“. ნაგრამ „შვიდ საუკუნეში, რომელიც გასულია რუსთაველის დროებიდან, ვეფხვის ტყაოსანი ბევრის გადაწერა-გადმოწერით, ჩამატებით, გამოკლებით ისე შეცვლილა, რომ, გეგონია, რუსთაველის გენიიმ (sic) სამჯერ უარ-ჰყოს პოემის ავტორობა, სანამ ერთი გამოცემა გაიყიდებოდა“.

ავტორები მოკლედ განსაზღვრავენ მუშაობის მიზანსა და გეგმას. „ჩვენი განზრახვა არის: შევათანხმოთ „ვეფხვის-ტყაოსანი“ სხვა-და-სხვა ვარიანტებთან. რაც აქლია, შევმატოთ ტექსტს და რაც ნაწილობრივ გამოვაკლოთ“. „თანამედროვე ქართველ ლიტერატორს არც აქვს ნება და არც შეუძლია უბრალოდ იტყვიანობა მოახდინოს ვეფხვის-ტყაოსანში, თუ ეს ცელილება არ იპოვება თითონ პოემის სხვა და სხვა ვარიანტებში. ჩვენი მოვალეობა იქნება მხოლოდ სხვა და სხვა ვარიანტებიდან უკეთესის არჩევა და აქა-იქ მართლ-წერის ნიშნების შესწორება“. ამასთან ერთად იმ დამატებათა ავტორების ვინაობის გამორკვევა, რომელნიც რუსთაველის ნაწერად არ იქნებიან ცნობილნი; მოვიყვანოთ წიგნში სრული ბიბლიოგრაფიული ცნობა რუსთაველზე; შევადგინოთ საზოგადო შენიშვნა „ვეფხვის-ტყაოსანზე“ და შევერიბოთ ცნობა იმაზე. თუ ვის რა გვარი „ვეფხვის-ტყაოსანი“ აქვს ამ ცამათ“.

ამ მიზნით ავტორები საზოგადოებას სთხოვენ მოაწოდონ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, რომელნიც „შემდეგ შესწორებისა დაუბრუნდება პატრონს. უკლებლად და ყოელის მიზეზის გარეშე“. ავტორები შენიშნავენ, რომ „ყოველს სხდომაში მომხდარი ცვლილება იქნება დაბეჭდილი გაზეთს „დროებაში“, რომლის რედაქტორებმა, ამ საქმისთვის გვათხოვეს გაზეთის ფურცლები“.

ავტორთა განზრახვაა „მთელი ვეფხისტყაოსანი წაკითხულ იქნას 25 სალამოს განმავლობაში“.

დასასრულს ავტორები სთხოვენ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის მუშაობაში მონაწილეობის მიღებას შემდეგ პირებს: გ. დ. ორბელიანს, დ. ი. ყიფიანს, გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსს, ი. გ. ქავჭავაძეს, აკ. რ. წერეთელს, ვ. ვ. ორბელიანს, გ. ე. წერეთელს, ს. ს. მესხს, პ. ი. უმიკაშვილს, ნ. ტ. დადიანს, დ. გ. ერისთავს და სხ.

აღნიშნული მოწოდების შედეგად შემდგარმა კომისიამ შეაგროვა ათამდე ხელნაწერი და 1881 წელს დაწეხული მუშაობა დაამთავრა იმავე წელს, რის შესახებაც სხდომათა მასალები იბეჭდებოდა „დროება“-ში თანმიმდევრულად (1881 წლის №№ 31, 36, 42, 44, 48, 51, 57, 58, 60, 63, 65, 68, 71, 86).

[ვახტანგ VI-ის ეპიტაფია]

წერილში: თედო ქორდანი, დაეთ გურამიშვილი და მისი დრო
ქურნ. ივერია, 1880, № 2, გვ. 146—147.

თ. ქორდანის ვახტანგ მეექვსის ასტრახანში 1737 წელს გარდაცვალება-
დამარხვის აღნიშნასთან დაკავშირებით მოჰყავს ეპიტაფია ლექსად, რომე-
ლიც მისი შენიშენით ამოკრილი ყოფილა ჴეფის საფლავის მარმარილოს ქვა-
ზე. ეპიტაფიაში ვახტანგის მოღვაწეობასთან აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის
თარგმანობაც. როგორც მრავალმხრივ საინტერესო მოჰყავს მთლიანად:

„მე უმცირესმა ძმათაგან, ვახტანგმა სახელ-თებულად,
ვქმენ ოთხ წელს მცხეთა, ურბნისი, სადღურ კამარა-გებულად,
ტფილისს სიონი ხელ-ახლა შევქრწე ქანდაკებულად,
ჩემთვისა სახლი სარკისა, შიგ ლხინი მოწონებულად.

სტამბა მოვიღე ვლახეთთ, ეამრავლე წიგნთა მელანი,
ქცის რუ ხუნანს წავიღე, გაღმითად მოვრცწე ველანი;
მაშვარის რუ ზომ ტბას შევრთე, შიგ თეუხი ჩავუვი ველანი,
ესე მთა მოვინადირე, ვახოცე ირემი ძველანი.

სამართლის წიგნი დაეკწერე, მსაჯულს არ უნდა ცილობა,
ვეფხის-ტყაოსნის თარგმნობა, სხვა წერილთ არ ვასთქვა ცილობა,
ჩემთანა მყოფთა კაბუტთა უქმნია კარგა ზრდილობა,
ბოლოს მიიღო სოფელმა სიმდიდრე, მეფეთ-შვილობა“.

ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1879 წელს (ქურნ. „ივერია“, № 7, გვ. 104)
„სხვა-და-სხვა ძველ ლექსებში“. როგორც ე. მეტრეველმა გააკრევა, ამ ეპიტა-
ფიის ავტორია ვახტანგის თანამედროვე მდივან-მწიგნობარი გივი ჴურაბისძე
თუმანიშვილი (იხ. ვახტანგ VI-ის ეპიტაფიის ავტორი. უნივერსიტეტის შრო-
მები, ტ. 43, გვ. 141—152). მანვე მიაკვლია, რომ ლექსი წარწერილი ჰქო-
ნია ვახტანგისავე გაშენებულ მარმარილოს წყაროს შამბინაში.

157. პოლიევქტოს კარბელიშვილი

შოთა რუსთველის „ვეფხვის ტყაოსნის“ განგრძობა
(წერილი რედაქტორთან)

გაზ. დროება, 1880, 21 ივნისი, № 130, გვ. 2—3.

ავტორის განცხადებით, მის ხელთ მოიპოვება ვეფხისტყაოსნის უცნობი
ხელნაწერი, რომელიც XVII საუკუნისად მიაჩნია და შეიცავს ჩანართებს.
ავტორი უდარებს ამ ხელნაწერს ჩუბინაშვილის 1846 წლის გამოცემის ტექსტს
და აღნიშნავს, რომ ის უფრო სრულია. ამასთან ერთად უჩვენებს ცალკე ჩა-
მატებულ ტაეპთა რაოდენობას და ჩანართი თავების სათაურებს. მისი გამო-
თვლით, ეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი შეიცავს 1907 ტაეპს, ე. ი. 314
სტროფით მეტს. ავტორის აზრით, ეს ჩანართები ზოგ შემთხვევაში კარგად
ავსებენ ვეფხისტყაოსანში თითქოს არსებულ ხარვეზებს და ლოგიკურად ამ-
თავრებენ პოემის ბოლოს, რომელშიაც იგრძნობა ერთგვარი დაუმთავრებ-
ლობა.

წერილს აქვს შენიშვნა იმის შესახებ, რომ ხელნაწერის პატრონს უთ-
ქვამს—ფალავანდიშვილმა მთხოვა ეს ხელნაწერი და დაკარგვის შიშით არ
ვათხოვეო.

158. ი. მუუნარკია

ვეფხვის ტყაოსნის რედაქცია

გაზ. დროება, 1880, 27 ნოემბერი, № 250, გვ. 2—3.

ტექსტი წარმოადგენს მოკლე საინფორმაციო წერილს ვეფხისტყაოსნის სარედაქციო კომისიის შემადგენლობისა და პირველი სხდომის ჩატარების შესახებ.

159. გრიგოლ ორბელიანი

ახალი ამბები [მიმართვა ვეფხისტყაოსნის შესახებ]

გაზ. დროება, 1880, 17 დეკემბერი, № 266, გვ. 2.

ტექსტი წარმოადგენს მიმართვას იმ პირებისადმი, რომელთანაც რედაქციას ეგულვება ხელთ-ნაწერი ვეფხვის-ტყაოსანი, რომ დროებითი სარგებლობისათვის გამოგზავნონ. ტექსტი მიმართვისა მომყავს მთლიანად.

ქართულის გაზეთით მოხსენებული გეგმებით, რომ არის სურვილი შეთანხმდეს დაბეჭდილი „ვეფხვის-ტყაოსანი“ სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერ „ვეფხვის-ტყაოსანებთან“. ამისთვის მოწვეულნი არიან ქართულის მცოდნენი პირნი და აგრეთვე ყოველნივე, ვისაც ექნება ხელთ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“ ათხოვონ წიგნი ამ კეთილი საქმის მოსურნეთა.

მე თვით მივიღე მონაწილეობა ამ ხასიარებლოს საქმეში და უმორჩილესად გთხოვთ, თუ ჯიჲნდესთ. ან თუ შოკანა შეგეძლოსთ, დროებით გამოგვიგზავნათ ქვემოთ მოყვანილი ადრესით ხელთ-ნაწერი „ვეფხვის-ტყაოსანი“.

ღარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ შემდეგ შესწორებისა თქვენი წიგნი უნაკლოთ მოიცავთმევათ“.

თქვენი გულითად პატივის-მცემელი
თავადი გრიგოლ ორბელიანი“.

160. ა. ხაგანელი

შოთა რუსთველი

გაზ. დროება, 1880, 29 ნოემბერი, № 252, გვ. 1—2.

პატარა წერილი წარმოადგენს მოწოდებას შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების შესახებ. ამასთან ერთად დასაწყისში იცხადებს ზოგად ხაზებში ახასიათებს შოთა რუსთაველს და აღნიშნავს მის პოპულარობასა და მნიშვნელობას ქართველობისათვის.

161. [უაგტორი]

Дополнения к «Барсовой коже»

გაზ. Общое, Тифлис, 1880, 22 ноября, № 534, გვ. 3.

იეტორი ეხება 1880 წ. 22 ივნისს გაზ. „დროებაში“ გურჯაანიდან პოლი-ევკტ კარბელაშვილის მიერ რედაქციისადმი გამოგზავნილ წერილს ვეფხისტყაოსნის XVIII საუკუნის ხელნაწერის პოვნის შესახებ.

წინასწარი შესწავლის მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ეს ხელნაწერი ბექ-დურ ტექსტთან შედარებით შეიცავს ბევრ უცნობ სტროფს. მთლიანად ხელნაწერში 1907 სტროფია, აქამდის კი ბექდურით 1593 სტროფი იყო ცნობილი. ახალი სტროფები უმთავრესად დაბოლოებას შეიცავს.

ავტორი ამასთან აღნიშნავს, რომ წინასწარი შთაბეჭდილების მიხედვით, წერილში მოყვანილი სტროფები რუსთაველის არ უნდა იყოს. ამ ხელნაწერ-რიდან ჩანს, რომ არსებობდა რუსთაველის პოემის განვრცობის ტრადიცია.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ საჭიროა შემდგომი კვლევა-ძიება ამ საკითხის გადასაწყვეტად. მას საჭიროდ მიაჩნია ეს ახლად პოენილი 314 სტროფი, რომელიც არ მოიპოვება ბექდურ გამოცემებში, „ივერიის“ რედაქციამ დაბეჭდოს და თან იძლევა გაფრთხილებას, რომ შეცდომაში არ შევიდნენ და ყალბის შქმნელის სტროფები რუსთაველს არ მიაწერონ, რადგან ვეფხისტყაოსნის შევსება ჩანართებით ძველთაგანვე ხდებოდა.

142. [უავტორო]

К вопросу о вариантах и дополнениях «Барсовой кожи»

გაზ. О б з о р к., 1880, 23 июня, № 535, გვ. 1.

ცნობა იმის შესახებ, რომ «О б з о р к.»-ის რედაქციისათვის ი. მეუნარგიას წარუდგენია ვეფხისტყაოსნის 396 სტროფი, ამოწერილი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დატული ხელნაწერიდან, რომელიც 1702 წ. ყოფილა გადაწერილი ქ. შემახაში ბეგანა ოცხანას ქალიშვილის მიერ.

ავტორი გამოსთქვამს აზრს, რომ კარბელაშვილის მიერ აღწერილი კახეთში ნაპოვნი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ზედმეტი ადგილების დაბეჭდვის შემდეგ გახდება შესაძლებელი გადაწყდეს საკითხი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის ღირებულება-შედგენილობისა, რომელსაც 396 სტროფი, მეტი ჰქონია შედარებით ბექდურთან.

მისი შენიშვნით, პარიზის ხელნაწერი შესწავლილი იყო ქართველოლოგის ბროსეს მიერ, რომელმაც პოემის შესახებ წერილიც მოათავსა (Journal Asiatique, 1830 წ. აპრილის ნომერში) და რაკი მან ეს ზედმეტი სტროფები ვეფხისტყაოსნის 1846 წ. პეტერბურგის გამოცემაში არ მოათავსა, ალბათ რუათველისად არ მიიჩნია. სასურველია ანის შესახებ აზრი ეკითხოს დ. ი. ჩუბინაშვილს, რომელიც ჯერ კიდევ ცოცხალია.

168. [უავტორო]

ახალი აშუბი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შეგროვების შესახებ]

გაზ. დ რ თ ე ბ ა, 1880, 6 ივლისი, № 143, გვ. 2.

9 დეკემბერი, № 259, გვ. 2-3.

13 დეკემბერი, № 263, გვ. 2.

21 დეკემბერი, № 270, გვ. 3.

ახალ ამბებში მოიპოვება ქრონიკალური ცნობები ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების ოჯახებში აღმოჩენის შესახებ, ზათი მოკლე აღწერილობით.

ცნობა იმის შესახებ, რომ პ. კარბელაშვილისაგან მიღებულია წერილი ვეფხისტყაოსნის ვრცელი ხელნაწერის შესახებ, რომელშიაც ყურადღებას აქცევს ბექდური ტექსტით უცნობ დაბოლოებას (№ 143).

„დროების“ რედაქციამ მიიღო თ. გრ. დ. გურიელისაგან ცნობა პელაგია წერეთლის ოჯახში დატული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამავე ხელნაწერს ეხება ცნობა დ. წერეთლისა, რომელიც, მისი სიტყვით, მეფე სოლომონ დიდის ნაქონი ყოფილა და დარეჯან ბატონიშვილისაგან ივანე აბაშიძის ოჯახში გადასულა (№ 259).

საინფორმაციო ცნობა ქართლში, დავით ბეგთაბეგოვის სახლში დატული ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ. რედაქცია იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მფლობელი არ დაუქერს და სამუშაოდ ათხოვებს ხელნაწერს ვეფხისტყაოსნის რედაქციას (№ 263).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ. რომ დ. ი. ყიფიანისათვის პელაგია წერეთლისას რედაქციისათვის გადასაცემად მიუწოდებია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი. აგრეთვე საჩხერეს მცხოვრებელს თ. ა. დავითის-ძეს წერეთელს ჰქონია ვეფხისტყაოსანი, რომელიც სიძველითა და ღირსებით სჯობია პელაგია წერეთლის ვეფხისტყაოსანს (№ 270).

164. [უაგტორო]

„ვეფხვის-ტყაოსნის“ რედაქცია
ტფილისი, 15 ნოემბერს

გახ. დროება, 1880, 16 ნოემბერი, № 242, გვ. 1—2.

წერილი წარმოადგენს მეთურს და ეხმაურება 1880 წ. 15 ნოემბერს გახ. „დროებაში“ დაბეჭდილ მოწოდებას ქართველი საზოგადოებისადმი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის მუშაობაში დახმარების შესახებ.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და მის მნიშვნელობას ქართველი საზოგადოებისათვის. მისი შენიშვნით „ვეფხვის ტყაოსანში იხატებოდა ჩვენი ერობა, ქართველობა“. ამ წიგნმა სამწუხაროდ ჩვენამდე ხელუხლებლად ვერ მოაღწია, მასში ჩაუნატებიათ და გამოუკლიათ. შეცვლილია რუსთაველის მართლწერა. ამიტომაც, რომ ვეფხისტყაოსნის ექვსი დაბეჭდილი ტექსტიდან არც ერთი არ ჰგავს ერთიმეორეს. „არა გვანან ერთმანეთს აგრეთვე არც ძველი ხელთნაწერები, რომელნიც ახლაც ბლომათ მოიპოებთან ჩვენში“.

ბოლოს აღნიშნულია, რომ არ მოგვეპოვება ზუსტი ბიოგრაფიული ცნობები რუსთაველის ცხოვრების შესახებ. არაფერი არ ვიცით მის ავტორზე — როგორ დასწერა, ვისზე და რა გარემოებაში. ამიტომაც დიდის სიამოვნებით შევიტყუთ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი რედაქციის დაარსება „რომელიც განსაკუთრებით იმ განზრახვით შესდგა, რომ ყოველის მხრით შეასწოროს ეს დიდებული პოეტის დიდებული კმნილება, აღადგინოს ის და ამასთანავე მოაგროვოს რამდენათაც კი შესაძლებელი იქნება თვითონ ავტორის შესახებ ბიოგრაფიული ცნობანი“.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის კარგად გამოცემის, აღდგენისა და მისი დაწერის ბიოგრაფიის გაცნობის ეროვნულ ღნიშვნელობას. დასასრულ ავტორი მოუწოდებს ყველა ქართველს, როგორც კი შეუძლია, დაეხმაროს ვეფხისტყაოსნის რედაქციას.

165. [უაგტორო]

ვეფხვის ტყაოსანი

გახ. დროება, 1880, 20 ნოემბერი, № 245, გვ. 1.

23 დეკემბერი, № 271, გვ. 4.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის შესასწორებლად შემდგარი კომისიის განცხადებას ქართველი საზოგადოების საყურადღებოდ იმის შესახებ, რომ ვისაც აქვს, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები დროებითი სარგებლობისათვის რედაქციას გადმოუგზავნონ.

„ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება 1571 ტაჰის შემდეგ
იხ. დ. ჩუბინოვის გამოცემა ს.-პეტერბურლს 1860 წელს.

ურნ. ივერია, 1880, № III, გვ. 3—35.

ტექსტს აქვს სარედაქციო შენიშვნა:

ეს „განგრძელება“ ვეფხისტყაოსნის მოგვივიდა პ. კარბელაშვილისაგან და ებეჭდათ „ივერიაში“, რადგან საინტერესოა ჩუბინის ლიტერატურისათვის. ჩვენ კი გვგონია, რომ ეს განგრძელება „რუსთაველის“ კალამს არ დაუწერია.

მოგვყავს დანართი თავების სათაურები სტროფთა რაოდენობით:

1. ტარიელისგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა 1573—1574.
2. აქა ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთ დამორჩილება 1575—1611.
3. ჭორწილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა 1612—1654.
4. აქ ტარიელის დასწვლუბა და ზეარაზშასაგან სისხლისათვის მოხდობა 1655—1676.
5. ესმა ინდოთ მეფესა მოსვლა ზეარაზშელთა ინდოეთში 1677—1689.
6. გამარჯვება ზეარაზშთა მეფისაგან ინდოთ ლაშქართა ხედან 1690—1694.
7. ტარიელისგან კაცის გაგზავნა ავთანდილ და ფრიდონთან საშეუღლად 1695—1714.
8. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისა ტარიელის საშეუღლად 1715—1727.
9. აქა ავთანდილის და ფრიდონის წასვლა ზეარაზშშას საომრად 1728—1758.
10. ომი ზედ დასხმითა ზეარაზშთა ინდოთა, არაბთა და თურქთა ზედა 1759—1806.
11. ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიკვალუბოდა მის ეამის ნათქვამი 1807—1836.
12. სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან-დარეჯანისა 1837—1842.
13. ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ეამსა 1843—1858.
14. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა 1859—1864.
15. მოსვლა ფრიდონისა და ტირილი ძმობილთა მისთა ტაგრუტსა ზედა 1865—1881.

გაგრძელებათა ტექსტი შეიცავს 308 სტროფს. დასაწყისი სტროფი (1573):

„ქედსა ზედა გადმოადგა მეტად დიდი ქარაუნი,
კაცები და სახედრები ერთბა იყო შაჸოსანი,
გარეშემო მოგვეწენს უკანა მათ დალაღანი,
და მეფე ბრძანებს: მოასხენით, ჩვენ დაჸეყოვნოთ ცოტა ხანი“.

1881

167. ა. ა.

დ. ი. ჩუბინოვის პატრე-საცემის ნაღმის გამო

გახ. შრომა, ქუთაისი, 1881, 21 ოქტომბერი, № 8, გვ. 3—4.

აეტორი ქართული ენის მდგომარეობასა და ისტორიულ ცვლილებაზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ „ძლიერ შემცდარია ის აზრი, ვითომც ჩუბინის საქები იყოს, რომ რუსთაველს დროიდგან ჩუბინ ენა არ შეეცვლილა, ანუ, უფრო სწორედ ვსთქვათ, ბევრად არ შეეცვლილა“.

168. M. Brosset

De la littérature romanesque géorgienne.

ურნ. *Mélanges Asiatiques*, 1881, t. VIII, p. 417-442.

პირველად დაიბეჭდა 1877 წ., *Bulletin de l'Académie*, t. XXIV, გვ. 282—330. იხ. ანოტაცია № 143.

169. ქაიხოსრო გელოვანი

ხაგულისხმო

გაზ. დ რ თ ე ბ ა, 1881, 29 ოქტომბერი, № 226, გვ. 1—2.

მცირე წერილში გამოთქმულია აღშფოთება სათავადაზნაურო ბანკში ეფუხისტყაოსნის სარედაქციო კოლეგიის სხდომების აკრძალვის განეო.

170. [დავით გურამიშვილი]

[შოთა რუსთაველის მოხსენიება]

წიგნში: და ე ი თ ი ა ნ ი თქმული გ უ რ ა მ ი ს შ ვ ი ლ ი ს და ე ი თ ი ს ა გ ა ნ
გამოცემული გიორგი ხალიკაშვილისაგან, პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით,
ტიფლისი, 1891, XXVI+316 გვ.

სხვადასხვა მოტივებთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს რუსთაველის სილიადეს, მის პოეტურ ავტორიტეტს და გამანადგურებლად დასცინის პოეტ შეფის სურვილს შეედარონ რუსთაველს, რითაც გამოსთქვამს პროტესტს რუსთაველთან პოეტური შეჯიბრის ტრადიციის წინააღმდეგ.

„ოდესაც ბრძენმან რიტორმან შოთამ რგო იგაუთ ხეო და,

ფესვ ღრმა-პეო, შრტონი უჩინა, ზედ ხილი მოიწეოდა.

ორგზითვე ნაყოფს მისცებდა, ვისგანაც მოიჩხეოდა,

და ლექსი რუსთაველისებრ ნათქვამი მე სხვისა ვერ ენახეოდა.

ვით მკედარს ყრმისა მცირისა წყაპლასა ზედან ჯდომანი

მიმსგავსების ცხენოსანს ჯოხით რბენა და ზღდომანი.

ეგრეთვე შოთა რუსთაველსა ეს ჩემი ლექსთ მიხდომანი,

და ცუდად მომიქდა გვაჯრითა ბაჰით უმზგაუსო ნდომანი“

(ამ წიგნთა გამლექსეის გვარისა და სახელის გამოცხადება, გვ. 300).

„მე რუსთაველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს—ჩალის ძირსა“ (იქვე).

ოჯივ: 1870, 1894, 1911, 1931, 1938, 1948 გამოცემებში.

171. თ. მ.

თფილისის ქრონიკა

გაზ. შ რ თ მ ა, ქუთაისი, 1881, 7 ოქტომბერი, № 5, გვ. 3.

ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ დ. ი. ჩუბინოვს „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ გამოსაცემად სხვა შრომებთან ერთად შეუწირავს „ეფუხისტყაოსნის განმარტება“.

172. კონსტანტინე მამაცოვი

სწავლა-განათლების საქმე ძველს საქართველოში

(სიტყვა, თქმული კ. ქ. მამაცოვისაგან 29 ენკენისთვეს 1881 წ.

თფილისის გიმნაზიის იუბილესი გამეო).

გაზ. დ რ თ ე ბ ა, 1881, 3 დეკემბერი, № 253, გვ. 1—3.

ძველი ქართული კულტურისა და მწერლობის მიმოხილვისას ავტორი გაკვრით ჩერდება თამარ მეფის ეპოქის მწერლობაზე და აღნიშნავს:

„მეთორმეტე საუკუნის ნახევარში ენობილმა და შესანიშნავმა შოთა რუსთაველმა დასწერა თავის დიდი ეპიური პოემა „ეფუხის ტყაოსანი“. ამ მაღალ ხელოვნურ პოემაში გამოხატულია რუსთაველის თანამედროვე თამარ მეფე და იმის კარის-კაცები. ეს პოემა არის მთელნი ფილოსოფიური სწავლა სწავლასა და ცხოვრებაზედ.“ (გვ. 2, სტრი 3)

173. თ. შეუნარგია

ვეფხისტყაოსანი [ს ტექსტის დამდგენი კომისიის სსომათ ანგარიშები]

ვახ. დროება, 1881, 12 თებერვალი, № 31. გვ. 3—4.

ამ წერილით დაიწყო „დროება“-ში ბექლვა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ანგარიშებისა. სხდომები მიმდინარეობდა სა-ადგილმამულო ბანკის შენობაში თებერვლის, მარტისა და აპრილის განმავ-ლობაში.

(პირველი სხდომა რედაქციისა 6 თებერვალს)

სხდომა ჩატარდა თ. გრ. დიმ. ორბელიანის თავმჯდომარეობით. სხდო-მას დასწრებიან: ილ. გრ. ქავჭავაძე, ნიკ. ტარ. დადიანი, რაფ. დაფ. ერის-თავი, დ. დ. ჯორჯაძე, ს. ს. შესხი, ი. ს. გოგებაშვილი, დ. ე. დადიანი, არ-ხიმანდრიტი გრიგოლი, პ. ი. უმიკაშვილი, ი. გ. მანაბელი, ვ. ს. მიქელაძე, თ. ეორდანი, გ. იოსელიანი, ვახ. დ. თულაშვილი, ი. წინამძღვაროვი და მომავალი ეურნალის „იმედის“ ახალი რედაქტორი მ. გ. გურგენიძე და სხვ. „ნესტან-დარეჯნის სქესიდან დაესწრნენ და ვარიანტის კითხვაში მონა-წილეობა მიიღეს: კნ. ოლ. თად. ქავჭავაძისამ, ქეთ. ირ. ბაგრატიონ-მუხრან-სკიმ, კნ. ნინო ორბელიანისამ, ეკატ. გაბაშვილისამ და ა. შაიშველოვისამ“.

ავტორი შენიშნავს, რომ „თ. აკაკი წერეთელი არ იყო სხდომაში და იმისი მოუსვლელობა ბევრს გაუკვირდა“. ქართული მწერლობის მოყვარეთა პირველმა ყრილობამ გ. ორბელიანს დაავალა საქართველოში, ყერძო პირთა ხელში არსებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შეგროვება სამუშაოთ და ავტორის შენიშვნით საზოგადოება მარცხადამინც გულისყურით არ მოჰკი-დებია ყრილობის თხოვნას ხელნაწერების გამოგზავნის შესახებ. რედაქციას მუშაობის დაწყებისას ხელთ ჰქონია 22 ხელნაწერი: ელისაბედ ქავჭავაძისა, თ. დავით თუმანოვისა, თ. ალ. მამაცოვისა, თ. გიგო მუხრანსკისა, ბატ. ზა-ქარია კიჭინაძისა (სამი ეკვ.), თ. ალექსანდრა მელიქოვისა, დიმიტრი ბაქ-რაძისა, ეფრემ მარჯანიძისა, თ. ბეიან წერეთლის მემკვიდრეებისა, თ. ნესტორ წერეთლისა, იოსებ მერკვილაძისა, ნ. კორინთლისა, თ. რაფ. ერისთავისა, თ. გიორგი თუმანოვისა, ალალო თუთაევისა, პეტრე უმიკაშვილისა, ბატ. კეზელისა და იოანა მეუნარგიასი.

ი. მეუნარგიას დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი შეუდარებია პარიზის ნა-ციონალური ბიბლიოთეკის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთან. ავტორი მოკლედ ახასიათებს ამ ხელნაწერებს სიძველისა და სანდოობის თვალსაზრისით და ჩაძოთელის იმ ბექლურ გამოცემებს, რომლებიც რედაქციას ჰქონდა.

სხდომაზე მცირე კამათის შემდეგ, თუ როგორ იმუშაოს რედაქციამ, გა-დაწყდა 22 ხელნაწერი დაურიგდეს სათითაოდ ოცდაორ წამკითხველს და ასე დაიწყო მუშაობა. ავტორი შენიშნავს:

„ყრილობამ დაიწყო უკუდავის პოემაში „ობოლი მარგალიტის“ ძებნა უდიდესი თანამედრო-ვე პოეტის ხელმძღვანელობით... ესეთია უძველესი ძალა პოეტის გენიისა, რომელიც ეჭვსაში წელიწადი მეფობს ქართველების გონებაში.“

„თავადი რაფიელ დავითის-ძე ერისთავი კითხულობდა ბოოსეს გამოცემას ხმა-მალა და სხვები ადევნებდნენ თვალს ხელ-ნაწერებს“.

დაადგინეს, რომ იწერებოდეს „ვეფხისტყაოსანი“ ვ-ს-გამოკლებით. სხდომაზე წაკითხულია პოემის შესავლის 31 სტროფი, რომელშიც შეუტანიათ 12 შესწორება. გასწორებანი მოყვანილია ტაეპების მიხედვით.

დადგინდა სტროფის ბოლო სტრიქონში „და“-ს გამოტოვება.

აეტორი შენიშნავს, რომ, როდესაც ამ ანგარიშის წერა გაუთავებია, თელავიდან მოსვლიათ „ენიანა ნინო ივანეს ასულის ყარალოვის ვეფხისტყაოსანი“.

17 თებერვალი, №36, 3—4 (მეორე სხდომა რედაქციისა 13 თებერვალს).

სხდომის დასაწყისში აკაი წერეთელს გაუკეთებია რამდენიმე შენიშვნა წინა სხდომაზე რედაქციის მიერ მიღებულ შესწორებათა შესახებ.

ენიანიდან კამათი გრძელდებოდა, რედაქციამ დაადგინა, რომ ამგვარი შენიშვნები გადაიდოს მთელი მუშაობის დამთავრების შემდეგი დროისათვის: „ამგვარი გადაწყვეტილებით, ის ცელილება, რომელიც მიღებული იქნება ეხლანდელს სხდომებში და გაზეთით გამოცხადდება საყოველთაოდ, არ არის რედაქციის უქანასკნელი სიტყვა. მთელი პოემის წაკითხვამ და შენიშვნამ, რომელსაც რედაქცია ელის ავეფხისტყაოსნის მოყვარულთა და მცოდნეთაგან“, შეიძლება კიდევ შეაცვლევინოს მათ თავისი აზრი“.

შემდეგ სხდომაზე წაუკითხავთ და გაურჩევიათ პირველი თავის 52 სტროფი, რომლებშიც შეტანილი შესწორებანი მოყვანილია პარალელურად. აეტორს მოჰყავს ი. კავკავაძისა და ი. მაჩაბლის ზოგი შენიშვნა და ათავებს ასეთი საყუარდლებო განცხადებით:

„მე ვფიქრობ, რომ უკრ კიდევ არ დაბადებულა ის კაცი, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ კი არა, უბრალო ქართული ლექსი წაიკითხოს, როგორც როგი და წესია კითხვისა... ილია კავკავაძე, რომელიც ამ საღამოს კითხულობდა „ვეფხისტყაოსანს“, საზოგადოთ კარგი მკითხველია. იმას მშენიერი ხმა აქვს. მშენიერი გამოთქმა, ჩინებული კოლო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმების ელერა ისმის, მაგრამ თითონ კითხვაში კი. იმას ხელოვნება აქლია. რალა გამოთქმულ სიამოვნებას ვპოვებ მე კავკავაძის კითხვაში, როდესაც ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძებებს:

„მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, უკრ ვარდი არ დაგუკნობია“

რალა დედული, რალა ვარძობისთვის სასიამოვნო რამ ისმის ამ ხმაში, ამ ერის გული-დამ გამოსულ სიტყვების განმორებაში“.

26 თებერვალი, № 42, გვ. 3—4 (მესამე სხდომა რედაქციისა, 24 თებერვალს)

სხდომას თავმჯდომარეობდა რ. ა. ფ. ერისთავი.

დ. ყიფიანის წინადადებით „მართლწერაში ხმნისხედას დაჰყეება დ და არა თ (უნდა საქებრად და არა საქებრათ).

აკაიის წინადადებით მე 76-ხანაში უნდა დარჩეს „მოესროდეს“ და არა „მისროდეს“, როგორც ტყუილად გადაეკეთეთო. 46 ხანაში უნდა დარჩეს „ტუბილთა ხმათა“ და არა „მათთა ხმათა“.

აეტორი მოკლედ გადმოსცემს ამ კითხვების გარშემო გამართულ კამათს და სწუხს, რომ სხდომაზე ბევრი დრო იხარჯება ტექსტის კითხვისა და სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტისათვის. მაგ., მე-103 ხანაში:

„უცხო ყმა ვინმე უნახავს, ასრე დალრუჯით ამითა“

თუ რა არის აქ „ამითა“, როგორ უნდა იწერებოდეს „ამითა“ თუ „ამითა“. ასევე გადაუწყვეტელი დარჩა საკითხი მე-106 ხანაში: „მელი მე მოყვანებასა“, „მოელი მოყვანებასა“, „რად მელი მოყვანებასა“.

შემდეგ აეტორი ჩერდება ზოგიერთ ორთოგრაფიულ გასწორებაზე. აკაიის აზრით, მე-94 ხანა რუსთაველისა არ არის. სულ წაუკითხავთ 23 ხანა.

1 მარტი, № 44 გვ. 3—4 (მეოთხე სხდომა რედაქციისა, 27 თებერვალს).

ანგარიშის მიხედვით სხდომას განუხილავს 22 სტროფი — 107-იდან — 129-მდის. ჩამოთვლილია შეტანილი შესწორებები უმთავრესად ორთოგრაფიული ხასიათისა. მუშაობაში მონაწილეობა მიუღიათ რაფ. ერისთავს, გ. იოსელიანს, პ. უმიკაშვილს, ნ. ტ. დადიანს. დასწრებიან აგრეთვე თავ. ეახ. ორბელიანი და დავით ერისთავი.

6 მარტი, № 48, გვ. 3 (მეხუთე სხდომა რედაქციისა, 5 მარტი)
განხილული იყო 129—148 სტროფები, მათ შორის სტროფი 136 „ასადა-
გეს“ სამაჯამო რითმით, რომელიც შემდეგნაირად დაადგინეს:

- I ა ს ა და გ ე ს—საუბარი გააუბრალოს, სადათ აქციეს.
II ა ს ა და გ ე ს—გიშერი ასად—ე. ი. ასად აქციეს.
III ა ს ა და გ ე ს—ხელი ა სად აგეს.
IV ა ს ა და გ ე ს—გული ჩემი ასადაგეს.

10 მარტი, № 51, გვ. 3 (მეექვსე სხდომა რედაქციისა, 6 მარტი)

თავმჯდომარეობდა ნ. ტ. და დ ი ა ნ ი. განხილულული იყო 148—163
სტროფები. მოყვანილია გასწორებულ სიტყვათა პარალელური ცხრილი.

13 მარტი, № 54, გვ. 3 (მეშვიდე სხდომა რედაქციისა, 10 მარტი)

გარჩეული იყო ვეფხისტყაოსნის თავის „ავთანდილისაგან ტარიელის
ძებნად წასვლის“ 32 სტროფი.

წერილი ასეთი საინტერესო შენიშვნით იწყება:

„ჩვეულებრივზე უფრო განცხველებული და მხიარული საღამო. განსაკუთრებით ინტერესს
ამ სხდომისას შეადგენდა ის, რომ იმაზე დაესწრო კ-ნა ა. ი. ერისთავისა, ერთი იმ ქართველ
ქალთაგანი, რომელთაც ასე ზედმიწევნით იცოდნენ და იციან ვეფხისტყაოსანი“.

სხდომას აგრეთვე დასწრებიან კ-ნა ნ. ა. აბაშიძისა, გ. გვათუა.

წაიკითხული იყო IV კარის 32 სტროფი. გასწორებათა ნიმუში: ბალახში-
ბადახში; ოთხ-ხმით—ოთხ-ახმით. მიღებულია ზოგადი მითითება, რომ საცა-
არის პოემაში „თუმცა“, „მაგრამ“ დაიწერება „თუცა“, „მაგრა“.

ჩამოთვლილია გასწორებები და ვეფხისტყაოსნის ტექსტიდან გამორი-
ცხული სტროფები.

სხდომას დაუდგენია, რომ ზ ხ სიტყვებში: ჰსთქვა, ჰსდის, გამოჰსწნდა,
დაჰსთხივა, პოემაში არ იხმაროს, იმ საფუძველით, რომ როგორც გამოირკვა
„რუსთველის დროში არ იხმარებოდა“.

17 მარტი, № 57, გვ. 3—4. (მერვე სხდომა რედაქციისა, 13 მარტი).

თავმჯდომარეობდა დ ა ვ. გ ი ო რ გ ი ს ძ ე რ ი ს თ ა ვ ი. დასწრებია 30-მდე
კაცი. გარჩეული იყო 46 სტროფი თავისა: „ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად
წასვლა“. მოყვანილია გასწორებულ წაიკითხვათა ცხრილი.

20 მარტი, № 60, გვ. 3—4 (მეცხრე სხდომა რედაქციისა, 17 მარტი)

სხდომას თავმჯდომარეობდა თავ. დ. გ. ერისთავი.

გარჩეული იყო 78—120 სტროფები. ვეფხისტყაოსნიდან მე-88 სტრო-
ფის ამოღებას მხარი არ დაუჭირეს რაფ. ერისთავმა და თ. ეორდანიამ. მო-
ყვანილია გასწორებულ სიტყვათა ცხრილები.

24 მარტი, № 63, გვ. 3 (მეათე სხდომა რედაქციისა, 20 მარტი).

ანგარიშიში მოკლედ აღრიცხულია ვეფხისტყაოსნის 120—140 სტროფებში
რედაქციის მიერ შეტანილი ცალკე გასწორებანი სიტყვებისა, მაგ.: „121 ხა-
ნაში რომ ელსა გასწორდა რომ ელთა“.

27 მარტი, № 65, გვ. 3-4 (მეთერთმეტე სხდომა რედაქციისა, 24 მარტი)

სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. ტ. და დ ი ა ნ ი. გარჩეული იყო V თავის
ბოლო და VI თავი. მოყვანილია გასწორებათა ცხრილი.

31 მარტი, № 68, გვ. 3-4. (მეთორმეტე სხდომა რედაქციისა 27 მარტს).

თავმჯდომარეობდა თავ. დ. გ. ერისთავი. მოყვანილია გასწორებათა ცხრილი.

3 აპრილი, № 71, გვ. 3-4. (მეცამეტე სხდომა რედაქციისა, 31 მარტს)

თავმჯდომარეობდა თავ. დ. გ. ერისთავი. დაესწრო ნ. ი. ნიკოლაძე-სხდომაზე პ. უმიკაშვილმა გააკეთა განსაკუთრებული განცხადება იმის შესახებ, რომ უნდა განემარტოს საზოგადოებას, რომ ჩვენი მიზანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის გასწორება კი არ არის, არამედ მხოლოდ ხელნაწერთა ვარიანტების ერთმანეთთან შეთანხმება „და თავის მხრით არც ერთ ასოს არ ასწორებს პოემაში“.

მოყვანილია წინა სხდომაზე მიღებულ გასწორებათა ცხრილი.

28 აპრილი, № 86, გვ. 3-4 (მეთექვსმეტე სხდომა რედაქციისა, 24 აპრილს)

სხდომას თავმჯდომარეობდა თავ. რ. დ. ერისთავი. სხდომას დასწრებიან ენინა ალექსანდრა შაკ. მელიქოვისა.

მოყვანილია მეათე და მეთორმეტე თავში შეტანილ გასწორებათა ცხრილი. ავტორი რედაქციის სახელით აცხადებს, რომ ვარიანტების ბეჭედას თავს ანებებენ და ამას პოემის გამოცემაში შეიტანენ.

174. ე. მენუაჩაძე

ვეფხისტყაოსნის რედაქციისაგან

გაზ. დროება, 1881, 16 ივნისი, № 123, გვ. 2.

ინფორმაციული ცნობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის. მუშაობის შეწყვეტის შესახებ და მიმართვა ოჯახებს ვეფხისტყაოსნის თხოვების თაობაზე. ნახსენებია ნიკოლოზ ელიოზოვის ოჯახში პლატონ იოსელიანის მიერ ნახული ვეფხისტყაოსანი, რომელიც ალექსანდრე მეფის (1443 წ.) ნაქონი ყოფილა.

175. ა. შოჩხუბარიძე

ლექციები ქართულს ენაზე

გაზ. დროება, 1881. 1 აპრილი, № 69, გვ. 2-3.

წერილი წარმოადგენს ანგარიშს ა. წერეთლის მიერ წაკითხულ ლექციებზე ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორი აკრიტიკებს ლექციების მთავარ დებულებებს ქართულ ტომთა ტიპების დახასიათებაში და, სხვათა შორის, შენიშნავს: „ეს ლექციები შეეხება „ვეფხისტყაოსანს“ და მაშასადამე, დიდ საინტერესო საგანს ჩვენი სიტყვითადაც, რომელსაც ისე ეკირება შენუშავება, კრიტიკული განხილვა, და ცოცხალი სიტყვა“.

იხ. პასუხი ამ წერილზე: აკაკი, წერილი რედაქტორთან, გაზ. დროება, 1881, 2 აპრილი, № 70, გვ. 3.

176. რიონიხონი

რუსთაველის პირით თანამედროვე

გაზ. დროება, 1881, 20 აგვისტო, № 173, გვ. 1-2

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრეფილ ორმოცამდე აფორიზმს, რომელთაც ავტორი უძღენის სხვადასხვა პიროვნებებს მათი ინიციალები დასახელებით. მაგ., დ. ხ.-ადმი. „ანუ გვრე რამ დაგლია, ანუ პირველ ვინ გაგავსო“.

აღქმ. ეპიხ. ზს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

გაშპარ ივანეს-ძე კობიაშვილი

გაზ. დროება, 1881, 17 იანვარი, № 11, გვ. 1—3.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისა და მისი გამოცემისათვის მზადებასთან დაკავშირებით საკიროდ სცნობს მოიგონოს ვეფხისტყაოსნის ზეპირად მცოდნენი, და გადმოსცემს XVIII საუკუნეში მცხოვრები კობიანთ-ქარელი აზნაურის გოშპარ ივანესძე კობიაშვილის ბიოგრაფიას, რომელიც თუმცა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მაგრამ ვეფხისტყაოსანი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა. გარდაცვლილა 106 წლისა.

178. [უავტორო]

[განცხადება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შეგროვებაზე]

გაზ. დროება, 1881, 1 იანვარი, № 1, გვ. 4; 19 იანვარი, № 5, გვ. 4.

ვეფხისტყაოსნის შესასწორებლად შემდგარი კომისიის მიმართვა ქართველი საზოგადოებისადმი, რომ ვისაც აქვს რედაქციას გამოუგზავნონ დროებითი სარგებლობისათვის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები (№ 1). ასეთივე თხოვნა უეზდის უფროსებს, ეპარხიების მმართველებს, გუბერნიის მარშლებს, ადა ყოველთა ქართული მწიგნობრობის მოყვარეთა მიმართ* (№ 5).

179. [უავტორო]

ცნობა რუსთაველზე

გაზ. დროება, 1881, 6 იანვარი, № 3, გვ. 1.

ცნობა მიუღიათ თ. ათანასე მაყაშვილის ასულის, თ. გიორგი ჯორჯაძის მეუღლის ეკატერინესაგან. ეკატერინეს თავის მამის წიგნებში უპოვია რვეული, რომელშიც ყოფილა შოთა რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები. ამ ცნობების მიხედვით, ქ. გრემის სკოლაში სწავლობდა რუსთაველი, რომელიც იქ მიუყვანია მის ბიძას. გრემში სწავლის შემდეგ ოთხ ბერს წაუყვანია ათინაში, სადაც სწავლა დაუმთავრებია და 22 წლისა ჩამოსულა საქართველოში.

ეს რვეული თავის დროზე გადაუციათ პლატონ იოსელიანისთვის და შემდეგ რა ბედი ეწია ამ რვეულს, არავენ არ იცის.

180. [უავტორო]

ახალი ამბები [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა შეგროვების შესახებ]

გაზ. დროება, 1881, 11 იანვარი, № 7, გვ. 2; 28 იანვარი, № 20, გვ. 1—2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ სოფ. ახმეტაში, რევან ჩოლოყაშვილის ოჯახში ქქონიით მეფე ერეკლეს ნაქონი ტყავზე ნაწერი არშია დაბასშული ვეფხისტყაოსანი (№ 7).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ი. მუნარგიას ცნობით რედაქციას მისვლია სხვადასხვა პირთაგან 16 ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა,

61. [უაფტორო]

[განცხადება მხატვრობის აღბოშზე]

გახ. დ რ თ ე ბ ა, 1881, 24 იანვარი, № 17, გვ. 1.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ „დროება“-ივეერიის“ რედაქცია ხელისმომწერლებს დაურიგებს მხატვრობის აღბოშს, რომელსაც ხატავს ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვარი ალექსანდრე ბერიძე. სურათებს შორის მოხსენებულია შოთა რუსთაველი და „ორი სურათი ვეფხის-ტყაოსანიდამ“.

152. [უაფტორო]

ახალი ამბები [განცხადებანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი რედაქციის სხლომაჲე დასასწრებლად]

გახ. დ რ თ ე ბ ა, 1881, 4 თებერვალი. № 25, გვ. 1, 3; თებერვლის №№ 26, 27, 33, 40; მარტისა 45, 60; აპრილისა 71, 74. 81, 83, 86; მაისისა 89; ოქტომბრისა 206, 207, 209, 216; ნოემბრისა 230, 233, 238, 240, 245; დეკემბრისა 263.

მიმართვები ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი რედაქციის სხლომების შესახებ იბეჭდებოდა „ახალ ამბებში“ ქრონიკის სახით, ხან კი ცალკე განცხადებათა სახითაც. ამ ქრონიკალური ამბებისა და განცხადებათა საერთო შინაარსია: „ვეფხვის ტყაოსნის ხელთ-ნაწერ ვარიანტებთან შემათანხმებელი რედაქცია“ სთხოვს ქართულ მწერლობის ყველა მოყვარულს დაესწროს რედაქციის სხლომებს თბილისის საადგილ-მამულო ბანკის შენობაში. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში აღნიშნულია სხლომის რიცხვი და საათი.

ზოგიერთ მათგანში მოიპოვება ასეთი შენიშვნები: სხლომას დაესწრებიან თბილისში ზყოფნი დ. ი. ჩუბინაშვილი და ა. ა. ცაგარელი (№ 206); ან: სხლომას დასწრებია დ. ი. ჩუბინაშვილი, რომელიც ქვიშხეთში წასულა სტუმრად დ. ი. ყიფიანთან (№ 209).

153. [უაფტორო]

ახალი ამბები [ლექციები ვეფხისტყაოსანზე]

გახ. დ რ თ ე ბ ა, 1881, 27 მარტი, № 65, გვ. 1; 29 მარტი, № 67; 4 აპრილი, № 72, გვ. 1; 5 აპრილი, № 73, გვ. 2; 7 აპრილი, № 74, გვ. 1; 30 აპრილი, № 88, გვ. 2.

„ახალ ამბებში“ თუ ცალკე განცხადებებში მოკლედ აღნიშნულია დრო აკაკი წერეთლის მიერ ლექციის წაკითხვისა ვეფხისტყაოსანზე მცირე პროგრამით ან უკვე წაკითხული ლექციის მოკლე ანგარიში. მაგ., აკაკი წერეთელმა უმთავრესად ილაპარაკა ვეფხისტყაოსნის ქალებზე და ნასთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ქალების მნიშვნელობაზე. აკაკის დასკვნით ნესტან დარეჯანი ქართლელის ტიპია, თინათინი იმერლისა, ასმათი შავი ზღვის პირელისა (№ 74).

სანიმუშოდ მომყავს ერთერთი განცხადების ტექსტი:

თბილისი 1811 წელი. არწრუნის თეატრში 2^ა მარტი, 2 და 5 აპრილს.

ა. წერეთელი წაიკითხავს სამს საზოგადო ლექციას ვეფხისტყაოსნის შესახებ.

პროგრამა:

I. შესავალი ა). საქართველოს შოუხსენებლობა საქვეყნო ისტორიაში. ბ). საქართველოს ბედის შედარება პრომეთეოსის ბედთან. გ). ქართველთა ენა—იმისი სიმდიდრე და ქართულში შემოსული უცხო ენების სიტყვები. დ). ჩვენი უმეცრება საქართველოს ტომთა შესახებ.

II. ხასიათები საქართველოს ხალხისა: ა). ქართლელი ბ). იმერელი გ). გურული დ). მეგრელი და ე). შთიული.

III. ვეფხისტყაოსნის შესახებ: კაცები: ა). ტარიელ ბ). აუთანდილ და გ). ფრიდონ. დ). ამათი განსხვავება ჩასიათებით. ქალები: ა). ნესტან დარეჯან ბ). თინათინ და გ) ფატმან-ხათუნ.

დიდი მნიშვნელობა რუსთველისა საქართველოს ბედის წინასწარმეტყველებაში“ (№ 65)

164. [უავტორო]

[ცნობა ვეფხისტყაოსნის საწვლადი მუშაობის შეწყვეტაზე]

ვახ. დროება, 1881, 24 ოქტომბერი, № 222, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის შენობაში მიმდინარე ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი რედაქციის სიღმრთეები აკრძალულია (იხ. ანოტაცია № 185).

165. [უავტორო]

ვლურწი

ვახ. შრომა, ქუთაისი, 1881, 28 ოქტომბერი, № 9, გვ. 1—2.

თბილისიდან მიღებული ამბების მიმოხილვისას, წერილის ბოლო ორი აბზაცი იწყება სიტყვებით: „ერთი საყურადღებო თფილისშია ცომზდარა“. ცნობაში აღნიშნულია, რომ „იქაურის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში სხდომა ჰქონდა თურმე დანიშნული“ „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციას, ეს კიდევ გამოცხადებინა და როცა შეკრებილან რედაქციის მონაწილენი, ბანკის მოსამსახურეებს კარში გამოუბუხურებიათ ისინი და კარი ჩაუკეტიათ,—ნაბრძანები გვაქვს, რომ არაფერ შევეშვათ“.

ამ ცნობას დართული აქვს განმარტება იმის შესახებ, რომ „დროების“ რედაქტორი თავადი ილია გრიგოლის-ძე კავკავაძე უჩივის ამ ურიგო საქციელისათვის საადგილ-მამულო ბანკის მმართველს თავადს ილია გრიგოლისძეს კავკავაძეს“.

166. აკაკი [წერეთელი]

ცხელ-ცხელი ამბები [შენიშვნა ვეფხისტყაოსნაზე]
დროების ფულეტონი 1 მარტი

ვახ. დროება, 1881, 1 მარტი, № 44, გვ. 1—3, ქვედურა, 12 სვეტი.

ავტორი გაკვირით ჩერდება რუსთაველზე და სახუმარო ტონით აკრიტიკებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას:

„ეს არის ამითი ვათაფბთ იმზედ ლაპარაკს და გადადვივართ ვეფხისტყაოსნის გამარჩველ საზოგადოებაზედ...“

იციოთ, რომ ჩვენ რუსთველს ვასწორებთ... თქვენმა მზემ ვასწორებთ; მაგრამ რუსულათ... დიდი ბასი გვექონდა ამასწინეთ ორი ასოს ა—სა და ი—სა შესახებ. ჩვენის აზრით ა—ნი არის პირ-აღმა პალაქული ი—ნი და ი—ნი კი თავ-დაღმა დაპლაქული ა—ნი! ახლა ამაზედ გვექნება.

ბანის შემდეგში, თუ სად როგორ ხმარობდა რუსთველი ამ ასოებს აპლაკულათ, და დაპლაკულათ? ამებს ყველას ბ. მუნარგია გაცნობებს გახვითით!.. მართლა რომ საზოგადოთ საქმე გაგვიკირა ამ „ვეფხვის“, ანუ როგორც გაეასწორეთ, „ვეფხის ტყაოსანმა“. თუ რუსულათ არ გადაუთარგმნეთ, ისე გუკირს ჰახრის გაგება და რუსულათ გადასათარგმნელათ კი ქართულის გაგება საკირო. ცეცხლშიდა ვართ!... ზოგიერთებმა ინტრუს, ნეტავი რუსთველი ადგებოდეს! ეს რომ კიდევ მოხერხდებოდეს, რა სარგებელი იქნება? ის, შამოვა თუ არა ამ ჩვენ კრებაში, სირცხვილით და ჯაურით ისევ ჩაწება კუბოში და ტყვილათ რალათ უნდა გაესარჯოთ ის პატივ-ცემული კაცი და მოეყვანოთ საიქიოდან!“... (გვ. 3).

157. აკაკო [წერეთელი]

წერილი რედაქტორთან

გახ. დროება, 1881, 2 აპრილი, 70, გვ. 3

წერილი წარმოდგენს პროტესტს ა. მოჩხუბარიძის მიერ „დროება“-ს 1 აპრილის ნომერში (№ 69) დაბეჭდილი სტატიის გამო: „ლექციები ქართულს ენაზედ“ (იხ. ანოტაცია № 175). დასაწყისი:

„ბატონო რედაქტორო! თუ ჩემი შენიშვნები „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირების შესახებ ოდესმე დაიბეჭდა, მაშინ, რასაკვირველია მკითხველები თავის-თავათ დაინახუნენ, რომ „დროების“ № 69-ში დაბეჭდილი ბ-ნი მოჩხუბარიძის სტატია, ჩემის ლექციების შესახებ, თავიდან ბოლომდე ცილისწამება არის.“

1 6 8 2

158. გუმბაძე [სოფრონ შვალბოლიშვილი]

„გორი 19 მარტი“

გახ. დროება, 1882, 23 მარტი, № 61, გვ. 3—4.

ავტორი გორის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ აკაკიმ 13 მარტს ნ. დიასამიძის მიწვევით გორში ვეფხისტყაოსანზე ლექცია წაიკითხა, რის შემდეგაც პოეტს გორის საზოგადოებამ შეხვედრა მოუწყო.

159. ვ. თ. [ვახტანგ ორბელიანი]

ოზოლი

წერ. ივერია, 1882, № 1, გვ. 99—104.

ტექსტი წარმოდგენს ლექსს, რომელიც თავდება სტრიქონებით:

„ვინ იყო ისა და რა იყო იმის სახელი?

ის იყო შოთა, დიდი შოთა რუის-თაველი.“

ლექსს სქოლიოში აქვს ასეთი შენიშვნა:

„ამ ლექსის დამწერს ხშირად გაუფიქრია მეფის ირაკლის ასულის თეკლესაგან, რომელიც გარდაიცვალა 1846 წ., რომ საქართველოს სამეფოს სახელში ძველ დროთაგანვე სიტყვიერად შემდეგი გარდმოცემა იყო: შოთა რუსთაველი ყოფილა ოზოლი, ტომით მესხი, სოფლოს რუის-თავიდან“, რომლის სახელითაც იმ დროებში უწოდებიათ მისთვის რუის-თაველი. შემდეგ საუბრეთა განმავლობაში შეცვლილი რუსთაველად, რუსთველად. შოთა ყოფილა მწვენიერის სახის კაცი.“

160. ტარიელი

წერილი ტარიელისა ფრიდონთან

გახ. შრომა, ქუთაისი, 1882, 2 ივნისი, № 21, გვ. 1—3, 9 სექტი.

ავტორი ტარიელის ფრიდონთან დამოკიდებულებას და ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ამბებსა და შეგონებებს ალგორითად იყენებს თანამედროვე

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გადმოსაცემად. ის დასცილდა თავდაზნაურებს, რომელთა მალალ იდეალად მარშლობის ძიება გამხდარა. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გმირებს და თანამედროვე ქართველებში მხოლოდ მათ უარყოფით სახეებსა ხედავს. მისი სიტყვით, ასმათის მიზნად ეხლა შექმნილა ქართულული პრანკვა-გრეხა, ავთანდილი დაახლოვებია ანგარეებით განთქმულს მეგროზე სომეხს. რა სწერია ვეფხისა თუ ძროხისტყაოსანში—ქართველმა აღარ იცის.

191. [უავტორო]

Барсова кожа. (Венхонс-Ткаогани)

გაზ. *Кавказ*, 1882, 6 февраля, № 34, გვ. 2—3, ჟღერუა 12 სვეტი.

წერილი ეხება მხატვარ ზიჩის სურათების გამოფენას და მის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათების დადგმას. ეტყობა სარგებლობს პლ. იოსელიანის წერილით. ავტორს მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი შენიშვნით: «Не имея возможности привести выдержки, за несуществованием сколько-нибудь сносного перевода на русский язык». აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ბარტდინსკის რუსული თარგმანის სისუსტეს.

შინაარსის დასაწყისი:

«Жизн некогда в Аравии царь Ростеван. Под старость лет он посадил на свой родительский трон единственную свою дочь, прекрасную Тиматину».

საილუსტრაციოდ მოჰყავს ორი სტროფი ქართულად.

შინაარსს ურთავს პლატონ იოსელიანის წიგნაკიდან ამონაწერებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ, რომელიც ასე თავდება:

«В сомне гениев мира литературных, украшающих племена и народы, Руставели занимает высокое место. Слава его—есть слава истории, слава рода человеческого, всегда живого, постоянно движущегося вперед, иногда болеющего, но никогда не умирающего, шагающего и стремящегося к той цели, которая указана ему провидением в общем плане мироздания».

ზიჩის შესახებ იხილეთ კიდევ *Кавказ*, № 36, 55.

192. [უავტორო]

Театр и музыка

გაზ. *Кавказ*, 1882, 9 февраля, № 36, გვ. 2

წერილი წარმოადგენს რეცენზიას 1882 წლის 6 თებერვალს ჩატარებული მხატვრულ-დრამატიული საღამოს შესახებ, რომელზედაც მხატვარ ზიჩის ილუსტრაციების მიხედვით შესრულებული იყო ცოცხალი სურათები ვეფხისტყაოსნიდან ქართველი არტისტების მონაწილეობით—თინათინის გახელმწიფებიდან ტარიელისა და ნესტანის ქორწინებამდე.

რეცენზია მოკლედ ახასიათებს შემსრულებლებს, აღწერს სურათებს და აღნიშნავს იმ ალტაყებას, რაც გამოიწვია ვეფხისტყაოსნის სცენიურმა განსახიერებამ. წერილი თავდება სიტყვებით:

«Тифлисцы не забудут этого вечера и грузинское общество скажет спасибо художнику, который так хорошо иллюстрировал бессмертное произведение обожженного поэта».

დასასრულს ავტორი მადლობას უხდის ამ საღამოს ინიციატორს კნენიან ვ. ბარათოვას.

193. [უაგტორო]

ცოცხალი სურათები „ვეფხვის ტყაოსნიდან“

გახ. დროება, 1882, 23 თებერვალი, № 39, გვ. 1—2; 5 ივნისი, № 115, გვ. 2—3.

ავტორი აღწერს მხატვარ ზიჩის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის სურათების მიხედვით ცოცხალი სურათების დადგმას და შენიშნავს: „ნეტარება იმ მეფეს, რომელსაც ისეთი ქვეშევრდომნი ჰყოლებიან, რომელთა უაღრესი სურათებიც მთელი საუკუნოების შენდევ ალტაცებაში მოიყვანს არამც თუ საკუთარ შთამომავლობას, არამედ გარეშე პირებსაც“. თამარის როლში გამოსულა მ. იოსელიანი, რუსთაველის როლში დ. ზ. სარაჯიშვილი (№ 39).

წერილი წარმოადგენს რეცენზიას „ნ. ჩოლოყაშვილის თაოსნობით და ნიკიფერის მხატვრის ზიჩის გამგებლობით“ ვეფხისტყაოსნიდან ცოცხალი სურათების დადგმაზე „საგანგებოდ აგებულ ფიკრულში“.

ავტორის შენიშვნით, სურათების დადგმა შაკატ კრიტიკას ვერ იტანს, მაგრამ ესეც მადლობის ღირსიაო. რეცენზიის მიხედვით, თამარ მეფის როლში ყოფილა ნ. ჩოლოყაშვილისა, შოთა რუსთაველის—ნამია გურიელი. „გ. შერვაშიძე ტარიელის სურათად იმისთანა იყო, რომ მგონია თვით საფლავიდან ამდგარი შოთაც არ დაიწუნებდა მისს იერს და სახის მეტყველებას.“

ავტორის სურათების დახასიათებისას მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ზოგი ადგილი (№ 115).

194. [უაგტორო]

დღიური

გახ. დროება, 1882, 23 მარტი, № 61, გვ. 1—2.

ავტორი ახასიათებს აკაკი წერეთლის მიერ არწრუნის თეატრში ქართულ ქალებზე წაკითხულ ლექციას, რომელშიაც მთავარი ადგილი დათმობილი ჰქონია თამარ მეფეს და შენიშნავს, რომ:

„ყველამ იცის, ვისაც კი შარშანდელი ლექციები „ვეფხისტყაოსნის გმირებზე“ გაუგონია თ. აკაკი წერეთლისა, თუ რა ტკბილ მოუბარი ლექტორია ის, რა ჩინებულის ქართულით, რა გარკვევით და ყველასიყის გასაგონად დახარაოებს და რა მშენიერი, მოზღვნილის, მახვილის მაგალოებითა და ეპიზოდების მოყვანით აცხოველებს ხოლმე ის თავის ლექციებს“.

195. [უაგტორო]

ადგილობრივი ამბები

გახ. შრომა, 1882, 5 მაისი, № 17, გვ. 2—3; 19 მაისი, № 19, გვ. 2—3.

ქრონიკალური ცნობები აკაკი წერეთლის მიერ ვეფხისტყაოსანზე ქუთაისში ლექციების წაკითხვის შესახებ. იქვე მოცემულია ლექციის მოკლე შენაარსი.

196. ა. წ.

განხორციელებული გმირნი შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“

გახ. დროება, 1882, 9 თებერვალი, № 27, გვ. 1—2.

წერილი ეხება ზიჩის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსნის მიხედვით ცოცხალი სურათების დადგმას და მნიშვნელობას. ავტორის შენიშვნით „ზიჩიმ გააცოცხლა ჩვენი მკვდარი ქართველნი“. ავტორი ჩამოთვლის პოემის ეპიზოდებზე გაკეთებულ 10 სურათს და მადლობას უხდის ზიჩსა და ბარბარე ბართაშვილს.

ისტორიული სურათები

ჟურნ. ივერია, 1882, № VII და VIII, გვ. 34—35.

თამარ მეფის გათხოვებასა და მისთვის საქმროს არჩევაზე მსჯელობისას ავტორს თამარ მეფის ცხოვრების საანალოგიოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან რამდენიმე სტროფი და შენიშნავს, რომ დავით სოსლანი პოემაში გამოყვანილია ტარიელის სახით, რამდენადაც „მაშა-კაცთაგან ბაგრატიონთ გვარში ეს იყო საქართველოს ტახტის შემკვიდრედ“.

1883

196. დიშტირი ბაქრაძე

შრომა ევროპულთ მსწავლელთა, განსაკუთრებით ბროსესისი, ქართულის საისტორიო წყაროების გამოკვლევაში

ჟურნ. ივერია, 1883, № III, გვ. 38—51.

ავტორი ქართველოლოგიაში ბროსესს მოღვაწეობის მიმოხილვისას შენიშნავს:

„რამდენისამე წლის განმავლობაში ბროსესემ იმდენად შეითვისა ქართული ენა, რომ შესძლო თარგმანი ქართულიდან ფრანგულ ენაზე, ქრონიკის გარდა, ვახტანგის სჯულისა და უძველესის ჩვენს პოემათა შორის რუსთველის „ვეფხისტყაოსნისა“ მთლად (Elements de la langue géor. p. XI და XVI) გვ. (47).

199. ეგ. იოსელიანი

ქართული ლიტერატურა

(წერილი პირველი) გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

ჟურნ. ივერია, 1883 № IV, გვ. 70—90.

ავტორი გაკვრით ეხება შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს რუსთაველის გავლენას ქართულ ლიტერატურაზე. ეკამათება „დროება“-ს, რომელმაც „თავის შორს-მხედველის თვალით“ ორბელიანის „უპირატესობა“ დაინახა რუსთაველთან შედარებით. ავტორი აღნიშნავს, რომ „შოთა რუსთაველის გავლენას ადვილადა გრძნობს მკითხველი თითქმის ყოველს ჩვენს შესამჩნევ პოეტზე. „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი რითმა, მეტყველობა, სიტყვის სიმდიდრე, საკვირვალად გამოკვეთილი ლექსი უმჩნევლად ხდებს თავის ნიშანს მწერალს, რაკი იწყებს იმის შესწავლას“ (გვ. 77). ეს გავლენა ავტორის სიტყვით სხვაზე უფრო ცხადად ეტყობა გ. ორბელიანს.

მოკლედ ეხება რუსთაველის ეპოქის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებას და აღნიშნავს: „რუსთაველმა დიდი ღვაწლი დასწო საქართველოს თავის პოემით. შეიღის-საუქუნის განმავლობაში ათას ნაირ ერის დარბევასა და დატყვევებაში მან შეინახა „ვეფხისტყაოსნით“ ლიტერატურული ენა. არც ერთ პირს არ მიუძღვის ჩვენს ისტორიაში ამნაირი ღვაწლი ერის წინაშე. „ორბელიანი კარგად ჰხედავდა ამას და გულ-მტკივნეული შეჰყურებდა რუსთაველის ენის დამახინჯებას“ (გვ. 78).

შინაური საქმეების მაგიერად (ძმური მასლათი)

თურნ. იმედო, 1883, № 1, გვ. 81—96.

აეტორი „კებელ-ბოსლეველშინასთან“ პოლემიკაში, ილია ქავკავაძის ლანძლეა-გინებასთან დაკავშირებით, უსაუვედლოებს კებელს, რომ „რუსთ-ველს და დავით გურამიშვილსაც ეძგერა“ (გვ. 91) და შენიშნავს:

„რუსთველი კებელს ხელში! განა ეს „გულივერ-ლილიპუტობა არ არის?!“ ოხ, ნეტავი ნა-ბევარ წუთს მაინც წამოგახედა შენ, შოთა, ჩვენო საშუალ საუკუნოების უკვდავო დანტე—ასე ვნატრობდი მაშინ. დანტეს შესწავლისათვის რავენის, / თუ რომელიღაც უნივერსიტეტში ცალკე კათედრა დააარსეს და ჩვენ კი... კებელი კი... საუკეთესო ქართველები რუსთველის თითო სიტყვაზე დღე და ღამ ბაასობენ, სჯიან, მოსვენებაში არ არიან და კებელი კი...“ (გვ. 93).

201. არტურ ლეისტო

შიფიწყებული ლიტერატურა

წერილში: ვროპიელის ახრი ჩვენს ლიტერატურაზედ

თურნ. ივერია, 1883, № 1, გვ. 155—162.

იგივე წერილი გადაბეჭდა გაზ. „დროებამ“ (1883, 9 თებერვალი, № 28, გვ. 1—3) სათანადო შენიშვნებით.

რედაქცია წერილს უკეთებს შენიშვნას იმის შესახებ, რომ „ერთს ნემეცურს თურნალში, რომელიც, ვგონებთ ლეიპციგში გამოდის, დაბეჭდილია ერთის ნემეცის, არტურ ლეისტის წერილი შესახებ ჩვენის ლიტერატურისა. თურნალსა ჰქვიან „Magazin fur Literatur des In-und Auslandes“.

ქართული ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას აეტორი გააკრით ჩერდება თამარის ეპოქის საქართველოს მდგომარეობაზე და რუსთაველზე აღნიშნავს: „გამოჩენილი პოეტი იმ შორეულის ეპოქისა არის რუსთაველი, დამწერი შესანიშნავის ეპოსურის თხზულების „ვეფხვის-ტყაოს-ნისა“, რომელშიაც მრავალი მშვენიერებაა. ზოგნი ამ თხზულებას „ნესტან-დარეჯანიანს უწოდებენ“ (გვ. 158).

202. პ.

უსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი

გაზ. დროება, 1883, 20 მარტი, № 60, გვ. 1—2.

აქარელი ბეგის, ჩაქვის ბატონთა შთამომავლის უსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლის დახასიათებაში აეტორი შენიშნავს, რომ მან „მთელი „ვეფხვის ტყაოსანი“ ზეპირად იცოდა, კარგი მკითხველი და წესის მცოდნე იყო“.

203. [შოთა რუხთაველი]

ვეფხვის ტყაოსანი თხზულება შოთა რუხთაველისა

თ. პ. გ. წულგუიძის გამოცემა, ქუთაისი, 1883, გვ. 1—183.

ტექსტს სათვალავი არა აქვს, შეიცავს 1581 სტროფს. არა აქვს არც წინასიტყვაობა, არც ლექსიკონი და არც სარჩევი პოემისა.

რეცენზია: პ. უ.—ქართული მწიგნობრობა, თურნ. ივერია, 1883, № 7—8, გვ. 139—145. იხ. ანოტაცია № 205.

სანდაზო ლექსები

ამოკრეფილნი ვეფხვის-ტყაოსნიდამ^ა

ჟურნ. ივერია, 1883, № 11, გვ. 62—76; № 12, გვ. 35—49.

სათაურს (№ 11-ში) აქვს შენიშვნა:

„პირველის სტრიქონის პირველის ასოს მიხედვით ანბანზედ ჩამოვარიგეთ ლექსები. ზოგი იქნება სანდაზოდ არ ვარგოვდეს, მაგრამ ჩვენ მაინც ამოვწერეთ, როგორც სიტყვა-მოხერხებულნი მაგალითნი, ზოგან მხოლოდ ორიოდღე ლექსში თითო-ორიჯერ სიტყვა შევეცვალეთ, რომ ეკრძოდ თქმულს ახრს ზოგადის ახრის მნიშვნელობა მისცემოდა“.

№ 11-ში ა—დ ასოებზე დალაგებულია 36 აფორიზმი. დასაწყისი:

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩენია სულსა გულსა“.

„ამოა კვრეტა ტურფისა, სიახლე საყვარლისა“.

№ 12-ში ე—ი ასოებზე დალაგებულია 22 აფორიზმი, დასაწყისი:

„ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

ქართული მწიგნობრობა

ვეფხისტყაოსანი—თხზულება შოთა რუსთაველისა

თ. პ. გ. წულუკიძის გამოცემა, ქუთაისი, თ. პეტრე გ. წულუკიძის სტამბა

ჟურნ. ივერია, 1883, № 7—8, გვ. 139—153.

ავტორი ვაკერით ეხება პ. გ. წულუკიძის მიერ 1883 წ. ქუთაისში გამოცემულ ვეფხისტყაოსანს. წერილის დასაწყისში მოკლედ მიმოიხილავს წულუკიძის სტამბის პროდუქციას. აფასებს ვეფხისტყაოსნის გამოცემის გარეგან მხარეს და აღნიშნავს, რომ „ეს შეშვიდე გამოცემა მეექვსედამ არის გადმობეჭდილი ცოტაოდენის შეცვლით“. ჩამოთვლილია გამოცემანი 1712, 1841, 1846, 1860, 1867, 1875 წლებისა. რეცენზენტი შენიშნავს, რომ გამოცემას არა აქვს ასეთი წიგნისათვის საჭირო შენიშვნები ტექსტის რაობის შესახებ და არც სათანადო ლექსიკონი სიტყვების ახსნით. ვეფხისტყაოსანზე აქამდე არავითარი კრიტიკული განხილვა არ მოიპოვება ბროსეს წინასიტყვაობისა და ვახტანგ მეფის შენიშვნებს გარდა (გვ. 145).

ავტორის შენიშვნით, საჭიროა ვეფხისტყაოსნის ირგვლივ საკვლევა-ძიებო მუშაობის გაფართოება.

დასასრულ, რეცენზენტი ვერცლად ჩერდება იმ შრიფტის განხილვაზე, რომლითაც პირველად დაუბეჭდავთ ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა (გვ. 146—152).

ახალი ამბები [სხვადასხვა ცნობები რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. დროება, 1883, 8 მაისი, პე 85, გვ. 3; 25 მაისი, № 97, გვ. 2; 14 ივნისი, № 111, გვ. 2; 7 ივლისი, პე 130, გვ. 2; № 145, გვ. 2; 7 სექტემბერი, № 176; 18 სექტემბერი, № 184, გვ. 1.

ცნობები იმის შესახებ, რომ:

ერთ შექმნულ პირს განუზრახავს ვეფხისტყაოსნის გამოცემა (№ 85).

თბილისში ერთი მოქანდაკე აკეთებს შოთა რუსთაველის ბიუსტს (№ 97).

რედაქციას მიუღია შოთა რუსთაველის ბიუსტი, რომელიც გრ. ჩარკვიანის წინადადებით გაუყვებია სკულპტორს შლიტერს. იქვე მოცემულია ბიუსტის მოკლე აღწერილობა (№ 111).

ქუთაისში პ. გ. წულუკიძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის მოკლე აღწერილობა რამდენიმე ტექნიკური ხასიათის შენიშვნით (№ 130).

თ. მ. მინგრელსკის წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შეუწირავს შოთა რუსთაველის სურათი (№ 145).

ა. ცაგარელის სამეცნიერო მოღვაწეობის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ მის მიერ შეკრებილ მასალებში მოიპოვება შოთა რუსთაველის პორტრეტი, გადმოღებული იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის კედლიდან, გრძელი წვერით, მუხლ-მოდრეკილი (№ 176).

გაზ. «ჩხაკია»-იდან გადმობეჭდილია ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ მასწავლებელს გულაკს რუსულად უთარგმნია ვეფხისტყაოსანი და ამასთან ერთად გულაკი აპირებს ლექციების წაკითხვას ვეფხისტყაოსნის შესახებ (№ 184).

207. [უაცტორო]

ბიბლიოგრაფია—ქართული კლასიკები: № 1 ჩახრუხაძე, № II შავთელი
გამოცემა ზ. კიკინაძისა.

გაზ. დროება, 1883, 17 სექტემბერი, № 183, გვ. 3.

ავტორი ზ. კიკინაძის მიერ გამოცემული წიგნების მდარე ღირსების აღნიშვნისას ერთმანეთს უპირისპირებს რუსთაველს, ჩახრუხაძეს, შავთელს და შენიშნავს, რომ, თუმცა მათი წერის საგანი ერთი და იგივეა, მათ პოეზიას შორის დიდი განსხვავებაა. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს რუსთაველის ერთი სტროფი, რომელსაც დასძენს: მასში «ჟაკი კარგად იგრძნობს რუსთაველის სულთა-მბერავი კალმის ძლიერებას».

208. [უაცტორო]

ბიხმარკა და ნესტან-ღარეჯანი
წერილი: კვირის საუბარი

გაზ. დროება, 1883, 27 ნოემბერი, № 239, გვ. 1—3.

ავტორი ვეფხისტყაოსანში ხატაეთ-ჩინეთის დამოკიდებულებას იყენებს. საანალოგიოდ ევროპისა და ჩინეთის ურთიერთობის გამოსახატავად.

«...ევროპაში ვერა გაუგიათ-რა იმითომ... იმითომ რომ «ვეფხისტყაოსანი» არ წაუკითხათ: მაგრამ მე კი კარგად მესმის, რადგან ძირანუებებსა და ჩინელებს შუა ომი თვალნათლივ მინატრეს ტარიელის ბატავეთზედ გალაშქრებას. შეადარეთ ინდოეთი საფრანგეთს, დიპლომატიაში გამოკახარაკებული ბისმარკი — ნესტან-ღარეჯანს, მარკიზი ძენგი — რამაზ მეფეს და ყოვლისფერი ცხადი იქნება» (გვ. 3).

ავტორს გაჰყავს რამდენიმე ანალოგია ვეფხისტყაოსანსა და პოლიტიკურ სიტუაციებს შორის, საილუსტრაციოდ მოჰყავს პოემიდან რამდენიმე თქმა და შენიშნავს:

«რუსთაველს ერთი დიდი ღირსება კიდევ გამოაჩნდა, რომელიც დღემდის დაფარული იყო. ის არამც თუ კალმის სულთ-მბერავი იყო და საზოგადოდ კაცის გულთა-მხილავი ყოფილა დიპლომატების გული, თითო ჩინელ დიპლომატებისაყ კი წინ გადაშლილი ჰქონია და მათი საიდუმლო თაის გამკრიაბის თვალთ ამოუკითხავს» (იქვე).

209. [Бебур Б.]

Грузинския народныя сказки

Собранныя Бебур Б.*

С.-Петербург, 1884, 80 გვ.

წიგნის შესავალში ქართული სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი გაკვირით ჩერდება შწერლობაზე და აღნიშნავს:

«Но самым видным памятником «золотого века» считаются в Грузии литературные произведения грузинского народного поэта Шотта Руставели, оставившего своим соотечественникам блестящую поэму в стихах под названием: «Барсова кожа» и некоторых других.

Насколько поэма Руставели популярна среди народа, видно из того, что в прежние, время по обычаю—девушка грузинка не выходила замуж не выучив Руставели наизусть. Список поэмы, тоже по обычаю, выдается каждой невесте в приданное.

Отдельные изречения и афоризмы пошли в поговорки народа и нет в Закавказском крае ни одного грузина, даже безграмотного, который не декламировал бы Руставели по наслышке» (გვ. 3—4).

210. [უავტორო—გულაკი]

შინური ქრონიკა [ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გახ. დროება, 1884, 13 მარტი, № 56, გვ. 2.

ქრონიკალურ ცნობას იმის შესახებ, რომ 13 და 20 მარტს თბილისის „ქრუეოკში“ მასწავლებელი გულაკი წაიკითხავს ორ ლექციას ვეფხისტყაოსანზე ერთდროულად ლექციების პროგრამა:

„შესავალი. როდის არის დაწერილი პოემა. თარგმანები და შემოკლებანი. ბიოგრაფიული ცნობები რუსთველზე. „ვეფხვის ტყაოსნის“ შესწორება და გადასხვაფერება. ბროსეს გამოცემა. რუსთველს თამარ-დედოფალი უყვარდა. ახრი ედგარ კინესი ტრუბადურის სიყვარულზე თავის ქოდალურ გულის საყვარლისადმი. რუსთველის მოკმედეგების ბოლო—მონასტერი. რუსთველის ხედვრთან შედარება.

პოემის გარეგანი ცოცხლობა. ლექსთა-წყობილება რითმიულია და არა სილაბიური. ხმის შეჩერება. ლუთისადმი მიმართება. თამარის ქება. როსტევენი და თინათინი. ბუნებაც ქართულია და კაცნიც ქართველები არიან. როსტევენი და მისი ქვეშევრდომნი ნამდვილი ქრისტიანები არიან; ინდოეთის, გულანშაროს და ზღვათა სამეფოს მცხოვრებნი—მხამბდიანები, ჩინელები და ქაჯები კი—კრატმისაზურნი. „ვეფხვის ტყაოსანი“ მართლა სპარსულიდამ არის ნათარგმნი, თუ არა? საზოგადო შთაბეჭდილება მთელი პოემის წაკითხვის შემდეგ.

განსაკუთრებული თვისება „ვეფხვის ტყაოსნის“ გმირთა არის სიმამაცე, გამბედაობა, სიმართლე, სიტყვის შესრულება და სიუბევე. სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“; სიყვარული დასავლეთში. სონეტი დანტედამ. სიყვარული აღმოსავლეთში. ავთანდილის სიყვარული. მისი მიმართება მნათობთადმი. თინათინისადმი მისი ლაღატი. ფატმანის სურათი. ნესტან-დარეჯანის სიყვარული. როგორ ესმოდა თითონ რუსთველს სიყვარული? არა ამ ქვეყნიურ სიყვარული. ქართველისტიკა როსტევენისა, ავთანდილისა და ტარეელისა*.

ამ პროგრამას რედაქცია ურთავს შემდეგ შენიშვნას:

„უბეჭდელია, ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს უცხო პირის ცდას, რომ ჩვენს უკუდავ პოემას თაღისებური ნათელი მოაზრების და ქართულის უცოდინართაც გააცნოს“ (იხ. ანოტაცია, № 211).

О Барсовой коже Рустаели

Две речи произнесенные в Тифлисском кружке, 13 и 20 марта 1884 года
Тифлис, 1884, ცალკე წიგნაკად, გვ. 59.

იგივე პირველად დაიბეჭდა: СМОНПК, 1884, вып. IV, гв. 129—187.

მასზე ბიბლიოგრაფია: ვახ. К л а в к а з, 1884, 2. XI, № 245, გვ. 3.

ნაშრომი ძირითადად კომპილაციური ხასიათისაა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის, პოემის სიუჟეტის და დაწერის თარიღის საკითხებზე. ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის უცხოურ ენებზე გაცნობის მდგომარეობას. აყენებს ორიგინალობის დებულებას და პოემის სიუჟეტის ანალიზით ცდილობს დაასაბუთოს პოემის შინაარსის ორგანიული კავშირი საქართველოს სოციალურ ცხოვრებასთან, რომლის გამოხატულებად მიაჩნია ვეფხისტყაოსანი. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი ქართული ორიგინალური ნაწარმოებია, დაწერილი თამაზ მეფის საჭებრად; ის მშვენიერად გვიხატავს ძველი საქართველოს ზნეობას, ჩვეულებასა და იდეალებს. მისი შენიშვნით, «Каждый Аравитянин и Индеец в Барсовой коже в сущности истинный Грузин, и карталинский элемент разлит, словно запах роз, по всей поэме» (გვ. 3). მიუხედავად იმისა, რომ სპარსული ლიტერატურის მკოდნენი დაბეჯითებით ცდილობდნენ ეპოვათ ვეფხისტყაოსნის სპარსული პროტოტიპი, ასეთი ვერ აღმოუჩენიათ, რადგან ის არც არსებობს (გვ. 5).

ავტორი იზიარებს დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას, რომ ნესტან დარეჯანის სახელში იმალება თამარ მეფე და უმატებს, რომ თინათინიც თამარის პიროვნების სურათს გვიხატავს (გვ. 6). მისი აზრით, როსტევეანი და თინათინი ქართული სახელებია, ბუნება პოემისა ქართულია ისევე, როგორც გმირთა მიერ მზის დაფიქების ჩვეულება (გვ. 11). როსტევეანი და მისი ქვეშევრდომნი მაჰმადიანები არ არიან. ისინი ქრისტიანული მწერლობისა და სარწმუნოების ცოდნას ამგლავებენ, მათ საუბრებში მოჩანს ფსალმუნებისა და სალეთო წიგნების კვალი. ქრისტიანულ კვალს გამოხატავს აგრეთვე გმირთა რწმენა საიქიოს ცხოვრების არსებობისა. მეორე მხრით, პოემაში გამოხატულია მაჰმადიანური მსოფლიოც. პოემის პირველი ნახევარი — როსტევეანის ამბავი — წმინდა ქართული — ქრისტიანულია. მასში ბუნება, ხალხი და ჩვეულებანი ქართულია. ინდოეთისა, გულანშაროსა და ქაჯეთის ამბავი კი «ათას ერთი ღამის» მსგავსი სპარსული ზღაპრიდან უნდა იყოს აღებული (გვ. 12).

მხატვრული ღირსებით ვეფხისტყაოსანი სხვა მსოფლიო ეპიკურ თხზულებებზე მაღლა დგას. სიყვარულის გაგება მას ასხეივებს აღმოსავლურ თხზულებათაგან. პოემის გმირები ქმნიან მაღალი ღირსებით აღჭურვილ ტიპებს, რომელნიც ახორციელებენ იმ მაღალ იდეალებს, რაც საქართველოს ცხოვრებას ამოძრავებდა.

ავტორის საერთო დასკვნით: «Барсова кожа не есть наивная эпопея вроде Илиады, Одиссеи и даже Нибелунгенов; Она также не есть воспевание знаменательного деяния родины, каковы, напр., Слово о полку Игореве, Chanson de geste о Роланде и т. п. Это есть искусственная поэма» (გვ. 13). ავტორი ადარებს რუსთაველს მსოფლიო კლასიკოსებს, სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის პოეტიკის ცალკეულ საკითხებზე და არკვევს რუსთაველის ლექსის აგებულებას. მისი აზრით, რუსთაველის ლექსის ზომა არ არის სილაბური; ქართულ ენას, ევროპული ენების მსგავსად, ახასიათებს.

არა მხოლოდ ბგერათა სიგრძე და სიმოკლე, არამედ მახვილიც. რუსთაველის ლექსს ცეზურა ჰყოფს ორ თანაბარ ნაწილად, რომელნიც სამსამი ტერფისაგან შესდგებიან, თითოეულში ერთი მახვილით ისე, რომ ბერძნულ ჰეგზამეტრს ემსგავსებიან (გვ. 8). საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს რუსთაველის ლექსის ზომათა სქემები.

219. [უაფთორო—თხორევესკი]

შინაური ქრონიკა [ვეფხისტყაოსნის თარგმნა]

გახ. დროება, 1884, 26 ივნისი, № 137, გვ. 1; 13 აგვისტო, № 176, გვ. 1.

ქრონიკის ერთი ტექსტი სანიმუშოდ მომყავს სრულად:

„ჩვენ შევიტყუეთ, რომ პოემის „განდვილის“ მთარგმნელს ბ-ნ თხორევესკის განუზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნაც რუსულ ენაზედ ლექსად. მას უკვე მიუღწია ერთის პირისათვის ამ პოემის რუსულად გადაღება სიტყვითი სიტყვად. თხორევესკის განზრახვა აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებიც სხვა გადათარგმნილ ლექსებთან ერთად ცალკე წიგნად დაბეჭდოს.“ № 137).

თხორევესკის თარგმანთა მოკლე მიმოხილვაში აღნიშნულია მისი დაპირება ვეფხისტყაოსნის თარგმანის შესახებ, თუ კი „ძალა და ღონე შემეწიაო“, რასაც რედაქცია ურთავს ასეთ შენიშვნას:

„ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბარათაშვილის „მერანის“ გადამთარგმნელს რუსთაველის პოემის შეგნებაც აღარ გაუჭირდება და მისი ეკვი მხოლოდ ავტორის ჩვეულებრივი მორცხეობა და თაუდაბლობაა“ (№ 176).

218. [არტურ ლეისტა]

ქართული ლიტერატურა
წერილი არტურ ლეისტისა

Literatura Gruzinska.—Artur Leista. Ateneum, Marzee, 1884)

ჟურნ. ივერია, 1884, № V და VI, გვ. 91—126.

ქართული კულტურისა და მწერლობის საერთო მიმოხილვისას, გაცკრით ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე („ვეფხისტყაოსანი“ ანუ „ვეფხისტყაოსნის“ შემოსილი კაცი“ (გვ. 99). ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ თხზულებაში მოქმედება გადატანილია არაბეთში და ვრცლად მოთხრობილი ამბავი ჰხატავს მაშინდელ ქართველების დიდებულ ცხოვრებას“ (იქვე).

ავტორი მოკლედ გადმოსცემს ვეფხისტყაოსნის შინაარსს (გვ. 99—100), ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და მოკლედ მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები და აღნიშნავს, რომ „რუსთაველის შემდეგ ქართველთ მუზა ისე აღარ ამალღებულა“ (გვ. 101).

214. [უაფთორო—ი. მელუნარია]

შინაური ქრონიკა [ვეფხისტყაოსნის თარგმნა]

გახ. დროება, 1844, 3 აგვისტო, № 168, გვ. 2.

ტექსტი, რომელიც შეიცავს ქრონიკალურ ცნობას, მომყავს სრულად:

„ერთი ჩვენი მწერალთაგანი შესდგომია სრულის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ძრანცუხულ ენაზედ. მეთხმედი კიდევაც გადმთარგმნია და დანარჩენის გათავების იმედი სექტემბრისათვის აქვს. რალა თქმა უნდა, რომ ძრანცუხული თარგმანი დაიბეჭდება კიდევ „ლეგუპის“ ან რენანის წინასიტყვაობით“, რაფორცა ცუფერს ამ აზრით გატაცებული მთარგმნელი“.

ვეფხისტყაოსნის ფრანგულად მთარგმნელი ი. მელუნარიაა.

ჯერ არ დაბეჭდილი სელნაწერი «L'homme à la peau de tigre» par
Chota Rousthaveli «ვეფხისტყაოსანი» ქრანცუზულს ენაზე
ნათარგმნი იონა შეუნარგიაზი

გახ. დ რ ე ბ ა, 1884, ნოემბრის 28, № 256, გვ. 1—3, ქვედურა, 12 სვეტი.

სათაურს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა:

„ეს შრომა ჩვენი გამოჩენილის პოემის შესახებ ევთენის ბ. მურიეს, რომელიც აპირობს მის დაბეჭდვას ფრანკუზულს ენაზე, მაგრამ დაბეჭდვამდე დაგავალა და გადმოგვცა ჩვენ ჩვე-
ნის მკითხველებისათვის გასაცნობად“.

დასაწყისში ავტორი გამოთქვამს გაეკირებებას, რომ მოიპოვება ქართ-
ველი, რომელიც ეხლანდელს დროში რამდენიმე თვეს ანდომებს პოემის ფრან-
გულად თარგმნას, და აგრეთვე მოიპოვება ისეთი კომერსანტი, რომელსაც
ათასი თუმანი არ ენანება ლიტერატურულ ნაწარმოებთა დასაბეჭდად. ავტო-
რისათვის იონა მეუნარგიაზს მიუღწევია ფრანგულად თარგმნილი ვეფხისტყაოს-
ნის შესწორება. ავტორი შენიშნავს: „თუ ვეფხვის ტყაოსანი საუკეთესო ქარ-
თული კმნილებაა, მე მგონია, ძრანკუზულადაც არ უნდა გამეკირებოდა მისი
გაგება“.

მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნა-გაცნობის ისტო-
რიას.

„მე მინდა ვეადო აუხსნა, თუ როგორ შეთხზა რუსთაველმა ეს ვრცელი ეპიკური პოემა;
რა აზრით შეთხზა იგი, რა გარემოებაში და რისთვის, ან ვისთვის; რა არის ამ პოემის მნი-
შნელობა; რა არის მისი ღირსება და ნაკლულევანება“.

მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას, აღზრდა-განათლებას, მოღვა-
წეობას. ავტორი შენიშნავს, რომ ვეროპიელი ტრუბადურისაგან დიდად გან-
სხვავდებოდა კავკასიელი მელექსე თავისი მდგომარეობით და საზოგადოებასთან
ურთიერთობით, და უარყოფს თამარსა და რუსთაველს შორის სიყვარულის
არსებობის შესაძლებლობას. პოეტი საქვეყნოდ ვერ გამოაცხადებს თავის სი-
ყვარულს სამეფო პიროვნებისადმი, როგორც ზოგიერთს ჰგონია, და ვერ ულა-
ტებდა თავის დღეის, რომ სიყვარულს შალვა უნდა. ავტორი აგრეთვე
უარყოფს, რომ თინათინი და ნესტანდარეჯანი თამარის განსახიერება იყოს.
ავტორის რამოდენიმეჯერ საილუსტრაციო მასალად მოჰყავს პოემიდან
ცალკეული სტროფები.

216. თ. უორდანი

შოვარ-ემისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართლის სტამბის საქმე
მე-XVIII საუკუნეში

ჟურნ. ივერია, 1884, № II, თებერვალი, გვ. 31—56.

ავტორი ვახტანგის საგამომცემლო მუშაობის მიმოხილვისას სქოლიოში
შენიშნავს:

„სხვა საერო წიგნებთ შორის მხედრულის შრიფტით დაბეჭდა მეფე ვახტანგის სტამბაში
ჯუკდავი კმნილება რუსთაველისა — ვეფხისტყაოსანი“. ჩვენამდე მოღწეულის ცნობებით ამ
წიგნის დაბეჭდვამ დაძაბა ცილობა მაშინდელი კათალიკოსის დომენტი მესამის და ვახტან-
გის შორის და ამ ცილობამ ორად გააძეო მაშინდელი საზოგადოება. ერთი ნაწილი, რომლის
მოსთავე იყო ასეტური შებედულობისა და წმინდის ცხოვრების მიმდევარი კათალიკოსი,
უწოდდა ამ წიგნს ჯოჯოხეთის კარად, განმზრწნულად ზნეობისა, თესლად უსჯულთებისა და
თვით რუსთველს—შქადგებლად და მოციქულად ეშმაკისა; რომლისაგამო სდგენილდნენ დაბე-
ჭდილს შოთას წიგნს, ბევდენ და სწუაედენ; მაგრამ მეორე, უმრავლესი ნაწილი საზოგადოე-

ბისა, რომელსაც გუთუნოდა თითონ მეფე წინააღმდეგ ამისა, ღირსეულად აფასებდა პოეტს და მისს ნაწერს და იმ ნაწილებს მის ნაწერისას, რომლებზედაც მოწინააღმდეგენი უთითებდნენ, ალღეგორიულად ხსნიდნენ“. (გვ. 48).

217. ა. ნანეიშვილი

ბიბლიოგრაფია

(იოვანე შეთელი (აბდულ მესია) XII საუუნესში (?) ზ. მთაწმინდელისა)

გაზ. დ რ თ ე ბ ა, 1884, 26 იანვარი, № 19, გვ. 1—3, ქვედურა, 12 სტეტი.

ავტორი კრიტიკულად არჩევს ზ. მთაწმინდელის წიგნაკს, ეკამათება ქართული ორთოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე და აღნიშნავს მისი ენის უმწეობას. ავტორს ზ. მთაწმინდელის საკამათოდ, იმის დასამტკიცებლად, რომ „აბდულ-მესია“ არის გმირი, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სტროფი: „ამირან დარეჯანისძე...“. დასასრულ ჩერდება „რუსთაველის“ დაწერილობის საკითხზე და შენიშნავს: „არ ვიცი თ რა საბუთით სწერს „რუსთაველს“ და არა „რუსთაველს“ ანუ „რუსთველს“.

218. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსნის აფორიზმები

ხანაზო ლექსები ვეფხისტყაოსნიდამ

(ამოკრეფილნი ი. ჭავჭავაძის მიერ „ვეფხისტყაოსნიდამ“, „ქილილა და მანილაჰ“ და „გურამიანიდამ“).

ჟურნ. ი ვ ე რ ი ა, 1884, № I, იანვარი, გვ. 27—41; № V—VI, გვ. 65—82; № VII—VIII, გვ. 89—104.

ასო „კ“-ზე მოიპოება 13 აფორიზმი.

„აქამან საქმე მოიგვაროს, ვევე კმუნეას ეთე ჰსჯობდეს“.

„ლ“-ზე „მ“-ზე.

№ V და VI, მაისი და ივნისი, გვ. 65—82.

„ნეტა ყვათი ვარდს რას აქნევს? ანუ რა მისი ფერია?“

№ VII და VIII, გვ. 89—104.

219. Давид Сослани

Ксанское ущелье 14 марта

გაზ. Новое обозрение, 1884, 18 марта, № 74, გვ. 2.

ავტორი, ეხება რა ქსნისა და ახალგორის რაიონების სავალალო მდგომარეობას ხალხის გაუნათლებლობის თვალსაზრისით, აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც არაგვისა და ქსნის ნაპირებზე მდებარე ამოდენა სოფლებში მხოლოდ ერთი-ორი ინტელიგენტი მოიპოვება, გაზ. „დროება“ დიფირამბებს ასხანს, რომელიდაც მეცენატს, რომელმაც 10.000 მანეთის ასიგნობა გააკეთა შოთა რუსთაველის ცნობილი პოემის ვეფხისტყაოსნის მდიდრული გამოცემისათვის. ავტორის დასკვნით, ოქროს უღამიც რომ ჩაიხვას ვეფხისტყაოსანი, ამით ის უფრო პოპულარული არ გახდება, ვიდრე არის, არამედ ის ფუფუნების სხვა საგნებთან ერთად მხოლოდ ქართველი არისტოკრატების კაბინეტებს დაამუყენებს (ავტორი გულსხმობს ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეულ გამოცემას).

Миссия иностранца о «Барсовой коже»

(По поводу перевода поэмы на французский язык)

გაზ. *К а з а к з*, 1884, 28-го ноября, № 265, გვ. 2—3, ჰედეურა, 12 სვეტი.
 30-го ноября, № 267, გვ. 2—3, ჰედეურა, 12 სვეტი.
 1-го декабря. № 268, გვ. 2—3, ჰედეურა, 12 სვეტი

პირველი წერილის სათაურს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა:

«Статья эта написана для нас бароном Сутнером на французском языке».

მისი ქართული თარგმანი დაიბეჭდა:

ჟურნ. ივერია, 1884, № XI, XII, გვ. 68—102.

გაზ. *ღ რ თ ე ბ ა*, 1884, ნოემბრის 30 № 258, გვ. 1—3, ჰედეურა, 12 სვეტი.
 დეკემბრის 1, № 259, გვ. 1—3, ჰედეურა, 12 სვეტი.
 დეკემბრის 4, № 261, გვ. 1—3, ჰედეურა, 8 სვეტი.
 დეკემბრის 5, № 262, გვ. 1—3, ჰედეურა, 12 სვეტი.
 დეკემბრის 8, № 264, გვ. 1—2, ჰედეურა, 8 სვეტი.
 დეკემბრის 9, № 265, გვ. 1—3, ჰედეურა, 12 სვეტი.

ჟურნ. «ივერია» წერილს შემდეგნაირად იწყებს:

„გადათარგმნა თანამედროვე ჯერაბილუს ენაზე იმ გეარის პოემისა, რომელიც ვეუთენის ძელს აზიურს ლიტერატურას, მძიმესა და ძნელად გასაბედს საქმეს შეადგენს და ამიტომ ღირსია საზოგადოების სრულის ყურადღებისა“.

ანოტაციას ვიძლევი „ღროება“-ს მიხედვით.

პირველ წერილის სათაურს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა: „ეს წერილი შედგენილი ფრანკუზულად ბარონის სუტნერისაგან დაბეჭდილი იყო „კაკაჯანის“ მე-265 №-ში“. ბარონ სუტნერი აწერია მხოლოდ უკანასკნელი წერილის ბოლოს.

წერილების სერია წარმოადგენს ი. მენარგიას მიერ ფრანგულად თარგმნილი ვეუთენისტყაოსნის განხილვა-შეფასებას ძირითადად მხატვრული თვალსაზრისით, მსოფლიო ლიტერატურული ანალოგიებით. დასაწყისში ავტორი აღნიშნავს ვეუთენისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში და გაკვირით შენიშნავს, რომ რუსთაველმა ერთი სპარსული თქმულებისაგან შექმნა 1500 სტროფიანი პოემა. „რალაც განახლების ნიავმა დაპბერა საქართველოს გონებრივს ცხოვრებას“ თამარის ეპოქაში, როდესაც შეიქმნა რუსთაველი. ავტორი ამასთან დაკავშირებით ებება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა, განათლებისა და ლიტერატურული თხზულების თარგმნის მნიშვნელობის საკითხებს. ამასთან ერთად მისი შენიშვნით, თუმცა ქართული ენის უცოდინრობის გამო მისთვის ძნელია თარგმანის სისწორეზე აზრის შედგენა, მაინც ვეუთენისტყაოსნის დედანსა და ამ თარგმანს შორის დიდი ზღვარი არ უნდა იყოს (№ 258).

ავტორი აყენებს საერთოდ თარგმანის ღირებულების საკითხს დედანთან შედარებით და შენიშნავს, რომ რუსთაველის კარგი შესწავლა მომავლის საქმეა. მისი შენიშვნით, პოემის წაკითხვამდე მას ეკვი ჰქონდა—შეიძლებოდა თუ არა რუსთაველს მესამე ადგილი მიჰკუთვნებოდა ისეთი პოეტების შემდეგ, როგორც არიან ვალტერ ფონ დერ ვოგილ ვეიდე და ვოლტრამ ჭონეშენბახი. ავტორი ადარებს რუსთაველს შუა საუკუნეთა ევროპული ლიტერატურის წარმომადგენლებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველი გენიოსია:

ინ დროს, როდესაც საქართველოში დაიწერა ასეთი ეპიკური თხზულება, ვეროპა ვერ დაიკვებინდა დიდი პოეტებით; ეხება რუსთაველის ადგოვს მსოფლიო პოეზიაში; იხილავს პოემის მხატვრულ კონსტრუქციას და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი არის „სრული რომანი აგებული და აშენებული ხელოვნების ყველა მოთხოვნილებათა თანახმად და შესაბამად, ე. ი. რომანი, რომელსაც აქვს თავისი ესრედ წოდებულის ნასკევით განმახალისებელი დასაწყისი და ამ ნასკევის გარკვევითვე გამოცხადებული ბოლო და დამთავრება“. „მიუღვომლობა გვაიძულებს გენიოსი ვუწოდოთ რუსთაველს, რადგან მან შეადგინა რომანი იმ დროს, როცა ეს ეპიკური პოეზიისა ვერ არ არსებობდა ევროპაში“ (№ 259).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხს რუსთაველის განცხადებასთან დაკავშირებით იმის შესახებ, რომ მან სპარსული ამბავი გალექსა, და აღნიშნავს, რომ უცხო ამბავს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს შემოქმედებითი მუშაობის ღირსებისათვის. პოემას არ ამცირებს, რუსთაველს სპარსული თქმულებითაც რომ ესარგებლოს. მოჰყავს ანალოგიები ამბავის სესხებისა მსოფლიო ლიტერატურაში. საილუსტრაციოდ აღარებს ევროპელ მწერლებს, რომელთაც სხვისი მასალით უსარგებლიათ. იხილავს ვეფხისტყაოსანში გამოხატული მიჯნურობის თეორიას. მისი შენიშვნით, პოემას თავიდან ბოლომდე გასდევს მთავარი აზრი—ამაღლებული, ეტიკეტი სიყვარული. პოეტი პოემაში ასორციელებს თავის თეორიას სიყვარულსა და პოეზიაზე, რაც პროლოგში აქვს გამოთქმული. რუსთაველს თავისი გმირების ხასიათები დახატული აქვს ადამიანური გულით ღრმად ცოდნით და დიდის გულ-დადებით. ასეთი ადამიანური ხასიათები XII საუკუნის სხვა პოეტურ თხზულებებში არ მოიპოვება. იგი თვით რუსთაველია (№ 261). ავტორი იხილავს გმირთა ხასიათებს, მათ ურთიერთობას, რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებს და იდეალებს. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის მაღალი იდეალები საქართველოს მდგომარეობის გამოხატულებაა. რუსთაველმა გმირთა დახატვაში იხმარა ისეთი ხერხები, რომელიც 400 წლის შემდეგ ტორკვატო ტანსომ გამოიყენა (№ 262). ავტორი მიუთითებს რუსთაველის შემოქმედების ზოგ ნაკლოვან მხარეზე. მისი აზრით, ეპიკურ პოეტს არ შეჰფერის ისეთი სახეები, რომელსაც რუსთაველი ხშირად მიზარტავს. რუსთაველი გადაქარბებით ხმარობს მნათობთა ეპითეტებს და ბევრს ატირებს თავის გმირებს (№ 264).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ეპიზოდებს პოემის საერთო სიუჟეტსა და მიზანთან ურთიერთობაში. წერითი თავდება შენიშვნით: „რაცაა შეეხება ხერხს შემოქმედობისას, გრძნობათა კეთილ-შობილებას, აღფრთოვანებას აზრისას,—ქართველთა შეუძლიანთ სიამაყით წარმოსთქვან, რომ მათი ეროვნული პოემა არ არის მიბაძვა არც ჰომეროსისა, არც ვირგილიუსისა: იგი პირველიდამ უკანასკნელ კაბადონამდე წმინდა რუსთაველისებურია და მხოლოდ რუსთაველისებური“ (№ 265).

221. Y.

О поэзии Руставели (По поводу брошюры г. Гулака)

გაზ. Кавказ, 1884, 6-го ноября, № 248, გვ. 2—3, ქვედურა, 12 სვეტი

ავტორი აღნიშნავს ქართული საზოგადოებრივი კრიტიკული აზრის სისუსტეს და სიხარულით ეგებება გულაქის წიგნის გამოსვლას ვეფხისტყაო-

საწიხე «которое составляет славу и гордость народа и представляет яркое отражение всех достоинств и недостатков грузинского племени». ვეფხისტყაოსანი, ავტორის შენიშვნით, ისეთ ცოტადენ თხზულებათა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც რელიეფურად ასახევენ ნაციონალურ თავისებურებებს და ამავე დროს საერთო-სახალხო მნიშვნელობასაც არ კარგავენ. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას და მოკლედ ახასიათებს მისი შემოქმედების თავისებურება-ღირსებებს.

ავტორი აკრიტიკებს ძველ ლიტერატურულ ჩვეულებას, რომელიც მხატვრული თხზულების მნიშვნელობას საზღვრავდა მისი გარეგანი, ტექნიკური თვალსაზრისით, რასაც ვერ აცდა გულაიცი, რომლის მიზანი თუმცა საერთოდ გამართლებულია, მაგრამ მისი განხილვა სასურველ შედეგს არ ვაძლევს. ავტორის აზრით, ცოცხალი, შემოქმედებით აზრი, ე. ი. ხალხის ესთეტიურ და ზნობრივ განვითარებაზე მომჭმედი მხატვრული თხზულება, განხილული უნდა იყოს კრიტიკის საერთო პრინციპების მიხედვით, რის გარეშეც კრიტიკა მიზანს ვერ აღწევს.

პოემის ორიგინალობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ სიუჟეტი თავისთავად არაფერს ნიშნავს პოეზიაში, საქმეა მისი დამუშავება. აღმოჩნდება თუ არა ოდესმე ვეფხისტყაოსნის სპარსული პროტოტიპი, ეს ოდნავადაც ვერ შეამცირებს მის ღირს მნიშვნელობას ქართული ხალხისათვის. ავტორი ხაზს უსვამს ნასესხები სიუჟეტების დამუშავებაში შინაგანი დამუშავების ტრადიციის არსებობას, რისთვისაც ჯერ კიდევ ბროსე-ჩუბინაშვილიდან მოკიდებული დღემდე უჭრადლება არავის მიუქცევიან. ამიტომ მათ მიერ შეკრებილ მასალას მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, ისინი კრიტიკის საქმეს ვერ ემსახურებიან: «От исследования наших аккадемиков мы очень мало приобщились к пониманию Руставелии». ისინი უჭრადლებას აქცევენდენ ლექსის გარეგან მხარეს, მაგრამ მის ქართულ ცხოვრებასთან კავშირისა და დამოკიდებულების გაგებისათვის ძლიერ ცოტაა გაკეთებული. ამასთან დაკავშირებით ავტორი კრიტიკულად ეხება ბროსეს წინასიტყვაობას ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემაში, მოჰყავს ციტატები ბროსეს შრომიდან და აღნიშნავს, რომ მის შრომებში რუსთაველის პოემის შინაგანი ღირსება საერთოდაც არ იყო გახსნილი, რომელშიც ნაშედეგად მთელი ეპოქა იყო გამოსახული. ასევე კრიტიკულად უყურებს ავტორი ბროსეს მიერ წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, თითქოს რუსთაველის შემოქმედება აღმოსავლური იყოს. ავტორი ჩერდება აღმოსავლური შემოქმედების სპეციფიკაზე, რაც განსაზღვრულია აღმოსავლური ბუნების სიდიდით, რომლის წინაშე ადამიანი არაარაობად იქცევა. ბერძნული შემოქმედება შედარებით ღირსი ბუნების პირობებში სხვანაირია. მან გამოიმუშავა ადამიანში მეტი აქტუალობა. რუსთაველს ათინის სკოლა ჰქონდა გავლილი და მან იცოდა მაშინდელი ევროპის სულიერი ატმოსფერო. ავტორის განცხადებით რუსთაველი ეყუთვნის დასავლეთის სტილის პოეზიას. ამასთან ავტორი ეხება რუსთაველის ეპოქის მსოფლიო ლიტერატურის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით ქართული მწერლობისა და კულტურის მდგომარებას და აღნიშნავს ჯეჯროსნული ომების გავლენას მწერლობაზე. მისი შენიშვნით ასეთი პოემის დასაწყერად საქმარ არ იყო მხოლოდ თამარის გართობის მოტივი.

დასასრულ, რუსთაველის შემოქმედების შესწავლის მეთოდზე მსჯელობისას ავტორი აყენებს მთავარ პირობად იმ მოთხოვნას, რომ დიად მწერალთა

თხზულებები შესწავლილი უნდა იქნენ მათი ხალხის ისტორიასთან კავშირში და ამდენად რუსთაველის პოემაც ქართველი ხალხის ისტორიასთან კავშირის გარეშე იქცევა უბრალო სასიყვარულო თავგადასავლად და მისი ფილოსოფიური ტენდენცია და გმირთა ფსიქოლოგია გაუგებარი იქნება.

222. [უაფთორო]

წერილი გურიიდან [ვეფხისტყაოსნის კოფხვა]

გახ. დროება, 1884, 24 თებერვალი, № 42, გვ. 3.

რედაქტორისადმი მიმართვაში ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის კითხვა მას სიამოვნებას ჰკვირის თავისი შინაარსითა და ხასიათებით, თუმცა „რუსთაველის გრძნობებზე ისე შორსა ვართ, როგორც თვით როსტევიან მეფის დროზე“. ამ შესავალს იმითომ აკეთებს ავტორი, გაკვირვება გამოთქვას, რომ დღესდღეობით ხალხში მოიპოვება გრძნობების გამოხატვის ისეთი ფაქტები, რაც მას ვეფხისტყაოსნის გმირებს აგონებს. მას გურიის ერთ სოფელში უნახავს დაღონებული ხალხი, რომელიც მწუხარებით აცილებდა შორეულ მგზავრობაში ერთ თავადიშვილს. ეს ფაქტი მას აგონებს პოემის გმირთა გამოსაღმებას თავიანთ შეყვარებულებთან და ხელ-ქვეითებთან.

223. [უაფთორო]

კიდევ „ახალხ შიმოხილვას“ («Новое обозрение»)

გახ. დროება, 1884, 20 მარტი, № 62, გვ. 3—4.

ავტორი ეხება «Новое обозрение»-ში (№ 74) მოთავსებულ შენიშვნას ვეფხისტყაოსნის 1884 წლის ქართველიშვილის გამოცემის განო. ამ რეცენზენტს განუცხადებია, რომ „იმ დროს როდესაც ქართველი ხალხი ჩაფლულია უმეცრებაში, გაზნეი „დროება“ ალტაცებულ დიფირამბებს უძღენის ერთს მეცენატს, რომელსაც 10.000 მან. გადაუღვია ძვირფასი ვეფხისტყაოსნის გამოსაცემად“. „ნუ აძლევთ ქვასა, როცა ხალხი პურს ითხოვს“.

წერილის დასასრულს ავტორი თავს იმართლებს ამ რეცენზენტის შენიშვნისაგან იმის აღნიშვნით, რომ მას დიფირამბები კი არ უწერია, არამედ მკითხველებს აცნობა ვეფხისტყაოსნის გამოცემის დროულობა-მნიშვნელობა.

224. [უაფთორო]

ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“ ბ-ნი გულაკის

გახ. დროება, 1884, 15 მარტი, № 58, გვ. 1—2.

წერილი შეიცავს ლექციის მოკლე შინაარსს, რომელიც ნიკ. გულაკს წაუკითხავს „ქართუკის“ დარბაზში სამშაბათს, 13 მარტს. ავტორი აღნიშნავს, რომ გულაკს ზედმიწევნით შეუსწავლია ვეფხისტყაოსანი. გულაკის აზრით, ვეფხისტყაოსანი არ არის თარგმნილი თხზულება, ის ორიგინალური ნაწარმოებია. პოეტმა ამბავს სპარსული უწოდა განგებ თავისი სიყვარულის დასაფარად თანარისადმი. გულაკის დაკვირვებით სიტყვა „კვამლი“ იმას მიუთითებს, რომ მაშინ ქართველებს უკვე სცოდნიათ თოფ-ზარბაზნის ხმარება.

დასასრულს ავტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას გულაკის ძირითად მოსაზრებებზე და აღნიშნავს ლექციების მნიშვნელობას იმ კაცისას:

„რომელიც ქართველი არ არის და ქართული ენა კი შეუსწავლია და წაუკითხავს თვით თხზულება. მისი დაკვირვება, მისი განხილვა და კრიტიკა, მისი აზრები და სჯა დაკვანახვებს, დაგვიხიჯინებს ბევრს იმისთანა მზარეს რუსთაველის პოეზიისას, რომელსაც ჩვენ, ქართველნი მკითხველნი, ყურადღებას არ მივაპყრობდით“.

225. [უავტორო]

შინაური ქრონიკა [ლექციები ვეფხისტყაოსანზე]

გახ. დროება, 1884, 22 მარტი, № 64, გვ. 1-2.

28 ოქტომბერი, № 233, გვ. 1.

ცნობა იმის შესახებ, რომ გულაკმა წაიკითხა მეორე ლექცია ვეფხისტყაოსანზე. მოკლედ გადმოცემულია ლექციის შინაარსი უმთავრესად ავთანდილის, ტარიელის, თინათინის, ნესტანისა და ფატმანის დახასიათებები. დასასრულ აღნიშნულია, რომ გულაკისათვის უთხოვიათ თავისი ლექციების დაბეჭდვა (№ 64).

ქრონიკალური ცნობა ნ. გულაკის მიერ ვეფხისტყაოსანზე წაკითხული ლექციების ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ (№ 233).

226: [უავტორო]

შინაური ქრონიკა [ვეფხისტყაოსანის თარგმნა ფრანგულ ენაზე]

გახ. დროება, 1884, 11 სექტემბერი, № 196, გვ. 1.

29 ნოემბერი, № 257, გვ. 1-2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ გრაფმა ბობრინსკიმ ფრანგულ ენაზე თარგმნა ვეფხისტყაოსანი (№ 196).

საქრონიკო ცნობა იმის შესახებ, რომ 28 ნოემბრის „დროებაში“ (№ 256) დაბეჭდილი იყო მურიეს ფელეტონი ი. მეუნარგიას მიერ ფრანგულ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსანის გამო. ეს ფელეტონი გამოწვეული ყოფილა პურიეს მიერ მეუნარგიას თარგმანის თავიდან ბოლომდის გადაკითხვით. მურიეს აღუნიშნავს ამ თარგმანის დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც მთელი პოემა ჯერ არცერთ ენაზე არ ყოფილა თარგმნილი და ეს ევროპელებს საშუალებას მისცემს გაიცნონ შესანიშნავი ქმნილება.

დასასრულ აღნიშნულია, რომ ამ ხელნაწერად არსებულმა თარგმანმა გამოიწვია აგრეთვე „ხელოვნებისა და პოეზიის“ ღრმად მკოდნე უცხოელის ბარონ სურტნერის წერილიც „კავკას“-ში. მეუნარგიას თარგმანი გადაეგზავნა მხატვარ ზიჩის სახელმძღვანელოდ სურათების დახატვისათვის და რომ ეს თარგმანი შემდეგ გაგზავნილი და დაბეჭდილი იქნება პარიზში (№ 257. იხ. ანოტაცია № 215, 220).

227. [უავტორო]

[ვეფხისტყაოსანის გამოცემაზე და ლექციებზე]

გახ. დროება, 1884, 29 სექტემბერი, № 210, გვ. 2.

თრნ. ივერია, 1884, № IX. ყდის შესამე გვერდი.

ქრონიკალური ინფორმაცია გ. ქართველიშვილის წინადადებით ვეფხისტყაოსანის გამომცემელი კომისიის არჩევის შესახებ (№ 210).

რედაქციის ცნობა იმის შესახებ, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, სამი ლექცია აკაკისა ვეფხისტყაოსანზე, რომელიც უკვე აწყობილი იყო, აღარ დაიბეჭდება (№ IX).

«О Барской коже Руставели», Н. И. Гулака

გაზ. Кавказ, 1884, 2-го ноября, № 245, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიას ნ. ი. გულაკის წიგნზე «О Барской коже, Руставели», რომელიც გამოვიდა 1884 წელს. ავტორი აღნიშნავს, რომ გულაკის ლექციები და წიგნი თითქმის პირველი ცდაა რუსთაველის შემოქმედების კრიტიკული განხილვისა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აკად. ბროსეს ეტიუდს და აკაკი წერეთლის ლექციებს ვეფხისტყაოსანზე.

ავტორი აღნიშნავს გულაკის წიგნის მთავარ დებულებებს—პოემის ორიგინალობის და პოემის ავტორის—რუსთაველის წესახებ. ავტორის შენიშვნით, გულაკის ლექციების ნაკლი ის არის, რომ ის არ იძლევა რუსთაველის ქმნილების სუფთა მხატვრული სილამაზის დახასიათებას. ავტორის აზრით ვეფხისტყაოსნის მხატვრული სიდიადე მის პოეტურ ფორმაშია, პოეტურ სახეებში, ბრძნულ აფორიზმებში, მეტაფორებში, რის შესახებაც გულაკს არაფერი უთქვამს.

ავტორი მოკლედ ეხება გულაკის მიერ რუსთაველის ლექსისა და გმირების დახასიათებას და ბოლოს აღნიშნავს, რომ გულაკი სწორია სიყვარულის ნოტივის გაგებაში, რაც რუსთაველს ასხვავებს სხვა შემოქმედთაგან.

229. [ილია ჭავჭავაძე].

შინაური მიმოხილვის მაგაერი

ჟურნ. ივერია, 1884, № III, გვ. 145—158.

ავტორი კ. პატკანოვთან კამათში ქართლის ცხოვრების დაწერის დროისა და მისი საისტორიო მნიშვნელობის საკითხებზე მსჯელობისას შენიშნავს:

„ვინ დაიჯერებს, რომ ერთი და ორი წუთი გაგრძელებულიყოს რომელიმე ერის კარგი მდგომარეობა და ამ დროის განმავლობაში შექმნილიყოს უცებ ისეთი უკვდავი და გენიალური ნაწარმოები, როგორიც არის „ვეფხვის-ტყაოსანი“. რომ „ვეფხვის-ტყაოსანი“ გაჩნდეს ერის ლიტერატურაში, ეს ლიტერატურა ცოტად თუ ბევრად განვითარებული უნდა იყოს, ენა შემუშავებული, საზოგადოებრივი ცხოვრება რიგსა და წესზე დამყარებული. ხოლო ყველა ეს პირობანი ცხოვრებისა ერთი წამით კი არა ჩნდებიან, საუკუნოებით შემუშავდებიან, ხანგრძლივის ერის ერთობრივის შრომითა და ლაწლით, ერის გონებისა და აზრის დამაშვრალობით“ (გვ. 158).

230. [ილია ჭავჭავაძე]

შინაური ქრონიკა [ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. დროება, 1884, 13 ოქტომბერი, № 221, გვ. 1.

ლიტერატურულ ქრონიკაში აღნიშნულია, რომ:

„განდგომის“ ავტორი, ილია ჭავჭავაძე, ამ ეამად აშხადებს „ვეფხვის ტყაოსანზე“ ლექციებს. ლექციებს წაიკითხავს ან ამ ზამთარს ან ზაფხულის პირზედ, დიდმარხვაში „წერაკითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ სასარგებლოდ.

თვით ლექციები თითქმის მზად არის დღესვე. ჩვენ გვგონია, რომ დიდად საინტერესო იქნება საზოგადოებისათვის აკაკისა და ილიას შეხედულებათა შედარება ჩვენ უკვდავს პოემაზედ და ვფიქრობთ, რომ ლექციების წაკითხვის გადადება დიდ-მარხვისათვის სრულიად მეტია; ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რომ ზამთრის პირშივე მოგვესმინა ილია ჭავჭავაძის აზრი ამ მუდამ და ყოველთათვის საყურადღებო საგანზედ“.

[ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის შესახებ]

გაზ. დროება, 1884, 2 დეკემბერი, № 260, გვ. 2.

სარეცენზიო წერილი ეხება ქართულ წარმოდგენას, რასაც მოჰყოლია საფრანგეთის კონსულის პატივსაცემად გამართული საუზმე, რომელზედაც წარმოთქმულ სიტყვაში ილია ქავჭავაძეს სხვათა შორის, რუსთაველის სახელთან დაკავშირებით, აღუნიშნავს ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის არსებობა, რომელიც იონა მეუნარგის მიერ იყო შესრულებული. „რუსთაველი მზეა და მთვარე მეუნარგია, რადგანც ვითა მზის შუქით ჰნათობს მთვარე, ისეც რუსთაველის შუქით იმნათობებს მეუნარგიაც“.

232. [ზ. მთაწმინდელი—ზაქარია ჰიჭინაძე]

შოთა რუსთაველი (ხუართი) 1172—1216 წ. მთაწმინდელისა

გამოცემული კონსტანტინე ი. მესხივეისაგან, თბილისი, 1884, 68 გვ.
ტიტულზე ეპიგრაფად დაბეჭდილია აქო წერეთლის ლექსის ერთი სტროფი:
„სულმნათო, მადლი შენს სახელს“...

შრომა კომპილაციური ხასიათისაა. შესავალში აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის საერთო მნიშვნელობა ქართველი ერისა და მისი კულტურისათვის. იწყება რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების მოყვანით (ახალციხის რუსთაველი დაბადება, ტბეთის მონასტერში მიზარება, ქალაქ გრემსა და იყალთოში სწავლა, ათინას გამგზავრება—მას ლეგენდად მიაჩნია, ისე როგორც პოეტის სახელი და გვარი—შოთა რუსთაველი—მოგონილად). ავტორთა მიერ რუსთაველის ირგვლივ წარმოებული კვლევებიდან მიმოხილვისას არ იცავს თანმიმდევრობას და ხშირად არ ასახელებს წყაროებს (ალორძინების ხანის მწერლები, ფარსადან გორგიჯანიძე, თეიმურაზ ბატონიშვილი, ნანეიშვილი, ჩუბინაშვილი). აკრიტიკებს თეიმურაზ ბატონიშვილის მოსაზრებას რუსთაველის პერეთიდან წარმოშობილობის შესახებ. ეხება „შოთა კუპრის“ მოხსენებას ქართლის ცხოვრებაში და უარყოფს „კუპრისა“ და რუსთაველის ერთიდაიგივეობას. სქემატურად ახასიათებს თამარ მეფის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობას, მწერლობის განვითარებას. მისი აზრით, მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ „გამოხატულია საქართველოს მეფეთა, მხედართა და ერის ცხოვრების სურათები“ (გვ. 30). ამ რომანს გარკვეული გავლენა ჰქონდა ვეფხისტყაოსანზე. აგრეთვე დავით საათაბაგოელის ვისრამიანს, სარგის თმოგველის „დილარიანს“, ჩახრუხაძეს (გვ. 31), იონა მეუნარგის „თამარიანს“ (გვ. 32). ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველს უსწრებდა მდიდარი საერო და სასულიერო მწერლობა. ერთი მათგანი იყო დავით აღმაშენებლის თანამედროვე მწერალი ევრისელი, რომელსაც რამდენიმე პოემა და მოთხრობა დაუწერია (გვ. 33) და ძაგნაკორელი, რომელსაც რუსთაველზე გავლენა ექნებოდათ.

ავტორი, ეხება რა ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღს, აღნიშნავს, რომ არაბეთი საქართველო და კრიტიკულად იხილავს ანტონ ფურცელაძის მოსაზრებას პოემის დაწერის დროისა და რუსთაველის თამარის კარზე სამსახურის შესახებ. ვეფხისტყაოსნის დიდი პოპულარობისა და მისი ზეპირად გავრცელების ტრადიციასთან ერთად, რუსთაველის პოემის წინააღმდეგ ვა მოდიოდ

სამღვდულოება, რომელსაც ბერძნული სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ვეფხისტყაოსანი უცხო თხზულებად ზიანდა. იოანე ბერის სიტყვით რუსთაველის წინააღმდეგ იოანე კათალიკოსი გამოვიდა. რუსთაველი სამეფოდ განსაჯეს და მონასტერში განდევნეს. ასეთივე ოპოზიციის გამოხატულებაა ვეფხისტყაოსნის შინაგანი გაყალბების ცდები ჩამატებებით. ავტორს მზედველობაში აქვს ნაწილი ციციშვილისა და ოთარ ჩოლოყაშვილის ჩართული სტროფები, რაზედაც შენიშნავს: „უქვეელია ამას დრო მოიტანს, გაარჩევენ და ვეფხისტყაოსანს“ აღადგენენ ისე, როგორც უნდა დაეწეროს შოთა რუსთაველს“ (გვ. 50).

ავტორი აღნიშნავს, რომ, როდესაც ვახტანგი ბექდავდა ვეფხისტყაოსანს, კათალიკოსი დომენტი ცდილა მის გაჩერებას. ვახტანგის კომენტარები, რომლის საერთო აზრია პოემის საღეთო ახსნა, სამღვდულოების საპასუხოდაა დაწერილი. მოჰყავს ტიმოთე გაბაშვილისა და ანტონ კათალიკოსის შეხედულებანი რუსთაველზე. შოთას ვეფხისტყაოსნის გარდა სხვა თხზულებებიც დაუწერია, მაგ., იამბიკო—ხახულის ლეთისმშობლის ხატზე. ავტორის აზრით, „მას ეაქებ ვინცა მიქია“ (გვ. 59) ნიშნავს რუსთაველის სხვა თხზულებათა არსებობას.

დასასრულს წიგნს ერთეის ბიბლიოგრაფიული შენიშვნები (გვ. 62—68) და უმთავრესი ისტორიული წყაროების მიმოხილვა შოთა რუსთაველზე და ვეფხისტყაოსანზე. მოკლედ მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის გამოცემები: 1712, 1841, 1846, 1860, 1867, 1875, 1883 წლებისა და პოემის თარგმანები: ბროსესი—ფრანგულად, ჩუბინოვისა—რუსულად, ბასტაშოვისა—სომხურად, კაზნიმირ ლაფჩინსკისა—პოლონურად, თეიმურაზ მეფისა XVII საუკუნეში—ბერძნულად, 1725 წელს ქართველი ბატონიშვილებისა—სპარსულად და 1849 წ. გრ. წინამძღვაროვისა—რუსულად, პროზით.

233. * [ილია ჭყონია]

შენიშვნები [გაკერით ვეფხისტყაოსანი და რუსთაველი]

გახ. დროება, 1884, 3 მაისი, № 96, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის განზრახული გამოცემის შესახებ „რომელიც ათას თუმნად ჯდება, და რომლისთვისც ასხმევეინებენ ახალს შრიფტს და აქრევიანებენ თორმეტ სურათს“.

იქვე ქართულ სიძველეთა დალუპვა-განადგურებაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„... ვინ სანთელს ახვევს ძველ ხელთ-ნაწერებში, ვინ ჩაი-შაქარს, ვინ გირვანკობით ჰყიდის იარმუკაში. აი როგორ და სად იღუპება ის მანუსკრიპტები, რომელთაც ზედ აზისთ ბექელი პომერის და რუსთველის გენიისა, თამარის დიდებისა, დავითის სიწმიდისა და ერეკლეს გმირთა-გმირობისა!..“ (გვ. 3).

234. * [ილია ჭყონია]

ხილად (კლით-კიდეძე)

ქართველ პოეტებდამ უცხო ენებზე თარგმანნი

ჟურნ. ივერია, 1884, № VII და VIII, გვ. 110—120.

ავტორი მოკლედ მიმოხილავს ქართული მწერლობის უცხო ენებზე თარგმნის მდგომარეობას და გაკერით აღნიშნავს, რომ გრაფს ა. ბობრონსკის ფრანგულად უთარგმნია „უკვდავი ქმნილება ჩვენის გენიოსისა“. მასვე თარგმნის

ი. შეუნარგია—„დედაენის კილოსა და აზრის მტკიცედ დაცვით“. „პარტურ ლაისტი აცნობებს გერმანიისა და პოლაკების საზოგადოებას ჩვენი პოეზიის მარგალიტებს, მაგრამ ამათში ყველაზე უფრო ნიჭიერად, მშუყაითად და თანის-თანობით ილწვის ნიჭიერი მთარგმნელი პოეტი ბ. თხორევესკი, სატირული ფორმალის ქნარის რედაქტორად ნამყოფი, რომელსაც განუზრახავს გადა-თარგმნოს ქართული პოეზიის საუკეთესო ლექსთ კმნილებანი (რუსულად) და ერთ-ტომად დაბეჭდოს. სხვათა ჩინებულ ნაწარმოებთა შორის ეს ფრიად პატივ-საცემი ჩვენ მიერ პირი სთარგმნის „ვეფხვის-ტყაოსანს“, და დასძენს: „რალა თქმა უნდა,—კაცმა ქართულიდამ სთარგმნოს და ვეფხვის ტყაოსანი ირა, ეს ხომ რომში მისვლა და პაპის უნახავად წამოსვლა იქნებოდა!“ (გვ. 118—120).

235. * [ილია კუონია]

საგულისხმოდ
[ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნის შესახებ]

გაზ. დროება, 1884, 11 აგვისტო, № 174, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „თბილისში მცხოვრებს ახალ-გაზდა რუსის გრაფს ა. ბობრინსკის ძარანტუზულს ენაზე გადაუღია პრო-ზით უკვლავი შოთთას კმნილება“.

ცნობას მისდევს ბობრინსკის განცხადება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მას არ შეუძლია ღირსებისამებრ თარგმნოს შოთას თხზულება. აღნიშ-ნულია ვეფხისტყაოსნის თარგმნის სიძნელე და მოკლედ დახასიათებულია პო-ემა. დასასრულს შენიშნულია, რომ გრაფი მიდის პარიზში, სადაც თავისი თარგმანის დაბეჭდვას აპირებს.

1885

236. რ. აღიხუბნელი [რაუდენ ჩიკვაძე]

ჩვენ ლიტერატურაზე

ფრან. თეატრი, თბილისი, 1885, № 9, გვ. 84; № 14, გვ. 131.

ავტორი გაკვირით ჩერდება შოთა რუსთაველზე. თამარის ეპოქის კულ-ტურაზე მსჯელობისას შენიშნავს:

„ამ დრომ გაჩუქა შოთა რუსთველი და შეიძლება მრავალი სხვა მწერალი, რომლებთ სახელებს და ნაწარმებს ჩვენამდე ვერ მოუღწევიათ“.

ავტორი აღნიშნავს, რომ „შეუძლებელია რუსთაველს არ ჰყოლოდეს წი-ნაპრები მელექსეობაში. საქართველოში ლექსის კულტურა რუსთაველამდეც იყო. ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სტროფი: „მოზაირე არა ჰქვიან“ იმის დასამტკიცებლად, რომ პოეტს მხედველობაში ჰყავდა მელექსეები, რომელთა გამოც ეს დაწერა.

ავტორის სიტყვით, ვეფხისტყაოსანზე ვისრამიანს მოუხდენია გავლენა. მიუხედავად ამ გავლენისა, მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის თარგმანად მიღება „სიარეგენია“ (№ 9, გვ. 84).

ავტორის შეხედულებით, აქამდის გადაწყვეტილი არ არის საკითხი ვეფ-ხისტყაოსანი ორიგინალური თხზულებაა თუ ნათარგმნი. მისი აზრით, რუსთა-ველის პოემა ნათლად ხატავს ჩვენს ისტორიას—ხალხის იდეალებს, ცხოვრე-ბას, შეხედულებებს, გემოვნებას (№ 14, გვ. 131).

[შენიშვნა ვეფხისტყაოსანზე]

წიგნი: ვახუშტი, საქართველოს ისტორია, განმარტებული და შეკრებული ახლად შეძენილი არხეოლოგიურისა და ისტორიელის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი, ძველის საქართველოს საზოგადო ქართი, ტფილისი, 1885, გამოცემა გ. დ. ქართველი შეიქმნა, გვ. 218—219.

ვახუშტის მიერ თამარ მეფის ეპოქის ამბების აღწერას ავტორი ურთავს ვრცელ სქოლიოს ამ ეპოქის მწერლობის საკითხებზე, რომლის მოკლე მიმოხილვაში სხვა თხზულებათა შორის, რომელნიც ქართულ ყოფას გამოხატავენ, ასახელებს ვეფხისტყაოსანს.

ავტორი ეხება მისი ორიგინალობის, აგებულიებისა და შინაარსის საკითხებს და გაპყავს პარალელები პოემასა და საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს შორის. შენიშვნა მომყავს მთლიანად:

„რახცა შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, ჩვენის ფიქრით იმის დედა-აზრს ავტორი აფუძნებს თავის დროას საქართველოს ისტორიაზე. ამასთანავე დიდ მსგავსებას გვიჩვენებს შედარება ენის ტორმისა და ხასიათისა „ვეფხისტყაოსანში“ და თამარის ბიოგრაფიაში. ვარდა ამისა აქაც და იქაც ხელის-უფალთა სახელ-წოდებანი ერთნი და იგინივე არიან. „ვეფხისტყაოსნის“ შეიღნი ინდოეთის სამეფონი მოასწავებენ ჩვენის მხრის პოლიტიკურ დანაწილებას. „შეიღთა სამეფოთათვის“ ჩვენში თამარის მამის გიორგის დროდამ ნახე ქ.-ცხ.—H. de la G., 384, n. 1 და Introd., LXV—LXVI. ნესტან-დარეჯანი, ეს ერთად-ერთი ნაშობი ინდოეთის მეფის ფარსადანისა, რომელიც მას აღსაზრდელად აძლევს თავის დას, ქაჯეთს გათხოვილს, კეროეს დეარს, რას აჩვენებს, თუ არ ისტორიულს ჯაქცა, ესე იგი გიორგი მეფის დას ზვარანის სულტანისათვის მითხოვილს რუსუდანს, რომელსაც შვილი არა ჰყვანდა (H. de la G., 395, n. 2) და რომელსაც მინდობილი ჰქონდა თამარის აღზრდა? თვით ნესტან-დარეჯანისათვის საქრმოს ძებნა და ბოლოს მისი მითხოვება ტარიელისადმი, რომელიც ყმაწვილობითვე ფარსადანს მიეღო თავის სახლში („შეუფმან სთქვა; „შვილად გავები, თვით ჩემივე გვარი არის“), გვიჩვენებს თამარის საქრმოს ძებნას, სისლან-დავითის ბაგრატიონთ გვარის შთამომავლობას და მის აღზრდას რუსუდანისაგან. დასასრულ, თუ „ვეფხისტყაოსანს“ საფუძვლიანად გავარყევით, მაშინ, ეპიკე არა გააქვს, იგი ბევრს სხვა დასამტკიცებელს საბუთს მოგვცემს: ამისას, რომ მის ავტორს აზრათ აქვს საქართველოს პოლიტიკური წყობილება და ყოფა-ცხოვრება“.

338. იაკობ გოგებაშვილი

შოთა რუსთაველი

269

წიგნი: ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, მეხუთე შეკრებული გამოცემა, თფილისი, 1885, გვ. 498—508.

ქვესათურები: 1. მნიშვნელობა რუსთველისა. აღზრდა მისი. 2. დაბრუნება საბერძნეთიდან საქართველოში, დაწერა „ვეფხისტყაოსნისა“ და ბედი მისი.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი არის „წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსისა“ (გვ. 498), ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და მის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის. აღნიშნავს ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას (გვ. 499). პოეტს „სახელად ერქვა აშოთან და აქედან წარმოსდგა შენოკლებული, საალერსო სახელი „შოთა“ (იქვე). გვარი პოეტისა არაა ცნობილი, „ვიციით მხოლოდ სოფლის სახელი სადაც იგი იბიდა“; რუსთაველი, საიდანაც წარმოსდგა რუსთაველი“ (გვ. 500). ავტორი ვადმოგვცემს რუსთაველის ბიოგრაფიის ზეპირი ცნობების მიხედვით, მის აღზრდას, სწავლა-განთლებასა და საქართველოში დაბრუნებას (გვ. 522), სადაც მას თამარ მეფე მოლოჩეთ-უხუცესობას აძლევს. შოთამ დაიწყო წერა პოემისა, რომელშიაც „ნოიწადინა

გამოეხატა თამარი თავის მშენიერებით. სათნოებით და სიბრძნით, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთ ერისა. რადგანაც თანამედროვე პირების პირდაპირი დასახელება მოუხერხებელი იყო, ამიტომ პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში და მომქმედნი პირნი არაბების სახელებით გამოიყვანა* (გვ. 503). შოთა ყველას მიერ იყო აღიარებული, მაგრამ მას აღმოუჩნდნენ მტრები სამღვდლო პირთა შორის, რომელთაც „მავნებლად ჩასთვალეს გატაცებული კითხვა „ვეფხვის ტყაოსნისა“ და დაუწყეს წინააღმდეგობა რუსთველსა“. ავტორის შენიშვნით: „ზოგიერთა სამღვდლო პირთა მტრობა რუსთველისადმი უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ წერილობითი არაფერი ცნობა დარჩენილა მასზედ“ და მოკლედ ეხება პოემის დევნას სამღვდელოების მიერ. ავტორი აღარებს რუსთველს მსოფლიო კლასიკოსებს, აბასიათებს პოემის მთავარ მოტივებს, აღნიშნავს მის პოპულარობას და მსოფლიო ღირებულებას. მოჰყავს ცალკეული აფორიზმები.

239. მ. ელაქაძე

სახალწლო

გაზ. დროება, 1885, 1 იანვარი, № 1, გვ. 1—3.

სახალწლო მილოცვებთან დაკავშირებით ავტორი ვეფხისტყაოსნის ამბოთუ იმ თქმასა თუ აფორიზმს უფარდებს სხვადასხვა პირსა და დაწესებულებას. მაგ., ექიმებს:

„მული კრულია კაცისა
ხარბი და გაუძღობელი“.

240. М. С. Воронцов

Тифлисский театр [Барсова кожа]

Отчет князя М. С. Воронцова за 1849—1851 годы

წიგნში: Акты собрания Кавказскою археологическою комиссией

Издан под редакцією председателя комиссии А. Д. Берже, Тифлис, 1885, том X. თბილისში თეატრალური და ლიტერატურული ცხოვრების შესახებ მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს ქართველი საზოგადოების ლიტერატურული გემოვნების სიფაქიზეს და გაკერით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე:

«Славная поэма «Барсова кожа», писанная почти 700 лет тому назад, при царице Тамаре, и ныне еще служит лучшим образцом грузинского языка. В Грузии почти все знает поэму эту пашуст; хотя она и была когда-то напечатана, но так несовершенно и в таком ограниченном числе экземпляров, что кроме нескольких рукописей она нигде у кого почти не находится» (გვ. 861).

241. დ. კ. შვილი

ბიბლიოგრაფია

გაზ. დროება, 1885, 21 აპრილი, № 84, გვ. 1—2.

წერილი წარმოადგენს პატარა ბიბლიოგრაფიას წიგნზე: «Le Caucase et la Perse» par E. Orsolle, 1885, Paris. რეცენზენტი მოკლედ გადმოსცემს. Orsolle-ს მოგზაურობის შესახებ საქართველოში და მოაქვს ამონაწერები მისი.

წიგნიდან საქართველოსა და ქართველების შესახებ. მათ შორის რეცენზენტი აღნიშნავს, რომ ორსოლი გაკერით ეხება შოთა რუსთაველსაც: „მეთორმეტე საუკუნითგან, რომელიც შესანიშნავია რუსთაველის ეპოპეით—ვეფხისტყაოსანით“ და მათი ლიტერატურის ოქროს ხანაა, პოეზია ყოველთვის დიდა პატივში ყოფილა“ (გვ. 2).

242. არტურ ლეისტო

კოლხიდაში (მგზავრის შენიშვნები)

ჟურნ. ივერია, 1885, № VI—V, გვ. 164—211.

ავტორი თბილისის ძველი ბაღების სილამაზის აღწერისას გაკერით ჩერდება შოთა რუსთაველზე: „ვინ იცის, იქნებ, ამ ჩრდილოვან ბაღებში დასეირნებდა რუსთაველი, ეს ტასო საქართველოსი, თვით უუდიდესი მგოსანი კავკასიისა და მოტრფიალე შვენიერის მეფის თამარისა?.. რუსთაველი და თამარ—ეს ორი სახელი მესმოდა განუწყვეტლივ, თითქო ყურში ჩამჩურჩულებდა ვინმე, როცა ვიჯექი ამ ჩრდილოვან ხეივანების ქვეშ და ზურხა უკრავდა მწუხარე, წარსულში გამტაცებელს ხმებს“ (გვ. 193—194).

243. Arthur Leist

Georgien.

Natur, Sitten und Bewohner. Von Arthur Leist.

Mit 9 illustrationen nach Original-Aufnahmen.

Leipzig, Verlag von Wilhelm Friedrich [1885], 130 გვ.

ქართული ისტორიული ცხოვრების, კულტურისა და მწერლობის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე.

თბილისის ბაღების აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ ვინ იცის აქ დასეირნობდა რუსთაველი—ქართველების ტასო (dieser Tasso Georgiens, der erhabenste Sänger des Kaukasus und Geliebte der schönen Königin Tamara, გვ. 26).

ავტორი აღნიშნავს, რომ კლასიკური ეპოქის დიდი თხზულებაა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი (გვ. 97). მისი ზოგადი დახასიათების შემდეგ მოკლედ გადმოსცემს პოემის შინაარსს (გვ. 98—99) და მოჰყავს ცალკეული ადგილები თავისივე ლექსითი თარგმანით (გვ. 100—101). გაჰყავს პარალელი პარიზის შაკამასთან (გვ. 101) და მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას (გვ. 102). ციტატების დასაწყისი:

„Der König hatte eine einz'ge Tochter,
Ein Bild der Sonne selbst in Morgenlande“.

244. შევრელე [ნიკო დადიანი]

კიდე შევრული ენის თაობაზე

წერილი რედაქციისადმი

გზ. დროება, 1885, 10 მარტი, № 53, გვ. 1—2.

ავტორი პოლემიკას აწარმოებს იმ „მეცნიერთა და მზრუნველთა“ წინააღმდეგ, რომელნიც ამაოდ ცდილობენ დაამტკიცონ ქართულისა და მეგ-

ელის სხვადასხვაობა. ავტორს მოჰყავს მაგალითები სალიტერატურო ენას-
ან დიალექტების მიმართების ნათელსაყოფად და შენიშნავს, რომ: „მეგ-
ელი, იმერელი, გურული, ქართლელი, კახელი, ხევსური, ქობულეთელი თუ
ქარელი — ყველანი ერთსა და იმავე ქართველ ერსა შეადგენენ; იმათი შემა-
რთებელი კავშირი არათუ მარტო ქართული ენაა, არამედ მთელი ცხრამე-
ის საუკუნის ისტორია, ჩვეულებანი, ხასიათი და სხვა“, რასაც დასძენს:

„ჩვენ ყველანი ერთს ერს შეადგენთ, ერთი ენა გვაქვს, ერთი და იგივე ცხოვრების საგანი,
ერთი და იგივე დანიშნულება. როგორც ხევსური, ისე შგურელი ამაყობს საუკეთესო წამებით
საქართველოს ისტორიისა. დაეით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რუსთაველი, ანტონ ჭყონდიდე-
ლი წმინდა სახელებია როგორც გურულისა, ისე შგურელისათვის, კახელისათვის და სხვ. (გვ. 2)–

146. პ[ეტრე უშიაკაშვილი]

ქართული თეატრი, [გაკვირთ ვეფხისტყაოსანზე]

თურნ. ივერიია, 1885, № 1, გვ. 122—133.

ავტორი გაკვირთ ჩერდება ვეფხისტყაოსნის ცოცხალი სურათების დად-
გმაზე ზინის სურათების მიხედვით, რაც მისი აზრით „დიდ-ძალ ხალხს მიიზი-
დავს“ და ქართულ თეატრს ეშველება (გვ. 131).

246. თ. ჟორდანია

მოკლე ისტორიული გამოკვლევა

ქართულის სტამბის დაარსებისა და მოქმედებისა მე-XVIII საუკუნეში
და მე-XIX საუკუნის პირველ წელთ განმავლობაში.

თურნ. ივერიია, 1885, ოქტომბერი, № X, გვ. 101—116.

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნების მიმოხილვისას ავტორი შე-
ნიშნავს, რომ იქ 1712 წელს დაიბეჭდა ვეფხისტყაოსანი „თვით ვახტანგის
წინასიტყვაობით. ეს წიგნი ეხლა ძნელი საშოვნელია, რადგან ქათალიკოსმა
დომენტი III და შემდეგ თვით განათლებულმა ქათალიკოსმა ანტონიმ (პირ-
ველმა) და მრავალთა სამლუღელოთაგანთა დევნა დაუწყეს მას და მრავლად
დასწვეს“ (გვ. 109—110).

ავტორი სქოლიოში მიუთითებს გავ. ივერიის 1884 წ. № 2 და 3-ში
დაბეჭდილ თავისივე წერილს: „შთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამეხელი და ქარ-
თულის სტამბის საქმე“ (იხ. ანოტაცია № 216).

247. შოთა რუსთაველი

Барсова кожа

წიგნში: Евгений Сталшнский, Шота Руставели—грузинский народный поэт,
Тифлис, 1885, გვ. 29—41.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროლოგის ნაწყვეტის თარგმანს,
თავისებური გარდათქმით, რომელშიაც ამოკრეფილია სხვადასხვა სტროფები—

დასაწყისი: „Кто создал Вселенную
Незениною силою,
Обещал вселенную
Жизнь нам за могилой;
Кто украсил землю
Светом и цветами?
Тот, кому я внялю
И хвалю устави...“

დასასრული: „Нет!... поэт тот, кто таланта
 Сия не тратит бес нужды;
 И кто с силою гиганта
 Чужд и любви и вражды!
 Кто знает вдохновенный,
 Жизнь в поэзии найдет,
 И, храня огонь священный,
 С ним в могилу низойдет!...“

248. შოთა რუსთაველი

[ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილები]

წიგნში: ბუნებისკარი ანუ ყრმათათვის საყიბაუი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, მეხუთე შეესებულ გამოცემა, თბილისი, 1885, გვ. 436—447.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სამ თავს: 1. აზბაეი როსტევეან არაბთა მეფისა (38 სტროფი); 2. ნადირობა (14 სტროფი) 3. ნახეა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხვის-ტყაოსნისა (32 სტროფი).

249. [შოთა რუსთაველი]

[შოთა რუსთაველის პორტრეტი ა. ბერიძის შესრულებით]

ფურნ. თეატრი, 1885, 14 ივლისი, № 1, გვ. 1, 2, 14.

პორტრეტს ქვეშ აქვს წარწერა ეპიგრამად:

„არ დაიწყება მოყვრისა,
 აროდეს გვიხაშს ზიანსა.“

ნახატის კუთხეში წარწერაა: „ლითო მესხიევი“. პირველ გვერდზე დაბეჭდილია ამ სურათისადმი მიძღვნილი ლექსი აკაკისა: „რუსთაველის სურათზე“ შემდეგი დასაწყისით:

„სულმზათო, მადლი შენს გამჩენს!
 დიდება ერსა შენს მშობელს!...“

აქვე მცირე წერილში (გვ. 14). „შოთა რუსთაველი 1172—1216 (სურათზე)“ მოკლედ მოცემულია პოეტის ბიოგრაფია და ზოგადად დახასიათებულია ვეფხისტყაოსანი.

ა. ბერიძე ცნობილი პორტრეტისტია. რომელმაც საეციალური სამხატვრო განათლება მიიღო იტალიაში. მის დაბრუნებას საქართველოში დიდი იმედებით შეხვდნენ. მას ეკუთვნის დ. ყოფიანის გავრცელებული პორტრეტი და ბევრი სხვა ნამუშევარი. რუსთაველის ეს მივიწყებული სურათი ღირსია აღდგენისა.

250. [შოთა რუსთაველი]

სააღგომოდ [ნაწუვეტები ვეფხისტყაოსნიდან]

გაზ. დროება, 1885, 24 მარტი, № 63, გვ. 1.

ტექსტი შეიცავს 25 სტრიქონს და წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ აფორიზმებსა და სტროფებს, რომელნიც გამოყენებულია მილოცვისათვის სხვადასხვა პიროვნებებისადმი. მაგ., თ. ნ. მ.—გ.—იასას:

„არ დაიწყება მოყვრისა აროდეს გვიხაშს ზიანსა.“

251. [Chota Rousthavéli]

La Peau Léopard d'après Chota Rousthavéli

Par Achas Borin, Tiflis, Librairie Chaverdoff, 1885, 137 გვ.

მთარგმნელი ალექსანდრე ალექსანდრესძე ბობრინსკია. წიგნის შინაარსი:

Avant-propos (გვ. 1—4); La Peau de Léopard—Introduction: Le poète prend sa lyre et chante (გვ. 5—9); Prologue (გვ. 12—22); Chapitre I (გვ. 23—39); Chapitre II Récit de Tariel (გვ. 41—82); Chapitre III (გვ. 83—85); Testament d'Avtandil (გვ. 85—102); Chapitre IV, Fatman (გვ. 103—125); Chapitre V (გვ. 127—134); Epilogue (გვ. 135—137).

წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას, ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით და მის იგნორაციას ევროპულ მეცნიერებაში.

პოემის ტექსტი თარგმნილია პროზაულად, შემოკლებით და ცალკეულ ადგილებში გარდათქმით. თარგმანი არაა დაყოფილი სტროფებად. შესავლის დასაწყისი:

„Dieu puissant qui créas et animas l'univers et fis les rois à ton image, donne-moi la force de vaincre Satan, donne-moi l'amour et l'affection dans cette vie et le pardon de mes péchés dans l'autre“!

პირველი თავის დასაწყისი:

„Ce jour-là, Bostévan, roi d'Arabie, met beaucoup de pompe en tenant son conseil. Il proclame les éloges de sa fille Tiantine; il veut partager son trône avec elle, tant il la respecte et l'aime“.

დასასრული:

„Auyran, fils de Daredjune, fut chanté par Moïse de Comis. Abdour Mesgui par Chatrelli, dont les rimes sont si belles. Dilargète par Sarguis l'infatiguable. Tandis que Tariel le fut par le grand Rousthaveli qui versa tant de larmes sur son héros et l'éclaira d'une lumière telle qu'elle éblouit et que ses rayons viennent se refléter dans l'âme de celui qui écrit ces lignes en demandant encore à l'inspiration de Rousthaveli de l'aider“.

252. Евгений Сталинский

Шота Руставели — грузинский народный поэт

Тифлис, 1885, 41 გვ.

წიგნაკი შეიცავს წერილს შოთა რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედებაზე, რომელიც წინასიტყვაობის სახით წინ უძღვის ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანს, ამავე ავტორის შესრულებით.

ავტორი წინასიტყვაობაში (გვ. 1—28) მოკლედ ეხება რუსთაველის პოეტურობას, ვეფხისტყაოსნის პირველ ქართულ 1712 წლის გამოცემას, მის კომენტარიებს და საზღვდელოების მიერ დევნას. რუსთაველის შემოქმედების გასაცნობად ავტორი გაკვრით ჩერდება რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურსა და კულტურულ ვითარებაზე და განათლებაზე. რუსთაველის დიადობასთან ერთად ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პიროვნების ბიოგრაფიის შეუსწავლელობას და მოჰყავს ტრადიციით ნაანდერძევი პოეტის ბიოგრაფიული ცნობები. ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ კონსტრუქციას, პოემის მოტივებს საფუძველს ქართულ ცხოვრებაში უძებნის, მის მთავარ გმირებში ქართველ ისტორიულ პიროვნებებს ხედავს, არჩევს პოემის შინაარსს და ახასიათებს მთავარ გმირებს.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული ლექსთწყობის სახეებს, ჩერდება რუსთაველის შიირის საზომზე და მოჰყავს სქემა და პოემის ქართული ტექსტის პირველი სტროფი რუსული ასოებით.

დასასრულს ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის საკითხებს და აღნიშნავს სიძნელეებს, რომელთაც ქართული ენის თავისებურებებით ხსნის („Исключительным оборотом грузинской речи... не могут быть переданы с пунктуальной точностью ни на одном языке в мире“ (გვ. 28). ამასთან დაკავშირებით ავტორს სანიმუშოდ მოჰყავს პოემის შესავლის ნაწყვეტის თარგმანი.

ეს წიგნაკი შეესებულ-შესწორებული სახით განმუშავებით დაიბეჭდა 1888 წელს.

253. [უავტორო]

შინური ქრონიკა [ვეფხისტყაოსნის დასურათებული გამოცემა]

ვახ. დროება, 1885, 10 იანვარი, № 7, გვ. 1; 16 მარტი, № 58, გვ. 2;
28 მარტი, № 64, გვ. 2; 12 აპრილი, № 76, გვ. 1;
3 სექტემბერი, № 188, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნის დასურათებაზე მუშაობის დაწყების შესახებ: „გამოჩენილი მხატვარი ზიჩი, რომელმაც ასეთის თავაზიანობით უსასყიდლოდ იკისრა „ვეფხისტყაოსნისათვის“ სურათების ხატვა და რომელსაც გაეგზავნა სრული ფრანკუზული თარგმანი პოემისა შინაარსის გასაცნობად, როგორც შევიტყვეთ. შესდგომია კიდევ ამ სურათების ხატვას“ (№ 7).

ინფორმაციული ცნობა სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე ხელისმომწერის პირობების შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ ამ პოემას მოკლე ხანში გაიცინობს მთელი ევროპაც ფრანკუზული და ნემენკური თარგმანების საშუალებით (№ 58).

ინფორმაციული ცნობა დასურათებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემის მოწინააღმდეგის შესახებ. მრავალრიცხოვან შეკითხვებზე იმის შესახებ, თუ როდის გამოვა ახალი ვეფხისტყაოსანი, რედაქცია უპასუხებს, რომ დაბრკოლება ახლა მხოლოდ სურათებშია, რომელნიც ჯერ არ დაუმთავრებია ზიჩის. აქასთან დაკავშირებით რედაქცია ეხება აგრეთვე ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე ხელისმომწერის პირობებს (№ 64).

ქრონიკალური ცნობა ვეფხისტყაოსნისათვის ზიჩის მიერ შესრულებული სურათების განხილვის შესახებ, გამომცემლისაგან მოწვეული მკოდნე პირების მიერ. გარდა ერთი სურათისა, კომისიას ყველა სურათი მიუღია. გამოცემას დაერთვის 34 სურათი (№ 76).

ცნობა ზიჩის მიერ წერილის მოწერის შესახებ იმის გამო, რომ ის ჩქარა დაამთავრებს მუშაობას და გაემგზავრება ვენასა და მიუნხენში შეკვეთის მისაცემად სურათების ამოჭრისათვის (№ 188).

254. [უავტორო]

სისიამოვნო აშავი [ვეფხისტყაოსნის დასურათება]

ვახ. დროება, 1885, 6 აპრილი, № 72, გვ. 1.

ცნობა იმის შესახებ, რომ მხატვარმა ზიჩიმ უკვე შეასრულა ვეფხისტყაოსნის გამომცემლისათვის მიცემული პირობა და თავისი შრომის პირველი ნაწილი უკვე დაასრულა. გამომცემის კომიტეტს ზიჩისთვის მხოლოდ 12 სურათი შეუკვეთია. ამ მიზნით მისთვის გაუგზავნიათ ვეფხისტყაოსნის სრული ფრანგული თარგმანი და მრავალი ფოტო სურათი საქართველოს ბუნების, ხელოვნებისა და ხალხისა. ამ ცნობის მიხედვით, თბილისში მიუღიათ ზიჩის მიერ გამოგზავნილი ესკიზები და წერილი. ცნობას ერთვის ზიჩის აღნიშნული წერილი, რომლითაც ითხოვს ოცდაათოთხმეტი ესკიზიდან ამოარჩიონ დასაბეჭდი სურათები და შენიშვნები მათ შესახებ მიაწოდონ. ამავე წერილში ზიჩი იწერება, რომ ის აპირებს გამოსცეს ვეფხისტყაოსნის სურათების ალბომი, რითაც არუსთაველის სახელი უფრო გავრცელდება ევროპაში. ზიჩის აღნიშვნაა — „დასასრულდ გთხოვთ მოეჭკეთ ჩემ სურათებს ისე, როგორც ქართველები უმანკო ქალს მოეჭკევიან ხოლმე — ნაზად და სათუთად“.

დასასრულს, ცნობის ავტორი მოკლედ ახასიათებს ზიჩის ესკიზებს.

256. [უაგტორი]

შინაური ქრონიკა [ვეფხისტყაოსნის თარგმანები]

გაზ. დროება, 1885, 8 თებერვალი, № 29, გვ. 2; 12 თებერვალი, № 32, გვ. 1;
14 მარტი, № 56, გვ. 2—3; 2 აპრილი, № 68, გვ. 2.

ინფორმაციული ცნობა მომყავს მთლიანად:

„ამ დღეებში გამოვა თბილისში ფრანკუზულს ენაზედ თხზულება აკას ბორენისა (ფსევდონიმია): რომელშიაც გარდმოცემულია შინაარსი „ვეფხისტყაოსნისა“. მკითხველებს თუ არ დაეწევიან, ჩვენს გაზეთში იყო თქმული. ორიოდ სიტყვა ამ არც თუ თარგმანზე, არც თუ ნაბაძზე, რომელშიაც რანდენიმე ეპიზოდი „ვეფხისტყაოსნიდან“ სრულიად გამოტოვებულია ან შემოკლებული და რანდენიმე აღწერილობა თვით შემთხვევლისაგან ჩამატებულია“ (№ 29).

ქრონიკალური ცნობა ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის გამოცემის შესახებ:

„ჩვენ მოგვივიდა ამ დღეებში თბილისში გამოცემული ფრანკუზული წიგნი „ვეფხისტყაოსანი“ თხზულება აკას ბორენისა“ (№ 32).

ქრონიკალური ცნობა ბარონ სუტნერის მიერ გერმანულ ენაზე ვეფხისტყაოსნის თარგმნის შესახებ. იქვე აღნიშნულია, რომ ამ თარგმნის შესახებ მას მისვლია თანამედროვე ცნობილი გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ბოდენშტეტისაგან წერილი, და რომ ეს თარგმანი გამოიცემა ბოდენშტეტის წინასიტყვაობით (№ 56).

ცნობა შეახსენებს მკითხველებს ქართველი პოეტების ნიკიერ მთარგმნელს თხორევესკის, რომელიც შესდგომია ვეფხისტყაოსნიდან ერთი სცენის თარგმნას რუსულად (№ 68).

256. [უაგტორი]

რუსთველის ექვსასი წლის იუბილეზე გამო

გაზ. დროება, 1885, 18 აპრილი, № 61, გვ. 1.

წერილი წარმოადგენს გაზეთის მეთაურს.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველის თხზულების წინაშე ახლა თავს იხრის როგორც არაგვისხეობის, ისევე ცხენის წყლის მცხოვრები. ის აერთიანებს მთელი საქართველოს ყველა წარმომადგენლის გულისთქმას და, თუ დანამდვილებით არაა ცნობილი როდის დაიწერა ვეფხისტყაოსანი ან როდის დაიბადა რუსთაველი და როდის მიიკვალა, რანდენადაც უდავოა რომ შოთა ცხოვრობდა მეთორმეტე საუკუნის მიწურულს, შესაძლოა პირობითად დაწესდეს მისი სადღესასწაულო დღე, რითაც გამოხატული იქნება პოეტისადმი ერის მადლიერება.

257. [უაგტორი]

ახალი ზურვილი

გაზ. დროება, 1885, 20 იანვარი, № 15, გვ. 1—2.

ავტორი ქართველი საზოგადოების ლიტერატურული ცხოვრების მიმოხილვაში გაკვრით აღნიშნავს სუტნერის მოსაზრებას ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლებაზე, რის ნიშნად მიჩნეულია ინტერესი ვეფხისტყაოსნის შესწავლისადმი.

258. [უავტორო]

შინაური ქრონიკა. საკვირაო ფელეტონი
[რაფიელ ერისთავის ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. დროება, 1885, 9 მარტი, № 52, გვ. 2; 10 მარტი, № 53, გვ. 1—3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „არწრუნისეულ თეატრში რაფიელ ერისთავმა წაიკითხა ლექცია ქართულ ლიტერატურაზედ მეოთხე. საუკუნისად შეთვრამეტემდე“ და რომელშიაც უფრო ხანგრძლივ შეჩერდა. „ვეფხვის ტყაოსანზე“ (№ 52).

ავტორი რ. ერისთავს უსაყვედურებს, რომ ზან ვეფხისტყაოსანს წუნი. დასდო „იმაში, რომ მისი გმირები იღვალს არ წარმოადგენენ და უბრალო კაცებს გვიხატავენ თავიანთ სიკეთითა და სიივეითა“. იმავე დროს რ. ერისთავი ვეფხისტყაოსანს აქებდა იმისათვის თითქოს „ღვთის-მოყვარეობა უმთავრესს თვისებას შეადგენს მასში გამოხატული პირებისა“ (№ 53).

259. [უავტორო]

შინაური ქრონიკა [სხვადასხვა ცნობები ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. დროება, 1885, 12 მარტი, № 54, გვ. 1; 13 მარტი, № 55, გვ. 1;
4 მაისი, № 94, გვ. 2; 12 მაისი, № 99, გვ. 2.

ტექსტი წარმოადგენს განცხადებას სურათებიანი ვეფხისტყაოსანის გამოცემაზე ხელისმოწერის პირობების შესახებ. ხელს აწერს „სურათებიანი ვეფხისტყაოსანის“ გამომცემელი გ. ქართელი შვილი“ (№ 54, 55).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ხეზედ სურათების ამომკრელი „ტატიშვილი. ამ ეამად ხატავს და მალე ამოკრასაც შეუდგება სურათებიანი. ვეფხისტყაოსანისათვის“ სათაურ ასოებისას. ეს ასოები შორთულნი იქნებიან სხვა-და-სხვა ნაირი ქართული ჩუქურთმით ჩვენი ძველი ეკლესიების მხატვრობისა: სამთავისისა, მცხეთისა, ალავერდისა და სხვანი“ (№ 94).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ იპოლიტოვ-ივანოვს განუზრახავს ოპერის დაწერა ვეფხისტყაოსანის თემაზე. ამასთანვე აღნიშნულია, რომ მას ამ საქმეში ხელს შეუწყობს ზიჩის მიერ პოემის დასურათება (№ 99).

იქვე ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციას მიუღია იოსებ ბოგდანის ძის პოპოვის გამომცემული „შოთა რუსთაველი ქართველთა. სახალხო პოეტი“. ცნობას ერთვის გამომცემის მოკლე აღწერილობა (№ 99).

260. [უავტორო]

ახალი ამბები [ვეფხისტყაოსანის თარგმანა]

ჟურნ. თეატრი, 1885, 15 დეკემბერი, № 17, გვ. 168.

იონა შეუნარგიას მიერ ვეფხისტყაოსანის ფრანგულად თარგმნის გამოცემა ახალ ამბებში ასეთი ხუმრობაა გაშვებული:

„როგორც შეიტყუთ, ბ. შეუნარგია „ვეფხვის ტყაოსანის“ ჩინურს ენაზედ გადათარგმნასა აპირებს და ამიტომ გორს წაიღია, რომ იქილამ ტივით ჩინეთში გაემგზავროს“.

261. ს. უ—ფ—ნი

საკვირაო ფელეტონი [ქვესათაურში] სორეჟანა და რუსთველი

გაზ. დროება, 1885, 6 აგვისტო, № 167, გვ. 1—3.

ავტორი გამაწვინებელ გამოთქმებში ახასიათებს თანამედროვე ახალგაზრდობას, უსაყვედურებს მწერლობას, რომ ის ტიპებს ვერ ამჩნევს და ვინ-

იე ხორეშანას მიერ მოწერილ წერილზე შენიშნავს, რომ ამისთანა ქალებისა-
ოვის უკედავ შოთას პასუხი აქვს მომზადებული, რისთვისაც მოჰყავს სტროფი:
„სჯობს სიმორე ღიაცისა, ვისგან ვითა ღაითმოზის...“

262. ზ. კიკინაძე

ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნელამ მეთექვსმეტე საუკუნეზე

თბილისი, 1885, 34 გვ.

ავტორი ქართული მწერლობის ძეგლების მიმოხილვისას „სარიღონიან-
თან“ დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მის დამწერზე „დიდი გავლენა უნდა
ქონიყო „ვეფხვის ტყაოსანს“ (გვ. 12).

„გულასპიანზე“ მსჯელობისას ავტორი გაკერით შენიშნავს, რომ მას გვირ-
თა ყოფა-ცხოვრების აღწერაში საერთო ემჩნევა ვეფხის-ტყაოსანთანაც (გვ. 19).

263. ზ. კიკინაძე

ამირან ღარეჯანიანი

გაბ. დროება, 1885, 30 ივლისი, № 162, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მას მიუტანეს ხელნაწერი ამირანღარეჯანი-
ანისა, რომელსაც შოთა რუსთაველიც ახსენებს:

„ამირან ღარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“.

ავტორი ახასიათებს ამ ხელნაწერს, მოკლედ ეხება მის შინაარსს და
აღნიშნავს: „ვიც ამ რომანს წაიკითხავს, იმას ცხადად გაახსენდება „ვეფხის-
ტყაოსანის“ შინაარსი. „ამირან-ღარეჯანიანის“ შინაარსს ერთობ დიდი გავ-
ლენა უნდა ჰქონდეს „ვეფხის ტყაოსანის“ შინაარსზე.“

264. ზ. კიკინაძე

აშოთან, თუ შოთა?

გაბ. დროება, 1885, 13 აგვისტო, № 173, გვ. 3.

ზ. კიკინაძე ახლად მიკვლეული სასულიერო შინაარსის ხელნაწერის „მემ-
ხოლოე“-ს დახასიათებისას აღნიშნავს, რომ მისი ავტორი ვეფხისტყაოსანის
დამწერს აშოთან რუსთაველის ფორმით ახსენებს. ეხება შოთას სახელის ტრა-
დიციას „ქართლის ცხოვრებაში“. მოჰყავს ვახუშტის აზრი, რომლის მიხედვით,
შოთა კერპთთაყვანისცემლობის დროინდელი სახელია. ავტორის შენიშვნით,
რუსთაველს მართლაც „აშოთან“ უნდა რქმეოდეს, რამდენადაც ეს სახელი
ასეთი ფორმით საქართველოში საერთოდ გავრცელებული ყოფილა როგორც
ქრისტიანული სახელი. ცნობილი არიან აშოთან მუხრანბატონი, აშოთან
ერისთავი და სხვ. ავტორის დასკვნით, რუსთაველს „აშოთან“ რქმევია და
ხალხს „შოთად“ გადაუყეთებია, რადგან ქართველებს კინობითი ფორმა უფ-
რო ეადვილებათ.

1 8 8 8

265. ვ. ხარნოცე

აღლუზიანი (ბიბლიოგრაფიული შენიშვნა)

ფურც. მწყეშისი, ქუთაისი, 1886, 20 ივნისი, № 17, გვ. 6—8.

ავტორი აღნიშნავს აღლუზიანის მდარე. სტილს, მოჰყავს სანიმუშოდ
ამონაწერები და გაკვირვებას გაძოსთქვამს, რომ ამ „პოემას“ თამარის დროს
აწერენ და დასძენს:

„გვესმით: რუსთაველის დროს თამარს მისთვის ხელქმნილი აღლუზიანით აკვირებენ, უმ-
ტიყუებენ თავის „განათლებლას“. რაღაც საეჭვოა, ამ წიგნაკს თითქო არაფერი სცნია თამარის
დროისა და ეკუთვნის იმ დროს, როდესაც ჩვენი ლიტერატურა დაეცა და მხოლოდ უღლეო
მიძაძეებს-ლა წარმოშობავდა ხოლმე“ (გვ. 7).

*Шота Руставели, грузинский народный поэт XII века
(по вариантам русских и французских)*

გახ. Новое Обозрение, 1886, 10 августа, № 908, გვ. 2—3.

წერილში ძირითადად განხილულია 1886 წ. თბილისში დაბეჭდილი მუ-
რიეს ბროშურა: „Chota Roustaveli poète géorgienne du XII siècle“. დასაწყისში ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას და მოკლედ ახასია-
თებს ვეფხისტყაოსანს. ავტორი ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის თარგმნის სიძ-
ნელეს, რაც რუსთაველის ენის სიძველეთა და თავისებურებითაა განპირობე-
ბული. ამ მაღალი იდეალების მქადაგებელი თხზულების არსებული თარგმანე-
ბი, ავტორის შენიშვნით, ვერ გადმოსცემენ ორიგინალის ღირსებას და ჯერ
კიდევ დიდხანს, ახლო მომავალში მსალოდნელი არაა ვეფხისტყაოსნის კარ-
გი თარგმანი გაკეთდეს. ასეთ პირობებში ნურიეს წიგნაკი რუსთაველზე:
ავტორის აზრით, თითქოს ერთგვარ ხარვეზს უნდა აესებდეს მის შესწავლაში,
მოლოდინის წინააღმდეგ კი ის წარმოადგენს მხოლოდ ცილისწამებიაა და
უეიცობის ილუსტრაციას საქართველოსა და მის დიდებულ პოეტზე. ავტორს
მოჰყავს მურიეს წიგნაკიდან ვრცელი ამონაწერი, რომელშიც მოცემულია
რუსთაველის ფანტასტიური ბიოგრაფია (რუსთაველის გრემში აღზრდა ეინმე
ორტაშვილის მიერ, ცოლთან გაყრა, თამარის უიმედო სიყვარული და სხვ.).
ავტორი მურიეს უძებნის ფაქტიურ შეცდომებს (მაგ., მას დავით სოსლანი
ორი პიროვნება ჰგონია, დავითი და სოსლანი) და აყალიბებს იმ უშვერ
ბრალდებებს, რომელნიც მურიემ რუსთაველსა და მის შემოქმედებაზე გამოს-
თქვა. მურიეს აზრით, რუსთაველი უნიჭო მწერალია, ის რომ დიადი იყოს,
თარგმანშიც გამოჩნდებოდა. რუსთაველს დიადი იდეები არა აქვს, მისი გმი-
რები გაუთავებლად ტირიან და არაფრით არ გამოირჩევიან. მეუნარგიას.
ტყუილად ჰგონია თითქოს რუსთაველს საქმე გაუქეთა ვეფხისტყაოსნის
ფრანგულად თარგმნით. სჯობდა მხოლოდ ქართველებს და ზოგ უცხოელ
პროფანს ჰგონებოდათ, რომ რუსთაველი დიდია. ავტორი ძლიერ პოლემიკურ
გამოთქმებში აფასებს მურიეს მოსაზრებებს.

267. [თეიმურაზ პირველი]

ლექსნი, თქმულნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან 1591—1665

გამოცემული ხაქ. კვიციანიძისაგან, თბილისი, 1886, 64 გვ.

თეიმურაზის „მაჯამა“ შეიცავს რუსთაველის მოხსენიებას:

„ვის სიციცლუ მწარე ჰქონდეს, სიკვდილი თქვა შოთამ ტკბილად“ (გვ. 22).

„შოთამ მსთქვა სწორეთ მიდგომა მხისაგან ვარდთა-ნეზისა“ (გვ. 23).

268. Зонд [დ. კეზელი]

Зицани

გახ. Новое Обозрение, 1886, 7 сентября, № 934, გვ. 2.

ავტორი გაკერით და დაკინებით იხსენიებს მურიესა და იონა მეუნარ-
გიას მუშაობას ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნა-შესწავლის საქმეში და
აღნიშნავს, რომ გაფრანგებული მეგრელის იანუს მეუნარგიას ნახევრად ველუ-
რმა წინაპრებმა, რომელნიც ოდიში გარეულ ღორებზე ნადირობდნენ, არაფერი
იციოდნენ შოთა რუსთაველის შესახებ და ეპვი არ ექნებოდათ, რომ მათი
შვილიშვილი მიწერ-მოწერას გამართადა ფრანგ აკადემიკოს რენანთან და
შეეცდებოდა, რომ როგორმე ერთი-ორი სტრიქონი დაეწერინებინა ვეფხის-
ტყაოსნის თავისი ფრანგული თარგმანის განზრახული გამოცემისათვის.

269. წინამძღვარი ვარძიის მონასტრისა

მღვდელ-მონაზონი კალისტრატე

საისტორიო მასალა—ვარძიის მონასტერი 1156—1212 წ.

ჟურნ. მწყემსი, ქუთაისი, 1886, 1 თებერვალი, № 5, გვ. 4—5.

ავტორი მოკლედ აღწერს ვარძიის ახლოს მალალ კლდეზე აშენებულ, მტერთაგან შეუვალ „თმოგვის“ ძეგლს, დიდ ციხეს და შენიშნავს: „ეს ის ციხეა, რომელსაც ახსენებს ხოლმე შოთა რუსთაველი:

„დილარგეთ სარკის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა,
ტარიელ მისსა რუსთაველსა. მისთჳს ცრებლ შეუშრომელსა“.

270. ზ. მთაწმინდელი [ზაქარია ჭიჭინაძე]

ბესიკი, ა. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი,
თბილისი, 1886, 64 გვ.

ავტორი აღნიშნავს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების ნაკლოვანებებს და პიროვნული ღირსების სამაგალითოდ იხსენიებს გრ. ორბელიანის საქციელს. მას უარი ვანუცხადებია, როდესაც მისთვის 50 წლის სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილეს გადახდა ვანუზრაბავთ. ავტორის სიტყვით გრ. ორბელიანს უთქვამს:

„დასწყველით ღმერთმა, ეს რაებს იგონებენ. თავიანთ ჯიბესა და უბეს მოუარონ, თავიანთ ჭკუასა, ეს უფრო ურჩენიათ, ვინემუ ამაებს ჰუიქრობენ. თუ მაინცა და მაინც არ იშლით და ავერ რუსთაველი, გურამიშვილი და ბარათაშვილი“ (გვ. 64).

271. J. Mourier

Chotha Rousstavéli poète géorgien du XII^{ème} siècle. Notice par J. Mourier

Officier de L'instruction Publique, Tiflis, 1886, 16 გვ.

ეს სტატია შემოკლებულად პირველად დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1884 წელს (28 ნომერი, № 256, იხ. ანოტაცია № 215) რეცენზიის სახით ი. მენუნარციას მიერ ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანის გამო. მისივე განმეორებაა ამავე სათაურით ჟურნ. „Journal Asiatique“, 1887, IX, გვ. 520—520 (იხ. ანოტაცია № 236).

მეორეს მოსახიზებებს მკაცრი რეცენზიით შეხედნენ (იხ. ანოტაცია № 266, 279).

272. Chotha Rousstavéli

*La Peau de Léopard imitée du Vepkhis
Tkaosani de Bousthavéli*

წიგნი: Achas Borin, Contes Orientaux, Paris, 1886, გვ. 57—142.

პირველად დაიბეჭდა ცალკე წიგნის სახით თბილისში 1885 წელს (იხ. ანოტაცია № 251).

ტექსტი ძირითადად იმეორებს პირველ გამოცემას. ავტორს ვეფხისტყაოსნის თარგმანში ზოგი სტილისტური შესწორება შეუტანია და დასათაურებაც შეუცვლია. შინაარსი:

„Avant-propos (გვ. 59—61); Introduction (გვ. 63—66); Prologue (გვ. 67—75); Chapitre I. Le désir de Tinatine (გვ. 76—86); Chapitre II. Le récit de Tariel (გვ. 87—108); Chapitre III. Les deux héros (გვ. 109—110); Testament d'Avtandil (გვ. 111—121); Chapitre IV. Fatmanç (გვ. 122—135); Chapitre V. Nestane (გვ. 136—140); Épilogue (გვ. 141—142).“

273. დავით ხოსლანი

წერილი რედაქტორთან

ჟურნ. თეატრი, 1886, 5 ლინობისთვე, № 40, გვ. 450—452.

წერილი წარმოადგენს პასუხს ჟურნ. „თეატრში“ (1886, № 37) მის წინააღმდეგ დაბეჭდილი წერილისა „რუსთაველის“ ხელობად გაგების საკითხზე. ავტორი ეკამათება ზ. ჭიჭინაძესა და ა. ფურცელაძეს „რუსთაველის“ მნიშვნელობაზე და ამტკიცებს, რომ „ხელობა“ „ქვეუიღამ შეშლაა“ და არა მოსაქმეობა.

374. დავიდ სოსლანი

შოთა რუსთაველი და მისი ცოლი (ბიბლიოგრაფიკული შენიშვნა)

გაზ. *Новое Обозрение*, 1886, 4 Сентября, № 931, გვ. 2—3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს გამრავლდნენ ლიტერატურული სახელის მადიდებლები, რასაც სურთ მიადწიონ შოთა რუსთაველის ეფთხისტყაოსანზე მუშაობით, ამასთან დაკავშირებით ჩვენში გაჩნდნენ თარგმანები, ლექციები და წერილები. სანიშნუროდ ავტორი ჩერდება ა. ფურცელაძის წიგნაკზე „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“. ავტორის აზრით, სჯობდა, რომ ანტონ ფურცელაძე დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ლეგენდის გადმოცემით, მაგრამ მან მის საკუთარი კომენტარებიც დაურთო, რაშიც გამოამჟღავნა უშეკრება. ა. ფურცელაძის მიერ წამოყენებული დებულება, „რუსთაველის“—პროფესიად გაგებისა, ავტორს სრულ გაუგებრობად მიაჩნია, რადგან კონტექსტში „მე რუსთაველი ხელობითა“ ნიშნავს სიყვარულით გაგიგებულს, ხელს და არა ხელობას. ამასთანავე ერთად, ავტორი დასცინის ამ საკითხზე ქართულ პრესაში ატეხილ პოლემიკასაც.

375. კ. უ.

ბ. ნ.-ის პედაგოგიურ მოსაზრებათა გამო

ფურ. *მწყვემსი*, ქუთაისი, 1886, 30 იანვარი, № 4, გვ. 4—6.

წერილი წარმოადგენს პასუხს ბ. ნ.-ის შენიშვნებისადმი, რომელშიაც უარყოფილი ყოფილა ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „რუსთაველი თავის ღრმა იდიოთი და ენით, ღრმა პოეზიით სწორედ ძნელი გასაგებია პირველ ოთხ კლასის მოსწავლეთათვის“. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ რუსთაველის იდეასა და ენას პირველი ოთხი კლასის მოწაფეობა ძნელად შეიგნებს, შოთას უმაღლეს ქმნილებას ვერ აქცევს თავის სისხლად და ხორცად. „გომერები, დანტები, რუსთაველები და სხვ.“ ძნელია მოწაფემ შეითვისოს მათი ეპოქის შესწავლის გარეშე, რაც ჯერ კიდევ მასწავლებლებმაც არ იციან (გვ. 4).

ავტორის დასკვნით, პირველი ოთხი კლასის მოსწავლეთათვის შესაძლოა მასალად გამოვიყენოთ შოთას პოემის ზოგი თავი, რომლებიც შემოკლებულად მოყვანილია „ბუნების კარში“ (გვ. 5).

376. [უავტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის გამოცემა]

გაზ. *ივერია*, 1886, 30 აპრილი, № 93, გვ. 1—2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „სურათიანის“ ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვის საქმე ნელ-ნელა მიდის წინ, ახალი ასოები ზაღდ მზად იქნება, ქალაქი მზაა, ტექსტი შესწორებულია და შემოწმებული, ასო მთავრულები ამოკრილია, არშიაც გაკეთებულია“. დაბრკოლება მხოლოდ სურათებზეა. ამასთან ერთად აღწერილია ზიჩის მიერ გამოგზავნილი ოთხი სურათი.

376. [უავტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნისა და რუსთაველზე]

ფურ. *თეატრი*, 1886, № 14, გვ. 145; № 16, გვ. 167.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში აღმოჩენილია ერთი ძველი ხელნაწერი, რომელშიაც მოხსენიებული ყოფილა შოთა რუსთაველის გვარი. რედაქცია შენიშნავს, რომ „თეატრის“ ნომრებში ამ საგნის შესახებ დაიბეჭდება სპეციალური წერილი, სადაც განმარტებული იქნება შოთა რუსთაველის ნამდვილი სახელი და გვარი (№ 14).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ ყმაწვილ კაცს „წერა-
იქმნის საზოგადოებაში“ ვრცელი მოხსენება წარუდგენია იაფთასიანი ვეფხის-
ტყაოსნის გამოცემის საკითრების შესახებ. ეს წინადადება შეუწყნარებიათ და
კალაუწყვეტიათ იაფთასიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემა, რითაც დაკმაყოფი-
ლებული იქნება ქართული დაბალი ხალხის მოთხოვნილება (№ 16).

278. [უაფგორო]

[განცხადება ვეფხისტყაოსნაჲ]

ფრან. თეატრი, 1886, 13 ივლისი, № 28, გვ. 312.

განცხადების ტექსტი მომყავს უცვლელად:

„Chota Houstharoli. Sa Vie et Son oeuvre, Notice par. J. Mourier.

Librairie Tcharkviani, Tiflis.“

ამ განცხადებაში ნაგულისხმეა ამავე წელს გამოცემული წიგნაი (იხ. ანოტაცია № 271)
რომელიც 1887 წელს გადაიბეჭდა „Journal Asiatique“-ში (იხ. ანოტაცია № 296).

279. [უაფგორო]

ცხოვრების თეატრი [კამათი რუსთაველზე]

ფრან. თეატრი, 1886, № 30, გვ. 329—331; 3 აგვისტო, № 31, გვ. 345—348.

პირველი წერილის დასასრულს ავტორი შენიშნავს: „ფრანკუზმა მურიემ,
რომელსაც ჩვენი საზოგადოება კარგად, ძალიან კარგად იცნობს, გამოსცა პატა-
რა ბროშიურა რუსთაველზე და „ვეფხვის ტყაოსანზე“. როგორია ეს ბრო-
შიურა, რას ამბობს ავტორი ჩვენს პოეტზე და მისს თხზულებაზე, ვგონებთ,
ცალკე ლაპარაკად ღირდეს“ (№ 30).

მეორე წერილის ქვესათურში: დანაირობს ვასრულებთ. — ბ. მურიეს აზრი „ვეფ-
ხის-ტყაოსანზე“. რა მთავარი „ვეფხის-ტყაოსანმა“ ფრანკუზულად გადათარგმნით? რას
მოიგებს ბ. მურიე ქართულად გადმოთარგმნით?..

წერილი წარმოადგენს რეცენზიას მურიეს წიგნაკზე რუსთაველის შესახებ
(№ 271). ავტორი აღნიშნავს, რომ მას სიტყვა-სიტყვით უთარგმნეს მურიეს
წიგნაი ფრანგულიდან, საიდანაც მოჰყავს ამონაწერები, რომლებიც შეიცავენ
მკლარ დებულებებს რუსთაველის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის საკითხებზე.
ავტორი იწუნებს მურიეს კონცეფციას, რითაც ის უღვება დიდი შემოქმედის
განხილვას, რომლის მიხედვით ვეფხისტყაოსანში თითქოს შესამჩნევია უში-
ნაარსობა, საგნის სისუსტე, ნამდვილ ხასიათთა უქონლობა, გრძნობათა თან-
დათან განუერთარებლობა. „ლექსთა გრება და თხზვა მშვენიერი აქვს, მაგრამ
განა ესა კმარა, რომ რომელსაზე თხზულებას დიადი დაეუძახოთ? ჰგვარავს
განა ეს თვით ამბის უშინაარსობას, საგნის სისუსტეს, ნამდვილ ხასიათთა
უქონლობას?“ (გვ. 346). ავტორის აზრით, უმართებულაა მურიეს შენიშ-
ვნები იმის შესახებ, თითქოს ვეფხისტყაოსანში ბუნების მხატვრულ აღწერას
ვერ ვხედებით, რომ გადაქარბებულად დიდი ადგილი აქვს დათმობილი
სიყვარულის, მეგობრობისა და რაინდობის მოტივებს. ავტორის აზრით,
მურიეს მიერ რუსთაველის შემოქმედების სურათის დახატვა იგივეა, რომ
„რომელსაზე ხუმარას ძველი ქოხები რუსთაველის ან ყვარყვარე ათაბაგის სად-
გომად გაესაღებინა“.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ ბ. არწრუნს „მშაქში“ უქია მურიეს
წიგნაი, „კვერი დაუკრავს მის შესახებ, რომ თუ თხზულება გენიოსური იყოს,
რაც უნდა ცუდად გადითარგმნოს, გენიოსის კალამი თავმანშიაც შეეცდობაო.
მამსადამე რუსთაველი უბრალო პოეტი ყოფილაო“, რასაც დასძენს, რომ სჯობს
ასეთ უფიცი კრიტიკოსთაგან რაც შეიძლება მალე თავის დახსნა, რადგან მათ
საზოგადოებისთვის მხოლოდ ზიანი მოაქვთ (გვ. 347).

ცხოვრების თეატრი [პოლეშიკა რუსთაველზე]

ჟურნ. თეატრი, 1886, № 32, გვ. 361—363.

წერილს აქვს ქვესათაურები:

კიდევ რუსთაველზე და არა ბ. მურიეზე. თუ ბატონ მურიემ დაამტოვ ჩვენი პოეტი, ბ. ანტ. ფურცელაძემ ხომ ახალი ხარისხი გამოუძებნა.

ავტორი გაკერით ჩერდება მურიეს ბროშურაზე შოთა რუსთაველის შესახებ, აკრიტიკებს ანტ. ფურცელაძის ლეგენდას რუსთაველზე, მოჰყავს ვრცელი ამონაწერი ფურცელაძის წიგნაკიდან და გამოთქვამს აღშფოთებას, რომ მან რუსთაველის ხელოვნური ბიოგრაფია შექმნა (მოლაღატე ცოლის მოტივით). ავტორის აზრით, თვით რუსთაველი ორიოდე სიტყვით თავის შესახებ უფრო მეტსა და შინაარსიანს ამბობს, ვიდრე პოეტის შესახებ ანტ. ფურცელაძე მთელ ბიოგრაფიაში, რომელიც ლოგიკის, ენისა და ლიტერატურის მასხარად აგდებას წარმოადგენს.

281. [უაგტორო]

თეატრის კვირა

ქვესათაურში: ღირს თუ არა „რუსთაველის რუსთველობაზე“ ღაპარაკი?

ჟურნ. თეატრი, 1886, 24 აგვისტო, № 34, გვ. 393—395.

ჟურნალის მეთაურის ავტორი ეკამათება ანტონ ფურცელაძეს, რომელსაც ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული რუსთაველობა ესმის როგორც ხელობა (გვ. 394). ავტორი აღნიშნავს, რომ მაგ., ერისთავობა თანამდებობა იყო და არა ხელობა. „ხელობითა“ ავტორს მთელ კონტექსტში ესმის როგორც ხელობით მოშაირე, რასთანაც, მისი აზრით, შეფარდებულია „ვპოვე და ლექსად გარდაეთქვი“.

282. [უაგტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი]

გაზ. ივერია, 1886, 6 სექტემბერი, № 122, გვ. 2.

რედაქციას სწერენ, რომ სოფ. ახმეტაში თ. ნ. მაყაშვილს ჰქონია იშვიათი პირი. ვეფხისტყაოსნისა. ხელნაწერის, მოკლე აღწერაში აღნიშნულია, რომ, როგორც მინაწერებიდან ჩანს, ის გადაწერილია მეფე ვახტანგ V ანუ შაჰნავაზ გიორგის ძის მეფობის მესამე წელს—1661—1664 წ. დასასრულს აღნიშნულია, რომ ეს წიგნი მოსკოვში შეუქმნია 1781 წელს ერეკლე მეორეს მიერ რუსეთში გაგზავნილ სახლთხუცეს თავად ჩოლოყაშვილს.

283. ანტონ ფურცელაძე

რუსთაველის რუსთველობაზე

ჟურნ. თეატრი, 1886, 24 აგვისტო, № 34, გვ. 399—401.

წერილი წარმოადგენს პასუხს მისი შრომის—„რუსთაველი და იმისი ცოლი“—გამო ჟურნ. „თეატრში“ (№ 32) მოთაქცეული წერილების ავტორებისადმი. პოლეშიკის მთავარი საგანი ყოფილა „რუსთველი ხელობითას“ გაგება. ავტორი მოკლედ აღწერს ეკამათის მიმდინარეობას, აკრიტიკებს მოწინააღმდე-

ეთა დებულებას, რომ „ხელობითა“ არ ნიშნავს „ხელობით ნოშაირეს“ და ხალი საბუთებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ სიტყვა „ხელობა“ მიეწერება რუსთველს“, რუსთველობა ხელობა ყოფილა და ეს ხელობა ჰქონია რუს-იველს, რის საანალოგიოდ ასახელებს შავთელს, თმოგველს და თორელს.

164. [ან. ფურცელაძე]

თეატრის კვირა

(ვეფლენი დ. სოსლანს)

ურნ. თეატრი, 1886, 14 სექტემბერი, № 37, გვ. 425—426.

წერილი წარმოადგენს პოლემიკურ შენიშვნებს დ. სოსლანის მიმართ „მე რუსთველი ხელობითას“ გაგებასთან დაკავშირებით. ავტორი აკრიტიკებს დ. სოსლანის აზრს, რომლის მიხედვით „ხელობა“ კეუიდან შეშლას ნიშნავს. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ „მე რუსთველი ხელობითა“ უნდა გაიგოს როგორც ხელობით მოშაირეობა, მოლექსეობა, პოეტის ხელოვნება.

385. ა. ფურცელაძე

კლევე რუსთველის ხელობაზე

ურნ. თეატრი, 1886, 9 გიორგობისთვე, № 45, გვ. 537—539.

წერილი მიმართულია დ. სოსლანის საპაექროდ. ავტორი აღნიშნავს, რომ მან ეს პასუხი გაგზავნა «НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ»-ში, სადაც არ დაუბეჭდეს, და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ვეფხისტყაოსნის „რუსთველობა“ არის ხელობა, პროფესია. მოკლედ მიმოიხილავს კამათის მიმდინარეობას და გამოჰყოფს სამ შთაფარ აზრს, რომელიც გამოითქვა მის მიერ „რუსთველი ხელობითას“ გაგების გამო. „ხელობის“ თავის ინტერპრეტაციისათვის მოჰყავს დამატებითი საბუთები წინა წერილებთან შედარებით.

386. ანტონ ფურცელაძე

შოთა რუსთაველი და იმიზი ცოლი

ძველადგან ამბათ დარჩენილი

თბილისი, გრ. ჩარკვიანის სტამბა, 1886, გვ. 3—37.

ტექსტი შეიცავს ავტორის შესავალს (გვ. 3—17) და თვით ლეგენდას (გვ. 17—37).

შესავალში ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას საქართველოში, მის შეუსწავლევლობას და მოკლედ ეხება მის ბიოგრაფიას. ავტორს გამოთქმიდან „მე რუსთველი ხელობითა“ ის დასკვნა გამოჰყავს, რომ რუსთველობა ხელობა ყოფილა. „მიზრძანეს მათლა საქებრათ“ იმას ნიშნავს, რომ პოემა შეეკეთით დაუწერიაო. ავტორი მოკლედ არჩევს ისტორიულ თუ ზეპირ ცნობებს რუსთაველის ცხოვრებისა და პიროვნების შესახებ, ახასიათებს რუსთაველის პიროვნებას პოემის მიხედვით, ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის ეპიზოდები შეიცავს ანალოგიებს საქართველოს ისტორიულ ვითარებასთან.

ლეგენდის ნასკვია მოღალატე ცოლის მოტივი—რუსთაველმა ცოლის ლაღატი რომ გაიგო, მოჰკლა ამბის მომტანი, რომელიც მისი პირველი შეყვარე-

ბული აღმოჩნდა. მოვალატი ცოლს ჰკლავს საკუთარი ძმა, თვით შოთა კი შეფის ჩრევეთ მონასტერში მიდის. დასაწყისი:

„ერთ კვირა დღეს შეფის სასახლენი იყო რუსთველისთვის თამარ შეფისაგან გამართული ნადიმი, აქ იყვნენ მოწვეულნი მრავალნი მწერალნი და მწიგნობარნი, ჩინებული კარისა და სამეფოს კაცი. რუსთაველს უნდა წაეკითხნა დასასრული თავის ახლად გათავებულის „ვეფხვის ტყაოსნისა“.

რუსთაველი იყო კარგს გუნებაზედ და კითხვლობდა თავის ქმნილებას, მშვენიერად, გატაცებით, სიმღერის ხმაზედ, რომელიც ჩვენში იყო შემოღებული საბერძნეთიდან. თამარ და ყოველნი აქ მყოფნი მოდიოდნენ ალტაცებაში „ვეფხვის ტყაოსნის“ დიდებული სურათებით და მალალი ახრებით...“

387. ს. ჩხერელი

დაბა და სოფელი (მოწერილი ამაზე) სოფ. ჩხერი

გაზ. ივერია, 1886, 4 სექტემბერი, № 190, გვ. 2—3.

სოფლის აღწერაში ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ სოფლის მახლობლად, სამი ვერსის სიშორეზედ, სოფელ „თეთრა წყარო“-სთან მდებარეობს ნახევარი ვერსის სიგრძის გამოქვაბული კლდე.

„ეს კლდე ძალიან გვაგონებს იმ კლდეს, რომელიც უკვდავ შოთა რუსთველს აქვს აწერილი „ვეფხვი-ტყაოსანში“, სადაც ვეფხვის-ტყაოსნის ორმა გმირმა, ავთანდილმა და ტარიელმა ერთმანეთი ნახეს. კლდის წინ იგივე შამხნარია, ტყე და პატარა ხევი, როგორც ვეფხვის-ტყაოსანშია ნათქვამი. გამოქვაბულ კლდეს მეხოვრებლები უწოდებენ „ღვეის სადგურსა“.

388. [ზაქარია ჭიჭინაძე]

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთველზე

ჟურნ. თეატრი, 1886, № 47, გვ. 564—565; № 49, გვ. 580—582; № 50, გვ. 588—589.

ავტორი ზოგადად. ახასიათებს რუსთაველს და მისი შემოქმედების მნიშვნელობას, მოკლედ მიმოიხილავს ისტორიულ ცნობებს რუსთაველის შესახებ და საკითხის შესწავლის ისტორიას. ავტორი რუსთაველს ადარებს დანტეს და მილტონს, რომელთაც, მისი შენიშვნით, კრიტიკამ ნაკლი აღმოუჩინა, რუსთაველს კი ასეთი არა აქვს, და თუ ვეფხვისტყაოსანს ევროპელი გაიცნობენ, დანტეზე მეტად დაფასებენ. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების ნაკლებობას და იმას, რომ ვახტანგ მეფეც არაფერს ამბობს რუსთაველზე. ვეფხვისტყაოსნის თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში (№ 47).

ავტორი ეხება პოეტის სახელის—„შოთას“ მართებულობას ქართული წყაროების მიხედვით. აკრიტიკებს გოლოვინს, რომელმაც ივანე რუსთავეის ეპისკოპოსის სახელი რუსთველს მიაწერა (№ 49). ავტორის ცნობით, თბილისში აღმოჩნდა ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი „მემხოლოც სულიერი“ იონა ბერისა, დაწერილი მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, რომელშიც რამდენიმე ადგილს მოხსენიებული ყოფილა შოთა რუსთაველი და შოთას აშოთანი რქმევია. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იხილავს შოთა-აშოთანის საკითხს და აღნიშნავს, რომ ქრისტიანობის შემდეგ შოთას მაგიერ საქართველოში აშოთან უნდა ყოფილიყო და სიადვილის გამო აშოთან შოთად გადაკეთდაო. საბოლოოდ ავტორი ასკენის, რომ რუსთაველის ნამდვილი სახელი აშოთანი ყოფილა.

მეფე თეიმურაზ პირველი

წინასიტყვაობა წიგნისა: ლექსნი თქმულნი მეფის თეიმურაზ პირველისაგან
გამოცემული ზაქ. კვიციანიძისაგან, თფილისი, 1886, 64 გვ.

ავტორი თეიმურაზ პირველის ლიტერატურული მოღვაწეობის დახასია-
თებისას აღნიშნავს, რომ „ამასვე აწერენ ქართულიდამ ბერძნულს ენაზე
„ვეფხვის ტყაოსნის“ გადათარგმნას, როცა თეიმურაზი კონსტანტინეპოლში
ყოფილა და სულთანს გარდა ბერძნებთანაც დაახლოვებული კავშირი ჰქონია“
(გვ. III).

იქვე ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ „მრავალმა მელექსემ დასწერა
გაბაასებითი ლექსი ჩვენს ძველს მწერლებზე და იქ შოთა რუსთაველთან თავი-
სუფლათ ასაუბრა თეიმურაზი“ (გვ. IV).

წიგნისთვის დართულ შენიშვნაში ავტორი აღნიშნავს, რომ მან თეიმუ-
რაზის „მაჯამებში“ გამოტოვა ორი ტაეპი, რომელშიაც თეიმურაზი თავის
თავს რუსთაველზე მაღლა აყენებს (გვ. 62).

1887

290. ორ-ანი [არტემ ახნაზაროვი]

სახელწიგლო (ეზად-ასაღუბი—წუალ-წასაღუბი ამბუბი)

გაზ. ი ე რ ი ა, 1887, 19 აბილი, № 76, გვ. 3—4.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს აკაკი წერეთლის მიერ ვეფხისტყაოსან-
ზე წაყითხული შესამე ლექციის შინაარსს, რომელიც განსაკუთრებით ქარ-
თველ ქალებთან იყო დაკავშირებული, და სახუმარო ტონით შენიშნავს, რომ
სჯობდა აკაკის სამის მაგიერ შეიდი ლექცია წაეკითხა ეხლანდელ ქალებზედ-

291. ბათუმელი

ღღიური პროვინციელისა

გაზ. ი ე რ ი ა, 1887, 25 ივნისი, № 128, გვ. 2—3.

ავტორი ქალთა თანამედროვე მდგომარეობასა და ემანსიპაციაზე მსჯე-
ლობისას შენიშნავს:

„ედუაზრი ამ მოძღვრებისა ისაა, რაც ჩვენმა გენიოსმა, დიდებულმა შოთამ, წარმოს-
თქვა ამ შეიღასის წლის წინად:

ღვევი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ხვალა“.

292. Laurent Brossel

Bibliographie Analytique

Des ouvrages de Monsieur Marie-Félicité Brosset, Membre de L' Acadé-
mie impériale des sciences de Saint-Petersbourg 1824—1879.

Saint-Petersbourg; imprimerie de L' Académie impériale des sciences,
1887, LXXI+704 გვ.

ბიბლიოგრაფია შეიცავს ცნობებს ბროსეს ყველა შრომაზე ვეფხის-
ტყაოსნისა და რუსთაველის შესახებ, № № 5, 6, 18, 13, 26, 35, 149-ა,
264-ზე. მთელ წიგნს გაკეთებული აქვს დაწვრილებითი საძიებლები ვეფხის-
ტყაოსნის ავტორის, გმირების, და კვლევადიების ცალკეული საკითხების
ნიხედვით შემდეგ გვერდებზე: ვეფხისტყაოსანი ფრანგულად 19, 52, 120,

160, 506; პოემის სახელწოდება და ტარიელისა და ნესტანის სიყვარული 27; ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის შესახებ 160; კაცი ვეფხის ტყავით 441; ტარიელის რომანი: 9, 10, 18, 22, 23, 24, 25, 26, 27, 57, 78, 92, 107, 162; ვეფხისტყაოსანი 52; 160, 506; ვეფხისტყაოსნის გმირები — ტარიელი 24, 27; ნესტან-დარეჯანი 27; როსტევენი 10, 24; ავთანდილი 24; ბროსეს შეხედულებანი ვეფხისტყაოსანზე: 9, 10, 24, 26, 23—25; 25—26, 92, 107, 161; პოემის გამოცემის გეგმა 44; შენიშვნები სხვადასხვა გამოცემებზე 160, 162, 505; შენიშვნები ვახტანგ VI და თეიმურაზზე 92, 161, 162, 506; შოთა რუსთაველზე 161, 545; სხვადასხვა საკითხზე რუსთაველთან დაკავშირებით: 70, 120, 162, 23, 161, 545.

293. კოტე დოდაშვილი

საგრამატიკო ესკიზი — ნოტიური მოსაზრებანი ზმნაზე და ზმნის გამო (ეუკლენი ჩვენს პატივცემულ პროფესორს, ი. ლ. ოკროშვილიშვილს)

გახ. ივერია, 1887, 25 ოქტომბერი, № 222, გვ. 3 — 4.

წერილი შეიცავს სერიის ერთ ნაწილს (დასაწყისი, ივერია, № 214, 215, 216, 217, 219, 220).

ავტორს პროფ. ა. ცაგარელთან კამათში, იმის თაობაზე, რომ პროცა იხმარება ერთი რომელიმე მრავლობით რიცხვის მაპიროვნებელთაგანი ნიშანი, მაშინ ნამდვილი ნიშანი მრავლობით რიცხვისა «თ» ბოლოს სრულიად უსაჭირო იქნება» მოპყაეს საილუსტრაციო მასალა ვეფხისტყაოსნიდან:

„აწვეცა და გვხოც, ვერა ჰგაგ, ვერა ვერ მოგვხმარებთ,
ვისგან ნაკრავი გვინახავენ მხეცნი ვერ წაღმა წარებთ“.

და ასკენის:

„რუსთაველის მიერ ნახმარის სიტყვებიდამ — „გვინახავენ“, „დაგვიხოცია“ — ვხედავთ, რომ როცა ზმნის ფორმას წინ უხიბ პირველ პირის ნიშანი „გვ“, მაშინ მრავლობითის რიცხვის ნიშანი „თ“ ბოლოში აღარ არის საჭირო, რადგანაც იგივე მარტვალის „გვ“, როგორც ორ-მაპიროვნებელ ფუნქციისაგან შემდგარი; თვად გამოხატავს სიმრავლეს:

გვ — ი — ნახავენ — ს — მ — ი — ნახავენ — ს — გ — ი — ნახავენ — ს (გვ — გვ)

გვ — ი — წერ — ი — ეს — მ — ი — წერ — ი — ეს — გ — ი — წერ — ი — ეს

გვ — ი — ნახავენ — ს (ს) — მ — ი — ნახავენ — ს — გ — ი — ნახავენ და „სსვები“ (გვ. 4).

294. [იაკობ ლაზაროშვილი]

გლესური ლექსები [ვეფხისტყაოსნის მოტივებზე]

(ვეფხისტყაოსნიდან გადაკეთებული ხალხის მიერ, გაფორმული და ჩაწერილი სოფ. ხიზაბურაში (ჯავახეთში) იაკობ ლაზაროშვილის მიერ)

გახ. ივერია, 1887, 16 ოქტომბერი, № 215, გვ. 2.

ლექსებში ასახულია ვეფხისტყაოსნის ცალკეული მოტივები, განსაკუთრებით ქაჯეთის ციხის აღებაზე. ტექსტი შეიცავს ოთხ ლექსს. დასაწყისი:

ტარიელ, დამთმე გულითა,
ქვისაგან უმარესითა;
მე შენ კდარს განხაე, დავიწვი,
როგორც აბედი კვესითა!..

295. ს. მ. [სოსიკო მაჭავარიანი]

ვეფხისტყაოსანი ხალხის მიერ თქმული

(გაფორმული და ჩაწერილი კახეთში ალავერდობას სოსიკო მაჭავარიანის მიერ)

გახ. ივერია, 1887, 28 ოქტომბერი, № 224, გვ. 2.

ლექსი წარმოადგენს დიალოგს ნესტანსა, ტარიელსა, ნესტანის მამასა და ავთანდილს შორის. დასაწყისი:

ნესტან:

უთხარ ტარიელ მოვიდეს იარაღისა ლესითა;
თუ არ მოვიდა, დავიწევი ვითა აბუდი კვესითა.

ტარიელ:

მითხარ და წაველ არაბეთს, სისხლი ვადინე რუებით...

296. მგზავრი

ღაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი). ახალციხის მაზრა

გაზ. ივერია, 1887, 30 სექტემბერი, № 202, გვ. 2—3.

აეტორი ახალციხის მხარის აღწერისას აღნიშნავს, რომ ის იყო შოთა რუსთაველის სოფელში — რუსთავეში, სადაც ოთხი თათრის მოსახლე ცხოვრობს, და დასძენს:

„ჩემი ვული უცნაურმა გრძობამ შეიპყრო: თან მიხაროდა კიდევ ამ დიდებულის კაცის სამშობლის ნახვა და თან თითქო ტირილიც მინდოდა. აი-მუთქი, ვამზობდი გულში, აქ დადიოდა ის გენიოსი კაცი, აქ ატარებდა ემაწვილობას და აქედამ მოაფინა სხოვი დიდებისა მთელს ჩვენს სამშობლოსა-მუთქი. მაგრამ თან ის მიწუხებდა გულს, რომ ამ შესანიშნავს ალღას არავითარი ნიშანი ჩვენსა ყურადღებისა არ მოიძებნება. არც მცირე რამ ძეგლი, არც ქვა-წარწერილი, არც ხის სვეტი, რომელზედაც ეწეროს ეს ამბავი...“.

297. M. J. Mourier

Chota Roustaveli, poëte géorgien du XII^e siècle

ფრან. Journal Asiatique, 1887, ტ. IX, გვ. 520—530.

აეტორი სტატიისათვის წამძღვარებულ შესავალში აღნიშნავს, რომ ვილაც მდიდარი ქართველი ვაჭრის. ინიციატივით დაუწყიათ ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმნა ფრანგულად. ეს არის იონა მუენარციას თარგმანი, რომლის შესახებ თვით მუენარციას უთხოვნია მურიისთვის, შეეფასებინა როგორც თვით პოემა, აგრეთვე მისი ფრანგული თარგმანიც.

აეტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას, ეხება მის შესახებ არსებულ ლიტერატურას, ბიოგრაფიას, მოკაყავს ტრადიციული ცნობები პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ და მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსანს. რუსთაველის ლექსის გარჩევისას მოკაყავს შიარის სქემა (გვ. 526) და აღნიშნავს ამ ლექსის წყობის, რითმისა და რიტმის თავისებურებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი დიდი რომანტიკული პოემაა, ის ორიგინალური ქართული თხზულებაა, რომელშიც დახატულია საქართველო და ქართველთა ყოფა-ჩვეულება. ის დიდი ნიჭის თხზულებაა ფორმით, სტილით და არ ჩამოუვარდება მსოფლიო მუდგერებს, თუმცა პოემაში მოქმედების განვითარება სუსტია და განირეზი მუდმივ ტირილში არიან.

აეტორი ეხება გულაყის ნაშრომს ვეფხისტყაოსანზე, რომელიც თბილისში დაიბეჭდა 1885 წელს, და აკეთებს რამდენიმე შენიშვნას.

დასასრულს აეტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის თარგმნა სასურველ ეფექტს ვერ მიიღწევს, რადგან მისი თავისებურება, ორიგინალობა და მხატვრული სიდიადე, რაც საყოველთაოდ ცნობილია, თარგმანში დაიკარგება და რუსთაველის განთქმული სახელი დაშორდება (იხ. ანოტაციები № 215, 271).

298. ე. ოქრომჭედელი

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი, III

გაზ. ივერია, 1887, 26 სექტემბერი, № 200, გვ. 2—4.

აეტორი ბროსეს ქართველოლოგიური მოღვაწეობის განხილვისას შენიშნავს, რომ მან ქართულ მწერლობას საზარელი ქირი დამართა: „შენიშვნების სიყვარული, რომელსაც დავარქმევ შენი შენო მანიას. ეხლა ქართველო

მწერლები ფელეტონებსაც შენიშვნებით აპრელებენ! წამ-და-უწუმ შეგაყენებენ: იხილე მაგანი გვერდი ტაილორის წიგნისაო, იხილე სპენსერისაო, იხილე გოგისა და მაგოგისაო! საქმე იქამდისინ მისულა, რომ თუ ვინმე ტექსტში რუსთველის თქმულებას მოიხსენიებს, მაშინვე შენიშვნის კუდს მოაბამს და დაასახელებს „ვეფხვის-ტყაოსნის“ ალაგს, საცა უნდა მოიძებნოს თქმულება, თითქო „ვეფხვის-ტყაოსანი“ ისეთი მიყრუებული წიგნი იყოს, რომ იმისი სიტყვები ანბანის მცოდნე ქართველს განგებ უჩვენო“ (გვ. 3—4).

299. შოთა რუსთაველი

ვეფხვის ტყაოსანი
(ავტორის სურათით)

გამოცემული გრიგოლ ჩარკვიანისაგან, ტფილისი, 1887, VIII+271 გვ.

ტექსტს წინ უძღვის შენიშვნა (გვ. III), სადაც ჩამოთვლილია მანამდე დაბეჭდილი გამოცემანი ვეფხისტყაოსნისა—1712, 1841, 1846, 1860, 1867, 1875, 1883 წლებისა,—და აღნიშნულია, რომ ეხლანდელი მერვე გამოცემა გადმოიბეჭდა მეექვსე გამოცემიდან, რადგანაც ის უფრო შესწორებული და უნაკლულო იყო სხვებთან შედარებით.

ტექსტი დაბეჭდილია სათვალავის გარეშე და შეიცავს 1587 სტროფს. ბოლოში ერთვის ლექსიკონი მარტივი განმარტებით (გვ. 261—171).

ამ გამოცემის შესახებ ქრონიკალური ცნობები იხ.

ჟურნ. მწყემსი, 1887, № 14, გვ. 15—16.

გაზ. ივერიია, 1887, № 73, გვ. 2.

300. [შოთა რუსთაველი]

[აფორიზმები] წიგნში: დამაკვირდი

აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილთა კაცთა მიერ თქმულნი, დაბეჭდილი „ივერიის“ რედაქციის მიერ.

ტფილისი, 1887, გვ. 49—55.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის 39 აფორიზმს.

დასაწყისი: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდად“.

დასასრული: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

301. შოთა რუსთაველი

Барсова кожа

Грузинская поэма Шота Руставели

გაზ. Новое Обозрение, 1887, 25-го сентября, № 1299, გვ. 1—2.

ტექსტი სამი ნაკეთისაგან შედგება: I. ტინათინა. II. ავთანდი. III. როსტვან და წარმოადგენს ევგენი სტალინსკის მიერ შესრულებულ თარგმანს. სათაურს აქვს სქოლიოში რედაქციის საინტერესო შენიშვნა:

«Задана, взята на себя Е. С. Сталинским, принадлежит к числу наиболее трудных, если и не безусловно несподвижных. Почти невозможно передать в стихах до всеобщности сжатую мысль грузинского поэта. Едва-ли у кого на свете можно встретить равное с руставелевским сочетание глубины мысли с малословием. Лучшие места грузинской поэмы представляют собою чуть-ли не непрерывный ряд кратких афоризмов, выраженных одним лишь стихом. В настоящее время афоризмы эти сделались, в виду поговорок, достоянием народной речи грузин. Эти-то лучшие места и непереводимы. Дальше, для примера, мы приводим, в примечаниях к переводу г. Сталинского, два образчика таких затруднений, чтобы лучше выставить всю трудность задачи перевод-

ტიკა. თმ ნე მუხე, მუ ოხოთო პეჩატაემ ნაჩალო ვოლინოე პერსოდა გ. სტალინსკოე, ობეშაოეოე პრედსტიჟი ვამ სო ვრემენემ ჟუტ-ჟმ ნე პოაიმი პერეოდო ლუჩშეოეოე პრო-მუჟედენი გრუზინსკოი ი სრედნევეკოიოი ლიტერატურეი.

რედ.

დასაწესი:

Жизн на свете царь счастливей
Царь Арабов—Ростовом,—
Мудрый, добрый, справедливый,
Повелитель многих стран.
Он своей рукою сильной,
Побеждал богатырей;
Данью подданных обильный,—
Был он царь семи царей;
А в делах суда, совета,
Словом как мечом владеет,
Красноречьем, блеском света
Озаряя сущность дел.

ტექსტის ზოგ სიტყვას სწოლოში გაკეთებული აქვს შენიშვნა. მეორე შენიშვნა ეხება სტრიქონებს:

С солнцем спорит царь-девушка,
Жгучей прелести полва...

(თინათის მხეს სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა)

Здесь также неудачный перевод. Впрочем, прелесть оригинала усугубляется игрою слов: Тинатина (собст. имя) и «Тинатинедла» (светилось). Буквальный перевод: Тинатина пренебрегала солнцем. или, лучше сказать, Тинатина считала солнце ниже себя, а солнце, между тем, хотело быть Тинатиной. У гр. Бобринского (Achas Borin), в прозаическом французском переводе, это место читается так: „Tinatine, la lumineuse, semblait dédaigner le rayon de soleil qui la nimbait pourtant“.

303. ღაღეთ სოსლანო

წერილი რედაქციის მიმართ

გაბ. ივერია, 1887, 9 მაისი, № 92, გვ. 3—4.

ავტორი მეტად პოლემიკური ტონით უპასუხებს ანტონ ფურცელაძის საპაექრო წერილს „კიდევ ორიოდე სიტყვა რუსთველზედ“ („ივერია“, 29 აპრილი, № 84, გვ. 3—4) ლეგენდის გამო „შოთა რუსთველი და მისი ცოლი“ (იხ. ანოტაცია № 286).

ავტორი, წინააღმდეგ ანტონ ფურცელაძის მოსაზრებისა, ამტკიცებს, რომ „რუსთველობა“ „ხელობა“ არ არის და თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ დამოწმებული გორგიჯანიძის ცნობა რუსთაველის დაბა რუსთაველიდან წარმოშობილობის შესახებ სანდო არაა.

303. უავტორო

Летопись церковной и общественной жизни

ჟურნ. П а с т ы р ь, Коврица, 1887, 30 июня, № 12, გვ. 11.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციამ მიიღო ვეფხისტყაოსნის მერვე გამოცემა გრ. ჩარკვიანისა, მცირე შენიშვნით, რომ ასეთი საერთოდ საყვარელი სახალხო წიგნისათვის თასი ერთი მხეთი ძვირია.

304. [უავტორო]

ახალი ამავი [ვეფხისტყაოსნის ბეჭედი]

გაბ. ივერია, 1887, 23 აპრილი, № 79, გვ. 2.

ბევრ შეკითხვაზე სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემის მდგომარეობის შესახებ, რედაქცია უპასუხებს, რომ სურათები პოეზისათვის დიდი ხანია და-

ხატული მხატვარ ზიჩის მიერ და ზოგი მათგანი დაიბეჭდა კიდევ ლაიფციგში-
თაესამკაულები და სხვა წერილი სურათები დამზადებულია ტატიშვილის მიერ
და ჩქარა დაიბეჭდება.

იქვე, ცალკე აბზაცში მოიპოვება საყურადღებო ქრონიკალური ცნობა:

„კონფეტებისა და ხმელის ზილის მალაზიის პატრონს ბ-ნს უზბაშევს კარგი აზრი მოსულია
თქვამდ, რომ თავის კონფეტები გაუხვევია ისეთს ქალაღში, რომელზედაც დაბეჭდილია სხვა-
და-სხვა ლექსები „ვეფხისტყაოსნისა“. ქართული საზოგადოება ძალიან თურმე ჰყიდულობს
და კონფეტებს და დიდის სიამოვნებით კითხულობს კონფეტის ქალაღებზედ დაბეჭდილს
რუსთაველის სხვა-და-სხვა საანდაზო ლექსებსა. თით კონფეტებიც კარგის ღირსებისა და
არც ძვირად ისყიდება“.

305. [უაფტორა]

ახალი ამბები [სხვადასხვა ცნობები ვეფხისტყაოსნისა და რუსთაველზე]

ურნ. თ ე ა რ ი, 1887, № 1, გვ. 12—14.

გაზ. ი ე ე რ ი ა, 1887, 22 მარტი, № 61, გვ. 2; 24 მაისი, № 102, გვ. 2;

4 ილისი, № 135, გვ. 1—2; 24 ილისი, № 151, გვ. 2;

8 აგვისტო, № 163, გვ. 2; 11 სექტემბერი. № 188, გვ. 2;

13 სექტემბერი; № 190, გვ. 2; 23 სექტემბერი, № 197, გვ. 1;

3 დეკემბერი, № 253, გვ. 1.

გაკვირთ ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მიერ ვეფხისტყაოსნის განზრ-
ახული გამოცემის ჩაშლის შესახებ (№ 1).

ცნობა იმის შესახებ, რომ ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნისთვის დახატული
სურათები უკვე დაუბეჭდავთ და ეხლა შეუდგებიან თვით ტექსტის ბეჭდვას.
იქვე გამოცემის მოკლე აღწერა (№ 61).

ამ დღეებში დაიბეჭდება ვეფხისტყაოსანი გრ. ჩარკვიანის გამოცემით
(№ 102).

თბილისში, სულიკოვის ნალაზიაში, გამოკიდებული ყოფილა შოთა რუსთა-
ველის პორტრეტი, რომელიც დაუსატაეს კავკასიის საარტილერიო ბრიგადის
მწერალს გიორგი პაშჩენკოს. იქვე მოცემულია სურათის მოკლე აღწერილობ-
ა და ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი, რომელიც სურათს უნდა დაეწეროს
(№ 135).

გორში მხატვარ გოლოვნიას დაუხატაეს რუსთაველის სურათი (№ 135).
ეს სურათი დაიბეჭდა ლითოგრაფიულად (№ 190).

გ. დ. ქართველიშვილის მიერ განზრახული სურათებიანი გამოცემა ვეფ-
ხისტყაოსნისა უკვე იბეჭდება (№ 151, 163).

ქართველი მწერლების ნიჭიერი მთარგმნელი არტურ ლეისტი შესდგო-
მია ვეფხისტყაოსნის გადათარგმნას გერმანულ ენაზე (№ 188).

ჩქარა გამოვა ზიჩის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსნის გამოცემა
(№ 197).

ზიჩის მიერ დასურათებული, მხატვრულად გაფორმებული ვეფხისტყაოს-
ნის გამოცემის აღწერილობა და მისი შექმნის პირობები (№ 197).

სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გამოსვლას „ბევრი ალარა აკლია რა“
(№ 253).

306. პ. უშიკაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნა

გაზ. ი ე ე რ ი ა, 1887, 19 აგვისტო, № 171, გვ. 3—4.

წერილი წარმოადგენს შენიშვნებს ურბნელის სტატიის გამო ხეფსურეთში
ვეფხისტყაოსნის პოპულარობისა და საერთოდ ხალხში გავრცელების საკით-
ხებზე („ივერია“, 1887, № 159).

ავტორი სვამს კითხვას: ხევსურები ნამდვილად ჩვენში დაბეჭდილ-ვეფხისტყაოსანს მღერიან, თუ თავისებურად შეცვლილსა? ავტორი ამტკიცებს, რომ „ხალხში შეცვლილა ვეფხისტყაოსანი სახალხო პოეზიის განსაკუთრებულ-ზედ მოქმედებით“, რისთვისაც მოჰყავს შესადაარებლად ხალხური ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილები. ავტორის დაკვირვებით, ხალხურ ვეფხისტყაოსანში ვამჩნევთ ვეფხისტყაოსნის ტექსტით უცნობ კერძო სახელებს. ავტორს მიაჩნია, რომ საჭიროა შეიკრიბოს ყველაფერი და გამოიკვს. დასასრულ ავტორი აღნიშნავს, რომ ხევსურები ვეფხისტყაოსანს ეძახიან „ტარიელის ლექსს“ და ჩამოთვლის სოფლებს და იმ მთქმელებს, რომელთაც ვეფხისტყაოსანი ზეპირად იციან.

307. ნ. ურბნელი [ხიზანიშვილი]

წერილი რედაქციის მიმართ

გახ. ივერია, 1887, 2 ავისტო, № 159, გვ. 3.

ავტორს უმოგზაურია ხევსურეთში—არხოტის საზოგადოებაში და სიამოვნებით შენიშნავს, რომ იქ ბევრს სკოლნია ზეპირად ვეფხისტყაოსნის ადგილები. „ლხინის და ნადიმობის დროს ფანდურზედ მღერიან რუსთველის სიტყვებით სავსე ლექსებს“, ამასთან ერთად ახალგაზრდა ხევსურები დიდ ინტერესს იჩენენ ბექლუჩი ვეფხისტყაოსნისადმი.

ავტორს საჭიროდ მიაჩნია ვეფხისტყაოსნის სახალხო გამოცემის დაბეჭდვა, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს.

308. ნ. ურბნელი [ხიზანიშვილი]

ხევსურულს პოეზიაზედ
(წერილი ბ-ნ პ. უშიაკაშვილის მიმართ)

გახ. ივერია, 1887, 28 ავისტო, № 178, გვ. 1—2, ქველურა, 10 სვეტი.

ხევსურული პოეზიის ძირითადი მოტივებისა და თვისებების გარჩევისას, წერილის დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ, მართლაც, ხევსურეთში ვეფხისტყაოსანი თავისებურადაა გახალხურებული, ოღონდ ის შეფარდებულია მათი პოეზიის რეპერტუართან, სავაგაკო ლექსებთან, რაც ხევსურის ბუნებას შეეფერება. მაღალი აზრებისა და ფილოსოფიური შეხედულების შემცველი ადგილები კი მათი ინტერესისა და ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

309. ანტონ ფურცელაძე

კლეჯ ორიოლე სიტყვა რუსთველზედ

გახ. ივერია, 1887, 29 აპრილი, № 84, გვ. 3—4.

წერილი მიმართულია კეზელის საპასუხოდ.

ავტორი აღნიშნავს, რომ რამდენიმე თვის წინ ატყდა პოლემიკა რუსთველის „ხელობითა“-ს შესახებ მის მიერ გამოთქმული აზრის გამო. რუსთველობა ავტორს გაუგია როგორც ხელობა. რუსთველი შესაძლოა რუსთავის მთავარი ან ერისთავი იყო, როგორც თმოგველი, შავთელი, გურული...

ავტორი მის მიერ წინათ გამოთქმულ მოსაზრებას უმატებს თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიაში ნახულ არგუმენტს, რომელიც თავისთავად ემყარება ტიმოთეს მოგზაურობას და გორგიჯანიძის ისტორიას. დასასრულს, ავტორი იმეორებს ციტატას თეიმურაზის ისტორიის წიგნიდან (გვ. 284).

310. [დავით ჩუბინაშვილი]

[რუსთაველის შაირი]

წიგნში: ქართული ლრამპატრკა ახლად შედგენილი დავით ჩუბინოვისაგან, С. Ил-
терьер, 1887, [შესავალი]: ქართული ლრამპატრკა, 6. სახომი ლექსთა-
გვ. XXXVIII—XLI.

რუსთაველის შაირის შესახებ ტექსტი მომყავს სრულად:

„VII. შაირი, ან თექვსმეტ მარცულოვანი შაირი, მექონი ოთხის ლექსისა ტაეში და-
თვითოეული ლექსი განყოფილი ორად. მაგალ.

ფილოსოფოსნი შემოპკრბენ, || ამაზედ პქონდათ ცილობა,

მატონი კაცსა ასაქმებს, || და ჰყუას გამოცდილობა,

ათასად გვარი დაუასდა, || ათიათასად ზდილობა,

თუ კაცი თითონ არ არის, || ცუდია გვარი შეილობა

შოთა რუსთაველი“

311. [აკაკი წერეთელი]

რამდენიმე სიტყვა პატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ

„ვეფხვის ტყაოსნის“ გამო აკაკისა

გამოცემული ზ. ჰიკინაძისაგან, თბილისი, 1887, 21 გვ.

ავტორი ეკამათება მის ზიერ ვეფხისტყაოსნის გმირებზე წაკითხულ-
ლექციებთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძეს, რომელმაც სპეციალურ წერილში
კრიტიკულად შეაფასა ავტორის მოსაზრებანი (იხ. ანოტაცია № 313).

ავტორი ქართული ისტორიისა და მწერლობის მაგალითებით ცდილობს
მის ლექციებში წამოყენებული დებულებების დასაბუთებას და იმის ნათელ-
ყოფას, რომ ვეფხისტყაოსნის გმირებში იმერელისა და ქართულის დანახ-
ვას რა აქვს საფუძვლად. ავტორი მოკლედ იმეორებს თავის შეხედულებებს
ვეფხისტყაოსნის გმირების ხასიათებისა და საზოგადო თუ კერძო მნიშვნე-
ლობის შესახებ (იხ. ანოტაცია 1898 წლისა).

დასასრულ, ავტორი უსაყვედურებს ილია ჭავჭავაძეს, რომ მას პირადად
არ მოუხმენია მისი ლექციები, რომლის შესახებ აზრი დაუსწრებლად შეუშუ-
შაებია და გამოუთქვამს.

312. [აკაკი წერეთელი]

ახალი ამბავი [ლექციები ვეფხისტყაოსანზე]

ვახ. ივერი, 1887, 20 მარტი, № 59, გვ. 1—2.

25 მარტი, № 63, გვ. 1.

28 მარტი, № 65, გვ. 2.

31 მარტი, № 67, გვ. 1.

15 ივნისი, № 144, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ:

აკაკი წერეთელს ნებართვა აუღია ვეფხისტყაოსანზე საჯარო ლექციების-
წაკითხვისათვის. იქვე მოცემულია პროგრამა:

„I შესავალი. დედა-აზრი „ვეფხვის-ტყაოსნისა“. მართალია თუ არა. აზრი, ამ ომზე-
ბაზედ თითო მის დამწერისა, საერო ლეგენდისა, მეფე ვახტანგისა, ადამციკოსის ბროსენი-
პროქსორის ჩუბინაშვილისა, ბ-ნის გულაკისა და სხვათა, საბუთები. რამდენიმე სიტყვა რუს-

• თველის დროინდელს ქართველებზე. მაშინდელი დრო. ქართული ენა საზოგადოდ და ენა ივეფხვის ტყაოსნისა“ კროლდ. II შინაარსი ივეფხვის ტყაოსნისა“. III ქალნი და კაცნი ივეფხვის ტყაოსნისა“. შედარება, განხილვა პოემისა. დასკვნა“ (№ 63).

განცხადება აკაკი წერეთლის ლექციის გადაღების შესახებ ვეფხისტყაოსანზე (№ 63).

ცნობა წარმოადგენს რეცენზიას აკაკის მიერ ვეფხისტყაოსნის შესახებ რუსულად წაკითხულ ლექციაზე მოკლე პროგრამით, შინაარსითა და დახასიათებით. იქვე გადმოცემულია ლექციის მთავარი დებულებანი (№ 65).

ცნობა აკაკი წერეთლის მიერ მეორე ლექციის წაკითხვის შესახებ ვეფხისტყაოსანზე ლექციის მოკლე შინაარსის გადმოცემით (№ 67).

ცნობა იმის შესახებ, რომ აკაკის ცალკე წიგნად დაუბეჭდვინებია „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო“ (№ 144).

შ13. [ილია ჭავჭავაძე]

ტფილისი 17, 18, 21 აპრილი

[აკაკი წერეთლის ლექციების გამო ვეფხისტყაოსნის შესახებ]

გაბ. ივერია, 1887. 18 აპრილი, № 75, გვ. 1—2; 19 აპრილი. № 76, გვ. 1—2; 21 აპრილი, № 77, გვ. 1.

წერილი მიდის ვახეთის მეთაურის სახით უსათაუროდ და წარმოადგენს შენიშვნებს აკაკი წერეთლის მიერ წაკითხულ ლექციებზე ვეფხისტყაოსნის გმირების შესახებ. ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ აკაკი წერეთელმა რუსულ ენაზე წაიკითხა ლექციები ვეფხისტყაოსანზე. ამასთან დაკავშირებით ავტორი ზოგადად ჩერდება რუსთაველის მნიშვნელობაზე ქართული კულტურისათვის და მწუხარებას გამოთქვამს, რომ ხელთ არა აქვს თვით ლექცია, რომ „კვალ და კვალ მიჰყვეს მის მთქმელს“. ავტორის შენიშვნით, „მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედა-აზრის აკიდოს, რომ რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვა-და-სხვა ნაწილის ქართველი“. ავტორი უარყოფს აკაკი წერეთლის ამ შეხედულებას ვეფხისტყაოსანში მთავარ გმირთა სახით ქართველ ტომთა წარმომადგენლების დახატვის შესახებ, რომ, თითქოს, „ტარიელი რადგანაც ზარმაცია, ქართელია, ავთანდილი რადგანაც წინ-დახედულია და ცბიერი — იმერელია და ფრიდონი კი — არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო, — ზღვისპირის ქართველია“. აკაკის ამ თეორიაში ავტორი ხელდასმულად რუსთაველის დაკნინებას. ავტორის შენიშვნით, აკაკის, მართალია, ამ ლექციებში „ბევრი მახვილგონიერება გამოუჩენია და ლამაზი შედარებები მოუყვანია“, მაგრამ ძირითადი შეხედულება ვეფხისტყაოსნის გმირთა ხასიათებზე ტენდენციურად გაგებასა და მის ქართულ სინამდვილესთან უსაფუძვლოდ დაკავშირებაზე შეუმუშავებია და ქართული, იმერელი და ზღვის პირელი იქ დაუნახავს, სადაც ამას რუსთაველის პოემის მხატვრული აგებულება და მიზანი საეხებით გამოორიცხავს. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოკლედ მოჰყავს აკაკის შედარებანი, აკრიტიკებს მათ და იმ აზრს ავითარებს, რომ „ვეფხისტყაოსნის გმირები — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი უწინარეს აღამიანები არიან და მამასადამე ზოგად აღამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებულნი“, რის დასაბუთებლადაც მოჰყავს სათანადო ციტატები ვეფხისტყაოსნიდან.

ავტორის მთავარი დებულება ვეფხისტყაოსნის მხატვრული ლირებულე-ბის გაგებაში ის არის, რომ „რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჯუჯრუტანიდან სინჯვა-კი არ უნდა, საიღამაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელ-წოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თელი ვადეგლებოდეს ზის სრულს. სფრდეს-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“ (გვ. 77), რომ „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, და სხვანი მამა-კაცი და დედა-კაცი „ვეფხვის-ტყაოსნისა“ ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და მაშასადამე ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილი და აგებულნი“ (76), რომ ვეფხისტყაოსნის გმირნი „საერთო კაცობრიულს რასმე წარმოგვიდგენენ. მათში ქართლელის, იმერლის და მეგრელის დანახვა რუსთაველის ეიწრო ფარგალში მომწყვედევა, მისი „უბრალო ეტნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოხდომა“, რადგან, „მსოფლიო გენიოსები—მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ ღათს ნახატში, რომელის ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ, რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“ (75). ამიტომ, დასკვნის ავტორი, „რაოდენად მდიდარი და ფართო მოედანია „ვეფხვის-ტყაოსანი“ ქეშმარიტის კრიტიკის ფრთის გასაშლელად“, ეს გამოჩნდებოდა, არა მის გმირთა დაბატარავებით, მათში ქართლელის, იმერლის და მეგრელის დანახვით, არამედ, იმის გარკვევით „რაც მწერალის განსაკუთრებულს ხასიათს გვანიშნებს, მის შემოქმედობის ძალსა, მის მხატვრობასა, მის სიტყვიერებას, მისთა აზრთა შემოხაზულობას, პოემის აგებულებას, ეპიზოდების ერთმანეთზედ დამოკიდებულებას, ერთის სიტყვით, მანერას და თვისებას მწერლისას, შინაგან თუ გარეგან სიკეთეს მის ნამოქმედარისას“ (77).

ამრიგად, ამ წერილებში ილია ქავკავაძე უკრადლებას მიმართავს რუსთველოლოგიის მეთოდოლოგიურ საკითხებსა, ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-მეცნიერული შესწავლის საკიროებასა და მნიშვნელობაზე მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით.

314. [ზაქარია ჭიჭინაძე]

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე

ჟურნ. თეატრი, 1887, № 4, გვ. 15—22.

წერილი ეხება შოთა რუსთაველის სახელ-გვარისა და ბიოგრაფიის საკითხებს. ავტორი აღნიშნავს, რომ მას ბევრი უძებნია შოთა რუსთაველის სახელ-გვარის ახსნა ვეფხისტყაოსნის შესავალი ხანების ტექსტის კიდურწერილობაში, რაზედაც მიუთითებდნენ ზოგი მწერლები, მაგრამ ვერ უპოვია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხების განხილვისას ცდილობს კრიტიკულად მიმოიხილოს ძველი ზეპირი და ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები, რომლებშიაც თამარის ეპოქის ვინმე შოთა ნახსენები.

315. ზ. ჭიჭინაძე

ქართული მწერლობა მეორემეტე საუკუნეში
თბილისი, 1887, 34 გვ.

ავტორი მეორემეტე საუკუნის მწერლობის ძველთა დახასიათებისას გაკვრით ჩერდება შოთა რუსთაველზე და აღნიშნავს, რომ მას ვეფხისტყაოსნის დაწერისათვის აუტყდნენ და საქართველოდანაც განდევნა სამღვდლოება. რუსთაველი იერუსალიმში ჯვარის მონასტერში გარდაიცვალა უსიამოვნებაში და სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნით.

316. [ზაქარია კვიციანიძე]

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე

ევრ. თეატრი. 1887, № 4, გვ. 15—22.

15 თებერვალი, № 6—7, გვ. 14—17.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელისა და გვარის საკითხს, მოჰყავს ზოგი ისტორიული ცნობა და შენიშნავს, რომ ირაკლი მეორის არქივში მანდრიტ განალიზი გამრეკელა, უთქვამს ვეფხისტყაოსნის ტაბუში „ებრძანა: ლომო, არა გვირს შენ ომთა გამდრეკელობა“ „გამრეკელობად“ უნდა იკითხებოდესო, ეს გვარი რამდენადაც ახალციხის მახლობლად სახლებულა, შესაძლოა, რუსთაველს სწორედ მათი წინაპარი ჰყოლოდეს მხედველობაში. ავტორი ამასთან დაკავშირებით ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს სხვადასხვა ზეპირი და წერილობითი ცნობების მიხედვით. მისი აზრით, კახაბერი ვარდანისძე შოთა რუსთაველი უნდა იყოს (გვ. 16). შოთა რუსთაველი მას ნიაჩნია აშოთან ართავაჩოსძედ.

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანს დევნიდნენ ჩვენი ქართველი ბერნი და მამანი. „წმინდა ბერ-მამებს დაუწერიათ ვეფხისტყაოსნის“ ვაგარძელება ლექსად, სწორედ ამ ლექსის ზომით, იმ კილოთი და ხელოვნებით, როგორც „ვეფხისტყაოსანია“ დაწერილი“. ავტორი მოკლედ არჩევს ამ ვაგარძელების ხასიათს და მის დამოკიდებულებას პოეზიასთან.

1888

317. [M. Brosset]

Ouvrages publiés avec la coopération de M. Brosset

სტატია: *Liste des travaux de M. Brosset, membre de l'Académie impériale des sciences de St.-Petersbourg, † le 22 août (3 septembre) 1880.*

ჟურნ. *Mélanges Asiatiques*, 1888, IX. Livraison 1, St. Pétersbourg, Riga, Leipzig, გვ. 1—53.

51-ე გვ-ზე № 230-ით მოყვანილია ტიტული ვეფხისტყაოსნის 1841 წლის გამოცემისა ქართულად, ფრანგული თარგმანით და წიგნის შინაარსის მაჩვენებლით.

318. Oliver Wardrop

The Language and Literature of Georgia

წიგნი: *The kingdom of Georgia. Notes of travel in a land of women wine, and song, To which are appended historical, literary, and political, sketches, specimens of the national music, and accompaniements Bibliography by Oliver Wardrop. London, 1888, გვ. 136—154.*

ავტორი ქართული ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას სპეციალურად ჩერდება შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის დახასიათებაზე (გვ. 139—144), მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ქართული ისტორიისათვის, მის ეროვნულ, ქართულ ხასიათს, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს, იძლევა ვეფხისტყაოსნის საერთო დახასიათებას, ეხება პოემის მთავარ გმირებსა და იდეალებს და ყურადღებას აქცევს პოემის აფორისტულ სტილს, რის საილუსტრაციოდაც მოჰყავს ცალკეული თქმები და ადგილები ინგლისური თარგმანით, მაგ.:

„A glorious death is better than a life of shame“ (გვ. 143).

ავტორი ატარებს ვეფხისტყაოსნის ზოგ ანალოგიას მსოფლიო მწერლობის ნიმუშებთან.

Тифлис, 1888, გვ. 330—331.

მოკლედ აღნიშნულია რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ ტრადიციულად გავრცელებული ცნობები. ავტორი შენიშნავს, რომ პოემას საუკუნეთა განმავლობაში განუტღია წარყვნა და საჭიროა დიდი ფილოლოგიური მუშაობა მის აღსადგენად. ავტორის მოპყავს სიუჟეტის სქემა. მისი აზრით, მართალია რუსთაველი თვითონ ამბობს, რომ მან სპარსული ამბავი „გარდასტკეა“, მაგრამ, თუ ეს ასეა, ის არ არის პოემის სპარსული დედნის უბრალო გამლექსეელი. პოემაში ცხადად გამოჰყვივის ქრისტიანობისა და ბერძნული განათლების გავლენა, რაც არ შეიძლებოდა სპარსულ ორიგინალში ყოფილიყო.

320. თეოდოსიძე

სახელდაწლო [ვეფხისტყაოსნის დაწერის დროისათვის]

გახ. ივრია, 1888, 9 იანვარი, № 5, გვ. 2—3.

წერილი წარმოადგენს პასუხს ქიზიყელების შეკითხვაზე, რომელშიაც სხვათა შორის აღძრული ყოფილა საკითხი ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შესახებ ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობების უქონლობის მიზეზისა. ქიზიყელები შეკითხვიან: „ყველას უყვირს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ამ წიგნზე ხმადაც არ იღებენ მემატინენი. მართლაც, საჯირველი იქნებოდა, რომ ასეთს თხზულებაზე ხმა არაეის ამოელო, თუ-კი სწორედ თამარის დროსა ყოფილიყო დაწერილი. ამიტომ ქიზიყეში დღეს ბევრნი ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია რამდენისამე საუკუნის შემდეგ დიდებულის თამარისა“. თეოდოსიძე უპასუხებს, რომ „ვეფხისტყაოსანზედ“ იმიტომ არა არის-რა ნათქვამი ქართლის მატინენებში, რომ ამ წიგნის მოხსენება აკრძალული უნდა ყოფილიყო“, რაც იმით აიხსნება, რომ ვეფხისტყაოსანი წოდებრიობის გადაღახვის ქადაგებაა, რასაც მაღალი წოდება უნდა აემხედრებინოს, რომელიც თანასწორობის ქადაგებაში თავის კლასობრივ უფლებებისა შეღახვას ხედავდა.

„რუსთაველი კი იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, თავისის სპეტაის ჭკოით, ნათელის გრძობითა და უუდიდესის ნიჭიერებით ებრძვის ამისთანა ცრუ ამპარტავნობას, აღმერთებს სუფთა გრძობას სიყვარულისას და ჰქადაგებს, რომ ნამდვილი სიყვარული არ უნდა შეეპუოს ცრუ რწმენას, გადაბიჯოს შთამომავლობასა, გვარიშვილობას და ეძებდეს კაცში ადამიანსა, როგორც მოიქცა თინთინი, მეფის ქალი, და შეუღლდა თავის კარის კაცს, მშვენიერს აეთანდლის და როგორც ნესტან-დარეჯანი, რომელმაც არ ინდობა ქმრად არც ერთი ხელმწიფე და მისცა თავისი სული, გული და სამაგალითო სიყვარული თავის ქვეშეირდომს ტარიელსა“.

321. ს. მაჭავარიანი

ხალხური ვეფხის ტყაოსანი

(ქსნის ხეობაზე გაგონილი და ჩაწერილი სოსიკო მაჭავარიანის მიერ).

გახ. ივრია, 1888, 8 მარტი, № 49, გვ. 1.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ერთი ეპიზოდის გამოხატულებას პატარა ლექსში:

„ერთი ვინმე მოყმე ვნახე
ნამტრიალი წყლისა პირსა;
ვეუბენ და არ მეუბნა,
ხელი აიფარა პირსა;
გულის სატრფო დაქარგვოდა,
დანა არ უხსნიდა პირსა“.

ქართული ენა და მწერლობა

გახ. ივერია, 1888, 14 აგვისტო, № 71, გვ. 3—4.

სათაურს აქვს სქოლიოში შენიშვნა: სიტყვა-სიტყვით ესთარგმნით პარტიკულ პროფესორის გ. რ. შორფილის შენიშვნას, რომელიც ამ მოკლე დროს დაიბეჭდა ინგლისურ ჟურნალ „The Academy“-ში. წერილს ბოლოში ხელმოწერა აქვს: სტ. კრ-შვილი, რომელსაც, როგორც ჩანს, ეკუთვნის მხოლოდ თარგმანი.

ქართული მწერლობისა და ენის შესწავლის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ავტორი აღნიშნავს: „საერო ნაწერთა შორის განსაკუთრებულის ინტერესისა, შემძლიან დაგისახელოთ რომანიული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ, რომელიცა სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნეში, თამარ დედოფლის დროს, როდესაც საქართველოს ძლიერება იდგა უმაღლეს წერტილზე“. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემას და იმედს გამოთქვამს, რომ თბილისში მცხოვრები გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი დაამთავრებს ვეფხისტყაოსნის თარგმნას გერმანულ ენაზე. რაც 1887 წლიდან აქვს დაწყებული.

323. მ. ნათაძე

შენიშვნა

ჟურნ. მწყემსი, 1888, 30 სექტემბერს, № 16, გვ. 4—5.

წერილში გაკერით აღნიშნულია, რომ მესხეთი არის საქართველოს კულტურის კერა და შოთა რუსთაველის სამშობლო:

„მესხეთი ბედნიერი სამშობლოა დიდებულის კაცებისა. გული გიდუღდება, როდესაც ჰხედო, რომ რუსთავი, ეს ბედნიერი სამშობლო შოთასი, დღეს გახრილობული ქურთების სოფელა, ტბეთის მონასტერი, სადაც სწავლობდა შოთა, მივარდნილი და მიყრუებულია“.

324. ა[ლექსანდრე] ნა[ნიაშვილი]

ვეფხისტყაოსანი და ზეპირი სიტყვიერება

გახ. ივერია, 1888, 11 მარტი, № 52, გვ. 1—2.

24 მარტი, № 65, გვ. 1—2.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და მის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის. მისი სიტყვით, ის არის „სათავე და გვირგვინი ჩვენი მწერლობისა“, „უკვდავი ძეგლი თვით ერის გენიოსობისა“. ვეფხისტყაოსანი ქართველმა ხალხმა გამოატარა მთელ თავის ისტორიულ უბედურებებში, ის ასაზრდოებდა ხალხს და ზრდიდა მის გმირულ სულს.

ავტორი აღნიშნავს ზეპირი ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმროებას. ის ფიქრობს, რომ ხალხში არსებობს მთელი ვეფხისტყაოსანი და შესაძლოა აღვადგინოთ იგი, რისთვისაც მოუწოდებს ჩასწერონ მისი ტექსტები. ვეფხისტყაოსნის ხალხურთან დამოკიდებულებაზე მსჯელობისას ავტორი აყენებს საკითხს. — ხომ არ არსებობდა რუსთაველამდე ხალხში ლექსად ან ამხად ვეფხისტყაოსანი და რუსთაველმა მხოლოდ შეჭკრიფა, გაალაზათიანა და გააშალაშინა ხალხის გადმონაცემი. ავტორის საბოლოო დასკვნით, ის უფრო საფიქრებელია, რომ რუსთაველის ნაწერი ხალხში გადავიდა და გავრცელდა.

გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, ტფილისი, 1888, 359 გვ.

ტექსტი დაბეჭდილია სტროფების სათვალავის ნუმერაციის გარეშე. შეიცავს 1576 სტროფს.

ვახტანგისეული 1712 წლისა და 1841 წლის ბროსესეული გამოცემის შემდეგ წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის პირველ ცდას სპეციალური კომისიის მიერ, რომელშიაც შედიოდნენ ცნობილი მწერლები და მოღვაწენი: გრ. ორბელიანი, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი. ნ. დადიანი, ი. ქავჭავაძე, ა. წერეთელი, პ. უმიკაშვილი, ი. მეუნარგია, ი. მაჩაბელი და სხვ.

კომისია ტექსტის ვარიანტების შედარებისა და წაკითხვათა დადგენისათვის ხელმძღვანელობდა ვეფხისტყაოსნის 22 ხელნაწერით, რომელთა შგვრთვებაც კი შესაძლებელი გახდა იმ დროის დაწესებულებებსა და ოჯახებში.

ცნობები კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც 1880 წელს დაიწყო იბეჭდებოდა „დროება“-ში (იხ. ანოტაცია № 173).

წიგნს ერთვის ილუსტრაციები შესრულებული მხატვარ ზიჩის მიერ. სულ 26 სურათია. ერთი სურათი ტექსტის წინ ლითოგრაფიით ფერებში თემაზე: რუსთაველი, ტახტზე მჯდომარე, დიდებულებით გარშემორტყმულ თამარ მეფეს მიართმევს ვეფხისტყაოსანს. დანარჩენი 25 სურათი, დაბეჭდილი ერთ ფერად, ჩაერთულია ცალკე ქაღალდზე შემდეგი გვერდების გასწვრივ: 12, 18, 20, 44, 48, 53, 62, 72, 100, 114, 110, 127, 156, 192, 212, 216, 246, 250, 252, 264, 274, 284, 306, 314, 320.

ტიტულის მეორე გვერდზე აწერია: *Дозволено цензурою. Тифлис, 3 Августа, 1887 года.* „ამ წიგნის მხატვრობის ვადლება აღკრძალულია“.

ბოლოში (გვ. 359) წიგნს ერთვის შენიშვნა „გამომცემლისაგან“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის მომზადების შესახებ მოკლე ცნობებით. როგორც საყურადღებო ცნობების შემცველი, მომყავს მთლიანად:

„პირველი ახრი სურათებიან „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვისა დაიბადა მაშინ, როდესაც ბ. იონა მეუნარგიას თაოსნობით შემდგარმა კომისიამ შეიმოწმა ამ პოემის ტექსტი ძველ ვარიანტებთან. თუმცა ძველის-ძველი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა.—კომისიისაგან მოაოვებული უძველესი გადაწერილია 1646 წ.—მანც კომისიამ სხვა-და-სხვა ხელნაწერების ერთმანეთთან შედარებით რამდენიმე ბნელი ახრი გამოარაკვია, ძველებური მართლ-წერა შეძლებისამებრ აღადგინა და ზოგიერთი ხანა, რომელიც ძველ ვარიანტებში არ იყო და ახრის მიმდინარეობას უშლიდა, ტექსტს ვამოაკლო.“

სურათების დახატვა ამ წიგნისათვის იკისრა უსასყიდლოდ გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩიმ, რომელსაც ამ დავალებისათვის უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით. ზიჩის ხელით დახატული-დამ ფოტო-ცინკოგრაფიით ენაში ანგერერმა გადაიღო; სოლო ფერადებიანი სურათი გაკეთებულა პეტერბურგს, ბრე ხეს ქრომო-ლითოგრაფიაში.

არშეების, სათაურის ასოები და საბოლოები შეადგინა გრიგოლ ტატიშვილმა და ამოსტევის პეტერბურგში ლე მან მან და შეიმ. მხატვრობა ამ მორთულობისათვის გადმოღებულია ძველის მწერლობიდან და საქართველოს ციხე-კლესიებიდან, მხოლოდ ზოგიერთი ამ მხატვრობათაგანი უფრო დამთავრებული და დასრულებულია. თითქმის ყოველ მონასტერსა და ციხეს,—მცხეთას, უფლის-ციხეს, ბეთანიას, ქუთაისს, გელათს, საფარას, კახენს, ახტალას, ფიტარეთს, სამთავისს, ატენს—თავისი წილი უდევს ამ წიგნში, თავისი კვლი აქვს აღბეჭდილი.

ბეჭდვის დროს ყურის-გდება თავს იდგა თ. ივანე გიორგის ძე მაჩაბელმა, რომელსაც ვუთენის ამ წიგნის უკანასკნელი რედაქცია.

მარტის 20, 1888 წ.“.

Барсова-Кожа

წიგნში: Е. С. Стальницкий, Барсова-Кожа, Грузинская поэма шота Руставели (Выпуск второй), на русском, французском, немецком, грузинском и армянском языках. Тифлис, 1888, издание Гр. Чарквелян, 124 გვ.

წიგნი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტების პუბლიკაციას რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ, ქართულ ენებზე, რომელთაც შვიადაშიგ ერთვის ტექსტოლოგი ხასიათის ცალკეული შენიშვნები.

1. Отрывок из поэмы «Барсова кожа» (Военный перевод—в прозе Бардинского) Тарвель.

ტექსტი შეიცავს ნაწყვეტს თავისას „ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა“ (გვ. 5—7). წინ უძღვის მცირე შესავალი ბარტდინსკის მიერ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე მუშაობისა და პირველი ნიმუშების გამოქვეყნების შესახებ. ტექსტი იწყება პროზაული განმარტებით:

«Арабский царь Ростеван, утомленный обильною охотой, отдыхает под деревом, посреди своих войск и слуг. Двенадцать телохранителей царских недалеко стоят и смотрят на другой берег реки».

დასაწყისი:

«Смотрят... А юноша дивный сидит у потока и плачет,
Покоясь как лев: в новоду он держит кося вороного...» (გვ. 5).

2. ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტები სომხურ ენაზე შესრულებული სარგის ბასტამიანის მიერ (გვ. 11—24).

3. Der Mann im Tigerfelle, georgisches Epos von Schota Rustaveli, übersetzt von Arthur Leist (გვ. 27—40).

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის 42 სტროფის გერმანულ თარგმანს, შესრულებულს არტურ ლისტის მიერ. დასაწყისი:

«Ein König lobte im Arabierlande
Mit Namen Rostewan, dem Gott, der Herr...»

(იხ. ანოტაცია სრული თარგმანის შესახებ № 347).

4. La Peau de Leopard d'après Chota Roustaveli par Aclias Borin (გვ. 43—50). ვეფხისტყაოსნის ფრანგული თარგმანი წარმოადგენს პოემის ტექსტის შესავლისა და პირველი თავის დასაწყისი 54 სტროფის პროზაულ გარდათქმას, რომელიც ამოღებულია ახას ბორენის წიგნიდან (იხ. ანოტაცია № 151).

5. „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა: ქართული ტექსტი შეიცავს 54 სტროფს (გვ. 53—60).

6. Барсова кожа, თარგმანი ვეგენი სტალინსკისა. ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის განოკრებილ ადგილებს, შესრულებულს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საზომით. Введение (გვ. 91—103) შეიცავს თავისებურ კომპოზიციას რუსთაველის პოემის პროლოგისას, რომელშიაც ვეფხისტყაოსნის ლექსის ზომა შეცვლილია თავისუფალი ლექსით. დასაწყისი:

„Кто создал Вселенную
Изяемой силой,
Обречен неслепую
Жизнь нам за могилой:
Кто украсил землю
Светом и цветами?—
Тот, кому я внемлю
и хвалю устами: (გვ. 91)“.

შენიშნაჲე ნა ცარეთო (შომა რუსთაველი, ნო სთაროგურჯინსკოჲო სიუჲეკუ) შეიტყავს რამდენიმე პორტრეტსა და ეპიზოდს (გვ. 105—123). I. ტიშატინა. II. ანგაიდი. III. როსტენი. IV. Царская охота. დასაწყისო:

„Жил на свете царь, счастливый

Царь арабон—Ростепан...»

იხ. ანოტაცია № 300.

327. შოთა რუსთაველი

Барсова кожа Руставели в рассказе Н. Меунарня

Тит. Я. Либержана, Тифлис, 1888, 32 გვ.

იხ. ანოტაცია № 393 განმეორებული გამოცემისათვის 1890 წლისა.

328. Е. С. Сталлинский

*Барсова-Кожа, грузинская поэма Шота Руставели (выпуск второй)
На русском, французском, немецком, грузинском и армянском языках.*

Издание Гр. Чаркванши, Тифлис, 1888, 124 გვ.

შინაარსო: От переводчика. Два стихотворения г. Бардинского. Армянский перевод Д-ра Бастамова. Немецкий перевод А. Лейста. Французский перевод А. Борена. Грузинский оригинал. Краткий обзор старо-грузинской литературы. Жизнь и нравы Грузии «Золотого века». Барсова Кожа. Введение. Введение на царство и Царская охота—перевод Е. С. Сталлинского.

წიგნის წინასიტყვაობაში მოკლედ აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის რუსულად გამოცემის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ხუთ გამოშვებად გამოცემას, და ეხება პოემის მნიშვნელობასა და პოპულარობას. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი «Слово о Полку Игореве»-ს ისტორიული თანამედროვეა, რის გამოც მისი შესწავლა ლიტერატურულ-ისტორიულ ინტერესს წარმოადგენს და ის, როგორც სამეცნიერო და ორიგინალური თხზულება, ჩვენსა დასავლეთს ვეროპის ლიტერატურისათვის მისაწვდომი.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად და სომხურად თარგმნის ისტორიას (გვ. 1—4), აღნიშნავს ბარტდინსკის, გ. ლ. მინგრელსკის და ჩუბინოვის ლეაწლს პირველი რუსული თარგმანის საქმეში და მოჰყავს პოემის პირველი თავის ნაწყვეტი.

წერილში «Шота Руставели грузинский народный поэт» (გვ. 63—89) ავტორი ეხება რუსთაველის შემოქმედების, ქართული მწერლობისა და კერძოდ პოეტიკის საკითხებს.

ავტორი შენიშნავს, რომ 1709 წელს ვახტანგ მეექვსის ნიერ თბილისში დაარსებულ სტამბაში, ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის შემდეგ, რუსთაველის პოემა მეტად გავრცელდა ხალხში და ამავე დროიდან დაიწყო მისი ეკლესიური დევნაც. კათოლიკოსმა ანტონმა შეაჯაროებინა ვეფხისტყაოსნის ცალები და მტკვარში ჩააყრდინა. ვახტანგ V (sic) ვეფხისტყაოსანს დაურთო კომენტარიებიც, რომელშიაც პოემას რელიგიურ-სიმბოლიურ ახსნას აძლევდა, რაც ნაშლელიად პოემას არ ახასიათებს.

ავტორი ეხება განათლების მდგომარეობას ძველ საქართველოში და შოთა რუსთაველის საბერძნეთში სწავლას. ავტორის შენიშვნით, პოემას დღემდე სწავლობენ და დიდ ყურადღებას აქცევენ, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაინტერესებულან თვით ავტორის პიროვნებით.

ავტორს მოჰყავს რუსთაველის ლეგენდარული ბიოგრაფია და აღნიშნავს, რომ პოეტი რუსთავეში დაიბადა, მან ცხოვრება დაამთავრა იერუსალიმში, სადაც ის გაემგზავრა თამარისადმი უიმედო სიყვარულის გამო. რუსთაველი პოეტის ფსევდონიმია, მისი გვარი კი არის შოთა(!).

ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსანს მხატვრული თელსაზრისით. ეხება ქალის დამონებულ მდგომარეობას აღმოსავლეთის ქვეყნებში. ვეფხისტყაოსანში ქალის ამაღლებული მდგომარეობა გამოჰყავს ბერძნული განათლებიდან, საიდანაც, ავტორის დასკვნით, რუსთაველმა ქართველი ქალის ეზანსიპაციის იდეალები იქადაგა. პოეტმა დახატა ქართული სინამდვილე, მაგრამ მოქმედება განგებ გადაიტანა ინდოეთსა და არაბეთში და თავის გმირებს უცხო სახელები დაარქვა.

ავტორს გაჰყავს პარალელი ვეფხისტყაოსანის სიუჟეტსა და თამარ მეფის ცხოვრების ცალკეულ შემთხვევებს შორის. ის ანალოგიას ხედავს ინდოეთის შვიდ ნაწილსა და საქართველოს შვიდ ნაწილს შორის, პოემის ქაჯეთის ციხესა და ახალციხის ქაჯეთის ციხეს შორის. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსანის მხატვრული შთაბეჭდილების ცენტრი ნესტანი (თამარი) და მისი შეყვარებული ტარიელია (დავითი). პოემის დანარჩენი გმირები გამოხატავენ ქართული ცხოვრების რომელიმე მხარესა და აზრს. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანის მთავარ გმირებს, არჩევს პოემის სიუჟეტს და მთავარ ეპიზოდებს. დ. ზ. ბაქრაძის შრომაზე დამყარებით ეხება ქართლის ცხოვრების მიხედვით ქართველი ტომების, სახელმწიფოს, მწერლობისა და ენის წარმოშობის საკითხებს, ქართულ მატერიალურ კულტურას. დაწერილებით აღწერს უფლისციხეს და მის მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში.

ავტორი იწონებს ნ. ი. გულაიკის შრომას რუსთაველზე, გადმოსცემს მის შეხედულებებს რუსთაველის შემოქმედებასა და პოეტიკაზე. მოჰყავს ციტატა რუსთაველზე ედგარ კინეს ნაშრომიდან „Revolutions d' Italie“ (გვ. 81). ავტორი ქართული ენის წარმოშობის პრობლემასთან დაკავშირებით ქართული ენის პოეტური თავისებურებების აღნიშვნისას ამბობს:

«Без преувеличения повторяю, что ни один язык в мире, не исключая даже итальянского и французского языков, не представляет собой такого богатого материала для выражения поэтической мысли в музыкальной форме слова, как язык грузинский, в его старом древне-грузинском наречии!» (გვ. 85—86).

დასასრულს ავტორი ეხება შაირის პრობლემას ქართულ ვერსიფიკაციაში, მოჰყავს მისი საზომის სქემა და სანიმუშოდ რუსთაველის პოემის პირველი სტროფი რუსული ტრანსკრიფციით. ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსანის რუსულად თარგმნის სიძნელეებს, რის ზუსტი შესრულება მისი აზრით შეუძლებელია.

329. [უაგტორი]

ძველი და ახალი თაობა—ტფილისი, 13 აგვისტო

გაზ. ივერია, 1888, 14 აგვისტო, № 171, გვ. 1.

ავტორი ეხება ქართული სამწიგნობრო ენის განვითარების საკითხებს, მოჰყავს პ. შირიანაშვილის აზრი და შენიშნავს, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურა იმხანაჲდა ენის ერთობას. „ტყუილად კი არ ამბობენ, რომ ქართული ენა შოთა რუსთაველმა დაიკვა“ და დასძენს, რომ საზოგადო ენის დავიწყება შეუძლებელი იყო.

330. [უავტორი]

დაბა და სოფელი—მოწერილი ამბები—ეიზლარი

გახ. ივერია, 1888, 24 იენისი, № 131, გვ. 2.

ვრცელ წერილში სხვადასხვა საკითხებზე, სხვათა შორის, გაკერით აღნიშნულია, რომ ეიზლარში დასახლებულ ქართველთაგანს, ბასიანაშვილს მოუყოლია პროზით ვეფხისტყაოსანი ჩართული ლექსებით. საყურადღებოა, რომ მთქმელს ვეფხისტყაოსანი წაკითხული არა ჰქონია. დასაწყისი ჩართული ლექსისა:

„ტარიელ დაგვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბკობინე,—
გიყვარდა ნესტან დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე“.

ბოლო:

„გაჯავრდა ტარიელია,
გაყარა ცეცხლის აღია,
კაცი კაცსა ჰკრა, მთა მთასა,“

(დანარჩენი დავიწყებია).

331. [უავტორი]

ასალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის შესახებ].

გახ. ივერია, 1888, 10 სექტემბერი, № 189, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ერეენის გუბერნიაში, იგდირში, სომხის ოჯახში ვეფხისტყაოსნის ყველაზე უძველესი ხელნაწერი აღმოჩენილა, რომელიც ერთ სომეხს ეპოვნა ქუთათების სოფელში. ხელნაწერი ტყავზე ყოფილა დაწერილი. გამოთქმულია სურვილი, რომ ეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის სხვა გამოცემებს შეედაროს.

332. [უავტორი]

ასალი ამბები [სხვადასხვა ცნობები ვეფხისტყაოსნთან დაკავშირებით]

გახ. ივერია, 1888, 9 თებერვალი, № 29, გვ. 1; 13 თებერვალი, № 33, გვ. 2;

11 მარტი, № 52, გვ. 2; 13 მარტი, № 54, გვ. 1;

17 აპრილი, № 83, გვ. 2; 19 აპრილი, № 84, გვ. 1;

29 ივლისი № 158, გვ. 2; 18 სექტემბერი, № 195, გვ. 1—2;

11 ოქტომბერი, № 212, გვ. 1; 16 ოქტომბერი, № 217, გვ. 1;

ჟურნ. თეატრი, 1888, № 20, გვ. 1—4; № 37, გვ. 1—2.

ჟურნ. მეურნე, 1888, № 41, გვ. 12.

ქრონიკალური ცნობები ეხება ვეფხისტყაოსნის გამოცემის, თარგმნის თუ გავერცელების საკითხებს.

№ 29. ცნობა იმის შესახებ, რომ გ. ტატიშვილს ქარგაზე ქართული ანბანების რეფულში მოუთავსებია რუსთაველის სურათი ბალიშზე ამოსაქარგად.

№ 33. არტურ ლაისტი სწავლობს ქართულ ენასა და ლიტერატურას და მუშაობს ვეფხისტყაოსნის გერმანულად თარგმნაზე.

№ 52. სტალინსკი ბეკდავს ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტს ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე.

№ 54. ცნობაში მოკლედ აღწერილია მდიდრულად დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის გარეგანი გაფორმება და შენიშნულია, რომ ეს წიგნი ყოველ ქართულ ოჯახში იქნება.

№ 83. დღეს იწყება სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გაყიდვა, რომელიც: ინახველთ მოსწონთ.

№ 84. სურათებიანი ვეფხისტყაოსნის გაყიდვა მიმდინარეობს და მასზე დიდი მოთხოვნილებაა.

№ 158. ცნობა ბიწმენდიდან, რომ იქაურ მცხოვრებთა შორის მოიპოვება ხალხური ვეფხისტყაოსნის უფრო ვრცელი ვარიანტი, ვიდრე ცნობილია ამ სოფლიდან.

№ 195. ვინმე ლევან მკედლიშვილს ბათუმიდან სხვა ხელნაწერებთან ერთად „წ. კ. გ. სახ-ისათვის შეუწირავს შეეშეთში ნაპოვნი ძველი ვეფხისტყაოსანი“.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ დიდი მოთხოვნილებაა გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე (ეურნ. „თეატრი“, № 20).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ თიანეთში მყოფ ხელმწიფე-იმპერატრიცას გ. ქართველიშვილმა და ი. მუნარგიაძემ ნიართვეს ძღვნად ვეფხისტყაოსნის გამოცემა 1888 წლისა, რისთვისაც ისინი დაჯილდოვდნენ (ეურნ. „თეატრი“, № 37).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში იყიდება ბ. სტალინსკის მიერ შედგენილი წიგნი „შოთა რუსთაველი“ ქართულ, რუსულ, სომხურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე („მეურნე“ № 41).

შპს. ნ. უ-ელი

ტფილისი, 13 ავისტო [გაყვრით ვეფხისტყაოსანზე]

ვახ. ივერია, 1888, 14 ავისტო, № 171, გვ. 1.

ქართული ენის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი გაყვრით შენიშნავს პ. მირიანაშვილის საყურადღებოდ, რომ ქართულმა კლასიკურმა მწერლობამ შეინახა ქართული ენის ერთობა, რომ „ტყუილად-კი არ ამბობენ, რომ ქართული ენა შოთა რუსთაველმა დაიცვაო...“.

834. А. Цагарели

Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае Палестинские надписи

წიგნი: Православный палестинский сборник; Издание православного палестинского общества, С. Петербург, 1888, том IV, выпуск первый, 310 გვ.

გვ. 49—50 (Сношения Грузии с Св. Землею и Синаем).

ავტორი აღნიშნავს, რომ იბნ-შედადის სიტყვით, თამარ მეფე სალადინს 200 ათას დინარს აძლევდა იმ უვარის გამოსახსნელად, რომელიც იერუსალიმის აღების დროს მაჰმადიანებმა გაიტაცეს, და რომელზედაც ქრისტე იყო გაკრული, და დასძინეს, რომ შესაძლოა პოეტი შოთა რუსთაველის განგზავრებაც წმ. ადგილებში ამ საქმესთან დაკავშირებით თამარის დავალებით მოხდაო. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ პოეტმა, როგორც ვაძიმოვებმა გვაუწყებს, მოახატვინა და შეაკეთა უვარის მონასტერი.

გვ. 94—95 (Описание грузинских памятников в Св. Земле и на Синае).

ქართველებისათვის პალესტინის უვარის მონასტრის კუთვნიების საკითხზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ XII საუკუნის ბოლოსა თუ XIII საუკუნის დასაწყისს, როგორც ტიმოთე ამბობს, ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა, ცნობილი პოემის ვეფხისტყაოსნის ავტორმა თავის ან თამარის ხარჯით მონასტერი

დახატვინაო. ავტორის შენიშვნით, ეს გადმოცემა ზართლდება მონასტერში არსებული ფრესკული მხატვრობით, რაც აღნიშნული აქვთ არჩილს, ანტონ კათოლიკოსს, ეპისკოპოს ტიმოთეს, და მართლაც შესაძლოა პოეტს თვითონ დაეხატოს. პოეტი გამოხატულია მუხლებზე დაჩოქილი წმ. მოწამე მაქსიმესა და წმ. იოანე დამასკელს შორის, მას ხელები მალა აქვს აპყრობილი, სახე კი დამასკელისავე მიქცეული, ზედ კი ქართულად მისი სახელი და გვარი აწერია. ავტორი იქვე შენიშნავს, რომ მართალია ეს მხატვრობა 1643 წლისაა, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ ის მანამდეც იყო, რამდენადაც მხატვრობა მანამდე არსებობდა.

ავტორის აზრით, რამდენადაც პოეტი დახატულია საშუალო საუკუნეთა ქართველი დიდებულის ტანსაცმელში და არა სასულიერო პირისა, ცნობა იმის შესახებ, თითქოს პოეტი რუსთაველი ბერად აღიკვეცა, არ მართლდება.

გვ. 104. აღნიშნულია, რომ მთავარი შესასვლელის მარჯვენა მხარეს, სვეტზე მოიპოვება მონასტრის დამხატვის—რუსთაველის სურათი.

გვ. 107. ავტორი აღნიშნავს, რომ ალბათ შოთა რუსთაველმა ჯვარის მონასტერი თამარის დავალებით და ხელისშეწყობით დახატაო.

გვ. 179. (Каталогъ рукописей монастыря Св. креста).

ავტორი აღნიშნავს, რომ ხახულის ჯვარზე, რომელიც ამჟამად გელათშია დაცული, მოიპოვება XII საუკუნის ქართული წარწერა იამბიკოდ, თამარ მეფის სახელით. ეს წარწერა, როგორც ამბობენ, ეკუთვნის XII საუკუნის ქართველ პოეტს—რუსთაველს.

გვ. 244.

„V. На первом столбѣ направо от входа, над изображеніемъ юста XII вѣка Руставели, церковно-строичными буквами читается надпись:

ამისა დამხატავსა შოთა[ს] შეუნდოს ღმერთმან, ამინ. რუსთაველი.

Расписавшему сей [храмъ] Шоте да простит Бог [грехи], Аминь. Руставели“.

ჰპნ. სანო [სტეფანე კრელაშვილი]

ძველი და ახალი თაობა

გახ. ივერია, 1888, 14 აგვისტო, № 171, გვ. 1—2.

ავტორი ეხება „მამათა და შვილთა“ შორის უთანხმოების საკითხს და აღნიშნავს მამების უმართებულობას შვილების როლის უარყოფაში. ის შენიშნავს, რომ ამ საკითხის გადასაჭრელად თვითონ მან უნდა მიმართოს ვეფხისტყაოსანს, რამდენადაც მასში მოიპოვება მოსწრებული სიტყვები და გამოთქმები, რომელნიც საყურადღებოა ადამიანის ცხოვრების „თითქმის ყოველი შემთხვევისათვის“. ავტორს ანალოგიისათვის მოჰყავს როსტევეანისა და ავთანდილის ნადირობის ეპიზოდთან დაკავშირებული სტროფები, რომელნიც გამოხატავენ როსტევეანის დაღონებას, ვეზირთა რჩევას, ავთანდილის გამარჯვებას, როსტევეანისა და ავთანდილის დიალოგებს. ამ ანალოგიით ავტორს იმის დამტკიცება უნდა, რომ სიმართლე ხშირად ახალგაზრდის მხარეზეა, შედარებით მოხუცთან, რომელიც „იქამდე ჩაღრმავებულა თვისი ღირსების სინჯვასა და გაზომევაში, რომ მართო ოდნავლა შეუნიშნავს ავთანდილის ვაგაკობა“.

ავტორის აზრით, მწერლობაში უკეთესი მაგალითი არ მოიპოვება ამის ნათელსაყოფად და საჭიროა მამები ჩაუკვირდნენ თავის თავს როსტევეანის მაგალითით და შეიძლება მათაც აღარ ჰქონდეთ დანაღვლიანების საფუძველი.

336. [ალ. ხანანაშვილი]

მგზავრის დღიურიდან
თუშეთი, 23—28 ივლისი

გაზ. ივერია, 1888, 6 აგვისტო, № 165, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ საგურამოსთან ახლოს მდებარე სოფელ ბიწმენდში, გლეხ ივანე, მეტ სახელად ფოთოლა ბეკორაშვილისაგან მოისმინა საინტერესო ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა და დასძენს: „იქნება ხალხურმა ვეფხისტყაოსანმა“ გადასწუვიტოს აქამდის გაუთავებელი ბაასი, საიდგან არის აღებული შინაარსი ამ ძეგრფასის ნაშთისა“ და მოჰყავს თვით ვარიანტი, რომელიც უმთავრესად ლექსებისაგან შედგება. ლექსებში ასახულია ვეფხისტყაოსნის ცალკეული მოტივები ტარიელთან, ნესტან-დარეჯანთან და აეთან-დილთან დაკავშირებით.

დასაწყისი:

„ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე...“.

დასასრული:

„უწულო, უღარო წისკვილი,
მთაზე ვის გადაუდია,
მოყვრისა ქალის გულისთვის
ქმარი ვის გადაუდია“...

337. დ. ხანანაშვილი

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

(გაგონილი სოფ. არტანში (ფშუეში) პაპა ბავთარაშვილისაგან
და ჩაწერილი დ. ხანანაშვილის მიერ)

გაზ. ივერია, 1888, 28 თებერვალი, № 45, გვ. 1.

ტექსტი შეიცავს რამდენიმე ლექსს ვეფხისტყაოსნის მოტივებზე და დაბეჭდილია შენიშვნების გარეშე. დასაწყისი:

„ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე...“.

მეორე ლექსის დასაწყისი:

„ერთი კაცი ზღვისა პირსა,
ნაშტირალსა ჰგვანდა გმირსა!
დაეთრთეილა დიდ-მინდორი
იმის თვალთა ნადენ ცრემლსა“.

დასასრული:

„ჩაჯთა თქვეს ტარიელისა,—
ეს საქმე ვისეულია,
ცხრა კარი კლიტე რკინისა,
მინდორზე დასრეულია“.

338. [დ. ხანანაშვილი]

ზღაპარი ტარიელისა ანუ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“
(გაგონილი და ჩაწერილი დ. ხლის მიერ)

გაზ. ივერია, 1888, 2 ნოემბერი, № 230, გვ. 1—3;

3 ნოემბერი, № 231, გვ. 1—2.

ზღაპარი გაგონილია თიანეთის მაზრის სოფელ არტანში უცხოვრები გეგუტრა პაპუაშვილისაგან. წარმოადგენს ლექსნარეც თხრობას და შეიცავს

ვეფხისტყაოსნის მოტივებს—ტარიელი და ნესტანი, ტარიელის ბრძოლა ხატალებთან, ნესტანის გადაგდება ზღვაში, უცხო მოყმის ამბავი, ტარიელისა და აეთანდილის შეხვედრა, ტარიელის მიერ ვეფხისა და ლომის დახოცვა, ქაჯეთის ციხის აღება, ტარიელის ბრძოლა დევებთან და სხვ. ამ მოტივებს ეტყობა ქრისტიანიზირება. დასაწყისი:

„იყო ერთი ხელმწიფე „ბედნიერი და გონიერი“. ხელმწიფესა ჰყვანდა ერთი თავისთან დაახლოებული ვეხირი, რომელსაც სახელად ერქვა მირი...“

დასასრული:

„ტარიელმა და აეთანდილმა ქაჯები ამოწყვიტეს, გატეხეს ქაჯთა ციხეცა და გაანთავისუფლეს ქაჯთაგან ტყვედ შესყრობილი „ნესტორ“-დარეჯანი. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი დაქორწილდნენ და იცხოვრეს ბედნიერად“.

ლექსის ნიმუში. ლაპარაკია ტარიელზე:

„შავი ხარ და შავად მიხვალ,

შავად რასმე დაბურვილხარ.

სად მისდინხარ, მინც მითხარ.

რატომ შინ არ მიბრუნვილხარ.“

339. ესომ [შოსე ჯანაშვილი]

„სიბრძნე ბალავარისა“

ჯან. ივერია, 1888, 29 ნოემბერი, № 251. გვ. 2—3.

ბიბლიოგრაფიული წერილის დასასრულს ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ „აქ ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ენა ამ რომანისა ფრიალ ადვილი გასაგებია და სრულიად მიემსგავსება ვეფხის-ტყაოსნის ენას“.

1889

340. ღონ იავო

შინ და გარეთ

ქვესათაურში: „ნარ-ღონის“ ოხუნჯობა და რუსთაველის უნიკობა.

ოხუნჯობის მაგალითები.—მართალს ამბობს „ნარ-ღონი“.

ჯან. ივერია, 1889, 16 დეკემბერი, № 268, გვ. 1—3.

ავტორი ეკამათება ნარღონს (ივ. ჯაბადარს) ვეფხისტყაოსნის მხატვრული ღირებულებისა და ორიგინალობის საკითხებზე, არჩევს მის მიერ წამოყენებულ ცილისმწამებლურ ბრალდებებს რუსთაველის შემოქმედების ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანი იყო რუსთაველის შემოქმედების გაბიბრება. სანიმუშოდ მოჰყავს ამონაწერები მისი წერილებიდან და აფასებს მუხლობრივ, მაგ., რომ თითქოს რუსთაველის არც ერთი გმირი არ ასახავს რაიმე საზოგადოებრივ იდეალს, თითქოს რუსთაველი სინამდვილეში უვლის გვერდს მაშინდელი საზოგადოების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და რელიგიური ურთიერთობის საკითხებს. ავტორის გამოთქმით, ნარღონი ოხუნჯობს, როდესაც ვეფხისტყაოსანს «Вова-Королевна» (!)-ს აღარებს და რუსთაველს ჩალაში ახვევს.

341. პოლიევკტ კვიციანიძე

ქართული ალექსანდრიანი

კრებული: ც და, ქუთაისი, 1889, № I, გვ. 173—206.

თავად პეტრე წულუკიძის სტამბა.

ავტორი აღმოსავლურ თხზულებათა შინაარსის საოცრებათა მიმოხილვაში შენიშნავს, რომ „ვეფხის და ლომისტყაოსან მიჯნურების ამბები

მრავალი გადმოვიდა ევროპაში და ერთი ჩვენშიც“, რასაც უკეთებს დიდ სქოლიოს:

„პროფესორს ცაგარელს უნახავს პარიზის საჯარო წიგნთსაცავში ერთი ხელთნაწერი რომანი, რომელსაც სწორედ იგივე სახელი აქვს, რაც შოთას პოემას „ვეფხისტყაოსანი“, შინაარსითაც ამასა გავს თურმე. დაწერილიც 12-ე საუკუნეშია. დაწერია პროვანსალულ ტრუვერს. მაგრამ ეს პოეტი ვერ მიწვდება თურმე რუსთველს, როგორც დედაბინა ცას. აქვთგან ის უნდა დაეასკნათ, რომ შოთას ლექსი: „ესე აზბაკი სპარსული...“ პირწმინდათ მისაღებია. ნუთუ საკიროა შევნიშნოთ, რომ ეს სრულიად არ ამკირებს პოეტს. პირიქით ამაღლებს კიდევ ის ფაქტი, რომ ხალხურ ზეპირ გადმოცემაზე დაუმყარებია თავისი გენიალური ნაწარმოები... შექსპირის დრამები, გეთს ფაქტი. და სხვები სულ ვერა არიან აგებულნი ხალხურ თქმულებებზე. სარგის თმოგულის „ვისრამიანს“ შეგვიძლია თარგმანი უწყოლოთ იმდენათ, რამდენადაც ვეფხისტყაოსანს“ (გვ. 189).

342. Arthur Leist

Vorwort

წიგნი: „Der Mann im Tigerfelle, von Schota Rustaweli. Aus dem georgischen übersetzt von Arthur Leist, Dresden—Leipzig, 1889, გვ. III—IV.

ტექსტი წარმოადგენს ავტორის მიერვე თარგმნილი ვეფხისტყაოსნისათვის დართულ (იხ. ანოტაცია № 347) წინასიტყვაობას.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსანს, მის სახალხო-ეროვნულ მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიაში, პოეტის ეპოქას და ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ვითარებას.

343. მამუკა

წერილი მეგობართან

გაბ. ივერია. 1889, 29 ნოემბერი, № 254, გვ. 1—3, კველურა.

ავტორი აკრიტიკებს ქართველ ნიჰილისტს (მხედველობაშია ნარდონი—ი. ჯაბაძარი), რომელიც „უარ-ჰყოფს ჩვენს დიდებულს პოეტს, დიდებულის პოემის დამწერს, რომელიც მერად ღმერთად მიაჩნია ქართველს ერს, რომლის სახელიც ძუძუთა ბალღმაც-კი იცის...“. ამასთან დაკავშირებით ავტორი რუსთაველის სტროფებს იყენებს ნარდონის გასაბიძბრებლად (გვ. 2):

„მას მწერალი არა ჰქვიან...“

„ნახუთა და ვარდთა ვინადგან...“

344. [Нико Николадзе]

Византийские споры

Тифлис, 1-го ноября

გაბ. Новое обозрение, 1889, 2 ноября, № 2022, გვ. 1—2.

წერილი ეხება „Северный Вестник“-ში დაბეჭდილი „Письма о Грузии“-ს გამო ატეხილი პოლემიკის მთავარ კითხვებს. კამათის ცენტრალურ საკითხად ავტორის შენიშვნით ქართველმა ინტელიგენციამ უმართებულოდ აქცია ნარდონის მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს შოთა რუსთაველმა თავისი თხზულება სპარსულიდან ისესხა. ავტორის აზრით, საკითხი სწორად არაა დასმული და გაგებულ. სესხება ლიტერატურაში არაფერს არ ნიშნავს. გოეთემ, შექსპირმა, ჰოგომ თავის თხზულებათა შინაარსები ისესხეს, მაგრამ ამით მათი ღირსება არა მცირდება და ქართველი საზოგადოებაც ამისთვის არ უნდა ეკამათებოდეს და უწყყებოდეს «Письма о Грузии»-ს ავტორს.

გაზ. *Новое Обозрение*, 1889, 12 ноября № 2032, გვ. 1—3;

26 ноября, № 2046, გვ. 1—3; 28 ноября, № 2048, გვ. 1—3.

ავტორი ეწინააღმდეგება ნარდონის ძირითად დებულებას იმის შესახებ, რომ შუასაუკუნეების მთელი ქართული კულტურა სპარსული გავლენის ქვეშ იყო მოქცეული: ვეფხისტყაოსანში გამოხატული ქალის კულტი თითქოს სპარსული პოეტის ნიზამისაგან იყოს ნასესხები და რომ რუსთაველმა, როგორც მიმბაძველმა, ვერ შეძლო ამ იდეის ისეთი ღირსეული გამოხატვა, რითაც სპარსული დედანი ხასიათდებოდა.

ავტორი ასაბუთებს ამ განცხადების უსაფუძვლობას საქართველოს ისტორიული ცხოვრებისა და ქართული კულტურის ფაქტების გათვალისწინებით (№ 2032).

ავტორი ეკამათება ნარდონს სპარსული გავლენისა და ქალთა ემანსიპაციის საკითხებზე იმ საერთო დებულების წამოყენებით, რომ სპარსული გავლენა და სპარსული უღელი XII საუკუნის შენდევ გაჩნდა, რუსთაველისა და საქართველოში მოწვევების შემოსევის შემდეგ. ამასთან ერთად შენიშნავს, რომ ემანსიპაციის იდეები ვეფხისტყაოსანისა ქართული ისტორიის ფაქტებით დასტურდება და ეკამათება ი. ჰეკავაძეს, რომ რუსთაველის აფორიზმი „ათავისუფლე მონები“ — მართლა მონების განთავისუფლებას არ ნიშნავს (№ 2046).

ავტორი ეკამათება ნარდონს იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის დაყენება «*ხაბა კოპოღესიუა*»-ის გვერდით არ შეიძლება და ასაბუთებს, თუ რატომ იქცა ვეფხისტყაოსანი ქართულ კულტურაში უკვდავ თხზულებად და რომ მისი თაყვანისცემა საქართველოში ქართული საზოგადოების ჩამორჩენის ნიშანი არ არის (№ 2048).

346. Max Proskowetz

Vom Neustraund nach Samarkand durch Russland auf neuen gelesien nach inner-Asien

Wien und Olmütz, 1889, 512 გვ.

ავტორი გაკვირვებით ჩერდება შოთა რუსთაველზე და აღნიშნავს, რომ მას. ეკუთვნის შუა საუკუნეთა განთქმული საკარო და სამხედრო ცხოვრების ამსახველი ქართული რომანი ვეფხისტყაოსანი (გვ. 207).

347. Schola Rustaweli

Der Mann im Tigerfelle von Schola Rustaweli

Aus dem georgischen übersetzt von Arthur Leist, Dresden—Leipzig, [1889], IV+288 გვ.

ტექსტს წინ უძღვის „Vorwort“ (გვ. III—IV) Arthur Leist-ის ხელმოწერით ვეფხისტყაოსნისა და შოთა რუსთაველის შესახებ მოკლე ცნობებით. თარგმნილი ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სრულ თავებს, რომლის სათაურებია:

1. Erste Erzählung vom arabischen Könige Rostewan (გვ. 1—16).
2. Der arabische König sieht einen Jüngling in einem Tigerfelle (გვ. 16—37).
3. Awtandils Brief an seine Untergebenen (გვ. 37—40).
4. Awtandil zieht aus um Taryol zu suchen (გვ. 40—70).
5. Taryol erzählt Awtandil seine Geschichte (გვ. 70—77).
6. Taryol erzählt die Geschichte seiner Liebe (გვ. 77—85).
7. Nestan Daredschans erster Brief an ihren Geliebten (გვ. 85—86).

8. Taryels erster Brief an seine Geliebte (გვ. 86—87).
9. Taryels Brief an die Chatawier und die Absendung eines Boten (გვ. 87—90).
10. Antwort des Königs von Chatawien auf Taryels schreiben (გვ. 90—102).
11. Taryels Brief an den indischen König (გვ. 102—108).
12. Nestan Daredschans Brief an ihren Geliebten (გვ. 109—110).
13. Taryels Brief an seine Geliebte (გვ. 110—122).
14. Taryel erfährt Nestan Daredschans Entführung (გვ. 122—126).
15. Pridon und Taryels Begegnung am Meeresufer (გვ. 127—131).
16. Taryel hilft Pridon bei der Besiegung seiner Feinde (გვ. 131—132).
17. Pridon erzählt Nestan Daredschans Abenteuer (გვ. 132—142)
18. Awtandil kehrt nach Arabien zurück (გვ. 142—152).
19. Awtandil bittet Rostewan um die Erlaubnis zur Abreise (153—161)
20. Awtandils Gespräch mit Scherinadin vor seiner Flucht (161—164).
21. Awtandils Testament (გვ. 164—168).
22. Awtandils Gebet und Abreise (გვ. 168—169).
23. Rostewan erfährt Awtandils Flucht (გვ. 169—172).
24. Awtandil kommt zum zweiten Male zu Taryel (გვ. 172—187).
25. Taryel und Awtandil köhren in die Grotte zurück (გვ. 187—193).
26. Awtandil begiebt sich zu Pridon nach Mulghasansari (გვ. 193—196).
27. Awtandil gelangt zu Pridon (გვ. 196—204).
28. Awtandil zieht aus um Nestan Daredschau zu suchen (გვ. 205—210).
29. Awtandil landet in Gulanscharo (გვ. 211—213).
30. Awtandil macht Patman's Bekanntschaft (გვ. 213—214).
31. Patman verliebt sich in Awtandil (გვ. 214—215).
32. Patmans Brief an Awtandil (გვ. 215—217).
33. Awtandils Antwort an Patman (გვ. 217—220)
34. Awtandil tötet Tschatschuagir (გვ. 221—222)
35. Patman erzählt Nestan Daredschans Abenteuer (გვ. 222—236).
36. Patman erzählt Nestan's Gefangennahme (გვ. 236—244).
37. Patmans Brief an Nestan Daredschan (გვ. 244—246).
38. Nestan Daredschans Brief an Patman (გვ. 246—247).
39. Nestan Daredschans Brief an ihren Geliebten (გვ. 247—251).
40. Awtandils Brief an Pridon (გვ. 251—253).
41. Awtandil kehrt zu Taryel zurück (გვ. 253—260)
42. Taryel und Awtandil begeben sich zu Pridon (გვ. 260—263).
43. Kriegsrat und Einnahme der Kadschenstadt (გვ. 263—267).
44. Taryel begiebt sich zum Meerkönig und dann zu Pridon (გვ. 267—273).
45. Taryels und Nestans Hochzeit bei Pridon (გვ. 273—277).
46. Rückkehr nach Arabien (გვ. 277—285).
47. Awtandils und Tinatns Hochzeit (გვ. 285—288).

არტურ ლაისტს ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანისათვის რუსთველურის შიორის სანაცვლოდ გამოყენებული აქვს 12 მარცვლოვანი ლექსი, რის გამოც, რაკი რუსთაველის სტროფი 12 მარცვლოვანმა საზომმა ვერ დაიტია, ერთი სტროფი ორ სტროფადაა გადატანილი.

პირველი თავის დასაწყისი სტროფი:

„Ein König lebte im Arabierlande,
Mit Namen Rostewan, dem Gott, der Herr
Noch reiches Glück verlieh'n zum hohen Stande.
Leutselig, von erhabnem Sinn war er,
Mildtbütig auch, gerecht und klug im Rate,
Herr einer ungeheuren Kriegerschar,
Ein Feldherr, der nicht seines Gleichen hatte
Und auch als Redner anzuhören war.

ლაისტი ხანგრძლივად მუშაობდა თარგმანზე, მაგრამ მაინც დაუმთავრებელი დარჩა.

გაზ. Тифлисский листок, 1889, 12. XII. № 278. გვ. 3—4.

აეცორო მიმოიხილავს «Северный Вестник»-ში „Н. Д.-ს მიერ მოთავე-სებული წერილების გამო ატეხილ კამათს, რომელსაც გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე („Новой (Нравственности“)-ში) და „ივერია“. მისი აზრით, ეს კამათი ისეთ ფაზაში შევიდა, როცა მოკამათენი ადგებიან ინსინუაციის გზას, პირად კინელაობას. მაგ., ნიკო ნიკოლაძემ კამათში მოიგონა ტყუილისა და რკინიგზის საქმე, რომელსაც ლიტერატურულ კამათთან არაერთად არაა კავშირი არა აქვს, კამათის საგანი კი რუსთაველის ვეფხისტყაოსანიაო.

აეცორო შენიშნავს, რომ „ნარდონ“-ის უაზრობა ისე ცხადია, რომ ქართველი ინტელიგენციის ასეთ დიდ წარმომადგენლებს არ უნდა ეკადრათ მასთან კამათი. მასთან საჭიროა არა კამათი, არამედ მისი სასწრაფოდ წაყვანა ფსიქიატრიულ კლინიკაში. ნარდონის გამოსვლა პათოლოგიური ფსიქოზის შედეგია, ის ამცირებს რუსთაველს, თითქოს რუსთაველი არა მხოლოდ არ არის გენიოსი, არამედ უნიკოა. ნარდონის გამოსვლა არის ცილისწამება ქართველებზე და მათ ისტორიაზე.

349. [უავეტორო]

Georgia

The Encyclopedia Britannica,
Edinburgh, 1889, т. X. გვ. 431—434.

ქართულ კულტურაზე მსჯელობისას აღნიშნულია, რომ თამარის მეფობაში ცხოვრობდა შოთა რუსთაველი—აეცორო პოემისა ტარიელისა და ნესტან დარეჯანის სიყვარულის შესახებ.

350. [უავეტორო]

L'homme à la peau de tigre, poème épique géorgien du XII-ème siècle,
par Chota Roustaveli, Kartveloff, éditeur, Tiflis 1888.

ჟურნ. Le Caucase illustré, Tiflis, 1889, № 1, გვ. 4—5.

შეიტყვეს შოთა რუსთაველის პორტრეტს გაგარინის ალბომის მიხედვით (გვ. 4) და ვეფხისტყაოსნის ქართველი შეილისეული გამოცემიდან ამოღებული თავსამკაულებისა და საბოლოების ნიმუშებს (გვ. 5).

351. [უავეტორო]

ახალი ამბავი [ზინის სურათები]

გაზ. ივერია, 1889, 26 იანვარი № 19, გვ. 1; 15 მარტი, № 55, გვ. 1;
6 აპრილი, № 74, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობები მხატვარ ზინის მიერ „წერა-კითხვის საზოგადოებისათვის“ „ნიშნად თვისის თანაგრძნობისა საქართველოს ერის მიმართ“, იმ სურათების შეწირვის შესახებ, რომელნიც დახატა ვეფხისტყაოსნისათვის.

352. [უავეტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის დასურათები]

გაზ. ივერია, 1889, 29 იანვარი, № 22, გვ. 2; 30 იანვარი, № 23, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ სომეხ მხატვარს გ. ბაშინჯაღიანს განუზრახავს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტზე სურათის დახატვა (№ 22).

ცნობა გოლოვინის მიერ დახატული შოთა რუსთაველის სურათის შესახებ, მისივე მოკლე აღწერილობით (№ 23).

153. [უაგტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანი]

გახ. ივერია, 1889, 12 თებერვალი, № 33, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ არტურ ლაისტი გერმანულად თარგმნის ვეფხისტყაოსანს, რომლის ნაწყვეტი უკვე დაბეჭდილია სტალინსკის მიერ. ლაისტს 1300 სტროფი უკვე უთარგმნია. დარჩენილა გადასათარგმნელი 300 სტროფი.

154. [უაგტორო]

ახალი ამბავი [წარწერა შოთას შესახებ]

გახ. ივერია, 1889, 29 მარტი, № 67, გვ. 1—2.

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების მიერ კავკასიში წარწერების პოვნის შესახებ, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება მარი-ბროსეს მიერ მცდარად წაკითხული ზოგი ტექსტის გასწორება. კერძოდ დ. ბაქრაძეს ბროსეს მიერ მცდარად წაკითხული ქოლემის ეკლესიის „ჩოხაძე“ ანუ „ჩოხაძე“ გაუსწორებია „ხურციძედ“. ასევე როგორც გრ. უვაროვის მიერ მოტანილი წარწერაჲ ადასტურებს, გაუსწორებია ზარზმის ეკლესიის წარწერაში ამოკითხული: „მამასა შუათა ყოფილსა საშოსა“ შემდეგნაირად: „მისსა მამასა შოთა(დ) ყოფილსა შიოს ზეუნდოს ლმერთმან“.

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ „ვინ იცის, იქნება ეს ზედ წარწერა ჩვენს შოთას იხსენიებს“.

155. [უაგტორო]

„ვეფხისტყაოსნის“ ქურდები

გახ. ივერია, 1889, 16 თებერვალი, № 124, გვ. 2.

წერილში აღნიშნულია, რომ 14 ივნისს ტფილისის ოლქის სასამართლოში გაარჩიეს საქმე ტიგრან შიხინოვისა და ივანე რთველაძისა, რომელნიც აკოფაშვილის სახელოსნოდან იპარავენდნენ 1888 წ. დაბეჭდილ ძვირფასიან ვეფხისტყაოსანს. სასამართლოში გამოკვეულა, რომ ეს გამოცემა 1300 ცალის ტირაჟით გამოსულა, ქურდებს 42 ცალის მოპარვა და გასაღება მოუსწრაიათ.

156. [უაგტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმანი]

გახ. ივერია, 1889, 30 ნოემბერი, № 160, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის შესახებ:

„ჩვენ შეიტყუეთ, რომ ერთს აქაუბს, კართლის კარგად მცოდნეს, ტომით რუსს, დაუწყია თარგმანა „ვეფხისტყაოსნისა“ რუსულად და უკვე ორი მესამედი წილი გადაუთარგმნია. ლექსები რუსთაველის რუსულად ურიტომო ლექსით არის თარგმნილი“.

157. [უაგტორო]

Поэт-нотариус

გახ. Русифический листок, 1889, 14 сентября, № 207, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის ნოტარიუსმა პოლტარაკიმ რუსულ ენაზე თეთრ ლექსად თარგმნა შოთა რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანი.

358. [უავტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი]

გახ. ივერია, 1889, 8 სექტემბერი, № 190, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ერთ ახალგაზრდა ქართველს— მ. ქართველიშვილს—სხვა ხელნაწერთა შორის ჰქონია „ვეფხისტყაოსნის“ გაგრიძელება, რომელიც ისე იწყება, როგორც ა. ხახანაშვილის მიერ აღწერილი პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერი (ლაპარაკია ომაინის ამბავზე).

359. [უავტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის გამოცემა]

გახ. ივერია, 1889, 10 ნოემბერი, № 240, გვ. 1.

ჟურნ. თეატრი, 1889, 12 ნოემბერი, № 39 და 40, გვ. 11.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ დრეზდენის საგამომცემლო ფირმას (პირსონისა) განუზრახავს დაბეჭდოს არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი ვეფხისტყაოსანი გერმანულ ენაზე.

360. [უავტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსანი შვეციისა და ნორვეგიის მეფეს]

გახ. ივერია, 1889, 14 მაისი, № 100, გვ. 2; სექტემბრის 22, № 200, გვ. 1.

ცნობა იმის შესახებ, რომ წ. კ. გ. საზოგადოებას გადაუწყვეტია აგვისტოში, სტოკჰოლმში ორიენტალისტების კრების თავმჯდომარის, შვეციის მეფის ოსკარ მეორისათვის გაგზავნოს სურათებიანი ვეფხისტყაოსანი ქართველების სახელით. გაიგზავნება ალექსანდრე ცაგარლის ხელით (№ 100).

ცნობა იმის შესახებ, რომ პროფ. ა. ცაგარელმა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახელით სტოკჰოლმში აღმოსავლეთმცოდნეთა ყრილობის თავმჯდომარეს—ნორვეგიის მეფის ოსკარ II-ს გადასცა მდიდრულად დაბეჭდილი სურათებიანი ვეფხისტყაოსანი. 'ცნობის მიხედვით, ოსკარ II-ს გადაუთვალღიერებია ბორენის მიერ დაწერილი შინაარსი ვეფხისტყაოსნისა [ფრანგულად და უთქვამს—სოლომონის ქებათა-ქებას ჰგავსო. დასასრულს, აღნიშნულია, რომ მეფემ მისთვის მირთმეულ უამრავ წიგნთაგან, პირადი ბიბლიოთეკისათვის დაიტოვა რამდენიმე წიგნი და მათ შორის ვეფხისტყაოსანი (№ 200).

ეს ცნობა თავის „ახალ ამბებში“ უცვლელად გადაბეჭდა ჟურნ. „თეატრმა“, 1889, 26 სექტემბერი, № 19, 20, 21, გვ. 5—6.

361. [უავტორო]

ახალი ამბავი [ჯიბის ვეფხისტყაოსანი]

გახ. ივერია, 1889, 9 ნოემბერი, № 239, გვ. 1; 19 ნოემბერი, № 247, გვ. 2.

ჟურნ. თეატრი, 1889, ნოემბრის 12, № 39—40, გვ. 11—12.

ქრონიკალური ცნობა გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში გრ. ჩარკვიანისა და ს. ფანცხავას წიგნის მალაზიის მიერ ჯიბით სატარებელი ვეფხისტყაოსანის დაბეჭდვის შესახებ.

362. [უავტორო]

ნარკვევი

(ქურნალ-ვაჭურთაგან)

გახ. ივერია, 1889, 26 ნოემბერი, № 252, გვ. 3; 28 ნოემბერი, № 253,

გვ. 2—3. 29 ნოემბერი, № 254, გვ. 2.

რუბინშტეინის იუბილეს გამო ატეხილ აღიპაოთთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ ეს არაა საკვირველი, რამდენადაც შოთა რუსთაველ-

საც კი არ ასვენებენ სამარეში, მისი ნიკი ძილს უფროსობს ზოგს. პოლემიკა მინართულია ნარდონის წინააღმდეგ, რომლის სტატიიდანაც მოყვანილია მოკლე ციტატა ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფის გაგებასთან დაკავშირებით: „წაგვიკითხავ, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ სწერენ“ (№ 252).

ავტორი ეკამათება ნარდონს, რომელიც აზვიადებს სპარსულ გავლენას ვეფხისტყაოსანზე და მიიჩნია, რომ საქართველოს ყველაფერი სპარსთაგან აქვს მოპოვებული და შეძენილი. საქართველოში კულტურა სპარსეთმა შემოიტანა და ვეფხისტყაოსნის შინაარსიც სპარსულიდანაა აღებულიო. ავტორი შენიშნავს: „აი ამ ცრუ საძირკველზეა აშენებული, ამ ადვილად შესარყევ ბოძზეა აგებული მთელი ოთხი წერილი ნარდონისა“. ავტორი იწონებს ნ. ნიკოლაძის ფელეტონს „Новое Остроение“-ში ნარდონის წინააღმდეგ და მოჰყავს ციტატა (№ 253).

ავტორი ეკამათება ნარდონს „Новое Остроение“-ში (№ 2043) მოთავსებული სტატიის გამო; მოჰყავს ციტატები მისი წერილებიდან და უარყოფს მის იმ დებულებას, თითქოს ქართველები რუსთაველით რომ სტკებნიან, ეს მათი ჩამორჩენილობით აიხსნებოდეს. ავტორს მის საწინააღმდეგოდ მოჰყავს ციტატა ნ. ნიკოლაძის წერილიდან („Новое Остроение“). კამათის მთავარი საგანია ვეფხისტყაოსნის პოპულარობა და კითხვა—გენიოსია თუ არა რუსთაველი? (№ 254).

363. [უაგტორო]

ენრალ-გაზეთებზე მიმოსილვა [პოლემიკა ვეფხისტყაოსანზე]

ენრ. თეატრი, 1889, 12 ნოემბერი, № 39 და 40, გვ. 5—9.

ავტორი ეხება «Письмо о Грузии»-ს მთავარ დებულებებს ვეფხისტყაოსნის შესახებ, მოკლედ მიმოიხილავს მის გარშემო ატეხილ პოლემიკას და აკეთებს რამდენიმე შენიშვნას. ავტორი გადმოსცემს ნარდონის (ი. ჯაბადარის) სტატიიდან ზოგ მოსაზრებას, კერძოდ იმის შესახებ, რომ ის რუსთაველს სიუჟეტის სესხებას კი არ უსაყვედურებს, არამედ იმას აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი „ვერ არის თავისებური, ორიგინალური და სრული; როგორც, მაგალითად, შექსპირისა და გეტეს თხზულებანი“. ავტორს მოჰყავს ნარდონის მოსაზრება იმის შესახებ, რომ „ქართველებს „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ისტორიული ეპოსი გონიათ, და მაშასადამე, ქართველ გვარტომობის ინდივიდუალობის გამოხატველი მაშინ, როდესაც ქართველი ტომი ჯერ კიდევ ბავშურ მდგომარეობაში იყო“ (გვ. 7).

364. [უაგტორო]

ახალი ამბავი [სხვა და სხვა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. ივერია 1889, 24 დეკემბერი, № 275, გვ. 2.

28 დეკემბერი, № 276, გვ. 2.

ცნობა იმის შესახებ, რომ პროფ. ალ. ცაგარელი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას პეტერბურგიდან ატყობინებს, რომ პეტერბურგის დიდაცობაში ბევრნი არიან გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის შექმნის მსურველნი (№ 275).

ქრონიკალური ცნობა ოთხმოქმედებიანი პიესის „რუსთაველის“ დადგმის შესახებ ქართულ სცენაზე (№ 276).

365. არ. ქუთათელაძე

პასუხი ზ-ს სილოვან ზუნდაძეს

გაზ. ივერია, 1889, 2 მარტი, № 46, გვ. 2.

ავტორი ეკამათება სილოვან ზუნდაძეს ზოგი გრამატიკული კატეგორიის გამო ვეფხისტყაოსნის მავალითების საფუძველზე. კერძოდ, არ ეთანხმება ს. ზუნდაძეს კუთვნილებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისაგან წარმოშობის საკითხში და საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს მაგალითები: „მოქვენი“, „მით“ „მეათი“, „ჩემად“.

366. ა. ქუთათელაძე

საისტორიო და საზოგადოებრივი წერილი
(ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე)

გაზ. ივერია, 1889, 1 აპრილი, № 70, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის ნისიმე მონაზონს გადაუცია ჯვარის მონასტრიდან (იერუსალიმიდან) 1858 წელს ჩამოტანილი ხელნაწერი შესრულებული ალექსანდრე ლორთქიფანიძის მიერ, რომელშიაც მრავალ საყურადღებო ცნობას შორის მოიპოვება მონასტრის ფრესკების აღწერა, სადაც აღნიშნულია, რომ:

„წმიდა მაქსიმე და იოანე დამსკელს შორის შუა მუხლზედ მდგომია მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა, თავზედ ხურავს მალალი თეთრი არაღრინი, შავი ძალა (ბეწვის გარეშემო ნაყურები) შემოდებული, მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზევიდამ ასხია ჯიჯრის ფერი ხირდა საერისკაცო თეთრისა სამხრით. ამას აწერია: ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთამ აბინ. შოთა რუსთაველი“.

367. დათიკო ვერმიცანაშვილი [ლავრენტი წულაძე]

წლიური ანგარიში პროვინციელისა. IV. ნაფიქრი და ნააზრევი

გაზ. ივერია, 1889, 31 დეკემბერი, № 279, გვ. 1—3, ქვედურა.

ნარდონთან კამათში ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე ავტორი აღნიშნავს პოემის პოპულარობას საქართველოში, მოკლედ ახასიათებს მის მნიშვნელობას ქართული კულტურისა და ხალხის ცხოვრებაში და ჰკვილავს ნარდონს, რომელმაც ქართველი ხალხის ეს წმიდათაწმიდა, ქართული კულტურის უდიდესი ქმნილება—ვეფხისტყაოსანი შეურაცხყო უსაფუძველო ცილისმწამებლური შენიშვნებით, თვით ქართველი ხალხი კი აბუჩად აიგდო და კაცისკამიებად გამოიყვანა.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, „რომელსაც ყოველი ქართველი უბით ატარებს როგორც ავეაროზს... რომელიც კირში ჩვენი მოსამძიმრე და მანუგეშებელია და ლხინში თანამოღობინე და თანამღერალი... ურომლისოდაც ვერც სიცილი გაგვიკვლევი, ვერც ტირილს ვახერხებთ... რომლის თითოეული სიტყვა ჩვენთვის საბუთია, სამართალია, კანონი... რომელიც საუფუძვლად, ხიდად დასდებია ყოველგვარს იმის შემდეგ ნაწარმოებს ჩვენში“.

დასასრულს, ნარდონის დასახასიათებლად და მის შეხედულებათა უარსაყოფად ავტორს ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს რუსთაველის სამი სტროფი საკუთარი რედაქციით გადალექსილ-გადაკეთებული, რომელშიაც ნარდონია გაბნობარებული:

„მო დაესხდეთ ნარდონისათვის...
„მავრა ვითა შარა გრძელი...
„მავინდა ნახეთ მელექსე...“

აი ისტორია

- გაზ. ივერია, 1889, 29 აპრილი, № 89, გვ. 1—3.
 30 აპრილი, № 90, გვ. 1—3.
 7 თბათუ, № 116, გვ. 1—3.
 29 მაიათუ, № 159, გვ. 1—3.

წერილების მთელ სერიაში (სულ 14 წერილი იყო) ავტორი აკრიტიკებს უსაფუძვლო ნიპილიზმს, რომელიც ქართული კულტურისადმი იყო გამომ-
 ელანებული ინტელიგენციის ვიწრო წრეში და ეხება ქართული ისტორიოსო-
 ფიის საკითხებს. ავტორი ამასთან დაკავშირებით, კერძოდ, იხილავს ქართული
 კულტურის, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის შემოქმედებისა და მისი
 მნიშვნელობის ტენდენციურ გაგებასა და გაყალბებას ნარდონის (ი. ჯაბადა-
 რის) გამოსვლებში (ეურნ. «Северный Вестник», Письма о Грузии, თებერვა-
 ლი-მარტი). ავტორი აკრიტიკებს ნარდონის შეხედულებას ქართველთა სუ-
 ლიერსა და ნიეთიერ ცხოვრებაზე, როგორც ის გამოიხატა ქართველთა
 ისტორიაში, ლიტერატურასა და ახლანდელი ყოფა-მდგომარეობის ფორმებში.

ი. ჯაბადარის ნიპილისტური კონცეფციის გამანადგურებელ გარჩევას-
 თან ერთად, ავტორი აყენებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-კრიტიკული ათვი-
 სების საკითხს და საერთოდ რუსთაველის პრობლემის გაგებას უკავშირებს
 მთელი ქართული კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ისტორიულ განვითარებას.
 ავტორი ქართული ისტორიის, კულტურისა და მწერლობის საკითხებზე
 მსჯელობისას საილუსტრაციოდ იყენებს რუსთაველის ცალკეულ თქმებსა და
 სტროფებს. ქართული პოეტური ენის ზოგ თვისებებზე მსჯელობისას ავტორი შე-
 ნიშნავს, რომ „დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, რომ ამ დედა-ძარღვს
 ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმისა არც
 ერთხელ არ უმტყუნა“ და იმის საილუსტრაციოდ, რომ „ჩვენს ენაში არ არის
 არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ როგორც სახელი არსებითი არ იბრუნებო-
 დეს“, მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო გამოთქმები (№ 116).

869. [ლია ჰავეკაძე]

ჭფილისი, 4 ნოემბერი
 ჭფილისი, 6 ნოემბერი
 ჭფილისი, 7 ნოემბერი

- გაზ. ივერია, 1889, 5 ნოემბერი, № 236, გვ. 1.
 7 ნოემბერი, № 237, გვ. 1.
 8 ნოემბერი, № 238, გვ. 1—3.

წერილების სერია წარმოადგენს გაზეთის მეთაურებს და მიმართულია
 «Письма о Грузии»-ს ავტორის—ნარდონის (ი. ჯაბადარის) წინააღმდეგ ვეფ-
 ხისტყაოსნის საკითხებზე ნიპილისტურ-ცილისმწამებლური გამოსვლების გამო.

ავტორი კმაყოფილი არ არის იმ პასუხით, რომელიც «Новое Обозре-
 ние»-ში ნარდონს გასცეს ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით და აწარმოებს
 ორმაგ პოლემიკას. ერთი მხრით, ავტორი ეკამათება «Вязиштинские споры»-ს
 ავტორს (ნ. ნიკოლაძეს), რომელმაც, მისი სიტყვით, რუსთაველის დამდაბლება
 მხოლოდ იმაში დაინახა, რომ მას ნარდონმა ვეფხისტყაოსნის ამბის სპარ-
 სულიდან აღება დააბრალა. ავტორი კითხულობს: „ნუთუ ვეფხისტყაოსანი
 მართო დოკუმენტია, მართო მშრალი პროტოკოლია და სხვა არა რა?... „ნუ-

თუ ვეფხისტყაოსანს სხვა არავითარი ღირსება არა აქვს რა, გარდა იმისა, რომ ქართველებს მოსწონს?». არის რამე თავის თავად საკებ-სადიდებელი ვეფხისტყაოსანში, არის რამე თავისთავად სასახელო რუსთველისა, თუ მართლა იმისთანა უშგერია, რომ მის მომწონს ეგ მოწონება სირცხვილად უფრო ჩაეთვლება, ვიდრე ქებად? ავტორმა «ПИСЬМА О ПУХУИИ»-ში დაინახა ძველი ქართული ისტორიის, მწერლობისა და კულტურის უპასუხისმგებლო გაყალბება და უწოდა წას „თავიდან ბოლომდე ერთი გაპარტყელებული და უშგერი ტყუილი, წარტო ძაგებისათვის შეითხნინილი, ქირვეულობის და ყოვლად უაზრობისა და უვიცობისაგან და თავგასულ მამლაყინწობისაგან ურცხველ გატრაბახებული“.

ავტორი ნარდონის ნიპილისტური კონცეფციის გამანადგურებელ გარჩევასთან ერთად აყენებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-კრიტიკული ათვისების საკითხს და რუსთაველის პრობლემის გაგებას უკავშირებს მთელი ქართული კულტურისა და ყოფაცხოვრების ისტორიულ განვითარებას. მისი სიტყვით, საქართველოს ვეფხისტყაოსანი მთელი ექვსი საუკუნე სიყვარულით ხელში სჭერია, მისი სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუზვიარებია, „მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას“.

ავტორი საერთოდ აკრიტიკებს «НОВОЕ ОБЩЕПРИИЕ»-ს დამოკიდებულებას საქართველოსა და ქართული კულტურისადმი. მისი აღნიშვნით, ეს გაზეთი იშვიათად ბეჭდავს რაიმეს ქართული სინამდვილის შესახებ და, თუ ბეჭდავს, ამპარტაყენულად მიუთითებს რუსთაველის შემქმნელ ხალხს—მისგან ისწავლოს ჰკუა. ვეფხისტყაოსნისადმი უპატიო დამოკიდებულებაში, ამ გაზეთის ფურცლებზე უარყოფილია მისი ქართული, ეროვნული წარმოშობა. ავტორის შენიშვნით, მთავარი ის არ არის, რომ შოთა რუსთაველს თავისი ამბავი ნასესხები ჰქონდეს. ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე მსჯელობისას, «НОВОЕ ОБЩЕПРИИЕ»-ს გაურკვეველი პოზიციის გამო, ავტორი შენიშნავს: „ერთსა და იმავე დროს, ერთმა და იმავე კაცმა რუსთველის მგმობელსაც უთხრას, რომ რუსთველის მოსაჩრჩელ სულელია, მოსაჩრჩელსაც უფიცოს, რომ სულელი მისი მგმობელია და იმავე დროს თითონვე ესაჩრჩებოდეს რუსთველსა“.

370. სანო [სტეფანე ჰრელაშვილი]

მოგზაურობა უცხოელ კაცისა კავკასიაში

გაზ. ივერია, 1889, 17 იანვარი, № 11, გვ. 1—3; ქუდურა, 15 სექტი.

ავტორი გადმოსცემს ოლივერ უორდროპის წერილის უმთავრეს ადგილებს ქართული მწერლობის შესახებ. უორდროპი ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას, ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და მნიშვნელობას, აღნიშნავს მის ქართულ, ეროვნულ ხასიათს, ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს და რუსთაველს ადარებს მსოფლიო კლასიკოსებს.

უორდროპის წერილში ავტორს ვეფხისტყაოსნის გარჩევა და პოემის ციტატა მოჰყავს ქართული დედნით და ბოლოს საერთოდ აფასებს უორდროპის წერილს.

371. სანო [სტეფანე ჰრელაშვილი]

ქართველთა შორის [ქვესთაურში]: დაწუნებული რუსთაველი

გაზ. ივერია, 1889, 29 დეკემბერი, № 277, გვ. 1—3.

წერილი მიმართულია ქართული კულტურის და, კერძოდ, შოთა რუსთაველის შემოქმედებისადმი ნიპილისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ

[მხედველობაშია ნარდონი]. ქართული კულტურის საკითხების მიმოხილვისას, ავტორი ჰკილავს ქართული შემოქმედების უარყოფელთ, რომელთაც არ შესწევთ უნარი მისი გაგებისა და უპასუხისმგებლოდ აცხადებენ: „არ გვინდა რუსთველიო, წავიდეს, მოგვშორდეს თავიდანაო“, „ამდინსაც მარტო სულელობით მოგვდიოდა, რომ რუსთველსა ვკითხულობდითო... ნულარა ვდგევართ ქედმოხრბიონი წინაშე ვილაც რუსთველისაო“, „რუსთველის გამხდარ პირი-სახისათვისო“.

ავტორი შენიშნავს, რომ ესენი „უარსა ჰყოფენ თვით ქართველების ენის ჩამდგმელს რუსთაველს, რომლის ღვაწლი, აღრე თუ გვიან, უნდა შეიქმნეს საუნჯე საკაცობრიო ხელოვნებისა“.

372. ა. ხახანაშვილი

სახბლიოგრაფიო შენიშვნა

(პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკის ქართული ხელთ-ნაწერები)

გაზ. ივერია, 1889, 26 მკათათვე, № 156, გვ. 2—3; მ მარიამობისთვე;

№ 167, გვ. 3; 6 სექტემბერი, № 188. გვ. 3

ავტორი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დატულ ხელნაწერთა შესახებ ცნობებში აღნიშნავს, რომ კატალოგში მოხსენიებულია „manuscrits — géorgiens 24“, რომელშიაც სამი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის პირს წარმოადგენს (№ 156).

ავტორის განზრახვაა მკითხველს უახლოეს ხანში აცნობოს ომან ქაბუეის მანუსკრიპტის ამბავი (№ 167).

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის აღწერაში ავტორი აღნიშნავს, რომ იგი ორი ნაწილისაგან შედგება—პოემისა და მისი ვაგრძელების ომანის ამბისაგან, სათაურით: „ამბავი პირველი ტარიელის შეილის სარიდონის ძის ომან ქაბუეისა, რომელიცა ამბავი ესე ზედ მოგემის ამბავსა ვეფხისტყაოსნისასა“. ავტორი მოკლედ ყვება ომანის ძის შინაარსს და სანიმუშოდ მოჰყავს დასაწყისი და რამდენიმე საყურადღებო სტროფი. ასეთ ვაგრძელებათა არსებობას ავტორი ხსნის ვეფხისტყაოსნისადმი დიდი ინტერესით—ხალხი არ სვამს უკანასკნელ წერტილს იქ, სადაც პოეტი ათავებებს პოემას.

ავტორი შენიშნავს, რომ, როგორც მინაწერიდან ირკვევა ეს ხელნაწერი გადაწერილია 1782 წელს დავით რექტორის მიერ (№ 188).

373. А. С. Хаханов

Общий взгляд на состояние грузинологии

Чтения в императорском обществе истории и древностей российских при Московском университете 1889 год, книга вторая, сто сорок девятая, выдана под наблюдением Е. В. Барсова, Москва, 1889, гв. 1—24.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა: Вступительная лекция, читанная 23 января 1889 г. в Лазаревском Институте восточных языков.

თამარის ეპოქის ქართული კულტურისა და განათლების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი გაკვირით ჩერდება მწერლობაზედაც. ცნობილ მწერალთა დასახელებაში აღნიშნავს, რომ თამარ მეფის თანამედროვემ შოთა რუსთაველმა, ტომით მესხმა, დავეიცოვა ცნობილი პოემა ვეფხისტყაოსანი, საიდანაც კარგად ჩანს, თუ როგორი ღრმა და ყოველმხრივი განათლება მიიღო ამ გენიალურმა პოეტმა. ქართული ენის საკითხების მიმოხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველმა სრულყოფამდე განავითარა პოეტური ენის მოქნილობა (გვ. 8).

თეიმურაზ პირველის კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებაში ავტორი აღნიშნავს, რომ მან ქართული ენიდან ბერძნულად თარგმნა ვეფხისტყაოსანი (12). ვახტანგ მეექვსემ ტფილისში მის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს დაურთო შენიშვნები, რითაც ცდილობდა დაერწმუნებინა სამღვდელთა, რომელიც ვეფხისტყაოსანს სდევნიდა როგორც ღვთის შურაჯცმყოფელ თხზულებას, რომ ის ნამდვილად საღვთო პოემაა, რომელიც ქადაგებს ღვთის სიყვარულს.

374. ხილოვ. ხუნდაძე

პასუხის პასუხი (ბ-ნ არ. ქუთათელაძეს)

გაზ. ივერია, 1889, 4 მაისი, № 93, გვ. 2—3; 20 მაისი, № 103, გვ. 2—3;
25 მაისი, № 107, გვ. 2—3; 31 მაისი, № 110, გვ. 2—3.

ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ქართული ანბანიდან მოძველებული ასოების ამოღების აუცილებლობა და სხვა საბუთთა შორის იმასაც ასახელებს, რომ რუსთაველს არ მოეპოვება ისინიო, და აცხადებს: „მე კატეგორიულად, გადაკრით ვამბობ, რომ ასო ჰ იხვევ არ არის საჭირო ჩვენს ანბანში, როგორც *შ, ჯ, ჟ, და ზ*.“ მოჰყავს რუსთაველის თქმები (№ 39).

ავტორი ეკამათება არ. ქუთათელაძეს ნაცვალ-სახელის „ის“ ბრუნების საკითხებზე, რომელსაც იმის დასამტკიცებლად, რომ მოქმედებითში „ის“ იღებს „ით“ ფორმას და ენებითში „იმაღ“ ფორმას, მოუყვანია ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციო მაგალითები (№ 110).

375. Н. Д. [ე. ს. ჯაბაღარი]

Письма о Грузии

ჟურნ. Северный Вестник, СПб, 1889, № 9, გვ. 42—59;
№ 10, გვ. 36—60.

ავტორი ქართული ისტორიისა და კულტურის განხილვისას ავითარებს იმ აზრს, რომ საქართველოს არსებობას საკუთარი ნიადაგი არ ჰქონია, და ამასთან დაკავშირებით აყალიბებს თეორიას რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი არ არის ორიგინალური ნაწარმოები, ის უნიჭო მიბაძევა სპარსული ლიტერატურის ძეგლებსა, განსაკუთრებით ნიჰამის ლილ-მეჯნუნის, გურჯანის ვისრამიანისა და ფირდოსის შაჰნამესი. რუსთაველმა თავისი პოემის ძირითადი ჩონჩხი ისე, როგორც ცალკე ეპიზოდები ამ თხზულებათაგან გადასწერა. ავტორის აზრით, რუსთაველი არ არის პოეტი-შემოქმედი, მას, როგორც უნიჭო მიმბაძველს, თვითონაც არ ესმის მის მიერ ნახსენები და გამოყენებული შასალის დანიშნულება, მისი შინაგანი ღრმა აზრი. ვეფხისტყაოსანს არა აქვს მსოფლმხედველობრივი ღერძი, სენტენცია-აფორიზმები მასში ამოკრებილია სხვადასხვა თხზულებათაგან და ამბებთან უაზროდაა მიეკრებული, ყოველგვარი საჭიროების გარეშე. მისი აზრით, რუსთაველს პოემისათვის გარეგნულად მიუწებებია ქრისტიანული მსოფლმხედველობის ელემენტები და შემთხვევით და შეუსაბამოდ უხსენებია პლატონი და სხვა ფილოსოფოსები. ვეფხისტყაოსნის ამბავი შედგება ბავშურ, მარტივ თავგადასავალთა მექანიკური ნაერთისაგან, რომელთაც არა აქვთ ერთმანეთთან კავშირი და შინაგანი მთლიანობა. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი გაუმართლებელია კომპოზიციურად. პოემის მთავარ მოქმედგმირთა შორის არ არის ფსიქოლოგიური სიმართლე, ისინი წარმოადგენენ

ესიციოცხოლო, ნკვდარ ტიპებს, რომელნიც ასრულებენ პოემის ავტორის მიერ წინასწარ აღებულ, მათი მდგომარეობისათვის შეუფერებელ რაღაც დოგმებს. მათ დრამატიზმს არ აქვს საფუძველი, რადგანაც ის ფსიქოლოგიურად მოცემული საზოგადოებრივი პირობებიდან არ გამომდინარეობს, და ემორჩილება პოემის ავტორის მიერ წინასწარ აღებულ სიუვარულის კოდექსის დოგმებს. რუსთაველის გმირები არ წარმოადგენენ საკაცობრიო მნიშვნელობის ტიპებს და მათ დახატვაში რუსთაველი დაბლა დგას თავის აღმოსავლელ და დასავლელ თანამედროვეებზე. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსანს არა აქვს მსოფლიო ლიტერატურული მნიშვნელობა, ის ესმით მხოლოდ ქართველებს, რაც ახსნება მათი ოჯახური ჩამორჩენილი ყოფის პირობებით. ამიტომ ის არა თუ არ შეიძლება შევადაროთ მსოფლიო უკვდავ კლასიკოსებს—ჰომეროსს, ვირჯილიუსს, დანტეს, როგორც ეს ქართველებს უნდათ, არამედ ის სპარსულ სამიჯნურო ლიტერატურის ძეგლებსაც ვერ შეედრება.

ავტორი ქართულ და უცხო ლიტერატურის ძეგლთა მიმოხილვაში ამელაენებს ფაქტების არკოდნას.

ამ წერილებმა ქართველ საზოგადოებაში დიდი შემოქოთება გამოიწვია და მის ნიადაგზე შეიქმნა დიდი პოლემიკური ლიტერატურა. ი. ჯაბადარს უპასუხეს ი. კავკავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერეთელმა, ა. წერეთელმა და სხვებმა.

376. **Н. Д. [Джабадари]**

*Поклоение «Современности» и «Архсо.юшля»
(Письмо в редакцию)*

გახ. Новое Обозрение, 1889, 8 ноября, № 2028, გვ. 3;

23 ноября, № 2013, გვ. 2—3.

წერილი დაწერილია «Византийские споры»-ს («Новое Обозрение»- 1889, 2. X. № 2022) გამო. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი დებულება იმას კი არ გამოხატავს, რომ, როგორც «В. С.»-ის ავტორი ამბობს, რუსთაველმა შინაარსი ისესხა სპარსულსაგან, არამედ იმას, რომ რუსთაველმა არ შექმნა ორიგინალური, მხატვრულად და ფილოსოფიურად სრულყოფილი თხზულება ისე, როგორც ეს მოახერხეს გოეთემ და შექსპირმა, რომელთა გენიასაც რუსთაველი ვერ შეედრება. რამდენად შეაქვს გენიოსს ნასესხებ ბირთვში საკუთარი, ეს წვეტს საკითხს—არის თუ არა ვეფხისტყაოსანი მართლა ქართული ისტორიული ეპოსი? ქართველები ტყუილად ეძებდნენ მასში თავის გვარ-ტომურ თავისებურებებს, რაც ახასიათებთ მსოფლიო დიდ ხალხურ თქმულებებს, მაგ., ნიბელუნგებს.

მთლიანად წერილს ატყვია ათვალწუნებული დამოკიდებულება ქართული ისტორიული ცხოვრების მიმართ, რომელიც თითქოს განვითარების ისეთ ბავშურ საფეხურზე გაიყინა, რომ არ შეეძლო გენიალური თხზულების წარმოქმნა (№ 2028).

მეორე წერილის ქვესათაურია: Второе письмо в редакцию.

ავტორი იხილავს თავის დებულებას სპარსული კულტურის ქართულზე დომინანტური გავლენისას და შენიშნავს, რომ რუსთაველის ორიგინალობის დასაბუთება არ შეიძლება იმის დამტკიცებით, რომ ემანსიპაციური ტენდენციები აღმოსავლეთში არ იყო, რომ რუსთაველმა ბერძნული განათლება მიიღო. ავტორის აზრით, რუსთაველი იყო დოგმატიკოსი, მიმბამძელი და არა შემოქმედი.

რუსთაველის საქართველოში პოპულარობის მიზეზი მისი უკვდავი ღირსება კი არ არის, არამედ ის, რომ ქართული კულტურა გაიყინა ამ წამბაძველურ, დაუმთავრებელ სტადიაზე და მან ვეღარ შეჰქმნა უკეთესი ნაწარმოები.

377. ესომ [მოსე ჯანაშვილი]

ისტორიული მიმოხილვა

[ქართველების კულტურა ვეფხისტყაოსნის მიხედვით]

გაზ. ივერია, 1889, 1 თებერვალი, № 24, გვ. 1—3; 5 მარტი, № 48, გვ. 1—3.

ავტორი ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის მიმოხილვისას ეხება მათ ზნე-ჩვეულებებს და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში „რომელიც წარმოადგენს უტყუარ ძეგლს ქართველთ სულიერ და გონებით სიბრწყინვალისას“ ყველა ის კეთილშობილი ადამიანური თვისებებია გადმოცემული, რაც საერთოდ გააჩნდა ქართველობას, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავს მაგალითები ვეფხისტყაოსნიდან. იქვე ჩამოთვლილია ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული მუსიკალური საკრავები.

378. ესომ [მოსე ჯანაშვილი]

მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა და მისი განმარტება

გაზ. ივერია, 1889, 4 ნოემბერი, № 235, გვ. 1—3.

ავტორს მოაქვს ციტატა, რომელშიაც მზითევეში ჩამოთვლილ წიგნთა შორის მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანი ერთი, ჯაზულით დახატული ერთი“.

1890

379. აფშინათ გიორგი

ფშური ლექსები

გაზ. ივერია, 1890, 14 ივლისი, № 148, გვ. 1—2.

რედაქციის მიმართ, ლექსებს შენიშვნად დართული აქვს შემკრების წერილი, რომელშიაც ითხოვს მათ დაბეჭდვას. ლექსები შენიშვნით გამოგზავნილია ს. ხომორიდან. საყურადღებოა რუსთაველური საზომით:

„შალვა, შურისა მძებნელი, მთას ქორებულა კიოდა.
მე მონადირე მგონა, იმას თუ გული სტკიოდა“.

380. А. Н. Грен

Автаидия

ნაშრომში: Сванетские тексты собраны и записал А. Н. Грен

კრებული: СМОМПК, выпуск десятый, отдел II, Тифлис, 1890, გვ. 87—89.

ტექსტი შეიცავს ძლიერ შემქიდრობებულ გაზაპარებულ თხრობას ავთანდილისა და მის ცოლზე თინათინზე, რომელშიაც გაერთიანებულია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ეპიზოდი ტარიელის მონაწილეობით.

ტექსტი წარმოადგენს სვანურ ჩანაწერს რუსული ტრანსკრიფციით და მის რუსულ თარგმანს.

სვანური ტექსტის დასაწყისი (მომაქვს ქართული ტრანსკრიფციით):

„ავთანდილ ასხრი ლათხუიართჷ,
თინათ მაშუი გვი ი კუინ
ლზიხ ლამო ლათხუიართჷ
სუ მიშგუი ლზიხი მწიჯარზ...“ (გვ. 87).

რუსული თარგმანის დასაწყისი:

«Автаидия отправляется на охоту и говорит: «Сердце мое, душа моя Тинатина, дай мне приласол на охоту...» (გვ. 89).

ქართული ლექსწეობა

გახ. ივერია, 1890, 3 ოქტომბერი, № 209, გვ. 1-3;
 4 ოქტომბერი, № 210, გვ. 1-3;
 19 დეკემბერი, № 270, გვ. 1-2;
 21 დეკემბერი, № 272, გვ. 1-3.

მეორე წერილს ბოლოში უწერია: ქ. მოსკოვი, მეოთხეს—თბილისი. ავტორი ქართული ლექსთწეობის საკითხებს იხილავს დიალოგის ფორმაში. ერთ-ერთ დიალოგში ავტორი შენიშნავს, რომ: „რუსთველი სწერდა თექვისმეტ-მარცლოვანს და მას შემდეგ იშვიათადლა ვინმე სწერს ეგრეთ გრძელს ლექსს“. ამასთან ერთად ავტორს მოჰყავს ჩახრუხადის ზოგი სტროფი და ვერ აძინებს, რომ ისინი შაირის საზომითაა დაწერილი (№ 209, გვ. 1, სვეტი 2).

ავტორი ასახელებს სტალინსკის წიგნაკს «Шота Руставели—Грүзинский народный поэт» და არჩევს მის ზოგიერთ შენიშვნას ქართულ ლექსთწეობაზე და ეხება რუსთაველისა და ჩახრუხადის საზომებს (№ 210, გვ. 1, სვეტი 3).

ავტორს მოჰყავს ქართული ლექსის საზომები, რომლითაც ძველი პოეტები წერდნენ, და შენიშნავს, რომ „შოთა რუსთველს ორის წყობილებით აქვს დაწერილი თვისი დიდებული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და მოჰყავს დაბალი და მაღალი შაირის სქემები ნიმუშებით (№ 370, გვ. 2).

ავტორი შაირის საზომის დახასიათებისას შენიშნავს, რომ: „სწორედ ასეთის თავისუფალის კილოთი აქვს დაწერილი თავისი უკვდავი პოემა ჩვენს გენიოსს შოთა რუსთველს“ და მოჰყავს ნიმუშად ტაეპები:

„იყო არაბეთს როსტევან მუფე ლთისაგან სეიანი,
 მაღალი, უხეი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი.“

382. დონ იაკო [იაკობ მანსვეტაშვილი]

ნაცნობებს

გახ. ივერია, 1890, 1 იანვარი, № 1, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს მილოცვას ქართველი მოღვაწეებისადმი ახალი წლის გამო. იწყება პროზით და შემდეგ თითოეული ადრესატისადმი ლექსითა მიძღვნილი. ვეფხისტყაოსნის გარშემო მაშინ ატეხილი კამათის გამოხატულებას წარმოადგენს ნარდონისადმი მიმართული ეს ლექსი, რაც გამოიწვია მისმა ინპილისტურმა პოზიციამ ქართული კულტურის და კერძოდ, ვეფხისტყაოსნის მიმართ:

„საჩრდონი შეგყვარებია და საჩრდეთის პოეტები,
 რუსთველს ჰგობ, უარსა ჰყოფ, მიედები, მოედები,
 რა გწადიან ნეტა გვიხიბრა, რას აწუდები ლობე-ყორეს?
 საბუღს მაგით ვერ მოიხეპ, ვერც გააგნებ გზასა სწორეს.“

383. კალაში

დაბა და ზოფელი
(მოწერილი ამბავი)

გახ. ივერია, 1890, 4 დეკემბერი, № 258, გვ. 2-3.

ავტორი ოზურგეთიდან მოწერილ ამბებში ვაკერით იტყობინება:

ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გაგიზიაროთ: აქაური სტამბის საქმე კარვად მიდის. „მაკარიოზისთან“ წიგნის ბეჭდვას აქ ადგილი არა აქვს. ამ

ჟამად აქაური მესტამბეები ბექდავენ „ვეფხის-ტყაოსანს“, რომელსაც მცირე ლექსიკონი ექნება ჩართული და საგულისხმიერო ფრაზები განსაკუთრებულის მოდილო ასოებით იქნება დაბეჭდილი. წიგნი შემკული იქნება ავტორის სურათითაც. სასათაურო ასოების ამოჭრა ამ წიგნისათვის შეკვეთილი აქვთ ტფილისში გ. ტატიშვილს. ერთი სიტყვით, უნდათ ეს გამოცემა, რაც შეიძლება შნოიანი და ლაზათიანი გამოვიდეს და ფასიც ისეთი უნდა დაედოს, რომ მისი მოპოება არაყის გაუძნელდეს“.

დასასრულს, შენიშნულია, რომ „პირველი მაგალითია, რომ ასე იაფად „ვეფხის-ტყაოსანი“ გაყიდულიყოს“.

364. ლელო

ნაკვესი

გაზ. ივერიია, 1890, 14 იანვარი, № 10, გვ. 2.

ტექსტი მოძეაეს მთლიანად:

„დროების“ რედაქციამ იმაზედ იყო ბაასი, თუ სურათებიანი „ვეფხისტყაოსანი“ რამდენი უნდა დაბეჭდილიყო.

ილია ჭავჭავაძე გაკირვეულდა, ორიათასორასი დაეზეცდოთო. რომ უთხრეს, მაგდენი ვეხემლიარი არ გაიყიდებო, ილიამ გეთხრა:

— თქვენ არ გრწამთ ეს წიგნი, ძველად მხითვეში ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“ და ეხლაც ისე იქნება, თუ კარვად გამოუეითო.

— ძველად რა იყო, არ ეიცო, მაგრამ ეხლა-კი არც ერთი სიძე არ დასჯერდება ასეთ მხითვესაო,—სთქვა დათიყო ერისთავმა.“

365. შანოელიძე

რუსთაველი, ოთხმოქმედებიანი პიესა კ. მესხისა

გაზ. ივერიია, 1890, 6 თებერვალი, № 28, გვ. 2;

7 თებერვალი, № 29, გვ. 2;

9 თებერვალი, № 31, გვ. 1—3.

სარეცენზიო წერილები შეიცავს რუსთაველის ბიოგრაფიის თემაზე დაწერილი პიესის პროზაულ გარდათქმას და თვით პიესის შეფასებას.

რეცენზიის მიხედვით მოქმედი პირები არიან: სახლთუხუცესი შოთა რუსთაველი, მასთან შეზრდილი ორთალიშვილი, ლიპარიტ ორბელიანი, დავით სოსლანი, თამარ მეფე, მალხაზი, ზაქარია, იასონი, გივი და სხვ. პიესაში შოთა რუსთაველისათვის გამოტანილ სიკვდილის განაჩენს თამარ მეფე ხელს აწერს, მაგრამ შემდეგ სიკვდილს აპატიებს და რუსთაველი თამარს ძღვნად მიართმევს ვეფხისტყაოსანს შემდეგი სიტყვით:

„გზძელ ლამეთ ფიჭონი, გულის ქენჯნა და სულის შფოთვა,

ვამცნე ამ ფურცლებს, მიიღე ვგე დიდ-სულოვანო,

და როს ამბავი ჩემთა გმირთა აღმოიკითხო,

მოიგონებდე რუსთველს მათთვის ცრემლ შეუზრობელს“ (№ 29).

შინაარსის მოკლე გარდათქმის შემდეგ ავტორი არჩევს პიესას და შენიშნაეს, რომ მისი ნაკლი ისაა, რომ „განსაზღვრული ხასიათი არ ადევს და დრამა მთელს ნაწარმოებში არსადა ჩანს“ (№ 31). ამასთან ერთად ავტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას ქართული ისტორიული სინამდვილის ასახვის შესახებ.

წერილი ვეფხის ტყაოსნის გამო

გახ. თეატრი, 1890, 18 მარტი, № 12, გვ. 1—2.

წერილი წარმოადგენს ავტორის პირველ ნაშრომს ვეფხისტყაოსანზე და დაწერილია პროფ. ა. ხახანაშვილის შეხედულებათა წინააღმდეგ, რომელიც იცავდა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ხალხურიდან წარმოშობილობას. მარი აღიარებს სპარსული კულტურის, კერძოდ, პოეზიის ქართულზე დიდ გავლენას და კატეგორიულად აყენებს ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან თარგმნის დებულებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი არ არის ორიგინალური ქართული ნაწარმოები, ის სპარსული ორიგინალის თარგმანია. ავტორი გამოსთქვამს იმედს, რომ ჩქარა აღმოაჩენს ვეფხისტყაოსნის სპარსულ ორიგინალს ბრიტანეთის მუზეუმში: „ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანიულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნება თვით „ვეფხვის-ტყაოსნის“ დედანიო“, რადგან მას „სრულ ქეშმარიტებად“ მიაჩნია „რუსთველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდგან ნათარგმნი ამბავი უნდა გაეღეკოს“.

367. [კოტე მესხი]

რუსთაველი, ოთხ მოქმედიანი პიესა კ. მესხისა

გახ. ივერია, 1890, 6 თებერვალი, № 28, გვ. 2—3.

ტექსტი წარმოადგენს რუსთაველის ბიოგრაფიაზე დაწერილ პიესის პროზაულ გარდატეხას, რომელშიაც ნაწილობრივ ჩართულია ლექსები. დასაწყისი: „სახლთუხუცესის რუსთაველის სახლში ვართ. მაღაზი, შოთას შეგირდი, მოსამსახურეს ელაპარაკება, რომ ჩვენს ბატონს ბევრი მტერი ჰყავსო. გამოდიან რუსთაველი და ორთელიშვილი. შოთას თანაშერდილი. ამთ ერთად უსწავლიათ ათონში. რუსთაველი სცდილობს ალაგმოს: თაგ-გასულობა ერისთავთა, ათაბაგთა და დიდ-კაცთა“.

ლექსის ნიმუში (რუსთაველის დიალოგი ლიპარიტთან):

„მართო ქართველი საქართველოს მეფედ შეშენის,
და რად გავრბივართ, ვეზეწებით დავით სოსლანსა?
რად გვინდა უცხო, ვინ იცნობს მას აბა თქვენგანი,
ისე ბუჯითად, რომ საუნჯე, თაყვან-საცემი,
ჩვენი ხელმწიფე გულ-დანდობით თან გაატანოს?
შენისვე რჩევით უცხოელი მეფედ გავვიბდა,
და რაც ჰქვანას, ამ ჩვენს მამულს მან ჩირქი მოსცხო,
ამაში ბრალი დაგვდება შენც საუჯნოდ“.

368. ა. ნა-ლი (ალექსანდრე ნანეიშვილი)

ვეფხის ტყაოსნის გამო

გახ. ივერია, 1890, 19 იანვარი, № 14, ქვედურა, 15 სექტი, გვ. 1—3.

დასაწყისში ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში და სვამს კითხვას, თუ რაა მიზეზი მისი შექმნისა და ასეთი პოპულარობისა. მოკლედ ეხება საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, აღნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარებას, იხილავს თამარის ბიოგრაფიას, რაშიაც ხედავს ვეფხისტყაოსნის საფუძველს.

ავტორი პარალელს ავლებს პოემის ეპიზოდებსა და საქართველოს ისტორიულ სინამდვილეს შორის, კერძოდ ტარიელისა და ნესტანის ამბავი მას. მიაჩნია თამარის ისტორიის გამონაკრთომად.

დასასრულს, ავტორი დაასკენის, რომ პოეტი ამ თხზულებით, რომელშიც სინამდვილე გამოისახა, ვერც პატრიარქის, ეპისკოპოსთა, დიდებულთა და ვერც ერისთავთა გულს ვერ მოიგებდა, რომელთაც ვეფხისტყაოსანში თავისი კრიტიკა დაინახეს.

389. НОВ

*Заметки хроникера
II*

Кавказоведы и кавказоседы

გაზ. Новое Обозрение, 1890, 30 января, № 2105, გვ. 3;
22 марта, № 2153.

წერილი ამხილებს მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს, არქეოლოგსა და ლინგვისტს კ. ფ. მილერს, რომელსაც «Этнографическое обозрение»-ში დაუბეჭდავს სტატია: «Отголоски иранских сказаний на Кавказе», სადაც გამოუთქვამს აზრი, თითქოს ადვილად შესაძლებელია, რომ ვეფხისტყაოსანი მართლაც უბრალოდ სპარსულიდან თარგმნილი თხზულება აღმოჩნდეს, თუმცა მე ქართული ენა არ ვიციო.

ავტორი დასცინის იმ ყალბ მეცნიერებს, რომელთაც, არ იციან რა ენა და ლიტერატურა ხალხისა, ამტკიცებენ ამ ენისა და ლიტერატურის განუფითარებლობასა და სიღარიბეს (№ 2105).

მესხის პიესის „რუსთაველი“-ს დადგმასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემისადმი არამკითხველ დამოკიდებულებას (როტინიანცის, მილერის, ნარდონისას) და აღნიშნავს, რომ ახალგაზრდა ორიენტალისტმა მარმა გამოაცხადა ვეფხისტყაოსნის სპარსულ ორიგინალს ვიპოვიო (ჟურნ. „თეატრი“). ავტორის შენიშვნით, ჯობდა მარს ჯერ ეპოვნა სპარსული დედანი და მერე გაეკეთებინა ასეთი განცხადება.

390. [თელა რაზიკაშვილი]

ლექსეზი ზვესურულის „ვეფხისტყაოსნისა“

(ბერდია გოგოთურის შეილისა და გოთია გოგოთურისშვილის ნააზობის
ზღაპრებიდან, ზვესურეზში გაგონილი თ. რაზ-ის მიერ).

გაზ. ივერია, 1890, 9 ნოემბერი, № 239, გვ. 1—2.

ლექსეზი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ამბავთა ცალკეულ მოტივებს. დასაწყისი:

„ჩამოსხდნენ მეკიდობნერი
შუშხო, მესხი და თათარი,
მაგათ კიდობან ააგეს.
ჭებითა არა ჭებითა.
მაგათ რო თავი დაჰხურეს
თავი აქე დარეუბითა.“
„ტარიელ მზის მაძებარი,
ზღვის პირსა იარებოდა,
მასკელაენი ჰქონდეს ლოგინად,
მთერე გულს იამებოდა,
მზე ჩასდის—დადგის ტარიელ,
ამხდის, იარებოდა“.

31. [თედო რაზიკაშვილი]

ხალხური ლექსები ვეფხვის ტყაოსნისა

(ქართლში გაგონილი სოლომონ გულისაშვილისაგან და ჩაწერილი თ. რაზ-ლის მიერ)

გაზ. ივერია, 1890, 10 ნომბერი, № 240, გვ. 1.

ტექსტებს აქვს შენიშვნა: „ზოგი ლექსები გამოცტოვეთ, რადგანაც თ. ს-კიას მიერ ჩაწერილს ვარიანტში იყო დაბეჭდილი“. ნიმუში:

„მინდვრად ენახე ერთი მოყმე;
ჰკვანდა გმირსა ნამტირალსა;
მთელი ველი დაეთრთვილა
ცრემლსა მისგან ნამდინარსა;
ვეუბენ და არ იუბნა,
ხელი მიიფარა პირსა“.

32. [თედო რაზიკაშვილი]

ლექსები ხალხურის ვეფხვის-ტყაოსნისა, რომელიც კახეთშია გავრცელებული (კახეთში გაგონილი და ჩაწერილი თ. რ-ის მიერ).

გაზ. ივერია, 1890, 27 ნომბერი, № 252, გვ. 2.

ტექსტებს სქოლიოში აქვს საინტერესო შენიშვნა:

„რადგანაც ვეფხვის-ტყაოსნის“ მკვლევართათვის უმნიშვნელოდ არ მიმჩნია ეს ლექსები, ამიტომ ვაუბრედ და არა სრულად ჩაწერილს ვარიანტებიდამ, რომელიც გავიგონე კახეთში სრულიად და ჩაწერა-ჟი ვერ მოვასწარი ნახევარზე მეტისა, ამოვწერე ეს ლექსები და ვაზაინი დასაბეჭდად.

კახეთში ვეფხვის-ტყაოსნის“ ვარიანტები ბლომად არის და ცუდს არ იზამენ, ვისაც ხელი მიუწვდება, რომ ჩაწერონ და მით სამსახური გაუწიონ ზემორე ხსენებულ მკვლევარებთ. ეს ვარიანტი საკმაოდ განსხვავდება სხვა ვარიანტებისაგან.“

ნიმუში:

„ერთი ეინვე მოყმე ენახე,
მომტირალი, ჰკვანდა გმირსა,
ვეუბენ და არ მეუბნა,
ხელი მიიფარა პირსა,
სხვა ვერა შევამჩნიე-რა,
საყვარელსა ჰტირდა ისა“.

399. [Шота Руставели]

Царева кожа Руставели в рассказе

Второе издание по первому 1888 года. Тифлис, 1890, 32 გვ.

ტექსტს წინ უძღვის ცალკე გვერდზე, ნუმერაციის გარეშე, უავტორო და უსათაურო წინასიტყვაობა ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის რუსთა-ველის შესახებ მოკლე ცნობებით.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის რუსულ პროზაულ თარგმანს თავისუფალი გარდათქმით, ამბავთა მიხედვით, სტროფული თანმიყოლების გარეშე, რომელშიაც ადგილ-ადგილ მოიპოვება ცალკეული აფორიზმები ლექსად რუსულივე თარგმანით.

პოემის პროზაული, რუსული თარგმანის ტექსტის (გვ. 1—29) დასაწყისი: «Богъ съзгословенный царь Аравию Ростекии, въ снѣдане лет, передъ престолъ единственной своей дочери Тинатице и прियетствовал ее, какъ царичу. Царская дочь, му-

цезариял красота которой затмевала солнце, повинуясь. поле отня, обманилась в пурпур-
ный одеждой, возложила на себя корону и приняла скинстр, хотя и чувствовала себя
недостойною заменить отца на престоле Арагии...».

ჩართული აფორიზმი:

«Все то, что отдашь ты, то будет твоим.

Все то, что оставишь, исчезнет как дым».

დასასრული:

«И занял он мирно, невозмутимо, и правда стала царить в его государстве и закре-
пилась дружба трех героев-друзей вечными узами любви.

Их кончилась повесть, и жизнь их, как сон.

Исчезли во мраке забытых времен!».

31—32-ე გვერდებზე მოთავსებულია «Объяснение рисунков Зичи, при-
хоженных к грузинскому изданию «Барсовой Кожии», რომელიც შედგება
27 სათაურისაგან.

394. [შოთა რუსთაველი]

ვეფხის ტყაოსანი შოთა რუსთაველისა

მეცხრე გამოცემა, ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა, № 3,

სტამბა გრ. ჩარკვიანისა, თფილისი, 1890, 404 გვ.

წიგნს აქვს პატარა ფორმატი. თითო გვერდზე ოთხი სტროფია, შუაზე
გაყოფილი შაირით:

„რომელმან შექმნა სამყარო

ძალითა მით ძლიერითა...“

ისე რომ თითო სტროფი დაბეჭდილია რვა სტრიქონად.

სტროფებს სათვალავი არა აქვს და შეიცავს 1559 სტროფს. არა აქვს
სარჩევი და წინასიტყვაობა.

395. [შოთა რუსთაველი]

საგულისხმიერო აზრები ვეფხის-ტყაოსანიამ შედგენილი და გამოცემული

ნიკო ველისციხელის მიერ

ტფილისი, 1890 II+32 გვ.

წიგნაკს წინ უძღვის „გამომცემლის“ ხელმოწერით „ორიოდ სიტყვა
მკითხველებისადმი“, სადაც აღნიშნულია გამოცემის მიზანი.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილ სენტენციას-აფო-
რიზმებს.

დასაწყისი:

„გასტებს ქვასაც მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ღბილისა.“

დასასრული:

„ხამთარი ვარდთა გაახშობს, ფურცელნი ჩამოსცივიან.“

396. თ. სა[ხო]კია

ტარიელის ზღაპარი ანუ ხალხში დაშთენილი „ვეფხის ტყაოსანი“

(ქართლში გაგონილი)

გაზ. ივერია, 1890, 11 იანვარი, № 7, გვ. 1—2; 12 იანვარი, № 8, გვ. 1—2.

ამბავი ძირითადად პროზაული თხრობისაგან შედგება, რომელშიაც
ჩართულია ლექსები. როგორც პროზაში, ისე ლექსებში იგრძნობა ვეფხის-

ტყაოსნის ცალკეული მოტივები და თქმები. ხასიათდება ბევრი ფანტასტიკური მოტივით. დასაწყისი:

„იყო და არა იყო-რა, ღმრთის უფეთის რა იქნებოდა. იყო სამი ძმა კაცი: უფროსს ერქვა ტარიელი, მეორეს აეთანდლი და უმცროსს ფრიდონი. დაობლდნენ პატარაები...“.

ტარიელის მიერ მეფის სასიძოს მოკვლის ამბავი ასეა გადმოცემული:

„ტარიელ დაგვი ეუბოდა,
სიტყვა შენ დაგაბობინე,
გინდოდა ლერწამ-მარჯვან,
რატომ არ შემატუბინე?
ხორასანთ მეფისა სისხლი
კარზე რად მომალდინე,
შეიდის წლის უძრავი ხმალი
სისხლში რად გამარევიე.
არც შენ მოგცემ და არც მაგას,
ორივე ხელს ავალდებინებ.“

397. იაკობ ხვიშონიძე [გოგებაშვილი]

ძირითადი უკულმართობა

ვახ. ივერია, 1890, 20 მაისი, № 104, გვ. 1-2.

წერილი წარმოადგენს გახეთის მეთაურს მთელ გვერდზე. წინ უძღვის ეპიგრაფები:

„რა ენა წახლეს, ერის დაეცეს“ გრ. ორბელიანი

„გაქჳრა ენა? გაქჳრა ხალხიც...“ უშინსკი

ავტორი ილაშქრებს ქართული ენისა და პოეზიისადმი ცილისმწამებლური გამობხრომების წინააღმდეგ და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების დიდ უკულმართობად მიიჩნევს ნიჰილისტურ განწყობილებას, რომელიც ცალკეულ ინტელიგენტების გამოსვლებში იჩენს თავს. ავტორს, კერძოდ, მხედველობაში აქვს ნარდონის (ი. ჯაბადარის) წერილები საქართველოს შესახებ. მისი შეხედულების კრიტიკაში, რომ თითქოს ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან უბრალო გადაღებას წარმოადგენს, შენიშნავს:

„ჩვენ-კი გავბრვიართ ხუთი ათასი ვერსის სიშორეზედ და ვღალადებთ: მთელი ისტორია საქართველოსი წარმოადგენს უგრძელეს უღაბნოსა არაფრობისას, უვიცობისას, ტუტუტუობისასო. ამ ჯარანა უღაბნოში ერთი თაზისიც არ მოიპოვებო. თუთ რუსთველმა, პირველმა პოეტმა საქართველოსამ, თავისით ვერაფერი შექმნა და სპარსულიდან ისესხა თავისი „ვეფხის-ტყაოსანი“ და ისიც როგორ ისესხა? ისე უხეიროდ და ღედნების გაუგებრად, რომ იგი საესეა უაზრობით და სისულელითო. და ეს ტუტუტუური ნაქურდალი მთელს საქართველოს ერს შეიღის საუკუნის განმავლობაში დიდებულ და თავისებურ ქმნილებად მიიჩნდა და დაბადებას ჯერდს უუუნებლაო“ (გვ. 1, მეორე სვეტი).

398. [უაგტორი]

Этнографическое обозрение

Периодическое издание этнографического отдела императорского общества любителей естествознания, антропологии и этнографии, состоящего при Московском университете. кн., II, М., 1889 г.

წინ.: Русская Мысль, ежемесячное литературно-политическое издание, Год одиннадцатый. книга I, Москва, 1890, отд. XXII, გვ. 41-43.

პატარა რეცენზიაში ავტორი ეხება ვ. ფ. მილერის სტატიას «Отголоски иранских сказаний на Кавказе» და სხვათა შორის მოჰყავს მისი აზრი

იმის შესახებ, რომ ადვილად შესაძლებელია რუსთაველის ცნობილი პოემა ვეფხისტყაოსანი ბოლოს და ბოლოს ისეთივე თარგმანი აღმოჩნდეს სპარსულიდან, როგორც პროფ. ა. ხახანოვის მიერ დასახელებული 24 თხზულება სპარსულიდან თარგმნილი ქართულად XI—XVII საუკუნეებში (გვ. 41).

399. [უაგტორო]

История, фсора.л. «Барсова кожа» III. Руставели и народная поэма о Тарисе, статья А. Хаханова.

ჟურნ.: Этнографическое обозрение, издание этнографического отдела императорского общества любителей естествознания, антропологии и этнографии, состоящего при Московском университете, Москва, 1890, № 2, Библиография, გვ. 210.

მოკლე რეცენზიაში ავტორი ეხება ა. ხახანაშვილის მიერ ხალხური ტარიელის ეპოსის ვარიანტის შედარებას ვეფხისტყაოსანთან, რომლის საფუძველზე მან გამოსთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა შოთა რუსთაველმა თავისი პოემისათვის ამ ხალხური თქმულებებით ისარგებლა, რამდენადაც ეპოსივე ვარიანტში მოიპოვება ასეთი ლექსები, რომელნიც ვეფხისტყაოსანში არაა, რაც იმის ნიშანია, რომ ისინი უფრო ძველ ხანას ეკუთვნის, ვიდრე ვეფხისტყაოსანიო.

400. [უაგტორო]

ზამცენიერო მოღვაწეობა ღვით იესეს მის ჩუბინაშვილისა

გაზ. ივერია, 1890, 9 მაისი, № 98, გვ. 1—2.

12 მაისი, № 99, გვ. 1—2.

წერილი წარმოადგენს სანქტ-პეტერბურგში 1890 წელს გამოცემული ბროშურის «Об ученым трудах Давида Исесевича Чубинова» გარდათქმას. ავტორი ღვით ჩუბინაშვილის მრავალმხრივი ლიტერატურული მოღვაწეობის მიმოხილვაში გაკვრით აღნიშნავს მის მიერ 1846 წ. ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვას (№ 98), რომელიც 1860 წელსაც გაიმეორა (№ 99), რასთან დაკავშირებითაც ავტორი მოკლედ ეხება პოემის ბეჭდვის საქმეს.

401. [უაგტორო]

ახალი აშავი [სხვადასხვა ცნობები ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. ივერია, 1890, 14 მარტი, № 55, გვ. 3; 29 ივლისი, № 162, გვ. 1—2;

5 სექტემბერი, № 189, გვ. 1; 28 ნოემბერი, № 253 გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ სომხურ ჟურნ. „ალბიურ“-ში იბეჭდება ასტვაცატუროვის პოემა „სიყვარული რუსთაველისა“ (№ 55).

ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში ჩქარა მიიღებენ ვეფხისტყაოსნის გერმანულ გამოცემას (№ 162, გვ. 2). იმავე გაზეთში განცხადება სურათიანი ვეფხისტყაოსნის გამოცემისა და მისი შეძენის პირობების შესახებ, წიგნის მოკლე აღწერილობით (გვ. 1).

ცნობა იმის შესახებ, რომ ქვათა-ხეობისა და გერისთობის დღეობაში „ერთ ოსის პატარა ბიჭს „ვეფხისტყაოსნის“ გამო ტირილი დაუწყია, რადგანაც მამას ფასი არ გაუმეტნია და არ უყიდნია“ (№ 199).

მცირე ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციის ლაიფციგიდან მიუღია ლამაზად დაბეჭდილი, ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანი არტურ ლაის-ტისა (№ 253).

402. ვაჟა-ფშაველა

„ვეფხისტყაოსანის“ შესახებ,
ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილის
ვახ. ივერია, 1890, 21 თებერვალი, № 39, გვ. 1—2.

ავტორი გადაჭრით უარყოფს პროფ. ა. ხახანაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს შოთა რუსთაველმა თავის პოემას საფუძვლად ხალხურ პოეზიაში არსებული ეპოსი დაუდო. მისი აზრით, ხალხმა გადაიღო რუსთველისაგან და არა რუსთაველმა ხალხურისაგან. შოთას ეკარგება დიდი პოეტის სახელი, თუ მას „მანამდე არსებული ხალხური ნაწყვეტების შემკოწიწებლად“ მივიჩნევთ. პროფ. ა. ხახანაშვილის თეორიის მეთოდოლოგიური კრიტიკით ვაჟა-ფშაველა აყენებს საერთოდ ხალხური და პიროვნული შემოქმედების განსხვავებული გაგების საკირობებს. მისი დასკვნით, შოთა რუსთაველი ინდივიდუალური შემოქმედელია.

ვეფხისტყაოსანსა და ტარიელიანს შორის განსხვავებათა არსებობას ვაჟა ფშაველა იმით ხსნის, რომ „ლიტერატურული ვეფხისტყაოსანი“ წინად ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეჰყვარებია პოემა და, რაც დაჰვიწყებია პოემიდან, ის თითონ უკეთებია და უმატებია“.

403. Г. Церетели

Низам и Руставели

ვახ. Новое Время 1890, 9 января, № 2034, გვ. 1—2;
11 января, № 2086, გვ. 1—2;
16 января, № 2091.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსულ პრესაში ქართული კულტურისადმი უგულვებელყოფელ დამოკიდებულებას (სენკოვსკი, პატკანოვი) და აღნიშნავს მათი გავლენით „Письма о Грузии“-ის ავტორის მიერ ძველი ქართული კულტურის ღირებულების საფუძვლით უარყოფას, ქართული მწერლობის სპარსულის უბრალო მიბაძვად მიჩნევისა და ვეფხისტყაოსნის ნიჟამის ლეილ-მეჯნუნის გადაკეთებად აღიარების უსაფუძვლობას. ავტორი ასახელებს უკანასკნელ ხანებში ისტორიული და არქეოლოგიური მეცნიერების მონაპოვრებს, რითაც ნტყიციდება ძველი ქართული კულტურის სიდიადე (№ 2084).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანების სისუსტეს და აღნიშნავს, რომ «Письма о Грузии»-ის ავტორს კარგად არ სცოდნია ქართული ტექსტი და უსარგებლია ცუდი თარგმანებით. მთელი წერილი ძირითადად წარმოადგენს ვეფხისტყაოსნისა და ლეილ-მეჯნუნის შესადაარებლად ლეილ-მეჯნუნის შინაარსის მოყოლას (№ 2086).

ავტორი აღნიშნავს, რომ, როგორც შედარება არკვევს, ვეფხისტყაოსანი არ შეიძლება ლეილ-მეჯნუნის გადაკეთება იყოს. რუსთაველს თავის სამშობლოში უფრო მეტი ფაქტები ჰქონდა ქალისა და მამაკაცის ტიპების დახატვისათვის. შესადაარებლად მოჰყავს ლეილ-მეჯნუნის ადგილები თარგმნილი ქართული ტექსტიდან თეიმურაზის მიხედვით და ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილები იმის დასამტკიცებლად, რომ სიყვარულის სცენები ფსიქოლოგიურად ვეფხისტყაოსანში უფრო მაღალმხატვრულადაა გადაწყვეტილი, ვიდრე ლეილ-მეჯნუნში.

Местное Обозрение [გაეროთ შოთა რუსთაველზე]

გაზ. *Полное Обозрение*, 1890, 16 декабрь, № 2406, გვ. 1.

ავტორი ეხება მესხეთში ქრისტიანული ელემენტის სავალალო მდგომარეობას მაჰმადიანობის გარემოცვაში და შენიშნავს, რომ ეს ის ქვეყანაა „სადაც XI — XII საუკუნეში განათლება იყო დანერგილი, რომელმაც აღზარდა შოთა რუსთაველი: შემომქმედი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნისა“ და სარგის თმოგველი შემთხვეული „დილარიანისა“, ეხლა მიყრუებული მიჩუმებული კუთხეა საქართველოსი“.

ეს წერილი სათანადო შენიშვნით გადაბეჭდა გაზ. „ივერიამ“ (18 დეკემბერი, № 269, გვ. 2).

405. ა. ხახანაშვილი

ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხისტყაოსანი“.

გაზ. ივერია, 1890, 1 თებერვალი, № 25, გვ. 2—3.

ავტორი ჩამოთვლის მისი დროისათვის ცნობილი ხალხური ვეფხისტყაოსნის ხუთ ვარიანტს (წყაროდ მიუთითებს პუბლიკაციებს გაზ. „ივერიაში“: 1887, № 224; 1888, № 45; № 131, 165) და აღნიშნავს, რომ „ამ ხანად არ შეიძლება გადაწყვეტილ იქმნას, რა ურთიერთობაა ხელოვნებით დაწერილ პოემასა და ხალხში დარჩენილ ტარიელის ამბავს შორის“.

ავტორი ადარებს პოემის ხალხურ ტარიელთან და გამოსთქვამს მოსახრებას, რომ რუსთაველის პოემის საფუძველი ქართული ხალხური პოეზიაა, სადაც ეს პოემა არსებობდა ნაწყვეტების სახით. მოტივთა პარალელური არსებობა, მისი აზრით, მათ სიუჟეტთა ერთგვარობას ნიშნავს. მათში მოიპოვება მრავალი შეხვედრა ცალკე დეტალებშიც, მხოლოდ განსხვავებას ამჩნევს „მის ფორმალურ შემუშავებაში“. ავტორი აღნიშნავს, რომ ლექსს უფრო ადვილად იხსოვებს ხალხი, ვიდრე პროზას, რითაც აიხსნება ლექსის მეტი გამძლეობა. ტარიელთანის ზოგი სტროფი ყველა ვარიანტში ერთნაირია. ამიტომ ვარიანტები ერთმანეთს შინაარსეულად არ სცილდებიან. შედარება არკვევს, რომ დედაზრი მათში ერთი და იგივეა. ამავე დროს ძირითად მოტივებს ისინი ერთნაირად გადმოსცემენ. ავტორს მოკლედ მოჰყავს პოემის ძირითადი ნასკვის სქემა, რაც ერთნაირია ვეფხისტყაოსანსა და ტარიელთანში, და სვამს კითხვას: „შოთას პოემამ იმოქმედა ერის მესხიერებაზე და გვასწავლა, როგორც ერისგანვე შედგენილი მოთხრობა, თუ საერთოდ გავრცელებულმა „ვეფხისტყაოსანმა“ მისცა მასალა პოეტს ტარიელის ამბავი სალიტერატურო ხელოვნებით აგებულ ნაწერად გადაექცია!“. ავტორი ასკვნის, რომ რუსთაველმა ხალხური საუნჯე გადაამუშავა და თავისი სული შთაბერა. მთელი რიგი კლასიკოსები რუსთაველივით ხალხიდან იღებდნენ თავისი პოეზიის მასალას, მხოლოდ შოთამ ყველაფერი კი არ გამოიყენა, ზოგი რამ დასტოვა, რაც ხალხს ჰქონდა. მაგ., პოეტმა ედემ და ომარე არ შეიტანა პოემაში, რაც თითქოს, ავტორის აზრით, იმას ნიშნავს, რომ ხალხური ტარიელიანი უფრო ძველია.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ შესაძლოა ვეფხისტყაოსნის აზრი შემოსული იყოს შოარული სიუჟეტით.

406. ლადო აღნაშვილი

სპარსეთი და იქური ქართველები
(მგზავრის წერილები)
თფილისი, 1896, 328 გვ.

ავტორი ისპანში ფერეიდნელ ქართველებთან პირველი შეხვედრის აღწერისას აღნიშნავს, რომ მას სპარსეთში მოგზაურობის დროს თან დაჰქონდა პატარა ვეფხისტყაოსანი, რომლიდანაც ცალკეულ ადგილებს უკითხავდა ფერეიდნელ ქართველებს და უხსნიდა მის მნიშვნელობას (გვ. 116).

407. ღიმიტრი ბაქრაძე

ქართველი ქალები

გამოცემული ზ. კიკინაძისგან, თფილისი, 1891, 15 გვ.

ქართველი ქალების კულტურის ნობაზე მსჯელობისას ავტორი გაკვირით წენიშნავს, რომ:

„ისინი სტკებოდნენ ჩვენს ენაზედ დაწერილის. ანუ სხვა ენით გადმოღებულის საერო თხზულებებით; კითხულობდნენ უფრო განთქმულს რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიცა უმშვენიერებდა სიტყვიერებას და განწმედდა აზრს და ზნეობის გემოვნებას, მრავალთ იცოდენ ზეპირათ...“ (გვ. 9).

408. Николай Гулак

Лейст, Грузинские стихотворцы. Лейсти, 1887 г. Лейст, поэма Шота Руставели «Варсена Кожя», Перевод в стихах с грузинского, Лейсти и Дрезден, 1891

გაზ. Новое Событие, 1891, 1 мая, № 2529, გვ. 1—3, ქვედურა.

შესავალში ავტორი აქებს გერმანულ მუყაითობას, რომლის მეოხებით უკვე მოიპოვება თარგმანები სომხური, თათრული, ქართული პოეზიიდან; მოკლედ ეხება მის თარგმანებს ქართველი თანამედროვე მწერალთა თხზულებებისას და სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის გერმანულ თარგმანზე, რომელიც, მისი შენიშვნით, პოემის დაწერიდან 700 წლის გასვლის შემდეგ წარმოადგენს პირველ თარგმანს ევროპულ ენაზე.

ავტორი გაკვირით ჩერდება პოემის ორიგინალობის პრობლემაზე და აღნიშნავს, რომ მისი ამბის სესხება ისევე არაფერს ნიშნავს ვეფხისტყაოსნის თავისთავადობისათვის, როგორც, გეტემბრინის აღნიშვნით, „როლანდს“ ორიგინალობა არ ეკარგება იმიით, რომ მისი სიუჟეტი ნასესხებია. ავტორს ვეფხისტყაოსნის ქართული გამოცემების ნაკლად შიანია, რომ მათ არა აქვთ ტექსტის სათანადო ახსნა-განმარტება და ლექსიკონები. ამასთან ერთად, მისი შენიშვნით, ქართული ენა ახალი პრესის წყალობით შესაძინეველ განვითარდა და შეიცვალა, ის დაცილდა ძველს, რის გამოც ვეფხისტყაოსანი ახალი თაობისათვის გაუგებარი რჩებაო.

ავტორს გაუმართლებლად შიანია, რომ ლაისტმა თავის თარგმანში გამოსტოვა ვეფხისტყაოსნის შესავლის 31 სტროფი და რატომღაც 178 სტროფი თუ რუსთველური რითმით თარგმნა, შემდეგ კი თეთრი ლექსით გადაიღო, ამავე დროს სტროფულ სიზუსტესაც დაცილდა და რუსთაველის თავისებურებანი არ დაიცვა. ამასთან ერთად ავტორს მოჰყავს არაზუსტი თარ-

:გმანის ნიმუშები და აღნიშნავს, რომ ლაისტი ხშირად ტექსტის პერიფრაზას ახდენს, ვიდრე ზუსტ თარგმანს, ხშირად უშვებს სტროფებს, ანდა აერთიანებს რამდენიმეს და ასხვავებებს კიდევ. ავტორის დასკვნით, ლაისტის ეს თარგმანი დასაუღელ მკითხველს ზერელედ აცნობს ვეფხისტყაოსანს.

დასასრულს, ავტორი ქართველებს მოუწოდებს თვითონ თარგმნონ და განმარტონ პოემა.

409. G. Goulbenkian

La Transcaucasie et la péninsule d'Apchéron

Paris, 1891, XXXI + 336 გვ.

ავტორი კავკასიაში მოგზაურობის დროს, თბილისში, ყოფნისას დაინტერესებულა ქართული მწერლობით და ზოგადად აღნიშნავს ყურმოკრულ ცნობებს შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის შესახებ (გვ. 58).

მის შესახებ რეცენზია იხ. ანოტაცია № 419:

410. კიკია

დღიური ბიძია თომასი

გაზ. ივერია, 1891, 9 ნოემბერი, № 239, გვ. 1—2.

ავტორი მსჯელობს თანამედროვე ცხოვრების მანკიერ მოვლენებზე, ტრადიციების მოშლაზე და დიპლოგის ფორმაში აღნიშნავს, რომ ახლა ვეფხისტყაოსნის მაგივრად ხელში ბერანეე უჭირავთ. „არა და შენი ვილაც რუსთველი ემჯობინება ამასა აი!“—უებნება შეილი დედას, რაზედაც დედა უპასუხებს:

„რაებს ჰბოდაე.. მამა შენმა არ მითხოვა ცოლად. მინამ მზითვეის სიაში „ვეფხისტყაოსანი“ არ მოიხსენიეს; ის კაცი, ის ქალი ადამიანი არ იყო, თუ რუსთველი არ იცოდა. ეხლად? აღარც თქვენი იცით, აღარც სხვისა...“. „ხა, ხა, ხა! ვილა ლაპარაკობს ეხლა იმ შენის რუსთველის ენახედა“... უპასუხებს შეილი (გვ. 1).

411. ს. შეთვალეურე

ზღაპრად სალსური „ვეფხისტყაოსანი“

(თქმული გლეხის ჯოჯოლა არაბულსაგან სოფ. ჩირდილში, თიანეთის მაზრაში).

გაზ. ივერია, 1891, 5 აპრილი, № 74, გვ. 1—3; 6 აპრილი, № 75, გვ. 1—3.

თბრობა მისდევს ვეფხისტყაოსნის შოტეებს და თემებს. მონაწილეობენ ავთანდილი, ფრიდონი და სხვ. თბრობაში ცალკეულად ჩართულია ლექსები. დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელად ტარიელი. ჰყავდა ცოლად მეტად მშვენიერი, მზეთ-უნახავი, სახელად „მზე-ქალი“.

ლექსის ნიმუში: „დასაბიან მეკიდობნენი

იმბრი, ამბრი და უმბარნი,

იმათ კიდობან ააგეს

ჭებითა არა ჭებითა,

შიგ ქალი შასვეს „მზე-ქალი“

ძალითა, განა ნებითა“.

412. ეგრი [იონა შეუნარჯია]

ღალიანი ცოტნე და მისი ვინაობა (XIII საუკუნე)

გაზ. ივერია, 1891, 21 ნოემბერი, № 248, გვ. 1.

ავტორი მონღოლების წინააღმდეგ ქართველთა მიერ შეთქმულების მზადებაში ქართლის ცხოვრების ცნობის მიხედვით მოიხსენიებს შოთა კუპრს, რომელსაც ასე ეწოდა სიშაეისათვის (გვ. 1).

413. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველისა

გამოცემა ა. მიქელიძის და ა. თაყაიშვილის წიგნის მალახის, № 6.
თბილისი, 1891. VIII+247 გვ.

ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა „გამომცემლებისაგან“ (გვ. (III—IV)), რომელშიაც ავტორები არკვევენ გურიაში სტამბის დაარსებისა და წიგნების ბეჭდვის საჭიროებასა და მდგომარეობას, კერძოდ ვეფხისტყაოსნის ბეჭდვა-გავრცელების საქმეს. ეს მეთერთმეტე გამოცემა, ავტორების აზრით, „იაფად არის გამოცემული, რის გამო ყველა ღარიბ კაცს შეუძლია ამისი შეძენა“. ავტორების შენიშვნით, „ეს გამოცემა სრულიად გადმობეჭდილია პატივცემული გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემულ სურათებიან დიდი „ვეფხისტყაოსნი-დამ“, გარდა რამდენიმე კორექტურული შეცდომისა და ოთხი-ხუთი ტაეპისა, რომელიც შეგვეპარა შიგ სხვა გამოცემებიდამ“ (გვ. IV).

ტექსტს სათვალავი არა აქვს და შეიცავს 1582 სტროფს. ტექსტში შავი მთავრულით გამოყოფილია აფორიზმები. წიგნს ბოლოში დართული აქვს „სიტყვების განმარტება“ (გვ. 237—247).

414. [უაგტორი]

ნარკვევი [გაერით ვეფხისტყაოსანი]

გაზ. ივერია, 1891, 21 ივლისი, № 154, გვ. 3.

ავტორი დარეინიზმის მომხრე მეცნიერის კარნერის მიერ წამოყენებულ დებულებებზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ იყენებს ვეფხისტყაოსნის ზოგ. თქმასა და აფორიზმს.

415. [უაგტორი]

Смесь [David Iesscovi Чубиниш]

ფრან. Исторический Вестник, 1891, Август, გვ. 526—527...

დავით ჩუბინაშვილის ქართველოლოგიური მოღვაწეობის მოკლე მიმო-ხილვაში აღნიშნულია, რომ მან გამოსცა «Вепхвистқаосანი», т. е. «Богатырь, оцетанъ и царсвоу коцкы», რომელშიაც დაამტკიცა, რომ ამ პოემის ავტორს რუსთაველს არ ეკუთვნის 45 სტროფი.

416. [უაგტორი]

ახალი ამბავი

გაზ. ივერია, 1891, 2 ივნისი, № 115, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ინგლისურ საყოველყვარო: ჟურნალ «The Academy»-ში თებერვლის ერთ-ერთ ნომერში ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანის შესახებ დაბეჭდილია საკმაოდ ვრცელი რეცენზია. მისი ავტორი ყოფილა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. რ. მორფილი. ცნობაში მოკლედ მოყვანილია ციტატა მორფილის რეცენზიისა, რომელშიაც დახასიათებულია ვეფხისტყაოსანი.

417. [უაფტორო]

ახალი ამბავი [რეცენზია ვეფხისტყაოსნის გერმანულ თარგმანზე]

გაზ. ივერია, 1891, 17 დეკემბერი, № 268, გვ. 2.

ვერცელი ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანულ გაზეთ „Blätter für Litterarische Unterhaltung“-ში დაბეჭდილი ყოფილა საბიბლიოგრაფიო შენიშვნა ლაისტის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის გერმანულ თარგმანზე (Schota Rustaweli — Der Mann im Tigerfelle von Schota Rustaweli, aus dem georgischen übersetzt von Arthur Leist. Leipzig. 1889).

წერილში მოყვანილია მთლიანად შენიშვნა, სადაც მოკლედ დახასიათებულია თარგმანის პოეტური ენა და აღნიშნულია, რომ ამ თარგმანში ქართულ პოემას ახასიათებს თვისება, რომელიც „ათასერთი ღამის“ ზღაპრებს აქვს. ამ ცნობის მიხედვით რეცენზენტს მოჰყავს ციტატები ვეფხისტყაოსნიდან.

416. [უაფტორო]

ახალი ამბავი [სწავლახვა ცნობები ვეფხისტყაოსნის შესახებ]

გაზ. ივერია, 1891, 16 აპრილი, № 85, გვ. 1—2;

26 აპრილი, № 87, გვ. 1;

25 მაისი, № 109, გვ. 1;

17 დეკემბერი, № 268, გვ. 1.

რედაქციის ცნობა ოზურგეთში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის მიღების შესახებ. წიგნი დაბეჭდილია მიქელაიშვილისა და თავართქილაძის სტამბაში, შეიცავს 250 გვერდს (№ 85).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ამ დღეებში ბ-ნ გ. ქართველიშვილის მიერ ხელმეორედ დაიბეჭდა რუსული წიგნი «Бирцова-Козина Русская в расказе». ცნობაში მოკლედ აღნიშნულია წიგნის მიზანი, შედგენილობა და მისი გამოწერა-გაერთელების პირობები (№ 87).

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავისათვის ისაია ფურცელაძის მიერ შეწირულ წიგნთა შორის აღნიშნულია „სამი რვეული ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტებისა“ (№ 109).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის ნიკოლოზ ზაქარიაძის ძე მაქაყარიანს შეუწირავს ვახტანგ VI-ის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი (№ 268).

419. ვაჟა-ფშაველა

ფიქრები [ვეფხისტყაოსნის აფორიზმები]

გაზ. ივერია, 1891, 30 მაისი, № 113, გვ. 1—2

ავტორს მწერლის დანიშნულებაზე მსჯელობისას ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს ცალკეული აფორიზმები.

420. პ. ცხვილოელი

სიზმარი (ფელეტონი)

გაზ. ივერია, 1891, 29 სექტემბერი, № 207, გვ. 1—3.

ავტორი იხსენებს ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნისათვის დახატული სურათების მიხედვით ცოცხალი სურათების დადგმას ქართულ სცენაზე და ხუმ-

ოზის ტონით მეთორმეტე საუკუნის მოღვაწეებსა და ვეფხისტყაოსნის გმირებს თავისთავთან აბაასებს საქართველოს ისტორიის, მწერლობისა და თანა-
დროვე ცხოვრების შესახებ. მაგ., დიאלოგი თამარსა და რუსთაველს შორის:

— შოთავ, შე მასმის, ვითარმედ მიმოვიხილავს სადმე ტფილისი, ვითარ განეგების მუნე-
ბურ?—უბრძანა თამარმა.

— დიად, ბატონო! ჩემს „ვეფხისტყაოსანს“ შემოხვევიან ახალნი ნანუჩანნი და ძველებდ-
ჯარესად ბღალვიან; მერე საზე ჩემი დაუხატიათ და, გარყვნილ უწინარესთავან—უაღრესად-
აუტყუნიათ...“ (გვ. 3).

„ნანუჩანნი“, როგორც ავტორი სქოლიოში შენიშნავს, იგულისხმება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაზღვენი კომისია, რომელმაც 1888 წლის გამოცემა განახორციელა.

421. ზ. კვიციანიძე

წერილები რედაქციის მიმართ

გახ. ივერია, 1891, 21 ივნისი, № 129, გვ. 3.

ავტორი დავით ჩუბინაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იხსენებს იმ შემთხვევას, რომ 1830 წლებში პლატონ იოსელიანს მოუპოვებია ძველი ხელნაწერი ლექსად „სავანე გმირთა“, რომელიც ნეჩვიდმეტე საუკუნეში დაუწერია ვილაც ქართველ ბერს. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის გარდა „ეს არც ერთს ქართულს ძველს თხზულებას არ ჩამოუვარდება“. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ დავით ჩუბინაშვილის წიგნთსაცავში შეიძლება აღმოჩნდეს „ძველად შედგენილი შოთა რუსთაველის ცხოვრება, რომელიც ჯორჯაძისანთ კახეთის ოჯახიდან პ. იოსელიანს წამოუღია, რომ დაეაბეჭდვინებო, მაგრამ ვერ დაუბეჭდია და ბოლოს ესეც გაყიდულს წიგნებს გაჰყოლია“.

422. ა. ხახანაშვილი

ზაბოლოგრაფიო უნივერსიტეტი. სალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიშნულის მიერ წიგნი I, გამოცემა „ქართველთა აშხანაგობისა“, ტფილისი, 1891.

გახ. ივერია, 1891, 5 თებერვალი, № 27, გვ. 2.

ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის საჭიროებაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ ბევრი პრობლემა ქართულ ლიტერატურაში გასარკვევია. მათ შორის საკითხი თუ „რა გვარი კავშირი არსებობს ტარიელის პოემას და ვეფხისტყაოსანს შორის“. ავტორი ტარიელის ზღაპრის ზოგიერთ ვარიანტს ერთმანეთს ადარებს და ასკვნის, რომ შედარების შედეგად ყველაში საერთო რაც დარჩება, ჩვენ ის შეგვეძლება მივიღოთ ტარიელის ზღაპრის საერთო დასაწყისის სათავედ.

423. მოსე ჯანაშვილი

ხუნჯე შეათე საუკუნისა

წერილი მოსე ჯანაშვილისა იოანე ტბვერელი ეპისკოპოსის სურათითა და შეათე საუკუნის საგლობო ნიშნების ნიმუშებით

ტფილისი, 1891, 5+53 გვ.

გვ. 51—52-ზე მოყვანილია იოანე ტბვერელის საგლობლის დასაწყისი: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი მალაწი ძლითურთ, და შეჰქმნა ქუეყანა ყოვლითურთ მკვდრითურთ“

რუსთაველის სტროფის პირადად, რომელიც, ავტორის შენიშვნით, „აზრითა და წინადადების მოკაზმულობით თითქოდეს „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისს მიემსგავსება“:

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა ზეცით მონახერითა“.

424. ფიბერტი

ბიბლიოგრაფია

(ისტორიული მიმოხილვა) დ. ბაქრაძისა, ქართული ქაღები, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან

გახ. ივვრია, 1891, 20 ოქტომბერი. № 223, გვ. 2—3.

ავტორს რეცენზიაში მოჰყავს ამონაწერი დ. ბაქრაძის წიგნიდან, რომელშიაც ლაპარაკია ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და ქართული ქაღების განათლებულობაზე.

1892

425. Ed. Drouin

Georgie

La grande Encyclopedie, Paris, 1892, ტ. XVIII, გვ. 820.

თამარ მეფის ხანის დახასიათებისას ავტორი გაცერით შენიშნავს, რომ მისი თანამედროვეა შოთა რუსთაველი, რომლის პოემა ვეფხისტყაოსანში შექმნილია თამარ მეფე. ეს პოემა თარგმნილია ფრანგულად.

426. კ. თავართქილაძე

წინასიტყვაობისებური

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ავტორის სურათით, გამოცემა კ. თავართქილაძის, ოზურგეთი, 1892, გვ. III—IX.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს მის მნიშვნელობასა და პოპულარობას საქართველოში. „ხშირად, ძალიან ხშირად წერაკითხვის უცოდინარნიც ყიდულობენ „ვეფხისტყაოსანს“ და ოჯახში ინახავენ, როგორც ჭკუის და გონების სალაროს“. ამასთან ავტორს მოჰყავს რუსთაველის აფორიზმები, რომელნიც, მისი აზრით, შეფეგრებიან ადამიანის სხვადასხვა მდგომარეობასა და განწყობილებას.

ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს, საქართველოს მდგომარეობას და ახასიათებს პოეტის პიროვნებას გადმოცემათა მიხედვით. ეხება „რუსთაველობის“ ხელობის საკითხს და არჩევს მის ორ მნიშვნელობას—თანამდებობას და შმაგობას. ავტორი იზიარებს მეორე გაგებას, რომ ხელობა ნიშნავს სიშმაგეს.

ავტორის, აზრით, ვეფხისტყაოსანი ასლი, ფოტოგრაფიული სურათით მაშინდელი ქართველთა ცხოვრების წეს-წყობილებისა, ზნე-ხასიათისა და ადათ-ჩვეულებისა. ვისაც სურს ჩვენი წარსულის გაგება, მან ვეფხისტყაოსანი უნდა წაიკითხოს. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს აფორიზმები, რომლებშიც ქართული ხასიათი და იდეალებია გამოთქმული.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობასა და გავრცელებას, საქართველოში მისი პოპულარობის ფაქტად კი იმას ასახელებს, რომ ამ 1892 წელს ვეფხისტყაოსანი ოზურგეთში ორჯერ გამო-

ყა; ზიუხედავად ამისა, «ქართველობას აქნამდე არ გამოგვიჩნდა ისეთი კაცი, რომელსაც დაეწერა სრული ბიოგრაფია რუსთველისა, ან კრიტიკული განხილვა იმის ნაწერისა».

წერილის დასასრულს დაბეჭდილია ვ. ორბელიანის, აკაკი წერეთლის, და დ. მაჩხაენლის ლექსები, მიძღვნილი რუსთაველისადმი.

427. გ. ოსტელიანი

ვეფხისტყაოსანი, ნაამბობი შორეული უმაწვლელებისათვის

ურბ. „ჯეჯილი“, 1892 წ. № 1, გვ. 33—43; № 2, გვ. 66—77; № 3, გვ. 54—65; № 4, გვ. 51—62; № 5, გვ. 35—47; № 6, გვ. 45—52.

ტექსტი შეიტავს «ვეფხისტყაოსნის» პროზაულ გარდათქმას, რომელშიც ავტორი ზოგჯერ ურთავს პოემის ცალკეულ სტრიქონებს. დასაწყისი:

„არაბეთში ერთი მეფე ცხოვრებდა, სახელად როსტევანი. ეს მეფე ჰკვიანი, მდიდარი, პურადი, მოწყალე და სამართლიანი კაცი იყო. დიდი საბრძანებლოსა და ლაშქრის პატრონი ბრძანებოდა. ღმერთს მისთვის ეუთო არ მიეცა. ერთად-ერთი ქალი ჰყავდა—თინათინ. იგი ისეთი ლამაზი და შენეირი იყო, არაქად არ გაჯობილა,—სწორედ მებთ-უნახავს ჰგავდა.

როსტევანი რომ მოხუცდა, ერხელ იხმო თავისი ვეზირები; დაბრძანდა ტახტზე, ისინიც გვერდით მოიხუცა, ტკბილათ ემოსაიფა, და ბოლოს გამოუცხადა: ზომ ზედათ, მოვხუცდი და სიკედილი მომიხალოვდაო. მოდით, ჩემი მშვენიერი ასული დავესათო მეფედ“ (გვ. 33).

თხრობა დაყოფილია ამბების მიხედვით შემდეგნაირად:

ამბუი როსტევან მეფისა; ვეფხისტყაოსნის ნახუ; ავთანდილის წასულა და ტარიელის ძებნა (№ 1). ამბუი ტარიელისა; ომი ტარიელისა და ბატაველებთან გამარჯვება; ნესტან-დარეჯანის დაქარჯვის ამბუი (№ 2). ტარიელისა და ფრიდონ მეფის შვირის ამბუი: შველა ტარიელისა და გამარჯვება; ნესტან-დარეჯანის ამბის ცნობა; ავთანდილის არაბეთში დაბრუნების ამბუი; ვეზირის შუამავლობა და მეფის უარის თქმა, ავთანდილის გაპარეა; ავთანდილის წასულა და ტარიელის შვირა (№ 3). ტარიელისა და ავთანდილის ქებაში მისულა და ასმათის ნახუ; ავთანდილის წასულა ნესტან-დარეჯანის საძებრად; ამბუი ავთანდილისა და ფატმანის გაცნობისა და დამეგობრებისა; ნესტან-დარეჯანის ამბის მშობა ფატმანისაგან (№ 4). ქაჯთაგან ნესტან-დარეჯანის შეპყრობის ამბუი; წასულა ავთანდილისა და ტარიელის შვირა; ტარიელისა და ავთანდილის წასულა ფრიდონისა; ფრიდონის, ავთანდილის და ტარიელის თათბირი (ჩრევა) და გამარჯვება (№ 5). ზღვის მეფისა და ფატმანის ნახუ გჯახე და ფრიდონისა მისულა; ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება ფრიდონისა; ავთანდილის და თინათინის დაქორწინება (№ 6).

დასასრული:

„ამას შემდეგ ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი სიკედილამდის ისე იყვნენ, როგორც საყვარელი ძებნი. მეფობდნენ და განაგებდნენ სახელმწიფოს, როგორც ბრძენნი. როცა მტერი რომელსაღე მათ სახელმწიფოს მოადებოდა, მაშინვე ერთმანერის დაებმარებოდნენ და ერთმანერთის შემწეობით მტერს იგერებდნენ. მათი ერთობა და კავშირი სამაგალითოდ დარჩა ქვეყნისათვის“ (№ 6, გვ. 52).

428. მლ. პ. კარბელაშვილი

„სოფელ მეტეხის ოთხთაის“ აღწერის შესავსებლად

გახ. ივერია, 1892, 24 მაისი, № 106, გვ. 3.

ავტორი, მისი განცხადებით, აესებს მ. ჯანაშვილის მიერ ამა წლის „ივერიაში“ (№ 76—80) დაბეჭდილ „სოფელ მეტეხის ოთხთაის“ აღწერილობას. სხუა საკითხთა შორის ავტორი შენიშნავს, რომ აშოთან ბატონიშვილი არ არის ის აშოთანი, რომელიც წყაროებით 1140 წელსაა ცნობილი, და რუსთაველი ჰგონიათ. წარწერაში მოხსენიებული აშოთანი არის „ერთერთი წვერი-მურანი ბატონის ოჯახისა X\lI საუკუნეში“; თან საყურადღებო ისიცაა, რო

სახელი აშოთანის უკანასკნელ სამ საუკუნეში მართლაც ტრიალებს მუხრან-ბატონის ოჯახის წევრთა შორის“. ჯანაშვილის ანაქრონისტულ შეცდომას აეტორი ხსნის ქორონიკონის მცდარი გამოანგარიშებით.

439. ეგრი [იონა მეუნარგია]

რა წყარო ჰქონია ხელთ რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ უწერია

გაზ. ივერია, 1892, 27 მარტი, № 66, გვ. 2—3.

აეტორი ერწმუნება რუსთაველის შენიშვნას „სპარსული ამბის“ შესახებ და მიიჩნია, რომ მართლაც შესაძლო იყო პოეტს საფუძვლად პოემის შექმნისათვის ერთ-ერთი სპარსული ხასიათის ზღაპარი აეღო. აეტორი ასახელებს დიდ მწერლებს, რომელნიც უხვად სარგებლობდნენ ხალხური შემოქმედებით, რაც მათ სრულიადაც არ ამდაბლებს. ის შენიშნავს: „ნურგის ჰგონია, ვითომ რუსთაველის უკედავი სახელი შეიძლებოდეს დამდაბლდეს მით, რომ აღმოჩნდეს ის „ამბავი“, რომელიც გახდა შინაარსად მისი უკედავის პოემისა“. მისი აზრით, რუსთაველს ვეფხისტყაოსნის შინაარსის ძირითად წყაროდ უნდა გამოეყენებინა „ბარამიანი“ ან „ბარამ-გულიჯანიანი“, რომელიც შინაარსით ძალიან წააგავს პოემას. აეტორს მოჰყავს შესადარებლად მოკლე შინაარსი ამ ორი თხზულებისა და აღნიშნავს მსგავსებებს. აეტორი შენიშნავს, რომ ონანა მდიენის ქობულოვის მიერ გალექსილი „ჩუბინ ბრძენისაგან ქირმანელისა“ ნათქვამი ბარამიანი სპარსულიდან არის გადმოღებული.

დასასრულს, აეტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნისა და ბარამიანის გმირთა ხასიათები და გარეგნობა, მართალია ერთმანეთს მიემსგავსება, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ზემოთ წამოყენებულ მოსაზრებას მთლიანად ვერ ასაბუთებს.

430. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

აეტორის სურათით

გამოცემა კ. თავართქილაძისა, ოზურგეთი, 1892. XIV+247. გვ.

ტექსტს წინ უძღვის „წინასიტყვაობისებური“ (იხ. ანოტაცია № 426) ტექსტს არა აქვს სტროფული სათვალავი და შეიცავს 1582 სტროფს. ტექსტში შავი მთავრულით არის გამოყოფილი 109 აფორიზმი. ბოლოს ერთვის ლექსიკონი მარტივი ახსნით (გვ. 237—247).

431. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანიდან

წიგნში: ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, თბილისი, 1892, გვ. 428—438.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ თავებს: 1. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა (გვ. 428—432) 38 სტროფს. 2. ნადირობა (გვ. 432—434) 14 სტროფს. 3. ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა (გვ. 434—438). 32 სტროფს.

დასასრული სტროფი:

„მოასხნეს კაცი, გაჭახანეს ოთხთავე ცისა კიდეთა...“

Заграничные исторические новости

თურნ. Исторический Вестник, 1892, январь, гл. 178.

მცირე რეცენზია წარმოადგენს შენიშვნებს გალუსტ გულბენქიანის. იგზნე: „La Trans-Caucasie et la péninsule d'Archéron“. ავტორი წიგნში აღნიშნულ შეცდომათა ჩამოთვლისას გაკერით შენიშნავს, რომ «Русская и писала «Барсову кожу», а не «Львицу»».

133. [უაგტორო]

ღ. ჩუბინაშვილის ხელნაწერ ბიბლიოთეკის გამო
(წერილი პეტერბურგიდამ)

გაზ. ივერია, 1892, 5 იანვარი, № 5, გვ. 3.

ღ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაში დასახელებულია თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერი ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“.

იგივე ცნობა დაბეჭდილია თურნ. „მწყემსში“, 1892, № 2, გვ. 11—12.

434. [უაგტორო]

ახალი ამბავი

[სხვადასხვა ცნობები ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. ივერია, 1892, 24 ივნისი, № 131, გვ. 2; 14 ივლისი, № 147, გვ. 2;
17 სექტემბერი, № 196, გვ. 1.

ერცელი ინფორმაციული ცნობა რედაქციისა იმის შესახებ, რომ ოზურგეთიდან მიუღიათ ქ. თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი ლოტო, რომელშიაც გამოსაცნობ მასალად გამოყენებულია ვეფხისტყაოსანის აფორიზმები. იქვე მოიპოვება ერცელი განმარტება თამაშის წესების შესახებ. დასასრულს, ავტორი დაასკენის, რომ ეს თამაში ხელს შეუწყობს ვეფხისტყაოსანის შესწავლას (№ 131).

ცნობა ოზურგეთიდან ქ. თავართქილაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანის მიღების შესახებ (№ 147).

ცნობა იმის შესახებ, რომ ოკროყანაში გარდაიცვალა ნოტარიუსი ივ. ივან. პოლტორაკი. მისი მოღვაწეობის მოკლე დახასიათებაში აღნიშნულია, რომ „განსვენებულმა კარგად იცოდა ქართული ენა და რამდენიმე ქართული თხზულება გადათარგმნა რუსულად, მათ შორის ვეფხის ტყაოსანი“ (№ 196).

435. სტ. კრელაშვილი

ჩვენი შთის ხალხი

სამბოლოგრაფიო წერილი

თხზულებანი ალექსანდრე ყაზბეგისა, სამი ტომი. ტფილისი, 1891 წ.

გაზ. ივერია, 1892, 5 მაისი, № 94, გვ. 1—3, ქვედურა, 15 სექტი.

წერილის დასასრულს ყაზბეგის თხზულებათა გმირების დახასიათებისას ავტორი იყენებს რუსთაველის აფორიზმებს, მაგ.: „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, — შემდეგი განმარტებით: „მამის მკვლელობა მკითხველი ნათლად ჰხედავს, რამდენად მართალია დიდებულის პოეტის ღრმა აზრი, გამოხატული ამ ლექსით“.

436. ა. ხახანაშვილი

დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკის გამო (წერილი მოსკოვიდამ)

გაზ. ივერია, 1892, 24, იანვარი, № 17, გვ. 3.

ავტორი აღწერს დ. ჩუბინაშვილის ბიბლიოთეკაში ნახულ თეიმურაზ ბატონიშვილის ხელნაწერ ნაშრომს „ვეფხისტყაოსანის განმარტებას“, სანიმუშოდ მოჰყავს რამდენიმე სტროფის განმარტება, განსაკუთრებით რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ ცნობებით და რუსთაველის უკანასკნელი სტროფის „ამირან დარეჯანისძე...“ ვრცელი განმარტება.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ სასურველია ამ ნაშრომის მოკლე დროში დაბეჭდვა.

437. ა. ხახანაშვილი

შოთა რუსთაველის შესახებ

გაზ. ივერია, 1892, 6 მაისი, № 95, გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს გაზ. «Кавказ»-ში ქართული ლიტერატურის საკითხების გაშუქებას, განსაკუთრებით რუსთაველის ირგვლივ შექმნილ ლიტერატურას, ეხება ევლახოვისა და დ. ჩუბინაშვილის კამათს ვეფხისტყაოსნის თარგმანის საკითხებზე, მოჰყავს შესაძარებლად პოემის თარგმანთა ნაწყვეტები და მიუთითებს შეცდომებს.

ავტორს მიაჩნია, რომ მაისუროვის „ვარციხე“, რომელშიაც ლაპარაკია თამარისა და რუსთაველის ვარციხეში ყოფნისა, იქ პოემის დაწერისა და პოეტის სიკვდილის შესახებ, თვით მაისუროვის ფანტაზიის ნაყოფია.

438. მ. ჯანაშვილი

სოფელ მეტეხის ოთხთავი (1049 წლისა)

გაზ. ივერია, 1892, 14 აპრილი, № 76, გვ. 2—3;

17 აპრილი, № 79, გვ. 2—3;

18 აპრილი, № 80, გვ. 2—3.

ავტორი მიმოიხილავს სოფელ მეტეხის ოთხთავს, რომელიც ეტრატზეა ნაწერი (№ 76), განსაკუთრებით ჩერდება ხელნაწერში არსებული სურათებისა და მინაწერების აღწერაზე. მისი შენიშვნით, ლუსკუმის ქვედა ფიცარზე დახატულ ქრისტეს სურათს წვერი რუსთაველისებური აქვს. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ სახარების ეს ლუსკუმა გაუქმებინებია ვინმე აშოთან ბატონიშვილს, რომელსაც 1140 წლით აღნიშნული წარწერაც ამოუქრევიანებია:

„ლმერთო დაიკვე თრსავე შინა ცხორებასა ბატონიშვილი აშოთან, მეტებთა ლეთის შობელთა მეოხ ექმენ დღესა მას დიდსა [განკითხვისასა აშოთანს ამინ კორონიკონსა ტა“ (№ 79).

აშოთან ბატონიშვილის წარწერაში პიროვნების შესახებ მოხსენიებული საკითხების გარკვევისას ავტორი მიმოიხილავს შოთას და აშოთანის სახელით ცნობილ სხვადასხვა პიროვნებებს დაეით აღმაშენებლიდან თამარის მეფობამდე. მისი აზრით, აშოთანი უნდა იყოს რომელიმე დიდებულის შვილი. შესაძლოა ამ წარწერის აშოთანი ვეფხისტყაოსნის ავტორი (აშოთანი—შოთა) იყოს—სახელდობრ შოთა ართავაჩოს ძის ძე, ფრიად განათლებული და სა-

ელოვანი თანამოღვაწე თამარისა“. ავტორი ამასთან დაკავშირებით, მოკლედ ხედავს ართავაჩოს ძის ბიოგრაფიის საკითხებს და აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ავტორის უფრო დაწერილებით გამოკვლევის საჭიროებას.

1893

449. ვალერიან გუნია

შოთა რუსთველი

წიგნი: საქართველოს კალენდარი ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული, თბილისი, 1893, გვ. 454.

ტექსტი წარმოადგენს ამავე კალენდრის 435 გვერდზე მოთავსებულ შოთა რუსთველის პორტრეტის განმარტებას. ტექსტი მომყავს სრულად:

„შოთა - რუსთველი. ერთი უდიდესი და უძლიერესი კაცი ქართულ ეროვნებაში ჰყოლია და ნიჭით უკველია არის შოთა რუსთველი. ამისთანა არავინ ყოფილა და არც იქნება. როგორც ღმერთი ერთია, ისე შოთა რუსთველიც ერთია, უცილობელია, რომ მაგისთანა პორტრეტის აღტაცების საგანიც სხვა ნაირი, არა ჩვეულებრივი და ღვთისნიერი რამ უნდა ყოფილიყო და მართლაც განა შესაძლებელი იყო შოთასათვის სხვა ვინმე აერჩია თავის ნიჭის ასაღორძინებლათ თუ არ ღვთაებრივ წმიდა თამარი!“

„თამარს ვაქებდეთ შეუესა, სისხლისა ცრემლ-დათხეული
ესთქვენიო ქებანი ვისინიშე, არავად გამორჩეული
მელნათ ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული,
ვინცა ისწინოს დაესვას ლახვარი გულსა ზეული.“

440. С. 3—ман

„Ишта Рустава.ш“
(Грушинская легенда)

ჟურნ. «По морю и суше», Одесса, 1893, 12 декабря, № 35, გვ. 3.

ლეგენდა, რომელიც ავტორს მხატვრულად დაუმუშავებია, შოთა რუსთველის მიერ თამარ მეფისთვის ვეფხისტყაოსნის წაკითხვით იწყება. კითხვის დამთავრების შემდეგ თანარ მეფე შოთას პატივსაცემად მართავეს ვახუშტის, მეორე დღეს ასპარეზობას, სადაც ყველა შეჯიბრებაში შოთა პირველი გამოდის. ასპარეზობის შემდეგ შოთა თამარს დაანახებებს ზანგს, რომელშიც მისმა ცოლმა გასცვალა. ლეგენდა თავდება შოთას გადაკარგვით და ზანგისათვის თავის მოჭრით, რომელსაც მიოღალატე ცოლის ძმა ასრულებს.

441. გ. იოსელიანი

კრიტიკა და ზოხლოგრაფია

ჟურნ. კვალი, 1893, მარტის 14, № 11, გვ. 18—20.

წერილი წარმოადგენს პასუხს ლალა გორელისადმი, რომელსაც გ. იოსელიანის მიერ ბავშვებისათვის გადაკეთებული ვეფხისტყაოსნის საჭიროება უარუყვია (ივერია, 1893, № 44). ავტორი ეკამათება თავის რეცენზენტს და იმ აზრს ავითარებს, რომ ქართველებს ვეფხისტყაოსანი კარგად არ ესმით, ხშირად უმრავალ სწავლა-დამთავრებულ ქართველსაც კი არ ესმის რუსთაველის ენა, რისთვისაც იმონებებს აკაკის შენიშვნას ვეფხისტყაოსნის ტექს-

ტის სწორების შესახებ და უმატებს: „ჩვენ თვითონ მრავალჯერ გაგვიგონია საჩივარი, არა თუ უსწავლელ ქართველებსაგან, არამედ ნასწავლთაგანაც, რომ ვეფხისტყაოსანს კვითხულობთ და არ გვესმისო“.

ავტორი გაკვირით აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში დახატულია ქართველების ცხოვრება“.

443. ივ. კერესელიძე

სალარას-შენი

გაზ. ივერია, 1892. 13 ნოემბერი, № 241, გვ. 1.

ტექსტი წარმოადგენს ლექსს სალარას სახელობის ეკლესიისადმი, რომლის ერთ სტროფს

„აჰა, თამარის სატრფო აღგილი,
ახლოს გამშვენებს რა ბუთანია,
და რუსთაველის წმიდა ტაძარი,
მშვენიერს აყრილს ტყეს აფარია...“

ავტორი უკეთებს შენიშვნას:

„იქვე ახლოს სამ ვერსზედ, არის აგებული დიდი ნათლის ქვით ეკლესია, რომელსაცა კარების ბეჭედდ აწერია: „ეკლესია ესე აღვაშენე მე რუსთაველმა“.

444. თ. შაჩაბელი

წერილები რედაქციის მიმართ

ჟურნ. მწყემსი, 1893, 15 სექტემბერს, № 17, გვ. 12.

ავტორი მიმართავს რედაქციას შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეწირული თანხის შესახებ და აცხადებს, რომ ასეთი რამ არ შეეკრებოდა და მისთვის „დროების“ რედაქციის გადაბარების დროს სერგეი მესხს არავითარი თანხა არ გადაუცია.

444. თ. შაჩაბელი

გამოკრეფილი ამბები [რუსთაველის ძეგლისათვის]

ჟურნ. ქეალი, 26 სექტემბერი, № 40, გვ. 11—12.

„მწყემსი“-ს 1893 წლის № 17-ში მოთავსებული შენიშვნის საპასუხოდ შოთა რუსთაველის ძეგლისათვის ფულის შეგროვების თაობაზე ავტორი აღნიშნავს, რომ „დროებაში“ არავითარი ხელმოწერა არ ჩატარებულა შოთა რუსთაველისათვის ძეგლის ასაგები თანხის შესაგროვებლად, ამიტომ ამ ფულს ვერც შეინახავდა.

445. იოსებ შელიქოშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. ივერია, 1893, 29 აგვისტო, № 185, გვ. 4; 1 ოქტომბერი, № 210, გვ. 3.

ავტორი ეკამათება „მწყემსის“ რედაქციას და ილ. კყონიას შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეგროვებული ფულის შესახებ „კვალში“, „ივერიის“ 29 აგვისტოს, და „მწყემსის“ № 17-ში დაბეჭდილ წერილებთან დაკავშირებით. კამათის საგანია კითხვა—შეგროვებული ფული სერგეი მესხმა „დროებას“-თან ერთად გადასცა თუ არა ივ. შაჩაბელს.

446. შვეველე [დავით შიქელაძე]

საურადლეხო შეწირულობა. დაგვიანებული ძეგლი

გაზ. ივერია, 1893, 4 ივლისი, № 140, გვ. 1; 4 აგვისტო, № 165, გვ. 1.

წერილები წარმოადგენს გაზეთის მეთაურს და ეხება შოთა რუსთაველისათვის ძეგლის ასაგები ფონდის შექმნას და შეწირულებათა შეგროვებას.

პირველ წერილში ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის პოპულარობას, მის მნიშვნელობას ქართველობისათვის და მისთვის ძეგლის აგების დროულობას. ამასთან დაკავშირებით ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ თავისი თხზულებების გამოცემის ნაღდი შემოსავალი „შეწიროს რუსთაველის ძეგლს“ (№ 140).

ავტორი აღფრთოვანებას გამოთქვამს, რომ გარეშე ტომის კაცის კოცებუს მიერ შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის შეწირულების განზოგზაენის გამო და ამასთან დაკავშირებით მსჯელობს ძეგლის საპირობებისა და მისდამი ქართველი ხალხის დამოკიდებულების შესახებ. მისი შენიშვნით:

„ეს პოემა ჰჳარავს და გარემოიკავს ყველაფერს, რაც დაწერილია აქამდე; ეს პოემა სძენს ჰჳეჳანას სახელსა და დიდებას ერთა წინაშე; ეს პოემა ამოგბს და ამშვენებს ქართველის ოჯახს, ქართველის ღბინს, ქართველის სულსა და გულს“ (№ 165).

447. [უაგტორო]

გვეუთის საშეფო სასახლე ციხე ღარბაზი

გაზ. კეალი, 1893, იანვრის 31, № 5, გვ. 11—13.

გვეუთის ნანგრეეების აღწერასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ის ადგილები („შეფეჳმან სახლი ააგო, შიგან სამყოფი ქალისა“, „შეფე გარდახდა მუნ, სადა კოშკია ბაზარგებითა...“), რომლებშიც ფარსადან მეფის სასახლის აღწერილობაა, რუსთაველს დაწერილი უნდა ჰქონდეს ამ ციხე-ღარბაზის შთაბეჭდილებით (ჩვენს დიდებულ პოეტს ეს ციხე-ღარბაზი სდგომია თეალ-წინ თავისი ჟუკდავი პოემის წერის დროს).

448. [უაგტორო]

გამოკრეფილი აშბავი [რუსთაველის ძეგლისათვის]

ურზ. კეალი, 1893, აგვისტოს 8, № 33, გვ. 6.

გაკვრით აღნიშნულია, რომ 1881 წელს „დროების“ თაოსნობით ჩატარებული იყო ხელისმყოფერა შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად ფულის შეგროვებისათვის. ავტორის შენიშვნით, ის ორასიოდე თუმანი, რაც შეიკრიბა ამ მიზნით, თუ ბ. მაჩაბლის ხელში არ გადავიდა, ყოველიეე იმედგადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

წერილმა დიდი პოლემიკა გამოიწვია ჩვენს პრესაში.

449. [უაგტორო]

ახალი ამბავი

[სხეადასხეა ცნობები ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. ივერია, 1893, 22 იანვარი, № 15, გვ. 3; 23 იანვარი, № 16, გვ. 3;

10 თებერვალი, № 28, გვ. 2.

ცნობა შეიკავს გაზ. „H. O“-დან გადმობეჭდილ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ მოკლე ხანში შეუდგებიან სომხურ ენაზე ვეფხისტყაოსნის ლექსად თარგმნას (№ 15).

ცნობა გორში ვეფხისტყაოსნის მოტივებზე ცოცხალი სურათების დადგმის შესახებ (№ 16).

ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციამ მიიღო გ. იოსელიანის ვეფხისტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის (№ 28).

450. [უაეტორო]

ასალი ამავეი. დაბა, სოფელი, ქალაქები. შემოწიროლობა
[შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგები ფონდისათვის]

გაზ. ი ე რ ი ა, 1893, 24 ივნისი, № 132, გვ. 1; 1 ივლისი, № 137, გვ. 1;
18 ივლისი, № 152, გვ. 2; 27 ივლისი, № 158, გვ. 2;
28 ივლისი, № 159, გვ. 3; 1 აგვისტო, № 164, გვ. 2;
№ 170, 175, 183, 185; სექტემბერი № 189, 191;
ოქტომბერი № 213, 215, 220; ნოემბერი № 237, 239,
254; დეკემბერი № 264, 265, 267, 273, 281.

ცნობები შეიცავს სხვადასხვა პირთაგან გამოგზავნილ მიმართებებს რედაქციისადმი შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგები ფონდისათვის შემწირველთა გვარებისა და შეწირული თანხის აღნიშვნით შემდეგი ქალაქებისა და სოფლების ქართველთაგან: თბილისის, ქუთაისის, ერევნის, თიანეთის, აწყურის, შეშელის, ახალციხის, ს. ოზანის, ხაშურის, ვანათის, განჯის, ს. ჯოჯორეთის, თელავის, სამურზაყანოს, ნახიჩევანის, სტამბოლის, სიღნაღის, ბატალპაშინისკის, ყარსის, ყუბის.

451. ქართული ენის მასწავლებელი

მცირე პედაგოგიური შენიშვნა

ჟურნ. მწყემსი, 1893, 15 აპრილი, № 7, გვ. 7—9.

აეტორი აღნიშნავს, რომ „ისეთ რთულ ნაწარმოებს, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“, უსწავლელი კაცი და „მოზრდილი ყმა“ პირდაპირ ვერ შეისწავლის“. აეტორი იწონებს გ. იოსელიანის მიერ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის გადმოღებას პროზაულად გასაგები ენით და ამღვეს ზოგიერთ შენიშვნას.

452. [შოთას ხელმოწერა]

[1190 წ. ახლო ხანებში დაწერილ მანდატურ უხუცესის
ქიაბერის სახელით ცნობილ ხაგელში]

პუბლიკაცია: თ. ჟორდანია, ქრონიკები, ტფილისი, 1893, I, გვ. 278.

ტექსტი წარმოადგენს შეწირულობის სიგელის დადასტურებას:

„ქ. მე შოთა ჩემს ვინჯის ქუნებასაც შივა ამას ვამტკიცებ ვითა ამას შიგან სწერია.“

თ. ჟორდანია ამ ტექსტს ურთავს ასეთ შენიშვნას: „ეს შოთა უნდა იყოს რუსთველი: სხვა შოთა ისტორიულთ პირთ შორის არ სჩანს თამარის დროს. შოთა ართავაზოსძე 1177 წელს დაისაჯა (ქ-ცხ. 273) როგორც „შინა გამცემი“ გიორგი მეფისა. „ხოლო შოთა კუპრი“ რუსუდანის მეფობაში სჩანს ქ-ცხ. 362. ალბათ ქიაბერის შეწირულობაში შეცდომით ჩაჰყოლია შოთას მამული ეინენისა და შოთასაც დაუთვნია ეკლესიისათვის“.

შოთას ამ აეტოგრაფის დეტალური გარჩევა და ისტორიული კომენტირება იხ. პ. ინგოროყვას გამოკვლევაში: რუსთველიანა, თბილისი, 1926, გვ. 185—186 (იხ. ანოტაცია).

Г р у ჟ ი ა

Энциклопедический словарь, издатель: Ф. А. Брокгауз, И. А. Эфрон, кн. 18, том IX-а, С. Петербург, 1893, гл. 795—801.

კლასიკური პერიოდის ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაში ავტორი გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ამ ხანის ყველაზე უკეთეს თხზულებად ფორმისა და შინაარსის მხრივ ითვლება რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანი, დაწერილი 16 მარცვლოვანი ლექსით, რომელიც თარგმნილია მთლიანად თუნაწილობრივ რუსულ, პოლონურ, სომხურ, ფრანგულ და გერმანულ ენაზე (გვ. 799).

454. აკაკი [წერეთელი]

ოუტრის გამო [ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე]

გაზ. კვალი, 1893, იანვრის 17, № 3, გვ. 1—4.

ავტორი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმოხილვაში გაკვირვებით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და დასცინის კენჭის ყრის წესით ტექსტის დადგენაზე მუშაობისას საკაცბათო საკითხების გადაწყვეტას:

„როდესაც ვეფხის-ტყაოსანს ვარჩევდით და ტექსტებს ვასწორებდით, ხმის უმეტესობით ვსწავებდით საქმეს და ხშირად მისთანებიც იძლეოდნენ ხმას, რომელთაც ქართული არ იცოან. მართალია ძალიან აურ-დაურაიეთ საქმე: „შადი“ — „მარდად“ აღვიარეთ, მაგრამ ჩვენი ხომ გაეიტანეთ და მეტი რა გვიწოდოდა“.

455. აკაკი [წერეთელი]**გასხენება**

ურნ. კვალი, 1893, აპრილის 4, № 14, გვ. 1—4.

ავტორი გაკვირვებით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე, აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქართულ ცხოვრებაში და მისდამი მკითხველი საზოგადოების დამოკიდებულებას. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის დედააზრი ბევრს დღესაც არ ესმის.

ამასთან ერთად მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნისადმი სამღვდლოების დამოკიდებულებას.

456. ილია ჭყონია

მცირე შენიშვნა [რუსთაველის ძეგლისათვის]

ურნ. მ წ ვ მ ს ი, 1893, 15 სექტემბერი, № 17, გვ. 12—13;

15 ოქტომბერი, № 19, გვ. 7—8.

შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეგროვებული ფულის შესახებ ატეხილი პოლემიკის გამო ავტორი მიმართავს რედაქციას და განმარტავს, რომ შეგროვებული იყო ექვსასიოდე მანეთი, რომელიც ბროსესათვის პრემიის მიცემას მოხმარდა (№ 17).

შენიშვნა წარმოადგენს ვრცელ პასუხს „ივერიის“ № 210-ში მოთავსებული ი. მელიქიშვილის სტატიაზე გაზ. „დროების“ მიერ რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეგროვებული ფულის შესახებ. ავტორს მოჰყავს ვრცელი ანგარიში (№ 19).

457. ა. ხ. [ალექსანდრე ხახანაშვილი]

ღაფიწუბული ძეგლი

გაზ. ივერია, 1893, 25 ივნისი, № 133, გვ. 3.

ავტორი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ თბილისში არსებულ ეპორნოკოვის ძეგლს ახლა მიემატა მშენებრივი ძეგლი, რომელიც პუშკინს აუგებს, რაც მოწმობს ნიქისა და ლეაწლის დაფასებას, რასაც დასძენს: საქართველოში ვეფხისტყაოსნის დამწერს შოთა რუსთაველსაც ეკუთვნის ძეგლი. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მის მნიშვნელობას ხალხისათვის და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საქართველოში აღფრთოვანებით გამოეხმარნენ რუსთაველისათვის ძეგლის აგების ფონდის შექმნის საქმეს შემოწირულობათა სახით.

456. ა. ხ.—ი [ალექსანდრე ხახანაშვილი]

უენიშენები ძეგლის ქართული შესახებ

გაზ. ივერია, 1893, 19 დეკემბერი, № 275, გვ. 2—3.

იმის ნათელსაყოფად, რომ ქართული ენა ვითარდება და დროთა განმავლობაში ლექსიკურად იცვლება, ავტორი სხვათა შორის ასახელებს ვეფხისტყაოსანს, რომელშიაც ამჟამად ჩვენთვის მრავალი გაუგებარი სიტყვა მოიპოვება, რაც თავის დროს ჩვეულებრივად გასაგები იყო.

459. А. Хаханов

А. Казбек

წერილი: Из истории современной грузинской литературы
(Посвящается И. Ф. Тхоржевскому и В. Л. Величко)

ურბ. Русская Мысль, 1893, № 12, გვ. 19—32.

ავტორი შესავალში ზოგადად მიმოიხილავს ქართულ ლიტერატურას და გაკვრით ეხება შოთა რუსთაველს, რომლის სახელს ყოველი ქართველი მოწინააღმდეგეობით წარმოსთქვამს. მისი პოემა ვეფხისტყაოსანი თანამედროვეა რუსული Слово о полку Игореве-სი. არ არის ქართველი, რომელმაც არ იცოდეს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე აფორიზმი და ლექსი მაინც. მას ქართველობა სახარებასავით სწავლობს. ის ამთავრებს ქართული ლიტერატურის ოქროს საუკუნეს.

460. А. Хаханов

*Грузинская повесть об Александре Македонском
и сербская Александрия*

ურბ. ЖМНП, 1893, сентябрь, გვ. 241—252.

ავტორი ქართული ალექსანდრიანის თარგმნის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ არჩილ მეფის მიერ რუსულიდან პროზით თარგმნილი ალექსანდრიანის ტექსტი შემდეგ ვალექსა ვინმე პეტრემ, რომელმაც მასში შეიტანა ლექსები შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნიდან (გვ. 251).

461. ესომ [მოსე ჯანაშვილი]

ქართული ენა და ქართველები კავკასიაში

გაზ. ივერია, 1893, 25 ნოემბერი, № 255, გვ. 3.

ავტორი ქართული ენის ისტორიული განვითარებისა და მისი კავკასიის ხალხებში გავლენის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს მის აღმავლობას

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან ერთად, „როდესაც კავკასია შეერთდა კილით კიდედით თამარის ეპოქაში“, და განაგრძობს:

„ეს დიდებული შენობა საბელმწიფოსი .თამარისა და რუსთველის შემდეგ ისეთის საშინელების სისწრაფითა და ტრიალით დაგვიანა დაბლა და ისეთის ანაზღაურებით მოიშალ-მოიფუშა, რომ ჩვენ, მომდევნო საუკუნეობის ზვილთ, თამარის დრო-ჟამი მოგვეჩვენა უშველებელ კედლად, რომლის იქით ან სულ კერასა, ვხედავდით, ან და, თუ ვხედავდით რასმე, ისიც ცდომილ ვარსყვალვის ბეჭტად გვეჩვენებოდა სიბნელის წყველიადში. თითქმის დღესაც არა გვეჭრა, რომ უცდავი „ვეფხისტყაოსანი“ იყოს ლეიძლი ზვილი წინარე საუკუნეთა და თამარის „ოქროს ბანაც“ იყოს გვირგვინი იმავე საუკუნეობის ნამუშაჟარისა“.

1894

462. **ე. ა. [ილია ალხაზიშვილი]**

ქართულ მაქაღიან მესხების დაბრუნება ოსმალეთიდან
(მესხის რაჯაბას ნამშობი)

გაზ. ივერია, 1894, 1 სექტემბერი, № 185, გვ. 1—3. ქვედურა.

ავტორი სტატიას ამთავრებს შემდეგი მიმართებით:

„მაშ ვინ უნდა უპატრონოს კუბურდოს: ვარძიას, საფარის და ზარზმის მონასტრებს, სადაც ოდესმე ჩვენთა ეპისკოპოსთა და მღვდელ-მონაზონთა ლოცვა-ურთხევა გუგუნებდა და მათი სწავლა-განათლება იფინებოდა მიუღს ამ არე-მარეში! მაშ ვინ უნდა დაიცვას აქ გაფანტული ძვირფასი სასაფლაო ნაშთები იმ ჩვენ მთავართა და დიდებულთა, რომელნიც სამშობლოს და ქრისტიანობის დაცვისათვის ტანჯულან და წამებულან? მაშ ეისი მოვალეობაა ღირსეულად დაჭრადლოს ის წმიდა ადგილი და ნასაზღარი, სადაც ჩვენი სასიკაღულო, დიდებული პოეტი შოთა დაიბადა და სადაც თავისი უცდავი პოემა სწერა!

მაგრამ ვინლა, სადლა? დღეს შოთას სოფელს რუსთავეში სამი კომლი ჭურთი სცხოვრობს იმის მოწმად, რომ ოდესმე აქ, ამ დიდ ნასოფლარში ქართულის დიდებული მკაჟ მძლავრად სტმდაო“.

463. **[თეიმურაზ ბატონიშვილი]**

[შენიშვნა ვეფხისტყაოსანზე]

„Список грузинских рукописей и старо-печатных книг, хранящихся в библиотеке парвоча Теишмураза Георгиевича“ (გვ. 149—185)

წიგნი: А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, 1894, т. I, вып. III, გვ. 180.

ეს შენიშვნა მოიპოვება თეიმურაზის ნაქონი წიგნების აღწერაში 169 ნომრით:

„წიგნი ბოჟა, რომელ არს ლექსნი ვეფხვის ტყაოსანი (ესე იგი რუსულენი Барсовою КОЖУ НОСИЩИН), ქმნილი დიდისა მის პიტიკოსისა, კაცისა მის ზრძისა, შოთა რუსთველისა, საკირველის ხელოვნებით, ქართულს ხარაკტირხედ, — ისტორია და შემთხვეულება გმირისა მის საკირველისა ტარიელ ინდოთ შეუისა ძისა, და სხვათა მეფეთა და ძლიერთა გოლათთა ამბავნი და შემთხვეულებანი, სრულიად ოთხტაეობანს ლექსებად თქმულნი, რომელსაც ქართულად იმის ლექსის გვარს შერი ჰქვიან; მხოლოდ ერთი ლექსი არის ამაში სხვაგვარხედ, რომელსა ფისტიკური ეწოდება. ესე შოტტა რუსთაველი იყო მოღარეთ უხუცესი დიდისა მის ხელმწიფისა, სრულიად ივერია-საქართველოს მყარობელისა, მეფისა თამარ ბირელისა და შინისტრი მისი, დიდი შიწეული; ასე მოუთხრობენ ამისთვის, რომელ რაჟა ამ ჟამისა სიბრძნე, მეცნიერება და ხელოვნება სოფელსა შინა იყო, არც ერთისაგან უსწავლელი და ცალკეი არ იყო გონიერებით, სიტყვიერებით და სახის მშენიერებითაც თვალად თუ ტანად ყოველთა კაცთა მის ჟამისათა თითქმის აღმავტებოდაო. ამისი სტიხებე პირველი არის ქართულს ენაზე“.

464. ესომ [მ. ჯანაშვილი]

მეფე ვასტანგ VI-ის საფლავის ძეგლზედ წარწერილი ლექსი

გახ. ივერია, 1894, 6 აპრილი, № 74, გვ. 2—3.

ავტორს მოჰყავს ვახტანგის საფლავის ეპიტაფია სათანადო კომენტარით. ეპიტაფიაში ვახტანგის მრავალმხრივი მოღვაწეობიდან ვეფხისტყაოსნის განმარტებაცაა აღნიშნული.

იხ. ანოტაცია № 156, სადაც მომყავს სრული ტექსტი.

465. W. Vasiani

ინგლისის ესკანდელი ლექაქი. III. მწერალი და მასწავლებელი ქალნი

გახ. ივერია, 1894, 31 ივლისი, № 163, გვ. 1—2.

ავტორი აღწერს მარჯორი უორდროპის საგვარეულო სახლს ლონდონის ახლოს, ჩიზლემპორსტში, გულთბილად ეხება მის განათლებასა და ხასიათს და იმედს გამოთქვამს, რომ ღირსეულად დაამთავრებს ვეფხისტყაოსნის თარგმნის საქმეს.

466. W. Vasiani

ინგლისის უენახლ-ვაზეთების აზრი. Miss Wardrop-ის მიერ ნათარგმნი ქართულ საერო ზღაპრების შესახებ

გახ. ივერია, 1894, 18 სექტემბერი, № 198, გვ. 1—2.

ავტორს მოჰყავს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. მორფილის რეცენზიიდან (ეურნ. „Notes and Queries“, 1894, 11. IX) ამონაწერი მ. უორდროპის მიერ ინგლისურ ენაზე ქართულიდან თარგმნილი ზღაპრების შესახებ, სადაც ნათქვამია:

„იმედი გვაქვს და დიდი იმედიც, რომ Miss Wardrop-ი აღასრულებს დაპირებას, ამ ზღაპრების კრებულის წინასიტყვაობაში გამოთქმულს და დაბეჭდავს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს, ამ მე-XII საუკუნე. პოემისას, რომელსაც ეხლა ებრატეობთ კითხულობენ ქართველები. ამ პოემისა ვეროაში სულ არა იციან რა, თუ ანგარიში არ ჩავვაგდეთ გერმანულად შემოკლებული თარგმანი ლეიტისა“ (გვ. 2) და უმატებს:

„მკითხველმა კი არ იფიქროს, ვითომც მე, უფრო „Сербский Вестник“-ის ვიღაც ველურ მჯღაბნელსავით რაღაც ვითომდა აწინდელ ხელგუნების მოთხოვნილებათა და სულელურ შედარებათა საფუძველით, მინდოდეს შემცირობა ამ დიდებულ პოემის ღირსება-შეფენიერებისა. ის პოეტი, რომელიც ერთ ნახევარი საუკუნით ადრე სცხოვრობდა დანტეხედ, სამის საუკუნით ადრე არიოსტოზედ, რომელმაც მხოლოდ ფრანკსტიური პოემა „Rolando Furioso“ შექმნა, და თითქმის ოთხის საუკუნით ადრე ტორკვატო ტასოზედ, რასაკვირველია; ისეთივე დიდებულთა პოეტი იყო, როგორც ეს იტალიის მწერალნი არიან. ინგლისის სალიტერატურო კრიტიკა შეიძლება და ღირსეულად დაუფასებს თვით რუსთაველის შემოქმედებითი ნიჭის ძალასაც და თქვენის ერის განათლების ხარისხსაც იმ შორეულს ხანაში, რომელსაც ისტორიკოსები სახელად „შუა საუკუნეთა ვეროპის გონებრივი ცხოვრების წყვედი“ უწოდებენ. დიდალ, ეს ასეა. რუსთველი დიდებულია. მეცნიერება და მკვლევანი ღირსეულს მსჯავრს დასდებენ“.

467. M. W. [მარჯორი უორდროპი]

Preface

წიგნი: Georgian folk tales Translated by Marjory Wardrop

Published by David Nutt in the Strand, London, 1894, XII+175 გვ.

ავტორი ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლების ინგლისურად თარგმნის შესახებ მსჯელობისას გაკვირვებით აღნიშნავს, რომ ის ეცდება

ქარა თარგმნოს ვეფხისტყაოსანი, რომ მის თანამემამულეებს საშუალება
ისცეს ისიამოვნონ მისი წაკითხვით (გვ. VIII).

როგორც ცნობილია, ეს დაპირება მარჯორი უორდროპმა კეთილსინ-
ლისიერად შეასრულა. ვეფხისტყაოსნის სრული ინგლისური თარგმანი გამო-
ვიდა ლონდონში 1912 წელს, რასაც თვით მთარგმნელი ველარ მოესწრო.

468. ვ. კამბონაშვილი

ლეგენდა

(სოფ. რუსთავის—შოთა რუსთაველის სამშობლოს შესახებ)

გაზ. ივერია. 1894, 28 იანვარი, № 21, გვ. 2—3.

ავტორი აღწერს რუსთავის მდებარეობას, დასახლებას, მის საველალო-
მდგომარეობას და ეხება „რუსთავის“ ეტიმოლოგიას.

მოჰყავს ლეგენდა, რომლის მიხედვით ღვთისადმი შეცოდების გამო
მტკვარში დამარჩეული მღვდლის ორი შვილიდან ერთი ყოფილა ორივე თვალით
ბრმა, რომელსაც ოთხი შვილი ჰყოლია. ამ ოთხთაგან ერთი ყოფილა სწორედ
შოთა რუსთაველი.

469. ა. ნა-ლი [ალ. ნანეიშვილი]

სალიტერატურო შენიშვნები

ურნ. შოამბე, 1894, № 10, განვ. II, გვ. 119—146.

ავტორი ეკამათება გრენს ვეფხისტყაოსნის ცალკეული საკითხების გა-
გებაში. მისი შენიშვნით, გრენმა „თანარ მუფის დამკვირება მოინდომა და
ვეფხისტყაოსანსაც შეეხო“ (გვ. 135). მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის ავტორს
ხელში კალამი ააღებინა იმ საეროვნო მოძრაობამ, რომელიც თამარის დროს
ვითარდებოდა (გვ. 136). ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგი-
ლები საქართველოს ისტორიული ცხოვრების საანალოგიოდ. მაგ., ტარიელის
ბრძოლა ხვარაზმელ სასიძოსთან (გვ. 137).

ავტორი არ ეთანხმება გრენს, რომლის განცხადებით პროლოგი ვეფხის-
ტყაოსნის ავტორს არ ეკუთვნის. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის წინა-
სიტყვაობა თვით პოემის კლიტე-გასაღებია. ავტორი არჩევს მიჯნურობის
მოტივს პროლოგში და თვით პოემაში იმის დასამტკიცებლად, რომ რუსთა-
ველი სწორედ ამით გაემიჯნა სპარსულ მიჯნურობას (გვ. 138).

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი ჯერ კიდევ არ გვაქვს შესწავლილი.
იგი აღნიშნავს მისი საფუძვლიანი შესწავლის საჭიროებას, რაც უცხოელებსაც
დაეხმარება ჩვენი პოემის გაცნობა-თარგმნის საქმეში, შემდეგ მოკლედ მიმოიხი-
ლავს ვეფხისტყაოსნის შესწავლა-თარგმნის მდგომარეობას (გვ. 139). აბარტდინს-
კის თარგმანის განხილვისას ავტორს მოჰყავს მკდარი თარგმანის ნიმუშები. მაგ.,
„გიშერი აწამწამე“—«Камни мигри и мие», „დაგბადა“—«Израял», „ზეციერი
მნათობი“—«Созвиз земля» (გვ. 139—140) და სხვ. და შენიშნავს, რომ
აი ეს თარგმანი მოსწონებია ნარდონს, რაზედაც დაუწყებია თავისი მსჯე-
ლობა ვეფხისტყაოსნის მხატვრულობაზე რუსთაველის მიწასთან გასწორების
მიზნით. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს მაგალითები ვეფხისტყაოს-
ნის ცალკეული ადგილების დამახინჯებული თარგმანისა თვით ნარდონის შე-
სრულებით (გვ. 140—141). ავტორი ასაბუთებს ნარდონის უვიცობას და იმ

დებულების მცდარობას, თითქოს რუსთაველი ყოველ წერილმანს სპარსული პოეზიიდან სესხულობდა (გვ. 144).

დასასრულ, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის თარგმანებსა და კრიტიკოსებს—მურიეს, სუტნერს, გულაკს. ავტორს სანიშნოდ მოჰყავს გულაკის თარგმანის ეთომილებანი (გვ. 146. «Носое Оноаренне», 1889, № 2043-ის მიხედვით) და შენიშნავს გულაკის მცდარ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს ვეფხისტყაოსნის ქრისტიანობისა არაფერი ემჩნეოდეს, რაც პოემის ტექსტის ვერგაგებითაა გამოწვეული.

470. ვ. პატრო

საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო

ჟურნ. მოაზრებ. 1894, მაისი, № V, გვ. 1—57.

თამარ მეფის ეპოქის დახასიათებისას ავტორი შენიშნავს:

„თამარის მეფობა მართა სამხედრო ძლიერების მეფობა არ იყო, იგი ითვლება მწერლობისა და განათლების ოქროს საუკუნედ. ამ დროს ცხოვრობდა გამოჩენილი შოთა რუსთაველი, ეს საქართველოს ჰომეროსი, რომელმაც შექმნა უკუდავი პოემა „ვეფხვის ტყაოსანი“, ეს უმაღლესი განძი ქართულის პოეზიისა“ (გვ. 18).

471. [სოლოლაშვილი]

ტარიელი და ნესტან-დარეჯანი

(ზღაპარი ს. ჰალაში გაგონილი და ჩაწერილია სოლოლაშვილისაგან)

გახ. ივერია, 1894, 15 ივლისი, № 150, გვ. 1—4, ქვედურა, 17 სვეტი.

ტექსტი წარმოადგენს ლექსნარევე პროზაულ თხრობას ვეფხისტყაოსნის თემებზე და ნოტივეებზე. დასაწყისი:

„იყო და არა იყო-რა, იყო ერთი კაცი და ჰყავდა მას სამი ვაჟი: ტარიელ, ფრიდონ და აუთანდილი“.

ჩართული ლექსი:

„ტარიელ! კარგი ბიჭი ხარ,
გაუზრდილვარ შენსა მკლავზედა,
თუ შენს თავს მომაშორებენ,
თოქს ჩამოვიბამ ველზედა;
წავალ და გადვიკარგები,
გადავარღები კლდეზედა“.

დასასრული:

„ფრიდონმა დალოცა ტარიელი, შერთვის დამილოცნია ნესტარ-დარეჯანიო. წაიდინენ და ტარიელმა და ნესტან-დარეჯანმა ჯვარი დაიწერეს. ორი კვირა ფრიდონისას ჰქონდათ ქორწილი, ორი აუთანდილთან და შემდეგ ტარიელის სახლში დაავიჯივინეს ქორწინება“.

ტექსტში მოიპოვება უცნაური სახელები, მაგ., ნესტანის საქმრო შარნაუდი.

472. [უაგტორო]

საურალდებო ამბები [ვეფხისტყაოსნის ინგლისურად თარგმნა]

ჟურნ. კვადლი, 1894, 22 მაისი, № 22, გვ. 2—4.

გახ. ივერია, 23 მაისი, № 108, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ შეეცაარიაში სამოგზაუროდ ჩავიდა ინგლისელი მეცნიერი ოლივერ უორდროპი, რომლის დას შესწავლილი აქვს ქართული

მა და მუშაობს ქართული მწერლობის ძეგლების ინგლისურ თარგმანებზე - ათ შორის ვეფხისტყაოსანზე, რომლის ნახევარი უკვე უთარგმნია პროზაულად, რასაც შერე გალექსვას უპირებს.

მარჯორი უორდროპის მიერ ვეფხისტყაოსნის ინგლისურად თარგმნის შესახებ მოკლე ცნობა დაბეჭდილია იმავე წლის გაზ. „Кавказ“-ში (14 იანვარი, № 12, გვ. 3).

473. [უავტორო]

ახალი ამბავი. ნარკვევი
[სხვადასხვა ცნობები ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. ივერია, 1894, 16 იანვარი, № 11, გვ. 3; 9 მარტი, № 51, გვ. 2;
27 მარტი, № 66, გვ. 2; 27 აგვისტო, № 183, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობები იმის შესახებ, რომ: მარჯორი უორდროპი მუშაობს ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანზე, (№ 11, 183).

გ. ტატიშვილს დაუმზადებია შ. რუსთაველის სახე „ქართულ ორაბაზიანის ოდენა და ჩაუსხაეს ოქროსა და ვერცხლის ასახდელ ბუდეებში“ (№ 51).

გ. ტატიშვილს დაუმზადებია ფოსტის ქალაქი, რომლის კუთხეში დახატულია ფერადით სვეტი-ცხოველი ხეულის ყვავილებით და სახე შოთა რუსთაველისა“ (№ 66).

474. [უავტორო]

ახალი ამბავი. შემოწირულობა
[შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგები ფონდისათვის]

გაზ. ივერია, 1894, იანვარი 6, № 4, გვ. 2; № 5, გვ. 3; № 6, გვ. 2; № 21, 22, გვ. 3; თებერვალი 2, № 25, გვ. 3; აპრილი 22, № 83, გვ. 3; მაისი 12, № 98, გვ. 2; ივნისი 12, № 123, 124, 126, 134; ივლისი № 147; აგვისტო № 180; სექტემბერი № 194; 15 დეკემბერი № 265, გვ. 4.

ცნობები შეიცავს სხვადასხვა პირთაგან რედაქციისადმი გამოგზავნილ მიმართვებს შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგები ფონდისათვის შემომწირველთა გვარებისა და შეწირული თანხის აღნიშვნით შემდეგი ქალაქებისა და სოფლების ქართველთაგან: ს. საციხურის, ხევის, ახალციხის, ოჩენჩირის, ახალბაიაზეთის, შემახის, ოდესის, სიღნაღის, თელავის, კიშინიოვის, პიატიგორსკის, თბილისის, ს. ხიდისთავის.

475. ჩიორა

სახელდასხელო
(არც ყბად-ასაღები და არც წყალ-წასაღები ამბავი)

გაზ. ივერია, 1894, 11 სექტემბერი, № 193, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს გამოხმაურებას *W. Vasiiani*-ს მიერ დაბეჭდილ სტატიაზე მარჯორი უორდროპის შესახებ (გაზ. „ივერია“, № 191), რომელშიაც შეკებული იყო უცხოელი ქალის მიერ ქართულის საფუძვლიანი შესწავლა და ქართული წიგნების თარგმანზე ნაყოფიერი მუშაობა. ამასთან დაკავშირებით ავტორი ნიშნის მოგებით მიმართავს ქართველ ქალებს, რომელთაც თავის კულტურულ წარსულთან კავშირი დაუპარგავთ და მოაგონებს, რომ წინათ ვეფხისტყაოსანი მზითვის აუცილებელი კუთვნილება იყო, რამდენადაც ქართველი ქალი მას კითხულობდა, მისი მცოდნე იყო, ახალა კი ქართული ენაც აღარ იცითო.

С. II. 1894, т. I, вып. III.

შეიცავს სხვადასხვა ხასიათის ცნობებს შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ.

გვ. LXX. აღნიშნულია, რომ 1841 წ. ბროსემ, ფალაევანდოვმა და ჩუბინოვმა შეორედ გამოსცეს XII საუკუნის პოემის ვეფხისტყაოსნის ტექსტი, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1712 წელს თბილისში.

გვ. LXXVII—LXXIX. პროფ. ბროკჰაუსს „Literarisches Centralblatt“-ში (1865 წ. 6 მაისს № 12) მოუთავსებია რეცენზია ჩუბინაშვილის მიერ 1860 წ. გამოცემულ ქრესტომათიაზე, რომელშიაც განსაკუთრებით განხილულია ვეფხისტყაოსნის საკითხები.

ბროკჰაუსის რეცენზია იწყება სიტყვებით: «Из множества разнородных народностей населяющих Кавказ и его долины, Грузины, единственный народ, который выработал стройную государственную жизнь, имеет свою историю и возделанную литературу» (გვ. LXXVIII).

ბროკჰაუსი რეცენზიაში გადმოსცემს ვეფხისტყაოსნის შინაარსს და აღნიშნავს სპარსულ გავლენას პოემაზე, თუმცა მისი სპარსული პროტოტიპი არსად არ ეგულება. ამასთან დაკავშირებით რეცენზენტი შენიშნავს: «В Западной Европе того времени (12 в.) нельзя указать ни на одно поэтическое произведение, которое бы могло поспорить с поэмою Руставели в искусстве стихосложения и благозвучия рифмы» (გვ. LXXIX).

ეს რეცენზია ეკრძო წერილთან ერთად ბროკჰაუსს გამოუგზავნია ჩუბინაშვილისათვის პეტერბურგში, რომელშიც აღნიშნავს ქართული ენისა და მწერლობისადმი დიდ ინტერესს, რომელიც უკანასკნელ ხანებში შეიმჩნევა გერმანულ საზოგადოებაში.

გვ. 31. ნ. დ. ჩუბინოვის მიერ დ. ი. ჩუბინოვისათვის დატოვებულ წიგნებში მოხსენიებულია თბილისში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი.

გვ. 45. მოიპოვება ბიბლიოგრაფიული ცნობები ნაბეჭდი და ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ, რომელნიც დატულია პირად ბიბლიოთეკებში.

იქვე: Описание Крестного монастыря, близ Иерусалима, и некоторых грузинских рукописей, хранящихся в нем, сделанное Н. Чубниновым с 3—4 по конец мая 1845 г.

მონასტრის ფრესკების ამ აღწერაში მოიპოვება შოთა რუსთაველის სახელიც:

„ამას ქვემოდამ დახატულნი არიან: წმ. მაქსიმე და ივ. დამასკელი. ამთ შუა მუხლზედ მდგომი მოხუცი, თეთრი, სქელი და გრძელი წვერითა, თავზედ ხურაგს მაღალი თეთრი არაღჩინი, შავი ძალა შემოდებული მწვანე კაბა, წითელი სარტყელი და ზეიდაჲ ასხია ჯიჯრის ფერი ხირდა საერისკაცო თეთრის სამხრითა,—ამას აწერია: „ამისსა დამხატავს შნდოს ღწ, აშწ, შოთა რუსთაველი“.

გვ. 140. დ. ი. ჩუბინოვის ბიბლიოთეკის აღწერაში მოიპოვება: ვახტანგის მიერ 1712 წ. დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის აღწერა.

გვ. 142. ვეფხისტყაოსანი, 1875 წ., თბილისს.

გვ. 180. თეიმურაზ ბატონიშვილის კუთვნილ ბიბლიოთეკის აღწერაში ოპოვება საინტერესო შენიშვნის ტექსტი, რომელიც თეიმურაზს გაუკეთებია ეფხისტყაოსანზე.

გვ. 185. „ვეფხისტყაოსნის განმარტება და ლექსთა მისთა მის მიერვე“.

გვ. 186. ჩუბინოვის ზიერ ქართველი სტუდენტებისათვის გადაცემულ აალომე ბატონიშვილის ნაქონ წიგნებში მოხსენებულია „ვეფხისტყაოსანი და-ბექდილი ვახტანგ მეფისაგან“.

გვ. 210, 211. იოანე გრიგოლის ძე გრუზინსკის ბიბლიოთეკაში მოხსენებულია ვეფხისტყაოსანი თბილისის 1712 წლისა, პეტერბურგის 1841 წლისა, ერთი უთარილო, 1860 წლისა, და 1853 წ. გამოცემული ოქოპირის ტრაგედია ვეფხისტყაოსანი.

გვ. 240. ვეფხისტყაოსანი ნ. დ. მინგრელსკის ნაქონ ბიბლიოთეკაში.

477. შოთა—შიო ზურციძე

ზარზმის მონასტრის სუცური წარწერა

Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями императорского Московского Археологического общества, снаряженными на высочайше дарованные средства

Москва, 1894, выпуск IV, გვ. 197.

მოყვანილია ზარზმის ეკლესიის კარების თაღის წარწერა ა. ს. ხახანა-შვილის წაკითხვით:

„აჲს აღმშენებელსა წინამძღვარსა ზურციძეს გაბრიელს შუენდოს (sic) ღმერთმან, მისა დედასა ბატონსა იუანეს ღმერთმან, მის მამასა შოთა, ყოფილსა შიოს შუენდოს (sic) ღმერთმან“ (გვ. 53).

უვაროვას შენიშვნით, ამ წარწერის კომენტარებისას ხახანაშვილმა აღნიშნა, რომ XII საუკუნის ცნობილი ქართველი პოეტის რუსთაველის საერო სახელი იყო შოთა, ბერობაში კი შიო, და თუმცა აქედან ხახანაშვილი არაავითარ დასკვნას არ აკეთებს, მაგრამ რამდენადაც ზარზმის ეკლესია XI ს. ბაგრატის დროსაა აშენებული, რუსთაველი კი თამარის დროს ცხოვრობდა, მისი სახელის ხსენებაში შოთას მოგონება მაინც შესაძლო არის.

1895

478. ილ. ალხაზიშვილი

მეოთხე რეზა. (მგზავრის წერილები) წერილი პირველი. მოგზაურთა განთიადი.

ვახ. ივერია, 1895, 26 ნოემბერი, № 256, გვ. 1;

28 ნოემბერი, № 257, გვ. 1—3.

ავტორი მსოფლიოს უსასრულობაზე მსჯელობს და დედანიწასა და ვარსკვლავებს შორის მანძილებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მზემდე მისვლას მატარებელი ექვს საუკუნემდე მოუნდებოდა და ხუმრობით დასძენს:

იქვე იგი თამარ დედოფალს რომ რუსთველი მუსთან გაეგზავნა მოსაკითხად, დღესაც გზაში იქნებოდა, ან იქნება თვის უკვდავ პოემის შეიდასი წლის იუბილესთვის ხუთის წლის უკან შიოს პასუხით ჩამოვიწყოს“.

ამასთან ერთად შეიდ მნათობზე მსჯელობისას ავტორს მაგალითები მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან და აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი მეტად განათლებული ყოფილა ასტრონომიაში.

წინასიტყვაობა წიგნისა: კალმასობა, თხზ. იოანე ბატონიშვილისა დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით.

ბ. კიკინაძის გამოცემა, თბილისი, 1895, გვ. XXVI.

პირველად დაიბეჭდა ცალკე წერილის სახით ეურნ. „ციცქარში“ (1861, IV, გვ. 523—555) სათაურით: იოანე ბატონიშვილი და იმისი „კალმასობა“. იხ. ანოტაცია № 85.

480. А. Грен

Грузинская повесть об Амиране, сыне Дареджана, и остатки сказаний о нем в картвельской народной литературе

ეურნ. ЖМНП, 1895, Март, отд. II, стр. 1—40.

ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასიურ ლიტერატურაში უფრო ხშირად შექმნილია თურანის გმირები ირანელებთან დაპირისპირებაში, რომ მთელი რიგი ავესტურ-ირანული ბოროტი სულები აქ წარმოგვიდგებიან დამოუკიდებელ ნითოლოგიურ ფორმაში. ავესტური „ჯრუჯი“-დან მომდინარე ერთ ასეთ ფაქტად მას მიაჩნია დარეჯანი, რომლის ირგვლივ თქმულებათა მთელი ციკლი შეიქმნა. ამ თქმულებებმა პოეტებს, რაფსოდებს და რომანისტებს მასალა მისცა შემოქმედებისათვის, და მათ შორის უცნობ პოეტს, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ცნობილია შოთა რუსთაველის სახელით. რომელმაც შექმნა მთელი სანტიმენტალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“. მასში, ავტორის შენიშვნით, ერთმანეთში გადახლართულია სპარსულ-მუსულმანური და ეროვნული ამბები. გრენი მოსე ხონელის მიერ ამირანდარეჯანიანის დაწერის საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს ცნობა ემყარება რუსთაველის პოემის ბოლოში დართულ საექვო საავტორო მოწმობას. ანირანის მიერ ქაჯების გაწყვეტასთან დაკავშირებით ქაჯების განმარტებისას სქოლიოში შენიშნავს, რომ მათ სევანურად ჰქვიათ აეშმა—ავესტური აეშმა—დაევა. რუსთაველის პოემაში ქაჯების ქვეყანა უნდა უდრიდეს მაზანდერანს, რომელიც რუსული «Кашей Бессмертных»-ს იდენტურია, რამდენადაც «Слово о полку Игореве»-ში ერთი ყვიჩალი ბანი შედარებულია აგრეთვე «Кашей»-სთან, ისე როგორც კავკასიაში ხშირად გმირს ადარებენ ქაჯს" (გვ. 4).

481. ლამსწრე

ტირილი და გასვენება ბატონიშვილის ალექსანდრე ბაგრატიონისა ს. ლვანკოს

ვახ. ქვალი, 1895, 5 მარტი, № 11, გვ. 9—13.

ავტორს ტირილის ცერემონიალის აღწერისას მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ადგილი:

„სისხლმან და ცრემლმან გარევით ლაწვი ქმნის ღარად დაღარად“

რასაც შენიშნავს:

„ბევრს შეცნობ კრიტიკოსს ასეთი აწერილობა „ვეფხისტყაოსნისა“ გახვიადებულად და არა სარწმუნოდ მიაჩნია, მაგრამ მე რომ ამის ცოცხალ სურათს ვხედავდი, კიდევ უფრო დაერწმუნდი „ვეფხისტყაოსნის“ დიდებულებზე და მის ნამდვილს მხატვრობაზე ჩუენის ძეგლის ცხოვრების სურათებისას“ (გვ. 10).

რამოლენიშე სიტყვა კათოლიკოზ-ბაქარიანის შესახებ

წერილი ბოლოსტყვაობის სახით დართული აქვს წიგნს:

იესე ტლაშაძე, კათოლიკოზ-ბაქარიანი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, ტფილისი, 1895, გვ. 53—54, ავტორი აღნიშნავს, რომ იესე ტლაშაძე ეკუთვნის რუსთაველის სკოლას, როგორც თითქმის ყველა მელექსენი მისი დროისა. «ტლაშაძე ბაძაეს რუსთველს ლექსის წყობაში, ფორმაში და ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით იმეორებს რუსთველის სიტყვებს და ლექსებს. ეტყობა ტლაშაძეს ვეფხისტყაოსანი ზედმიწევნით ჰქონია შესწავლილი და ამ შემთხვევაში ის არა გავს თანამედროვე სამღვდელო პირებს, რომელნიც რუსთველს შინცა და შინც არ სწყალობდნენ, რადგან ვეფხისტყაოსანი სასულიერო შინაარსის თხზულება არ იყო. თავის შრომას ტლაშაძე რუსთველის ხსენებით იწყებს და არა სცდებია, როდესაც ამბობს:

„რიტორ რუსთველო, კარგ გამოთქმელო, ენატკბილო და შაქარიანო; აუმა შოქმელებმა, ქურდმა ჭელეებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო“.

483. Inman [იონა მეუნარჯია]

ინგლისის ეურნალი ქართული ლიტერატურის შესახებ

გზ. ივერია, 1895, 2 აპრილი, № 70, გვ. 4.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს ინგლისურ ეურნ. „Athenaeum“-ში ოლივერ უორდროპის წიგნის შესახებ მოთავსებული რეცენზიის შინაარსს, რომელშიაც მოჰყავს რეცენზენტის შენიშვნა იმის შესახებ, რომ „მის ვარდროპი თავისს წინა-სიტყვაობაში გვიპირდება, რომ იგი გაგვაცნობს შოთა რუსთაველს, მეთორმეტე საუკუნის პოეტს, რომელსაც ახლაც მოჰყავს აღტაცებაში ქართველები. ეს უთუოდ დიდი შრომაა და რომ მიიზიდავს კიდევ დიდს ყურადღებას როგორც პირველი თარგმანი, მკითხველები პირველ თარგმანიდანაც აღვიღად დარწმუნდებიან“.

484. ინ-ფარა

ფლეტონი. ბიბლიოგრაფია. საახალწლო წიგნი № 5 თვედორე მღვდელი ისტორიული ამბავი თომანთ კობახი. თბილისი, 1895 წ.

გზ. ივერია, 1895, 17 მაისი, № 102, გვ. 1—3.

ავტორი ქართული ეროვნული თვითშეგნების საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „იმდენი სავალალო კითხვებია ჩვენს ცხოვრებაში გადასაწყვეტი, რომ სხვა ერებისათვის ჩვენ არა გვცალია; ჩვენი თავი, ცოდნა, გამოცდილება და სიცოცხლე ჯერ ჩვენსავე მამულსა და მოძმესა სჭირია“, რასაც შენიშნავს: „უკუდავი შოთა ნესტან-დარეჯანის პირით გვიმოძღვრებს სამშობლო მიწის სიყვარულსა“, და მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციოდ პატრიოტული სულისკვეთების გამოხატველი სტროფები:

„ჰადრუ, თუ: „სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჰამასა...“ (544)

„მე დამახვედროთ სამეფო მტვრთაგან დაულუწელი...“ (167)

ბიბლიოგრაფია. კ. თავართქილაძის წიგნის მალაჩიის გამოცემა № 36

ლექსი კნ. ნინო ორბელიანისა (ავტორის სურათით)

მეორე გამოცემა, ახალ-სენაკი, 1895 წელსა

გაზ. ივერია, 1895, 8 აგვისტო, № 168, გვ. 1.

ავტორს წერილის ავტოგრაფად მოჰყავს ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან სტროფი: „მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშირეთა...“ (16), და არჩევს შოთა რუსთაველის ლექსის თეორიას. მისი აზრით, რუსთაველი სამ ხარისხად ჰყოფს მგოსნებს. „მესამე ხარისხის მგოსნები სწერენ ისეთს ლექსებს, რომელიც გამოდგებიან:

„....., სანადიმოდ, სამღერელად

სააშკოდ, სალალოზოდ, ამხანავთა სათრეველად (17).

უკვდავის შოთას შემდეგ საქართველოში სწორედ მესამე ხარისხის მგოსნების რიცხვი გამრავლდა“, რასაც შენიშნავს:

„მაშინ, როდესაც სამშობლო ჩვენი უფსკრულის პირას იდგა და სული ხდებოდა, ჩვენი მესამე ხარისხის მგოსნები „ეკარდ-ბულბულიანებს“, „ბეჟანიანებს“, „სიყვარულის ბალებს“, „ქალ-ვაჟიანებს“, „ეკარშაყიანებს“ და სხვა ათას ნაირს რამეებსა სწერდნენ ხალხის გასათახსიერებლად და გასარყენლად. შათის საარშიყო და სასიმღერო ლექსების მეოხებით ჩვენს სამშობლოში განჩნდა „სუფრის მეცნიერება“, რომლის ჩავონებით ქართველი კვიტრობდა მხოლოდ თავის კუჭის გაძლომაზედ, ღვინის სმაზედ. ლამაზ ნინოებზედ და სხვა. ჭამა-სმაში, ქვიფში, მოლხენაში, მხიარულებაში, ცეკვაში და სხვა გასართობებში ქართველმა სწორედ სრული 'და უნაკლული კულტურა შექმნა და ამ მხრით სხვა ერებს გადააჭარბა. ქართველი თავის მუცელს ჩასტიროდა მაშინაც-კი, როდესაც მისს საზოგადოებრივს ცხოვრებას შავი ღლე ანდა, როდესაც მისს დამოუკიდებლობას და ფრთხილარსებობას ძირი ეთხრებოდა“.

466. ილ. კარგარეთელი

ქართული მუსიკა

ჟურნ. შოამბე, 1895, № 2, განყ. II, გვ. 54—69.

ავტორი ეხება ქართული მუსიკის განვითარებასა და მდგომარეობას საქართველოში, ახასიათებს ქართული მუსიკის ბუნებას და აღნიშნავს, რომ, როგორც ქართული ისტორიული, ისე მხატვრული თხზულებებიდან ჩანს, მუსიკა საქართველოში საზოგადო საქმეს წარმოადგენდა. თამარ მეფის კურთხევიდან დიდუბეში, ჩანს სახელწიფიფოს როლი ამ საქმეში, ისევე როგორც ვეფხისტყაოსანში. თინათინის სამეფო ტახტზე აყვანა, აეთანდლის და სხვა გმირთა ნადიმები თუ მიგებებანი მუსიკალურ თანხლებაშია მოცემული. დასასრულ, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსანში დასახელებულ მუსიკალურ ინსტრუმენტებს: ნაბო, ნასა, ნაჩაგი, ბარბითი, ებანი, დაფ-დაფი, სანთური, ჩანაგა, საყვირი და სხვ. (გვ. 62), რომელთა უმეტესობა, მისი აზრით, ჩინეთიდან და არაბეთიდანაა შემოღებული. ავტორს საჭიროებისამებრ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ცალკეული თქმები მუსიკალური ტერმინებით.

467. შ. კელ-ძე

სახალხო ჰოვზია და მისი საქედაგოგო, საესტეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა

ჟურნ. შოამბე, ტფილისი, 1895, მისი, № V, განყ. II, გვ. 23—43.

ეპოსის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ, თუ დამტკიცდა შოთა რუსთაველის მიერ თავის თხზულებაში გამოყენებული სიუჟე-

ტის უძველეს დროს ირანული ეპოსიდან კავკასიაში შემოტანა, თვით ირანში კი მისი დაკარგვა, ამ შემთხვევაში „შოთა რუსთველს კიდევ უფრო დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე აქამდე ჰქონდა, რადგან ამით დამტკიცდება, რომ რუსთველს სიუჟეტი არა თუ არ უსესხნია, არამედ თვით ხალხის გულიდან. ეროვნულ ეპოსიდან ამოულია“ (გვ. 38). ამ შემთხვევაში რუსთველს დაერქმევა „ხალხური ნაციონალური გენია“ (გვ. 39).

მე-40გვ-ის სქოლიოში ავტორს მოჰყავს რუსთაველის ტაეპი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვნახე და ლექსად გადავსტკვი...“ და შენიშნავს: მხოლოდ პროფანებს შეუძლიანთ თქმა, რომ ამ „ამბავის“ (ხალხურისა) ნახვა და გალექსვა „ვითომ ხელოვნურის ნაწარმოების თარგმანს ნიშნავდეს“ (გვ. 40).

466. H. Mapp

*Периодская национальная тенденция в грузинском романе
«Амирамдареджаниани»*

ფრნ. ЖМНП, 1895. Июнь, гв. 352—365.

ავტორი ამირანდარეჯანიანში სპარსული ნაციონალური ტენდენციის გამოხატულების აღნიშვნას, რაც მას ამ რომანის სპარსული წარმოშობის არგუმენტად მიიჩნია, გაკერით შენიშნავს, რომ რაკი მისი სპარსული ორიგინალი არ ჩანს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობდა, ისევე როგორც ვახტანგ VI ცდილობდა დამტკიცებინა ვეფხისტყაოსნის ქართულობა და მისი სპარსეთში არ არსებობა მხოლოდ იმ საბუთით, რომ ის სპარსეთში ცნობილი არ არისო (გვ. 363).

459. H. Mapp

Грузинский извод сказки о трех остроумных братьях из «Рустуданиани»

ფრნ. Восточные Заметки, Санктпетербург, 1895. гв. 221—259.

ავტორი „რუსულანიანის“ დაწერის თარიღის დადგენასთან დაკავშირებით, იმის დასამტკიცებლად, რომ ის XII—XIII საუკუნეებში ვერ დაიწერებოდა. გაკერით შენიშნავს, —მისი წერის დროს ვეფხისტყაოსანი უკვე ფართოდ პოპულარული თხზულებაა, რომლის ავტორმაც ისევე კარგად იცის ტარიელისა და ავთანდილის სახელები, როგორც აქილესისა და ალექსანდრესი (გვ. 231).

490. S. პავლიაშვილი

ზნის ნ. მარის აზრი „ამირან დარეჯანიანზედ“

გახ. ივერია, 1895. 30 ივლისი, № 161, გვ. 3.

ავტორი ეხება ნ. მარის წერილს ამირანდარეჯანიანზე გრენის საპასუხოდ, სადაც ის აზრია. გატარებული, რომ ამირანდარეჯანიანი სპარსულიდან არის თარგმნილი. ამასთან დაკავშირებით ავტორი იგონებს მარის განცხადებას იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის ორიგინალი სპარსულ ენაზე ბრიტანეთის მუზეუმში მოიპოვებო, და შენიშნავს, რომ ეხლა ასევე უნდა სონელის შემოქმედების სპარსული წყაროს აღმოჩენა და დანტკიცება, რასაც საფუძველი არა აქვს. ავტორი შენიშნავს, რომ მარის წერილში საბუთების მაგიერად წინასწარ აღებული აზრია წამოყენებული ქართული ლიტერატურის დასამტკიცებლად და ათავებს შენიშვნით, რომ პროფ. პატკანოვის მოადგილეს მარს ჩვენი წარსულის დაწიხვლა ანდერძად დარჩენია.

491. ალ. სარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები

ჟურნ. მოამბე, 1895 № XI, გვ. 1—20; № 12, გვ. 1—29.

ეს წერილი დასაწყისია მონოგრაფიული ნაშრომისა, რომელიც წერილების სახით დაიბეჭდა ამავე ჟურნალის ნომრებში შეიდი წლის განმავლობაში 1901 წლის ივნისის ნომრამდე. ნაშრომი შეიცავს დოკუმენტალურ გამოკვლევას ვეფხისტყაოსნის ჩანართი ხანების შესახებ. ავტორის კვლევის პრინციპია, რომ ვეფხისტყაოსანი შეიცავს მრავალ დანამატს, რომელიც გადაწმწერთა, გამგრძელებელთა, ცალკეულ ეპიზოდთა განმავრცობელთა თუ გადაშკეთებელთა ნაშრომედარს წარმოადგენს. ავტორი ყალბი ადგილების გამოჩვენებაში მიმართავს მხოლოდ პირადი გემოვნების პრინციპს, დამყარებულს კონტექსტის გაგებაზე, კეთილხმოვანებაზე და პოემის კომპოზიციაზე, სიუჟეტის განვითარებისა და ეპიზოდების ურთიერთობის თავისებურ გაგებაზე. თავის კვლევადიებაში ავტორს შემუშავებული აქვს რუსთველის სტილის, ლექსიკის, პოეტური თქმების ერთგვარი კანონი, რომელსაც იყენებს პოემის გასაწმენდად—მისი აზრით, არა რუსთველური ხანებისაგან. ასეთი გაწმენდის შედეგად პოემას, ავტორის შეხედულებით, დაახლოებით ერთი მესამედი უნდა გამოაქლდეს, რომელიც აზრის მიმდინარეობას ხელს უშლის, რუსთაველის სტილს ამახინჯებს, აჭიანურებს ეპიზოდებს და ხასიათდება ტაქტოლოგიით და პოეტური ენის ვულგარიზაციით.

492. გ. სამაგლოვი-ივერიელი

ახალი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა

გაზ. ივერია, 1895, 3 მაისი, № 93, გვ. 1—2, ქვედურა, 10 სვეტი.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენად ათი წლის წინათ შემდგარი კომისიის სარედაქციო მუშაობას და შენიშნავს, რომ პოემის ტექსტის ვარიანტებთან შედარებისას კომისიის განკარგულებაში არსებულ ხელნაწერთა შორის ყველაზე ძველი ხელნაწერი 1646 წელსაა გადაწერილი. კომისიამ დიდი საქმე გააკეთა, მაგრამ ზოგი ნაკლი მაინც ვერ აიცილა. მისი აზრით, კომისია ვალდებული იყო აღდგენილი ტექსტის ქვეშ ყველა ვარიანტი მოეყვანა. საჭირო იყო 1888 წ. გამოცემული პოემის ტექსტი დაბეჭდილიყო ნუმერაციით, რაც მით სარგებლობას გააადვილებდა. ამასთან ერთად, ავტორი არ იზიარებს დასურათებაში ტარიელის ჩაცმულობას, რომელსაც მთელი ვეფხისტყაოსნის ტყავი ადებს ზედ. ავტორი საერთოდ შენიშნავს, რომ „ეტყობა ჩვენის დიდებულის პოეტის შესწავლის ხანა ჯერ მალე არ დადგება“, რამდენადაც 1709 წლიდან დღემდე ვეფხისტყაოსნის ოცამდე გამოცემა არსებობს, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი არაფერია გაკეთებული პოემის ტექსტის დადგენაში. ავტორს მიაჩნია, რომ საჭიროა გაძლიერდეს მუშაობა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების მოგროვება - გამოცემისათვის, უცნობი ხელნაწერების გამოცემისათვის, რაც ხელს შეუწყობს ვეფხისტყაოსნის შესწავლას. ავტორი შენიშნავს: „ღედააზრი ვეფხისტყაოსნისა, რომ სპარსულიდან არ არის ნასესხები, ეს დღესავით ცხადია; სიუჟეტი ამ საკვირველის ქმნილებისა სპარსული.—კი არ არის, როგორც ზოგსა ჰგონია, ნამდვილი ქართულია და ჩვენის ქართველ ხალხის უმაღლეს ნიჭს ეკუთვნის. ამაში ყველა დადარწმუნდება, ვინც-კი გულსისუკრით გადაიკითხავს ქართულს ლეგენდებს და შეუფარდებს ამირან-დარეჯანისა“.

ავტორი დასასრულს აღწერს მის მიერ ნახული ვეფხისტყაოსნის ახალ ხელნაწერს, რომელიც გადაწერილი ყოფილა XVIII—XIX საუკუნეში კარგად ცნობილი კალიგრაფის პეტრე მოსეს ძე ტაბლიაშვილის მიერ. ხელნაწერში 251 გვერდია და შეიცავს 1434 სტროფს. ავტორი ჩამოთვლის პოემის თავთა სათაურებს, მოჰყავს სანიმუშოდ პარალელური ადგილები განსხვავებული წაკითხვებისა. სტროფულად და ტაეპობრივად, მისი შენიშვნით, ეს ხელნაწერი იძლევა ზოგ შემთხვევაში უკეთეს წაკითხვას ცნობილ ტექსტთან შედარებით და იძლევა რამდენიმე სტროფს, რომელიც ტექსტს სიტუაციის მიხედვით აკლია, ეს კი ავსებს.

493. გ. ხაძაგელოვი—ივერიელი

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. ივერია, 1895, 20 მაისი, № 104, გვ. 4.

ავტორი „ივერიის“ № 98-ში დაბეჭდილი შენიშვნის გამო რევიზ ჩოლოყაშვილის ოჯახში შენახული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის შესახებ აღნიშნავს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს ვეფხისტყაოსნის ვარიანტების შედარება დაბეჭდილ ტექსტთან, რისთვისაც სთხოვს ჩოლოყაშვილების ოჯახს დროებით ათხოვონ ეს ხელნაწერი „ივერიის“ რედაქციის შეშვეობით.

494. გ. საძაგელოვი—ივერიელი

ბიბლიოგრაფია

გაზ. ივერია, 1895, 25 მაისი, № 107, გვ. 3—4, 54 გვ.

ავტორი აღწერს ხელნაწერ წიგნაკს „სინიდიისის ლოცვა“, რომელიც გადაწერილი ყოფილა სახელგანთქმულის კალიგრაფის პეტრე ტაბლიაშვილის მიერ, რომელსაც გადაუწერია აგრეთვე ერთი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა, რის შესახებაც ავტორს აზრი გამოუთქვამს „ივერიის“ № 93-ში.

495. იესე ტლაშაძე

კათოლიკოზ-ბაქარიანი

ე. თაყაიშვილის გამოცემა. ტფილისი, 1895, 45 გვ.

ავტორი პოემის დასაწყისში გაკვრით ახსენებს რუსთაველს:

„რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა ტყბილო და შაქარიანო, ავმა მთქმულბმა, ქურდმა მელუმმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო“.

(გვ. 3, სტროფი 1,3).

წიგნს დართული აქვს ე. თაყაიშვილის ბოლოსიტყვაობა, რომელშიც ავტორი არკვევს რუსთაველის შემოქმედების გავლენის ხაზებს იესე ტლაშაძის შემოქმედებაში (იხ. ანოტაცია № 482).

496. [უაგტაორო]

ნეკროლოგი [ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოლნა]

გაზ. ივერია, 1895, 14 აპრილი, № 77, გვ. 1.

პოეტი ქალის ბარბარე ჯორჯაძის მოკლე ბიოგრაფიასა და დახასიათებაში გაკვრით აღნიშნულია, რომ მან „კარგად იცოდა საღმრთო წერილი, „ვეფხისტყაოსანი“—თითქმის ზეპირად და საზოგადოდ ძველი მწიგნობრობა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი“.

497. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ შეფის გამოცემული

გახ. ივერია, 1895, 5 იანვარი, № 3, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ 1710 (sic) წელს ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი „მეტად იშვიათი შეიქმნა და მხოლოდ ორი ეგზემპლიარი ამ გამოცემისა ინახება „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავში“. ამჟამად ერთი ეგზემპლარიც აღმოჩენილა ვინმე ხელოსნის ოჯახში, რომლის შეძენა სასურველია.

ავტორი მოკლედ აღწერს ამ ეგზემპლარს და აღნიშნავს, რომ ის საყურადღებოა მისთვის დართული განმარტებებით, რომელიც ვახტანგ მეექვსეს ეკუთვნის. განსაკუთრებით ის ადგილია საინტერესო, სადაც პოემას საქართველოს ისტორიას უდარებს.

498. [უავტორო]

ახალი ამბავი. სსვა და სსვა ამბავი

გახ. ივერია, 1895, 4 მაისი, № 94. გვ. 1: 11 მაისი, № 98, გვ. 1;
30 დეკემბერი, № 282, გვ. 2.

ჟურნ. კვალი, № 11, გვ. 4—5; № 35, გვ. 3.

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ. რომ გრიგოლ ჩარკვიანის სტამბაში იბეჭდება ვეფხისტყაოსანი „ქართულის წერილი ასოებით, წიგნი იქნება პატარა, ჯიბით სატარებელი“ (№ 94).

რევაზ ჩოლოყაშვილის ოჯახში, ახმეტაში მოიპოვება ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერი, რომლის წარწერიდან ჩანს, რომ იგი გრიგოლ ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილია მოსკოვში. წიგნს ჰქონია მხატვრული არშიები (№ 98).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში“ დასტამბულია ბ. ალ. ხახანაშვილის წერილი: „ქართველთა პოეტი XII საუკუნისა შ. რუსთველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი““ (№ 282).

გაეკრითი ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციას მოუვიდა დეკ. ლამბაშიძის მიერ ლითოგრაფიულად გამოცემული ზინის მიერ დახატული სურათი, რომელიც გამოხატავს რუსთაველის მიერ ვეფხისტყაოსნის მირთმევას თამარისათვის (№ 11).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ბ. მელიქ ხოჯაშვილს ერთი ხელნაწერი უპოვია, რომელშიაც მოთხრობილია თავგადასავალი ვეფხისტყაოსნის გმირებისა და სიკვდილი ტარიელისა.

რედაქციის თხოვნით ეს ხელნაწერი გ. წერეთელს უნდა გადაეცეს (№ 35).

499. [უავტორო]

წერილი რედაქციის მიმართ. შემოწირულება [შოთა რუსთაველის ძეგლის ფონდი]

გახ. ივერია, 1895, 3 მარტი, № 47; 2 ივნისი, № 113, გვ. 4;
25 აგვისტო, № 182, გვ. 4.

მიმართვები რედაქციის სახელზე შეიტაკეს ცნობებს შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგები ფონდისათვის შეწირული თანხების შესახებ ქ. ახალქალაქისა, ცხინვალისა და სხვ. ქალაქების ქართველთაგან.

500. ფხა [იაკობ ფანცხავა]

პანუსის პანუსი

ურნ. კელი, 1895, 12 ნომბერი, № 48, გვ. 13.

ბართაშვილის ლექსების გამოცემის ტექსტუალურ საკითხებზე კამათისას, ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ სიტყვა „სამძღვარი“-ს ეტიმოლოგიის გაგებაში მას უმართებულოდ ედავებიან და უპასუხებს, რომ მისი ძირია ზღვა-და რუსთველიც ასე ხმარობს:

„ოგი ხხვაა, სიძვა ხხვაა, შუა უზის დილი შუღვარი“

სადაც მ ანი მეტია და ბართაშვილის ლექსშიც უნდა იყოს „საზღვარი“.

501. ძვერელი

კორესპონდენცია. სოფ. ძვერი

გახ. ივერია, 1895, 2 მარტი, № 46, გვ. 3.

ავტორი სოფ. ძვერისა და მისი შიდაშობის აღწერისას აღნიშნავს, რომ „აქ არის მეფის ნამოსახლარი და მახლობლად იმისა ბუნებით შესამჩნევი და დიდის ხელოვნებით ნაშენი სიმაგრენი ჯარების დასაყენებელი და იმათის სურსათის დასაცველი. ამ ადგილებს ხალხი უწოდებს ვეფხის-ტყაოსნის. მითოლოგიურის გმირის ტარიელის ციხედ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ წმიდა მოწამეთა დავით და კონსტანტინეს თავშესაფარი სიმაგრენი უნდა ყოფილიყოს, რადგან არგვეთის მთავართა სამშობლო ეს სოფელი არის“.

502. ზ. კიკინაძე

კალმასობა

ბოლოსიტყვაობა წიგნისა: კალმასობა, თხზ. იოანე ბატონიშვილისა, დიმიტრი ბაქრაძის წინასიტყვაობით, ზ. კიკინაძის გამოცემა, თფილისი, 1895, გვ. II—III.

ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ კალმასობის გამოცემა ბევრ მასალას მისცემს ქართული მწიგნობრობის შეკლეუარს იმის გარკვევისათვის, თუ „შოთა რუსთაველი რა აზრით ბრძანებს „ვეფხისტყაოსანში“ — „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ (გვ. III).

ამირან დარეჯანიანის პოპულარობის დასამტკიცებლად ავტორი იმოწმებს ვეფხისტყაოსნის სტროფს: „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“ (გვ. II).

503. ა. ხახანაშვილი

შოთა რუსთაველის პოემის გაგრძელება

გახ. ივერია, 1895, 30 სექტემბერი, № 209, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს, რომ მას პარიზის ნაციონალურ წიგნთსაცავში ეგულებოდა ისეთივე გაგრძელება ვეფხისტყაოსნისა, როგორც მოსკოვის გარეშე საქმეთა არქივში დაკული ხელნაწერთაა ცნობილი და კარბელაშვილმაც დაბეჭდა ფურნალ „ივერიაში“. შედარებამ გამოარკვია, რომ მოსკოვის გარეშე საქმეთა არქივის ხელნაწერის ვარიანტი უფრო ვრცელია ვიდრე ცნობილი რედაქციები პოემისა. ავტორს მოჰყავს საბუთები იმის ნათელსაყოფად, რომ ეს ვრცელი ტექსტების შემცველი ადგილები — გაგრძელება პოემისა — შოთა რუსთაველს არ ეკუთვნის.

504. А. С. Хаханов

Грузинская рукописная поэма «Барсова кожа» из главного архива министерства иностранных дел

Из II тома трудов восточной комиссии императорского московского археологического общества на основании § 56 его устава,

Председатель графиня Уварова, Москва, 1895 г., стр. 20.

ავტორი წინასიტყვაობაში არკვევს ხელნაწერის მნიშვნელობას და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ვარიანტები და მინაწერები ხელნაწერზე რუსთველური შიირით.

505. А. С. Хаханов

Грузинский поэт XII века Шота Руставели и его поэма «Барсова кожа»

собр. ЖМНП, 1895, XII, отл. II, стр. 200—223.

წერილი წარმოადგენს პოპულარულ-მეცნიერულ ნარკვევს ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შესახებ, ეხება პოემის წარმოშობის დროსა და პირობებს. ავტორი უარყოფს პოემის სპარსულიდან წარმოშობილობას, მის თარგმნილობას ანდა ლიტერატურულ მომდინარეობას. ვეფხისტყაოსნის წყაროდ მას მიაჩნია ქართული ზეპირსიტყვიერება, ქართული ნიადაგი. ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის შესახებ არსებულ ლეგენდებს. სარწმუნოდ მიაჩნია რუსთაველის ცხოვრება თამარის კარზე, მისი მესხური წარმოშობა და მონასტერში განდგომის ვერსია. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების მიმოხილვისას აყენებს პოემაში შემდეგდროინდელ ჩამატებათა საკითხს. აჯამებს პოემის სიუჟეტის წარმოშობის ახსნის არსებულ ცდებს და იმეორებს მის მიერ აღრე გამოთქმულ შეხედულებას ვეფხისტყაოსნის ხალხურ პოეზიასთან დამოკიდებულების შესახებ. მოჰყავს ტარიელიანის არსებული ვარიანტების ცხრილი და აღნიშნავს, რომ ყველა მათგანში ერთნაირია ვეფხისტყაოსნის მსგავსი ფაბულა, სიუჟეტი და ეპიზოდები. ხალხურ პოეზიასთან ვეფხისტყაოსნის ანათესავენებს ცალკეული თქმები, ეპითეტები და აფორიზმები. მოჰყავს პოემის შინაარსი და რამდენიმე ლექსითი თარგმანი რუსულად. ეს ტარიელიანი, მისი აზრით, შესაძლოა, ზეპირი გზით აღმოსავლეთიდანაც იყოს შემოსული.

ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის დაწერის დროიდან მომდინარე ხელნაწერების მოუღწვევლობის მიზეზი უცხოელთა დამანგრეველი შემოსევების გარდა ისიც არის, რომ ვეფხისტყაოსანი თამარ მეფის ეპოქიდანვე სამღვდლოების მიერ იღვენებოდა, როგორც ქრისტიანობისათვის შეუფერებელი საერო თხზულება. ავტორი აღნიშნავს, რომ დანამდვილებით ცნობილია, თითქოს ანტონ პირველმა ვახტანგის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი დააწვევინა.

ავტორი ვეფხისტყაოსნის გარჩევაში ეყრდნობა ჩუბინაშვილის, გულაკისა და სხვათა შრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს, რაც განსაზღვრავს მის კომპილაციურ ხასიათს.

506. Александр С. Хаханов

Предание о Шота Руставели

წიგნი: Очерки по истории грузинской словесности, выпуск первый,

Народный эпос и Апокрифы, Москва, 1895, стр. 281—283.

ავტორს მოჰყავს ორი ლეგენდა შოთა რუსთაველის შესახებ მოლალატე ოკლის მოტივით, რომლის წყაროდ ასახელებს რუსულად ჩაწერილ ტექსტებს (გაზ. „Кавказ“, 1853, 17. I, № 4).

Грузинские рукописи Румянцевского музея
Труды восьмого археологического съезда в Москве, 1890,
 Москва, 1895, том II, гл. 269—281.

ავტორს მოჰყავს № 838 პერგამენტის ფურცლის მინაწერები, რომელშიაც მოხსენებულია ვინმე სარგისის მეუღლე „თინათ“ (გვ. 272), რის გამოც შენიშნავს, რომ ეს სახელი, ისე როგორც ნესტანი (დარეჯანი) შოთა რუსთაველის გმირი, ამ დროს, XII საუკუნეში, საქართველოში ცნობილი ყოფილა (გვ. 273).

508. მ. ჯანაშვილი

მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი
 ტფილისი, 1895, სტამბა მაქსიმე შარაბიძისა, გვ. 1—58.

ავტორი წიგნის სხვადასხვა ადგილას ხშირად ეხება რუსთაველის შემოქმედების საკითხებს. მისი შენიშვნით, თვით რუსთაველს კარგად სცოდნია ამირანდარეჯანიანი (გვ. 13). ამირანდარეჯანიანისა და ვეფხისტყაოსნის შედარებისას ავტორი შენიშნავს, რომ ღელაზრის მხრივ „ორივე მოთხრობა მცირედ განირჩევა ურთიერთისაგან. მათში მხოლოდ მოქმედ გმირთა სახელებია განსხვავებული (გვ. 17). ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნისა და ამირანდარეჯანიანის ეპიზოდთა სქემები (გვ. 17—25) და ასკვნის, რომ, ვინ იცის, „აქამდის ამბად ნათქვამი“ „აწ დაეჯე რუსთაველმან გაელექსე“ იმას ნიშნავდეს, რომ მოსე ხონელის პროზა მან შექმნა პოემად (გვ. 25).

ავტორს გაჰყავს ზოგი პარალელი რუსთაველსა და შავთელს, რუსთაველსა და ხალხურ „აეთანდილს“ შორის იმის ნათელსაყოფად, რომ ვეფხისტყაოსნის შინაარსს ქართული ნიდაგი აქვს. მისი შენიშვნით, სამცხეში არსებული ციხე-ქაჯეთი—იგივე წუნდა—შესაიღოა პოემის ქაჯეთის ციხის პროტოტიპი იყოს და ამ მხრივ საგულისხმოა რომ, აქაურ მკვიდრთ ერქვათ ქაჯნი (გვ. 36). ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ხონელის ინდო ქაბუჯი და რუსთაველის ტარიელი ქართველები არიან (გვ. 40).

ავტორი უსაყვედურებს მათ, რომელთაც რუსთაველი ცის ნატეხი ჰგონიათ ხენი კულტურის ისტორიაში, და აღნიშნავს, რომ, თუ „შევისწავლით ქართულ კულტურას და მწერლობას, რაც რუსთაველს წინ უძღოდა, მაშინ მოულოდნელად აღარ იქნება ქართველების დანტეს—შოთას გამოჩენა შეთორმეტე საუკუნეში. „ამბობენ პირველად რუსთაველმა შექმნა მალალხარისხოვანი პოეტური ენაო, არც ეს აზრია მართალი, რადგან შოთას დრომდე ქართული ენა უკვე აყვავებული იყო“. რუსთაველის ენისა და ძველი ქართულის ურთიერთობის მაგალითად ავტორს მოჰყავს საგალობლებისა და ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების პარალელები (გვ. 55—56).

1 8 9 6

509. გრ. გველეხიანი

რით ვუთ შარად სახსოვარ სახელი იმერეთის ეპისკოპოსის
 ყოვლად სამღვდელო გაზრდილისა?

გაზ. ივერია, 1896, 27 თებერვალი, № 45. გვ. 1—3, ქვედურა, 15 სვეტი.

ავტორი გაბრიელის ხსოვნის ჯეროვნად დაუფასებლობაზე მსჯელობისას ეხება საქართველოს, აგრეთვე რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების

ჩამორჩენილობას, საზოგადოებრივი აზრის უმოძრაობას, ჩვენი წარსულის დაუფასებლობას და გაკერით აღნიშნავს, „რუსთველი რომ სხვაგან დაბადებულიყო და რომელიმე საზოგადოებრივ განვითარებულ ერის შვილი ყოფილიყო, აქამომდე მას მრავალი ხელთაქმნილი და ხელთუქმნიელი ძეგლები ექმნებოდა, ჩვენ კი მისი „ვეფხვის ტყაოსანიც“ კი რიგიანად ვერ შეგვისწავლია და გამოგვიკვლევი, თორემ სხვა რაღა საკითხავია?“ (გვ. 2).

510. Inman

ბიბლიოგრაფია

The Hermit a legend by Prinse Ili Chavchavadze. Translated from the Georgian by Marjory Wardrop. Bernard Quarich 15 Piccadilly, London 1895.

გახ. ივერია, 1896, 17 თებერვალი, № 37, გვ. 3—4.

ავტორის მცირე ბიბლიოგრაფიულ წერილში მარჯორი უორდროპის წიგნზე მოყავს შემოკლებულად ამ წიგნის წინასიტყვაობა, რომელშიაც შენიშნულია:

„საქართველო სწორედ ყურადღების ღირსია. „ვეფხვის ტყაოსანი“ რუსთველის მე-XII საუკუნის ეპიკოსის პოეტისა სულაც არ ჩამოუვარდება შანაშუეს; მხოლოდ რომელ ვხლანდელ სარსულ პოეტს შეუძლია შეედაროს ბარათაშვილს“.

511. მელიტონ კელენჯერიძე

სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესტეტიკო და ხამეცნიერო მნიშვნელობა

შედგენილი და გამოცემული მელიტონ კელენჯერიძისაგან ქუთაისი, ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა, 1896, 303 გვ.

ავტორი ქართული კულტურის, მწერლობისა და ფოლკლორის სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას გაკერით ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 13, 34, 35, 68, 69, 91, 102, 106, 110, 134, 154, 275, 276). მსოფლიო ლიტერატურის გმირებს შორის ავტორი ახსენებს რუსთაველის გმირებს და დასძენს, რომ ხალხს მათ გარდა სხვა იდეალი არ უნდა (გვ. 13).

ავტორი შენიშნავს, რომ თამარის ეპოქის ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენელი უკვდავი შოთა რუსთაველი არ იყო „ცრუ კლასიკი“, ის იყო „ღირსეული შვილი ერისა, გამსჭვალული მისის სურვილითა და მიმართულებით, მისი საპირობის შეგნებით“ (გვ. 34).

ვეფხისტყაოსანი მთელ საქართველოს მეორე სახარებად გადაექცა და მის დიდობას ვერა სკეპტიკოსი და კრიტიკოსი ვერ შეაჩუყევს. ამ პოემაში პოვა ხალხმა თავისი საყვარელი გმირები, რომლებზედაც წინადაც იყო უთუოდ ხალხში ხმები, თქმულებანი. ის ორგანიულად დაკავშირებულია ხალხის გულთან, სულთან, პოეზიასთან და ამიტომ არის სახალხო ნაწარმოები (გვ. 35).

„არისტოტელი, პლატონი, სოკრატი, ლეიბნიცი, კონტი, კანტი, შოთა, გეტე და სხვა ასეთი ტიტანები მეცნიერებისა და ხელოვნებისა...“ (გვ. 68).

პოეტებს შორის, რომელთა შემოქმედება ხალხურ პოეზიასთანაა დაკავშირებული, ნახსენებია შოთა (გვ. 91).

ავტორი აყენებს დებულებას, რომ ხელოვნებამ ბუნების პირდაპირი ასლი არ უნდა გადმოიღოს და ასახელებს შოთას დიდებულ პოეტთა შორის, რომელნიც ამ გზას არ გაჰყვნენ (გვ. 102).

შედარებითი მითოლოგიის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი იმოწმებს ვ. მილერის ციტატას და შენიშნავს, რომ ხალხური და ხელოვნური ეპოსის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტა, საერთოდ, ბოლოს მოუღებს უთავბოლო და დაუსრულებელ კამათს ვეფხისტყაოსნის შესახებ. „თუ ჩვენის ეპოსის გამოკვლევა აღმოაჩენს, რომ ის სიუჟეტი, რომელიც შოთა რუსთაველს განუმარტავს თავის გენიოსურს ნაწარმოებში, უუძველესის დროიდან შემოუტანია კავკასიაში აქ გავრცელებულს (მოსე ქორენელის მოწმობით) ირანულს ეპოსს და ერთის მხრით შეუხორცებია, შეუღლებია ადგილობრივის ეპოსისათვის და მეორეს მხრით კი თვით ირანში დაკარგულა ეს თქმულება, დაიწვევია იქაურ ხალხს, რის მაგალითსაც (ესე იგი თქმულების ერთს ქვეყანაში დაიწვევბას და მეორეში გავრცელებას) ცხადად გვიჩვენებს ჩვენ შედარებითი მითოლოგია, — ამ შეძობევაში არა თუ მოეღება ბოლო ზემოხსენებულს უნაყოფო კამათს, არამედ, ამას გარდა, ცხადად დამტკიცდება ისიც, რომ შოთა რუსთაველს კიდევ უფრო დიდი ადგილი უნდა დაეთმოს მსოფლიო ლიტერატურაში, ვიდრე აქამდე ქონდა, რადგან ამით დამტკიცდება, რომ რუსთაველს სიუჟეტი არა თუ არ უსეხნია, არამედ თვით ხალხის გულიდან, ეროვნული ეპოსიდან ამოუღია; რომ შეუგნია, როგორც ჰომეროსს და ფირდუსის, ასეთის სახალხო სიუჟეტის ფასი და შეუქმნია სრულიად თავისუფლად ის შარგალიტი, რომელიც ასე ძლიერ ატოკებს იმ ერისა და იმ საზოგადოების გულს, რომლის თქმულებიდანაც ამოუღია იგი პოეტს!... ამ შემთხვევაში რუსთაველს დაერქმევა ბოლოდ ერთი სახელი: „ხალხური, ნაციონალური გენიოსი“, იმავე უფლებით, რომლითაც ასეთი სახელი ეწოდა ჰომეროსს და ფირდუსის ნაციონალურის ეპოსის შემუშავებისათვის და სამშობლო ერის ნაციონალური შემეცნების გაღვივებისა და აღზრდა-გაძლიერებისათვის. მაშინ საქირო აღარ იქნება გაქცევა აღარც „ბარამიანთან“, აღარც „ვისირამიანთან“, აღარც „მეგზუნ და ლეილასთან“ (გვ. 275—276).

512. ფილიპე მახარაძე

კრიტიკული განხილვა

(მ. გ. ჯანაშვილი—შოთა რუსთაველი, თბილისი, 1896)

ჟურნ. კვალი, 1896, 5 მაისი, № 20, გვ. 349—352;
 19 მაისი, № 22, გვ. 382—387;
 16 ივნისი, № 26 გვ. 464—467;
 23 ივნისი № 27, გვ. 484—486.

წერილების სერიაში ავტორი აკრიტიკებს მ. ჯანაშვილის ნაშრომის ძირითად დებულებებს, მისი კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს და მთლიანად მის კონცეფციას შოთა რუსთაველზე. ავტორი შენიშნავს, რომ ჯანაშვილის კვლევაძიებას აკლია მეთოდი, მას ახასიათებს წერილმანი ფაქტებით გატაცება და ცალკე ამოგლეჯილი სიტყვებით ხელმძღვანელობა იქ, სადაც მწერალი ქოლოდ საზოგადო მიმართულებას უნდა აქცევდეს ყურადღებას. ამასთან დაკავშირებით ავტორი სვამს ვეფხისტყაოსნის მარქსისტული თვალთახედვით შესწავლის საკითხს, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის ეპოქის „ეპოქონომიური ორგანიზაციის ღრმა შესწავლის“ საჭიროებას. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის მკვლევრები პოემის მხოლოდ შინაგან ღირსებათა დაფასებაზე, მისი ხელოვნური და მხატვრული სიდიადის ახსნაზე აუარჯიშებენ თავის გონებას და ყურადღებას არ აქცევენ იმ გარემოებას, „რომ, რაც:

არ უნდა იყოს, ეს პოემა შექმნილია განსაზღვრულ ისტორიულ დროს, როდესაც მეფობდნენ განსაზღვრული საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებშიც დროთა განმავლობაში სრულიად შეიცვალნენ“. ავტორის აზრით, ასეთი ცალმხრივი შესწავლის შედეგად ვიღებთ ვეფხისტყაოსნის იზოლაციას სოციალური, ეკონომიური თუ კულტურული გარემო-პირობებისაგან, რის გამოც ის ემსგავსება იუპიტერის თავიდან გამოსულ მინერვას. ავტორის აზრით, ამის გამო ვეფხისტყაოსნის წარმოშობის პრობლემის კვლევა ყოველთვის ჩიხში იქნება მომწყვედელი, რომლისაგან თავის დასაღწევად საჭიროა „დაწვრილებით და ღრმად შესწავლა ნიეთიერი ორგანიზაციისა ჩვენი ქვეყნის XII საუკუნის გასვლამდე, რასაც უნდა მოჰყვეს თავისთავად მაშინდელი ჩვენი პოლიტიკური და იურიდიული წესწყობილების შესწავლა აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაკავშირებით“.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ქართული საერო მწერლობის წარმოშობისა და ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხებს, რაშიც ემჩნევა ჩუბინაშვილის, პ. იოსელიანის, ა. წერეთლის, ილ. ჭავჭავაძისა და ნ. მარის ზოგ შეხედულებათა გავლენა. მისი შენიშვნით, საერო მიმართულება ჩვენს მწერლობაში არაბეთის და სპარსეთის მწერლობის გავლენის შედეგია, რომ „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, არის შექმნილი, ერთის მხრით, აღმოსავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივ ურთიერთობათა ზეგავლენის ქვეშ და, მეორეს მხრით, აღმოსავლეთის პოეზიის დიადი და მომხიბლავი ძალით“; რომ ვეფხისტყაოსნის უმთავრესი შინაარსი ჩვენი ცხოვრებიდან არ არის აღებული; მასში ჩვენ თვალწინ გაღიშდება აღმოსავლეთის ქვეყნების ცხოვრება. თავისი საზოგადოებრივი ორგანიზაციებით ის წარმოგვიდგენს უფრო აღმოსავლეთის დესპოტიკება, ვიდრე თამარის დროის საქართველოს. ავტორი ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის წერის დროა რუსთაველს „შეიძლება სახეში ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა შემთხვევები“, და რომ პოემის ტიპებს „ბეერში ქართველური ხასიათი ატყვიათ“.

ქართული მწერლობის წარმოშობა-განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი უარყოფს სასულიერო მწერლობის მნიშვნელობას საერო მწერლობის წარმოშობისათვის და ეკლესიის კულტურულ როლს ისტორიულად. ავტორი გაკერით ეხება ვახტანგ მეექვსის მიერ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემისათვის დართულ „თარგმანება“, პოემის პროლოგის საკითხს, ა. სარაჯიშვილის მუშაობას და აკრიტიკებს ნარდონს.

ვეფხისტყაოსნის პოპულარობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს: „ჩვენში წინეთ და ახლაც, იშვიათათ მოიპოვება იმისთანა მწერალი, რომელსაც როგორმე არ მოეხსენებინოს რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“ (№ 26, გვ. 464).

№13. შ[ახარაძე ფილიპე]

კ. თვარჯილაძის გამოცემანი
ვეფხისტყაოსანი. შოთა რუსთაველისა ზურათობით, ახალ-სენაკი, 1896 წ.

თურნ. კვალი, 1896, 9 თვისი, № 25, გვ. 441—444.

ავტორი ვეფხისტყაოსნის საქართველოში პოპულარობის აღნიშვნასთან ერთად მკითხველს მოუწოდებს თავი შეიკავოს მისდამი ბრმა თაყვანისცემისაგან. აკრიტიკებს გამოცემის წინასიტყვაობას, რომელშიც ვეფხისტყაოსანი და საქართველო გაზეიადებულიად არის შექმნილი. ავტორი იმოწმებს

ლ. სარაჯიშვილის წერილებს ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილების შესახებ; ომელშიაც მტკიცდება, რომ „არა თუ ცალკე სტროფები და ფრაზები, არამედ თელი ადგილები ვეფხისტყაოსნისა ყალბი ყოფილა“, ჩვენ საზოგადოებას. ი ყველა ეს ყალბი და უმსგავსი ადგილები მარგალიტებად მოიჩნია (გვ. 443) — დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ეს ყალბი ადგილები საპირობა გა-
ხოიდენოს ვეფხისტყაოსნიდან.

514. თ. უორდანი

[განმარტება შოთას ხელწერაზე]

წიგნი: ისტორიული საბუთები შოთა-მღვიმის მონასტრისა და „ძველი“ ეპიხანის ქვაბოთ.
თბილისი, 1896, სტამბა ექვთიმე ივ. ხელაძისა.

1190 წ. თარიღით დაბეჭდილია ტექსტი თამარ მეფის სიგელისა, რომელსაც თავისი ხელწერით ამტკიცებს ვინმე შოთაც:

„ქ. მე შოთაი ჩემს ეინოზის ქუნებასაც შიგა ამას ვამტკიცებ ვითა ამასა შიგა სწერია“ — ამ ტექსტს თ. უორდანი ასეთ შენიშვნას ურთავს:

„ეს შოთა უნდა იყოს რუსთველი: სხვა შოთა ისტორიულთ პირთ შორის არ სჩანს თამარის დროს. შოთა ართავაჩისე 1177 წელს დაისაჯა (ქ.-ცხ. 273) როგორც „შინაგამცემი“ გიორგი მეფისა. „ხოლო შოთა კუარი“ რუსუდანის მეფობაში სჩანს, ქ. ცხ.—362. ალბათ ქიაბერის შეწირულობაში შეცდომით ჩაპყლოა შოთას მამული ტინეანისა და შოთასაც დაუთმია ვკლუსისათვის“ (გვ. 23).

515. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი.

შოთა რუსთაველისა, სურათებით. გამოცემა ქ. თავართქილაძისა. № 57.

ახალ-სენაკი, 1896, XIV + 248 გვ.

წიგნს წინ უძღვის „წინასიტყვაობისებური“ (გვ. III — XI) და შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები: ობოლი—ვახ. ორბელიანისა, რუსთაველის სურათზე აკაკი წერეთლისა, რუსთაველის სურათს დ. მაჩხანელისა.

ტექსტს არა აქვს სათვალავი და შეიცავს 1563 სტროფს. ბოლოში დართული აქვს „სიტყვების განმარტება“ (გვ. 239—248).

წინასიტყვაობის ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის 1890 წლის გამოცემისათვის დართული წინასიტყვაობის განმეორებას. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, რასაც ასაბუთებს პოემის ცალკეული თქმებითა და აფორიზმებით, რომლებიც სხვადასხვა ხელობისა და განათლების ადამიანის მისწრაფებას შეეფარდება. იქვე მოკლედ გადმოცემულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფია და აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობა და გავრცელება.

რეკენია: მიხლიორაფიული შენიშვნები, კვალ ი, 1896, № 25, გვ. 441—444.

516. ალ. სარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები

ფრნ. შოამბე, 1896, № III, გვ. 1—27; V, გვ. 91—102; VI, გვ. 1—17; VII, გვ. 105—121; VIII, გვ. 1—16.

მონოგრაფიული გამოკვლევა, იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით 1895—1901 წლებში. იხ. საერთო ანოტაცია № 491.

517. [უავტორო]

ხალი აშავი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი]

ვახ. ივერია, 1896, 6 აპრილი, № 74, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა მომყავს სრულად:

„ჩვენ მივიღეთ ბ. ა. ხახანოვის ახალი შრომა: ქართული ხელნაწერი პოემა ვეფხვის ტყაოსანი“, გადმოწერილია იმ ხელნაწერიდან, რომელიც ინახება მოსკოვში ვარუშე საქმეთა სამინისტროს უმთავრეს არხივში. წიგნი მეტად საინტერესოა ყველასთვის, ვინც ჩვენს მწერლობას თვალ-ყურს ადევნებს“.

518. [უავტორო]

Русская Антоа

Большая Энциклопедия

Под редакцией С. Н. Южанова, С. П., 1896, шестнадцатый том, გვ. 654.

მცირე სტატია ჩამდენიმე სტრიქონში რუსთაველს „შოთას“ სახელით იხსენიებს და შეიცავს იმის აღნიშვნას, რომ მან დაწერა პოემა ვეფხისტყაოსანი, რისთვისაც იდევნებოდა სანღვდელოების მიერ და თამარ დედოფლის მფარველობით სარგებლობდა.

დასასრულ შენიშნულია, რომ რუსთაველის ბიოგრაფია უცნობია და პოეტი ცხოვრობს ხალხის ხსოვნაში ლეგენდების სახით.

წერილი ყურადღებას იქცევს რუსთაველის სახელის „აშოთა“ ფორმის დაწერილობით.

519. [უავტორო]

ხვადასხვა აშავი

ქურნ. კვალთ, 1896, 24 მარტი, № 13, გვ. 9; 16 ივნისი, № 26, გვ. 450;

4 აგვისტო, № 33, გვ. 586.

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციამ მიიღო მ. გ. ჯანაშვილის წიგნი „შოთა რუსთაველი“. წიგნის მოკლე აღწერაში აღნიშნულია: „მასში დაგროვებულია თითქმის ყველა მწერლების აზრები, ვისაც კი ჰქონია ვეფხვის ტყაოსანზე მსჯელობა“ (№ 13).

ქრონიკალურ ცნობაში იმის შესახებ, რომ თბილისში ჩამოვიდა მარჯორი უორდროპი თავისი მამით, დედით და ძმით, აღნიშნულია, რომ მას „უკვე შავათ გადაუთარგმნია ინგლისურ ენაზე ვეფხვის-ტყაოსანი“ და სურს ქართულის ზედმიწევნით მცოდნე კაცებთან ერთად განმარტოს ზოგიერთი ბუნდოვანი ადგილების აზრი და შემდეგ მოამზადოს ინგლისურ ენაზე გამოსაცემათ“ (№ 26).

მცირე შენიშვნა იმის შესახებ, რომ რედაქციამ მიიღო არუთინ შირი-მანიანცის მიერ სომხურად თარგმნილი ვეფხისტყაოსანი. წიგნს ჰქონია 72 გვერდი. თარგმანს წამძღვარებული აქვს მოკლე ცნობები ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველზე.

ცნობაში მოკლედ აღწერილია გამოცემა და შენიშნულია, რომ ეს წიგნი ძალიან წააგავს გ. იოსელიანის მიერ შემოკლებულ მოთხრობას ვეფხისტყაოსნისას, რომელიც ამ ჩამდენიმე წლის წინათ „ჯეჯილის“ რედაქციამ გამოსცა (№ 33).

520. [უაგტორი]

ახალი ამბავი [შოთა რუსთაველის სურათი]

გაზ. ივერიია, 1896, 5 მაისი, № 96, გვ. 1.

ცნობა იმის შესახებ, რომ ქუთაისიდან როზალია ივანეს ასულ შეფისა-შვილს თბილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ ჩამოუტანია მისივე ოთხი წლის ნამუშევარი ხელოვნურად ხავერდზე ნაკერი სურათი—რუსთაველის მიერ ვეფხისტყაოსნის მირთმევა. თამარ დედოფლისათვის, რომლის სიგრძე $2 \times 1/2$ არშინი ყოფილა. იქვეა მოკლე დახასიათება სურათისა.

ეს ნამუშევარი ამჟამად დაუკვლია საქართველოს მუზეუმში და რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის საკუთრებას შეიცავს.

531. უმნიშვნელო მეგობარი

ნიკოლოზ ტარიელის ქე დაღიანი (მოგონება)

ურნ. კვალი, 1896, 17 ნოემბერი, № 48, გვ. 849—850.

ნ. ტ. დაღიანის სალიტერატურო მოღვაწეობაზე მსჯელობისას ავტორი უენიშნავს, რომ „იგი იღებდა ეგრეთვე მხურვალე მონაწილეობას „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწორებაში“ (გვ. 850).

532. გრ. ყიფშიძე

პასუხად ბატონს Plebs-ს

ურნ. მოამბე, 1896, № 11, თებერვალი, გვ. 147—157.

ავტორი Plebs-თან კამათში აღნიშნავს სოციალური გარემოს მნიშვნელობას ლიტერატურული შემოქმედებისათვის და განაგრძობს:

„იგი იტყვის, მაგალითად, რომ რუსთაველი თავისი გენიოსურის პოემით შედგევი არ არის საქართველოს განვითარებულის; ზე-აღმატებულის ცხოვრებისა მე-XII საუკუნეში და რომ მის ქმნილებაში არ იხატება ის დრო, ის გულის-თქმა და ძერა სულისა, ის სახელობა კვეთება, რომელიც აწუხებდა ქართველობას იმ დროს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ დაიბადა?“ (გვ. 152).

533. Гр. Кипшидзе

„Барсова Кожя“ в новом освещении
(Статья А. С.-лп в журнале «Юрманд»)

გაზ. Новое Обозрение, 1896, 13 апреля, № 4219, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ჯეროვანი გამოცემის უქონლობას. მისი აზრით, ამ მხრივ პირველმა ცდამაც ი. მეუნარგიას ინიციატივით, 1888 წლის გამოცემის სახით, ტექსტის დადგენის საქმეში დიდი შედეგი ვერ მოიტანა, რასაც მოკლედ ახასიათებს. ავტორის შენიშვნით, ამ მხრივ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს ა. სარაჯიშვილის შრომა ვეფხისტყაოსანში ყალბი ადგილების შესახებ, რომლის მიხედვით მტკიცდება, რომ ვეფხისტყაოსანში მეტია არა მხოლოდ 18 სტროფი, რაც 1888 წ. გამოცემამ გამოაკლო ვახტანგის ტექსტს. ავტორი ახასიათებს ა. სარაჯიშვილის მეტოდს ყალბი სტროფების ძიებაში, რაც რუსთაველის სტილისა, ენისა და საერთო ჰარმონიის შესწავლას ეყრდნობა და რაშიაც ის „დიდ კრიტიკულ ალღოს იჩენს“.

ავტორის მოწყვეს ა. სარაჯიშვილის ზოგი შეხედულება ყალბი სტროფების შექნელებზე და იმ პროცესზე, რომლის დროსაც გადამწერთა ხელში ტექსტი ირყვენებოდა, და ახასიათებს ყალბი სტროფების თავისებურებებს, რითაც ისინი განსხვავდებიან ნამდვილისაგან.

დასასრულ, ავტორი აჯამებს ა. სარაჯიშვილის მუშაობას და აღნიშნავს, რომ მის მიერ პოემის შესავალში 13 ყალბი სტროფია აღმოჩენილი და მათგან მე-5, 9, და მე-16-ის ისეაღებ ნამდვილად დამტკიცებულიაო. ავტორის დასკვნით, ასეთი მუშაობის შედეგად პოემას მეხუთედი სტროფებისა მიიხსნება და გამოაკლდეს.

524. [Иоганн Шерр]

*Иллюстрированная всеобщая история литературы
Иоганна Шерра в двух томах*

Перевод сделан с 9-го немецкого издания под редакцией П. И. Вейнберга,
Первый том, Москва, 1896.

თურქული ლიტერატურის მიმოხილვის ბოლოში ავტორი ჩერდება კავკასიელ ხალხთა ზეპირსიტყვიერებაზე და მათ შორის ქართულ ლიტერატურაზე აღნიშნავს:

«Настоящей литературой, наряду со свежими, энергическими народными песнями могут похвалиться грузины, и при том в области не только церковно-религиозной, но и светской искусственной лирики и эпоса. Как лирик прославился [sic] Нино Орбелиани, как эпический поэт, живший раньше, Рустовели (sic), автор поэмы человек в тигровой шкуре, как рассказчица—Катерина Габашвили» (გვ. 106).

525. აღ. ცაგარელა

პასუხი პ. ნ. ჯ.—ს.

გაზ. ივერია, 1896, 10 თებერვალი, № 31, გვ. 1—3, ქუდურა. 15 სვეტი.

წერილი წარმოადგენს პასუხს ზ. ქ.—ს მიერ გამოცემულ წიგნაკში ა. ცაგარლის მიმართ წამოყენებულ უსაფუძვლო ბრალდებებზე დ. ბაქრაძესთან ურთიერთობაში. ზ. ქ.—ს თავის წიგნაკში ა. ცაგარლისათვის უსაყვედურნია, რომ მან აღმოსავლეთში მოგზაურობის გეგმა კარგად ვერ შეასრულა, რის შესახებაც თითქოს დ. ბაქრაძეს ეთქვას, რომ „ჩვენ მოველოდით ჯერის მონასტრის აღწერას და მასში დასაფლავებულ შოთა რუსთველის ცნობებს, სადაც საფლავის ზემოთ ერთ კედელზე დახატულია თვით ეს გამოჩენილი კაციც, მაგრამ ის ასე არ იქმნა და ცაგარელმა გამოაქვეყნა ერთად რამდენიმე ისეთი ცნობანი, რაც ჩვენ მასზე ბევრად ადრე ვიცოდით“. ავტორი მოკლედ ეხება აღმოსავლეთში თავისი გამგზავრების ორგანიზაციისა და მიზნის და ზ. ქ.—ს მიუთითებს თავის შრომაზე Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае (СПб., 1888), რომელშიაც სწორედ შოთა რუსთაველზე მოგვთხრობა არაერთი და ორი შენიშვნა (გვ. 50, 94, 95, 104, 107, 244).

ავტორი აღნიშნავს, რომ როგორც ჩანს, ზ. ქ.—ს ეს წიგნი არ უნახავს და ისე შესდგომია ცილისწამების თხზვას. წერილი თავდება ასეთი შენიშვნით: „რალაც უცნაური ერთმანეთის ჭიპიობა და დაუცხრომელი შუღლი ჰქონდა წარსულში საქართველოს, და თუ ასე გასტანა, ესევე მოუღებს ბოლოს მომავალშიაც,—სხვა ქირი და მტერი საქართველოს არ უნდა“.

დამბეჭდილი 1895, ს. პეტერბურგი.

526. ჯიბრეილ [ილია ჭავჭავაძე]

ჩვენი ესლანდელი ხიპრანე-სიგრეუ

გაზ. ივერია, 1896, 26 იანვარი, № 20, გვ. 1—3. ქველურა.

შემოქმედებით მეთოდზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ სიტყვა-ჯახმული ლიტერატურა მოგონილის ამბით ცხადპყოფს მართალს და დასძენს:

„ტარიელი, წესტან-დარეჯანი, აუთანდილ, ფრიდონ, თინათინ არც თვისს დღეში ყოფილან და არც არიან, არც ოდესმე უცხოურიათ და არც ეხლა სცხოვრებენ, მაგრამ აბა ჰნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულთ-მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს. მათის ცხოვრების მაჯისცემას გეატყობინებს!.. შოთამ მის მიერ მოგონილ ამბავს იესოი სული ჩაატანა, რომ ამ ქვეშაირტ სულისაგან თვით არა-ქვეშაირტი ამბავი მართალი გეგონია. აი ეს საოცარი გარდაქმნა, ანუ უყედ ეთქვათ, ჭნა არყოფილისა ყოულად მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ლეთიურს ძალ-ღონეს ჭნისას შემოქმედობისას ვეახიან“ (გვ. 3. სვეტი III).

იგივე დაიბეჭდა: ნაწერების სრული კრებული, 1928, ტომი IX, გვ. 273—274.

527. ზ. კვიციანიძე

პროფესორს ბატონს ალექსანდრე ცაგარელს

გაზ. ივერია, 1896, 2 მარტი, № 49, გვ. 1—2, ქველურა 10 სვეტი.

წერილი წარმოადგენს ვრცელ პასუხს ა. ცაგარელის ასეთივე წერილზე ავტორის მიმართ. მეორე გვერდის მეორე სვეტში ავტორი შენიშნავს, რომ მას ცაგარელი აბრალებდა მისი შრომის წაუკითხაობას, რომელშიაც თითქოს რუსთაველზე ბევრი ცნობებია მოცემული. ავტორი უპასუხებს, რომ მან ეს შრომა დაბეჭდვისთანავე წაიკითხა, მაგრამ აქ ახალი ცნობები რუსთაველზე ვერნახა.

528. [А. Хъханов]

Грузинская рукописная поэма „Барсова кожа“ из главного архива министерства иностранных дел

ქურნ. Древности Востока, Груды восточной комиссии имп. Москв. арх. ообщ., том второй, выпуск I, Москва, 1896, გვ. 126—127.

მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების 1895 წლის 24 იანვრის სხდომის ოქმში აღნიშნულია, რომ ა. ხახანაშვილს წაუკითხავს მოხსენება ეფეხისტყაოსნის ხელნაწერის შესახებ, რომელშიაც ნოიპოვება ბეჭდურ ტექსტთან შედარებით განსხვავებული სტროფები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება პოემის ტექსტი არსებული შეცდომების გასწორება. ზოგი მათგანი შემდგომ ინტერპოლაციას წარმოადგენს. ის საინტერესოა ენობრივად და ლექსის თვალსაზრისით.

ავტორის აღნიშვნით, ხელნაწერი უთარილოა და არც გადამწერის ვინაობა ჩანს. ის XVI საუკუნის ბოლოს ან XVII დასაწყისის ეკუთვნის.

529. Alexandre Chachanov

Les influences étrangères sur la civilisation de la Georgia

Extrait des actes du Xe congrès international des orientalistes,
Session de Genève 1894, Section VII, 1896, გვ. 65—72.

ავტორი გაკვირით ეხება შოთა რუსთაველის ეფეხისტყაოსანს („Peau de léopard“).

საბიბლიოგრაფიო შენიშვნები
 „შოთა რუსთაველი“ შ. გ. ჯანაშვილისა, 1895.

გაზ. ივერიკა, 1896, 9 აპრილი, № 76, გვ. 1—2, ქვედურა, 10 სვეტი.

ავტორი ქართველი კლასიკოსების გამოცემის საკითხზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ საქართველო ბევრ რამეში ჩამორჩება განათლებულ ქვეყნებს: „შოთა რუსთაველის და სხვა ორიოდეს გარდა, არც ერთს ჩვენს კლასიკულ ახლაც ხელი არ მიუწვდებდა მდაბიო ქართველსა, და სავალალო კიდევ ის უფროა, რომ თვით შოთა რუსთაველიც, ეს დასაბამი და დასასრული ჩვენის წარსულის გონიერებისა, იმ სახით ვეღინება და ეჩვენება საზოგადოებას, რომ ბევრისათვის გაუგებარია. თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ იაფ ფასადაც აღბეჭდეს, მაგრამ ფასი რა შუაშია, როდესაც აღბეჭედასა და დასტამბეასაც მოხერხება. და აზრი ესაქიროება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსთაველის უკვდავი ქმნილება მალადი და უსაზღვრო აღმაფრენაა სულისა და გულის და მდაბიო მკითხველი თავის თავად, უხელმძღვანელოდ ვერ მისწვდება პოეტის ქნარის სიდიადეს“.

ავტორი გაკერით უპირისპირებს რუსთაველსა და დანტეს და იხილავს იმ მიზეზებს, თუ რუსთაველის შემდეგ რატომ გაჩერდა ქართული კულტურის წინსვლა. ვეფხისტყაოსანი უცხო დამპყრობლების მიერ განადგურებას გადაჩენილი, საკუთარი სამღვდლოების წინააღმდეგობასაც აწყდებოდა.

ავტორი ძირითადად იწონებს მ. ჯანაშვილის შრომას და აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ შორს არის ის დრო, როცა „ვეფხისტყაოსანზე“ საბოლოო და ბეჯითი სიტყვა ითქმის“. ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თეორიას და განიხილავს მის მთავარ დებულებებს.

დასასრულს, ავტორი მოითხოვს ვეფხისტყაოსნისა და ჩვენი მატიანების კარგად შედარებას „ერტელსა და ფართო საფუძველზედ“ და აღნიშნავს, რომ ეს პოემა საერთო განაღდ იმითომ გადაიქცა, რომ ის არის „ხელოვნური მატიანე, ლექსად მოთხრობილი ვრცელი ისტორია ჩვენი ოქროს საუკუნისა“ — „მთელი ცხოვრება, მთელი ბრწყინვალე ხანა თვისის სავსებით ამ პოემაშია მოქცეული“. „რუსთაველის თვითოეული აფორიზმი ცხოვრებისა და სინამდვილის დამახასიათებელი ფორმულაა“, „ვეფხისტყაოსანში“ ყოველგვარი მკვლევარი — პოლიტიკოსი, ეკონომოსი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი, მორალისტი და სხ. შესაფერს საზრდოსა და მასალას იპოვის“. ავტორი შენიშნავს, რომ მისი შესწავლა გამოარკვევს, „თუ რა ამოო ცოდვილობაა პოემის ძებნა სპარსეთში და ინგლისის სატახტო ქალაქში“. ავტორი ნაღლობას უხდის ჯანაშვილს, იმის დასაბუთებისათვის, რომ ვეფხისტყაოსანი ორიგინალური თხზულებაა და არა ნათარგმნი.

531. М. Джанашвили

О происхождении грузинских классиков
 (Ответ г. Марру)

გაზ. Новое Обозрение, 1896, 15 июня, № 4280, გვ. 1—2;
 19 июня, № 4284, გვ. 2—3; 20 июня, № 4285, გვ. 1—2.

ავტორი ეკამათება მარსა და გრენს ქართული ლიტერატურის, კერძოდ: ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხებზე და მოპყავს სათანადო ლიტერა-

ტურა. არჩევს მარის წერილის მთავარ დებულებებს, რომელნიც ჯანაშვილის წიგნის გამო იყო დაბეჭდილი (ЖМНП, 1895, 10 — „მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი“, წერილი მ. ჯანაშვილისა) (№ 4280).

ავტორი ეკამათება მარის მიერ წამოყენებულ დებულებას (გაზ. „თეატრი“, 1890, № 12) იმის შესახებ, რომ ლონდონის სამეფო ბიბლიოთეკის კატალოგში მოპოვება სპარსული ხელნაწერი „შაჰრიერ-ნამე“, რომელიც შეიძლება „ვეფხისტყაოსნის“ პროტოტიპი იყოს. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეკამათება მარის მის მიერ ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების ეტიმოლოგიების განმარტებაზე.

ანჰჰ. მოსე ჯანაშვილი

შოთა რუსთაველი (მე-XII საუკუნე)

ტფილისი 1896, 183 გვ.

შინაარსი: წინასიტყვაობის მაგივრად. განყოფილება პირველი: ა. შოთა რუსთაველი: რუსთაველის წინა დროის შწერლობა. ცნობანი რუსთაველის ცხოვრების შესახებ. როგორ უკურებდნენ რუსთაველის ქმნილებას ძველი დროის შწერლები. რუსთაველის ლექსთა წყობა. როგორ ესმით შაირობა რუსთაველსა და მის დროის შწერლებს. რუსთაველის გმირები, მისი რომანი, რუსთაველის გულკეთილობა და დიდებუებოვნება. ვეფხისტყაოსნის ბეჭდვისა და შეცნირვლად შესწავლის ისტორია. შეფე არჩილი. შეფე ვახტანგ VI. დავით ჩუბინაშვილი. ილია ჭავჭავაძე. ბარონ სუტნერი. მარი ბროსე. დიმი. ბაქრაძე. აკაკი წერეთელი. მურავიოვი. ნ. გულაკი. ალ. ხახანაშვილი. ვაჟა-ფშაველა. ნიკო მარტი. ნიკო ნიკოლაძე. ალ. ნანეიშვილი. დიმი. ყიფიანი. ჩუბნი მოსახრება. გრ. ორბელიანი. გიორგი წერეთელი. ვახტ. ორბელიანი. პლატ. იოსელიანი. ალ. ცაგარელი. ნ. დ. ვე. იოსელიანი. ლეისტე, ბარტდინსკი, პოლანსკი, მერიუ, სტალინსკი, რენანი, უორდროპი. ბ. რუსთაველის „სურათზე. განყოფილება მეორე: ვეფხისტყაოსნის თხრობა.

განყოფილება მესამე: ცხოვრება და ბუნება რუსთაველის შეხედვლებით: ა. ღმერთი. ბ. თამარ დედოფალი. გ. რუსთაველის ლოკა. დ. სიმუხთელ სოფლისა. ე. სიკვდილი. ვ. კაცო, ძალსა ნუ იქადი. ზ. ჭირწილი. მ. რუსთაველის ივავ-არაქნი. თ. შაირობა და მგონობა. ი. რუსთაველის სიბრძენი და თქმულობანი.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი არ არის ცალკეული მოვლენა ქართული შწერლობისა და კულტურის ისტორიაში. მას ჰყავდა წინამორბედნი და თანამედროვენი, რომელთაც შეჰქმნეს სულიერი კულტურის შესანიშნავი შედეგები და მოამზადეს რუსთაველი. მიმოხილულია რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის ტრადიციული ცნობები და აღორძინების ხანის შწერლობის დამოკიდებულება რუსთაველთან. მოცემულია რუსთაველოლოგიური კვლევა-ძიების სქემატური სურათი და მოყვანილია ამონაწერები ცალკეული ნაშრომებიდან. მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის თარგმნის მდგომარეობა უცხოურ ენებზე. ავტორი ავითარებს იმ აზრს, რომ ვეფხისტყაოსანში ალევგორიულად გამოხატულია საქართველოს ცხოვრება. მოჰყავს ვეფხისტყაოსნისა და ქართული მართიანების პარალელები და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი გამოხატავს საქართველოს ისტორიულ-რეალურ ცხოვრების მხარეებს, მის პოლიტიკურ მიმართულებას და ახალგაზრდა საქართველოს მისწრაფებას.

ავტორს მოჰყავს პროზაული შინაარსი პოემისა, ცნობილი აფორიზმები და ცალკეული ადგილები. პოემაში, მისი აზრით, „სრულიად და სავსებით გამოხატულია თამარ დედოფლის ცხოვრება“, მასში წამოყენებულია „ეროვნული თვითარსებობის დაცვის იდეა“. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ

ვეფხისტყაოსნის ნესტანი ქართლის ცხოვრების თამარია, რომელთაც ბევრი მოტივი აერთებს. ავთანდილი ამირსპასალარი გამრეკელი.

პოემის ორიგინალობის დასაბუთებაში „ნათარგმანები“-ს მარტავს, როგორც თარგმანებას, ახსნას, განწარტებას (толкование).

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის ავტორი შესაძლებელია დემნას აჯანყებაში მონაწილე შოთა ართავაჩოს ძე იყოს.

რეცენზია: ფ. შახარაძე—კრიტიკული განხილვა, ჟურნ. კვალთ, 1896, № 20, გვ. 349—352; № 22, გვ. 382—387; № 26, გვ. 464—467; № 27, გვ. 484—486.

1 8 9 7

533. A. Baumgartner

Geschichte der Weltliteratur

1897

ავტორი მოკლედ აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიას, ვეფხისტყაოსნის შედგენილობას და ზოგადად ახასიათებს პოემას.

534. ფ. შახარაძე

ხალხური პოეზია და ზ-ნი მელიტონ კელენჯერიძე
კრიტიკული წერილი ფ. შახარაძისა
გამოცემა ამხ. ს. კელიძისა და ი. იბედაშვილისა
თფილისი, 1897, 88 გვ.

მწერლობაზე, კერძოდ ეპოსის გმირებსა და იდეალებზე მსჯელობისას ხალხის გემოვნებასა და მოთხოვნილებასთან დაკავშირებით, ავტორი აკრიტიკებს მელიტონ კელენჯერიძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ხალხის იდეალის შესახებ და სვამს კითხვას: „ნუ თუ თანამედროვე ხალხს „ილია შეროშელის და ფირდოუსის, პომპროსის და შოთა რუსთაველის გმირებს შემდეგ მეტი იდეალი არ უნდა?“ (გვ. 53—54).

535. სოსიკო შერკვილაძე

ზღაპრათ ხალხური „ვეფხისტყაოსანი“
(თქმული გლეხის უოგოლა არაბულისაგან სოფ. ჩირდიღში,
თიანეთის მაზრაში და ჩაწერილი სოსიკო შერკვილაძისაგან)

ჟურნ. კრებულთ, 1897, ნოემბერი, III, გვ. 33—55.

ტექსტი წარმოადგენს პროზაულ თხრობას ჩართული ლექსებით.

დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი ხალხლათ ტარიელი. პყავდა ცოლათ მეტად მშვენიერი მზუფუნახავი, სახელათ „მზუ-ქალი“.

ისეთი ლამაზი იყო ტარიელის „მზუ-ქალი“, რომ ღამე ბნელაში ანათებდა და აშუქებდა როგორც ლამაზი, როგორც ცის მნათობი და შიტრმაყ ეახოლნენ „მზუ-ქალს“.

პირველი ჩართული ლექსი:

„დასხლიან შეკიდობნენი
იმზარ-ამზარი და უმზარი,
იმათ კიდობან ააგეს
ქებითა-არა ქებითა,
შიგ ქალი შესვეს, „მზუ-ქალი“,
ძალითა განა ნებითა...“

დასასრული:

„ტარიელმა და ავთანდილმა ამოწვევით მთლად ერთიანად ქაჯების სინსილა, წამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ტარიელის „მზე-ქალი“, და წამოიღწნენ. კარგა სიარულის შემდეგ მოადგნენ ერთ მღინარის ხიდს. მაშინ ეცხვ გაიკრა ავთანდილმა ხმალს ხელი და შემოუქნია ნესტან-დარეჯანს: „უნდა ესლავე გაგათავოო!—შესძახა ავთანდილმა. ნესტან-დარეჯანს შეეშინდა, პირი წაიღო და სამი ქაჯი წამოავდო პირიდან. ავთანდილმა მაშინვე დახოცა ქაჯები. ავთანდილი გულთმისანი, ჭკვიანი კაცი იყო და იცოდა, რომ ნესტან-დარეჯანს სამი ქაჯი ჩაუძვრა პირში. შორჩენილი და განკურნებული „მზე-ქალი“ წამოიყვანეს და წამოიღწნენ დიდი სიხარულით და მხიარულებით“.

თხრობაში ტარიელის, ავთანდილის, თინათინისა და მზე-ქალის გარდა გვხვდება ფარსმანი, და „ადენ“ და „ომარე“. ვეფხისტყაოსნის ცალკეული ეპიზოდები და მოტივები გახალხურებულ-გადაკეთებულა.

ნ 36. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსნის შესანიშნავი ადგილები

და რამდენიმე ლექსი შ. გურიელისა და ალ. ყაზბეგისა

ქუთაისი, 1897, დამბაშიძის სტამბა. ბართ. კლავის და ალ. რუხაძის გამოცემა, 40 გვ.

წიგნში 23 გვერდი უქირავს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრეფილ სენტენციასა-აფთორიზმებს.

დასაწყისი:

რაცა ვის რა ბედმან მისცეს,

დასუჯრდეს და მას უბნობდეს...

დასასრული:

ოლა კირი არ ვეგბის,

თუცა ლხინმან არ დასტლია

24 გვერდზე მოთავსებულია შოთა რუსთაველის პატარა სურათი და ქვეშ უწერია 10 სტროფი შემდეგი დასაწყისით:

„ვარდასა ჭკობხეს: აგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?.

მიყირს, რად ხარ ეკლიანი, პოვნა შენი რად არს კირად?“

ნ 27. ალ. ხარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის უაღბი ადგილები

ქუთ. მოამბე, 1897, № II, გვ. 1—26; IV, გვ. 1—20; V, გვ. 1—26; VII, გვ. 1—24; IX, გვ. 54—74; X, გვ. 1—22; XI, გვ. 1—22.

მონოგრაფიული გამოკვლევა, იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით 1895—1901 წლებში.

თბ. საერთო ანოტაცია № 491.

ნ 38. ა. ხახანაშვილი

ორიოდე სიტყვა დილარიანზე

ქუთ. კვალი, 1897, 23 მარტი, № 13, გვ. 257—258.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის დროს ცნობილი თხზულება „დილარიანი“ დღეს დაკარგულია და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სტროფი: „დილარგეთ სარგის თმოგველსა“.

Шота Руставели и его поэма Барсова кожи

წიგნში: Очерки по истории грузинской словесности, выпуск II, древняя литература до конца XII в., Москва, 1897, გვ. 243—298.

ნაშრომი წარმოადგენს კომპილაციურ ნარკვევს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ საკითხებზე. ავტორი უხვად იყენებს ყოველგვარ ცნობებს რუსთაველის პიროვნებასა და პოემის შესახებ, რომელნიც კი ცალკე გამოკვლევებისა თუ ჟურნალ-გაზეთებში ნარკვევების სახით იბეჭდებოდა და წარმოადგენს იმ დროისათვის რუსთაველოლოგიური კვლევადიების ერთგვარ შეჯამებას. ამასთან ერთად საკმაოდ ამომწურავად არის მითითებული სპეციალური ლიტერატურა — პოემის ძირითადი გამოცემანი, თარგმანები.

ავტორი ზოგადად აღნიშნავს რუსთაველის გამოძახილს ქართულ მწერლობაში და ლიტერატურას მის შესახებ, ეხება პოემის წყაროების საკითხს, მის ურთიერთობას აღმოსავლურ მწერლობასთან და ხალხურ შემოქმედებასთან; მოკლედ მიმოიხილავს ხელნაწერებს.

ავტორი გადმოსცემს პოემის ფაბულის შინაარსს პროზაულად ჩართული სტროფებით ბარტდინსკის თარგმანით. ეხება სხვადასხვა თეორიას პოემის ორიგინალობის, მისი ავტორის სადაურობისა და პოემის თარიღის შესახებ, ახასიათებს პოემის მხატვრულ მხარეს. დასასრულს ერთვის დამატებითი ლიტერატურის სია 10 სახელწოდებით.

ავტორი სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის გმირთა დახასიათებაზე (*Характеристика героев Ш. Руставели, გვ. 274—298*).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების ეტიმოლოგიას. მისი აზრით, რუსთაველს ხალხური ტარიელიანით სარგებლობის დროს ყველა სახელი არ გამოუყენებია პოემაში, ნაგ., ედემი და ომარე, რომლებიც უცხო მოყმის მოსაყვანად გაგზავნილ ღონებს ეწოდება (გვ. 245). ავტორის აზრით, სპარსეთიდან მომდინარე ვეფხისტყაოსნის ამბავს ქართულ ნიადაგზე ლიტერატურული დამუშავების დროს დაემატა ცალკეული ეპიზოდები ადგილობრივი პირობების მიხედვით. რუსთაველს განგებ გადააქვს პოემის მოქმედება არაბეთსა და ინდოეთში, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც საქართველოს ბუნების ნიშნებს ატარებენ.

ბოლოში ერთვის Издания поэмы Ш. Руставели, რომელშიც ოქროპირ ბატონიშვილის ქართული პიესა ვეფხისტყაოსნის თემაზე რუსულ პიესადაა გამოცხადებული.

ვეფხისტყაოსნის ჩართული ტექსტები: Отырвок из поэмы Барсова Кожа и. ევლახოვის თარგმანით, გადმობეჭდილი «Кавказ»-იდან (1846, № 27, 29, 33) 30. სტროფი. დასაწყისი: На береге реки вдруг узрели пришельца (გვ. 268—269);

Приезд Автандила к Придону после разлуки с Тарием, გადმობეჭდილი «Кавказ»-იდან (1849, № 22) ა. აბაშიძის პროზაული თარგმანის მიხედვით (გვ. 270—274).

ამავე წიგნში ავტორი ქართული მწერლობის სხვადასხვა საკითხის გარჩევისას გაკვირვებით ეხება შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსნის გვერდებზე

153, 205, 228, 233. მათში ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარო-
ასს (გვ. 153), მის გავლენას პეტრე ლარაძის შემოქმედებაზე (გვ. 228), და
კაცრით შენიშნავს, რომ აბდულმესიამ შოთა რუსთაველის ქება დაიმსახურა.
გვ. 233).

1898

540. ვ. ბარნოვი

ქართული ხელნაწერები

ფურ. მოამბე, 1898, № 9, გვ. 89—94.

ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის ერთ ქართველ ახალგაზრდას მიუტა-
ნია თელავში მეწერილმანის დუქანში ნაპოვნი ხელნაწერები, რომელთა გარ-
ჩევის შემდეგ სხვა ძველ თხზულებათა შორის ვეფხისტყაოსანიც აღმოჩენილა.
ავტორი მოკლედ აღწერს ხელნაწერთა პოვნის ისტორიას და ვეფხისტყაო-
სანზე შენიშნავს, რომ მას რუსთაველის სურათი ჰქონია დატანებული, მაგრამ
დაკარგულა სხვა რამდენიმე ფურცელთან ერთად. სათაურები და ყველა ტაე-
პის პირველი სიტყვა ამ ხელნაწერში წითელი მელნით ყოფილა, ყველა
სიტყვის შემდეგ სამი წერტილი ზის.

541. [E. B. Барсов]

Шота Руставели и его поэма «Барсова кожа»

წერილი: Очерки по истории грузинской словесности
წიგნში: Чтения в императорском обществе истории и древностей российских
при Московском университете, Книга вторая, столбцовъ пять.

Издана под редакциею Е. В. Барсова, Москва, 1898 год, гв. 243—298.

წარმოადგენს ვრცელ კომპილაციურ მიმოხილვას შოთა რუსთაველის
პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ. მიმოხილვას ერთვის შენიშვნე-
ბი სათანადო ლიტერატურის მითითებით, საკითხების ისტორიის მიმოხილ-
ვით, რუსთაველის ბიოგრაფიის—მისი წარმოშობისა, სადაურობისა, განათ-
ლებისა, პოემის შესწავლის, მნიშვნელობის, გავრცელებისა და მის ხელნაწერ-
თა შესახებ.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ რუსთაველმა სპარსულიდან კი არ
აიღო სიუჟეტი, არამედ ტარიელის შესახებ ხალხში არსებული ზეპირი თქმუ-
ლება გამოიყენა (გვ. 252) და იქვე პარალელი გაჰყავს თქმულებასა და ვეფ-
ხისტყაოსნის შინაარსს შორის. ავტორი ავითარებს შეხედულებას, რომ პო-
ემა ქართული ნაციონალური თხზულებაა, დაწერილი თამარის საქებრად, და
რომ ნესტანის ფიგურაში თვითონ/თამარი იგულისხმება (გვ. 264). გაჰყავს
პარალელები პოემის ეპიზოდებსა და ქართული ისტორიული ცხოვრების
ცალკეულ მოვლენებთან. იძლევა პოემის მხატვრულ დახასიათებას და აღნიშ-
ნავს პოემის მთავარ ზოტივებს. ბოლოში ერთვის ლიტერატურა რუსთაველის
შესახებ (გვ. 267).

მოთავსებულია ნაწყვეტი „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ ი. ევლახოვის
თარგმანით (გვ. 268—269), გადმობეჭდილი ვაზ. «Кавказ»-იდან (1846,
№ 27, 28, 33).

მოთავსებულია პროზაულად შესრულებული «Приезд Автандила к При-
дому после разлуки с Тариеlem» ა. აბაშიძის თარგმანით, (გვ. 270—274),
გადმობეჭდილი ვაზ. «Кавказ»-იდან (1849, № 22).

დასაწყისი: «Юноша семьдесят дней ехал, проливая горькие слезы, наконец достиг берега моря».

გვ. 274—298. მოთავსებულია: «Характеристика героев поэмы Ш. Руставели», სადაც ავტორი მიმოიხილავს კვლევებიც საკითხის ირგვლივ.

გვ. 298. მოთავსებულია მოკლე მიმოხილვა ვეფხისტყაოსნის გამოცემებისა.

542. Le Baron de Baye

En Géorgie, par Le baron de Baye. Extrait de la revue de géographie, dirigée par M. L. Drapcyron

Paris, Librairie—Nilsson, 1898, გვ. 66—67.

თამარის მეფობასთან და მის გარშემო არსებულ ლეგენდებთან დაკავშირებით ავტორი ეხება მეფის „საზანდარს“ რუსთაველს და მოჰყავს ლეგენდა თამარისა და რუსთაველის შესახებ, შოთას მოლაღატე ცოლის მოტივით (გვ. 66—88).

543. Георгий Садзгелов-Ивериели

Анахурский успенский собор

კრებულში: *Материалы по Археологии Кавказа, выпуск VII, под редакцией графини Уваровой, Москва, 1898, 69—80*

ავტორი არჩევს ანანურში დაცული ეინვანის ღვთისმშობლის ხატის წარწერას და აღნიშნავს, რომ ქალაქი ეინვანი, რომელიც VII საუკუნეში მურვან ურუმ დააქცია, ანანურიდან 8 ვერსის დაშორებით მდებარეობს ორი არაგვის შესართავზე, და დასძენს: როგორც ირწმუნებიან, აქ იყო ვეფხისტყაოსნის შემქმნელის შოთა რუსთაველის მამული, რომელიც მან შიომღვიმის მონასტერს დაუთმო (გვ. 77).

544. [გ. იოსელიანი]

ვეფხისტყაოსანი ნაშრომი მოზრდილის უმაწილეებისთვის გ. იოსელიანის მიერ.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამოცემა, ტფილისი, 1898, 87 გვ.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროზაულად გარდათქმულ, შემოკლებულ შინაარსს, რომელშიაც ცალკეულად ჩართულია მნიშვნელოვანი თქმების, აფორიზმებისა და მოტივების შემცველი სტროფები. შინაარსი დაყოფილია თავებად:

I. ამბავი როსტევეან მეფისა. II. ვეფხისტყაოსნის ნახვა. III. აეთანდილის წასვლა და ტარიელის ძენა. IV. ამბავი ტარიელისა. V. ტარიელის გამიჯნურების ამბავი. VI. ომი ტარიელისა ხატავლებთან და გამარჯვება. VII. ნესტან-დარეჯანის დაკარგვის გამო. VIII. ტარიელისა და ფრიდონ მეფის შეყრის ამბავი. IX. ნესტან-დარეჯანის ამბის ცნობა. X. აეთანდილის დაბრუნების ამბავი არაბეთში. XI. ვეზირის შუამდგომლობა და მეფის უარის თქმა აეთანდილის გაპარვა. XII. აეთანდილის მოგზაურობა. ტარიელის შეყრა. XIII. აეთანდილის წასვლა ფრიდონთან. XIV. აეთანდილის წასვლა ნესტან-დარეჯანის საძებრად. XV. ამბავი აეთანდილისა და ფატმანის გაცნობისა და დამეგობრებისა. XVI. ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა ფატმანიდან. XVII. ქაჯთაგან ნესტან-დარეჯანის შეყარობის ამბავი. XVIII. წასვლა აეთანდილისა და ტარიელის შეყრა. XIX. ტარიელის და აეთანდილის წასვლა ფრიდონთან. XX. თათბირი ფრიდონისა, აეთანდილისა და ტარიელისა და გამარჯვება. XXI. ზღვის მეფისა და ფატმანის ნახვა გზაზე და ფრიდონის მისვლა. XXII. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის დაქორწინება ფრიდონისა. XXIII. აეთანდილისა და თინათინის დაქორწინება.

თხრობის დასაწყისი: „არაბეთში ცხოვრება მეფე როსტევან, ეს დიდებული მეფე იყო, თავდაბალი, უხვი, მოწყალე, სამართლიანი მმართველი და მრავალის ლაშქრის პატრონი. ამასთან ის იყო შეუღარებელი მეომარი და მტად კარგი მოლაპარაკე. მეუფეს შვილად ერთად ერთი ასული ჰყავდა—თინათინ, რომელიც ისეთი ლამაზი და მშვენიერი იყო, რომ მზეც-კი ვერ შეედრებოდა“.

დასასრული: „ამის შემდეგ სამივე ხემწიფე ავთანდილ, ფრიდონ და ტარიელი სიკვდილამდის ისე იყვნენ, როგორც ძმები—მეფობდნენ და ისე განაგებდნენ თავიანთ სახელმწიფოს, როგორც ბრძენნი. მათი ხალხიც ბედნიერად ცხოვრებდა. როცა მტერი რომელსაჲმე მათ სახელმწიფოს მოადგებოდა, ერთმანეთს შველოდნენ და შეერთებულის ძალით სძლევენ. ამ გეგარად მათი ერთობა, სიყვარული, შეგობრობა და განუწყვეტელი კავშირი სამაგალითოდ დარჩენ ქვეყნისათვის“.

545. H. Март

Вместо ответа пуб.милитисту—поэту

გაზ. Новое Обозрение, Тифлис, 1898, 31 марта, № 482, გვ. 1—2.

წერილი წარმოადგენს პოლემიკას აკაკი წერეთელთან მისი წერილების გამო (დაბეჭდილი იყო «Кавказ»-ში, 1892, № 60, 61), რომელშიაც აკაკი მარს ეკამათებოდა სომხურ-ქართული კულტურის ურთიერთგავლენის ცალკეულ საკითხებზე. ქართულ კულტურაზე უცხო გავლენის საკითხზე მსჯელობისას მარი შენიშნავს: განა არ უნდა გამოვარკვიოთ, რომ ცნობილი პოემა ვეფხისტყაოსანი სპარსული ორიგინალიდან მომდინარეობს, რომ შოთამ სპარსული რომანის ქართული პროზული თარგმანიდან შექმნა პოემა...

ამასთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე: აკაკის კრებული, 1898, № 7, გვ. 55—69.

546. „მე გახლავარ“

პრინციპ-ლოცენტი მარსი და მისი სამეცნიერო შეტოლი

(მის პოლემიკის გამო აკაკისთან)

გაზ. ივერია, 1898, 16 აპრილი, № 80, გვ. 1—3, ქვედურა, 15 სვეტი.

წერილი მიმართულია მარსის მიერ წამოყენებულ იმ დებულების წინააღმდეგ, თითქოს ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან თარგმნილი თხზულებაა. ავტორს მოჰყავს მარსის განცხადება იმის შესახებ, რომ პოემის შესწავლა რწმენას ბადებს, რომ ის ნათარგმნია. მარსის მიზანია დაამტკიცოს, რომ, თითქოს, პოემის დედანი სპარსულია, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ეგულება. კამათი გამოუწვევია აკაკის წერილს „კრებულში“ სომხების წინააღმდეგ (იანვარი), რომელთა დამცველადაც მარი გამოსულა. ავტორი შენიშნავს, რომ ბევრ ჯომპეტენტურ სწავლულს უთქვამს, რომ ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან არ არის ნათარგმნი, მაგრამ მარი ყოველგვარი საბუთის გარეშე საწინააღმდეგოს ვაიძახისო.

547. ალ. სარაჯიშვილი

ვეფხის ტყაოსანის ყალბი ადგილები

ურნ. მოამბე, № I, გვ. 45—58; II, გვ. 1—13; IV, 1—18; V, გვ. 1—20; XI, გვ. 1—32.

მონოგრაფიული გამოკვლევა, იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით 1895—1901 წლებში. იხ. საერთო ანოტაცია № 491.

Шота Руставели и его поэма «Гарсова кожа»

ნაშრომში: Очерки по истории грузинской словесности

კრებული: Читая в императорском обществе истории и древностей российских при Московском университете, 1898 год, книга вторая. Сто-восемьдесят пятая, издана под заведыванием Е. В. Барсова, III, Исследования, Москва, 1898, გვ. 243—298.

ნაშრომი შეიცავს მონოგრაფიულ ნაკვლევს შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე. ავტორი მიმოიხილავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს, იძლევა ვეფხისტყაოსანის საერთო დახასიათებას, გადმოსცემს პოემის შინაარსს, მოჰყავს რუსული და გერმანული თარგმანის ნიმუშები, უჩვენებს ლიტერატურას ვეფხისტყაოსანზე, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გმირებს და მოჰყავს პოემის გამოცემათა ბიბლიოგრაფია.

სრული ანოტაცია იხ. მის ცალკე გამოცემასთან 1901 წელს.

№49. [უავტორო]

ახალი ამბავი

[ვეფხისტყაოსნის გამოცემა]

გაზ. ივერია, 1898, 21 ნოემბერი, № 250, გვ. 1.

გაზ. ცნობის ფურცელი, 28 ოქტომბერი, №664, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ვლადიმერ ყიფიანი ბეჭდავს ვეფხისტყაოსნის სახალხო გამოცემას. იქვე მოკლედ აღწერილია გამოცემის შედგენილობა და აღნიშნულია:

„წიგნს მოჰყვება მოკლე ბიოგრაფია რუსთაველის, ბიბლიოგრაფიული ცნობები „ვეფხისტყაოსნის“ და წყაროები ავრთვე იმის შესახებ, თუ ქართულსა და უცხო ენაზედ „ვეფხისტყაოსნის“ გამო როდის რა თქმულა და ან სად რა არის დაბეჭდილი“.

№50. აკაკი წერეთელი

რამდენიმე სიტყვა პატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო

ფურც. კრებულთ, 1899, იანვარი, განყ. II, გვ. 1—18.

ავტორი ეკამათება ილია ჭავჭავაძეს ვეფხისტყაოსნის შესახებ წაკითხული ლექციების გამო.

პირველად დაიბეჭდა 1887 წელს ცალკე წიგნის სახით. იხ. ანოტაცია № 311.

№51. აკაკი წერეთელი

სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“

კრებული: აკაკის თვითური კრებულთ, 1898, წელიწადი პირველი, თფილისი, იანვარი, № V, განყ. I, გვ. 11—31. თებერვალი, № VI, განყ. I, გვ. 19—56.

სათაურს სქოლიოში აქვს ავტორისაგან შენიშვნა:

„ეს ლექციები ჯერ არსად ყოფილა დაბეჭდილი, მხოლოდ საჯაროთ წაკითხვებზე რჩეულ: ერთხელ ქუთაისში და ერთხელაც თფილისში. თფილისში, როგორც საზოგადოთ მოსალოდნელი იყო ჩემგან, განგაში და მითქმა-მოთქმა ასტეხა: გამოვიდენ მებუჟე-მეგანგაშეები და ამტკიცებდენ, რომ მე რუსთაველი დავამეიტრე, შეურაცხყოფა მივაყენე, ქართლებს სულულები დადუძახე, იმერლებს—გაიძუერა და სხვანი... ეს ხმები ბ. ილია ჭავჭავაძემ ბეჭდვითაც დაამოწმა. ჩემს ლექციებზე რასაკვირველია მხოლოდ ზოგიერთები დაესწრენ და უმეტესობა შეიძლება“

და ამ ცილის წამებით მართლა მოტყუებულიყო და ამიტომაც მეც პასუხი დაეწერე. რადგანაც ის პასუხი მაშინ არ დაიბეჭდა „ივერიაში“, დღეს ებეჭდავთ ამ მეორე განყოფილებაში“.

ავტორი შენიშნავს, რომ მისი ლექციების მიზანია აჩვენოს, თუ რა ვართ ქართველები, რა განსხვავებაა ქართველ ტომებს შორის ან რა ერთობაა დღევანდელ დაქვემდებარებულ დროში და რა ყოფილა ადრე ძლიერების დროს (გვ. 20).

ავტორის ცდაა ამ კითხვებს პასუხი გასცეს ვეფხისტყაოსნის ანალიზით. მისი აზრით, რუსთაველს საქართველოს სხვადასხვა კუთხეების, სხვადასხვა ხალხების ღირსებები და ნაკლოვანებები პოეტურად და ძლიერად აქვს გამოხატული თავის დაუვიწყარ ვეფხისტყაოსანში (იქვე). ავტორი ახასიათებს საქართველოს მთავარი კუთხეების—ქართლის, იმერეთის, სამეგრელოს, წარმომადგენლებს და შენიშნავს, რომ ეს ხასიათები რუსთაველს თავისი გმირების საფუძვლად შეუქმნია. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში საქართველო თავისი კუთხეებით და მცხოვრებლებით ისეა გამოხატული, როგორც სარკეში ჩახედული რამე (გვ. 31).

მეორე წერილის ქვესათაურია: „ვეფხისტყაოსნის ტიპების ხასიათები“, რომელშიც ავტორი ცდილობს დაასაბუთოს პოემის მონაცემებით მის მიერ, წამოყენებული დებულება ვეფხისტყაოსნის გმირებში ქართველი ტომების გამოხატვის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სპონტანურობას საქართველოში, მის გამოხატულებას ქართულ მწერლობაში, წის გაელენას ქართულ მწერლობაზე, ახასიათებს მის მნიშვნელობას, შინაარსს, ეხება პოემის პოპულარობისა და დიადობის მიზეზებს, მის აფორიზმებს, ახასიათებს გმირების ურთიერთობას, მის მთავარ მოტივებს, რისთვისაც მოჰყავს ბევრი საილუსტრაციო მასალა ვეფხისტყაოსნიდან. ავტორი გაკერით შენიშნავს, რომ პირველი მწერალი, რომელმაც თავი დააღწია რუსთაველის გაელენას, იყო დავით გურამიშვილი, რომელიც თავისი გზით წავიდა. (გვ. 24).

ავტორის საბოლოო დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები, ნამდვილი ქართველები არიან სხვადასხვა კუთხიდან აღებული (გვ. 55). ტარიელი ქართლელის ტიპია თავისი დამახასიათებელი ნიშნებით — სიზარმაცით, პირდაპირობით, შეუდრეკელობით, ვაეკაცობით; ავთანდილი იმერელია—გონიერებით, წინდახედულობით, ზომიერების გრძნობით და სხვ. ფრიდონი კი მეგრელია, რომელიც არ ბრწყინავს არც ტარიელისებური ვაეკაცობით, არც ავთანდილის გონიერებით, თუმცა უშიშარია და ზნე, სიყვარულს პირველი გმირებივით არ ემორჩილება, იგი ამჯობინებს ქორ-მიმინოსა და მწვეარ-მეძებრებს სდიოს, ამხანაგებს დაეხმაროს (გვ. 33—37). ავტორის აზრით, ამერელ ტარიელის, იმერელ ავთანდილისა და ზღვისპირელ მეგრელის ფრიდონის ხასიათში წარმოდგენილია ყველა ქართველი ტომის თავისებურება. ეს ხასიათები პოემის სიუჟეტის განვითარების ყოველ დეტალში მტკიცედ მდებარეობს. მაგ., ქაჯეთის ციხის აღების წინ: მეგრელი ფრიდონი საბელით ქურდულად გადაპარავს რჩეობს, იმერელი ავთანდილი ვაჭრულად მოტყუებით შეშვლას და ქართლელი ტარიელი პირდაპირობაზე დგას, შებრძოლებით უნდა ციხის აღება (გვ. 46).

ვეფხისტყაოსნის კვლევშიც, ავტორის აზრით, იგივე ხასიათებია განვითარებული. ნესტანი ავტორის ქართლელად მიაჩნია, თინათინი—იმერლად. ნესტანში ტარიელივით განხორციელებულია გული, პირდაპირობა, თავდადება. იმერელი თინათინი კი, იმერელ ავთანდილივით, „გულისამყოლია იმდენათ,

რამდენადაც თავი ნებას აძლევს“ (გვ. 52). ზღვისპირელ მეგრელის ტიპს წარმოადგენს ფატმან-ხათუნი, როგორც ინიციატივის მქონე, გაქნილი და აებხორცი (იქვე).

ავტორი შენიშნავს, რომ ნესტანდარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის სიმბოლო, რომლის გამოხსნა მართო ტარიელს უფთანდილოდ და უფრიდონოდ არ შეუძლია (გვ. 55), რაშიაც იხატება საქართველოს გაერთიანების იდეა, ტომობრივ-კუთხურობის დაძლევა.

ავტორი დასასრულ ჩერდება ქართული ცხოვრებისა და ისტორიისათვის ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის საკითხზე.

• 552. ა. ხახანაშვილი

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები

ფრან. მოამბე, 1898, იანვარი, № 1, გვ. 1—20.

ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაში აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ნუსხა.

1. „ტარიელის რომანი ლექსად. 1 კაბად. in folio. ასლი სრულია, მაგრამ სისწორეს მოკლებულია (ნამდვილი სათაური ამ რომანისა არის „ვეფხისტყაოსანი“). ტარიელ სახელია უმთავრესი გმირისა. დამწერი რუსთაველია. 258 ფურც“ (გვ. 1).

2. „რომანი ტარიელისა ლექსად. 1 კაბ. in 4°. შემოწირულია სამეფო ბიბლიოთეკაში ბ-ნ გამბას მიერ. ხელნაწერი ახალი დროისაა. გადაწერილია 1811 წ. იოანე იალღლოვის მიერ. თვით პოემა ეკუთვნის მე-XII საუკ. ბ-ნმა ბროსემ დაბეჭდა პოემის ნაწყვეტი „ეურნალ აზიატიკ“-ში. არც ეს ასლი, როგორც ზემოდ მოხსენებული, არ არის სრული“ (გვ. 2).

3. „VII (მეშვიდე). დაწერილია ტყავზე in folio, მე-XVII—XVIII საუკ. ხელით, მხედრული ასოებით. ჰქონია მინაწერი „ღიად ცუდი ვეფხის ტყაოსანია“.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ხელნაწერის შედგენილობას (გვ. 10).

4. VIII (მერვე). ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი გადაწერილი იოანე იალღლუხის ძის მიერ.

5. ავტორი ბარამისა და გულიჯას დახასიათებისას აღნიშნავს ზოგ მსგავსებას ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ადგილებთან (გვ. 13).

6. XXIV (მეოცდაოთხე). აღწერილია ვახტანგ მეექვსის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსანი, რომელსაც შიგა და შიგ ჰქონია ხელით ნაწერი ფურცლები.

• 553. მ. ჯანაშვილი

საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

გაზ. ივერია, 1898, 19 მარტი, № 60, გვ. 3.

ავტორი პარალელს ავლებს რუსთაველის ცალკეულ თქმებსა და ძველი ქართული პოეზიის ძეგლებს შორის და აღნიშნავს ზოგიერთ მსგავსებას, მაგ. წმ. იოანე შათელი:

„შუგა სწორებით პანთოსს
მაღალთა ადგილთა და დაბალთა
მოფენითა დღისაჲთა“

„შოთა რუსთაველი: „ვარდა და ნუგეთა ვინათგან

მზე სწორედ მიუფინებზ“.

X საუკ. საგალობელი: „რომელმან სიძრწინით დაჰმადნა ცანი მაღალნი ძალითურთ,

და შეჰქმნა ქუეყანაჲ ყოვლით თანა მკვიდრითურთ“.

„შოთა რუსთაველი: „რომელმან შეჰქმნა საშუარო ძალითა მით ძლიერითა...“.

554. შ. გიორგიძე

მცირე შენიშვნა—სამ ალი თუ ხამი ალი?

გახ. ივერია, 1899, 6 იანვარი, № 3, გვ. 4.

ავტორი ვეფხისტყაოსნის სტროფში „ვაჟ, თუ გავიქრე, გაქრილსა სადაჲ გლახ დამწვაეს სამ ალი“ „სამ“-ს იგებს როგორც შემოკლებულ ფორმას სიტყვისას „სადმე“ სამ, სამე, სადმე, რის შემდეგაც, მისი აზრით, გასაგებობდება 1020 სტროფი:

„რად სიციხე გულსა ნიადაგ მწვაეს გმირთა სამსალებისა“.

ავტორის შენიშვნით, ვიდრე ყალბისმქნელებს გამოუარჩევდეთ ვეფხისტყაოსანში, საჭიროა რუსთაველის წინა პერიოდის ენისა და ლიტერატურის შესწავლა, რომ თვით რუსთაველის სტროფები ყალბისმქნელებს არ მიეგაწერათ (ავტორს მხედველობაში აქვს ალ. სარაჯიშვილის წერილები: „ყალბი ადგილები ვეფხისტყაოსანში“).

555. შ. გიორგიძე

„გულუო ღა იგულისმოდგინო“

გახ. ივერია, 1899, 3 მარტი, № 46, გვ. 2—3.

ქართული ხალხის კულტურის ცილისმწამებელთა და ცრუმეტყველთა წინააღმდეგ, ავტორი შენიშნავს, რომ მათ შრავალ უსათუძელო ბრალდებათა შორის, რასაც ქართული მწერლობის მიმართ გამოსთქვამენ, ისიც ჰგონიათ, თითქოს „შოთა რუსთაველი და მოსე ხონელი სპარს-არაბების გმირებს აქებდნენ“.

556. შ. გიორგიძე

შოთას განქიქება

გახ. ივერია, 1899, 4 მარტი, № 47, გვ. 1—3; 5 მარტი, № 48, გვ. 1—2; 6 მარტი № 49, გვ. 2—3.

წერილების სერია აგებულია ალ. სარაჯიშვილის ნაშრომის განხილვაზე ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილების შესახებ, რომლის კრიტიკაში ავტორი-ცილობს დაასაბუთოს, რომ ალ. სარაჯიშვილის კონცეფცია შთლიანად შემცდარია და მის მიერ ყალბი ადგილების აღმოჩენა ვეფხისტყაოსანში ემყარება როგორც რუსთაველის, აგრეთვე მის წინა დროის ლიტერატურის ენის უცოდინარობას. ავტორის აზრით, ვინაიდან დროთა განმავლობაში ვეფხისტყაოსანი გადაწერის პროცესში იცვლებოდა, ყველაზე უძველესი თარიღიანი ხელნაწერი პოემისა 1646 წლისაა და თანამედროვე ქართული ენა რუსთაველის ენისაგან განსხვავდება,—ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიური მუშაობის ნაყოფიერად წარმოებისათვის საჭიროა როგორც რუსთაველის წინა პერიოდის ქართული მწერლობის შესწავლა, აგრეთვე ვეფხისტყაოსნის ეპოქის საქართველოს და მოსაზღვრე სახელმწიფოთა ისტორიის გულდასმით გაცნობა, რამდენადაც „ვეფხისტყაოსანი არის ისტორიული პოემა და თუ ისტორიული არა, ისტორიულს აღნაქვსზედ აგებული“. ავტორი შენიშნავს, რომ „ამისთანა დიდი თხზულება განყენებულად არ იბადება“, „რუსთველი ვეფხისტყაოსნის დაწერამდის უკვე ცნობილი პოეტი ყოფილა“.. ამასთან დაკავ-

შირებით, ავტორი ეკამათება სარაჯიშვილს ვეფხისტყაოსნის ზოგი სტროფის რუსთაველისათვის კუთვნილების საკითხზე, რასაც ის უარყოფდა (№ 47).

ქართულ კლასიკურ პოეზიაში საქართველოს ისტორიული სინამდვილის გამოხატვის საკითხებზე მსჯელობისას ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონაწერები შავთელიდან და ჩახრუხაძიდან და უთითებს მათ პარალელებს რუსთაველის პოეზიაში. მისი შენიშვნით, „ჩახრუხაძე იქილამვე იწყობს, საილამაც შავთელი და რუსთაველი“ (№ 48).

ავტორი ეკამათება სარაჯიშვილს ვეფხისტყაოსნის მთელი რიგი სტროფების, ტაეპების და სიტყვების წაკითხვა-გასწორებაზე და ცდილობს დაასაბუთოს, რომ მან, სარაჯიშვილმა, უმართებულოდ გამოაცხადა რუსთაველური სტროფები ყალბის ნახელადად, რასაც არავითარი ნიადაგი არა აქვს.

557. М. Георгидзе

Царина Тамара (1179—1212 г.)

(Исторический этюд.)

გახ. Новое Обозрение, 1899, 17 Марта, № 5218, გვ. 1—2;

19. Марта, № 5220, გვ. 1—2; 6. Апреля, № 5237, გვ. 1—2;

20. Мая, № 5277, გვ. 1; 3. Июня, № 5290, გვ. 1—2;

19. Июня, № 5304, გვ. 1—2.

ავტორი ქართული ისტორიისა და კულტურის პრობლემებზე მსჯელობისას ნაწილობრივ ჩერდება რუსთაველოლოგიურ საკითხებზე, განსაკუთრებით რუსთაველის შემოქმედებაზე და მის კავშირზე ქართულ კულტურასთან. თამარის გარეგანი დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს, რომ მის სილამაზეს აქებდა რუსთაველი და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ე. სტალინსკის რუსული თარგმანიდან ნაწყვეტები (№ 5218).

თამარის შეფედ კურთხევის აღწერასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი თინათინის კურთხევას აღწერს ქართული მატრიანეების მსგავსად, და მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო ადგილების პროზაული თარგმანები (Исчадие льва одиноково, будь то самка, или самец). ავტორს მოჰყავს პოეტ გულაკის აზრი იმის შესახებ, რომ რუსთაველი თინათინს ხატავს როგორც ევროპიელ ქალს, და ე. სტალინსკის შენიშვნა, რომ რუსთაველი ქართველი ქალის ემანსიპაციისათვის პირველი მებრძოლია (№ 5220).

საილუსტრაციოდ მოჰყავს სტალინსკის თარგმანი ვეფხისტყაოსნიდან როგორც თამარის საქებრად თქმული:

«Пусть грузинов поколенья, размножась на этом шаре,
Пусть читают похваленья, что слагаю я Тамаре» (№ 5230).

ავტორი უხვად სარგებლობს პლატონ იოსელიანის წერილებით რუსთაველის შესახებ (№ 5304). თამარის ეპოქის კულტურაზე მსჯელობისას შენიშნავს:

«Напрасно некоторые гениального представителя этого «золотого века» Руставели считают случайным явлением в истории Грузии, вызванным якобы влиянием персов и греков. Наоборот, Руставели настоящий сын своего века и воплощение той эпохи. Этот великий поэт, равно как и талантливые Чакрухадзе и Шавтели в своих поэмах воспели и яркими штрихами изобразили только то, что они переживали, только то, свидетелями чего они были; в звучные стихи облекли то, что пелось и рассказывалось

вокруг них, что передаются из уст в уста. Все трое — народные поэты, воспевавшие славу народа — царичу Тамару» (№ 590).

ავტორი იმოწმებს პ. იოსელიანის წიგნიდან (Описание города Душета, გვ. 64—65) აზრს რუსთაველის თანამედროვე პოეტის ჩახრუხადის შესახებ და გულაქის აზრს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ.

558. Ed. Drouin

Georgie

La grande Encyclopedie, Paris, 1899, ტ. VIII, გვ. 620.
პირველად დაიბეჭდა 1892 წელს. იხ. ანოტაცია № 425.

559. მღვდ. დ. ვარდაიშვილი

ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ერევანში

გახ. ივერია, 1899, 6 თებერვალი, № 27, გვ. 3—4.

ავტორი მოკლედ აღწერს ერევანში, თათრის ოჯახში, აღმოჩენილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს და აღნიშნავს, რომ მას თავსა და ბოლოში აკლია და იწყება შემდეგი სტროფით:

„მეჲ: ლალი: და: წყლიანი: გამხიარულდა: მეტადრე:

სიცილით: უხარა: აუთანდოლს: შვილათ: გზრდი: მით: შემომკადრე:

იყი: არ: ვიწყენ: გაზრდილო: მით: შემომიხველ: ზელ: ადრე:

და: თუ: არ: გასწილდე: მაჯობო: ზელი: გეყოფის: ზედადრე:

ავტორს შეუდარებია ეს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნის 1887 წ. გამოცემისათვის და აღმოჩენილა, რომ ამ ხელნაწერში ბეჭდურთან შედარებით მოიპოვება ბევრი ზედმეტი სტროფი და სიტყვა. ავტორი მოგვითხრობს პოეტის სიუჟეტს ამ ხელნაწერის მიხედვით იმის ნათელსაყოფად, თუ რა განსხვავებაა მათ შორის. ხელნაწერის ტექსტს ჰქონია ანდერძები, რომლებიდანაც მოჰყავს სამი სტროფი.

დასასრულ, ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი ჰქონია ერევნის ვიეე გუბერნატორს თავ. ნაკაშიძეს და საჭიროა მისი გამოყენება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დიდგენაში.

560. ვარ... [იპოლიტე ვართაგავა]

ნიჟუში „ეკოლისტების“ რისიანობა-ამპარტავნობა-ფენატეოსობისა

გახ. ივერია, 1899, 11 მარტი, № 53, გვ. 1—3, ქვეფურა, 15 სვეტი.

ქართული კულტურის შესწავლის მოკლე მიმოხილვისას ავტორი აღნიშნავს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქის საქართველოს სიდიადეს და ჰქილავს იმ „უყოჩა ნარქსისტებს“, რომელნიც უარყოფენ ქართულ კულტურის დიდ მნიშვნელობას და შოთა რუსთაველის ხსენებაზე „წამოურო-შაეთ“: „Что Шота, Шота! Он жалкий писака по сравнению, напр., с Байроном... Даже «Карамянин» десять раз лучше «Вепхис-Ткаосаня»!.

561. ძმ. თავართქილაძეები

წინასიტყვაობისებური

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა, ბათუმი, 1899, გვ. VIII+ 288.

წინასიტყვაობა (გვ. V—VI) ზოგადად ეხება ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და სიდიადეს და მისი დროის ქართულ კულტურას. მოკლედ დახასიათებუ-

ლია რუსთაველის მთავარი იდეალები აფორიზმების მიხედვით და სხვათა შორის აღნიშნულია: „კიდევ გაივლის მრავალი საუკუნე და „ვეფხისტყაოსანი“ დროთა წყვედიდში იმოგზაურებს მანამდე, სანამ ქართველები და მათი ენა იარსებებს. დიახ, იგი არის და იქნება ქართველების გონებრივი კულტურის საწყაე-საზომი ემბლემა“.

საქართველოში რუსთაველის განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზად აეტორს მიაჩნია „ის დიდებული პოეტური სურათები და მეცნიერულ-ფილოსოფიური აზრები, რომლებიც მაგნიტივით იზიდავს მკითხველს“.

562. მლ. შ. კელ-ძე

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სიტყვიერების თეორია სალიტერატურო ნიმუშების დამატებით.

სახელმძღვანელო წიგნი სათავად-ზნაურო სკოლებისა, სასულიერო და

საოსტატო სასწავლებლებისა, სემინარიულებისა და საეპარქიო საქალგობ სკოლებისათვის,

შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, თბილისი, 1898 წ.

გაზ. ივერია, 1899, 18 მარტი, № 59, გვ. 3.

რეცენზენტს სწორად არ მიაჩნია რუსთაველის ლექსის ცეზურის განსაზღვრა, რომელიც წიგნის აეტორებს აქვთ მოცემული. მისი აზრით, რუსთაველის 16 მარცვლოვან ლექსში ერთი ცეზურა კი არ უნდა დაისევას შუაზე:

„იყო არაბეთს როსტევან | მეფე ღვთისაგან სვიანი“

არამედ სამი ცეზურა „ხმის ასატოკებლად და ლექსის ჰარმონიულად წასაკითხვად“:

„იყო არაბეთს | როსტევან | მეფე ღვთისაგან | სვიანი“,

563. В. К-ძე

Вновь найденная рукопись «Барсовой кожи» (письмо из Эривани)

გაზ. Новое Обозрение, 1899, 4 февраля, № 5179, გვ. 1.

მოკლე ცნობა იმის შესახებ, რომ ერევნის გუბერნიის დაბა ივლირში უპოვიათ ვეფხისტყაოსნის ძველი ხელნაწერი. ხელნაწერი საკმაოდ კარგად უოფილა დაცული, ცოტა აკლია თავსა და ბოლოში. ჩარკვიანის 1887 წ. გამოცემის ტექსტთან შედარებით ხელნაწერი შეიცავს ზედმეტ სტროფებს და განსხვავებულ წაკითხვებს. ცნობაში მოყვანილია სამი ჩანართი სტროფი, ორში სარგისია მოხსენიებული. პირველი ასე იკითხება:

ესე ამბავი ნარჩოში მათ ღომათა შორეშით მგონეთა

გალექსვა აკლდა [ხ]ვარაზთა მეტად ვერ მოვიგონეთა.

ძნელია პოვნა გულ პერთა დავარდი დავიღონეთა,

და კვლავ ვთქვი ლექსი გაუმართო მონმენით გარგონეთა.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ეს საყურადღებო ხელნაწერი ინახება ერევნის ვიცე-გუბერნატორ თავად ნაკაშიძესთან.

564. Л. Л.

Некроли Николая Ивановича Гулака

კრებული: СМОМПК, 1899, Тифлис, выпуск двадцать шестой, გვ. 156—157.

აეტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ გულაკის სტატიაში «О Барсовой коже», რომელიც 1884 წელს СМОМПК-ში იყო მოთავსებული, კავკასიის-მცოდნეობას დიდი სამსახური გაუწია.

Возникновение и расцвет древне-грузинской светской литературы

თრბ. ЖМНП, 1899, XII, გვ. 223—252.

ქართული საერო ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ ძველ საქართველოში ძლიერ ბევრი უნდა ყოფილიყო საერო თხზულებათა რიცხვი, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შესავლის სტროფებში გამოთქმული შენიშვნები პოეზიის სხვადასხვა გვარობის არსებობის შესახებ (გვ. 230).

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ლიტერატურა მხოლოდ მიბადებით არ ყოფილა, როგორც ეს ზოგჯერ ჰგონიათ, და ეს მიბადება მხოლოდ რამდენიმეჯერ იქნეს თავს, სხვათა შორის, იმით, რომ იყო რამდენიმე ცდა რუსთაველის შეესებისა, მისი თხრობის გაგრძელებისა ტარიელისა და აეთანდლის შეილების ამბებით (გვ. 235). მისი აზრით, არსებობდა ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოუღწეველი პროზაული თხზულება, რომელიც რუსთაველმა გამოიყენა (გვ. 236). ძველი ქართული საერო მწერლობა საერო ხასიათისა იყო, რაც მტკიცდება იმითაც, რომ თვითონ შოთა აღნიშნავს, რომ მას უბრძანეს პოემის დაწერა (გვ. 271). ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან მე-4 და მე-5 სტროფი საკუთარი თარგმანით და ურთავს ვრცელ კომენტარს.

«Будем величать царшу Тамару, проливша кровавые слезы,

Ей я сказавъ хваленю, недурно выбранимъя».

ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს არჩილის გაბაასებიდან თეიმურაზის მიმართვა რუსთაველისადმი, რომ შენ წერდი შექვეთითაო (გვ. 243), და ვეფხისტყაოსნის სტროფი: «ეინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად...».

566. პეტრე შირიანაშვილი

საისტორიო უენიუენა

გახ. ივერია, 1899, 13 ოქტომბერი, № 220, გვ. 4.

ავტორი ეხება სხვადასხვა ერთა აღმშენის ფერადობას და შენიშნავს, რომ ქართველების საერო ალამი ორფერი ყოფილა—წითელშავი, რაც ჩანს ვეფხისტყაოსნის ერთი ადგილიდან; ხატველებთან ბრიოლის აღწერისას ტარიელი ამბობს:

„ეკმაროე დროშა მეფისა, აღმითა წითელ-შავითა“.

ავტორის აზრით, საჭიროა ამ საკითხის სპეციალური შესწავლა, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის ჩვენებას დადასტურებენ თუ არა სხვა ქართული მასალები..

567. ვუუუნა

გაკვერით

გახ. ივერია, 1899, 4 ივლისი, № 140, გვ. 2.

წერილი მიმართულია ვინმე კ. მაქავარიანის წინააღმდეგ, რომელსაც ბათუმის რუსულ გაზეთში მოთავსებულ წერილში გაუყალბებია ქართული ისტორიისა და კულტურის საკითხები.

ავტორის შენიშვნით, მაქავარიანმა არ აკმარა ქართველებს, რომ სამურზაყანო ჩამოათალა, ახლა ამტკიცებს, რომ არუსთველი, ჩვენი შოთა რუსთა...

ველი, ქართველი კი არა ყოფილა, არამედ იტალიელი, რომლის ერთი ბიძა-შვილი თურმე თვითონ კ. მაქავეარიანს უნახავს ამ დღეებში ბათუმის ბულვარში“.

568. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

გამოცემა მმ. თავართქილაძეებისა, ბათომი, 1899 გვ. VIII+288.

ტექსტს უძღვის „წინასიტყვაობისებური“ (გვ. V—VI); ტექსტს სათვალავი არა აქვს და შეიცავს 1551 სტროფს.

ბოლოს ერთვის „სიტყვების განწარტება“ (გვ. 280—288).

569. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

(სურათებით) მეთოთხმეტე გამოცემა ვლადიმერ სიმონის ძის ყიფიანის მიერ, თბილისი, 1899 წ., გვ. VIII+256.

ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა (გვ. V—VI) ვლადიმერ ყიფიანისა. რომელშიაც ჩამოთვლილია პოემის ყველა გამოცემა და მისი წერილი „შოთა რუსთაველი“ (1172—1215) (გვ. VI—VIII).

პოემის ტექსტი დაბეჭდილია უნუმერაციოდ. შეიცავს 1602 სტროფს. ტექსტს ბოლოში ერთვის რუსთაველისადმი მიწერილი სამი ლექსი:

„თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ღეთის-მშობელს დროშა და მანიაკ-მიართვა, ეს იამბიკო ხეთეული ოც-და-ხუთ ლექსად შოთა რუსთაველმა აღწერა“ (გვ. 239); „იამბიკო ესე თქმული რუსთაველის მიერ, ზედა-წარწერილ არს ხატსა ზედა ხახულის ღეთის-მშობლისასა“ შვიდი სტრიქონი (გვ. 240); „ზრდილობა და გვარიშვილობა თქმულია შოთა რუსთაველის მიერ“ ერთი სტროფი (ფილოსოფოსნი შემოკრებენ, ამახედ ჰქონდათ ცოდობა) (გვ. 240); ლექსიკონი „ძველი სიტყვების ახსნა“ (გვ. 241—253). დასაწყისი „ა გ ა რ ი — ქ ლ ა კ ს გ ა რ ე ა დ გ ი ლ ი“. ბოლო: „ჯ უ ბ ა ჩ ი — მ ა ტ ა რ ა ჯ უ ბ ა“.

570. ალ. სარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები

ურნ. მოამბე, 1899, № I, გვ. 11—34; X. გვ. 35—61.

მონოგრაფიული გამოკვლევა, იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით 1895—1901 წლებში. იხ. საერთო ანოტაცია № 491.

571. ალ. ხ.-შვილი [ხარაჯიშვილი].

გინდ „სამი ალი“, გინდ „საშალი“.

გაბ. ივერია, 1899, 14 თებერვალი, № 34, გვ. 1—3, ქვედურა, 15 სვეტი

ავტორი ეკამათება მ. გიორგიძეს მის მიერ დაბეჭდილი შენიშვნების გამო. „სამ ალი თუ სამი ალი“ („ივერია“, № 3). იგი არ ეთანხმება იმაზე, რომ ეფეხისტყაოსნის ტექსტის ვაგების საფუძველი, მისი სიტყვების მნაშვნელობა. რუსთაველის წინა დროის ლიტერატურისა და ენის შესწავლით იხსნებოდა. ავტორის აზრით, ეფეხისტყაოსნის გასაგებად საჭიროა თვით რუსთაველის ენის შესწავლა, რაც საშუალებას მოგვცემს ეფეხისტყაოსანში ჩამატებული სტროფები შევამჩნიოთ.

ავტორის დასკვნით, მ. გიორგიძის ეტიმოლოგიები და განმარტებანი ვეფხისტყაოსნის ტექსტის გაგებას ვერაფერს მატებენ.

№72. [უავტორო]

ახალი აშავი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის პოვნა]

გახ. ცნობის ფურცელი, 1899, 5 თებერვალი, № 742, გვ. 1—2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ერევნის გუბერნიაში დაბა ოგდირში უპოვიათ ძველი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა. ხელნაწერი ნაკლულია. ბერეს ადგილებში დაბეჭდილ ვეფხისტყაოსანს არ წააგავს, სათაურებიც შეცვლილია. მოიპოვება ტარიელის ანდერძი. შეიცავს 84 გვერდს. ხელნაწერი ერევნის ვიცეგუბერნატორის ნაკაშიძის ხელშია.

№73. [უავტორო]

ახალი წიგნები

გახ. ივერია, 1899, 27 აგვისტო, № 184, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს მცირე რეცენზიას ვეფხისტყაოსნის ორ გამოცემაზე—ვლადიმერ ყიფიანისა ტფილისში 256 გვერდით და ძმ. თავართქილაძეებისა ბათუმში 288 გვერდით.

ავტორი ნოკლედ ახასიათებს მათ შედგენილობას და დასასრულ აღნიშნავს, რომ სასიამოვნოა ვეფხისტყაოსნის იაფი გამოცემების გამოსვლა.

№74. [უავტორო]

ახალი აშავი. ახალი წიგნი

[ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა]

გახ. ცნობის ფურცელი, 1899, 20 აგვისტო, № 896, გვ. 2;

3 სექტემბერი, № 907, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ რედაქციამ მიიღო კ. თავართქილაძის მიერ დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის სახალხო გამოცემა, 288 გვერდით, დასურათებული. იქვე ცნობა, რომ შზადდება უფრო მდიდრული გამოცემა (№ 896).

ცნობა ვეფხისტყაოსნის მეთორმეტე გამოცემის მიღების შესახებ ვლადიმერ ყიფიანის გამოცემით. მოკლე აღწერილობა (№ 896).

№75. ბეტრე უშიკაშვილი

ჩვენის თეატრის თავგადასავალი

გახ. ივერია, 1899, 3 ოქტომბერი, № 212, გვ. 1—4.

ავტორი 70-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ-თეატრალურ ცხოვრებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ ლიტერატურულ საღამოზე დიმიტრი ყიფიანმა წააქითხა ვეფხისტყაოსნიდან ერთი ნაწყვეტი—ქაჯეთის ტიხზე მისელის თათბირი (გვ. 2, სვეტი 1).

576. ანტ. ფურცელაძე

შოთა რუსთაველი და მისი ცოლი (ლეგენდა)
ბათუმი, 1899, 16 გვ.

წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს რუსთაველის სიდიადესა და პოპულარობას და ეხება „რუსთაველი“-ს სახელწოდების გაგებისა და პოემის ორიგინალობის საკითხს. ავტორს მოჰყავს ლეგენდა შოთა რუსთაველზე მოღალატე ცოლის მოტივით.

დასაწყისი:

„პირათ გარდმონაცემის სიტყვით, რუსთველი ყოფილა ფრიად მშვენიერი ფეოლ-ტანადი, გამოჩენილი მხედარი; ყოფილა ჩინებული მოსაქრავე, შესანიშნავი მეომარი; გონებით დიდებული, ცოდნით მეცნიერი და აზრით ფილოსოფოსი“.

ლეგენდის დასაწყისი:

„ერთ კვირა დღეს მეფის სასახლეში იყო რუსთაველისათვის თამარ მეფისაგან გამართული სხდომა“.

დასასრული:

„ძამ გაიგონა და ნახა ეს ყველაფერი. ის უცებ შევარდა დასთან, იძრო ხმალი და ერთის თვლის დახამსებამაჲდ მოსჭრა თავი არაბს. ჩადო პარკში, მოჭრა პარკს პირი, დაკიდა დას გულზედ და უთხრა:

— არ გინდოდა მაგ თავის მოშორება და აჰა, გეკიდოს გულზე დღე და ღამ, და ნუღარ მოიშორებ. შენ ქვეყანა ანაცვალე მაგას და დღე მაგან გაცხონოს შენ“.

577. ვლადიმერ ყიფიანი

შოთა რუსთაველი 1172—1215

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (სურათებით), მეთოთხმეტე გამოცემა ვლადიმერ სიმონისძის ყიფიანის მიერ, თბილისი, 1899 წ., გვ. VI—VIII.

ტექსტი წარმოდგენს ვეფხისტყაოსნის გამოცემისათვის დართულ შესავალ წერილს.

ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს და აღნიშნავს პოემის ორიგინალობას, რისთვისაც იმოწმებს ვახტანგ მეფესა და აკაკის მოჰყავს ანალოგიების სქემა საქართველოს ისტორიასა და პოემის ცალკეულ ჩვენებათა შორის.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას და სიდიადეს საქართველოში.

იქვე, გვ. V—VI, მოიპოვება პატარა „წინასიტყვაობა“, რომელშიაც ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის სახალხო, იაფ გამოცემათა საკითხს და აღნიშნავს, რომ ტექსტი გადამოებულია ქართველიშვილის გამოცემიდან. დასასრულს, ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის მანამდე არსებულ გამოცემათა ბიბლიოგრაფია.

578. აკაკი [წერეთელი]

ცოცხალი სურათები
უძღვნი დ. ა. ბაგრატიონ-დავითისშვილს

კრებ. კრებულთა, 1899, ივლისი, № VII, განვ. I, გვ. 1—5.

ავტორის ეს ლექსი აგებულია ვეფხისტყაოსნის მოტივზე, რომელსაც სქოლიოში დართული აქვს შენიშვნა: „ჩვენის აზრით რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში „როსტევეან მეფედ“ მეფე გიორგი გამოსახა, თამარის მამა; „თინათინად“—თამარი; „სოგრატ ბრძენად“—ქიაბერი და „ავთანდილად“—მხარ“.

გარდელი ზაქარია. თამარის ქაღალდი ერთა იყო და ტახტზე აყვანა მისი და გა-
მეფება ქიაბერმა ურჩია შეფეს“. ლექსის დასაწყისი:
„თუა ქალია, მართოდენ,
ლეთისაგან დანაბადია!...
ღმერთი ლომისა სწორია—
ძუ იყოს, გინდა ზედიღა!“
ასე შეჯადრა დიდ-მეფეს
ქიაბერ ბრძენმა-სოგარტმა
და მით გამოსთქვა უტყუვრად
მთლად საქართველოს გულის-თქმა.“

• 579. ლია ქავჭავაძე

სომეხთა შეწიერნი და ქვათა ლაღლი, წერილი ლია ქავჭავაძისა

გაზ. ივერია, 1899, 25 მარტი, № 65, გვ. 1—4. ქველურა.

არსებობს ცალკე გამოცემა ივერიის რედაქციისა, ქ. ტფილისი, 1899, გვ. 202, რომელიც განმეორდა რამდენიმეჯერ. უკანასკნელი გამოცემა 1941 წ. თბილისში, ტ. II, გვ. 417—479.

პატკანოვთან კამათის დროს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ისტორიის საკითხებზე ავტორი უსაყვედურებს ქართველების დამცირობას და შენიშნავს: „ვინც განგებ გონება-დახშული არ არის, ან განგებ თვალებზე ხელ-აფარებული, ვინც კითხუა იცის და გაგება წაკითხულისა, განა იკადრებს თქმას, რომ ვეფხის-ტყაოსნის“ შემქმნელი ვრი იმდენად ბრწყინი იყო, რომ ისტორიის საკითხების გრძობაც არა ჰქონიაო“ (გვ. 34—35). ამასთან ერთად იქვე აღნიშნულია, რომ პატკანოვს არ წაუეითხია ვეფხისტყაოსანი.

ავტორი ჰკილავს ნ. მარის ცოლსაზრებას ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან თარგმნილობის შესახებ როგორც ყოველგვარ საბუთანობას მოკლებულ ცილისწამებას და შენიშნავს, რომ მისი განზრახვა ვეფხისტყაოსნის სპარსული მანუსკრიპტის აღმოჩენისა ჰქონდა და არა (გვ. 67—58).

წიგნში ავტორი სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას ხშირად იყენებს ვეფხისტყაოსნის აფორიზმებს.

• 580. ზ[აქარია] ქ[ავჭავაძე]

მიერ შენიშვნა „ვეფხის ტყაოსნის“ ახალი ვარიანტის შესახებ

გაზ. ცნობის ფურცელი, 1899, 3 მარტი, № 763, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ის ხელნაწერი, რომელიც ერევნის გუბერნიაში აღმოჩნდა, არ უნდა იყოს „შესანიშნავე ვარიანტი“, რადგან მასში ერთი რეცენზენტის მიერ ნახული ის ადგილები, რომლებიც 1888 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტს არა აქვს, მეჩვიდმეტე საუკუნეშია დაწერილი ვინმე ნანუჩა ციციშვილის მიერ. ამ ადგილებს: „უხადათ აქლია რუსთველის შემოქმედებითი ძალა, მკვეთრი ბასრი ტალი და დიდი მხატვარ ხელოვნება“. ავტორი შენიშნავს, რომ ისინი ადრევე შენიშნული იყო და ქართველებმა გამოაყენეს. ვახტანგის დროს შედგენილმა ვეფხისტყაოსნის კომისიამ საჭიროდ არ დაინახა მათი პოემაში მოთავსება. ავტორი ზოგადად ეხება მათ მნიშვნელობას და დასასრულს შენიშნავს, რომ ერევნის გუბერნიაში ნაპოვნ ხელნაწერს მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა ტექსტის დადგენისათვის და საჭირო იქნება მისი გამოყენება ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის დროს.

• 581. ა. ხახანაშვილი

ვეფხისტყაოსნის ახალი ვარიანტის შესახებ

ფურც. ქვალი, 1899, 4 აპრილი, № 14, გვ. 228—229.

ავტორი ეხება ერევნის გუბერნიაში აღმოჩენილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერს, რომლის შესახებ პრესაში უკვე ბევრი ითქვა („ივერია“ № 24, „НОВОЕ ОБОЗРЕНИЕ“, № 5179). ავტორს ეს ხელნაწერი შეუდარებია პ. კარბელაშვილის მიერ ნაპოვნ ვეფხისტყაოსანთან და სხვა ხელნაწერებთან. აღმოჩენილია, რომ

ისინი ერთნაირია და ხასიათდებიან პოემის გაგრძელებებით. ავტორი მოკლედ ახასიათებს ამ ხელნაწერთა ურთიერთობას და ასკენის, რომ მასში უცნობი და ახალი არაფერია, მაგრამ მაინც ღირს, ის დატული იყოს.

582. ა. ხახანაშვილი

ისტორიული შენიშვნები

გაზ. ივერია, 1899, 31 ოქტომბერი, № 234, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში რაინდული ელფერისა და თვისებების გამოხატულებას, იხსენიებს მისსავე შრომებში ამია შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და მოჰყავს პოემიდან სათანადო სტროფები. ავტორი შენიშნავს, რომ ევროპულ პოეზიაშიც ცნობილია რაინდის ეს თვისებები, რომლებითაც რუსთაველი თავის გმირებს აღქურავს (მამაცობა, სიუხვე, სულგრძელობა, კეთილგონიერება და სხ.). მათში ბევრია საერთო, მაგრამ ევროპულ რაინდს აკლია სიტურფე და მზეობა. ევროპული პოეზიის რაინდი მხოლოდ მეომარია რუსთაველის რაინდთან შედარებით, რომელიც უფრო მეტად სოციალურია და მიჯნური.

583. А. Хаханов

Руставели (Шота)

Энциклопедический словарь

Издатели Ф. А. Брокгауз (Лейпциг), И. А. Ефрон (С.-Петербург).

С.-Петербург, 1899, том XXVII, (გარე ყდაზე წარწერა 53), გვ. 364—365.

ავტორს მოჰყავს რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები, ხსნის სიტყვა „რუსთველი“-ს ეტიმოლოგიას, იხსენიებს რუსთაველის შესახებ არსებულ ლეგენდებს, ზოგადად აფასებს ვეფხისტყაოსანს, აღწერს მის შედგენილობას, ეხება პოემის ორიგინალობას და რუსთაველის ეპოქის საქართველოს კულტურულ მდგომარეობას, აღნიშნავს ვეფხისტყაოსანის გაგრძელებათა არსებობას, მის ღვეწას სამღვდლოების მიერ, არჩევს პოემის სიუჟეტის საკითხს, მისი წარმოშობის სამ თეორიას და მხარს უჭერს ვეფხისტყაოსანის ხალხური ტარიელისაგან წარმოშობილობას. მისი აზრით, რუსთაველმა დიდი ისტორიული ეპოქის გამოსახატავად ხალხური თქმულებით ისარგებლა.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის იდეებს, მთავარ გმირებს, შოტივებს და აფორიზმებს. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანი დიდი მნიშვნელობა მის მხატვრობასა და პროგრესული იდეების ქადაგებაშია.

დასასრულს, ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსანის თარგმანებს უცხო ენებზე, ასახელებს მთავარ გმირებს და საყურადღებო შრომებს რუსთაველზე.

584. М. Джанашвили

Известия грузинских летописей и историков о Херсонисе, Готфии, Осетии, Хазарии, Дидоетии и России.

კრებ. СМОМПС, Тифлис, 1899, выпуск двадцать шестой, отд. I, გვ. 1—101.

ავტორის დილაორიანისა და ამირანდარეჯანიანის გმირების დახასიათებისთან დაკავშირებით მოჰყავს ვეფხისტყაოსანის უკანასკნელი სტროფი „ამირან და რეჯანისძე“ და მისივე პროზაული თარგმანი, პატარა შენიშვნით (გვ. 96). ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს, რომ XI—XII საუკუნეებიდან მოკვებობა რამდენიმე თხზულება ორიგინალური წარმოშობისა, მათ შორის

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, რომლის ენა, უაღრეს სრულყოფამდე მიღწეული, არაერთარი უცხო გავლენის კვალს არ ამჟღავნებს (გვ. 97).

1900

586. შამუკა ბარათაშვილი

სწავლა ლექსთა თქმისა, დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ქაშნიკისა, პოეზილი შამუკას ბარათაშვილისა შიერ ქველთა ნათქვამთაგან

წერილში: აღ. ხახანაშვილი, მე-XVIII საუკ. ქართული თეორია ლექსთა წყობისა. თურნ. მოამბე, 1900, № 12, გვ. 50—68.

ავტორი გაკვირით ეხება რუსთაველის ლექსის საზომს შაირის აგებულე-ბასთან დაკავშირებით (გვ. 52—53; 55). ტექსტი რამდენჯერმეა გამოცემული. იხ. ანოტაცია 1920 წლის გამოცემასთან.

586. М. Глушков

Очерки из истории Грузии и присоединение ея к России

თურნ. Кавказский Вестник, 1900, Май № 5, გვ. 13—49.

თაზარ მეფის ეპოქაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ მის დროს ცხოვრობდა ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი—საქართველოს პო-მეროსი, რომელმაც შექმნა ქართული პოეზიის მშვენიება ვეფხისტყაოსანი (Барсова книга). პოემის შინაარსი რომანულია, ინდურიდან ნასესხები და ასე ჰქვია პოემას იმიტომ, რომ მის გმირს ინდოეთის მეფის შვილს ტარიელს ვეფხის ტყაეი აცივიაო.

587. Н. Марр

Два древне-грузинских описания

I. Ноами Шавтсхи

თურნ. Кавказский вестник, 1900, № 1, январь, отд. II, გვ. 56—77.

ავტორი განმარტავს რუსთაველის ლიტერატურულ ცნობას: „აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქტეს რომელსა“ და მოჰყავს საკითხის ისტორია. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი როგორც სახელი, მიუთითებს გმირის გარეგან მხარეს, აბდულ-მესია—შინაგანს (გვ. 57). რუსთაველი, როგორც ჩანს, მოხიბ-ლული იყო შავთელის ლექსით და ამ სტრიქონში ის აქებს შავთელის ლექსს (გვ. 67). მოჰყავს რამდენიმე პარალელი ვეფხისტყაოსნისა აბდულმესიასთან, რაშიაჲ, მისი აზრით, ჩანს მსგავსება (გვ. 67—68). შავთელი, რომლის ლექსსაც აქებს რუსთაველი, თუ თანამედროვე არა, ყოველ შემთხვევაში უთუოდ უფრო-სია მასზე (გვ. 70). როდესაც რუსთაველმა დაამთავრა ვეფხისტყაოსანი, შავ-თელი უკვე ცნობილი იყო. შავთელის გავლენა რუსთაველზე მიუთითებს რუს-თაველის მიერ შავთელის პოეზიის ახალგაზრდობაშივე ცოდნას.

შავთელში არსებული ეკლესიურ-ლიტერატურული ხერხები მას ასხვა-ვებს რუსთაველის ენისაგან, რომელშიც სპარსული საერო ნაკადი უფრო მე-ტად იგრძნობა.

588. შოთა რუსთაველი

ვეფხის-ტყაოსანი

გამოცემული გრ. ხარყიანის მიერ. თბილისი, 1900, 412 გვ.

წიგნი ჯიბის ფორმატისაა, თითო კვერდზე 4 სტროფია მოთავსებული-წინ ერთვის შოთა რუსთაველის პორტრეტი.

ტექსტს არა აქვს წინასიტყვაობა, ლექსიკონი, სარჩევი.

შაირი დაბეჭდილია ცეზურაზე გაყოფით, რვა სტრიქონად:

რომელმან შექმნა სამყარო

ძალითა მით ძლიერითა...

სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. შეიცავს XLVII თავს. ბოლო თავია: „აქა ქორწილი აეთანდღისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან“.

589. ალ. ხარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის ფაღბი ადგილები

ეურნ. მოამბე, 1900, № III, გვ. 1—18; IV, გვ. 46—55; V, გვ. 18—40; VII, გვ. 1—20; VIII, გვ. 21—38; X, გვ. 1—18.

მონოგრაფიული გამოკვლევა, იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით 1895—1901 წლებში. იხ. საერთო ანოტაცია № 491.

590. [უაფგორო]

ახალი ამავი [ვეფხისტყაოსანი მაინცში და მსოფლიო გამოყენაზე]

გაზ. ივერია, 1900, 21 იანვარი, № 15, გვ. 1.

ჟურნ. კვალი, № 7, გვ. 104—105.

გაზ. ცნობის ფურცელი, 10 თებერვალი, № 1040, გვ. 2.

5 ნოემბერი, № 1289, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას მაინცში განზრახული ჰქონებოდა გამოფენისათვის გაუგზავნია გ. ქართველიშვილის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი (№ 15, № 7).

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ მაინცის ქალაქის თავს, დოქტორ გასნერს, წ. კ. გ. საზ. გამგეობისათვის გამოუგზავნია მადლობის წერილი ვეფხისტყაოსნის გაგზავნისათვის, რომელშიაც სხვათა შორის წერია:

„თქვენ თქვენის უმშვენიერესი საჩუქრით მეტად ღირსეულად პატივი ეცით გუტტენბერგის დღესასწაულს და გუტტენბერგის მუზეუმს. მიიღეთ უმხურავლესი მადლობა თქვენი მშვენიერი საჩუქრისათვის, რომელიც სასახელოა ქართული სტამბისათვის და რომელიც თქვენი მაღალი სულოვნობის ნიშნად დარჩება სამუდამოდ გუტტენბერგის ქალაქში“ (№ 1040).

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ პარიზში ფრანგულად დაიბეჭდა პროფ. ა. ხახანაშვილის წიგნი საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე რაფ. ისარლიშვილის წინასიტყვაობით. ეს წიგნი დაბეჭდილია პარიზის მსოფლიო გამოფენისათვის, რომელშიც ქართული ექსპონატებიც უფილა გამოყენებული. ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვაში უფილა შოთა რუსთაველის სურათი და ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი (№ 1289).

591. ბ. ც—ხკო

წერილი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. გ. შორფილისა

„Georgische Dichter“ არტურ ლეისტისა და „Щарина Тамара“ მ. ჯანაშვილისა

გაზ. ივერია, 1900, 11 ოქტომბერი, № 221, გვ. 1—2.

წერილი წარმოადგენს შორფილის სტატიის ქართულ თარგმანს, რომელიც დაბეჭდილი უფილა ინგლისურად (Journ. royale asiatique society, გვ. 562—566). ამ წერილში მოხსენებული უფილა მარჯორი უორდროპის ზეშაობა ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანზე და არტურ ლეისტის გერმანული თარგმანი ვეფხისტყაოსნისა. აქვე ავტორი გაკვრით ახასიათებს ამ თარგმანს,

აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში და დასასრულ შენიშნავს, რომ „შოთა რუსთაველი, მსგავსად არიოსტოსი, იყო კემარატი მესტიერე („ტრუბადურ“). მსგავსებას აქ ის ემატება, რომ შოთა იყო, როგორც ამბობენ, უიმედო მოტრფიალე თამარ მეფისა“.

592. Professeur M. A. Khakhanoff

Aperçu géographique et Abrégé de l'Histoire et de la Littérature géorgienne par M. A. Khakhanoff Professeur

Paris—Tiflis. 1900, გვ. 112.

თამარის მეფობასთან დაკავშირებით ავტორი გაკვირით ახსენებს შოთა რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს (გვ. 53).

ქართული მწერლობის სპეციალურ მიმოხილვაში რუსთაველსა და მის პოემას მიძღვნილი აქვს რამდენიმე გვერდი (გვ. 90—96). ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის დიდ მნიშვნელობას ქართული მწერლობისათვის, მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები, მოკლედ განიხილავს მის შედგენილობას, ვახტანგ მეფის მიერ 1712 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, ვეფხისტყაოსნის გამოცემა-შესწავლის ისტორიას.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებს და ტარიელს აღარებს ფაუსტსა და ჰამლეტს. ანალიზს უკეთებს პოემის შინაარსს და აღნიშნავს მის გავლენას ქართული პოეზიის განვითარებაზე.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის თარგმანებს და ახასიათებს ლაისტის გერმანულ (ლაიფციგი, 1880), და ახას ბორენის ფრანგულ (1885) თარგმანებს. ახსენებს ვეფხისტყაოსნისათვის დართულ ვახტანგის კომენტარიებს (გვ. 98).

ამ წიგნის შესახებ: „მოგზაური“, 1901, № 6—7, გვ. 721—725.

593. М. Г. Джанашвили

Царица Тамара

Тифлис, 1900, 127 გვ.

ავტორი თამარ მეფის ცხოვრებისა და მისი ეპოქის კულტურის მიმოხილვაში გაკვირით იხრდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 21, 22, 24, 39, 46, 48, 49, 60, 61, 77, 82, 83, 92. 126).

ავტორი ვეფხისტყაოსანს უწოდებს ქართველთა სახარებას და მოჰყავს რამდენიმე აფორიზმი რუსულ თარგანში (გვ. 21).

ავტორს თამარის ვარგნობის აღწერისას მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ციტატი, როგორც თამარის ქება (ე. სტალინსკის თარგმანი, გვ. 39) და მისივე დახასიათებისას—რამდენიმე სტროფი (გვ. 60—61).

ავტორი თამარის გამეფების აღწერისას იგონებს საანალოგიოდ თინათინის განხელმწიფებას და მოჰყავს პარალელად რამდენიმე სტროფის თარგმანი (გვ. 46—47). გადმოცემულია გულაქისა და სტალინსკის შეხედულებანი რუსთაველის აფორიზმებზე (გვ. 48, 49) და გულაქის შეხედულებანი რუსთაველზე (გვ. 84, 85).

ავტორი შენიშნავს, რომ ტყუილად თვლიან ზოგიერთები რუსთაველს შემთხვევით მოკლენად საქართველოს ისტორიაში, პირიქით, ის არის თავისი დროის ნამდვილი შვილი და მისი დიადობის განსახიერება (გვ. 82—83).

ავტორის მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები, პლ. იოსელიანის წერილის ამონაწერი (გვ. 86, 92) და შენიშნავს, რომ შოთა ცინიანის შფოლობელი, იგივე შვილი ქიაბერისა, რომელიც ხელს აწერს ქიაბერის სიგელზე, შესაძლოა ვეფხისტყაოსნის ავტორი იყოს.

594. A. B.

„В Барсовой коже“ (картины для сцены) по иркутской пьесе того-же названия Шота Руставели, составил Р. Кинвари. С портретом Ш. Руставели и 5-ю иллюстрациями в тексте, СПб, 1901.

ჟურნ. Кавказский Вестник, Тифлис, 1901, Книга XXIII, № 11, ноябрь, გვ. 127.

შენიშნა წარმოდგენს მკირე ბიბლიოგრაფიულ ცნობას, რომელშიაც ავტორი მოკლედ აღწერს წიგნის შედგენილობას, და შენიშნავს, რომ პოემის შინაარსში ბევრია გამორტოვებული, ზოგი ეპიზოდი ჩართულია. თარგმანი პოემისა გაკეთებულია თეთრი ლექსით.

595. ზაქარია გულისაშვილი

პეტრე ლარაძე და მისი თანამედროვე მწერლობა

გახ. ივერია, 1901, 10 იანვარი, № 7, გვ. 2—3.

ავტორი ქართული მწერლობის განვითარების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „პოეზია სარწმუნოების ენისა განგაშით გადადის საერო მდიდარ პოეზიაზედ... იბადება უკედავი შოთა თავისის „ვეფხვის ტყაოსნით“ (გვ. 2, სვეტი 4).

ავტორი საქართველოს ახორებათა შემდგომ ქართული ლიტერატურული ცხოვრების გაღვიძების აღნიშვნისას დასძენს, რომ „დროგამოშვებით ამ ვარამშიაც ანათებენ უბედურს არემარეს ერის მნათობნი: დავით გურამიშვილი, ვახუშტი, იონა ხელაშვილი, ანტონ კათალიკოსი, მეფე თეიმურაზი... ყალბობისა და მიბადვის დროთ მიითელება, როდესაც უკედავი შოთა რუსთაველის პოემას ვილაც ნაწუჩა ციციშვილი განაგრძობს, ასახიჩრებს და არც კი ამბობს, საიდან იწყებს ამ საქმეს და სად ათავებს...“ (გვ. 3, სვეტი 1).

1901

596. ფ. გ. [ფილიპე გოგინაშვილი]

Gottfried Merzbacher — Aus den Hochregionen des Kaukasus, Wanderungen, Erlebnisse, Beobachtungen.

Leipzig, 1901, 2 ტომი, XXXVII + 951 გვ. და VI + 963 გვ.

გახ. ივერია, 1901, 10 ივლისი, № 148, გვ. 2—3.

რეცენზენტი გაკვრით ეხება მერცხაბერის წიგნში ქართული ლიტერატურის დახასიათებას, რომელშიაც ზოგადად ყოფილა შეფასებული შოთა რუსთაველის შემოქმედება და ვეფხისტყაოსნის დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ სამშობლო კულტურის ფარგლებში.

597. P. Кинвари

В Барсовой Коже. Картины для сцены. По грузинской поэме того же названия Шота Руставели. Составил P. Кинвари

С портретом Ш. Руставели и 5 иллюстрациями в тексте.

С.-Петербург, 1901, 82 გვ.

ტექსტი შეიცავს 15 სურათს და აპოთეოზს. წინ უძღვის ავტორის წინა-სიტყვაობა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ მოკლე ცნობებით და პოემის ნაწყვეტები გულაკის თარგმანით. თვითეულ სურათს შესავლის სახით მოეპოვება პროზაული ახსნა-განმარტება მოქმედების გასაგებად. დიალოგები გაკეთებულია ლექსად.

„Действующие лица:

Парсадан—царь соединенной Индии. Нестан-дареджана—его дочь. Давара—его сестра, вдовствующая каджетская царица, воспитательница Нестан-Дареджаны. Асмата—преданная сурга Нестан-Дареджаны. Тарцель—сын Сарнадана, царя одного из семи царств Индии, воспитанный в доме Парсадана. Ростеван—арабский царь. Аптадилъ—главнокомандующий арабских войск, воспитанный царя Ростевана. Придон — владетельный князь. Мелик-Сурхав—царь Приморского царства. Уссени—старший купец в Гулаишаре, в столице Приморского царства. Фатмаиш—его жена. Чачмагир — служащий при дворе царя Мелик-сурхав. Рамаз—царь Хатавского царства. Жители соединенной Индии, Аралии и Приморского царства; хатавские пленники; музыканты, танцоры, слуги и купцы; Каджи“.

598. კლდია [პეტრე შირაიანაშვილი]

ცხოვრების გამოძახილი

IV. ჩვენი ეურნალ-გაზეთობის სისუსტის ერთი მიზეზთაგანი

გახ. ივერია, 1901, 20 ივლისი, № 157, გვ. 2.

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ „ერი, რომელმაც შექმნა დიადი ეპოპეა ევეფხისტყაოსანი“ და შეისახლბორცა თითქმის მრთელი სპარსული საგმირო მწერლობა... თავის დღეში არ გადაგვარდება“.

599. ე. მ—ანო

ვინ იყვნენ ხატაველნი (ღია ჭეროლი ჩვენს ისტორიკოსებს)

გახ. ივერია, 1901, 25 ნოემბერი, № 256, გვ. 2.

ავტორი ეხება ხატაველთა ვინაობის საკითხს პროფ. ჰეისის შრომის მიხედვით და გაკვრით შენიშნავს, რომ ეს ის ხატაველები არიან, რომელთაც რუსთაველიც მოიხსენიებს „როგორადაც მეტად მუხთაღთ“. ხატაველთა ენა-„ალაროდელის ენის მოდგმისა უნდა ყოფილიყოს, რომლის ცოცხალი წარმომადგენელი დღეს ქართულიდა უნდა იყოს“.

600. [Von Gottfried Merzbacher]

Aus den Hochregionen des Kaukasus. Wanderungen, Erlebnisse,

Beobachtungen von Gottfried Merzbacher

Erster Band, Leipzig, 1901, 957 გვ.

ავტორი გაკვრით ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 179--180), მოცემულია მცირე ცნობები რუსთაველის XII საუკუნეში, თამარ მეფის დროს, ცხოვრების შესახებ. ზოგადად აღნიშნავს რუსთაველის სიდიადეს. იხსენიებს ახას ბორენის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის ფრანგულ თარგმანს.

არტურ ლაისტის შრომებს საქართველოზე და მის მიერ შესრულებულ პოემის მოკლე თარგმანს (1887).

ავტორი აღნიშნავს, რომ არ მოიპოვება პოემის კრიტიკული გამოცემა, შესრულებული ძველი ტექსტების მიხედვით.

601. აღ. სარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის ფალბი აღილება

ჟურნ. მოამბე, 1901, № V, გვ. 1-23; VI, გვ. 19-35.

მონოგრაფიული გამოკვლევა, იბეჭდებოდა ცალკე წერილების სახით 1895-1901 წლებში. იხ. საერთო ანოტაცია № 491.

602. თ. ს[ახოკია]

ვეროპა და ჩვენი ქვეყანა (წერილი პარიზიდან)

გაზ. ცნობის ფურცელი, 1901, 28 თებერვალი, № 1395, გვ. 1-3.

ავტორი ქართულ ხელნაწერთა შესახებ მსჯელობისას შენიშნავს, რომ XII საუკუნის რომანტიული პოემა რუსთაველისა ვეფხისტყაოსანი „დიდის ხნიდამვე იზიდავდა უცხოელთა ყურადღებას, აღმოსავლეთსა და დასავლეთში ბევრს ენაზე ითარგმნა—ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად, იტალიურად, რუსულად, პოლონურად და სხვ.“

603. თ. ს[ახოკია]

ივ. ვაზოვის აზრი ჩვენის ხალხის შესახებ

გაზ. ცნობის ფურცელი, 1901, 6 აპრილი, № 1428, გვ. 2-3.

ავტორს ბულგარელი მწერლის ივ. ვაზოვის წერილის „მოკლე მიმოხილვა ქართველთა ერის ისტორიულის ცხოვრებისა“ მიმოხილვაში მოჰყავს მისი აზრი შოთა რუსთაველის შესახებ: „მე-12 საუკუნის უდიდესი პოეტი ქართველთა შოთა რუსთაველი იყო პატრონი დიდის ნიჭისა და მაშინდელ დროის კვალობაზე საფილოსოფიო განათლება-მიღებული“.

604. Е. С. Сталинский

Поэтический Кавказ в его легендах, песнях и суевериях

წიგნში: 1801-1901. Юбилейный сборник к столетию присоединения

Грузии к России. Материалы собрал Е. С. Сталинский,

издано под редакцией К. Н. Бегичева, Тифлис, 1901, გვ. 1-25.

კავკასიის ხალხთა ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობის მიმოხილვაში ავტორი განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე (გვ. 3-10), რომელიც „იგორის ლაშქრობის“ თანამედროვეა და შეუდარებელი საუნჯე ქართული კულტურისა. ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის გამოცემა-გაფრთხილებას საქართველოში და პოეტის ბიოგრაფიას. ძირითადად იმეორებს თავის წერილს შოთა რუსთაველზე (1895 წ.). მოჰყავს საკუთარი ლექსი «Тамара и певец ея Шота Руставели» (გვ. 6-8), პოემის სქემატური შინაარსი (გვ. 8-9) და ახასიათებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს.

დასასრულს. ავტორი აღნიშნავს, რომ იყო ცდა ვეფხისტყაოსნის შედარებისა ლეილ-მეჯნუნთან (გვ. 10).

605. ხილოვ. ზუნდაძე

[ცალკეული შენიშვნები ვეფხისტყაოსნის ენაზე]

წიგნში: სალიტერატურო ქართული, სილოვ. ზუნდაძის გამოკვლევა,

ქუთაისი, 1901, XI+239 გვ.

ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ ქართული ენის ნორმების საკითხების გადასაწყვეტად ემყარება სხვა კლასიკოსთა შორის ვეფხისტყაოსანს

(გვ. VIII), რომელშიაც ბევრი ადგილი მოიპოვება, რომელიც ამტკიცებს, რომ ჩვენი ძველი მწერალნი პროვინციებს უყურადღებოთ არ სტოვებდნენ და, თუ რამე იქაურ ენაში მოეწონებოდათ, ლიტერატურულ ენაში შექონდათ“ (გვ. VI).

ცალკეული სიტყვების, თქმების, სინონიმების და მათთან დაკავშირებული ორთოგრაფიული საკითხების და „ლიცენცია პოეტიკის“ გარკვევისას საილუსტრაციო მასალად იმოწმებს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ადგილებს. მოკლედ ჩერდება რუსთაველური შაირის ორ სახეობაზე (გვ. 173).

1909

606. განდევნილი [დომინიკა ერისთავი]

პატარა წერილი

გახ. ცნობის ფურცელი, 1902, 5 აპრილი, № 1773, გვ. 2.

ავტორი ქართული მწერლობის უცხოეთში ცოდნის შესახებ მსჯელობისას შენიშნავს:

„კერ მარტო XII საუკუნის დიდებულ მწერლის რუსთაველის ნაწარმოები რომ ავიღოთ; ამის ფასი ზოგიერთს ერს მთელი მწერლობა არა აქვს, არა აქვს იმიტომ, რომ რა მხრივაც უნდა გასინჯოთ და რამდენმა საუკუნეზეც უნდა გაიაროს, რუსთაველის ყოველი სიტყვა პოეზიისა და ფილოსოფიის სახით გამოხატული კვშვარიტებაა. რუსთაველი ითვლება ქართველ მწერალთა მამამთავრად...“

607. თათარუან დ[ადეშქელიანი]

ბ.ნ მარის შესახებ

(Текст. п румынск. по армяно-грузинск. филологии, кн. IV)

გახ. ივერია, 1902, 12 ოქტომბერი, № 217, გვ. 2—3.

ავტორი უარყოფს მარის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან თარგმნილი თხზულებაა. მისი შენიშვნით, რუსთაველის მიერ ამბად გაგონილი... თვით ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული რაიმე სიუჟეტი უნდა იყოს. ასეთი შესაძლებლობის საილუსტრაციოდ ავტორს. მოჰყავს სვანეთში გაგონილი ზღაპარი (უმიზებოდ დაორსულებული ასმატარიას გააჩენს) და დაასკენის, რომ ეს რუსთაველს შეეძლო გამოეყენებინაო.. ამასთან ერთად ავტორი ავლებს ზოგ პარალელს ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებსა და ქართლის ცხოვრების მონაცემებს შორის.

608. დ. კარაქაშვილი

ბიბლიოგრაფია.

Тексты и разискания по армяно-грузинской филологии, книга IV, Древнегрузинские одониски (XII. в.). I. Песец Давида Строителя. II. Песец Талары

Грузинский текст исследован, вздал и словарем снабдил Н. Марр, С. Петербург, 1902..

გახ. ივერია, 1902, 9 მაისი, № 97, გვ. 3.

ავტორი აბდულ-მესიაზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ „ეს თხზულება ბ.ნის მარის აზრით არის სწორედ ის თხზულება, რომელსაც შოთა რუსთაველი შიაწერს შავთელს, როდესაც ამბობს: „ამირან დარეჯანის ძე მოხეხუქია ხონელსა, აბდულ-მესია შავთელსა, მას ლექსი უქვს რომელსა“.

609. დ. კარიკაშვილი

მარი ბროსე და მისი მოღვაწეობა

გაზ. ცნობის ფურცელი, 1902, 24 იანვარი, № 1706, გვ. 1—3.

ქართული ისტორიისა და მწერლობის კვლევა-ძიებისა და ძეგლების ბეჭდვის საქმეში ბროსეს მოღვაწეობის განხილვისას, ავტორი გაკერით აღნიშნავს, რომ მან მონაწილეობა მიიღო ვეფხისტყაოსნის გამოცემაში 1801 წ. დ. ჩუბინაშვილსა და ბ. თალავანდიშვილთან ერთად.

610. Larousse

Tariel

წიგნი: *Grand dictionnaire universel*

Paris, 1902, t. XIV, გვ. 1476.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის შინაარსს და აღნიშნავს, რომ, მიუხედავად მისი ერთგვარი ნაკლისა, რაც მის სიდიდეში გამოიხატება, ის შესანიშნავი თხზულებაა, განსაკუთრებით თავისი სტილით, რომელშიც გადაშლილია სიმდიდრე და მრავალფეროვნება სახეებისა, აღმოსავლურ პოეტებს რომ ახასიათებს.

611. В. Е. Романовский Инспектор кутаисского реального училища

Очерки из истории Грузии

Приложение к циркуляру по управлению кавказским учебным округом

за 1902 год, № 2. Тифлис, 1902, გვ. 86—87.

თამარ მეფის ეპოქის მწერლობის ზოგად დახასიათებაში ავტორი გაკერით ეხება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს, რომ ამ ეპოქის უდიდესი თხზულება ვეფხისტყაოსანი დაწერილია აღმოსავლურ რომანთა გავლენით და შესაძლოა მისი სიუჟეტი სპარსული ხალხური სიტყვიერებიდან იყოს ნასესხები, თუმცა სპარსულ ენაზე მსგავსი ნაწარმოები არ მოიპოვება. მისი სპარსული ხასიათის გამო მას ქართველი სამღვდლოება სდევნიდა დაწვებული თამარ მეფის დროიდან უკანასკნელ ხანებამდე.

მიუხედავად სპარსული გავლენისა, პოემაში გამოხატულია ქართული ცხოვრება; გმირთა ხასიათები და ყოფა-ჩვეულებანი ატარებენ ქართული ცხოვრების ნიშნებს (გვ. 86—87).

612. [უაგლორო]

Руставели, Шота (Аишота)

Малый Энциклопедический словарь,

Издатель Брокгауз, Лейпциг; Ефром, С., Петербург.

С. Петербург, 1902, том III, გვ. 1041.

შეიცავს მცირე ცნობებს შოთა რუსთაველსა და მის ვეფხისტყაოსანზე. ბიოგრაფიული ცნობები შედგენილია ა. ხახანაშვილზე მითითებით.

613. ა. ფრონელი

ლიტბული შესწოი

ჟურნ. მოამბე, 1902, მარტი, № III, გვ. 21—49.

მესხეთის ისტორიული ადგილების მიმოხილვისას ავტორი ჩერდება სოფელ რუსთავეს აღწერაზე და მისი სავალალო მდგომარეობის გამო შენიშნავს:

„ერი ამბობს, რომ აქ დაიბადა შოთა რუსთველი, ესაა მისი სამშობლო სოფელი“, და დასძინს: „გული ნაღველით აგვესება, როდესაც წარმოიდგენ, რომ პარნასის ღმერთთა სწორის, გენიოსი პოეტის სამშობლოს არე-მარე ასეთ ერთ გამოუთქმელ სიბინძურეს შეუმუსრია. დღევანდელი რუსთავი ერთი უხეირო, ოთხ-ხუთ კომლიანი სოფელია, რომელსაც ამშვენებს მხოლოდ სასუქის უშველებელი ზეინები. რუსთავში ბინადრობენ ქურთნი, თუ თარაქა-შანი“ — და განაგრძობს: „დღეს შოთა რუსთველის მომხსენებელი ეს ქუჩუიანი და პირუბანელი თარაქაშა, თუ ქურთინები არიან! უბედურებთ სიზმრადაც არ მოლანდებიან, თუ რა კაცის ნასახლარზე ბინადრობენ...“ (გვ. 24).

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ მას რუსთავის ველზე შეუნიშნავს ბუნებრივად ამაღლებული გორაკი, სადაც, მისი წინადადებით, კარგი იქნება შოთა რუსთველს ძეგლი ან ობელისკი დაედგას (გვ. 25).

614. ა. ჩხენკელი

მეფე ვასტანგ მე-VI-ის კანონები და ქართველი ქალი

ვახ. კვაჭი, 1902, 13 ოქტომბერი, № 42, გვ. 683—684.

ავტორი ქართველი ქალის თვისებებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ ჩვენში ზილებული მოსაზრება საქართველოში „ქალთა ემანსიპაციის“ აღიარებისა, რომელსაც აფუძნებენ შოთა რუსთველის სიტყვებს: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა ზეადია“, შემცდარი და გადაჭარბებულია. მისი აზრით, „შოთა რუსთველს თამამად შეეძლო ეთქვა, რომ თანარი არაფრით ჩამოუყარდება მამა-კაცსო, შეეძლო თამარის სახელი საზოგადოდ ექო, ედიდებინა ქალი, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ რუსთველი ქადაგებდეს დედა-კაცის სრულ თანასწორობას მამა-კაცთან“ (გვ. 684).

615. აკაკი [წერეთელი]

სხვა და სხვა წერილები

მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელის თხზულების გამო

ვახ. ივერია, 1902, 21 ივლისი, № 154, გვ. 3—4.

ავტორი აკრიტიკებს მარის კონცეფციას ქართული მწერლობის წარმოშობა-განვითარების შესახებ. მისი აზრით, მართალია მარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩახრუხადის სახელით ცნობილი თამარის ქების ავტორი რუსთველია, მაგრამ რუსთველი ავტორია აგრეთვე დავითის ქებისაც, რომელსაც მარი შეეთელს მიაწერს, და, ამრიგად, სამივე თხზულება ერთად ეკუთვნის ვეფხისტყაოსანის ავტორს.

616. ზ. ჭ.

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა კლარჯეთისა

ვეფხ. მოგზაური, 1902, აპრილი, № 4, გვ. 245—256.

ივნისი, № 6, გვ. 372—385.

კლარჯეთის ქართველთა ცხოვრებისა და ციხე-სიმაგრეთა აღწერისას ავტორი გაკვრით ეხება შოთა რუსთველსა და ვეფხისტყაოსანს. მისი შენიშვნით, უკვდავი ვეფხისტყაოსანი პირდაპირ ამ მხარის ერის სურათებს წარმოადგენს, რუსთველიც აქ დაიბადა და აღიზარდა, „მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ დღეს რას ეხედავთ შოთა რუსთველის მშობელს რუსთავში? კარგს

არაფერს, მთლად რუსთავი ვერანად გამხდარა, ქართველების იქ ყველაფერი მოსპობილა, ფერფლად ქცეულა. ქართველთ მაგიერ დღეს იქ ქურთები სახლობენ და ქურთული ენა სუფევს“ (გვ. 247). ავტორის აზრით, საათაბაგოს განსაკუთრებული მდგომარეობა, მისი კულტურული მოწინავეობისადმი პატივისცემის გამობატულება ვეფხისტყაოსანშიც იგრძნობა—ცალკეულ ეპიზოდებსა და გეოგრაფიულ აღგილთა აღწერაში, რომლის საფუძველი აქაური მიდამოებია (№ 4, გვ. 246—247).

კლარჯეთში ქართული კულტურისა და ქართველი ხალხის გაჩანაგების აღნიშვნაში ავტორი ამბობს: „ნეტავ რას იტყოდნენ გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთველი, იოანე შატერელი და სხვა დიდებულნი პირნი, რომ ამათ ნახონ თავიანთი სამშობლო და მასში მიწასთან ასე გასწორებული ქართველობა?“ (№ 6, გვ. 375).

617. **И. Г. Чавчавадзе**

Армянские ученые и воинские камни

Перевел с грузинского Н. Н. Алексеев-Месхиев

Тифлис, 1902, 123 გვ.

ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის აფორიზმები (გვ. 20, 21, 31, 49, 50, 100, 109) და აკრიტიკებს მარის მოსაზრებებს უმათერესად ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობის შესახებ (გვ. 35—38).

პირველად დაიბეჭდა 1899 წელს. გაზ. „ივერიაში“, რომლის თარგმანს წარმოადგენს ეს წიგნი. იხ. ანოტაცია № 579.

618. **მ. ჯანაშვილი**

აბულ მესიანი ანუ „შესხმა თამარ მეფისა და დავით ხოსლანისა“

გაზ. ივერია, 1902, 30 ივლისი, № 160, გვ. 2—4.

ავტორი ეკამათება მარს აბდულმესიანის ავტორობის საკითხზე ვეფხისტყაოსნის სტროფის „ამირან დარეჯანისძე...“-სთან დაკავშირებით.

619. **ილარ. ჯაში**

მოლა ბაღირი

გაზ. ცნობის ფურცელი, 1902, 4 ივლისი, № 1856, გვ. 1—2.

მოლა რუმის შესახებ მსჯელობისას ავტორი ვრცელ სქოლიოში აღნიშნავს, რომ მის თბზულებას „მასნავს“ ისევე სდევნიდნენ, როგორც „ვეფხისტყაოსანს“; რომ არ წაბილწულიყვნენ ხელის ხლებით, „მასნავს“ დასაწველად მაშით იღებდნენ, ბოლოს კი „მასნავი“, როგორც „ვეფხისტყაოსანი“, შეიქმნა „ხელისხელ საგოგმანები“.

1903

620. **ჟუსტ. აბულაძე**

„ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო
(წ.-კითხვის საზოგ. ახალი გამოცემა)

გაზ. ცნობის ფურცელი, 1903, 14 ოქტომბერი, № 2292, გვ. 2—3;

15 ოქტომბერი, № 2293, გვ. 2—3.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის 1903 წლის გამოცემასთან დაკავშირებით მის პოპულარობასა და სიდიადეს. ს. ქვარციანის სტატიის—

„შოთა რუსთველი და მისი პოემა“ (ეურნ. „მოამბე“, 1903, № 7—8)—განხილვის საფუძველზე უარყოფს შეხედულებას ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ, მის ნაციონალურ-ქართულ გაშუქებაში და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის შინაარსი ერთი სიტყვითაც არ ეხება ქართველებს (№ 2293), რასთან დაკავშირებითაც ავტორი აღნიშნავს პოემაში მოცემული მაჰმადიანური ყოფის ელემენტებს. მისი აზრით, რუსთაველი პროზით ნაწერი თხზულების მხოლოდ გამლექსავი მაინც არ არის, როგორც აკად. ნ. მარს ეგონა. რუსთაველმა შესაძლოა არც იცოდა სპარსული ენა.

ავტორი გაკვირვებით ეხება ვეფხისტყაოსნის შესწავლის მეთოდოლოგიის საკითხებს და იზიარებს პროფ. ა. ხახანაშვილის მოსაზრებას, რომ რუსთაველს პოემა აუგია ხალხში გავრცელებულ უბრალო ზღაპრულ მოთხრობაზე. მისი აზრით, სწორედ ამიტომაც, რომ ვეფხისტყაოსანში ქართველებს სულ არ ეხედებოთ.

ავტორის დაკვირვებით, ვეფხისტყაოსანი გამაჰმადიანებულია არაბულ-მაჰმადიანური პრინციპებით, თუმცა ქართველ პოეტს ბევრი რამ შეუცვლია და გადმოუქართულებია. ის მეტ რეალიზმს მიმართავს, ვიდრე მისი ეპოქის სხვა ძეგლები. პოემაში მოიპოვება ვისრამიანის კვალი, თუმცა ქართველი პოეტი თავის პოემაში უფრო ამალგებული სიყვარულის გაგებას იძლევა, ვიდრე ვისრამიანი.

621. ბ. ბე-შვილი

შოთა რუსთაველის ძეგლის გამო

გაზ. ივერია, 1903, 4 სექტემბერი, № 188, გვ. 1.

ავტორი აღტაცებას გამოსთქვამს შ. ფრონელის წინადადების გამო შოთა რუსთაველისათვის ძეგლის ასაგებად შემოწირულების შეგროვების შესახებ და თავის წილად შემოაქვს 3 მანეთი.

622. იაკობ გოგებაშვილი

ზ. რეჯი ეროვნებისა

მოკრე, შეესებული გამოცემა, ტფილისი, 1903, 64 გვ.

ავტორი უსაყვედურებს იმ ქართველ მკვლევრებს, რომელნიც საკუთარ ისტორიას ამდაბლებენ და ამბობენ, თითქოს, „თვით რუსთაველმა პირველმა პოეტმა საქართველოსამ, თვისით ვერაფერი შექმნა და სპარსულიდგან ისე-სხვა თავისი „ვეფხისტყაოსანი“ და ისიც როგორ ისესხაო? ისე უხეიროდ და დედნების გაუგებრად, რომ იგი სავესეა უაზრობით და სისულელითო. და ეს უნიჭო ნასესხი მთელს საქართველოს ერს შვიდის საუკუნის განმავლობაში დიდებულ და თავისებურ კმნილებად მიაჩნდა და „დაბადებას“ გვერდს უყენებდაო“ (გვ. 50—51).

ავტორი გულისხმობს ნ. მარს, აღნიშნავს რა, რომ ერთმა პროფესორმა გამოაცხადა—ჩქარა ვიპოვი ვეფხისტყაოსნის სპარსულ დედანსაო (გვ. 51).

ავტორს მოჰყავს სუტენერის აზრი ვეფხისტყაოსნის მხატვრულ ღირსებასა და მსოფლიო მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ უცხონი ვეფხისტყაოსანს იცნობენ პროზაული თარგმანით, „რომელშიც მთლად გამჰქრალია ის მომზიბლავი სიმდიდრე და მუსიკა ენისა, რომელიც შეადგენს ერთს უმთავრესს ღირსებას ჩვენის ნაციონალურის კმნილებისას“ (გვ. 54).

გიორგი ღვინისძე: ქართველიშვილი

წიგნში: საქართველოს კალენდარი ვ. გუნიას რედაქტორობით,
1903, გვ. 460—461.

ავტორი ვ. ქართველიშვილის მოღვაწეობის დახასიათებისას გაკვირბა აღნიშნავს, რომ მან ათას ორასი თუმანი მოახმარა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრობით დაბეჭდვას, რომლის ძვირფასი გამოცემა შესწირა წ. კ. გამაერცელბელ საზოგადოებას.

624. შიო ღვინთაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამოცემა

(მეცხრამეტე), 4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიკაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ლექსიკონით.

ვაზ. ივერია, 1903, 9 ოქტომბერი, № 215, გვ. 2—3, ქვედურა;
14 ოქტომბერი, № 219, გვ. 2—3, ქვედურა;
15 ოქტომბერი, № 220, გვ. 2—3, ქვედურა.

გვარი მოწერილი აქვს მხოლოდ ბოლო წერილს.

წერილების სერია წარმოადგენს დ. კარიკაშვილის მიერ 1903 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ერთეულ რეცენზიას. ავტორი ესალმება გამოცემას, აღწერს მის გარეგნულ მხარეს და აღნიშნავს, რომ დ. კარიკაშვილის დიდი შრომა გაუწევია. ავტორი დეტალურად არჩევს დ. კარიკაშვილის ტექსტუალური მუშაობის შედეგებს, ვეფხისტყაოსანში ყალბი სტროფების აღმოჩენის მეთოდს და არ იზიარებს დ. კარიკაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის სხეულის ოპერირების ცდას, უმთავრესად კი მის მიერ პოემის პროლოგის ყალბად გამოცხადებას. ავტორის აზრით, მთელი ეს მუშაობა უკიდურესი სუბიექტივიზმით ხასიათდება და მას რეალური დასაყრდენი არა აქვს. პროლოგ-ეპილოგის ყალბად გამოცხადება, არქაულ სიტყვათა ეტიმოლოგიების გახსნა, ცალკე სიტყვათა შესწორებანი და სხვ. გამომდინარეობენ თვით კარიკაშვილის სურვილისა და გემოვნებისაგან, რასაც მიზნად აქვს ვეფხისტყაოსნის ტექსტი წინასწარ აღებულ აზრს შეუფარდოს. ავტორის შენიშვნით, კარიკაშვილის მოსაზრებებში სარწმუნო მხოლოდ შეიძლება ის იყოს, რომ პოემაში სტროფების რიგი არეულია ანდა თვით სტროფებიც დამაბინჯებელი. მისი აზრით, არ შეიძლება ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობის მთლად უარყოფა მხოლოდ იზიტომ, რომ ტაეპები არეულია და ზოგიერთი ადგილი კრიტიკოსისათვის, და დღეს ყველასთვის, გაუგებარია (№ 215).

ვეფხისტყაოსნის პროლოგის სტროფების თავისებური დალაგებით (1, 2, 3, 4, 19, 20, 21, 23, 24, 25, 26, 17, 9, 27, 12, 13, 10, 11, 29, 30, 31) და განმარტებით ავტორი ასაბუთებს, რომ წინასიტყვაობა და პოემა ერთი ავტორის დაწერილია, ბოლოსიტყვაობის სიყალბეში კი მასაც ეჭვი შეაქვს.

ავტორი აღნიშნავს დ. კარიკაშვილის გამოცემაში მრავალი წაკითხვის: მკდარობას და აკრიტიკებს მისი ლექსიკური შესწორების ცდებს. მაგ., მას უფრო დამაჯერებლად მიაჩნია „ვის შეენის ლომსა ხმარება“-ს წაკითხვა შეიცვალოს „ვით შეენის“, რაც ზედმეტ ნათელს ჰყენს შექმნის ობიექტის გამორკვევის საკითხს, რომლის მიხედვით აქაც თამარი უნდა ვიგულისხმოთ და

არა დავით სოსლანი, როგორც კარიკაშვილი ფიქრობს. ამასთან ერთად ავტორის მოპყაეს საკუთარი წაითხვები და განმარტებანი ცალკეული სიტყვების, თქმებისა და ტაყებისა, რომელნიც შეიცავენ მრავალ საყურადღებო დაკვირვებას რუსთაველის ლექსიკისა და სახე-თქმების გასაგებად. ავტორი წინააღმდეგია სტროფის უკანასკნელი სტრიქონის კავშირებითი დამწყები „და“ კავშირის ამოღების, რაც კარიკაშვილმა თავის გამოცემაში თვითნებურად პომის ტექსტს მოაკლო. ვეფხისტყაოსნის ტექსტის წარყვნა-სწორების ირსებული ტრადიციის გამო ავტორი საერთოდ შენიშნავს: „ყო გენიოსის ქმნილებას დამახინჯება შეიდ საუკუნის განმავლობაში. ეხლა მაინც მოწიწებით მოვეპყრათ ამ ქართულთა და კაცობრიობის სასიქადულო თხზულებას და ამოდ ნუ შეეახებთ უმეცარ ხელს, ვიდრე საერთოდ არ შევისწავლით და არ გავარჩეოთ ყოველ სტრიქონსა, ყოველ სიტყვას“.

დასასრულ, ავტორის შენიშვნით, „კარიკაშვილის წინასიტყვაობა და შენიშვნები როგორც ნინუში „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებისა და კრიტიკისა, ანუ თუ კარგია, გამოსადეგია მხოლოდ მეცნიერთათვის და არა ხალხში გასავრცელებლად, რადგან მოუშზადებელ მკითხველს შინაარსის გაგებას კი არ გაუადვილებს, არამედ უფრო გაუძნელებს“.

თვით ტექსტი კი „ვეფხისტყაოსნისა“ ბ-ნ კარიკაშვილის მიერ თავისებურად შემუშავებული და შებღალული, არამც თუ ხალხში გასავრცელებელი არ არის, არამედ სრულიად უვარგისად უნდა იყვეს ცნობილი“... და თუ მის მოსობას ზარალის გამო მოერიდებიან გამომცემელი, „სკოლებში მაინც ნუ გაავრცელებენო“ (№ 220).

626. შიო დავითაშვილი

უბრალო შეცომა და შწარე სიშაროლე „ვეფხისტყაოსნის“ ახალ გამოცემის გამო

გაზ. ივერია, 1903, 30 ოქტომბერი, № 231, გვ. 2—3, ქვედურა.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გამოცემებში სტროფთა რაოდენობის საკითხს და აღნიშნავს დ. კარიკაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის 1903 წლის გამოცემაში დაშვებულ უმართებულობა-თვითნებობას ცალკეულ წაკითხვათა გასწორებაში და მიუთითებს ცალკეული ეპიზოდებისა და სტროფების მნიშვნელობის მცდარად გაგებას.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის პრინციპებზე მსჯელობისას ხელნაწერთა ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით, ბარბაროსობასა და ჯიჯნას უწოდებს მკვლევართა თვითნებურ მოპყრობას ტექსტისადმი.

დასასრულს ავტორი შენიშნავს: „ისე აირია საქმე, რომ ჩვენის აზრით, უნდა განვაგდოთ ყოველი ახალი გამოცემა და ისევ ერთ-ერთს ძველს ვარიანტს დაუბრუნდეთ და საქმე თავიდგან დაეიწყოთ“. ამასთან დაკავშირებით ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე მუშაობის თავის პროექტს.

მესამე გვერდის მესამე სვეტის სქოლიოში ავტორი შენიშნავს, რომ „აკაკის ივერიის“ რედაქციაში განუცხადებია: არავითარი მონაწილეობა არ შიმილია ვეფხისტყაოსნის დამდგენი კომისიის მუშაობაში ოცი წლის წინადო...

[ვეფხისტყაოსნის] მეცხრამეტე გამოცემის წინასიტყვაობა

დართული აქვს წიგნს: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი,
4 პორტრეტით და 21 სურათით

მეცხრამეტე გამოცემა დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით
და ვრცელის ლექსიკონით, ტფილისი, 1903, XXX+361 გვ.

ავტორი დასაწყისში გადმოსცემს ვეფხისტყაოსნის შინაარსს (გვ. I—VII)...
ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობას და გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ
ვეფხისტყაოსნის შესავალი, პოემა და დასასრულის „ტაეპები არიან შეთხზულ-
ნი ცალ-ცალკე, ერთიგეორისაგან დამოუკიდებლად და მხოლოდ რაღაც შემ-
თხვევით აქ ერთად მოქცეულან“ (გვ. IX). „წინასიტყვაობას და უკანასიტყვაო-
ბას არამცთუ არაფერი საერთო აქვთ-რა თვით თხზულების მოთხრობასთან,
არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ
და როგორც წინასიტყვაობის, ისე უკანასიტყვაობის ტაეპები სხვა-და-სხვა-
პირთაგან და სხვა და-სხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილი“ (გვ. VIII).

ავტორი ამ მოსაზრების დასაბუთებისათვის ანალიზს უუკრავს პროლოგის
სტროფებს და ასკენს, რომ პოემის წინასიტყვაობია სტროფებს შორის „არ-
არის არავითარი სერიოზული აზრი, რომელიც გადიოდეს თავითგან ბოლომ-
დე. იგი შესდგება სხვა-და-სხვა ნაკუწებისაგან სხვა-და-სხვა საგნების შესახებ,
რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთში“ (გვ. XIII). ისინი
ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ეს იმით აიხსნება, თითქოს ის არ ეკუთვნის
ვეფხისტყაოსნის დამწერს. ასევე ვეფხისტყაოსნის დასასრული, ავტორის
აზრით, წარმოადგენს დამატებას პოემაზე (გვ. XVII). ავტორი ცდილობს და-
ადგინოს ამ დამატებათა თარიღებიც. ნამდვილი ვეფხისტყაოსანი მოთაჲ-
ბულია 32—1571 სტროფებს შორის (იქვე).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობას რუსთველური თვალსაზ-
რისით, პოემის დასადგენად ჩატარებულ მუშაობას, პოემის ორიგინალობის
პრობლემას და მოჰყავს სამი ძირითადი შეხედულება პოემის სიუჟეტის წარ-
მოშობაზე. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი თუმცა დაფუძნებულია წინად
არსებულს ამბაზე, მაგრამ წმინდა ორიგინალი თხზულებაა და უცხოობის
ჩაბეჭდილებას მხოლოდ იმიტომ ახდენს, რომ მომქმედი პირები უცხო ქვეყ-
ნის შეილები არიან გამოყვანილნი, მოქმედება სწარმოებს უცხო ქვეყნებში
და წერის მანერას აჩნევია სპარსულ-არაბულის პოეზიის გავლენის ბეჭედი“
(გვ. XXVI).

ავტორი ახასიათებს მთლიანად ვეფხისტყაოსანს ლიტერატურულად და
აღნიშნავს მის ეროვნულ მნიშვნელობას, პოპულარობას და სიდიადეს. ავტო-
რი უარყოფს მოსაზრებას, თითქოს პოემაში თამარ მეფის ამბები ყოფილიყოს
აღწერილი (გვ. XX—XXII). მისი აზრით, უსაფუძვლოა შეხედულება, თითქოს
ვეფხისტყაოსანი თარგმნილი იყოს სპარსულიდან (გვ. XXII). ის წმინდა ორი-
გინალური თხზულებაა (გვ. XXVI) და დაწერილია თამარის საქებრად
(გვ. XXVII).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ავტორობის საკითხს და დაასკვნის,
რომ რუსთაველი არ არის პოემის ავტორი (გვ. XXVII). დასასრულს, ავტორი
ეხება თავისი გამოცემის მიზანსა და აგებულებას, მის მომზადებას, მის
დამოკიდებულებას სხვა გამოცემებთან, მის მიერ შედგენილი ლექსიკონის წყა-

როებს და აკეთებს რამდენიმე შენიშვნას რედაქციული მუშაობის შესახებ. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საბოლოოდ დადგენა შესაძლებელი ოქნება პოემის ყველა ხელნაწერთა ვარიანტების შესწავლა-შედგენის საფუძველზე. ავტორი ჩამოთვლის ვეფხისტყაოსნის გამოცემებს—1712, 1841, 1846, 1860, 1867, 1875, 1883, 1887, 1888, 1890, 1892, 1899, 1899, 1900, 1903... წლებისას—სულ 18 გამოცემას.

ამავე წიგნში: გვ. 263—292 მოთავსებულია შენიშვნები.

ავტორი შენიშვნებში დოკუმენტალურად განმარტავს ცალკეულ სიტყვებს, თქმებსა თუ სახეებს. განმარტებისას სარგებლობს სპეციალური ლიტერატურით, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ასახელებს. განსაკუთრებით ჩერდება ძნელად გასაგები და ბუნდოვანი თქმების განმარტებებზე. სულ 289 შენიშვნაა. დასაწყისი:

„1. ვახტანგისა—მხოლოდითი რიცხვია, თუმცა სიტყვა მიჯნურთა, რომელსაც მიეკუთვნება, მრავლობით რიცხვშია“.

289. ჭირნი შენიშვნებში გონებაშიან შევიდო ურჯა. ე. ი. შენი მწუხარება ფიქრმა შეიდიოთან რვად გახადო. სხვა გამოცემებში დაბეჭდილია: ჭირნი შენიშვნა გონებაშიან შევიდო თუ რვა. ამ სახით ფრაზა გაუგებარია, რადგან ზნა არა ჩანს. მართალია, თეიმურაზ ბატონიშვილი და ჩუბინა-შვილი სიტყვებს შევიდო თუ რვა ხსნიან: „შევიდო თუ იურჯოდაო, მაგრამ სრულებით არავითარი საბუთი არ არის ასეთი ახსნისთვის. ჩვენის აზრით, სიტყვა თუ გაჩნდა ერთის სიტყვის უკანასკნელის ასოს და მეორე სიტყვის პირველის ასოს შეერთებითად, ასე რომ შევიდო ურჯა შეიქნა შევიდო თუ რვა. ასეთი შეცვლა ძალიან ადვილია მეტადრე ზეპირად თქმის დროს. ზნა რვაზე მნიშვნელობით რვად გახდომა, ან გადაქცევა ხმარებულია კიდევ 622 ტაქის მეოთხე სტრიქონში: „თავთა ჭირნი უთასეთ, რადმე უშვიდეთ ანუ ურჯო“¹. რიცხვები შევიდო და რვა, რაოდენობის ასანიშნავად რუსთაველს ხმარებული აქვს სხვაგანაც: მონათა და ამ ასნათსა ხიტყვა ვუთხარ შევიდო თუ რვა (633 ტ.). კიდევ: ყმაშიან შკადრა: „ხიხლოთა შურთო ჭირი შევიდო მე რვა“ (689 ტ.).

გვ. 293—361: „ვეფხისტყაოსნის რედაქციონი“². დასაწყისი:

„აბჯარო—84. 91. 220. კაცის ან ცხენის ტანზედ ჩასცემული ჯავვი; სამხედრო იარაღი“.

ღვაშავითა 745. ეს სიტყვა არ გვეხმის. თეიმურაზი მას ხნის სიტყვით დანაშაულოთ, მაგრამ ამასნანს არა აქვს საფუძველი. ჩვენ გვგონია, ეს სიტყვა უნდა მთელს ფრაზას შეიცავდეს: ან და ვად შავითა ან და ვარ შავითა, ე. ი. დაედივარ ან ვარ შავის თავითა (უბედურის თავითა).

ვადა 1222. არ ეციოთ ამ სიტყვის მნიშვნელობა ჩვენის აზრით, სცდებიან თეიმურაზი და ჩუბინაშვილი, როდესაც ტექსტში ფორმას ვადაშიან კითხულობენ: ვადა შან, ე. ი. ვაი სოქვა შან. ასეთი განმარტება არ უდგება ტექსტს (გვ. 312).

§27. დ. კარიჭაშვილი

ვეფხისტყაოსნის რეცენზიის გამო

ვახ. ივერია, 1903, 21 ოქტომბერი, № 225, გვ. 2—3, ქვედურა;

24 ოქტომბერი, № 226, გვ. 2—3, ქვედურა.

ავტორი მოკლედ აღწერს ვეფხისტყაოსნის 1903 წლის საკუთარი გამოცემის ტექსტის ვითარებას სხვა გამოცემებთან შედარებით და თავისი მუშაობის ნეთოდს. ავტორი უპასუხებს შიო დავითაშვილს ძირითად შენიშვნებზე ამ გამოცემის გამო (№ 625), ეკამათება ცალკეულ წაკითხვებზე და ასაბუთებს თავის გამოცემაში მიღებულ გასწორებებს. ავტორი აღნიშნავს, რომ ის ძირითადად იმეორებს ქართველიშვილის 1888 წლის გამოცემის ტექსტს 1576 სტროფით.

დასასრულს, ავტორის შენიშვნით, მისი გამოცემის რეცენზენტს შიო დავითაშვილს, როგორც ჩანს, არც უნახავს ვახტანგის, ჩუბინაშვილისა და ქართველიშვილის გამოცემანი ვეფხისტყაოსნისა, რომელთა შესახებ მსჯელობს.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიკაშვილის მიერ, ტფილისი, 1903, 64 გვ.

ავტორი ქართული სტამბების დაარსების ისტორიის მოკლე მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ პირველი საერო წიგნი, რომელიც დაბეჭდილი იყო ვახტანგ მეექვსის მიერ თბილისში 1709 წელს. დაარსებულ სტამბაში, იყო ვეფხისტყაოსანი (გვ. 49).

629. კლდია [პეტრე მირიანაშვილი]

„ვეფხისტყაოსანი“ სამწერლო კრიტიკის გამო

გაზ. ივერია, 1903, 25 ოქტომბერი, № 227, გვ. 2.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის შესწავლისა და განმარტების მდგომარეობას ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში და აღნიშნავს, რომ კლერიკალური წინააღმდეგობის მიუხედავად ვეფხისტყაოსანი საქართველოში მაინც ვრცელდებოდა. როგორც „მაღალსაპოეტო ნაწარმოები, როგორც ყოველ ქართველისათვის გულის პასუხის გამცემი“.

ავტორი უარყოფს მეცხრამეტე საუკუნის კრიტიკაში დამკვიდრებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსანში საქართველო აღწერილი და მისი მოქმედი გმირნი თითქოს ქართველები არიან. ესაა სუბიექტივიზმი, რომლის ერთი გამოხატულება ისიცაა, თითქოს ავთანდილი იმერელია და ტარიელი ქართელი. ამ თვალსაზრისის გავლენით მხატვარმა ზიჩიმ ვეფხისტყაოსნის გმირები ქართველებად დახატა. ავტორი აზრით, ვეფხისტყაოსნის გმირების ხასიათებს რუსთაველი შეაძლოა საქართველოში იღებდა, მაგრამ ისინი მაინც არ არიან ქართველები. „ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს აზიის ერთა თქმულების დიდ კრებულს, როგორც ფიქციონის „როსტომიანი“ ირანისას, და აზიის აღნიშვნით ქართველებს არაფერი აკლდება“.

ავტორის შენიშვნით, ასევე არ შეიძლება ვეფხისტყაოსნის მუსიკა იყოს ქართული, საერთოდ კრიტიკული აზრი ვეფხისტყაოსნის საკითხების მიმართ სწორ გზაზე არ დგას.

630. კლდია [პეტრე მირიანაშვილი]

ხალეისოც

გაზ. ივერია, 1903, 23 ნოემბერი, № 250, გვ. 2.

წერილი გამოწვეულია აკაკის შენიშვნებით („ივერია“, 20 ნოემბერი) ვეფხისტყაოსნის გმირთა ჩაცმულობისა, სახისა და ხასიათის შესახებ. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის გმირთა ჩაცმულობა და სადაურობა არ წყვეტს საკითხს პოემის დიდებისა და პოპულარობისას საქართველოში, ამიტომ ვეფხისტყაოსანი ისეთ თხზულებად უნდა მივიღოთ, როგორიც თვითონ არის, და მისი გმირებიც უნდა ვიცნოთ შვილებად იმ ქვეყნებისა, სადაც ისინი შობილან და დაზრდილან, ე. ი. ავთანდილი და თინათინი—არაბებად და სხ. რა იქნებოდა რუსთაველს პოემა დაეწყო სიტყვებით „იყო იმერეთს როსტევან...“?

631. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი, 4 პორტრეტით და 21 ხურათით, მეცხრამეტე გამოცემა,
დ. კარჩხაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 63.
თფილისი, 1903, XXX+361 გვ.

პოემის ტექსტს წინ უძღვის „მეცხრამეტე გამოცემის წინასიტყვაობა“
(გვ. I—XXX). დართული აქვს შენიშვნები (გვ. 263—292) და ვეფხისტყაოს-
ნის ლექსიკონი (გვ. 293—361).

ვეფხისტყაოსნის ტექსტი შეიცავს 1576 სტროფს.

632. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა [თბილისი, 1903], 272 გვ.

ეს გამოცემა პირადად ვერ ვნახე და, თუმცა „ქართული წიგნის“ ჩვენე-
ბით (ტომი I, 1941, № 2731) დაცული უნდა იყოს მარქსის სახელობის თბი-
ლისის საჯარო, ლიტერატურული მუზეუმის, ჯაფარიძის სახელობის საჯარო,
და აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკებში, შემოწმებისას
არსად აღვიღებ არ აღმოჩნდა; ბიბლიოთეკის დირექციებმა არ იციან, თუ
რატომ და როგორ დაიკარგეს ეს წიგნები.

თ. შაჰეარიაძის აპეციალურ ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები
(ქრონოლოგიური ბიბლიოგრაფიული საძიებელი) (ქარლ მარქსის სახელობის
საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, თბილისი,
1938, წიგნი IV, გვ. 113—122) ეს წიგნი შემდეგნაირად აქვს აღწერილი:

„17. რუსთველი, შოთა. ვეფხისტყაოსანი [ზიჩის] (სურათებით) შოთა რუსთაველისა. თფ.
ულექტრონით მბეჭდავი სტამბა ძმთა თავართქილაძეებისა. 1903.

272 გვ. 20 ზ. ფ. ილ. (21×14) (გამოცემა ძმ. თავართქილაძეებისა № 100) [ფ. არ.] სარჩე-
ვის წინ: ვეფხისტყაოსნის გამოცემათა რიცხვი და გამომცემლებისაჲან. წიგნის ბოლოში
სიტყვების განმარტება. კანზე—სურათი“ (გვ. 116).

633. შოთა რუსთაველი

Нзречнил ирუзиискогю поета

М. Джавашивили, Тифлис, типография Нр. Тапарткхилаძის, 1903, 16 გვ.

მცირე წინასიტყვაობაში აღნიშნულია რუსთაველის აფორიზმების მნიშ-
ვნელობა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

ტექსტი შეიცავს რუსთაველის აფორიზმების პროზაულ თარგმანებს. მრავ-
ალ მათგანში შერჩენილია რუსთაველის მხოლოდ მთავარი აზრი.

634. ხიტყვა [სამსონ ფირცხალავა]

ჰატარა ამბეო

გაბ. ცნობის ფურცელი, 1903, 23 ნომბერი, № 2331, გვ. 2—3, ქვედურა.

ავტორი პოეტურ თხზულებათა მნიშვნელობისა და საზოგადოებრივ
დანიშნულებაზე მსჯელობისას შენიშნავს: „ვეფხისტყაოსანი“ დიდებული ნა-
წარმოებია, მაგრამ მისი სიმშვენიერე რომ იგრძნოს ადამიანმა, საჭიროა მე-
ტი ესტეტიური განვითარება, ვიდრე აქვს დღეს გაუნათლებელ ხალხს“.

ამ შენიშვნას ავტორი ურთავს სქოლიოს: „ჩვენი ავტორი სწერს: „ჩვენის
ხალხის გონება და გრძობა განვითარდა გენიოსურის „ვეფხისტყაოსნის“
სმენით“. აქ ავტორი ჩვეულებრივ იფიწყებს, რომ მდაბიო ხალხს არ შეეძ-
ლო „ვეფხისტყაოსნით სარგებლობა“ (გვ. 1, სვეტი 4).

Барсова кожа

კრებულ: *Весь Кавказ, Иллюстрированный справочно-литературный сборник, посвященный летальному и всестороннему исследованию кавказского края во всех отношениях, Тифлис, 1903, № 1, გვ. 19—24.*

II. Исторический отдел, გვ. 19—21. «Начало грузинского книгопечатания». — სათაუბს სქოლიოში უწერია, რომ ვადმობეკდილია გაზ. «Кавказ»-იდან.

წიგნების ბეკდვის ისტორიაში აღნიშნულია, რომ თბილისში ვალახელ მიხეილ სტეფანოვის მიერ მოწყობილ სტამბაში ბერი ნიკოლოზ ორბელიანის გამგეობით საღვთისმსახურო წიგნების გარდა 1712 წელს დაიბეკდა ვეფხისტყაოსანი სასახლის ეპისკოპოსის შვილის მიხეილის კორექტურით (გვ. 19).

VIII. Литературный отдел, გვ. 20—24. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი „იგორის ლაშქრობის“ თანამედროვეა. ეხება პოემის პოპულარობასა და სიღიადეს. იქვე მოჰყავს ლექსი როგორც რუსთაველის პოეზიის ნიმუში და მისი ნათქვამი:

«Я поэт, и в мире этом,
Всея судьба нас отмечает:
Одарив таланта светом,
Пышно лаврами венчает!
Потому герой мой главный,
Тарисли знаменитый—
Вам предстанет гордый, славный,
Рыцарь лаврами увитый...»

Он, в истории воспетый,
Был герой грузинской славы,
В «кожу барсову» одетый,
Легендарный, вслывавый,
Он в боях, как лев, спокоен,
А в любви—нежней свирели.
Вот кто был грузинский воин,
Несравнимый Тарисли...»

ავტორი შენიშნავს, რომ 1712 წელს ვეფხისტყაოსნის დაბეკდვის შემდეგ იწყება პოემის დენა, რადგან მას ვახტანგმა კომენტარიებში რელიგიურ-სიმბოლური ხასიათი მისცა. ამასთან ერთად ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას, აღნიშნავს მის ემანსიპაციურსა და პროგრესულ იდეალებს და ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს.

ავტორის შენიშვნით, შოთამ ვეფხისტყაოსანი წაუკითხა თამარს, რომელმაც ის დაასაჩუქრა ოქროს კალმით.

21 გვერდზე მოყვანილია ა. პოლონსკის ლექსი: «Тамара и певец ея Шота Руставели».

დასასრულს, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი, ტიმოთეს ცნობა შოთა რუსთაველის იერუსალიმის ჯვარის მონასტერში დასაფლავების შესახებ, მოკლედ იხილავს რუსთაველის ეპოქის მწერლობის ძეგლებს, აღნიშნავს რუსთაველის დიდ გავლენას ქართულ მწერლობაზე და ასახელებს „რუსულნიანს“ და „აღლუზიანს“, რომელნიც ვეფხისტყაოსნის მიბაძვად მიაჩნია.

„ქართველი ხალხი“

აწერილი არტურ ლეისტისა (das georgische Volk, geschildert von Artur Leist, Dresden, 1903).

გაზ. ცნობის ფურცელი, 1903, 28 ივნისი, № 2194, გვ. 1—3.

წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას არტურ ლაისტის შრომაზე. ავტორი კულტურის საკითხების გარჩევაში მოკლედ მიმოიხილავს ლაისტის შეხედულებას ქართულ პოეზიაზე, განსაკუთრებით შოთა რუსთაველზე, და მოჰყავს ამონაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ, რომელშიაც მოცემულია პოემის ძირითად მოტივთა დახასიათება (გვ. 2, სვეტი 3—4).

327. [უაგტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის გამოცემა]

გახ. ცნობის ფურცელი, 1903, 25 სექტემბერი; № 2274, გვ. 2.

ცნობაში აღნიშნულია, რომ რედაქციამ მიიღო ვეფხისტყაოსნის მეცხ-
რამეტე გამოცემა დ. კარიჭაშვილისა. იქვე მოიპოვება გამოცემის მოკლე
აღწერილობა.

338. [უაგტორო]

ტფილისი

გახ. ივერია, 1903, 5 ოქტომბერი, № 212, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა, მომყავს მთლიანად:

„რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი რუსულ ენაზედ „ქართულ პოეტის შოთა რუსთაველის
რჩეული ახრები“. ეს ახრები შოთა რუსთაველისა-კი არა, თვით მთარგმნელისა; იბეჭდებო-
და „ტფილისის ფურცელში“. შოთას ფილოსოფიური ახრები ისე დამახინჯებულია, რომ
ვერც კი იცნობს კაცი“.

339. [უაგტორო]

ტფილისი [ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი]

გახ. ივერია, 1903, 27 ნოემბერი, № 253, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა, მომყავს მთლიანად:

„ქ. შ. წიგნების გამაერთელებელ საზოგადოების ბიბლიოთეკაში ძველ ხელნაწერებს შო-
რის უპოვიათ „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტი, რომელიც გადმოწერილი ყოფილა ძველ, არტა-
ნუჯიდან განგებ მოტანილ ვარიანტიდან. ამბობენ, ეს „ვეფხისტყაოსანი“ შესამჩნევად განს-
ხვადება დღევანდელ ტექსტისაგანა“.

340. [უაგტორო]

[ვეფხისტყაოსნის ოპერა დაკეთება].

გახ. ივერია, 1903, 3 დეკემბერი, № 258, გვ. 1.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ პეტერბურგში მცხოვრებ ერთ
ქართველს განუზრახავს ვეფხისტყაოსნის ოპერად გადაღება. ამ ოპერის ერთი
სურათი უკვე მოუსმენიათ და მოსწონებითა.

341. ვ. ო. ურუშაძე

მოკლე ისტორია საქართველოსი

შედგენილი ვ. ო. ურუშაძის მიერ, თბილისი, 1903, 72 გვ.

ავტორი თამარ მეფის ეპოქის დახასიათებისას სპეციალურად ჩერდება
შოთა რუსთაველზე (გვ. 45—47), ახასიათებს მის შემოქმედებას ზოგადად.
აღნიშნავს მის დიადობას, პოპულარობას, მნიშვნელობას და მოჰყავს რუს-
თაველის ბიოგრაფიის მოკლე ცნობები.

დასასრულს, ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ორმოცდაათამდე რჩეული
აფორიზმი (გვ. 47—50).

342. ა. ფრონელი (ყიფშიძე)

ნახული და გაგონილი. VI. შოთა რუსთაველი

გახ. ივერია, 1903, 3 სექტემბერი, № 187, გვ. 2—3.

ავტორი ხატავს სამეცნიერო აზრების სურათს, განსაკუთრებით აწინდელი
რუსთავეის გაპარტახებულ მდგომარეობას, რაც, მისი შენიშვნით, არ შეეფერე-

მა დიდებული რუსთაველის სახელსა და ხსოვნას. ამათან დაკავშირებით ავტორი წინადადებას იძლევა რუსთავეის ველზე, შემალლებულ ადგილას, რომელიც მტკვარს გადასცქერის, შოთა რუსთაველის ძეგლი ან ობელისკი დაიდგას, რისთვისაც ქართველ საზოგადოებაში შეგროვდეს ძეგლის ასაგები ფული. მას იგივე საკითხი აღუძრავს წერილში „დიდებული მესხეთი“ (ეურნ. „მოამბე“, 1902, № 3). ფული უნდა იგზავნებოდეს წ. კ. გ. საზოგადოებაში.

დასასრულს, ავტორი ეხება მარის მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ თამარიანის ავტორი შოთა რუსთაველია (ТР, VI) და მოჰყავს ვრცელი ამონაწერი, რომელშიაც მარს შოთა რუსთაველი მიაჩნია სპარსული ამბის ქართულ ნიდაგზე გადმომკეთებლად. ავტორი უსაყვედურებს მარს, რომ, თუ პოემის საგულეებელი სპარსული დედანი ჯერ კიდევ არ აღმოჩენილა, სპარსულს რად არქმევსო.

• 843. ს. ქვარიანი

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

ეურნ. მოამბე, 1903, № VII, გვ. 1—40; № VIII, გვ. 1—35.

ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-ლიტერატურულ ნარკვევს პოემის სიუჟეტის ორიგინალობასა და შედგენილობაზე, რუსთაველის ბიოგრაფიასა და მსოფლმხედველობაზე. პოემის სიუჟეტის და მისი ცალკე ეპიზოდების შედარებით საქართველოს ისტორიის ზოგიერთ მოვლენებთან, მათში ანალოგიების შონახვით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს საქართველოს ისტორიული სინამდვილის ასახვას. დავით აღმაშენებლისა და თამარის დროის მართანებში, სტეფანოზ ორბელიანისა და ვახუშტის ისტორიებში და ზეპირგადმოცემებში არსებული სხვადასხვა ცნობის ვეფხისტყაოსანის შინაარსთან თაყინებური შეჯერებითა და შეთავსებით ავტორი ადგენს პოემის ავტორის — შოთა რუსთაველ-ართავანოსძის და პოემის მთავარი გმირების ბიოგრაფიას.

გიორგი III მძისაშვილის — დემნას ტრაგიკულ სიკვდილში ქვარიანი ხედავს ვეფხისტყაოსნის როგორც წარმოშობის, ისე მისი სიუჟეტის აგებულების გასაღებს. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი და ისტორიული მართანები აესებენ და ამთავრებენ ერთმანეთს. ვეფხისტყაოსანი გვაწვდის ისეთ ცნობებს თამარის მეფობისა და ცხოვრების შესახებ, რაზედაც ჩვენი მემართანნი განგებ სდუნან. რუსთაველს თავისი პოემის საგნის ნამდვილი ვითარება განგებ აქვს შენიღბული უცხო სახელმწიფოთა და გმირთა სახელებით, ამიტომ „ეს პოემა არ არის არც ხალხური ლეგენდა, არც სიმბოლო და ალეგორია“, მის გმირებს მერად ანლო კავშირი აქვთ იმ დროის ისტორიულ პირებთან (№ VIII, გვ. 31). როსტევეანი და ფარსადანი გიორგი მესამეა, ნესტანი და თინათინი — თამარი, აეთანდილი — დავით სოსლანი, ტარიელი — დემნა, ფრიდონი — დემნას მომხრე სპასალარი ივანე ორბელიანი, დავარი — რუსუდანი, ინდოეთის შვიდი სამეფო — საქართველოს შვიდი სამთავრო.

აყთ ანალოგიათა გატარების საფუძველზე ავტორი ასკენის, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მთავარი ქარგა არის გიორგი მესამის საქართველოში „სასახლის დრამა და დინასტიური განხეთქილება“. შოთა რუსთაველ-ართავანოს ძეს ვეფხისტყაოსანი დაუწერია თავისი მეგობრის, ტახტის ძიებისათვის სიკვდილით დასჯილი დემნასა და თამარის ტრაგიდიით დაბოლოებული სიუჟეტის გამოსახატავად. დემნას მიერ ტახტის ძიება, რაც პოემაში თითქოს

მოკემულია ტარიელის შიერ ნესტანის ძებნის სახით, ავტორს არ მიაჩნია საკმარის საბუთად გიორგი შესამის სისასტიკის ასახსნელად, რომელიც მან გამოიჩინა თავისი ძმისწულის მიმართ. მისი აზრით, ეს საიდუმლოებით მოცული ამბავი იმით აიხსნება, რომ ღემნას უყვარდა თამარი, რამაც მეფისა და სამღვდელთების შრისხანება, ღემნას დასჯა და თამარის გიორგი რუსზე გათხოვება გამოიწვია. ნესტანი გამოხატავს გათხოვებამდე ღემნაზე შეყვარებული თამარის ზენაარ სიყვარულს. ამრიგად, რუსთაველი წერს არა თავის სიყვარულს და გრძნობებს, არამედ სხვისას. ის დასტირის უკვე სიკვდილით-დასჯილის, თავისი პირადი მეგობრის ტარიელ-ღემნას ზედს, რომლის მომხრეობისათვის ის შიიყურეს პერეთში შეტაკების დროს (იქვე, გვ. 7). პოემის მიზანია თამარის ნეორე შეყვარებულზე—დავით სოსლანზე გათხოვილი თამარის რეაბილიტაცია მასზე გავრცელებული ცილისწამებისაგან. რუსთაველს პოემით უნდა დამტკიცებინა მათი ზენაარი სიყვარული; მისი მიზანი იყო „სიყვარულის გრძნობის ამაღლება ქართველი ერის თვალში და მით თამარის სახელის აღდგენა“.

პოემის ავტორად ქვარიანს მიაჩნია ქართლის ცხოვრებით დამოწმებული შოთა ართავაჩოს ძე, რომელიც თავისი ბიძის—გიორგი შესამის წინააღმდეგ აჯანყებულ ღემნას ახლდა ლორის ციხეში. ეს შოთა ართავაჩოს ძე უნდა იყოს სწორედ რუსთაველი მესხეთის რუსთავისა (იქვე, გვ. 10).

ავტორის აზრით, შოთას უნდა მიეღო აღმოსავლური (იერუსალიმი, სინას მთა) და არა ბერძნული (ათინა) განათლება, რაც იქიდან ჩანს, რომ პოემაში „არაეთიარი ელინური და ქრისტიანულ-ასკეტიკური არაა. იგი თავიდან ბოლომდის ეროტიული ხასიათისაა. იქ სულმნათი შოთა ფლობს ზენაარ სიყვარულს, შიგ ჩანს აღმოსავლეთური მელანქოლია, რაინდობა, ფატალიზმი, ცრემლები და სპარს-არაბული ენა, სული და ტენდენცია“ (გვ. 11).

ამის შესახებ იხ. პროფ. კ. აკელიძე—ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 153.

644. ს. ქვარიანი

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. ივერია, 1903, 29 ნოემბერი, № 255, გვ. 3—4.

წერილი დაწერილია იუსტიციის აბულაძის გამოსვლასთან დაკავშირებით „ცნობის ფურცელში“ (№ 2299, 2293) ვეფხისტყაოსნის საკითხებზე ს. ქვარიანის ნაშრომის—„შოთა რუსთაველი და მისი პოემა“—გამო. ავტორი ეკამათება ი. აბულაძეს ვეფხისტყაოსნის შესწავლის საკითხებზე უმთავრესად. პოემის ორიგინალობასთან დაკავშირებით, მოკლედ გადმოსცემს თავისი ნაშრომის დებულებებს და მოითხოვს მის ობიექტურ კრიტიკას და არა „აბულაძისებურ უნიადგო ქირღვას“.

645. აკაკი [წერეთელი]

შწარე ფიქრები

გაზ. ივერია, 1903, 20 ნოემბერი, № 248, გვ. 2—3, ქვედურა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული კულტურისადმი არსებობს უმართებულად ოპილისტური დამოკიდებულება. ზოგიერთები მრავალ მხრივ ცდილობენ ქართული კულტურის დამცირებას. მათი მტკიცებით, სხვათა შორის, რუსთაველი მხოლოდ უბრალო მთარგმნელი ყოფილა. თავისი „ვეფხისტყაოსნისა“.

ამასთან დაკავშირებით აკაკი უსაყვედურებს ერთ პატივცემულ ქართველს, რომელმაც ზიჩს დაუწუნა ვეფხისტყაოსნის გმირების ქართველებად დახატვა (მხედველობაში აქვს „ელდია“-ს წერილი), როდესაც ისინი პოემაში უცხო ქვეყნების წარმოადგენელთა სახელით არიან მოხსენებულიო.

46. [აკაკი წერეთელი]

აკაკის ოსწულუკა

გაზ. ივერია, 1903, 29 ოქტომბერი, № 230, გვ. 1—2.

მცირე წერილი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს აკაკი წერეთლის „თავგადასაყლის“ პირველ ტომზე, რომელშიაც მოყვანილია აკაკის წინასიტყვაობიდან ამონაწერები. ძველ ქართულ ყოფა-ცხოვრებაში ქართული წიგნისა და ხელნაწერის დიდი მნიშვნელობის შესახებ მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ მზითვის სიაში პირველი ადგილი ეჭირა ვეფხისტყაოსანს, და ცოტა ქვემოთ შენიშნავს:

„რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“, პატარა წიგნად გამოცემული და „ოჰონ პენტრეს ოცობოდი“ დიდ წიგნად, არა თუ ერთ ფასში, მეტ-ნაკლებადაც იყიდება; მეორესა აქვს უპირატესობა, როგორც დიდსა და გაბერილს, და ეს არც არაუის ეხამება, რადგანაც სტამბიდან გამოსული წიგნის მარტო ქალაქი და ბექდუა ფასობს და არა გრძობა-გონების ძალა“.

47. A. Хаханов

*Th. Sakhokia—Les proverbes georgie
(Extrait de la Revue des traditions populaires), Paris, 1903.*

ფრან. Исторический Вестник, 1903, т. XCIII, № 8, გვ. 699.

წერილი წარმოადგენს ა. ხახანაშვილის რეცენზიას თ. სახოკიას მიერ ფრანგულად დაბეჭდილ ნაშრომზე, რომელშიაც გაკვერთ ნახსენებია შოთა რუსთაველიც.

ავტორი აღნიშნავს, რომ თ. სახოკია საქართველოში ცნობილია როგორც ეთნოგრაფი და მთარგმნელი. მას შეგროვებული ჰქონია 7,000 ანდაზა, რომელთაგან 800 უთარგმნია ფრანგულად. ხალხური ანდაზების ციკლში მოთავსებულია XII საუკუნის ქართველი პოეტიკა შოთა რუსთაველის აფორიზმები, რომელთა ნიმუშად ავტორს მოჰყავს რამდენიმე.

ავტორის შენიშვნით, თ. სახოკიას დამსახურება ისაა, რომ მან პირველმა გააცნო უცხოელებს ქართული ფოლკლორის ეს დარგი და მათ შორის ხალხში გადასული რუსთაველის აფორიზმები.

48. მ. ჯანაშვილი

ქართველთა მაცნე

ძველი საერო ლიტერატურისა, სახალხო გადმოცემანი, რწმუნანი და სხ.

ფრან. მცამბე, 1903, აპრილი, № 2, გვ. 3—28; № 4, გვ. 57—81.

ქართლის ცხოვრების წყაროთა შორის ჩამოთვლილია რუსთაველის „თამარ მეფის შესხმა“ და ვეფხისტყაოსანი.

ავტორს თამარ მეფის მიერ ტრაპიზონის დაპყრობის შესახებ არსებულ ქართულ ზეპირსიტყვიერ გადმოცემებთან დაკავშირებით მოჰყავს ვეფხისტყაოსნის 1667-ე სტროფი და „ზარათა მარებლად“-ს უკეთებს სქოლიოს: „ზარათა მარ ებლად: ზმად—თამარ“ (გვ. 68).

649. В. А. Величко

Братя Грузии

წიგნში: Полное собрание публицистических сочинений В. А. Величко; издание М. Д. Муретовой, С.-Петербург, 1904, том первый.

თამარის მეფობის აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ მის დროს დაიბა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის უკვედვი სილამაზის მარად უქცნობი ხმები (გვ. 27). ის თარგმნილია მთავარ ევროპულ ენებზე (ასახელებს ლათინის თარგმანს) და მხოლოდ რუსულად არ მოიპოვება მისი სრული თარგმანი.

იქვე, გვ. 59—69, წერილში «Историческое прошлое» ავტორი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაზე მსჯელობისას შენიშნავს: «Ученик Патканова, г-н Марр, не упускает случая отхватить что-нибудь от Грузии в пользу армян и все общает доказать, что замечательная древняя грузинская поэма «Барсова кожа» есть произведение позаимствованное» (გვ. 64).

650. X. А. Вермишев

*проф. Н. Я. Марр и его отношение к грузинской культуре
и отзыв о «Барсовой коже»*

წიგნში: Материалы для истории грузино-армянских отношений. Отчет на книжку кн. И. Г. Чавчавадзе: Армянские ученые и «попьющие камини», С.-Петербург, 1904, 223 გვ.

მთელი თავი (გვ. 120—135) მიძღვნილია იმ პოლემიკისადმი, რომელსაც ი. ჭავჭავაძე აწარმოებდა „ქვათა ლალაში“ პროფ. მართან და სხვებთან ვეფხისტყაოსნის გამო. ავტორი ცდილობს დაამტკიცოს, რომ მარის მუშაობა ვეფხისტყაოსანზე ობიექტურ მიზნებს ისახავს. ავტორს მოჰყავს ამონაწერები ი. ჭავჭავაძის წიგნიდან მარის წინააღმდეგ იმის დასამტკიცებლად, რომ მარი ასეთ საყვედურს არ იმსახურებს, რომ მას ი. ჭავჭავაძე ყოველგვარი საფუძველის გარეშე სწამებს ავს, ქართული კულტურის დამცირებას. შოთა რუსთაველის შემოქმედების დაწიხვლას და საერთოდ ქართველი ხალხის შეურაცხებას, რომ მარი ემსახურება მეცნიერებას და არა სომხებს (გვ. 127), რომ მარმა თვითონვე უარყო შესაძლებლობა ვეფხისტყაოსნის სპარსული ორიგინალის მონახვისა ინგლისში (გვ. 128).

ავტორს ამასთან ერთად მოჰყავს მარის შრომებიდან ამონაწერები, რომელთა მიხედვით აღიარებულია ვეფხისტყაოსანზე ისეთი სპარსული გავლენა, რაც პოემას კუშმარიტ ნაციონალურ მნიშვნელობას უქარგავს და რომ, აღრე იქნება თუ გვიან, ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი აღმოჩნდება (გვ. 129).

651. X

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები

ქართველ მრეწველი გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი
ზ. კიკინაძისა, ტფილისი, in 1/16, გვ. 40. ფ. 10 კ. დაბ. 1000 ო.

ჟურნ. მოამბე, 1904, № 5, გვ. 78—98.

ავტორი კრიტიკულად აფასებს ზ. კიკინაძის ნიერ გამოცემულ ქართველიშვილის ბიოგრაფიას და აღნიშნავს, რომ ქართველიშვილი თავისი ხარჯით ბეჭდავდა ქართულ წიგნებს „და მანვე თავისი ხარჯით გამოსცა მხატვრის

ზიჩის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსანი, რომელიც აქამდე საუკეთესო და ყველაზედ უფრო მდიდარ გამოცემად ითვლება ქართულ ენაზედ. ეს წიგნები მან „წ. კ. საზოგადოებას“ შესწირა“ (გვ. 90).

662. ე. კ.

ვეფხისტყაოსნის შესამოწმებელი მასალა
(უბის წიგნიდან)

ჟურნ. მ.ო.ა.მ.ბ.ე; 1904, მაისი, 5, გვ. 20—38.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სიდიადეს და ეხება პოემის ერთ ხელნაწერს, რომელიც ჰკუთვნება თბილისში მცხოვრებ სომხის ქვრივს. ხელნაწერს ჰქონია 227 ფურცელი, ბეჭდურ ტექსტთან შედარებით მასში 222 სტროფი ყოფილა მეტი, რაც ვეფხისტყაოსნის გაგრძელების ტექსტს შეიცავს. მისი სათაურებიც რამდენიმედ განსხვავდება. ავტორის აზრით, ხელნაწერი XVII საუკუნისა უნდა იყოს და, ჩანს, ძველი დედნისაგან უნდა იყოს გადაწერილი. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ქართული თხზულებაა და ვეფხისტყავით შემოსევა გმირისა — ქართული ჩვეულება.

დასასრულს, ავტორს მოჰყავს ხელნაწერის სტროფთა მაჩვენებელი ჩუბინაშვილის გამოცემისთან შედარებით და ზოგი განსხვავებული წაკითხვის მაგალითი.

ავტორის დასკვნით, ეს ვარიანტი საყურადღებოა თავისი წაკითხვებით და მისი შემწეობით ვეფხისტყაოსნის ბევრი დამახინჯებული ადგილი შეიძლება შესწორდეს.

663. დ. კარიჭაშვილი

ვეფხისტყაოსნის ახლის გამოცემის რეცენზიის გამო

ჟურნ. მ.ო.ა.მ.ბ.ე, 1904, მარტი, № III, განყ. II, ტფილისი, გვ. 13—38;

აპრილი, № IV, განყ. II, გვ. 38—62.

წერილი წარმოადგენს დ. კარიჭაშვილის რედაქციით 1903 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის გამო შოთა დავითაშვილის მიერ დაწერილი რეცენზიის („ივერია“, 1903, № 225, 226) პასუხს.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის თავისი გამოცემის გეგმას და უპასუხებს შიო დავითაშვილის „ოთხგვარ შენიშვნებს“.

ეს შენიშვნები ეხება ვეფხისტყაოსნის ცალკე სიტყვათა წაკითხვას, დამახინჯებული ადგილების აღდგენის მართებულობას, „და“ კავშირის ხმარებას მეოთხე სტრიქონის წინ, ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის პოემისათვის კუთვნილების, ყალბი ტაელებისა და ჩანართების საკითხს და სხვ.

664. [Евгений Марков]

Очерки Кавказа

Картины кавказской жизни, природы и истории Евгения Маркова

Издание второе, С.-Петербург и Москва, 1904, გვ. 283—284.

იმერეთში მგზავრობის აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ ერთი თავადის სახლში სტუმრობის დროს ახალგაზრდა მასპინძელმა მოიტანა ქართული წიგნი და დაიწყო ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების ხმახმალად კითხვა, რომელიც თითქმის ყველა ქართველმა ზეპირად იცის (გვ. 284).

იქვე აღნიშნულია, რომ რუსთაველმა ვეფხისტყაოსანი დაწერა თამარის დროს.

655. ფილიპე მახარაძე

დანიელ ჭონჭაძე და მისი დრო
თბილისი, 1904, 126 გვ.

ავტორი „სურამის ციხის“ გარჩევისას გაკვრით ეხება ვეფხისტყაოსანს, აღნიშნავს მის პოპულარობას საქართველოში და ამასთან ერთად იმ ფაქტს, თითქოს ვეფხისტყაოსნის გავლენა ქართველთა შორის თანდათან კლებულობს, რადგან მის კითხვას უსაქმობას დაჩეუულ საზოგადოებაში ჰქონდა გასაუვალიო, რასაც დასძენს, რომ ვეფხისტყაოსანი თავისი იდეებით და სურათებით თანამედროვე აღამიანს ვერაფერს არგებსო (გვ. 91—92).

656. Meyer

Meyer Grosses Konversations Lexikon

t. VII, 1904, გვ. 616.

ავტორი ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვაში გაკვრით ახსენებს შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს და ა. ლაისტის გერმანულ თარგმანს.

657. ალ. შირიანაშვილი

მცირე შენიშვნა—ტონელი თუ გვირაბი?

გაზ. ივერია, 1904, 18 ივნისი, № 141, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ სოლოლაკის მთის ქვეშ გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებით საზოგადოებაში გახშირდა სიტყვა „ტონელი“ ხმარება, და დასძენს, რომ უცხო სიტყვის სესხება გამართლებული არ არის, თუ საკუთარი მოგვეპოვება. ავტორი შენიშნავს, რომ საქართველო მოფენილია გვირაბებით და ეს სიტყვა ცნობილია მეტყველებათაშიც. ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან:

„ციხეს ეზი ეზო მაღალსა, თვალნი ძლოვ გარდასწედებთან;

გზა გვირაბითა შემოვა, მცველი მუნ ზედა დგებთან“.

ამ ადგილის საანალოგიოდ მოჰყავს ეახუშტის გეოგრაფიიდან ცნობა: „არს გორასა ზედა ციხე დიდი, დასავლათ არს ჩატანილი გვირაბი ლიხაჟამდე, ქვიტორისა“.

ავტორის განმარტებით, გვირაბი დახურულ, ფარულ გზას აღნიშნავს და ძველად, რადგან მთის გახვრეტა არ იცოდნენ, ქვიტკირით აშენებდნენ. დასასრულს ავტორი შენიშნავს: „ქართული პრესა ვალდებულია სხვისაგან დაჩაგრული მშობლიური ენა თვითონაც არ დაჩაგროს ყველასაგან მიღებული და ცნობილი სიტყვების განდევნით“.

658. კლდია [პეტრე შირიანაშვილი]

საჭირო განმარტება

(„ძველის სტუდენტის“ პასუხად)

გაზ. ივერია, 1904, 30 ნოემბერი, № 274, გვ. 3.

ავტორი დორპატის ქართველ მოსწავლეთა შეკითხვის საპასუხოდ, თუ ქართველებს როგორი დროშები ჰქონდათ, უპასუხებს, რომ „შოთა რუსთაველს ვეფხისტყაოსანში აქვს ერთი ადგილი, სადაც არის ნათქვამი: „გამართე დროშა მეფისა აღმითა (ფლაგის) წითელ-შავითა“-ო.

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ ამ ორი წლის წინათ მან „ივერიის“ საშუალებით მკითხველებს ამ საკითხის შესახებ აუწყა და სპეციალისტებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ, მაგრამ, ჩანს, მათთვისაც ეს საკითხი ტერრა ინკოგნიტა ყოფილაო.

•660. კლდია [პეტრე მიჩიანაშვილი]

ხალკისოდ

გაზ. ივერია, 1904, 18 დეკემბერი, № 289, გვ. 2.

ავტორი ქართული დროშების ფერის შესახებ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მან უკვე ერთხელ დორაპატელი ქართველი სტუდენტის საპასუხოდ გამოთქვა აზრი, რომ „საქართველოში, თამარ მეფის დროს, საეროდ მიღებული წითელი და შავი ფერი ყოფილა“, რის საბუთად მოუყვანია ერთი ადგილი ვეფხისტყაოსნიდან:

„აუშაროე დროშა მეფისა აღმოთა წითელ შავითა.“

•660. ნ. თ. ალექსი-შესხიევი

ისტორიულ პიესის წარმოცგნის გამო
(ვეფხვი ჩვენს დრამატიულ საზოგადოებას)

გაზ. ივერია, 1904, 18 მარტი, № 70, გვ. 2—3.

ქართული ჩაცმულობისა და იარაღების ასხმის აღწერილობაში („ივერია“, № 63, 66, 70, 80, 96, 103) ავტორი ეხება შოთა რუსთაველის დროის ქართველთა იარაღსა და ჩაცმულობას.

•661. [უავტორო]

ახალი ამბავი [სტალინსკის გარდაცვალება]

გაზ. ცნობის ფურცელი, 1904, 31 იანვარი, № 2395, გვ. 4.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში გარდაიცვალა „კაეკაზ“-ის რედაქტორად ნამყოფი ევგენი სტალინსკი, რომელმაც 1888 წელს გამოსცა ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობის თავისი რუსული თარგმანი.

•662. [უავტორო]

Руставели Антога

Большая энциклопедия, С. II., 1904, Шестнадцатый том, гл. 654.

შეიტავს მცირე ცნობას რუსთაველისა და მისი ვეფხისტყაოსნის შესახებ, რომელშიაც შენიშნულია, რომ ის ამ პოემის დაწერისათვის სამღვდლოების მიერ იღვევებოდა.

•663. ა. ფრონელი

„ახალი და გაკონილი. VII. ვარძია

გაზ. ივერია, 1904, 18 ივნისი, № 141, გვ. 2—3, კვედურა.

ვარძიისა და საფარის ეკლესიების სიძველეთა სავალალო მდგომარეობის აღწერისას ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სიძველეებს არა მხოლოდ შემოსეული თურქები აფუჭებდნენ, არამედ ადგილობრივი ბიკ-ბუჭებიც, რომელთაც საფარაში ბეჟასა და ალბულას ფრესკებს თეალები დასთხარეს. ამასთან დაკავშირებით ავტორი ნალვლიანად იგონებს ფინების მიერ ხატად ქცეულ პოეტს რუნებერგს. რომლის ნადგომი სახლი ფინებს წმიდა ადგილად გამოუცხადებიათ, თავყვანს სცემენ, რასაც შენიშნავს:

„ვის ეკადრება ფინი რუნებერგი და ან რა სახსენებელია შოთა რუსთაველთან? მაგრამ რუნებერგს მრავალი ძველი აუგეს თოვლ-ყინულიან ფინლიანდიაში და შოთას სამშობლო სოფელი-კი კუქუიან და მურდალ ქურთთა სადგურად და ბინად გაეხადეთ. დღევანდელს საქართველოს ქურდ-ბაცაცასავით შემოგაპარა ვლურობა და ბარბაროსობა, შთანთქა ძველი კულტურა და მისნი ნაშთნი და თამამად პარპაშებს“ (გვ. 3, სვეტი 2).

664. [ზ. კიკინაძე]

ისტორია ზურსიძის (ისარლოვი) გვარისა და შოთა (შო) რუსთაველი
ზ. კიკინაძისა, თფილისი, 1904, 108 გვ.

ავტორი განიხილავს ზურსიძეების გვარის ისტორიას, რომლის ერთ წარმომადგენელს—ზარზმის ეკლესიის სამრეკლოს აღმშენებელ მამას—შოთა-ყოფილს — შიოს აიგივებს შოთა რუსთაველთან (გვ. 35, 43). მას ჰყოლია ცოლი გულდამა, შემდეგ გაიანე და შვილი გაბრიელ ზურსიძე. ეს შოთა მოხუცე-ზისას ბერად შემდგარა და გარდაცვლილა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში.

ავტორს მოჰყავს ტიმოთეს ცნობა რუსთაველის მიერ ჯვარის მონასტრის გუმბათის სვეტების განახლებისა (იქვე) და შენიშნა რუსთაველის „ლექსთა ბოროტთა მთქმელობის შესახებ“ (გვ. 36). ავტორი აუგად იხსენიებს სამღვდლოებას, რომელსაც არ ესმოდა ვეფხისტყაოსანი (იქვე). შოთა-ყოფილ შიოს შესახებ იმორწმებს დ. ბაქრაძეს და ა. ხახანაშვილს.

ავტორი ჩამოთვლის XII საუკუნეში მცხოვრებ სხვა პიროვნებებს. რომელთაც შოთა ერქვათ — შოთა ართავაჩოს ძე და შოთა კუპრი. აკრიტიკებს აკად. მარის ცდას გრიგოლ ჩაბრუხაძისა და შოთა რუსთაველის გაიგივებისას (გვ. 40–41).

665. ალექსანდრე ხახანაშვილი

ქართული ზიტყვიერების ისტორია
(უძველესი დროიდან მე-XVIII საუკ. გასულამდე)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების გამოცემა № 65.
თფილისი, 1904, წ. I. 593+XIX გვ.

შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანს ეხება 340 — 396 გვერდებზე. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში, მის მნიშვნელობას ქართული მწერლობისათვის, ეხება პოემის ავტორობის საკითხს, რუსთაველის შესახებ არსებულ ლეგენდებს, და მოჰყავს მოკლე ცნობები შოთა რუსთაველის ბიოგრაფიიდან. ამასთან ერთად ავტორი მიმოიხილავს მკვლევართა შეხედულებებს პოემის შესწავლის სხვადასხვა საკითხზე, არჩევს პოემაში საქართველოს ანალოგიის დასახვის ცდებს და ახასიათებს პოემის მთავარ გმირებსა და მოტივებს.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას, მოკლედ მიმოიხილავს ლიტერატურას ამ საკითხზე, განიხილავს სიუჟეტის წარმოშობის პრობლემას ხალხური ტარიელიანის ვარიანტებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ, მიუი აზრით, ვეფხისტყაოსანი აღებულია ხალხური პოეზიიდან, რაც თითქოს ამჟამად უკვე გაზიარებულია აბულაძისა და კარიკა-შვილის მიერ (გაზ. „ივერია“, 1890, № 25). საილუსტრაციოდ გაჰყავს პარალელური ვეფხისტყაოსანისა და ხალხური ტარიელიანის ეპიზოდებს შორის და ახასიათებს პოემის მთავარ გმირებსა და იდეალებს.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს, მის ადრეულ გამოცემებს და აღნიშნავს პოემის დენას.

666. ხილოვან ზუნდაძე

ქართული გრამატიკა

ვ. ი. ბეჟინშვილის წიგნის მალაზიის გამოცემა, ქუთაისი, 1904, 198 გვ.

ავტორს ქართული ენის გრამატიკის სხვადასხვა საკითხების გარჩევისას საილუსტრაციოდ მასალად მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული თქმები და

სიტყვები. ვეფხისტყაოსანს განსაკუთრებით იყენებს ავტორი ლექსთწყობისა და ძველი ქართული ენის ფორმების საკითხების გარჩევისას (გვ. 185—198) — ავტორის აზრით, შაირის ლექსში, რომლის ნიმუშადაც მოჰყავს: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე სჯდა მტირალი წყლისა პირსა“, ოთხი ცეზურაა (გვ. 186). ავტორის დაბალი და წაღალი შაირის საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ტაეპები და შენიშნავს, რომ „შოთა რუსთაველს თავის პოემაში ორივე შაირი აქვს. ნახმარი, მაგრამ ისე, რომ თითოეულ ხანაში ორივე გვარის შაირის წყობა არ შეგხვდებათ, — ან მთელათ მაღალია, ან მთელათ დაბალი“ (გვ. 188).

667. ივ. ჯავახიშვილი

მამულიშვილობა და მეცნიერება

ტფილისი, 1904, 52 გვ.

იგივე პირველად დაბეჭდილი იყო გაზ. „ენობის ფურცელში“. 1904, 14 აპრილი,

№ 2466, გვ. 2—3; 15 აპრილი, № 2467, გვ. 2—3.

წარმოადგენს პოლემიკურ ნარკვევს საქართველოს ისტორიოსოფიულ საკითხებზე. ავტორი ეხება ქართული ისტორიისა და კულტურის შესწავლის მტკივნეულ საკითხებს, განსაკუთრებით კი ქართული საერო პოეზიის წარმოშობას. მისი მოთხოვნაა, ჩვენი წარსულის ნეცნიერული კვლევა არ ეწირობოდეს ცრუპატრიოტულ, უსაგნო მანულიშვილურ გატაცებასა და ყალბად განდიდების თავშეუკავებელ გრინობებს.

წერილი ძირითადად მიმართულია აკად. ნ. მარის მიერ ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობის დებულების მოწინააღმდეგეებისადმი. სპეციალურად განხილულია ი. გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“, რომელშიც ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობის მარისეული დებულება შეფასებული იყო როგორც ქართული კულტურის დამდაბლება (გვ. 38—50). ავტორი ი. გოგებაშვილთან კამათში იცავს მარის დებულებას, რომ ვეფხისტყაოსნის მოთხრობა სპარსულ-მამადაიანურია, რაც უფრო ამართლებს რუსთაველის სათანადო ცნობას. ავტორის სწამს, რომ ვეფხისტყაოსნის სპარსული დედანი თუ არ აღმოჩნდა, მთავარი ქართული თარგმანი მაინც აღმოჩნდება, რომელიც: შოთა რუსთაველს უნდა გამოეყენებინოს. ავტორის მოჰყავს მარის შრომებიდან ერცელი ციტატები გოგებაშვილის დებულებათა საწინააღმდეგოდ და აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა გამოირკვეს, თუ რამდენად შესცვალა რუსთაველმა თავისი პოემის სპარსული დედანი.

ამასთან დაკავშირებით, ავტორი ევროპისა და აღმოსავლეთის მწერლობის ისტორიიდან უამრავი მაგალითის მოყვანით ცდილობს დაასაბუთოს, რომ სიუჟეტის სესხება არ წვევტს თხზულების ღირსებისა და ორიგინალობის საკითხს, რამდენადაც სიუჟეტის სესხება ძველად ჩვეულებრივი მოვლენა იყო და რომ რუსთაველის სახელს სრულებითაც არ მიაღება ჩრდილი, თუ მართლაც ვეფხისტყაოსნის სპარსული დედანი აღმოჩნდა, როგორც ამას აკად. ნ. მარი ვარაუდობს (გვ. 41).

ავტორი იზიარებს აკად. ნ. მარის აზრს იმის შესახებ, რომ „ქართული მწერლობაც მიზაძვითა და თარგმანებით დაიწყო, სპარსული სიტყვიერების წაბაძვით აღორძინდა, თუმცა ქართულს ჰქონდა ორიგინალური „პოეტური თხზულების ენა და ლექსთა წყობის ფორმები“, რომელიც მას „ჩვენმა სასულიერო პოეზიამ უანდერძა“ (გვ. 47).

ავტორი ვეფხისტყაოსნის წყაროს საკითხზე მსჯელობისას საკვებით უარყოფს მისი ქართული ხალხური პოეზიიდან წარმოშობის შესაძლებლობას. მისი

აზრით, „შეუძლებელი იყო შოთას სახალხო თქმულებით ესარგებლნა. ერთადერთი მწერლობა, საცა საპოეზიო მასალების შოვნა შეიძლებოდა, სპარსული სიტყვიერება იყო“ (გვ. 50).

1668. მ. ჯანაშვილი

თამარ მეფე და შიხნი ისტორიკოსნი

XIII. ასასინები = მოლიდნი = ქაჯნი

ფონ. მთაბბე, 1904, IV, გვ. 63—74; VI, გვ. 1—24.

ავტორი ეხება ასასინ-მოლიდების პრობლემას ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით და მოჰყავს სათანადო ადგილები პოემიდან და არჩევს ზოგ ეპიზოდს—ქაჯობისა და გრძნების მოტივით.

ეხება ვეფხისტყაოსანს, როგორც თამარ მეფის ცხოვრების ერთ-ერთ წყაროს, და აღნიშნავს, რომ პოემაში გამოხატულია ორი მსოფლიო—წმინდა ქართული და წმინდა გარმიანული. არაბეთი—საქართველოა, ინდოეთი—გარმიანეთი. ამასთან შედარებით ვეფხისტყაოსნის არაბ გმირთა შორის საუბარი, ისევე უდომის ჩვეულება, ჯვარდაწერილთა დალოცვა, ნადირობა, ანდერძი და სხე. ქართულია. მოლიდ-ასასინების და ალამუთის ციხის პრობლემასთან დაკავშირებით შენიშნავს. რომ ვეფხისტყაოსნის ქაჯები — ასასინების შესატყვისია, „რუსთველის ქაჯებსაც სწორედ ის თვისებები აქვთ, რითაც მოლიდნი—ხაშიშები (ქაში-ში = ქაჯი?) გაირჩეოდნენ. რუსთაველის ქაჯი = მოლი (მოლიდი), რომელიც ფატმანმა და აფთანდილმა წერილით გაგზავნეს ქაჯეთს ნესტანთან, იმ თვისებისა და ზნისა, ვითარცა ქართლის ცხოვრების აღწერით და ვეფხისტყაოსნის მოთხრობით მოლიდნი — ხაშიშნი“. ამ „მიპარვით კაცის მკვლელთა და უჩინრად მავალთა“ ქართლის ცხოვრებაში აღნიშნული თვისებები სიტყვა-სიტყვით გაუმეორებია რუსთაველს. ავტორს მოჰყავს პარალელური ადგილები ვეფხისტყაოსნისა და სხვა ლიტერატურული ძეგლებისა და არჩევს ზოგი სიტყვის ეტიმოლოგიას.

1669. მ. ჯანაშვილი

მცირე შენიშვნა

(ივ. ჯავახიშვილის წერილის გამო)

გაზ. ცნობის ფურცელი, 1904, 20 აპრილი, № 2472, გვ. 3—4;

21 აპრილი, № 2473, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს პასუხს ივ. ჯავახიშვილის შენიშვნებზე („ცნობის ფურცელი“, № 2466), რომელშიც ავტორი ფაქტების დამახინჯებას ხედავს. ავტორი შენიშნავს, რომ ტყუილად ესარჩლება ივ. ჯავახიშვილი ნ. მარს ი. გოგებაშვილთან და მ. ჯანაშვილთან კამათში. ქართული მწერლობის საკითხებზე მაჯლობისას საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ადგილები. თუმცა როსტომსა და ტარიელს ორივეს ვეფხისტყაოსნის ადგილები და როსტომისა და ვეფხისტყაოსანში ლექსთა წყობაც ერთნაირია, მაგრამ, ავტორის აზრით, ეს არ იძლევა საფუძველს ქართული სპარსულიდან ნასესხებად წარმოვიდგინოთ.

670. [ჯოგოლა არაბული]

ხალსური ვეფხვის-ტყაოსანი

(თქმული გლების ჯოგოლა არაბულისაგან სოფ. ჩირდილში, ხევსურეთში,
და ჩაწერილი სოსიკო შერკელიძისაგან).

წიგნის მალახია „ცოდნა“-ს გამოცემა № 25, თბილისი, 1905 წ., 32 გვ.

ტექსტი შეიცავს ლექსნარევ პროზას, ზღაპრული მოტივებით. დასაწყისი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელათ ტარიელი. ჰყავდა ცოლათ მეტათ შეენიერი მზეთ-უნახავი, სახელათ „მზე-ქალი“, ისეთი ლამაზი იყო ტარიელის „მზე-ქალი“, რომ ღამე-ზნელაში ანათებდა და აშუქებდა, როგორც ღამპარი, როგორც ცის მნათობი“ (გვ. 3)...

ჩართული ლექსი სანიმუშოდ:

„ტარიელ, მხის მაძებარი,
ზღვის ნაპირთ იარებოდა.
მზე ჩახდა, — დადგა ტარიელ,
ამოხდა, — იარებოდა;
მასკელაუი ჰქონდა ლოგინათ,
მთვარე გულს ეფარებოდა!“ (გვ. 7).

დასასრული:

„ტარიელმა და აეთანდილმა ამოწვეიტეს მთლად ერთიანად ქაჯების სინსილა, წამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ტარიელის „მზე-ქალი“ და წამოვიდნენ. კარგა სიარულის შემდეგ მიადგნენ ერთ მდინარის ზღის. მაშინ უცებ გაიკრა აეთანდილმა მხალს ზელი და შემოქნია ნესტან-დარეჯანს: „უნდა ეხლავე გაგათავო! — შესაბა აეთანდილმა. ნესტან-დარეჯანს შევეშინდა, პირი წააღო და სამი ქაჯი წამოაგდო პირიდან...“ (გვ. 29—30).

671. Александр Иванов

Чубинов Давид Иессеевич

წიგნში: Русский биографический словарь.
Чаадаев-Швйтков,

С.-Петербург, 1905, გვ. 440—441.

დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემულ წიგნთა მიმოხილვაში ავტორი გაკ...
ერთი აღნიშნავს, რომ მან 1860 წ. გამოსცა XII საუკუნის ცნობილი პოემა...
ვეფხისტყაოსანი დაწერილებითი კომენტარებით და. ამასთან დაამტკიცა,
რომ რუსთაველს არ ეკუთვნის მისად მიჩნეული 45 სტროფი.

672. დ. კარიჭაშვილი

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ბიბლიოგრაფია]

წიგნში: კატალოგი ქართულთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების
წიგნთ-საცუისა, შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ, ტფილისი, 1905, 366 გვ.კატალოგში აღნუსხულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები მშრალი დასა--
ხელებით შემდეგი თანმიმდევრობით:

გვ. 107. № 204. ვეფხისტყაოსნის ბოლოსშემკველი ხელნაწერი.

გვ. 124—125. №№ 455—468. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები.

გვ. 302. № 29. ვეფხისტყაოსნის სიტყვების განმარტება. № 3671.

№ 30. თეიმურაზ ბატონიშვილის „ვეფხისტყაოსნის განმარტე--
ბა“. № 3716.

*La Géorgie et deux grandes Géorgiennes
dans le passé la Reine Thamar, la Reine Kéthévane*
Liège, 1905, გვ. 34

წიგნის ავტორი ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანი გაკერით ეხება რუს-საბერძენულ და მოკაყავს ნაწილებს ვეფხისტყაოსნიდან.

• 574. [ნ. შარი]

ქართველთა ეროვნება
წერილი პროფესორის ნ. შარისა

იმ სიტყვის გამო, რომელიც დეკანოზს ი. ვისტორაგოვს წარმოუთქვამს საქართველოს ირვად უწმინდესის სინოდის წევრთა და სხვა წარჩინებულ პირთა კრების წინაშე. რუსულდგან, ქუთაისი, ი. კილაძისა და ი. ბელაძის სტამბა, 1905, 62 გვ.

ქართველი ტომების-ერთიანობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ „ტომებრივი ლიტერატურა მათი გარდაიქმნა ნაციონალურად და სალიტერატურო ენა ქართულ დიალექტურისაგან ზოგად-ქართულ ენად. აი ამის გამო მრავალი ადგილები ქართველთათვის უძვირფასესის პოემის „ვეფხისტყაოსნისა“ უფრო კარგად ესმისთ, მაგალითად, გურულებს, ანუ იმერლებს, ვინემ თვით ქართლებს, ეთნოგრაფიულ საქართველოს ნამდვილ შეილებს“ (გვ. 9).

ქართული კულტურის საკითხებთან და ქართული ეროვნული თვითშეგნების გალექვებთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ ეს თვითშეგნება ხშირად ინსტინქტურია, და შენიშნავს, რომ მას არა ერთხელ ელაპარაკებოდნენ „რუსთველის კეთილხმოვან ლექსებით, მეთორმეტე საუკუნის პოეტის ლექსებით, რომელიც საქართველოს ნაციონალობისათვის სასიკადულაა: „სჯობს სიციხესლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“ და არც კი იცოდნენ, რუსთველია რომ იყო“ (გვ. 21).

ავტორი რუსთველს მიაწერს ხალხური პოეზიიდან ერთ სტროფს:

[რუსთველმა] უკრ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში გამოხატა ფოლადებ ნაწრობის, ხმა ტბილის სახალხო ფორმის ლექსებით საზოგადოებრივი მსჯელობა ადამიანებზედ:

„ათასად გვარი დაფსდა, ათი ათასად ზრდილობა;
თუ კაცი თავად არ ვარა, ცუდია გვარი შეილობა“ (გვ. 52).

• 575. ნ. შარი

ორი სურათი ანისში—წმიდა ნინო და თამარ მეფე

გვ. ცნობის ფურცელი, 1905, 11 აგვისტო, № 2884, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს, რომ დაეით აღმაშენებლის შემდეგ ქალაქ ანისში ქართველთა ძლიერება იზრდებოდა და თამარ მეფისა და მის შემკვიდრეთა დროს ანისი განუწყვეტლად ქართველების ხელში იყო.

ანისის გრიგოლ განმანათლებელის სახელობის ეკლესიის აღწერაში ავტორი ზერდება ერთი ქალის კარგად დახატულ პორტრეტზე, რომელიც, მისი ვარაუდით, თამარ მეფე უნდა იყოს. ეს არის მთელი კომპოზიცია, რომელშიაც თითქმის ჩახრუხაძის ქების აზრებითა გამოხატული თამარის პიროვნების განდიდების მოტივებით. ქალი „თითქო ტახტზე ისე ნამდვილ ამაზონურად ზის—მეფე ძუ ლომზე“ („ლექვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეაღია“). ლომი შინისწრაფის მარცხნისაჲენ. უჲანა ფეხები საშუა კლანჭებით აქვს ლომს შეიარაღებული. ირგვლივ ქვევით და ზევით თავი მოუყრიათ ოთხფეხ და მფრინველ ცხოველებს. ზოგი მისდევს და მიეტრფის, ზოგი წინ უხელება ან მიურ-

ბის, ყველა მეფის მაქებელ-მადიდებელია...". თამარის პორტრეტის აღწერაში ავტორი შენიშნავს: „მარჯენივ და მარცხნივ გვირგვინზე ჰქილია ორ-ორი მარ-გალიტაცმული მძივი, იქნება სწორედ ის „მარგალიტი წყობილი“, რომელ-საც შოთა თავის აწყობილ ლექსებს ადარებს („აქამდი ამბად ნათქვამი აწ მარ-გალიტი წყობილი“).

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ კომპოზიციას აქვს ქართული და-ზიანებული წარწერა, რომელსაც ასე კითხულობს: „თამარის ქებაჲ არის ეს“. მისივე სიტყვით: „მთელი სურათი, ცხადია თამარ მეფის ჩეულებრივს ძველ მოშაირეთა შორის ქება დიდებას წარმოადგენს“.

676. [იოსებ ჯულაშვილი — ხტალინი]

გაკვირთ პარტიულ უთანხმოებაზე

კავკასიის კავშირი რუს. სოც.-დემ. მუშ. პარტიისა, რედაქცია კავკასიის კავშირის კომიტეტისა, სტაბა კავშირისა, 1905 წ., 46 გვ.

წიგნს ავტორის გვარი და სახელი არ აწერია. სტატიის დასასრულს მუშათა კლასის თვითშეგნებაზე მსჯელობისას ავტორი ოპორტუნისტებისა და „უმცი-რესობის“ მომხრეთა მისამართით შენიშვნაში იყენებს რუსთაველის აფორიზმს: „ერთხელ ყვავამ იშოვა ვარდი, მარა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტუღულათ კი არაა ნათქვამი“.

„რა ყვავი ეარდა იშოვის,
თავი ბულბული ჰკონია“ (გვ. 46).

დაიბეჭდა ი. სტალინის თხზულებათა I ტომში, 1947 წ., გვ. 86—124.

677. [უავტორო]

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

ჩაწერილი ს. მერკვილაძის მიერ, წიგნის მალაზიის „ცოდნა“-ს გამოცემა
გახ. ივერია, 1905, 16 იენისი, № 101, გვ. 4.

რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ს. მერკვილაძის მიერ უოგოლა არაბულის ნათქვამის მიხედვით ჩაწერილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცალკე საკითხავი წიგნის სახით გამოცემას არაავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სჯობდა ხალხური ვეფხისტყაოსანი თურნალში დაბეჭდილიყო, სიტყვა-სიტყვით ჩაწერილი.

ავტორს სანიმუშოდ მოჰყავს ხეესურული ლექსის ნაწყვეტი ვეფხისტყაოს-ნის ეპიზოდის თემაზე და მოკლედ ეხება ხეესურული ვეფხისტყაოსნის გამორებს.

ავტორის შენიშვნით, ხეესურულ ვეფხისტყაოსანს არა ჰქვამდა თავისე-ბური პოეზია და ურადლებას აქცევს იმ გარემოებას, რომ მშვილდისართან ერთად გვხვდება თოფიც და ხალხური ლექსი „ავთანდილ გადინადირა ქელი მალალი ტყიანი“, რომელიც ვეფხისტყაოსნის გამირისათვის მიუწერიათ.

1906

678. [ანონიმი ქართლის ცხოვრებისა]

[„შოთა“-ს მოხსენიება]

ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლის ვარიანტი

გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამოცემა № 79,
ტფილისი, 1906 წ. 993 გვ.

სხედასხვა ამბებთან დაკავშირებით რამდენიმეჯერ ნახსენებია ისტო-რიული პიროვნება „შოთაი“.

„ღა: წარავლინეს: მოციქულად: თათართა: შანშე: ღა: ავაგ: ღა: ვარამ: ღა: ერეთის: ერის: თაჲ: შოთაი: რომელსა: მანისი: ფეროზისა: თვის: კუპროზით: უქმობდეს:“ (გვ. 600).

„არა: რათა: ნიქთა: ღა: ზნეთა: სამამა: კაცოთა: მქონებული: შოთა: კუპარი:“ (გვ. 605).

„ამათ: შფოთთა: შერბეს: ყოველნი: შთავარნი: საქართველოსანი: კობტას: თავსა: იმერნი: ღა: ამერნი: ეგარსალნ: ცოტენ: დადიანი: ვარამ: გაგელი: ყუარყუარე: კუპრი: შოთა: თორღაი: ერ: კახნი: ქართველნი: თორელ: გამრგელი: სარგის: თმოგველი: მესხნი: ტაოველნი:“ (გვ. 633—634).

„მოვეგებეს: ყოველნი: წარჩინებულნი: საქართველოსანი: შანშა: ღა: ძე: მისი: ზაქარია: ამირ: სპასალარი: კაცი: სიკოთთა: აღმატებული: ყუარყუარა: ჯაყელი: სურამელი: გრიგოლ: ქართლის: ერისთავი: ორბელი: გამრგელი: შოთა კუპრი: ღა: ყოველნი: შთავარნი:“ (გვ. 641).

679. მესხე ივ. გვარამაძე

შენიშვნები ზურნიძის (ისარლოვი) გვარის ისტორიისა და ასოციციის ალწერა ტფილისი, 1906, 24 გვ.

ავტორი ახალციხის ქართული გვარების გენეალოგიაში აღნიშნავს, რომ ზარზმის ეკლესიის სამრეკლოს წარწერაში მოხსენიებულია „გაბრიელ წინამძღვარი ძე შოთა ყოფილის შიო ზურსიძისა“ (გვ. 5) და, რამდენადაც ისტორიული დოკუმენტების მიხედვით რუსთავეი ზურსიძეებს ჰქუთენებიით, შოთა რუსთაველის ზურსიძეობა აღარ უნდა გვიკვირდესო (გვ. 8).

მოჰყავს წარწერა: „ამის აღმაშენებელსა წინამძღვარსა ზურსიძესა გაბრიელსა შეუნდოს ღმერთმან, მისსა ღედასა პატრონისა ივანეს ასულსა გულდამყოფილსა გაიანეს შეუნდოს ღმერთმან, მისსა მამას შოთა ყოფილსა შიოს შეუნდოს ღმერთმან“—და შენიშნავს: „აქ უხადლ სჩანს, რომ როგორც შოთა რუსთაველი ბერად შემდგარა და სწოდებია შიო, ისე მისი შეულღე გულდამიც მოლოზნათ შემდგარა და სწოდებია გაიანე ერთსა და იმავე დროს. შოთა რუსთაველის ზურსიძეობა უფრო იმითი მტკიცდება, რომ თამარ დედოფლის მეჭურჭლეთ უხუცესობა ჰქონია თანამდებობად, რაც თანასწორ ნიშნავს, როგორც ხაზინადარობას, ისე ჯაბხანობის გამგებლობას, რადგან გვარმოდგმით ვგრეთ თანამდებობაში დაწინაურებული ყოფილან ყოველთვის საქებურად“ (გვ. 10).

680. Adolphe Thalasso

Anthologie de l'amour Asiatique, Paris, MCMVI, 377 გვ.

ავტორი ქართული მწერლობის ზოგად მიმოხილვაში (გვ. 200—209) მოკლედ ჩერდება შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნავს, რომ რუსთაველს დაუწერია ვეფხისტყაოსანთან ერთად თამარიანიც. ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსანის წყაროებს და ასახელებს ძველ თხზულებათა ცალკეულ გამოხატულებებს პოემაში (ჰომეროსი, ფსალმუნი, ქებათა-ქება).

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი გარდაიცვალა ტფილისში XII საუკუნეში. მისი ლექსების ნიმუშად მოჰყავს გაზელი და შაირი (გვ. 204-205).

681. არტურ ლახტი

წარსულის მოგონებანი.

გაზ. ივერია, 1906, 27 აგვისტო, № 26, გვ. 9—10.

ავტორი გაკვირით შენიშნავს, რომ „ბარონმა სუტტენერმა დასწერა აგრეთვე ერთი წერილი „ვეფხისტყაოსანზე“, რომელიც შემდეგ ი. მეუნარ-გიაშვიდმა გადმოთარგმნა და გაზ. „კავკაზში“ დაბეჭდა“ (გვ. 10).

История Грузии
(*Культурно-исторический набросок*)

По поводу слова прот. И. Восторгова о грузинском народе, С. II, 1906, гл. 33.

ავტორი ქართული კლასიკური პერიოდის კულტურისა და მწერლობის მიმოხილვაში გაკვირით ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი სპარსულიდან თარგმნილი თხზულებაა, თუმცა მისი ქართულად შემქმნელი მაღალ ოსტატობას იჩენს შუბლიური ენის ნიადაგზე შემოქმედებითად გარდაქმნის პოეტიზირებაში.

წაშრომი განსაკუთრებით საინტერესოა რუსთველოლოგიის ზოგადი საკითხების თვალსაზრისით. ქართული კულტურის განვითარების მიმოხილვა შეიცავს მრავალ საყურადღებო ცნობას ქართული ეკლესიის, საეკლესიო მოღვაწეთა, მწერლობის, ხელოვნების, არქიტექტურის და სხვათა განვითარებისა და მისი კულტურული მნიშვნელობის შესახებ.

683. Д.—р Н. Эрнстов-Шарвашидзе

Памятная записка о нуждах Грузинского народа

Москва, 1906, 102 გვ.

ავტორი ზემო ქართლის, ახალქალაქის მხარის სომხებით დასახლების საკითხზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ ესაა ქართველთა ნაციონალური პოეტის შოთა რუსთაველის სამშობლო მხარე (გვ. 35).

ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვაში ავტორი ამბობს:

«Творение же Шота Руставели, современника великого Данте, поэма «Вепхис-Ткаосани» всегда была для грузина самой дорогой книгой, а отцы своим достойным дочерям при замужестве непременно дарили и это произведение в числе ценных предметов приданного.

А для современного грузина поэма «Вепхис-ткаосани» сделалась национальнoй книгой, и лишь через чур в бедной семье грузина ее быть может нет, но тогда хозяин очень уж сожалеет об этом» (გვ. 38).

1 9 0 7

684. Felix Holldack Dr. jur. et phil.

Zwei Grundsteine zu einer Grusinischen Staats- und Rechtsgeschichte
Leipzig, 1907, 256 გვ.

ავტორი ქართული სახელმწიფოებრივი სამართლისა და უფლების საკითხების შესწავლისა და მის ცალკეულ პრობლემებზე მსჯელობისას წყაროდ იყენებს ვეფხისტყაოსანს, რომელიც ქართული სინამდვილის ასახვად მიაჩნია. ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის გმირთა ურთიერთობას და მოჰყავს პოემიდან ცალკეული ადგილები ა. ლაისტის გერმანული თარგმანით (გვ. 50, 56, 57, 59, 64, 78, 84, 85, 86, 87).

ავტორი მსჯელობს კოცნის უფლებაზე და საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სტროფი (გვ. 50) და შენიშნავს, რომ რუსთაველი ხაზს უსვამს ავთანდილისადმი მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებებს (იქვე).

მონებით ვაჭრობაზე ჰსჯულობისას, ავტორი ეხება ფაქტმანის მიერ მონა-
ზანგებისაგან ნესტანის გამოხსნის ეპიზოდს და მოჰყავს სათანადო ადგილე-
ბი (გვ. 156-57). ამასთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს, რომ აგრა-
რულ-ფეოდალურ საქართველოში თუმცა ვაჭართათვის ადგილი არ არსებო-
ბდა და ვაჭრობა თითქმის მხოლოდ სომხების ხელში იყო, მაინც შაკარი
იყო რუსთაველი ვაჭართადმი (იქვე). ავტორი ფიქრობს, რომ ვაჭართა ფენი-
სადმი რუსთაველის უარყოფით დამოკიდებულებაზე გავლენა ჰქონდათ მისი
პოემის შემკვეთელებს, რომელთაც ზორაბაბელი არც თუ განსაკუთრებით
საპატიო დესპანად მიაჩნდათ (გვ. 59).

იმის საილუსტრაციოდ, თუ, რუსთაველის მიხედვით, როგორ ხვდებიან
ავთანდილს მისი მფლობელობის ქვეყნები, მოჰყავს რამდენიმე სტროფი
(გვ. 64).

ავტორი ეხება დაეით მესამისა და გიორგი მესამის საქართველოს პო-
ლიტიკურ ვითარებასა და დინასტიურ შუღლს და აღნიშნავს, რომ ეს იძლე-
ვა საშუალებას ვეფხისტყაოსნის ხასიათის გასაგებად და შესაფასებლად
(გვ. 78). ავტორის შენიშვნით, მაშინდელი საქართველოს სახელმწიფო კე-
თილდღეობის საფუძველი ერთგულება იყო, რასაც რუსთაველიც უმღერის
(იქვე).

ავტორი აღნიშნავს, რომ ბევრი საერთო ხაზია ვეფხისტყაოსანსა და
მაშინდელ ქართულ ისტორიულ ქრონიკებს შორის. ორივეში საერთოა მე-
ფეთადმი ერთგულების, ურჩთა გამოსწორებისა და შეგონების მოტივები
(გვ. 84). ავტორს მოჰყავს ლაისტის აზრი იმის შესახებ, რომ პოემაში სი-
ყვარულს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და არა უმნიშვნელოვანესი (გვ. 85).
ამაზე მნიშვნელოვნად რუსთაველს ესახება ერთგული რაინდი მეფის სამსა-
ხურში (იქვე). ანრივად, პოემის მთავარი მოტივი ერთგულებაა, რომლის ირ-
გვლივ პოეტი ყველა დანარჩენ ღირსებას აჯგუფებს, რაც მეტად მხატვრულ
ფორმაში აქვს განსახიერებელი (იქვე). ავთანდილი და ტარიელი ძნელად
მოპოვებულ სიყვარულს სწირავენ ერთმანეთისათვის შეფიცულ ერთგულებას,
რომელიც იშლება მეფისა და მეგობრის ერთგულების დაპირისპირების კონ-
ფლიქტით (იქვე). ავტორი ანალიზს უეთება ავთანდილის გაპარვისა და შერ-
მადინთან გამოთხოვების ეპიზოდს (გვ. 86), განსაკუთრებით ჩერდება ერთ-
გულების მოტივის გამოსატრულებაზე და მოჰყავს სათანადო ადგილები (გვ.
87). ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის განხილვა შეიძლება მხოლოდ
საქართველოს იმ ხანის სახელმწიფოებრივი ვითარების შესწავლით, რაც პო-
ემის პოლიტიკურ სარჩულს შეიცავს (იქვე). ავტორის აზრით, გენიალური შე-
მოქმედის მიზანი იყო ეჩვენებინა საქართველოს ხსნის საშუალება, რასაც ვა-
სალური ერთგულების განმტკიცებაში ხელდაედა და პოეტმა თავის პოემაში სწო-
რედ ამ ერთგულებას უმღერა, რის სანიშნუროდაც ავტორს მოჰყავს სათანადო
სტროფები.

❖❖❖. [უაფტორი]

მწერლობა

ფრნ. შუამავეალი, 1907, 15 ივლისი, № 1, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „ერთ ხხალგაზრდა მწერალს
განუზრახავს „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულ ენაზე გადითარგმნა“.

666. Balon

ჩვენი მწერლობის ღაცვა

გახ. ა შ ი რ ა ნ ი, 1908, 24 აგვისტო, № 141, გვ. 2—3.

ავტორი მწერლობის საზოგადოებრივ დანიშნულებასა და მდგომარეობაზე მსჯელობისას აღნიშნავს მკითხველთა მასის მოუმზადებლობას, შეუგნებლობას და ქართული ენის უცოდინარობას, რაც მწერლობის უპატივემლობითა მიზეზად მიაჩნია, და განაგრძობს:

„რამდენი მინახავს, რომ დასცინის შოთა რუსთაველს: იღრიჭება იდიოტივით და იმეორებს რომელიმე ტაეას „ვეფხვის ტყაოსნიდან“, თან დაჯღრუელის რუსულით ცინიკურად მსჯელობს: ნეტა რას-ნახულობენ ამ შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანში“: ენა სა შ ი ნ ე ლ ი ა, აზრი არაფერია, სულ სიყვარული, მზე და მთვარე! გულმოსული ადამიანი ეტყვის: კაცო, წაგიკითხავს ეგ „ვეფხვის ტყაოსანი“?—რასაკვირველიაო,—მაშინვე შეგ ყოვრცნის სიტყვის გაკადნიერებული მოკამათე! — შეგისწავლა მე-12 საუკუნის ქართული, რუსთაველის ენა განსაკუთრებით, ან ისტორია ლიტერატურისა და ჩვენზედ გაკლენა უცხო ლიტერატურათა, რომ გაიგო „ვეფხვის ტყაოსნის“ ხასიათი? — ეტყვი თქვენ: აქ კი ცოტათი შეკრთება ჩვენი ვაჟბატონი, სიტყვას ბანზედ ააჯღებს და ისეთს რალაცას მოსჩხაბავს, რომ უნდა გასცილდე, თავი დაანებო სულელთან ლაპარაკს, სხვა რა უნდა უყო!“

667. ბებურ ბებურიშვილი

შეკითხვა (წერილი რედაქციისადმი)

ჟურნ. ნ ი შ ა დ უ რ ი, 1908, 25 მაისი, № 45, გვ. 13.

ავტორი აღნიშნავს, რომ მან 1880 წელს პეტერბურგში შეიძინა 1801 წელს გამოცემული საქართველოს ისტორია, თუმცა არ იცის, ვის მიერ იყო შედგენილი. ეს წიგნი მას შეუწირავს წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, სადაც დაკარგულა, როგორც ესაძე ამბობსო. ავტორს მოჰყავს მკირე ამონაწერი ამ წიგნიდან ვეფხისტყაოსნის შესახებ: „Может быть когда-нибудь доступно будет видеть в переводе на русском языке это великое произведение...“

ავტორის მიერ 1801 წელს გამოცემულად მიჩნეული წიგნი უნდა იყოს ბოლხოვტინოვის ნაშრომი, დაბეჭდილი 1802 წელს (იხ. ანოტაცია № 3).

668. ბლიკვაძე

პატარა ვეფხისტყაოსნი

ჟურნ. ე შ მ ა კ ი ს მ ა თ რ ა ხ ი, 1908, 13 აპრილი, № 26, გვ. 13; 27 აპრილი, № 28, გვ. 13; 18 მაისი, № 31, გვ. 11.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის საზომით და მისივე ლექსიკური ბაძვით შედგენილ პამფლეტს, პოლემიკური მიზნით დაწერილს.

669. პ. გვიგეშვილი

სალიტერატურო უნიუენებო

გახ. ჟ ა ს კ უ ნ ჯ ი, 1908, 16 ნოემბერი, № 4, გვ. 3—4.

ავტორი ქართული ლიტერატურული კრიტიკის არქონას ჩივის და აღნიშნავს, რომ „შოთა რუსთაველს ჯერ ლირსული დამფასებელი არ გამოსჩენია“, რომელსაც ლიტერატურის მსოფლიო ბუმბერაზთა შორის, როგორც არიან ჰომეროსი, დანტე, შექსპირი,—საპატიო ადგილი უჭირავს. ავტორი წუხს, რომ დღემდე გამოუკვლეველია რუსთაველის შემოქმედებისა და ცხოვრების საკითხები.

ლექციები ქუთაისში
(ქუთათურის შენიშვნები)

გახ. ხომლი, 1908, 20 ივლისი, № 7, გვ. 3.

ქუთაისში წაკითხული ლექციების მიმოხილვაში რეცენზენტი აღნიშნავს, რომ თბილისიდან ჩამოსულმა, პეტერბურგში განსწავლულმა ლექტორმა ი. აბულაძემ ვეფხისტყაოსანზე ლექცია წაიკითხა, რომელშიაც იმ აზრს ავითარებდა, რომ ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოები არ არის; არამედ სპარსულიდან გადმოკეთებული ამბავი, რის დამტკიცებაცაც ცდილობდა სპარსული მწერლობიდან მოყვანილი ციტატებით.

რეცენზენტი დასძენს, რომ ეს ერეტყული აზრი დიდ პოლემიკას გამოიწვევს, ისევე როგორც ილია ქავკაძის დროს ამ საკითხის გამო ქართულ-რუსულ პრესაში დიდი აურ-ზაური ატყდა.

691. ე. კარგარეთელი

ქართული მუსიკა მე-XII-ე საუკუნეში ვეფხისტყაოსნით

უფრ. საქართველო, 1908, 28 სექტემბერი, № 2, გვ. 12—14.

ავტორი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი ერთ უდიდეს და ფასდაუდებელ წყაროდ მიგვაჩნია ქართულ მუსიკალურ ხელოვნების დასასურათ-ხატებლად მეტორმეტე საუკუნის ეპოქისა“, და საკიროდ თელის ვეფხისტყაოსნის შესწავლას მუსიკალური თვალსაზრისითაც. „რუსთველის პოემა ზღვაა მუსიკისა“. ავტორი ვეფხისტყაოსანში ნახულობს ქართული სიმღერის სამხმეოვანობის მითითებას. დასასრულს, ავტორი მოუწოდებს, შეისწავლონ ქართული მუსიკა ვეფხისტყაოსნის ჩვენებათა მიხედვით.

692. ლ.

შინაური მიმოხილვა

გახ. შრომა, 1908, 17 თებერვალი, № 2, გვ. 5—7.

ავტორი იხილავს ი. ს. ჯაბადარის—ნარდონის ფსევდონიმით ცნობილი წერილების „Писма о Грузии“-ს ავტორის საზოგადოებრივ მოღვაწეობას და მისი უარყოფითად შეფასებისას შენიშნავს:

„ი. ს. ჯაბადარი ასმენს, მეტი რომ არა ესთქვათ, რუსეთის ინტელიგენციის წინაშე მთელს ახალს ქართულს ლიტერატურას და ამ ლიტერატურის მოღვაწეებს. მისი ცდა მიმართულია—მთელი რუსეთის ინტელიგენტური წრე დაარწმუნოს, რომ ქართველობას არას დროს კულტურის არაფითარი თავისებურობა არ ქონია, ყოლია ვილაც შოთა რუსთაველი — და ისიც ქურდი; დიდი ლიტერატურული ქურდი იყო! მახსოვს, რომ ამგვარი ინსინუაციების გამო კაი-კაი აბები აყლაპია ი. ს. ჯაბადარს ჯერ აწ განსვენებულმა ი. ქავკაძემ და მერე ნ. ნიკოლაძემ“ (გვ. 6).

693. დუტუ მეგრელი

კიდევ ჩვენებურ სიტყვა-კაზმულ მწერლობის შეჩერების გამო
(წერილი რედაქციის მიმართ)

გახ. ამირანი, 1908, 16 ივლისი, № 109, გვ. 3.

ავტორი საქართველოში მწერლობის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ მეტორმეტე საუკუნის ქართული მწერლობის აღორძინება გამოწვეული იყო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ბრწყინვალე ეპოქით, რასაც დასძენს:

„მე გვონია, რომ, მაგალითად. შოთა რუსთველი მეთორმეტე საუკუნის მაგიერ მეთოთხმეტეში დაბადებულიყო, არანტ თუ ვეფხისტყაოსანს“ ვერ დასწერდა. შეიძლება სულაც არ აეღო კალამი ხელში! დიახ, როგორც ომი ჭკმნის სარდალს, ისე შესაფერი პირობები ჭკმნიან მწერალსაც და თუ დღეს ჩვენში „ნიკიერ მწერალთა ნიკი უმოქმედობისა გამო დაძაბუნებულა“², ეს გარემოება მხოლოდ იმ ატმოსფეროთი აიხსნება, რომელიც გარს შემოგვხვევია კარგა ხანია“.

404. ლევან მეტრეველი

ცოცხა რამ ქართულ მხატვრულ ლიტერატურაზე
(პასუხათ „ამირანს“)

გახ. ჩვენნი კეალი, 1908, 27 ივლისი, № 10, გვ. 151—153.

ავტორი ეკამათება „ამირანის“ მეთაურს მწერლობის წარმოშობისათვის საჭირო პირობების მნიშვნელობაზე და აღნიშნავს, რომ ყველა პირობა რუსთაველს ვერ წარმოშობს, რომელიც გამონაკლისს წარმოადგენდა, და მას ჩვეულებრივ კანონებს ვერ დავუმორჩილებთ, ისე როგორც შექსპირს, გოეთეს და სხვ.

405. პეტრე მირიანაშვილი

სადაურია ჰომიროს პოეზია?

გახ. ფასკუნჯი, 1908, 2 ნოემბერი, № 2, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის აფორიზმების მსგავსი ფაუსტის ავტორს გოეთესაც მოეპოვება (მაგ. „საჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა...“), თუმცა ვერ ვიტყვი, რომ გოეთეს ის შოთაააგან ესესხოსო. ტარიელს ვეფხისტყაოსნი აცვია ისევე, როგორც ალექსანდრეს. საიდან განჩნდა სიუჟეტის მსგავსება ჰომიროსისა და რუსთაველის პოეზიაში? ავტორი აღნიშნავს, რომ „შოთა რუსთველი არა თუ შინაარსით, ენითაც კი არ ენათესავენა იმ ქართულ-ბიზანტიურ სკოლას, სადაც აღიზარდა მრავალი ქართველი მწერალი, რომელნიც ლეთის მეტყველების გარეშე ვერაფერს ხედავდნენ“... შოთა რუსთაველი უცხო ამბავს გვიხატავს: აზიის ამბავს ისლამის გარემოცვაში, ამიტომ აოცმაში რაც კი ქრისტიანული მოტრეუბია, ის ყალბია. რუსთაველი არაბულ-სპარსული განათლების კაცი იყო და საჭიროა ვიპოვოთ, თუ სად იყო აზიურ-ქართული სკოლა, რომელმაც მოგვცა მთელი რიგი მწერლებისა. ჰომეროსის პოეზიის აზიური წარმომავლობა, მისი მსგავსება ქართველთა ცხოვრებასთან და ვეფხისტყაოსნის პოეზიასთან სარწმუნო ხდება—ამ საკითხებს ხეთის და ჰურ-პალდეს ისტორიისა და კულტურის პრობლემების შესწავლისაკენ მიეყვარათ.

496. Е. Такайшвили

*Комментарии к Вепхис тқаосანი Шоты Руставели
царевича Теймураза Георгиевича*

წიგნში: Описание Рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», том II, вып. III, Тифлис, 1908, გვ. 584—592.

336 (=3715) ნომრით ავტორი აღწერს თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომს— „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“ უნიკალური ხელნაწერის (საქმუნ. S 3715) მიხედვით. მოკლე ტექნიკური აღწერილობისა და წიგნის შედგენილობის გარკვევის შემდეგ ავტორს მოჰყავს ხელნაწერიდან ვრცელი

ამონაწერები: დასათაურება და დასაწყისი 1—3 და დასასრული 1589 სტროფების განმარტებისა.

იქვე, 395 გვერდზე № 196-ით აღწერილია ვახტანგის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნისათვის დართული კომენტარიების ნუსხა, გადაწერილი ივანე შათიროვის მიერ XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

იქვე, 554—584 გვერდებზე ავტორი აღწერს ვეფხისტყაოსნის 23 ხელნაწერს 314—336 ნომრებით, მათ შორის ზოგიერთს საკმაოდ ვრცლად. 335 ნომრიან ხელნაწერს უკეთებს ვრცელ კომენტარს და მის ბოლოში აჯამებს ხელნაწერების მდგომარეობასა და ერთმანეთთან მიმართებას; იძლევა ვეფხისტყაოსნის გამოცემათა მოკლე მიმოხილვას, რომლის ბოლოს აღნიშნავს, რომ აპირებს გამოსცეს ხელნაწერებით შეჯერებული ტექსტი და პოემის რუსული თარგმანი, შესრულებული ივანე ეგნატესძე პოლტორაკის მიერ.

ავტორის შენიშვნით, ხელნაწერები № 327, 328, 329, 330, 331, 333, 334, და 335 XVII საუკუნისაა და ხასიათდება უმთავრესად ნანუჩა ციციშვილის ჩანართებით. ასევე ჩამატებებით ხასიათდებიან მათგანვე მომდინარე ხელნაწერები № 123, 324 და 325. ვახტანგის გამოცემის ნუსხას წარმოადგენენ № 321 და 332. დანარჩენები— № 314, 315, 316, 317, 318, 319, 320 და 322—პეტრე ლარაძისეული არტანუჯული ნუსხიდან მომდინარეობს.

697. [უაგტორო]

ახალი აშაგი [აკაკი ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. ამირანი, 1908, 20 მაისი, № 63, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შგოსანი აკაკი წერეთელი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „თანამედროვე აზრები, გამოთქმულნი მეთორმეტე საუკუნეში შოთა რუსთაველის მიერ“.

698. [უაგტორო]

ტფილისი, 9 ივლისი [გაზეთის შეთარი]

გაზ. ამირანი, 1908, 9 ივლისი, № 103, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს ქართული კულტურული ცხოვრების სულიერ სიღარიბეს, ქართული მწერლობის დაკნინებას, მის უსაგნობას, ქართული საზოგადოებრივი აზრის უორგანიზაციობას, არაგულწრფელობას, უსულგულობას, რის გამოც შენიშნავს:

„რუსთაველზე ამბობენ, „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისთვის თვალთაგან გაუშრობელი ცრემლი სდისო; ეს ცრემლი გულწრფელობაა, ადამიანის ბუნების სიღრმეში ენერგიული ჩაყუდება. ამ სიღრმის გასახოზად დაბარჯული შრომაა, ამ შრომის გასანაყოფიერებლად ცოდნის შექმნა... ეს ცრემლი ყველაფერია, რაც კი ნიქს ახასიათებს, და იმისი უქონლობა კი სწორედ ის არის, რაც უნიკობას ასახრდობს“ (მეორე სვეტი).

699. უარიბი

ქართული შგოსანი თავ. აკაკი როსტომის ქე წერეთელი და მისი დრო

გაზ. აღი, 1908, 6 დეკემბერი, № 28, გვ. 2—3.

ავტორი აღნიშნავს ქართული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მუდმივ აშლილობას, ქართველი ხალხის გამუდმებულ ისტორიულ ტანჯვას, რომლის დროსაც მხოლოდ ერთხელ იყო მცირე შესვენების ხანა. ე. წ.

ოქროს ხანა ჩენი ცხოვრებისა, როდესაც უმაგალითოდ გაიფურჩქნა ქართული კულტურა. ავტორი ამ დროის ქართველ მწერალთა მოკლე დახასიათებაში შენიშნავს, რომ მათ შორის:

„ბუმბერაზ იალბუზის მთასავით გამოიყურება დიდებული შოთა რუსთაველი, რომელმაც მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ რაას წელმა განვლო, საკვირველის სიძლიერითა და მშვენიერებით მოაღწია ჩვენს დრომდე. მისმა „ვეფხისტყაოსანმა“, რომელიც ქართველი ერის უსაყვარლეს წიგნს შეადგენდა, მოაღწია ჩვენს დრომდე, როგორც საუკეთესო ძეგლმა ქართველთა წარსული კულტურისა. როგორც საუკეთესო მოწმე იმისა, თუ რა შესძლებია ქართველ ერს, როცა მას ცოტაც არის ღირსებია პოლიტიკური მუდროვება“ (გვ. 2, სვეტი 4).

700. აკაკი [წერეთელი]

აკაკის წერილი

ჟურნ. ნი შად უ რ ი, 1908, 27 აპრილი, № 41, გვ. 4—5.

ავტორი აღნიშნავს პოეზიაში საოხუნჯო ელემენტის არსებობის მართებულეებს და განაგრძობს:

„... მაგრამ რაღა შორს მივიდეთ, ავიღოთ ქართველობა: მეთორმეტე საუკუნეში, თამარის დროს, გენიოსმა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“ გამოურია ისეთი ტაეი, რომელიც იწყება: იმ ერთსა მიჯნურობასა და სხ.“

ავტორს მხედველობაში აქვს ვეფხისტყაოსნის 21-ე სტროფი:

„მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიხედებინან,
ენა დაშერების, მსმენლისა ყურნიცა დაეაღდებინან;
უტყვენ ხელობანი ქვენი, რომელნი ხორცთა მხედებინან,
მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებინან.“

701. ა. ხახანაშვილი

შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი

ჟურნ. ნ ა კ ა დ ე ლ ი, მოზრდილთათვის, 1908, მარტი, № 3, გვ. 53—61;
აპრილი, № 4, გვ. 51—56.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სიდიადეს, მოკლედ გადმოსცემს პოეტის ბიოგრაფიას, ახასიათებს პოემას და მოჰყავს მისი შინაარსი თავისი პროზაული გარდათქმით.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის წყაროს საკითხს, მოკლედ მიმოიხილავს სამ მთავარ მხედველებას პოემის წარმოშობაზე, ახასიათებს პოემის მთავარ იდეალებს და სანიმუშოდ მოჰყავს მთავარი აფორიზმები.

1 9 0 0

702. იუსტინე აბულაძე

მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“
(წაიკითხულა საზოგადო კრებაზე 1908 წ. 21 თებერვალს)

კრებ. ძველი საქართველო, განყოფილება II, ტომი I, გვ. 69—112.
ნაშრომს აქვს დამატება: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“ (იქვე, გვ. 113—124), დოკუმენტალური ილუსტრაციით და უცხო სიტყვათა ძირების ეტიმოლოგიების გახსენით.

შინაარსი:

I. „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის გამო.

II. „ვეფხისტყაოსანი“ თამარის კარის მწერლობის ჰემმარტი გამოსახულება; თამარის პიროვნებამ ხელი შეუწყო ჩვენში სპარსული ხასიათის კარის მწერლობის გაჩენას; სპარსული მწერლობის ის ხანა, რომელიც გახდა თამარის დროის კარის მწერლობის წინამორბედი;

ბუმბარაზების შესახებ სადევგმირო ამბების მოწონება მე-XII საუკუნეში; ამ ამბების აღმზრ-
დელობითი მნიშვნელობა; საპარსული კარის მწერლობა უფრო შესაბამებოდა თამარის დროის
საქართველოს მდგომარეობას; რუსთაველი როგორც თავისი წრისა და ეპოქის ნამდვილი შეი-
ლი, უნდა დაინტერესებულიყო „უცხოთა ხელმწიფეთა“ ამბებით; „პირველ ზნენი და საქმენი, ქე-
ბანი მათ მეფეთანი“ შეიქმნა კანვად, რომელშიაც გამოიქარა დროის მიმართულება და პოეტის
ღრმა სულის მოძრაობა: პოეტის დროს „ამბად ნათქვამი“ გარდაიქმნა „წყობილ მარგალიტად“.

III. „ვეფხისტყაოსანი“ შინაარსისა და გარეგანი ფორმის მხრით.

IV. „ვეფხისტყაოსნის“ შედარება „ბარამიანთან“ და „ეისი-რამიანთან“.

V. პოეტის ფანტაზიით სადევ-გმირო მოთხრობის შეცვლა; ჭაუჭების შესახები თქმულება;
თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულების გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერზე. დასკვნა.
ნაშრომში მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის შესწავლის მდგომარეობა ძი-
რითადი პრობლემების მიხედვით, საქართველოს პოლიტიკური და კულტურ-
რული მდგომარეობა თამარის ეპოქაში და საერო მწერლობის წარმოშობის
საკითხები ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით.

ვეფხისტყაოსნის სიუჟეტისა და შინაარსის ანალიზით ავტორი ცდილობს
დაასაბუთოს, რომ რუსთაველმა თავის პოემას საფუძვლად დაუდო გადმოქარ-
თულებული უცხო არაბული ამბავი. საილუსტრაციოდ მოჰყავს ირანიზმები
და არაბიზმები. მისი აზრით, რუსთაველის პოემა სპარსულიდან თარგმნილი
ძეგლების—ვისრამიანის და ბარამიანის—წრეს ეთანხმება ფორმით, შინაარსით,
ეპიზოდებითა და კომპოზიციით. ამ აზრის დასამტკიცებლად ავტორს მოჰყავს
პარალელები და ასკენის, რომ ვეფხისტყაოსანი თავისი სიუჟეტით ძლიერ წა-
აგავს ბარამიანს, გარეგანი ფორმით კი ვისრამიანს, მაგრამ მათგან გან-
სხვავებით, აქ ამალელებული გოძნობანია მოცემული, რომელთა დახატვაში გა-
შოსუქივის ნეოპლატონიზმის გავლენა.

703. იუსტინე აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი

(დამატება სტატიისა; „მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი
და რუსთაველის ვეფხისტყაოსანი“)

კრებ. ძველი საქართველო, ტფილისი, 1909, ტომი I, განყოფილება II, გვ. 113—194.

ლექსიკონი შედგება შემდეგი თავებისაგან: I. უცხო და ძნელი გასა-
გები სიტყვები (გვ. 113—166); დამატება (გვ. 167—178); II. საკუთარი სა-
ხელები (გვ. 179—186); რეფერატისა და ლექსიკონის შეესება-შესწორებანი
და შენიშვნანი (გვ. 186—194).

დასაწყისი:

ა (აა)—მიმართულების მარჯვენელი თავსართი ან პრეფიქსი. აღნიშნავს მოქმედების
მიმართულებას ქვეიდან ზევითვე (გვ. 113).

დასასრული ძირითადი ლექსიკონისა:

ჰსლუ — გაჩუმების ბრძანება ანუ სიგნალი. ჰუნე—ცხენი, აქედან უნაგირი.

704. | იუსტინე აბულაძე |

[რეფერატი ვეფხისტყაოსანზე]

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრებათა ოქმები

№ 6. ჩვეულებრივი საზოგადო კრება. 1908 წელს, თბერელის 21-ს.

კრებ. ძველი საქართველო. 1909, ტომი 4, განყოფილება VI,
კრებათა ოქმები და წევრთა სია, გვ. 17—20.

ოქმში აღნიშნულია, რომ კრებაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ექვთ.
თაყაიშვილი, იუსტინე აბულაძემ წაიკითხა რეფერატი: „მე-XII საუკუნის ქარ-

თული მწერლობის ხასიათი და რუსთველის ეფეხისტყაოსანი, როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი“ (მოთავსებულია ამავე კრებულის I ნაწილში, გვ. 68—112). ოქმში მოთავსებულია დამსწრეთა სია, რეფერატის მოკლე ანოტაცია და კამათი მის გარშემო.

„რეფერენტის ახრით მე-XII საუკუნეში, განსაკუთრებით თამარის დროს, მაღალი ქართული საზოგადოება მეტათ გაიმსჭვალა საარსული კარის მწერლობის ახრებითა და მიმართულებით; აი ამ საზოგადო გატყუების ნაყოფია ისეთი ნაწარმოები, როგორც არის ეფეხისტყაოსანი: რუსთველს სიუჟეტად აუღია ერთ-ერთი არაბულ-საარსული საგმირო არაჟი, რომელიც მაღალ ქართველ საზოგადოებაში დიდს პატივისცემაში ყოფილა, და თავის შემოქმედებითი ნიჭით იმდენათ შეუცვლია იგი, რომ დღეს კიდევაც წინ გედვას ამ არაჟის ორიგინალი და ეფეხისტყაოსანს შეეუდართო იგი, მათ შორის ურავითარს მსგავსებას ველარ ეპოებთ; ამის გამო ჩვენ შეგვიძლია ეფეხისტყაოსანი ორიგინალურ ნაწარმოებად ჩათვალოთ“.

ახრი გამოუთქვამს, — ალექსანდრე ივ. საარჯიშვილს, პეტრე მირიანაშვილს, მისე ჯანაშვილს, ივანე რატიშვილს, ალექსი მირიანაშვილს, დავით კარიკაშვილს, ექვთიმე სვიმ. თაყაიშვილს.

706. B.

მის მარჯორი ვორდროპ

ურნ. საქართველოს მოამბე, 1909, 20 დეკემბერი, № 8, გვ. 10.

წერილი წარმოადგენს ნეკროლოგს მის მარჯორი უორდროპის ბუქარესტში გარდაცვალების გამო. ავტორი უორდროპის ქართული მწერლობის ძეგლების თარგმანზე მუშაობის მიმოხილვაში ამბობს:

„მის მარჯორი ვორდროპი ისეთი თავყანის მცემელი იყო ჩვენი უკდავის შოთა რუსთველისა, რომ ზედმიწევნით შეისწავლა „ეფეხისტყაოსანი“, და არა ისე ზერულად, როგორც ბევრი უსართლი სწავლობდა ზოლმე. მან მოინდომა გადათარგმნა ინგლისურად „ეფეხისტყაოსანის“ და ნამდვილად გადათარგმნა, არა ისე, როგორც ბევრი უსხოელი სთარგმნიდა ხოლმე ყოელად უნიჭოდ და უშნოდ, ისე უხეიროდ, რომ ქართული მითხველი თავის „ეფეხურს ტყაოსანს“ ველარუ კი სცნობდა ზოლმე. მისი თარგმანი არა გაედა—*«Наша Араваин: Пустошам, покорителя многих стран»*—ს; მის ვორდროპი სცილობდა „ეფეხისტყაოსანს“ ენა, ორიგინალი და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი „ეფეხისტყაოსანის“ სიტყვებისა და ფრაზების თარგმნა კი არ იყო, არამედ „ეფეხისტყაოსანის“ შექმნა ინგლისურად, როგორც განსვენებულმა ივანე მანაბელმა შექსპირი შექმნა ქართულად.

ათ წელიწადს მუშაობდა მის ვორდროპი ამ დიდი საქმის აღსაძრულებლად, მაგრამ ულმობელმა სიკდილმა უშუბთლა და შეაწყვეტინა ეს მისთვის სასიამოვნო შრომა. არ ვიცი, დაამთავრა თუ არა განსვენებულმა თერსი შრომა, მაგრამ უმეტესი ნაწილი რომ დამთავრებული და შემუშავებული ჰქონდა, ეს კი გვსმენია. შეიძლება ვიხილოთ როდისმე იგი დაბეჭდილი და მაშინ ნათლად დავინახეთ, თუ რა ნიჭი გამოუჩენია მას „ეფეხისტყაოსანის“ ინგლისურად შექმნაში, რაიკა, განეიმეორებთ, დიდი და ძნელი საქმეა და უბრალო თარგმანს არ დაედრება“.

706. [ივანე ბატონიშვილი]

შოთა რუსთველისათვის

სტატიაში: მცირე უწყება ქარსველთა მწერალთათვის

კრებ. ძველი საქართველო, ტომი I, 1909, განყოფილება III, 1—60 გვ.

ტექსტი მომეყავს სრულად:

„შოთა რუსთველი მწერალთა უხუცესი დროსა თამარ შეფისასა, იყო ფილოსოფოს ღთის-მეტეუსელი, სამღრთოთა და საეროთა წერილთა შინა გარმოცილი, ენათა სპარსულთა და სომხურთა მცოდნე. უცხო ვარსკვლავთ-მრიცხველი და ბუნების ისტორიათა მენიერი, პირველი მწერალი და დამთხვეული მაღალსა ენასა ზედა წერილთა: მეშაირეობასა და პიტიკასა შინა ყოველთა ზედა პირველი და უაღმატებულესი. ამან ქმნა წიგნი ეფეხისტყაოსანად წოდებული შიარად, რომელ უკრეთ არავის ქართველთაგანსა უმჯობეს მისა უთქვამს ვისმე შიარნი, და ესრეთ სიბრძნის მოყვარებასა შინა გარდავლნო წელნი თვისნი“ (გვ. 25).

ტექსტს დართული აქვს რედაქტორის — ე. თაყაიშვილის შენიშვნები, რომელშიაც მოიპოვება რამდენიმე მითითება ვეფხისტყაოსანზე. რედაქტორის ცდია გააკვიროს ავტორობის საკითხი და ნაშრომის წყაროები. სათაურის სქოლიოში რედაქტორი მიუთითებს, რომ ტექსტი იბეჭდება S 3677 ხელნაწერის მიხედვით. ტექსტის ავტორად მიჩნეულია თეიმურაზ ბატონიშვილი, რომელსაც, რედაქტორის შენიშვნით, უსარგებლია ყველა ჩვენამდის მოღწეული ცნობებით, კერძოდ, კლასიკური მწერლობის შესახებ თვით ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი სტროფით. მისი დაწერის თარიღად მიაჩნია 1820—1827 წლები.

707. ნატო [ნ. გაბუნია-ცაგარლისა]

ნ. გაბუნია-ცაგარლის ავტობიოგრაფია

ჯონ. საქართველოს მოამბე, 1909, № 5, გვ. 3.

ქართველ და უცხო თეატრალუბთან და მწერლებთან შეხვედრის მოგონებთა შორის ავტორი გაკვირვით შენიშნავს, რომ „1881 წელსა განსვენებულ ზაქარია სარაჯიშვილის სახლში თვეში ოთხჯერ პარასკეობით, საღამოს რვა. საათიდან თერთმეტ საათამდინ იკრიბებოდნენ ყველა ქართველი მოღვაწენი. სადაც აუცილებლად იყო ამ კრებაზედ ბ. ალექსანდრა მამუქას ასული ნელი-ქიშვილისა და გვიკითხავდნენ „ვეფხისტყაოსანსა“. საღამო მშენიერი ვახშინით თავდებოდა.

წერილის ბოლოს ავტორი იგონებს ახალგაზრდობას, მოხუცებულობას. უჩივის და შენიშნავს:

„მხოლოდ ეხლა ვთანხმები დიდებულს რუსთველს:

„იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“.

708. შ. დადიანი

„ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობა და პროფესორი ნ. შარნი

(წერილი პეტერბურგიდან)

გაბ. დროება, 1909, 23 დეკემბერი, № 286, გვ. 2—3, ქვედურა.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ შეუსწავლელობას, პოემის პოპულარობასა და სიდიადეს და იმ ფაქტს, რომ რვა საუკუნის განმავლობაში მისი ტექსტი წარყვნილია ჩანამატებებით. ავტორს მოჰყავს რუსთაველის ტაქტი: „მარგალიტი არვის მიხედეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“, რასაც დასიენს:

„თითქოს ვეფხისტყაოსნის ბედი ამ სიტყვებში გამოუხატავს ავტორს. თითქოს იგი ჰგონებოდა, რომ ბევრი განსაკუთრებული მოვლოდა იმის „ხელი-ხელ საგომანებელ მარგალიტს“, თითქოს ჰგონებოდა, რა ეკლიანი გზა ექნებოდა გასაუღელი იმის უყვადე ქმნილებას და ამ ეკლიანის გზის გაქვინის დროს ბევრი ნარეკალი მჭიდროდ ერკობოდა გენიოსის მიერ შექმნილ საუცხოო თაიფულს; ვადითა და იათი კობტად შეხავებულს. „თუმცა რუსთაველის დიდმა სახელმა, და მისის ქმნილების გენიოსობამ დაიცვა „ვეფხისტყაოსანი“ დაღუპვისაგან და შეიდი საუკუნის ბარბაროსობას გადაარჩინა, მაგრამ ამ ბედმა ცული სამსახურიც გაუწიაო“, ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარი ბ—ნი სარაჯიშვილი. ოღონდაც: ისიც გასაკვირვებელია, რომ „ვეფხისტყაოსანმა“ ამ სახით მოაწია ჩვენ დრომდის, რა სახითაც იგი დღეს ხელთა გვაქვს“. (გვ. 2, სვ. 1).

ავტორი მოკლედ მოიხიბილავს ვეფხისტყაოსნის პროლოგის რუსთაველისათვის კუთვნილებას საკითხის შესწავლის ისტორიას, რომელშიაც სამ განსხვავებულ თეალსაზრისს ამჩნევს. პირველია, რომ რუსთაველს ეკუთვნის (სუტ-

ნერი, ჩუბინაშვილი, ქვარიანი), მეორე, რომ რუსთაველს არ ეკუთვნის (კარი-
კაშვილი), მესამეა, რომ რუსთაველისაა, მხოლოდ შერყენილია ზედმეტი სტრო-
ფებით (სარაჯიშვილი, ხახანაშვილი).

ამ უკანასკნელ თვალსაზრისზე დგას აკად. ნ. მარი თავის მუშაობაში-
ვეფხისტყაოსნის პრობლემაზე, კერძოდ — პროლოგის შედგენილობის გარკვე-
ვაში. ავტორი ახსიათებს მარის მუშაობასა და მის პრინციპს პროლოგის ხა-
ნების თავისებურად დალაგებისას.

ავტორი ეხება ნ. მარის მიერ გამოსაცემად მომზადებულ ვეფხისტყაოს-
ნის შესავალს და აღნიშნავს, თუ რა შესწორებები შეაქვს სტროფული დალაგება-
შედგენილობისა თუ ყალბი ადგილების გამოკლების ზხრივ. ავტორი ამ მუშაო-
ბას უდარებს ალ. სარაჯიშვილის შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის ყალბ ადგი-
ლებზე. მისი ცნობით, მარმა უარყო მე-2, 14, 15, 27, 28, 29, 30, 31 და ბოლოში-
1574, 1575, 1576 სტროფები. ავტორს მოჰყავს მარის აზრი, რომლის მიხედ-
ვით, „რუსთველი იყო ისეთი პოეტი, რომელმაც გამოირება ერთხელ თქმული-
სა არ იცის და არც უყვარდა, რომელსაც აქვს ძლიერ მდიდარი ლექსიკონი.
სხვადასხვა აზრის ფერადებათ გამოსათქმელად. იგი კმაყოფილება ერთხელ-
თქმულით და ამიტომაც არასოდეს არ უბრუნდება მას შემდეგში“ (გვ. 2, სვ. 3).

ავტორი ახსიათებს მარის მიერ პოემის შესავლის სტროფების დალაგე-
ბას. დასასრულს, წერილს ერთვის მარის მიერ რუსთაველისად მიჩნეული ვეფ-
ხისტყაოსნის შესავლის 23 სტროფი მისივე დალაგებით.

709. ო. კარგარეთელ

ხალხური ლექსი,
(ჩაწერილი სოფელ კატრში)

გახ. დროება, 1909, 26 აპრილი, № 91, გვ. 4.

ავტორს მოჰყავს 9 სტროფიანი ლექსი შემდეგი დასაწყისით:

„დამეხენ, დედი, დამეხენ, ნუ მიკლამ ქალობასაო,
რათ მიწდა გაეყუე ცოლათა დუშმანსა, კიტუასაო...“

რასაც შენიშნავს, რომ ამ ლექსის შინაარსი ძალიან წააგავს „ვეფხის-
ტყაოსნის“ ერთ ადგილს. მისი აზრით, აქედან ჩანს, თუ რა დიდი კავშირია
რუსთაველის ნაწარმოებსა და ხალხის ცხოვრებას შორის. დასასრულს, ავტო-
რი შენიშნავს, რომ ქართლში მრავალ ადგილას მოიპოვება თქმულება ტარიელ-
ზე, ავთანდილზე, ნესტან-დარეჯანსა და ფრიდონზე. ეს თქმულებები ნაწყვეტ-
ნაწყვეტ წააგავს შინაარსით „ვეფხისტყაოსანს“. ერთ ასეთ სიმღერას ერთა-
წმინდაში ეძახიან „მეტეურს“.

710. ო. კარგარეთელ

ჩემი შენიშვნა

გახ. დროება, 1909, 12 ივლისი, № 153, გვ. 3; 14 ივლისი, № 154, გვ. 4.

წერილი გამოწვეულია თ. რაჭიკაშვილის მიერ აღძრული ვეფხისტყაოს-
ნის წარმოშობის საკითხით ხალხურ პოეზიასთან დაკავშირებით. ავტორის აზ-
რით, ხალხური ტრადიციები დიდი წყაროა შემოქმედისათვის და მას ნდო-
ბით უნდა მოვეპყრათ. ავტორი აღწერს მის მიერ წარმოებულ მუშაობას ზე-
პირსიტყვიერების მასალის ჩაწერაზე და შენიშნავს, რომ შატბერაშვილის კალ-
მა, რომელიც იმერეთში იყო გათხოვილი, ვეფხისტყაოსანი თავიდან ბოლომ-
დე ზეპირად იცოდა.

მეორე წერილში ავტორს მოჰყავს ხალხური ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტე-
ში და გამოთქვამს რწმენას, რომ ვეფხისტყაოსანი ხალხიდან არის აღებული
და რომ „ოდესღაც ეს თქმულება ერმა თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა“.
დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ხალხური ვეფხისტყაოსნის პოპულარობას
და მოჰყავს ნაწყვეტები.

211. **Н. Я. Марр**

*Иоани Петрицкий
Грузинский неоплатоник XI-XII века*

Записки восточного отделения Русского Археологического Общества, XIX, 1909.

ავტორი ნაწილობრივ ჩერდება რუსთაველის შემოქმედებაზე. აყენებს
რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის დებულებას. აშუქებს იმ სააზროვნო-ფილო-
სოფიურ წრეს, რომლის ტრადიციებზედაც, ნ. მარის აზრით, უნდა აღზრდი-
ლიყო ვეფხისტყაოსნის ავტორი. არკვევს ქართულ-ბერძნულ და ქართულ-სომ-
ხურ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ ურთიერთობებს.

ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესო ცნობებს შეიცავს ბერძნული სა-
აზროვნო კულტურის საქართველოში დანერგვისა და თვით ქართველთა რო-
ლის შესახებ, რომელიც მათ მოიპოვეს მაშინდელ კულტურულ მსოფლიოში
თავისი მუშაობით ნეოპლატონიზმის განვითარებასა და მის ორიგინალურ
კომენტირებაში.

212. **თ. ჩაზიკაშვილი**

სახალხო ლექსებისა და ზღაპრების შემკრებთა საყურადღებო მცირე შენიშვნა

გაზ. დროება, 1909, 26 ივნისი, № 140, გვ. 2—3.

ავტორი ეკანმათება ია კარგარეთელს ხალხური პოეზიის სპეციფიკის სა-
კითხებზე და აღნიშნავს, რომ უნდა გაირჩეს ხალხური—ინდივიდუალური შე-
მოქმედებისაგან, რომ პოემა „ქრუხი ბერას ომი ქისტებთან“, რომელიც ია
კარგარეთელს მიაჩნია ხალხურ შემოქმედებად, პიროვნული, ავტორიანი თხზუ-
ლებაა და ეტყობა ვეფხისტყაოსნის გავლენა.

213. [უავტორო]

სურათებიანი ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი

გაზ. დროება, 1909, 26 ნოემბერი, № 263, გვ. 3.

საინფორმაციო ცნობაში მოკლედ აღნიშნულია გიგო წერეთლის გრი-
ვოლ ერისთავის, ილია ქაქუაყაძის ნაქონი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა
შესახებ.

214. [უავტორო]

ბიბლიოგრაფია

(კრებ. ქველ. საქართველო, ტ. 1, გამოცემა ქართ. საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოებისა)

გაზ. დროება, 1909, 28 ნოემბერი, № 265, გვ. 4.

ავტორი კრებულში მოთავსებული მასალების განხილვისას ეხება ი. აბუ-
ლადის ნაშრომს—„მე-12 საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთ-

ველის „ვეფხისტყაოსანი“ — და მის დამატებას: „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“ — ავტორი აღნიშნავს ი. აბულაძის მთავარ დებულებებს იმის შესახებ, რომ ქართული მწერლობა სპარსულ გავლენას განიცდიდა და ვეფხისტყაოსანო-წარმოადგენს სპარსეთში შემუშავებულ არაბულ თქმულებათაგანს აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შესახებ. კერძოდ, პოემის შედარებით „ბარამინთან“ ვეფხისტყაოსნის წყაროდ მიჩნეულია რალაც მისი მსგავსი სპარსული სადევგმირო ზღაპარი, რომელიც რუსთაველს თავისებურად გარდაუქმნია.

716. გ. ჩერქეზიშვილი

მარჯორი უორდროპი

გაზ. დროება, 1909, 16 დეკემბერი, № 280, გვ. 2.

ავტორი მარჯორი უორდროპის გარდაცვალების გამო მოკლედ მიმოიხილავს მის ღვაწლს ქართული კულტურის მიმართ და, კერძოდ, ქართულ მწერლობის ძეგლების ინგლისურად თარგმნის შესახებ აღნიშნავს:

„უდიდესი საქმე განსვენებულის ცხოვრების უკანასკნელ ათი წლისა იყო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი. სთარგმნიდა ამ პოემას ლექსად ძმასთან ერთად. მარჯომ: განსვენებული დიდად აფასებდა ამ ნაწარმოებს და უნდოდა საესებით გადაეღო ინგლისურად მისი სიმშენიერე და სიმდიდრე, ამიტომ მთელი ათი წელიწადი მუშაობდა მასზე და დღემდე ვერ გაებენდა სტამბაში გადაცემა დასაბეჭდათ.“

716. ზ. ჩხიკვაძე

ძველ ნაშთებს მონახვა და შოვლა უნდა

გაზ. დროება, 1909, 1 ნოემბერი, № 243, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ძველ ეკლესია-მონასტრებსა თუ კერძო სახლებში ბევრი ძველი ხელნაწერი ფუქლებზე მოუვლელით და საკირობა-გულისყურით მოგვეყროთ თვითნებულ ასეთ განძს. ამასთან დაკავშირებით, ავტორი აღწერს მის მიერ ძველგაგაზში ერთი დედაკაცის ხელში ნანახ ვეფხისტყაოსანს, რომელიც ტყავზე ყოფილა ნაწერი, სურათები ჰქონია და ბოლოში ჩუნე თუ ჩუნე (1455 თუ 1555) სწერებია. ავტორს ვერ მოუხერხებია ამ ხელნაწერის რიგიანად გასინჯვა, რადგან დედაკაცს არ დაუნებებია და მისი სიკვდილის შემდეგ კი ხელნაწერი ვეღარ უპოვიათ.

717. ილია ჭავჭავაძე

აი ისტორია

თფილისი, 1909.

პირველად დაიბეჭდა 1889 წ. გაზ. „ივერია“-ში წერილების სახით. იხ. ანოტაცია № 368.

718. ზ. კ. [ზაქარია კიკინაძე]

ისტორია ქართული სტამბისა და წიგნის ბეჭდვისა 1709—1909

მეფე ვახტანგ მეექვსე

თფილისი, 1909 წ. 36 გვ.

ქართული სტამბების სხვადასხვა ქალაქებში დაარსების მოკლე განხილვის შემდეგ ავტორი ეხება ვახტანგ მეექვსის მოღვაწეობას ამ დარგში და აღნიშნავს:

„საქართველოში, სასტამბო საქმეებისათვის ცენზორი დანიშნულ იქმნა 1707 წ. თვით ვახტანგ მეფისაგან. მაშინდელი ცენზორები ყურადღებას აპყრობდნენ თვით წიგნების შინაარსის და ჰაზრების სისწორესაც, რომ კიცხვას გარეშე რამე სიყალბე არაფრის ყოფილიყო.

პირველი ქართული ცენზორი იყო სასულიერო პირთაგანი, ეს აეწინაღმდეგა თვით ვახტანგ მეფეს და 1711 წ. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას არ უშვებდა. მათ შინაარსი არ ესმოდათ. მერე ვახ. მეფემ „ვეფხისტყაოსნის“ ახსნა სამღრთოდ ახსნა და მის გამო დართეს ნება ბეჭდვის. ეს ახსნა თვით იმ დროის გამოცემულს „ვეფხისტყაოსნის“ ბოლოში მოთავსებული. ახსნა ყალბად არის. მაინც 1767 წ. ანტონ კათალიკოზის ცენზორამ შეაგროვა ეს გამოცემა და თფილისში დასწევს, ზოგი ტკვარში ჩაყარეს“ (გვ. 7).

1910

719. კიტა აბაშიძე

აქადემიკოსი ნ. მარრი და შოსე ჯანაშვილი

ვახ. დროება, 1910, 6 იანვარი, № 4, გვ. 2—3.

ავტორი ეხება ნ.მარსა და მ. ჯანაშვილს შორის ატეხილ კამათს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე. ავტორი იხილავს მ. ჯანაშვილის წიგნს „ქართული მწერლობა“, რომელიც შეიცავს მარისადმი გამოთქმულ ბრალდებას, თითქოს ის ტენდენციურია რუსთველოლოგიური საკითხების კვლევებაში და ეცავს მარის შეხედულებებს, რისთვისაც მოჰყავს მარის შრომებიდან ცალკეული ამონაწერები. ამასთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს იე. ჯავახიშვილის წიგნს (მამულიშვილობა და მეცნიერება, 1904 წ.) და გამოთქვამს მოსაზრებას: თუ აღმოჩნდება, რომ ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოები არ არის, ამით ერის სახელი არ მოისპობაო.

დაასრულს, ავტორი გამოთქვამს იმედსა და სიხარულის გრძნობას, მარის მიერ განზრახული ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემის გამო, რომელიც „ქეშმარიტ და დაუშრეტელ წყაროდ შეიქმნება ამ თხზულებისა“.

720. კიტა აბაშიძე

ახალი მწვენიერი სსზე

(„ღორიან გრეი“ ოსკარ უილინსა)

ჟურნ. ერი, 1910, 14 მარტი, № 6, გვ. 6—10.

ავტორი აბასიათებს ღორიან გრეის, რომელშიაც შენიშნავს ელნისტური იდეალის გამოხატულებას თავისუფალი ადამიანისას და ამბობს, რომ ის არის ახალი ტარიელი, „ის ტარიელი, რომლისთვისაც ჩვენ დიდება რუსთველს ცრემლი სდის შეუშრობელი“ (გვ. 6). ავტორი ტარიელსა და გრეის შორის ავლებს რამდენიმე პარალელს.

ავტორის შენიშვნით, „მსოფლიო ლიტერატურაში უაილდს გარდა, არ ვიცი რუსთველის მეტი მწერალი, რომელსაც ვაყის სილამაზე და სიმშვენიერე იმ სიმალღმდის აყევანოს და იგი ლეთაებრივ ძალად ხდება, სასწაულ მომქმედად, სიციოცხლის წყაროდ“. რუსთაველი ტარიელის სიმშვენიერეს უფრო მალა აყენებს, ეიდრე ნესტანისას და უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს ტარიელისა და აუთანდილის მეგობრობას, რომლისთვისაც სილამაზეს დიდი მნიშვნელობა აქვს.

დაასრულს, ავტორის შენიშვნით, სამწუხაროდ, ოსკარ უილდმა ქართველების ცხოვრებიდან მხოლოდ „ქართული სამოვარი“ იცოდა და, მას რომ

გაეცნო ვეფხისტყაოსანი, რუსთაველის თქმებს ეპიგრაფებად გამოიყენებდა. ტარიელსა და დორიანს შორის არსებულ განსხვავებას ავტორი ხსნის მათი ეპოქის განსხვავებული მდგომარეობითა და იდეალებით, რომელნიც აპირობებდნენ მათ მსოფლმხედველობას.

721. კიტა აბაშიძე

აკადემიკოსის ნ. მარის ახალი შრომა!

გახ. სახალხო გაზეთი, 1910, 19 მაისი, № 11, გვ. 2—3.

ქვესათურობა: „შესავალი და დასასრული რუსთაველის „ვეფხისტყაოსნისა“. ქალის თავყანისცემა და რაინდობა პოემაში“ (Тексты и примечания, кн. 12).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართულის ლიტერატურისათვის ბ. ნ. მარის ახალი ნაწარმოები ნამდვილად სადღესასწაულო მოვლენაა. ასეთი დასაბუთებული და ღრმა გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნისა“, რასაკვირველია, პირველია. ავტორი მოკლედ გადმოსცემს ნაწარმის მთავარ დებულებებს. მისი შენიშვნით, მარის შრომაში „ვეფხისტყაოსნის საერო კილო და მიმართულება სამაგალითოდ არის გამოკრეველი“.

წერილს სქოლიოში აქვს ასეთი შენიშვნა:

„მოვაცემთ ჩვენ გამოცემულ საზოგადოებათა ყურადღებას ამ წიგნს და ურჩევთ გადათარგმნონ და გამოსცენ. ჩვენი აზრით უფრო კარგი იქნებოდა, რომ „ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოების“ გამგეობას ვყისრა და მის გამოცემის ერთ ტომში მოქცევა ეს დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა. მას ვისაც სურს არა თუ შესწავლა, წაკითხვა „ვეფხისტყაოსნისა“, ამ შრომას გვერდს ვერ აუხვევს“.

722. კიტა აბაშიძე

ცხოვრება და ხელოვნება

(აზრი თუ ფორმა; შინაარსი თუ სხეული)

გახ. სახალხო გაზეთი, 1910, 25 იულისი, № 66, კვდურა, გვ. 2—3.

28 იულისი, № 68, კვდურა, გვ. 2—3.

ავტორი ესთეტიკისა და ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ ზემართავს ვეფხისტყაოსნის ციტაციას და რუსთაველის შემოქმედებას აფასებს მსოფლიო მწერლობის მიმართებაში. მხატვრულ თხზულებაში ფორმისა და შინაარსის თანაბარი სისრულით მოცემის ერთ-ერთ ნიმუშად ასახელებს ვეფხისტყაოსანს და შენიშნავს: „რუსთაველის თხზულების ფორმის სიმშვენიერე ეს ის ლეთაებრივი იდეალია, რომელსაც დღემდის ვერც ერთი ქართველი ვერ წასცილებია“ (№ 66, გვ. 2). მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი „ეს არის ხელოვნური ნაწარმოები, რომლის შინაარსი და გარეგანი მხარე-სრული წარმონიით არის შეზავებული, რომლის სიღრმე და სიმართლე მარადის მიუწვდომელ მანათობელ ვარსკვლავად ექნება ქართველს ერსა და ლიტერატურას, მაგრამ შინაარსის მხრით ბარათაშვილის სალირიკო ლექსების სიღრმე და თუ გინდ ილიას „განდგეილისაცა“, არც კი ჩამოუვარდება რუსთაველის პოემის სიღრმესა“ (იქვე). „ვეფხისტყაოსანი“ უდიდესის ზნეობრივის განწყობილების შემქმნელია, მაგრამ იგი დევნილი იყო საუკუნეთა განმავლობაში, ჩვენი სამღვდლოებისაგან, ე. ი. ჩვენი ზნეობრივობის ოფიციალურ მოამაგეთაგან“ (იქვე, გვ. 3).

მხატვრულ თხზულებათა ესთეტიკური ზედმოქმედების სანიმუშოდ ავტორი ასახელებს აეთანდილის თინათინთან საუბრის სცენას ტარიელის პოემის შესახებ, მოჰყავს ცალკეული სტროფების ციტატები და დასძენს:

სიამოვნებას განიჭებთ აქ მწერალი იმ გრძობათა სიმაღლით, რომელსაც თვალწინ გადავუვლი და თანაც ამ უსაზღვრო გრძობას ჩამდენიმე ტაქტში მოათავსებს და ისეთის მხურვალის ნიჭით მოგვირთავს, რომელიც მარტო რუსთაველს და მისს მსგავსს შეუძლია". №3. დიდებული განწყობილება, დიდებულის სულისკეთებაა გამოსახულია" (№ 68, გვ. 3.)

საერთოდ ვეფხისტყაოსნის მხატვრული ღირებულების შესახებ კი დასძენს:

„ეინ იცის. იქნებ ქართველის ერის სიმშენიერეში რუსთაველის გენიოსობის ნაყოფსაც ედვას წილი? ხალხს, რომელსაც ლოცვანივით მიაჩნდა „ვეფხისტყაოსანი“ და დღე წაიდაგ იმის კითხვაში იყო, ექვი არ არის ერთგვარად მომართული და განწყობილი იყო; მარადის მისი ოცნება ტარიელსა და აეთანდილს, თინათინსა და ნესტანს თავს დასტრიალებენ, მისი გონება ამ საუსხოო სანახაობით იყო მოხიბლული და მოჯადოებული. შეგვიძლია გახსნა, არ დაუთმობთ ერთგვარი ჯაღენა ამგვარად განწყობილს ადამიანის ფსიხიკას მის ფიზიოლოგიაზე? ეს იქნებოდა შეცდომა მეცნიერულის გამოცდილების წინააღმდეგ“.

დასასრულს, ხელოვნების დიად ნაწარმოებებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„დიდებულია ჩვენი შოთა, რაც არ უნდა უყურონ მას, ეინც არ უნდა მოინდომოს მისი დიდებულების გაყვამტვერება—ამის მოწმეა რვა საუკუნე, რომელის განმეალობაში ბევრი დევნა და შურადაცხვოდა ნახა. მაგრამ დღესაც ისევ ის ბრწყინავს, როგორც მაშინ, და მის ელვარებასა და სხივს არა მოჰკლებია რამ, ვითა მშეს, ცის მანათობელს, ხოლო მის სხივს ბევრნიც კი [ვერ] ამჩნევენ“.

ამ აზზაცს სქოლიოში აქვს შენიშვნა:

„ჩვენ, რასაკვირველია, სახეში გვყავს არამკითხე კრიტიკოსები ნეტარბუნებულის ნარდონის ჯურისა ანა და ჩვენი ოფიციალურის ხნობის ქურუმები, რომელნიც ერთ დროს სდენიდნენ ვეფხისტყაოსანს, და არა ის მეცნიერული განსჯა, რომელიც შოთას სახელს წმინდა და შეუწიკელის მარაენდედით მოსაქვენ“ (№ 68, გვ. 4).

723. ჟუსტ. აბულაძე

კილეე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

გახ. დ რ თ ე ბ ა, 1910, 11 აპრილი, № 81, გვ. 4; 13 აპრილი, № 82, გვ. 3—4.

ავტორი ეკამათება ი. ვართაგავას ვეფხისტყაოსნის საკითხების კვლევის ისტორიის ტენდენციურად გაგების გამო (ქურნ. „ერი“, № 2 და ქურნ. „განათლება“, № 2, გვ. 103). ავტორი ი. ვართაგავას წერილებიდან მოყვანილ ციტატებს უპირისპირებს საკუთარი კვლევა-ძიების დასკვნებს და მოჰყავს ონანა მდიენის შენიშვნების ვრცელი ამონაწერი, რომელსაც, თითქოს, მნიშვნელობა აქვს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სადაურობის გარკვევისათვის.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ახასიათებს ქართული კულტურის სპარსული კულტურული გარემოცვის პირობებს, რაც, თითქოს, განსაზღვრავდა მის საერთო ხასიათს.

ავტორის დასკვნით, რამდენადაც ონანა მდიენის „ბარამ გულიჯანიანი“-ძალიან წააგავს რუსთაველის ვეფხისტყაოსანს, შესაძლებელია, ვეფხისტყაოსნის პროტოტიპი აღმოჩნდეს ბარამიანის ტიპის მოთხრობებში.

724. ი. აბულაძე

მოსე ჯანაშვილის ახალი ნაშრომის გამო

გახ. სახალხო გაზეთი, 1910, 11 დეკემბერი, № 181, გვ. 2—3, ქვედურა.
15 დეკემბერი, № 184, გვ. 2—3, ქვედურა.

წერილი ეხება მ. ჯანაშვილის ნაშრომს № 3. ავტორს მოჰყავს ციტატები ჯანაშვილის შრომიდან, რომელშიაც გაკრიტიკებულია ნ. მარისა და მისი

მომხრების და მათ შორის თვით ი. აბულაძის შეხედულება ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობის შესახებ.

ავტორი ეკამათება მ. ჯანაშვილს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ სიტყვათა ერთმოლოვებზე (სოქალბი, ქარმაგოსანი, ეჯი) ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლების ლექსიკასთან დაკავშირებით.

დასასრულს, ავტორი თავის მხრივ ეკამათება ნ. მარს სიტყვების ყმა, ქაბუჯი, მორკმულის მნიშვნელობის შესახებ.

726. ალაროდელი

აკადემიკოსი ნ. მარრი და მისი მოპირდაპირე ჩვენსი

ფუნ. საქართველო სომამბე, თბილისი, 1910, 10 იანვარი, № 11, გვ. 1—3.

ავტორი ეხება მარის შრომების გამო ატეხილ ქაბათს ქართულ-რუსულ-სომხურ პრესაში და აღნიშნავს, რომ გ. გვაზავას წერილმა ნ. მარის შესახებ დიდი აურ-ზაური გამოიწვია. ავტორი გვაზავას გამოსვლას უწოდებს მკითხველის შეცდომას, რაც საგნის სპეციალური მიზნით შეუსწავლელობას ამხელავს. ავტორი შენიშნავს, რომ, თუ მარის პიპოთება არ გამართლდა ვეფხისტყაოსნის შესახებ, ამით მეცნიერს არც უშეცრება და არც ლალატი არ შეეწამება“ (გვ. 2) და რომ „ამით მარს შოთასთვის გვირგვინის მოხდა არ უნდოდა“ (იქვე). ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ მარის გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე ამ საგანს ნათელს მოჰფენს.

საერთოდ ავტორი ცდილობს გაამართლოს მარი მეცნიერების ობიექტურად კვლევაძიების სურვილით და მის ნაკლებ ქართულ პატრიოტიზმს ხსნის იმით, რომ ის წარმოშობით შოტლანდიელია და ნამდვილ ქართველად ვერ ქცეულა.

730. ბორჩელი

მცირე შენიშვნა

გახ. სახალხო გახეთი, 1910, 16 ივნისი, № 33, გვ. 3—4;

17 ივნისი, № 34, გვ. 3.

წერილი დაწერილია ნ. მარის შრომაზე — „ვეფხისტყაოსნის შესავალი და უკანასიტყვაობის შესახებ“ — კიტა აბაშიძის რეცენზიის გამო.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს მარის მიერ წამოყენებული დებულების გამო ატეხილ ქაბათს იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსანი სპარსულიდანაა თარგმნილი. ავტორი ეკამათება მარს ცალკეულ წაკითხვათა გაგებასა და მოსაზრებებზე პოემის ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით და გადაქრით შენიშნავს, რომ საექვოა მარის დებულება ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან წარმოშობილობის შესახებ. მოჰყავს ციტატები რუსულად მარის ნაშრომიდან.

წერილის დასასრულს, სქოლიოში ავტორი შენიშნავს, რომ სახელი „ტარიელ“ სამეგრელოში იხმარება როგორც ეპითეტი „წარმოსადეგ და მშვენიერ ვაჟაკისა“ და შესაძლოა ის ქართულ ნიდაგზე იყოს გაჩენილი და მარის „შახრიარ“-თან არ ჰქონდეს კავშირი.

727. ს. გორგაძე

ნიკოლოზ მარრი და მისი სამეცნიერო მოღვაწეობა

გახ. სახალხო გახეთი, 1910, 21 დეკემბერი, № 189, გვ. 2—3.

ავტორი მარის მოღვაწეობის მიმოიხილავს აღნიშნავს მის დამსახურებას ქართული კლასიკური ლიტერატურის შესწავლაში და, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გადაწყვეტაში.

თარგმანს წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, სადაც ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სილიადეს, ეხება მისი რუსულად თარგმნის საკითხებსა და სიძნელეებს, პოემის შესავლის შედგენილობას და მარის ცდას მისი რესტავრაციისათვის. ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას შესავლის ჩანართების შესახებ. მისი აზრით, პოემაში სტროფი „ესე ამბავი სპარსული...“, ჩანართი უნდა იყოს, თუმცა ეს მარის დებულებას აცლის ნიადაცს. ეხება შოთას მესხობის პრობლემას და ბოლოს აღნიშნავს, რომ რუსთაველი ფატალისტი არ არის. პირიქით, მთელი პოემა აგებულია ბრძოლასა, ენერჯიასა და დასახული იდეალისადმი—სიმართლისადმი თავდადებულ სწრაფეაზე.

შესავლის თარგმანი გაკეთებულია მარის დალაგებით. დასაწყისი :

„Кто сотворил вселенную шелею своею могучею,

Создал все сущее дуновением с высоты небесной,

И лам, люлям, даровал землѣ с ея беспчсленнымъ красотамъ,—

Он ставитъ каждого царя, исполняющаго его предначертанье“.

№ 288-ში დაბეჭდილია ვეფხისტყაოსნის პირველი თავის 32—69-ე სტროფები საიუბილეო გამოცემის მიხედვით. დასაწყისი:

„Былъ в Аравии Ростеван, царь Божией милостью счастливый,

Великий, щедрый и доступный, богатый воинствомъ—рабамъ,

Правосудный и милостивый, могущественный, дальновидный,

Воня самъ бесполобный и собесѣдникъ племительный.“

729. o. გართავაგა

შოთა რუსთაველი

წერილი: მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველეს დროიდან დამოუკიდებელი ან ოქროს ხანა

ალმანახი შოთა მძე, 1910, 31 იანვარი, გვ. 14—16 (წერილი IX)

(ალმანახს ნომერი არა აქვს)

წერილის გაგრძელებანი დაიბეჭდა ჟურნ. „ერში“ იმავე წელს:

7 თებერვალი, № 1, გვ. 12—15 (წერილი X);

14 თებერვალი, № 2, გვ. 13—15 (წერილი XI);

21 თებერვალი, № 3, გვ. 14—16 (წერილი XII);

2 მაისი, № 13, გვ. 13—16 (წერილი XIII);

9 მაისი, № 14, გვ. 14—16 (წერილი XIV);

16 მაისი, № 15, გვ. 15—16 (წერილი XV);

30 მაისი, № 17, გვ. 12—13 (წერილი XVI).

ქვესათურები: ბიოგრაფია. სხვადასხვა ახრი „ეფ. ტყაოსნის სიუჟეტის შესახებ (IX—X). „ვეფხისტყაოსნის“ ბედი და თავდასავალი (XI). ლიტერატურული ისტორია „ეფ. ტყაოსნისა“ (XI). „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობა (XII). ცოტა რამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ფილოლოგიურ მხარეზე (XII). „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობა (XIII). შიპრობა (XIV—XV).

ავტორი მოკლედ გადმოცემს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგ მხარეს ლიტერატურული ცნობებისა და გადმოცემების მიმოხილვით და აჯგუფებს მკვლევართა შეხედულებებს პოემის სიუჟეტის წარმოშობისა და მისი ორიგინალობის საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით. ავტორი ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თემას ასაბუთებს მისი სიუჟეტის საქართველოს ისტორიულ ფაქტებთან დაკავშირებით, ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის მომხ-

რეთა შეხედულებების მიმოხილვაში მოკლედ ეხება ვახტანგის, ჩუბინაშვილის, დ. ბაქრაძისა და აკაკის თეორიებს (IX).

ავტორი მიმოხილავს ს. ქვარიანის, ვაგა-ფშაველას, ნ. მარის, იუსტ. აბულაძის, „ნ. დ“-ის მოსაზრებებს ვეფხისტყაოსნის შესახებ (X).

ავტორი არჩევს პროფ. ხახანაშვილის დებულებას იმის შესახებ, რომ რუსთაველის ქმნილებას სარჩულად უდევს ხალხური პოეზიის ნაწარმოებები. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და მის დიდ კავშირს ქართულ ცხოვრებასთან. მისი შენიშვნით, მიუხედავად ასეთი პოპულარობისა და სიყვარულისა, სამღვდლოება სდევნიდა ვეფხისტყაოსანს. ავტორს რუსთაველის დისკრიმინაციის ფაქტად ის გარემოება მოჰყავს, რომ არჩილ მეფემ თეიმურაზი და რუსთაველი შეაჯიბრა, რომელშიაც თეიმურაზი გამარჯვებული გამოიყვანა, აკაკის სიტყვით კი თეიმურაზი „რუსთაველის აჩრდილდაც არ ჩამოვარდებოდა“ (XI).

ავტორი ეხება რუსთაველის „ეკლესიოსან მტრებს“, რომელთა რიგში ჩამოთვლის იოანე კათალიკოსს, არსენ ბერს, ტიმოთეს, ანტონ კათალიკოსს და მოჰყავს მათ თხზულებათაგან ციტატები რუსთაველის გასაბიძგებლად ზ. ჭიჭინაძის გამოცემათა მიხედვით.

ავტორი ეხება ქართული ცხოვრების ორ უმთავრეს ლიტერატურულ ზეგავლენას: ბიზანტიურს—სასულიერო-სქოლასტიკურს, და აღმოსავლურს ან ირანულს,—ესთეტიკურს. მისი აზრით, შოთამ მათი გავლენა განიცადა, მაგრამ შსსში მთავარი არ არის არც სიუჟეტური, არც ფორმის მხრივ გავლენა, თუმცა უპკველია, რომ ვეფხისტყაოსანი თავისი სიუჟეტით წააგავს „ბარამიანს“. გარგვანის ფორმით კი უახლოვდება „ვისრამიანს“ (XI).

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურულ მნიშვნელობას. მისი აზრით, მსოფლიო ტიპები არიან — ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი. ავტორი აფართოებს ილია ჭავჭავაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებას რუსთაველის გმირების ტიპიურობისა და კაცად-კაცობის შესახებ. ისინი „შოთამ ეროვნული სამკაულით მოჰკაზმა და ეროვნული საფერადით შეჰფერა“ (XII, გვ. 14). რუსთაველი და მისი თხზულებაც ეროვნულ ნიადაგზეა აღმოცენებული. რამდენიმე ეპიზოდის ანალიზით ავტორი აღნიშნავს შოთას შეუღარებელ სულთაძილაობას და ადამიანის გულის ღრმა ცოდნას (XII).

ავტორი იხილავს რუსთაველის პოეტიკის თეორიას ვეფხისტყაოსნის შესავალ სტროფების მიხედვით მსოფლიო პოეტიკის თეორიასთან მიმართებაში (XIII—XIV).

730. Michel Tamarati [მიხეილ თამარაშვილი]

L'Eglise Géorgienne des origines jusqu'à nos jours

Rome, 1910, XV + 710 გვ.

ავტორი გაკვირვებით შენიშნავს, რომ შოთა რუსთაველმა, რომელიც თამარის ეპოქაში ცხოვრობდა, დაწერა პოეტური თხზულება ვეფხისტყაოსანი, რასაც დასძენს, რომ ეს პოემა ღირსებით ეტოლება დანტეს თხზულებას (გვ. 75, სქოლო). იქვე მოკლედ ცნობები თარგმანთა შესახებ.

სალიტერატურო და სამუსიკო დილა ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში

ჟურნ. ე რ ი, 1910, 23 მაისი, № 16, გვ. 15—16.

მოკლე სარეცენზიო წერილში აღნიშნულია, რომ გიმნაზიის ორკესტრს და ქოროს ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შეუსრულებია ა. ყარაშვილის ბალეტის სცენა ოპერიდან „ვეფხისტყაოსანი“, რასაც დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია საზოგადოებაში.

732. კრიტიკოსი

შოა დაელოცი და შოთა რუსთაველი

გახ. სახალხო გაზეთი, 1910, 19 დეკემბერი, № 188, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს ფელეტონს, რომელშიაც გამასხრებელია შოა დავითის მოღვაწეობა „ზაკავკახიე“-ში ვეფხისტყაოსნის თარგმნა-შესწავლასთან დაკავშირებით. ავტორი მას დაცინვით უწოდებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, რომლის რუსული დედანი ქართულად უნდა ითარგმნოსო.

733. ნაკ. მარცხ

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შგოსნები
შაუთელი და ჩახრუბაძე

ჟურნ. ფასკუნჯი, ტფილისი, 1910, № 1, გვ. 67—75.

წერილი წარმოადგენს რეზუმეს მარის შრომისას (Древнегрузинские описания, ТР, IV, 1902). ნაშრომის მთავარ დებულებათა აღნუსხვისას „შემჩნეულია, რომ მისი „შესამე აზრი კიდევ ის არის, რომ ამ ცალ-ცალკე ქება-შესხმის დამწერი, საგულეებელია შოთა რუსთაველი უნდა იყოს“ და „მეტია კვლავ განმეორება იმისი, რომ ამ უკანასკნელის აზრს ვამტკიცებ არა გადაქრით, არამედ საეგებიოდ“ (გვ. 68).

734. Н. Я. Марр

*Вступительные и заключительные строфы Витязя в барсовой коже
Шоты из Руставы.*

*Грузинский текст, русский перевод и пояснения с этюдом
„Культ женщины и рыцарство в поэме.“*

სტრიაში: Тексты и разыскания по Армяно-Грузинской филологии,
Санктпетербург, 1910, книга XII, გვ. 1—LVI+1—54.

ზნაარსი: Культ женщины и рыцарство в поэме (этюд).

1. Поэма Витязь в барсовой коже и первые попытки критического отношения к ее вступительным строфам. 2. Задача настоящей работы. 3. О культуре женщины в Грузии XII—XIII веке и в романской средневековой. 4. О рыцарстве в древней Грузии: ყმა იტა ვიტაზი ილი რიშარი. 5. Собрат-витель: მოყმე შოქთე, побратимы или присяжные братья. 6. Еще витязь: ჭაბუცი (abuk-i). 7. Лингвистическая история терминов (abuk и ksh). 8. Любовник-васал или любовник-рыцарь. 9. К вопросу о зарождении культа женщины в Грузии. 10. О книжных влияниях, неоплатоническом, персидском и библейском. 11. Культ Бога и подвижничество отшельников в грузинском монашестве, культ женщины и подвижничество рыцарей в грузинском феодальном мире. 12. Древне-грузинская церковная песнь Богородицы народным размером светской поэзии.

ვეფხისტყაოსნის შესავალი და დასასრული. ნამდვილი და ჩანართი. შესავალი. დასასრული.

Вступилъ в барсовой коже. Вступительные строфы. Заключительные строфы. Пояснения к вступительным строфам. Пояснения к заключительным строфам. Пояснения к вставкам в вступительных строфах. Пояснения к вставкам в заключительных строфах.

ავტორი იკვლევს ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრიობის სოციალურ-იდეურ გარემოსა და საფუძველს. ეხება ქალის კულტის პრობლემას პოემის მონაცემებისა და ქართული ისტორიული სინამდვილის ურთიერთობაში. არკვევს პატრონჟმური ურთიერთობის ტერმინების — ყმა, მოყმე, კაბუჯი — სოციალურ შინაარსსა და მნიშვნელობას რაინდულ ყოფასთან დაკავშირებით. აყენებს დებულებას ნეოპლატონიზმის გავლენის გამოხატულებისას პოემაში, რისთვისაც მიმართავს ქართული კულტურისა და ფილოსოფიის ისტორიის საკითხებზე საყურადღებო ექსკურსებს. რუსთველის შაირის საზომთან დაკავშირებით ეხება ქართული ლექსის წარმოშობის საკითხს.

ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის სტროფების კრიტიკული შესწავლით ავტორი იძლევა ტექსტის დადგენის ცდას, რომელშიც შეტანილი აქვს შესწორებანი წაკითხვებში, სტროფთა დაღაგების რიგში და ყალბი ადგილების გამოკლებაში. ავტორი ტექსტებს ურთავს რუსულ პროზაულ თარგმანს და შენიშვნებს, რომელშიაც დოკუმენტურად განმარტებულია იშვიათი და საკამათო მნიშვნელობის სიტყვები, მოცემულია მათი ეტიმოლოგიები ვეფხისტყაოსნის შესწავლასთან დაკავშირებული ლიტერატურის ფართო გამოწვლილივით და კრიტიკული გამოყენებით.

736. პეტრე მირიანაშვილი

გ და უ როგორც ხასელნაცვალი ძირები და მათი როლი

გაზ. სახალხო გაზეთი, 1910, 13 აგვისტო, № 81, გვ. 2—3, ქვედურა.

იმის საილუსტრაციოდ, რომ „უ მიმართვით კილოში იშვიათად შეიკვრის ვინად და ყოველ პირსა და რიცხვში უცვლელად რჩება, ხოლო დაბოლოება ხმისა იცვლება წესისამებრ ვარ, ხარ, არს მეშველი ზმნის ბოლოს დართვით, ხან შეხორცებით, ხან შეუხორცებლად“, მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ცალკეული ტაეპები.

736. თ. რაზიკაშვილი

მკირე შენიშვნა

გაზ. სახალხო გაზეთი, 1910, 29 დეკემბერი, № 195, გვ. 2—3.

წერილი ეხება ი. აბულაძის რეცენზიას მ. ჯანაშვილის ნაშრომზე. ავტორი ი. აბულაძესა და მ. ჯანაშვილს შორის კამათში აღძრულ ვეფხისტყაოსნის სიტყვათა განმარტებასთან დაკავშირებით იძლევა ზოგი საკამათო ეტიმოლოგიის გაგებას ხალხური მასალის მიხედვით მაგ., პაშტა, ნაქარმაგვეი, რომელსაც „ნაქირნამაგვეის“ უკავშირებს.

დასასრულს, ავტორი მოკამათით მოუწოდებს თავი შეიკავონ ერთმანეთის ლანძღვისაგან.

737. de Rohan

Les dévoilées du Caucase

Notes de voyage, Paris, 1910, გვ. 70—71.

ავტორი ქართველ მწერლებზე მსჯელობისას გაკვრით ზერდება რუსთაველზე და აღნიშნავს, რომ მას დაუწერია ვეფხისტყაოსანი, რომელიც მიაჩნ-

ნია სპარსული ზღაპრის გალექსვად. ავტორი ზოგადად ახასიათებს პოემას და მოჰყავს ცნობილი აფორიზმების ფრანგული თარგმანები.

738. შოთა რუსთაველი

Барсова кожа

Грузинская поэма-роман XII века, пер. Ш. Дашидзе,

გაზ. Закавказье, 1910, 12 დეკემბრ, № 282, გვ. 2—3;

19 დეკემბრ, № 288, გვ. 2.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის შესავლის 21 სტროფს და პირველი თავის 37 სტროფს უნუმერაციოდ.

საიუბილეო გამოცემის მე-14 სტროფი:

„Приглядитесь к стихотворцу и его творческому дару,

Когда он затруднится подобрать грузинский выражения и рифма станет у него редеть.

Плчутье-шь ему не коверкать грузинской речи и не ленять на скудость языка,

А вьяться за свой чоган и ловко отымылат млт, героический подвиг свершая“.

ნიმუშები კიდევ იხ. ანოტაცია № 728.

739. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი (სურათებით)

გამოცემა კ. თაყაიშვილადისა

მეოცე გამოცემა, თფილისი, 1910, XVIII+264 გვ.

წიგნს წინ ერთვის შოთა რუსთაველის პორტრეტი, წინასიტყვაობა კ. თაყაიშვილადის ხელმოწერით, რომელშიაც ჩამოთვლილია ვეფხისტყაოსნის 19 გამოცემა და სარჩევი.

ტექსტი დაბეჭდილია უნუმერაციის გარეშე. ყოველი სტროფის დასაწყისი ასო შავია. ტექსტში ჩართულია ზიჩის ილუსტრაციები. თავდება თავით: „აქა ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთ ნეფისაგან“. ტექსტი თავდება 259 გვერდზე და მოსდევს მოკლე „სიტყვების განმარტება“ (გვ. 260)-დასაწყისი: „ა გ ა რ ი, მინდორი, ან სადგომი ქალაქსა გარეთ“.

740. [Ruslaveli]

The Encyclopedia Britannica

London, vol. II, 1910, გვ. 761.

ქართული სასულიერო მწერლობის ნოკლე მიმოხილვის შექმდეგ აღნიშნულია, რომ თამარ მეფის დროს ცხოვრობდა რუსთაველი, რომელსაც მიეწერება პოემა ტარიელისა და ნესტანის სიყვარულის შესახებ—ვეფხისტყაოსანი.

741. [ალ. ი. სარაჯიშვილი]

ალ. ი. სარაჯიშვილის ლექცია [ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. სახალხო გაზეთი, 1910, 15 ოქტომბერი, № 132, გვ. 2;

17 ოქტომბერი, № 134, გვ. 3;

20 ოქტომბერი, № 136, გვ. 3.

მცირე საინფორმაციო ცნობა ალ. სარაჯიშვილის მიერ 16, 18 და 20 ლეინობისთვის განზრახული ლექციების წაკითხვის შესახებ რუსულად, თემაზე: „შსგავსება ვეფხისტყაოსნისა საშუალო საუკუნოების რაინდულ რომანებთან“— იქვე მოყვანილია ლექციების შინაარსი:

1 „ლექცია. როგორა ჰქონდათ წარმოდგენილი მიჯნურობა. და სრული მიჯნური რუსთაველსა და შუა საუკუნეების პოეტებს ვერძაში.“

2 ლექცია. მიჯნურობის გამოჩენა, სატრფოს სამსახური და არშეიკობა ჩაინდულს რომანებსა და „ვეფხისტყაოსანში“.

3 ლექცია. როგორ გამოიხატვის მიჯნური! შმაგობა ჩაინდულს რომანებსა და „ვეფხისტყაოსანში“. რისგან წარმოსდგა მსგავსება მიჯნურობისა ვერძიელის პოეტებისა და რუსთაველის პოეზიაში“.

742. [უაგტორო]

[ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის გარდაცვალება]

გახ. ფონი, ქუთაისი, 1910, 11 აპრილი, № 14, გვ. 2.

ტექსტი შეიცავს ქრონიკალურ ცნობას, რომელიც მომყავს მთლიანად:

„ი. ვ. ტხოტყევესკის გარდაცვალება. 3 აპრილს თფილისში გარდაიცვალა ცნობილი პოეტი ტხოტყევესკი, რომელმაც მრავალ ქართულ მწერალთა ნაწარმოები გადათარგმნა რუსულ ენაზე, მაგალ. „ვეფხისტყაოსანი“; აკაცი წერეთლის და ილია ქაჯკაჯაძის ლექსები“.

743. [უაგტორო]

Chronique et notes bibliographiques

ფრან. Journal Asiatique, Paris, MDCCCXC [1910], მაისი—ივნისი, ტომი XV, გვ. 563.

ახლად გამოსული შრომების ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელში მოხსენიებულია ნ. მარის გამოკვლევა ვეფხისტყაოსანზე „Вступ. и зап. строф...“.

744. [უაგტორო]

ნორვეგიელი რუსთაველი

გახ. სახალხო გაზეთი, 1910, 22 დეკემბერი, № 190, გვ. 2.

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ არტურ ლაისტთან მისულ ერთი მგზავრი ნორვეგიიდან გვარად რუსთაველი, რომელსაც, წაუკითხავს რა ლაისტის მიერ გერმანულად თარგმნილი ვეფხისტყაოსანი, სურვილი დაბადებია გაიგოს თავისი გვარის წარმოშობის ისტორია. მისი განცხადებით ეს გვარი საქართველოდან უნდა იყოს გასული.

745. ი. ყოფშიძე, ვუკ. ბერიძე

ნ. მარის უვიცობის სამსჯავროს წინაშე

გახ. დროება, 1910, 4-მარტი. № 49, გვ. 2—3, ქედურა.

ავტორები გაკვერით აღნიშნავენ, რომ მ. ჯანაშვილმა და სხვებმა მარს უმართებულად უსაყვედურეს ვეფხისტყაოსნის სპარსული ღედნის ბრიტანეთის მუზეუმში არსებობის შესახებ უსაფუძელო აზრის ნაადრევად გამოთქმა, რომ, თითქოს, რაც არ იყო, რა აღმოჩნდებოდაო. ავტორები ცდილობენ ქართულ მწერლობაზე სპარსულის გავლენის შესახებ მარის მოსაზრებათა გამართლებას, რაც, მათი აზრით, ვეფხისტყაოსნის სპარსული ღედნის არსებობის ვარაუდი იყო.

746. ა. ზახანაშვილი

ახალი ვარიანტი თქმულებისა შოთა რუსთაველზე

(ჩაწერილი ს. ხილისთავეში გორის მაზრაში, ი. ამბრაშვილისაგან)

ფრან. თეატრი და ცხოვრება, 1910, 12 ნოემბერი, № 36, გვ. 5—6.

თქმულება შეიცავს შოთას მოლაღატე ცოლის შემცველი მოტივის თავისებურ რედაქციას. დასაწყისი:

„შოთამ პირველს თავის დანიშნულზე ხელი აიღო. ქალმა მეტად იწუხა, ჯვარით მზე დაიბნელა. კარზეც კი აღარ გამოდიოდა. მისმა საჭმრამ კი სხვაზე დაიწერა ჯვარი. შოთას ჰყავდა მოსამსახურედ ერთი არაბი. ჯვარდაწერილმა პოეტის ცალმა შეიყვარა ეს არაბი და ამ ღალატის ზმამ მიაღწია ხელ აღებულ შოთას საცოლემდე.“

ჩართული ლექსის დასაწყისი:

„მე რუსთველი ვარ, ძალსა ვცეხე,
ცასა ადგილზე თავს ეუხამ,
ხლვასა ამოვრწყავ ეჭვითა,
როგორც ერთს კიქას ყლას ეუხამ...“.

747. მ. ჯანაშვილი

რუსთაველის გარშემო

ნაშრომი, 1910, გვ. 3—36.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლის ისტორიას. განაყოფიერებით ჩერდება პოემის ლექსიკისა და ზოგი საკუთარი სახელის ეტიმოლოგიაზე. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში გამოხატულია ბიბლიურ-ქრისტიანული ცნებები და ელემენტები. ავტორი რუსთაველის ენის თავისებურებათა ახსნას ცდილობს ინგილოური დიალექტის საფუძველზე (ინგილოზმებდალ მიაჩნია პაშტა, სირა, ხეული, სარაჯი, ტერება). აკრიტიკებს აკად. ნ. მარის ეტიმოლოგიურ ცდებს ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში. გაკერით ეხება პოემის თარიღისა და ორიგინალობის საკითხებს. მისი აზრით, რუსთაველს, უსარგებლია რა „ქართლის ცხოვრებისა“ თუ სხვა წყაროებით, მათ შორის სპარსულით (როსტომიანი) და თავის თვალთ ნახულითა და გაგონილით, ვეფხისტყაოსანში შეუტანია ქართული (როსტევეან-თინათინ-ავთანდილ) და გარმიანული (ტარიელ-ფრიდონ-ნესტან-დარეჯან) ცნობები. ავტორი მიუთითებს ვეფხისტყაოსანში ბიბლიურ-ქრისტიანული ცნებებისა და ელემენტების არსებობას.

იხ. რეცენზია: ი. აბულაძე, გახ. „სახალხო გაზეთი“, 11 დეკემბერი, 1911, გვ. 2—3;
15 დეკემბერი, № 184, გვ. 3—3.

748. მ. ჯანაშვილი

პასუხად ჩვენს მოკამათს

(„მ. ჯანაშვილის ახალ ნაშრომის გამო“-ს ავტორს)

გახ. სახალხო გაზეთი, 1910, 24 დეკემბერი, № 192, გვ. 2—3. ქვედურა.

ავტორი ეკამათება ი. აბულაძეს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ საკითხებზე და იცავს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ორი მსოფლიო—ქართული (ავთანდილი-თინათინი) და მაჰმადიანური (ტარიელ-დარეჯან).

განსაკუთრებით ეკამათება ი. აბულაძეს ვეფხისტყაოსნის სიტყვის „მისო-ქალის“ და „პაშტას“ ეტიმოლოგიაზე და მოჰყავს სათანადო ციტატები.

749. Otto Hanser

Welt Geschichte der Literatur

Leipzig und Wien, 1910, t. II, გვ. 466—469.

ავტორი ქართული მწერლობის მოკლე დახასიათებაში აღნიშნავს, რომ თამარ მეფის ეპოქაში გაიფურჩქნა საკარო მწერლობა, რომლის საუკეთესო ძეგლია ვეფხისტყაოსანი. ავტორი მოკლედ ეხება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას და პოემის შინაარსს.

750. გ. ახალციხელე

ქალთა სვედრი

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 8 აპრილი, № 275, გვ. 2—3.

ავტორი მსჯელობს რა ქალთა თანასწორუფლებიანობის საკითხებზე შენიშნავს:

„ბუნებას მამობრივ და დედობრივ სქესთა შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ დაუტოვებია, რაიჲ გვაუწყა მე-XII საუკ. ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა შოთაძემ“ (გვ. 2. სვეტი 4).

751. ს. დალიანი

ორიოდე მოსაზრება ძველ ჩვეულებათა დახეცვლად

(ქულები სამეგრელოში)

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 15 ივნისი, № 327, გვ. 2—3.

ავტორი აღწერს მიტყველებულის დატირების ცერემონიას, ყურადღებას აქცევს მოთქმით ტირილისა და კივილის ჩვეულებას, რასაც შენიშნავს:

„რაოდენი პარმონია და სილამაზეა ამ მოქმედებაში! განა აქედან არ შეგვიძლია ზოგიერთი დასკვნაც კი გამოვიყვანოთ ჩვენი ერის კოსმოგონიაზე, იმაზე, თუ როგორ უყურებდა იგი სიკვდილს! ეგ ხმაილოვი მოთქმა-ლაღადი, თითქო იმას გვიჩვენებს, თუ ჩვენი ძეგლები რამდენად ახლოს იდგნენ ბუნებასთან, რამდენად განხორციელებული იყო მათ წარმოდგენაში, რომ თაიდან მწუხარებას (როგორც სიხარულს) მოიღს ბუნებას შესჩიოდნენ; თითქოს ბუნებაც კი მათი მწუხარების მოხიარუე უნდა იყოსო და განა ამას მე-XII საუკუნეშივე არ მიაქცია ყურადღება ჩვენმა გენიოსმა შოთამ, როდესაც მისი პოემის ჯმირები საერთოდ და ავთანდილი, თავის მგზავრობაში, თავის გულის დარდებს შეჭალადებს მხეს, მთარუს და ვარსკვლავებს! ტარიელი მხეცებსაც კი ელაპარაკება, ასე რომ აქ საოცრად არის გაყვანილი იდეა ყოველივე არსის ერთობისა და ნათესაობისა. აქედან, სხვათაშორის, შევნიშნათ, რომ „მეფეხის ტყაოსანი“ გაელენთილია ქართველთა ზნე-ჩვეულებებით და ადათებით“ (სვეტი 6—7).

752. დამსწრე

ნადიმი ზ. ოლივერ უორდროპის პატივსაცემად

გახ. თემი, 1911, 31 იანვარი, № 4, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს ვრცელ ინფორმაციას ქართველი საზოგადოების მიერ ოლივერ უორდროპისათვის, როგორც ქართველი ერის მეგობრისათვის, ნადიმის გადახდის შესახებ.

ავტორი ახასიათებს უორდროპის ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე, მოჰყავს ვასილ მაჩაბლის სიტყვიდან შენიშვნა იმის შესახებ, რომ დამმა უორდროპებმა გააცნეს ჩვენი გენიოსი შოთა ინგლისის ერს და შენიშნავს: „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ წაიკითხა გრანდობიერი აღრესი და მიართვა „მეფეხის-ტყაოსანი“ მშვენიერ ყდაში გაკეთებული“.

753. გუა ფშაველა

ფიქრები „ვეფხის-ტყაოსნის“ შესახებ

თურნ. განათლება, 1911, ოქტომბერი, № VIII, გვ. 441—452.

წერილი იწყება ნ. მარის კრიტიკით, მისი იმ დებულების უარყოფით, რომლითაც ირწმუნება, თითქოს, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი თხზულება ბრი-

ტანეთის მუზეუმში ენახოს და პოემის სპარსული ღებანი დღეს თუ ხვალ აღ-
მოჩნდებო. ავტორი გამოთქვამს აღშფოთებას ამგვარი მკვლევარების მიმართ,
რომელთაც არა აქვთ უნარი გაიგონ და დააფასონ ხელოვნური ნაწარმოები,
და არ იციან როგორ იწერება ხელოვნური ნაწარმოები. ავტორი ზოგადად
ახასიათებს რუსთაველის შემოქმედების ეროვნულ ხასიათს და აღნიშნავს, რომ
რუსთაველი „ღვიძლი შეიღია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასია-
თის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლა-
დიდებას, როგორც ფოკუსში; მოუყრია თავი; იგი იმავე დროს სარკეა თავის
ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი“ (გვ. 442). „ერმა ამ სარკეში
ჩახედვით იცნო თავისი თავი... შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და სა-
ქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“ (იქვე).

ავტორი აკრიტიკებს პოემაში ყალბი ადგილების აღმოჩენებს და მათ,
რომელნიც უარყოფენ პოემის წინა და უკანა სიტყვაობას. ავტორი მარის მიმდევ-
რების კრიტიკისას ამბობს: „საწყინო ჩვენი ახალმოდის მკვლევარებისაგან ის
არი, რომ ბ. მარის მიუჩნევიათ ისეთ ავტორიტეტად, რომლის ყოველივე აზრი
უნდა უკრიტიკოდ მიიღოს ყველამა“ (გვ. 443). შენიშნავს, რომ, ვეფხისტყაოს-
ნის ამბავი რომ სპარსეთში ყოფილიყო, თითონვე შეამჩნევდნენო. ავტორი ანა-
ლოგიას ატარებს იმაზე, თუ როგორ ისარგებლეს წყაროებიც გოეთემ ფაუსტისა
და რუსთაველმა ვეფხისტყაოსნის დაწერისათვის და აღნიშნავს, რომ „მთავარი
ავტორია და არა ლეგენდა“. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანი საქართველოს აღე-
გორია“ (გვ. 445). რუსთაველი განგებ არქმევს პოემას სპარსულს (გვ. 446).
„ვეფხისტყაოსნის არაკი ნამდვილი ამბავია მომხდარი საქართველოში“ (გვ.
446). შოთა რუსთაველი „ხალხის შეიღია, ხალხიდან გამოსული, ხალხურად
მთქმელი“ (გვ. 447).

ავტორი იხილავს შოთა რუსთაველის შირობის თეორიას, მის „pro domo
sua“-ს და შენიშნავს: ჩანს, თანამედროვეთ არ მოსწონდათ რუსთაველის დე-
მოკრატიზმი, მისი რეფორმატორობაო!; რასაც დასძენს „ენა რუსთაველისა
წმინდა ხალხურია და ლექსთა წყობაც დღესნამდე მთაში დაცული უნაკლუ-
ლოდ“ (გვ. 448).

საილუსტრაციოდ ავტორს ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს ზოგი ციტატა და
შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები ქართველები არიან (გვ. 450).
პოემის მიხედვით დახატული ქალის მდგომარეობა არ ჰგავს აღმოსავლურს. ავ-
ტორი ცდილობს ახსნას, თუ რატომ უწოდებს ავტორი ვეფხისტყაოსანს
სპარსულ პოემას (იქვე).

დასასრულს, ავტორი ეხება სიყვარულის განსახიერების საკითხებს ვეფ-
ხისტყაოსანში.

754. ე. თაყაიშვილი

კახეთში მოგზაურობა არქეოლოგიურის მიზნით.

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 20 სექტემბერი, № 404, გვ. 3—4;

21 სექტემბერი, № 405, გვ. 5.

ავტორი არქეოლოგიური მოგზაურობის ვრცელ ანგარიშში მადლობას
უცხადებს ქართული სიძველეების შემომწირველთ და მათ შორის ვაჩნაძიანში
მცხოვრებ დავით დიმიტრის ძე ჯანდიერს ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისათვის.
(№ 404).

აგრეთვე კისტაურში მცხოვრებ მიხეილ და ზურაბ გიორგის ძე ერის-
თავეს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერისათვის (№ 405).

755. იმერელო

ჯეროვანი პატივისცემა

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 27 ოქტომბერი, № 435, გვ. 3.

ავტორი ეხება ქართული ენის ორთოგრაფიისა და საერთოდ ლიტერატურული ნორმების საკითხს და აღნიშნავს, რომ „იმერულად წერა შეუწყნარებელია მაშინ, როცა არსებობს ათასშვიდას წლიანი ქართული მწიგნობრობა“, იმასთან დაკავშირებით, რომ აკაკი წერეთელი „ქართულად წერისდროს იმერულად უქცევს“. ამასთან ერთად ავტორი უსაყვედურებს აკაკი წერეთელს, რომ მან რუსთაველის აფორიზმები საკუთარი რედაქციით გამოამშვევა. ავტორი აღშფოთებულია, რომ ივანე ელიაშვილის „სამშობლოს ბუნების სარკე“ აკაკის ვეფხისტყაოსნისათვის გვერდზე ამოუყენებია (გაზ. „თემი“, № 41). ავტორი აღნიშნავს, რომ ძველად იმის შედეგად, რომ რუსთაველს კარგად არ ესმოდათ, ვეფხისტყაოსნის გაგრძელებაც გაბედეს, მაგრამ მანც ვერ ბედავდნენ ვეფხისტყაოსნის ციტატების გაუკულმართებას, აკაკი წერეთელი კი შოთას თქმულად ასაღებს ან თავისებური რედაქციით ბეჭდავს. შემდეგ ლექსებს:

1. გძელი სიტყვა მოყლდ ითქმის, ამითია ლექსი კარგი.
2. ათასად გვარი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა;
თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა.
3. ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდება.

ავტორი ამასთან დასძენს, რომ „ზრდილობის და გვარიშვილობის ლექსი“ რუსთაველისა არ არის.

756. იმერელო

ჯერ ცოცხა

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 30 დეკემბერი, № 488, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სავალალო მდგომარეობას, ქართული მწერლობის შეუსწავლელობას და მავნე შედეგს, რაც გამოწვეულია კონსიების საქმოსნობით კულტურის სხვადასხვა სფეროში. ამ აზრის სამაგალითოდ ავტორი შენიშნავს:

„ჯერ ოცდაათი წლის წინად გაიმართა ვეფხისტყაოსნის აღმადგენელთა კრება... რომლის დადგენილებას სიმტკიცე და სიწმინდე ეძლეოდა ქვეყნის ყრით. ხსენებულის კრების ერთად ერთი საბილწელი ნაყოფი ის იყო, რომ შოთა რუსთაველს ქართული ენა ასწავლეს. მისამართ კილოებში უნის წინ ე-ნის დართით, ეითომდა პირველი პირის გამოსათქმელად და ტარიელი ქართულად, ხოლო ავთანდილ იმერლად იცნეს და ამათვე დააბატონეს სურათები მხატვარს ზიჩის გ. ქართველიშვილის გამოკემულ ვეფხისტყაოსნისათვის...“.

757. იმნაიშვილი

მცირე შენიშვნა

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 16 აპრილი, № 279, გვ. 2-4, ქვედურა.

ავტორი ქართული ენის თავისებურებებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „რუსთაველის ენის“ ფორმები და კანონები საფუძვლად უნდა ედევას ეხლანდელ ქართულ სალიტერატურო ენას. „თ“-სა და „ღ“-ს ხმარების კანონზომიერების საკითხთან დაკავშირებით მოჰყავს საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან: ტაეპები სიტყვებით: „ღამრიდად“, „გზად“, „ხიდად“, „ქირად“, „ღიდად“ - „არმად“, ფლიდად“.

758. [უავტორო]

ახალი ამბები [რომანი რუსთაველზე]

გახ. თემი, 1911, 25 აპრილი, № 16, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ივანე ელიაშვილს დაუწერია დიდი რომანი სათაურით: „შოთა რუსთაველი“, რომელიც უკვე წაუქითხავთ და მოსწონებიან.

759. [უავტორო]

ახალი ამბები

[ვეფხისტყაოსნის ინგლისური გამოცემა]

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 29 აპრილი, № 290, გვ. 3;

26 აპრილი, № 337, გვ. 2;

გახ. თემი, 2 მაისი, № 17, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ლონდონში ოლივერ უორდროპი შესდგომია თავისი დის მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის გამოცემას, რომელიც ჩქარა უამოვოა.

იგივე ცნობა გაიმეორა ქუთაისის გახ. „კოლხიდა“.

760. [უავტორო]

ახალი ამბები

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი]

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 7 მაისი, № 297, გვ. 2;

11 მაისი, № 299, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „წერეთლებმა შესწირეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“. სულ 77 სურათია“ (№ 297).

ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ბიძინა გრიგოლის ძე მყავშილმა შესწირა XVIII საუკუნის სიძველენი და მათ შორის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი (№ 299).

761. [უავტორო]

ქართული საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების კრება

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 13 მაისი, № 301, გვ. 3.

ცნობა იმის შესახებ, რომ 12 მაისს დეპუტატთა საკრებულო დარბაზში საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებებზე ექვთიმე თაყაიშვილის თავმჯდომარეობით ს. კაკაბაძეს წაუკითხავს მოხსენება თემაზე: „მშალე-წია თუ არა შავთელის „აბდულ-მესიამ“ ჩვენ დრომდის“.

რეკენზიის მიხედვით დავით მწიბრი, რომელმაც დაწერა დავით მეფის ჭემა, ის მგოსანი უნდა იყოს, რომლითაც აღტაცებული ყოფილა შოთა რუსთაველი, მცხოვრები აგრეთვე XIV საუკუნეში. ამის მიხედვით ვეფხისტყაოსნის ცხადდება XIV საუკუნეში დაწერილ თხზულებად.

კამათში მონაწილეობა მიუღიანთ ივ. ჯავახიშვილს, ი. აბულაძეს, გ. ყიფშიძესა და ე. თაყაიშვილს.

62. [უაფტორო]

ახალი ამბავი [ვეფსისტყაოსნის ლიბრეტო]

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 4 ნოემბერი, № 442, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა მომყავს სრულად:

„ამ ზაფხულს პატეს სინემატოგრაფის ფირმამ შალვა დადიანს შეუკეთა „ვეფხის-ტყაოსნის“ ლიბრეტო შედგინა. მასაც ეს შრომა დაუმთავრებია და გაუზგაზენია კიდევ. მოსალოდნელია, რომ თვით დადიანი გაიწვიონ საზღვარგარეთ ამ სურათების მოსაწოდებლად და დასადგმელად“.

163. შინაური

ქურნალისტის ღლიური. ქართული მუსიკა

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 15 მარტი, № 255, გვ. 2.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული მუსიკის დამუშავების მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ „ანდრია ყარაშვილს საკმაოდ ბლომა საკონცერტო მასალის გარდა, აქვს კიდევ დამზადებული ერთი მოქმედება, ბალეტით ოპერა „ვეფხის-ტყაოსნიდან“.

764.—ციხელი

სალიტერატურო ღილა სახალხო სახლში

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 15 ნოემბერი, № 451, გვ. 4.

ავტორი ვრცელ სარეცენზიო წერილში აკრიტიკებს ს. კაკაბაძეს, რომელსაც ლექციაში „პოეტი ალექსანდრე პაეკაეაძე“ რუსთაველი მთარგმნელად მოუხსენებია და განუცხადებია, რომ ვეფხისტყაოსანი პირველად სპარსულიდან გადაუთარგმნია სარგის თმოგველს და შემდეგ გაუღექსავეს შოთა რუსთაველსაო.

765. ძირითადი დიდებელი

ცოცხალი რამ მკელი და ახალი ღილის ეკლესიაზე

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 7 მაისი, № 297, გვ. 2—3.

დიდების ეკლესიის ისტორიულ მნიშვნელობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„დიდების საყდარში იკურთხა წმ. დედოფალმა თამარმა საქართველოს სამეფო ტახტის გვირგვინი, თავს დაიდგა მან ეს გვირგვინი გვირ მამისაგან (გიორგი მესამე) ჩაბარებულ იმ დროინდელ მძლე და ვრცელ საქართველოს ყოველი კუთხიდან მოწვეულ ლაშქრის თანადასწრებით,—დიდის ხარ-ზეიმით, რომელიც ასე საუცხოოდ არის აწერილი შოთას ვეფხისტყაოსანიში“.

766. აკაკი წერეთელი

თანამედროვე ჰუმანიტარული რუსთაველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინახწარი. ლექცია

გაზ. თეში, 1911, 23 მაისი, № 20, გვ. 3—4.

ავტორი საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოეზიის დანიშნულებაზე მსჯელობისას იმეორებს რუსთაველის სტროფის შაირობაზე, ეხება რუსთაველის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის; რომელსაც, მისი შენიშვნით, „უპირველესი ადგილი უჭირავს არა მარტო ქართველებში, თამამად ვიტყვი უპირველესთაგანი მსოფლიო მწერლობაშიაც“.

ავტორის შეხედულებით, ვეფხისტყაოსანი პოეტური წინასწარმეტყველებითაა. მასში გამოხატული იდეალები სქესთა თანასწორობაზე, მეგობრობაზე, გვარიშვილობასა და შთამომავლობითობის არარაობაზე, შედარებით პიროვნულ ღირსებასთან კაცობრიობამ მხოლოდ დიდი ხნის დაგვიანებით ჩვენ თანამედროვეობაში გაიკნო. ის რაც რუსთაველმა XII საუკუნეში თქვა, დღეს მას მოითხოვს კაცობრიობა. ავტორი ეხება რუსთაველის პროგრესული იდეალების—დედაკაცისა და მამაკაცის თანასწორობის, გვარიშვილობის არარაობის, მონების განთავისუფლების საფუძვლებს და აღნიშნავს, რომ ისინი რუსთაველმა ქართული ხალხური ზნეწვეულებებიდან აიღო. ავტორს მოჰყავს სათანადო თქმები ვეფხისტყაოსნიდან. რომლებშიაც გაშლილია ეს იდეალები და აღნიშნავს, რომ ამ თქმებში საქართველოს ცხოვრების იდეალებია გამოხატული და ცდილობს მის დასაბუთებას ვრცელი ისტორიული ექსკურსებით, ქართული ისტორიული სინამდვილის გათვალისწინებით, დაკავშირებით პოემის ცალკეულ ადგილებთან. ავტორის აზრით, „ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა“ ვეფხისტყაოსნის სტროფია. ავტორის შენიშვნით, ქაჯებისაგან დამონებული ნესტანდარეჯანი საქართველოა და მისი მამებარი რაინდები—მისივე შვილები. სამი გმირი პოემისა—საქართველოს წარმომადგენლები არიან.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ქართველობა სოციალურ ცხოვრებაში მტკიცედ არ იცავდა ჩამომავლობით პრიორიტეტს, რის გამოც მან შეინარჩუნა ისტორიულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ქართული სოციალური ყოფა პატრონჟურული ფორმაციისა.

767. აკაკი [წერეთელი]

ივანე ელიაშვილი

გახ. თემი, 1911, 17 ოქტომბერი, № 41. გვ. 2—3.

ავტორის ლიტერატურული შემოქმედების საკითხებზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს ცალკეული ადგილები და მათ შორის რუსთაველს მიაწერს სტროფს:

„ათასად კაცი დაფასდა, ათათასად ზრდილობა;

თუ კაცი თვიონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა“.

ავტორი შენიშნავს, რომ: „ხშირად მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე შწერალს გაუღიადდება სახელი. თანამედროვე მკითხველებს ერთი მეორის წამნედღურობით, დიდ-რამედ მიაჩნიათ უბრალო მწერალუკები“, რის სამაგალითოდ ცოტა ზევით აღნიშნავს:

„იყო დრო. არცა ზოგიერთ ნაწერს საქართველოში „ვეფხისტყაოსანზე“ მალა აყენებდნენ. მაგ. „თეიმურაზიანს“, „არჩილიანს“, „წყობილ-სიტყვაობას“ და სხ. „ვეფხისტყაოსანი“ შეაჩვენეს და დასწვეს, როგორც უგებუებისა და შეცდომის ქირი...“.

დასასრულს, ავტორი ახასიათებს ივანე ელიაშვილის წიგნს „სამშობლო ბუნების სარკე“ და შენიშნავს, რომ „ეს წიგნი ყოველი ქართველის ოჯახში უნდა იყოს შეტანილი, განძად და საწიგნეს დასამშვენებლად, როგორც „ვეფხისტყაოსანი““.

768. ზ. კ. [ზაქარია კივიციანი]

ახალი ცნობა 1709 წ. ქართულ სტამბის შესახებ

გახ. სახალხო გაზეთი, 1911, 14 მაისი, № 302, გვ. 3.

ავტორი ეხება ქართული სტამბის დაარსების ისტორიასთან დაკავშირებით ბუქარესტში დაფუძნებულ ქართველ მღვდელ-მონაზონთან ანთიმოს-

თან მიწერ-მოწერას სტამბის გახსნის თაობაზე, რის შედეგადაც თბილისში სტამბა, მართლაც, 1709 წელს დაარსდა და დაიბეჭდა წიგნები, მათ შორის ვეფხისტყაოსანიც. ავტორს მოჰყავს ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ბოლოს მინაწერი სტროფი „აწ დაიბეჭდა სტამბაში“...

დასასრულს, ცნობა იმის შესახებ, რომ რუმინეთის აკადემიას უთხოვნია გაეგზავნოს ქართულ სტამბაში დაბეჭდილი წიგნები.

769. ზ. ჯ. [ზაქარია ჭიჭინაძე]

ბიბლიოგრაფია

„საენე-გმირთა“ ძველი მწერლობა

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 2 ივნისი, № 316, გვ. 5.

ავტორი ეხება დაკარგული თხზულების „საენე-გმირთა“-ს შედგენილობისა და მისი ქართული მწერლობისათვის მნიშვნელობის საკითხს და მისი დახასიათებისას ზეპირად მოლწეული ცნობების მიხედვით აღნიშნავს, რომ „საენე-გმირთა“ არის ლექსად დაწერილი თექვსმეტმარცვლოვანით, „ვეფხისტყაოსნისებურ“ და კილო აქვს „დავითიანისა“.

770. მ. ჯანაშვილი

ქართველები

გაზ. თემი, 1911, 7 ნოემბერი, № 44, გვ. 4.

ავტორი ეხება ქართველი ერისა და ქართული ენის წარმოშობა-განვითარების საკითხებს, მოჰყავს ენობრივი პარალელები და ქართული მწერლობის სიმდიდრის საილუსტრაციოდ დასასრულს აღნიშნავს:

„წიგნს ჩვენში დიდი პატივი ჰქონდა. საბაკოდ არ მოგვეჩვენება „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა წიგნების მზითვად გატანება, როდესაც მოვიგონებთ უკვედ მოღვაწის დაეთ ჯიბის-ძის (Xl ს.) სიტყვებს: პირველი სიმდიდრე წიგნთა მოძღვრებაჲ არს. ღმერთმან მზე და მთუარე ხორცთა ჩვენთა სახმარად დაძაბუნა, ხოლო წიგნი—სულთა ჩვენთა განმანათლებლად მოგვეადლანა“.

771. არჩილ ჯორჯაძე

მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის

გაზ. სახალხო გაზეთი, 1911, 6 დეკემბერი, № 468, გვ. 2—4, ქვედურა.

ავტორი ეხება ილია ჭავჭავაძის, აკად. ნიკო მარისა და ჯორჯიკიას პოლემიკასა და შენიშვნებს ენის საკითხებზე და მოჰყავს საილუსტრაციოდ ილია ჭავჭავაძის წერილში ვეფხისტყაოსნიდან ციტირებული ადგილები (გვ. 2, სვეტი 5).

ავტორი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის უმართებულად აბრალებდნენ ძველი ქართული მწერლობის უპატივცემულობას, და დასძენს: „რუსთაველისადმი სიყვარული არა ერთხელ გამოუთქვამს ილიას თავის წერილში“ (გვ. 3, სვეტი 2).

ავტორი ილია ჭავჭავაძის მიერ ჩახრუხაძის პოეზიის ხელოვნურობის აღნიშვნასთან დაკავშირებით ეხება მარის პიპოთეზას ჩახრუხაძისა და რუსთაველის პიროვნების იგივეობაზე (გვ. 3, სვეტი 3). პოემის შესახებ ავტორს მოჰყავს ილიას ნაწერებიდან ციტატა, რომელშიც იკითხება: „ნუთუ მართლა ეგრე დავცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგონობს?“ (გვ. 3, სვეტი, 5).

773. ივანე ავალიშვილი

ხალა საკითხის გამო ნენ და ენ

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 6 იანვარი, № 494.

ავტორს თ. სახოკიას საპასუხოდ, რომელსაც ჰგონებია, რომ ნენ „ივერიაში“ შემოიღო გ. ყიფშიძის თანამშრომლობის დროს, მოჰყავს ამ სადაო-ნაწილაკის ძველი ქართულის ფორმა „ნეს“ კლასიკური ძეგლებიდან, მათ შორის მაგალითები ვეფხისტყაოსნიდან: „მოეგებნეს“, „ოყენეს“, „წამოსულიყენეს“ და სხვ. და ასაბუთებს, რომ „ნენ“ ფორმა აუცილებელია.

773. ივანე ავალიშვილი

კლეე ხალა ნენ და ენ

თრნ. განათლება, 1912, ნოემბერი, I, გვ. 678—680.

ავტორი უპასუხებს თ. სახოკიას წერილებს (გახ. „სახალხო გაზეთი“, 1912, № 655, 656) ნენ მნიშვნელობა-გამოყენების კანონზომიერების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი მართებულად გამოყენების წესების უტოლდინარობის გამო ილია ქავჭავაძეს უსწორებენ ნაწერებს და ნენ-ს ენ-ად უწერენ. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან „ნეს“ ფორმის კანონზომიერად ხმარების მაგალითები (გვ. 679).

774. ა—ლი

ბიბლიოგრაფია. — თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში. ლექცია წაკითხული თბილისში 5 თებ. 1912 წ.

თრნ. კლდე, 1912, 30 ენენისთვე, № 3, გვ. 15.

ავტორი სარგის კაკაბაძის პატარა ნაშრომის განხილვის დასასრულს შენიშნავს, რომ ის „გაკვერით მოიხსენიებს, რომ შ. რუსთაველი თამარის დროს არა სცხოვრობდაო. ვფიქრობთ, რომ უხერხულია გაკვერით ამის თქმა, როდესაც საკმარისი საბუთი, ამის დამამტკიცებელი, არაა მოყვანილი“.

775. ს. რ. გორგაძე

შაირი რუსთაველური

ნაშრომში: ქართული წყობილიტყვაობა, ლექსთწყობის თეორიიდან

წიგნში: გრდემლი, წიგნი 1, სალიტერატუროკრებული, გამოცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა, ტფილისი, 1912, გვ. 44—47.

ავტორი აღნიშნავს, რომ შაირის ტიპის ლექსი პირველად რუსთაველის პოეზიაში გვხვდება, რომელიც ხალხური პოეზიიდან უნდა იყოს შემოტანილი. ავტორი ეხება რუსთაველის შაირის ვერსიფიკაციას, მოჰყავს მისი სქემა და სანიშნოდ ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტროფი. დასასრულს, აღნიშნავს რუსთაველის შაირის საზომის გამოყენებას ახალ ქართულ პოეზიაში.

776. ღ.

ვეფხისტყაოსანი, კ. ბალმონტი და ოლივერ უორდროპი

გახ. თემი, 1912, 13 აგვისტო, № 84, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს „Русское слово“-ს 29 ივლისის ნომერში დაბეჭდილი ბალმონტის წერილის გარდათქმას, სადაც აღნიშნული ყოფილა ბალმონ-

ტის შეხვედრისა და საუბრის შესახებ ქართველი ერის მეგობარ ოლივერ უორდრობთან სამხრეთ აფრიკაში გემით მოგზაურობის დროს. ავტორის გარდათქმით, ბალმონტს აღუნიშნავს, რომ „მისტერ უორდრობის დას კარგად იცნობენ საქართველოს მცხოვრებნი. მან მშვენიერად თარგმნა ინგლისურად რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“.

ავტორი დასძენს, რომ ურიგო არ იქნებოდა ვინმეს ვეფხისტყაოსანი რუსულად პროზად მაინც ეთარგმნა, რომ ბალმონტს საშუალება მიეცეს გაიცნოს ის და შესაძლოა ლექსადაც გადაიღოსო.

777. შიო დავითაშვილი

ამპარტავანი ლილეტნტი
(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 13 ივლისი, № 648, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მას ვეფხისტყაოსნის ჰეგზამეტრით დაწერის შესახებ გამოთქმული აზრის გამო საარაყო უფიცი და დილექტანტი უწოდეს (გაზ. „ზაკეკაზიე“), რადგანაც ქართულ ენაში გრამატიკული მახვილის საკითხთან დაკავშირებით შეუნიშნავს, რომ რუსთაველის პოემას სხვადასხვანაირად კითხულობენ სხვადასხვა მახვილით და ვეფხისტყაოსანი ნამდვილი ჰეგზამეტრით არის დაწერილი. ავტორის შენიშვნით, მის მოკამათეს ვეფხისტყაოსანი ოთხმარცვლოვან ლექსად ჰგონია დაწერილი, ნამდვილად კი ის ექვსმარცვლოვანი ლექსითაა დაწერილი. ამასთან დაკავშირებით ავტორი განმარტავს ჰეგზამეტრს, მოჰყავს მისი სქემა და აღნიშნავს:

„ქართულ სიტყვებს გრამატიკული მახვილი არა აქვს, ლექსში კი აუცილებელია და იქ დაისმის, სადაც თვით ლექსი მოითხოვს და არა სიტყვის ბუნება. ქართულ ენას ყველანაირი ლექსი ვერხება, რაც კი აქამომდე უცხო ენებზე დაწერილა და გაეჩინა, მაშასადამე ჰეგზამეტრიც“.

ავტორი შიორის აგებულების განხილვისას შენიშნავს, რომ:

„ვეფხისტყაოსნის სტრიქონი იყოფა ორ მუხლად და ექვს მარცვლად: პირველ მუხლში ერთი სპონდეუსია და ორიც დაქტილი, მეორე მუხლშიც სპონდეუსი წინ უძღვის ორ დაქტილს... შემდეგ სტრიქონებში სპონდეუსები ადგილს იკლვიან...“ ჩასაც ავტორი დასძენს, რომ „ესეთი ჰეგზამეტრი ბერძნულს ჰეგზამეტრზე ბევრად ლამაზია და უფრო კეთილმოეანი“.

778. კ. გაზინაძე

„ვეფხისტყაოსანი ინგლისურად

„ვეფხისტყაოსანი“ რომანტიკული პოემა შოთა რუსთაველისა.

სიტყვისიტყვითი თარგმანის ცდა ქართულიდან მარჯორი ვორდრობის მიერ. გამოცემული საბჭო სააზიო საზოგადოების მიერ, ლონდონი, 1912 წ.

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 24 პრილი, № 582, გვ. 2—3.

ავტორი მალალ შეფასებას აძლევს ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანს და ახასიათებს მის ლიტერატურულ ღირსებებს. ავტორი შენიშნავს, რომ მარჯორი უორდრობი 18 წელს მუშაობდა თარგმანებზე — ქართულიდან ინგლისურზე. ვეფხისტყაოსნის თარგმნა დაუწყია 1891 წელს და დაუმთავრებია 1898 წელს, რის შემდეგაც მის შევსება-დახეწვაზე მუშაობდა.

ავტორის აზრით, ვერც ერთი ცდა ვერ შეედრება მარჯორი უორდრობის თარგმანს. ამასთან ერთად ავტორი არჩევს უორდრობის მიერ ვეფხისტყაოსნისათვის დართულ შესავალ წერილს ინგლისელი მკითხველისათვის, ალაგებს მის მთავარ შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის ირგვლივ და კრიტიკული აზრის განვითარებას მის შესახებ.

Preface

წიგნში: *The man in the panther's skin a romantic epic*
by Shol'ha Roust'haveli, London, 1912, XVIII—274 გვ.

ტექსტი შეიცავს მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებული ვეფხის-ტყაოსნის ინგლისური თარგმანის გამოცემის წინასიტყვაობას (გვ. III—XV). ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქართული და მსოფლიო პოეტური კულტურისათვის და ეხება რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებს, იდეალებს და მის მსოფლმხედველობას. ავტორს რუსთაველის დამსახურებად მიაჩნია დასაქვითისა და აღმოსაქვითის აზროვნების დაახლოება. რუსთაველი თავისუფალია რელიგიური მიკერძობისაგან. რუსთაველი არა ცდილობდა რომელიმე სარწმუნოების ამალვებას ან დამციროებას.

ავტორი მოკლედ გარდათქვამს რუსთაველის ძირითად იდეალებს ცხოვრების მთავარ საკითხებზე—ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, ცოლ-ქმრობასა და ემანსიპაციაზე. ავტორი რუსთაველის შემოქმედებაში პროგრესული იდეალების არსებობას ხსნის ქართველი ერის დიდი ცივილიზაციით, მისი საერთო მისწრაფებითა და ხასიათით. ავტორი არჩევს პოემის სიუჟეტის აგებულებას, მის ცალკეულ ეპიზოდებს და გმირთა ურთიერთობას მთელი პოემის იდეასთან დაკავშირებით. რუსთაველის მხატვრული მეტყველების ერთგვარი თავისებურებაა ადამიანის სრლამაზის გადმოსაცემად ციურ მნათობთა პოეტური შედარების ხშირი გამოყენება.

დასასრულს ავტორი გადმოსცემს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს და მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ხელნაწერს, რომელთა შორის ასახელებს 1443 წლით დათარიღებულ ტყავის ხელნაწერს. სანიმუშოდ მოჰყავს რუსთაველის თქმები, ახასიათებს რუსთაველის პოეტურ ენას და პოეტური გამოთქმის თავისებურებებს. მოკლედ იხილავს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობისა და მისი წყაროების საკითხს, აღნიშნავს მის ქართულ ნიადაგზე წარმოშობილობას და გაკვრით ეხება ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანზე მუშაობის პირობებს უცხო ენებზე პოემის თარგმნის საერთო საკითხებთან დაკავშირებით.

780. ს. ვანნაძე

ჩსუბი არაფერზე („ღენწ“ თუ „ღენ“?)

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 4 აგვისტო, № 667, გვ. 3;

10 აგვისტო, № 671, გვ. 3;

11 აგვისტო, № 672, გვ. 3.

წერილების სერია ეხება თ. სახოკიასა და ივ. ავალიშვილს შორის კამათს იმის შესახებ, რომ, თ. სახოკიას მტკიცებით, „ქართული ენის კანონი მოითხოვს ნამყ. უსრ. მრავლ. რიც. მესამე პირ. დაბოლოებაში ეხმარობდეთ ღენ-ს და არა ღენწ-ს“ (№ 667), რისთვისაც საილუსტრაციო მასალად მითითებულია ვეფხისტყაოსნიდან ზოგი სიტყვა (№ 672) და რუსთაველის ავტორიტეტი.

ავტორის შენიშვნით, ორივენი ცალმხრივად უდგებიან საკითხის გადაწყვეტას. მთავარია მეტყველების განვითარების რეალური მდგომარეობა და ენის ტენდენცია, რაც საფუძველია კანონების შემუშავებისათვის.

Кавказ и памятники его духовной культуры

(Речь, читанная в торжественном собрании Российской Академии Наук
29 декабря 1911 г.)

ტურნ. იან, სპბ, 1912, № 1, გვ. 69—82.

ქართულ საბელმწიფოებრივ-სოციალურ ცხოვრებაზე ირანული გავლენის აღნიშვნისას ავტორი გაეკრით ეხება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანს, რომელიც სპარსული მოთხრობის ქართული სინამდვილის მიხედვით გადაკეთებულ რომანიულ პოემად მიაჩნია. ავტორი შენიშნავს:

«Один персидскую повесть, местный гений претворил в романтическую поэму, из всем Востоке христианском и мусульманском единственную, где так благородна очаровательная по музыкальности песнь в честь самоотверженной рыцарской дружбы («иобратимства»), обожествления женских типов и идеализованной любви к женщине. Параллели ей, весьма сродные, имеются лишь в Западной Европе, но творец ее, Шота из Рустава, вдохновлялся наследиями родного края и художественными формами народной поэзии. Он, придворный поэт, скиталец-бард, происходил из странствующих певцов народа» (გვ. 74).

ქალაქ ანისისათვის მესამე წყება კედლების შემოვლებაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ ეს არის ეპოქა, რომელიც საქართველოში გვირგვინდება შოთა რუსთაველის რომანიული პოემის მოვლინებით.

782. Б. შარბო

ერთი დიდი საკითხის შესახებ
(წერილი რედ. მიმართ)

ვახ. სახალხო გაზეთი, 1912, 3 ივლისი, № 639, გვ. 2—3.

ავტორი ეხება ქართული ენის მეცნიერული შესწავლის საკითხებს და იწინააღმდეგება, რომ ქართული ლექსიკონის შედგენა ისეთი გამგებობისათვის მიუხედავად, სადაც არც ერთი ლინგვისტი არ არის, შენიშნავს: „ასეთი საქციელი შესაწყნარებელი იქნებოდა ოცი ან ოცდაათი წლის წინეთ, ამ რიგად უმუშავიათ ვეფხისტყაოსნის“ გამოსაცემლად...“. ავტორი გულისხმობს 1888 წ. დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე მუშაობას.

ამასთან დაკავშირებით ავტორი დასძენს:

ვისაც ქართული სპეციალურად არ უსწავლია, ვისაც აღმოსავლეთურ ენათ თანამედროვე სკოლის უთავადესი პრინციპები არ შეუთვისებია, მეტადვე ვისაც აგეთი ახალი ფილოლოგიური სკოლის სუნიც არ ჰქვარია და ფრთხილ არ აცხვია, მათ ვერ მიენდობა და არც უნდა მიენდოს არავითარი მეცნიერული კვლევა ქართული ენის შესახებ, არც — რაც ძნელთაგან უწინესია — მასალის შეკრების გამგებობა“.

783. [Shot'ha Roust'haveli]

The man in the panther's skin a romantic epic by Shot'ha Roust'haveli, oriental Translation Fund new series, Vol. XXI. A close rendering from the Georgian attempted by Marjory Scott Wardrop

London, published by the Royal Asiatic Society, 1912, XVIII+274 p.

ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა (Preface) მთარგმნელის ძმის ოლივერ უორდროპისა (გვ. III—XV). წიგნს ბოლოში დართული აქვს: Appendices: I. Prof. Marr's rendering of the introductory quatrains (გვ. 261—265); II. Bibliographical note (გვ. 265—269); III. Groups of references (გვ. 269—273).

ტექსტი შეიცავს 1576 სტროფს და თარგმნილია პროზით.

დასაწყისი:

„1. He who created the firmament, by that mighty power made beings inspired from on high with souls celestial; to us men He has given the world, infinite in variety we possess it; from Him is every monarch in His likeness“ (გვ. 1).

დასასრული:

„1576. Mose Khoneli praised Amiran, son of Daredjan; Shavt'heli, whose poem they admired, praised Abdul-Mesia; Sargis T'hmogweli, the unwearying — tongued (praised) Dilarget'h; Rust'haveli (praised) Tariel, for whom histear unceasing flows“ (გვ. 257):

ტექსტს ბოლოში ერთვის მთარგმნელის შენიშვნები ცალკეულ სიტყვათა და თქმათა შესახებ, მაგ., პირველი სტროფის პირველი შენიშვნა: 1. firmament—Samqaro (გვ. 1).

უკანასკნელი 1576-ე სტროფის შენიშვნა:

„2. Professor Marr's rendering (xii. 54,0): „Moses of Khoni sang of Amiran Daredjanidze; Sharteli, whose verse is renowned (sang of) Abdul Mesia; Sargis of T'hmogvi, with fluent discourse, (sang of) Dilarget'h; his Rustaveli, not druing the tear for him (sang of) Tariel.“ For the places, cf. Wakhoucht, op. cit.

The Odes of Shavteli hoive been editet bu Professor Marr (v. Bibliographical Note, Appendix II).

დამატებებში შენიშვნების სახით განმარტებულია ტექსტთან დაკავშირებული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები, მოცემულია ვეფხისტყაოსნის მთავარ გამოცემათა და თარგმანთა ბიბლიოგრაფია, შრომების სია ვეფხისტყაოსნის შესახებ და ვეფხისტყაოსანში მოხსენიებულ გმირთა, გეოგრაფიულ სახელთა და საგანთა ინდექსი.

784. [Шота Руставели]

Из „Барсовой Кожи“ Шота Руставели

(Грузинский поэт XII века)

წიგნში: Жизнь и Слово, Хрестоматия, издание 2-е, исправленное выпуск II, С. Петербург, 1912, გვ. 98—99.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის შესავლიდან თავისუფალ თარგმანს „შაირობის“ თემაზე. როგორც საინტერესო და თავისებური ცდა თარგმანისა მოწყავს მთლიანად:

О поэте

Не поэт, кто сил не чует
Душу словом потрясти,
Кто пороков не бичует,
Кто не смеет вверх расти.
Нет!.. Поэт, кто сил таланта
Не бросает без нужды
И кто с силою гиганта
Чужд и злобы и вражды.
Кто, идещи вдохновенный,
Жизнь в поэзии найдет,
И, храня огонь священный,
С ним в могилу пойдет!
Он могуч и он язлюбен,
Он поэт родной всех стран,
Он излить на мир способен
Музыкальный оксаи...

ვეფხისტყაოსანი ინგლისურად და მარჯორი უორდროპი „ვეფხისტყაოსანი“, რომანტიული პოემა შოთა რუსთაველისა, ქართულიდან სიტყვა-სიტყვით თარგმნის ცდა მარჯორი სკოტ უორდროპის ასულის მიერ,

გამოცემული საბჭო სააზრო საზოგადოების საუსოთა.
ლონდონი. (XV + 273 გვ. in 8/0. ფასი 10 შილინგი (5 მანეთი).

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 24 ივნისი, № 633, გვ. 2—3; 26 ივნისი № 634, გვ. 2—3; 27 ივნისი № 635, გვ. 2—3.

წერილების სერია წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას მარჯორი უორდროპის მიერ ქართული ღედნიდან ინგლისურ ენაზე ნათარგმნი ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე.

ავტორი ახასიათებს მარჯორი უორდროპის მოღვაწეობას ქართული კულტურის ევროპიელთათვის გაცნობის საქმეში და აღნიშნავს, რომ მან ერთადერთმა მოახერხა შეესწავლა ქართული ენა და ვეფხისტყაოსანი ისე სამაგალითოდ, რომ შეძლო მისი გაგება და თარგმნა. ვეფხისტყაოსნის შესწავლა-თარგმანზე მუშაობის მოკლე მიმოხილვაში ავტორი სხვათაშორის შენიშნავს: „იქნება ინგლისელის მიერ გაწეულმა ამ უებრო შრომამ გულისხმაში ჩაგვეადლოს ქართველობა და ჩვენს გონებრივს საუნჯეს უფრო მეტის ყურადღებით და ზრუნვით მოვეპყროთ, ვიდრე აქამდე გამოგვიჩენია ეს ზრუნვა და ყურადღება. იქმნება ჩვენც დაეიარსოთ რუსთველის პოემის და ენის შესასწავლი საზოგადოება (თუ საზოგადოებანი არა), მსგავსად იტალიელთა, რომელთაც თითქმის ყოველ ქალაქში აქვსთ დაარსებული ევრეთწოდებული „დანტეს საზოგადოება“, სადაც მათის უკვდავის პოეტის და შოთას თითქმის თანამედროვე გენიოსის „ღეთაებრივი კომედიის“ მკოდნე პროფესორების ხელმძღვანელობით სწავლობენ, იკვლევენ და ფართო მასისათვის ხელმისაწვდომად ხდიან მისს შინაარსსა და შიგ დაცულ საუნჯეს ენისას“.

ავტორი აღწერს წიგნის შედგენილობას და ახასიათებს თარგმანის წინასიტყვაობას, რომელშიაც შეფასებულია რუსთაველის შემოქმედება და განხილულია ვეფხისტყაოსანი, რის შემდეგაც მთლიანად მოჰყავს თარგმანი ამ ინგლისური წინასიტყვაობისა. წინასიტყვაობაში დახასიათებულია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ქართული და მსოფლიო პოეზიის თვალსაზრისით, მისი მთავარი მოტივები და იდეალები და რუსთაველის მსოფლმხედველობა. გარჩეულია მთავარი ეპიზოდები და გმირთა ურთიერთობა. მოკლედ მიმოხილულია რუსთაველის ბიოგრაფია, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, რომელშიც დასახელებულია ერთი 1443 წლით დათარიღებული ტყავის ხელნაწერი. ავტორი ეხება პოემის ორიგინალობას და მისი წყაროს საკითხს, აღნიშნავს თარგმანზე მუშაობის პირობებს და მოკლედ მიმოხილავს ვეფხისტყაოსნის თარგმანებს უცხო ენებზე.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ის სხვა ქართველებთან ერთად ჩაახლა ლონდონთან ახლო მდებარე სოფელ სევენოკში ვეფხისტყაოსნის ინგლისურად მთარგმნელის მარჯორი უორდროპის სანახავად, სადაც სამწუხაროდ, მხოლოდ გარდაცვლილის სამარე-ლა უნახავს. მას დაუთვალეირებია მარჯორის მიერ შეკრებილი ქართული წიგნების ბიბლიოთეკა და მის მიერვე შესრულებული ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის ღედნის ხელნაწერი.

სიკვდილის წინ უორდროპის მიერ უკანასკნელად ნათქვამი სიტყვა ყოფილა „საქართველო“.

ჩემი გამოკვლევა

გაზ. კოლხიდა, 1912, 23 მარტი, № 16, გვ. 3.

ავტორი სარგის კაკაბაძის მიერ ქალთა უმაღლეს კურსებზე რუსულად წაკითხულ ლექციასთან დაკავშირებით, აკრიტიკებს მის მთავარ დებულებას იმის შესახებ, თითქოს რუსთაველი XII საუკუნის ოქროს ხანას კი არ წარმოუშვია, არამედ დაქინინების ეპოქას, სახელდობრ XV საუკუნეს.

767. [უავტორო]

თეატრი და ხელოვნება—კუთაისი

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 1 მარტი, № 538, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ქუთაისში 24 თებერვალს ი. ბარველის მიერ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნიდან გადმოკეთებული პიესის დადგმის შესახებ. ავტორი დიდ აღშფოთებას გამოთქვამს, რომ საზოგადოების მისაზიდად იყენებენ რუსთაველის დიად სახელს და აწვდიან კი სიმახინჯეს. ავტორის შენიშვნით „პოემის ვეფხისტყაოსნის“ დრამად გადმომკეთებელი ისეთივე ზეგარდმო ნიჭით ცხებული გენიოსი უნდა იყოს, როგორც თვით ავტორი იყო, რომ ამ უბადლო ქართულ ნაწარმოებს არ დაეკარგოს თავისი მხატვრული სიმშვენიერე“. ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ დავით და გიორგი ერისთავებმა, აკაკიმ, ცაგარელმა, ილიამ, გუნიამ ვერ გაბედეს მისი გადმოკეთება, ბარველს კი თავდაბლობა დაეწყებია ანგარების მიზნით; და ერის „წმინდათა-წმინდის“ მკრეხელობას არ მორიდებია.

768. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ვნაჲე

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 31 მაისი, № 612, გვ. 2.

ტექსტი შეიცავს ქრონიკალურ ცნობას. მომყავს სრულად:

„როგორც რტიფ. ლისტ.“ გაუგია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ნემეცურიდან უნგრულ ენაზე სთარგმნის აუსტრია-უნგრეთის პარლამენტისა და ბუდაპეშტის სამეცნიერო აკადემიის წევრი ბელ ფონ ვიკარი“.

769. [უავტორო]

[ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 26 ივნისი, № 634, გვ. 1.

ტექსტი, რომელიც შეიცავს განცხადებას, მომყავს სრულად:

„ივნისის 26-ს ხონში, 27-ს ახალსენაკში, 29-ს სამტრედიაში, 30-ს ნაოლაღევში და 1 ივლისს ზუგდიდში აკაკი ფალავა წაკითხავს ლექციას:

„თამარ მეფე და ვეფხისტყაოსანი“.

(თამარ მეფის ეპოქა და ვეფხისტყაოსანი“ როგორც ამ ეპოქის საქართველოს კულტურულ მდგომარეობის გამომხატველი ნაწარმოები)

დაწვრილებით აფიშებში.

770. ფასკუნჯი

ლექცია ხონში

გაზ. სახალხო გაზეთი, 1912, 14 ივლისი, № 649, გვ. 3.

მცირე შენიშვნაში აღნიშნულია, რომ ხონში სტუდენტმა აკაკი ფალავამ წაკითხა ლექცია თემაზე: „თამარ მეფე და ვეფხისტყაოსანი“. ავტორი ზოგად ხაზებში ახასიათებს ლექციას.

ჟურნ. განათლება, 1912, სექტემბერი, VII, გვ. 521—527.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ჩვეულებრივ წარმოდგენილად გვაქვს როგორც ქებათა-ქება მშვენიერებისა, სიყვარულისა, სიხარულისა, ბედნიერებისა, ქირთა ძლევისა. ეს არის ღრმა რწმენის პოემა, მაგრამ „პოეტს მაინც სტანჯავს საწუთროს უხანობა და გარდამავლობა. მგოსანი სრულის სიციოცხლისა ხედავს სიკვდილის ძლიერებას“. ავტორს მოჰყავს ვეფხის-ტყაოსანიდან სათანადოდ შერჩეული ადგილები, რომელთა კითხვაც მას აგონებს ბარათაშვილის მერანის ადგილებს. რუსთაველი ჩივის სოფლის დაუნდობლობას, სიკრულს, მოღალატობას. „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა“-ს სტროფი ავტორს აგონებს ჰამლეტის სიტყვებს: „სხვა რაღა დარჩა? საუკუნე სიწიუმე მხოლოდ“, სოფოკლეს სიტყვებს: „კაცობრიობავ, რაღა ხარ?“

ავტორის შენიშვნით ვეფხისტყაოსნის „საწუთრო“ არ არის ღმერთი; ის არც ერტია, „რომელიც წინდაწინვე გამართავს ადამიანის ცხოვრების გზას“, „ყველაფრის თავი და ბოლო განგებაა“.

ავტორის დასკვნით „სევდა და ნაღველი, რომელიც თან ახლავს ვეფხის ტყაოსანს, სრულებით არაარაობისკენ არ მიგვიწვევს“. რაა ამ განწყობილების წყარო? „სევდა, ნაღველი, სექსისი მალალი კულტურის შედეგია“. ამავე დროს რუსთაველის სიციოცხლე მეტად ტრაგიკული იყო. ის უიმედოდ იყო შევყარებული თამარ მეფეზე. ამასთან ერთად სევდის კილო შესაძლოა შეთვისებული იყოს ვისრამიანიდან, რომელშიაც ავტორს ვეფხისტყაოსნის სევდის გამო-მხატველ სტროფებთან მრავალი პარალელი მოჰყავს, თუმცა მის მიერ დახატული სიყვარული სულ სხვააო.

702. მ. ქ. ყიფიანი

ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა

ჟურნ. განათლება, 1912, სექტემბერი, VII, გვ. 508—516.

ავტორი იხილავს სიტყვა „მორკმული“-ს ეტიმოლოგიას და მართან კამათში აღნიშნავს, რომ მისი გამოკვლევა სრულიად არ საქიროებს სომხურ „hrtwan“ -ის. ეს არაა ჩხვჩხვადობით, რის საბუთად მარს მოჰყავს რუსთაველის ტაეპი: „თქვენ მორკმულნი ჰთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწესა ეპანდით“. ადღეს და, მგონია, რუსთაველის დროსაც, მო-რკ-მულმა ნიშნავდა არა მხოლოდ და მომკვდინებელი იარაღის თანქონისა, არამედ ფიზიკურად, გონებრივად და ზნეობრივად მო-რკ-მულებასა, შეიარაღებას და აღქურვასა“.

703. მ. ქ. ყიფიანი

ბ. იუსტინე აბულაძეს

ჟურნ. განათლება, 1912, ოქტომბერი, VIII, გვ. 639—640.

ავტორი უპასუხებს იუსტინე აბულაძეს მისი წერილის ვეფხისტყაოსნის სიტყვა „მორკმულის“ ეტიმოლოგიის გამო. კამათი გამოწვეული იყო მარის ეტიმოლოგიით, რომელიც უმართებულოდ ჩათვალა ავტორმა და მას დაუპირდაპირი თვისი ახსნა დაკავშირებული არა სომხურ „hrtmanq“-თან, არამედ ქართ. „რკ“ ძირთან. ასევე სიტყვა „გოგამანი“ არის „ზოგად ინდოევროპიულ აზრის მატარებელი (გოგ, gang, geh, ging, gm)—„სიარულისა“ და არა სომხური „gwang“-ისა.

794. გრ. უფშიძე

ქართული ენა და მისი კვლევა პიეზის საქმე

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 5 ივლისი, № 641, გვ.

ავტორი აღნიშნავს ქართული ენის, მისი მახვილისა და აქცენტუაციის შესწავლის საკურობებს და ამბობს, რომ, თუ ამას ყველაფერს შევისწავლით, უფრო განმეორდება ის, რაც ამ რამდენიმე დღის წინად, საჯაროდ, საქვეყნოდ იყო თქმული ერთს ჩვენებურ, ჩენი კაცის რუსულ გაზეთში, რასაკვირველია საარაკო უეცობით და დილეტანტობით, რუსთველის შაირი წმინდა ჰეგზეტრიაო“ (გულისხმობს შიო დავითაშვილს. იხ. № 777).

795. გრ. უფშიძე

ქართულ პროსოდიის გამო (პასუხად ჩემს მოკამათს)

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 25 ივლისი, № 658, გვ. 3.

ავტორი ეკამათება შ. დავითაშვილს ქართული პროსოდიის საკითხებზე და უარყოფს რუსთაველის ლექსის ჰეგზეტრად მიჩნევას, რადგან ის სხვანაირად გაიყოფოდა ტერფებად და თექვსმეტის მაგივრად ბერძნულივით ჩვიდმეტი მარცვლი განჩნდებოდაო. ავტორის საბოლოო დასკვნით, ბერძნულ ჰეგზეტრასა და რუსთაველის ლექსს შორის არაფერია საერთო.

796. გრ. უფშიძე

პროფესორი ალექსანდრე ხოლომონისზე ხასანაშვილი
(ნეკროლოგი)

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 27 ივლისი, № 660, გვ. 3.

ავტორი ა. ხასანაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებისას გაკერით ახსენებს გამოკვლევას: „ვეფხისტყაოსანი გარეშე საქმეთა მოსკოვის არქივის ხელნაწერების მიხედვით“.

797. ა. შანშაშვილი

შოთა

ჟურნ. განათლება, 1912, თებერვალი, II, გვ. 126—138.

სქოლიოში აქვს შენიშვნა: „სიუჟეტი ამ სცენებისა ა. ფურცელაძის ხალხურ „შოთა და მისი ცოლი“-დგან ავიღე“.

ტექსტი წარმოადგენს პიესას, რომლის რამდენიმე სურათის შინაარსია გადმოცემული და მეექვსე სურათის ტექსტი — წთლიანად. პიესა თეთრი ლექსითაა გამართული.

დასაწყისი:

„შინაარსი პირველი სურათისა: შოთა ზის ყვაილოვან ბაღში და „ვეფხისტყაოსანს“ ჭფურცლავს. სხვა და სხვა ოცნება წარიტაცებს. ჰხედავს სანახავს: თითქოს ვიღაც ჰაბუკს თამარ დედოფალთან ერთად შემოახვევია ვრი იფრიისა და ავირგვინებს, როგორც საბელოვან მგოსანს...“

798. კირ. ძ-შვილი

სიტყვა „რიალი“

(პასუხად პატოცეპულ მ. ჯანაშვილს)

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 20 ივლისი, № 654, გვ. 3—4.

ავტორი ეკამათება მ. ჯანაშვილს ვეფხისტყაოსანში ხმარებულ სიტყვა „რიალი“-ს მნიშვნელობაზე და მას იგებს როგორც არეულობას, რომელიც იხმარება იმერეთში და წარმოსდგება ზმნისაგან რევა, არევა, რის საილუსტრაციოდ მოჰყავს შვერლობიდან თუ ცოცხალი მეტყველებიდან სათანადო მაგალითები.

ქართული ლექსიკონი

დ. გ. კარიჭაშვილი—ვეფხისტყაოსანის“ ლექსიკონი

გახ. სახალხო გაზეთი, 1912, 5 იელისი, № 641, გვ. 2—3, ქვედურა.

წერილი წარმოადგენს ერეკლე დოკუმენტალურ რეცენზიას. ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანისათვის დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილ ლექსიკონში ცალკეულ სიტყვებსა და თქმებს, რომელნიც, მისი აზრით, ჯეროვნად არ არიან განმარტებული-ახსნილი. ავტორი აღნიშნავს:

„ვეფხისტყაოსნის შესწავლა-გამოცემა და მისი ლექსიკონის შედგენა მეტად ძნელი, რთული საქმეა და ვიტყვით ეს საქმე დღეს არ ძალუძს ერთს კაცს. ეს შეეძლება მას მაშინ, რადგანაც ქართული ლექსიკოლოგია შეივსება საქართველოს ყოველ კუთხე-კუნძულში დარჩენილი მასალით და აგრეთვე იმ სამედიდროთი, რომელიც დაგვიტოვეს შოთას თუ მის წინა დროის მწერლებმა და მოღვაწეებმა“.

ავტორის შენიშვნით, დ. კარიჭაშვილს შეიდასამდე სიტყვა აუხსნია, 289 თქმა განუმარტავს. ამათგან ავტორი განიხილავს რამდენიმეს; აზავერი, ასაქმარი, ასული, ახე, დავაშავითა, დანასვა, დასტენა, დალი, დგრიალი, ეაგე, ესადრე, ვარდება, კატაბანი, მიერი, მოგდება, მოძწურება, მორება, ვერ მოეყავე აქლემთა, მოხე, მსწრომელი, პაშტა, რიდება, სასურველი, სადაგება, სირა, სოქალი, ტერფი, ტევრი, უი, ფარჩი, ქედ-გორება, ყე, შადი, შეენდება, ხეული, რიალი.

შენიშვნათა მაგალითი:

ასაქმარი—გამშველი, დამშველი, — სულაც არა, „გულსა დანა ასაქმარე, ასაქმე, დაატრიალე“.

ახულ—არის არა ასეული, ასი, არამედ მეტის მეტად აღზევებული.

ახე—არა სწორი, არამედ ახალი.

დგრიალი—ხმანობაა მაგრამ რის და რით?—დგრიალი ცხენთა..

სირა—არის არა ჩიტი არამედ ფილოსოფიური ტერმინი.

1913

800. ი. აბულაძე

კაკაბაძის რეფერატის გამო

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 2 მაისი, № 884, გვ. 3.

წერილს აქვს შენიშვნა, რომ, მიუხედავად თხოვნისა, ს. კაკაბაძემ თავისი რეფერატი არ წარმოადგინა დასაბეჭდად.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის კვლევა-შესწავლის მდგომარეობას და შენიშნავს, რომ „ვახტანგ მეფიდან დაწყებული ბ. კარიჭაშვილამდე ყველამ დიდი დანაშაულობა ჩაიდინეს სრულის ტექსტის გამოცემამდე თავიანთი რედაქციების გავრცელებით“, ასეთი მუშაობისათვის კი თავიანთი მდგომარეობის მიხედვით მზად არ იყვნენ.

ავტორის აზრით, კარგი იყო ჯერ დაბეჭდილიყო სრული ტექსტი ისე, როგორც ის ხელნაწერებშია, და დართოდა. ვარიანტები. ავტორი კაკაბაძის მოსაზრებებში ხედავს ზოგიერთ სარწმუნოს. ვეფხისტყაოსანი მართლაც კლასიკურ ძეგლებში ყველაზე გვიანდელი თხზულებაა, მაგრამ აქვს ნაძალადევი დებულებანიც. მაგ., მოსაზრება სპარსული სუფიზმის გავლენის შესახებ ვეფხისტყაოსანზე, რამდენადაც სუფიზმი სავსეა ღრმა მისტიციზმით, რაც ვეფხისტყაოსანს არ ახასიათებს.

პასუხის ნაცვლად ჯორჯიკიას პოლემიკის გამო

გაზ. იმერეთი, ქუთაისი, 1913, 10 აგვისტო, № 120, გვ. 2—4, ჟედურა.

13 აგვისტო, № 122, გვ. 2—3, ჟედურა.

ავტორი მოკლედ ახასიათებს თავის შეხედულებას ეფეხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე სხვადასხვა შრომის მიხედვით მარის თეორიის გამოქართულ პრესაში ატეხილ პოლემიკასთან დაკავშირებით, და მოჰყავს მარის მოსაზრებანი.

ავტორი იყენებს საკმაოდ ვრცელ ლიტერატურას ეფეხისტყაოსნის საკითხების მიმოხილვაში, ეხება პოემის ცალკეულ წაკითხვებსა და სიტყვათა მნიშვნელობებს და ადარებს ეფეხისტყაოსნის ცალკეულ ეპიზოდებს აღმოსავლური მწერლობის თხზულებებს (№ 120). ავტორი შენიშნავს, რომ „თუმცა ტარიელისა და აეთანდილის ამბავი წარმოადგენდა სპარსულიდან ლიტერატურის საშუალებით შემოსულ ამბავს, მაგრამ იგი დროთა განმავლობაში უნდა შეცვლილიყო თვით ქართულ ნიადაგზე“ (№ 122). ამასთან დაკავშირებით ავტორი ზოგი საკითხის გაგებაში ეკამათება შარს.

დასასრულს, ავტორი შენიშვნებს აქეთებს იპ. ვართაგაევასა და ნიკ. ჯორჯიკიას მიერ ეფეხისტყაოსნის ზოგ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ ცალკეულ მოსაზრებათა გამო.

შოთა რუსთაველი

ფრნ. კლდე, 1913, 14 აპრილი, № 16, გვ. 10—13.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის პრობლემას და აღნიშნავს მის შესახებ ცნობების უქონლობას. ავტორის აზრით, ეფეხისტყაოსნის შესწავლა საჭიროა ორნაირად—ისტორიულად და ლიტერატურულად. უპირველესი საქმე კი თვით პოემის ტექსტის შესწავლაა. იწონებს ალ. სარაჯიშვილის მუშაობას ეფეხისტყაოსანში ყალბი სტროფების მონახვისას. საექვოდ მიაჩნია დ. კარიკაშვილის მიერ ეფეხისტყაოსნის შესავლის რუსთველურობის უარყოფის ცდა.

ავტორის აზრით, ეფეხისტყაოსანი ყოველგვარი გარემოების მიუხედავად შექმნილია ქართველი ერის ძლიერების ხანაში. ის თამარის ეპოქის თხზულებაა, რასაც ტრადიციული გადმოცემანი უჭერენ მხარს: „მანში მეფობს მეთორმეტე საუკუნის ძლიერი სული“. მიუხედავად ამისა, ავტორს „არა ჰგონია, რომ თინათინის სახით პოემაში თამარი იყო გამოყვანილი“. უცხო მოყმის ძებნის მოტივში ავტორი ხედავს პოემის ბრწყინვალედ მოფიქრებულ კვანძს. მისი შენიშვნით, „ტარიელი სულია სიერტეში მიმობნეული“. მთელი ამ კვანძის გასახანელად საჭიროა იყო დიდი ავტორიტეტის ქალი, როგორც თინათინია, მაგრამ ის მაინც თამარი არ არის. ეფეხისტყაოსნის ორიგინალობა არ გულისხმობს თინათინ—თამარს შორის უთუოდ მსგავსების დადგენას.

დასასრულს, ავტორის დასკვნით, მტკიცე გარანტია იმისა, რომ ეფეხისტყაოსანი ეროვნული, ქართული ნაწარმოებია, ისიცაა, რომ ის ერთადერთია და არ არსებობს მისი სხვა დედანი ან ასლი სხვა ენაზე.

803. რ. გ. [რევან გაბაშვილი]

ს. კაკაბაძის სახსოვარი

ს. კაკაბაძის ლექციის შესახებ—როდის სცხოვრობდა შ. რუსთაველი

ფურნ. კლდე, 1913, 24 მარტი, № 13, გვ. 15.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ს. კაკაბაძის მიერ 17 მარტს ქალთა უმაღლეს კურსებზე წაკითხული ლექციის შესახებ თემაზე: „როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი“. ავტორი აკრიტიკებს მომხსენებლის დებულებას რუსთაველის XV საუკუნის პროტად მიჩნევისას და მიუთითებს მის მიერ რუსულად თარგმნილი ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების მცდარობას. ს. კაკაბაძის თეორია ვეფხისტყაოსნის ძირითად საკითხებზე ავტორს ეჩვენება. „საგანგებოდ შეხანხლილ იუმორისტულ ნაწარმოებად“, რომელიც შეიცავს შინაგან წინააღმდეგობებს, ხოლო მთლიანად ისტორიულ-ლიტერატურულ-საკითხების რკვევისას ემყარება უნიადაგო განცხადებებს—„ჩემი ფიქრით“. „ჩემი აზრით“.

დასასრულს, ავტორი დასძენს: „ჩვენი გადაგვარების დროის ჯოჯოხეთს. ესეთი დეგენერაციის მუგუზალი და აკლდა და ისიც იქ შესჩხირეს“.

804. რაე [რევან გაბაშვილი]

ქართული კულტურის მოყვარული საზოგადოების კრებაზე

(პ. ინგოროყვას რეფერატი)

ფურნ. კლდე, 1913, 14 აპრილი, № 16, გვ. 16.

პ. ინგოროყვას მიერ 5 აპრილს წაკითხული რეფერატის—„როდის სცხოვრობდა შოთა რუსთაველი“—შესახებ რეცენზიაში ავტორი აღნიშნავს რეფერატის პირველი ნაწილის პოლემიკურ ხასიათს ს. კაკაბაძის უდიერ გამოსვლასთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსნის საკითხებზე.

ავტორის აზრით, „ახალგაზრდა რეფერენტს ნამდვილი მეცნიერული კვლევის მეთოდები შეუთვისებია და ისტორიულ პერსპექტივასთან ერთად უტყუარი ისტორიული საბუთებიც მოჰყავდა თავის დებულებათა დასამტკიცებლად“. ავტორი მოკლედ გადმოცემს რეფერატში წამოყენებულ მთავარ დებულებებს და აღნიშნავს, რომ კამათში გამოსულთ არავის დაურღვევია მისი დებულებანი. დ. კარიჭაშვილის განცხადებაზე, რომ ვეფხისტყაოსნის შესავალი სტროფები რუსთაველს არ ეკუთვნის. პ. ინგოროყვას დამაჯერებლად უპასუხნია, რომ ტექსტი და შესავალი პოემისა ერთისა და იმავე ავტორისაა...

805. მესხი კ. გვარამაძე

ახალციხე

ფურნ. განათლება, 1913, ივნისი, № VI, გვ. 461—465.

ავტორი ახალციხელთა ჩაცმულობის აღწერაში შენიშნავს, რომ ისინი „ტანზე ზემოდან იხსმენ აედარსა და სიცივეში საწვიმარსა, როგორც შოთა რუსთაველს ასხია, სურათზე“ (გვ. 465).

806. გილი

„ხამეციერო“ მოხსენება

გან. სახალხო განათობა, 1913, 19 მარტი, № 849, გვ. 2—3.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ს. კაკაბაძის მიერ ა/წ. 17 მარტს წაკითხული მოხსენების შესახებ. თემაზე—შოთა რუსთაველის ცხოვრების დრო...

რეცენზიის მიხედვით მომხსენებელი ცდილა დაემტკიცებია, თითქოს შო-
თა რუსთაველი მეთხოველად საუკუნის მცხოვრები პოეტია და ქებას ასხამს
. არა თამარ მეფეს, არამედ აფხაზეთის მეფის ქალს თამარს და ვეფხისტყაო-
მანი თარგმნილია სპარსული ენიდან.

რეცენზენტი კრიტიკულად იხილავს ავტორის დებულებებს და მომხსე-
ნებელს უწოდებს ფუქსიატრ მებისტორიეს, რომლის გამოსვლა გადაქარბებით
პრეტენზიული იყო და შეიცავდა უსაფუძვლო განცხადებებს.

307. [ქ. დოდაშვილი]

როგორ კითხულობდნენ უწინ „ვეფხისტყაოსანს“
(ლექცია ქ. ი. დოდაშვილისა)

ვახ. თემი, 1913, 4 ნომბერი, № 148, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ რომ ქ. ი. დოდაშვილი ზუბალაშვი-
ლის სახალხო სახლში 10 ნომბერს წაიკითხავს ლექციას. გამოთქმულია იმე-
დღი, რომ ქართული ინტელიგენცია და საზოგადოდ ქართული საზოგადოება
ჟურლის მოდგენით მოისმენს მას. იქვე მოყვანილია ლექციის შინაარსი:

„განყოფილება პირველი: სიმღერა-გალობა, მუსიკა და ცეკვა ძველ საქართველოში. სიმღე-
რა-გალობა მფლოდიური და რეჰიტორული. კერპთ-თავანისმცემლობას ხანა. ცეკვა და მისი
მრავალგვარობა, პლასტიკა. მოგზაური მოშაირე მუსტიკურიები და მათი ყოფაცხოვრება. შაირი
არის უხსოვარ დროიდგან შემოღებული წყობილება ლექსისა. იგი ერთ ერთი სახეა ტონურ
ლექსწყობისა. ქართული ლექსწყობა. განყოფილება მეორე: სახალხო პოეზია, სასულიერო
მწერლობა. მოგზაური მუსტიკურე ძანაკორული. დაარსება საერო ხელოვნურ პოეზიისა მე-
თერთმეტე საუკუნის დასაწყისში. დავით აღმაშენებლის ხანა. სასახლის მოშაირეები შეთქვილი,
ბატონიშვილი დიმიტრი, თამარ მეფის ხანა. ჩაბრუნა, რუსთაველი და სხვები. ვინ იყო შოთა
რუსთაველი? რა გვარი წარმოადგენა უნდა ეპიკონიოთ მასზედ? როგორა კითხულობდნენ „ვეფ-
ხისტყაოსანს“ მეთორმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში?“

308. დავით ერისთავი

ვახტანგისანი

სახუმარო პოემა

(დავით ივანეს ძე ერისთავის მიერ დაწერილი რუსთველისებურად)

ჭურნ. საქართველო, 1913, 30 დეკემბერი, № 11, გვ. 11—12.

ტექსტს აქვს შენიშვნა: „ეს სახუმარო პოემა დაწერილია ამ სამოცოც
წლის წინედ, 1868 წელს დავით ივანეს ძე (ზიპუიჩის) ერისთავის მიერ და აღ-
მოჩნდა თავ. ნიკოლოზ ჭავჭავაძის ქალაქდებში, რომელნიც ეხლა წერ-
საზოგ. ინახება“.

ტექსტი შეიცავს 20 სტროფს.

დასაწყისი:

„ზე ღმერთო ერთო შენ მომეც გული და ხელოვნება,
შენ მომეც ძალი, შენვენა, შენგნით მაქვს მიყვე გონება,
სამისა გვირის აღწერა, პვირთ ერთმანეთის მიონება,
ვახტანგს, პოსრედნიკს, ანდრიას, ტურფადცა უნდათ ხსენება“.

დასასრული:

„გო დაესდეთ ვახტანგისათვის ყველასგან არის ცნობილი,
აწ დაბადებოთ მის მსგავსი არეინ ყოფილა შობილი,
დავექ დავითმა გაულექსე, მისგან გულ დახვარ სობილი,
აქამდინ ამბიო ნათქვამი, აწ ეხლა ლექსად წყობილი“.

809. პორფირე ერისთავი და სხვები

[შოთა რუსთაველის ძეგლის შესახებ]

ვახ. თემი, 1913, 8 აპრილი, № 118, გვ. 2.

ავტორთა სახით ქართველთა ჯგუფი ეგებება რუსთაველისათვის ძეგლის აგების განზრახვას, მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან შერჩეული ტაეპი და მოუწოდებს საზოგადოებას განზრახული საქმის შესრულებას.

810. А. Н. Веселовский

Психологический параллелизм и его формы в отражениях поэтического стиля

წიგნი: Собрание сочинений Александра Николаевича Веселовского С. Петербург, 1913, том первый, Поэтика, გვ. 130—225.

ავტორი პოეტურ მეტაფორაზე მსჯელობისას ყურადღებას აქცევს რუსთაველის პოეტიკის ზოგიერთ საკითხს. პოეტური სიმბოლოს პოეტურ მეტაფორად გარდაქმნის საკითხთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს:

„У Шота Руставели Автандил спешит на свидание к розе (Тинатине), он плачет о ней: Кристаллы (глаза) росили о розе; завявшая роза выдыхающая между терний — Тернэль“ (გვ. 202).

შენიშვნაში ხალხური მთქმელებისა და სიმღერის შესახებ (გვ. 211—212) იმოწმებს ა. ხახანაშვილის შრომას „Грузинский поэт XII в. Шота Руставели (ЖМНП, 1895, XII, გვ. 511—512) და მოჰყავს ამონაწერი:

«Песни о Тернеле... могли обращаться в зародке до литературной обработки гением Руставели. Эти песни, ныне сопровождающиеся в прозаическим пересказом для сцепления отдельных моментов из жизни героев, взятых утраченного из памяти народа рифмованного повествования, могли быть устно замесены в Грузию с Востока, подобно другим странствующим сюжетам».

ავტორი ხახანაშვილის შეხედულებებზე დაყრდნობით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსთაველს მეტაფორის გამოყენების ხერხები ხალხურიდან აქვს ნასესხები, რის გამოც მათში გვეხვებით აღმოსავლურ პოეზიაში გავრცელებული მოტივები. მისი დასკვნით, რუსთაველის მეტაფორის ხასიათი განისაზღვრება სხვადასხვა ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში არსებული მსგავსი მეტაფორებით, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი ბუნების მოვლენებში ეძიებს გმირთა სულიერი მოძრაობის მსგავს გამოხატულებას, იძლევა პარალელიზმებს. ეს პოეტური მეტაფორები, მისი აზრით, პოეზიაში გვევლინება პოეტური ენის სტილისტიკური განვითარების შედეგად. მისი დაკვირვებით, ვეფხისტყაოსანში ასეთ მეტაფორას წარმოადგენს მაგ., შეყვარებულთა მიმსგავსება დაჰქენარ ვარდთან, ბაასი ბუნების მოვლენებთან და მათთან გასულიერებული ურთიერთობა, რაც თავისთავად წიგნურ პოეზიას ხალხურიდან აქვს აღებული (გვ. 201—202).

811. თეთრი

თამარ მეფე და მგოსანი რუსთველი
ქართული ფანტაზია

ვახ. იმერეთი, 1913, 14 აგვისტო, № 123, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ სათაურით გაზეთ „ABC“-ის კვირის ნომერში დაბეჭდილა პატარა წერილი შემდეგი შენიშვნით:

ქართულმა შერალმა, ჩვენი უნივერსიტეტის პრივაც დოცენტმა, ბ. ლეო კერესელიძემ ჩვენს გაზეთს „Asic“-ს დაუწერა ეს საუცხოო ფანტაზია თამარ მეფესა და რუსთველზე საქართველოში მათი 700 წლის სადღესასწაულო საშადაისის გამო“.

ავტორს მოჰყავს ფანტაზიის მოკლე შინაარსი და აღნიშნავს, რომ მისმა ავტორმა ლეო კერესელიძემ მრავალი პირისაგან მიიღო მოწონების წერილი. მათ შორის შვეიცარიის პოეტი ქალის ეირისისაგან. ეს ფანტაზია კერესელიძეს უძღვნიან მოსკოველი მილიონერის ცოლის ტერეზია უშკოვასათვის, რომელსაც ძალიან ჰყვარებია საქართველო, თამარ მეფეს და რუსთაველს აღმერთებს, ეფთხისტყაოსანს ინგლისურად კითხულობს და სურს ქართული ენის შესწავლა, რომ ორიგინალის წაკითხვით დატკბეს.

• 812. პ. იაშვილი

სოლოგუბის ხალაოზე და სოლოგუბთან

გაზ. კოლხი და, კუთხისი, 1913, 10 აპრილი, № 30, გვ. 2.

ავტორს მოკლედ მოჰყავს თ. სოლოგუბის მიერ წაკითხული ლექციის შინაარსი თემაზე: „ხელოვნება ახალი დროისა“ და დასასრულ სოლოგუბის აზრი საქართველოსა და ქართულ მწერლობაზე, რომელშიაც აღუნიშნავს, რომ „მე გამიგონია თქვენი საუკეთესო პოეტების ძვირფასი სახელები, ვიცი, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საოცარი კმნილება არის, მაგრამ ვაი, რომ არ შემოდია მთლიანი შთაბეჭდილება ვიქონიო ყველა ამაზე, რადგან არ ვიცი ენა“.

• 813. გ. მინაიშვილი

ბ.ნ. ხ. კაკაბაძის სამი ლექციის გამო

(ლექცია მორე — თამარ მეფე)

გაზ. ჩვენი დროება, 1913, 23 იანვარი, № 22, გვ. 2.

ავტორი აკრიტიკებს ს. კაკაბაძის ლექციებს საქართველოს ისტორიის საკითხებზე და კერძოდ ჩერდება მისი იმ შეხედულების კრიტიკაზე, რომ შოთა რუსთაველი XIV საუკუნის პოეტი იყო და მოჰყავს სათანადო ამონაწერი ლექციიდან: «Сам гениальный Шота Руставели автор «Нарсовой кожи» жил вовсе не при царице Тамаре а гораздо позднее, во второй половине XIV столетия».

• 814. სარგის კაკაბაძე

ბატონ აკაკის წერილის გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, № 862, 3 აპრილი, გვ. 3.

წერილი გამოწვეულია გაზეთ „თემის“ 1913 წ. № 17-ში დაბეჭდილი აკაკის შენიშვნით სარგის კაკაბაძის მიერ ვეფხისტყაოსნის შესახებ წაკითხული ლექციის გამო. ავტორი ზოდის უხდის აკაკის, თუ მისმა მოხსენებამ ქართულ საზოგადოებაში უნებლიე მცდარი დასკვნებით უმკაცროდ გაამოიწვია, რაც მეცნიერული ინტერესით იყო ნაკარნახევი. ავტორი მზად არის წაკითხოს საჯარო მოხსენება და იპაექროს ამ საკითხებზე, ამავე დროს აცხადებს, რომ ის ყველასთან არ იკამათებს ამ საკითხზე (მხედველობაში

აქვს პ. ინგოროყვას მოხსენება, რომლის მოსმენა დანიშნული ყოფილა 5 აპრილს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ცხოვრების დროის შესახებ).

წერილი ბოლოში ერთვის რედაქციის შენიშვნა:

„რადგანაც ბ-ნ კაკაბაძის შესახებ წერილები ჩვენს გაზეთშია დაიბეჭდა, საჭიროდ მიგვაჩნია შეიტანათ შემდეგი განმარტება: ჩვენ ვუსაყვედურებთ ბ-ნ კაკაბაძეს არა იმას, რომ მისი რეფერატი შეურაცყოფს ჩვენს ეროვნულ თავმოყვარეობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ძალიან სუსტად ასაბუთებდა თავის აზრს და ასეთის სიღრმხილით არ ეკიდებოდა თავის საგანს, როგორც ამას ნამდვილი მეცნიერული შრომა მოითხოვს. ასეთის კატეგორიულის მტკიცებისათვის საჭიროა სათანადო უცილებელი ფაქტები“.

815. სარგის კაკაბაძე

[განცხადება ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე]

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 24 ნოემბერი, № 1051 გვ. 6.

ტექსტი მომყავს სრულად:

„დაიწყო ბეჭედა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა ნასასყიდად ახალი გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“ სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.

ტექსტი იმგვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში, თოთხმეტ რედაქციის გავლის შემდეგ, 1,500 ტაეოვანა „ვეფხისტყაოსანი“ გარდაიქცა 2,400 ტაეოვანად. თოთხმეტი რედაქცია სათითაოდ იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხისტყაოსანი“ და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ეინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი და რამოდენიმე „ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყუათა ლექსიკონი. წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგს ქალღმერთს და ელირება 3 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ელარება 2 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ნაღდად არა ნაკლებ ხუთი ცალია, მას თითო წიგნი დაეთმობა 1 მან. 75 კაპ. წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემლთან. ტფილისში ავენტობა მინდობილი აქვს სპირიტონ ფიცხელაურს, ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით:

Тифлис, Выходит Женские Курсы Сергеев Несторовичу Какабадзе 1913“.

816. სარგის კაკაბაძე

წერილი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

წიგნში: ვეფხისტყაოსანი ნამდვილი და ჩანართი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1913, 68+251 გვ.

ავტორი მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს, აჯგუფებს მათ სტროფული შედგენილობის მიხედვით, არჩევს მათ შედგენილობასა და ურთიერთ მიმართებას, იძლევა ძირითადი ხელნაწერების აღწერილობას, ეხება ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღის, მისი ავტორისა და პოემის ორიგინალობის საკითხებს ძველ ქართულ მწერლობაში შემონახული მასალების მიხედვით და არსებული კვლევებიდან ნაწილობრივი გათვალისწინებით.

ვეფხისტყაოსნის ავტორად ს. კაკაბაძეს მიაჩნია ქართლის ცხოვრებით ცნობილი 1236—1262 წლების მოღვაწე სარგის თმოგველი, რომელსაც თხზულება თითქოს უთარგმნია სპარსულიდან და შემდეგ მასვე გაუღეკაავს პოემის წინა ნაწილი ნესტან-დარეჯანის დაკარგვამდე, პოემის ბოლო ნაწილი კი გაუღეკაავს XV საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჰერეთელ შოთა რუსთაველს. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღის XIV—XV საუკუნეებში გადმოტანის საბუთად ს. კაკაბაძეს ის მიაჩნია, რომ პოემაში მთელ რიგ ისეთ ლექსიკურ

მოკლენებს ვხვდებით, რომელთაც XII საუკუნის ქართულში ადგილი არ ჰქონია. ასეთ სიტყვებზე მას მიაჩნია მაგ., სკამი, მოლარე, ხანი. სკამის მაგიერ თამარის ეპოქაში გვაქვს სელი, ბალიში და საყდარი, მოლარისა—მეჭურჭლე.

ვეფხისტყაოსნის ტექსტში მოხსენიებული თამარი ავტორს თამარ მეფის მაგიერ მიაჩნია აფხაზთა მეფის კონსტანტინეს ქალიშვილად, რონელიც XIV საუკუნეში მცხოვრები გიორგი მცირის ცოლი იყო.

817. ხარგის კაკაბაძე

ქვანი ღავით მეფისა ღავით მწირის მიერ

ტფილისი, 1913, IV + 30 + VI გვ.

ავტორი ქართული კლასიკური მწერლობის ცნობილი თხზულების „აბდულუმესის“ პრობლემატურ ავტორობის საკითხზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ „ტრადიციული წარმოდგენით ეს ნაწარმოები არის თამარ მეფის დროინდელი შესხმა და უნდა წარმოადგენდეს თვით თამარ მეფისა და მისი მეუღლის ქებას. ამ ზრის განმტკიცებას ხელი შეუწყო ვეფხისტყაოსნის ბოლოს მოთავსებულმა ცნობამ: „აბდულუმესია (უქია) შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“ (გვ. 1).

ავტორის შემდგომი მტკიცებით ვეფხისტყაოსნის ამ ცნობას გამართლება არა აქვს, რამდენადაც აქ თითქოს შექმნილია არა ღავით სოსლანი ან ღავით აღმაშენებელი, არამედ ღავით გიორგი ლაშას ძე (გვ. III), თვით ქება კი დაწერილია 1268—1270 წლებში (გვ. IV).

818. ღავით კარაკაშვილი

ვეფხისტყაოსნის შედგენილობა

უფრ. განათლება, 1913, ივნისი, VI, გვ. 412—424.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტუალური შედგენილობის საკითხს. მისი პირვანდელი სხეულის განსაზღვრის მიზნით, როგორც ის რუსთაველის ხელიდან უნდა გამოსულიყო.

ავტორი ავითარებს და უფრო დასრულებულსა და დასაბუთებულ ფორმას ძიებს მის მიერ აღრევე დასმულ საკითხს ვეფხისტყაოსანში ყალბი სტროფებისა და ეპიზოდების არსებობის შესახებ (ვეფხისტყაოსნის 1903 წ. გამოცემის წინასიტყვაობა).

დასაწყისში ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა დამზადების პირობებსა და ტრადიციებს ძველ საქართველოში, პოემის გადაწერის ტექნიკას და აღნიშნავს, რომ ტექსტი ხშირად იცვლებოდა და ირყენებოდა, რაც გამოწვეული იყო სხვადასხვა მწიგნობართა სურვილით, შეგვხვდულიყო თითქოს პოემაში არსებული ხარვეზები ამბებს შორის, ურომლისობაც მათი შეხედულებით ხელს უშლიდა პოემის მთლიანობას. ავტორი მოკლედ განსაზღვრავს მოღწეულ ხელნაწერთა ხასიათს და სვამს საკითხის იმის შესახებ, თუ როგორი იყო ის დედანი, რომელიც ვახტანგმა დააბეჭდინა 1712 წელს, და შეიტანა თუ არა პოემის ტექსტში რაიმე ცვლილებები? სად თავდება რომანი?

ავტორი ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის ანალიზით, შედარებით პოემის შინაარსთან, იმ დასკვნამდე მიდის, რომ პროლოგ-ეპილოგს ვეფხისტყაოსანთან არავითარი კავშირი არა აქვს, მათ შორის წინააღმდეგობაა-

მათი სტილი და ენა არ შეეფერება ძირითადი ტექსტის ენას და საერთო. უაზრობა ახასიათებს. პროლოგში გატარებული აზრები სიყვარულისა და პოეზიის შესახებ, მისი აზრით, დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან თვით პოემის მხატვრულ კონსტრუქციას და მსოფლმხედველობას, რის საფუძველზედაც ისინი ავტორს რუსთაველის ქმნილებად არ მიაჩნია. ეს სტროფები, ავტორის აზრით, „შედგენილნი არიან ნაწილ-ნაწილად სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირთაგან და უსისტემობა და ერთიანი აზრის უქონლობა ახასიათებთ“ (გვ. 422).

ჩანამატი სტროფების არა თანაზომიერი ასეთი ხასიათის გათვალისწინებით ავტორი ასკვნის, რომ სწორედ ამიტომ არიან ისინი სხვადასხვა ხელნაწერში მეტნაკლები რაოდენობით, შედგენილობითა და არეულად მოცემული.

პროლოგის ყალბად გამოცხადება ავტორის იმ საერთო შეხედულებიდან გამომდინარეობს, რომ ვეფხისტყაოსნის პირვანდელი სხეული ვახტანგის გამოცემის მიხედვითაც უკვე შერყენილია ჩანართებით.

ამრიგად ხელნაწერებში და თვით ვახტანგის გამოცემაში, რომელშიც ყველაზე კარგადაა შენახული პოემის პირვანდელი სხეული, ტექსტი უკვე შერყენილია ჩანართებით. ეს ჩანართები ზოგჯერ ეპიზოდური ხასიათისაა. ასეთ ჩანართებს წარმოადგენს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთს დაბრუნება, ხატაელთა განდევნა, ტარიელის გამეფება, პოემის მთავარ გმირთა სიკვდილის აღწერილობანი, ჰათი ანდერძები, რომელნიც თავისთავად შემდეგ ასეთსავე ჩანატება-შესწორებებს განიცდიდნენ. ამ დამატებათა ანალიზით ავტორი საზღვრავს ჩანამატი სტროფების რაოდენობას და ადგენს მათი ჩანატების ქრონოლოგიას.

ვეფხისტყაოსანში ის ამჩნევს შეიდი მწიგნობრის ჩანამატს.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი, როგორც რომანი, უნდა თავდებოდეს ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის შეუღლებით და მათი სამშობლოში დაბრუნებით.

819. დ. კახრაძე

რუსთველის ძეგლის გარშემო

ურბნ. კლ დვ, 1913, 24 მარტი, № 13, გვ. 1—3.

ავტორი აღნიშნავს, რომ გავს. „თემში“ აღძრულმა საკითხმა რუსთაველის ძეგლის დადგმის შესახებ გამომხაურება პოვა ქართულ-რუსულ-სომხურ პრესაში. ამ საკითხს თავისი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მესამოცე-მეოთხმოცე წლების მოღვაწენი ზრუნავდნენ ამის შესახებ: გრ. ორბელიანს და მელიქი-შვილს მიუმართავთ ევრონცივისათვის ნებართვის ასაღებად. ნებართვა აღუღიათ, კომიტეტიც შემდგარა, ფულიც შეუგროვებიათ, მაგრამ ევრონცივის გადაყვანამ ეს საქმე დაივიწყებას მისცა.

ვეფხისტყაოსნის გამომცემელს ქართველიშვილს სურდა რუსთაველისთვის ძეგლის აგება, შედგა კომისია ი. კაკევაძის, დ. ბაქრაძის, ივ. მაჩაბლის შეზადგენლობით, მაგრამ ეს საქმე არ განხორციელდა, რადგან მთავრობას ნება არ მიუცია იმ მოტივით, რომ ყოველ მოღვაწეს ძეგლი იქ უნდა დადგმოდა, სადაც ის დაიბადა.

ავტორი ეკამათება ფრონელს, რომელიც წინადადებას იძლეოდა რუსთაველს ძეგლი დადგმოდა რუსთავეში (ურბნ. „მოაზნე“, 1902, № 3, გვ. 21--49). დასასრულს, ავტორი იხედს განჯ.თქვანს, რომ ეს ინიციატივა ახლა მაინც არ ღარჩება უკმ ლაპარაკად.

820. ლ. კასრაძე

ღია წერილი ბ-ნ ს. კაკაბაძეს

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 4 აპრილი, № 863, გვ. 3.

ავტორი ს. კაკაბაძის საყურადღებოდ აქვეყნებს 5 აპრილისათვის დანიშნული პ. ინგოროყვას მოხსენების თეზისებს, ვეფხისტყაოსნის ავტორის შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ, რომელზედაც ის, თავისი განცხადებით, მისწლას არ აპირებდა. თეზისები შეიცაეს ორ მთავარ დებულებას: მომხსენებელს ყოვლად უნიადავოდ მიაჩნია ს. კაკაბაძის აზრი იმის შესახებ, თითქოს შოთა რუსთაველი XV საუკუნის პოეტია, ხოლო ვეფხისტყაოსანი თანარ მეფის დროის თხზულება, რაც მტკიცდება მისი შინაარსის და ისტორიული რეალიების შესწავლით. ვეფხისტყაოსანი დაწერილი უნდა იყოს 1180—1192 წლებს შორის.

821. პეტრე მირიანაშვილი

შინაური მიმოსილვა

სალაპარაკო

ფურნ. განათლება, 1913, აპრილი, IV, გვ. 297—305.

ავტორი ეკამათება ს. კაკაბაძეს, რომელმაც წამოაყენა მოსაზრება, თითქოს ვეფხისტყაოსანი შექმნილია არა XII, არამედ XV საუკუნეში.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა მოტივს და ასკვნის, რომ თვით ვეფხისტყაოსნის შინაარსისა და ტექსტის ფილოლოგიურ-ლინგვისტური შესწავლის გარეშე სხვა ყოველივე კვლევა-ძიება „სხოლასტიკის იქით ვერ წავა“ (გვ. 303).

822. პეტრე მირიანაშვილი

რუსთავისა დაბისა თუ რუსთველისა დაბისა?

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 23 აპრილი, № 876, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტაეპის „მე რუსთავისა დაბისა“ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ პოემის ავტორი თავის თავს უწოდებს რუსთველს, რის გამოც არ შეიძლება წაკითხვა „რუსთაველი“ ნაცვლად „რუსთველი“-სა. მეორე მხრივ, ზოგ ხელნაწერში ეს ადგილი იკითხება „მე რუსთველისა დაბისა“, რაც იმას ნიშნავს, რომ „დაბისა“ მიღებულია მისი მცდარი წაკითხვით. ავტორის აზრით, რითმის საჭიროებაც აქ აუცილებელს ზღის იყოს „დაბისა“, რაც, მისი დაკვირვებით, ჩვენებური თათრების მეტყველებაში ნიშნავს სახლს, ოთახს, გომს და ამ შემთხვევაში უნდა ნიშნავდეს გვარისმილობასო.

ეს სიტყვა „დამი“ ჩვენში აღრევე უნდა იყოს შემოსული მულალთა შემოსევამდე.

823. პეტრე მირიანაშვილი

ქ-აეს როლი ქართული ზმნის უღვლილების დროს

ფურნ. განათლება, 1913, მაისი, № V, გვ. 387—389.

ავტორი ქართული კლასიკური მწერლობის ძეგლებში სახელნაცვალ ძირებში გვ, მ-ს ხმარების ნიმუშად იმოწმებს ვეფხისტყაოსნის ადგილებს (გვ. 389).

მ24. პეტრე შირიანაშვილი

ღროთა მიმღევარობა ქართულ ენაში

ფურც. განათლება, 1913, № VI, ივნისი, გვ. 458—461.

ავტორი ღროთა მიხედვით ზმნათა მოძრაობის რიტმის განხილვისას შის თავისებურებათა ასახსნელად. საილუსტრაციო მასალად იყენებს ვეფხის-ტყაოსნის ცალკეულ ადგილებს.

მ25. ილია ნაკაშიძე

შოთა რუსთველის ფიქრები

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 12 დეკემბერი, № 1066, გვ. 3.

ავტორი აყენებს ვეფხისტყაოსნის აფორიზმების ღრმად გაგების საკითხს, მოჰყავს აფორიზმი „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუბლომელი“, გან-შარტავს დოკუმენტალურად და ცდილობს ახსნას, თუ რას გულისხმობდა რუსთაველი, როცა თავის აფორიზმს წერდა. დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედება ღრმა ფიქრებს იწვევს, მისი პოემის მომხიბ-ლავი შინაარსის გარეშეც თავისი ცალკეული აფორიზმებით.

მ26. აკაკი შაშავაძე

ბარათები ხელოვნებაზე. ქვესათური: ქართველ ხელოვანის ტრაგედია

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 8 ნოემბერი, № 1038, გვ. 2—3, ქველურა.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ფანტაზიის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ცხოვრების ნათელი ფერებით შეგრძნებისა, რუსთაველის შემოქმე-დებაში შეინიშნება „სევდიანი კილო, ტონი ნაღვლიანი გამოთქმისა“, რის წყაროსაც პოეტის იმ იდეალების განუხორციელებლობაში ხედავს, რომელნიც დღევანდელი კაცობრიობისათვისაც საოცნებო იდეალებს წარმოადგენენ. შო-თამ არარსებულ რეალობას მხატვრული სინამდვილის სახე მისცა.

ავტორი ახასიათებს მხატვრული სინამდვილისა და ცხოვრების შეუთან-ხმებლობის ტრაგედიას თანამედროვე ყოფაში და შენიშნავს, რომ შემოქმე-დი დღეს ორგანულად ვერ უკავშირდება ცხოვრებას, რადგან მასში ვერ უპო-ვია მხატვრული სინამდვილისათვის შესაფერისი მასალა.

მ27. რ.

ინგოროყვას მოხსენება

გახ. თემი, 1913, 8 აპრილი, № 118, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს სარეცენზიო შენიშვნებს პავლე ინგოროყვას მოხსე-ნებაზე: „როლის“ ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“. მოხსენებელი შოთა რუს-თაველის ცხოვრების ღროს თამარ მეფის ეპოქას უკავშირებს. ამ დებულების დასაბუთებაში პ. ინგოროყვას გაუკრიტიკებია სარგის კაკაბაძის მოსაზრებანი. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი უნდა დაწერილიყო 1189—1192 წლებში.

მ28. რ.

ს. კაკაბაძის მოხსენება და საჯარო კამათი

გახ. თემი, 1913, 29 აპრილი, № 121, გვ. 2—3.

რეცენზიაში აღნიშნულია რომ 23 აპრილს ს. კაკაბაძემ წაიკითხა მოხ-სენება „როლის ცხოვრობდა შოთა რუსთაველი“. მოხსენების მთავარი თეზის

მიხედვით რუსთაველი ცხოვრობდა მეთოთხმეტე საუკუნის უკანასკნელ და მე-
თხუთმეტე საუკუნის პირველ წლებში. ვეფხისტყაოსანი დაწერილია არა უად-
რეს 1404 წლისა და არა უგვიანეს 1412 წლისა, ავტორს მოკლედ მოჰყავს-
ს. კაკაბაძის დასაბუთება, რომლის მიხედვით ვეფხისტყაოსანი პირველად
სპარსულიდან ყოფილა გადმოთარგმნილი და შემდეგ სარგის თმოგველსა და
შოთას გაულექსიათ.

კამათში გამოსულან ი. აბულაძე, ს. გორგაძე, დ. კარიკაშვილი და მ. ჯა-
ნაშვილი, რომელთაც აღუნიშნავთ მომხსენებლის მტკიცებათა უსაფუძვლობა.

829. რედ. [აქცია]

პოეტ კონსტ. ბალმონტის ლექსა

გაზ. თემი, 1913, 20 მაისი, № 124, გვ. 3.

მცირე წერილი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის რუსულად მთარგმნელ
პოეტ კ. ბალმონტთან ლექსების გაცვლის ანგარიშს ვეფხისტყაოსნის თარ-
გმნასთან დაკავშირებით. გაზ. „თემის“ რედაქციას კ. ბალმონტისათვის გაუგ-
ზავენია შემდეგი შინაარსის ლექსა:

«Приветствуем возвращение на родину вдохновенного певца Солнца. Нас увлекает
надежда видеть его в долинах и горах Грузии, вдохновившей солнечного Руставели,
светозарного Пушкина, и молниеносного Лермонтова. Нас увлекает и мысль, что
перевивший все народы и века, единственный постигнет и божественного творца Бур-
совой кожи».

ამ ლექსის პასუხად კ. ბალმონტს გაზ. „თემისათვის“ განოუგზავენია
ლექსა:

«Солнечный привет родине вдохновенного Руставели, поэтической Грузии, от юности
любимой».

ეს ლექსა დაბეჭდილი ყოფილა გაზ. „რუსკოე სლოვოში“ (1913, 15
მაისი). ავტორი მოაგონებს მკითხველებს, რომ 1912 წლის „თემში“ (13.VIII.
№ 84) „რუსკოე სლოვოდან“ გადმობეჭდილი იყო კ. ბალმონტის ფელეტონის
ერთი ადგილი, რომელშიც პოეტი მოუთხრობს ოლივერ უორდროპთან შეხვე-
დრას და გაბაასებას ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამ ვითარებაში დაიბადა ვეფხის-
ტყაოსნის რუსულად თარგმნის იდეა.

830. შოთა რუსთაველი

ვეფხის ტყაოსანი

ნამღვილი და ჩანართი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1913, 251 გვ.

ტექსტი სხვა გამოცემათაგან განსხვავდება შედგენილობით. მასში სა-
ყოველთაოდ რუსთაველისად მიჩნეულ სტროფებთან ერთად სქოლიოებში, გან-
მეორებული ნუმერაციით მოიპოვება ჩანართი სტროფები. ტექსტი პირდაპირი
ნუმერაციით შეიცავს 1761 სტროფს და განმეორებული ნუმერაციით 594
სტროფს. ამრიგად იგი ყველაზე ვრცელი გამოცემაა ჩანართებით და დამა-
ტებებით. სამწუხაროდ, სტროფთა სათვალავი ხელოვნურადაა გაზრდილი გამო-
მცემლის დაუკვირებლობის შედეგად. ხშირად გამოცემაში ერთი და იგივე
სტროფი რამდენჯერმეა განწეორებული სხვადასხვა ნომრით. მაგ., გვ. 203
ნაჩვენებია 1527¹ (ტარიელს და ცოლსა მიხვდა) და იგივე 1585 №-ით.
ნამღვილი ტექსტში 1609 სტროფი მეორდება 1721 №-ით. ამ გამოცემის მიზანია.
სრულად აჩვენოს ვეფხისტყაოსნის სახელით ცნობილ პოემასთან დაკავში-

რებით წარმოქმნილ ხელნაწერთა წაკითხვანი ყველა დროისა და ნუსხის მიხედვით.

გამოცემას დართული აქვს მცირე წინასიტყვაობა (გვ. 3—4) და „წერილი ეფეზის ტყაოსნის შესახებ“ (გვ. 5—68).

ტექსტი იწყება შემდეგი ჩანართი სტროფით:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქაზია იგ საარსულად.

უქმობთ ვუხის ტყაოსნობით, არსა შეიქს ჯორცს არ სულად,

საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთ არსულად

თუ უყურა მონაწილმან შეიქნების გაპარსულად“.

დასასრული ჩანართი სტროფით:

„ცუღია ეს სოფელი ვითა სიზმარი ღამისა

არ მამეჭმარა საჭურჭლუ ღედისა, არცა მამისა,

უხანობისა ქარი ქრის ვითა ერთისა წაშისა

[და ოხრად] გაქვების აერი ტურფისა თვალწამწამისა“.

ვინაიდან ეს გამოცემა შედგენილობით ძირითადად განსხვავდება ვახტანგის ტექსტით დადგენილი ტრადიციით შესრულებულ სხვა გამოცემათაგან, როგორც სტროფების, ისე ცალკეული თავების მოცულობით, ამიტომ მომყავს ამ გამოცემის თაეთა დასათაურება:

1. [შესავალი] 1—5 გვ.
2. ამა ამბის დასაწყისი პირველი, ამო და სასმენლად შუენიერ სწავლისათვის მოზაირეთასა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა, რომელსა ეფეზის ტყაოსნობით უქმობენ (5—8 გვ.).
3. ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა (გვ. 9—17).
4. ნახუა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხის ტყაოსნისა (გვ. 18—30).
5. წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა (გვ. 30—42).
6. ამბავი ავთანდილისა, ასმათს რომ ეუბნების ქვაბშიგან (გვ. 43—49).
7. ტარიელისაგან თავის ამბის ამბობა ავთანდილთანა (გვ. 49—54).
8. აქა ამბავი პირველი ტარიელის გამოგზნურებისა (გვ. 55—60).
9. წიგნი პირველი ნესტან დარეჯანისა საყუარულთანა (გვ. 60—61).
10. წიგნი ტარიელისა საყუარულთანა (გვ. 61—62).
11. წიგნი ტარიელისა ხატულთა თანა (გვ. 62—63).
12. წიგნი ხატულთა მეფისა ტარიელთანა (გვ. 64—71).
13. აქა წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე ოღეს გაიმარჯუა (გვ. 71—74).
14. წიგნი ნესტან დარეჯანისა საყუარულსა თანა (გვ. 75—76).
15. წიგნი ტარიელისა საყუარულსა თანა (გვ. 76—81).
16. ხუარამხას შეილის ინდოეთს მოსულა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლეა (გვ. 81—83).
17. ტარიელისაგან ნესტან დარეჯანის დაკარგვის ცნობა (გვ. 84—87).
18. ამბავი ნურადინ ფრიდონისა ოღეს ტარიელ შეყვარა (გვ. 87—89).
19. შეულა ტარიელისაგან ფრიდონისა (გვ. 89—90).
20. ფრიდონისაგან ნესტან დარეჯანის დაკარგვის მბობა (გვ. 90—96).
21. ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა (გვ. 97—104).
22. დათხოვნა ავთანდილისა როსტევან მეფესთანა და ვახირის საუბარი (გვ. 104—109).
23. ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი (გვ. 109—111).
24. ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე (გვ. 111—114).
25. ლოცვა ავთანდილისა მიხვითას (გვ. 114).
26. ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა (გვ. 115—116).
27. წასულა ავთანდილისაგან ტარიელის შეყვარდ მეორედ (გვ. 117—125).
28. მბობა ტარიელისაგან ლომ ვეფხთ დაჯოცისა (გვ. 125—130).
29. წასულა ავთანდილისაგან ფრიდონისასა (გვ. 130—131).
30. მისულა ავთანდილისაგან ფრიდონისასა (გვ. 132—138).

31. წასულა აეთანდილისაგან ნესტან დარეჯანის საძებრად და ქარაენთა შეყრა (გვ. 138—142).
32. ამბავი აეთანდილის გულანშაროს მისულისა (გვ. 142—144).
33. ფატმანისაგან აეთანდილის გამოეწერება (გვ. 144—145).
34. წიგნი ფატმანისა აეთანდილთანა სამიჯნურო (გვ. 145—146).
35. წიგნი აეთანდილისა ფატმანთანა (გვ. 146—149).
36. ფატმანისაგან ნესტან დარეჯანის ამბვის მბობა (გვ. 149—158).
37. ამბავი ნესტან დარეჯანისა ქაჯთაგან შესყრობისა, ფატმანისაგან მბობა აეთანდილთან (გვ. 159—166).
38. წიგნი ფატმანისა ნესტან დარეჯანთანა (გვ. 166—167).
39. წიგნი ნესტან დარეჯანისა ფატმანთან (გვ. 168).
40. წიგნი ნესტან დარეჯანისა საყურელთანა (გვ. 169—172).
41. წიგნი აეთანდილისა ფრიდონთანა (გვ. 172—178).
42. ტარიელისა და აეთანდილისაგან წასულა ფრიდონისას (გვ. 178—180).
43. თათბირი ნურადინ ფრიდონისა (გვ. 180—181).
44. აქა თათბირი აეთანდილისა (გვ. 181—184).
45. ტარიელისაგან ზღუათა მეფისას მისულა (გვ. 185—188).
46. ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ფრიდონისაგან (გვ. 189—192).
47. საზოგადოებრივი კუბისა მისულა და მუნით არაბეთს წასულა (გვ. 192—198).
48. აქა ქორწილი აეთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან (გვ. 198—202).
49. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიყვდილის ცნობა (გვ. 203—207).
50. ტარიელისაგან ინდოეთს მისულა და ზატაელთ დამორჩილება (გვ. 208—212).
51. ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა (გვ. 212—216).
52. აქა ტარიელის დასნეულება და ზუარაზშმა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსულა ინდოეთს (გვ. 216—220).
53. გამოარელება ზუარაზშთ კელმწიფისაგან ინდუსტრის ლაშქართ ზედა (გვ. 220).
54. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა აეთანდილთანა და ფრიდონთანა (გვ. 220—223).
55. მოსულა აეთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის შუედალ (გვ. 223—224).
56. აეთანდილისაგან და ფრიდონისაგან წასულა და ზუარაზშმელთა ომი (გვ. 224—228).
57. აქა ომი ზუარაზშმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა (გვ. 228—233).
58. ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიკვალბოდა მის გამისა ნათქვამი (გვ. 233).
59. აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შეილსთანა (გვ. 233—238).
60. სიყვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა (გვ. 239).
61. აქა კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა (გვ. 239—241).
62. ანდერძი აეთანდილისა სიყვდილის გამსა (გვ. 242—244).
63. სიყვდილი აეთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა (გვ. 245—246).
64. კიდევ სხვა ანდერძი აეთანდილისა გამსა სიყვდილისასა (გვ. 246—247).
65. აქა ფრიდონისაგან ორგანე მისულა და ტირილი (გვ. 248—251).

81. [სუბტორი]

სოთა რუსთაველის პეგლი

გაბ. თეში, 1913, 11 მარტი, № 114, გვ. 1.

ტექსტი წარმოადგენს გაზეთის მეთაურს და მომყავს მთლიანად:

„ქართველი საზოგადოების ზღვარზღვიარე ნაწილმა იგრანო საპირიოება ჩვენი გენიოსის ძეგლის დაღმისა.

ამის შესახებ კიდევ დაიბეჭდა მოწოდება ოდესაში მყოფ ქართველ მუშებისა და სტუდენტებისა გაბ. „მერცხალში“, „იმერეთში“; და ურანალ „წყაროში“. იმით ამ მიზნისათვის თავის ათი თუმანიც გამოუგზავნიათ კიდევ.

მოწოდების აქტორნი მიმართავენ ქართველ ხალხს აუგოს ღირსეული ძეგლი ივერის-ტყაოსნის* მგოსანს საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში და გაამართოს მის სადიდებლად დიდი ეროვნული დღესასწაული 700 წლის შესრულების გამო.

ერთმა უკუფმა ოდესაში მცხოვრებ ქართველებისამ ცალკე წერილით მოგემართა ჩვენს ამ დიად საქმისათვის დახმარება გაგვეწია.

„თემის“ რედაქცია ვალად სთვლის თავის მხრივ ყოველი ღონე იზმაროს ამ შესანიშნავი მოწოდების განსახორციელებლად.

ჯერ ისევ შარშან, წლის დასაწყისში, ცნობილმა ადგილობრივმა ლიტერატორმა ბ. ალექსანდრე ყანჩელმა გაუხიარა „თემის“ რედაქციას, რომ მან შეასხადა დასაბუთებული თხოვნა შოთას ძეგლის დადგმის თაობაზე და რომ აპირებს იგი შუამდგომლობის აღტერას, რადგანაც მას უკვე შეტყობილი აქვს, რომ მთავრობასაც საწინააღმდეგო არა აქვს რა.

სწორად ეს თხოვნა ბ. ალ. ყანჩელმა უკვე გაუხაზა ამ დღეებში უმაღლეს მთავრობას, რომ ნება დაერთოს ძეგლის დადგმის და დღესასწაულის გამართვის მომწყობ კომიტეტის მოწყვეტისა.

ამნიარად ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

როგორც ნებართვა იქნება მიღებული ყველა ჩვენი საზოგადო დაწესებულების, მეტადრე ჩვენი ბეჭდვითი გამოცემების და თვითმმართველობათა წარმომადგენელნი უნდა შეიკრიბონ მომწყობ საორგანიზაციო კომიტეტის ასარჩევად.

ამ კომიტეტმა უნდა:

1. უმაღლეს მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რათა ნება მიეცეს მას გამართოს ძეგლისათვის ფულის შეკრება ყველგან, იმპერიასა და იმპერიის გარედაც.

2. გამართოს მსოფლიო კონკურსი ძეგლის პროექტის შესამუშავებლად.

3. აღძრას საქართველოს საქალაქო თვითმმართველობათა წინაშე შუამდგომლობა, რათა ყოველგვარად ხელი შეუწყონ ქართველი ხალხის სურვილის განხორციელებას—ეროვნულ მგოსნის ძეგლის ამართვას საქართველოს დედა-ქალაქში შესაფერად ადგილზე.

4. მოაწყოს ორი დღესასწაული: ერთი აქ, თბილისში, ძეგლის კურთხევის დროს; მეორე—მესხეთში ს. რუსთაეს, სადაც დაიბადა უკედავი. ამ უკანასკნელ ადგილას სასურველია მგოსნის სადიდებლად ნიში გაკეთდეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, ქართველ ხალხში არავინ გამოერჩევა ისეთი, რომ ამ დიდ საქმეს არ თანაუგრძნოს.

ამის დასამტკიცებლად ჩვენ ვსთხოვთ ყველას, როგორც ცალკე პირთ და ისე დაწესებულებათ, ვინც კი თანაუგრძნობს ამ დიად საქმის განხორციელებას თავის სახელი და დადგენილება მოაწოდონ „თემის“ რედაქციას გახეში აღსანიშნავად.

თანამგრძნობთა სიმრავლე — ნათელი საბუთი იქნება ჩვენი ეროვნული შეგნებისა და წარმატებისა“ (№ 114).

ამ მოწოდებას მთელი საქართველო გამოეხმაურა. შეწირულება მოდიოდა საქართველოს გარეთ მყოფ ქართველთაგანაც. შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების საქმეს შეწირულებითა თუ მილოცვით ეგებებიან:

ხაშურის ქართველობა („თემი“, 25 მარტი, გვ. 2); ახალციხის ქართველობა, რომელთა სახელით აღნიშნულია, რომ:

„დიდებულმა შოთამ საუცხოვო ხელოვნებით გამოხატა ქართველი ერის ხნე, ჩვეულება და ხასიათის სიმტკიცე. უკედავმა შოთამ ქართველი ერის სიბრძნე პოეზიაში გამოსახა მომხიბლავი ენით და ლექსთა წყობით უქდაგა კაცობრიობას კაცთ-მოყვარება და თავისუფლება (6 მაისი, № 122, გვ. 3).

ზოდი, ქუთაისი, ფასანაურიდან (20 მაისი, № 120, გვ. 3). ქუთაისიდან, აეპალიდან (13 მაისი, № 123, გვ. 3);

ხარბინის ქართველობისაგან 86 კაცის ხელმოწერით და სოფ. მერეთიდან 36 კაცის ხელმოწერით (10 ივნისი, № 127, გვ. 3).

ქართველ ებრაელთაგან; ლანჩხუთის საზოგადოებისაგან; შორაპნიდან; თბილისის ქართული გიმნაზიის მოწაფეთაგან, რომელთა წარმომადგენელი ნ. კეცხოველი აღნიშნავს:

„დიდის სიხარულით ეგებებით შოთას ძეგლის აგების განზრახვას, იმ შოთასი, რომელმაც უკედავო მთელს მსოფლიოში თავისი და სამშობლოს სახელი“ (17 ივნისი, № 128, გვ. 3).

ქუთაისის ციხის პატიმრებისა და თბილისის ხელოსნებისაგან (1 ივლისი, № 130, გვ. 3).

832. [უაფორო]

სააღდგომოდ

გაზ. თემი, 1913, 15 აპრილი, № 119, გვ. 1.

წერილი წარმოადგენს მეთაურს. ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის დიადობას და ქართველ ხალხში პოპულარობას. ულოცავს მკითხველებს ქართველი მუშების და სტუდენტების ინიციატივას რუსთაველისათვის ძეგლის დადგმის და რუსთაველის საზოგადოების დაარსებისას.

დასასრულს ავტორი მსჯელობს შოთა რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობაზე ქართველთა ერთობის შეგნება-შემეცნებისათვის და ეხება ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის საკითხს.

833. [უაფორო]

„რუსთაველის საზოგადოება“

გაზ. თემი, 1913, 8 აპრილი, № 118, გვ. 2.

გაზ. ვარი, ქუთაისი, 1913, 5 ნოემბერი, № 4, გვ. 3.

26 ნოემბერი, № 20, გვ. 2.

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში ალ. ყანჩელის თაოსნობით არსდება საზოგადოება, რომელიც შეისწავლის ქართველ კლასიკოსებს, მათ შორის შოთა რუსთაველს, გამოსცემს ვეფხისტყაოსანს და იბრუნებს შოთა რუსთაველის ძეგლის აგებისათვის (№ 118).

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „შოთა რუსთაველის საზოგადოების წესდებას ამ მოკლე ხანში დაამტკიცებენ“ (№ 20).

ასეთივე ცნობა იმის შესახებ, რომ „შოთა რუსთაველის საზოგადოების წესდება უკვე დაამტკიცა მთავრობამ. ამ მოკლე ხანში თფილისში მოხდება თათბირი საზოგადოების გასახსნელად“.

834. [უაფორო]

პ. ინგოროყვას რეფერატზე

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 9 აპრილი, № 867, გვ. 2.

სარეცენზიო წერილში აღნიშნულია, რომ 19—20 წლის ახალგაზრდა მკვლევარმა პ. ინგოროყვამ წაიკითხა მოხსენება ვეფხისტყაოსნის ავტორის შოთა რუსთაველის ცხოვრების დროის შესახებ, რასაც დიდძალი ხალხი დაესწრო და ყურადღებით მოისმინა.

პირველ ნაწილში პ. ინგოროყვას გაურჩევია ს. კაკაბაძის დებულებანი ვეფხისტყაოსნის ავტორის დროის მეთხოვმეტე საუკუნეში გადმოტანის შესახებ და უარუყვია როგორც ყოვლად უსაფუძვლო მოსაზრებანი. მეორეში მომხსენებელს გაუშლია საკუთარი მოსაზრებანი, რომელთა მიხედვით ყოველგვარი ნიშნებით, პოემის მონაცემებით და ისტორიული რეალიებით შოთა რუსთაველი XII საუკუნის პოეტია.

კამათში მონაწილეობა მიუღია დ. კარიკაშვილს, ს. გორგაძეს, პ. მირიანაშვილს, შ. ქარაუმიძეს, რომელთა გამოსვლების შინაარსს მოკლედ აღნიშნავს რეცენზენტი.

835. [უაფორო]

ს. კაკაბაძის რეფერატზე

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 25 აპრილი, № 878, გვ. 2—3.

სარეცენზიო წერილში აღნიშნულია, რომ 23 აპრილს ს. კაკაბაძემ წაიკითხა მოხსენება ვეფხისტყაოსნის დაწერის დროის შესახებ, რომლის გამო

გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ი. აბულაძემ, ს. გორგაძემ, დ. კარიჭაშვილმა, მ. ჯანაშვილმა.

ავტორი მოკლედ გადმოცემს კამათის შინაარსს. ს. გორგაძეს უტყუარი საბუთებით და მტკიცე მოსაზრებებით უარუყვია ს. კაკაბაძის შეხედულებანი და დებულებანი. მისი შენიშვნით, ის სტროფები, რომელთაც ს. კაკაბაძე საბუთად იყენებს თავის დებულებათა დასამტკიცებლად—ყალბია, პოემაში ისინი შემდგომია ჩამატებული, ასე რომ საბუთებად არ გამოდგება. ასევე ყალბია XV საუკუნის ქართველ მეფეთა ის გენეალოგია, რომელსაც ს. კაკაბაძე ეყარება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხების გადაწყვეტაში.

დასასრულს მოყვანილია კამათში გამოთქმული შეხედულების მოკლე შინაარსი რუსთაველის კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებზე.

836. [უაფგორა]

ლექციიდან ლექტორისაღმი ანუ პოლემიკური სიღნიჯე

გაზ. იმერეთი, 1913, 27 ივნისი, № 90, გვ. 1—4.

წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას საჯაროდ წაკითხული ლექციის— „შოთა რუსთაველის შემოქმედება“-სთან დაკავშირებით ამტყდარი პოლემიკის გამო (გაზ. „იმერეთი“, 1913, № 84). ავტორი მოკლედ ახასიათებს პოლემიკის მიმდინარეობას, რასაც აბსურდს უწოდებს. კამათის ერთ-ერთი კითხვა ყოფილა—მიაჩნია თუ არა მარს ვეფხისტყაოსანი გენიალურ და ორიგინალურ მხატვრულ ნაწარმოებად, რაზედაც ლექტორს უპასუხია, რომ ეს კითხვები მარის კომპეტენციის სფეროში არ შედის, რადგან ის ესთეტიკოსი არ არისო.

ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით ლექტორი ეკამათება ი. აბულაძეს, რომელსაც განუცხადებია, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსნის წყარო ზღაპარი იყო, რაც პოეტმა გარდაქმნაო.

837. [უაფგორა]

რუსთველი ხელოვანი

(ესკიზი)

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 24 აპრილი, № 877, გვ. 2—4, ქვედურა.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედება—ფორმის გაღმერთებაა, რაც მელაუნდება პოემის გმირთა დახასიათებაში. ასეა მოცემული პოემაში ყველა მოტივი, რომელიც ფორმის, გარეგანი სილამაზის დახატვას ემსახურება. რუსთაველს მზეში ეხატება მშვენიერება განსახიერებელი, რისთვისაც ის ყოველს მშვენიერს მზეს უწოდებს და მზეს ზიარებულს. ავტორი ახასიათებს პოემის გმირებს და აღნიშნავს, რომ ნესტანი მსოფლიო მხატვრულ სახეთა შორის გვერდს უზის ბეატრიჩესა და სოლვეიგს. ტარიელის სიყვარული დიონისური ენებაა. რუსთაველმა სიყვარულის გრძნობას საუცხოვო და თავ-შეწირული მეგობრობა წარმოაშობინა.

ავტორი აღარებს ტარიელს და ავთანდილს, ახასიათებს რუსთაველის ოსტატობას, ეხება პოემის ორიგინალობის პრობლემას და შენიშნავს, რომ „არაკის აღება სრულებით არ სპობს მხატვრის ორიგინალობას“ და მოჰყავს მაგალითები მსოფლიო ლიტერატურაში სიუჟეტების სესხებისა. ავტორის შენიშვნით, „რუსთაველის ქმნილების ფორმა არ არის უბრალო გაღმქვეა უკვე ქმნილისა, არამედ შემოქმედი ენერგია გარდამქმნელისა“.

„შიდი საუკუნის განმავლობაში ჭარბელობა ამ სასწაულმომქმედი ქმნილებით იღვამდა სულს. იგი უზენაესი გამოთქმაა ქართველთა გენიისა,

ქართველობა ნახულობდა მასში თავისი სულის ყოველნაირ გამოძახილს. რუსთველით იქმნებოდა ისტორიული ტრადიცია საქართველოს სულიერი მთლიანობისა: ქართველის სული რუსთველის გენიით განაგრძობდა სიცოცხლეს“.

838. [უაფგორო]

შოთა რუსთველი და სომხური პრესა

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 21 მარტი, № 851, გვ. 3.

ცნობა მომყავს სარულად:

„სომხურ გახ. „მშაკის“ მე-60-ე ნომერში მოთავსებულია ბ. ა. ვასპარაიანის წერილი უკვდავ: შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ 700 წლის შესრულების გამო“.

839. [უაფგორო]

ახალი ამბები [სოლოგუბის აზრი ვეფხისტყაოსანზე]

გახ. თემი, 1913, 15 აპრილი, № 119, გვ. 3.

მოკლე ინფორმაციული ცნობა გადმობეჭდილი გახ. „ეკლხიდაში“ მოთავსებული წერილიდან სოლოგუბის მიერ პ. იაშვილთან ვეფხისტყაოსანზე, გამოთქმული აზრის შესახებ (იხ. ანოტაცია № 812).

840. [უაფგორო]

ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვა

გახ. თემი, 1913, 7 ოქტომბერი, № 144, გვ. 4.

განცხადება ი. აბულაძის მიერ განზრახული ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე, ხელისმწერის პირობებით და მოკლე შედგენილობით.

იქვე — ახალ ამბებში უაფგორო ინფორმაციული ცნობა ი. აბულაძის რედაქტორობით ვეფხისტყაოსნის 21-ე გამოცემის ბეჭდვის შესახებ, გამოცემის აგებულების მოკლე ჩვენებით.

841. [უაფგორო]

შემოწირულობა

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 17 იანვარი, № 799, გვ. 3.

გახ. იმერეთი, 12 მაისი, № 53, გვ. 4.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეწირულ ხელნაწერთა შორის აღნიშნულია თავბოლო ნაკლული ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი ალ. შირიანაშვილისაგან (№ 799).

ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებისათვის შეწირულ წიგნთა შორის აღნიშნულია ერთი ძველი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა. რაედენ ყარამანისძე დათვშიძისაგან (№ 53).

842. [უაფგორო]

ახალი ამბავი. რუსთველის ხალამო

გახ. იმერეთი, 1913, 18 ივნისი, № 82, გვ. 2.

ქრონიკალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ რუსთველის სალამომ საერთოდ მკრთალად ჩაიარა, თუმცა სხვა მონაწილეთა შორის აქაყის კითხვამ შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. „ნახათ და გრძნობთ წაიკითხა ჩი-

ტო შარაშიძის ქალმა ადგილი „ვეფხისტყაოსნიდან“, „მარა შოთა მეტის. ღირსია და გამართლდა ჩვენი ნათქვამი—რუსთველის სახელის საღანოს გამართვა ასე ნათესაფუძესა და ნანაშაულია“.

843. [უავტორო]

ახალი ამბავი [ლეგენდა რუსთაველზე]

გაზ. კოლხიდა, 1913, 3 აპრილი, № 24, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ა. მაქაეარიახს სხვა ქართულ-თხზულებათა შორის რუსულად უთარგმნია ა. ფურცელაძის „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“.

844. [უავტორო]

ნაძალადევი თუ ივერიანი

გაზ. თემი, 1913, 10 ივნისი, № 127, გვ. 3.

ცნობა იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭოში აღძრულა საკითხი ნაძალადევისათვის სახელის შეეცვლის შესახებ. სავარაუდოდ დასახელებულ სხვადასხვა სახელებს შორის აღნიშნული ყოფილა „რუსთველიანა“, 700 წლისა აღსანიშნავად.

845. ილ. ფერაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ურნ. განათლება, 1913, № 1, გვ. 39—43; № 4, გვ. 253—258; № 5, გვ. 348—353.

ბარათაშვილის პოეტიკის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი იმორწმუნებულად ვეფხისტყაოსნიდან ადგილს შაირობაზე (№ 1, გვ. 41), გაკვირით უთითებს შოთას ერთ ტაეპს (№ 4, გვ. 255) და შენიშნავს, რომ ქართველებმა შოთას მიერ ნამცნები სიყვარული უკუაგდეს (№ 5, გვ. 352).

846. სიმონ ქვარიაძე

შოთა რუსთაველი

ურნ. კლდე, 1913, 14 მათათვე, № 28, გვ. 5.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, აღნიშნავს მის დიადობასა და პოპულარობას საქართველოში და მნიშვნელობას ქართველთათვის. მისი წინადადებით უნდა ეიდღესასწაულოთ შოთა რუსთაველის 700 წელი, რაც უნდა აღინიშნოს შემდეგით:

1. მოეწყოს დილა-სალამოები მიძღვნილი შოთა რუსთაველისადმი.
2. ჩატარდეს ლექციები.
3. დაიდგას რუსთაველის ძეგლები თბილისში, ქუთაისში, რუსთაველი და დაარსდეს საამისოდ კომიტეტი.
4. გამოიცეს შოთა რუსთაველზე წიგნი.
5. გამოიცეს შოთა რუსთაველის ეპოქის ამსახველი მხატვრული ლიტერატურა.

წერილი თავდება მოწოდებით ქართველი ერისადმი შოთა რუსთაველის ძეგლის აგებისათვის.

№47. იპოლოტე ლაშბაშვიძე

შოთა რუსთაველის პეკლის აკბის საქმე

გაზ. თემი, 1913, 15 აპრილი, № 119, გვ. 2.

ავტორი ამხანაგების სახელით ეგებება შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების საქმეს, შეაქვს წვლილი და აღნიშნავს, რომ რუსთაველი ის ადამიანი იყო, რომელმაც „დაუნგრეველი საძირკველი ჩაუყარა ქართულ ენას“, მისი „სახელი უკვდავი იქნება, სანამ ქვეყანაზე ქართველი ხალხი ცოცხალი იქნება“.

№48. მ. კ. ყიფიანი

ბუნება ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენობისა
(წერილი მეშვიდე) ქართული ბრუნვები კანკელდობისა

ჟურნ. განათლება, 1913, სექტემბერი, № VII, გვ. 510—521.

ავტორი ქართული კანკელდობის საილუსტრაციო მასალად იყენებს ვეფხისტყაოსნის 501-ე სტროფის კარიკაშვილის გამოცემით (1903 წ.), რომელიც მოჰყავს საკუთარი ორთოგრაფიით:

„მეტან სეღამან მომწურა გულსა დაცემად დანისად.
ასმათის მონა შემოსდგა, შეესჯე ლალი და ჯანისად;
წიგნი მომართვა, ეწერა: „ვის სმანს ალვისა ტანისად,
ადრე მოძლიო, გიპბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად“.

ავტორი არ ერწმუნება კარიკაშვილის გასწორებას სიტყვისა „ჯანისად“ „ჯანი სად“ ფორმით. მისი აზრით, „სად“ „ჯანი“-სას ეკუთვნის როგორც მისი საერთო კანკელდობრივი ფორმის ნაწილი. ამ სტროფში სიტყვებს „ჯანისად“-ს, „დანიად“-ს, „ტანისად“-სა და „ხანისად“-ს არაფერი აქვს გასაშორებელი. ავტორის აზრით:

„ამ სიტყვაში „ჯან“ არის ძირი სიტყვის, „ი“-ნი არის ჩემი მანძილადი მარტივი ნაცულ-სახელი; შემდეგ „ს“-ნი არის მუხასიათე ნიშანი ნათესაუბობის ბრუნვისა, „ა“-ნი კვლად პირველ-მანარმოებელი ახლო მანძილადი მარტივი ნაცულსახელი, და ბოლოს „დ“-ონი არის მუხასიათევი ნიშანი უკველად განვითარების ბრუნვისა; ხოლო მთლად ერთიანი სიტყვა „ჯანისად“ არის ბრუნეახედკეცილობის რთული ფორმა“.

ავტორს მოჰყავს სქემა სიტყვა „ჯანისად“ კანკელდობრივი წარმოებისა და დასძენს:

„აი სადა სწედებოდა რუსთაველის გენიოსობა ქართულ ენის ბუნებრივ შენობასა და წარმოებასა. ჩვენ კი არ უნდა „ვესწორებდეთ“ მას სიტყვასა, არამედ უცადოთ შევიგნოთ, გავიგოთ, მივხედეთ სიტყვა-მისი ლუთაებრივ მართალი, და ვისწავლოთ იგი“ (გვ. 513).

№49. А. Шан.

Грузинская литература

წიგნი: Русская энциклопедия, том шестой, Гнездовка до дашива,
[1913] С.-Петербург, გვ. 223—224.

ქართული მწერლობის მიმოხილვისას თამარის ეპოქაში ავტორი განსაზღვრებით ჩერდება რუსთაველზე და ამბობს:

„Грузия в это вр. рождает величайш. поэта Шоту Руставели, в кот. грузинск. справедливо видит воплощение своего гения. Руставели в честь обожаем. царичи пишет романтич. поэм. „Вепхис-Ткаосანი“ („Витязь в барсов. коже“, или „Барсова ко“

ჯა*). Сюжет ел — персид. сказание, кот. Руставели облек в такую формы вышш. ху-
дож. творчества, так мастерски гармонизал идеал рыцарства и культ женщины, что по-
эма не имеет себе равной во всей Г. л. и служит предметом подражания всех после-
дующ. поэтов*.

850. ხანდ. შანშიაშვილი

წერილები მეგობრისადმი (ლეიკიეი)

გაზ. ხ მ ა კ ა ხ ე თ ი ს ა, ყოველდღიური სამეურნეო და სალიტერატურო სახალხო გაზეთი.

ქ. სიღნაღი, 1913, 14 აპრილი, № 45, გვ. 1—2; 25 აპრილი, № 47, გვ. 3.

ავტორი აღფრთოვანებულია გაზ. „თემის“ მოწოდებით შოთასათვის ძეგ-
ლის აგებისათვის, რის გამოც „დიდი და პატარა, ყრმა თუ ქალაჩა, ქალი
თუ კაცი, მდიდარი თუ ღარიბი, გლეხი თუ მუშა, თავადი თუ აზნაური, ვა-
ჭარი თუ მოხელე ერთი აზრით გამსკვალულან და ჰსურთ ფული შეაგროვონ
და ჩვენს უკვდავ მეგობარს — შოთა რუსთაველს — ძეგლი აუგონ“. ამასთან დაკავ-
შირებით ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველს და აღნიშნავს მის პოპუ-
ლარობასა და მნიშვნელობას. „არ გახსოვს, ერთ გლეხს გაეჯობრე შოთას
შაირებში და შენ ნასწავლს იმან უსწავლელმა გაჯობა“. ავტორი აღნიშნავს,
რომ „შოთა შეიდასის წლის წინად სცხოვრობდა, დღესაც ცოცხლობს და
მრავალ საუკუნოების შემდეგაც იცოცხლებს, ვიდრე ქართველობა და მთლად
კაცობრიობა სცხოვრობს“ (№ 45).

ავტორი მეგობართან დიალოგის ფორმით აკრიტიკებს ს. კაკაბაძის მი-
ერ წამოყენებულ დებულებას იმის შესახებ, თითქოს „შოთას მეთორმეტე
საუკუნეში კი არა, მეხუთმეტე საუკუნეში ეცხოვროს და მაშინ დაეწეროს
ვეფხისტყაოსანი. დაეწეროს კი არა, უცხო ერის ზღაპარი აეღოს და მხოლოდ
ის გაელექსოს“ (№ 47).

ავტორი ს. კაკაბაძის შეხედულებებს აბდა-უბდას უწოდებს და მისი სა-
ხით მიმართავს ყველა მათ, ვინც რუსთაველის შემოქმედების საფუძველს ქარ-
თული სინამდვილის გარეთ ეძებს: „თქვენ, შოთას გამქიქველ, კენჭმარობად,
გულახდილად გეუბნებით, რომ შოთასი არაფერი გაგეგმათ და ვერც გაიგებთ
ვერასოდეს თქვენის უხეშის გრძნობით და გადაგვარებულის, არა ქართულის.
სულით. გახდით ქართველნი და შოთა თქვენთვის მზესავით ნათელი იქნება“
(№ 47).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში უცხო, კერძო და გეოგრაფიული სახე-
ლებისა და სინამდვილის გამოხატვის საკითხებს და აღნიშნავს, რომ მეგობარი
ვერ ბედავს სათაყვანებელ არსებას ქება პირდაპირ უთხრას, რის გამოც მოქ-
მელება სხვაგან გადააქვს და მოჰყავს ცალკეული თქმები პოემიდან, იმის და-
სამტკიცებლად, რომ ვეფხისტყაოსანში ქართული სინამდვილეა ასახული.

დასასრულს, ავტორი მოუწოდებს შოთას ძეგლისათვის ფულის შეგროვე-
ბას და შენიშნავს: „დაე, სხვამ ვინც რა უნდა სთქვას შოთაზე, ქარავენი მა-
ინც გაივლის“.

851. აკაკი [წერეთელი]

საღიესოდ რუსთაველის სახელობის საზოგადოების დაარსების გამო

გაზ. თ ე შ ი, 1913, 15 აპრილი, № 119, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის სიკვდილის რვა საუკუნის შემდეგ
იგი მაინც მკვდრეთით აღსდგა და ულოცავს „რუსთაველის საზოგადოებას“.
დაარსებას და პოეტისათვის ძეგლის დადგმის განზრახვას.

მნ2. 8. წულუკიძე

შოთა რუსთველი

გახ. თემი, 1913, 15 აპრილი, № 119, გვ. 1—2.

აეტორი გენიოსებზე ზოგადად მსჯელობისას ასახელებს გოეთეს, შექსპირს, დანტეს, ტოლსტოის. განსაკუთრებით ჩერდება შოთა რუსთაველის გენიალობაზე, რომელიც ნამდვილი შვილია თავისი ხალხისა: „შოთა რუსთაველმა თავის მხატვრულ მე-ში განასახიერა ქართველი ხალხის სული, დაასურათა ამ ეროვნების თვისებანი—სიყვარული, თავგანწირულება, სიმამაცე, მეგობრობა, ფიზიკური სილამაზე. აეტორი მოკლედ ახასიათებს ამ მოტივთა განსახიერებას პოემაში და პოეტის სიყვარულს ქართველი ხალხის გულში.

მნ3. სტ. კრელაშვილი

მინისტრი თუ შესჯერე

(ბ-ნ კოტე დოდაშვილის ლექცია შესახებ შოთა რუსთაველისა)

გახ. თემი, 1917, 7 ოქტომბერი, № 144, გვ. 3—4.

აეტორი აღნიშნავს რუსთაველის სილიადეს, მისი ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს, ეგებება რუსთაველის საკითხებით ფართო დაინტერესებას და კ. დოდაშვილის მიერ ლექციის წაკითხვას თემაზე: „როგორ კითხულობდნენ ვეფხის ტყაოსანს უწინდელს დროში“, რომლის მთავარი დებულება ის ყოფილა, რომ ვეფხისტყაოსანს ისე, როგორც სხვა პოეტურ თხზულებას, მუსიკით კითხულობდნენ, რომელიც მესტიერული იყო და რისთვისაც არსებობდნენ პროფესიონალი მესტიერე-მეზაირენი. ამის ერთ საბუთად ის მიუჩნევია მომხსენებელს, რომ ჩვენამდე მოაღწია ხალხურმა ვეფხისტყაოსანმა, რომელსაც მესტიერეები მღეროდნენ. ამასთან ერთად შეუნიშნავს, რომ შესაძლოა თვით შოთა რუსთაველი იყო არა მინისტრი, არამედ ასეთი მესტიერე-მეზაირე. საილუსტრაციოდ ლექტორს ფისპარმონიაზე დაუკრავს მესტიერული მელოდია და ზედ ვეფხისტყაოსანის ადგილები დაუმღერებია.

დასარულს, რეცენზენტი მოუწოდებს ლექციის განმეორებას და ვეფხისტყაოსანის მხატვრულ-მუსიკალური კითხვის ორგანიზაციას.

მნ4. ალ. ხაბულოანი

შოთა რუსთაველის ძეგლის აგების საქმე

გახ. თემი, 1913, 8 აპრილი, № 118, გვ. 2.

აეტორი აღნიშნავს რუსთაველის სილიადეს და ეგებება შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების ინიციატივას.

მნ5. [ხარბინელი ქართველები]

შოთა რუსთაველის ძეგლის შესახებ

ხარბინელი ქართველების წერილი

გახ. თემი, 1913, 10 ივნისი, № 127, გვ. 3.

ქ. ხარბინიდან მანჯურიის ქართველთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისაგან მიღებული წერილი მნ კაცის ხელმოწერით შეიცავს აღფრთოვანების გამოხატულებას შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების განზრახვის გამო.

იქვეა ცნობა მსგავსი წერილის მიღების შესახებ გორიდან 36 კაცის ხელმოწერით.

556. ხილოვანი [ხუნდაძე]

რუსთველი თუ რუსთველი?

გაზ. იმერეთი, ქუთაისი, 1913, 12 მაისი, № 53, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენს მწერლობაში შოთას ზედწოდება არეულად იხმარება — „რუსთველი“ და „რუსთაველი“-ს ფორმით, და ყურადღებას აქცევს იმ ფაქტს, რომ თვითონ პოეტი „რუსთველს“ ხმარობს. ამასთან ერთად იმოწმებს ვახუშტის. მხოლოდ ანტონ კათალიკოზთან ვხვდებით „რუსთველს“, რასაც ავტორი იძიებ ხსნის, რომ მას ნაკლებად ესმოდა ქართული ენის თვისება და კანონები.

ავტორის დასკვნით, პოეტის ზედწოდება ისე უნდა ეიხმაროთ, როგორც თვით ვეფხისტყაოსანშია — „რუსთველი“.

ამასთან ერთად ავტორს მიაჩნია, რომ მართებულია ფორმა „ვეფხვი“.

557. ხილოვან [ხუნდაძე]

სალიტერატურო შენიშვნები

შემცდარი აზრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

გაზ. იმერეთი, ქუთაისი, 1913, 4 ივლისი, № 94, გვ. 2;

13 ივლისი, № 102, გვ. 2—3;

3 აგვისტო, № 116, გვ. 2—3.

ავტორი ეხება პოემის ორიგინალობის პრობლემას, მოკლედ იხილავს მარის შრომებს ამ საკითხზე და მის ნიადაგზე წარმომოხილ ლიტერატურას. ავტორის აზრით, თუ რუსთაველი მთარგმნელია, ის გენიოსი აღარ არის. ავტორს მოჰყავს პარალელები ვეფხისტყაოსანსა და თამარის ცხოვრებას შორის პოემის ორიგინალობის დასამტკიცებლად და აფრთხილებს შეკლევართ მეცნიერებისა და ქეშმარიტების უკრიტიკო, ბრმა სიყვარულს არ შესწირონ ვეფხისტყაოსნის საკვლევადიებო საქმე (№ 94).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხს და ეკამათება მარს ცალკეულ წაკითხვათა გასწორებებსა და სიტყვათა მნიშვნელობის გაგებაში (№ 102). არჩევს დავ. კარიკაშვილის შენიშვნებს ვეფხისტყაოსნის საკითხებზე და ეკამათება სხვადასხვა წაკითხვათა გაგებაზე (განსაკუთრებით სიტყვა „სოქალი“-ს შესახებ), აგრეთვე გამოთქმებზე: „ჰხრის ყორნისა ბოლო ფრთათა“, „გიშერი აწამწამე“, „სალარიბოთ მოეკაზმა“, „გაბაონს განაზარდითა“, „ასადაგეს“ და სხვ.

558. გიორგი ჯაკობია

[შოთა რუსთაველის ძეგლის შესახებ]

გაზ. თემი, 1913, 29 აპრილი, № 121, გვ. 2.

ავტორი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ახალსენაკელ მოსწავლეთა სახელით ეგებება შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების გადაწყვეტილებას.

იქვე: ქალაქ ტენევაში არსებული ქართული სათვისტომოს გამომხმალურება და მილოცვა დეკანოზ იოსებ წერეთლისა თავისი ოჯახის შემადგენლობით.

559. მ. ჯანაშვილი

შოთა რუსთველი

გაზ. სახალხო გაზეთი, 1913, 19 აპრილი, № 873, გვ. 2.

ავტორი თამარ მეფის ეპოქის ისტორიულ მოვლენათა თარიღების ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებთან შეჯერებით აყენებს დებულებას, რომ პოემა სწო-

რედ ამ ეპოქაშია დაწერილი. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში
ორი მოთხრობაა — წმინდა ქართული და გარმიანული. ავტორი ახასიათებს
ქართულ და გარმიანულ სინამდვილეს და პოემა მის გამონაკართომად მიაჩნია.
საილუსტრაციოდ მოჰყავს კლასიკური მწერლობიდან ციტატები და ისტო-
რიული მოწმობანი.

860. შ. ჯანაშვილი

ხად და როლის ომობდა შოთა რუსთველი?

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 27 აპრილი, № 880, გვ. 3.

ავტორი შენიშნავს, რომ ცნობები თამარ მეფის ომების და მასში რუს-
თაველის მონაწილეობის შესახებ არსებული არაჩილ მეფის კუთვნილ „ქართ-
ლის ცხოვრებაში“, რომელიც მას გაუღვქავს. ეს „ქართლის ცხოვრება“
არაჩილის ასტრახანში ყოფნის დროს მის სადგომში დამწვარა სხვა ნივთებთან
ერთად და აღბათ ის „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მოხსენიებულია
მცხეთის 1546 წლის გუჯარში.

ამ ცნობების მიხედვით შოთას მონაწილეობა მიუღია შეეშეთში თურ-
ქებთან ბრძოლაში, გელაქუნის მოოხრებაში, განძას, თამარის პირველი ქმრის
გაძევებაში, ამერ-იმერთა ბრძოლაში თამარის პირველი ქმრის გამო, აზრუმს,
აბუბექრის წინააღმდეგ ომში, ამბერდის ომში, ბოლოსტიყეს და ხორასანზე
გალაშქრებაში.

დასასრულს, ავტორი დასძენს: „ეს შოთა თამარ დიდის ბრძანებით-
ვეფხისტყაოსნის დამწერი, ჩვენ გვეგულება იმ შოთა მოღარეთ-ხუცესად, რო-
მელიც თამარის მანდატურთ-ხუცესს და ამირ-სასალარ კიაბერთან ერთად
მონაწილეობას იღებდა შანქორის ლაშქრობაში და რომელმაც თამარს ახარა-
ბრწყინვალე გამარჯვება ბუბაქარზე და ხალიფას დროშის დატყვევება. ისინი
თითქოს ის კიაბერი და შოთაა, რომელნიც ამტკიცებენ თავიანთ ხელწარ-
თვით შიო-მღვიმის ტყავზე დაწერილ გუჯარს. კიაბერი ხელს აწერს შემდეგ.
მეფის თამარისა, ხოლო შიო შემდეგ კათალიკოზისა“.

861. შ. ჯანაშვილი

მცირე შენიშვნა

გახ. სახალხო გაზეთი, 1913, 3 მაისი, № 885, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ არ არსებობს კითხვა, თუ როდის ცხოვრობდა
რუსთაველი, რადგან ის ყოველგვარი ეჭვის გარეშე XII საუკუნის პოეტია.
ასევე ზედმეტია მსჯელობა ვეფხისტყაოსნის პროლოგის რუსთაველისათვის
კუთვნილების საკითხებზე. ასეთ კვლევად-ძიებაში ავტორი ხედავს მეცნიერისთვის
შეუფერებელ სასწრაფო აჩქარებას, გამოოქსადეგარი მასალებით დიდ დიდ-
კითხვების გადაჭრის ცდას, ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის ყალბად
გამოცხადებას, რაც გაუგებრობას წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით ავ-
ტორი ნიუთითებს თავის ნაშრომებში გამოთქმულ მოსაზრებებს რუსთაველის
ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე.

862. ნიკოლოზ ჯორჯჯიძე

ფილოლოგია [ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გახ. იმერეთი, 1913, 19 ივნისი, № 83, გვ. 3;

27 ივნისი, № 90, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას რუსთაველის შემოქმედების შესახებ.
წაკითხულ ლექციაზე, რომელშიაც ავტორს ყველაზე საყურადღებოდ ის აზ-

რი მოსჩვენებია, რომ ვეფხისტყაოსანი ქართველთათვის სრულ „terra incognita“-ს წარმოადგენს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლექცია წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ესთეტიკური პრინციპით გარკვევის ცალმხრივ ცდას, განყენებული, ესთეტიკური მიზნებით, რომელშიც ლექტორმა გაიმეორა ის აზრები, რაც ვაჟა-ფშაველამ ორი წლის წინათ გამოთქვა (ეურნ. „განათლება“, 1941, ოქტომბერი). ავტორი ეკამათება მომხსენებელს მოსაზრებაში, თითქოს მარს ვერ მოეთხოვება მხატვრული ნაწარმოების ესთეტიკური განცდა, და იცავს მარს. მისი შენიშვნით, ვაჟა-ფშაველაცა და ლექტორიც ისეთ რაიმეზე მსჯელობენ, რომლისაც თითქმის არაფერი გაეგებათ და ფილოლოგიისადმი იჩენენ დაუმსახურებელ სიძულვილს. ავტორს მოჰყავს ვაჟა ფშაველას შენიშვნა, რომლის მიხედვით, თუ მარის შეხედულება მივიღეთ, ჩვენც უნდა დავეთანხმოთ, რომ რუთაველი გენიოსი არ არის. ავტორს მოჰყავს მარიდან ამონაწერი და ეკამათება ანტიპატრიოტების უმართებულო მოდავეებს რუსთაველის გაგებაში.

1914

863. ი. აბულაძე

შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხისტყაოსნის 22-ე გამოცემის შესახებ კრიტიკული ტექსტის რაშლენიშე ნიმუშით

ლაუენიწყარის ა. ი. სარაჯიშვილის ხსოვნას, ტფილისი, 1914, IV + 112 გვ.

შინაარსი: წინასიტყვა (გვ. III—IV); ჩანართთა შესახები მოსაზრებანი (გვ. 5—16); ვეფხისტყაოსნის ა, ბ, იბ, ივ, იშ, ლ თავის ტექსტები (გვ. 17—46); ვარიანტები (გვ. 46—108); დამატებანი და შესწორებანი (გვ. 108—110); გასაღები ჩვენი ნიმუშებისათვის. ნიმუშთა ხაზების მოსაწახვეად (გვ. 111—112).

ნაშრომში აღძრულია ვეფხისტყაოსნის ჩანართთა გარკვევის საკითხი. ავტორს შეაქვს შესწორებანი ზოგი სტროფის წაკითხვასა და განლაგებაში ძირითად ხელნაწერთა შეჯერების საფუძველზე ვეფხისტყაოსნის თავისი 1914 წლის 22-ე გამოცემის ტექსტთან მიმართებით. გამოკვლევას დართული აქვს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე თავის ტექსტი შესაბამი ვარიანტების საძიებლედით მთავარ ხელნაწერთა და გამოცემათა მიხედვით.

864. იუსტინე აბულაძე

„მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი, როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი“

წიგნში: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები, წლიური ანგარიშები, სარევიზიო კომისიის აქტები, შემოწირა და წვერთა სიები 1907—1912 წლებისა, ტფილისი, 1914, გვ. 17—20.

ოქმი № 6 ჩვეულებრივი საზოგადო კრება. 1908 წელს, თებერვლის 21-ს.

ოქმში აღნიშნულია, რომ. თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით-გახსნილ კრებაზე მოსმენილი იყო იუსტინე აბულაძის რეფერატი: „მე-XII საუკუნის ქართული მწერლობის ხასიათი და რუსთველის ვეფხისტყაოსანი, როგორც დროის მიმართულების უძლიერესი გამომხატველი“. რეფერენტის აზრით, „მე-XII საუკუნეში, განსაკუთრებით თამარის დროს, მაღალი ქართველი საზოგადოება მეტად გაიმსკვალა სპარსული კარის მწერლობის აზრებითა და მიმართულებით; აი ამ საზოგადოებატაყების ნაყოფია ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის ვეფხისტყაოსანი;

რუსთველს სიუჟეტად აუღია ერთ-ერთი არაბულ-სპარსული საგმრო არაკი, რომელიც მალალ ქართველ საზოგადოებაში დიდს პარტიისცემაში ყოფილა, და თავისი შემოქმედებითი ნიჭით იმდენათ შეუცვლია იგი, რომ, დღეს კიდევაც წინ გვედევას ამ არაკის ორიგინალი და ვეფხის-ტყაოსანს შეეუდაროთ იგი, მათ შორის ვერაერთარს მსგავსებას ვეღარ ვპოვებთ; ამის გამო ჩვენ შეგვიძლია ვეფხის-ტყაოსანი ორიგინალურ ნაწარმოებად ჩავთვალოთ“.

კამათში მონაწილეობა მიუღია ალ. სარაჯიშვილს (ვეფხისტყაოსნის ამბავი ირანულია, რომელიც რუსთაველანდე ხალხში ყოფილა ცნობილი), პეტრე მირიანაშვილს (რუსთაველს ხელში ჰქონია სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი და მას მხოლოდ გაულექსაესო), მოსე ჯანაშვილს (ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია, აღებული მაშინდელი ისტორიული პირების ცხოვრებიდან), ივანე რატიშვილს (პოემა უფრო ადრეა დაწერილი, ვიდრე ხალხური ვეფხისტყაოსანიო), ალექსანდრე მირიანაშვილს, დავით კარიჭაშვილს და ე. თაყაიშვილს, რომელსაც შეუჯამებია რეფერატისა და მის ირგვლივ გამოთქმული შეხედულებანი. მისი აზრით, „პოემაში გამოხატულია ქართველი ერის საშუალ-საუყუნეთა იდეალები“.

665. [ი. აბულაძე]

ბარამ-გულიჯანიანი და რუსთველის პოეტური შემოქმედება

წიგნი: ძველი საქართველო, 1913—1914, ტ. III, განყ. II, გვ. 45—48.

„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ კრე-ზათა ოქმებში № 35 მოიპოვება ანგარიში იუსტინე ირაკლის ძის აბულაძის რეფერატზე: „ბარამ-გულიჯანიანი და რუსთველის პოეტური შემოქმედება“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ავტორს გაუტარებია პარალელები ბარამ-გულიჯანიანსა და ვეფხისტყაოსანს შორის. ავტორის აზრით, რამდენადაც მათი სიუჟეტები ერთმანეთისაგან არ განირჩევიან, მათ საერთო წყარო უნდა ჰქონდეთ. ამრიგად რუსთაველს უსარგებლია სპარსული სიუჟეტით, მაგრამ შეუცვლია, გარდაუქმნია და პოეტური შემოქმედების მარგალიტად უქცევია.

აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიუღიათ: ე. ს. ყიფშიძეს, რომელსაც აღუნიშნავს, რომ პირიქით ვეფხისტყაოსანს მოუხდენია გავლენა ბარამ-გულიჯანიანზეო (Смисание, I, გვ. 561); დ. გ. კარიჭაშვილს; ე. კარბელაშვილს, რომელიც არ ეთანხმება მოსე ჯანაშვილს პოემის ორიგინალურობაში. ალ. სარაჯიშვილს აღუნიშნავს, რომ რუსთაველმა ხალხურიდან აიღო პოემის შინაარსი. სარჯის კაკაბაძეს წამოუყენებია დებულება თითქოს რუსთაველს XIV საუკუნეში უნდა ეცხოვროს.

666. ი. აბულაძე

რუსთველი და მისი ვეფხის ტყაოსანი

შესავალი წიგნისა: შ. რუსთველი—ვეფხის-ტყაოსანი ი. აბულაძის რედაქტორობით. მე-22-რე გამოცემა, თფილისი, 1914, LXIII + 266 გვ.

შინაარსი (გვ. II — LXIII):

შესავალი. I. პოეტის პიროვნების შესახები ცნობების უქონლობა. II. წყაროები ბიოგრაფიის შესადგენად. III. სახელწოდება რუსთველი. IV. პოეტის სახელი. V. პოეტის ეპოქა. VI. ქაჯის შესახები ძქმულება და „ვეფხის ტყაოსან“-ის სიუჟეტის საკითხი. ვეფხის-ტყაოსნის ხელ-ნაწერები. საერთო სურათი.

მცირედი შინაშენა (გვ. LXIV).

ავტორი არკვევს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს, სწავლობს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს პოემის ტექსტის ნამდვილი შედგენილობის დასადგენად და ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას.

უახლოესი საქიროება

გაზ. სახალხო ფურცელი, 1914, 4 ივლისი, № 29, გვ. 2—3.

ავტორი ქართული ენის წერისა და მეტყველების კულტურაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ საქიროა შემუშავდეს საერთო კანონები და ნორმები ლიტერატურული ენისათვის და ამასთან დაკავშირებით, ზოგი მორფოლოგიური საკითხის განიხილვაში საილუსტრაციო მასალა მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან. ზოგ არსებით სახელებსა და ზმნიზედებში „თ“-სა და „დ“-ს მართებულად გამოყენების სანიმუშოდ მოჰყავს: „ეთქვენი ქებანი ვისნი მე არ ავად გამოჩეული“. ზმნებში „პ“-ს დაგმობა, ავტორის შენიშვნით, დიდი ცოდვაა. რუსთაველს აქვს: „რომელმან შეჰქმნა“, „ზეგარდმო არსნი სულითა ჰყენა ზეით“, „თვით ჰზის ლალი და წყნარია“, „წაჰბდა საქურკლე“ და სხვ.

ავტორი უარყოფს მეორე უარყოფის საქიროებას და ასახელებს რუსთაველის მაგალითებს: „თვისსა ხეაშიადასა არაეისთან ამელავენდეს“ დღეს იტყვიან „არაეისთან არ ამელავენდეს“, რაც მცდარია.

808. ს. ლა—ნი

ბიბლიოგრაფია

შოთა რუსთველი და მისი პოემა სიმონ ქვარიანისა

ჟურნ. კლდე, 1914, 2 მარტი, № 9, გვ. 14—15.

ავტორი აღნიშნავს სიმონ ქვარიანის წიგნში წამოყენებულ მთავარ დებულებებს შემდეგ საკითხებზე—ეპოქა, როდესაც დაიწერა ვეფხისტყაოსანი, ვინ იყო შოთა და რა უდევს დედააზრად პოემას. ავტორის შენიშვნით, ს. ქვარიანი თავის დასკვნებში ემყარება სუბიექტურ ნიადაგს. ავტორის აზრით, აღებული საკითხების გადასაწყვეტად საქიროა ტექსტის კვლევა. საქიროა პოემის ლექსიკის, საქართველოსა და პოემაში დახატული ქვეყნების ზნეჩეულებს, მსოფლმხედველობისა და გმირთა ხასიათების შესწავლა კლასიკური ეპოქის ქართველობასთან შედარებით და ბოლოს საქიროა პოემის ხელნაწერთა ყველა ვარიანტის შედარება.

809. დ. თ.

ფურცელი კივიდან. პროფ. შარის პატივსაცემი საღამო

ჟურნ. განათლება, 1914, თებერვალი 2, გვ. 154—156.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. ჯორჯიკიამ რეფერატში შარის მოღვაწეობის შესახებ გაკერით მოიხსენია შარის აზრი იმის შესახებ, რომ „ჩაბრუნაძე და შოთა ერთი და იგივე მწერალი იყოს. და რომ ვითომც ვეფხისტყაოსანი ნათარგმანებია სპარსულიდანო“. ავტორი დასძენს, რომ მომხსენებელს უნდა მოეყვანა ბროსეს, ჩუბინაშვილის, პლ. იოსელიანის, ხახანაშვილის, ილ. ჭავჭავაძის და სხვათა აზრი, რომელნიც მეფე ეახტანგივით ფიქრობენ, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი თვითონ მგოსანს გაუყეთებია“.

870. ვეფხისტყაოსანი

ურმათათვის ნამუშობი გ. იოსელიანის მიერ

ტ. ოცხელის და აზხ. წიგნის შალაზის გამოცემა

ქართ. შარის წ.-კ. გამ. საზ. კუთ. განყ. სტამბა, ქ. ქუთაისი, 1914 წ., 80 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის შინაარსს ცალკე თავების მიხედვით პროზად გადაკეთებულს გასაგები, მდაბიო ენით. ცალკეულ ადგილებში ჩართულია ვეფხისტყაოსნის სტროფები. დასაწყისი:

„არაბეთში ცხოვრებდა მეფე როსტევეან. ეს დიდებული მეფე იყო თავდაბალი, უბი მოწყალე, სამართლიანი მმართველი და მრავალი დამპყრის პატრონი—ამასთან ის იყო შეუღარებელი მეომარი და მეტად კარგი მოლაპარაკე“.

871. ბ. იაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და კონსტ. ბალმონტი

ვახ. თემი, 1914, 6 აპრილი. № 170, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ „შემთხვევით, ოლივერ უორდროპის მეოხებით [ბალმონტს] წაუკითხავს ინგლისურ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ და ისე გატაცებულა უკვდავი პოემით, რომ გადაუწყვეტია მისი რუსულად თარგმნა. ამ მიზნით იგი აპირებს საქართველოში მოსვლას, ენის შესწავლას და მცოდნე პირთა დახმარებით თარგმნას“. ამასთან დაკავშირებით ავტორი იგონებს, რომ ის 1913 წლის ზამთარს პარიზში ყოფნისას ხედებოდა ბალმონტს, მისი თხოვნით უკითხავდა ვეფხისტყაოსნის რჩეულ ადგილებს და უთარგმნიდა სიტყვებს, რის შემდეგაც ბალმონტს ალტაცებით წარმოუთქვამს: „მრავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია და საქართველოში, რომელიც ისე ახლოს არის და რომელიც სიყრმიდან მიყვარდა და მიყვარს. ჯერ არ ყოფილა. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახულ სილანხის შემდეგ, მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი, ტკბილი სიზმრის: მშვენიერი დასასრული ყოფილიყო“.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ბალმონტი ქართული ენის შესასწავლად და ვეფხისტყაოსნის სათარგმნელად სპეციალურად ჩამოვა თბილისში..

872. დავ. კარბელაშვილი

„შოთა რუსთაველი და მისი პოემა“

ვახ. ჩვენი ერი, ქუთაისი, 1914, 11 მაისი, № 42, გვ. 3.

ბიბლიოგრაფიულ წერილში ავტორი აღნიშნავს სიმ. ქვარიანის წიგნის მთავარ დებულებას იმის შესახებ, რომ როსტევეან-ფარასადან—გიორგი III და ნესტანი — თამარი გამართლებული პარალელებია, ვეფხისტყაოსნის მოქმედი გმირნი ქართველები არიან და ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია. ამასთან ავტორი უწყვედღერებს ქვარიანს ქართველთა უსაზღვრო განდიდებას: და აღნიშნავს იმ მოსაზრების მტდარობას, თითქოს სამი რამ ამავრებდა ქართველ ერს—სჯული, ენა და ვეფხისტყაოსანი. ავტორის დასკვნით, ს. ქვარიანის წიგნი ვერ აბათილებს პროფ. მარის აზრს ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან გადმოთარგმნის შესახებ.

873. თედო რაჭიკაშვილი

„ხალხური ვეფხისტყაოსანი“. „რუსთაველის ნათქვამები“ საერთო სათაურით:

ხალხური ლექსები (ქართლში შეკრებილი თედო რაჭიკაშვილის მიერ)

წიგნში: ძველი საქართველო, 1913 — 1914, ტ. III, განყ. II, გვ. 185—190.

ტექსტში მოიპოვება ლექსები 1238 — 1267 ნომრებით ვეფხისტყაოსნის მოტივებზე—ტარიელზე, ლერწამ-დარეჯანსა და ფრიდონზე, მაგ., № 1239:

„მინდვრად ენახე ერთი მოყბე, ცრემლსა მისგან ნამდინარსა,
ჭკვანდა გმირსა ნამტირალსა, ვუბენ და არ მფუბნა,
მთელი ველი დაეთრავილა, ხელი მიიფარა პირსა“ (გვ. 185).

874. თედო რაჭიკაშვილი

ხალხური ვეფხისტყაოსანი (კახეთში შეკრებილი)

წიგნში: ძველი საქართველო, 1913—1914, ტ. III, განყ. II, გვ. 226—228.

175—187 ნომრებით მოყვანილია ტექსტები ვეფხისტყაოსნის მოტივებზე. მაგ.:

„ტარიელ, მისთვის გიყვარდი, თოქსა მოვიბამ ყელზედა,
გაფხრდილვარ შენსა შკლაზედა, წავალ და გადაეარდები
თუ შენს თავს მომაშორებენ, დიდსა მალასა კლდეზედა“.

375. შ. რუსთველი

ვეფხისტყაოსანი

ი. აბულაძის რედაქტორობით. ამხ. „წიგნობრობის ქვეყანა“-სი

მე-22-რე გამოცემა, თფილისი, 1914, L XVII + 266 გვ.

ტექსტი შეიცავს XXXI + 1519 + 05 სტროფს, რომელშიაც განმეორებული ნუმერაციითა და განსხვავებული შრიფტით მოიპოვება ე. წ. ჩანართი სტროფები. აქედან XXXI სტროფი, „რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს“ (გვ. 1—5), პოემის ტექსტი (გვ. 5—192) და „დასასრული რომელიც მიეწერება შოთა რუსთველს“ (გვ. 193).

ტექსტს წინ უძღვის:

წინა-სიტყვა (გვ. I); რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი (გვ. II—LXIII); მცირედი შენიშვნა (გვ. LXIV).

ბოლოში ერთვის:

ნასესხები და იშვიათი სიტყვები (გვ. 185—202); ძველი ქართული სიტყვები (გვ. 203—226); საკუთარი სახელები (გვ. 227—232); საკუთარ სახელთა და ცნებათა საძიებელი (გვ. 233—251); ვარიანტები (გვ. 252—265); ჩემი უმთავრესი შესწორებანი (გვ. 265—266); შესწორებანი და შენიშვნანი (გვ. 266).

376. Konstan Tiniú

ლიტერატურული ვანდალიზმი

გაზ. ჩ ე ვ ნ ი ე რ ი, ქუთაისი, 1914, 30 აპრილი, № 35, გვ. 3;

1 მაისი, № 36, გვ. 2—3.

ავტორი ილაშქრებს იმ მწერლების, წინააღმდეგ, რომელნიც ხალხის იდეალების სამსახურის სახელით შეურაცხყოფენ წარსულ ქართულ დიად სახელებს, მათ შორის შოთას, რომელსაც მოცილილ კაცს უწოდებენ. ფილიპეში ავტორი გულსხმობს ფილიპე მახარაძეს, პეტრეში — პეტრე გელეიშვილს. „კრიტიკოსმა მახარაძემ გააანამართლა რუსთაველი“ (№ 36), ის ვეფხისტყაოსანს „უსაქმური კაცის ქვეის ნაყოფად“ ნათლავსო.

377. [უაცტორო]

[განცხადება ვეფხისტყაოსნის გამოცემაზე]

გაზ. სახალხო გაზეთი, 1914, 12 იანვარი, № 1089, გვ. 4;

14 იანვარი, № 1090, გვ. 6.

ტექსტი მომყავს სრულად:

„ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის რედაქტორობით განზრახულ „ვეფხისტყაოსნის“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ. იუსტინე აბულაძე და სარგის კაკაბაძე ამით აცხადებენ, რომ მათ თავის ხელის მომწერთა უკეთ დასაკმაყოფილებლად. საუმჯობესოდ დაინახეს თავისი გამოცემის გაერთიანება. ბ-ნთ აბულაძისა და კაკაბაძის ხელისმომწერნი მოიღებენ „ვეფხისტყაოსანს“ ორთავ პართა საერთო გამოცემას, რომელიც შეიცავს: 1) გამოკლეჯას ს. კაკაბაძისა, 2) გამოკლეჯას ი. აბულაძისა, 3) ტექსტს, შემუშავებულ ს. კაკაბაძის მიერ და 4) ვრცელს ლექსიკონს ი. აბულაძისა.

წიგნს ექნება სურათები მე-17 საუკუნ. მინიატურებიდან. ბ-ნ აბულაძის წიგნის მანეთიანი ხელის მომწერლები მიიღებენ ამავე გამოცემას უსურათებოდ.

წიგნი გამოვა იანვრის დამდეგს და მაშინვე დაუროგდება ხელის მომწერლებს.

ბ-ნ აბულაძის ადრესი: Тифлис, Алашар, Кабгеровская 29.

ბ-ნ კაკაბაძის ადრესი: Тифлис, Высшие женские курсы“.

878. [უავტორო]

ანგარიში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო
საზოგადოების მოქმედებისა 1913 წელს

ჟურნ. კლდე, 1914, 8 თბათვე, № 23, გვ. 7—8.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საბჭომ „დაადგინა შეერთებულის ძალით გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი ყველა ვარიანტის ჩვენებით (საბჭოს ოქმი № 76)“ (გვ. 8).

879. [უავტორო]

წერილი აშუბი [ვეფხისტყაოსნის თარგმნა]; კ. ჯ. ბალმონტი თბილისში.
კონსტ. ბალმონტის ღებუა. „ორი გენიოსის შესვენა“

ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1914, 6 აპრილი, № 5, გვ. 16;
22 ივნისი, № 16, გვ. 16.

ჟურნ. კლდე, 1914, 20 აპრილი, № 16, გვ. 13.

გაზ. თემი, 26 მაისი, № 177, გვ. 2; 20 ოქტომბერი, № 190, გვ. 4.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ „რუსეთის შესანიშნავეს მგოსანს კ. ბალმონტს, განუზრახავს ქართული ენის შესწავლა, რათა დედანში წაიკითხოს „ვეფხისტყაოსანი“ და ისე შეუდგეს თარგმნას“ (№ 5).

კ. ბალმონტმა უკვე გადათარგმნა ვეფხისტყაოსნის შესავლის 16 ტაეპი და გამოუგზავნა თამარა როს. ყანჩელისას (№ 16).

ავტორი აღწერს ქართველი საზოგადოების გულთბილ შეხვედრას პოეტ ბალმონტთან მის პატივსაცემად გამართულ საღამოზე, რომელზედაც მას რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსი წაუკითხავს. დასასრულ აღნიშნულია, რომ „ბალმონტი აპირებს რამდენიმე ხანი აქ დარჩეს, რომ ქართული ენა შეისწავლოს და „ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნოს“ (ჟურნ. „კლდე“).

ტექსტი წარმოადგენს მცირე შენიშვნას, რომლის მიხედვით 21 მაისს, კონსტანტინეობა დღეს პარიზში ბალმონტისათვის ქართველთა ერთ ჯგუფს გაუგზავნია მისალაოცი ღებუა, რაზედაც 23 მაისს პარიზიდან ბალმონტს გამოუგზავნია პასუხად შემდეგი:

Святыню Грузии—поэму Руставели

— Я, Славянин, клянусь явить в моей свирели,

Звезды пленительной ловлю блестящий след,

— От брата и сестры сердечный шлю привет (გაზ. „თემი“, № 177).

ავტორი ეხება ბალმონტის მიერ რუსულ ენაზე ვეფხისტყაოსნის თარგმნის დაწყებას და აღნიშნავს, რომ ამ ფაქტით ორი გენიოსი შეხედა ერთმანეთს, რომელთაც შემოქმედებითად აერთებთ მზახ: ერთგვარი გრძნობა. რუსთაველი მზიდან მოდის, ბალმონტი მზისაკენ მიდის. ავტორს მოჰყავს სანიშნოდ რამდენიმე სტროფის თარგმანი და აღნიშნავს, რომ მათ ატყვიათ თანაგენიოსური ბეჭედი.

880. [უავტორო]

შემოწირულება

გაზ. სახალხო ფურცელი, 1914, 19 ივლისი, № 42, გვ. 4.

ალ. ივ. სარაჯიშვილის შეუღლის და მისი შეიღების მიერ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეწირულ ხელნა-

წერთა შორის მოხსენიებულია: 1. ვეფხის ტყაოსნის ყალბი ადგილები, 2. არტანუჯის ვარიანტი „ვეფხის-ტყაოსნისა“, 3. М. И. С. О. „ვეფხის-ტყაოსანი“ (რუსულად), 4. ვეფხის-ტყაოსნის განმარტება (რუსულად).

881. [უაფტორო]

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები]

შემომწირველთა და შემოწირულობათა სია 1911 წელს.

წიგნში: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებათა ოქმები, წლიური ანგარიშები, სარევიზიო კომისიის აქტები, შემომწირველთა და წვერთა სიები 1907—1912 წლებისა, ტფილისი, 1914, გვ. 193—214.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის შეწირული ნივთებისა და წიგნების სიაში მოხსენიებულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები შემდეგი ნომრებით: 1911 წელს—9, 18; 1912 წელს—3, 244, 248.

882. სიმონ ქვარაიანი

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

სურვი გერსამიას გამოცემა, ქუთაისი, 1914, 86 გვ.

ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ ცდას რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებზე. ავტორი ზოგადად ეხება საქართველოს ისტორიის ტრაგიკულ ბედს და იმოწმებს შოთა რუსთაველის სათანადო აფორიზმებს საწუთროს გელტანლობაზე, ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას ქართველთა ცხოვრებისათვის.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის შეუსწავლელობას და მის გაუცნობლობა-გელტანლობას მსოფლიო მეცნიერებაში. ახასიათებს რუსთაველის წინა დროის ქართული კულტურის გარემოცვას, რამაც შეამზადა შოთას საუკუნე და მისი მოვლინება.

რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების მიმოხილვის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში არაფერია ელინურ-ქრისტიანული, ის ეროტიკული ხასიათისაა. შოთა უგალობს ზენაარ სიყვარულს, იქ ჩანს აღმოსავლური მელანქოლია, რაინდობა, ფატალიზმი,..., და სპარს-არაბული ენა, სული და ტენდენცია (გვ. 14). ავტორი პოემის შინაარსის მიმოხილვის შემდეგ შენიშნავს, რომ ლეგენდას შოთა-თამარის სიყვარულზე სინამდვილეში საფუძველი არა აქვს (გვ. 22). განიხილავს რუსთაველის შემოქმედებაზე გამოთქმულ შეხედულებებს და აკრიტიკებს აკაი წერეთლისა და ილია ქაქავაძის მოსაზრებებს, რომელთაც თითქოს ვერ შეამჩნიეს „ინდივიდუალური სახე და ისტორიული სიმართლე“ (გვ. 28). ავტორს მცდარად მიაჩნია ნ. მარის აზრი პოემის ამბის სპარსულობის შესახებ.

რუსთაველის ცალკეული საკითხების განხილვისას ეხება პროფ. დ. ჩუბინაშვილის, მარი ბროსეს, დიმ. ბაქრაძის, გულაკის, ალ. ხახანაშვილის, ვაფაფშაველას, ალ. იოსელიანის, ალ. ნანეიშვილის, მოსე ჯანაშვილის, მურავიოვის მოსაზრებებს და მათ შეხედულებებს ალაგებს სამ ჯგუფად: პირველი—რომ ეროვნულია პოემა, მეორე—რომ ხალხურიდანაა აღებული, მესამე—რომ საქართველოს ისტორიაზეა დაფუძნებული.

ავტორის აზრით, პოემაში არ ჩანს თამარ მეფის საქართველო და ამ მხრივ ანალოგიებს საფუძველი არა აქვს. რუსთაველმა დახატა ქობულეთის ციხეში გამომწვევადი ნესტან-დარეჯან თანარ ბედ-შავი, რომელ-

საც ჰყვარებია ვილაც გამოჩენილი კაცი, ნათესავი. ტარიელის პროტოტიპია დემნა, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, რომელიც გიორგი მეფემ სიკვდილით დასაჯა.

ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებს თამარის ისტორიასთან დაკავშირებით და ასკენის, რომ რუსთაველმა დახატა სიყვარული ბიძაშვილთა შორის და სასახლის დრამა, რაც ისტორიული ფაქტი იყო.

დასასრულს, ნაშრომს დართული აქვს „წყაროები“ რუსთაველზე 29 სახელწოდებით.

882. — ძე

ლექციები ჭიათურაში

გახ. სახალხო გახეთი, 1914, 11 იანვარი, № 1088, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას 5 იანვარს ჭიათურის თეატრში გ. ნათაძის მიერ წაითხულ მოხსენებაზე — „დონკიხოტი, ჰამლეტი და ვეფხისტყაოსანი“. ლექტორს გაუკრიტიკებია ს. კაკაბაძის მოსაზრებანი შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე და აღუნიშნავს, რომ XIV საუკუნეში, წინააღმდეგ ს. კაკაბაძის მტკიცებისა, შეუძლებელი იყო საქართველოში ვეფხისტყაოსნის წარმოშობა. მომხსენებელს აღუნიშნავს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისით. მისი აზრით, ზოგი ფილოსოფიური ტაეპი ვეფხისტყაოსანში XVIII საუკუნეში უნდა იყოს ჩამატებული, რადგან ისინი ამ ხანის მეცნიერებას ეკუთვნიან და რუსთაველის დროს მათზე ლაპარაკი შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან ერთად, მომხსენებლის განცხადებით, ვეფხისტყაოსნის შესავალი თავისი ცრუკლასიკური ხასიათით რუსთაველს არ ეკუთვნის.

884. **ფვანე ჯავახიშვილი**

ქართველი ერის ისტორია

ტფილისი 1914, II, გვ. 640 — 666.

რუსთაველის ეპოქის კულტურისა და ლიტერატურის წარმოშობა-განვითარების საკითხების განხილვისას ავტორი ეხება რუსთველოლოგიის ზოგიერთ საკითხს — ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სადაურობას, ქალის კულტს, პოემის დაწერის თარიღს, ს. კაკაბაძის მიერ 1913 წელს ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემას და მასში მოცემულ თეორიასთან დაკავშირებით იხილავს ს. კაკაბაძის მიერ წამოყენებულ მთავარ დებულებებს. ავტორი შენიშნავს, რომ „ის ვითომცდა საისტორიო საბუთები, რომელიც ხუხულასავეთ აგებული აქვს ავტორს [კაკაბაძეს], უმეტეს შემთხვევაში სრულებით საძიებელს საგანს არ ეხება და უმთავრესად „ვეფხისტყაოსნი“-ს ყალბ ხანებზე არის დამყარებული, რომელთაც არაერთად ღირსება არა აქვთ“ (გვ. 662). ავტორს შეუძლებლად მიაჩნია არჩილის ცნობილი ტაეპის — „ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა“, კაკაბაძისებური კომენტირება, რომლის მიხედვით თითქოს არჩილი რუსთაველს თამარის თანამედროვედ არა თვლის და რაც კაკაბაძეს მიაჩნია ერთ-ერთ ძირითად საბუთად შოთა რუსთაველის თამარის თანამედროვეობის წინააღმდეგ. ამ ტაეპის დეტალური განხილვით ავტორი ასკენის, რომ პირიქით „არჩილს შოთა რუსთაველი მხოლოდ თამარის თანამედროვედ მიაჩნია“ (გვ. 664).

ს. კაკაბაძის დაკვირვება ზოგიერთ სიტყვებზე (სკამი, მოლარე, ხანი), რომელსაც ის ქრონოლოგიურ საბუთად იყენებს თავის თეორიაში იმის შესახებ, რომ „XII საუკ. დასასრულს საქართველოში ჯდებოდნენ სელზე, სასახლეში ოქროქედილ სელზე“, და რადგან ეფთხისტყაოსნის გმირნი ჯდებიან „სკამზე“ და „ბალიშზე“, ჩანს პოემატე შემდეგ უნდა იყოს წარმოშობილი, — ავტორს მიაჩნია მეთოდოლოგიური შეცდომისა და სპეციალური ლიტერატურის არ ცოდნის შედეგად. ავტორი დოკუმენტალურად ასაბუთებს, რომ სკამის ხმარება არა თუ XII საუკუნეში, არამედ „უკვე XI ს. ჩვეულებრივი სიტყვა და გიორგი მთაწმიდელი ხმარობს თავის თხზულებაში“. ამის გარდა, „თვით თამარ მეფის ისტორიკოსსაც აქვს „სკამი“ ერთხელ ნახმარი“, და ყოველივე ამის მიუხედავად „სელი და სკამი ერთი და იგივე არ არის, არამედ თვითოეულს თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“ (გვ. 665). ავტორი ასევე შენიშნავს სიტყვა „მოლარე“-ს ხმარების შესახებ ეფთხისტყაოსანში, რასაც ს. კაკაბაძისათვის საბაბი მიუცია პოემის დაწერის თარიღი XIII საუკ. იქით გადაეწია, რადგან მას ეს სიტყვა არ ეგულება XII საუკუნეში „მეპურქელესთან“ ერთად. ნამდვილად კი „მოლარე“ საქართველოში XIII ს. კი არ შემოდის პირველად, არამედ უკვე X ს. იხმარებოდა“ (გვ. 665). ავტორი ასაბუთებს, რომ ს. კაკაბაძე სწორედ არ იგებს „ხანი“-ს მნიშვნელობას ტაბში „რამაზის კაცი მემთვია, ვინ ხატეთის ხანია“, რაც აგრეთვე მას მიუჩნევია შემდეგი დროის თურქულ-თათრულ შენაძენად, ნამდვილად კი „სიტყვა ხანი კანტიკულ-მონღოლებზე წინადაც იხმარებოდა, მაგ., თურქისტანში XI—XII ს. ცნობილი იყვნენ „ილეკ-ხანები“ (გვ. 666).

ავტორი ამასთან ერთად ჩერდება საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ და სოციალურ-ეკონომიურ პირობებზე, რომელთა საფუძველზედაც გაიშალა საქართველოში კულტურული, მეცნიერული და ლიტერატურული მუშაობა და რომლის ნაყოფიც რუსთაველის პოემაა; დასასრულს ავტორი არკვევს რუსთაველის იდეოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ საფუძველს.

866. И. Джавахов

Грузинская Литература

წყნბნი: Энциклопедический словарь т-ва „Гр. А. и И. Гранат и К-о“. Седьмое, совершенно переработанное издание, под редакцией проф. Ю. С. Гамбарова. Москва, [1914], том семнадцатый—Грешия—Ларвин, гв. 237—251.

ძველი ქართული კლასიკური მწერლობის მიმოხილვისას ავტორი წერს:

„В эпоху же Тамары жил и знаменитый грузинский поэт Шота Руставели. Главное его произведение, создавшее ему неувядаемую славу, романтическая поэма „Витязь в барсовою шкуре“, с набранным замечательным введением. Со слов самого автора известно, что сюжетом для поэмы взята персидская повесть, которая была знакома в грузинском переводе, сделанном, видимо, задолго до него. Ни персидский оригинал, ни его перевод до нас не дошли, и пока затруднительно выяснить, в чем заключались те изменения, которые Руставели вносил в обработку сюжета. Из введения поэмы видно, что Шота Руставели был проповедником возвышенной, идеализированной любви и поэт считал певцом этого высокого чувства, кукла женщины; он был апологетом рыцарской любви и образы такой любви рисует в своей поэме. В авторе заметна начитанность в философской неоплатонической литературе. Творение Руставели по достоинству считается шедевром груз. поэзии (გვ. 248).

ისტორიული სურათები, ქართული ეკლესიის გამოყოფა საბერძნეთის ეკლესიიდან და ქართველი ქალი
 ქ. გორი, მსწრაფლ-მბეჭდველი სტამბა „ქართლი“, 1914, 285 გვ.

თამარისათვის საქმროს შერჩევაზე და მასთან დაკავშირებულ ისტორიულ საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ანალოგიას ხედავს ნესტანისათვის საქმროს შერჩევა-გათხოვებასა და თამარის გათხოვებას შორის. ავტორის განმარტებით სოსლანი — ტარიღლია, თამარი — ნესტანი; მოჰყავს სათანადო სტროფები ვეფხისტყაოსნიდან (გვ. 146).

ავტორი აღნიშნავს, რომ თამარისათვის საქმროდ თავიდანვე უნდოდათ დავით სოსლანი, რის გამოც ორ ნახევარი წლის განმავლობაში თამარმა არ მიიკარა გიორგი რუსი და შეილიც არ გაუჩნდა. „იმას უნდა ეცადნა სამი წელიწადი, როგორც სწერია ვეფხვის ტყაოსანში, შეენახა თავისი თავი უმანკოდ, რომ დაუქვანბელი შეჰყროდა თავის საქმროს დავითს“ (გვ. 147).

1915

887. **ოხებე არიმათიელი [იმედაშვილი]**

შოთა რუსთაველი და კონსტანტინე ბალმონტი

ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1915, № 41, გვ. 6—8.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ბალმონტის მიერ ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ნაწყვეტების წაკითხვის გამო. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას, რომელსაც უწოდებს „სამშუალო საუკუნეთა ევროპაში სიყვარულის პირველ ჯვაროსანს“.

ავტორი ეოკლედ ახსიათებს ბალმონტის მუშაობას ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანზე და შენიშნავს, რომ მისთვის ვეფხისტყაოსნისადმი ინტერესი მარჯორი უორდროპის ინგლისური თარგმანის წაკითხვას გაუღვიძებია. ავტორის საერთო შენიშვნით, ბალმონტის თარგმანი შიგა და შიგ საუცხოვოა „მაგრამ მაინც რაღაც წყალ-წყალაა, — ის სიძლიერე და სხარტად გამოთქმა, შოთას რომ სჩვევია, თარგმანში ვერ შეუნიშნეთ (სმენის დროს)“, რასაც იმით ხსნის, რომ ბალმონტს თარგმანის თარგმანით უსარგებელია:

„თარგმანი დედნის მაგიერობას ვერ სწევს... დედანში თუ ახრთა სიღრმეს, შედარებათა სიღრმეზე ყოველ აწკარში რაღაც იდუმალ დიალობას ჰხედავთ და ჰგრძნობთ, თარგმანში ისმენთ მშენიერ ლექსთ-წყობილობას, საუცხოვოთ ვალექსილ ამბავს... თითქო შოთას სიგრძე-განი რუსულს ენას ვერ დაეფულოს... შოთას თარგმნა მესამე პირით არ შეიძლება, არც ის კმარა მხოლოდ სიტყვები გადაიღო პირდაპირ, — აქ ენის სულის, განსაკუთრებით შოთას სტილის შეთვისებაცაა საჭირო... პატივემულს მგოსანს ე. ბალმონტს-კი როგორც სჩანს, თარგმნით უსარგებელია“ (გვ. 7).

ავტორის დასკვნით, „დღემდე შოთას ასეთი ენაშხიანი, შეგნებული მთარგმნელი არაეინ გაძოსჩნია“. დასასრულს აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის მნიშვნელობა ქართული კულტურის უცხოელთათვის გააცნობის საქმეში.

ბალმონტის მუშაობამ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე ქართულ საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება გამოიწვია. მაშინდელ. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი წერილები, მიძღვნილი ე. ბალმონტის მიერ ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნისადმი (გაზ. „სახალხო ჟურნალი“, „თანამედროვე აზრი“, „მეგობარი“, „სამშობლო“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“), მცირე წინასიტყვაობით ყველა ერთად თავის ჟურნლებზე მოათავსა ჟურნ. „განთიადმა“ საათური-ვეფხისტყაოსანი“ რუსულათ“ (1915, 15 ოქტომბერი, № 16, გვ. 26—32; 1 ნოემბერი, № 17, გვ. 25—26).

გაზ. სახალხო-ფურცელი, 1915, 30 აპრილი, № 271, გვ. 2

ავტორი მსჯელობს თამარ მეფის ისტორიულ მნიშვნელობაზე, მისთვის, მეფის წოდების მინიჭების მართებულებაზე და შენიშნავს;

„შოთას წარმომშობელ ერის ენა ისე არ დაქინდებოდა, რომ ღირსი სახელი ვერ ეპოვნა. ვისთვისმე, და ავი უპოვნა კიდევ: უწოდა დიდი მეფე — თამარი“. და განაგრძობს: „თვით ამავე ხანამ ჰქმეა დიდი პოეტი შოთა, რომელმაც ხმა აღიმაღლა და საქვეყნოდ სთქვა: „ლექვი ლომისა სწორია, ძე იყოს, თუნდა ზეადია“-ო.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველომ ასეთი პროგრესული იდეალების ქადაგებაში თვით ევროპასაც გაუსწრო.

869. ვ. გურკო

ქალის კულტი საქართველოში

(ლექცია ვ. გურკოსი, არტისტიკულ საზ. საკონცერტო დარბაზში 7 გიორგობისთვის წაითხული).

გაზ. საქართველო, 1915, გიორგობისთვის. 12, № 141, გვ. 2; 13, № 142, გვ. 2-14, № 143, გვ. 2; 19, № 147, გვ. 2; 20, № 148, გვ. 2; 24, № 150, გვ. 2; 25, № 151, გვ. 2; 26, № 152, გვ. 2.

ავტორი უსაყვედურებს რუს მწერლებსა და პოეტებს, რომ მათ ვერ შეძლეს საქართველოს სინამდვილის ასახვა და ზერელე წარმოდგენა უცვლილ ნამდვილ ცოდნას ქართულ მდიდარ კულტურაზე. იგი გაკვირით უსაყვედურებს პუშკინს, ლერმონტოვს, განსაკუთრებით კუპრინს, რომელთაც ყალბი სახეები შექმნეს ქართული სინამდვილის შესახებ. მაგ., კუპრინს, თავის „ჩუგურმულში“ (Чугурмул) სასაცილო მდგომარეობაში გამოჰყავს ქართველი თავადი ნიქარაძე, რომელიც „გაგიფებით ამტკიცებდა, რომ რუსთველი ათასჯერ მაღლა სდგას შექაპირზეო“ (№ 141). ავტორი ფართოდ აყენებს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას ქალის კულტთან დაკავშირებით.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველი ქალის სილამაზის ქებასთან ერთად, მწერლობაში ყალბად იყო დახატული მისი ნამდვილი სახე. ისინი ქართველ ქალში ციურ სიტურფესთან ერთად, დემონიურობის განსახიერებასაც ხედავენ (№ 142).

ავტორი აღნიშნავს, რომ „მთელი კულტურა, მთელი მსოფლმხედველობა ქართველებისა ატარებს ქალურს ხასიათს“. ავტორი ეხება ქალის კულტის საწყისებს — თამარ მეფის კულტს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. აღნიშნავს მის პოპულარობას და იმ ფაქტს, რომ „შოთა რუსთაველმა ამ სათაყვანებელ დედოფლის შესაქებად დასწერა უკედავი პოემა და რამდენიმე ზოტა“ და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტროფი, რომელსაც სქოლიოში ერთვის მათი რუსული თარგმანი ავტორის შესრულებით (№ 143).

ავტორი სწავლობს ქართველ ქალს ოჯახში, ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით (№ 147). ავტორი აღნიშნავს ქართული მწერლობის ძეგლების დაკარგვას, რაც, მისი აზრით, იქიდანაც ჩანს, რომ ვეფხისტყაოსნის უკანასკნელ სტროფში ოთხი დამოწმებული ავტორიდან ორი დაკარგულია. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანზე გავლენა მოუხდენია სპარსული იტერატიურა. სქოლიოში წერილს. აქვს შენიშვნა, რომ რუსთაველმა, ამოწურა აღმოსავლეთის სიბრძნე.

ქართული ისტორიული ცხოვრების ცუდბედობის აღნიშვნისას ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართული ლიტერატურული ძეგლები შეირყენა და „ამ მხრივ ყველაზე მეტი ზიანი სწორედ „ვეფხისტყაოსანს“ მოუვიდა. ამ პოემას ზიანი მიაყენა არა თუ საუკუნეთა აღრეულობამ, არამედ ბერ-მონაზონთა იერიშისა გამო, რომელნიც კლილობდნენ მის მოსაპობას ჯერ კიდევ თამარის დროიდან, როგორც ანტიქრისტიანულ ხასიათისა და ფრიად მავნე ნაწარმოებისას. იყვნენ ისეთნიც, რომელნიც მოსაპობის ნაცვლად შეკეთებას პლამობდნენ. ამ მიზნით ბევრმა თავისი აზრები ჩაურთო; გამოაკლო, გაათართოვა, შეამოკლა. ერთი სიტყვით შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასე შერყენილი სახით არც ერთს ნაწარმოებს არ მოუღწევია ჩვენამდე, როგორც „ვეფხისტყაოსანს“.

ავტორი ეხება მარის შრომას ქალის კულტის შესახებ ვეფხისტყაოსნის მიხედვით და მოკლედ გადმოსცემს მის მთავარ დებულებებს და სპეციალურად არჩევს რუსთაველის სიყვარულის თეორიას და პოემის სიუჟეტსა და გმირთა ურთიერთობას სიყვარულის შოტივის გასაშლელად (№ 148).

ავტორი ეხება ქართულ სოციალურ ცხოვრებას—პატრონეზობას და რაინდულ კულტს ვეფხისტყაოსნის მიხედვით და აღგენს ქართველ რაინდთა სიყვარულის კოდექსის ნიშნებს (№ 150).

ავტორი ეხება ქალის კულტის განვითარებას საქართველოში, მის ძირებს სპარსულ ცხოვრებაში და აღნიშნავს, რომ ქრისტიანობამ საქართველოში ქალი კი არ დაამცირა როგორც ევროპაში, არამედ აღამაღლა (№ 151).

ავტორი აღნიშნავს სპარსულ გავლენას ქართულ რომანტიზმზე, ახასიათებს ტარიელს და ატარებს ზოგ პარალელს ვეფხისტყაოსნისა და ნიზამის რომანტიზმთან (№ 234). მისი დასკვნით, ქართულ კულტურაში ყველაფერი გადმოღებით არ აიხსნება, ბევრი რამ ირანული და ბიზანტიური არ არის, კერძოდ ქალის კულტის შექმნაში დიდი როლი ითამაშა თვით ქართული სტიქიის ქალურმა მიმართულებამ, რაც ქართველმა ერმა გამოხატა თუნდაც თამარის გაღმერთებაში, ანუ წმინდა ნინოს კეკელუი ლეგენდების შეთხზვაში ან ლეთის მშობლის ამბის გადმოცემაში. ქალის კულტი ქართული რომანტიზმის დედაბოძია, რომელიც „შოთას პოემაში მოკაზმულია სპარსული ორნამენტაციით“ (№ 152).

იგივე წერილების სერია დაიბეჭდა ვახ. „სამშობლოში“, ქუთაისი, 1915, 13 ნოემბერი, № 222, გვ. 4; 14, № 223, გვ. 4; 15, № 224, გვ. 4; 17, № 225, გვ. 4; 21, № 229, გვ. 4; 25, № 231, გვ. 4; 26, № 232, გვ. 4; 27, № 233, გვ. 2; 28, № 234, გვ. 4.

890. შოთა დადიანი

ქართველი ქალები ისტორიულ წყაროების და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით
(მოკლე მიმოხილვა მე-XII საუკუნეზე)

კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქციით
პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა,
ტიფლისი, 1915 წ., გვ. 3 — 28.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ტიპაჟის განხილვისას ქალ გმირებში ქართველი ქალების ანალოგიას ეძებს, როგორც პოემის ორიგინალობის დასაბუთების ერთ-ერთ პირობას, აღგენს ქართველი ქალის ისტორიულ სახეს და

გამოთქვამს აზრს, რომ ვეფხისტყაოსნის ქალთა ტიპების ისტორიული ფეს-
ვები საქართველოს წარსულში მოიპოვება. ვეფხისტყაოსანი წმინდა ეროვ-
ნულ ქართულ ნიდაგზეა აღმოცენებული, მასში ცოტად თუ ბევრად შესამჩნე-
ვია ძველი საქართველოს კვალი. რუსთაველმა დაგვიხატა ქართველ ქალთა..
მხატვრული სახეები, იმ ქალებისა, რომლებსაც თითონ იცნობდა და იცოდა.
გადმოცემით, ან მატინანეს წყალობით.

ქართველი ქალის პრესტიჟის ისტორიულ განვითარებას, ავტორის აზ-
რით, ხელი შეუწყო სასულიერო წოდებამაც, რომელთანაც თანამშრომლობაში
ქრისტიანობა ეროვნულ სამსახურად იქცეოდა და ქალი იდეალდებოდა.

891. ხამსონ დადიანი

აკაკი როგორც ცისა და მიწის შვილი

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 8 თებერვალი, № 205, გვ. 3.

ავტორი პოეზიის და კერძოდ აკაკის პოეზიის დანიშნულებისა და თემა-
ტიკის განხილვისას, რომელიც, მისი აზრით, განპირობებული იყო მისი ერის
პოლიტიკური მდგომარეობით, აღნიშნავს, რომ შედარებით აკაკის და სხვა
მის თანამედროვე მწერალთა შეხედულებასთან რუსთაველის თეორია და მისი
ვეფხისტყაოსანი „ზოგად კაცობრიულისა და მარადიულის“ მერ ელემენტს.
შეიცავს.

ავტორი რუსთაველის შაირობაში მოცემული პოეზიის ვაგებზე მსჯელო-
ბისას აღნიშნავს: „შოთამ გაარღვია შედარებით ვიწრო ფარგალი ეროვნედი-
სა და ზოგად კაცობრიულ გენიას ეზიარა და ეს მოხდა იმიტომ, რომ თვით.
ქართველი ერი მეთორმეტე საუკუნისა იმდენად გალალდა, რომ მიაღწია ზო-
გად კაცობრიულ შემოქმედების წერტილს“.

დასასრულს ავტორი ეხება იმ პირობებს, რომელთაც შესაძლებელი გა-
ხადეს ასეთი გენიოსის წარმოშობა, და ახასიათებს მეთორმეტე საუკუნის
საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას.

892. ხამსონ დადიანი

ქართული „ილა-სალაშოები“

(პატარა შენიშვნები)

გახ. სახალხო ფურცელი, 1915. 13 ოქტომბერი, № 403, გვ. 3.

გახ. სამშობლო, 14 ოქტომბერი, № 198, გვ. 4.

ავტორი წერილის დასასრულს ეხება ბალმონტის მიერ ვეფხისტყაოსნის
რუსულად თარგმნას და აღნიშნავს მის ზოგიერთ ნაკლს. მისი აზრით, თარ-
გმნას აძნელებს ის გარემოება, რომ ვეფხისტყაოსანი ორნაირი შაირითაა დაწე-
რილი—მალალი და დაბალი შაირით, მოკაყეს ნიმუშებით. ამასთან ერთად ავტო-
რი იზიარებს პრესაში უკვე გამოთქმულ იმ შენიშვნას, რომ ბალმონტის თარგ-
მანში ლირიზმი სკარბობს პოემის დრამატიზმს, და პოემის მარგალიტები, სა-
დაც ერთი კალმის მოსმით მთელი ფილოსოფიაა გამოთქმული, თარგმანში ით-
ქვითება და იკარგება.

ავტორი მიუთითებს წვრილმან ნაკლსაც. მაგ. „სოლდათი“ ვეფხისტყაო-
სანში ყურის ეხამუშება, „ყმა“ ნათარგმნია „ჰან“-ად, რაც გაუგებრობას ქჰმნის.
დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხი უნდა ითარგმნოს არა-
„ნაჲ“-ად, არამედ „Тигр“-ად.

მეფე. ნიკო თავდგირიძე

ძველი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის მაგალითები

ფურც. განთიადი, 1915, 1 ივნისი, № 10, გვ. 13—14.

ავტორი ძველ ქართულ ოჯახში მწიგნობრობის კულტის არსებობაზე მსჯელობისას აღნიშნავს:

„ქართველი თავმომწონე ოჯახის შვილისათვის ისეთივე სირცხვილი იყო ვეფხის-ტყაოსნის კარგათ, ან მისი საუკეთესო ადგილების ზეპირათ არ ცოდნა, როგორც ახლა უმძლესს სასწავლებელში კურს დასრულებულთათვის პუშკინის, ან გოგოლის წაუციებელობა“.

მეფე. სარგის კაკაბაძე

ერთი ბრალდების გამო
(წერილი რედაქციის მიმართ)

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 14 აპრილი, № 257, გვ. 3.

წერილი დაწერილია არ. ჯ—შვილის წერილის საპასუხოდ (გახ. „სახალხო ფურცელი“, № 252, „მანულიშვილობა და მეცნიერება“, რომელშიც შეფასებული იყო ავტორის მუშაობა ვეფხისტყაოსნის საკითხებზე).

ავტორი აღნიშნავს, რომ მისი რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსანი ყოველშემთხვევაში პირველი ცდაა პოემის სრული ტექსტის გამოქვეყნებისა. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის ღირსება იმით არ დამცირდება, რომ მისი საუკეთესო ნაწილი ეკუთვნის არა შოთა რუსთაველს, არამედ სარგის თმოგველს, ხოლო შოთა, განგრძობილი და პოემის საბოლოო რედაქციის ავტორი, იყო შედარებით მერყეხარისხოვანი პოეტი და ცხოვრობდა ნეთხუმეტი საუკუნეში. ავტორი შენიშნავს, რომ არ. ჯ—შვილი შეიძლება იყ. ჯაფახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“-ში გამოთქმული აზრის გაუღენის ქვეშ არის, რომელშიც ეაკრიტიკებულია ს. კაკაბაძე. იყ. ჯაფახიშვილის კრიტიკა უსამართლო და უმართებულოა. მასში განგებ დამახინჯებულია და გადასხვაფერებული კაკაბაძის მოსაზრებები ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ ვეფხისტყაოსნის გამოცემა „ჩვენი ეროვნულ-კულტურულ ღირებულებათა შესაფერისად დაფასებით იყო გამოწვეული. იყ. ჯაფახიშვილი კი ვეფხისტყაოსნის გამოცემის ეითარების დამახინჯებით ცდილობს მიწასთან გაასწოროს მისი ნამუშევარი“.

მეფე. პეტრე შირაიანაშვილი

ძველი და ახალი ქართული შაირობა სადა ამაღლ განმარტვითა XII და XIII ს. ს. წიგნი I, თბილისი, 1915, 152 გვ.

ქვესათაურები: 1. იოანე შავთელი. 2. გრიგოლ ჩხრუბაძე. 3. შოთა რუსთველი.

პირველ 14 გვერდზე მოცემულია აბდულ მესიანისა და თამარიანის სქემატური გარდათქმა თანამედროვე ქართულზე. 15—152 გვერდები მთლიანად მონდომებული აქვს ვეფხისტყაოსნის ზოგად მიმოხილვას და შინაარსის დაწვრილებით ანალიზს. ავტორს პოემის სიუჟეტის ძირითადი ჩონჩხის პროზაულ თხრობაში გახსნილი აქვს რუსთაველის აფორიზმები, საყურადღებო თქმვები, დიალოგები, მეტაფორები, შედარება-ეპითეტები. ავტორი იძლევა რუსთაველის მსოფლმხედველობის, მხატვრული შეხედულებების, მისი იდეალებისა და გმირთა ხასიათების არათანამიმდევრობით მიმოხილვას. რუსთაველის შემოქმედების მოტივებსა და იდეალებს იხილავს პოემის ამბის ცალკე ეპიზოდების

თანმიყოლებით; ასევე პოემის ცალკეულ მოტივებთან დაკავშირებით იხილავს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას და ადგილს ქართულ კულტურაში, მის გაკლენას ქართულ პოეზიაზე და რუსთაველის ნააზრვეის ორგანულ კავშირს ქართულ ყოფასთან.

ნაშრომის მიზანია თანამედროვე ქართულზე განპარტოს რუსთაველის რთული გამოთქმები, სახეები და იდეები პოემის შინაარსის და ენის გაგებისათვის. ავტორს ახასიათებს აწეული სტილი, სპერმეტყველური კილო. საჭირო შემთხვევებში მისი ცალკეული მოსაზრებანი მოკლებულია სათანადო ლიტერატურულ შენიშვნებსა და მითითებებს.

806. პეტრე მირიანაშვილი

სალაუბო წერილები

ურნ. განთიადი, კუთასი, 1915, 1 იელისი № 11, გვ. 21—23;

1 ავეისტო, № 12, გვ. 17—19; 1 სექტემბერი, № 13, გვ. 13—15; 15 სექტემბერი, № 14, გვ. 11—13; 1 ოქტომბერი, № 15, გვ. 13—15; 15 ოქტომბერი, № 16, გვ. 15—18.

ქვესათურები: 1 ნესტან დარეჯანი როგორც ქალის ტიპი. 2. სარწმუნოებრივი მოტივი ვეფხისტყაოსანში. 3. ქაჯი ვეფხისტყაოსნით. 4. ვეფხისტყაოსნის ათვლისწუნების მოტივები.

ავტორი აღნიშნავს ქართული ლიტერატურული კრიტიკის უსუსურობას, კლასიკური მწერლობის შეუსწავლელობას და შენიშნავს, რომ ყალბად არის გაგებული ნესტან-დარეჯანის ტიპი, რომელიც თავისი სიდიადით ქართულ მწერლობაში ობლად დგას: „მსოფლიო მწერლობაში რამდენიმე თუ ზამოითელება თავისი სიდიადით ასეთი ტიპი. ქართულ მწერლობაში ხომ სულ ობლად სდგას ისევე, როგორც მისი უკედავი შემოქმედი დიდებული რუსთველი“ (გვ. 22). ავტორი არ ეთანხმება ნესტანის გაგებას როგორც ქართლის ბედისას. ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციოდ მოყვანილი ცალკეული ადგილებით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ნესტანი ინდოეთის ბედია და არა ქართლისა, რისთვისაც ანალიზს უკეთებს ნესტანის სასიძოს მოყვანის ეპიზოდს (იქვე). ავტორი იხილავს ნესტანისა და ტარიელის დამოკიდებულებას და მიიჩნია, რომ ის განსაზღვრული იყო არა მხოლოდ უბრალო მიჯნურობით, არამედ სამშობლო ქვეყნის ინტერესებით (პნ 12). შეყვარებულებს ამოძრავებდათ დიდი პატრიოტული გრძნობა, რომ ინდოეთი სპარსეთის ხელში არ ჩაეგდოთ. ამ ეპიზოდის ხასიათში ავტორი ხედავს ისტორიული ფაქტების გამოხატულებას (იქვე).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ეკლესიური ღვინის ისტორიის და აღნიშნავს პოემის იმ მოტივებს, რომელთაც სასულიერო წოდების მტრული რეაქცია უნდა გამოეწვია. მისი შენიშვნით, შოთა რუსთაველი ღვისტია და, თუმცა პოემის გმირები მაჰმადიანები არიან, ღვთის დიდება და შემოქმედისადმი ედრება ყოველი რჯულისა და მოწმუნესათვის გასაგები და მისაღებია. დავით გურამიშვილი ვასცილდა შოთა რუსთაველის გაკვლეულ გზას იწით, რომ თავის შემოქმედებაში რელიგიას დიდი ადგილი დაუთმო. შოთა რუსთაველის ეს ინდიფერენტული მიმართულების ხაზი რელიგიისადმი უგულუბელყო მეცხრამეტე საუკუნის პოეზიაშია. იმასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ საჭიროა მწერლობა გაიწმინდოს რელიგიური მოტივებისაგან, რაც ხელს უშლის ჩვენ სინამდვილეში ქრისტიანის და მაჰმადიანის ქართ-

ველების გაერთიანებას (№ 13). ავტორი ახასიათებს „პოემის გმირთა ურთიერთობას სიუჟეტის განვითარების თანმიყოლებით და აღნიშნავს, რომ ძველად ვეფხისტყაოსანი უკეთ ესმოდათ, ვიდრე უცხოვანათლებამილებულებს. დღეს ესმით. ვეფხისტყაოსანი იმის უტყუარი ფაქტია, რომ ქართული მწერლობა ადრე განთავისუფლებულა ხეცური სტილისა და მოტივებისაგან“ (№ 16).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ქაჯების ამბავს, სიტყვა „ქაჯის“ ეტიმოლოგიას და შენიშნავს, რომ ქაჯთა გრძნეულება თანამედროვე ტექნიკის განვითარებაში ერთგვარ პარალელს პოულობს (№ 14). ქაჯი ხორციელი ადამიანი, გრძნების მცოდნე. ქაჯები ისეთი უნარით არიან აღჭურვილი, რასაც კაცობრიობამ მხოლოდ თანამედროვე ტექნიკის პირობებში მიაღწია, რუსთაველს კი ეს ყველაფერი 700 წლით ადრე უწინასწარმეტყველებია (ან 14).

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებსა და იდეალებს, უმთავრესად მეგობრობის მოტივს და საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ადგილები (ან 16). მისი შენიშვნით, „ქართულმა ლექსმა ხომ წაგვლეჯა და წაგვლამა, როგორც წლევეანდელმა წყალდილობამ ჩვენი ისტორია, მაგრამ არა პატარა საქართველო“ (იქვე).

897. პეტრე მირიანაშვილი

ვეფხისტყაოსნის თავებზე დაუფის საკითხი

ვახ. საქართველო, 1915, 10 ოქტომბერი, № 113, გვ. 3 — 4.

ავტორის აზრით ვეფხისტყაოსნის თავებზე დაყოფა შენდგომი საუკუნეების ტრადიციას, რის საბუთსაც ამ თავების სათაურთა ენასა და აგრეთვე იმაში ხედავს, რომ „თავებზე დაყოფა ზოგჯერ არ ეთანხმება შინაარსსა“.. ავტორს მოჰყავს რანდენიზე მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გადაადგილდეს სტროფები ვეფხისტყაოსნის თავებში შინაარსის მიხედვით.

898. პეტრე მირიანაშვილი

ვეფხისტყაოსნი ხუთ სურათად შოთა რუსთაველ-ოქროპირ ბატონიშვილისეხურად

გამოკრფილ-დაწყობილი პეტრე მირიანაშვილის მიერ, ტფილისი, 1915, 62 გვ.

პიესას წამდღვარებული აქვს წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი ეხება ოქროპირ ბატონიშვილის პიესის (ანოტ. № 89) შედგენილობას, აღნიშნავს მის ნაკლს და თავის მიერ ჩატარებულ მუშაობას. მოქმედი პირნი: ფარსადან, როსტევეან, ხვარეშან, თინათინ, ავთანდილ, ნესტან-დარეჯან, სოგრატ, ტარიელ, ანზორ, შერშადინ, ასმათ, დეაარ, დულარ, ფატმან, ფერია, ჩანჩაგირ, ფრიდონ და სხვები. მოქმედ პირთა ჩამოთვლის შემდეგ ავტორი შენიშნავს: „ქაჯებს ქაჯურად აცვიით“.

ტექსტი შეიცავს ავტორის მიერ გალექსილი ვეფხისტყაოსნის მოტივებს შიგ ჩართული რუსთაველური სტროფებით.

პირველი სურათის დასაწყისი: „ნესტან-დარეჯანის ციხე-დარბაზის ხალვათხანა ინდოეთში ბაღასა და ზღვას გადაჰყურებს. ტარიელ, ფარსადან, ხვარეშან, ნესტან-დარეჯან, კარის-კაცი, დეაარ. სანახუი I.

ტარიელ შემოდის:

მეფის ვიხვე ნეტა რა მსურს?
ჯეღვან მსუფვეს შორჩილება,

ვრ ვინ მხედავს დაარღიოს,
დღევანდელი მყუდროება“.

ჟარსადან შემოდის ხერაქმან დედფალთან ერთად ამალითა. მიმართავს ტაროლს
 „მადლი ღმერთსა! ჰხედავ ასრე აწ ქალისა ჩენისათვის
 დაგვაბერა, დაცაგელია! ქმარი გვინდა გამოვნახოთ,
 ყრმა არ მოგვცა, ქალი გვიყის რომე მიესცეთ ტახტი ჩენნი,
 ვისგან შუქი არ გვაკლია. სახედ ჩვენად გამოვქსახოთ“ (გვ. 5).

899. **Н. В. Романовская**

Грузинская царица Тамара и ея время.

Труды Грузинского общества науки, искусства и литературы, выпуск I,
 Москва, 1915, 35 гв.

თამარის ეპოქის ქართული მწერლობის მიმოხილვისას ავტორი განსაკუთრებით ჩერდება რუსთაველის შემოქმედებაზე და აღნიშნავს, რომ რუსთაველის ლექსები წარმოადგენს თამარის სადიდებელ ჰიმნებს (გვ. 29). რუსთაველმა თავისი მთავარი თხზულება მიუძღვნა თამარს. ავტორს ვეფხისტყაოსნის ლექსი აგონებს ჰომეროსისა და ვირგილიუსის ჰეგზამეტრებს.

ავტორს მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები ახალციხის რუსთავეში დაბადების, ათონში განათლების მიღების, ვეფხისტყაოსნის დაწერის და შემდეგ იერუსალიმში გამგზავრებისა და იქ სიკვდილის შესახებ. ავტორის შენიშვნით, საკამათოა ვეფხისტყაოსნის ნაციონალური წარმოშობის საკითხი. ეკამათება აკად. ნ. მარს, რომელმაც წამოაყენა დებულება ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან გადმოკეთების შესახებ (утверждать определенно, что она взята из Персии, из „какойто“, — как говорит Марр, повести, которая еще и не найдена, — нельзя“ (გვ. 30). „Руставели не было нужды заимствовать у других, когда родная почва давала ему достаточно материала“ (გვ. 31). მსგავსებას ვეფხისტყაოსნისა და სპარსულ თხზულებათა ზოგ მოტივებში ავტორი ხსნის დამოუკიდებელი პირობებით. რუსთაველის პოემაში გამოხატულია ქართული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი რაინდობისა და ქალის კულტი (გვ. 32), მმადნაფიცობა და მეგობრობა. რუსთაველს განგებ გადააქვს მოქმედება ინდოეთსა და არაბეთში. ვეფხისტყაოსნის ნაციონალურობა განსაზღვრულია ქართული წესჩვეულებებით და მისი სული ქრისტიანულია (გვ. 33).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ხალხურ ვეფხისტყაოსანთან ურთიერთობას და გამოთქვამს აზრს, რომ შეინიშნება თინათინისა და ნესტანის თამარის ცხოვრებასთან მსგავსება. საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის მე-4, მე-18 და 85-ე სტროფების რუსული თარგმანები.

900. **აღ. სარაჯიშვილი**

არტანუჯის ვარიანტი „ვეფხისტყაოსნისა“

კრებ. ძველი საქართველო, ტომი IV, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით,
 ტფილისი, 1914—1915, გვ. 1—30.

ავტორი ეხება წ. კ. გამ. საზ. ბიბლიოთეკაში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების № 4732, 1586, 2686, 2781, 305 შედგენილობას, რომლის დედნად მიიჩნია პეტრე ლარაძის მიერ 1827 წ. ვადაწერილი ე. წ. არტანუჯული ხელნაწერი № 4732.

როგორც ცნობილია ამ ხელნაწერმა ყურადღება მიიპყრო თავისი შედგენილობითა და წაყითხვებით პოემის ზოგი ტექსტოლოგიური საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

ავტორი კრიტიკულად იხილავს ამხელნაწერთა მომდინარეობის, შედგენილობისა და ერთმანეთთან შეფარდების საკითხებს ყალბი სტროფების გამოწვევილი თვალსაზრისით. მისი დასკვნით, არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა წარმოადგენს პოემის ტექსტის შერყუნას ყალბი სტროფების ჩამატებით და შეიცავს გ. თუმანიშვილის რედაქციას, რომელიც არც შინაარსით, არც სტილითა და მართლწერით არ მოგვაგონებს რუსთაველის ენასა და პოეზიას. არტანუჯის ხელნაწერის ლეგენდა პ. ლარაძის შეთხზული ამბავია.

301. აღ. სარაჯიშვილი

ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები
XCV

კრებ. ძველი საქართველო, ტომი IV, ვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1914—1913, გვ. 54—58.

სათაურს აქვს შენიშვნა სქოლიოში:

ამ გამოკვლევის თავები I—XCIV დაბეჭდილი იყო ჟურნ. „მოამბე“-ში: 1895 წლისა №№ 11 და 12; 1896 წლისა №№ 3, 4—8; 1897 წლისა №№ 2, 4, 5, 7, 9—11; 1898 წლისა №№ 1, 2, 4, 5 და 11; 1899 წლისა 1 და 10; 1900 წლისა №№ 3—5, 7, 8 და 10; 1901 წლისა №№ 5 და 6. წინამდებარე მე-95-ე თავი, რომელიც აქ იბეჭდება, განსვენებულის ქალაღებში აღმოჩნდა, მაგრამ სამწუხაროდ არც ეს თავია დამთავრებული“.

ტექსტი ეხება ვეფხისტყაოსნის დასასრული ხანების ინტერპრეტაციას (1589, 1590, 1591, 1592, 9593).

302. თ. ხახოკია

პ. ოლივერ უორდროპის ახალი თარგმანები
I ვისრამიანი

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 9 ივნისი, № 302, გვ. 3.

ავტორი ვისრამიანის ინგლისურად თარგმანის გამო აღნიშნავს, რომ მარჯორი უორდროპს ინგლისურად პროზით თარგმნილი ვეფხისტყაოსნის ვალექსვა უნდოდა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ვისრამიანი გამოსცა ინგლისის სამეფო სააზიო საზოგადოებამ 1914 წელს „იმნაირისავე სიტყვიზითა როგორც ვეფხისტყაოსანი“.

303. ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსების ქართველი მსმენელი

ღია წერილი [ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გახ. სახალხო ფურცელი, 1915. 28 მარტი, № 243, გვ. 3.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ტფილისის ქალთა უმაღლეს კურსებთან არსებულ მგრეთ წოდებული ქართული ისტორიისა და ძველი ქართული ენის კათედრაზე ამ საგნების ლექტორად მოწვეულმა ს. კაკაბაძემ ქართველ მსმენელთა შეაძულა ეს საგნები: ს. კაკაბაძე მოუშაზდებელი ცხადდებოდა ლექციებზე და ვერ შეძლო ჩვენი ისტორიის ვერც ერთი ეპოქის დამაკმაყოფილებლად გაშუქება, რის გამოც მსმენელებმა მასიურად მიანებეს თავი ლექციებსო. განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია მოხსენებამ შოთა

რუსთაველის შესახებ და ივ. ჯავახიშვილის მიმართ მისმა ცილისმწამებლურ-მა გამოსვლამ („ჯავახიშვილის ერთი ცუდი ზნე სქირს, ქართულად სხვასა სწერს და რუსულად სხვასაო“).

304. [უავტორო]

ახალი ამბავი [ვეფხისტყაოსნის ვარიანტები]

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 18 მარტი, № 237, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გამოსაცემად ამზადებს ვეფხისტყაოსნის ვარიანტებს პ. ინგოროყვას რედაქციით.

305. [უავტორო]

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება
1914 წლის განმეგობაში

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 1 ივლისი, № 321, გვ. 3.

ავტორი საზოგადოების მუშაობის საერთო ანგარიშის მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ № 81 ოქმის მიხედვით საზოგადოების სხდომებზე წაკითხულია „ვეფხისტყაოსნის შესახებ 2 მოხსენება“:

1. იუსტ. აბულაძისა: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ჩვენს საგანძურებში“.

2. აღ. ივ. სარაჯიშვილისა: „ვერეთ წოდებული არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“.

306. [უავტორო]

ბიბლიოგრაფია: ძველი საქართველო. ტ. IV, გ. თაყაიშვილის რედაქტორით.
ტფილისი, 1914—1915 წ. გვ. XII+6+84+72+112+32

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 5 სექტემბერი, № 374, გვ. 4.

მოკლე რეკენზიაში აღნიშნულია, რომ მეორე განყოფილება შეიცავს აღ. სარაჯიშვილის წერტილებს — „არტანუჯის ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“ და ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები.

ავტორის შენიშვნით, არტანუჯის ხელნაწერი სრულიად არ წარმოადგენს ახალ ვარიანტს, არანედ გადმოწერილია 1712 წ. გამოცემული ვეფხისტყაოსნიდან.

307. [უავტორო]

ქართული კულტურის მოფარულია საზოგადოება
ოქმი საგრამატიკო კრებისა

ფურნ. განათლება, 1915, დეკემბერი, № X, გვ. 706—712.

ოქმის მიხედვით, მელიტონ კელენჯერიძის მოხსენების გამო კამათში გამოსული პ. მირიანაშვილი აღნიშნავს, რომ მცდარად ასწორებენ ზოგ თეორიებს, ისევე როგორც რუსთაველს უსწორებდნენ ზმნის უღვლილების დროს მაგ., ეუწერ — „უწერ“ის მაგიერ (გვ. 709). პ. მირიანაშვილი „დენ“ და „ენ“-ის ხმარებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში ქართულ ზმნებს, იმისდა მიუხედავად თუ როგორი იყო ეს ზმნა: მოქმედებითი თუ ენებითი, ქონდათ ერთგვარი ფორმა (ნამყოსა და ნატერით კილოში) „ეს“ და სანიშნოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის: „მოვიდეს სრულნი არაბნი“ (გვ. 710)-

მაგრამ უკვე შეათე საუკუნეში გამოჩნდა „ნ“ და ეს შემდეგ ვეფხისტყაოსანშიც გამოიხატა: „შესხდენ შეფე და აეთანდილ“, სადაც „ნ“ ძველი „ეს“-ის. მაგივრობას ასრულებს. ამის შემდეგი საფეხური იყო „ღნენ“.

308. გიორგი შერვაშიძე

ქართულ ენის გარეშე
(წერილი რედაქციის მიმართ)

გაზ. საქართველო, 1915, 16 ქრისტეშობისთვე, № 169, გვ. 3 — 4.

ქართული მართლწერის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს ჩვენი კულტურული ცხოვრების სავალალო მდგომარეობას, ენის წახდენას. გაეკრით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნავს: „ვეფხისტყაოსანი ძლიერ ვარყენილია უცნობი ეინმეების ჩამატებული ლექსებით და დიდი შრომა დასჭირდათ შენდევ, რომ ეს უკვდავი თხზულება ყალბისაგან განეწმინდათ. დღესაც, შეგვიძლიან კი დასაბუთებით დაერწმუნდეთ, რომ უმცდარადაა იგი ახალს გამოცემებში? შემდეგ, ჩვენ დროშიც, ამ დიდებული მწერალის სურათიც კი განოიგონეს, მაგრამ ეს კი არაა საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ეიზილბაშურ ქედში კალამი გარკობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართულ საზოგადოებამ მიიღო ის როგორც ნამდვილი სურათი და გააერცელეს. კიდესა!“..

309. ნ. შიუკაშვილი

ქართველი კუპრინის „ორმოში“ („Яма“)

ფრან. თეატრი და ცხოვრება, 1915, 2 ავეისტო, № 31, გვ. 6—8.

ავტორი უსაყვედურებს კუპრინს რომანში „Яма“ კავკასიელების, კერძოდ ქართველების შესახებ ყურმოკრული ამბების, უეცილობაზე დამყარებული ცნობების წერას, ამ ხალხისა და მისი კულტურის აბუჩად აგდებას. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ კუპრინი „ვეფხისტყაოსანსაც-კი დაცინვით იხსენიებს“ და განაგრძობს:

„უსუნებია—კი ბ. კუპრინს „ვეფხისტყაოსნისათვის“?, „კუპრინისაგან შეითხზნილი ქართული სტუდენტო... მძავე ქალს უთარგმნის ვეფხისტყაოსანს“...

ავტორი წერილის დასასრულს დაასკვნის:

„თუ ასე ახლო—თავისივე სახელმწიფოში ვერ იშენია „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა, ის მინც არ გაუგია ბ. კუპრინს, რომ დასაუღეთი ვერაპა, უფრო კულტურული ხალხი დიდხე-ყრადღებით ეკცევა ამ ნაწარმოებს: სთარგმნის, მბეჭდავს საკოროლეო მუხუშუმების მარჯით და ინაპავს, როგორც ძვირფას ჯანსს!“.

310. ხომლედი

აკაკი, როგორც დიდი ეროვნული მგობანი

(აკაკის ნაწერები, პირველი და მეორე წიგნი. ი. მანუშტაშვილის გამოცემა, 1913).

ფრან. განთიადი, 1915, 15 იანვარი, № 2, გვ. 16—22.

ავტორი აკაკი წერეთლის საერთო დახასიათებისას შენიშნავს, რომ აკაკის, როგორც ლირიკოსს, ბადალი არა ჰყავს საქართველოში და მას „ტალანტით, სიღრმით, ძლიერებით და სინაზით უთანასწორდებიან მხოლოდ ორი დიდი ივერიელი — რუსთველი და ნიკოლოზ ბარათაშვილი“ (გვ. 16).

311. თვ. ჯავახიშვილი

იძულებითი განმარტება ზ. ს. კაკაბაძის უკანასკნელი წერილის გამო

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 7 მაისი, № 276, გვ. 2—3;

8 მაისი, № 277, გვ. 2—3; 9 მაისი, № 278, გვ. 2—3, ქველურა.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ს. კაკაბაძის ცალკეულ შრომებს რუს-თველოლოგიის საკითხებზე და მათ საერთო შეფასებაში აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის 1913 წლის თავისი გამოცემის წინასიტყვაობაში ს. კაკაბაძე ეხება რა ნ. მარის შრომებს რუსთველოლოგიაში, რატომღაც არ ასაბელებს მის შთაერ ნაშრომს „Вступ. и закл. строфы Витязя в барском коже Шоты из Руставы“ (ГР. книги XII, 1910), რომლის მსგავსიც „თამამად შეიძლება ითქვას, შოთას ქმნილების შესახებ ჯერ არაფერი დაწერილა“ და შენიშნავს: „განა შესაძლებელია მკვლევარმა, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ მთელი საკითხის თავდაყირა დაყენება ჰსურს, ასე უჩუმრივ გვერდი აუქციოს და ზურგი შეაქციოს ისეთს ძირითადს გამოკვლევას როგორც ნ. მარის ზემოაღნიშნული თხზულება, სადაც გამოჩვენებულია ვეფხისტყაოსნის დღა-აზრი“.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის კვლევადიების ირგვლივ ატეხილ პაექრობასა და ამ ნიადაგზე შექმნილ ინციდენტს საისტორიო საზოგადოებაში ს. კაკაბაძის გამოსვლებთან დაკავშირებით, რომელსაც ყველა ჰყავდა მომდურებულიო. დასასრულს ავტორს მოაქვს ამონაწერი თავისი შრომიდან („ქართული ერის ისტორია“) იმის დასამტკიცებლად, რომ ვეფხისტყაოსნის შესწავლის დროს თავისუფალი მსჯელობის უფლება ყველას უნდა ჰქონდეს და ასეთი ს. კაკაბაძესაც ეკუთვნის, რომელიც უმართებულად ჩივის თითქოს მას ამ უფლებას არ ანიჭებენ.

312. მ. ჯანაშვილი

მშობლიური ცა

გახ. სახალხო ფურცელი, 1915, 14 მაისი, № 280, გვ. 3.

ავტორი ეხება ტარიელის საძებრად წასული ავთანდილის ხეტიალის ეპიზოდებს, მოჰყავს სათანადო სტროფები და ყურადღებას აქცევს იმას, რომ პირობისამებრ გამოქვამულში მისულ ავთანდილს ტარიელი რომ აღარ დახვდა, დაქანტულმა და სასომიხდილმა, სამშობლოს ნახვას მოწყურებულმა, წარმოსთქვა: „მშობლიური ტყბილი მოწყალე ცა, წყალობისა მთოველი“.

313. არ. ჯ—შვილი

მეცნიერება და მამულიშვილობა

(ერთი კამათის გამო)

გახ. სახალხო გაზეთი, 1915, 8 აპრილი, № 252, გვ. 3.

ავტორი ეხება ს. კაკაბაძის ლექციით გამოწვეულ ინციდენტს ვეფხისტყაოსნის საკითხებზე კამათთან დაკავშირებით, რამაც პრესაში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ავტორი შენიშნავს, რომ ს. კაკაბაძე ხშირად სცოდავს ქეშმარიტი მეცნიერების წინაშე, იგი ხელაღებით უარყოფს თამარ მეფის დროს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და ვეფხისტყაოსნის დაწერის შესახებ ტრადიციულად განმტკიცებულ შეხედულებებს, რისი მასალა და საფუძველი ჯერ არა აქვსო. ასევე ყოველგვარი საბუთის გარეშე ს. კაკაბაძე ქართულ კულტურაზე სომხური კულტურის გავლენას აღიარებს.

შეისწავლო ჩვენი დღა-ენა!

(სიტყვა, თქმული პოეტ კ. ლ. ბალმონტის პატრისტიალურად გამართულ ბანკეტზე.
ქუთაისში, 8 ოქტომბერს)

გახ. საგზო ბლო, 1915, 14 ოქტომბერი, № 198, გვ. 2 — 3, ქვედურა.

ტექსტი წარმოადგენს რუსულად წარმოთქმული სიტყვის ქართულ თარგმანს. ავტორი ბალმონტისადმი მიმართულ სიტყვაში აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ღირსებებს, თუმცა ზოგი რამ მას არ აკმაყოფილებს. მიუხედავად ამისა, ამ თარგმანში ბალმონტი „ზედმიწვევით მისწვდა ქართველ ერის ესთეტიურ პსიხიკის სიღრმეს“, რის ნიმუშად ავტორს მოჰყავს ტარიელისა და ასმათის მწუხარებისა და გოდების აღწერის ზედმიწვევით გადმოცემა, რომელშიაც მთარგმნელმა გრძნელად განსჯერიტა ქართული ხალხური პსიხიკის უფსკრულები: „ზომიერებას გადაცილებული ძლევა-მოსილი აღმოხეთქა ემოციებისა ქართველებში, შედარებით იმავე პსიხიკურ განცდათა ზომიერებასთან, რომლითაც ხასიათდებიან ჰინდოევროპიელები...“

ამასთან ერთად, ავტორი აღნიშნავს თარგმანში ქართული ენის ბევრული შედგენილობის არასწორ რუსულ გააზრებას და მთარგმნელის „ეგზოტიურ წარმოდგენის სრულს წინააღმდეგობას ქართველთა ესთეტიურ შეხედულებასთან, რასაც ქმნის ის წყვედიადის სიღრმე, რომელიც მას კიდევ მრავალ მხრიდან აშორებს ვეფხისტყაოსნის ქეშმარიტ ქართულ დაფასებასაგან“.

დასასრულს, ავტორი მოუწოდებს ბალმონტს ვეფხისტყაოსნის თარგმნის მიზნით შეისწავლოს ქართული ენა.

1016

აკაკი წერეთელი

ურნ. ცხოვრება, 1916, 1 თებერვალი, № 3, გვ. 28—30.

ავტორი აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ აკაკიმ აასრულა შოთას ანდერძი: „ხაშს მელექსე ნაჭირებსა...“ სტროფში გამოთქმული, იმით, რომ პოეტის მუდმივი თემა სამშობლო იყო, მისთვის მუსიკობდა მისი ენაო. პატრიოტული იდეალების ქადაგებაში აკაკი შესანიშნავად იყენებს რუსთაველის მეტაფორებს, სიმბოლოებს და თქმებსო.

[გაქვრით ვეფხისტყაოსნის ზოგ საკითხზე]

წინასიტყვაობა წიგნისა: შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ევრსიები ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ი. აბულაძემ თბილისი, 1916, XXXII გვ.

ტექსტუალური საკითხების გარჩევისას ავტორი გაქვრით ეხება ვეფხისტყაოსანს (გვ. XXII, XXXII—XXXIII) და „შაჰ-ნამეს“ ქართულ თარგმანში მიუთითებს ზოგ ადგილს, რომელიც რუსთაველის მიზაძვით არის დაწერილი (გვ. XVIII).

შუა საუკუნეთა დასასრულს ქართული მწერლობის დაცემა-დაკინებაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს: „ამ დაცემის ხანაშიაც კი, — რუსთაველის ქნარის ძლევა-მოსილობამ იმდენად ძლიერი გავლენა მოახდინა სულიერად დაკ-

ნინებულის ქართველის პოეტურ შემოქმედებაზე, რომ მან შესძლო რუსთველის მიერ ჩამოყალიბებულის ძველი პოეტურის ფორმის რაზდენადმე შენარჩუნება“ (გვ. XXII).

ავტორი ეხება ირანული მწერლობის კვალს ქართულში და აღნიშნავს, რომ „ვეფხის-ტყაოსნის“ მთელის ამბავის მონახვა შეიძლება სხვადასხვა სპარსული ნიმუშებითგან ამოღებული ისეთი ეპიზოდების შეერთებით, რომლებსაც გასაოცარი მსგავსება აქვთ ტარიელის თავგადასავალთან“ (გვ. XXXII). ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყავე იცვია რუსტემსაც, მაგრამ ვეფხისტყავეს, რომელსაც ტარიელ სარიდანის ძე ატარებს, რუსტემის ტყაყთან შედარებით მეტი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ე. ი. რუსთაველი მის მნიშვნელობას უფრო მეტად უსვამს ხაზს, რადგან ვეფხი ულმობელის შიჯნურის განსახიერებაა.

917. იუსტიწე აბულაძე

ლექსიკონი — ნასესხები და იშვიათი სიტყვები

წაგწი: შაკანამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები.

ტექსტი გამოცემა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაუროთ ი. აბულაძემ.

თბილისი, 1916, გვ. 791—885.

ცალკეულ სიტყვათა განმარტებისას ავტორს საილუსტრაციო მასალად ხშირად მოჰყავს ადგილები ვეფხისტყაოსნიდან (მაგ., განმარტება სიტყვისა გუარო, გვ. 799—800) ანდა მიუთითებს მის მიერ გამოცემული (1914) ვეფხისტყაოსნისათვის დართულ ლექსიკონს.

918. გიორგი გვაზავა

რუსთაველი

გაზ. საქართველო, 1916, 6 მკათათვე; № 149, გვ. 2, ქვედურა;

7 მკათათვე, № 150, გვ. 2—3, ქვედურა; 8 მკათათვე, № 151, გვ. 2, ქვედურა.

წერილების სერიის სახით დაბეჭდილი ნარკვევი შემდეგი ქვეთავებისაგან შედგება:

I. თავისუფლება. II. ადამიანი და არა ერი. III. რწმენა და არა კულტი. IV. სული და არა გარეგნობა. V. სოკრათი და ჰერაკლიტი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ამ ნარკვევს წერს პ. მირიანაშვილის მიერ გამოთქმული მკდარი მოსაზრების საპასუხოდ, თითქოს „რუსთაველის უმთავრესი გმირები მაჰმადიანებია“. ავტორი ვეფხისტყაოსნის გარემოს და იდეალების არამაჰმადიანური ხასიათის ნათელსაყოფად აღნიშნავს პოემაში გატარებულ ქალისა და მამაკაცის თანასწორობის იდეას, რაც საქრისტიანო კულტურის საფუძველზე აღმოცენდა. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის მთავარი იდეა თავისუფლებაა, რომლის პირობა თანასწორობაა, რაც ქრისტიანულმა რელიგიამ მოიტანა, და ის შეუძლებელი იყო მაჰმადიანობის ნიადაგზე აღმოცენებულიყო. ამიტომ, მისი დასკვნით, „ყოვლად უსაფუძვლოა ის აზრი, რომ როსტევეან, თინათინი, ავთანდილი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი ვითომდა მუსულმანები არიან“. ასევე უსაფუძვლოა რუსთაველის თხზულების გამოთიშვა საქართველოს და საზოგადოდ საქრისტიანო კულტურის ნიადაგიდან (№ 149, გვ. 2, სვეტი 4).

მეორე ძირითად იდეად ვეფხისტყაოსანში ავტორს მიაჩნია ადამიანი და არა ერი. ინდოეთი და არაბეთი რუსთაველისათვის განუყენებელი შემეცნება და არა რეალური ქვეყნები. წინააღმდეგ პ. მირიანაშვილის მოსაზრებისა,

ავტორი ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანში გარდა ქვეყნის სახელებისა ქართულისათვის არაფერია უცხო (№ 149, გვ. 2, სვეტი 5). რუსთაველის ინდოეთი და არაბეთი არ არის გეოგრაფიული ინდოეთი და არაბეთი. რუსთაველის გონება მიქცეულია მხოლოდ ადამიანზე, მის ხასიათზე და ზნეობრივ განცდაზე. ქვეყნებს და ეროვნებას მნიშვნელობა არა აქვს (№ 150, გვ. 2, სვეტი 1). რუსთაველისათვის ისევე არ არსებობს საქართველოს საზღვარი, როგორც არ არსებობს საერთოდ სხვადასხვა ქვეყნის საზღვრები. მისი მხატვრობა მსოფლიო ხასიათისაა, მისი გმირების განყენებულობა უაღრეს რეალობას წარმოადგენს.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველისათვის არ არსებობს კულტი. არსებობს მხოლოდ რწმენა და არა კულტი: „მისთვის არსებობს მხოლოდ რელიგიური სულის ლტოლვილება, მხოლოდ სარწმუნოებრივი სულის კვეთება, ხოლო როგორც, სად და რა გარეგნულ გამოხატულებაში ყალიბდება ეს სული კვეთება და ლტოლვილება — ეს მისთვის სულ ერთია“ (№ 150, სვეტი 2—3). ამასთან დაკავშირებით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს პ. შირიანაშვილის იმ მტკიცებათა უსაფუძვლობა, რომლის მიხედვითაც ვეფხისტყაოსანში მაჰმადიანურ-რელიგიური ყოფის ელემენტებია, რისთვისაც ანალიზებს ავთანდილის ლოცვის სტენებს და შიგ რაიმე კულტის გამოხატულებას ვერ ხედავს. ავტორის მტკიცებით „მუსაფი“ ნიშნავს ლოცვანს (სვეტი 5). ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს პოემაში ისეთ ელემენტებს, რომელნიც ქრისტიანობის კვალს წარმოადგენენ, მაგ., ავტორს გაჰყავს პარალელი ბიბლიის დასაწყისსა: „და სული წმიდა იქცეოდა ზედა წყალთა“, და რუსთაველის თქმას შორის: „ზეგარდმო არსნი სულითა ჰყვნა, ზეციით მონაბერთა“ (№ 150).

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში ყველაზე ძირითადი იდეა არის სიყვარული (№ 150, სვეტი 1). სიყვარულის სხივოსნობა ეფინება არე-შარეს და უერთდება მსოფლიო სულს (სვეტი 3). სიყვარულის იდეა ფარავს გარეგნობის შემთხვევითობას. რუსთაველმა სიყვარულის ჰიმნით გადაამერტა მსოფლიო გენიოსებს. რუსთაველის ტიპები უაღრესად რეალურნი და სიცოცხლიანები არიან. თითოეული მათგანი სრული და დამთავრებული საკაცობრიო ტიპია.

ავტორი ეხება პოემის გმირების ჩაცმულობას იმასთან დაკავშირებით, რომ პეტრე შირიანაშვილმა მხატვარ ზინს უსაყვედურა ვეფხისტყაოსნის დასურათებაში მისი გმირები ქართველებად რად დახატეო და აღნიშნავს, რომ უპირატესობა მაინც ქართველს ენიჭება, რადგან ნაწარმოები ქართულია, თვით რუსთაველი ქართველია და მისი გმირებიც უთუოდ ქართველებად უნდა წარმოვიდგინოთ.

დასასრულს, ავტორი აჯამებს თავის შენიშვნებს, ეხება არაბულ-სპარსული კულტურის გავლენის საკითხს ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნავს, რომ უცხო გავლენა იდებებს არ ეხებოდაო (№ 151).

მ 19. გიორგი გვაზავა

კილევ რუსთველზე

გაზ. საქართველო, 1916, 11 მარამობისთვე, № 178, გვ. 3—4.

ავტორი ეკამათება მემედს და მოჰყავს მისი წერილის მთავარი დებულებანი ვეფხისტყაოსანში გამოხატული იდეების შესახებ. ავტორს მოჰყავს

დამატებითი საბუთები იმის დასამტკიცებლად, რომ რუსთაველისათვის არსებობს ადამიანი და არა ერი, მხოლოდ რწმენა და არა კულტი, მხოლოდ სული და არა ნივთიერება. თავისუფლების იდეა ქრისტიანულმა რელიგიამ შოიტანა, წინააღმდეგ მემედის მტკიცებისა, და აქარწყლებს ქალების გამეფების მაგალითებს აღმოსავლეთის ისტორიის მიხედვით, რომელნიც მემედს ჰქონდა მოყვანილი და იმოწმებს ქალის უფლებათა წინააღმდეგ არსებულ მაჰმადიანურ დოგმებს.

920. გვიანო

ერთი „ლეკიის“ შესახებ

გაზ. ჩვენი მეგობარი, 1916, 24 მარტი, № 66, გვ. 3—4.

ავტორი დაცინით იხსენიებს კატო მიქელაძის მიერ წაყითხულ ლექციას რუსთაველსა და სიმბოლიზმზე. ავტორი აღშფოთებას გამოსთქვამს, რომ მან ამ ლექციის სახით მოისმინა მაქს ნორდაუს წიგნიდან გულდასმით გადმოწერილი ფრანგული სიმბოლიზმის ისტორია, რისი საფუძველიც მხოლოდ უფიქობა და კადნიერებაა.

921. ს. გორგაძე

აკაკი უნივერსიტეტში

(ოფიციალურ ცნობათა და მეგობარ-ამხანაგის მოგონებათა თანხმად)

გაზ. სამშობლო, 1916, 28 იანვარი, № 273, გვ. 4.

ავტორი აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში სწავლის საბუთების განხილვისას აღნიშნავს, რომ აკაკი წერეთელმა 1862 წლის მარტის 31-ს ჩააბარა უკანასკნელი გამოცდა და მოიპოვა უფლება საკანდიდატო თბზულების წარდგენისა. კირილე ლორთქიფანიძის გადმოცემით, საკანდიდატო თბზულებად წარუდგენია თემა ვეფხისტყაოსნის ორგინალობაზე სათაურით: «О подлинности Барсовою кожи», რაც აკაკის შემდეგ უფრო ვრცლად განუვითარებიაო და უთითებს აკაკის „კრებულს“ (1898, № 5 და 6).

922. В. А. Гурно

Культура Грузии и ее отношение к Востоку

Тифлис, 1916

Электро-печ. типогр. и переп. «Картли», г. Гори

მოკლე წინასიტყვაობაში ავტორი შენიშნავს, რომ ეს ბროშურა წარმოადგენს 1914 წ. ქ. მოსკოვში, თბილისსა და ქუთაისში მის მიერ წაყითხული ლექციის განმეორებას.

რუსთაველი ნახსენებია 1, 11, 12, 25, 80 გვერდებზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი წარმოადგენს ქართველთა კულტურული შემოქმედების სრულ სიმბოლოს (გვ. 11), მაგრამ ის მხოლოდ დასავლურ-ქრისტიანული ელემენტებით არაა გამსჭვალული, რითაც იხსენება ის ეკლესიური დევნა, რაც პოემამ სამღვდლოებისაგან განიცადა და აგრეთვე ვახტანგ VI-ის ცდა რელიგიურ-სიმბოლურად განემარტა პოემა, რაც ნამღვლიად მასში არ არის (გვ. 12).

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქართულ პოეზებსა და რომანებსში, რომელნიც უკაროსანთა ომების ეპოქაშია შექმნილი, მათ

შორის ვეფხისტყაოსანში მოქმედება წარმოებს არა ბიზანტიასა და პალესტი-
ნაში, არამედ აღმოსავლეთის ფონზე — ინდოეთსა და სპარსეთში (გვ. 25).

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა გამსჭვალულია საერო, სუ-
ფთა ანტიქრისტიანული სულით. აკად. მარკის დამოწმებით აღნიშნავს, რომ
პოემის გმირები მაჰმადიანები არიან და პოემაში იგრძნობა ნეოპლატონიზმის
გავლენა.

923. Д-р. Н. Эрстов-Шарвашидзе

Книга о приданом царсони Нины Георгиевны

Памятник 1791 года

Перевод с Грузинского с двумя листовыми копиями с оригинала

Москва, 1916, 37 гл.

ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ: «В числе книг светского характе-
ра на первом месте упомянута «Вепхис-Ткаосანი»—книга, именуемая по-
русски «Барсовой кожей» (გვ. 8).

მზითვის სიაში ვეფხისტყაოსანი დასახელებულია ქილილა და დამანას.
შემდეგ (გვ. 14).

924. კოწია ვანელი

ნ. მარის ლექცია

(წერილი ბაქოდან)

გაზ. ჩვენნი მეგობარი, ქუთაისი, 1916, 31 დეკემბერი, № 245, გვ. 2—3.

რეცენზიის მიხედვით, ნ. მარი ლექციაში საქართველოს ისტორიის
საკითხებთან დაკავშირებით შეხებია ვეფხისტყაოსნის ზოგ პრობლემას. მარს
აღუნიშნავს, რომ «შოთა» ქართულ-ქრისტიანული სახელი არ არის, ვეფხის-
ტყაოსანმა მაჰმადიანური კულტურის დიდი გავლენა განიცადა, პოემა დაწე-
რილია XIII—XIV საუკუნეებში, პოეტი მაჰმადიანი იყო, ის ცხოვრობდა მეს-
ხეთში, რომელიც ამ დროს მაჰმადიანური იყო, რითაც აიხსნება პოემის მაჰ-
მადიანური ელფერი.

925. Антон Любимов

Ольгин скит

ჟურნ. Вестник Европы, 1916, Петроград, Сентябрь, გვ. 83—106.

ავტორი თბილისში ყოფნის აღწერისას ეთნოგრაფიულ ზენიშვნებში
აღნიშნავს:

«Говоря о Кавказе с грузинами и мусульманами, Вершинин поражался их апобленио-
сти в свою родину. Миша Лобжанидзе приносил ему книги, напечатанные по-гру-
зински, и заставлял читать, раз соглашались с ним в том, что самый красивый шрифт
в мире—грузинский. Он в слух по-грузински читал ему поэму великого грузинского
поэта Шота Руставели—«Барсова кожа».

— Она переводится на все европейские языки, кроме русского, это стыдно, это по-
зорно!—говорил Миша» (გვ. 86—87).

იმეფე გვერდზე მოყვანილია ასეთი დიალოგი:

— «А говорят, что «Барсова кожа» не грузинская поэма!

— Да ведь теперь уже не говорят.

— Говорили, князь Чавчавадзе доказал, Джавахов доказал, перестали говорить.»

926. მეფის მდივანი მამუკა

ზაქიანი [შოთას მოხსენება]

წიგნი: შაკ-ნაშეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები.

ტექსტი გამოსა და წინასიტყვაობა და ლექსოვანი დაურთო ი. აბულაძემ
თბილისი, 1916, 888 გვ.

ავტორი ზაქიანის ამბავის თარგმანისათვის დართულ შესავალში მწე-
რალთა დახასიათებისას რუსთაველზე ამბობს:

„შოთამ გალქესა ტარიას და ავთანდილის ქებანი,

ნესტანჯარს უქო ციმციმი, თინათინს მოვანებანი,

მათ მოხმარა გონება და მისნი ტკბილნი მცნებანი,

და სხვად არად სცალდა, მათ ზედა იმღერდა, ვითა ებანი“

(გვ. 4, სტროფი 3).

927. სტულ. ნიკო მაჭავარიანი

სმა პეტერბურგიდან

კ. ბალმონტის ლექცია „ვეფხისტყაოსანი“-ს შესახებ და აკადემ. ნ. მარის აზრი

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 9 თებერვალი, № 498, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ კ. ბალმონტის მიერ 1916 წ. 24 იანვარს პეტ-
როგრადის საზოგადოების წინაშე წაკითხულ ლექციას—*«Крестовосец и Юрник
Ишота Пустелли»*— დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია. ლექცია დაუწყია.
ბალმონტს ვეფხისტყაოსნის შესავალი სტროფების თავისი თარგმანის კითხ-
ვით და შემდეგ საკითხებს შეხებია: გმირული წარმოდგენა სიყვარულზე.
საქართველო XI—XII სს. სილამაზე ქართული ენისა. თამარ მეფე. „ვეფ-
ხისტყაოსნის“ შემქმნელი რუსთაველი. რუსთაველის პოემა, როგორც სიყვარუ-
ლის აღსარება. სიყვარულის ორი სახე. რუსთაველი, დანტე, პეტრარკა და
მიქელ-ანჯელო.

ლექციაში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული ჰქონია სიყვარულის
თეორიას. ბალმონტს აღუნიშნავს, რომ რუსთაველის სიყვარული უფრო რეა-
ლურია და მისაწვდომი, ვიდრე დანტეს, პეტრარკასა და მიქელ-ანჯელოსი.

ავტორი იძლევა ლექციაზე გამოთქმულ მთავარ დებულებებს და მის
შეფასებას აკად. ნ. მარის მიერ. ლექციის ირგვლივ გამოთქმულ სიტყვაში
მარს აღუნიშნავს, რომ სწორი არ არის ქართული ენის დახასიათება, მისი თეი-
სებების ბალმონტისეული გაგება, რომელიც ენის ბევრ თავისებურებას ხსნიდა
საქართველოს მთავორებისა და ბუნების თავისებურებით, რითაც თითქოს გან-
საზღვრული იყო ქართული ენის ხასიათი.

ვეფხისტყაოსნის შესავალი სტროფების შეფასებაში მარს აღუნიშნავს
გადამეტებული პათოსი. მისი შენიშვნით, საერთოდ ბალმონტის თარგმანი
ორიგინალს ძალზე ჩაბორონება. რუსთაველის რითმის თავისებურებებზე მსჯე-
ლობისას აღუნიშნავს, რომ ბალმონტი აკარბებს რითმის ვირტუოზობაში, რაც
თვითონ რუსთაველს არა აქვს. მარი მალლა აყენებს უორდროპების მიერ შე-
სრულებულ ვეფხისტყაოსნის ინგლისურ თარგმანს. მისი დასკვნით, პუშკინის
ლექსის ფორმა უფრო შეეფერებოდა რუსთაველს, როგორც ხალხური. ვეფხის-
ტყაოსნის რუსული თარგმანი მომავლის საქმეა. დასასრულ მარს უთქვამს:
„ქართველების მიერ რუსთაველის სავსებით შეთვისება-შეგნება რეალურად
შეუძრავს მთელ ქართველობას“.

228. მემედი

ვეფხის-ცვაოსნის საკითხის გარემო
(ჩვენი მცირელი განმარტება)

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 19 ივლისი, № 627, გვ. 3;
20 ივლისი, № 628, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მისი წერილი შეიცავს გამოხმაურებას პ. მირიანაშვილისა და გ. გვაზავას წერილებზე, რომლებშიაც აღძრული იყო ვეფხისცვაოსნის გმირთა მაჰმადიანობის საკითხი, ქალთა თანასწორობის იდეალის განვითარება და ვეფხისტყაოსნის ზოგი არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვის მნიშვნელობა.

პ. მირიანაშვილისა და გ. გვაზავას მოსაზრებათა მოკლე დახასიათებისას ავტორი გვაზავას უსაყვედურებს მაჰმადიანთა ისტორიის კარგად არ ცოდნას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, თითქოს, დაინახავდა, რომ მაჰმადიანებში ქალს დიდი როლი ჰქუთუნებია; მათი ისტორიით ცნობილია ქალის გამეფებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხელმძღვანელი როლის არა ერთი შემთხვევა (მაგ., ანდალუზიის მეცხრე მეფის მუსთაფა სირუნ ბილაჰი ჰექემის მეუღლე „სებიჰე“, ჰიჯრიდან მეექვსე საუკუნის დასაწყისს, ქალაქ ბალდაღში მეცნიერი დედაკაცი აბასის ასული „გვატიმე“ და სხვ.).

ამასთან ერთად ავტორი ეკამათება პ. მირიანაშვილისა და გ. გვაზავას ვეფხისტყაოსანში არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვათა მნიშვნელობა-ეტიმოლოგიაზე და იძლევა რამდენიმე ფაქტიურ შენიშვნას მათი სწორი გაგების თვალსაზრისით (მაგ., მუსაფი და სხვ.).

229. მემედი

მცირე განმარტება
(„ვეფხისტყაოსნის“ საკითხის გარემო)

გახ. სახალხო გაზეთი, 1916, 23 აგვისტო, № 655, გვ. 3; 29 აგვისტო, № 659, გვ. 3;
4 სექტემბერი, № 665, გვ. 3; 11 სექტემბერი № 670, გვ. 4.

ავტორი ეკამათება გ. გვაზავას, რომელსაც მისთვის უპასუხნია ვეფხისტყაოსანში თანასწორობის იდეის წყაროს შესახებ. გ. გვაზავას გაგებით, თანასწორობის წყარო ქრისტიანული კულტურის ნიადაგია, რასაც ავტორი აღმოსავლურს უპირისპირებს. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ისტორიული მაგალითები ქალის მაღალ მდგომარეობა-უფლებებზე და ეკამათება არაბულ სიტყვათა ეტიმოლოგიაზე.

ავტორს მიაჩნია, რომ რუსთაველის ტოლი გენიოსები მსოფლიოში მოიპოვებიან და საკირო არაა მისი გაზვიადება და აღმოსავლური კულტურის დამცირება.

230. პეტრე მირიანაშვილი

სწავლა და მამულიშვილობა

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 3 ივნისი № 589, გვ. 2—3;
4 ივნისი, № 590, გვ. 2.

ავტორის აზრით, მართალია ვეფხისტყაოსანი უცხო გეოგრაფიულ გარემოებაში ვითარდება და მოქმედი პირნი უცხონი არიან, მაგრამ მასში გამოხატულია მისი ავტორის—რუსთაველის დროინდელ ქართველთა პოლიტი-

ქურ-კულტურული ცხოვრების ავკარგი. ავტორის სწავლა-აღზრდა-განათლების იდეალზე ვეფხისტყაოსანში ქართული სინამდვილის გამონაკრთობად მიანიხი-გარეგნულმა მაჰმადიანურმა სამოსელმა ვეფხისტყაოსანს ალორძინების ხანში-ხელი შეუშალა რომ კარგად შესწავლილიყო. „ჭრისტიანობა და ქართველობა ერთ საგანს წარმოადგენდა“, რაც ერთი მხრივ ჰქმნიდა ვეფხისტყაოსანის გაუცხოებას მისი მაჰმადიანური სამოსელის გამო. ტარიელის მიერ ზეარაზელი სასიძოს მოკვლა ნესტან-დარეჯანის დავალებით პატრიოტული სულისკვეთებით იყო გამოწვეული, რაშიც ქართული ისტორიული სწრაფევა გამოხატული.

931. პ. მირიანაშვილი

ცოტა დაბლაღ დავისკლო

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 10 ივლისი, № 620, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს პასუხს ბ. გ. გვაზავას წერილებზე (რუსთველი და არა რუსთველი, გახ. „საქართველო“, 1916, № 149, 150, 151) ვეფხისტყაოსნის გმირთა უცხოობისა და მაჰმადიანობის საკითხებზე.

ავტორი გვაზავასთან კამათში აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი სპარსულია, მისი გმირები მაჰმადიანები არიან, რისთვისაც მოჰყავს პოემიდან სათანადო ადგილები. გვაზავა, ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის გმირებში უმარტებულად ხედავს ადამიანებს და არა ეროვნების წარმომადგენლებს. ასევე არც ქალის კულტია ქართული ან ჭრისტიანული, ესეც თავის დროზე არაბეთსა და სპარსულ ცხოვრებაში იყო განვითარებული. ამასთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საკითხის ისტორიას და საქართველოში ქალის კულტის წარმოშობას მარის შრომების მიხედვით. ეს არაბულ-სპარსული მოვლენა ქართული ცხოვრებისათვის იყო დამახასიათებელი, რამაც ვეფხისტყაოსანშიც ჰყოფა გამოხატულება.

932. [კატო მიქელაძე]

რუსთველი და სიმვოლისტები

გახ. სამშობლო, 1916, 18 მაისი, № 358, გვ. 1.

ტექსტი წარმოადგენს განცხადებას იმის შესახებ, რომ 18 მაისს ელექტრო თეატრ „რადიუმის“ შენობაში კატო მიქელაძის მიერ წაკითხული იქნება ლექცია „რუსთველი და სიმვოლისტები“. ზომიერად ლექციის პროგრამა:

1. მხატვარი, როგორც შემოქმედი და აღმზრდელი. 2. ხელოვნების დანიშნულება. 3. ესთეტიკური გრძნობა. 4. პერსონაჟისტიკები. 5. გიდროპატები. დეკორაციები, სიმვოლისტები, ესთეტიკები, პარანასილები და დემონისტები. 6. საფრანგეთის სიმვოლისტები და ჩრდილოეთის სიმვოლისტები. 7. იბსენი. 8. ბოდლერი, ვერლენი, კატულ-მენდენსი, დეუნსენტი და სხვა“.

933. ილიკო მობურთალი

„ველი აღმოსავლეთის“ წარსული და „ვეფხისტყაოსანი“

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 11 ნოემბერი, № 720, გვ. 2—3;
12 ნოემბერი, № 721, გვ. 2—3.

წერილს აქვს შენიშვნა: „ეზექციადეთ ამ წერილს, თუშეა ავტორის ზოგიერთი დასკვნა სადავოდ ზიგუაჩნია“.

ავტორი ეხება ძველი აღმოსავლეთის მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიაში, სუმერეთს, მათთან ქართველების ნათესაობას და ზოგ საერთო მო-

ტიეს სუბერულსა და ქართულში. მისი აზრით, ხვარაზმეთის წარსულს დიდი კავშირი აქვს ვეფხისტყაოსნის შინაარსთან და საჭიროა უფრო დაწვრილებით შევუდგეთ ამ წარსულის შესწავლასო. ავტორი აღნიშნავს მონგოლების გამოჩენას და მათგან დევნილი ხვარაზმელი ჯელალედინის საქართველოში შემოქრას, რასაც უპირისპირებს ვეფხისტყაოსანში ხვარაზმელი სასიძოს მოყვანის ეპიზოდს, რითაც ამ ეპიზოდს ისტორიულ საფუძველს უძებნის.

ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ჩონჩხი არ არის ზღაპარი და ვერც სპარსულად შეითხზებოდაო. იგი ეკუთვნის 1210 წლის შემდგომ ხანას. ვეფხისტყაოსანში აღწერილია 1210 წ. ხვარაზმის ლაშქრობაში ქართველების დამარცხება, რაშიაც რუსთაველი იღებდა მონაწილეობასო.

334. П—р

К лекциям акад. Н. Я. Марра в Баку

გაზ. Кавказское слово, Тифлис, 1916, 30-го декабря, № 290, გვ. 2.

წერილის მიხედვით, აკად. მარს წაუკითხავს სამი ლექცია არმენოლოგიისა და ქართველოლოგიის საკითხებზე, რომელთაგან მესამე სპეციალურად ნიძღვნილი ყოფილა ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შოთა რუსთაველის საკითხებისადმი.

ავტორი აღნიშნავს, რომ მარმა პოემის ტექსტის დასადგენად დიდი შუშაობა ჩაატარა მესხური დიალექტის საფუძველზე, რომელიც მისი თეორიით სომხურთან ახლოს იდგა. ამ ნიადაგზე მარი იძლევა მესხი-სომეხის ეტიმოლოგიის და ვეფხისტყაოსანში ზოგიერთი არმენიზმის არსებობას იმით ხსნის, რომ ისინი პოეტის მეტყველებაში ბუნებრივი იყო, რამდენადაც თითონვე ეკუთვნოდა მესხ-სომეხთა წარესო. ასევე პოემის სპარსიზმები, არაბიზმები და თურქიზმები, გარეშე ენობრივი გავლენის შედეგი კი არაა, არამედ მათთან შინაგანი სულიერი შერწყმისაო.

ლექციის ერთი მთავარი დებულება შოთა რუსთაველის მაჰმადიანად გამოცხადება და, თუ როგორ იყო შესაძლებელი ქრისტიანულ საქართველოში თამარ მეფის დროს კარის პოეტის მაჰმადიანობა, ამ წინააღმდეგობას მარი იმით ხსნის, რომ შოთა არა თუ არ იყო თამარის კარის პოეტი, არამედ არც მისი თანამედროვე ყოფილაო.

ავტორის შენიშვნით, ვილაც ახალგაზრდა მკვლევარს (მხედველობაში ყავს ს. კაკაბაძე) მსგავსი აზრი გამოუთქვამს იმის შესახებ, რომ შოთა XV საუკუნის დასაწყისის პოეტია და ამდენად რუსთაველის დროის გადატანა დაცემის ხანაში საერთო დასაბუთებას ჰპოვებს.

335. ბიძინა ჩამიშვილი

ქეშმარიტება ქართველი ერისა
კრიტიკული ვერიული

კრებ. ცრემლის ღუზა, ქართველ მოზარდთა კრებული,
გამოცემა ი. რ.—სა, ტფილისი, 1916, გვ. 41—76.

ქართული ისტორიისა და საზოგადოებრივი აზროვნების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ჩერდება ვეფხისტყაოსნის პრობლემაზე (გვ. 63—75). მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში შოთას გენიამ სავსებით შეიცვა ქართვე-

ლი ერის ქეშმარიტება, მისი ისტორიით შექნილი ქართველი ხალხის მრავალფეროვანი სული. მასში ქართველი ერის უმთავრესი ძარღვი გამოიხატა, ვეფხისტყაოსანი ნამდვილი ქართული ნაწარმოებია, ქართული სულის ქეშმარიტებისა და ცხოვრების სინთეზი. ავტორი შენიშნავს, რომ, თუ ხალხურ ამირანში გამოხატულია ქართველი ხალხის ბედის ცვალებადობა, რუსთაველმა ეს ცვალებადობა, დაუდო საფუძვლად თავის პოემას და სიხარულისა და მწუხარების ცვალებადობის გამოსახვით შექმნა მისი ცხოვრების სრული აპოთეოზი. ვეფხისტყაოსანი სინთეზია ადამიანის წარსულის, აწმყოსა და მომავლის, სინთეზია მსოფლიო პოეზიისა, ოპტიმიზმისა და პესიმიზმის დუალიზმი სუნთქავს ვეფხისტყაოსნის ყოველ ფურცელში.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ცალკეულ თქმებს ადარებს ბაირონის, გოეთეს, ჰეგელის, კანტის და სხვათა ცნებებსა და იდეალებს, მსოფლიო სევდისა და საწუთროს დაუდგრომლობის მოტივებს და ცდილობს პოემის მთავარი იდეალები მათთან საურთიერთო ცნებებში გამოხატოს. მისი დასკვნით, პოემის უმთავრესი თემა სიყვარულია, რომელიც გაგებულია როგორც კოსმიური ძალა. მასში იხატება ადამიანის სულის სილამაზისადმი მისწრაფება, საზღვარი სიცოცხლისა და სიკვდილისა, როგორც პესიმიზმისა და ოპტიმიზმის უკიდურესობათა შეერთება. მასშია გამოხატული სილამაზისა და ქალის კულტი, როგორც ქართული ისტორიისა და ცხოვრების მარადი ნიშანი.

930. შოთა რუსთაველი

Витязь в барской шкуре

Четырестрочия вступительных, перевод с грузинского К. Гальмонта

კრებ. Отечество, сборник национальной литературы России, том I, Петроград, 1916, გვ. 475—478.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროლოგის ბალმონტისეულ რუსულ თარგმანს.

დასაწყისი: «Он, что создал свод небесный, Он, что властью чудесной»...

931. ხერაპიონ სოჯრატის ძე საბაშვილი

[რუსთაველის მოხსენიება გალექსილ როსტომიანში]

წიგნში: შაჰ-ნამეს ანუ მეფეთა წიგნის ქართული ვერსიები.

ტექსტი გამოსცა და წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო იუსტინე აბულაძემ, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ძველი ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი, 1916 წ., 460 გვერდზე.

„აქა ამბავი ზაალისაეე ტელ-მწიფეს წინაშე წასულისა“ სქოლიოში გაკეთებული აქვს რედაქტორის შენიშვნა:

„ამ 1670 ხანას ყველა ხელნაწერში, დადიანისეულს გარდა, მისდევს სამი ხანა, რომელსაც ამბავთან არავითარი კავშირი არა აქვს. აქ ვილაც სერაფიონი მოგვიტობრობს ბაგრატ მუხრან ბატონის მოღვაწეობასა და თავის შოთა რუსთაველთან გაბაასებაზე“.

მოჰყავს სტროფები:

1. „ბაგრატ ენახე მარანსა ჯდა, მუხრანს შექმნა ნადიმობა, ტელ-ყო საყდართ აშენება, დაიჭირა ბატონობა: ძველი ტახტი გააახლა, პპოა მღუთითა მორკმულობა, და ნაძღვეი ვარ რუსთველთანა, მეტი ექნა ჩემოდნობა.
2. რას მიმერჩი ბერი ბერსა, მე გაულექსე ლამაზ-უნა, აწყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა, შენ ტყუილად შემოგფიცეს. მათ აღზნეს ტპილათ ენა, და თუმცა ფასი არ მიზოძა, მან რუსთავი ამიშენა“.

338. [უავტორო]

ახალი ამბავი [ლექცია ვეფხისტყაოსანზე]

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 19 თებერვალი, № 507, გვ. 2.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ახალი კლუბის დარბაზში კ. დოდაშვილი წაიკითხავს ლექციას თემაზე: „მომზადრე მესტვირეები ძველ საქართველოში“ „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დემონსტრაციით მე-12 და მე-13 საუკუნეში“.

339. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულად

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 22 მარტი, № 533, გვ. 3.

გახ. ჩვენი მეგობარი, 23 მარტი, № 20, გვ. 3.

ინფორმაციული ცნობა „ახალ ამბებში“ იმის შესახებ, რომ რუსის გენერალს ბ. ლიპკინს რუსულ ენაზე გადაუთარგმნია „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც მოკლე დროში ქართველი საზოგადოების წინაშე წაიკითხავს.

340. [უავტორო]

საურადლებო ამბავი

გახ. საქართველო, 1916, 23 მარტი, № 66, გვ. 3.

ფურნ. ცხოვრება, 1 აპრილი, № 7, გვ. 21.

ქრონიკალური ცნობა მომყავს სრულად:

„ქართულ მუხუმის გამგეს, ბ-ნ იუსტინე აბულაძეს მეტათ საგულისხმორო ხელნაწერი შეუქმნია სპარსულიდან პროზაზე გადმოღებული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც მასალად გამოდგომა შოთა რუსთაველს, თავის უკედა ნაწარმოების შესაქმნელათ. ხელთნაწერი გორის მახრიდან არი ჩამოტანილი და საფლავის თბრის დროს უპოვიათ თურმე“.

341. ხიტყვა [სამსონ ფირცხალაფა]

ირანისა და საზოგადო სპარსულ-არაბულის კულტურის გავლენა ქართულზე

გახ. სახალხო ფურცელი, 1916, 4 დეკემბერი, № 739, გვ. 3.

წერილი ძირითადად ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობისა და სპარსულ-არაბული გავლენის პრობლემას და დაწერილია აკად. ნ. მარის ნაშრომების გავლენით. სპარსულ-არაბული კულტურის საქართველოზე გავლენის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ჩერდება XII საუკუნის ქართული კულტურის მდგომარეობაზე. როდესაც მას დამოუკიდებელი განვითარების პირობები შეექმნა და აღნიშნავს, რომ აბდულმესია, თამარიანი და ვეფხისტყაოსანი ქართული, ეროვნული შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენენ, ისინი გამოხატავენ ქართულ-ეროვნულ სულს, მიუხედავად ამისა, რამდენადაც ქართული პოეტები იცნობდნენ სპარსულ კულტურას, მათ ერთგვარ გავლენასაც განიცდიდნენ. ავტორის აზრით, სპარსელთა გავლენა კლასიკურ მწერლობაზე განსაკუთრებით ფორმისა და სიუჟეტების მხრივ უდავოა. ასეთი გავლენის პირობები, მისი აზრით, საქართველოს სპარსეთთან და არაბეთთან კულტურულ ურთიერთობაშია, როდესაც ქართველები მთლიანად კი არ ითქვიფებოდნენ ამ უცხო გავლენაში, არამედ ახერხებდნენ წარმოევით ისეთი გენიოსი, როგორიც შოთა რუსთაველია.

რაც შეეხება ნიხამს, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსთაველი დახლოებული იქნებოდა მის რომანტიზთან და ლეილ-მეჯუნის აღფრთოვანებული სიყვარული, შოთას გულსაც მოხიბლავდა. შესაძლებელია, რომ ხაკანი და ნიხამი საქართველოშიც იყვნენ*.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ კერავითარი გავლენა ჩვენ ეროვნულ სულს ვერ ანადგურებდა და დასძენს:

„პირიქით მეთორმეტე საუკუნეში ჩვენმა გენიამ უდიდესი გამოშატვლილი ჰაოვა შოთა რუსთაველში, რომელმაც ისე ჩარმონიულად შეადგა აღმოსავლეთი და დასავლეთი, სპარსიზმი და ელინიზმი, გრძნობა და ფიქრი და თავის იდეალურ გმირების სახით მოუვლინა ჩვენს ერს მეორე სახარება“.

942. И. А. Нипшидзе

Очерк истории грузинской литературы до конца XVIII века

კრებ.: Отечество, Сборник национальной литературы России.

том I, Петроград, 1916, გვ. 455 — 467.

ავტორი აღნიშნავს, რომ სასულიერო პოეზიაში 16 მარცკლოვანი შიორის საზომი უკვე იყო ჩასახული, რომელიც შემდგომ საერო პოეზიაში და კერძოდ ვეფხისტყაოსანში იყო გამოყენებული (გვ. 462). ახასიათებს თამარ მეფის ეპოქის კულტურას და აღნიშნავს, რომ ამ ეპოქის ყველაზე დიდი გამოხატულება არის რუსთაველის ვეფხისტყაოსანი. ავტორი ეხება რუსთაველის ოსტატობას, ვეფხისტყაოსნის აგებულებას და მის მნიშვნელობას ქართული ერისათვის (გვ. 465—466).

943. И. А. Нипшидзе

[ბიბლიოგრაფია ვეფხისტყაოსანზე]

Указатель к статьям и материалам о грузинской периодической печати (1852—1910)

ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1852 — 1910) მოთავსებული სტატიებისა და შასალების მაჩვენებელი,

Петроград, 1916, VIII + 262 გვ.

ვეფხისტყაოსნის გამოცემანი, ხელნაწერები და ლიტერატურა ვეფხისტყაოსანსა და შოთა რუსთაველზე ბიბლიოგრაფიაში მითითებულია ნომრებით: 48, 2289—90, 2309—10, 2314, 2319, 2327, 2328, 2349, 2352, 2376, 2387, 2443, 2449, 2454; 2373, 2413; 2328, 2371, 2379, 2408, 2410, 2448.

ხალხური ვეფხისტყაოსანი: №№ 1921 — 22, 1935, 2011, 2077, 2086, 2121, 2151 — 52, 2160, 2284 — 5, 2273.

შოთა რუსთაველზე: №№ 2310, 2381, 2383 — 4, 2405, 2457.

944. ა. ჯ—შვილი

ორიოდე სიტყვა ღიღი საკითხის შესახებ

გაზ. სახალხო ფურცელი, 1916, 25 ივნისი, № 608, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის კულტურულ და მორალურ-აღმზრდელი მნიშვნელობას ქართველი საზოგადოებისათვის და ეხება პეტრე მირიანაშვილსა და გიორგი გვაზავას შორის ატეხილ კამათს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე. ავტორი მიუთითებს, რომ ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის

პრობლემა უნდა გადაწყდეს ობიექტური სინამდვილით, რაც პოემის მეცნიერულ შესწავლას უნდა დაეყრდნოს. პ. მირიანაშვილის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები მაჰმადიანები არიან, ავტორის შენიშვნით, გვაზავამ დაუპირისპირა აზრი მათი ქართველებად აღიარების შესახებ. ეს ორივე აზრი შემეცდარია. პოემაში გამოკრთის არამაჰმადიანური სულისკეთება. ვეფხისტყაოსანი წმინდა ქართული ნაწარმოებია და არა ნათარგმნი: „არა ქართულ გარეგნულ ფორმაში ჩამოსხმულია წმინდა ქართული სულის აღმოჩენა“.

1917

946. ი. აბულაძე

ნაწევები წერილებიდან რუსთელის და ვეფხისტყაოსნის შესახებ
პოეტის მაჰმადიანობის გამო

გახ. სახალხო ფურცელი, 1917, 21 მაისი, № 869, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ის დიდი ხანია ამტკიცებს, ვეფხისტყაოსნის მოთხრობის წმინდა მუსულმანურ-არაბულ-სპარსულობას, მაგრამ თვითონ რუსთაველი მაჰმადიანი არ არისო. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, ფსალმუნის გავლენით შექმნილ ფრაზებს ვეფხისტყაოსანში (მაგ. 1512, 4; 790, 3). მისი დასკვნით რუსთაველი სესხულობს ქრისტიანული მწერლობიდან და საერთოდ ვეფხისტყაოსანის დაწერა მაჰმადიანური კულტურის დაინტერესებისა და მასთან შეგუების ნაყოფია.

ვახტანგის გამოცემული „ვეფხისტყაოსნ“-ის რედაქცია

ურნ. განათლება, 1917, აპრილი და მაისი, № 4—5, გვ. 262—278.

ავტორი ახდენს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ტექსტის ანალიზს ხელნაწერებთან დაპირისპირებით და გამოთქვამს აზრს, რომ ის წარმოადგენს ძველ რედაქციას და ხასიათდება სიმოკლითა და შეურყვნელობით, თუმცა შესავალი ხანები მასში არეულ-დარეულია. მისი აზრით, ვახტანგის გამოცემის პროტოტიპში, რომლის პირსაც ის წარმოადგენს, თავიდანვე მომხდარა შესავალი სტროფების თავისებური გადასმა-გადმოსმა. შესავალი სტროფების აღდგენა-დალაგება და წარყვნილი ადგილების შესწორება, ავტორის აზრით, ხერხდება ყველაზე ძველი და ვრცელი ხელნაწერების მიხედვით, რომლებშიაც შესავალი სტროფების რაოდენობა და რიგი ხელუხლებლად არის დატული. ვახტანგის გამოცემას, მისი აზრით, ახასიათებს ცალკე სიტყვებისა და სტროფების მნიშვნელოვანი დამახინჯებანი.

ვახტანგის რედაქციასთან ხელნაწერების შეჯერებით ავტორი იძლევა მრავალი წარყვნილი ადგილის გასწორებას და შესავალი სტროფების მთლიანი ტექსტის დადგენის ცდას.

946. Н. Бальмонт

Великие итальянцы и Руставели

წიგნაკმი: III ота Руставели, Носящий Барсову шкуру. Грузинская поэма XII в.

Перевод К. Бальмонта. Издание М. и С. Сабашниковых, Москва, 1917, 112 გვ.

ვეფხისტყაოსნის ცალკეული თავების რუსულ თარგმანს წინ უძღვის წერილები წინასიტყვაობისა და შესავლის 'სახით. წერილში „Предисловие“ (გვ. 5—7) ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და მნიშვნელობას, ეხება პოეტის ბიოგრაფიას, ვეფხისტყაოსნის თარგმანზე მუშაობას და დასასრულ მადლობას უხდის ხელის შეწყობისათვის თამარ ყანჩელს, სანდრო ყანჩელს, გიგო_ლიასამიძეს და ოლივერ უორდროპს.

წერილში „Руставели“ (გვ. 11—16) ავტორი ეხება ქართული ენის თავისებურებებს, რუსთაველის შემოქმედების საერთო ხასიათს და ვეფხისტყაოსნის თარგმნის პირობებს.

წერილში: „Великие итальянцы и Руставели“ (გვ. 17—23) ავტორს გაჰყავს პარალელი რუსთაველის, დანტეს, პეტრარკასა და მიქელ-ანჯელოს შემოქმედებას შორის. ასეთი შედარების საფუძველი მისთვის არის სიყვარული და ქალისადმი თავყვანისცემა, რომელიც, მისი აზრით, ოთხივე გენიოსში მსგავსი ნიშნებით არის ასახული. მათ შორის სიყვარულის გამოსახვაში რუსთაველი ყველაზე მეტად ადამიანურია, რაშიაც მხოლოდ მიქელ-ანჯელო შეედრება. ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსთაველმა რამდენიმე საუკუნით ადრე პირველმა შესძლო ემღერა რეალურ ადამიანზე, რომელიც სავსებით აშქვეყნიური თვისებებით იყო დაჯილდოებული, რომ მასში არ არის სქოლასტიზმი, სქემატურობა, ბუნდოვანობა და იმპეყენიური სინამდვილის ძიება, რაც დანტესა და პეტრარკას ახასიათებთ.

247. გ—ლ•

„ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე

გაზ. ქართული გაზეთი, ბერლინი, 1917, 1 ილისი, № 29, გვ. 4.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ უნგრულ ენაზე შესრულებულია სრული თარგმანი პოემისა სამეცნიერო აკადემიის წევრის პროფესორ ბელა ვიკარის მიერ, ეს თარგმანი ბელა ვიკარს გაუყეთებია ესპერანტოს საშუალებით. ვინმე ცისკარაულის მეშვეობით, რომელსაც ესპერანტო კარგად სცოდნია და აქვსი თვის განმავლობაში უთარგმნიდა ვეფხისტყაოსანს უშუალოდ ქართულიდან ესპერანტოზე.

ამ თარგმანში ლექსის ზომა და ფორმა იგივე ყოფილა, რაც ორიგინალშია. თარგმანი გამოვა ზიჩის სურათების დართვით. ბელა ვიკარი ყოფილა პოეტი და კარგი თარგმანებისათვის „მთარგმნელთა შეფეს“ უწოდებენ.

ამ თარგმანის გამოცემაზე ქრონიკალური ცნობა დაიბეჭდა: გაზ. „საქართველო“-ში, 1917, 17 მარტი, № 61, გვ. 3.

248. გიორგი გვაზავა

აკად. ნ. მარის და შოთა რუსთაველი

გაზ. საქართველო, 1917, 11 იანვარი, № 8; 12 იანვარი, № 9.

ავტორი ახასიათებს რუსთაველის შემოქმედების ძირითადი იდეალების სფეროს, რომლის გათვალისწინებაც, მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის გასაგებლად აუცილებელია. ავტორი აკრიტიკებს მარს და მის მუშაობას ვეფხისტყაოსნის საკითხებზე უწოდებს „საფილოლოგიო წერილმანობას“. მარის ყალბი ჭზა იმანი მდგომარეობს, რომ მას ჰგონია თითქოს მთავარი ვეფხისტყაოსანში იყოს მასალა, რომელიც რუსთაველმა თითქოს უცხო სინამდვილიდან გამოიყენა. მისი შენიშვნით, წინააღმდეგ მარისა, ვეფხისტყაოსანში თითქოს არსებულ არმენიზმებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ამ ნიადაგზე სომხურ კულტურულ გავლენაზე ლაპარაკი უადგილოა. მარის შეხედულების კრიტიკულად განხილვისას ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან მომდინარეობის შესახებ ავტორი შენიშნავს, რომ მარი „კომიკურ თავ-მოწონეობით“ ამტკიცებს მესხების და სომხების ახლონათესაობას, რითაც მას უნდა „როგორმე შეით-ჩიოს რუსთაველი სომხების ისტორიის ფარგლებში“ (№ 8).

ავტორი ასევე აკრიტიკებს შარის დებულებას რუსთაველის მაჰმადიანად გამოცხადების შესახებ და იმ საბუთიანობას, რითაც თითქოს რუსთაველ-ქრისტიანი არ იყო, და რომ პოეტი ცხოვრობდა XIV—XV საუკუნეებში.. ავტორის აზრით, რუსთაველი განგებ არ აღიარებს რომელიმე რელიგიის ფორმას, მას ინტერესებს ღმერთი და ლოცვა ზოგადად. ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ის ადგილები, სადაც თამარი იგულისხმება, იმის დასამტკიცებლად, რომ ის თამარის დროსაა დაწერილი.

ვეფხისტყაოსანი თამარ მეფის გარდაცვალებამდე რომაა დაწერილი, ავტორს მოჰყავს ის ფაქტი, რომ რუსთაველი არ ახსენებს თოფს, რომელიც აზნხიდან უკვე საერთო ხმარებაში შემოდის.

949. А. Захаров

Шота Руставели. Носший барсову шкуру. Грузинская поэма.

XII в. Перевод К. Бальмонта

Москва. Издание М. и С. Слонимковича, 1917, 112 стр., цена 1 р. 25 к.

ფურც. Исторический Вестник, 1917, № 7—8, 234.

ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობილი ქართული პოემა ვეფხისტყაოსანი პირველად იბეჭდება სრული რუსული თარგმანით. ზოგადად აფასებს თარგმანს და აღნიშნავს მისი ლექსის გადამეტებულ რითმიანობასა და ქლადობას.

რეცენზენტი მოკლედ ეხება წიგნის შედგენილობას და გამოთქვამს სურვილს, რომ ვინმე ქართულის მცოდნემ შეუდაროს თარგმანი ორიგინალს და გამოთქვას თავისი აზრი.

950. Н. Г. Капанели

Руставели и Данте

წიგნში: Страдание и творчество, фрагменты, Тифлис, 1917, 198 გვ.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის ეპოქას (გვ. 181), და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ორგანულად ეკუთვნის XII საუკუნეს (გვ. 188). გაჰყავს პარალელი რუსთაველსა და დანტეს შორის, რომელთა შემოქმედებაში ნახულობს საერთო საკაცობრიო სიმაართის გამოხატულებას შუასაუკუნოებრივი მხატვრული ტექნიკის საშუალებით—სიმბოლოთი (გვ. 187). ავტორის ცდაა რუსთაველის პოემის ფაბულის სიმბოლური ხასიათის გახსნა (გვ. 188). მისი შენიშვნით: «Самыми выдающимися космоическими метеорами, явившимися в сумраке средневековья, были—Шога Руставели и Данте Алигьери. Первый явился с востока и почти на целое столетие раньше второго...» (გვ. 184). რუსთაველი მზიურ სიყვარულში ასაბუთებდა ადამიანის ყოფნის მარადისობას. რუსთაველი და დანტე ორივე უმღერდა სიყვარულს, მაგრამ რუსთაველი იყო ელინისტი, დანტე მისტიკოსი და რაციონალისტი. რუსთაველის პოემაში სიყვარული ბუნების შემოქმედებითი ძალაა (გვ. 185). რუსთაველთან სიყვარულის პრობლემა უფრო ნათლად იკრება, ვიდრე დანტეს პოემაში. ავტორი ამ დებულებათა საილუსტრაციოდ ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გმირებს. ამავე წიგნის სხვა წერილებში იხ. გვ. 84, 103, 126, 152.

951. ლეო კერესელიძე

თამარ მეფე და მისი შგოსანი რუსთაველი (ჟანტაზია)

გახ. ქართული გაზეთი, ბერლინი, 1917, 1 აპრილი, № 25, გვ. 2—3.

ტექსტი წარმოადგენს ლეგენდას, რომელიც ავტორის მიერ თარგმნილია ფრანგულიდან. დასასრული:

მას შემდეგ ბევრმა საუკუნემ განულო; თამარ მეფე და მგოსანი რუსთაველი დიდი ხანია მისწას მივბარებენ, მაგრამ მათი სიყვარული მუდამ ცოცხალია და იცოცხლებს საუკუნეთა დამლუფადე; რადგან ისინი შეერთებულნი არიან ქართული ერის მათდამი სიყვარულითა. ესეთია მოთხრობა. „ქვეყნიერი მისი“ და მისი მგოსნის რუსთაველის სიყვარულისა“.

59. Н. Я. Марр

Грузинская поэма „Витязь в барсовой шкуре“ Шоты из Руставы и новая культурно-историческая проблема

Известия Академии Наук, 1917, гл. 416—446+475—506.

შინაარსი: I. П л е м е н н а я с р е д а : Проблема о культурной ориентации поэмы. Отношение грузин к теории о возникновении и развитии грузинской светской литературы под персидским влиянием. Односторонность этой теории—книжность. Возможность углубления историко-литературного освещения поэмы. Взаимоотношение Шоты и одноплемянника Тамира—Чахурхадзе. Вклад жития Григория Хандзтийского в вопрос. Значение неоплатонизма. Культ женщины. Институт витязей—К'нда. Идея поэмы. Народный ее характер. Имена героев, иноземные и местные элементы. Внебуждавшиеся и последние према средние вопросы о поэме. Вопрос о тексте. Отдельные искажения, вставка, отрывки и пробы. Текст реставрирован. Время реставрирования текста и причины гибели мелочедших частей. Шота Мехк и Месхия. Месхская речь и язык Шоты, Сванзмы. Арменизмы.

II. Культурная среда и эпоха. — Арабские, персидские и турецкие слова. Вклад мусульманской культуры в месхскую речь. Месхская родная речь—источник лексических параллелизмов и слов мусульманского происхождения в поэме. Месхия автономна—среда совместного развития христианской и мусульманской культуры. Слабое значение заимствованных слов и решающее значение расцвета культуры в Месхии для датировки, поэмы. Грузино-мусульманская культурная среда в Месхии и религия Шоты из Руставы. Время Шоты. Грузино-мусульманский поэт монгольской эпохи, его судьба и судьба Шоты. О неизвестности имен героев «Витязь в барсовой шкуре» в грузинской литературе за XII, XIII и XIV столетия. Теза.

შრომა წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას რუსთაველის შემოქმედების, სტილის, ენის, მსოფლმხედველობის, რელიგიის და მისი ეპოქისა და ცხოვრების შესახებ. ავტორი ეხება რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულსა და სოციალურ კულტურულ გარემოს, მისი დროის ლიტერატურულ გაგენათა სფეროს, მაჰმადიანურ-ქრისტიანულ კულტურათა ადგილს პოემის იდეოლოგიური საფუძვლების კვლევაში, ვეფხისტყაოსნის დამოკიდებულებას მისი ეპოქის სხვა თხზულებებთან, რუსთაველის დიალექტიზმების საკითხს, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წყაროს და სხვ. ავტორი ზოგადად იხილავს ქართული საერო მწერლობის წარმოშობასა და განვითარების პრობლემებთან ზოგიერთ რუსთაველოგიურ საკითხს. ავტორი აყენებს დებულებას, რომ რუსთაველი მუსლიმანია (გვ. 493—494). მაჰმადიანური ელემენტის ასახსნელად ვეფხისტყაოსანში, აყენებს საქართველოში მონგოლების შემოსევის შემდგომ შესხეთში XIV—XV საუკუნეებში მუსლიმანურ-კულტურული კერის არსებობის მთელ თეორიას, რომლის წრეშიაც უნდა წარმოშობილიყო, მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი.

ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს რუსთაველოლოგიურ კვლევამებდას პოემის წარმოშობის დროის, ადგილისა და პოეტის მსოფლმხედველობის შესახებ. მოჰყავს პარალელები სპარსული მწერლობიდან, განსაკუთრებით ვისრამიანიდან. იხილავს პოემის კომპოზიციას და გმირთა ურთიერთობას, რაც შოთას პირად შემოქმედებად მიიჩნია განსხვავებით მისი სპარსული პროტოტიპისა, რომელიც თითქოს პოეტმა გამოიყენა. ავტორის აზრით, მეგობრობის საფუძველი ინდოეთის, არაბეთისა და სპარსეთის გმირებისა-

თვის არის არა ისლამი ან რელიგია საერთოდ, არამედ ქართული ხალხური ინსტიტუტი ძმადნაფიცობისა. გზირთა სახელების ეტიმოლოგიებს ავტორი ხსნის უმთავრესად სპარსული ენის საფუძველზე. მისი დაკვირვებით, ვეფხისტყაოსნის ლექსიაში მოიპოვება სვანურისა და სომხურის კვალი ცალკე გადმოქართულებული სიტყვების სახით, რაც პოეტმა თითქოს მესხური დიალექტისაგან შეითვისა. ასეთივე ახსნას აძლევს ავტორი არაბულ-სპარსულ-თურქულ სიტყვებს, რომელთა წარმოშობა, მისი შენიშვნით, ყოველთვის წიგნური არ არის, არამედ მესხურ-კუთხური, რომელსაც ისინი ბუნებრივად ცოცხალ მეტყველებაში ჰქონდა შეთვისებული.

ავტორის შენიშვნით, თუმცა შოთა რუსთაველი მაჰმადიანი იყო რელიგიით, ის არც ერთ რელიგიურ აღსარებას უპირატესობას არ აძლევდა. პოემაში ჩანს მისი ავტორის ფართო განათლება, რითაც აიხსნება მუსლიმანურ-ქრისტიანული რელიგიის ელემენტების არსებობა პოემაში. ვეფხისტყაოსანში გარკვეული გამოხატულება ჰპოვა ქართულმა ნეოპლატონიზმმა (გვ. 423). ასევე მოკმე-მეგობრობა ვეფხისტყაოსნისა ქართული სინამდვილის ანარქელია.

953. პეტრე მირიანაშვილი

ზოგი რამ

გან. სახალხო ფურცელი, 1917, 14 თებერვალი, № 794, გვ. 2—3, ქვედრამარის მიერ ბაქოში რუსთაველის შესახებ წაკითხული მოხსენების მთავარ დებულებათა აღნიშვნის შემდეგ ავტორი ეკამათება გვაზავას, გ. იმნაიშვილს, დ. კასრაძეს, რომელნიც მარის დებულებათა წინააღმდეგ გამოდიან.

ავტორი მხარს უჭერს მარის იაფეტურ თეორიას და მოჰყავს მისი ზოგი შეხედულება.

954. Rusztaveli

*Tariel a párduebörös lovag Torditotta Vikár Béla
Zichy Mihály huszonhat képével*

Budapest, 1917, 231 გვ.

ვეფხისტყაოსნის თარგმანის ტექსტს წინ უძღვის V. B. ინიცილებით წინასიტყვაობა: „Előszó“ (გვ. 3 — 8). ტექსტი შეიცავს LVXII თავის სრულ თარგმანს. სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. დასაწყისის პირველი სტროფი:

«Roszteváu arab király volt, Lsten kegyelmébül való,
Délceg, nagylelkü a néphez, kit hatalmas hadával ó,
Lgazságos, szelid, dúis, a kormányt hülcsen birtokoló
Hős a harcban, győzheteten, barátjáért élő—haló».

955. Шота Руставели

Носливий Гарсову шкуру

Грузинская поэма XII в. Перевод К. Бальмонта.

Издание М. и С. Сабашниковых, Москва, 1917, 112 гв.

ტექსტი შეიცავს პოემის პირველ რვა და დასასრულის 47-ე თავების თარგმანს. სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. დასაწყისი:

«Он, что создал свод небесный, Он, что властью чудесной,
Людем дух дах безтелесный,—этот мир нам дал в ужас...»

თარგმანს წინ ერთვის წინასიტყვაობა (გვ. 5—7) და წერილები რუსთაველის პიროვნებასა და შემოქმედებაზე: «Руставели» (გვ. 11 — 16); «Великие италиянцы и Руставели» (გვ. 17—23); «Турнир в месте Руставели» — грузинское народное предание (გვ. 24—26) იხ. ანოტაცია № 947.

*Шота Руставели, посланий Барсопу Шкуру, Грузинская поэма
XII в. Перевод К. Бальмонта, Изд. М. и С. Сабашниковых,
М., 1917 г., стр. 113, ч. I р. 25 к.*

თრბ. Русская мысль, Москва и Петроград, 1917.

დამატებაში: Критическое обозрение, გვ. 1—2.

ავტორი აღნიშნავს, რომ აზროვნებისა და პოეზიის იმ ბრწყინვალე განვითარებაში, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ხალხებმა განიცადეს, საქართველოს უკანასკნელი ადგილი არ ეკუთვნის, მხოლოდ, თუ სხვა ხალხებში ასეთი ეპოქა საუკუნეებს გაგრძელდა, საქართველოში ის მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს იყო.

თამარისა და შოთა რუსთაველის (1172—1216) ხანა იყო საქართველოს რენესანსი. რუსთაველის პოემაში ქართველმა ხალხმა სრული გამოხატულება პოეზიის წარმოადგენს ღრმად ორიგინალურ თხზულებას. ის განსხვავდება როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის სინამდვილისაგან თავისი ღრმა ადამიანურობით, რეალიზმით, ინდივიდუალიზაციით. პოემაში გადმოცემულია ხალხის ისტორიული ცხოვრება. რუსთაველის პოემაში ქალის სახეები უფრო გამოკვეთილია, ვიდრე ვაგებისა, რაც მას ასხვავებს სხვა ეპოსებისაგან.

ავტორი მოკლედ უკეთებს ანალიზს პოემის მთავარ გმირებს. მისი აზრით, ტარიელი და ნესტანი სპარსული სახეებია, ავთანდილი და თინათინი — ქართული.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ რამდენადაც მან ქართული ენა არ იცის, ის თარგმანს ვერ შეაფასებს, მაგრამ მასში შესამჩნევია გასაოცარი ხშიერება და გამომსახველობა, მაგრამ ამასთანავე — ენობრივი სიმძიმეც. მისი აზრით, ბალმონტმა შინაგანი რითმების გაკეთებით უღალატა რუსთაველის შაირის საზომს.

557. ტიტე ტაბიძე.

შოთა რუსთაველი

გახ. საქართველო, 1917, 16 თებერვალი, № 36, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს პოლონურ გაზეთ „ეხო პოლსკას“ 16(29) იანვრის ნომერში დაბეჭდილი ცნობილი პოლონელი დრამატურგის გრაბსკის წერილის თარგმანს კ. ბალმონტის მიერ მოსკოვში რუსთაველის შესახებ წაკითხულ ლექციაზე. ქართული თარგმანი შესრულებულია კ. ვ. ჰარშიაჩეს თარგმანის მიხედვით.

წერილში ზოგადად დახასიათებულია ეფთხისტყაოსანი, შედარებულია მსოფლიო სახელებთან და აღნიშნულია, რომ მას ევროპაში არ იცნობენ. ეფთხისტყაოსანი უკვდავი ქებაა სიყვარულისა. მომხსენებელს სხვათა შორის შეუნიშნავს:

„რუსთაველის გენიოსობის ტოლნი ამაყობენ დიდის სახელით. არ ემარა გენიოსობა, გენიოსი უნდა იყოს კიდევ ბედნიერი, უნდა გუთუნოდეს ბედნიერ ვრს. რუსთაველი რომ ცოფილიყო ფრანგი, იმას ქუეყანა გაიკნობდა, როგორც კორნელსა. ქართველები თავიანთი ისტორიული ცხოვრების ათასი წლების განმავლობაში გვირგვინებდნენ მაგალითებს გმირობისას, რაინდობისას და კეთილშობილებისას იმავე ზომით, როგორც ფრანგები, უბედურება კი გამოიარეს უფრო მეტი, ვინემ ფრანგებმა...“.

მომხსენებელს ლექცია დაუშთავრებია შემდეგი სიტყვებით:

„რიცხვით ქართველები — ცოტანი არიან, მაგრამ რუსთაველის მოცემით შეიქნენ დიდებულ ვრად, მათი გულეები არ არის ცარიელი და პატარები, რადგან მათ შეუძლიათ აესება დიდებულ სიყვარულის კივილით...“.

კ. ბალმონტი და საქართველო

გაზ. საქართველო, 1917, 16 თბათვე, № 129, გვ. 2.

ავტორი ეხება ბალმონტის მიერ ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნას და შენიშნავს, რომ „რუსთაველი არ ეტეოდა მისგან შესწავლილ ესტეტის ზომებში, მაგრამ რაც ბალმონტმა მოასწრო შეესრულებია, მიაგავს სასწაულს. რუსთაველში, რასაკვირველია, ბევრია ისეთი, რომელიც ვერ გაუძლებს სხვა ენაზე გადატანას, რუსთაველში ბევრია ისეთი, რომელიც საიდუმლოა თვითონ ქართველებისათვის. ბალმონტმა მხატვრულ საკომპენსაციოთ იხმარა თავის შავიური შეგრიება სიტყვის“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ბალმონტის თარგმანში ორჯერ უფრო მეტი რითმაა ვიდრე ვეფხისტყაოსანში, რასაც დასძენს:

„ვეფხისტყაოსნის თარგმნა თითქმის ჩემ თვალის წინ მიდიოდა, მე დიდხანს შექნება გვირფხან მოკონებათ ის სიტყვები და შენიშვნები, რომელიც ამ პოემაზე ფიქრს გამოუწვევია კ. ბალმონტში. როცა დაიბეჭდება მთლიანათ, მაშინ ვუდები ავსახო ის, რაც კ. ბალმონტმა შეიტანა რუსთაველში. კ. ბალმონტის შემდეგ რუსთაველის პოეტის შესწავლა ახალ სახეარში გადადის. ის უსათუოდ აღნიშნავს მთელ ეპოქას „Rustaveliana“-ში“.

959. თ. ფანცხავა

საუბარი

გაზ. ჩვენი მეგობარი, ქუთაისი, 1917, 12 იანვარი, № 253, გვ. 2—3;
13 იანვარი, № 254, გვ. 2—3.

ავტორი ეხება ნ. მარის მიერ ბაქოში წაკითხულ ლექციაში წამოყენებულ დებულებებს ვეფხისტყაოსნისა და შოთა რუსთაველის შესახებ და იგონებს მარის მიერვე 25 წლის წინათ წამოყენებულ ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ბრიტანეთის მუზეუმში თითქოს ინახება სპარსული ხელნაწერი, რომელიც ვეფხისტყაოსნის დედანი უნდა იყოსო. ავტორი ამასთან დაკავშირებით ეხება ნიპოლისტებს (ივ. ჯაბადარს) და მოჰყავს მთავარი დებულებები ვეფხისტყაოსანში ქალის კულტისა და ნეოპლატონიზმის იდეალების გამოხატულების შესახებ ნ. მარის შრომის მიხედვით (Вступ. и закл. строфам, 1910, ТР, XII).

ავტორის შენიშვნით, „ნ. მარი აპყოლია საეკვო ცოდნისა და მსუბუქი გონიერების პატრონი, ბ-ნ ს. კაკაბაძეს და მასთან ერთად იმეორებს უბადრუკ აზრს, ვითომც შოთას უნდა ეცხოვროს XIV—XV საუკუნეებში“. ავტორი აკრიტიკებს მარის დებულებას შოთა რუსთაველის მაჰმადიანობის შესახებ. დასასრულს, ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქართველი ერისათვის.

960. ილ. ფერაძე

წმ. დავით აღმაშენებელი და უიფანლი (პოლოცევი)
(საუფრადღებო ისტორიული ცნობები)

გაზ. საქართველო, 1917, 26 იანვარი, № 20, გვ. 3—4.

ავტორი მსჯელობს ყიფჩალთა გადაგვარება-გადაშენებაზე, რის მიზეზადაც მიაჩნია ის, რომ „მათ არ ჰქონდათ საკუთარი ანბანი, საკუთარი კულტურა, ვერ შეინარჩუნეს საკუთარი ადგილ-სამყოფელი“, და დასძენს, რომ „ამისთანა ერს რუსთაველი ეძახის „უცებ“ (უცი) გრს, როდესაც ამბობს:

„უეზნი მოსრის მყოღნეთა ცოდნამან, ხელოვნებამან“.

261. გ. კუშბურიძე

ახალი ხანა ქართულს სიტყვა-კაზმულს მწერლობაში

გახ. სახალხო ფურცელი, 1917, 21 თებერვალი, № 800, გვ. 3--4, ქვედურა.

ავტორი ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ „საქართველოს ცხოვრების ოქროს ხანა ღირსეულად დაავიკრებინა უკვდავი შოთას ვეფხვის ტყაოსანმა“. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს მის ღირსება-მნიშვნელობას ქართველი ერისა და მისი კულტურისათვის და ასახელებს ნიკო მარის გამოკვლევას რუსთაველზე.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მნიშვნელობას ქართული ენის განვითარებისათვის და იმ გარემოებას, რომ რუსთაველის ენა ახლა უფრო გაფართოვდა და გაიზარდა.

262. მის. ხერხეულიძე

ქართული მართლმეტყველება და წერა
(მცირეოდენის შემოკლებით)

გახ. საქართველო, 1917, 28 თებერვალი, № 46, გვ. 3-4.

ქართულში „კ“-ს ხმარების საკიროების საკითხთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართული ენის დედაბოძოაგანია“ და მისი დამხობა ხომ ენის შინაარსის დაცემაა, მისი უარყოფა ხომ საქართველოს სულის განმომსახველის, „ვეფხისტყაოსნის“ გაცამტკერებაა.

263. მ. ჯანაშვილი

ერთი ხელნაწერი [შოთა რუსთაველის გარდაცვალების თარიღის შესახებ]

გახ. საქართველო, 1917, 17 იანვარი, № 12, გვ. 3-4.

ავტორი აქვეყნებს ახალ ცნობას შოთა რუსთაველის დაბადების ადგილისა და თარიღის შესახებ. მისი სიტყვით, ერთ მღვდელს მ. დიმიტრი დეკანოზიშვილს გადაუცია მისთვის ტყავზე ნაწერი, დაზიანებული ხელნაწერი, რომელიც „მატიანე მოსახსენებელი სულთაჲ“ ყოფილა და შედგება 24 ფურცლისაგან. ამ ხელნაწერის 42-ე გვერდზე წერებულა:

„შესიჭიარისძე მგოსანი შოთა რუსთაველი წარვიდა იერუსალემს და მუნ გარდაიკვალა ქორონიკონსა ვლჱ (sic) [1212 წ.] მაისსა ა-სა, დღესა. ოთხშაბათსა (თუ ხუთშაბათს?)—შუნდღენ ღ-ნი“.

ამ ცნობას ავტორი ურთავს შენიშვნას, რომ, რამდენადაც ეს ტექსტი სხვა ხელითაა ჩაწერილი, მისი ცნობა შოთა რუსთაველის შესახებ არაფერს ამტკიცებს და ის ჯერ არ კმარა ამ საკითხის გადასწყვეტად.

ეს ცნობა გადაბეჭდა გახ. „სახალხო ფურცელმა“, 19 იანვარი, № 773.
მოკლედ განმორადა ფერნ. „თეატრი და ცხოვრებაში“, 24 იანვარი, № 4, გვ. 15.

264. მ. ჯანაშვილი

შოთა და მისი ვეფხისტყაოსანი

გახ. საქართველო, 1917, 18 იანვარი, № 13, გვ. 2-3, ქვედურა.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის საკითხების შესწავლის სავალალო მდგომარეობას. აკრიტიკებს ცდებს, რომელთა მიხედვით შოთა მაჰმადიანია ანდა თამარის ეპოქიდანაა მოწყვეტილი. მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან აფორიზმები და აღნიშნავს, რომ დიდი შოთა უგალობდა მთლიან არაბეთს, რომელიც ავტორს საქართველოს ალეგორიად მიაჩნია.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი შერყვნილია ჩანაბრტყობით.

265. მ. ჯანაშვილი

ქართვლები და ქართული ენა
V მუსიკა

ფურნ. განათლება, 1917, აპრილი და მაისი, № 4-5, გვ. 231-240.

ძველი ქართული მუსიკალური ტერმინების გარკვევისას ავტორს საილუსტრაციო მასალად მოაქვს სათანადო ადგილები ვეფხისტყაოსნიდან მუსიკალური ტერმინებით — მუსიკა, მგოსანი, შაირი, შაირობა, მოშაირობა, ებანი, ბუკი, ნა (დიდი სალამური), ნობა, ჩანგი, ჩალანა — და ეხება მათ ეტიმოლოგიას.

266. მოსე ჯანაშვილი

საქართველოს დროშა
საისტორიო პატარა ცნობა

გახ. საქართველო, 1917, 10 თბათვე, № 124, გვ. 3-4.

ქართული დროშების ისტორიის ზოგი საკითხის განხილვასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ტარიელთან გარკვეული დროშა აღწერილი. ტარიელის დროშა რუსთაველის ჩვენებით წითელი და შავი ფერისაგან შედგება:

„აჰმართე დროშა აღმიდა წითელ-შავითა“ (390).

267. მ. გ. ჯანაშვილი

შოთა რუსთაველს მონაწილეობა უნდა მიეღოს თამარის ომებში

წიგნში: თამარ მეფე, გამოცემა ტფილისის ქართველ კალთა საზოგადოებისა, ტფილისი, 1917, 124 გვ.

69-70 გვერდებზე ავტორი არჩილ მეფის მიერ გალექსილ საქართველოს ამბების მიხედვით ჩამოთვლის ომებს, რომლებშიაც რუსთაველს მიუღია მონაწილეობა, მათ შორის შავშეთის — თურქების წინააღმდეგ, განძას, ბარდავს, შამქორს, ხორასანს.

1 0 1 8

268. ილიკო აბაშიძე

ხელოვნება და ეროვნული გრძნობა

გახ. საქართველო, 1918, 8 მარტი, № 51, გვ. 4.

ავტორი ხელოვნების დიდ მნიშვნელობასა და მის მარად იდეალებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ხაზგასმულია ხელოვნების დიდი როლი. ამ ხელოვნებით მთელი ბუნებაა შთაგონებული. ავტორს მოჰყავს სტროფი „რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მხეცნი მოვიდიან“ და აღნიშნავს, რომ მუსიკის ძალა აქ ასე მკაფიოდ და პოეტურად არის დახასიათებული.

269. გვიგო გოლლენდ

გიორგი შარვაშიძე

გახ. საქართველო, 1918, 1 მარტი, № 45, გვ. 2.

ავტორი ახასიათებს გიორგი შერვაშიძეს, აღნიშნავს მის ფართო განათლებას, — ფრანგული, ინგლისური, გერმანული, რუსული, ქართული, აფხაზური და მეგრული ენების ცოდნას, — და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მან „რუსთაველი ზედმიწევნით იცის“.

970. ს. გორგაძე

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ფორმა

საზომი. მუხლი. მახვილი. რითმა

ქრნ. პ რ ო მ ე თ ე, 1918, № 2, გვ. 55—71.

ქართული პოეტიკის სხვადასხვა საკითხების გარჩევისას ავტორი საილუსტრაციო მასალად ასახელებს რუსთაველის ლექსებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ნ. ბარათაშვილს გარკვეული ლექსები დაწერილი აქვს რუსთაველური შაირის საზომით (გვ. 56).

ავტორს მოჰყავს „რუსთაველური“ შაირის საზომის — მუხლისა და მახვილის სქემა (გვ. 57).

971. Дмитрий Гордеев

Иллюстрации к поэме Шоты Руставели

ქრნ. Ф с и н к ს, художественное и литературное периодическое издание под редакцией Юрия Дегева, Тифлис, 1918, № 1, გვ. 1—4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის სურათებიან გამოცემებში მოთავსებულ ილუსტრაციებს და აღნიშნავს, რომ ზიჩის სურათები ქართველიშვილის გამოცემის შემდეგ სხვა გამოცემებშიც გაიმეორეს. ხელნაწერებში არსებულ დასურათებებში განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნია „სარაჯიშვილისეული“ და „კორინთელისეული“ ხელნაწერი, რომელიც 1646 წ. მამუკა მდივნის მიერაა შესრულებული. სარაჯიშვილისეულ ხელნაწერში უნდა ყოფილიყო 87 სურათი, ამჟამად კი მხოლოდ 77 სურათია, დანარჩენი 10 ცალკე ინახება. ავტორი ამ სურათების ზოგად დახასიათებაში აღნიშნავს მათ სპარსულ იერს. ეს სურათები მოთავსებულია კაპაბადის მიერ ვეფხისტყაოსნის 1914 წლის გამოცემაში. კორინთელისეული ხელნაწერის 39 სურათიდან ჯერ არც ერთი დაბეჭდილი. მათში ერთი სურათი ვეფხისტყაოსნის გადამწერის სახეს გადმოგვცემს, ერთი კი თვითრუსთაველს, რომელიც ავტორს მიაჩნია ყველაზე უძველესად. კორინთელისეული ხელნაწერის სურათები განსხვავდება სარაჯიშვილისეულისაგან, ისინი დამოუკიდებლად მუშაობენ. მათში მთავარი განსხვავება ისაა, რომ სარაჯიშვილისეული — სპარსული, ხოლო კორინთელისეული ქართული ტრადიციების გადმოცემაა. კორინთელისეულში ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილეა ასახული. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ საჭიროა კორინთელისეული სურათების გამოცემა.

972. ევგენი დვალა

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ

გაზ. ჯ ა რ ი ს კ ა ე ი, 1918, 28 იანვარი, № 3, გვ. 2.

ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის შესავალ სტროფში „ესე ამბავი სპარსული“ უნდა იკითხებოდეს „სპასური“: „რადგანაც სიტყვა „სა“ ქართულად ჯარს, მხედრობას ეწოდება და „ვეფხისტყაოსანიც“ ხომ პირდაპირ სპასურ-მხედრული და რაინდული ნაწარმოებია, ამ სიტყვის-ღრმა მნიშვნელობით, ვინც კი მისი უკიდავი გმირების თავდადებული ლაშქრობის და ომ-ბრძოლების ამბავი იცის“.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება სიტყვების „ნათარგმანები“ და „ეპოვე“-ს მნიშვნელობას და ასკენის, რომ „ნათარგმანები“ ნიშნავს ნალაპარაკებს, და „ეპოვე“ — პოეტის მიერ თავის თავში პოვნის და არა უცხოდან აღებულს.

273. იმგენ ღვალი

[წერილები რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე]
ჟურნ. რუსთაველი, 1918, 10 თბათვე, № 1, გვ. 2—12; № 2, გვ. 2;
1 ივლისი, № 3, გვ. 2.

შოთა რუსთაველი (№ 1, გვ. 2—3)

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი თავისი პროგრესული იდეალებისათვის საქართველოდან გააძევეს და მისი ნაწერებიდან დარჩა მხოლოდ ვეფხისტყაოსანი. ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსანიდან მთავარი აფორიზმები და ეხება რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს გადმოცემათა მიხედვით.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რუსთაველის იდეალების თანამედროვეობასთან კავშირს, მათ პროგრესულ ღნიშვნელობას და მოუწოდებს ჩაეწერონ შოთა რუსთაველის პარტიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალის შესახებ (№ 1, გვ. 4).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ესე ამბავი სპარსული“ სპარსულის მაგივრად უნდა ყოფილიყო „სპასური“ — სპა ნიშნავს ჯარს, მხედრობას და ამ გაგებით ვეფხისტყაოსანი სპასურ-მხედრული, რაინდული ნაწარმოებია. ავტორი ეხება აგრეთვე სიტყვა „ნათარგმანების“ ეტიმოლოგიას და აღნიშნავს, რომ ეს ნიშნავს არა თარგმანს, არამედ ნალაპარაკებს.

პროფესორ-აკადემიკ ნიკო მარის უკუღმართობა (№ 1, გვ. 12).

ავტორი აკრიტიკებს ნ. მარის ცდას „მესხის“ ეტიმოლოგიურად „სომეხიდან“ გამოყვანის შესახებ და აღნიშნავს, რომ მარი „ასევე უკუღმართად და შეუწყნარებლად ეხება ჩვენს უკვდავ ვეფხისტყაოსანს“ და მის ავტორს რუსთაველს.

რუსთაველი როგორც ვარსკვლავთ შრიცხველი (№ 2, გვ. 2).

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი ეროვნულ-ხალხოსნური იდეალების ქადაგებასთან ერთად დიდი ვარსკვლავთმრიცხველი მეცნიერიც იყო და მან იცოდა, რომ დედამიწა ბრუნავს, რის დასამტკიცებლადაც მოჰყავს სტროფი „ვამ სოფელო რას გვაბრუნებ...“.

ჰქონდა თუ არა რუსთაველს სხვა ნაწერები? (№ 3, გვ. 2.).

ავტორი აღნიშნავს, რომ „მას ვაქებ ვინცა მიქია“ ნიშნავს იმას, რომ რუსთაველს სხვა ნაწერებიც ჰქონია. ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის იდეალების პროგრესულობას.

274. არტურ ლეისტი

ილია ჭავჭავაძე ტფილისში

ჟურნ. განათლება, 1918, № 1, გვ. 45—51.

ავტორი ვანო მარაზღვის დახასიათებისას გაკვრით აღნიშნავს, რომ ის ძლიერ შეელოდა ვეფხისტყაოსნის გერმანულად გადათარგმნაში (გვ. 48).

275. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

თ. ა. მთავრიშვილის და ამხანაგობის გამოცემა

ქ. ქუთაისი, 1918, 207+III გვ.

ტექსტი შეიცავს XLVII თავს 1569 სტროფით. ტექსტში აფორიზმები გამოყოფილია შავი შრიფტით. წიგნი შედგება მხოლოდ პოემისაგან. არა აქვს არც შესავალი, არც ლექსიკონი.

Барсова Кожа

В переводе С. Я. Шарту

Выпуск первый, Издательство «Колчуга», 1918, 20 გვ.

ტექსტს წინ აქვს მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი ეხება რუსულ ენაზე კ. დ. ბალმონტის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტების თარგმანს. მისი აზრით, მიუხედავად ლექსის ელერადობისა და ფერადოვნებისა, ბალმონტის თარგმანი პოემის ორიგინალს დაცილებულია და ვერ გადმოსცემს მის ღრმა შინაარსს (გვ. 3).

იქვე მოიპოვება მთარგმნელისავე წერილი «Шота Руставели—Биографический очерк», რომელშიაც ზოგადად გადმოცემულია რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები თამარის კარზე ცხოვრების მოტივით (გვ. 5—6).

ვეფხისტყაოსნის ტექსტის თარგმანი შეიცავს პოემის პროლოგს. პირველი სტროფი:

„Кто мощною силой тайнственным мир сотворил,

Покрывя небеса мириадами ярких светил,

Кто ангелам всем даровал, неземным существам,

Духовную пищу вдохновенным, а нам...

А нам, людям земным со всеми дарамн на ней,

Тому каждый смертный обязан я сам царь царей!»

ამრიგად, რუსთაველის სტროფი თარგმნილია ექვსი სტრიქონით.

ამ წიგნის შესახებ იხ. საკმაოდ დამცინავი შენიშვნები: Г. Вейсборк-სი. ჟურნ. «Феникс». Тифлис, 1918, გვ. 19.

977. [უავტორო] სად უნდა აიგოს შოთა რუსთაველის ძეგლი?

ჟურნ. რუსთაველი, თფილი ქალაქი, 1918, 10 თბათვე, № 1, გვ. 16.

1918 წლის 1 მაისის სხდომაზე „საქართველოს ეროვნულ-ხალხოსნურისა და საზოგადოებრიულ-თემოსნურის შოთა რუსთაველის ჯგუფ-პარტიის კომიტეტს“ დაუდგენია შოთა რუსთაველის ძეგლი „აიგოს მთაწმინდის მაღალ ქედზე, სწორედ იმ ალაგას, სადაც ამჟამად ფუნქიულერის სახლია“.

მისივე დადგენილებით ერევნის მოედანსა და სასახლის ქუჩას შოთა რუსთაველის სახელი დაერქვას.

978. ზ. ჭ. [ზაქარია ჭიჭინაძე]

[პატარა წერილების სერია შოთა რუსთაველსა და ვეფხის ტყაოსნზე]

ჟურნ. რუსთაველი, 1918, 10 თბათვე, № 1, გვ. 5—15; 24 თბათვე, № 2,

გვ. 2—12; № 3, გვ. 3—6.

რამდენიმე მოსაზრება შოთა რუსთაველზე (№ 1, გვ. 5—7):

ავტორი ზოგადად აღნიშნავს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შეუსწავლელობას, მის ქართულ და მსოფლიო მნიშვნელობას და ეხება მის შთაქარ იდეალებს.

ვეფხისტყაოსნის ენაზორი და მისი ღვნა (№ 1, გვ. 7—8).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ღვენის ისტორიას, აღნიშნავს იოანე კათალიკოსის გამოხსენას ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ და მოჰყავს არსენ ბერის ციტატა შოთას შესახებ, რომელიც თითქოს ავტორმა ამოიკითხა ნიკონ ჯობინაშვილის ნაქონ წიგნში. ამასთან დაკავშირებით ავტორი იხსენიებს ტიშოთე გაბაშვილისა და ანტონ კათალიკოსის შენიშვნებს შოთა რუსთაველსა.

და ვეფხისტყაოსანზე და მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, რომ 1770 წელს ანტონ კათალიკოსის კარზე მთელი საძვეურეში წიგნები მოიტანეს დასაწველად, სადაც ვეფხისტყაოსანთან ერთად იყო სხვა ხელნაწერებიცო.

დასასრულს, აეტორს მოჰყავს პ. იოსელიანის შენიშვნები ანტონ კათალიკოსის იამბიკოებზე და ეხება ვახტანგ მეფის მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის დართულ კომენტარიებს, რომელთა ტენდენციურ ხასიათს ვეფხისტყაოსნის საღვთო გაგებაში იმით ხსნის, რომ სამღვდლოება ნებას არ აძლევდა ვახტანგს ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვისათვის, რის გამოც ის იძულებული იყო პოემი გამოეცხადებინა ქრისტიანულ თხზულებად, რომელშიაც თითქოს შექებულია ღვთაებისადმი სიყვარული.

პროფესორი ნიკ. მარი და მისი ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“ (№ 1, გვ. 8—11).

აეტორი აღნიშნავს ცილისმწამებლურ ხმებს იმის შესახებ, თითქოს ვეფხისტყაოსანი XVII საუკუნეში ყოფილიყო დაწერილი. აკრიტიკებს სენკოვსკის და მოჰყავს მისი შეხედულება. აეტორი იხსენიებს ნიკო მარის მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის სპარსულობის შესახებ, მაგრამ, წინააღმდეგ მარის შოლოდინსა, ვეფხისტყაოსნის სპარსული ღვდანი არ აღმოჩნდაო.

დასასრულს, აეტორი ეხება ევგენი დვალის მიერ გამომქმულ მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის შესავლის სტროფში „ესე ამბავი სპარსული“ „სპასური“ წაკითხვის შესახებ (გაზ. „ჯარის-კაცი“, 1918, № 2).

„ვეფხისტყაოსნის“ გადამკეთებელი და მისი გადასხვაფერება (№ 1, გვ. 12—14).

აეტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტი გადაწერის პროცესში განიცდიდა გასწორება-დამახინჯებას, რაც უკვე XIII საუკუნიდან დაწყებულია. ჩამბატებელთაგან აეტორი ასახელებს ნანუჩა ციციშვილს. მისი შენიშვნით, ვახტანგ მეფემ შეკრიბა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები, მათგან საუკეთესო ღვდანი აღადგინა და 1712 წელს ცალკე წიგნად გამოსცა, რომელიც შემდეგ პეტრე ლარაძემ გადააკეთა. ამასთან ერთად აეტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების პეტრე ლარაძისეული წაკითხვა.

ზარზმის ტაძრის წარწერანი (№ 1, გვ. 14—15).

აეტორს მოჰყავს ზარზმის ეკლესიის სამრევლოს წარწერა, რომელშიაც მოხსენიებულია „შოთა ყოფილი შო“ და მისი კომენტარები ისტორია. ამასთან დაკავშირებით ეხება ტექსტებს: „მემხოლოე სულიერი“, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ვეფხისტყაოსნის დამწერი იყო „აშოთან რუსთველი“ და ზახულის ხატის წარწერა „ესე იამბიკო ხუთეული ოცდახუთ ლექსათ აღწერა შოთა რუსთველმან“.

აკაის პარები ვეფხისტყაოსნის შესახებ (№ 2, გვ. 2).

აეტორი ეხება ილია ქაქვაძისა და აკაკი წერეთლის კამათს ვეფხისტყაოსნის საკითხებზე და მოჰყავს ძირითადი დებულებანი ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირთა შესახებ.

ნიკოლოზ ნიკოლაძის პარები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (№ 2, გვ. 3—4).

აეტორი მოკლედ აღნიშნავს ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს რუსთველოლოგიის სადაო საკითხებზე პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიხედვით.

„ვეფხისტყაოსნის“ იგავ-სიტყვაობის ახსნა (ძველ ქართველ მწერლების — ვახტანგ მეფის, ქართლის ცხოვრების და სხვათა) (№ 2, გვ. 4—5).

აეტორი სქემატურად იხილავს ძველ ქართველ მწერალთა შეხედულებებს ვეფხისტყაოსანზე, რომელთა მიხედვით ვეფხისტყაოსანი საქართველოზე არის

დაწერილი, მასში გამოყვანილია ქართველი ერი და პოემის მოქმედება განგებაა გადატანილი უცხოეთში.

ამასთან დაკავშირებით, ავტორი აღწერს შოთა რუსთაველის დროს საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მდგომარეობასა და აღმინის-ტრაკიულ დაყოფას და გაპყავს პარალელები ვეფხისტყაოსანთან.

ილია ჭავჭავაძის აზრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (№ 2, გვ. 5—6).

ავტორი ზოგადად ახასიათებს ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ვეფხისტყაოსანზე და მოპყავს მისი მთავარი დებულება ვეფხისტყაოსნის გმირთა და პოემის მსოფლიო მნიშვნელობის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემა 1713 წ. (sic) თფილისი (№ 2, გვ. 6—7).

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას ქართველთა ცხოვრებაში, მოკლედ ახასიათებს 1712 წლის ვახტანგის გამოცემას, იძლევა მის ტექნიკურ აღწერილობას და მოპყავს პოემის ბოლოში დართული წარწერები. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანი დაბეჭდილია 12.000 ცალი(?) და თეი-თეული ღირებულა 25 მანეთი.

„ვეფხისტყაოსნის“ ძველი ღედნის აღმდგენი კომისიის დაარსება და „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო ღედნის აღდგენა 1885 წელს (№ 2, გვ. 8—9).

ავტორი მოკლედ ეხება 1880 წლიდან დაწყებულ მუშაობას ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენად ქართველ მწერალთა თაოსნობით და ჩამოთვლის მონაწილეებს, კომისიის მიერ ასამდე ხელნაწერის შეკრებას, სხდომების მიმდინარეობას, სურათების მომზადებას და ტექსტის ბეჭდვას.

შოთა რუსთაველის სურათის ამბავი (№ 2, გვ. 10).

ავტორი აღწერს შოთა რუსთაველის იმ პორტრეტის შემკველი ხელნაწერის ისტორიას, რომელიც მეფე ერეკლეს ქალის თეკლეს ნაქონი ყოფილა და პლატონ იოსელიანს ეორონცოვისათვის წარუდგენია. სურათის მოკლედ აღწერისას ავტორი შენიშნავს, რომ ეს სურათი ფრანგ მხატვარს ფლერს პარიზში წაუღია და დაუბეჭდვინებია.

დასასრულს, ავტორი ეხება იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტერში დაცულ შოთა რუსთაველის სურათს.

„ვეფხისტყაოსანი“ სხვა და სხვა ენაზედ (№ 2, გვ. 10—11).

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის თარგმნა-ბეჭდვის ისტორიას და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი დავით ჩუბინაშვილმა თარგმნა 1854 წ. ვინმე ჩანცევის თარგმანი თითქოს 1891 წ. თბილისში დაუბეჭდავს ჩარკვიანს. ასევე აღნიშნავს, თითქოს ვეფხისტყაოსანი რუსულად უთარგმნია გრ. წინამძღვრიშვილს 1899 წ., რომელიც დღემდე არაა დაბეჭდილი.

ავტორი მოკლედ ეხება სომხურ, პოლონურ, გერმანულ, ფრანგულ თარგმანებს და ჩერდება ბალმონტისა და მიხაილოვსკის თარგმანებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემანი (№ 2, გვ. 11).

ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის 21-ე გამოცემის შესახებ მშრალ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს და დასასრულ აღნიშნავს, რომ „ყველა გამოცემაში „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა იუსტ. აბულაძის და სერგეი კაკაბაძის საპატიოთ არის ნამუშავეი“.

ჩემი წერილების მასალები ეს გახლავსთ (№ 2, გვ. 11—12).

წერილი შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ზაქარია კიკინაძის მიერ რუსულ-ქართულ ენებზე დაბეჭდილი წიგნებისა და წერილების შესახებ, რომელშიაც ბევრი მასალაა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე.

შოთა რუსთაველი ჩახრუხაძე არ არის (№ 3, გვ. 3—4).

ავტორი აღნიშნავს, რომ ასე საკითხის დაყენება მტკნარი სიცრუეა და მას არავითარი საფუძველი არა აქვს. ჩახრუხაძეს საბუთების მიხედვით გრიგოლი ერქვა და ის შოთაზე აღრე ცხოვრობდა. ვეფხისტყაოსნის ავტორი თავის თავს უწოდებს მესხს, თამარ მეფის ქებაში კი პოეტი თავის თავს უწოდებს მოხვევს.

ამასთან ერთად, ავტორი აღნიშნავს ამ თხზულებათა შორის არსებულ წინააღმდეგობებს, მაგ., განსხვავებას ცხოვრებაზე შეხედულებებში. შოთა რუსთაველი ავტორის შენიშვნით უარყოფს განდგილობას, ის ცხოვრებას უმღერის.

შოთა რუსთაველის და „ვეფხისტყაოსნის“ ნაკრავი წერილები (№ 3, გვ. 4—5).

ავტორი კრიტიკულად აფასებს ალ. სარაჯიშვილის ნაშრომს ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილების შესახებ, რომლის მიზანი, მისი შენიშვნით, მთელი ვეფხისტყაოსნის გაყალბებაა. სარაჯიშვილმა ყალბი სტროფების ძიების შედეგად პოემაში მხოლოდ ერთი მეოთხედი დატოვა. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის იუსტ. აბულაძისა და ს. კაკაბაძის გამოცემებს, რომლებშიაც ტექსტის დადგენის დროს ალ. სარაჯიშვილის მუშაობას ანგარიში არა აქვს გაწეული.

1919

279. ნ. ახათიანი

ვეფხისტყაოსანი

გაზ. მესხეთ-ჯავახეთი, 1919, 27 მკათათვე, № 8, გვ. 2—3.

ტექსტი წარმოადგენს ხალხური ვეფხისტყაოსნის თხრობის გაგრძელებას, რომლის დასაწყისი დაბეჭდილი ყოფილა ამავე გაზეთის № 7-ში. ტექსტში მოიპოვება ლექსებიც. მოთხრობილია ტარიელის თავგადასავალი, რომელიც მისი ქორწინებით თავდება.

ლექსის ნიმუში:

„ვინ არის ფრიდონის ჯოგში,
ვინ არჩევს უკეთესებსა?
ფრიდონ ასეთი კაცია,
ფეხით ცეცხლს დააკეცებსა,
მოკლამს, არ დააკეცებსა.“

დასასრული:

„ფრიდონს გეხარდა, მიიწვია და ერთი კვირის შემდეგ ტარიელი გაუდგა თავის გზას. ბი-
ნაზე იქორწილა, ორმოცი დღე და ღამე ქორწილი ჰქონდა. რაკი იმდონი ეწვალა ტარიელი-
ხელმწიფეჲს აჩუკა და შეურიგდა“.

280. ეკ. ვაბაშვილისა

მის მარჯორი უორდროპი — მოგონება

(გარდაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო)

ეურნ. ჯეჯილი, 1919, № 10—11, გვ. 51—54.

მოგონებაში ავტორი აღნიშნავს, რომ მის მარჯორი უორდროპს „თა-
ვის მშენიერი საშობლო საქართველო და მალახარისხოვანი ლიტერატუ-
რული ძეგლი ვეფხისტყაოსანი პირველად გააცნო ვარლამ ჩერქეზიშვილმა“
(გვ. 53).

ავტორი აღნიშნავს, რომ მარჯორი უორდროპმა ინგლისურად თარგმნა „თვით უკვდავება ჩვენი უკვდავი სულის სიმდიდრისა და გენიისა ვეფხისტყაოსანი და ამ თარგმანს ზედ შეაღია მთელი თავისი სიყმაწვილე და აღფრთოვანებული სული. ათი წელიწადი მოანდომა იმის ლექსთა წყობას, მის დამუშავებას, ბაირონის და რუსთაველის ენის კეთილხმოვანების შეთანხმებას“ (გვ. 54).

ბოლოს წერილს სქოლიოში აქვს შენიშვნა: „რუსეთის გამოჩენილ პოეტს ბალმონტს ერთ თავის ლექციაში აღუნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის არსებობა შემთხვევით, მოგზაურობის დროს ოლივერ უორდროპისაგან შეიტყო“.

961. Н. Я. Марр

Кавказ и памятники его духовной культуры

Перепечатано из Известий Академии Наук за 1912 год.

Петербург, 1919, Издание Армянского института в Москве, 23 гб.

ქართულ კულტურაზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი გენია ერთ სპარსულ მოთხრობას რომანტიულ პოემად გარდაქმნის, რომელშიაც შექებულია რაინდული სიყვარული და ძმადნაფიცობა და გაღმერთებულია ქალი. მას პარალელი დასავლეთ ევროპაშიც მოეპოვება, მაგრამ შოთა მშობლიური ქვეყნის იდეალებით იყო შთაგონებული (გვ. 10—11).

თამარ მეფის დროს კულტურულ მშენებლობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ ეს არის ეპოქა, რომელიც საქართველოში მთავრდება შოთა რუსთაველის რომანტიკული პოემის მოვლინებით (გვ. 13).

იხ. ვრცელი ანოტაცია № 781.

962. Renato La Valle

Vn'Altra tomba scoperchiata—La Georgia

ჟურნ. La Lettura, Milano, 1919, 1 Luglio, Anno XIX, № 7, გვ. 491—499.

ავტორი ქართულ ლიტერატურაზე მსჯელობისას გაკვრით შენიშნავს, რომ ყველაზე დიდი თხზულება ამ ენაზე ქართველთა დანტედ მიჩნეულის, თამარის მეფობაში მცხოვრები პოეტის, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანია (L'uomo dalla pelle di leopardo), რომლის მთავარ იდეასაც ქალის უფლებათა დაცვა წარმოადგენს (გვ. 496).

963. Шота Руставели

Барсова кожа

Сказ о Ростеване, царе Аравийском

В переводе С. Я. Шарги,

Выпуск второй, Тифлис, 1919, 20 гб.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ერთ თავს: „Сказ о Ростеване, царе Аравийском“. დასაწყისი:

„В том крае далеком, где соляпа бывает восход,
Чему дал название „Аравия“ черный народ,
По воле Творца престарелый парил Ростеван,
Кому, кроме власти, дар щедрый от Бога был дав:
Он храбр был, отважен, душою был, точно булат,
И в слове—безсмыслен, был в слове красив и богат“.

ვეფხისტყაოსნის ისტორიული მხარე
(ორიოდე ზენიზენა)

ჟურნ. შვიდი მნათობი, ტფილისი, 1919, ოქტომბერი, № 2, გვ. 195—214.

შინაარსი: „1. ვეფხისტყაოსნის ისტორიული მნიშვნელობა. 2. მისი შეუსწავლლობა. 3. ყალბი და ნამდვილი პრობლემები. 4. ისტორიული მხარე. ა) ხატაეთი. ბ) ხეარაზნი. გ) გულანშარო — ვენეცია, დ) მულანზანან-ხარი—ტრაპიზონი“.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის დიდ გავლენას ქართველ ერზე, მის პოპულარობას და იმავე დროს მის შეუსწავლლობას როგორც პოეტის ბიოგრაფიის საკითხების, ისე თვითონ ვეფხისტყაოსნის პრობლემებისას.

ავტორის აზრით, ყალბია პრობლემა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ, — მის კვლევას პოზიტიური და მეცნიერული მნიშვნელობა არა აქვს, რამდენადაც ვეფხისტყაოსანი ყოველგვარი ექვის გარეშე ქართული ნაწარმოებია და არ ეკუთვნის არაბულ-სპარსულ ლიტერატურას. „ესე ამბავი სპარსული“, რაზედაც მკვლევრები მისი წარმოშობის სპარსულობას ამყარებენ, შემდეგი დროის მოუხერხებელ ინტერპოლაციას წარმოადგენს. ასევე ყალბია პრობლემა პოემის ჩონჩხის შესახებ, როგორც, აგრეთვე, მოსაზრება თითქოს ვეფხისტყაოსანი ბიზანტიური გავლენის ნაყოფი იყოს.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში მოხსენიებულ სახელმწიფოთა მდებარეობა-კუთვნილების საკითხს და ისტორიულ პერსპექტივაში იბილავს. ავტორის დასკვნით, პოეტის მიერ გამოგონილ გეოგრაფიულ სახელებში — გულანშარო, მულანზანან—ვენეცია და ტრაპიზონი იგულისხმება, რის დასაბამებლად მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო ადგილები.

პოემაში ნახსენებ სამეფოთა გეოგრაფიული საკითხების გარკვევასთან დაკავშირებით, ავტორი აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსანი 1204—1222 წლებს შორის უნდა იყოს დაწერილი, რადგან 1204 წელს დაარსდა ტრაპიზონის სამეფო, რომელიც რუსთაველს მულანზანანარის სახით აქვს გამოყვანილი; 1222 წლიდან კი მონგოლებმა უკვე დააქციეს ტრაპიზონის სამეფო, ამავ დროს მასში ნახსენები არ არის ამ წლიდან ცნობილი ჩინგიზის სამეფო. ავტორის საერთო დასკვნით, რუსთაველი გეოგრაფიული სიზუსტით არ აბუზავებდა პოემის სათანადო ადგილებს და არც ისტორიულ სინამდვილეს აქცევდა ყურადღებას.

ამ შრომაში აღძრული საკითხები ავტორმა შემდგომ გადაამუშავა თავის სხვა გამოკვლევებში ვეფხისტყაოსნის შესახებ.

285. ან. წერეთელი.

მისს მარჯორი უორდროპი

ჟურნ. ჯეჯილი, 1919, № 10—11, გვ. 50—51.

ავტორი აღნიშნავს მარჯორი უორდროპის ყოფნას საქართველოში და მოჰყავს მისდამი გამოგზავნილი წერილის ნაწყვეტები, რომელიც ეხება ვეფხისტყაოსნის ინგლისურად თარგმანას:

„ვეფხისტყაოსანი კიდევ დასაწყისიდან გადაუთარგმნე, ამისათვის, რომ ჩემი პირველი თარგმანი არ მომწონდა. მე ეხლა ნახევარი გაუთავუ და სურვილი მაქვს, რომ ხაფხულის წინეთ დაეასრულო. ეს მხოლოდ მკვახე თარგმანი იქნება და დიდი ხანი, შრომა და მოთმინება უნდა წინეთ, რომ დაიბეჭდოს. მე არ მინდა, რომ გლახათ იყოს და სურვილი მაქვს, რომ მშენიერობა რუსთველსა არ დაიკარგოს“.

986. იუსტ. აბულაძე

ვახტანგ მე-VI-ის გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“-ს რედაქცია, შესწორებული და შენიშვნანი „ვეფხისტყაოსანი“-ს 22-ე გამოცემის შესახებ პოემის შესწავლის კრიტიკული ტექსტით

მორე სერია, გადაბეჭდილია 1917 წ. ჟურნალ „განათლები“-ს აპრილის ნომერში მოთავსებული წერილითგან შესწორებულად და შეკვებულად, ტფილისი, 1920, 40 გვ.

პირველად დაბეჭდილი იყო ჟურნალ „განათლებში“ (1917, № IV) სათაურით „ნაწყვეტები წერილებიდან ვეფხისტყაოსნის შესახებ“ (იხ. ანოტაცია № 945). ამ გამოცემაში შეტანილია ზოგი შესწორება და შეესებულება ახალი მასალითა და ილუსტრაციით.

ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის ვახტანგის გამოცემის ტექსტის ანალიზს ხელნაწერებთან დაპირისპირებით და გამოთქვამს აზრს, რომ ის წარმოადგენს ძველ რედაქციას და ხასიათდება შეურყენელობითა და სიმოკლით, თუმცა შესავალი ხანები მასში არეულ-დაარეულია. ვახტანგის გამოცემის პროტოპში, რომლის პირსაც ის წარმოადგენს, თავიდანვე მომხდარა შესავალ ხანათა თვითნებური გადასმა-გადმოსმა.

ვეფხისტყაოსნის შესავალი ხანების აღდგენა-დალაგება და წარყვნილი ადგილების შესწორება, ავტორის აზრით, ხერხდება ყველაზე ძველი და ვრცელი ხელნაწერების მიხედვით, რომლებშიაც შესავალ ხანათა რიგი და რაოდენობა ხელახლებულად არის დაცული. მისი შენიშვნით, ვახტანგის გამოცემის რედაქციაში აგრეთვე მნიშვნელოვანი დამახინჯებანია ცალკე სიტყვებისა და სტროფებისა. ავტორი აჯერებს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ზოგ ადგილებს ვახტანგის რედაქციასთან და იძლევა მრავალი წარყვნილი ადგილის გასწორებას. ეხება ალიტერაციის პრობლემას ვეფხისტყაოსანში და მოჰყავს სათანადო ილუსტრაციები. 36—39 გვერდებზე მოცემული აქვს მის მიერ დადგენილი პოემის შესავალი სტროფების ტექსტი.

987. მამუკა ბარათაშვილი

ქა. შნიკი

გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბილისი, 1920, XVI+56 გვ.

ნაშრომის სრული სათაურია: „სწავლა ლექსის თქმისა და დასაწყისი პირველი წიგნისა ამის ქაშნიკისა პოეზილი მამუკა ბარათაშვილის მიერ ძველთა ნათქვამთაგან“. დაწერილია 1731 წელს მოსკოვში ქართულ ემიგრაციაში ყოფნისას.

საკუთრივ მამუკას ტექსტი შეიცავს 25 გვერდს. პირველ ნაწილში ავტორი ზოგადად ეხება მელექსეობის საგანს და აყენებს მის საღმრთო გაგებას. მისი აზრით, პოეზიას შესაძლრა მხოლოდ ლეთაებრივი, დიდაქტიურ-მორალური მიზანი ჰქონდეს. მოჰყავს ქართული ვერსიფიკაციის ნიმუშები და რუსთაველის ლექსის საფუძველზე ახდენს შაირის ანალიზს; ეხება შაირის ნაირსახეობას რიტმის საფუძველზე, ასხვავებს შაირის ორსახეობას სხვადასხვა ხმის მიხედვით და მისი გაგებისათვის იმუშავებს ძირითად ცნებებს.

მამუკა პირველი ახდენს შაირის, გრძელი შაირისა და მისი ტაეპის ანალიზს და არკვევს მთლიანად შაირის რუსთველურ აგებულებას. რუსთაველი მას მიაჩნია პოეზიისა და სიტყვის საზომად და სიმალედ: „გვარიანი იქნება, როგორც რუსთველის ლექსია“. „თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებად სათქმელი არ არის“ (გვ. 14).

288. ვალერიან გაფრინდაშვილი

ღაჯო გურამიშვილი

პარალელები

ალმანახი: მეოცნეხე ნიამორები, 1920, № 4, გვ. 10—16.

ავტორი იკვლევს გურამიშვილის პოეზიის ფორმასა და მოტივებს რუსთაველთან მიმართებაში და აღნიშნავს ზოგ პარალელს. ის არ ერწმუნება პარადოქსს: „როდესაც მე ვიყურები წარსულისაკენ, რუსთაველამდის ვერავის ვხედავ“, „იმიტომ რომ რუსთაველის შემდეგ იყვნენ გურამიშვილი და ბარათაშვილი“. ავტორი აღნიშნავს, რომ „დღეს რუსთაველი ჩვენთვის უდიდესი სახელია, მაგრამ მისი ესთეტიური დაფასება კიდევ პრობლემაა. რუსთაველის გაგებისათვის აუცილებელია იმ პოეტების შესწავლა, რომელნიც მას განაგრძობენ“, და ხომ „დროა დაარსდეს რუსთაველის სახელის აკადემია, სადაც პოეტები ფილოლოგებთან ერთად შეისწავლიან ჩვენს ბუმბერაზ პოეტს“. ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის გამოცემა შეუძლია მხოლოდ მეცნიერს, რადგან რუსთველს, როგორც დაკეტილ სასახლეს, გაუგებარი სიტყვები სდარაჯობენ“. მისი აზრით, „გურამიშვილი არის საფეხური იმისათვის, რომ ჩვენ შევიდეთ რუსთაველის სასახლეში“ (გვ. 10).

ავტორი გურამიშვილის მოტივების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ: „თუ რუსთველი ქანდაკებაა, გურამიშვილი მუსიკაა“; „გურამიშვილი ისე ხშირად არ იმეორებს ერთ და იმავე რითმას, როგორც რუსთველი“ (გვ. 14)– „გურამიშვილი თავისუფალია სპარსულ გავლენიდან, ის პირველი ნაციონალური პოეტია“ (იქვე).

289. ვახილ გიორგაძე

სახულიერო პოეტები: იოვანე საბახიძე, იოანე შინწი და ფილიპე

ფრაგმენტი

ურნ. მომავალი, 1920, ტფილისი, მაისი, № 1, გვ. 17—22

ავტორი აღნიშნავს, რომ მზე ქართული ცხოვრებისა და მწერლობის მთავარი თემაა; საქართველოში ცხოვრობდა და ცხოვრობს-მზე როგორც ცოცხალი სიმბოლო უკვდავებისა და მშვენიერებისა. „მზეს უგალობს ქართული სული“. ეს დაუსრულებელი ლტოლვა სხივოსან მშვენიერებისადმი, ავტორის აზრით, განსაკუთრებით იმღერება „ვეფხისტყაოსანში“ და მოჰყავს რუსთაველის სათანადო სტროფი, რასაც უპირისპირებს ხალხურ თქმას და შენიშნავს, რომ „შოთამ სინთეზი გაუკეთა ეროვნული სულის ძიებას“.

სალექსო ფორმების საწყისების ძიებისას სასულიერო პოეზიაში ავტორი შენიშნავს: „სასულიერო პოეტებმა მოიტანეს ჩვენს პოეზიაში ის ძვირფასი ქვები, რომლითაც რუსთაველმა ააშენა უკვდავი ძეგლი და რომელიც კიდევ ბევრ საუკუნეს იქნება ქართული ხელოვნების სიამაყეთ“.

290. დ. კარიკაშვილი

ვეფხისტყაოსნის შინაარსი. და მოკლე ცნობები ვეფხისტყაოსნის, მისი დამწერის და

დაწერის დროს შესახებ

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, შინაარსის და ვრცელის-ლექსიკონის დართვით, დ. კარიკაშვილის რედაქტორობით, წერაყითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე გამოცემა, თბილისი, 1920, გვ. გ-იწ და გვ. ით-კა.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის. შინაარსის ვრცელ პროზაულ გარდათქმას თანამედროვე ქართულზე.

დასაწყისი:

„არაბეთის მეფეს როსტევენს ერთადერთი შვილი ჰყავდა—ასული თინათინი. სიბერეში რომ შეიქცა, მეფემ მოიწვია თავის ევხირები და გამოუცხადა, რადგან დაებერდი და დღეს თუ ხვალ მოკვდებო, ხელმწიფედ ჩემი ერთადერთი შვილი თინათინი დაესჯათ“.

დასასრული:

„ტარიელმა დიდი ქორწილი გადაიხადა და დიდი პარტიე სცა: საყვარელს სტუმრებს, რაოდენისამე დღის სიამოვნებით გატარების შემდეგ, ავთანდილი და ფრიდონი დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყანაში“.

იქვე, გვ. ით-კა. „მოკლე ცნობები ვეფხისტყაოსნის, მისი დამწერის და დაწერის დროს შესახებ“.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის ვეფხისტყაოსნისათვის კუთვნილების საკითხს და აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის სუფთა სახით მოუღწევლობას. ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანი იმ სახით, როგორც დღეს მას აქვს, არ წარმოადგენს იმას, რაც უნდა ყოფილიყო იგი თავდაპირველად“. საუქუნეების განმეალობაში ბევრი რამ დართვია, ბევრი რამ შეცვლია და ბევრი რამ დაჰკლებია როგორც შინაარსის, ისე სიტყვების და გრამატიკული ფორმების მხრივ. პოენას გადაწერის პროცესში სხვადასხვა პირთაგან ემატებოდა სტროფები და ასეთ დართულ სტროფებს წარმოადგენენ ეპილოგი—თავნართი და პროლოგი—ბოლონართი.

ავტორი მოკლედ ეხება ორიგინალობის საკითხს სამი გაეკრელებული აზრის მიხედვით. აღნიშნავს პოემის ავტორის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას და მოკლედ გადმოსცემს მის ბიოგრაფიას.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღის შესახებ ძირითად მოსაზრებებს.

იქვე, გვ. 265 — 326. ტექსტს ბოლოში ერთვის „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“.

დასაწყისი:

„აბჯარა—84. 91. 220. კაცის ან ცხენის ტანზედ ჩასაცმელი ჯაჭვი. სამხედრო იარაღი“.

დასასრული:

„პაოლის—310. ენაღელებოდა, ედარდებოდა“.

№ 1. Emmanuel Kuhne

La Géorgie Libre

:Son passé—Son présent—Son avenir (Avec une carte).

Geneve, 1920, 96 გვ.

ავტორი ქართულ კულტურასა და მწერლობაზე მსჯელობისას გაეკრით ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 16, 20—21, 87).

თამარ მეფის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ძლიერებაზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროსაა შექმნილი პოემა ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველისა, რომელიც ამჟამად თარგმნილია ფრანგულად, ინგლისურად და გერმანულად („L'homme dans la peau du tigre“). ესაა მეტად პოპულარული თხზულება და მიჩნეულია კლასიკურ შედევრად. ბალმონტი ამ პოემის ინგლისური თარგმანის წაკითხვით ისე მოიხიბლა; რომ შეისწავლა ქართული ენა პოემის რუსულად სათარგმნელად (გვ. 20—21).

ავტორი შენიშნავს, რომ სახელგანთქმული პოეტი შოთა რუსთაველი წარმოშობით იყო მესხი. მან თავისი კლასიკური ეპოქის ერთ-ერთ გმირად აირჩია ლაზი, რასაც დასძენს, რომ ლაზები ახლაც სათუთად და სარწმუნოებრივი კრძალვით ინახავენ ქრისტიანული საქართველოს ძველ ძეგლებს (გვ. 87).

ბიბლიოგრაფია

გახ. სახალხო საქმე, 1920, 24 იელისი, № 883, გვ. 3.

ბიბლიოგრაფია წარმოადგენს რეცენზიას იუსტ. აბულაძის წიგნზე „ვეფხისტყაოსნის მე-22-რე გამოცემა“. ავტორი აღნიშნავს, რომ იუსტ. აბულაძეს გამოცემაში შეუტანია მეტად საყურადღებო შესწორებანი და ბევრი წარყვნილი და უაზრო ადგილი აღუდგენია. დასასრულს, ავტორს მოჰყავს შესწორებათა ნიმუშები.

393. შოთა რუსთველი

ვეფხისტყაოსანი

შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დართვით დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მეორე გამოცემა
თბილისი, 1920, გვ. კვ + 326.

ტექსტს წინ ერთვის შოთა რუსთაველის ორი სურათი—პირველი ჩვეულებრივად გავრცელებული, მეორე წარწერით: „შოთა რუსთაველი, ქანდაკება ნ. თარხნიშვილისა, გადმოღებული იერუსალიმის. ჯგერის მონასტრის კედლის მხატვრობითგან“.

გვ. გ — იმ დართულია: „ვეფხისტყაოსნის შინაარსი“.

გვ. ით — კა დართული აქვს: „მოკლე ცნობები ვეფხისტყაოსნის, მის დამწერის, და დაწერის დროის შესახებ“.

ტექსტი საერთო ნუმერაციით შეიცავს 1576 სტროფს. აქედან „ვეფხისტყაოსნის თავნართი“—31 სტროფს. „ვეფხისტყაოსნის ბოლონართი“—1573—1576 სტროფს.

წიგნს ტექსტის ბოლოში ერთვის „ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი“ (გვ-265 — 326).

394. [შოთა რუსთაველი]

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“

(მ. ჯანაშვილის ამონაწერი ადგილები)

ფურნ. მხედარი, 1920, 13 იენისი, № 3, გვ. 15—16.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრეფილ ცალკეულ სტროფებს ომის მოტივებზე შემდეგი სათაურების მიხედვით:

1. ჭართველი გომრის ანდერძი („რა უარეა მამაცსა, ომშიგან პირის მღმეველსა...“);
2. ბრძოლა მტრებთან („სამალავით გამოვიდეს, თავნი ორგნით აქარავენს...“);
3. იეროშით ციხის აღება („თანა ჰყავთ კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარია...“).

395. ე. ჯიშკარიანი

პველი აღმოსავლეთის წარსული და ვეფხისტყაოსანი

ტფილისი, 1920, 40 გვ.

ავტორი ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობას ხსნის ძველი აღმოსავლეთის ისტორიის ფაქტების გათვალისწინებით და აღნიშნავს. ზოგ ანალოგიას პოემის შინაარსსა და აღმოსავლეთის ისტორიის ამბებს შორის. ამ თვალსაზრისით ავტორი იხილავს პოემის ორიგინალობისა და მასში ისტორიული სინამდვილის გამოხატულების საკითხს. მას პოემა მიაჩნია სპარსეთ-ხვარაზმის ინდოეთთან და არაბეთთან პოლიტიკური დამოკიდებულების გამო-

ნაკრობად. ხვარაზმელების დამცირებაში ის ხედავს პოემის ავტორის პოლიტიკური მრწამსის გამოხატულებას, რამდენადაც სპარსელები საქართველოს სახელმწიფოს მტრებს წარმოადგენდნენ. ავტორის აზრით, პოემაში გადმოცემულია 1210 წლის შემდგომი ხანის პოლიტიკური ვითარება და სახელმწიფოებრივი საზღვრები, ამდენად პოემის დაწერაც ამ ხანებშია საგულეველი.

1921

916. ალერტი

ჩვენი მწერლობის შორი-ახლო
წიგნი პირველი, დეკემბერი, თბილისი.

ურნ. ხომალდი, 1921, № 1, გვ. 36—40.

ქართული მწერლობის წარსულზე და მომავლის პერსპექტივებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„რუსთაველი იყო უდიდესი მიღწევა ქართული შემოქმედებისა. ასეთი დარჩება იგი მარად. მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის განმეორება არ იქნება, ქართულმა მწერლობამ უნდა სთქვას სიტყვა რუსთველური.“

... ქართული მწერლობის მომავალი „რუსთველური უნდა იყოს იმ აზრით, რომ მოცულობა მისი მთელი ქვეყანა იქნება და სიტყვა მისი სული“ (გვ. 36).

917. შალვა აფხაძე

პატრიოტიზმის სახელით

გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 13 ივლისი, № 109, გვ. 3.

ქართული საზოგადოებრივი ყოფისა და ლიტერატურული გემოვნების განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ: „იყო წარსულში შოთა რუსთაველი სიტყვის ჯადოქარი და პოეტური სახეების რიტმიული დენის უდარდებელი ოსტატი. რუსთაველის ცნობაში პოეზია თვითმიზანია, სიტყვა ძირითადი მასალა, ამიტომ ცოცხალი, ენერგიული და დინამიური“. „გაჰქრა რუსთაველის და ბესიკის ერთად ერთი მისიანები პოეტოკა, დახვეწილი და მძლედ ეროვნული“.

ლიტერატურული ცხოვრების განვითარებაზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ სიმბოლიზმს ეფეხისტყაოსნის სტილთან აქვს შეხვედრა.

918.: კამანელი—კ. კანტურია

ქალი და სიყვარული ქართულ ლიტერატურაში

კრებ.: კრებული, ქუთაისის ზელოვნების მუშაკთა კავშირის გამოცემა, ქ. ქუთაისი, საბჭოთა პირველი სტამბა, ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, 1921 № 1, გვ. 85—92.

სტატიას სქოლიოში აქვს შენიშვნა: „საჯარო ლექცია, რომელიც ავტორმა წაიკითხა ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დარბაზში მაისის 22, 1921 წ.“.

ავტორი ქართველი ქალის ხასიათზე მსჯელობისას, მწერლობის ცალკეული ძეგლების მიხედვით, შენიშნავს, რომ რუსთაველის პოემაშია ცხელად გამოხატული კულტის... „თინათინში სექსუალობას ახრჩობს ამაზონობა“ (გვ. 91). „ნესტან-დარეჯანი არასოდეს არ იშლის აღმოსავლეთის ვენებიანობას“

(იქვე). ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის გმირ ქალებს და დაასკენის, რომ გმირობას თხოულობს ქართველი ქალი არა სიყვარულისათვის, არამედ ბრძოლის კულტისათვის (გვ. 92). მას აკლია რომანის ესთეტიური განცდა.

299. მ. კელენჯერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპები

კრებ: კრებული, ქუთაისის ხელოვნების მუზეუმათა კავშირის გამოცემა, ქ. ქუთაისი, 1921, საბჭოთა პირველი სტამბა, ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, № 1, გვ. 93—207.

ავტორი თავის ნაკვლევს იწყებს შემდეგი შენიშვნით: „ვეფხისტყაოსნის ავტორი ტრიალობს ორ წრეში: ერთია არისტოკრატიული-ბურჟუაზიული წრე, მეორეა დემოკრატიული. პირველ ციკლს ეკუთვნიან: როსტევეან-ფარსადან-ფრიდონი და ტარიელ-ავთანდილი, მეორეს — შერმაღინ-ასმათი და საზოგადოდ მონები“.

ავტორი არჩევს მონის, მოყმის, რაინდის, მხვეალის ცნებებს რუსთაველის იდეალების მიხედვით და სპეციალურად ჩერდება ჩამოთვლილი გმირების განხილვაზე.

ნაკვლევით შედგება შემდეგი ქვესათაურებისაგან:

„შესავალი. როსტევეანი. შერმაღინი და ასმათი. შოთა რუსთაველის დემოკრატიული იდეები. „ხლდათა მეფე“. სარიდანი. ფარსადანი. ნურადინ-ფრიდონი. ფატმანი. ტარიელი. ავთანდილი. ნესტან-დარეჯანი. თინათინი“.

ავტორი თავის დებულებათა დასაბუთებისათვის უხვად სარგებლობს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების ციტაციით. ავტორის ცალკეული დასკვნების მიხედვით:

„შერმაღინში შოთამ მოგვცა ერთი უღამაზესი ტიპი დემოსისა“ (გვ. 109); „ტარიელი ზოგადი კაცის ტიპია, ყოველ ნაციონალურ კოლორიტს და ელფერს მოკლებული“ (გვ. 155); „ნესტანი მარადილი იდეალია სრული ქალისა... ნესტანი გაუძღვლებს ყოველ კანკურენციას სოფლიო ხელოვნების ბაზარზე, როგორც გენიოსურად შეთხზული თაიგული კოვჩისა“ (გვ. 201).

1000. ლეონ მელიქსეთ-ბეგი

სომხები ძველს ქართულ ლიტერატურაში

ალმანახი: „გეღარეესტ“ [ხელოვნება—სომხურ ენაზე]. თბილისი, 1921. წიგნი VII, გვ. 31—49.

ავტორი 35—37-ე გვერდებზე იხილავს შოთა-აშოთთან-აშოთას საკითხს.

1001. პეტრე მარიანაშვილი

შოთა რუსთველი და პროლეტარიატი

გაზ. სოციალისტ-ფედერალისტი, 1921, 14 ივნისი, № 85, გვ. 2; 15 ივნისი, № 86; 16 ივნისი № 87.

ავტორი შოთა რუსთაველის მნიშვნელობაზე მსჯელობასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ხელოვნება მთელი საზოგადოებისათვის არსებობს, სადაც არის პროლეტარიატი და არა პროლეტარიატი. „შოთა რუსთაველის არც წერილინი ობოლნი არას მქონენი, გლახაკნი და მონები დაუტოვებია, რომ არ აღეძრა ჩენი თანაგრძნობა მათ მიმართ“. ავტორი რუსთაველის სოციალური იდეალების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ „რუსთაველის დროს პროლეტარიატი არ ყოფილა როგორც კლასი, მაგრამ ღარიბთა და უმწეოთათვის ყურადღება მიუქცევია“ (№ 85). „შოთა რუსთაველის იდეებიც იმდენად არ

უუცხოვება სოციალიზმს და მისაღებია აგრეთვე ყოველი სოციალისტისათვის“ (№ 87). რუსთაველი დიდი მამულიშვილია. სპარსეთის სასიძოს მოყვანის ეპიზოდთან დაკავშირებით ნესტანდარეჯანის პოზიციაში ავტორი პატრიოტული იდეალის გამოხატულებას ხედავს. მისი დასკვნით, „ქართულ პოეტურ შემოქმედებაში ქალის გამოყვანა პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზზე, პოლიტიკური ტერორის იდეოლოგიად ახალი ამბავი იყო“, რაც თვით ცხოვრების უკუფუნას წარმოადგენდა.

დასასრულს, ნესტანისა და შთლიანად ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-აზრობრივი მნიშვნელობის დახასიათებისას ავტორი შენიშნავს, რომ იგი პროლეტარსაც და არაპროლეტარსაც ერთნაირად აღაფრთოვანებს.

1922

1002. [იუსტიანე აბულაძე]

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება „ვეფხისტყაოსანზე“

გახ. კომუნისტი, 1922, 17 ივნისი, № 135, გვ. 3-4.

სარეცენზიო წერილი შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ ხელოვანთა სასახლეში 4 ივნისს 11 საათზე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე პროფ. ივანე ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ვეფხისტყაოსნის კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი — საკითხი ამბავის სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“. მოხსენებელს ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღად მიიჩნევია 1196 — 1206 წლები და გაუკრიტიკებია ნ. მარის დებულებანი შოთა რუსთაველის მაჰმადიანად მიჩნევისა და პოემის სპარსულიდან წარმოშობის შესახებ. ავტორი ამასთან დაკავშირებით იქვე შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსული ხასიათი საგრძნობია და მასში გარკვეულად მოიპოვება მაჰმადიანურ-ალმოსავლური ცხოვრების ელემენტები.

1003. [ს. გორგაძე]

რუსთველიანა

სერგო გორგაძის მოხსენება — „ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში“.

გახ. ბატრიონი, 1922, 31 ივლისი, № 5, გვ. 3.

სარეცენზიო წერილში აღნიშნულია, რომ მკათათვის 26 ხელოვნების სასახლეში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე ს. გორგაძემ წაიკითხა მოხსენება: „ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში“ (წინასწარი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის წარმოშობის შესახებ), რომლის მთავარი დებულებაა: ვეფხისტყაოსანში გმირთა და ამბავთა ორი ციკლია: არაბეთისა და ინდოეთისა. პირველი ორიგინალურია — თვით ავტორის ფანტაზიით შექმნილი, მეორე — ლიტერატურულად აღებული იმ „სპარსული ამბავიდან“, რომელიც, თვით ავტორის თქმით, უკვე „ქართულად ნათარგმანები უპოვნია და ლექსად გარდაუთქვამს“. არაბული ამბავი საქართველოს ისტორიული ცხოვრების ანარეკლს წარმოადგენს — თინათინი თამარის სახის ანარეკლია. ავთანდილი შესაძლოა თვითონ ავტორიც იყოს.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ორიგინალობის საკითხის გაგებაში არახებულ მთავარ შეხედულებებს მოხსენებლის დებულებებთან შეფარდებით.

1004. ღამსწრე

რუსთველიანა

კამათი ს. გორგაძის მოხსენების გამო: „ორიგინალობის საკითხი რუსთველის შემოქმედებაში“.
(წინასწარი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის წარმოშობის შესახებ)

გაზ. ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი, 1922, 21 აგვისტო, № 7, გვ. 3.

ავტორს მოჰყავს ს. გორგაძის მიერ ვეფხისტყაოსნის შესახებ წაკითხული მოხსენების ირგვლივ 4 აგვისტოს გამართულ კამათში გამოსულთა სიტყვების მოკლე შინაარსი. კამათში მონაწილეობა ეიულია პ. მირიანაშვილს, იუსტინე აბულაძეს, ივ. ჯავახიშვილს. საბოლოო პასუხით გამოსულა ს. გორგაძე.

1005. პაოლო იაშვილი

პოეტი საქართველოში

გაზ. ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი, 1922, 3 ივლისი, № 1, გვ. 2—3.

ავტორი ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე მსჯელობისას შენიშნავს: „ქართველ პოეტისთვის საამაყოთ დარჩება ის ფაქტი, რომ საუკუნოების განმავლობაში ჩვენში არსებობდა რუსთაველის კულტი. თუნდაც ის უღამაზესი ლეგენდა, რომ საუკეთესო მზითვი საქართველოში „ვეფხისტყაოსანი“ იყო“.

1006. [პ. ინგოროყვა]

რუსთველიანა

პაეღ ინგოროყვას მოხსენება შოთა რუსთაველის შესახებ

გაზ. ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი, 1922, 3 ივლისი, № 1, გვ. 2—3; 10 ივლისი, № 2, გვ. 2.
24 ივლისი, № 4, გვ. 2.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას 3 იენისის საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის საჯარო სხდომაზე პაეღ ინგოროყვას მიერ წაკითხულ მოხსენებაზე: „შოთა რუსთაველი (ვეფხისტყაოსნის თარიღი და პოეტის ვინაობა)“.
რეცენზიის ავტორი მოკლედ გადმოსცემს მოხსენების დებულებებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედგენილობის, ტექსტის ისტორიისა და პოემის დაწერის თარიღის შესახებ (№ 1, გვ. 2).

იქვე ცნობა იმის შესახებ, რომ 4 ივლისის ახალი მწერლობის კავშირის სხდომაზე პაეღ ინგოროყვა წაიკითხავს მოხსენებას: „რად ეწოდება შოთა რუსთაველს მანის სეფე და კუპარი“ (№ 1, გვ. 3).

საინფორმაციო რეცენზია 1922 წლის 4 ივლისის პაეღ ინგოროყვას მიერ ახალი მწერლობის კავშირში შოთა რუსთაველის შესახებ წაკითხული მოხსენების შესახებ. ამ მოხსენებაში პაეღ ინგოროყვას დამატებითი ცნობები წარმოუდგენია რუსთაველის შესახებ, თემაზე: „რად ეწოდება შოთა რუსთაველს მანის სეფე და კუპარი“. ავტორს მოჰყავს მოხსენების მოკლე შინაარსი. ასახელებს მის მთავარ დებულებებს და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას პოეტის ცხოვრების შემდგომი კვლევადიებისათვის.

მოხსენების მიხედვით რუსთაველს ვეფხისტყაოსანი დაუწერია 1196—1206 წლებში, 30—35 წლის ასაკში შესულა მანის ორდენში და მოხუცებულებში 75—80 წლისა დაბრუნებია ორტოლოქსალურ ქრისტიანულ ეკლესიას (№ 2).

პერეფის ქართული კილოს გაეღენა რუსთაველის ვეფხისტყაოსანზე

ვეფხისტყაოსნის ენის თავისებურებანი იხსნება პერეფის კილოს გაეღენით წინააღმდეგ არსებული შეხედულებისა რუსთაველის მესხური წარმოშობის შესახებ. (გვ. 4).

1007. რაუდენ კალაძე

ქართული მწერლობა და „ქურა“

ქურნ. ქურა, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის სამხატვრო-სალიტერატურო თეორიული ჟურნალი, 1922, № 1, გვ. 24 — 26.

ავტორს მოჰყავს რუსთაველის აფორიზმები და დასძენს, რომ შოთა გენიოსურად გამოხატავს „ძველ თავადურ მედიდურებას“. მისი აზრით, შემცდარია, ვისაც ჰგონია, თითქოს რუსთაველი მონების განთავისუფლების მომხრე იყო. „რუსთაველი წარსული, დრო მოკმული კულტურის გამოხატველია“, „მასში მომავალი კულტურის ელემენტების დანახვა შემცდარია“. ავტორის შენიშვნით, რუსთაველის პოემა თავისთავად არის მშვენიერი. „ეფუხის ტყაოსანში თავიდან ბოლომდე ისე მხატვრულად და ძლიერად არის გამოხატული ინდივიდუალური სიყვარულის და მეგობრობის გრძნობა, რომ ამ ნაწარმოებს გენიოსის ბეჭედს ასვამს“.

1008. არტურ ლაისტი

ქართველები და ზღვა

გახ. ბახტრიონი, 1922, 4 სექტემბერი, № 9, გვ. 2.

ავტორი ეხება ქართველების დამოკიდებულებას ზღვასთან, მის ასახვას ქართულ მწერლობაში და აღნიშნავს, რომ რუსთაველი რამდენჯერმე ახსენებს ზღვას, მაგრამ გულგრილად, რასაც იწინა ბუნის, რომ ძველი პოეტები მათ შორის დანტე, ტორკვატო ტასო ბუნების სილამაზით ისე არ იყვნენ გატაცებული, როგორც თანამედროვე პოეტებიო.

1009. ნიკოლოზ მათიკაშვილი

ქართული პოეზია ბერძნულ ენაზე წერილი ათინიდან

გახ. ბახტრიონი, 1922, 10 დეკემბერი, № 22, გვ. 3.

რედაქცია აქვეყნებს ათინიდან მიღებულ ნიკოლოზ მათიკაშვილის წერილის ამონაწერებს შოთა რუსთაველის ლექსების შესახებ „ქურნი სამოთხისა“ და „სიმღერა“ მათივე ტექსტებით, „მათ შესახებ ცნობები ამოღებული ყოფილა არაბულ ენაზე ნახულ აღმოსავლეთის პოეტების ანთოლოგიიდან. ეს წიგნი ეგვიპტეში უნახავთ, რომლიდანაც გაუკეთებიათ რუსთაველის ლექსების ბერძნული თარგმანები“.

1010. მეთვალყურე

პ. ინგოროყვას მოხსენება (შოთა რუსთაველის გეოგრაფია)

გახ. ლომისი, 1922, 24 დეკემბერი, № 17, გვ. 3.

ავტორი შესავალში აღნიშნავს, რომ „აუცილებელია საქართველოში დაარსდეს შოთა რუსთაველის აკადემია, სადაც შეგროვილი იქნება ყველამასალები, წერილები და სხვა...“ ავტორი ეხება რუსთაველის ირგვლივ წარმოებულ მუშაობას მოხსენებათა სახით. კერძოდ, იხილავს პ. ინგოროყვას მიერ ხელოვნების სასახლეში წაკითხულ მოხსენებას „რუსთაველის გეოგრაფია“. რეცენზენტის შენიშვნით, პ. ინგოროყვას მოხსენებაში გარკვეული იყო, რომ ეფუხისტყაოსანში დასახლებული ადგილები სავსებით შეუფარდება იმ-

დროინდელ გეოგრაფიულ ცნობებს. პ. ინგოროყვა „მუსულმანურ გეოგრაფიულ წყაროების მიხედვით ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია მეთორმეტე საუკუნის დამლევა და შეცამეტე საუკუნის დასაწყისს შუა“.

1011. [უაგტორო]

ქრონიკა [ვეფხისტყაოსანი ფრანგულად]

გაზ. ლომისი, 1922, 3 სექტემბერი, № 1, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ელისაბედ ორბელიანი ფრანგულად თარგმნის ვეფხისტყაოსანს და თანამშრომლებად მოწვეული ჰყავს პეტრე მირიანაშვილი, იუსტინე აბულაძე და ი. ტატიშვილი.

1012. [უაგტორო]

„ვეფხისტყაოსანის სიმფონია“

გაზ. ბახტრიონი, 1922, 13 ნოემბერი, № 19, გვ. 3.

ტექსტი წარმოადგენს ქრონიკალურ ცნობას და, როგორც საინტერესო ცნობების შემცველი, მომყავს მთლიანად:

„გრიგოლ სოლორაშვილმა დაასრულა „ვეფხისტყაოსანის“ სიმფონია. სიმფონიის უმთავრესი მიზანია თხზულების შესწავლის გაადვილება აქვს დამატებები: „ვეფხისტყაოსანის“ რითმები და ეპიტეტები. როგორც ცნობილია „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს 1576 ტაქსს ანუ 6304 სტრიქონს ანუ 100,864 მარკვალს. მარკვალი საშუალოდ შესდგება 2114 (sic) ასოსაგან, ე. ი. 225,000 ასოს. სიმფონიაში გაწყობილ სიტყვების დათვლიდან აღმოჩნდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შესდგება 40,080 სიტყვიდან, ამ ორმოც ათას სიტყვას აქვს 13,885 ფორმა, ძირითადი სიტყვა არის 2,377“.

1013. [უაგტორო]

ქრონიკა [ვეფხისტყაოსანის ლექსიკონის შედგენა]

გაზ. ბახტრიონი, 1922, 13 ნოემბერი, № 19, გვ. 3.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ მოსე ჯანაშვილი ამთავრებს მუშაობას „ვეფხისტყაოსანის“ ლექსიკონის შედგენაზე.

1014. [უაგტორო]

ბერძნული გაზეთი შოთა რუსთაველის შესახებ

გაზ. ლომისი, 1922, 8 ოქტომბერი, № 6, გვ. 3-4.

ავტორი აღნიშნავს, რომ რედაქციისათვის ვ. გუგუშვილს გადმოუცია საბერძნეთიდან მიღებული სენსაციური წერილი, რომელშიც იტყობინება, რომ ბერძნულ გაზეთში მოთავსებული ყოფილა მწერალ ტრიკოგლიდისის წერილი შოთა რუსთაველის შესახებ. გუგუშვილის მიერ მიღებული წერილის მიხედვით, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ვრცელი ამონაწერები ამ გაზეთიდან, ირკვევა, რომ იქ დაბეჭდილი ყოფილა შოთა რუსთაველის ორი ლექსი, რომელიც წარმოადგენს არაბული ენიდან თარგმნილ ტექსტებს. იქვე ლექსებთან ერთად მოთავსებული ყოფილა რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები. ამ ბიოგრაფიის მიხედვით რუსთაველს დაუწერია „ტრაფობანი ტარიელისა“, „თამარიანი“ და ლექსები „ურჩი სამოთხისა“ და „სიმღერა“, რომელთა პროზაული თარგმანიდან ქართულად მოყვანილია ორი ლექსის ტექსტი. დასაწყისი სიმღერისა:

„რად ამბობ და იმეორებ რომ გსურს გაგზორდე:
სადა ხარ შენ მშვენიერო ვით მზე რომელიც ამოდის,
მზე ხომ არასოდეს არ ესვენება და ანათებს მსოფლიოს?“

1015. [უაფტორო]

პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება „ვეფხვის-ტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი სადაურობისა, დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ...

გახ. ბახტარიონი, 1922, 3 ივლისი, № 1, გვ. 2.

წერილი წარმოადგენს სარეცენზიო ანგარიშს იმის შესახებ, რომ „სა-ქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივ კრებ-ბაზე 4 ივნისს პროფ. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ვეფხვის ტყაოს-ნის კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“, რომლის მთავარი დასკვნები შემდეგია:

1. „პოემის ამბავი არც ქართულია, არც სპარსული, შესაძლოა იგი ძვე-ლი მთარული ჰინდური ან არაბული თქმულება ყოფილიყოს“.

2. რუსთველი ქრისტიანია და მუდმ ქრისტიანი მკითხველები ჰყავს სა-ხეში, ამით ავტორს დაურღვევია ნ. მარის დებულება რუსთაველის მაჰმადიანობის შესახებ.

3. პოემა თუმცა ისტორია არ არის, ავტორს მაინც მოუხერხებია „შეფერ-ქვევით“ თავისი დროის ისტორიული აზრების პოემაში მხატვრულად ჩაქსოვა და მაშინდელი ქართული მაღალი წრეების სულისკვეთების პოემის ნაქსზე გადატანა (რაინდობა, იმადნაფიცობა, მაღალი წარმოდგენა ქალის პიროვნე-ბაზე და სხვანი).

1016. ალფა [სოლომონ ყუბანეიშვილი]

ქუთაისის ვაჟთა მეორე ტენიკეშის „ვეფხის ტყაოსნის“ წრე

გახ. ტრიბუნა, 1922, 28 მარტი, № 178, გვ. 4.

ავტორი ეხება 1921 წლის 16 დეკემბერს ქუთაისის ყოფილ ვაჟთა მეორე გიმნაზიაში ჯაჯუ ჯორჯიკიას ინიციატივით „ვეფხისტყაოსნის“ წრის მუშა-ობის დაწყებას, რომლის მიზანი ყოფილა პოემისა და მისი ავტორის მეცნიე-რული შესწავლა. წრეს მიმდინარე წლის 17 მარტს გაუმართავს საღამო, რომელზედაც წაიკითხული ყოფილა შემდეგი მოხსენებანი: 1. „შოთა რუსთველი და მისი პოემის მნიშვნელობა, ქართველი ერის ისტორიაში“. 2. „მეგობრობა, მიჯნურობა და გმირობა ვეფხისტყაოსნის მიხედვით“. ანასთან ერთად საღამოზე წაუკითხავთ ადგილები ვეფხისტყაოსნიდან ქართულად, ფრანგულად, გერმანულად და სომხურად.

დასასრულს, ავტორი რწმენას გამოთქვამს, რომ ქუთაისის გიმნაზიის მაგალითს სხვებაც მიბაძავენ და დააარსებენ ვეფხისტყაოსნის წრეებს.

1017. გ. ჩ.

შენიშვნა

პ. ინგოროყვას მოხსენების გამო

გახ. ლომისი, 1922, 24 დეკემბერი, № 17, გვ. 2

ავტორი ვეფხისტყაოსნის ზოგადი დახასიათების და შესწავლის ისტო-რიის გათვალისწინებისას აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს.

კულტურის ცენტრალური ფოკუსია „რომელშიაც მოცემულია საქართველოს სულის კულტურული შესაძლებლობა წარსულში და მომავალში. ის გასაღებია ჩვენი რასიული რაობისა, მასშია მოცემული ქართული მეობის სტატეკა და დინამიკაც“. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის პრობლემა არის „პრობლემა ფართოდ გაგებულ „ვეფხისტყაოსნის“ კულტურისა, ეს არის საკითხი ჩვენი ერისა, ჩვენი ხასიათისა, მსოფლიოს თვისებისა და ფილოსოფიური ხედვისა“.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთველოლოგიურ კვლევადიებას და ჩერდება პ. ინგოროყვას მიერ 17 დეკემბერს წაითხულ მოხსენებაზე „ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიის შესახებ“, კრიტიკულად გადმოსცემს მის მთავარ დებულებებს და აკეთებს რამდენიმე შენიშვნას (მათ შორის შენიშნავს, რომ რუსთაველის დროის აღმოსავლეთი მხოლოდ მუსულმანური არ იყო).

1018. ხომლელი

ბიბლიოგრაფია: „კ რ ე ზ უ ლ ი“ ნ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით.

ქუთაისის ხელოვნების მუშაკთა კავშირის გამოცემა, 1921 წ.

ფონ. ხომალდი, 1922, ნომბერი, № 4—5, გვ. 95—101.

ავტორი სარეცენზიო წერილში მოკლედ გადმოსცემს კრებულის კრიტიკის ნაწილში მოთავსებული მ. კელენჯერიძის ერცელი ნაშრომის — „ვეფხისტყაოსნის ტიპები“ — აგებულებას და იძლევა მის დახასიათებას. მისი შენიშვნით, ამ სტატიაში „იშუიათის გულმოდგინებით და შრომისმოყვარეობით არიან განხილულნი დს შესწავლილნი შოთას პოემის გმირები, არის საინტერესო პარალელები „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და ჰომეროსის პოემებში მოქმედ პირთა შორის, საინტერესოა აგრეთვე ცდა ფატმანის პიროვნების რეაბილიტაციისა (უნდა ითქვას, რომ პირველად ფატმანის გამართლება თავს იღო პოეტმა ტიცინა ტაბიძემ ერთ თავის ლექსში)“.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ „ტიპების დახასიათება მეტად დეტალურია და ძალზე გაკვიანურებული და თვით პოემის ტექსტის განმარტება ხშირად კომიკურ ხასიათს იღებს და სასაცილო ენით არის გადმოცემული სრულიად ზედმეტი კომენტარიები“, რისი ნიმუშებიც მოჰყავს.

1019. ხილოვან ხუნდაძე

შოთა რუსთაველი

(ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო)

გამოცემა ვერნალ „კოოპერაციის“ რედაქციისა № 31

ქუთაისი, საბჭოთა პირველი სტამბა, 1922, 200 გვ.

შინაარსი:

1. ბიოგრაფიული ცნობები. 2. „ვეფხისტყაოსნის“ ხუნდაძეები. 3. სხვადასხვა მკვლევარის აზრი. 4. „ვეფხისტყაოსნი“ ორთქინალური პოემაა თუ ნათარგმნი. 5. „ვეფხისტყაოსნი“ ტექსტი: ა. წინასიტყვა. ბ. ბოლოსიტყვა. გ. ამბავი პირველი როსტყევან არაბთა მეფისა. დ. ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა. ე. ტარიელის ომი ხატაველებთან. ვ. ანდერძი ავთანდილისა როსტყევან მეფის მიმართ, ოდეს გაიპარა. ზ. წასვლა ავთანდილისა ფრიდონისას, მულახანხარს რომ შეეყარა. წ. წიგნი ნესტანდარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი თ. თათბირი ფრიდონისა, ავთანდილისა და ტარიელისა, ქაჯეთის ციხეს რომ მოდგეს. ი. ქაჯეთის ციხის აღება. 6. შენიშვნები და განმარტებანი. 7. სენტენციები. 8. ომონიმ-რითშიანები. 9. საზოგადო დასკვნა. 10. ლექსიკონი.

დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ბიოგრაფიის წერილობით წყაროებს და ბოლოს—ლეგენდა-გადმოცემებს. აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი იდევნებოდა საეკლესიო მოღვაწეთა მიერ და რომ დღემდე მოაღწია მხოლოდ 15 ცალმა ხელნაწერმა. რუსთაველოლოგიური კვლევა-ძიების მოკლე მიმოხილვაში ეხება დავით ჩუბინაშვილს და ზოგადად ახსენებს ბროსეს, დიშ. ბაქრაძეს, ნ. გულაკს, ს. ქვარიანს. არჩევს 6 გულაკის შეხედულებებს. ეხება აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის გამოკამათებას, პროფ. ნიკ მარის ნაშრომებს, რომელთაც აკრიტიკებს, ალექსანდრე ხახანაშვილს, იუსტინე აბულაძეს, სარგის კაკაბაძეს და დასასრულ გამოთქვამს აზრს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსანი გარეგანი ფორმით, ჩარჩოთი, მეტყველების ხერხებით აღმოსავლურ თხზულებებს მოგვაგონებს, შინაგანად ის ქართული ნაწარმოებია, განსხვავებული გმირების ხასიათისა და უფრო დასავლეთურ პოეზიას განეკუთვნება. ავტორი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თავისი პოემის შინაარსი რამდენადმე, მართლაც, თამარის დროისათვის დაეკავშირებია (გვ. 44). შეუძლებელია წმინდა სპარსულ ნაწარმოებში, თუ ეს პოემა მართლა უცხოელ ავტორს ეკუთვნოდა, სრულიად შემთხვევით ამდენი მსგავსება ყოფილიყო თამარის ცხოვრების ისტორიული ფაქტებისა“.

განმარტებებში ავტორი ეხება რამდენიმე ძნელად გასაგებ სიტყვას, გამოთქმას, მაჯამასა და მეტაფორას.

საზოგადო დასკვნაში ავტორი ეხება რუსთაველის შემოქმედების წყაროებს, მის თავისებურებას, მის შთაფარ იდეალებს, მოტივებს და გმირების დახასიათებას.

დართულია კორექტურული შეცდომების მცირე გასწორებანი და შენიშვნა: „მკითხველთა საყურადღებოთ“ (გვ. 187). ლექსიკონში განმარტებულია სამასამდე სიტყვა (გვ. 188—199).

დასაწყისი: ა ბ რ კ ე მ ო ზ დ ე ს — ა ბ რ კ ო ლ ე ბ დ ე ს (ბ რ კ მ ო ბ ა - ბ რ კ ო ლ ე ბ ა).

1923

1920. გ. ა.

ქართული და ევროპელი ქალები
(დაუბეჭდავი წიგნიდან „ევროპა და საქართველო“)

გაზ. ტ რ ი ბ ე ნ ა, 1923, 18 მაისი, № 473, გვ. 2—3.

ავტორი ქრისტიანობის როლისა და საშუალო საუკუნეებში მის მიერ ჰუმანიტური იდეების დანერგვისა და განვითარებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ქალისადმი ჰუმანიტური დამოკიდებულების თვალსაზრისით საქართველო ძველს, საშუალო და ახალ საუკუნეებში ერთადერთ გამოჩაგისს წარმოადგენს, და დასძენს: „დიდი შოთა რუსთაველი თავის ღვათაბრივ ვეფხისტყაოსანში... მეფის ხათრით კი არ ამალღებს ქალს, არამედ სინამდვილის შეგნებით“. ქართული ცხოვრების სიმართლზე მსჯელობასთან დაკავშირებით ავტორი ჩერდება „ლექვი ლომისა სწორისა“ მნიშვნელობაზე და დასძენს, რომ „შოთა რუსთაველის სიტყვებში დედაკაცისა და მამაკაცის უფლებრივი თანასწორობის იდეა გატარებული“. შოთას ამ თქმაში ავტორი ხედავს ქართველი დედაკაცის განსაკუთრებული მდგომარეობისა და ბუნების გამოხატულებას. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველმა განათლება საბერძნეთში მიიღო, სადაც ის ასეთ შეხედულებებს ქალის შესახებ ვერ გაეცნობოდა, და უცხოეთიდან ასეთს ვერაფერს ვერ წამოიღებდა.

მე-XII-ე საუკ. ქართული ხაერო მწერლობა და „ვეფხისტყაოსანი“

ლექსიკონითა და წერილებით: პოემის ხალხურობის, ძველის კვლევა-ძიების შედეგებისა და ახალ გამოცემათა შესახებ

ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1923, 264 გვ. 1.

ნაშრომი პირველად ნაწილობრივ დაიბეჭდა კრებულში: ძველი საქართველო, ტფილისი, 1909, ტ. I, გვ. 69 — 112 (იხ. ანოტაცია № 702).

სარჩევი:

1. წინა სიტყვა. 2. მე-XII-ე საუკუნის ქართულის საერო მწერლობის ხასიათი და რუსთველების ტყაოსანი.

I. ვეფხისტყაოსნის შესწავლის გამო.

II. „ვეფხისტყაოსანი“ თამარის კარის მწერლობის კვმარტი გამოსახულება: თამარის პიროვნებამ ხელი შეუწყო ჭეშნძი საპარსლო ხასიათის კარის მწერლობის გაჩენას; საპარსლო მწერლობის ის ხანა, რომელიც ვახდა თამარის დროის კარის მწერლობის წინამორბედი; ბუმბერაზების შესახები სადე-გმრო აშბების მოწონება მე-XII-ე საუკუნეში; ამ აშბების აღმზრდელობითი მნიშვნელობა; საპარსლო კარის მწერლობა ყველაზე უფრო შესაბამებოდა თამარის დროის საქართველოს მდგომარეობას; რუსთველი, როგორც თავისი წრისა და გლეხის ნამდვილი შვილი, უნდა დაინტერესებულიყო „უცხო ხელმწიფეთა“ აშბებით; „პირველხენი და საქმენი, კებანი მათ მეფეთანი“ შეიქმნა კანვად, რომელშიაც გამოიქარა დროის მიმართულება და პოეტის ღრმა სულის მოძრაობა: პოეტის დროს აშბად ნათქვამი გარდაიქმნა „წყობილ მარგალიტად“.

III. „ვეფხისტყაოსანი“ შინაარსისა და გარეგანი ფორმის მხრით.

IV. „ვეფხისტყაოსანი“-ს წედარება „ბარაონან“-თან და „ეგირამიან“-თან.

V. პოეტის ფანტაზიით სადეგმრო მოთხრობის შეცლა; ქაჯების შესახები თქმულება; თანამედროვე ფილოსოფიური მიმართულების გავლენა „ვეფხისტყაოსნის“ დამწერზე. დასკვნა.

I. ძველი-ქართული სიტყვები. II. არაბულ-სპარსული და სხვა ნასესხები სიტყვები. III. ქართულ-სომხური სიტყვები. IV. არაბულ სიტყვათა სძიებელი. V. სპარსულ სიტყვათა საძიებელი.

VI. თურქ-ოსმალური სიტყვები. VII. ბერძნულ-ქართული სიტყვები. VIII. ლათინურ-ქართული სიტყვები.

IX. საკუთარი სახელები. ა) პიროვნებანი. ბ) ნათესალები და მახლობლები და მათგან წარმოებული სიტყვები. გ) გეოგრაფიული სახელები. დ) ცხოველები და ფრინველები. ე) მცენარეულობა. ვ) ლითონები. ზ) ვარსკვლავთ-მრიცხველობა. უ) ბრძნული და სარწმუნოებრივი აზრები. თ) ისლამი. ი) ზღაპრული არსებანი. ია) სოციალური ცხოვრება და ეთიკა. ბქობის მნიშვნელობა. იბ) რიცხვი. იგ) ფულები და წონა. იდ) ბურთაობა და ვართობა. იე) საომარი და სანაოსნო იარაღი. ივ) საერო ავეჯეულობა და სხვა. იზ) საქარეები.

ტექსტის შესახები შენიშვნები. ხალხურობა. პოემის ენის ხალხურობა. „ვეფხისტყაოსნის“ აშბის სადღერობისა და მისი დამწერის პიროვნების საკითხთა გარშემო. ტექსტის ვითარება. აშბის სადღერობის საკითხი. დამწერის ვინაობის შესახებ. ბიბლიოგრაფიული ცნობები ვეფხისტყაოსნის უანანსკელ გამოცემათა შესახებ. დამატებანი და შესწორებანი.

გამოცემას პირველთან შედარებით დართული აქვს წინასიტყვაობა (გვ. 3—9) 1922 წლის 5 იანვრის თარიღით, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ შისძა ამ ნაშრომმა „თუ არა პირდაპირ გამოიწვია ან დააქარა ნ. მარის ნაშრომი Вятра и Барсови К. (Тр. XII), საიდანაც მოჰყავს ციტატა და ეკამათება მის ავტორს, რომელსაც ი. აბულაძის შრომაში დაუნახავს მეცნიერული და ნაციონალური თვალსაზრისის შერიგების უნაყოფო ცდა ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხის გადაწყვეტაში.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ, მიუხედავად რუსთაველის არაბულ-სპარსულ-მაჰმადიანური სულისა და მიმართულებისა, პოემა ნამდვილი ქრისტიანის შენამოქმედიანია.

დასასრულს, ავტორი ჩერდება იმ მიზეზებზე, რომელთა გამოც მისთვის აუცილებელი გამხდარა ამ გამოცემის განხორციელება.

წიგნს ტიტულზე წინ ჩაქრული აქვს ორი გვერდი მძიმე შეცდომების გასწორების მითითებით უნუმერაციოდ.

1023. არიელი

რუსთველის ბიოგრაფია

პავლე ინგოროყვას შერთვებ მოხსენება შოთა რუსთაველზე
გახ. ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი, 1923, 24 დეკემბერი, № 24, გვ. 1—2.

ავტორი მოკლედ ეხება ქართული მწერლობის ძეგლების დაღუპვას, რუსთველოლოგიურ მუშაობას და აღნიშნავს, რომ პავლე ინგოროყვას მიერ წაკითხულ მოხსენებაში გადაჭრილია ვეფხისტყაოსნის ძირეული საკითხები: პოემის ეპოქა, რუსთაველის ვინაობა, პოემის ორიგინალობა, რუსთაველის გეოგრაფია.

1023. ბ. ბებუთიშვილი

ახალი ქართული ოპერა

გახ. ტ რ ი ბ უ ნ ა, 1923, 14 ნოემბერი, № 620, გვ. 4.

ავტორი ეხება ლეო ფალიაშვილის მიერ ოპერა „ვეფხისტყაოსნის“ დაწერას, მოკლედ ახასიათებს ლიბრეტოსა და მუსიკას. მისი დაკვირვებით ის აგებულია აღმოსავლეთის მელოდიაზე, რაც გამართლებულია იმითაც, რომ მოქმედება ინდოეთსა და არაბეთში სწარმოებს. ოპერის მუსიკის მელოდურობაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„მთავარია ის, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართველის ნაწარმოებია და საუკეთესო პოეტური ნაწარმოებია არა მარტო იმ ხანისა, როდესაც ის დაიწერა, არამედ ყველა დროში“.

1024. გ. ბ. [ვუკოლ ბერიძე]

ბიბლიოგრაფია

იუსტინე აბულაძე. მე-XII საუკუნის ქართული საერო მწერლობა და ვეფხისტყაოსანი ლექსიკონითა და წერილებით: პოემის ხალხურობის, ძეგლის კლასიკიკების შედგენისა და ახალ გამოცემათა შესახებ. სახელმწიფო გამომცემლობა. ტფილისი, 1923 წ.

გახ. ხ ო მ ლ ი, 1923, 21 ოქტომბერი, № 4, გვ. 4.

რეცენზენტი აღნიშნავს ი. აბულაძის მიერ წამოყენებულ დებულებებს ვეფხისტყაოსნის ამბის სადაურობის, რუსთაველის ვინაობისა და ცხოვრების დროის შესახებ, რომელთა მთავარი საფუძველია პოემის ფაბულის უცხო წარმოშობის აღიარება.

რეცენზენტი დასძენს, რომ 264-გვერდიანი წიგნი ბევრს საინტერესო და საყურადღებო ცნობებს იძლევა.

1025. სერ. გერსამია

ქართველი ქალი პედაგოგ და ახლა

(ქ. კაპანელის საპასუხოდ)

ქ. ბორჯომი, 1923 წ. 40 გვ.

ქართველი ქალის სექსუალობისა და ეროტიულობის საკითხებზე მსჯელობისას ავტორს მოჰყავს შოთას შესახებ ხალხური ლეგენდა ანტ. ფურცელაძის მიერ გამოცემული ტექსტის მიხედვით, რომელიც აგებულია მოლაღატე ცოლის მოტივზე (გვ. 15—16).

ვახ. რუბიკონი, 1923, 11 თებერვალი, № 4, გვ. 1—2.

ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის სიტყვის მნიშვნელობისა და როლის შესახებ მსჯელობისას ავტორი ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნავს, რომ:

„ქართულ მწერლობას რომ უცკერი ვფიქრობ: მართალია, ფიზიკურად თუ პოლიტიკურად ბევრი ერი გვიმონავებდა, მაგრამ სიტყვის თვალსაზრისით ბევრი ერი დავიმონავეთ, და მათი ზველაზე ძვირფასი განძი—დავისაკუთრეთ და გაშოიყვეთ. ვეფხვის ტყაოსანი მე მეჩვენება როგორც ქართული სიტყვის სამეფო, სადაც სიტყვა „როსტვეანი“ არის „მეფე ლეთისაჲან სუიანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი“. იქ აუარებელი უცხო სიტყვათა ლაშქარია, ყმად ქვეულნი, რომელთაც აუკიდიათ აუარებელი ძვირფასი ქვები, და მიდიან ისტორიის მარა გზაზე“ (გვ. 1).

1037. არტურ ლეისტი

სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1923, 166 გვ.

ავტორი ქართული ისტორიის, კულტურისა და ყოფილი-ცხოვრების საკითხებზე მსჯელობისას ჩერდება ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა საკითხზე. წიგნში მოიპოვება ცალკეული თავები, რომლებშიც ესა თუ ის საკითხია განხილული.

ვეფხისტყაოსნის კულტურული მნიშვნელობა (გვ. 76—81). ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს ქართველთა ცხოვრების სარკეს. მის ფაბულას, ავტორის აზრით, შეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ავტორი არ იზიარებს მოსაზრებას, თითქოს რუსთაველს ჰოვმა თამარის სიყვარულით დაეწეროს. ავტორს მოჰყავს ლაიფტიგის უნივერსიტეტის პროფესორის ჰოლდაკის აზრი იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია ფეოდალთა წინააღმდეგ სახელმწიფოს მთლიანობის დასაცავად. ავტორი ახასიათებს რუსთაველის იდეალებს გმირობაზე, აღმზრდელობაზე და აღნიშნავს მის მნიშვნელობას, პოპულარიზაციას საქართველოში. დასასრულს იძლევა იმ კრებულის შინაარსს, რომელიც მან უნდა შეადგინოს რუსთაველის შესახებ.

ქართველები და ზღვა—(გვ. 100—102)—ავტორის შენიშვნით, რუსთაველი გულგრილად იხსენიებს ზღვას, რაც ქართული ცხოვრებით არის შეპირობებული.

შამფური და ყანწი—(გვ. 125—129)—ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ხშირადაა ლაპარაკი მწვადზე და ამასთან დაკავშირებით ეხება ნადირობის ეპიზოდს.

მურაღობა—(გვ. 129—134)—ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანიდან ვიცი, რომ ქართველებს ნანადირევს ლხინი და ნადიმი უყვარდათ და ნადიმის დროს დაუსრულებელი ბაასი ჰქონდათ იმაზე, თუ ვინ რა ნადირი მოკლავს.

ქართული მუსიკა (გვ. 134—137)—ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ნადიმობის დროს მღერიან სიმებიანი საკრავების თანხლებით. უკრავს და მღერის ავთანდილიც.

„ავთანდილი და ტარიელი, რა გაიგებენ, [თუ სად იმყოფება ნესტან-დარეჯანი, ორნივე ხმაშალა მღერიან. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილში გამოდინ მგოსნები დარბაზში და ისინი „ხმა სიმღერისა ტბილისა“ (გვ. 136).“

ავტორი ხშირად ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობას და მის დიდ გავლენას ქართულ კულტურაზე.

[ქართული ლიტერატურა 1922 წელს]

ჟურნ. გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი, თბილისი, 1923, იანვარი, № 5, გვ. 5-9.

ავტორი 1922 წლის ლიტერატურული კრიტიკის მიმოხილვაში შენიშნავს, რომ კარგია ანტონ კელენჯერიძის წერილი „ვეფხისტყაოსნის ტიპები“.

1029. პეტრე შირიანაშვილი

ერთი ტენდენციის გამო

გაზ. ქართული სიტყვა, 1923, 3 თებერვალი, № 12, გვ. 2.

ავტორი მოკლედ განიხილავს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით პოემაში ქვეყნებისა და გმირების სადაურობის საკითხებზე საზოგადოებრივი შეხედულების განვითარებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში მოქმედი გმირების ქართველებად დასახვა და უცხო გეოგრაფიული პუნქტების საქართველოს ნაწილებად წარმოდგენა მხოლოდ XIX საუკუნეში წარმოშობილი ტენდენციაა, რის დასაბუთებაც აკაკი წერეთელმა სცადა მთელ თეორიად. ზიჩის მიერ დასურათებული ვეფხისტყაოსანი გმირთა ქართული ჩაცმულობით ამ ტენდენციის გამოხატულებაა. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იხსენებს კამათს გიორგი გვაზავასთან, რომელიც ვეფხისტყაოსნის შინაარსის ქართულობას მასში ქალის გამეფების მოტივის არსებობით ამტკიცებდა და შენიშნავს, რომ ეს მოტივი მხოლოდ ქართული არ არის.

ავტორი ამ ტენდენციასთან დაკავშირებით იხსენიებს ლეო ფალიაშვილის მიერ ოპერა ვეფხისტყაოსნის დაწერას და კოტე მარჯანიშვილის განზრახვას რუსთაველის თეატრში დადგას ვეფხისტყაოსანი. მათი წარმატება, ავტორის აზრით, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ისინი ამ ყალბ ტენდენციას გვერდს აუვლიან და პოემაში უთუოდ ქართველებს არ დაინახავენ.

1030. პეტრე შირიანაშვილი

ვეფხისტყაოსანი ქართულ სცენაზე

გაზ. ტრიბუნა, 1923, 6 ივლისი, № 514, გვ. 2-3.

ავტორი ეხება ქართული თეატრის მუშაკთა განზრახვას ვეფხისტყაოსნის გასცენიურებაზე და შენიშნავს, რომ მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ის, რომ ვეფხისტყაოსანი არის მაკამდიანური ამბავი. ოქროპირ ბატონიშვილმა შეტევა დაუშვა, რომ პოემა ტრაგედიად გადააკეთა.

ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს, რომ მის მიერ ვეფხისტყაოსნის თემაზე დაწერილ ლიბრეტოზე, სახელწოდებით „ნესტან და ტარიელ“, ოთხ მოქმედებად და ექვს სურათად, ლეო ფალიაშვილმა დაწერა ოპერა.

1031. პეტრე შირიანაშვილი

შოთა რუსთაველის 750 წლის თავი

გაზ. ტრიბუნა, 1923, 6 ოქტომბერი, № 598, გვ. 1.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს შოთა რუსთაველის ხსოვნის უკედავსაყოფად ქართველი საზოგადოების მიერ განზრახულ ღონისძიებათა ისტორიას და სურვილს გამოთქვამს გადახდილ იქნეს ქართველი [გენის 750 წლისთავის დღესასწაული. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ კოტე მარჯანიშვილს განუზრახავს ვეფხისტყაოსნის გასცენიურება.

1033. ლეონ მელიქსეთ-ბევი

გორგიჯანიძისეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“

(ჰოვანეს თუმანიანის სხოვნას)

გაზ. კომუნისტი, 1923, 4 აპრილი, № 75, გვ. 3—4.

ავტორი აღნიშნავს, რომ აქამდე ცნობილი იყო სომხების მიერ გადაწერილი ვეფხისტყაოსნის მხოლოდ ორი ხელნაწერი (H № 757 და 54), როგორც ახლა ემატება ვეფხისტყაოსნის გორგიჯანიძისეული ხელნაწერი, გადაწერილი 1839 წელს. ხელნაწერი ჰოვანეს თუმანიანის საკუთრებას წარმოადგენს. ავტორი იძლევა ხელნაწერის მოკლე აღწერილობას, რომელიც 292 გვერდისაგან შედგება. ავტორს მოჰყავს ხელნაწერის მინაწერები და დასასრულს აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ტექსტთან შედარებით ეს ხელნაწერი ცოტაოდენ განსხვავებას იძლევა. მინაწერები:

1. განსრულდა წიგნი ეს ვეფხისტყაოსანი დიდება ღვთისა ზედა ამის.

2. მწერლობითა ჩუღურეთში მცხოვრებელი ავეტი გორგიჯანიძისაგან კეთილმოდრკილვით მკითხველს თუ შეცდომა რამჴნ იხილოთ ნუ შეურაცხყოფთ არამედ გამოუცდლობასა ჩემსა შეუნდეთ. ჩუღურეთსა წელსა ღვთისმშობლისა მსა დღესა.

3. ხელი ვერ გამოვიჩინე, ქაღალდმა მიყო ზიანი,

მუღანმა უფრო ფერითა, მან შექმნა მიზეზიანი,

ასო ვერ დავსვი გაწობით, ვერც გოე ლამაზიანი

და მაშინცა ესწერდი ყოველდღე როცა დღე ენახე მშინანი“.

1038. [უაგტორო]

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება 1922 წელს

გაზ. ლომისი, 1923, 1 იანვარი, № 18, გვ. 2.

საზოგადოების კრებათა ანგარიშში გაკერით აღნიშნულია, რომ: პროფ. ი. ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება: „ვეფხისტყაოსნის კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი ამბავის სადაურობისა და დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ“.

ს. გორგაძემ: „ორიგინალობის საკითხი რუსთაველის შემოქმედებაში — წინასწარი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ ამბავის ორიგინალობის შესახებ“.

მთაწარმის განკარგულებით მუზეუმისათვის შესანახად გადაცემულ ნივთებში მოხსენიებულია ძვირფასი არსებით შემკული მე-17 საუკუნის ხელნაწერი ვეფხისტყაოსანი.

1034. [უაგტორო]

პავლე ინგოროყვას „რუსთაველიანა“

გაზ. რუბიკონი, 1923, 28 იანვარი, № 2, გვ. 4.

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო გამომცემლობამ დაადგინა გამოსცეს პავლე ინგოროყვას კაპიტალური შრომა „რუსთაველიანა“. იქვე მოკლედ მოყვანილია წიგნის შინაარსი და აღნიშნულია, რომ ის შეიცავს 400 გვერდს და ქართული ლიტერატურისათვის ეპოქალურ სამეცნიერო მოვლენას წარმოადგენს. შინაარსი:

I. ვეფხისტყაოსნის შესავალი და დასასრული. აღდგენილი დედანი.

II. ვეფხისტყაოსნის თარიღი (გამოკვლევა). ამ გამოკვლევას დართული აქვს სპეციალური გტიუდი: რუსთაველის გეოგრაფია.

III შოთა რუსთაველის ენაობა (გამოკვლევა). ამ მესამე გამოკვლევას დართული აქვს ოთხი სპეციალური ექსპურსი: 1. რუსთაველი—მანის ფერი; 2. რუსთაველის იკონოგრაფიის საკითხი; 3. რელიგიური მსოფლიო პოემაში; 4. პოემის ენა (პეტრეთის კილოს გავლენა“.

გაზ. ტ რ ი ბ უ ნ ა, 1923, მისი 6, № 462, გვ. 2—4; 8, № 463, გვ. 2—3; 9, № 464, გვ. 2—3; 11, № 466, გვ. 2—3; 15, № 469, გვ. 2—3; 18, № 472, გვ. 2—3; 23, № 476, გვ. 2—3; 25, № 478, გვ. 2—3; 29, № 481, გვ. 2—4; 31, № 483, გვ. 2—3; იენისის 8, № 450, გვ. 2—4; 19, № 499, გვ. 2—3; 22, № 502, გვ. 2—3; 27, № 506, გვ. 2—3; 30, № 509, გვ. 2—3.

ნარკვევი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას ქართული კლასიკური საერო მწერლობის ძირითად ძეგლებზე მათში საქართველოს ისტორიული სინამდვილის, უმთავრესად კი თამარ მეფის პიროვნულ ცხოვრებასთან დაკავშირებული ფაქტების გამხატვლების საჩვენებლად. ნაშრომი შეიცავს შემდეგ ქვესათაურებს:

„შოთა რუსთაველი“ (№ 469). „შოთა“ (№ 472). მიჯნურობა და დინასტიური დავალება (№ 476). ქართული ამბავი (№ 478). ხატველნი და ხატეთი. ქაჯეთი (№ 481). ინგილოური გლოსები: ინგილოური რეალობის ფასი შოთას სადაურობისა თუ ჩამომავლობის აღსადგენად (№ 490). ვინმე მესხის წართული სახელი „რუსთაველი“ (№ 499). შოთას არაბიზმების გამო (№ 502). „მხისაგან შეჯდომა სარატანისა“ (№ 506).

ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ქართული კლასიკური პერიოდის მწერალთა შესახებ არსებულ ისტორიულ-ლიტერატურულ მასალებს, ყერძოდ სპეციალურად იხილავს იოანე შავთელის, ჩახრუხადისა და შოთა რუსთაველის ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას, განსაკუთრებით აკად. ნ. შარის შრომებს. მისი დასკვნით, აბდულმესიანი ეკუთვნის იოანე შავთელს, რომელიც ერისკაცობაში ჩახრუხადის გვარით იყო ცნობილი, თამარიანი კი—ვეფხისტყაოსნის ავტორს შოთა რუსთაველს. ავტორი სპეციალურად ჩერდება შოთა რუსთაველზე და მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორიას და პოემის აგებულებას, მის მთავარ გმირებსა და ეპიზოდებს და უთითებს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ეპიზოდების ანალოგიურ ფაქტებს თამარის ცხოვრებაში. მისი აზრით, პოემა ორი ამბისაგან შედგება—სპარსულისა (ტარიელი) და ქართულისაგან (ავთანდილი). ამ ამბებში ჩაქსოვილია საქართველოს ისტორიული სინამდვილის სურათები. პოემის ზოგი ეპიზოდი თამარ მეფის ცხოვრების რაიმე ცალკეულ შემთხვევას იმეორებს. პოემაში არაბეთად ნაგულისხმევია საქართველო, ინდოეთად—გარმიანეთი.

ავტორის მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის დაწერა ვერ გადასცილდებოდა 1215 წელს. რუსთაველი შესაძლოა იყო თორელი მესხი, გვარად ართავაზოს ძე. რამდენადაც რუსთაველის ეპოქის საქართველო მქილდრო კავშირში იყო მაშინდელ კულტურულ მსოფლიოსთან, ის ბუნებრივად ითვისებდა უცხო სიტყვებს სხვადასხვა ლიტერატურული ძეგლების შემწეობით. უფრო საგრძნობლად პოემაში შეინიშნება კლარჯულ-ინგილოური გლოსები, რომელთა გამოკვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ავტორი ვეფხისტყაოსნის ლექსიკასთან მიმართებით იხილავს შემდეგ ინგილოურ სიტყვათა ეტიმოლოგიებს: თუ, შად, ლამი, რათა, სირა, დალამა, წავ, გავიდა, ფარჩი, მახია, ვაზრობა, ბინა, გარვა, ლადრად, რხელი, სახეწა, მოსაკეთი, მოგამებული, შერი, ბლჩა, მემაჯანი, საკოქმანები, მახალი, კატაბანი.

ავტორი იძლევა მრავალი არქაული სიტყვისა და უმთავრესად არაბიზმების განმარტებას და რუსთაველის თანამედროვე მწერალთა დახასიათებას ვეფხისტყაოსნის იდეოლოგიისა და მხატვრული კონსტრუქციის. თვალსაზრისით.

ავტორი სპეციალურად ჩერდება რუსთაველისა და მესხობის პრობლემაზე (№ 499), ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ საკითხებზე (№ 478), იხილავს ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებს და მთავარ გმირთა ხასიათებს (№ 483).

1036. ვასილ ბარნოცო

რუსთველის სიტუვა მიჯნურობაზე და ჩასახვა მის პოემისა
ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1924, № 10(13), გვ. 5—7.

ავტორი ახასიათებს მიჯნურობის მოტივს ვეფხისტყაოსნის მიხედვით. მაღალფარდოვან გამოთქმებში. დასაწყისი:

„მიჯნურობა სახეწაო საქმეა მომცემი აღმაფრენათა. საცნობელად ძნელია იგი, ჰკვიანნიც. ვერ მიხვდებიან მას, რადგანაც მხოლოდ გონების თვლით მის მთლად შეგნება შეუძლებელია: იგი გუთუნის გრძნობათა სამფლობელოს“.

1037. სარგის კაკაბაძე

ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარეშე

ჟურნ. საისტორიო მთაბბე, ტფილისი, 1924, წიგნი I, გვ. 121—161.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს რუსთველოლოგიურ მუშაობას და აჯამებს საკუთარი კვლევებიც შედეგებს. ხელნაწერთა შეჯერების საფუძველზე ეხება ვეფხისტყაოსნის პროლოგის შედგენილობის საკითხს და იმუშავებს პოემის რედაქციული განვითარების თავისებურ სქემას. ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ რედაქციაში შემონახულ ნართაულ ტაეებში პოემის წარმოშობის შესახებ ცნობებისა და სხვა ისტორიული დოკუმენტების ანალიზით აყენებს დებულებას, რომ პოემის ავტორი სარგის თმოგველია, შოთა რუსთველი კი ნართაული ტაეების ავტორი, რომელიც პოემის გაგრძელებას წერს თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ და პოემაში შეაქვს XIV საუკუნის პირველ მესამედში მცხოვრები გიორგი მცირის ცოლისა და კონსტანტინე აფხაზთა მეფის ასულის თამარის სახელი. პოემის სიუჟეტის ქართულ ნადავზე წარმოშობის გაგებაში ავტორი ვერდნობა მარის კონცეფციას. პოემის ზოგი ადგილის თავისებური კომენტარებით ასკვნის, რომ პოემის სიუჟეტი პროზაული თხრობის სახით უნდა ჩამოყალიბებულიყო არა უადრეს 1250—1260 წლებსა, რომელიც შემდეგ მხარგრძელის შეილს — სარგის თმოგველს გაუღქმავს XIII საუკუნის ბოლოს, 1292—1297 წლებში და რუსთაველს კი გაგრძელება დაუწერია 1320—1325 წლებში. ავტორი ვეფხისტყაოსნის შესავალსა და დასასრულის ტაეებში არსებულ ლიტერატურულ მითითებებს შოთა რუსთაველს აკუთვნებს.

1038. სარგის კაკაბაძე

ვეფხისტყაოსნის 1600 წლის ასლოდროინდელი მხატვრული ხელნაწერი

ჟურნ. საისტორიო მთაბბე, ტფილისი, 1924, წიგნი II, გვ. 152—158.

ავტორი მოკლედ ეხება მოსკოვის ყოფ. საგარეო საქმეთა სამინისტროს: არქივიდან საქართველოში ჩამოტანილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის შესწავლის ისტორიას, იძლევა მის ტექნიკურ აღწერილობას და აღნიშნავს, რომ პოემის ტექსტი თავისთავად ახალს არაფერს შეიცავს (გვ. 153). ის ერთ-ერთი სრული რედაქციაა, რომელსაც უახლოვდება S—757 ხელნაწერი.

ავტორი ცდილობს დაადგინოს ხელნაწერის გადაწერის თარიღი და გადაწერის ვინაობა, რომელშიაც იოანე ავალიშვილს ხედავს (გვ. 157). ის იოანეს გადაუწერია და არშიებით მდიდრულად მოუხატავს თავის ერისკაცობაში, ახალგაზრდობისას, 1605 — 1609 წლების უწინარეს, ვიდრე ის ქვათახევის წინამძღვარი გახდებოდა. მისი დასკვნით, ხელნაწერი გადაწერილია დაახლოებით 1590—1600 წლებში.

ვეფხის ტყაოსანი

წიგნი: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, საერო მწერლობა, XI—XVIII ს. ს. გამომცემელი თომა ჩიქვანია, ტფილისი, 1924 წ., გვ. 71—141.

სტატია წარმოადგენს ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის საკითხთა მონოგრაფიულ მიმოხილვას ძირითადი პრობლემებისა, და ლიტერატურის კრიტიკული შესწავლით.

დასაწყისში ავტორი გადმოსცემს ვეფხისტყაოსნის ვრცელ, პროზაულ შინაარსს (გვ. 71—88) და იხილავს რუსთველოლოგიის საკითხებს შემდეგი პრობლემების მიხედვით: I. ავტორი თხზულებისა—მისი სახელი და გვარი, სადაურობა, მისი სარწმუნოებრივ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, დრო ცხოვრებისა. II. სიუჟეტი თხზულებისა—ორიგინალურია ის თუ ნასესხები?

ავტორი აღნიშნავს ფაქტს, რომ „პრობლემა ვეფხისტყაოსნისა პრობლემადვე რჩება და კარდინალური საკითხებიც არაა ჯერ გადაწყვეტილი, ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ტექსტი მისი აღდგენილი არაა და კრიტიკული გამოცემა მისი არ მოგვეპოვება“ (გვ. 88). ავტორი წინასწარ მოკლედ ეხება პროლოგისა და ეპილოგის ვეფხისტყაოსნისთვის კუთვნილების საკითხს, კრიტიკულად მიმოიხილავს მისი შესწავლის ისტორიას და პოემასა და პროლოგს შორის წინააღმდეგობათა არსებობის აღნიშვნით ცდილობს დაასაბუთოს, რომ პროლოგი და ეპილოგი ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტს და მის ავტორს არ ეკუთვნის. ის არ არის ერთი ადამიანის ნაწარმოები (გვ. 91). პროლოგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თვით პოემას, ის წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა შინაარსის ტაეპებისას, რომელთაც არც ერთმანეთში აქვთ მტკიცე ლოგიკური კავშირი და არც რომანთან“ (გვ. 89) და „დაწერილი არიან სამი საუკუნის შემდეგ პოემის დაწერითგან აღორძინების ხანაში მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნეებში“ (გვ. 91—92). ამასთან დაკავშირებით, პროლოგის მოხსნით ავტორი უარყოფს მის მნიშვნელობას ვეფხისტყაოსნის ავტორის პიროვნების გასათვალისწინებლად.

ავტორი სპეციალურად იხილავს პოემის ავტორისა (გვ. 93) და პოემის სიუჟეტის (გვ. 110) საკითხებს, იძლევა ამ ხაზით წარმოებული კვლევა-ძიების მიმოხილვას და აჯამებს მის შედეგებს. არსებული ლიტერატურის კრიტიკული შეჯერებით იხილავს პოემის ავტორის პიროვნებასთან დაკავშირებულ საკითხებს—მის მსოფლმხედველობას, რელიგიურ მრწამსს; მისი განათლების სფეროს და აყენებს დებულებას, რომ პოემის ავტორი არ არის შოთა რუსთაველი (გვ. 100, 103). ამ სახელისა და გვარის მოხსენიება შემდეგი დროის ტრადიციანაა. პოემის ავტორის რუსთველობა დამყარებულია შემდეგი დროის ყალბ ტაეპებზე (გვ. 97). პოემის ავტორი რწმენით არის ქრისტიანი და არა ნაჰმადიანი (გვ. 106), მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ნეოპლატონიზმზეა აგებული. პოემა დაწერილია 1212—1219 წლებში (გვ. 110).

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება მისი ნასესხობის ან ქართულ ნიადაგზე და საქართველოს ცხოვრების გამოხატვის დებულების დაცვით. არსებული თეორიებისა და თვით პოემის მონაცემთა ანალიზით ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „არც სიუჟეტი, არც ზღაპარი პოემისა თუ ჩონჩხის სახით ნასესხები არაა“. ის შეთხ-

ზულია თვითონ პოემის ავტორის მიერ. ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია (გვ. 119). მისი სიუჟეტი შექმნილია ქართულ ნიადაგზე. ამავე დროს ის არ არის ხალხურიდან ნასესხები. პირიქით, დანამდლებით შეიძლება ითქვას, რომ ხალხური ვეფხისტყაოსანი აღმოცენდა ლიტერატურულ ნიადაგზე (გვ. 114). პოეტი კარგად იცნობს და სარგებლობს კლასიკური ეპოქის ლიტერატურის ძეგლებით: ვისრამიანით, ამირან და რეჯანიანით, შაჰნამით, ლეილ-მეჯნუნიანით, ბარამგურიანით და ქართველი მეხოტბეებით, რის დასასაბუთებლადაც უამრავი პარალელი მოჰყავს. ამიტომ, ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსანი ფორმისა და სენტენცია-აფორიზმების მხრივ ამ თხზულებებს ენათესავენ.

ავტორის საბოლოო დასკვნით, ვეფხისტყაოსანს რამდენადმე მიმბაძველობა ახასიათებს, მაგრამ არც ზღაპარი პოემისა, არც ჩონჩხი (სიუჟეტი) მისი არაა შემოტანილი მზამზარეულად, ლიტერატურულის თუ ზეპირის გზით, არც არაბეთიდან, არც სპარსეთიდან, არც ინდოეთიდან და არც რომელიმე სხვა უცხო ქვეყნიდან* (გვ. 140). „პოემა არის მართლაც დიდი ნაწარმოები არა მარტო ქართულის, არამედ მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით“ (გვ. 141).

ამავე წიგნში ავტორი ქართული მწერლობის საკითხებზე მსჯელობისას გაკვრით თუ სპეციალურად ეხება ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორს, სადაც უმთავრესად არკვევს ვეფხისტყაოსნის კვალს ქართული მწერლობის ძეგლებში (გვ. 25, 26, 146, 147, 172, 177, 193, 195, 225, 243, 249, 275, 334, 348—358, 384, 385, 407, 441, 442, 443, 455).

ავტორი შენიშნავს, რომ XV—XVI საუკუნეში ვეფხისტყაოსნის რომელიღაც შემავსებელს დაურთავს მისთვის ერთი ტაევი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა „ამირან და რეჯანიანის მოსეს უქია ხონელსა“ (გვ. 25).

ავტორი გაკვრით ეხება შოთა რუსთაველისა და ჩახრუხაძის იგივეობის საკითხს (გვ. 146).

ვრცელი ანოტაცია იხ. ამ წიგნის მესამე, 1952 წლის გამოცემასთან.

1040. სოსიკო მელიქიშვილი

ალექსანდრე ყაზბეგი
(მოგონება)

ჟურნ. დროშა, თბილისი, 1924, № 16—17, გვ. 26.

ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის პრობლემაზე მსჯელობისას ავტორი გაკვრით შენიშნავს: „ჩვენ რუსთაველზედაც სთქვა ივანე ჯაბადარმა, პროფ. მარტის მიხედვით, რომ ვეფხის ტყაოსანი რუსთაველს გადმოქართულებული აქვს სპარსული ამბიდანაო, მაგრამ ვერაფრით ვერ დაასაბუთეს. მახსოვს, როცა ივ. ჯაბადარის აზრი წაიკითხა პ. მელიქელიაროვმა, რომელიც სპარსეთში დიდხანს იყო რუსეთის წარმომადგენლად, გაიკვირვა. იგი დაახლოვებით იცნობდა სპარსულ ლიტერატურას, საუცხოვოდ იცოდა სპარსული. ის მწერალი, მითხრა მან, ვისგანაც ვითომ შოთა რუსთაველმა ისარგებლა, ცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნეში და აქებდა შახინ-ხანსა, რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ კი დაიწერა მეთორმეტე საუკუნეშიო“ (გვ. 26).

1041. [უავტორო]

ახალი სამსიკო ჰიესები

ჟურნ. თეატრი და ცხოვრება, 1924, № 20, გვ. 13.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ პეტრე მირიანაშვილმა დაწერა „ლიბრეტო ნეტან და ტარიელ“, ვეფხისტყაოსნის პოემის მიხედვით და რუსთაველის ლექსით. ოპერა შეიცავს 4 მოქმედებას, 7 სურათს და პროლოგს.

Бродячий музыкант—За Грузиния магурна

წიგნში: *За всеахате ахчаарни, За славесите трепли, За Грузия магурна*
 [ქარსველეთა კაჟაშვი, ბულბულთა ენაზე, ლაქვერე საქართველოზე]
 Народен урѣход от грузински, София, 1924, 100 გვ.

საქართველოს ბუნების, ყოფისა და თავისებურებათა აღწერისას ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსნის. მომყავს ქართული თარგმანით:

„საქართველოს კულტურის გაფურჩქნის ხანად უნდა ჩაითვალოს XII საუკუნე. მაშინ ცხოვრობდა ორი გენია: სათნობით შემკული ფლამანზის წმიდა თამარ მეფე და უკუდავი ბრძენი-პოეტი შოთა რუსთაველი. თუ პირველი ნერგავდა და მფარველობდა კულტურას, მეორე ჰქმნიდა ამ კულტურას. შოთა რუსთაველის ძრავალმა ნაწარმოებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია—ისინი მაშინდელი „სამღვდელოების ბარბაროსული ხელით განადგურდნენ. საიმედოდ ეს ერთადერთი ნაწარმოებიც კი, რომელსაც ევროპის ყველა ენაზე თარგმნიან და რომელსაც „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია, საკმაო მკერმეტყველებით გვირცხვეს იმ მაღალ კულტურას, რომლითაც საქართველოს XII საუკუნე ხასიათდება.

თუ ინგლისი, რუსეთი და ევროპის სხვა ხალხები ენლა თარგმნიან და სტკბებიან ლექსად დაწერილი შოთას დიადი სიყვარულის ვეება პოემით, ქართველი დედები ძველთაგანვე ძეძუსთან ერთად სულიერადაც ჰკვებავდნენ თავიანთ ბავშვებს.

ეს პოემა ხალხში გავრცელებულია, როგორც ხალხური ნაწარმოები და ხალხისათვის ეს წიგნი ნუგეშა და იმედს წარმოადგენს. განა შეიძლება ქართველ გლეხთან საუბარი ისე, რომ შოთა რუსთაველის პოემიდან ერთი სტრიქონი მაინც არ გაიხსენოს?

მაღალი მორალი, ღრმა შინაარსი, ლამაზი გამოთქმები შოთა რუსთაველისა დღესაც ზრდის და აუჯაკებს საქართველოს მომავალ თაობას. თვინიდან ეს პოემა იცავს ქალთა თანასწორუფლებიანობას, ქალებმაც გულში ჩაიკრეს და ჩაიხუტეს ეს პოემა.

ქალები თავიდან ბოლომდე ზეპირად სწავლობენ ამ პოემას და ამაცობენ იმით, რომ ამ პოემის ზეპირად შესწავლით დიდი სიმდიდრე შეიძინეს სულიერად. ბევრ შემთხვევაში, ნიუთიერი მზითვის ნაკლებად, ამ სულიერი მზითვით თხოვდებოდა ქართველი ქალი. განა დღესაც კი არ შეგვხვდება ხანში შესული მანდილოსანი, რომელსაც თავიდან ბოლომდე კიდევ ახსოვს შოთა რუსთაველის ეს უკუდავი პოემა“ (გვ. 88).

1043. აკაკო შანიძე

„დიონოსი“ ვეფხის ტყაოსნისა

თურნ. ჩვენი მეცნიერება, ტფილისი, 1924, იანვარი, № 8, გვ. 48—52.

ავტორი მოკლედ იხილავს ვეფხისტყაოსნის სიტყვის „დიონოსის“ მნიშვნელობის შესწავლის საკითხს („წასვლა ავთანდილისა ძებნად უცხო მოყმისა“ თავის 177 სტროფის პირველი ტაქტი: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი ეზრის“). მისი დასაბუთებით „დიონოსი“ არ წარმოადგენს საკუთარ სახელს როგორც აქამდე ეგონათ. ის არის დამახინჯებული ფორმა ეზდრა წინასწარმეტყველის ასტროლოგიურ-მეტეოროლოგიური ტრაქტატის სახელი-სა: „დიანოს“ ან „დიანოს“, რაც გადამწერლებმა გადააკეთეს დიანოსად. ამის მიხედვით ეს ტაქტი უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: „ამ საქმესა მემოწმების დიანოსი ბრძენისა ეზროს“.

1044. მ. წერეთელი

გილგამეშინი—ბაბილონური ეპოსი შესაბამისად ათასეულისა ქრ. წ.

ბაბილონურ ტექსტიდან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ, მთარგმნელის წინაშეხებითურთ გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ.—კ. საენისა

კონსტანტინეპოლი, საბეჭდავი ქართველთა კათოლიკე საენისა, 1924, 136 გვ.

ავტორის გილგამეშინის ქართული თარგმანისათვის დართულ თავის წინაშეხებში გაჰყავს რამდენიმე პარალელი გილგამეშინისა და ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ მოტივს შორის, რისთვისაც ახდენს ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილების ციტაციას. ავტორი წინაშეხებს:

„მოვიგონოთ ჩვენი უკუდავი რუსთაველის ქმნილება, „ვეფხისტყაოსანი“: გაქრა ტარიელისა ნესტანის სატებნელად. ცხოვრება მისი მხეცებთან, ვეფხისტყაოსნობა, ლომ-ვეფხისტყაოსნობა, კება ნადირის ხორციითა — ეს ხომ გილგამეშის საქმე იყო“ (გვ. 107). „მოვიგონოთ აგრეთვე ძმად-შვიდიკულა ტარიელ-ეთანდილ-ფრიდონისა, განუსაზღვრელი მეგობრობა და სიყვარული მათი, მსგავსად გილგამეშ-ნეკიდუსი. და სხვ.“ (გვ. 108). „მაგრამ, რასაკვირველია, რუსთაველმა გილგამეშისა არა იცოდა რა, როდესაც „ვეფხისტყაოსანი“-ს სწერდა“ (იქვე).

ავტორი ადარებს ეთანდილის ლოცვას მნათობთან გილგამეშის ლოცვას შამაშის, სინისა და იშტარისადმი, მოჰყვას ციტატები და შენიშნავს, რომ „ეთანდილის ლოცვა მნათობთანადმი გილგამეშურია“ (გვ. 110). „დახასიათება მნათობ-ლეთაებთა რუსთაველს წმიდა ბაბილონური ასკესი“ (გვ. 111).

დასასრულს ავტორი ასკენის, რომ:

„ბაბილონური ელემენტები და ყრძოდ გილგამეშური მოტივი „ვეფხისტყაოსანი“-შიც არის, აღმოსავლეთის რომელ სამწერლო ნაკადთა გზითა და რომელ ხალხურ წარმოდგენათა გავლენითაც არ უნდა მივლინათ მათ უძველეს საქართველომდე და შემდეგ თვით რუსთაველამდე“ (გვ. 111).

1926

1045. თელა ბეგიაშვილი

თქმულება ტარიელზე და ლერწამ ლერწამზე

წიგნი: ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, ნაწ. I, 1925, გვ. 61—66.

საგმირო ხასიათის თქმულებათა განხილვისას ავტორი ეხება ტარიელის ციკლის თქმულებებს და მის ერთ-ერთ ვარიანტს „ტარიელი და ლერწამ ლარეჯანი“, რომელსაც ადარებს ვეფხისტყაოსანს ურთიერთგაუგუნის თვალსაზრისით. ავტორის აზრით, ტარიელიანისა და ვეფხისტყაოსანის დედააზრის, მოქმედ პირთა თავგადასავლისა და ხასიათების იგივეობა მათი უშუალოდამოკიდებულებით აიხსნება.

ავტორი ლიტერატურული ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ თქმულების სიუჟეტი ზეპირსიტყვიერებამ ლიტერატურულიდან გადაიღო და არა პირიქით. რუსთაველის პოემა იმდენად პოპულარული გახდა, რომ ის ხალხმა შეისისხლხორცა და ხალხურ თქმულებად აქცია. ასეთი დასკვნის საფუძველს ავტორი იმავეს ხედავს, რომ ხალხურ თქმულებათაში შერჩენილია ინდივიდუალური შემოკმედების კვალი (ლექსის ტექნიკა, რიტმი, რითმა, მოკმედების მსვლელობა, პოეტური სურათები და აფორიზმები).

1046. ვ. გორგაძე

კ. ჭიჭინაძე, ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პროზა 103 გვ. თურნ. მნათობი, 1925, № 8—9, გვ. 301—302.

ავტორი დასაწყისში აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა არ ამოიწურება შინაარსით და რომ „მთელი პოემის ლირებულება მის ფორმალურ მიღწევებშია“. ავტორი აფასებს კ. ჭიჭინაძის ნაშრომს, როგორც პირველ ცდას, რომელიც ალიტერაციის მეთოდით უძღვება ვეფხისტყაოსნის პროზაულმას.

ავტორი მოკლედ ეხება კ. ჭიჭინაძის შრომის შედგენილობას და აღნიშნავს ალიტერაციის ფორმებს — ეპიფორას, ზევგმას, რონდოს და მოჰყავს საამისო ილუსტრაციები ვეფხისტყაოსნიდან. მისი დასკვნით, „მთელ წიგნსაზის სიჩქარის დალი. სუსტია მეცნიერული დასაბუთება“.

1047. ბ. გორგაძე

ახალი სალიტერატურო ქართული ისტორიიდან (მეორე საფეხური—1860—1875).

თურნ. მნათობი, 1925, № 3, გვ. 186—204.

ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმებზე მსჯელობისას ავტორი გაკვრით ეხება რუსთაველის ენასა და ვეფხისტყაოსანს (გვ. 187, 189, 204). ავტორი იხილავს ალ. ორბელიანის შეხედულებას ქართული ენის განვითარების შესახებ და მისი სტატიიდან „ქართული უბნობა ანუ წერა“

(ეურნ. „ცისკარი“, 1860 წ., იენისი) მოჰყავს ამონაწერები, მაგ., „მგონია ყველანი დამეთანხმნენ, უწინდელს ქართულს საერო წიგნების ენაზედ და შოთა რუსთაველის ქართულს სიტყვიერებაზედ სხვა უკეთესი ქართული ენა ვერ მოიგონება და არც უნდა ვიფიქროთ ამისთვის“ (გვ. 187). „რუსთველს აქუს. დიად დიდი ღირსებაები, მაგრამ ის სცხოვრებდა მეთორმეტე საუკუნეში და აღარ ეკუთვნის ჩუქსნ დროს. ის არის სამკვდრებელი ქართულის ისტორიისა“ (გვ. 189). ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი აკაკი წერეთლის ფელეტონიდან „ენების გასამართლება“ (გაზ. „დროება“, 1874, 6 დეკემბერი, № 452), რომელშიაც მოხსენიებულია რუსთაველის ენა (გვ. 204).

1048. ს. გორგაძე

შოთა რუსთაველი

წიგნი: ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია

პარალელბით ახალი მწერლობიდან, თბილისი, 1925, გვ. 76—77.

წერილი წარმოადგენს შესავალს, რომელიც ერთიანი ეფებისტყაოსნის განოკრებული ტექსტების პუბლიკაციას. შეიცავს შოთა რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიას და ეფებისტყაოსნის საერთო დახასიათებას. ავტორი აღნიშნავს მის პოპულარობასა და მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, ეხება პოემის შედგენილობას, მთავარ მოტივებს და ახასიათებს სპემის ენას.

დასასრულს, ავტორი ახასიათებს რუსთაველის ლექსის თავისებურებას და აღნიშნავს, რომ „ორივე გეარის შაირის თვითეულ ტაეპში რვა-რვა ნარცვალია, მაგრამ ძველ ხელნაწერებში შაირი მუდამ თექვსმეტმარცვლოვან სტრიქონებადაა დაწერილი, ე. ი. თითო სტრიქონში ორ-ორი ტაეპია მოთავსებული“.

1049. ევგენი დვალე

ახალი უწყება (პოემა) შოთა რუსთაველის ცხოვრების შესახებ

ტფილისი, 1925, 16 გვ. ტირაჟი 500.

ტექსტი წარმოადგენს გამოკვლევას ლექსად. შინაარსი:

„შ. რუსთაველის სრული ბიოგრაფია და პოლიტიკური მოღვაწეობა. რუსთაველის რაქველობა. რუსთაველის მოწაფეობა. რუსთაველის მემორია, რუსთაველის მწერლობა და დაჯილდოება. კარაი, რუსთაველის დენა. რუსთაველის სიმტიკე. რუსთაველის გადასახლება. და მისი წიგნების დაწვა. რუსთაველის განთავისუფლება და. შემთხვევა. არაბის მოკლა. რუსთაველის და თამარის საუბარი და გამოთხოვება. რუსთაველის სიმღერა, რუსთაველი და ბერები. ეფებისტყაოსანზე. ბერებისაგან რუსთაველის მოკლა ფარულად. ხალხური სიმღერა. რუსთაველის ცოლის გარდაცვლა. რუსთაველის ცხოვრების დასასრული. ეფებისტყაოსნის ორიგინალობა“.

მე-2 გვერდზე მოიპოვება:

„მკითხველს“. აქ დახატული სურათი, ბრინჯაოს ქეხედ ამოჭრილი, ნაპოვნია რაქაში. სორის ყოფილ სასულიერო აკადემიის ნანგრევებში, რომელსაც უკან გვერდზედ ხუტური ასოებით აწერია ზემო აღნიშნული სახელ-გვარები და მასთან შევამეტე საუკუნის ქრონიკა“.

წარწერა ეხება პრიმიტიულად შესრულებულ ხუთფიგურიან სურათს მაგილაზე მჯდომარე პოზაში, რომელიც მოთავსებულია წიგნაკის პირველ გვერდზე და აშკარა ყალბნახელავს წარმოადგენს წარწერით:

„შუაში: შ. რუსთაველი. მარჯვნივ: ს. თმოგველი და ი. შაეთელი. მარცხნივ: გ. ჩახრუხაძე და აუთლურ-ასლან ჯაყელი“.

ტექსტის დასაწყისი:

„საბერძნეთ-ერუსალიმში, ყველას გეჟამს იყო რუსთაველი, ეფებისტყაოსნის“ და მწერი ხალხისთვის კარგის მსურველი! იყო მაგრამა, რა სახით? ეს ყველას დარჩა უთქმელი, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, ნათელსა მფარავს აქ ბნელი“ (გვ. 3).

მე-16 გვერდზე მოიპოვება განცხადება:

„ცნობად. ამ ახლო მომავალში შ. რუსთაველის „სალიტერატურო და სამეცნიერო წრე“ მოაწყობს ტფილისში დიდ ისტორიულ დღესასწაულს რუსთაველის გარდაცვალებიდან 750 წლის თავის აღსანიშნავად. შემოსავლით გამოიქცემა უძველესი ნამდვილი „ვეფხისტყაოსანი“.

1050. O. G. Von Wesendonk

*Aus der kaukasischen Welt von O. G. Von Wesendonk
Mit abbildungen nach originalen von Margarete von Wesendonk
und einer kartenskiçze, Berlin, 1925, 367 გვ.*

ქართული ისტორიული ცხოვრებისა და მწერლობის დახასიათებისას ავტორი გაკვრით ეხება ვეფხისტყაოსანს და შოთა რუსთაველს (გვ. 84, 141, 346).

ავტორი ზოგადად ახასიათებს შოთა რუსთაველს, როგორც დიდ ქართველ ეპიკოსს, და ვეფხისტყაოსანს, როგორც ქართულ ნაციონალურ ეპოსს, დიდ ლიტერატურულ მოუღენას, აღნიშნავს მის სახალხო მნიშვნელობას და მოკლედ იხსენიებს არტურ ლისტის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის გერმანულ თარგმანს, რომელსაც კარგ შეფასებას აძლევს.

1051. პროფესორი კორნელი კეკელიძე

პველი ქართული თეატრი

ჟურნ. ხელოვნება, 1925, № 1, გვ. 19—20.

ავტორი საქართველოში მოშაითობის სწავლის შესახებ ცნობების განხილვისას ეხება ვეფხისტყაოსანში მოშაითობის სწავლების გამოხატულებას და მოჰყავს საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან სტროფი ფრიდონის სიტყვიდან:

„ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამეშაითოდ მზრდიდიანი“.

1052. ნიკო მარი

ქართველ ერის კულტურული შუბლი ენათმეცნიერების მიხედვით

ჟურნ. მნათობი, 1925, აპრილი, № 4(12), გვ. 199—211; № 5—6, გვ. 289—328.

ავტორი ქართული ენის კვლევა-ძიებაზე მსჯელობისას გაკვრით ახსენებს რუსთაველს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ტაეები (№ 4, გვ. 201, 203, 205, 207). ავტორი გაკვრით ახასიათებს ვეფხისტყაოსანს სიყვარულის გამოხატულების თვალსაზრისით (№ 5, გვ. 308) და ახსენებს რუსთაველს (გვ. 310).

იგივე წერილი გამოიცა ცალკე ამონაბეჭდის სახით: აკადემიკოსი ნიკო მარი (ამონაბეჭდი ჟურნალ მნათობიდან). ტფილისი, 1925, 56 გვ.

1053. ქრისტეფორე რაბეელიშვილი

ვეფხისტყაოსანი

წიგნში: საქართველოს მოკლე ისტორია
(დასაბამითგან 1917 წლამდე)

გამომცემელი თომა ჩიქვანაია, ტფილისი, 1925, 226 გვ.

კლასიკური მწერლობის მოკლე მიმოხილვაში ავტორი სპეციალურად ზერდება ვეფხისტყაოსანზე (გვ. 100—105).

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სილიადეს, მის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, მის პოპულარობას, ცნობებს შოთა რუსთაველის შესახებ, მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის შესწავლის მდგომარეობას და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი საკუთარი პროზაული გარდათქმით, რომელშიც ცალკეულად ურთავს ვეფხისტყაოსნის სტროფებს.

დასასრულს, მოკლედ ახასიათებს პოემის მხატვრულ ღირსებებს და აღნიშნავს მის უცხო ენებზე თარგმნის მდგომარეობას.

1054. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

წიგნი: ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია პარალელურად ახალი მწერლობიდან, თბილისი, 1925, გვ. 76—110.

ტექსტს, წინ უძღვის მცირე შენიშვნა შოთა რუსთაველის შესახებ. ტექსტი შეიცავს გამოკრებილ ადგილებს პოემის პროლოგისა და ცალკეული თავებისაგან. რედაქტორს ამოკრებილი ადგილები დალაგებული აქვს ეპიზოდების მიხედვით, რომელსაც უყუთებს საკუთარ სათაურებს სიუჟეტის ცალკეულ ამბავთა განვითარების მიხედვით. თავებს შორის აზრის გასამთლიანებლად რედაქტორი ურთავს მცირე პროზაულ გარდათქმებს.

ყოველ გვერდზე ტექსტს სქოლიოში ერთვის სიტყვების ლექსიკონი, ზოგჯერ ცალკეულ თქმათა განმარტებებიც.

1055. გვილჯ ფერარანტი

ანდრია უარაშვილი

ჟურნ. ხელმოწევა, 1925, 22 მარტი, № 12, გვ. 7.

ავტორი უარაშვილის მუსიკალური შემოქმედების მოკლე დახასიათებაში აღნიშნავს, რომ ის წერდა ოპერა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ სიკვდილის გამო ვერ მოასწრო დაწყებული საქმის დამთავრება.

1056. ალ. ქ—ლი

მზის ტრადიცია

ჟურნ. ხელმოწევა, 1925, 29 მარტი, № 13, გვ. 4—5.

ავტორი ეხება ქართულ პოეზიაში მზის თეჰის გამოყენებას და სანიმუშოდ ჩერდება ვეფხისტყაოსანში მზის თაყვანისცემის გამოხატულებაზე, კერძოდ, აეთანდლის ლოცვაზე მზისადმი და მოჰყავს სათანადო ტექსტები. ამასთან დიკავშირებათ ავტორს მოჰყავს მზის თემის გამოხატულების ნიმუშები ქართული და უცხოელი პოეტების თხზულებათაგან და მათ რუსთაველთან ერთად უწოდებს „მზის პოეტებს“.

1057. ხომლედი

ქართული ლიტერატურა

ჟურნ. ახალი გზა, 1925, 24 მაისი, № 22, გვ. 6—8; № 26, გვ. 13—14.

ავტორი ეხება ალ. სარაჯიშვილის ნაშრომს ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილების შესახებ, რომელიც წერილების სერიის სახით იბეჭდებოდა 1895 წლიდან „მოამბე-ში“, და ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის ნუშობას იონა მუხუნარგიას თაოსნობით 1883 წელს. მოჰყავს ამონაწერები ალ. სარაჯიშვილის ნაშრომიდან და ახასიათებს მის მუშაობას ვეფხისტყაოსანში ყალბი ადგილების აღმოსაჩინად.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, შის მთავარ იდეალებს და აღნიშნავს მის მნიშვნელობას ქართველებისათვის. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ არ გამართლდა ზოგიერთების მოლოდინი და ვეფხისტყაოსნის სპარსული დედანი არ აღმოჩნდა.

1056. კონსტანტინე ჰიჭინაძე

ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა
თბილისი, 1925, 103 გვ.

პირველად დაიბეჭდა ჟურნ. მნათობში, 1925, № 5—6, გვ. 220—261; № 7, გვ. 175—233
შინაარსი: წინასიტყვაობა. I. შესავალი. II. ალიტერაცია „ვეფხისტყაოსანში“. III „ვეფხისტყაოსნის“ ვარიანტები. IV. „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარები. V. რუსთაველის შემოქმედება. ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსანს პოეტური მეტყველების თვალსაზრისით—სტილის, რიტმის, ლექსიკური მოვლენებისა და პოეტური სახეების თავისებურებათა გასათვალისწინებლად. განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს რუსთაველის ლექსის ალიტერაციულ თავისებურებას, რომლის სიმდიდრე განმასხვავებელ ნიშნად მიაჩნია ვეფხისტყაოსნის ნამდვილი და ყალბი სტროფების დადგენისათვის. პოემის კომპოზიციისა და მხატვრული კონსტრუქციის ანალიზით ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. ავტორი ზოგადად მიმოიხილავს რუსთაველის გარშემო არსებულ კვლევადიებას და ცდილობს გაარკვიოს მისი შემოქმედების ზოგი საკითხი. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქცია დამოკიდებულია ძირითადად ალიტერაციაზე, რომ ალიტერაციული საკითხების გარკვევამ შესაძლოა გადაგვაწყვეტინოს პოემის კომპოზიციის და სიუჟეტისათვის „ამა თუ იმ ეპიზოდის მიკუთვნების საკითხი, გაარკვიოს ვარიანტების დამოკიდებულება, შეიტანოს შესწორება სტროფების დალაგებაში და ამოსავალ საფუძვლად იქცეს ჩანართი სტროფების გარკვევისათვის. ვეფხისტყაოსნის პრობლემის დამუშავებაში „გადამწყვეტი სიტყვა უნდა სთქვას პოეტიკამ და შემოქმედების ფსიქოლოგიამ“. ალიტერაცია და საერთოდ ბგერების მუსიკალური შეხამება— აი ის მთავარი ნიშანდობლივი თვისება რუსთაველის ლექსის, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა გადაიჭრას კარდინალური საკითხები „ვეფხისტყაოსნის გარშემო“.

ამასთან დაკავშირებით, ავტორის შენიშვნით, „არც სიუჟეტი და არც მისი განვითარება არის მთავარი ვეფხისტყაოსანში, მასში მოთხრობილი ამბავი არ იწვევს მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს“ (გვ. 102).

ავტორი რუსთაველის პოეტური მეტყველების შესწავლისას აყენებს დებულებას, რომ არ არსებობს ყალბი ადგილები ვეფხისტყაოსანში. ის ვარიანტებისა და განმეორებათა არსებობას ხსნის არა ყალბის მქმნელთა ჩამატებით, არამედ თვითონ რუსთაველის „მუშაობით“. მისი აზრით, თვითონ რუსთაველმა შექმნა ვეფხისტყაოსანში ტაქტთა ვარიანტები: „რუსთაველს თუ რამდენჯერმე არა, ერთხელ მაინც რადიკალურად გადაუმუშავებია მთელი თავისი პოემის შინაარსი“ (გვ. 48). ის პოემაზე 15—20 წელი მუშაობდა (გვ. 47).

ავტორი ეხება რუსთაველის ტაქტის აგების საკითხს და აღნიშნავს, რომ რუსთაველი „გასართმავი სიტყვის მიხედვით იწყებს საერთო მოსაზრებისათვის გამოსადეგი სახეებისა და ფრაზების ძებნას“. „მთავარი მნიშვნელობა ეძლევა რითმას, ხოლო თვითონ სტრიქონების ჩამოყალიბება ალიტერაციის და ასონანსის საშუალებით ხდება“ (გვ. 91).

რეცენზია: გ. გ. რ. გ. ა. ძ. ჟურნ. „მნათობი“, 1925, № 8—9(16—17), გვ. 175—176.

1059. იუსტინე აბულაძე

შესავალი

წიგნი: შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი მე-26-ე გამოცემა
იუსტინე აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, 1926, XIXC+354 გვ.

შინაარსი (გვ. III—XIX):

„ვეფხისტყაოსან“-ის ხელნაწერები: I. ვახტანგ მე-VI-ის გამოცემა. II. 4732 №-ი. ეგრეთ წოდებული არტანუჯული რედაქცია. III. წ. კ. სახოჯადოების 2829 №-ი ხელნაწერი. IV. 461 №-ი ხელნაწერი. შეადგენს საისტ. და საეთნ. სახოჯადოების საგანძურის კუთვნილებას. V. წ. კ. სახ. მუხუშუმის 4499 №-ი ხელნაწერი. VI. საისტ. და საეთ. სახ. მუხუშუმის 599 №-ი ხელნაწერი. VII. საისტორიო და საეთნ. სახ. მუხუშუმის 54 №-ი ხელნაწერი. VIII. წ.-კ. სახ. მუხუშუმის 5006 №-ი ხელნაწერი. IX. საისტ. და საეთნოგ. სახოჯ. 757 №-ი ხელნაწერი. X. საეკლესიო საგანძურის 363 №-ი ხელნაწერი. XI. წ.-კ. სახოჯ. საგანძურის 4988 №-ი ხელნაწერი, XII. საისტ. და საეთნ. სახ. 2074 №-ი ხელნაწერი. XIII. საისტ. და საეთნ. სახოჯადოების 1117 №-ი ხელნაწერი.

საერთო სურათი: ჩანართთა შესახები მოსახრებანი.

„ვეფხისტყაოსან“-ის ამბის სადაურობისა და მისი დამწერის პიროვნების საკითხთა გარშემო: ძეგლის კლდე-ძიების შედეგები. რამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსან“-ის დამწერთა ვინაობის შესახებ. როგორ უნდა გაიგოთ: „დიდარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა დაუშრობელსა“. რით არის ძლიერი შოთა, ან რით გვიხიდავს იგი?“.

ტექსტი წარმოადგენს ამავე ავტორის რედაქციით 1914 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნისათვის დართული შესავლის გადამუშავებას. ავტორი მიმოიხილავს, აჯამებს და ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის ძირითად ხელნაწერებს და ჰყოფს მათ გარკვეული ნიშნების მიხედვით სამი ტიპის ჯგუფად. ხელნაწერთა კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ავტორი იმუშავებს ტექსტის დადგენის მეთოდოლოგიას და აჯამებს ტექსტულურ კვლევადიებათა შედეგებს რუსთველოლოგიური საკვლევადიებო მუშაობის ძირითად პრობლემათა მიხედვით.

წიგნის დართული აქვს ცალკე ნარკვევი „პოემის ენის ხალხურობა“ (გვ. 321—340), სადაც ავტორი მრავალი მაგალითის მოყვანით რუსთაველის პოეტურ ენას აკავშირებს ხალხური მეტყველების დამახასიათებელ თქმებთან, საიდანაც, მისი აზრით, რუსთაველს უსარგებლია.

დასასრულს ავტორი ეკამათება პროფ. კ. კეკელიძეს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით. მისი დასკვნით, რუსთაველმა: „აილო ერთ-ერთი მზა-მზარეული, ქართულ სინამდვილესთან შესისხლბორცე-ბული, ძველის-ძველი არაბულ-სპარსული სადეგემირო ამბავი, რომელიც ისეთი სრულის რეალობით არის წარმოდგენილი პოემის მოთხრობაში, და გამოიყენა იგი თავისი ქმნილების მასალად“ (გვ. XIXC).

1060. ს. გორგაძე

სამაგალითო წიგნი

პავლე ინგოროყვას ახალი ნაშრომის გამო — Rustveliana, ნაწ. I,

ტფილისი, სახელგამი, 1926 წ.

ჟურნ. ქართული მწერლობა, ტფილისი, 1926, № 6—7, გვ. 233—237.

ავტორი ზოგად ხაზებში იხილავს პ. ინგოროყვას მოხსენიებულ ნაშრომს და ჩამოთვლის მის ღირსებებს. მისი აზრით, წიგნში წარმოდგენილი საკითხების დასმა და გადაწყვეტა დამაჯერებელია, პ. ინგოროყვა იჩენს თვითეული საკითხის დამუშავებაში უმაგალითო ერუდიციას და კვლევით ინტუიციას. ავტორი ზოგად ხაზებში ეხება წიგნის შედგენილობას და ჩამოთვლის საკითხებს, რომლებიც სპეციალურადაა განხილული.

I. ვეფხის-ტყაოსნის თარიღი. შოთა რუსთაველის ვინაობა სახელგამო, ტფილისი, 1926, X + 380 გვ.

წიგნს უძღვის მცირე წერილი „ავტორისაგან“ (გვ. IV), რომელშიაც ავტორი განმარტავს წიგნის აგებულებას, და აღნიშნავს, რომ გამოკვლევასამ წიგნად ქვეყნდება:

„პირველ წიგნში განხილულია ორი კითხვა: ვეფხის-ტყაოსნის თარიღი და რუსთაველის ვინაობა. მეორე წიგნში: ავტორის მსოფლიო მხედველობა; ენობრიული სიმბოლიკა ვეფხის-ტყაოსანში და პრობლემა პოემის ორიგინალობისა; ტექსტის კრიტიკა. მესამე წიგნი შეიცავს — ვეფხის-ტყაოსნის აღდგენის დედანს, ეტიუდით: ვეფხის-ტყაოსნის პოეტიკა“.

V გვერდზე „შენიშვნა პირველი წიგნის შესახებ“, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ მას განზრახული ჰქონდა დამატების სახით ამავე წიგნში დაეხებოდა ორი სპეციალური გამოკვლევა: 1. „ვეფხის-ტყაოსნის გეოგრაფია“ და 2. „ჭერეთის ქართული კილოს გავლენა ვეფხის-ტყაოსანზე“.

შინაარსი:

„ნაწილი პირველი—ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია: სახვადო მიმოხილვა. მე-XIV—XVI საუკუნეთა დამატებანი. I. წინასწარი შენიშვნები. II. ვეფხის-ტყაოსნის დედანი. III. რას წარმოადგენს ვახტანგისეული დედანი. IV. ტექსტების გენეალოგია. V. ვეფხის-ტყაოსნის მესამე პლასტი. VI. ვეფხის-ტყაოსნის მეორე პლასტი.“

ნაწილი მეორე.—ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორია: ანალიზი ვახტანგისეული დედნისა. I. პირველი პლასტი ვეფხის-ტყაოსნისა: ვახტანგისეული დედანი. II. ტენდენციური დამატებანი: პოლემიკა მიმართული რუსთაველის წინააღმდეგ. III. სხვა მაგალითები რუსთაველთან პოლემიკისა. IV. რით არის გამოწვეული პოლემიკა რუსთაველთან. V. ვეფხის-ტყაოსნის დამტკვლთა დამატებანი. VI. ციკლოური დამატებანი: შენიშვნა Q → ხელაწერზე. VII. ციკლოური დამატებანი: როსტვეანისა და ავთანდილის ნადიმობის აღწერა. VIII. ვეფხის-ტყაოსნის უძველესი ინტერპოლატორი: „ვინმე მესხი მელექსე“. IX. „მესხი მელექსის“ ცხოვრების დრო. X. დასკვნები.

ნაწილი მესამე.—ვეფხის-ტყაოსნის თარიღი. I. ვეფხის-ტყაოსნის თარიღი: ტექსტის ისტორიის ჩვენება. II. ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგი. III. ვეფხის-ტყაოსნის ეპილოგი. IV. სხვა რეალიები პოემის ეპოქის შესახებ. V. პოემის დაწერის წლები (1196—1207). VI. პოეტის სახელი და ზედწოდება: „შოთა რუსთაველი“.

ნაწილი მეოთხე.—შოთა რუსთაველის ვინაობა. შოთა რუსთაველის ვინაობის საკითხი. I. ორი რუსთაველი: ჭერეთისა და მესხეთისა. II. სახელწოდება „რუსთაველის“ მნიშვნელობა. რომელი რუსთაველი იყო შოთა. III. დამატებითი საბუთები, რომ შოთა ჭერეთიდან იყო და არა მესხეთიდან. IV ა. ვინ იყვნენ რუსთავეის მფლობელები მე-XII—XIII საუკუნეებში. რუსთაველი თამარის მეფობის პირველ წლებში: 1184 წლიდან—1190 წლამდე. IV ბ. რუსთავეის გადასვლა ჭერეთის ერისთავთა მფლობელობაში: 1191—1195 წლებს შუა. V. ჭერეთის ერისთავნი, მფლობელები რუსთავეისა: ასათ, გრიგოლ, შოთა. VI. შოთა ჭერეთის ერისთავი და შოთა რუსთაველი — ავტორი ვეფხის-ტყაოსნისა ერთი და იგივე პირია. VII. რომელ წლებში იყო შოთა რუსთავეის განმგებლად (რუსთაველად). შოთას ავტოგრაფი. VIII. მეორე სინქრონიზმი: შოთა ჭერეთის ერისთავის და ვეფხის-ტყაოსნის ავტორის იგივეობის შესახებ. IX. ჭერეთის ბაგრატიონთა შტო: 1. ბაგრატიონთა სამი შტო (ქართლისა, კახეთისა და ჭერეთისა). 2. ჭერეთის ბაგრატიონები მერვე საუკუნიდან 1010 წლამდე. 3. ჭერეთის ბაგრატიონები 1010 წლიდან—1117 წლამდე. 4. ჭერეთის ბაგრატიონები 1117 წლიდან—1245 წლამდე 5. სახელი „შოთა“ არის საკვარეულო სახელი ჭერეთის ბაგრატიონთა.

ნაწილი მეხუთე.—მანის ორდენი საქართველოში. შოთა „მანის ფერი“. I. ძველი ქართული ხრონოლოგია „ეამთა-აღწერელობა“. II. ეამთა-აღწერელების ცნობები შოთას შესახებ. III. ეამთა-აღწერელების მტრული დამოკიდებულება შოთას მიმართ. IV. შოთა „მანის ფერი“, „კუპარი“. V. შოთას მანიჭეველობა იძლევა ახსნას ვეფხის-ტყაოსნის გაურკვეველი საკითხებისა. VI. მანიჭევის ისტორიისათვის არაბულ ხალიფატში და საშუალო საუკუნეთა საქართველოში. სუფიების და პეტრების აკადემია ტფილისში. VII. მანის ორდენი საქართველოში. „რინდნი მანნი“ ლაშა-გიორგის კარზე. ექსკურსი ლაშა-გიორგის შე-

სახებ. პოეტრი ბარამან მანის (მანაქველი). VIII. თაზიხია მანის ორდენის წინააღმდეგ ლაშა-გიორგის დროს. განხუთქილება კარის წრებში. სამეფო კარის დატოვება კათოლიკობ-თა და ძველ ვახირთა მიერ.

ნაწილი მეექვსე: ძიებანი შოთას ბიოგრაფიის აღდგენისათვის. — I. პერე-თის ბაგრატიონთა გვარი მე-XII საუკუნეში; მათი დამოკიდებულება სამეფო კართან. II. შო-თას ახალგაზრდობის წლები. განათლება. III. შოთა თამარის კარზე (1191—1196 წლებში). ეკსკურსი კლასიკური ეპოქის ქართული პოეზიისათვის. IV. შოთას პირველი პოემა: „ქებანი“. „ქებათა“ შემადგენლობა. პოემა-რომანის ფორმა. V. რა ცნობები შენახულა შოთას პირველი პოემის შესახებ. თარიღი შოთას პირველი პოემისა: 1196—1200 წწ. VI. შოთას განდევნა სამეფო კარიდან და მისი უცხოეთში ყარობობა. VII. რით იყო გამოწვეული შოთას განდევ-ნა საქართველოდან. VIII. რომელ ქვეყანაში იმყოფებოდა შოთა დევნილების დროს, 1200—1207 წლებში. IX. შოთას დაბრუნება საქართველოში (1213 წლის ახლო ბანებში). X. უკანას-კნელი პერიოდი შოთას ცხოვრებისა (1213—1245 წლები).

ნაწილი მეშვიდე: — შოთას ოქოზოგრაფია. I. შოთას კანდაკება საოზბელოს ბარგ-ლიფხეზე, მე-XIII საუკუნისა. II. შოთას პორტრეტი ერისთვისეულ ხელნაწერში, მე-XV საუკუნისა.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნები. ბოლოსიტყვა. ავტოგრაფები და პორტრეტები: I. ხელმო-წერანი გინეანის სიგელზე 1190 წლისა: მეფისა [თამარის], მანდატურთ-უხუცესის კიბერისა და კათოლიკობისა. II. შოთას ავტოგრაფი: ხელმოწერა გინეანის სიგელის განახლების შეს-ახებ მე-XII—XIII საზღვარზე. III. შოთას კანდაკება მე-XIII საუკუნისა. IV. შოთას სურათი მე-XV საუკუნისა*.

/შრომა წარმოადგენს მონოგრაფიული გამოკვლევის ცდას რუსთველოლო-გიის ძირითადი პრობლემების — პოემის შედგენილობის, პოემის ავტორის და მისი დაწერის თარიღის საკითხებზე. შრომის პირველ ორ ნაწილში ავტორი დაწერილებით ირკვევს ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედგენილობასთან დაკავ-შირებულ საკითხებს, მის აგებულებას, მოცულობას, ჩანართებს და აყენებს „პლასტების თეორიას“. ავტორის ვაგებით, ეს პლასტები შეიცავენ ვეფხის-ტყაოსნის ძირითად ტექსტს და სხვადასხვა დროის ეპიზოდურ ჩანამატებს. ამ დამატებათა ავტორები ისტორიულად დამოწმებულ პიროვნებანია.

ვეფხისტყაოსნის მთავარ ამოსავალ პრინციპს პლასტების დადგენისა-თვის ავტორისათვის წარმოადგენს პოემის 1712 წლის ვახტანგის გამოცემის მიჩნევა ვეფხისტყაოსნის უძველესი დედნის განმეორებად, რაც, მისი აზრით, ძირითადად 1267—1318 წლებში უნდა შემუშავებულიყო და რომელიც პირ-ველ პლასტად მიაჩნია. მისი აზრით, „ვახტანგს უცვლელად დაუბეჭდავს ერთ-ერთი ძველი ვარიანტი ვეფხისტყაოსნისა“, რომელშიაც დაკულია შედა-რებით უფრო სუფთა ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“ (გვ. 16). თავისთავად ამ უძველეს რედაქციაშიაც რამდენიმე ინტერპოლატორის მიერ XIII საუ-კუნის მეორე ნახევრიდან-შეტანილია საქმაოდ მნიშვნელოვანი დამატე-ბანი. ერთი ინტერპოლატორთაგანი 1267—1318 წლებში „ცხოვრები“ „ვინ-მე შესხი ნელქსეა“, რომელსაც შეუესია რუსთაველი. მეორე პლასტად ავტორს მიაჩნია XIV საუკუნის ნახევარში სამი დამატება ვეფხისტყაოსნის ტექსტის შიგნით 229 სტროფის რაოდენობით, რომელიც უმთავრესად „სარ-გის-IV თმოგვეს ეკუთვნის („ინდოხატაელთა ამბავი“). მესამე პლასტია უფ-რო გვიან შეტანილი (XV—XVI სს.) თორმეტი დამატება 496 სტროფის რაოდენობით. ეს დამატებანი სხვადასხვა ხასიათისაა და განსხვავებულ მიზ-ნებს ისახევენ. ძირითად დამატებათა ჯგუფი კმნის „ვეფხისტყაოსნის ციკლს“ და წარმოადგენენ პოემის კომენტარიებს, ავითარებენ და ავრცობენ პოემის ცალკეულ ეპიზოდებს, იძლევიან სიუჟეტის გაგრძელებას და შეესებებს. მეორე რიგის დამატებანი ხასიათდებიან თავისი ტენდენციურობით. მათი მიზანია გააბიადმოწარ რუსთაველი, ისინი რუსთაველთან აწარმოებენ პოლემიკას, უნ-

დათ გააყალბონ მისი თხზულების დედააზრი, მათ უნდათ „ვეფხისტყაოსნის შიგნიდან ალებან, პოემის შინაგანი გაყალბებება და გაბათილება“ (გვ. 59). ეს ბრძოლა რუსთაველთან, რომელსაც თვით ვეფხისტყაოსნის სხეულში აწარმოებდნენ, უმთავრესად იმით ყოფილა გამოწვეული, რომ ყალბის მკმნელებს, რომელნიც ეკლესიური წოდების დაკვეთას ასრულებდნენ, ვეფხისტყაოსანი არ მიაჩნდათ ქრისტიანულ ნაწარმოებად, მათი შეხედულებით პოემაში გადმოცემული იყო მწვალებლური სწავლა, „სპარსული“ მოძღვრება, მასში ნახსენები არ იყო სამება და სხვ.

ვეფხისტყაოსნის ავტორი, შოთა რუსთაველი მკვლევარის მტკიცებით, რეალურ-ისტორიული პიროვნებაა, რომელსაც პოემა დაუწერია 1196—1207 წწ. ამ დებულებათა დასაბუთებისათვის ავტორი იყენებს უამრავ ისტორიულ მასალას და მიმართავს მრავალ ისტორიულ-ფილოლოგიურ ექსპურსს. ავტორი აყენებს დებულებას, რომ რუსთაველი იყო მანიქეველი, საქართველოში არსებული მანის რელიგიურ-ფილოსოფიური ორდენის მეთაური. მისი აზრით, „თვით პოემაში გადმოცემულია ზოგად სიმბოლურ ხაზებში მანიქეიზმის („სპარსული“ მოძღვრების) ეზოტერული იდეები“ (გვ. 56), რისთვისაც რუსთაველმა შემდგომ დევნა განიცადა ქართული ეკლესიისაგან. დებულება რუსთაველის მანიქეველობის შესახებ ავტორს შემუშავებული აქვს ეამთა აღმწერლის ერთ ცნობაზე დამყარებით ვინმე შოთას შესახებ: „ჰერეთისა ერისთავი შოთაჲ, რომელსა მანისა ფერობისათვის კუპრობით უქმობდეს“, რომელსაც ავტორი ახალ ქართულზე ასე თარგმნის: „ჰერეთის ერისთავი შოთა, რომელიც იყო მანის ორდენის მეთაური („მანის ფერი“) და რომელსაც ამის გამო ეძახდნენ სარწმუნოებიდან განდგომილს („კუპარს“)“ (გვ. 214). ან მოსაზრების საფუძველია აგრეთვე ეამთა აღმწერლის ორი სიტყვის „რინდნი მან“ თავისებური წაკითხვა და გაგება (გვ. 238).

რუსთაველის სამშობლოდ ავტორს მიაჩნია არა ტრადიციულად მიღებული რუსთავი მესხეთისა, არამედ ბოსტან-ქალაქი ჰერეთისა, რომელიც რუსთავის სახელითაცაა ცნობილი. შოთა ჰერეთის ბაგრატიონი, იგივე შოთა რუსთაველი პოემის ავტორია, რომელიც რუსთავს ფლობდა და უცხოვრობია 1169—1245 წლებში და თავისი პოემა დაუწერია 1196—1207 წლებში. /

ნაშრომის ირავლიე შეიქმნა საკმაო ლიტერატურა სპეციალური რეცენზიებისა თუ ცალკეული შენიშვნების სახით: ხ. გორგაძე—სამავალითო წიგნი, პავლე ინგოროყვას ახალი ნაშრომის გამო, *Rustaveliana*, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1926, № 6—7, გვ. 233—237; H. H. Шап-к Rustaveliana, ИАН, 1927, გვ. 361—368; კ. კეიხიძე—რუსთველიანა, ჟურნ. „მნათობი“, 1927, № 2, გვ. 181—204; ა. ბარამიძე—ვეფხისტყაოსნის „პლასტების“ „დათარბებისათვის, „უნივერსიტეტის მოამბე“, 1929, IX, გვ. 120—130; ბ. ინგოროყვა—კ. კეიხიძის წერილის გამო, ჟურნ. „მნათობი“, 1927, № 3—4, გვ. 193—220; ზ. ავალიშვილი—ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 43—73. ე. აბულაძე—როგორ უნდა გავიკოთ „შოთა ჟუპრი“, გაზ. „კომუნისტი“, 1935 წ., 12 აპრილი, № 87; ს. ორდანიშვილი—ეამთა აღმწერლის ერთი ცნობის შესახებ, „უნივერსიტეტის შრომები“, 1936, III, გვ. 167—181; შ. ნუცუბაძე, რუსთაველის სოფლმხედველობისათვის, „უნივერსიტეტის შრომები“, 1935, ტ. I, გვ. 1—62.

1062. ფილიმე მახარაძე

კრიტიკული განხილვა [ვეფხისტყაოსნის საკითხები]

წიგნში: თხზულებათა კრებული, ტომ V, სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა, 1926, გვ. 1—28.

პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „კვალში“, 1896 წ., № 20, 22, 26, 27. იხ. ანოტაცია № 513.

ვეფხისტყაოსნის ლექსისათვის

ჟურნ. აკადრისტანი, სამხატვრო-საილუსტრაციო ჟურნალი, ბათონი, 1926, იანვარი, № 1, გვ. 18.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნისადმი ინტერესის შეუწელებელ ზრდას, მისი ავტორის შესახებ ზუსტი ცნობების უქონლობას და ილაშქრებს ვეფხისტყაოსანში ყალბი ადგილების ძიების წინააღმდეგ. ავტორი ამასთან დაკავშირებით ეგებება კ. ჭიქინაძის ნაშრომს — „ალიტერაცია და ვეფხისტყაოსნის პრობლემა“, როგორც პოემის მთლიანობის გადაჭრის ცდას, მის საერთო სულთან, საერთო სახესთან მიმართებით პოეტური მეტყველების შესწავლის საფუძველზე.

1064. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

მე-26-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით

ტექსტი ახლად შეიმუშავა, ვრცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და ლექსიკონი საძიებლებით დაურთო და მეორედ გამოსცა იუსტინე აბულაძემ ტფილისი, 1926, გვ. XIX+352.

ტექსტს წინ ერთვის შოთა რუსთაველის ორი სურათი. პირველი ჩვეულებრივ გაგრელებული, მეორე — წარწერით: შოთა, გადმოღებული მე-XVII საუკ. ხელნაწერიდან გაგარინის მიერ; პორტრეტი გადღებულია უცვლელად ორიგინალიდან.

წინასიტყვაობა (გვ. I). გამოცემის შედგენილობისა და გეგმის შესახებ.

შესავალი (გვ. III—XIXC), რომელიც შეიცავს ვრცელ გამოკვლევას ხელნაწერების მიმოხილვით. ტექსტი შეიცავს:

შესავალი, რომელიც მიეწერება შოთა რუსთაველს I—XXXI სტროფები; თვით პოემის ტექსტი—ჩვეულებრივი ნუმერაციით 1426 სტროფს, რომელშიც განმეორებული ნუმერაციით ტექსტის შიგნით სქოლიოებში ჩართულია დანართი სტროფები.

დასასრული, რომელიც მიეწერება შოთა რუსთაველს (01—05 სტროფი). ტექსტს ბოლოში ერთვის: ვარიანტები (გვ. 189—240).

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (გვ. 241—296).

ვეფხისტყაოსნის სიტყვათა საძიებელი (გვ. 297—299).

ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი (გვ. 301—311).

საკუთარ სახელთან და ცნებათა საძიებელი (312—320).

პოემის ენის ხალხურობა (გვ. 321—340).

ზოგიერთი გაუგებარი სიტყვის შესახებ „ვეფხისტყაოსან“-ში (გვ. 341—346).

ჩემ მიერ აღდგენილი ადგილები (347—348).

დამატებითი ვარიანტები (გვ. 349).

ტექსტს ზოგ ადგილას სქოლიოში დართული აქვს განმეორებული ნუმერაციით შესაბამი სტროფების ვარიანტები.

1067

1065. შალვა ამირანაშვილი

ქართული საერო მხატვრობის გენეზისისათვის

ჟურნ. ქართული მწერლობა, ტფილისი, 1927, № 6—7, გვ. 175—207.

ქართული საერო მხატვრობის ისტორიის საკითხების მიმოხილვაში. ავტორი სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის დასურათებაზე, იხილავს მისი შესწავლის ისტორიას და ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებს ძირითად ხელნაწერთა მიხედვით. ავტორი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა დასურათებას ჰყოფს ორ ჯგუფად—დეკორატიულ ხელნაწერთა არშიების სა-

ხით და ტექსტის ილუსტრაციები. ილუსტრაციების განხილვისას ავტორი აღნიშნავს მათ ეროვნულ თავისებურებებს და იმ გარემოებას, რომ „ქართულმა საერო მხატვრობამ ძველ დროშივე შექმნა საკუთარი ციკლი ვეფხის ტყაოსნის ილუსტრაციებისა და იმავე დროს საკუთარ გემოვნების და სტილის კვალობაზე შეკვალა თვით სპარსულიდან ნათარგმნ თხზულებათა ილუსტრაციების როგორც ციკლი, აგრეთვე თვითული შინაატურის ხასიათი“ (გვ. 184).

ავტორი მოკლედ ეხება შოთას იკონოგრაფიის საკითხს უმთავრესად პ. ინგოროყვას მოსაზრებათა მიხედვით და აღნიშნავს, რომ „შოთას პორტრეტის ტიპის ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი წარმოშობილია მანიქურ მხატვრულ წრეში“ (გვ. 204). ავტორი იზიარებს პ. ინგოროყვას მოსაზრებებს შოთას პორტრეტის წარმოშობასა და ხასიათზე.

1066. თედო ბეგიაშვილი

ტარიელ და ნესტან-ღარეჯანის გარჩევა

წიგნი: ქართული სიტყვიერების ისტორია, თბილისი, სახელგამი, 1927, ნაწ. II, გვ. 158—221.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას და ვეფხისტყაოსნის შესწავლის მდგომარეობას, მის გაცნობას საზღვარგარეთ, გადმოსცემს შინაარსს, ახასიათებს პოემის მთავარ გმირებსა და ასკენის, რომ ავთანდილი და ტარიელი ორი სხვადასხვა ხასიათის ტემპერამენტისა და ფსიქოლოგიური ჩარაობის ტიპია. ტარიელში უფრო ემოციური მხარეა განვითარებული, ავთანდილში რაციონალური. რუსთაველი საქართველოს სინამდვილიდან იღებს ტიპებს, მისი გმირების სახით ნაციონალური ქართული ტიპებია დახატული. ის ობიექტური გარემო, რომელშიაც პოემის გმირები ცხოვრობენ და მოქმედებენ, მხოლოდ საქართველოს იმდროინდელ სინამდვილეს შეესაბამება.

ავტორი ცალკე განიხილავს ვეფხისტყაოსნის სოცოლოგიურ საკითხებს, პოეტის მსოფლმხედველობას, ფილოსოფიურ აზრებს, პოემის მთავარ იდეალებს, რისთვისაც პოემიდან საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ადგილები და აფორიზმები.

დასასრულს, ავტორი მოკლედ და ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს ლიტერატურულად და ეხება მის მნიშვნელობას.

1067. [ია ეკალაძე]

შოთა რუსთაველი

წიგნი: ქართული სიტყვა-კახელი მწერლობის ანთოლოგია

ტომი I, (V—XII საუკ.). რედაქტორი ია ეკალაძე

ტფილისი—ქუთაისი, 1927, გვ. 191.

წერილი წარმოადგენს მკირე შენიშვნას „ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებში“ ვეფხისტყაოსნის ტექსტთან დაკავშირებით. ავტორი მოკლედ აღნიშნავს შოთა რუსთაველის პიროვნების პრობლემატურობას, რუსთაველოლოგიაში გამოთქმულ ძირითად მოსაზრებებს და ასკენის, რომ პ. ინგოროყვას „რუსთაველიანას“ შემდეგ „განმტკიცებული ტრადიცია ირღვევა და საკითხი რუსთაველის ბიოგრაფიისა „ველამე საქაძათო და სადავო ხდება“ (გვ. 191).

1068. პავლე ინგოროყვა

რუსთველიანაზე

(პროფ. კორნ. კეკელიძის წერილის გამო)

ურნ. მნათობი, 1927, № 3, გვ. 193—220; № 4, გვ. 186—223.

წერილი წარმოადგენს პასუხს კ. კეკელიძის საარეცენზიო წერილზე „რუსთველიანას“ გამო („მნათობი“, 1927, № 2). შეიცავს შემდეგ თავებს:

1. ვეფხის-ტყაოსნის დედნები. 2. ვეფხის-ტყაოსნის ტექსტების გენეალოგია. 3. მესამე პლასტი. 4. ვეფხის-ტყაოსნის მეორე პლასტი. 5. ვეფხის-ტყაოსნის უძველესი დედანი (პირველი პლასტი). (№ 3). 6. ვეფხის-ტყაოსნის თარიღის საკითხი. ტექსტის ისტორიის ჩვენება. ვეფხის-ტყაოსნის პროლოგის და ეპილოგის ჩვენება. ვეფხის-ტყაოსნის პირველი პროლოგის და ეპილოგის სინამდვილე. 7. ვეფხის-ტყაოსნის ავტორის სახელი და ზედწოდება „შოთა რუსთველი“. 8. შოთას ვინაობის პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები. შოთა, ჰერეთის ბაგრატიონი. 1. რუსთავეის მფლობელნი მე-12—13 საუკუნეებში,

1069. [იოსებ-ზილიხანიანის“ უცნობი მთარგმნელი]

XV—XVI საუკუნე

[რუსთველისა და ვეფხის-ტყაოსნის გმირთა მოხსენება]

წიგნში: გ. ჯაკობია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ევრსიები, (კრიტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით), პირველი ნაწილი (ტექსტები), ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, ტფილისი. 1927, OII+186 გვ. ტექსტი შეიცავს რუსთველისა და მისი პოემის გმირთა მოხსენიებას:

აწ რუსთველო, გეთხოვები, რომე შამყე ნება თქმისა,
არ გასწყრე და არ ამიკლო, თხოუნა მე მაქვს ამ პოქისა,
რომე გქადრე უკადრომა დაჯრა თქვენის ნასაქმისა,
თქვენა იყო, სხვავე არგებს, დასწულდეს რა აქმისა (1).
მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარი,
რომე აღძრნეთ უმეურად, თავსა ირქვათ მისი დარი,
ლექსთა ბოლო შემოგაკლდესთ და შიიქნეთ სიტყვა მედარი,
მას მუუფემ განგებოთა წყალობისა დასცა დარი“ (2).
შენთა კელთ არის, რუსთველო, საბელი ყველთა ზელისა,
მომცენ ნებანი გამოვთქვა ამბავი ამა ტრელისა (3).
თუცა ხელქმნილი რუსთველი თინათინს აქებს არ ავსა,
ნესტან-დარეჯან ბროლ-ვარდსა გიშრის მანითა სარავსა (17).

ამავე წიგნში მოთავსებულ „იოსებ-ზილიხანიანის“ თეიმურაზისეული ევრსიის „მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიხანიანის“-ს შესავალში სტროფები 10—20 დაწერილია ვეფხის-ტყაოსნის გმირებისა და მოტივების თემაზე. სტროფი 17:

ესენი შოთამ რუსთველმან შეამყო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნისა, მერე თამარის გმობითა,
იტყვის — ეგპოვეო ამბავი პირველ სარსთავან მმობითა,
შეათსუნა ბროლსა გიშერი, ძოფსა ხადაფი წყობითა (გვ. 104).

1070. ხარგის კაცბაძე

ვეფხის ტყაოსნის საკითხის გარშემო

ურნ. მნათობი, 1927, № 11—12, გვ. 239—263.

ავტორი აღნიშნავს ვეფხის-ტყაოსნის საკითხების კვლევა-ძიებისადმი ინტერესის გაცხობევლებას და მოკლედ მემოიხილავს უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნულ ლიტერატურას. ეკამათება პროფ. კ. კეკელიძეს, პავლე ინგოროყვას ნაშრომის „რუსთველიანას“ გამო და უპასუხებს მისივე ექვს შენიშვნას, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხების გაგებაში.

1071. სარგის კაკაბაძე

[შესავალი ვეფხისტყაოსნის გამოცემისა]

წიგნი: ვეფხისტყაოსანი სარგის კაკაბაძის რედაქტორობით,
მეორე გამოცემა, ტფილისი, 1927, CXLVI+216 გვ.

შესავალი წარმოადგენს ვრცელ ნარკვევს რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებზე — ვეფხისტყაოსნის ტექსტისა, შოთა რუსთაველის პიროვნებისა, შემოქმედებისა და მისი ეპოქის საქართველოს კულტურული მდგომარეობის შესახებ. შინაარსი:

რედაქტორისაგან.

წინამდებარე გამოცემისათვის: პოემის ტექსტის დადგენის პრინციპი; პოემის მოცულობა; პოემის შინაგან ტაქტების მოცულობის დადგენის პრინციპი; ტექსტის გარდატეხა პირველი ჯგუფის ხელნაწერებში; ვინმე მესხის ნართაული ტაქტები პოემის პირველ ნაწილში; პოემის ტექსტის მეორე ნაწილის ვითარება; ნაკლულეკანი და ნართაული ტაქტები ვახტანგისულს რედაქციაში; ტექსტის მართლწერა.

ვეფხისტყაოსანი და შოთა რუსთაველი: საკითხის შესწავლის ვითარების შესახებ; შეხედულებათა განვითარება ვეფხისტყაოსანზე; საკითხის დაყენება; პოემაში დაცული ფაქტობრივი ცნობები პოემის წარმოშობისა და რუსთველის შესახებ; საკითხი მწერლის სარგის თმოგველის ვინაობის შესახებ; შავთელის აბდულ-მესია; საკითხი მოც ხონელის შესახებ; პოეტის სახელწოდება; რუსთაველი მე-12 ს-ის დასასრულს; შოთა—რუსთაველის პატრონი; თამარის ცხოვრების და მეფობის ხოვი ფაქტების ქრონოლოგია; ჩახრუხაძის შესხმა; შოთას ვინაობა; შოთას ცხოვრების უკანასკნელი წლები; ჩახრუხაძის ვინაობა; ტიბერის ვინაობა; შოთას ბიოგრაფია.

ვეფხისტყაოსანი კულტურული-ისტორიული თვალსაზრისით: ქართული ფეოდალური საზოგადოება მე-12—13 საუკუნეთა მიჯნაზე; შოთა, როგორც ქართული რაინდობის იდეოლოგი; ქალის კულტი ვეფხისტყაოსანში; ვეფხისტყაოსნის წარმოშობის საკითხი.

Varia: ვეფხისტყაოსნის ვნა; ვეფხისტყაოსნის ლექსთ-წყობა; შოთას ძველი სურათები-ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები; ვეფხისტყაოსნის გამოცემანი; ვეფხისტყაოსნის თარგმანები

1072. კ. კეკელიძე

რუსთველიანა

ჟურნ. მნათობი, 1927, № 2, გვ. 181—204.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას პ. ინგოროყვას ნაშრომზე „რუსთველიანა“ (1926) და შედგება შემდეგი თავებისაგან: „ვეფხისტყაოსნის თარიღი. მეორე პლასტი. პირველი პლასტი. პოემის დაწერის დრო. პოემის ავტორის ვინაობა. პოეტის რუსთველობა. პოეტის დაბადების წელი. პოეტის საქართველოდან გაქცევა. რამ. გამოიწვია პოეტის ვადღენა საქართველოდან. რით იყო სავალალო შოთას „ქებანი“. მანიქეიზმი ვეფხისტყაოსანში. პოეტი მანიქეელი და „კუპარი“. „რინდნი მანნი“ საქართველოში“.

(ავტორი კრიტიკულად იხილავს ნაშრომში წამოყენებულ დებულებას ვეფხისტყაოსნის ავტორის ბიოგრაფიის საკითხებზე, კერძოდ პრობლემას შოთა რუსთაველის მანიქეელობის შესახებ. ავტორი დოკუმენტალურად ასაბუთებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არავითარი კვალი მანიქეიზმისა არ მოიპოვება და პ. ინგოროყვას მთელი კონცეფცია საქართველოში მანიქეელობის შესახებ ეწყარება არასწორად წაკითხულ ისტორიულ ცნობებს (შოთას კუპარობა, რინდნი მანი) და რომ არავითარი მანის ორდენი საქართველოში არ ყოფილა. ავტორი ასაბუთებს, რომ პ. ინგოროყვასათვის დამახასიათებელია თავის მიერ წამოყენებულ ისტორიულ-ლიტერატურულ დებულებათა დამყარება. შეცდომით წაკითხულ და გაგებულ დოკუმენტებზე, ამასთან დაკავშირებით ავტორი დოკუმენტალურად ამტკიცებს, რომ ქართლის ცხოვრების

„რინდნი მან“ წარმოადგენს ჩვეულებრივ დამახინჯებას სიტყვისა „მუნ“, რაც საეხსებით მტკიცდება კონტექსტით (გვ. 203—204).)

ავტორის საერთო დასკვნით, პ. ინგოროყვას შრომაში წამოყენებული დებულებანი დამყარებულია ან შეცდომით წაითხულსა და გაგებულს დოკუმენტებზე, ანდა თავისუფალი ფანტაზიის აღმფრენაზე. ვეფხისტყაოსნის ტექსტისა და მისი ავტორის ვინაობის პრობლემა პ. ინგოროყვამ გაშუქების მაგიერ უფრო დააბნელა. შემდეგ მკვლევარს არამც თუ არ გაუადვილა მან გზა, პირიქით — გაუძნელა კიდევაც ამ გზაზედ მიმობნეული ქვითა და ეკალ-ნარით.

1073. პროფ. კორ. კიკელიძე

კლდე „ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო
ჟურნ. მნათობნი, 1927, № 5—6, გვ. 167—188.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ს. კაკაბაძის მიერ 1927 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე. ავტორი შენიშნავს, რომ მისი მიზანია აჩვენოს მკითხველს, თუ „როგორი მეთოდით, ლოლიკით და მასალებით უღებებიან „ობიექტური“ და „ექვიპოტანელი“ მკვლევარნი პირველხარისხოვანი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გადაწყვეტას“, და მიმოიხილავს სარგის კაკაბაძის შეხედულებათა ცვლილებას ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხების შესახებ მთავარ ნაშრომთა მიხედვით და არჩევს ნის თეორიას.

ავტორის დასკვნით, ს. კაკაბაძის შეხედულებანი დასაბუთები უნიადაგოა, მოგონილია და ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული პოემის ტექსტისა და პოეტის ბიოგრაფიის საკითხების გადაწყვეტაში. ავტორი ურჩევს ს. კაკაბაძეს თავი გაანებოს ლიტერატურულ პრობლემებს და დაუბრუნდეს სიგელ-გუჯრების გამოცემის საქმეს.

დასასრულს, ავტორი გაცერით ეყამთება პაულე ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის ტექსტის ზოგი ადგილის წაითხევაში, მის მიერ ჟურნ. „მნათობნი“ (1927, № 3) მოთავსებულ წერილან დაკავშირებით.

1074. არტურ ლეისტი

საქართველოს გული

წიგნი მეორე. სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი 1927, 157 გვ.

ავტორი ქართული ისტორიის, მწერლობის, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურული განვითარების საკითხებზე მსჯელობისას ახსენებს შოთა რუსთაველს და ჩერდება ვეფხისტყაოსანზე (გვ. 49, 53, 61, 63, 73, 74, 75, 82, 89, 93, 107, 113, 114, 115, 118).

ავტორი აღნიშნავს, რომ კახელი გლეხი ქალის ოთახში, სხვა ქართველ მწერალთა სურათებს შორის, უნახავს შოთა რუსთაველის სურათი (გვ. 49) და ქალი, როგონლსაც ზეპირად სცოდნია ვეფხისტყაოსანი (გვ. 53). იმერული გამოშვიდობების აღწერისას შენიშნავს, რომ „სამივენი სტიროდნენ და თითონეე ანუგეშებდნენ ერთმანეთს, როგორც „ვეფხის ტყაოსნის“ გმირები (გვ. 61), ან კიდეე „მწუხარე. და მძიმე იყო ეს განშორება, როგორც „ვეფხის ტყაოსანში“ (გვ. 63).

სპარსულ მტრულ გარემოცვაში ქართული ეროვნული შეგნებისა და კულტურის განძობაზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ ზნეობრივ და აზროვნულ საუნჯეთა უმთავრესი საფუძველი იყო რუსთაველის პოემა“ (გვ. 73). „იქ ვპოულობთ მსოფლმხედველობის იმ ზნეობრივ პრინციპებს

და შეხედულებას, რომლითაც საუკუნეთა განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ დედ-მამა თავიანთ შვილების აღზრდაში. ვერაინ ვერ უარყოფს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავისი სულით, მსოფლმხედველობით, ზნეობრივ პრინციპებით და შეხედულებით წმინდა ქართული შემოქმედება არის და, მამასადამე, გასაგებიც არის ის მნიშვნელობაც, რომელიც მან მოიპოვა ქართველთა ცხოვრებაში“ (იქვე).

კახას მიერ 1258 წლის ხოვლეს მამულის სყიდვის გუჯარზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს ქართველი მემამულის სათნო-კაცთმოყვარე ხასიათს, ლმობიერებას გლეხებისადმი და დასძენს, „მისი ზნეობრივი პრინციპები მოგვაგონებენ რუსთაველის შეხედულებას“ (გვ. 74) და რუსთაველის გმირებს (გვ. 118). ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წელს პირველად გამოცემული ვეფხისტყაოსნის გამო ავტორი შენიშნავს: „რა დიდი სიამოვნება უნდა განეცადათ სიტყვიერების და პოეზიის მოსიყვარულეთ, როცა მათ პირველად დაინახეს დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი““ (გვ. 75).

ავტორი აღნიშნავს, რომ ძველ საქართველოში ვეფხისტყაოსანს კითხულობდნენ უმთავრესად ქალები და სამღვდელთა (გვ. 82).

„სასრულების შემდეგ წინა ახის არც ერთი ხალხი არ აღინიშნება არც წარსულში და არც აწინდელ დროში ასეთი დიდი გემოვნებით, როგორც დღემდინ შესწევს ქართველ ერს თავის ზნევეულებაში, ზეიშში, ტანსაცმელში და ლიტერატურაში. რუსთაველის პოემა — ეს დიდებული ნაშთი შუასაუკუნეების ქართული კულტურისა, არის იმავე დროის ძვირფასი საბუთი კარგი გემოვნებისა“ (გვ. 89).

XVIII საუკუნეში ქართული კულტურის განვითარებაზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ, როგორც ამ საუკუნეში გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში გამოჩენილ სურათებიდან ჩანს, ნახატები არ იყვნენ მოკლებული ზოგიერთ მხატვრულ ღირსებას (გვ. 93).

ქართველი ერის კულტურული ცხოვრების დახასიათებისას ავტორი შენიშნავს:

ქალების „პატივისცემა წარმოადგენს რუსთაველის პოემის ერთ-ერთ ნათელ ხაზთაგანს, ქალისადმი რაინდული მოყვრება არა ნაკლებ პროვინსალურ ტრუბადურებისა წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის გმირთა მთავრობას. დასაუღეთ ვეროპის რაინდთა მსგავსად რუსთაველის რაინდებიც იბრძვიან გულის სატრფოოსათვის“ (გვ. 113).

„პოემა „ვეფხისტყაოსან“-საც დიდის მოწიწებით ეკუთვნიან განსაკუთრებით ქალნი, და ზნე-ჩვეულებისა და ზრდილობის კანონთა კრებულადა სთვლიდნენ. ამ წიგნის გაკვლევა გრძელდება 19 საუკუნის ნახევრამდე. ის ხელს უწყობდა ქართველ ქალთა შორის კარგ ზნეთა დაცვას; მაგრამ ახლა ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ის, თუ რა როლს თამაშობდა ეს წიგნი ძველ ქართულ ცხოვრების განვითარებაში და მის ნიადაგზე რამდენ ქართველ ქალს პიროვნება აღზრდილა. ეს პიროვნებანი მორჩანან ისტორიის ვრცელ სვლაში, თუმცა ისტორია ცალკე მოვლითობრებს მათ შესახებ.“

არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ წარსულ საუკუნეთა ქართველ ქალებს რუსთაველის პოემის სახეები თავიანთ ზნისა და ჩვეულების მიხედვით არ შეეფასებინათ, რადგან მათი თვისებანი მათლად იყვნენ გამოკვეთილნი. თინათინი იყო განსახიერება ერთგულებისა, ქალურ ღირსებისა და ზრდილობისა. ასმათიც სამაგალითო ქალი იყო და პატივისცემის ღირსია. მოკლედ, ეს ნაწარმოები შეიცავს მთელ რიგს პიროვნებათა, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თამარ მეფის ხანაში, როცა ქართველთა საშუალ საუკუნოების კულტურამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მსგავსი პიროვნებანი არც თუ მსუბუქი იშვიათნი იყვნენ, და შემდგომ, როცა უკვე დაცემის ხანა დაიწყო, იგინი კვლავ და კვლავ ჩნდებოდნენ და ხელს უწყობდნენ ქართული კულტურის შენარჩუნებას“ (გვ. 114—115).

„რუსთაველის მოვლინება ძველ ქართულ ცხოვრებაში უმაღლეს კულტურის უმწვერვალეს წერტილად მოსჩანს. ეს ფილოსოფოსი, მორალისტი და გნაწყლიანი ბეოსანი განსახიერებს ქართველ ერის კეთილ-სულს. იგი უნდა იყოს მისი აღზრდელი და მასწავლებელი და არის კიდევ ახალ ხანამდე. სედა და სიხარული ცხოვრებისა, ბედის უკუღმართობა და ბრძოლა

კთილისა ბორბოტან, გენიალურ სიძლიერით ამახტა რუსთაველმა. მისი შემოქმედება იყო და არის მდიდარი საუნჯე სულისა და გულისათვის, მაგრამ უპირველეს ყოვლისა იმათთვის, რომელთაც ძალუთ მისი წაკითხვა და გავება. მისი პირადი ცხოვრება ჩვენთვის თითქმის საკვებით უცხოა, მაგრამ მისი დიდი პიროვნება სიცოცხლის მის შემოქმედებაში“ (გვ. 115).

1076. აკად. ნ. მარო

ჩემი ავტობიოგრაფია

ჟურნ. ქართული მწერლობა, 1927, ივნისი-ივლისი, № 6-7, გვ. 208-221.

ავტორი გაკვირით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე იმ უკმაყოფილებასთან დაკავშირებით, რომელიც მისივე აღნიშვნით ქართველებში იზრდებოდა იმის გამო, რომ იგი ამტკიცებდა ქართული მწერლობის კავშირს სპარსულ მწერლობასთან და ვეფხისტყაოსნის ფაბულის წარმოშობას სპარსულიდან (გვ. 216).

1076. Н. Я. Марр

K Rusthaveliana

Известия Академии Наук, 1927, гв. 361-369.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას პაულ ინგოროყვას მონოგრაფიულ ნაშრომზე „რუსთველიანა“ (1926 წ.). ავტორი ზოგადად ჩერდება რუსთველოლოგიის საერთო მდგომარეობაზე და აღნიშნავს „რუსთველიანას“ მნიშვნელობას რუსთველოლოგიური საკითხების კვლევა-ძიებისათვის. ავტორი არ იზიარებს პ. ინგოროყვას მიერ რუსთაველის პერეთელად მიჩნევის დებულებას და ვეფხისტყაოსნის ზოგი სტროფის ინგოროყვასეულ წაკითხვას.

პ. ინგოროყვას ნაშრომის რეცენზირების გარდა, წერილი შეიცავს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სადაო ტაეპის ინტერპრეტაციას.

1077. ს. ნ.

ხელოვნება—ვეფხისტყაოსნის გარშემო“

გაზ. კომუნისტის, 1927, 4 თებერვალი, № 27, გვ. 4.

იმასთან დაკავშირებით, რომ 5 თებერვალს პოეტი კ. ქიქინაძე ვეფხისტყაოსნის შესახებ მოხსენებას კითხულობს, ავტორი მოკლედ აღნიშნავს ამ მიმართულებით უკანასკნელ ხანს გაცხოველებულ მუშაობას. ავტორი შენიშნავს, რომ ტექსტის შესახებ ყველა იმ აზრის არის, რომ მასში მრავალადა ყალბი ადგილები, ჩამატებული შემდეგი დროის გადამწერლებისა და მელექსეთა მიერ. კ. ქიქინაძე კი რუსთაველის სტილის გარკვევის გზით იმ დასკვნამდე მიდის, რომ პოემის ტექსტში ყალბი ადგილები არ არის.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს კ. ქიქინაძის მთავარ დებულებებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედგენილობის შესახებ.

1078. ქრისტეფორე რაჭველიშვილი-

შესხეთ-ჯავახეთში—ვარძია, ახალციხე, მჭკვრის სეობა

ასპინძა, სეროფისი, თმოგვი.

ჟურნ. ქართული მწერლობა, 1927, № 11-12, გვ. 210-231.

ავტორი სოფელ რუსთავის აღწერისას აღნიშნავს:

„პ. ინგოროყვამ თავისი გამოკვლევით ამ სოფელს ძველი შარავანდელი მოხსნა, როგორც შოთას ვითომდა სამშობლოს. მაგრამ რაოდენი ხნის განმელობაში სთელიდნენ მას რუსთველის სოფლად, რაოდენი ლეგენდა არის მასთან დაკავშირებული! ამიტომ სიამოვნებით ვრჩებით აქ... უგემური წყარო რუსთაველიდან მოდის. ამიტომ პატივისცემით ვეპყრობით და ბევრსაც ვსვამთ. თვით სოფელი ქურთებით ყოფილა დასახლებული და მათ, რასაკვირველია, არცროდეს გაუგონიათ ჩენი დიდი მგონის სახელი“ (გვ. 215).

ვეფხისტყაოსანი

წიგნი: ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის ანთოლოგია
ტომი I. (V—XII საუკ.) რედაქტორი ია ვალოძე
ტფილისი—ქუთაისი, 1927, გვ. 115—186.

ტექსტი დაბეჭდილია ნუმერაციის გარეშე, შეიცავს 24 თავს ექვსასამდე სტროფით. ტექსტში აფორიზმები და საყურადღებო თქმები გამოყოფილია. დამარცვლით. თავები შერჩეულია და ზოგი მათგანი მონტაჟირებული. ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებში წიგნის ბოლოს მოიპოვება მცირე შენიშვნა „შოთა რუსთაველი“.

1080. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი

სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გამოყვლევა, ტექსტი, ლექსიკონი,
ტფილისი, 1927, CXLVI+216 გვ.

ტექსტს წინ უძღვის უსათაურო წინასიტყვა (გვ. III); წინამდებარე გამოცემისათვის (გვ. V — XXVIII); ვეფხისტყაოსანი და შოთა რუსთაველი (გვ. XXVIII—CVI); ვეფხისტყაოსანი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით (გვ. CVII—CXXXII); *Varia* (გვ. CXXXIII—CXLVI).

ტექსტი შეიცავს 1553 სტროფს. ბოლოში ერთვის: დასაწყისი ვეფხისტყაოსნის გაგრძელებისა (გვ. 185 — 190). ლექსიკონი (გვ. 191 — 208). ვეფხისტყაოსანის ტექსტის მაჩვენებელი (გვ. 209—213). დამატებანი და შესწორებანი (გვ. 214). ვეფხისტყაოსნის ტექსტი შემდეგი თავებითაა წარმოდგენილი:

დასაწყისი

სწავლისათვის მოზიერთასა

ამბავი მიჯნურობისა

ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა;

ნახვა არაბთა მეფისაგან ყმისა მის ვეფხის ტყაოსნისა

აქა წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა

ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასვლა

არაჲი ავთანდილისა ასმათს თანა

ტარიელისაგან თავის ამბის მბობა ავთანდილთანა

აქა ამბავი პირველი ტარიელის გამიჯნურებისა

წიგნი ნესტან დარეჯანისა საყუარელსა თანა

აქა წიგნი ტარიელისა საყუარელთანა

აქა წიგნი ტარიელისა ხატაულთა თანა

წიგნი ხატაულთა მეფისა ტარიელის წინაშე

აქა წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე ოდეს გაიმარჯვა

აქა ასმათისაგან მორთმევა სამჯრისა

წიგნი ნესტან დარეჯანისა საყუარელსა თანა

წიგნი ტარიელისა საყუარელსა თანა

ამბვის ცნობა ტარიელისაგან ნესტან დარეჯანის დაქარგვისა

ამბავი ნურადინ ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შეეყარა

შველა ტარიელისაგან ფრიდონისა

ფრიდონისაგან ნესტან დარეჯანის ამბვის მბობა

ამბავი ავთანდილისა არაბეთს შექცევისა

დათხოვნა ავთანდილისაგან როსტევან მეფისა და ვაზირის საუბარი

ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი ოდეს გაიპარა

ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე

ლოცვა ავთანდილისაგან მიზგიეთს და გაპარვა

ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა

წასვლა ავთანდილისაგან, ტარიელის შვირა
 პოენა ავთანდილისაგან ტარიელისა
 მბობა ტარიელისაგან ლომ ვეფხთ დაჯოცისა
 წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისას
 ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლა
 წასვლა ავთანდილისაგან ნესტან დარეჯანის საჭებრად
 ამბავი ავთანდილისაგან გულანშაროს მისვლისა
 ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება
 წიგნი ფატმანისა ავთანდილთანა
 წიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მიწერილი
 ფატმანისაგან ნესტან დარეჯანის ამბვის მბობა ავთანდილთანა
 უსენისაგან გამყლავება ნესტან დარეჯანისა მეფის წინაშე
 ამბავი ნესტან დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა
 წიგნი ფატმანისა ნესტან დარეჯანთანა
 წიგნი ნესტან დარეჯანისა ფატმანთანა
 წიგნი ნესტან დარეჯანისა საყუარელსა თანა
 წიგნი ავთანდილისა ფრიდონის თანა
 ავთანდილისაგან გულანშაროთ წასვლა და ტარიელის შვირა
 ტარიელისა და ავთანდილისაგან წასვლა ფრიდონისას
 თათბირი ნურადინ ფრიდონისა
 თათბირი ავთანდილისა
 თათბირი ტარიელისა
 ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისვლა
 ტარიელისაგან ფრიდონისას მისვლა
 ქორწილი ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ფრიდონისაგან
 ტარიელისაგან ქუაბსავე მისვლა.

დასაწყისი ვეფხის-ტყაოსნის გაგრძელებისა, რომელიც ეკუთვნის ვინმე მესხ პოეტს.

ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა
 ვინმე მესხის მელექეს მიერ დაწერილ გაგრძელების ნაწყვეტები
 ვინმე მესხის მიერ დაწერილ გაგრძელების დასასრული.

1081. შოთა რუსთაველი

ვეფხის ცყაოსანი

გამომცემლობა „ზრომა“ [ტფილისი], 1927, 479 გვ.

გამოცემა ჯიბის ფორმატისაა. ტექსტში სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. გადმობეჭდილია ს. კაკაბაძის 1927 წლის გამოცემიდან და შეიცავს 1553 სტროფს.

რუსთაველის სტროფი დაბეჭდილია ცეზურაზე გაყოფით 8 სტრიქონად. წიგნს ბოლოში დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 433 — 477) შენიშვნით: „ამოღებულია სარგის კაკაბაძის რედაქციით გამოსულ ვეფხისტყაოსნიდან“.

1082. შოთა რუსთაველი

Барсова кожа

В переводе С. Я. Шати, Тифлис, 1927, 66 гв.

შინაარსი: Предисловие. От переводчика. Шота Руставели (биографический очерк). Пролог. Сказ о Ростыване, царе Аравийском. Сказ о том, как царь Аравийский видел витязя, одетого в барсову кожу. Грамота Атавандила. Ода к Руставели. Примечания к поэме „Барсова Кожа“.

თარგმანს წინ უძღვის „Проф. Абуладзе“-ს ხელმოწერით მცირე წინასიტყვაობა (გვ. 3), რომელშიაც ავტორი აღნიშნავს თარგმანის სიახლოვეს ორიგინალთან და მის სიზუსტეს.

მე-5—7 გვერდზე მოიპოვება „С. Я. Шартн“-ს ხელმოწერით წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის საკითხებს.

მე-9 გვერდზე მოიპოვება მცირე ბიოგრაფიული ცნობები შოთა რუსთაველზე, რომელშიაც ავტორი იმეორებს ტრადიციულ ცნობებს პოეტის შესახებ. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის სიღიადეს და მის სურვილს — მსოფლიო პოეზიის შედგერი გააცნოს საზოგადოებას.

ავტორი აღნიშნავს, რომ შეუძლებელია რუსთაველის პოემა ითარგმნოს ორიგინალის დეტალების შენარჩუნებით და რომ მან შაირის ოთხი სტრიქონი შეცვალა ექვსი სტრიქონით.

65-ე გვ. მოთავსებულია მცირე შენიშვნები თარგმანში ზოგი ქართული სიტყვის შესახებ. ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ტექსტი მოთავსებულია 13—63 გვერდზე. სტროფებს ნომერაცია არა აქვს. რუსთაველის თითოეული შაირის სტროფი თარგმნილია 6 სტრიქონად. მაგ., პირველი სტროფი:

«Кто мощною силой таинственный мир сотворил,
Покрыв небеса мирриадами ярких светил,
Кто ангелам всем даровал, неземным существам,
Духовную пищу святым вдохновением, а нам...
А нам людям землю — со всеми дарами на ней,
Тому каждый смертный обязан я сам царь царей!».

1083. ილია ჭავჭავაძე

აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი

წიგნში: ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, ტომი IV, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, ტფილისი, 1927, გვ. 183 — 198.

პირველად დაბეჭდა ვაზ. „ივერიაში“ 1887 წლის 18, 19, 21 აპრილს 75, 76, 77 ნომრებში. იხ. ანოტაცია № 313.

1084. ხილოვან ხუნდაძე

ქართული მაროლწერისა და სწორების ძირითადი საფუძვლები
გამოცემა გრ. შანიძისა, ქუთაისი, 1927, 152 გვ.

ავტორი ქართული ლიტერატურული ენის ნორმებისა და ქართული გრამატიკის, — მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხების გარჩევისას საილუსტრაციო მასალად იყენებს ვეფხისტყაოსნის ლექსიკას, თქმებს, ზოგჯერ ტაქებსა და მთლიან სტროფებს. ნაშრომისთვის წამძვლვარებულ შესავალ წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ:

„დიდთა შემტოარი არიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ახლანდელი სამწერლო ენის ფორმები ძველებურ წიგნებში უნდა ვეძებოთო, თუგინდ ის წიგნი „ვეფხისტყაოსანი“-ც იყოს. ძველ სახელოვან მწერალთა ენით, რასაკვირველია, უნდა ვიხელმძღვანელოთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ენის განვითარებას; მის პროგრესიულ წინსვლას არ ეწინააღმდეგებიან“ (გვ. 3).

საილუსტრაციო მაგალითები:

„ქ ვ რ ა ვ ე ნ , თ უ ქ ე რ ვ ე ნ ?... „ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ მეორე ფორმაა ნახმარი, — მაგალითად „ვისრამიანში“: გა ს წ ი რ ვ ე ნ , ჰ ქ ე რ ვ ე ნ , უ ხ რ ა ხ ვ ე ნ , ნ ა ხ ვ ე ნ და სხვ. „ვეფხისტყაოსანში“: ბ ა ძ ვ ე ნ , მ ო ჰ კ ე ლ ე ნ . და სხვ.“ (გვ. 16).

„მ თ ვ ი დ ე ნ , და ა რ ა მ თ ვ ი დ ე ნ ე ნ “... შოთა რუსთაველიც დ ნ ე ნ , ნ ე ნ და დ ე ნ -ის ალაგას უშეტესათ დაბოლოებას. დ ე ს -ს ხ მ ა რ ო ბ ს (მოვიდეს, იდგეს, მივიდეს, დასხდეს, მიეწივნეს, იყვნეს და სხ.), მაგრამ ძალიან ხშირათ. დაბოლოებას დ ე ნ -ს აც ხ მ ა რ ო ბ ს: შ ე ს ხ დ ე ნ , გ მ ო რ ჩ ი ლ ო ბ დ ე ნ , მ ო ლ ო რ დ ე ნ , მ ო შ ო რ დ ე ნ , გ ა გ ე ი ს წ ო რ დ ე ნ , გ ა ჰ ო რ დ ე ნ , მ ი რ ი დ ე ნ , გ ა რ დ ა ხ დ ე ნ , მ ი ა რ თ მ ე ვ დ ე ნ და სხ. დაბოლოებას დ ნ ე ნ -ს რუსულელი სრულიადაც არ ხმარობს, მხოლოდ ორ-სამ ალაგას შეხედებით დაბოლოებას ნ ე ნ -ს: შე ბ ნ ე ნ , შე ო ყ ა რ ე ნ , გ ა ე მ ა რ თ ე ნ “ (გვ. 18).

1085. **Андрей Белый***Ветер с Кавказа. Впечатления*

Издательство „Федерация“, Артель писателей „Круг“, Москва, 1928, 292 გვ.

ავტორი გაკრით ჩერდება ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველზე, აღნიშნავს, რომ ქართული უნივერსიტეტის მუზეუმის სიძველეთა დათვალიერებისას ნახა ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერი (გვ. 172). ქართველ ინტელიგენციასთან შეხვედრის შესახებ აღნიშნავს:

«Да, Грузия переполнилась культурой... они старше; нам — надо учиться во многом у них; и учили: в застольных речах, поминая шибзные символы: Лермонтов, Пушкин; а я? Могу ли я в переводе Бальмонта прочтя Руставелия, отвстить им той же монетой? Нет» (გვ. 191).

1086. **ხ. კაკაბაძე**

კონსტ. ჭიჭინაძე, ვეფხისტყაოსნის ვანკანგისეული რედაქცია, *არქივი*,
კრებული I, ტფ. (1928 წ.), გვ. 255—292.

ფურც. საისტორიო კრებულის, 1928, III, გვ. 126—127.

ავტორი მოკლე სარეცენზიო წერილში აღნიშნავს, რომ კ. ჭიჭინაძე არ იცნობს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს, რისთვისაც მისი დაკვირვებანი ტექსტზე შეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია. მისი აზრით, მართალია ვეფხისტყაოსნის ვახტანგის რედაქცია შემოკლებული ტექსტია, მაგრამ ეს შემოკლება ვახტანგმა კი არ განახორციელა, არამედ მასზე ადრე იყო შემოკლებული. წერილის ბოლოს ავტორი ურთავს სქოლიოს, რომელშიაც სხვათა შორის პაულე ინგოროყვას უსაყვედურებს „რუსთველიანაში“ მის მიმართ „ერთს არსებით გადამახინჯებას“ ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფის რუსთაველისათვის კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით.

1087. **С. Н. Накабадзе***Поэма «Витязь в барсовой шкуре» и вопрос Руставели*

Бюллетень кавказского историко-археологического института в Тифлисе,
Академия Наук СССР, Тифлис, 1928, № 1—3, гв. 3—5.

ტექსტი წარმოადგენს ს. კაკაბაძის მიერ 1926 წლის 20 დეკემბერს წაკითხული მოხსენების მოკლე ანგარიშს, რომელიც მოქცეულია საერთო საათურში: „Резюме или тезисы докладов и сообщений, читанных на научных заседаниях собрания ученых членов КИАИ“.

ავტორს გაუკეთებია ინფორმაცია მის მიერ დასაბუქლად გამზადებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის რედაქციის შესახებ და მასთან დაკავშირებით ახლებურად გაუშუქებია რუსთველოლოგიის ზოგი საკითხი. ავტორს აღუნიშნავს ნ. მარის დამსახურება რუსთაველის შესწავლაში და უარუყვია საკუთარი შეხედულებები, რომლებიც მას 1917 და 1924 წლებში გამოუთქვამს რუსთველოლოგიის სხვადასხვა საკითხზე.

ავტორის მოსაზრებით, დაკარგული დილარგეთის ავტორი სარგის თმოგველი არის აგრეთვე ავტორი ვეფხისტყაოსნის პროზაული რედაქციისა და პოემა თამარის შეფობაშია დაწერილი. რუსთაველი ჩახრუხადის ძმაა. ვეფხისტყაოსანი ორიგინალური თხულებდა და რუსთაველის განცხადება „ესე ამბავი სპარსული“ პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, ეს პოემის ამბის გადმოცემა-თარგმნას არ ნიშნავს.

იქვე, გვ. 5: „По поводу книги П. Ингорокка „Русская литература“. 1927 წლის 7 თებერვალს ს. კაკაბაძეს გაუუკეთებია მოხსენება 1926 წელს გამოცემულ პ. ინგოროკას წიგნზე „რუსთველიანა“.

ავტორი უთითებს მეთოდოლოგიურ შეცდომებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცალკეული ადგილების წაკითხვაში. მისი აზრით, შემცდარია პ. ინგოროკას მთავარი თეზა იმის შესახებ, რომ რუსთაველი ჰერეთის ერისთავის შოთა კუპრის იდენტური იყოს. ასევე მცდარია, მისი შენიშვნით, რუსთაველის მანიქველობის დებულება.

1088. კონსტანტინე კაპანელი

შოთა რუსთველი

წიგნი: ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი, თბილისი, 1928 166 გვ. მეორე გამოცემა მკირე ცელილებით, თბილისი, 1932, გვ. 26—62.

თავის სათაურია: „ფეოდალური კულტურის სისავეც და კაპიტალიზმის ჩასახვა“ (გვ. 39—85).

შინაარსი: სოციალური არე. ვერაა მეთორმეტე საუკუნეში. ვეფხისტყაოსნის აკადემიური წყობა. ვეფხისტყაოსნის არქიტექტონიკა. რუსთველის პოეტიკა. სიყვარული რუსთველის გაგებით. ვეფხისტყაოსნის ფაბულა. კლასები და სოციალური კულტურა ვეფხისტყაოსანში. რუსთველის იდეოლოგია. რუსთველი როგორც ბრძენი და ფსიქოლოგი. რუსთველის მეტყველება. ფეოდალიზმის დეკადანსი და დემოკრატია.

ავტორი ვეფხისტყაოსანს სწავლობს სტილის, კომპოზიციის, ესთეტიკური არქიტექტონიკისა და იდეოლოგიის ფორმების მიხედვით, მის წარმომშობ „სოციალ-კულტურულ და ისტორიულ-ორგანიზაციულ მოვლენებთან“ დაკავშირებით. ავტორი შენიშნავს, რომ ის „სოციალოგიური მეთოდის მიხედვით“ ანგარიშს უწევს და იყენებს „ეველა ბიოგრაფიულ-ისტორიულ ცნობას“ და „ეველა დღემდე გამოთქმულ აზრს ვეფხისტყაოსნის შესახებ“. ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსანში გამოსახულია მაშინდელ მსოფლიოში მოარული იდეები და პრინციპები“. „ვეფხისტყაოსანში ჩვენ ვხედავთ არა მარტო მანის მოძღვრებას, არამედ შიტრას, დიონისოს და აპოლოს კულტებს, ალექსანდრიის დიდი იდეოლოგიის გავლენას, აღმოსავლეთის კოსმოლოგიურსა და ასტრონომიულ იდეებს, არაბეთის ზნეობრივ ფილოსოფიას და ქართული ფეოდალური არისტოკრატის ესთეტიურ-ფილოსოფიურ სოფლშეგრძნობას“. პოემის იდეა „ძლიერი ფეოდალური კულტურისა და საეპრო კაპიტალის ურთიერთობაა“. რუსთაველი ფეოდალური კულტურის ძლიერებას უმღერის და ახალ აღმავალ კლასს—ვაკრებს დიდ როლს აკუთვნებს. ის ცხოვრებასა და არსებობაზე ამაოების ცრემლებსა ღვრის. „რუსთაველი შექსპირთან ერთად უარყოფს ცხოვრების ღირებულებას“. „რუსთაველი წუთისოფელს უყურებს როგორც სიმწარისა და ტანჯვის არენას“.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით ეხება ძველი ქართული და უცხოური მხატვრული ლიტერატურის ძეგლებს და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი „ირანის სოციალური ეპოსის იდეოლოგიური გამონაკადაა“, ის „გამოსახავს ირანის სოციალური ეპოსის ფსიქოლოგიას“. „ვეფხისტყაოსნის ფაბულა ბარამიანისა და ამირანდარეჯანიანის ფაბულაა“, „არც ფაბულა ვეფხისტყაოსნის, არც მისი იდეოლოგია ქართული არ არის“ მიუხედავად ამისა, „რუსთაველის შემოქმედება სრულებით არ ატარებს მიბაძვისა და კომპილიაციის ხასიათს“.

La langue géorgienne par N. Marr
 Extrait de la Revue de L'Orient chrétien, 3-e Série, t. VI(XXVI),
 Paris, 1928, № 1—2, გვ. 3—21.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა, რომ ეს ტექსტი წარმოადგენს შესავალ ლექციას ქართული ენის იმ კურსისას, რომელიც 1927—1928 წლებში იკითხებოდა ნ. მარის მიერ პარიზის ცოცხალი აღმოსავლური ენების ნაციონალურ სკოლაში.

ავტორი ქართული ენის ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას ეხება რუსთაველის მეტყველების მნიშვნელობას ლიტერატურული ქართულის განვითარებაში. ქართულ ენაში ნასესხობის თეორიის უარყოფასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანს, რომელიც „ღღემღე ინარჩუნებს ქართული პოეზიის ზენიტში მიწვედომეღ ადგილს და თუმცა მისი სიუჟეტი სპარსული ზღაპარია და მისი გმირები მუსულმანები არიან, მაინც ყოველგვარი ცდა ამ პოემის მთლიანად უცხო წყაროთი ახსნისა უსაფუძვლოა“. შოთა რუსთაველის ენა შეუდარებელი ქართული ენაა, რომელიც შეიცავს ღრმად ხალხურ თავისებურებებს. ამ ენის ავტორი რაინდთა კლასს ეკუთვნის, რომლის ენაც დაბუთავებული იყო წარმართული ხანის მომღერლების და თვით პოეტის მიერ. შოთა თავისუფალი იყო რელიგიური და ნაციონალური შეზღუდულობისაგან და თავის პოემას აშენებს ქართულ, ხალხურ საფუძველზე—ისტორიამდელ ძმადნაფიცობის ჩეულებზე. რუსთაველის შემოქმედება ხალხთა ძმობის ქება-დიდებას წარმოადგენს. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ახსნას უცხო გავლენებით საფუძველი არა აქვს. მისი ნამდვილი წყარო უფრო ძველი საერო, წარმართულია, ვიდრე მის მიერვე წინათ წამოყენებული ნეოპლატონიზმი, თუ სხვა რაიმე უცხო გავლენა.

ამ ლექციის რუსული თარგმანი დაიბეჭდა კრებულში: „Язык и история“, 1936, Ленинград, I, გვ. 28—40.

1090. კონსტანტინე ჭიჭინაძე

რუსთაველის გარეშე

თბილისი, 1928, 158 გვ.

შინაარსი: ავტორისაგან. შესავალი. 1. ანალოგიები. 2. ვეფხისტყაოსანის ათეიზატორთა ზოგადი საფუძვლები. 3. ვეფხისტყაოსანის მე-26 გამოცემა ი. აბულაძის რედაქტორობით. 4. ვეფხისტყაოსანი ს. კაკაბაძის მეორე გამოცემით. 5. პაულ ინგოროყვას „რუსთაველიანა“. 6. ვეფხისტყაოსანის ვახტანგისეული რედაქცია. 7. ვეფხისტყაოსანის ვარიანტები. რუსთაველის ვინაობა.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსანის შედგენილობას მთავარ გამოცემათა კრიტიკული შესწავლის საფუძველზე (ი. აბულაძისა და ს. კაკაბაძის სარედაქციო მუშაობა ვეფხისტყაოსანის ტექსტის დადგენაზე, პაულ ინგოროყვას მონოგრაფია „რუსთაველიანა“, პროფ. კ. კეკელიძის წერილები რუსთაველოლოგიის საკითხებზე). მოჰყავს ჰომეროსისა და ნიბელუნგების ანალოგიები ვეფხისტყაოსანთან შედგენილობის გარკვევის თვალსაზრისით. განიხილავს რუსთაველოლოგიურ ლიტერატურას ვეფხისტყაოსანში ყალბი სტროფებისა და ჩამატება-გავრცელებათა არსებობის შესახებ და აყენებს დებულებას, რომ ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანის ტექსტი, გამოცემული 1712 წელს, წარმოადგენს შემოკლებულ რედაქციას და რომ საჭიროა მისი შევსება შეცდომით ყალბად მიჩნეული ტაეპებით. რუსთაველის შემოქმედებითი მუშაობის ჰიპო-

თეტური გათვალისწინებით, რომელიც მხოლოდ საეგებო ვარაუდს ეყრდნობა, ავტორი ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია რამდენიმე ვარიანტით თვით რუსთაველის მიერ, რამაც დაბადა შეხედულება ჩამატებათა და გაგრძელებათა არსებობის შესახებ, რადგან, პოემის უდავო ტექსტთან შედარებით, რუსთაველს პოემის სხვა ვარიანტები თანდათან მუშაობისა და გადაკეთების პროცესში შედარებით სუსტად დაუწერია. ამდენად, გაგრძელება, რომელიც ყალბად მიაჩნიათ ნამდვილად თვით რუსთაველს ეკუთვნის.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსნის „ვახტანგისეულ რედაქციას აკლია ნამდვილად რუსთაველის მიერ დაწერილი ცალკე ტაეპებს სხვადასხვა ადგილას და მთელი თავები ბოლოში“.

ავტორის დასკვნით: I. ვახტანგისეული რედაქცია არის ვეფხისტყაოსნის ტექსტის კრიტიკული გამოცემა, წინააღმდეგ პ. ინგოროყვას და ი. აბულაძის შეხედულებისა. II. ვახტანგისეულ რედაქციაში მოცემულია თავდაპირველი ტექსტი შემოკლებით და არა გაგრძელებით, როგორც ეს ს. კაკაბაძეს და პროფ. კ. ქველიძეს წარმოუდგენიათ.

ამ ნაშრომიდან ცალკე სტატიის სახით გამოქვეყნებული იყო ერთი თავი: „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, კრებ. „არიფონი“, ტფილისი, 1928, I, გვ. 255—292.

1929

1091. მის. აბრამიშვილი

კონსტანტინე ქიქინაძე „რუსთაველის გარეშე“ 1928

ფრნ. ქართული მწერლობა, 1929, იანვარი-თებერვალი, № 1—2, გვ. 175—176.

მოკლე რეცენზიაში მოყვანილია წიგნის შინაარსი და აღნიშნულია მისი მთავარი დებულებები იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციაში ყალბი სტროფები არ არის. პირიქით მას აკლია არა მხოლოდ ცალკეული სტროფები, არამედ მთელი თავები, როგორც მაგ., „ინდოხატულთა ამბავი“.

ავტორი წიგნის თვითეული თავის მიხედვით სქემატურად აღნიშნავს წამოკრილ საკითხებს. მისი დასკვნით, კ. ქიქინაძის „მეთოდოლოგიური საფუძვლები ემყარება თანამედროვე ევროპულ ლიტერატურულ მეცნიერებას, რომელიც სრულიად ახალია არა მარტო ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით, არამედ საერთოდ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში“.

1092. აღ. ბარამიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პლასტების დათარიღებისათვის

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე, 1929, ტ. IX, გვ. 121—131.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მეორე „პლასტის“ ე. წ. „ხვარაზმელთა ამბავის“ საკითხს და მიმოიხილავს სპეციალურ ლიტერატურას. მისი დასკვნით, ხვარაზმელთა ამბავი უნდა გალექსილიყო აღორძინების პერიოდში, შაჰნამეს ვერსიების ქართულად ჩამოყალიბების შემდეგ, რადგან ის აშკარად ატარებს სწორედ ქართული თარგმანის კვალს შაჰ-ნამეს გმირების ხსენების თუ ცალკეული ფრაზების პირდაპირი განმეორების სახით, რითაც მეცნიერული წინადაგი ეტლება პ. ინგოროყვას პლასტების თეორიას და მისგან გამომდინარე დასკვნებს. /

1093. ს. კაკაბაძე

აღ. ზარაშკიძე — ვეფხისტყაოსნის „პლასტების“ დათარიღებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის შოაშუ, 1928, IX, გვ. 121—131.

კრებ.: საისტორიო კრებულები, ტფილისი, 1929, წიგნი IV, გვ. 120—121.

ავტორი სარეცენზიო წერილში რამდენიმე შენიშვნას უკუთმებს აღ. ზარაშკიძის ნაშრომში წამოყენებულ იმ მოსაზრებებს, რომ ვეფხისტყაოსნის გაგრძელება ცნობილი ხეარაზმა ამბის სახელით გალექსილია მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის შუა წლებში შანანეს ვერსიები ქართულად ჩამოყალიბდა.

1094. Professor N. Marr, Leningrad

Die georgische Sprache

ტრნ. Das Neue Russland, Zeitschrift für Kultur, Wirtschaft, Literatur, Georgien, sozialistische Republik, der Sowjet-Union, 1929, Heft 5—6, გვ. 35—54.

ავტორი ქართული მწერლობის ზოგად მიმოხილვაში გაკვრით ეხება ვეფხისტყაოსანს და ახასიათებს როგორც XII საუკუნის თხზულებას.

1095. პეტრე შირიანაშვილი

ვეფხისტყაოსანი

წიგნში: სიტყვიერების განარკვე დასაწყისიდან ჩვენს დრომდე შედგენილი და გამოცემული პეტრე შირიანაშვილის მიერ.

ტფილისი, 1929, გვ. 31—51.

ავტორი ამირანდარეჯანიანის, თამარიანისა და აბდულმესიას განხილვისას 31—35-ე გვერდზე ჩერდება ვეფხისტყაოსანზედაც და აღნიშნავს მათ შორის ზოგ პარალელს. 35-ე გვერდიდან სპეციალურად იხილავს ვეფხისტყაოსანს, რომელიც ქართული სახობტო პოეზიის ლოგიკურ გაგრძელებად მიაჩნია. ზოგადად განიხილავს რუსთაველის თეორიას მიჯნურობასა და პოეზიაზე, ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხს.

ავტორი ცალკე ეხება ვეფხისტყაოსნის კომპოზიციას და განიხილავს პოემის მთავარ გმირებს, მოტივებსა და იდეალებს. მისი შენიშვნით, „ვეფხისტყაოსნის ხალხის სარწმუნოება ისლამია“ (გვ. 44). ეხება რუსთაველის ლექსის აგებულებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში შეტანილია ქართული ზღაპრის ელემენტები მღვდებისა და ქაჯების სახით (გვ. 47). აღარებს ამირანისა და ვეფხისტყაოსნის გმირთა ზოგიერთ კილოს და აღნიშნავს პარალელს. საერო პოეზიასთან მას საერთო აქვს ასტრალური შედარებანი, ვეფხისტყაოსანში გამოკრთის ქართული საისტორიო ამბები და მოყვანილია ზოგი საანალოგიო ფაქტი პოემასა და ქართულ ისტორიულ ცხოვრებას შორის. ვეფხისტყაოსანი გვიხატავს XII—XIII საუკუნის რაინდ-ფეოდალთა ცხოვრებას.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს პოემაში გამოხატულ ჰუმანიურ იდეალებს და მის პროგრესულ მნიშვნელობას.

1096. H.

Конт. Чичинадзе «Вопросы вопроса о Руставели»

(На 1929. г.), Тифлис, 1928 1., 158 стр.

გზ. Заря Востока, 1929, 9-го февраля, № 32, გვ. 5.

ავტორი აღნიშნავს ინტერესის გაღვივებას რუსთაველისადმი და მოკლედ ჩამოთვლის უკანასკნელ ხანებში გამოცემულ შრომებს. ავტორი შენიშნავს, რომ კ. კვიციანიძე, თუმცა სპეციალისტი ფილოლოგი არ არის, მაგრამ

ვეფხისტყაოსანს იკვლევს პოეტიკის თვალსაზრისით და კარგ შედეგებს აღწევს, რასაც რუსთაველის შესწავლაში პოეტიკის შედარებითი მეთოდის გამოყენებით ახორციელებს. ამასთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ ეხება წიგნის შედგენილობას.

1097. დეშნა შენგულაია

კონსტანტინე ჭიჭინაძე — რუსთაველის გარეშე, 1928, 160 გვ.
ჟურნ. მგათობი, 1929, მაის-ივნისი, № 5—6, გვ. 244—245.

ავტორი დასაწყისში აღნიშნავს რუსთაველოლოგიური კვლევების უსრულობას და საყვედურს გამოთქავს ქართველი ფილოლოგებისადმი, რომელნიც არ იცნობენ ფორმალურ მეთოდს და ეგებება კ. ჭიჭინაძეს, რომელმაც თავისი „ალიტერაკიით“ „პირველმა სცადა ვეფხისტყაოსნის ფორმალური მეთოდით გარჩევა“ და მისი კვლევის საქმე „დასძრა მკვდარ წერტილიდან და საკითხი ფორმალური ძიებათა სიბრტყეზე გადაიტანა“, რომელმაც „რუსთაველის პოემის მხოლოდ რამდენიმე ფორმალური ნიშნის მონახვით სინათლე მოჰფინა ვეფხისტყაოსნის კვლევის საქმეს“.

1930

1098. ალ. აბაშელი

„ვეფხისტყაოსანი“-ს გარეშე

ჟურნ. დროშა, 1930, № 3 (27), გვ. 19.

წერილი შეიცავს ინფორმაციულ ანგარიშს ხელოვნების სასახლეში პ. ინგოროყვას მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ თემაზე: „ვეფხისტყაოსანის ეპოტერიული მხარე“, რომელიც ავტორის შენიშვნით, დასაბუქდალ დამზადებული „რუსთაველიანას“ მეორე ტომის ნაწილს შეიცავს. ავტორი სქემატურად ჩამოთვლის მოხსენებაში აღძრულ საკითხებს და აღნიშნავს, რომ ის ძირითადად ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას ეპოტერიულ პოეტიკასთან დაკავშირებით. მომხსენებელი ვეფხისტყაოსანში ეპოტერიული მხარის არსებობის დასაბუთებას ცდილობს პოემის ars poetica-ს საფუძველზე, რომელიც შესაგლის სახით წინ უძღვის თხზულებას. პოემის ეპოტერიული შინაარსი ქრისტიანული არ არის, რითაც აიხსნება პოემის დევნა სამღვდლოების მიერ. ავტორს მოჰყავს მოხსენებიდან იმის საილუსტრაციო მაგალითები, თუ როგორ ცდილობდნენ ვეფხისტყაოსნის არაქრისტიანული კვალის დაფარვას, რისთვისაც მის ტექსტს ამახინჯებდნენ. ამასთან დაკავშირებით ავტორს სანიმუშოდ მოჰყავს მომხსენებლის მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტის ზოგიერთი წაკითხვის გასწორების ნიმუში, რითაც თითქოს ნათელი ხდება პოეტის არაქრისტიანული იდეებიო.

მოხსენებაში აღძრული ყოფილა მნათობთა სიმბოლიკის საკითხი ვეფხისტყაოსნის მიხედვით, რომელშიაც წამოყენებულია მოსაზრება, რომ პოემის ამა თუ იმ გმირში მოცემულია ამა თუ იმ მნათობის ასპექტი. ეპოტერიული პლანში ვეფხისტყაოსნის გმირები წარმოდგენილი არიან, როგორც მნათობები—თითოეული გმირი რომელიმე ერთ-ერთი მნათობია, ერთ-ერთი მნათობის ასპექტს წარმოადგენს. ტარიელი ყოფილა მთვარე, ავთანდილი—მერკური, ნესტან-დარეჯანი—ვენუსი, თინათინი—მზე, როსტევეანი—სატურნი, ფარსადანი—იუპიტერი, ფრიდონი—მარსი.

კამათში მონაწილეობა მიუღია ვ. კოტეტიშვილს, ტიციან ტაბიძეს, სე. ჯანაშიას, ალ. აბაშელს.

Georgische Literatur

ენციკლოპედია: Der Grosse Brockhaus, Leipzig, 1930, VII, გვ. 196.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში გაკვრით აღნიშნულია, რომ საქართველოში XII საუკუნის ბოლოს ცხოვრობდა პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც დაწერა ქართველების ეროვნულ ეპოსად ქცეული რაინდული რომანი ვეფხისტყაოსანი («...Um 1200 dichtete Schotba Rus-thaweli seinen Ritterroman «Wepchis Tkaosani», der das Nationalepos der Georgier gewonden ist»).

1100. ს. გორგაძე

ქართული ლექსი

ლექსთწყობის გამოკვლევა

პროფ. კ. კვეციანის წინასიტყვაობით, სახელგამო, ტფილისი, 1930, 193+III გვ.

დაქტილური ტერფის (გვ. 37), „შაირის“ ლოგაედური ტაქების (გვ. 67), ტაქების ბუნებრიობის (გვ. 75), სტროფის (გვ. 82), მახვილის, მუხლისა და დაქტილური რითმის (გვ. 92) საკითხების განხილვისას ავტორს საილუსტრაციო მასალა მოჰყავს ვეფხისტყაოსანიდან.

1101. Н. Дондуа

[*Шота Руставели*]

სტატიაში: Средневековая светская литература

წიგნში: Литературная Энциклопедия, 1930, т. 3, გვ. 49.

ქართული ლიტერატურის საერთო მიმოხილვისას ავტორი გაკვრით ეხება რუსთაველს, იმოწმებს აკად ნ. მარის ციტატას, აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას და შენიშნავს, რომ არსებული თარგმანები ევროპულ და აღმოსავლურ ენებზე მეცნიერული კრიტიკის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებენ.

1102. Г. Тавзарашили

Руставели, Шота

წიგნში: Малая Советская Энциклопедия, Москва, 1930, том седьмой 529 გვ.

მცირე სტატიაში ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანსა და შოთა რუსთაველს და აღნიშნავს პოემის პროგრესულ იდეალებს, რომელიც ადრეული ქართული ჰუმანიზმის გამოხატულებად მიაჩნია.

დასასრულს, დასახელებულია საგნის ძირითადი ლიტერატურა.

იმავე ავტორის სტატია «Грузинская литература» მოთავსებულია წიგნში: «Большая Советская Энциклопедия, том девятнадцатый, Москва, 1930 გვ. 478—488.

ქართული კლასიკური ლიტერატურის საერთო მიმოხილვაში ავტორი ახასიათებს შოთა რუსთაველს, როგორც XII საუკუნის ყველაზე გამოჩენილ პოეტს. ავტორის შენიშვნით ვეფხისტყაოსანი გამოირჩევა პოეტური ენის სიმდიდრით, არქიტექტონიკითა და სტილის მკვეთრი გამოკვეთილობით. რუსთაველის პოემა დიდადაა დაკავშირებული ხალხურ პოეტურ შემოქმედებასთან, რითაც აიხსნება მისი პოპულარობა.

დასასრულს, ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ მოიპოვება ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანი ბალმონტისა (გვ. 479—480).

1103. კორ. კაქელიძე

ცნობები პოემის [შვილი მთიების] შესახებ
წიგნში: ნოდარ ციციშვილი, შვილი მთიები—ბარამ გური,
პროფ. კ. კაქელიძის რედაქციით, გამოკვლევით და ლექსიკონით.
ქართული წიგნი, MCMXXX, გვ. I—XXXIV.

ავტორი „შვილი მთიების“ მთარგმნელის ნოდარ ციციშვილის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ იგი იკუთვნის თეიმურაზის ლიტერატურულ შკოლას, რომელსაც მისაბამ მაგალითად გაუხდია უკვდავი ვეფხის ტყაოსანი“ (გვ. XXVII). პოეტს ვეფხისტყაოსნიდან აულია თექვსმეტწარცვლოვანი შაირი და მთელი პოეტური აქსესუარი — სურათები, პოეტური შედარებანი, ეპითეტები, მეტაფორები, ტროპები, ლექსიკური მასალა, ფრაზეოლოგია (იქვე). ზოგიერთი სენტენცია-აფორიზმი შვილი მთიებისა განმეორებდა ვეფხისტყაოსნის სენტენციებისა, ზოგიერთი კი მის ყაიდაზეა ჩამოსხმული (იქვე, გვ. XXVIII). ციციშვილის პოემაში უფრო მეტად, ვიდრე ვეფხისტყაოსანში, გამოყენებულია სრული, ოთხტაეპოვანი, ზოგჯერ მეტად ხელოვნური, მაგრამ მაინც მოხდენილი მაჯამები (იქვე).

წერილის დასაწყისს სქოლიოში ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგის სამიჯნურო კოდექსის სიტყვებში: „მიჯნურსა... მართებს... სიმღიდრე, სიუხეც... და მოცალეობა...“ მიჯნურობა მდიდართა, უხვთა და მოცილითა მონაპოლიადაა გამოცხადებული...“ (გვ. I).

1104. Larousse

Georgie

წიგნში: Du XI-e siècle six volumes, tome troisième, Paris, 1930,
გვ. 766—767.

ქართული მწერლობის ზოგად მიმოხილვაში მწერალთა შორის გაკვირვებით მოხსენიებულია შოთა რუსთაველი, როგორც ავტორი ცნობილი პოემისა — ვეფხისტყაოსანი, რომლის ინგლისური თარგმანი შესრულებულია უორდროპის მიერ.

1105. ნ. ჟორდანი

„ვეფხის ტყაოსანი“

გამოცემა ოდენჯურის ქართველ ასოციაციისა, პარიზი, 1930, 83 გვ.

შინაარსი: ავტორისგან (გვ. 3—5); 1. მეთოდი (გვ. 7—10); 2. მიზანი (გვ. 11—16); 3. „მეამბაჟი“ (გვ. 17—23); 4. რომანი (გვ. 24—45); 5. პოლიტიკური და სოციალური ურთიერთობა (გვ. 46—58); 6. რელიგიური დოქტრინა (გვ. 59—76); 7. სხვადასხვა საკითხი (გვ. 77—83).

ავტორი აღნიშნავს თავისი გამოკვლევის წყაროებს, ეხება რუსთველოლოგიის მიზნებს და კრიტიკულად მიმოხილავს არსებულ კვლევა-ძიებას. მას შიამჩნია, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგი მთელი პოემის ორგანული ნაწილი და მისი გეგმაა. ავტორი იხილავს შოთა რუსთაველის მიზანს, რომელიც „ქარის პოეტიდან გადაიქცა ნაციონალურ პოეტათ“ (გვ. 11). მისი აზრით, რუსთაველი „გამოგონილი პირებით ხატავს მის თანამედროვე საზოგადოებას, პირველ ყოვლისა კი ამ საზოგადოების შეთაურს თამარს“ (გვ. 12). „რუსთაველი მეტად ინტელექტუალური მწერალია“. ავტორის შენიშვნით, რუსთაველი ვანგებ აცხადებს, რომ „ეს ამბავი მან სპარსულიდან გადმოიღო“ (გვ. 14). პოემაში მოიპოვება შემდგომ ჩამატებული, ანტირუსთველური სტროფები (გვ. 16). ის ზოგი მოტივის გაშლაში შინაგანად არის გაყალბებული (გვ. 31)-

ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის ფაბულას, მის შემადგენელ ძირითად ელემენტებს, აღნიშნავს პოემაში ქართული სინამდვილის ფაქტების გამოხატულებას, ვაჰყავს პარალელები ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებსა და თამარის ისტორიას შორის და შენიშნავს, რომ პოეტმა ჩვენი ქვეყნის ისტორიული ამბები გაანაწილა არაბეთსა და ინდოეთს შორის (გვ. 20), თამარის თვისებები და შემოსევებები კი თინათინსა და ნესტან დარეჯანს შორის (გვ. 21). ავტორის დასკვნით, პოემის ფაბულა, მთავარ აშბაეთა კონა, ამოღებულია საქართველოს სინამდვილიდან—ეს ამბავი ქართულია და მას არავითარი კავშირი არა აქვს არაბეთ-ინდოეთის სინამდვილესთან (გვ. 23).

ავტორის მოსაზრებით, რუსთაველი პოემის წინასიტყვაობაში ასაბუთებს გალექსილი რომანის ფორმის უპირატესობას. ვეფხისტყაოსნის სტროფის მეოთხე სტრიქონის დამწეები ნაწილაკი „და“ რუსთაველური არ არის (გვ. 25). ავტორი ანალიზს უკეთებს რუსთაველის პოეტური ენის ზოგ თავისებურებას, და აღნიშნავს მის ხალხურ საფუძველს. რუსთაველი მისწვდა ერის სულიერ სიღრმეს და ქართულ პოეზია განვითარდა ნისივე ბაძეთა და ნოვატორობით.

ავტორის აზრით, რუსთაველის შემოქმედებაში ახლებურად არის გადაწყვეტილი სიყვარულისა და ქორწინების მოტივები. მანამდე მსოფლიო მწერლობაში არსებულ გაგებას „ჯერ ქორწინება — მერე სიყვარული“ მან დაუპირისპირა „ჯერ სიყვარული — მერე ქორწინება“ (გვ. 28). ავტორი უარყოფს მტკიცებას, თითქმის რუსთაველი უგალობს პლატონურ სიყვარულს (გვ. 30). მისი აზრით, რუსთაველს სიყვარული მიაჩნია გონების მოვლენად (გვ. 35). რუსთაველის ქალები მალა დგანან მის ვაყებზე (გვ. 35—36). მთელი პოემა ქალის აპოთეოზია (იქვე). პოემის მთავარი გმირია არა ტარიელი, არამედ ნესტან-დარეჯანი (გვ. 42), რომელიც „საქართველოს ტანჯვა-წვალების, მისი მუდმივი ბრძოლისა და საშიშროების გამომსახველი ლამპარია“ (გვ. 44).

ავტორი იხილავს რუსთაველის მიერ დახატული საზოგადოების პატრონ-კმურ ურთიერთობას (გვ. 46), ახასიათებს მათი კლასების წარმომადგენლებს და არჩევს სოციალური კატეგორიის ტერმინებს. მისი აზრით, რუსთაველმა პირველმა წამოაყენა ლიტერატურაში თვითმპყრობელობის თეორია და აღქურვა ის წარმტაცი თვისებებით (გვ. 48). ეს თეორია მოიპოვება „ქართლის ცხოვრებაშიც“ და პოეტი და მემბტინანე ერთნაირი ტერმინებით იცავენ მეფის უფლებას და აღიღებენ თამარს (გვ. 49). ავტორის დასკვნით, „რუსთაველის მთელი პოლიტიკური ტერმინოლოგია არის განმეორება საქართველოს სახელმწიფო უფლების ტერმინოლოგიისა“ (გვ. 57). „რუსთაველი ფეხდაფეხ მისდევს საქართველოს სინამდვილეს, ის მას არ შორდება წერილმანებშიაყ. ის ასწერს არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ურთიერთობას“ (იქვე).

ავტორი იხილავს რუსთაველის პოემაში რელიგიის დოქტრინის გამოხატულებაზე არსებულ შეხედულებებს (გვ. 62—63) და ასკვნის, რომ რუსთაველი არ ემყარება არც ერთ სარწმუნოებას. რუსთაველი დგას რელიგიათა საერთო ნიადაგზე, ერთი ღმერთის არსებობა მისთვის უდავოა, მაგრამ უარყოფს ყველა იმ მოვლენას, რაც ერთ რელიგიას მეორისაგან ასხვავებს — მათ დოღმტებს, მათ ლოცვას, მათ გარეგან გამოხატულებას (გვ. 60). ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანში არ არის „არც ხატი, არც ჯვარი, არც ყურანი, არც სახარება—არც ერთი ატრიბუტი რომელიმე სარწმუნოებისა“. რუსთაველი ასახავს „ურელიგიო ფიცს“ (გვ. 61). მისი გმირების ყოფა და ჩვეულებანი ეწინააღმდეგება ისლამის მოძღვრებას (გვ. 63). პოემაში მაჰმადიანურია მხოლოდ სახელები და გეოგრაფიული ტერმინები (გვ. 64).

ამასთან დაკავშირებით ავტორი კრიტიკულად არჩევს პ. ინგოროყვას. თეორიას რუსთაველის მანიჭველად მიჩნევისას, რომელსაც სქოლასტიკურს უწოდებს (გვ. 65). მისი აზრით, რუსთაველმა ასტროლოგიური შეხედულებანი ხალხური წიალიდან აიღო (გვ. 67). მათ შორის მზისთაყვანისცემის გამოხატულებანი (იქვე). ავტორი აკრიტიკებს ნ. მარის თეორიას ვეფხისტყაოსანში ნეოპლატონისტური მოძღვრების გამოხატულების შესახებ და აღნიშნავს, რომ „რუსთაველის მსოფლმხედველობა არც პანთეისტურია, არც ათეისტური. ის თეისტურია. მისი თეიზმი არც ქრისტიანულია, არც მაჰმადიანური, არც სექტანტური. ის არის საყოველთაო, საერთო, საკაცობრიო, ადამიანური“ (გვ. 70).

ავტორი ეხება ქრისტიანობის გავრცელებასა და მნიშვნელობას საქართველოში და აღნიშნავს, რომ „ქართველი საზოგადოება უალრესად არა-რელიგიური საზოგადოებაა“ (გვ. 72). ამიტომ „პოვნის ურელიგიობა, არა ქრისტიანობა არაერთარ პროტესტს არ იწვევდა ძველად, იმდენად სუსტი იყო ეკლესიის გავლენა“ (გვ. 73). ამდენადვე, ავტორის შენიშვნით, იმის საბუთი, რომ ვეფხისტყაოსანი რელიგიური მოტივებით იღვენებოდა, არ არსებობს (გვ. 73). რუსთაველის შემოქმედებაში რელიგიური ინდიფერენტობი მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სინამდვილით იყო განპირობებული. არარელიგიურ ქართულ საზოგადოებას ეგუებოდა ქართული არარელიგიური პოემა (გვ. 76).

დასასრულს ავტორი აკრიტიკებს შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსანი სადევგმირო ამბების შემცველი თხზულება იყოს (გვ. 77). „აქ მთელი მოქმედება, ფაბულის მთელი გაშლა და განვითარება წარმოებს ბუნებრივი გზით, საქმეთა ნამდვილი მიმდინარეობით, გარემოთა ლოლიკით“ (გვ. 78). ავტორის შენიშვნით „პამლეტის მამის სცენაზე გამოყვანა უფრო ზღაპრული ამბავია, ვინემ ტარიელის ნაამბობი დევების დახოცვის შესახებ“ (იქვე). ქაჯეთის ციხის აღებაში ტარიელთან საბრძოლველად პოეტმა ქაჯები არ გამოიყვანა, რომ პოემა სადევ-გმირო ამბებს არ დამსგავსებოდა (გვ. 79). რუსთაველი უალრესად რეალისტი მწერალია (იქვე). „ვეფხისტყაოსანი არის არა სადევ-გმირო ნაწარმოები, არამედ თანამედროვე შინაარსის და ფორმის რომანიული პოემა“ (გვ. 81). ავტორი პოემის სათაურზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ პოეტ-ვეფხისტყაოსნის სათაურში ხაზს უსვამს თავისი თხზულების არა გმირულს, არამედ რომანიულ მხარეს (იქვე).

ავტორის წინადადებით „ქართულ უნივერსიტეტში უნდა იქნას დაარსებული განსაკუთრებითი ფაკულტეტი შოთა რუსთაველისა, მსგავსათ უცხოეთში არსებულ ფაკულტეტებისა (მაგ. სორბონის ვიქტორ ჰიუგოს ფაკულტეტისა), რომელიც თავს მოუყრის ყველა მკვლევართ, პროფესორთ და მსმენელთ რუსთაველის ქმნილების შესასწავლათ, გამოსარკვევათ და ერთი საბოლოო მსჯავრის დასადებათ“ (გვ. 5).

1106. [უავტორო]

Систематический указатель научной литературы

Грузии за 1928 год

«Bibliographia Georgica».

საქართველოს წიგნის პალატა, 1928, Тифлис, 1930, 134 გვ.

შესავალი (გვ. III—V) მ. ბერძნიშვილის ხელმოწერით.

განყოფილებაში «Грузинская литература и критика» დასახლებულია № 791, 820, 821-ით რუსთაველოლოგიური ნაშრომების ანოტაციებიანი ბიბლიოგრაფია (გვ. 99—103).

1107. ნოღარ ცეციშვილი

[რუსთაველის მოხსენიება] შვიდი შიგბი—ბარამ-გური

პროფ. კ. კაკელიძის რედაქციით. გამოკლევით და ლექსიკონით
ქართული წიგნი [თბილისი], MCMXXX, გვ. I—XXXIV.

ავტორი სპარსული თხზულების ქართულ თარგმანს წინ ურთავს საკუთარ შესავალს, რომელშიაც გამოხატავს თავის მიმართებას რუსთაველთან, როგორც პოეზიის საზომთან:

„რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწედა გონება,
მისის ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოუწონება,
ტარიელისთვის საქმბრად მას ენა ედღონება,
მისთა ამბავთა უამე კაცს რამცა გაეგონება“ (სტროფი 6).

[თეიმურაზმა]

„ თქვა გელმწიფური ლექსები, თვით რუსთველის მოსაწონისი“ (7,3).

„მგაგესად უქოა რუსთველსა ტურფა საქები რომელი,

ცოტაა, მაგრამ ყოველგნით სიკეთე-მეუწოდმელი“ (1734, 3—4).

1931

1108. ზურაბ ავალიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“-ს საკითხები

ბარინი, 1931, 173 გვ.

შინაარსი: შვიდ მნათობთა ლექსი: კოსმოგრაფიის და ასტროლოგიის სწავლათა ჯგუფი. ქარანელთა გადმოცემის ანარეკლი. მნათობთა მიმართ მოწოდებანი. სალამან და აბსალის ამბავი. მიჯნურობის ჰანგი ავთანდილის ლოცვაში. მთვარის და მზის ტაეპები. ასტროლოგიური კილო ჩოუსურ. დანტე. ნიზამის „შვიდი სურათი“ და სუფიური სულიკვეთება. რუსთველის ხელოცნება. ღმერთის აღსარება. გმირთა აპოთეოზი.

დამატება: „ვისრამინი“-ს საასტროლოგიო ნაწვეტი. ორიოდ შენიშვნა ასტროლოგიისა და ასტრონომიისათვის საქართველოში. ვაცის და ვერძის ამბავი. შვიდი მნათობის პატრიისკემა. ასტროლოგიური სტილის სხვა ნიმუშები.

შოთა მანიკეველი: პ. ინგოროყვას წიგნი. შოთა ჰერეთელი და მისი მანიკეველობა. განდგომილების ეპოქა და ადგილი. მზე და მანიკეველობა. ტაეპების 1280—81 განმარტებისათვის. მანის სწავლის მხატვრული მხარე. ერთის აღსარება. ვ. ტ.-ში და მანის დუალიზმი. კიდევ მწვალბელობათა ისტორიითგან. დუალიზმის ანარეკლი ენაში. „ღმერთი“ და „სოფელი“ ვ. ტ.-ში.

გველი და მთვარე: შესავალი. მნათობთა ჩანმთქმელი ვეშაი და გელი. ამ ცრუმორწმუნეობის გამომავალი სამეცნიერო ენაში. ალბირუნი და ინდოელი ასტრონომები. „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ და სამუსლიმანო ინდოეთი. ვ. ტ.-ის გეოგრაფიული ფარგალი და ზღვა, მთა და ბარი, ქაყეთი.

მიჯნურობისათვის: შესავალი. მიჯნურობის ტაეპები ვ. ტ.-ის პროლოგში. რუსთველის დასავლეთ-აღმოსავლეთობა. შოთა, თამარის მეზობტე და ტრუბადურ-მიჯნური. მიჯნურობა პროვანსული და ქართული. მის წესთა კოდიფიკაცია. პატრონ-ყმობა, „სამიჯნურო ცოლ-ჭმრობის საკითხი. სიყვარული „უზორცო“ და „ზორციელი“. სამიჯნურო კილო ვ. ტ.-ში და „მარჯალიტის“ სიმბოლიზმი. ორგავარი სიყვარულის პრობლემა და ვ. ტ.-ი. არაბული გულენა და ტრუბადურ-მინეზინგერთა პოეზია. არაბული განათლება და საქართველო სამიჯნურო ანთოლოგიები და სპარსული რომანი. კიდევ ვ. ტ.-ის პროლოგი. მიჯნურობა „საზეო“-სამიჯნურო კახისტრია და დასკვნა. ვ. ტ.-ი და საჩაინდო რომანი. ავთანდილი და „განგება“. შოთას გმირთა სიყვარული. ავთანდილ-ტარიელი. რუსთველ-ავთანდილი. ამბავი ავთანდილისა და ფატმანისა. ცოტა რამ მიჯნურობა-სენზუდ. დასასრული. წყაროები.

ხარკევეები მთლიანად დაწერილია აკად. შარის: ვამოკლევათა საკმაო გავლენით. ავთანდილის მნათობთადმი ლოცვის ანალიზით და სპეციალური ლიტერატურის შეგერებით ავტორი ასკენის, რომ შოთა რუსთაველი საშუა-

ლო საუკუნეებში გამეფებული პტოლომეს კოსმოგრაფიის შეხედულებას იზიარებდა. ის მნათობთა განსაკუთრებულ ბუნებას სახავს; აღიარებს მათთვის მინიჭებულ ძალასა და გავლენას ადამიანთა ბედზე. ავტორი იხილავს შვიდ მნათობთა მნიშვნელობას, ზათ ლეთაებრივ სიმბოლოებს და რუსთაველში ხედავს გაბერძნებულ აღმოსავლეთის ასტროლოგიური სწავლების გამოხატულებას. მისი შინაშინით, პლანეტათა ეს თაყვანისცემა თავისთავად საქართველოში დიდი იყო. შვიდ მნათობთა მიმართ მოწოდება ავთანდილის ლოცვაში ქარანელთა კულტს მისდევს. რუსთაველი მნათობთადმი ლოცვას მიჯნურობის ჰანგად აქცევს. ავტორი მიმოიხილავს ცის მნათობთა მსოფლიო პოეზიაში გაბატონების საკითხს და კერძოდ მზის უპირატესობის მოვლენას. მისი აზრით, შვიდ მნათობთა კულტის გავლენა ჩანს სალამან და აბსალის ამბავზე, ნიზამის „შვიდ სურათზე“ ან ბარამგურიანზე და სხვ.

დანტეს თხზულების კონცეფცია რუსთაველივით ერთი წყაროდან მომდინარეობს. ასტრალური შედარებანი სპარსელ კლასიკოსებში ხელოვნური და სქოლასტიკური, რუსთაველში — უფრო ზომიერი და კონკრეტული.

ავტორი სპეკიალურად იხილავს პ. ინგოროყვას შოთა რუსთაველის მანიქველობის თეორიას. ჩერდება კუპარობის საკითხზე. მას მანიქველობის დასაბუთება, რომელიც პ. ინგოროყვა იძლევა, გარეგნულად ნაძალადევე, ხელოვნურად და არსებითად საეჭვო, უიმედო და ამაო საქმედ მიაჩნია. ასევე უარყოფს ავტორი შოთას საქართველოდან განდევნის შესაძლებლობას. ასაბუთებს, რომ შოთა რუსთაველი ბაღდადში მანიქველობას ვერ მიიღებდა, რადგან იქ მანიქეიზმი უკვე „უფრო საისტორიო ეზოგონებას წარმოადგენდა, ვიდრე ცოცხალ სინამდვილეს“. მისი მტკიცებით, თავისთავად, ვეფხისტყაოსანში მანიქველობის არავითარი გამოხატულება არა გვაქვს. რუსთაველი ცნობს ერთ ღმერთს არა რომელიმე ერისა და სარწმუნოებისა, არამედ მთელი მსოფლიოს შემომქმედს, რითაც უარყოფილია მანის დუალიზმი.

ავტორის აზრით, რუსთაველზე დიდი გავლენა მოუხდენია ქართულ ქრისტიანულ განათლებას: რომელიმე გარკვეული სარწმუნოებრივი ტენდენციის ძებნა ვეფხისტყაოსანში თავიდანვე შემცდარი საქმეა. პოემაში მოჩანს სპარსული დუალიზმის გამონაკრობი.

ცის მნათობებს რუსთაველი იყენებს როგორც ეპითეტებს, მეტაფორებს, ჰიპერბოლებს. ავტორი განსაკუთრებით ჩერდება „მთვარე-გველის“ მეტაფორაზე, გველის მიერ მთვარის ჩანთქმაზე (ნესტანდარეჯანის ქაჯეთში დამწყვედევა). ხალხურ და ბიბლიურ წარმოდგენაში ვეშაპის გაგებას აღარებს ვეშაპის მიერ მნათობის დაბნელების ასტროლოგიურ რწმენას. მისი აზრით, გველის მეტაფორა ინდური მითოლოგიიდან არის აღებული და შეიძლება ეს მნათობთა ჩანმთქმელი გველის მოტივი ჩვენამდე მოუღწეველ სპარსულ მოთხრობას ახასიათებდო, რომელიც რუსთაველმა გამოიყენა.

ასეთი ანალოგიების აღნიშვნით ავტორს შესაძლებლად მიაჩნია პოემის ფაბულის წარმოშობის საკითხი ძველ ჰინდო-სპარს-არაბულ ურთიერთობას დაუკავშიროს, რომელსაც „ათას ერთი ღამის“ აღრიხდელი ფენა უნდა შეექმნა და მასვე მნიშვნელობა ექნებოდა მსოფლიო სხვა თხზულებათა წარმოქმნაშიც (მაგ., ქილილა და დამანასი).

პოემის მთავარი იდეების — მეგობრობისა და სიყვარულის გაგებას ავტორი აყრდნობს აკად. მარის ცნებებს. მისი აზრითაც, მთავარია მიჯნურობა და ძმადნაფიცთა კავშირი. ავტორი დეტალურად იხილავს მიჯნურობისა

და მეგობრობის თეორიებს და მარის თეორიას ვეფხისტყაოსანში ქალის თაყვანისცემისა და რაინდობის ინსტიტუტის არსებობის შესახებ. მარისაგან განსხვავებით, ვეფხისტყაოსანში სამიჯნურო იდეალების არსებობას, გარდა დასავლეთისა, ანიჭებს აღმოსავლეთს — არაბეთს, სადაც სიყვარულის მსგავსი თეორიები იყო დამუშავებული, რაც ესპანეთის ხალიფატის გზით დასავლეთში გადავიდა. თამარის ქებაც, რაც პოემის გარეგნული მხარეა, არაბული ტრადიციის გამოხატულებაა მბრძანებლის შექებისა. პროვანსული და ქართული სამიჯნურო დოქტრინით — სიყვარული ცოდნის ერთგვარ დარგად გაიგება.

ავტორი მიმოიხილავს სიყვარულის კოდექსის შემუშავებას დასავლეთში. მისი აზრით, რუსთაველი სიყვარულის გარკვეულ კოდითიკაციას ემყარება. ცალკე ეპიზოდების ანალიზით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ორივეში საერთოა მანდილოსნის ვასალობა, მისდამი სამსახური და მმადნაფიცობა. ნამდვილი მიჯნურობის გამოხატულება ცოლ-ქმრობის გარეშეა, რაც მალალი და დაბალი სიყვარულის პრობლემის გამოხატულებაა. ტრუბადურთა და მიწეზინგერთა პოეზიაში არსებული სიყვარულის წინააღმდეგობა რუსთაველთან მოხსნილია მიწიერი წადილისა და ზნეობრივი კავშირის გაერთიანებით. რუსთაველის ეს ამალღებული სიყვარული არაბული გავლენაა. რუსთაველი აქებს მიწიერ და არა სულიერ სიყვარულს, რის დასაბუთებლაც ავტორი ცდილობს იბნ-ჰამზა ანდალუზიელის, იბნ დაუდ ისპაჰანელის, იბნ სინას და სხვების შეხედულებათა ანალოგიითა და დაპირისპირებით. ამ არაბულ საერთო მოტივს, მისი აზრით, ერთვის სუფიზმის გავლენაც.

სიყვარული და მეგობრობა ვეფხისტყაოსანში ერთმანეთს ფარავს. პოემაში გამოხატული სიყვარულის ჰანგები, ავტორის აზრით, შესაძლოა საქართველოში რუსთაველამდეც არსებობდნენ.

წიგნის დასასრულს სათაურით „წყაროები“ დართულია აღძრული საკითხების შესახებ ლიტერატურის მაჩვენებელი ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე.

1109. [აკაკი გაწერელია]

ვეფხისტყაოსნის პოეტიკა

აკ. გაწერელის მოხსენების ანგარიში

გაზ. სალიტერატურო გაზეთი, 1931, 11 დეკემბერი, № 5 გვ. 4.

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ 19 დეკემბერს აკ. გაწერელია წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ვეფხისტყაოსნის პოეტიკა“.

1110. დავით გურამიშვილი

[რუსთაველის მოხსენება]

დავითიანი თქმული გურამიშვილის დავითისაგან

თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძის და ს. იორდანაშვილის რედაქციით,

მეხუთე გამოცემა, ქართული წიგნი, MCMXXXI წელი, LXXVIII + 347 გვ.

სხვადასხვა მოტივებთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს რუსთაველის სიდიადეს, მის პოეტურ ავტორიტეტს ქართულ პოეზიაში და დასციინის პოეტ მეფეთა სურვილს — შეეჯიბრონ რუსთაველს (გვ. 4, 12). მოიპოვება 1870, 1881, 1894, 1911, 1938, 1948, 1955 წლების გამოცემები. სრული ანოტაცია. იხ. 1881 წელთან № 170.

1111. კორნელი კეკელიძე

ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა

ქუან. მნათობი, 1931, № 7—8, გვ. 152—171; № 9—10, გვ. 213—226.

ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის შესახებ არსებულ თეორიებსა და საეტიკულ ლიტერატურას და ადგენს მთლიან კონცეფციას. რუსთველოლოგიის ძირითად საკითხებზე უმთავრესად ეხება პოემის ავტორისა და მისი დაწერის დროის საკითხს. ავტორი ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის ისტორიულ-ლიტერატურული ინტერპრეტაციით იმ დასკვნამდე მიდის, რომ ისინი პოემაში დამატებას წარმოადგენენ, პროლოგ-ეპილოგი ვეფხისტყაოსნის ავტორს არ ეკუთვნის და ამდენადვე მათში მოხსენიებული შოთა რუსთაველი არ არის ვეფხისტყაოსნის ავტორი. შესხი-მელექსე რუსთაველი პოემის დამატებათა დაწერილი და გამექსავია და XVI საუკუნეში მცხოვრები ათაბაგის მზე-ქაბუკი დიდის თანამედროვე და მედროშე, მისი სახელი მთელი პოემის პროლოგში შეცდომითაა გადატანილი.

ავტორის კონცეფციით, ვეფხისტყაოსნის ავტორი არის სარგის თმოგველი, რომელიც თმოგვის პატრონი იყო, მხარგრძელთა დიდი გვარის შთამომავალი. პოემის ავტორი პესიმისტური მსოფლმხედველობის მატარებელია. ის მოსწრებია თამარის საქართველოს დანგრევას, მონღოლების შემოსევას, რის გამოც მის პოემაში ადგილი უპოვია არარაობის რწმენას, გულგატეხილობას. პოემა დაწერილია მონღოლთა ბატონობის დამყარებისა და ალამუთის ციხის აღების (1255 წელი) არაუადრეს და არაუგვიანეს 1258 წლისა. გასსკვალულია ასასინ-მოლიდების დამახასიათებელი აზრებით. ვეფხისტყაოსნის ქაუები მოლიდები არიან. პოემაში გამოხატულია XII—XIII საუკუნეების აღმოსავლურ-მამამდიანური სამყარო, მაგრამ კონკრეტულად ასახულია ქართული ფეოდალური არისტოკრატის იდეალები.

მის შესახებ იხ. კ. ჰიკინაძე—შოთა რუსთველი თუ სარგის თმოგველი, „უნივერსიტეტის შრომები“, 1936, V, გვ. 179—200.

1112. N. Marr et M. Brière

La langue Géorgienne

Librairie de Paris, 1931, 858 გვ.

ქართული მწერლობის ქრესტომათიაში, რომელიც ერთვის ქართულის გრამატიკას, საილუსტრაციოდ მოყვანილია ვეფხის ტყაოსნის ტეანის რჩეული სტროფები 1—15, 32, 84, 85, 947, 1572, 1576 (გვ. 589-592).

იქვე რუსთაველის თქმებისა და ანდაზების სანიმუშოდ მოყვანილია 11 აფორიზმი (გვ. 592).

წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც ეკუთვნის მორის ბრიერს, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვისას აღნიშნულია, რომ საქართველომ თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია X—XII საუკუნეებში, რომელიც ოქროს ხანას განეკუთვნება. ამ დროს, თამარის მეფობაში, ცხოვრობდა დიდი პოეტი შოთა რუსთაველი, რომლის პოემა ვეფხისტყაოსანი თავის თანამემამულეებს შორის შეტად პოპულარულია (გვ. X).

1113. X.

ვეფხისტყაოსნის გარეშე

გაბ. სალიტერატურო გახეთი, 1931, 21 ნომბერი № 3, გვ. 4.

ინფორმაციული ცნობა ეგ. ნინოშვილის სახელობის მწერალთა სასახლეში კ. ჰიკინაძის მიერ მოხსენების წაკითხვის შესახებ თემაზე: ვეფხისტყაოსნის ნამდვილი დაბოლოების აღდგენისათვის“. აღნიშნულია მოხსენებაში წამოყენებული მთავარი დებულებანი ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული გამოცემის ტექსტის შესახებ, ინდობატელოთა ამბის ტექსტისათვის კუთვნილებასთან დაკავშირებით.

კამათში გამოსულან: ა. გაწერელია, შ. ადგიშვილი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი.

1114. W. E. D. Allen

A history of the Georgian People, from the beginning down to the Russian conquest in the nineteenth century By W. E. D. Allen, introduction by sir Denison Ross Director of the School of Oriental Studies, London, 1932, 429 გვ.

ქართული ისტორიისა და კულტურის საკითხებზე მსჯელობისას (გვ. 294, 308—320) ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და იძლევა რუსთაველის შესახებ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს. მისი შენიშვნით, ნიზამი დარუსთაველი გამოხატავენ მეთორმეტე საუკუნის აღმოსავლეთის ადრეულ და ხანმოკლე რენესანსს (გვ. 308). საქართველო თავისი ეპიკური პოეზიით, რომლის გამოჩენილი წარმომადგენელია რუსთაველი, ბევრად უსწრებს ბიზანტიას (გვ. 294). ავტორი იმოწმებს პროლოგის სიტყვებს: „ესე ამბავი სპარსული...“ და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანის კონსტრუქციას ემჩნევა სპარსული გავლენა, თუმცა ამავე დროს პოემა იმ პერიოდის ქართველი ერის სულიერი ცხოვრების სარკედ მიაჩნია (გვ. 319). რუსთაველი გარდაიცვალა იმავე წელს, როდესაც თამარ მეფე (იქვე).

1115. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო

წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტფილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1932, 1, გვ. 130—169.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველოლოგიური კვლევა-ძიებების ჩამორჩენილობას ვეფხისტყაოსნის შესწავლის გაზრდილ მოთხოვნილებებთან შედარებით და უთითებს რამდენიმე სანიშნურო ცდას ამ ხაზით. ნარკვევის მიზანია ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემოს დახატვა და რუსთაველის იდეოლოგიის საფუძვლების განსაზღვრა. ავტორი პოემის სიუჟეტის, მის გმირთა ურთიერთობის, მათი ხასიათებისა და მსოფლმხედველობის ანალიზის საფუძველზე იმუშავებს შეხედულებას ვეფხისტყაოსნის ავტორის მსოფლმხედველობისა და მისი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური პირობების შესახებ. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში ასახულია პატრონყმობის სოციალური ინსტიტუტის რეჟიმი (გვ. 132), პატრონყმური ურთიერთობა, რომელიც პოემაში ყოველგვაროვანობის საფუძველია, ის მიჯნურობასაც ასევე თავის დაღს. რუსთაველი ქადაგებს მონურ ერთგულებას და მორჩილებას პატრონთადმი. მას ცენტრში პატრონყმური კიბის უმაღლესი საფეხურია მოქცეული: მეფის კარი და საპარო ცხოვრება (გვ. 148).

ავტორი შენიშნავს, რომ პოემაში ჰკაფიოდაა ასახული მეფის, როგორც უპირველესი სუზერენის, დამოკიდებულება მსახურულ არისტოკრატისთან (გვ. 136), რომ პოემაში მწვავედაა დასმული მონარქიის პრობლემა (გვ. 138). რუსთაველი დინასტიზმის, ლეგიტიმიზმისა და აბსოლუტიზმის პრინციპების დამცველია (გვ. 163).

ავტორი იხილავს პოემის მთავარ მოტივებს და ყურადღებას აქცევს ვეფხისტყაოსანში რაინდული იდეალებისა და ყოფის ასახვას (გვ. 153), მიჯნურობასა და მის სახეებს და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ასახულია მიჯნურობის ის სახე, რაც რუსთაველს პროლოგში თეორიულად აქვს დასაბუ-

თებული (გვ. 156). ავტორი ასევე ახასიათებს ძმობა-შვიდობის მოტივების გამოხატულებას (გვ. 157—159). მისი აზრით, პოემაში დედაქალი (დიაცი) საზოგადოებრივად ათვალწუნებულია, ის მამაკაცთან შედარებით მდაბიო, გონებრივად ჩლუნგ არსებდაა წარმოდგენილი (გვ. 140) და ზნებრივად გამართახებული (გვ. 142). პოემაში ემანსიპაციის იდეის გამოხატულებას არა აქვს ადგილი. (გვ. 140).

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის საზოგადოების მაღალი ფენების გმირთა „უხეობა-უშუქველობა“, არა ალტრუიზმის და ჰუმანურობის გამოხატვაა, არამედ ეგოისტური არისტოკრატიული გაუმაძღრობის ინსტინქტისა (გვ. 151). ის მაოლოდ კლასობრივ მიზანს ემსახურება.

ავტორის აზრით, რუსთაველი არისტოკრატიას უპირისპირებს ვაქართვ კლასს. ვეფხისტყაოსნის ავტორი არისტოკრატიული მედიდურობით შეჭყურებს ვაქრებს და მათ სოციალურ წრეს ტენდენციურად უარყოფითად ასახავს (გვ. 167). ავტორის შენიშვნით, პოემაში გატარებულია მკაცრი ფატალიზმი, რაც რუსთაველს სჭირდება ცხოვრების უმკაცრესი სოციალური რეჟიმის დაკანონების უზენაესი ძალის განჩინებით გასამართლებლად (გვ. 152).

ავტორი სქოლიოში შენიშნავს, რომ მას ვეფხისტყაოსნის ფაბულურად სპარსული წარმოშობა უდავოდ მიაჩნია (გვ. 131) და რომ ვეფხისტყაოსანში ადგილი აქვს ერთ ცხად შესაბამობას (გვ. 167. ავტორს მხედველობაში აქვს ფატმანის მიერ ნესტანის გაპარების ეპიზოდი).

იგივე, მკირეოდენი ცვლილებებით ლითოგრაფიულად დაბეჭდა ავტორის სერიაში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტფილისი, 1932, 86 გვ. ავტორმა ეს შრომა ძირიულად გადამუშავებული გამოსცა 1945 წელს (იხ. ანოტაცია).

1116. დოც. აღ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსანი

წიგნი: ქართული ლიტერატურის ისტორია, ფეოდალური ეპოქა, პერიოდი მეორე, განაკვეთი 4, სსრ განათლების სახალხო კომისარიატი, დაუსწრებელი პედაგოგიკური, ქართული ენისა და ლიტერატურის სექცია, I კურსი, ტფილისი, 1932, 86 გვ. [ლითოგრაფია].

ნაშრომი წარმოადგენს ავტორის მიერ ამავე წელს გამოქვეყნებული ნარკვევის — „ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო“ (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, 1932, გვ. 130 — 169, იხ. ანოტაცია № 1115) ვადამუშავებას. მასთან შედარებით ამ ნაწილში ავტორს დამატებული აქვს ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის პოეტიკის, მხატვრული მეტყველების, პოემის ორიგინალობის, პოემის დაწერის თარიღის, მისი ავტორის, ვეფხისტყაოსნის რედაქციებისა და მისი პროლოგ-ეპილოგის საკითხების შესახებ (გვ. 57—86).

ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის მაღალი და დაბალი შიარის საკითხს და მოჰყავს მათი სქემა (გვ. 57), ახასიათებს პოემას ენარული თვალსაზრისით (გვ. 58), ეხება რუსთაველის პოეტური მეტყველების საკითხებს, მის მეტაფორულობას (გვ. 59—61), კონტრასტულ პარალელიზმს და გაკვრით აკრიტიკებს კ. კიკინაძის მეთოდს როგორც ფორმალისტურ-რეაქციონურს, რომელიც შექანიკურად თიშავს ფორმისა და შინაარსის ერთიანობას რუსთაველის მხატვრული მეტყველების კვლევა-ძიებაში (გვ. 61).

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხზე არსებულ ორ ძირითად შეხედულებას — ეროვნულსა და უცხოურს (გვ. 62—65), ეხება პოემის დაწერის თარიღის საკითხს (გვ. 66—67) და მასთან

დაკავშირებით აკრიტიკებს კ. კეკელიძის მოსაზრებას იმის შესახებ, ვითომც ვეფხისტყაოსანში თავიდან ბოლომდე ისმის პესიმისტური ჰანგები (გვ. 68—69) და რომ თამარის დროის ამსახველად ვერ ჩაითვლება ვეფხისტყაოსანი, რომელშიაც ფატალისტური აზრებია გამოთქმული (გვ. 69).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ავტორობის პრობლემას, მიმოიხილავს არსებულ ისტორიულ გადმოცემებს, წერილობით მითითებებს და საკითხის ლიტერატურას (გვ. 70—76). პოემის რედაქციების მიმოხილვაში იგი ყურადღებას აქცევს ორ ძირითად რედაქციას — მოკლესა და ვრცელს (გვ. 77—78), არკვევს მათ შედგენილობასა და მნიშვნელობას და ასკენის, რომ მოკლე, ვახტანგისეული რედაქცია ხასიათდება თავდაპირველი დედნის შედარებით შეუბღალავი მოკულობით (გვ. 83).

ავტორი პროლოგისა და ეპილოგის საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს პროლოგის შედგენილობას (გვ. 83) და აკრიტიკებს მკვლევარებს, რომელნიც მის რუსთაველურობას უარყოფდნენ (გვ. 84—85).

1117. Н. Ряднова

Шота Руставели

Опера-легенда в 4-х действиях. Музыка Д. Аракишвили, текст А. Шаншнавшвили. Краткое содержание и музыкальный обзор составлены Н. Рядновой [Тбилиси, 1932], 18 гб.

ტექსტი წარმოადგენს საოპერო ლიბრეტოსათვის დართულ მცირე წერილს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესახებ. ავტორი რუსთაველის ბიოგრაფიას გადმოსცემს ტრადიციულად მიღებული ცნობების მიხედვით. რუსთაველის დაბადების თარიღად ნაჩვენებია 1169 წელი, გარდაცვალება 1245 წელი. სამშობლოდ პერეთის რუსთავი. ავტორი იმეორებს პ. ინგოროყვას მოსაზრებებს რუსთაველის მანიქელობისა და შემოქმედების შესახებ და აღნიშნავს პოეტის გარშემო ხალხში არსებულ ლეგენდებს.

1118. Г. Тавзарашвили

Руставели Шота

წიგნი: Малая Советская Энциклопедия, Москва, Огиз РСФСР, 1932, том седьмой, гл. 504—505.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს, ზოგად ხაზებში ახსიათებს მის შემოქმედებასა და იდეალებს. დასასრულს დართული აქვს სპეციალური ლიტერატურის მცირე საძიებელი.

1119. გრ. ფერაძე

წმ. გიორგი ქართული ერის შემოქმედებაში (ქართული წარმართობის შესახებ)

ჟურნ. ჟეორგი ვახიას, წმიდა ნინოს ქართულ მართლმადიდებელ მრევლის ორგანო, Paris, 1932, მარამოხის თვე, № 2, გვ. 6—35.

შინაარსი: 1. მთვარის კულტი. ა) რა სქესისაა ქართულში მთვარე? ბ) სტრაბონის აღწერილობა და „თეთრი გიორგობა“. გ) სამსახიანი წმიდა გიორგი აღმოსავლეთში. დ) სამსახიანი წმ. გიორგი საქართველოში. ე) როდის ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოში წმიდა გიორგის კულტი. ვ) შინაარსი მთვარის, როგორც საკრალური არსის. შენიშვნები.

ავტორი ქართულ ასტრალურ ლეთაებებზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ იმორწმებს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ადგილებს. მთვარის კულტის გარჩევისას ავტორი ასკენის, რომ ვეფხისტყაოსანში მთვარე (როგორც მზე) კა-

ცისა და ქალის, უმეტესად კი უკანასკნელის ეპითეტია. მზე და მთვარე ერთმანეთს რომ ეყრებიან, მთვარე მუდამ ქალია (გვ. 10). ვეფხისტყაოსნის მიხედვით ქალი დაბადებისას ჰგავს მზეს, მაგრამ, რომ იზრდება და მშვენიერება, მზეს ემსგავსება (გვ. 11). აეტორის აზრით, შესაძლებელია რუსთაველს ქალის სიმშვენიერის ტიპი: ტანი ალვა, პირი მანგი შექმნილი ჰქონდეს სპარსული ლიტერატურის, კერძოდ, ფირდოუსის გავლენით (იქვე). აეტორი ქართულ ხალხურ წარმოდგენაში მზის მთვარესთან შედარებით ერთგვარი უპირატესობის საბუთად იმოწმებს ვეფხისტყაოსანში „პირი მანგის“ მნიშვნელობას (გვ. 31).

ნაშრომს ერთეის შენიშვნები და საგნის ლიტერატურა (გვ. 33—35).

1120. მ. ჯანაშვილი

პოეტთა აკადემია საქართველოში—შოთა რუსთაველი და ნიჟამი განჯელი ტფილისი, 1932 [ლითოგრაფია], ტირაჟი 200, 29 გვ.

ქართულ-სპარსულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხების რკვევისას აეტორი გაკვრით ეხება რუსთაველს და მოჰყავს საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნის ზოგი სტროფი. აეტორი გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლოა შოთა რუსთაველი იყო პოეტთა აკადემიის წევრი, და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის პროლოგის სათანადო ადგილები პოეზიის თეორიის შესახებ (გვ. 19—20). რუსთაველი იყო ერისთავი რუსთავეისა (გვ. 21). ვეფხისტყაოსანი საესეა ინგილოზმებით (გვ. 22); 23 და 25-ე გვერდზე. მოყვანილია ვეფხისტყაოსნიდან ინგილოური სიტყვების მავალითები ვეფხისტყაოსანში:

ინგილ.: მივახირებ, წავალ (მივახირებ—მიბრძანებ, прикажеша)

შოთა: (1141) მივახირებ, წავალ...

ინგილ.: რათა=ქ. რაოდენთა

შოთა: (1271) სოფელი რათა საქმეთა მქნელია (რაოდენთა)* და სხვ.

აეტორი აღნიშნავს, რომ „შოთა მთელს საქართველოს იხსენიებს არაბეთად“ (გვ. 27) და იმოწმებს სტროფს: „იყო არაბეთს...“ შოთამ ვერ შეიწყნარა სასახლის ყოფა და იერუსალემში გაემგზავრა (გვ. 28—29).

1938

1121. Андрей Белый

Бальмонт

წიგნი: Начало века. Государственное издательство художественной литературы, Москва-Ленинград, 1933, 504 გვ.

აეტორი იგონებს ბალმონტის ლიტერატურულ საუბრებს და გაკვრით შენიშნავს: „...Н. И. Стороженке весьма назидательно выслушать о Руставели и Шелли...“ (გვ. 217).

1122. გ. [აკაკი გაწერელია]

„პოეტთა აკადემია“ საქართველოში

გაზ. სალიტერატურო გაზეთი, 1933, 14 მაისი, № 11, გვ. 5.

სარეცენზიო წერილში აეტორი ჩამოთვლის მ. ჯანაშვილის რუსთაველოლოგიურ შრომებს, რომელნიც 1895 წლიდან 1932 წლამდე დაიბეჭდა. სპეციალურად ეხება ნაშრომს „პოეტთა აკადემია“ საქართველოში, რომელიც 1932 წელს დაიბეჭდა ლითოგრაფიით. აეტორი აღნიშნავს ნაშრომში წამოყენებულ მთავარ დებულებებს შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ. მისი

შენიშნით, მ. ჯანაშვილი ნიშამის ბიოგრაფიის კვლევაში ემყარება ნ. გულა-კის დაძველებულ შრომას. მისი ცდა, — განჯაში არსებული პოეტთა აკადემიის შოთას საგანმანათლებლო კერად მიიჩნოს, — მოკლებულია პოზიტიურ საფუ-ძველს და ჰიპოთეზურ მსჯელობას ვერ სცილდება, რამდენადაც ჯერ არ არის გადაწყვეტილი რუსთაველის ბიოგრაფიის ელემენტარული საკითხები. რეცენზენტის აზრით, აუცილებლობა არ არსებობს, ქართველი პოეტი უთუ-ოდ ყოფილიყო სპარსელი პოეტების აკადემიის წევრი.

ავტორის დასკვნით, რუსთაველის პოეტიკისა და კოსმოგონიის მრავალი მხარეები არ ხედებიან ნიშამი განჯელის მსოფლმხედველობას. ჯანაშვილის ნაშრომში საყურადღებოა ვეფხისტყაოსანში „ინგილოზმების“ ძიება.

1133. აკაკი გაწერელია

პლატონ იოსელიანი

თრნ. მნათობი, 1933, № 6—7, გვ. 274—298.

ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ პლ. იოსელიანი რუსთაველს უკავ-შირებდა უეიდურესი ენობრივი კონსერვატიზმის დაცვის დებულებას (გვ. 290), და მოჰყავს ვრცელი ამონაწერი (გვ. 291).

ავტორი ეხება იოსელიანის წერილს „შოთა რუსთაველი“ (გაზ. „Кавказ“, 1870, № 13), არჩევს მის დებულებებს და მოჰყავს ამონაწერები (გვ. 293—294).

1134. ექ. თაყაიშვილი

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები]

წიგნი: პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, 64 გვ.

ავტორი პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დატული 26 ქართული ხელნაწერის აღწერაში (№ 10, 11, 12) მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ხელ-ნაწერებს (გვ. 43—45).

№ 10 — მე-18 საუკუნისა, შეიცავს 258 ფურცელს, ამათი 249 გვერდი უჭირავს ვეფხისტყაოსნის ტექსტს თავისი გაგრძელებით და გადამწერის ბოლოსიტყვაობით. ტექსტი უშნო ხელითაა გადაწერილი უვიცი სომხის ქა-ლის მიერ 1702 წელს შემახიანში.

№ 11 — ვეფხისტყაოსანი დაბეჭდილი 1712 წელს ვახტანგის მიერ. ნაკ-ლული გვერდები შევსებულია ხელით.

№ 12 — ვეფხისტყაოსანი გადაწერილი 1811 წელს. შეიცავს 120 ფურ-ცელს. აღწერებს ერთვის მცირე ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობები.

1135. პროფ. კ. კეკელიძე

ქართული ფოლკლორი ლიტერატურის პერიოდიზაცია

სსრ განათლების სახ. კომისიარატის დაუსწრებელი პედინსტიტუტი, ტფილისი, 1933, 76 გვ.

ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ავტორი ჩერდება ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველზე და არკვევს ვეფხისტყაო-სნის ადგილს ქართულ მწერლობაში სოციალურ-ეკონომიური და ისტორი-ულ-პოლიტიკური მონაცემების მიხედვით. ვეფხისტყაოსნის ავტორის ეპოქა უკავშირდება გარკვეულ, ნიშანდობლივ ისტორიულ მოვლენებს, რომელთა პირობებშიაც უნდა წარმოშობილიყო ის. მსოფლმხედველობრივი საკითხე-ბის კვლევაში ავტორი მნიშვნელობას ანიჭებს ვეფხისტყაოსნის პროლოგში გამოთქმულ აზრებს, რამდენადაც ისინი გამომხატავენ იმ საზოგადოებრივ განწყობილებას, რომელიც ამ დროისათვის არის დამახასიათებელი — X სა-

უკუნიდან დაწყებული XIII საუკუნის სამოციან წლებამდე. თვით ვეფხისტყაოსანში გამოხატულება კპოვა ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ცხოვრებამ. საზოგადოებრივი წყობის ფორმა — პატრონჟმობა — ვეფხისტყაოსნის სოციალურ სტრუქტურაშია გამოხატული.

ავტორი აღნიშნავს, რომ პატრონჟმობის საერთო ხასიათს X — XII საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილებიც ადასტურებს (გვ. 30). ამ დროის საერო პოეზია ვეფხისტყაოსნის სახით თავის ბრწყინვალეობის ზენიტში შედის (გვ. 31). ვეფხისტყაოსნის ავტორი წარსული დროის ბრძენთა და ფილოსოფოსთა აზრებს მიმართადა როგორც ავტორიტეტს (გვ. 33). ვეფხისტყაოსანში გამოხატული სიყვარული ნეოპლატონიზმსა და სუფიზმში შენეწავებული გაგების შესაფასად ღვთაებისადმი სიყვარულს უნდა გულისხმობდეს. ქალ-ვაჟთა თავდავიწყებულ, შმაგ სიყვარულში ღვთაებისადმი სიყვარულია გამოხატული. «ვეფხისტყაოსანში, სახელდობრ მისი პროლოგის იმ სტროფში, სადაც ნათქვამია:

«ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა,
ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა,
იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა»

რადგანაც «მას ერთსა მიჯნურობასა კვიციანი ვერ მიხვდებიან», ამისთვის «ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხედებიან»-ო, ესე იგი — ქვენა, ხორციელი მიჯნურობის სახით მე ვილაპარაკებ იმ მიჯნურობის შესახებ, რომელიც არის «ტომი გვართა ზენათა და «საქმე საზეო» (გვ. 38—39). ამის ნიადაგი, ერთი მხრივ, სპარსული ლიტერატურა იყო, მეორე მხრივ, ქრისტიანული მწერლობა. მკითხველი ერთნაირად ეცნობოდა როგორც სასულიერო ბელეტრისტიკაში, აგრეთვე ვეფხისტყაოსანში გამოხატულ სიყვარულს (გვ. 39). ავტორი მსჯელობს სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთობაზე და აყენებს დებულებას, რომ მათ შორის არსებობს «დიდლექტიური კავშირი» (გვ. 39). მისი აზრით, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში გამოთქმული ლიტერატურულ-კომპოზიციური ზერხები და ელემენტები, გამოყენებული და შეთვისებული იყო საგმირო-სამიჯნურო ეპოსსა და სახოტბო პოეზიაში. «ჰაგიოგრაფიის «სულიერი» გმირი პოემებში საერთოდ ამ ქვეყნიურ გმირად ქცეულა» (გვ. 39—40). ამის ერთ გამოხატულებას ავტორი ხედავს იმაში, რომ ჰაგიოგრაფიული თხრობის კომპოზიციური შაბლონისათვის დამახასიათებელი ზოგი მოტივი გმირის აღწერისა შეორდება ტარიელის აღწერაშიც, რის მაგალითებიც ავტორს აქვე მოჰყავს (გვ. 40). ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის მართო ვახტანგ მეექვსის ეპოქაში არ თარგმნიდნენ სამეძაოდ; ეს ტრადიცია, უმკველია, ძველია და ამ თვალსაზრისით საესეებით ვასაგები ხდება პროლოგის სიტყვები, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი; «ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვი». ავტორი ამ თეორიის გავლენით ხსნის ძველ მწერლებში საკუთარ თხზულებათა სასულიერო-ქრისტიანული ელემენტებით ნაძალადევად შემკობის ტრადიციის არსებობას (გვ. 45). დაცემის ხანაში, ქართული მწერლობის შესაწევ პერიოდში, რომელიც პატრონჟმობის ფეოდალიზმის ფორმაციას ხედება, ხასიათდება ლიტერატურული სტილის დაკნინებით, რაც გამოიხატება «საგმირო-სამიჯნურო ეპოსის მოტივების უღაზათო «რუსთველური» შაირით გადამღერებაში». რომანტიული ეპოსი ამ პერიოდში წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის დამატება-გაგრძელებით (გვ. 50).

ვეფხისტყაოსანი და რუსთაველის წინეობრივი იდეოლოგია
ქ. სტამბოლში, 1933, 88 გვ.

სარჩევი: I. ავტორისაგან. 1. საქართველოს კულტურული ურთიერთობა მეზობელ ერებთან. 2. ჰელადა, ბიზანტია და საქართველო. 3. არაბეთი და საქართველო. 4. სპარსეთ-ინდოეთი და საქართველო. 5. ჩინეთ-მონღოლეთი და საქართველო. 6. ქართული კულტურის გაღვივება უცხოელებზედ. უცხოელთა თქმულებანი. 7. ვეფხისტყაოსანი, გილაგამეში, ფაუსტი. 8. მე-XII ს. საქართველო. 9. ჰომეროსი, რუსთაველი, დანტე და შექსპირი. 10. ქრისტიანული მორალი და მამათ-მავლობის საკითხი საქართველოში. 11. ძველთა შეხედულებანი ვეფხისტყაოსანზედ. 12. ძველი „ამბავი“ და ხალხური ე.-ტყაოსანი. 13. უცხო მასალით სარგებლობის და თარგ-მანების საკითხი. 14. დასკვნა.

II. 1. მიჯნურობა. 2. „მარგალიტის“ ამბავი. 3. აეთანდოლ-ფატმანის ურთიერთობა. 4. ტარგილის „აშვიკობის“ ამბავი. 5. მეგობრობა. 6. ფიცი. 7. ბ. ხ. ავალიშვილის მიერ გამოთქმული აზრი. 8. ბ. ხ. ავალიშვილის შეხედულების კრიტიკა (1, 2, 3, 4). 9. რადენიმე გამოთქმა-რუსთაველის გმირთა ურთიერთობის საკითხი: ა. აეთანდოლის ურთიერთობა. ბ. ტარგილის. გ. მეორე ხარისხის გმირთა ურთიერთობა. დ. დედაკაცთა ურთიერთობა. დასკვნა.

ავტორის აღნიშვნით, ეს წიგნი წარმოადგენს მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა პარიზის ქართულ საზოგადოებაში 1932 წლის 10 აპრილს.

ავტორი მთელ წიგნში აკრიტიკებს ქართული კულტურის და კერძოდ ვეფხისტყაოსნის უცხო გავლენით წარმოშობის შეხედულებას. მისი აზრით, ქართული კულტურის თავისთავადობა იმით იყო გაპირობებული, რომ ქართველობას არ ჰქონია ისეთ ერებთან ურთიერთობა, რომელნიც თავისი კულტურითა და ცივილიზაციით უფრო მაღლა მდგარიყვნენ ვიდრე საქართველო, რომ გავლენის მოხდენა შესძლებოდათ.

ავტორის დასკვნით, არასოდეს, განსაკუთრებით კი XII საუკუნის საქართველოს უცხოელთა კულტურული და მორალური გავლენის ძლიერი კვალი არ დასტუბოდა, პირიქით, საქართველო სხვაზედ ახდენდა გავლენას. ამ დროის საქართველოში ისეთი რამ არ შეინიშნება, რაც ბიზანტიასა და სპარსეთში. დიდი კვალი არც არაბეთის კულტურას დაუტოვებია, „რათგან ჩვენ მაშინ მათზე გაცილებით უფრო მაღლა ვიდევქით“ (გვ. 11). ავტორი შენიშნავს, რომ გავლენებს გარეგნული ხასიათი ჰქონდათ, რის გამოც „ძირეულად ქართული სულის მიმართულების ოდნავ შეცვლა“ მათ ვერ შეძლეს (გვ. 13). ამიტომ მცდარია ზ. ავალიშვილის კონცეფცია არაბული კვალის შესახებ ვეფხისტყაოსანში.

ავტორი ქართული კულტურის და ვეფხისტყაოსნის უცხო გავლენებით ახსნის მომხრეთა კრიტიკას იწყებს სიტყვებით: „თუ მივაღწეოთ ვეფხისტყაოსანთან, იქ ვნახავთ აკლდამას საუხუჯეთა: იქ ინახება ჩვენი ეროვნული სული ამაყი; სიყვარულის, მიჯნურობის, სიმართლის, მეგობრობის, სიმამაცის, ძლიერი ნების-ყოფის უმაღლესი ფორმების შემცვენი; ქართველთა მრავალ-საუკუნოვანი კულტურისა და ცივილიზაციის დაწმენილი და განსპეტაკებული სახე; ქართველი ერის ოპტიმისტური სული; მისი ესთეტიკა, მის მიერ ამ ქვეყნიური არსებობის და დანიშნულების უმშვენიერესი გაგება...“ (გვ. 5). ავტორი ვეფხისტყაოსნის ეროვნულ მნიშვნელობაზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ რუსთაველმა „მთელი საუკუნეებით დაგროვილ ქართველი ერისა და მცირე აზიის ძველ კულტურულ ერთა გენიას ხორცი შეასხა, ჩააბერა უცვლადი სული და დავეტირა უქნობი თაიგული“ (გვ. 22). წიგნი თავდება შემდეგი სიტყვებით:

„ხოლო ის შევნიერება, უშვენიერესი მსოფლიო პოეზიის ყველა მნათობთა შორის, ხორბა ძლიერი და წარბატი გარდაუვალ მოტყეებისა — მიჯნურობის, მეგობრობის, რომელიც მათამ წუთი სოფლის პრინციპზედ აღიარა. დარჩება მთამომავლობას, როგორც უქნობი ყვავილი, რჩული ნიშნუი ადამიანთა მოდგმის შემოქმედებისა და ბრწყინვალე საზონი ქართველი ერის ეროვნულ-კულტურული ღირებულებისა“.

В тунике ли история материальной культуры?

Известия государственной академии истории материальной культуры,

Ленинград, 1933, вып. 67, 149 გვ.

ავტორი 32—37 გვერდებზე ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე და გამოთქვამს პრინციპულ მოსაზრებებს რუსთაველის მსოფლმხედველობასა და მისი პოემის მნიშვნელობაზე. ავტორი ნაშრომში უბრუნდება ძველად მის მიერ გამოთქმულ და შემდეგ უარყოფილ მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსნისა და თამარიალის ავტორი შოთა რუსთაველია, იგივე ჩაბრუნადე. ავტორი რამდენადმე აღიარებს ვეფხისტყაოსნის ქართულ წინადაგზე წარმოშობას, მის იდეურ ორიგინალურობას და მოკლე რეზუმირებით ალაგებს რუსთაველის ირგვლივ წარმოებული თავისი მუშაობის შედეგებს — პოეტის მსოფლმხედველობის, მისი მსოფლიო ღირებულებისა და მნიშვნელობის საკითხებზე.

1198. **[Н. Я. Марр]***Список печатных работ Н. Я. Марра*

წიგნბი: Н. Я. Марр, Избранные работы, том первый,

Академия Наук СССР, История материальной культуры,

издательство ГИИМК, Ленинград, 1933, გვ. XI—XXVI

ბ. მარის შრომებში, რომელთა ბიბლიოგრაფია 1888 წლიდან დაწყებული 1933 წლამდე გრძელდება და 507 ნომერა შეიცავს, დასახელებულია ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შესახებ სპეციალური გამოკვლევები, გაკერითი შენიშვნების შემკველი სტატიები და შრომები შემდეგი ნომრებით: 7, 34, 43, 66, 74, 95, 98, 125, 234, 338, 424, 447.

1199. **Шота Руставели***Носищий Барсову шкуру*

Грузинская поэма XII века, Перевод К. Д. Бальмонта, Издание Д. Хеладзе,

Париж, 1933. LIV + 236 გვ.

ტექსტ წინ უძღვის კ. ბალმონტის წინასიტყვაობა: „Поэма Руставели. Предисловие к полному переводу ея“ (გვ. VII—XIII), 1932, 28 მარტის თარიღით, ბოლოში ორი ლექსის დართვით: «Пантери» და «Два цвета».

XV—XVI გვერდზე მოთავსებულია: «Предисловие к 1-му неполному изданию».

XIX—XXI გვერდზე მოიპოვება სტატია: „Руставели“.

XXIII—XXV გვერდზე სტატია: «Великие Италиянцы и Руставели».

XXVII—XXVIII გვერდზე სტატია: «Турнир в честь Руставели. Грузинское народное предание».

წიგნს ფრანგულ-ინგლისურად აქვს იგივე ტიტული და სტატია „Chota Roustaveli“ იმავე ენებზე. წიგნი გაფორმებულია მდიდრულად, დართული აქვს ბალმონტის, რუსთაველისა და თამარის სურათები და ზიჩის ერთი ფურადი სურათი—თამარისადმი შოთას მიერ ვეფხისტყაოსნის ნირობევა, მისივე ილუსტრაციებით ტექსტში. წიგნის გვერდებზე გამოყენებულია ქართველიშვილის 1888 წ. გამოცემის სამკაულები ქართული ორნამენტის მოტივებით.

ტექსტი შეიცავს 1576 სტროფს. სტროფი თარგმნილია უკარედინი და შინაგანი რთვით. დასაწყისი:

„Он, что создал свод небесный, он, что властью чудесной,
 Людям дух для безтелесный,—этот мир нам дал в удел.
 Мы владеем беспредельным, шногоразным, в рлгоём цельным.
 Каждый царь наш, в амке лельном, лик его средь пярских дел“.

1130. შოთა ძიძიგური

ნიკო მარი, როგორც მეცნიერი (მისი იუბილეს გამო)

ვერნ. მნათობი, 1933, № 11—12, გვ. 203—223.

ავტორი აღნიშნავს ქართული მწერლობის ძეგლთა ჩვენამდე მოუღწევლობას, განსაკუთრებით კლასიკური ეპოქის ძეგლთა განადგურებას, რასაც ვეფხის-ტყაოსანი შემთხვევით გადაურჩა (გვ. 211).

ქართული კლასიკური მწერლობის ენაზე მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ „მერჩულის ენა ქართ. კლასიკური მეტყველების ისეთივე მონუმენტალური დოკუმენტია, როგორც რუსთაველისა“ (გვ. 213).

მარის ფილოლოგიური მუშაობის მიმოხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ „დიდი ამაგი მიუძღვის მარს ვეფხის-ტყაოსნის საკითხის მეცნიერულ ნიადაგზე დაყენების საქმეში“, და იქვე სკოლიოში ასახელებს მარის მთავარ შრომებს რუსთაველოლოგიაში (გვ. 214).

1131. შოსე ჯანაშვილი

შოთა რუსთაველის ვეფხის-ტყაოსნის ლექსიკონი (7000 სიტყვა)

(დამატება—ვეფხის-ტყაოსნის წყობილთა მაჩვენებელი)

1933, 21 აგვისტო [წუმერაქია არა აქვს]. შეიცავს 300-მდე გვერდს.

ნაშრომი სელნაწერის სახით დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ხელნაწერი წარმოადგენს ორადე გვერდზე ნაწერ რეველებს შეკინძულს ერთ წიგნად. ლექსიკონი დალაგებულია ანბანთა რიგზე, ილუსტრაციების დართვით. დასაწყისი:

ა—ნაყვით არსობითი ზნისა არი. 9; იგი სსკაა, სიძე სხვაა, || : იგია, 27; იგია საქმე საზეო. აალ მასე ბა — მყეთო აღმასად ვახდომა; ვაალმასება; ვაეცხლუბა. 742; „სკამნი დააცდუნა, მაგრა მისთვის ააღმასნა, არ აძენა“, ე. ი. გააფიცა და არა რბილ და ღუნე ძეწნად აქცია.

დასასრული:

ჰსჯობს (უპირიქნოდ) ჯეტესია. 38, 1059, 1172.

1934

1132. პროფ. ი. აბულაძე

რუსთაველი თუ რუსთველი

ვახ. კომუნისტი, 1934, 24 ოქტომბერი, № 247, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ფორმა „რუსთველი“ პირველად მის მიერ იყო ხმარებული, და რომ ასეთ გამოთქმას მხარს უჭერს თვით პოემის წაკითხვა და აღორძინების ხანის პოეტები (თეიმურაზ პირველი, არჩილი, დავით გურამიშვილი). ავტორის დასკვნით „ყველა ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურული ძეგლები ცნობენ მხოლოდ ფორმას „რუსთველი“ და მისგან გენეტიკს „რუსთელის“ და არას დროს მათში არ ვხვდებით ფორმას „რუსთაველი“.

1133. Ш. Адейшвили

Фирдоуси и Руставели

ვერნ. Литературное Закавказье, Тбилиси, 1934, № 6, გვ. 150—153.

წერილში აღნიშნულია იდეური და სიუჟეტური დაპირისპირებანი ვეფხისტყაოსანსა და შაჰნამეს შორის და განხილულია მათ შორის ზოგი გარეგნული მსგავსება, როგორც საშუალება შინაგანი, შეურიგებელი დაპირისპირების ნათელსაყოფად.

ბედი ქართული წიგნი

(ნაწილი წიგნისა „ამდელი და რუსულ მწერლობაში გამოსახული საქართველო“)

ჟურნ. მნათობი, 1934, № 11-12, გვ. 213-221.

ავტორი ქართულ მწერლობასა და კულტურაზე მსჯელობისას გაეკრიტიკებდა ვეფხისტყაოსანს და მოკლედ ახასიათებს პოემის ორ დასურათებულ ხელნაწერს. მისი შენიშვნით: „უყვადემა პოეტმა ოქროს ხანისამ შოთა რუსთაველმა „ხელობით“ გაცალებულმა შექაღარა თამარს ხოტბა, კალმად იხმარა „მინა რხეული“ და უყვადევი პოემა შექმნა ვეფხისტყაოსანი. ორი დასურათებული, ტყავის ყლიანი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა გვიხატავს ზენარ გრძნობათა სამყაროს“ (გვ. 218-219).

1135. შ. არდიელი

О новом издании Шота Руставели

გაზ. На Рубеже Востока, 1934, 23 октября, № 18 (21), გვ. 3.

წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას 1934 წელს კ. ჭიჭინაძის რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორი არჩევს გამოცემისათვის დართულ შესავალ წერილს, ეხება ტექსტის ვითარებას და გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას. ავტორი მიუთითებს მთელ რიგ ნაკლს ტექსტის დადგენა-გამოცემის ძვალსაზრისით და ეხება ტექსტის შედგენილობას. ავტორის შენიშვნით, გამოცემაში არაფერია ნათქვამი პოეტის ეპოქის, მისი შემოქმედების, მისი მნიშვნელობის შესახებ და ამასთან ერთად სანიმუშოდ ამოკრეფილ პეტაფორებში აქვია რუსთაველის მართლაც შესანიშნავი პეტაფორები.

ავტორი განსაკუთრებით აკრიტიკებს კ. ჭიჭინაძის ცდას პოემისათვის ორასზე მეტი ყალბი სტროფის დამატებისას და აღნიშნავს, რომ ინდობატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანს არ ეკუთვნის.

ვეფხისტყაოსნის ტექსტულურ საკითხებზე მსჯელობისას ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რამდენადაც რუსთაველი შედარებით სპარსულ პოეტებთან რეალურ ტიპებს ხატავს, მათი საფუძველი რეალისტური უნდა ყოფილიყო ისტორიული სინამდვილის თვალსაზრისით.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ცალკეულ შეცდომებს წიგნისათვის დართულ ბიბლიოგრაფიაში.

1136. [ნიკო ასათიანი]

ხალხური ვეფხის ტყაოსანი

გაგონილი ახალციხეში მოხუცებულ ებრაელ მახა მოშენათ ქალისაგან, ჩაწერა ნიკო

გაბრიელის-ძე ასათიანმა, რედაქციას მიაწოდა შატერაშა გოგი მხალაძემ

გაზ. კოლექტივიზაცია, 1934, 4 სექტემბერი, № 204, გვ. 3.

ტექსტი შეიცავს საკმაოდ ვრცელ ლექსნარევ თხრობას ვეფხისტყაოსნის მოტივებზე. დასაწყისი:

„ტარიელ და ლერწამ-დარეჯანი იყვნენ ერთად შეზრდილი. ლერწამ-დარეჯანის მამამ გაუზავნა ტარიელი სამტრო ალაგას. ლერწამ-დარეჯანი კი გაათხოვა, მისცა ხეარასან შეფის შვილს.“

ტარიელი რომ მოხრუნდა, თივისი მიჯნური გათხოვებული დახვდა. მამინ ტარიელმა უთხრა დარეჯანს: შუნი ტყელი თათირი

შეიჭნა დაქარგულეში,

მითხარი — წავედ არაბეთ,

ხმალ და ხმალ დაკიდულეში...“

რასაც ჰყვება დარეჯანსა და ტარიელს. შორის დიალოგი. დარეჯანი ეუბნება:

„ტარიელ, მისთვის მიყვარხარ,
გაეზრდილვართ ერთსა მანზედა,
თუ შენგან მომამოგებენ,
თოკს ჩამოვიბამ თავზედა,
წავალ წუთს აღარ ვიციოსლებ,
გადავარდები ხრამშულა“.

დასასრული:

„ერიღონს გაეხარდა, ერთი კვირით მიიწვია და შემდეგ ტარიელი გაუღდა თავის გზას
ბინაზე მივიდა. ორმოცი დღე და ღამე ქორწილი ჰქონდა“.

1137. გ. ახვლედიანი

ბგერათანალიზის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის
გახ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 4 სექტემბერი, № 16(70), გვ. 1.

ავტორი ზოგადად ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის მეთოდებს
და აღნიშნავს, რომ შესაძლებელია ეფექტური შედეგი ჰქონდეს ბგერათ-
ანალიზის მეთოდს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის, რისთვისაც
მოკლედ ახასიათებს ამ მეთოდს და ასახელებს სათანადო ლიტერატურას.

1138. ალ. ბარამიძე

თეიმურაზ პირველი 1589—1663

განოცნეუვა

წიგნი: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი,
გამოკლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით,
ფედერაცია, თბილისი, MCMXXXIV. გვ. 171—220.

ავტორი თეიმურაზის შემოქმედების სხვადასხვა საკითხის დახასიათებისა
და მისი რუსთაველთან დამოკიდებულების განხილვისას გაკერით ჩერდება რუს-
თაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 192, 197, 198, 203, 209, 210, 212, 219, 220).

1139. ალ. ბარამიძე

ქართული მწერლობა ფეოდალური ეპოქისა (ზოგადი მიმოხილვა). ვეფხისტყაოსანი

წიგნი: ა. შანიძე, ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენა და
ლიტერატურა, ენისა და ლიტერატურის მიმოხილვა, ქრესტომათია,
ლექსიკონი ძველი ქართული წერის ნიმუშებით,
თბილისი, 1934, გვ. 139—162: 105—109.

ავტორი ქართული მწერლობის მოკლე მიმოხილვაში ზოგადად ახასია-
თებს შოთა რუსთაველის შემოქმედებას, ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეალებსა
და გზირებს (გვ. 050—052).

105—109-ე გვერდზე მოიპოვება სპეციალურად შოთა რუსთაველისა და
ვეფხისტყაოსნის დახასიათება, მისი მოტივებისა და აფორიზმების გარჩევა საგ-
ნის შესახებ არსებული მოკლე ბიბლიოგრაფიით, რაც როგორც შესავალი,
წინ უძღვის ვეფხისტყაოსნის რამდენიმე თავის ტექსტს (გვ. 109—127).

ეს გამოცემა მცირეოდენი ცვლილებებით ბევრჯერ განმეორდა მომდევნო 1935—1944, 1947,
1948, 1950, 1953, 1955 წლებში.

1140. გ. ბაქრაძე

Taricl

(ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის ისტორიისათვის)

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 12 დეკემბერი, № 29. გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის უნგრულად თარგმნის ისტორიას უნგ-
რელი მწერლისა და აკადემიკოსის ბელა ვიკარის მიერ, ქართველი პოეტისა
და რევოლუციონერის გიორგი წიკლაურის შემწევობით.

ავტორი მოკლედ აღწერს წიგნის ტიტულსა და გაფორმებას და ზოგადად აღარებს ინგლისურ, გერმანულ, უნგრულ თარგმანებს მოცულობის მხრივ და აღნიშნავს, რომ ინგლისური ჟურნალზე სრული თარგმანია. ავტორის შენიშვნით, უნგრული თარგმანი „კვალდაკვალ მისდევს ქართულ დედანს და აბსოლუტურად სრულია“.

დასასრულს, ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის უნგრული გამოცემიდან ბელა ვიკარის წინასიტყვაობის ამონაწერის თარგმანი ტექსტზე მუშაობისა და გამოცემის მომზადების შესახებ.

1141. ვუკ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსნი“ ტექსტის დადგენისათვის

ვახ. ლიტერატურული გახეთი, 1934, 12 ოქტომბერი, № 19, გვ. 4.

ავტორი კ. კიკინაძის წერილის გამო (ვახ. „ლიტერატურული გახეთი“ № 17), ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენა-გამოცემის შესახებ შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტი დადგენის თვალსაზრისით ყველაზე მეტად მოიკლებს სწორედ კ. კიკინაძის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანში.

ავტორს სანიმუშოდ მოჰყავს კ. კიკინაძის გასწორებით ვეფხისტყაოსნის 71-ე სტროფი (მონადირეთა უბრაანა: „მინდორნი მოიარენით“), როგორც მცდარი წაკითხვა, რაც არ შეეფერება რუსთაველის შეტყულებას. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ტექსტი ჯერ დაუდგენელია და პოემის მხატვრულ გაგებაზე ლაპარაკი მხოლოდ პირობითად შეიძლება.

1142. ვ. ბერიძე

როგორ უნდა ბოლოვდებოდეს „ვეფხისტყაოსანი“

ვახ. ლიტერატურული გახეთი, 1934, 12 დეკემბერი, № 29, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს ანგარიშს ნოემბრის ბოლო რიცხვებში შემდგარ დისპუტის შესახებ ვეფხისტყაოსნის ირგვლივ მისი ტექსტის ახალ გამოცემასთან დაკავშირებით. ავტორი ახასიათებს კ. კიკინაძის მიერ 1934 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის შედგენილობას და ეხება ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხს, რისი გადწვევითაც, ავტორის აზრით, მნიშვნელობა აქვს ტარელთან დაკავშირებულ თხრობას. პოემა ბუნებრივად მთავრდება ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოსხნით. ამის შემდეგ ნაწარმოების სხვა გმირები ზოგი მოკვდნენ, ზოგი ცოცხლები დარჩნენ, მაგრამ მათ ამბავს პოემისათვის მნიშვნელობა აღარა აქვს.

ავტორის შენიშვნით, კ. კიკინაძის კვლევის მეთოდი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენასა და ცალკეული წაკითხვების გასწორებაში მეტად ცალმხრივი და არასაკმარისია. მთელი მისი მუშაობის საფუძველი ფორმალზმია, რის გამოც მისი ცდა რჩება ცდად. ამასთან დაკავშირებით ავტორი გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას როგორც ტექსტის, ისე მთლიანად გამოცემის შედგენილობის შესახებ.

1143. გუკოლ ბერიძე

შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი

ვახ. მუშა, 1934, 20 დეკემბერი, № 29, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს პოპულარულ ნარკვევს რუსთაველის პიროვნებასა და შემოქმედებაზე. ავტორი ეხება შოთა რუსთაველის ფსევდონიმისა და სა-

დაურობის საკითხს და აღნიშნავს, რომ პოეტის მესხეთიდანაა წარმოშობილი. ავტორი აღნიშნავს პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ თარიღებს, კერძოდ, მას მიაჩნია, რომ პოემა დაწერილია არა უკვიანეს 1212 წლისა. ავტორი პოეტის შინაარსის მოკლედ გადმოცემის შემდეგ ეხება მისი ორიგინალობის პრობლემას და აკრიტიკებს აკაკი წერეთლის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის გმირებში საქართველოს ცალკეული კუთხური ხასიათების გამოხატვის შესახებ.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ღირებულებას და ეხება პოემის პროლოგში მოცემული პოეტიკის თეორიას, პოემაში გამოხატულ იდეალებს — მეგობრობას, სიყვარულს, ვეფხისტყაოსნის ანდაზა-აფორიზმებს. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის დამოუკიდებლობას რელიგიურ მიყრდნობაში და ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში.

1144. ვუკ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსანი“ კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით.

ზედა ვლა, ფერადი და ილიუსტრაციები ლალა გულაშვილისა, ფედერატა

გან. კომუნისტ. 1934, 30 სექტემბერი № 227(493), გვ. 2, ქვედურა.

ავტორი აკრიტიკებს კ. ქიქინაძის ფორმალისტურ მეთოდს ლიტერატურულ კვლევა-ძიებაში და ეხება მის მიერ 1934 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის გეგმას და აღნიშნავს, რომ ეს გამოცემა ყველა გამოცემასთან შედარებით ვრცელია სტროფულად და მასში ბევრი ყალბი სტროფია შეტანილი. ავტორის შენიშვნით, შოთა რუსთაველმა ქართული სულიერი კულტურის დარგში იგივე როლი ითამაშა, რაც მატერიალური კულტურის ხაზით თამარმა. ისე როგორც თამარს მიაწერენ ბევრი შენობის აშენებას, ასევე რუსთაველს აწერენ ბევრი ჩანამატის ავტორობას. ავტორის დასკვნით, კ. ქიქინაძის მიერ ლეგალიზებული ბევრი ყალბი სტროფი ხორცმეტია ვეფხისტყაოსნისათვის. ასევე ზედმეტად მიაჩნია ავტორს რუსთაველისათვის ლექსების ავტორობის მიწერა.

რეცენზენტი განსაკუთრებით ჩერდება კ. ქიქინაძის მიერ დამახინჯებული წაკითხვების გასწორებაზე, მოჰყავს რამდენიმე მაგალითი და ამტკიცებს, რომ კ. ქიქინაძის დამახინჯებული ადგილების გასწორების ნაცვლად უპიკველად სწორი ადგილები დაუმახინჯებია.

ავტორი ეხება რუსთაველის ლექსის მეტრიკა და რიტმის საკითხებს და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი, რომელშიაც კ. ქიქინაძე რუსთაველის რიტმს არღვევს.

ავტორის საერთო დასკვნით, კ. ქიქინაძის ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა ბევრში ჩამოუვარდება წინა გამოცემებს. მასში ბევრი შეცდომაა, განსაკუთრებით გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში. მასში წარმოდგენილი ახსნა ბევრგან არაა სწორი, რასაც დიდი ენება მოაქვს გამოცემისათვის. გამოცემისათვის დართული ბიბლიოგრაფია უსრულია. ვეფხისტყაოსნის სიმფონია კ. ქიქინაძეზე აღრე შედგენილი ჰქონდათ მოსე ჯანაშვილს, შემდეგ გრ. სოლორაშვილს და უკანასკნელ პროფ. აკაკი შანიძეს. „მათში, განსაკუთრებით სოლორაშვილი უკვე 15 წელიწადია ყველა გამოცემილობას ეხვეწება ნაშრომის დაბეჭდვას, მაგრამ აპაოლ“.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნისათვის დართულ ლ. გულაშვილის მიერ შესრულებული სურათები არ შეეფერება პოემას.

1145. ინტენერა ბეჟანიშვილი

შოთა რუსთაველის ძეგლი

გახ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 4 სექტემბერი, № 16 (70), გვ. 1.

ავტორი შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილებასთან დაკავშირებით წინადადებას იძლევა, შოთა რუსთაველის ძეგლი რუსთაველის პროსპექტზე დაიდგა. ავტორი ასაბუთებს ადგილის მდებარეობას და ზოგადად ახასიათებს ძეგლის ფორმასა და იდეას.

1146. აკ. გაწერელია

რუსთაველის შესწავლისათვის

(საკითხის დასმის წესით)

გახ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 4 სექტემბერი, № 16(70), გვ. 4.

ავტორი ეხება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილების მნიშვნელობას რუსთაველის დაბადებიდან 750 წ. იუბილესა და ვეფხისტყაოსნის პოპულარიზაციის საკითხებზე და ჩერდება იმ ამოცანებზე, რომელნიც დადგენილებით გათვალისწინებულ თბილისის უნივერსიტეტის ლიტერატურულ ფაკულტეტთან დაარსებულ რუსთაველის კათედრისა, ვეფხისტყაოსნის შემსწავლელი სექციისა და რუსთაველის მუზეუმის წინაშე უნდა იდგნენ. ავტორი შენიშნავს, რომ ქართული ლიტერატურის ევოლუცია ვეფხისტყაოსნის უშუალო ზეგავლენით მიმდინარეობდა და მისი შესწავლა საერთოდ ქართული ლიტერატურის შესწავლის საკითხსაც აყენებს.

მისი აზრით, რუსთაველის კათედრის პირდაპირი დანიშნულებაა ვეფხისტყაოსნის მომავალი მკვლევარებისა და ქართული კლასიკური პოეზიის მომზადებული მკითხველების აღზრდა. რუსთაველის სექციას უნდა ჰქონდეს საკუთარი ორგანო „რუსთაველის ბიულეტენი“ ან „რუსთაველოლოგიური შტუდიები“-ს სახელწოდებით.

დასასრულს, ავტორი ჩერდება რუსთაველის მუზეუმის ამოცანებსა და რუსთაველის ბიბლიოთეკის დაარსების საკითხებზე.

1147. აკ. გაწერელია

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხისათვის

გახ. კომუნისტი, 1934, 1 ნოემბერი, № 253(4109), გვ. 3.

წერილის სათაურს სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა: „კამათის წესით“. ავტორი ეხება კონსტანტინე ჰიკინაძის რედაქციით 1934 წელს გამოცემლობა „ფედერაციის“ მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, არკვევს ვეფხისტყაოსნის ტექსტის მიმართებას ვახტანგის გამოცემასთან და ვახტანგის ტექსტის შედგენილობას. ავტორის აზრით, ვახტანგის გამოცემაში ვეფხისტყაოსანს აქვია ბუნებრივი დაბოლოება, მისგან დარჩენილია მხოლოდ ნამსხვრევები.

დასასრულს, ავტორი არკვევს ინდოხატაელთა ამბის მიმართებას პოემის მოცულობასთან და ასკენის, რომ ინდოხატაელთა ამბის აღდგენა ვეფხისტყაოსანში აუცილებელია.

ბიბლიოგრაფია [ვეფხისტყაოსანზე]

წიგნში: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკლუვით და შენიშვნებით, ფედერაცია, 1934, გვ. 671—688.

ბიბლიოგრაფიის აქვს მცირე წინასიტყვაობა, რომელშიაც აღნიშნულია მთავარი პერიოდული გამოცემანი ბიბლიოგრაფიისა და წიგნის შედგენილობა. ბიბლიოგრაფია შეიცავს შემდეგ განყოფილებებს:

I. ვეფხისტყაოსნის გამოცემები 29 სახელწოდებით.

II. XVI—XVIII საუკუნეების მწერალთა ცნობები რუსთველზე (საძიებელი), 17 სახელწოდებით.

III. გამოკლევები, წერილები, რეცენზიები (1800—1933), 95 სახელწოდებით.

IV. ლიტერატურა, რომელიც ნაწილობრივ ეხება რუსთველსა და მის პოემას, 9 სახელწოდებით.

V. ქართული ფოლკლორი და ვეფხისტყაოსანი. 24 სახელწოდებით.

VI. ვეფხისტყაოსანი და ლიტერატურა მის შესახებ უცხო ენებზე:

სომხურად: ვ. ტყ.-ის თარგმანები, 7 სახელწოდებით.

წერილები და შენიშვნები, 5 სახელწოდებით.

რუსულად: ვეფხისტყაოსნის თარგმანები, 15 სახელწოდებით.

შრომები და წერილები, 35 სახელწოდებით.

დამატებითი ლიტერატურა, 19 სახელწოდებით.

უკრაინულად: 2 სახელწოდებით.

პოლონურად: 2 სახელწოდებით.

ინგლისურად: 4 სახელწოდებით.

გერმანულად: თარგმანები 3 სახელწოდება, წერილები 4 სახელწოდება.

ფრანგულად: თარგმანები 4 სახელწოდება, შრომები და წერილები 3 სახელწოდება,

დამატებითი ლიტერატურა 3 სახელწოდება.

ჰუნგარულად: 1 სახელწოდება.

ბიბლიოგრაფიის ზოგ სახელწოდებას ავტორი ურთავს მოკლე ხასიათის ცნობებს შრომათა ავტბულების შესახებ. მთლიანად ბიბლიოგრაფია შეიცავს 286 სახელწოდებას.

1149. ი. გრიშაშვილი

საიათნოვას უცნობი ლექსები?

(ი. მეგრელიძის წერილის გამო)

გაზ. ლიტერატურული გაზ. 1934, 30 ნომბერი, № 27, გვ. 5.

ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ სომეხ მხატვარს გ. ბაშინჯალიანს დაუხატავს რამდენიმე სურათი ვეფხისტყაოსნის თემატიკაზე.

1150. ა. დუდუჩავა

„ვეფხისტყაოსნის“ გარშემო

გაზ. კომუნისტ. 1934, 18 ნოემბერი, № 265, გვ. 3.

წერილს აქვს ქვესათაურები:

1. კლასიკური ლიტერატურის სოციალისტური ათვისება.

2. კ. ჭიჭინაძის ფორმალისტური მეთოდი.

3. პოემის ტექსტის საღაო საკითხებისათვის.

ავტორი ვეფხისტყაოსნის შესწავლის მეთოდებსა და მიზნებზე მსჯელობისას ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და ეხება კონსტანტინე ჭიჭინაძის მუშაობას პოემის შესასწავლად. მისი შენიშვნით, ჭიჭინაძის მუშაობა ვაცილებით მეტ ნაყოფს განილებდა და წასწევდა წინ რუსთაველის შესწავლის საქმეს, რომ ის არ გაეტაცნა კვლევა-ძიების ფორმალისტურ მე-

თოდს. ავტორი აკრიტიკებს ფორმალისტურ მეთოდს და ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლისა და დადგენის საკითხებს, კერძოდ იხილავს პოემის შედგენილობას და ასკენის, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი სიუჟეტურად არ არის რაიმე კავშირში ვეფხისტყაოსანთან და ის რუსთაველს არ ეკუთვნის.

1151. თ. ვარაზაშვილი

ვეფხისტყაოსნის გამოცემები

ჟურნ. დროშა, 1931, № 16—17, გვ. 4—6.

ავტორი ეხება ვახტანგ გეგექის მიერ 1712 წელს ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის პირობებს, ამ გამოცემის დევნას და ნუშაობას ვეფხისტყაოსნის შესასწავლად ცალკეული პრობლემების მიხედვით.

განხილულია პროლოგ-ეპილოგის საკითხი, მისი ორიგინალობა და ლიტერატურული კვლევა-ძიება ამ სფეროში, შოთა რუსთაველის სახელისა და გვარის ისტორია აველ ქართულ მწერლობაში შემორჩენილი ცნობების მიხედვით. ცალკე ჩერდება ჩანაბატების საკითხზე.

ავტორი აღნიშნავს ისტორიული ცნობების სიმცირეს ვეფხისტყაოსანსა და მის ავტორზე. ეხება რუსთაველის რელიგიის საკითხს, პოემის დაწერის თარიღს და აღნიშნავს, რომ პოემა დაწერილია 1208—1219 წლებში. ზოგადად მიმოიხილავს პოემის ორიგინალობის პრობლემას რუსთაველოლოგიურ კვლევა-ძიებაში და ჩერდება პოემის შედგენილობაზე.

1152. 6. ზომლეთელი

რუსთაველის რუსთაველობა

გახ. კომუნისტი, 1934, 28 ნოემბერი, № 274, გვ. 3.

სათაურს სკოლიოში აქვს შენიშვნა: კამათის წესით. რედ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი თამარსა და მის ეპოქაზე დაწერილი, უთუოდ მისივე სიცოცხლეში და ეხება თამარის მეორედ გათხოვების პერიოდს. ამ დებულების დასამტკიცებლად ავტორს გააყავს პარალელი თამარის ისტორიასა და პოემის ზოგიერთ ეპიზოდს შორის. მისი აზრით, გიორგი რუსის მოვლინება-გაძეგებად ორად გაყო ქართველობა და გიორგის გაძეგების შემდეგ თამარის ქება წილად ხვდა შოთა რუსთაველს, რომელიც დამარცხებულთა რიგებში იდგა და თავისი ქება ააგო როგორც მონანიებულმა. მან თავის თავზე აიღო ქართველ ფეოდალთა ორი უკმაყოფილო წრის შემრიგებლის როლი. ავტორის აზრით, სახელი რუსთაველი ეტიმოლოგიურად უნდა მოდიოდეს „რუსი“-დან, რაშიაც ვეფხისტყაოსნის ავტორი იმასაც გამოხატავდა, რომ ის ერთ დროს „რუსის“ ბანაკის მომხრე იყო და მას შესაძლოა შემთხვევით გეოგრაფიული ადგილის „რუსთავი“-ს სახელიც დაუქავ-შირდა.

1153. صلاب زاده

بهلوان پلنگینه يوش

ჟურნ. ارمان (Armaghan) 1913—1934 წელი, № 8, 566—575.

ტექსტი წარმოადგენს რუსთაველის ვეფხისტყაოსნის რამდენიმე თავის პროზაულ თხრობას სპარსულ ენაზე (გვ. 566—575). დასაწყისი:

در سرزمین عربستان پادشاه مقتدری بود بنام رستوان، پادشاه دختری داشت
تینتین نام که جمالش بحد کمال بود، چون دختر بزرگ شد پادشاه وززای خود را
جمع کرده گفت که پیر شده و امروز یا فردا رفتنی است... (გვ. 569)

ტექსტს წინ უძღვის მცირე წინასიტყვაობა მთარგმნელის თაღებ-ზადესი: (გვ. 566—569), რომელშიც ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ამ ნაწი-
ყვეტების სპარსულ ენაზე თარგმნის ვითარებას, ზოგადად ახასიათებს პოეზიას.
აღნიშნავს მის პოპულარობა-სიდიადეს და სთხოვს მკითხველებს, თუ ვეფხის-
ტყაოსნის სიუჟეტის მსგავსი რამ იციან სადმე, ხალხური თუ ლიტერატურუ-
ლი ამბავი, აცნობონ მას.

1164. თეიმურაზ I

[გამონათქვამები რუსთაველზე]

წიგნში: თეიმურაზ პირველი, თხზილვითა სრული კრებული, ტექსტი.
გამოკლევა, ლექსიკონი ალ. ბარანოვის და ვ. ჯაკობიას რედაქციით,
ფედერაცია. ტფილისი, MCMXXXIV, 318 გვ.

ავტორი იხსენიებს ვეფხისტყაოსნის გმირებს ტარიელს, ავთანდილს,
ფატმანს, გადმოცემს პოემის ფაბულას ლექსად და აღნიშნავს:

„ესენი შოთამ რუსთველმან შეაკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერე თამარის სმობითა,
იტყვის:—„უბოვეო ამბავი პირველ სპარსთაგან მობითა“
შეათხზა ბროლსა გიშერი, რომსა სადაჲი წყობითა“.
„გამოაცხადებს ნათქვამი მის, რუსთაველისა, ქებასა,
დასაბამითგან შაირთა მიქმენი თვით სად ვინ ეხასა!“

(მიჯნურთ ამბავი იოსებისა და ზილიზანისა, გვ. 62, სტროფები 17. 13).

„რუსთველმანც თქვა: „ნურეინ თქვასო სიტყვა ცუდად წასახლოჲი“ (გვ. 39, სტროფი 7).

„შოთამ თქვა სწორად მიდგომა შვისაგან ვარჯთა, ნეხვისა“

(შედარება განაფხულისა და შემოდგომისა, გვ. 111, სტროფი 93).

„ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქეზენ, მე იმან განაგულისა“

(მაჯამა, გვ. 125, ბოლოსიტყვაობა, სტროფი 1).

„ხესა კაკრა გასცვივნოდეს, თუსლსა კენუნდეს იაღონი.

რუსთველმანცა ერთობ აქო მისი სტეჲა მოსანდონი“ (გვ. 104, სტროფი 39).

თეიმურაზის თხზულებათა გამოცემები: 1886 წ. ზ. კიკინაძისა, 1926 წ..
ანთოლოგია ტ. II.

1165. ხ. თოდრაია

[რუსთველის იუბილეს გამო]

გახ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10 (27), გვ. 6.

მთელ გვერდს აქვს წარწერა: შოთა რუსთაველის 750 წლის თავზე ზე-
იმი 1937 წელს მოეწეება.

ავტორი აღნიშნავს, რომ სპარსულ-ბერძნული ლიტერატურის გაილენა
რუსთაველზე სადაო საკითხია, მაგრამ თვით რუსთაველის დიდი გავლენა ქარ-
თულ ლიტერატურაზე სადავო არ არის.

დასასრულს, ავტორი მოუწოდებს შოთა რუსთაველისათვის იუბილეს.
გადახდას და ძეგლის აგებას.

1166. კ. კაპანელი

შოთა რუსთაველი

გახ. კომუნისტური განათლება, 1934, 24 დეკემბერი, № 29(100), გვ. 3..

წერილს აქვს ქვესათაურები:

საბჭოთა კულტურა და შოთა რუსთაველი. რუსთველი თუ რუსთაველი. „ვეფხის ტყაოსნის“
რედაქცია. „ვეფხის ტყაოსანი“ როგორც ლიტერატურული ნაწარმოები.

ავტორი ზოგადად აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების შესწავლისა
მდგომარეობას, ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საჭიროებას და.

უთითებს ზოგ სტროფს, რომელიც, მისი აზრით, შემდგომი დროის ჩანაშაღს წარმოადგენს. ავტორი ვეფხისტყაოსნის მხატვრული დახასიათებისას აღნიშნავს მასში არაბულ-სპარსული ეპოსის კულტურულ-ესთეტიურ მონაცემებს და იმ გარემოებას, რომ „რუსთაველის პოემიდან ადამიანი გამოიყურება ელინური პლასტიკობით და სიმშვენიერით“. რუსთაველის შემოქმედება პრინციპულად და სტრუქტურულად განსხვავდება ირანული თხზულებებისაგან, მასში უფრო ელინური იგრძნობა.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მთავარ მოტივებს, ეხება მისი მსოფლმხედველობის ძირებს და ღვთაების გავებას, რომელიც, მისი აზრით, პოემაში წარმოდგენილია ფილოსოფიურ-ესთეტიური თვალთახედვით. ღმერთი და ბედი ხშირად ერთი და იგივეა. ბედი გამოსატყვევს აუცილებლობას. რუსთაველის ფილოსოფიის წყარო ელინური კულტურაა.

დასასრულს, ავტორი ეხება რუსთაველის თეორიას პოეზიაზე. გამოთქმას „რუსთველი“ ავტორი ესთეტიური საუქმელით ასაბუთებს.

1157. პროფ. კორ. კეკელიძე

ახალი ეტაპი რუსთაველოლოგიაში

გახ. სიტყვა და საქმე, 1934, 1 ნომბერი, № 6, გვ. 5.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ჯეროვან შეუსწავლელობას და სუბიექტივიზმს, რომლითაც ხელმძღვანელობენ ვეფხისტყაოსნის ბეჭდვასა და გაგებაში. ავტორის აზრით, ყოველგვარ კუთხურ თვალსაზრისსა და სუბიექტივიზმს პოემის შესწავლაში ბოლო ეღება რუსთაველის შესახებ 20 აგვისტოს დადგენილების შემდეგ. ამ აქტით ვეფხისტყაოსანი გამოცხადებულია პროფტარული საზოგადოებრიობის საკუთრებად, შექმნილია რუსთაველოლოგიის მტკიცე კოლექტივი, უნივერსიტეტში შექმნილია რუსთაველოლოგიის სპეციალური კათედრა. ავტორი რუსთაველოლოგიური კვლევების მიზნებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ: „შეუძლებელია ვეფხისტყაოსნის“ ამოგლეჯა სპარსული კულტურის რკალიდან“.

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის დასურათებისას „ინდო-სპარსულ-არაბული პერსონაჟების მაგიერ არ მივიღოთ ქართულად თავდახურული ქალები და ქართულ ქულაჯაში გამოწყობილი ახალგაზრდები“ (ნაგულისხმევია მხატვარი ზიჩი).

1158. მ. კელენჯერიძე-ტორკველი

ვეფხისტყაოსანი“ ხელნაწი

გახ. საბჭოთა ხელნაწი, 1934, 12 ოქტომბერი, № 11 (28), გვ. 1.

ავტორი ჩერდება 1910 წ. დაბეჭდილი ია კარგარეთელის წიგნში: „КРАТКИЙ ОЧЕРК ПО ИСТОРИИ ГРЕКОИТАСКИХ МУЗЫК“ გამოთქმულ მოსაზრებაზე შოთა რუსთაველის ენის მუსიკალობის შესახებ. ეხება რუსთაველის ტექსტზე მუსიკალური ნაწარმოების დაწერის ცდებს (ლ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ნ. სულხანიშვილი, იპოლიტოვ-ივანოვი). ავტორი აგრეთვე ეხება ვეფხისტყაოსნის გამოხატულებას ხალხურ სიმღერებში, მხატვრობა-ქანდაკებაში (იაკობ ნიკოლაძისა და ნ. თარხნიშვილისა), ვეფხისტყაოსნის დასურათებას, განსაკუთრებით „ერისთავიანთ“ ხელნაწერის შოთას პორტრეტის გავრცელებას საკითხს, ჯვრის მონასტრის ფრესკაზე შოთას გამოხატულებას, ვეფხისტყაოსნის დამსურათებელთა შორის ჩამოთვლის ივანე ავალიშვილს, მამუკა თაყაქარაშვილს და უნგრელ მხატვარს ზიჩის.

1169. **ო. ლისაშვილი**

წერილი რედაქციის მიმართ

გაზ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 10 აგვისტო, № 15, გვ. 6.

ავტორი გამოცემლობა „ვეფერაციის“ სახელით პასუხს აძლევს კ. ქიქინაძის მიერ წამოყენებულ ბრალდებებს ვეფხისტყაოსნის გამოცემასთან დაკავშირებით („სალიტერატურო გაზეთი“, 1934, № 14). ავტორი ეხება გამოცემის მომზადების ისტორიას და კამათს გამოცემისათვის რითმების ინდექსისა და სიმფონიის დართვის შესახებ.

1160. **ო. მანსვეტაშვილი**

წარსულიან

ჟურნ. მნათობი, 1934, № 11—12, გვ. 216—235.

ავტორი იღია ქავექვაძის თანამედროვეობაზე მსჯელობისას გაკვრით ჩერდება ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის ისტორიაზე და აღნიშნავს არტურ ლანცის, ინგლისელი პროფესორის მორფლის, მარჯორი უორდროპის და ბალმონტის ცდებს ვეფხისტყაოსნის გადასათარგმნელად. ავტორის სიტყვით, პროფ. მორფილი თბილისში ჩამოსულა და გადაწყვეტილი ჰქონია ვეფხისტყაოსნის თარგმნა, თუმცა განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია. მარჯორი უორდროპმა თავისი თარგმანით ხელი შეუწყო აგრეთვე სხვების დაინტერესებას ვეფხისტყაოსნით, კერძოდ, ავტორის აღნიშვნით, მარჯორი უორდროპმა ხელი გაუშარათა ბალმონტს ეთარგმნა რუსულ ენაზე ვეფხისტყაოსანი (გვ. 220—221) და მოჰყავს ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ შეხვედა ეს ორი უცხოელი ერთმანეთს გემზე და დაიწყეს ლაპარაკი ვეფხისტყაოსნის შესახებ.

1161. **იური შარა**

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობიან

ჟურნ. მნათობი, 1934, № 9, გვ. 144—148.

ავტორს იმის ნათელსაყოფად, რომ შოთა რუსთაველი შესაძლოა შაჰნაშეს იცნობდა, მოჰყავს ვეფხისტყაოსნისა და შაჰნაშეს ნაწყვეტები მათ შორის პარალელის გასატარებლად. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ასახელებს ნ. მარის წრომებს, რომლებშიაც აღძრულია საკითხი რუსთაველის სიახლოვისა და შესაძლოა პირადი ნაცნობობისაც გამოჩენილ სპარსულ კლასიკებთან.

1162. **ო. შარა**

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის

კრებ. მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, საზ. უნივერსიტეტი, 1934, გვ. 185—192.

ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის 9, 9 ტაქს („ვით მარგალიტი ოზოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“) სიტყვის „ოზოლი“ და „საგოგმანები“-ს გაგებისათვის მოცემულ კონტექსტში. მოჰყავს საგნის ლიტერატურა.

1163. **А. Маруашвили**

Диспут о новом издании Шота Руставели

გაზ. На Рубеже Востока, 1934, 30 ноября, № 21 (24), გვ. 2.

წერილი შეიცავს მოკლე ანგარიშს მ. ჯავახიშვილის მიერ 19, 20 ნოემბერს მწერალთა სასახლეში წაკითხული მოხსენების შესახებ თემაზე კ. ქიქინაძის რედაქციით 1934 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსანი.

მომხსენებელს ძირითადად მოსწონებია კ. კიკინაძის გამოცემა ვეფხისტყაოსნისა შესწორებებით, კერძოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის ინდო-ხატაელთა ამბის დამატება.

კამათში მონაწილეობა მიუღიათ პროფ. ვ. ბერიძეს, ა. გაწერელიას, კ. გამსახურდიას, შ. აღიშვილსა და ს. იორდანიშვილს.

1164. А. Маруашвили

Великий мастер слова — художник-учений

გახ. Заря Востока, 1934, 23 октября, № 247, გვ. 3.

ავტორი იბილაეს ვეფხისტყაოსნის აგებულებასა და სიუჟეტს, ეხება მის შინაარსს და ცდილობს უჩვენოს რუსთაველის პოემის ზოგი გეოგრაფიული ადგილის მდებარეობა თანამედროვე გაგებაში და აღნიშნავს რუსთაველის დიდ გეოგრაფიულ და ასტრონომიულ განსწავლულობას.

1165. პროფ. მელიქეთ ბეგო

ვეფხისტყაოსანი და ლიტერატურა მის შესახებ სომხურად წიგნში: შოთა რუსთაველი—კონსტანტინე კიკინაძის რედაქციით, გამოკლევით და შენიშვნებით [ტფილისი], 1934, გვ. 581—682.

ბიბლიოგრაფია შეიცავს ორ განყოფილებას:

1. ვ. ტყ.-ის თარგმანები, 7 სახელწოდებით.
2. წერილები და შენიშვნები, 5 სახელწოდებით.

1166. ვ. ჟორჟოლაძე

ვეფხისტყაოსანი უკრაინულად

გახ. სალიტერატურა გაზეთი, 1934, 16 თებერვალი № 5 (59), გვ. 4.

ავტორი ეხება უკრაინული ჟურნალის „ჩერკოზი შლია“-ს (წითელი გზა) უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილ ვეფხისტყაოსნის უკრაინული თარგმანის ნიმუშებს მიკოლა ბაეანის შესრულებით. ავტორი მალაღ შეფასებას აძლევს თარგმანს და მოჰყავს მიკოლა ბაეანის წინასიტყვაობიდან ამონაწერები თარგმანზე მუშაობის შესახებ.

ავტორის რწმენით, მ. ბაეანი გაამართლებს მასზე დაკისრებულ ამ ძნელ შოკალეობას.

1167. [შოთა რუსთაველზე]

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავი

საქ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილება

გახ. კომუნისტი, 1934, 21 აგვისტო, № 193, გვ. 1.

გახ. სალიტერატურა გაზეთი, 1934, 4 სექტემბერი, № 16, გვ. 1.

გახ. მუშა, 1934, 22 აგვისტო, № 193, გვ. 1.

ჟურნ. დროშა, 1934, № 16—17, გვ. 16.

გახ. Заря Востока, 1934, № 247, 23 октября, გვ. 3.

გახ. На Руссже Востока, 1934, 15 сентября, № 16 (19), გვ. 7.

როგორც მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი რუსთაველის შესწავლის ისტორიაში მომყავს სრულად.

საქ. კ. ბ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღგენს:

1. 1937 წლის ოქტომბერს მთელს საქართველოში მოეწყოს საყოველთაო სახალხო ზეიმი შოთა რუსთაველის დაბადების 750 წ. თავის აღსანიშნავად. 750 წელიწადი შესრულდა, რაც

დაიბადა უდიადესი პოეტი, მხატვრული სიტყვის გენიოსი ოსტატი შოთა რუსთაველი, რომლის უკუდავი კმნილება „ვეფხისტყაოსანი“ — მიუხედავად იმისა, რომ ბნელუთის მოციქულები — ფეოდალ-ხუცეები საუკუნეთა განმელობაში სდევნიდნენ მას და ცეცხლშიც კი ნთქავდნენ. — ლახავს საუკუნეთა წყებას, ხდება ხალხის ნამძვილი კუთვნილება, უდიდეს გაკლენას ახდენს მთელს შემდგომ ლიტერატურაზე და წარმოადგენს პოეტური შემოქმედების იმ ჯერ კიდევ მიუწვდომელ მწვერვალს, რომელზეც უნდა სწავლობდეს საქართველოს თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურა.

2. ტფილისში აღიზარეთა შოთა რუსთაველის ძეგლი.
3. საიუბილეო ზეიმის ყველა მოსამზადებელ სამუშაოთა მოსაწყობად და შოთა რუსთაველის ძეგლის კონსტრუქციის ჩასატარებლად საქართველოს სახეობსაბჭოსთან დაარსდეს კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: [ჩამოთვლილია 41 კაცი, მათ შორის: აკადემიკოსი ნ. მარი, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. კ. კეკელიძე, პროფ. ი. აბულაძე, პროფ. ა. შანიძე, მ. ჯავახიშვილი, გ. ტაბიძე, კ. კვიციანიძე, პ. ინგოროვეა, კ. გამსახურდია, გერანტი კიკოძე, ნ. ნიკოლაძე, ა. ახმეტელი, პ. იაშვილი, ლ. გუდიაშვილი, ა. შანშიაშვილი, დ. არაყიშვილი].
4. განათლების სახალხო კომისარიატმა დააწესოს რუსთაველის სახელობის მუდმივი ჯილდო, რომელიც ყოველწლიურად მიესჯება საუკეთესო მაღალ-მხატვრულ პოეტურ ნაწარმოებთ (ორიგინალურს თუ თარგმნილს) ქართულ ენაზე და ამ მიზნით 1935 წლიდან ყოველწლიურად გაითვალისწინოს თავის ბიუჯეტში 20.000 მანეთი.
5. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტმა მოაშადაოს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემა და საამისო მუშაოს დაამთავროს 1936 წლის დაბლეთისთვის. სახელგამმა უზრუნველყოს გამოცემა რუსთაველის იუბილესთვის.
6. სახელგამმა 1935 წელს დაბეჭდოს „ვეფხისტყაოსნის“ გაიამებული გამოცემა მასობრივი ტირაჟით.
7. მოწინებულ იქნას გამომცემლობა „აკადემიის“ წინადადება „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის გამოცემის შესახებ. ამ საქმეში განათლების სახალხო კომისარიატმა ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს „აკადემიას“.
8. განათლების სახალხო კომისარიატს დაევალოს 2 თვის ვადაში დაამუშაოს და ცენტრალურ კომიტეტს წარუდგინოს ლონისტიებანი „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ენებზე თარგმნისა და გამოცემის შესახებ.
9. განათლების სახალხო კომისარიატმა და სახელგამმა გამოაცხადონ მხატვართა კონკურსი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის მხატვრულ გაფორმებასა და ილუსტრაციებზე.
10. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადოს კომპოზიტორთა კონკურსი რუსთაველის სახელთან და მის პოემასთან დაკავშირებულ საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებზე (ოპერა, სიმფონია და სხვ.).
11. საქართველოს სახინმრეწვა გამოაცხადოს კონკურსი „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო სცენარზე და შეიტანოს იგი 1935 წლის თემატიკურ გეგმაში.
12. განათლების სახალხო კომისარიატმა გამოაცხადოს კონკურსი „ვეფხისტყაოსნის“ საუკეთესო დრამატულ ნაწარმოებზე.
13. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტს მიეკუთვნოს შოთა რუსთაველის სახელი.
14. სახელმწიფო უნივერსიტეტის ს. ლიტერატურა ფაკულტეტმა დააარსოს შოთა რუსთაველის კათედრა.
15. სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტში მოეწყოს: ა) შოთა რუსთაველის შესწავლის სექცია და ბ) რუსთაველის მუზეუმი.

1168. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

კონსტანტინე კვიციანიძის რედაქციით, გამოკლევით და შენიშვნებით
ზედა ყდა, ფერადი სურათი და ილუსტრაციები ლადო გუდიაშვილისა.

[გამომცემლობა] ფედერაცია [ტფილისი 1934], 690 გვ.

ტიტულები მოიპოვება რუსულად და ფრანგულად.

ტექნოლოგიური და კორექტორები ალ. აბაშვილი, ხ. ვარდოშვილი.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი შეიცავს 1745 სტროფს და წარმოადგენს ყველაზე ვრცელი ტიპის ბეჭდურ გამოცემას.

ტექსტს წინ უძღვის გამოკლევა: „ვეფხისტყაოსნის დაბოლოება და შინაგანი მოცულობა“ (გვ. IX—XXXVII).

შენიშვნებში სათაურით: „მეტაფორები“ ცალკე გამოყოფილად მოთავსებულია 70 მეტაფორა (გვ. 296—298). დასაწყისი:

„ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვეს, ჰყრის ყოწინსა ბოლო ფრთათა“.

სათაურით: „აფორიზმები“ ცალკე გამოყოფილად მოთავსებულია 85 აფორიზმი (გვ. 300—303). დასაწყისი:

„გასტყხს ქვასა მგარსა გრდემლი ტყეისა ლბილისა“.

გამოცემისათვის დართულ შენიშვნებში სათაურით: „რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსები“ რედაქტორი მცირე წინასიტყვაობის შემდეგ ურთავს რამდენიმე ლექსს (გვ. 272—273), რომელსაც ის ტრადიციის მიხედვით შოთა რუსთაველს მიაწერს. ასეთებია:

1. ორი სტროფი I. რადგან სწორად გარდახდები; II. ფილოსოფოსნი შემოკრებენ.

2. როს ნაჭარმავეს მეფენი შეიღნივე პურად დამესხნეს.

3. თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა...: „ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა“.

4. იამბიკო ხაზულის ღეთისმშობლის ხატზე: „ქალწულებრიეთა სისხლთა შენთაგან, სძალო“.

გამოცემას დართული აქვს: რითმების ინდექსი (გვ. 321—418); სიმფონია (გვ. 419—657); ლექსიკონი (გვ. 658—666); სახელების საძიებელი (გვ. 667—670); ბიბლიოგრაფია (გვ. 671—688).

ვეფხისტყაოსნის ტექსტი შემდეგი თავებითაა წარმოდგენილი: დასაწყისი

1. ამბავი პირველი როსტევეან არაბთა მეფისა
2. ნახუა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა
3. აქა წიგნი აუთანდილისა თავის ყმათა თანა
4. წასულა აუთანდილისა ძებნად უცხო ყმისა
5. ტარიელისაგან თავის ამბის მბობა, აუთანდილს ჟამბო
6. ამბავი ტარიელის გამოიჯნურებისა, პირველ რომ გაუმიჯნურდა
7. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარულსა თანა მიწერილი პირველი
8. წიგნი ტარიელისა საყვარულსა თანა პირველად მიწერილი
9. წიგნი ტარიელისა ხატულთა თანა მიწერილი და კაცის ვაგზანად
10. წიგნი ხატულთა მეფისა ტარიელს წინაშე მოწერილი პასუხად
11. წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფისადმი
12. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარულსა თანა მიწერილი
13. წიგნი ტარიელისა საყვარულსა თანა მინაწერი პასუხად
14. ამბისა ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის დაკარგვისა.
15. ამბავი ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შემოეყარა
16. შეულა ტარიელისაგან ფრიდონისა
17. ფრიდონის მიერ ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა
18. ამბავი აუთანდილისა არაბეთს მიტყვეისა
19. დათხოვნა აუთანდილისაგან როსტევეან მეფისა
20. შერმად-ნის საუბარი აუთანდილისაგან, ოდეს გაიპარა
21. ანდერძი აუთანდილისა როსტევეან მეფისა მიმართ
22. ლოცვა აუთანდილისა მიზიეთას და გაპარვა მისი
23. ცნობა როსტევეან მეფისაგან აუთანდილის გაპარეთ წასვლისა
24. წასულა აუთანდილისაგან მეორედ და ტარიელის შეყრა
25. პოვნა აუთანდილისაგან ტარიელისა, ლომ-ვეფხნი რომ დაეხოცა
26. მბობა ტარიელისაგან აუთანდილისათვის ლომ-ვეფხთა დახოცისა
27. აქა ტარიელისა და აუთანდილისაგან ქვას ძისულა
28. წასულა აუთანდილისა ფრიდონისას
29. აუთანდილისაგან ფრიდონისას მისულა
30. წასულა აუთანდილისა ფრიდონისით ნესტანის საძებრად
31. ამბავი აუთანდილისაგან გულანშარას მისეღისა

32. მისვლა აეთანდილისა ფატმანისას
33. ფატმანისაგან აეთანდილის გამოჯნურება
34. წიგნი ფატმანისა აეთანდილთანა
35. წიგნი აეთანდილისაგან ფატმანთანა
36. აეთანდილისაგან ჩაჩნაგირისა და მისთა დარაჯთა დახოცვა
37. ნესტან-დარეჯანის ამბის მბობა ფატმანისაგან
38. ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის მოყვანა
39. უსტინისაგან გამჟღავნება ნესტან-დარეჯანისა მეფის წინაშე
40. ამბავი ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა
41. წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი
42. წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთან მიწერილი
43. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა წინაშე მიწერილი
44. წიგნი აეთანდილისაგან მიწერილი ფრიდონის წინაშე
45. წასვლა აეთანდილისა გულანშაროთ და ტარიელისა შყრა
46. ტარიელისა და აეთანდილისა წასვლა ფრიდონისას
47. თათბირი ფრიდონისა, აეთანდილისა და ტარიელისა
48. ქაჯეთის ციხის აღება და ნესტან-დარეჯანის დახსნა
49. მისვლა ტარიელისა ზღვათა მეფისას
50. ტარიელისაგან ზღვათა მეფისა გაყრა და ფრიდონისას მისვლა
51. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან
52. ტარიელისა ქვაბსავე მისვლა მეორედ და საჭურჭლეთ ნახვა
53. აქა ქორწილი აეთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისაგან
54. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა
55. ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატელთ დამორჩილება
56. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა დასასრული

1169. შოთა რუსთაველი

ანდერძი აეთანდილისა როსტევან მეფისა შიმართ ოდეს გაიპარა (ნაწყვეტი)

გახ. სა ლ ი ტ ვ რ ა ტ რ ო ჲ გა ხ ე თ ი, 1934, 24 ივლისი, № 14(68), გვ. 1.

ტექსტი შეიცავს 16 სტროფს. დასაწყისი:

„დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად“.

იქვე. გვ. 2. მეტათორები, აფორიზმები (ამოკრეფილთ კ. ქიქინაძის მიერ), მოყვანილია 36 მეტათორა. დასაწყისი:

„მუნვე წვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიჟრისა ღარი სად“.

აფორიზმები. მოყვანილია 21 აფორიზმი. დასაწყისი:

„გაბეღო სიტყვა მოკლედ ითქმის, შიირია ამაღ კარგი“.

წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი

გახ. სა ბ კ ვ თ ა ხ ე ლ ო ვ ე ნ ე ბ ა, 1934, 18 სექტემბერი, № 10(27), გვ. 3.

ტექსტი შეიცავს ოთხ სტროფს. დასაწყისი:

„წიგნი ვნაზე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა...“

1170. შოთა რუსთაველი

Барсова Шкура поэма Шота Руставели

Вступление

ჟურნ. Но в п и м и р, 1934, книга шестая, გვ. 97—108.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის შესავალი თავის 32 და პირველი თავის 52 სტროფს. თარგმანი სერგეი კლიჩკოვისა. დასაწყისი:

«Тот, кто создал исследование,
Духом, навлекившим с неба,
Мудро содеял все сущее,
В многоликом мире.»

დავ იმ ვ კრასე, ვ იხიანი
Землю нам на потребу.
Царь—его образ. Подобие
Успехиюх небу—иерфира». (გვ. 101).

ტექსტს წინ უძღვის მკირე წინასიტყვაობა (გვ. 97—101) რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ „А. С“ ინიციალებით. ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოში ტყუილ უბრალოდ მუშავდებოდა რუსთაველოლოგიის მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთაც მეცნიერებისათვის არაეითარი ღირებულება არა ჰქონდათ. როგორც არ უნდა გადაწყდეს რუსთაველის ბიოგრაფიის და შემოქმედების საკამათო საკითხები, ავტორს გადაქრილად მიაჩნია პოემისათვის პროლოგისა და ეპილოგის კუთვნილების, ასევე რუსთაველის შემოქმედებაზე სპარსული თუ ბიზანტიური გავლენის კვალის აღიარება.

ავტორი ეხება რუსთაველის ეპოქის კულტურას, ვეფხისტყაოსნის წყაროების საკითხს, მის ქართულ ძირებს, რუსთაველის ენას და ასკენის, რომ რუსთაველმა პოემა დაწერა ჯეპაროსანთა მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ — 1206—1219 წლებს შორის.

1171. შოთა რუსთაველი

Носящий тирговую шкуру

Сказание первое о Ростевани, царь арабов

გახ. Заря Востока, 1934, 23 Октября, № 247, გვ. 3.

ტექსტს წინ უძღვის უაქტროო მკირე წერილი ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის შესახებ. სქოლიოში აქვს შენიშვნა, რომ ამ ნაწყვეტის თარგმანი შესრულებულია კ. კვიციანიძის რედაქციით. ტექსტი შეიცავს პირველი თავის 12 სტროფს. დასაწყისი:

„Царя в Аравии когда-то судьбой счастливый Ростевани.
Великий, ласковый и щедрый, заповедать многих стран,
Судья народа справедливый, он милосердие источал,
В бою—отважный, царь в беседах умом и мудростью блистал“

Отрывок из вступления к „Барсовой шкуре“

Перевод с грузинского Пантелеймона Петренко

გახ. На Рубеже Востока, 1934, 23 октября, № 18 (21), გვ. 1.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროლოგის მე-12—17 სტროფების თარგმანს პოეზიის თეორიის შესახებ.

1172. ა. ს.

ვეფხისტყაოსნის ისტორიულ-გეოგრაფიული სარჩული

სახელგამი [ტფილისი], 1934, 46 გვ.

შინაარსი: წინასიტყვაობა. გულანშარო. მულაზხანხარი. ქაჯეთი. არაბეთი. ხატეთი.

ზეარაზმი. ინდოეთი. ვეფხისტყაოსნის მარშრუტები. როდისაა დაწერილი ვეფხისტყაოსანი“.

ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის ნაწარმოებში ერკლად და ცოცხლად არის დასახული მთელი სისტემა თანადროული სახელმწიფოებისა. რუსთაველისათვის არაბეთს, ჩინეთს, სულ სხვა შინაარსი ჰქონდა, ვიდრე დღეს ჩვენთვის აქვს“ (გვ. 3).

ავტორი არკვევს ყველა ამ გეოგრაფიული სახელის ისტორიულ მნიშვნელობას, ვეფხისტყაოსნის შედგენილობასა და სიუჟეტის განვითარებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან და აღგენს მათ გეოგრაფიულ მდებარეობას.

ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველი თავის მხატვრობაში იჩენს განსაკუთრებულ უნივერსალიზმს და კიდევ უფრო საკვირველ ინტერნაციონალიზმს. მის ნაწარმოებში მთელი მსოფლიო არის ასახული ან მოხსენებული ჰაინც. მისი აზროვნება ინდოეთიდან და ჩინეთიდან გიბრალტარამდე წვდება“ (გვ. 43).

ავტორის დასკვნით, ქაჯთა ქალაქი — გიბრალტარია, გულანშარო — ვენეცია, ასევე ერთი ქალაქის აღწერაში ავტორს ეგულება ტრაპიზონი (გვ. 44). ავტორი გეოგრაფიული პუნქტების გარკვევის საუძველზე ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანი შეუძლებელია 1204—6 წელზე ადრე და 1236—38 წელზე გვიან იყოს დაწერილი (გვ. 46).

იგივე, მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით დაიბეჭდა რუსულად სათაურით: Историко-географические основы поэмы Шота Руставели «Витязь в Тирренной шкуре», 1936.

1173. მალაქია ტორიშელიძე

რუსთაველის პოემა

წიგნი: მალაქია ტორიშელიძე, ქართული ლიტერატურა, მოხსენება საბჭოთა მწერლების პირველ საკვიპროო ყრილობაზე, 1934 წლის 20 აგვისტოს, სახელგანთქობილი, 1934, 92 გვ.

იგივე შემოკლებული სახით დაიბეჭდა: ჟურნ. „მნათობი“, 1934, № 7—8, გვ. 222—230. გახ. კომუნისტი, 1934, 27 აგვისტო. № 198, ავ. 2.

ქართული მწერლობის საერთო მიმოხილვისას ავტორი ეხება შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანს (გვ. 5—14). ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი მსოფლიო ლიტერატურის უდიდეს ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის, და ხაზს უსვამს მის გავლენას ქართულ მწერლობაზე, მის ხალხურობას, მისი ფორმის განსაკუთრებულ ოსტატობას (გვ. 5). ავტორი იხილავს რუსთაველის პოეტურ თეორიას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის უმაღლესი ოსტატობის ნიშანია მისი „შინაგანი ფორმა“, სიუჟეტის გაშლა (გვ. 6). მისი ლექსი ხასიათდება შეუდარებელი ქარმონიულობით, რითმების იშვიათი შეხამებით, შიირის მეტრის მინორული და მაჟორული სახეობით, რითმების მუსიკალობით (გვ. 7), შინაგანი ალიტერაციებით, ბგერათ-მსახველობით, პოეტური მეტაფორებით (გვ. 8). ავტორი აღარებს რუსთაველის პოეზიას სპარსულ-არაბულ, დასავლეთ ევროპის ტრუბადურებისა და აღორძინების ხანის პოეზიას (გვ. 9) და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი არ განისაზღვრება აღმოსავლეთით. საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის დახასიათებისას თამარის ეპოქაში ავტორი აღნიშნავს მისი კულტურული ცენტრების გავლენას მეზობელ ქვეყნებზე.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში გამოხატული ქალის კულტი მას განასხვავებს აღმოსავლური ყოფისაგან და ეს ქართული ცხოვრების ანარქელს წარმოადგენს (გვ. 10). ამ დროისათვის დასავლეთ ევროპის ხალხთა პოეზია მოუწვევებელია ქართულ პოეზიასთან შედარებით (გვ. 11). ქართული აღორძინება რამდენიმე საუკუნით ასწრებს ევროპისას (იქვე).

ავტორი ეხება რუსთაველის ფილოსოფიისა და ცოდნის წყაროებს (გვ. 12). მისი დასკვნით, რუსთაველის პოემა წარმოადგენს ყველაზე დიად ლიტერატურულ მემკვიდრეობას მთელი იმ საგანძურიდან, რაც მოგვცა შუა საუკუნეთა დასავლეთმა და ქრისტიანულმა მსოფლიომ (გვ. 12). დანტე ვერ განთავისუფლდა შუასაუკუნეობრივი აზროვნების ხუნდებისაგან, რაც შეძლო რუსთაველმა (გვ. 13). 'ის მალა დგას რელიგიაზე, გვერდს უღლის ქრისტიანობას, ხოლო მუსულმანურ რიტუალებს სისულელეს უწოდებს (გვ. 13)-

პოეტის ფილოსოფიურ-რელიგიური მსოფლმხედველობა ხასიათდება სოლარისმით. ის მზეს თვლის ღვთაების ემანაციად, რის დასახასიათებლადაც ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტროფი («ღმერთსა შემვედრე...», «მზე უშენოდ არ იქნების...», «მიმავალი ცასა შესტირს», გვ. 14). ავტორის დასკვნით, «ამ თავისებური სოლარული პაგანიზმით შოთა რუსთაველი მალა დგას როგორც ქრისტიანობის, ისე მუსულმანობის წესობრივ რელიგიურობაზე. რუსთაველი აღწევს მსოფლმხედველობისა და თავისუფალი აზროვნების იმ სიფართოვეს, რომლისთვისაც არ მიუღწევია საშუალო საუკუნეთა დასაუღეთის არც ერთ პოეტს თვით ალორძინების ეპოქამდე» (გვ. 230)-

1174. [უავტორო]

პოემა «ვეფხვის ტყაოსანი» გამოცემა 12 ტომად

გაზ. კომუნისტი, 1934, 11 ნოემბერი, № 260 (4116), გვ. 4.

საინფორმაციო ცნობა, მომყავს სრულად:

«შოთა რუსთაველის საიუბილეო კომისიამ განიხილა «ვეფხვის ტყაოსანის» გამოცემის სქემა, რომელიც წარმოდგენილია ახ. პ. ივანოვსკის მიერ.

გვერდის ნიშნდვით პოემა გამოიცემა 12 ტომად. პირველი ოთხი ტომი შეიცავს «ვეფხვის ტყაოსანის» ძირითად ტექსტს და ვარიანტებს. მეხუთე და მეექვსე ტომში მოთავსებული იქნება სიტყვარები, კომენტარები, ინდექსები და ლექსიკური მასალა. დანარჩენ ექვს ტომში მოთავსებული იქნება შოთა რუსთაველის პოემის ხალხური ვარიანტები, ცნობები შემდგომ ლიტერატურაზე მისი გავლენის შესახებ, მასალები, მეცნიერთა დაკვირვებანი და სხვ.»

იგივე გაზ. «ლიტერატურული გაზეთი» 1934, 6 ნოემბერი, № 23 გვ. 3.

1175. [უავტორო]

რუსთაველის სახელობის კონკურსი

გაზ. კომუნისტი, 1934, 6 სექტემბერი, № 207 (4063), გვ. 3.

გაზ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10 (27), გვ. 6.

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 24 ოქტომბერი, № 21, გვ. 4.

ტექსტი წარმოადგენს დადგენილებას რუსთაველის სახელობის კონკურსის პირობების შესახებ, გამოცემულს საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის მიერ. განცხადების სახით, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის 20 აგვისტოს დადგენილების რეალიზაციის მიზნით შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის თავთან დაკავშირებით. კონკურსის საგანია:

I. საუკეთესო დრამატული ნაწარმოები რუსთაველის პოემის სიუჟეტზე.

II. რუსთაველის სახელთან და მის ოცნასთან დაკავშირებული საუკეთესო მუსიკალური ნაწარმოები.

III. ვეფხვის ტყაოსნის მხატვრული გაფორმება და ილუსტრაციები.

IV. საუკეთესო მალა-მხატვრული ნაწარმოებისათვის დაარსდეს რუსთაველის სახელობის ჯილდოს მიმნიჭებელი მუდმივი კომისია.

პირობებში ჩამოთვლილია ჯილდოს მიმნიჭებელი კომისიების წევრთა შემადგენლობა და განსაზღვრული პრემიების რაოდენობა.

1176. [უავტორო]

Конкурс на лучший сценарий «Барсова Шкура»

გაზ. На Рубеже Востока, Тифлис, 1934, сентябрь 15, № 16(19) გვ. 3.

კონკურსი ითვალისწინებს პრემიებს ვეფხისტყაოსნის თემაზე დაწერილ საუკეთესო სცენარისათვის, რომლის მიხედვითაც განხორციელდება კინოსურათი.

1177. [უავტორო]

[რუსთაველის გამოცემა რუსულ ენაზე]

წერილში: ქართული მხატვრული ლიტერატურა რუსულ ენაზე

ვახ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 6 აპრილი, № 7(61), გვ. 2

წერილი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის მდგომარეობას და რუსთაველის პოპულარიზაციას. დასაწყისში აღნიშნულია, რომ სოლ. იორდანიშვილის მიერ 1933 წელს შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული სიტყვასიტყვითი თარგმანი ლათინური ტრანსკრიფციით და ყოველი ტაეპის პროზაული თარგმანით გადაეგზავნა გამოცემელთა „აკადემიას“, რომელიც შეთანხმებისამებრ გამოუშვებს სპეციალურ ტექსტს ორ ცალკე გამოცემაში — ერთს ლექსად პოეტური გის ბალტრუშაიტისის თარგმანით, მეორეს პროზად, რომელიც მეცნიერულად იქნება დამუშავებული. ამავე გამოცემაში დაიბეჭდება გამოკვლევა „რა ადგილი უკავია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ მსოფლიო ლიტერატურაში“. დასასრულს მოცემულია ვეფხისტყაოსნის პროზაულ-მეცნიერულად დამუშავებული ტექსტის გამოცემის გეგმა: 1. ვეფხისტყაოსნის ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში. 2. ისტორიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა. 3. ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია. 4. ლინგვისტური კომენტარები. 5. იდეათა და ლიტერატურულ მიმდინარეობათა ბრძოლა ვეფხისტყაოსნის ირგვლივ. 6. რუსთაველის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური იდეები. 7. რუსთაველის პოემა როგორც ეპოქის ნიმუში. 8. ვეფხისტყაოსანი როგორც მხატვრული ნაწარმოები. 9. ვეფხისტყაოსნის პროზაულად თარგმნილი ტექსტი. 10. ბიბლიოგრაფიული ლიტერატურის მაჩვენებელი.

წერილის დასასრულს აღნიშნულია ის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ზემოაღნიშნული გეგმის განხორციელება.

1178. [უავტორო]

ლილ დაღვნილებს განხორციელებისათვის

ვახ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10(27), გვ. 1.

წერილი წარმოადგენს გაზეთის მეთაურს. ავტორი ზოგადად აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის დიდ მნიშვნელობას, მის მხატვრულ ღირსებებს, მის პოპულარიზაციას საქართველოში და აფასებს შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 20 აგვისტოს დადგენილებას, როგორც დიდ ისტორიულ ფაქტს ლენინისა და სტალინის ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებაში. დასასრულს, ავტორი მოუწოდებს გაძლიერდეს მზადება იუბილეისათვის.

1179. [უავტორო]

Диспут о новом издании «Барсовою шкуры» Руставели

ვახ. На Рубеже Востока, 1934, 23 октября, № 18(21), გვ. 3.

ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ მწერალთა სასახლეში მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა წაიკითხა მოხსენება ვეფხისტყაოსნის 1934 წლის გამოცემის შესახებ კ. კიკინაძის რედაქციით.

1180. [უავტორო]

Институт литературы и м. Ш. Руставели

ვახ. На Рубеже Востока, 1934, 23 октября, № 18(21), გვ. 1.

წერილში მოკლედ აღნიშნულია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის საგამომცემლო გეგმით რუსთაველის ირგვლივ განზრახულ გამოცემათა შესახებ.

იქვე: «Приветствия иностранных писателей». მცირე წერილი შეიცავს შოთა რუსთაველის 750 წლის თავის იუბილესთან დაკავშირებით მიღებულ დეპეშათა ტექსტებს შემდეგ პიროვნებათაგან: ტეოდორ პლიეიე, რაფაელ ალბერტი, ოსკარ მარია გრაფ, ტერეზა მარია ლეონ, ერნსტ ტოლლერ, ბალტერ ოლდენს ადამ შარეფ.

1181. [ჟაგტორო]

ვეფხისტყაოსანი სომხურ ენაზე

გაბ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 30 ნომბერი, № 27, გვ. 6.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ სომხეთის სახ. გამომცემლობის მიერ დამზადებულია დასაბუქდად ვ. მურადიანის მიერ სომხურად თარგმნილი ვეფხისტყაოსანი ტ. ხუმინის რედაქციით.

1182. [ჟაგტორო]

[ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების მაჩვენებელი]

წიგნი: გამოფენა—ფირდოუსი და ქართული-ირანული ურთიერთობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და ხელოვნების მუზეუმი მეტეხი, ტფილისი, 1934—1935, 87+XII გვ.

[ტექსტი შედგენილია ალ. ბარამიძისა და პ. ინვაროვიანს მიერ]

ტექსტში დასახელებულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები: 1600 წლის ახლო დროისა № 2074—II, 1680 წლისა № 54—II, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრისა № 5006—S როგორც ილუსტრაციების შემცველი.

1183. კომპოზიტორი ლეო ფალიაშვილი

[რუსთაველის იუბილეს გამო]

გაბ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10(27), გვ. 6.

ავტორი მოუწოდებს ყველა მწერალსა და ხელოვანს თავისი წვლილი შეიტანოს ამ დიდი დღესასწაულის აღსანიშნავად და თვითონ აღნიშნავს, რომ დაწერილი აქვს ოპერა ვეფხისტყაოსანი, რომელიც უკვე 1926 წელს მოწონებულა იყო სპეციალური კომისიის მიერ.

1184. აკაკი ფაღავა

[რუსთაველის იუბილეს გამო]

გაბ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10(27), გვ. 6.

ავტორი შოთა რუსთაველის 750 წლის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით ზოგად ხაზგასმით ეხება რუსთაველის შემოქმედებას, მის მნიშვნელობას და მოუწოდებს მისი ყოველმხრივ შესწავლისაკენ. დასასრულს, ავტორის აზრით, რუსთაველის ძეგლი უნდა დაიდგას რუსთაველის პროსპექტის თავში, მოედანზე.

1185. გერონტი ქიქოძე

რუსთაველის რელიეფის წინამორბედი

გაბ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 12 ოქტომბერი, № 19, გვ. 3.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ქართულ ლიტერატურასთან დიალექტიკურ ურთიერთობაში იმყოფება და იგი განაგრძობს მის საუკეთესო ტრადიციებს. იგი რევოლუციურია და კონსერვატორულია ერთსა და იმავე დროს. რუსთაველი ოპოზიციის იმყოფება ქრისტიანული სპირიტუალიზმით გამსჭვალულ მწერლობის ძეგლებთან.

ავტორი რუსთაველის ძირითადი მოტივების დახასიათებისას, რუსთაველის ჰუმანიზმისა და რელიეფის საფუძველს ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში ხედავს, სადაც ისინი სტიქიურად გამოიხატებოდნენ.

1186. С. Кубанейшвили

Тарიათ с народных вариантов поэмы Шота Руставели

გახ. На Рубеже Востока. 1934, 30 мая, № 21(24), стр. 2

ავტორი აღნიშნავს, რომ ხალხურ პოეზიაში შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი მრავალ ვარიანტად არის გადაღეჭილი, უმთავრესად ტარიელის თავგადასავლის მოტივებზე. ხალხურმა ეპოსმა ტარიელს რუსთაველისაგან განსხვავებით ლეგენდარულ-ფანტასტიკური იერი მისცა და დამახასიათებელი სოციალური თვისებებით აღჭურვა. ავტორი იხილავს ტარიელის სახეს, ხასიათს და თვისებებს ხალხური ეპოსის მიხედვით, რისთვისაც გამოყენებული აქვს ტარიელიანის სევანური, არტაანული, წინარებული, ჩოჩეთური, ქალღური, ქართლური, ახალციხური, ხიზაბაერული, ხევსურული და სხვა ვარიანტები.

1187. მიხეილ ჩიქოვანი

„ვეფხისტყაოსანი“ ხალხურ პოეზიაში

გახ. კომუნისტური, 1934 (4086), 4 თებერვალი, № 230, გვ. 3, ქვედურა, 7 სვეტი.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მნიშვნელობას, ზოგადად ახასიათებს როგორც მხატვრულ ძეგლს და აყენებს მისი საფუძვლიანი შესწავლის საკითხს ხალხურ პოეზიასთან ურთიერთობაში. ავტორის შენიშვნით, ხალხმა პოემის ხალხურ ვარიანტებში ახალი, მწიგნობრული თვის უცნობი მომენტები შეიტანა და თავისებურად განასახიერა ბევრი გმირი, ეპიზოდი და მოტივი. ავტორს მოჰყავს უამრავი მაგალითი ხალხური ვერსიების დასახასიათებლად და აღნიშნავს იმ მიზეზებს, რისთვისაც ასეთი ცვლილებანი განიცადა პოემამ ხალხის წარმოსახვაში. ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ხალხური ვარიანტების შესწავლის მდგომარეობას და მოჰყავს რამდენიმე ვარიანტის ტექსტი—პროზანარევი ლექსების სახით. ტექსტი თავდება „ავთანდილის სიკედილით“, რომელიც შედგება ცხრა სტროფისაგან. დასაწყისი:

„ავთანდილ გაიწადირა
ქედი მალალი ტყინი.
ვერც ხარი მოკლა, ვერც ფური,
ვერცა ირემი რქიანი...“

1188. გარლამ ძიძიგური

„სპასურია“ თუ „სპარსული“?

გახ. კომუნისტური განათლება, 1934, 24 დეკემბერი, № 29(100), გვ. 3.

ავტორის სიტყვით, მისთვის უთქვამთ სამეგრელოში, ნაქალაქეში ნასული ვეფხისტყაოსნის ისეთი ხელნაწერის შესახებ, რომლის ტექსტი არსებული ტექსტისაგან განსხვავდება. მაგ., ადგილი „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ ამ ხელნაწერში იკითხება: „ესე ამბავი სპარსური. სახალხოთ ნათარგმანები“, რაც ავტორის განმარტებით ასე უნდა გავიგოთ: „ესე ამბავი საჯარო—ეპოვე და სახალხოდ განემარტე, გავლექსე“, სადაც სპარსური ესძის როგორც სპა, სპასური—საჯარო, მხედრული.

დასასრულს ავტორი ხელნაწერის პატრონს მოუწოდებს წარმოადგინოს ხელნაწერი მისი შესწავლის მიზნით.

1189. ხახ. არტისტი ალ. წუწუნავა

[რუსთაველის იუბილეს გამო]

გახ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10(27), გვ. 6.

მთელ გვერდს აქვს წარწერა: „შოთა რუსთაველის 750 წლის თავზე ზეიმი 1937 წელს მოეწეობა“.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის სახალხო გამოცემის საკითხს და მოუწოდებს, რომ აღარ განმეორდეს გამოცემა „ფედერაციის“ შეცდომა პოემის 1934 წლის გამოცემის მსგავსად (გაფორმების თვალსაზრისით). საიუბილეო ღონისძიებებთან დაკავშირებით ავტორი წინადადებას იძლევა შოთა რუსთაველის ძეგლი დაიდგას რუსთაველის პროაქტიუზზე. დასასრულს, ავტორი ეხება სახკინმრეწვის მიერ ვეფხისტყაოსნის თემაზე სცენარის დასაწერად გამოცხადებული კონკურსის პირობებს.

1190. ჯ. კ.

ფირლოსი და რუსთაველი

გაზ. კომუნისტური განათლება, 1934, 24 დეკემბერი, № 29(100), გვ. 3.

მთელ გვერდს სათაურად აქვს „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“. ავტორი აღნიშნავს საქართველო-სპარსეთის ისტორიულ ურთიერთობას და იმ ფაქტს, რომ ძველი ირანი და საქართველო ხანგრძლივად ახლენდნენ ურთიერთგაყვლენას. ამასთან დაკავშირებით ავტორი ახასიათებს შაჰნამეს და ვეფხისტყაოსანს მათ დამოკიდებულებაში წარმომშობი ქვეყნების ვითარებასთან, ირანული პოეზიის მთავარ თემებზე და მოტივებს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ შაჰნამე ირანული ნაციონალური ინტერესებით შემოზღუდული თხზულებაა, ვეფხისტყაოსანი კი უაღრესად ინტერნაციონალურია თავისი იდეოლოგიური წყობითა და ფაბულური საფუძვლით. რუსთაველის შემოქმედების ძირითადი იდეალებია და გმირების დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს, რომ მასში მთავარია ადამიანის ხმა.

რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობაზე მაჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ მაშინ, როცა ევროპაში მტკიცე იყო ეგოცენტრისტული მსოფლგაგება, რუსთაველი ამ ღროს ერთმანეთთან იღებურად აკავშირებდა სხვადასხვა ეროვნებათა ინტერესებს და ამ კარჩაკეტილ პერიოდში პროგრესულ იდეალებს აყენებდა.

1191. კ. კვიციანიძე

ვეფხისტყაოსნის დაბოლოება და შინაგანი მოცულობა

წიგნი: შოთა რუსთაველი, კონსტანტინე კვიციანიძის რედაქციით, გამოკლვეთ და შენიშვნებით [ტფილისი], 1934, გვ. IX—XXVII.

ტექსტი წარმოადგენს გამოცემის წინასიტყვაობას, რომელშიაც ავტორი არკვევს პოემის ტექსტის დადგენა-შესწავლაათან დაკავშირებულ საკითხებს. ავტორი ეხება წინამდებარე ტექსტის დადგენის პრინციპებს, მეთოდს მუშაობისას და ავტორის ხელში მყოფი მასალის მოკლე მიმოხილვას. ავტორი არკვევს ხელნაწერი ტექსტებისა და ბექდურის მიმართებას და ცდილობს დაასაბუთოს მის მიერ მიღებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის სტროფული შედგენილობის სისწორე.

დასასრულს ავტორი ჩამოთვლის იმ ხელნაწერებსა და გამოცემებს, რომელნიც ტექსტის დადგენას დაუდო საფუძვლად. ამ სტატიაში აღძრული საკითხები ავტორს ნაწილობრივ დამუშავებული ჰქონდა წიგნი: „რუსთაველის გარემო“, 1928.

იქვე ტექსტს ერთვის „რედაქტორის შენიშვნები“, რომელიც შემდეგ საკითხებს შეიცავს:

რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსები (გვ. 271—273); დამახინჯებული ადგილების გასწორება (გვ. 274—276); გასწორება რითმებში (გვ. 277—284); გასწორება შიგნი ტექსტში

(გვ. 284—290); საეკო ადგილები (გვ. 290); პროლოგი და ეპილოგი (გვ. 291—293); მეტაფორები (გვ. 294—298); აურორისებები (გვ. 299—303); მეტრი და რიტმი (გვ. 304—307); მაჯამები (გვ. 308—314) რითმები (გვ. 313—320).

„რედაქტორის შენიშვნებს“ ერთეის რითმების ინდექსი.

დაბალი შაირის რითმები (გვ. 321—374). მაღალი შაირის რითმები (გვ. 374—418).

სიმფონია (ვეფხის-ტყაოსნის სრული ლექსიკა) (გვ. 419—657); ლექსიკონი — მცირე წინასიტყვაობით (გვ. 658—666); სახელების საძიებელი (გვ. 667—670).

ბიბლიოგრაფია: ვეფხისტყაოსნის გამოცემები და რუსთველოლოგიური ლიტერატურა სხვადასხვა ენაზე (გვ. 671—688).

1102. კონსტანტინე კვიციანიძე

რუსთაველის შეტყუარება

გახ. სიტყვა და საქმე, 1934, მაისის მესამე დეკადა, № 3, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მეტაფორის სიმღიღრეს და ახასიათებს მის მეტაფორულ მეტყველებას, როგორც მოკლესა და შინაარსით მაქსიმალურად დატვირთულს. საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე მეტაფორა შინაარსის ახსნით და განმარტებით.

1103. კონსტანტინე კვიციანიძე

ვეფხის ტყაოსანი

გახ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 16 მაისი, № 10, (64) გვ. 3, ქველრა.

ავტორი ეხება მის მიერ რედაქტირებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბეჭდვის პირობებს, ამ გამოცემის შედგენილობას, მის მხატვრულ დახასიათებას და აღარებს სხვა გამოცემებს სტროფული შედგენილობის მხრივ. ჩერდება განსაკუთრებით დამახინჯებული ადგილების გასწორებაზე და მოჰყავს თავისი გასწორების რამდენიმე მაგალითი და მოსაზრებები რიტმის, რითმის, მეტრის ხასიათის შესახებ და მათ უპირისპირებს მსოფლიო პოეზიის საზომებს.

გამოცემის გეგმის განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ ტექსტი გამოდის ორი ტირაჟით. პოემის ტექსტი შეიცავს 1745 სტროფს და 200 სტროფით აღემატება არსებულ გამოცემებს. წიგნს დართული აქვს სიმფონია, რითმთა ინდექსი, ბიბლიოგრაფია და ლექსიკონი.

1104. კონსტანტინე კვიციანიძე

„ვეფხის ტყაოსანის“ ახალი გამოცემა

გახ. კომუნისტი, 1934, 30 მაისი, № 124, (3970) გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ვითარებას ხელნაწერების მიხედვით, ეხება მის რედაქციას და შედგენილობის საკითხებს და აღნიშნავს პოემის შეუსწავლელობას. ავტორი ვაკერით ითვალისწინებს ჩატარებულ ტექსტოლოგიურ მუშაობას და ჩერდება მის მიერ პოემის ტექსტის დასადგენად და გამოსაცემად გაწეულ მუშაობაზე. დასასრულს, ავტორი ცდილობს დაასაბუთოს პოემაში ჩამატებული ე. წ. ჩანართი სტროფების მართებულობა.

1105. კონსტანტინე კვიციანიძე

„ვეფხის ტყაოსანი“-ს ახალი გამოცემა

გახ. სალიტერატურო გაზეთი, 1934, 24 ივლისი, № 14 (68) გვ. 2.

ავტორი უპასუხებს „ლიტერატურული გაზეთის“ შეკითხვაზე, თუ რა პირობებში დაიბეჭდა ვეფხისტყაოსნის მის მიერ რედაქტირებული გამოცემა.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ჩატარებულ მუშაობის შესახებ, ეხება გამოცემის გეგმას და ტექსტის დასურათებას ლ. გუდიაშვილის მიერ.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ზედმეტი არ იქნება, თუ ვიზრუნებთ რუსთაველის შეიდასი წლის იუბილესათვის.

წერილს დართული აქვს ვეფხისტყაოსნის ბექდვითი გამოცემის ბიბლიოგრაფია 27 სათაურით შემდეგი წლებისა: 1712, 1841, 1846, 1860, 1875, 1875, 1833, 1887, 1888, 1890, 1892, 1892, 1895, 1899, 1899, 1899, 1900, 1903, 1903, 1910, 1913, 1914, 1918, 1920, 1926, 1927, 1927 რედაქტორ-გამომცემლის და გამოცემის ადგილის ჩვენებით.

1196. კონსტანტინე კიკინაძე

რუსთაველის იუბილესათვის

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 30 სექტემბერი, № 17, გვ. 5.

ავტორი მცირე წერილში რუსთაველის იუბილესათვის საწინააღმდეგო დაკავშირებით ეხება ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემის საკითხს, კერძოდ პოემის შედგენილობას, გაფორმებას და ამასთან ერთად მის გასცენიურებისა და კინოფიკაციის შესაძლებლობას.

1197. Константин Чичинадзе

К истории текста поэмы Шота Руставели

გაზ. На Рубеже Востока, 1934, 18 ноября, № 20(23), გვ. 2.

წერილი წარმოადგენს პასუხს შ. არდიელის შენიშვნებზე ვეფხისტყაოსნის 1934 წლის გამოცემის შესახებ (გაზ. „На Рубеже Востока“, 1934, 23 октября, № 18 (21), გვ. 1), ავტორი ამასთან ერთად ცდილობს დაასაბუთოს 1934 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ტექსტისათვის მის მიერ დამატებული ინდო-ხატელთა ამზის მართებულობა.

1198. Конст. Чичинадзе

Шота Руставели и его поэма

გაზ. Зв'язь Востока, 1934, 23 октября, № 247, გვ. 3.

გადაბეჭდილია გაზეთში: «Советская Абхазия», 28 октября, № 249, გვ. 3.

წერილი შეიცავს შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის მოკლე დახასიათებას. ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას, მოკლედ იხილავს ლიტერატურულ ცნობებს პოეტის ირველივ, ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობას, შინაარსს, აღნიშნავს მის მთავარ მოტივებს და ახასიათებს რუსთაველის პოეტურ მეტყველებას.

1199. კონსტანტინე კიკინაძე

პასუხი ვუკ. ბერიძეს

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 24 ოქტომბერი, № 21, გვ. 6.

წერილი წარმოადგენს პასუხს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ცალკეული ადგილების გასწორების გამო ატეხილ კამათთან დაკავშირებით ვუკ. ბერიძის მიერ „ლიტერატურულ გაზეთში“ (№ 19) მოთავსებულ შენიშვნებზე, რომელშიაც გაკრიტიკებული იყო კ. კიკინაძის მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტის რამდენიმე გასწორება. კამათის საგანია 71-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის გაგება: „გაყარეს სმა და ნადიმი, მუნ ამოდ გავიხარენით“.

ავტორის დასკვნითი განცხადებით, „ვეფხისტყაოსნის ტექსტი არსებითად უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს და შემდეგი დიდმნიშვნელოვანი

სიტყვა რუსთაველის უკვდავი პოემის შესახებ უნდა მიეცეს მხატვრულ კრიტიკას“.

წერილს ბოლოში ერთვის რედაქციის შენიშვნა:

„აძლევს რა კონსტ. კიკინაძეს უკოლ ბერიძის წერილზე მასუბის გაყენის შესაძლებლობას. რედაქცია საესებით ვთანხვდება ვ. ბერიძის აზრს, რომ ტექსტის დასადგენად საჭიროა კვლავ გავაძეღდეს მეტნორული კვლევა-ძიება.“

კონსტ. კიკინაძის თვითკმაყოფილება კი, რედაქციის აზრით, საქმეს ზიანის ნეტს არაფერს მოუტანს“.

1200. კონსტანტინე კიკინაძე

როგორ უნდა ბოლოვებოდეს „ვეფხისტყაოსანი“

გახ. ლიტერატურული გახეთი, 1934, 12 დეკემბერი, № 29, გვ. 5.

წერილი წარმოადგენს ნოემბრის ბოლო რიცხვებში შემდგარი დისკუსიის ანგარიშს ვეფხისტყაოსნის შესახებ, უმთავრესად პოემის ტექსტის დაბოლოების საკითხზე.

ავტორის განცხადებით, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ რედაქციას მრავალი ხარვეზი ახასიათებს, რომელთა ამოკრება აუცილებელია იველ ხელნაწერებში შემონახული სტროფებით. ვახტანგის გამოცემაში შემოკლებულია დაბოლოება. ინდოხატაელთა ამბავი უეჭველად ძირითადი ტექსტის ნაწილია, ის სიუჟეტურად არის აუცილებელი, საყვებით რუსთაველურია და პოეტური ღირსებით ვეფხისტყაოსნის სიმალღესე დგას.

ავტორი ამ დებულებათა დასაბუთებაში ეკამათება ვ. ბერიძეს.

1201. მიხეილ ჯავახიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოებისათვის

(ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია)

გახ. კომუნისტი, 1934., 15 ნოემბერი, № 263 (4119), გვ. 3.

იგივე მცირე ცვლილებებით დაიბეჭდა:

ჟურნ. „მნათობი“, 1934, № 9, გვ. 177—191 სათაურით: „ვეფხისტყაოსანი“ კ. კიკინაძის რედაქციით; გახ. *Из „Русской Восток“*, 1934, 16-го декабря, № 22(25), გვ. 2, სათაურით «О конце Шота Руставели» (фабула, сюжет, композиция).

ავტორი კ. კიკინაძის მიერ 1934 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ტექსტთან დაკავშირებით ეხება პოემის შედგენილობას, მისი ვარიანტების ურთიერთობას და ტრადიციულ გამოცემასთან შეფარდებით არჩევს ყალბი ადგილების ჩამატებათა და შესწორებათა საკითხებს, უმთავრესად დაბოლოების პრობლემის განხილვის შუქზე. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი უნდა ავტორებს ჩანართებით შეურყენიათ. ბევრი ურთავდა საკუთარ სტროფებს, ასწორებდა, აკეთებდა. პოემა გადაწერაში იცვლებოდა. პოემის გადამწერთ ნებით თუ უნებლიეთ მრავალი შეცდომა შეუტანიათ. ამავე დროს არსებობს თვით რუსთაველის მიერ დაწერილი ვარიანტებიც.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვახტანგის გამოცემას, ჩერდება ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხზე კ. კიკინაძის გამოცემასთან მიმართებით და ცდილობს დაასაბუთოს, რომ მისი ცდა პოემისთვის დანართების დამატებისა მართებულია. დაბოლოების ეპიზოდების ანალიზისას ავტორი აღნიშნავს, რომ ვახტანგმა მოსკვა პოემის ბუნებრივი ბოლო. ამიტომ კ. კიკინაძის მიერ ინდოხატაელთა ამბის ვეფხისტყაოსნისათვის დართვა პოემას ბუნებრივად ასრულებს. ინდოხატაელთა ამბავი ამ გამოცემაში თავის ადგილას რომ არის ჩართული, იქიდანაც ჩანს, რომ ამ სამი თავის ალიტერაციად პოემის ძირითადი თავების ალიტერაციას უდგება.

1202. მიხეილ ჯავახიშვილი

რუსთაველი თუ რუსთველი

გაზ. კომუნისტი, 1934. 26 ოქტომბერი, № 248 (4104), გვ. 3.

წერილი წარმოადგენს გამომხატურებას პროფ. ი. აბულაძის მიერ აღმართულ საკითხზე „რუსთაველის“ დაწერილობის შესახებ (გაზ. „კომუნისტი“, 24 ოქტომბერი, № 247, გვ. 3, იხ. ანოტაცია № 1132). ავტორი, წინააღმდეგ პროფ. ი. აბულაძის მოსაზრებია, არ იზიარებს ფორმას „რუსთველი“, რადგან მიაჩნია, რომ „ა“ შესაძლო იყო ამოუარდნილიყო „რუსთაველი“ ფორმიდან ლექსის საზომის დაცვის საპირობებით. სადაც ის ზედმეტ მარცვალს შეჰქმნიდა. ავტორის დასკვნით, „რუსთველი“ ლექსის მეტრმა შემოიტანა და ფორმა „რუსთაველი“ უფრო კანონიერია, რის დასაბუთებასაც ცდილობს ანალოგიური წარმოების სხვა სახელებით.

1203. მიხეილ ჯავახიშვილი

როგორ უნდა ბოლოვდებოდეს „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1934, 6 დეკემბერი № 28, გვ. 2.

ტექსტი წარმოადგენს დისკუსიის ანგარიშს.

ავტორი ზოგადად ითვლისწინებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიას, მის გამოცემას, ტექსტში არსებული დანართებისა და წაკითხვების შერყენის მოვლენას და აღნიშნავს, რომ ვახტანგისეულ გამოცემას ბოლოში აკლია ბუნებრივი დაბოლოება პოემისა. მიიი აზრით, ამ მხრივ მართებულია პოეტ კ. კიკინაძის ცდა პოემის ამ დაბოლოების აღდგენისათვის, რაც ეწყობა შოთა რუსთაველის მიერვე გაკეთებული ვეფხისტყაოსნის ვრცელი ვარიანტის ტრადიციის აღდგენა. ავტორის შენიშვნით, რუსთაველი რომანს ქაჯეთის ციხის აღებით არ გაათავებდა — აქ თავდება მხოლოდ პირველი სიუჟეტური რკალი. პოემას აქვს მეორე სიუჟეტური რკალი, რომელიც ვახტანგის გამოცემაში არაა შესული — ესაა ინდოხატაელთა ამბავი, რომლის მოცილებით „დაიდრევა პოემის საერთო სტილიც და კომპოზიციის მთლიანობა, პროპორციის გრძნობა და რომანის ელემენტარული წესი“.

დასასრულს, ავტორის შენიშვნით, ინდოხატაელთა ამბის რუსთველურრობას ამტკიცებს პოემაში არსებული პატრიოტიზმის მოტივი, რომელიც ლოგიკურად ამთავრებს მიჯნურობის მოტივს.

1204. გ. ჯავახიშვილი

თეიმურაზის თარგმანები

წიგნი: თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძის და გ. ჯავახიშვილის რედაქციით, ფედერაცია, ტფილისი, MCMXXIV, გვ. 221—284.

ავტორი თეიმურაზის მთარგმნელობითი მუშაობისა და მეთოდის დახასიათებისას ჩერდება ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველზე (გვ. 255, 257, 281, 282, 283, 284).

ავტორი ეხება საკითხს, — იცოდა თუ არა შოთა რუსთაველმა ლეილ-შეჯუნჯიანი სპარსულ ორიგინალში (გვ. 255).

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის გაელენას თეიმურაზის ლირიკაზე და მოჰყავს სათანადო მაგალითები პარალელური ადგილების საჩვენებლად რუსთაველსა და თეიმურაზს შორის (გვ. 282—284).

1205. დ. ჯანელიძე

პიესა „რუსთაველი“ ქართულ ხეცაზე

გაზ. საბჭოთა ხელოვნება, 1934, 18 სექტემბერი, № 10(27), გვ. 6, ქვეფურა.

ავტორი ეხება 1890 წლის 4 თებერვალს ე. მესხის საბუნებისმეტყველო მისივე პიესის „რუსთაველის“ დადგმას, პიესის შედგენილობას, ენას, ნოქმედ პირებს და მაშინდელი პრესის გამოძახილს პიესის ირგვლივ.

ავტორის შენიშვნით, „დრამატურგს ხსენებულ პიესაში გარკვეული ნაროდ-ნიკული ტენდენცია შეუტანია, რუსთაველი არა მარტო მწერლად არის გამო-ყვანილი, არამედ პირველ ყოვლისა იგი მოქალაქეა, ხალხის გულშემატყევა-რი, მისი მოსარჩლე და მისთვის მებრძოლი“.

1206. დ. ჯანელიძე

სოციალური მოტივები ხალხურ ეფესხის ტუაოსანში“

გაზ. კომუნისტი, 1934, 12 ოქტომბერი, № 23 (4093), გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული ზეპირსიტყვიერების შეკრება-სთან დაკავშირებით ხალხური ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორიას და ეხება ლიტერატურული და ხალხური ვეფხისტყაოსნის მამართების საკითხს სოციალური მოტივების გამომხატვლების თვალსაზრისით. ავტორის შენიშ-ვნით: „ხალხური ვეფხის ტუაოსანი სულ სხვა სოციალური წრის იდეოლო-გიის გამომხატველია, ვიდრე სახელმოსვექილი პოეტის პოემა. ხალხური თქმუ-ლების გმირები სოციალური წარმოშობით სრულიად სხვა საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნიან ვიდრე რუსთაველის პოეზიათა განსახიერებელი სახეები“. ავ-ტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველისეული და ხალხური ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ვარიანტის მიხედვით პოემის მთავარ გმირებს, აღარება ეპიზო-დებს სათანადო ილუსტრაციის მოყვანით და აღნიშნავს, რომ ნაგ., სოლოლაშვი-ლის მიერ ჩაწერილი თქმულებით (იხ. ანოტაცია № 471), ტარიელ, ფრიდონ და ავთანდილ უბრალო კაცის შვილები არიან. ავტორის დასკვნით, „ლიტე-რატურულ ვეფხისტყაოსნისა და ხალხურ თქმულების გმირთა ვინაობა სო-ციალურად ერთიმეორეს არ ემთხვევა“.

1207. დ. ჯანელიძე

„ვეფხის ტუაოსნის“ მხატვრობა

გაზ. კომუნისტი, 1934, 10 დეკემბერი, № 284, გვ. 3, ქვეფურა.

ავტორის შენიშვნით, მე-16 საუკუნიდან მოყოლებული თვით მე-19 საუ-კუნემდე ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები უმთავრესად სპარსული სტილის ქარ-თული მხატვრობით არიან შემკობილი. ავტორი ახასიათებს ზოგ ხელნაწერს და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის დამსურათებლები არაფრით არ ჩამო-უვარდებიან სახელგანთქმულ სპარსელ მხატვრებს. ეს სპარსული სტილი ემ-სახურებოდა თავიდანაშურული წოდების გემოვნებას და ხასიათდება ში-ნაარსგამოცლილი ვიკრტოზული ოსტატობით, რომელსაც მთელი ყურადღე-ბა უმნიშვნელო დეტალების დამუშავებაზე გადააქვს. ამ ფორმალისტურ სტი-ლიზებულ მხატვრობას უპირისპირდება მანუკა თავაქარაშვილი, რომელიც ხა-სიათდება დინამიკურობით, ფსიქოლოგიზმით და ქართული ყოფაცხოვრები-თი კოლორიტით, თუმცა ის როგორც ხელოვანი მეტად ნოისუსტებს.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ბეჭდვითმა გამოცემამ დიდი ხნით შეაჩერა პოემის საილუსტრაციო მხატვრობა და მხოლოდ მეცხრე გა-

მოცემა დაიბეჭდა სურათებით (1888 წ.). ავტორის დახასიათებით, ზიჩის სურათები „პოემის ტექსტთან სტილურ წინააღმდეგობაშია“. „მეწვრიმალური გემოვნების ღონეს ვერ სცილდება, თავის წარმომსახველობით მეტად მდარეა და ოღნაედაც ვერ წვდება პოემის მდიდარ და მაღალ ბუნებას“. ავტორი გაკვრით იხსენიებს მალიშვილის მიერ პოემის დასურათების ცდას და აღნიშნავს, რომ ისიც ზიჩთან ერთად ვეფხისტყაოსნის დასურათებაში პოემის მხატვრობის დეკადანას წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსნის დასურათების რევოლუციის შემდეგდროინდელ ცდებს შორის ავტორი სპეციალურად ეხება გუდიაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის 1934 წლის გამოცემის დასურათებას. გუდიაშვილის მხატვრობის მთავარ ნიშნად ავტორს მიაჩნია „თანაბრად მოვლებული კონტურული ხაზი“, ხედვითი შთაბეჭდილების პრიმატი, ადამიანის სხეულის დეფორმაცია (სახის განტვირთვა ყურებისაგან, კისრის გაგრძელება, უსქესო ადამიანის მოცემა). ავტორის საბოლოო დასკვნით, გუდიაშვილი „ახალ ძვრას ახდენს ვეფხისტყაოსნის მხატვრობაში, თუმცა მისი გრაფიკული ინტერპრეტაცია დამაკმაყოფილებელი არ არის და ტექსტის იდეური მხარე მიჩქმალულია“.

1935

1208. პროფ. ე. აბულაძე

როგორ უნდა გავიგოთ „შოთა კუპრი“
გახ. კომუნისტი, 1935, 12 აპრილი, № 37, გვ. 3.

პაეულ ინგოროყვას მიერ რუსთაველის მანიქველობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით ავტორი ეხება „შოთა კუპრის“ მნიშვნელობას. საკითხის შესწავლის მოკლე მიმოხილვის შემდეგ ავტორი გამოთქვამს აზრს, რომ „შოთა მართლაც იყო „კუპრი“, ურწმუნო, საარწმუნოებისაგან განდგომილი“, მიუხედავად ამისა, შოთა მანიქველი არ იყო, როგორც პ. ინგოროყვას ჰგონია.

დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველის გმირები მართლმორწმუნე მუსლიმანებია და პოემაში ყურანის გამოხატულებაა, რაც მანიქველობას ეწინააღმდეგება.

1209. პროფ. ე. აბულაძე

„ვისრამიანის“ ტექსტისათვის
კრებ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფილისი, 1935,
წიგნი I გვ. 270—297.

ავტორი გაკვრით ეხება ვეფხისტყაოსანსა და ვისრამიანს შორის შემჩნეულ საერთო ფრაზებსა და სიტყვათა გამოთქმას, რაც აღრევე აღნიშნული ჰქონდა აკად. ნ. მარს (გვ. 274), და თავის მხრივ მოჰყავს ასეთი თანადამთხვევის საილუსტრაციოდ მაგალითები (გვ. 275—276).

1210. ნაქა აგიაშვილი

რომელი იქნება რუსთაველის რაიონი
გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1935, 10 აგვისტო, № 182, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების გაურკვეველობას, პოემის დენას სამღვდელოების მიერ, ზოგადად ახასიათებს მის შემოქმედებას და რუსთაველის 750 წლისათვის იუბილეისათვის ჩასატარებელ ღონისძიებათა შორის წინადადებას აყენებს დიდი პოეტის სამახსოვროდ საქართველოს ერთ-ერთ რაიონს დაერქვას რუსთაველის რაიონი.

1211. Алладин

Рукониси поэмى Шота Руставели

გახ. Заря Востока, 1935, 21 мая, № 116, გვ. 4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიუბილეო გამოცემისათვის სარედაქციო მუშაობას ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, მოკლედ ახასიათებს ზოგ ხელნაწერს და იმ მუშაობას, რომელსაც ტექსტის დამდგენი კომისია აწარმოებს სხდომების სახით, სადაც ვარიანტების მიხედვით პოემის კანონიკური ტექსტის დადგენა წარმოებს.

1212. Алладин

Об академическом издании Шота Руставели

გახ. На Рубеже Востока, 1935, 20 января, № 17(42), გვ. 3.

ავტორი მოკლედ ახასიათებს შოთა რუსთაველის შემოქმედებას და ეხება იმ მუშაობას, რომელიც წარმოებს ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისათვის საიუბილეოდ პოემისა და მასთან დაკავშირებული მასალის გამოცემისათვის. ავტორი მოკლედ აღწერს იმ ათი ტომის შინაარსს, რომელიც ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისათვის მზადდება. ავტორი გაკვირვებით ეხება რუსთაველის სახელობის ინსტიტუტში ჩატარებულ მუშაობას პოემის ტექსტის დასადგენად. დასასრულს, ავტორს მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი მცირე განმარტების დართვით.

იგივე მცირე ცელილებით: გახ. „Заря Востока“, 1935, 29 января, № 25, გვ. 3.

1213. ალ. ბარამიძე

შოთა რუსთაველი

წიგნ. საბჭოთა ხელთახეობა, 1935, ივნისი, № 2, გვ. 5—10.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას და პოემის პროლოგის ცნობების მიხედვით ასკენის, რომ რუსთაველის მოღვაწეობის დრო ზუსტად განისაზღვრება 1189—1212 წლებით.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობას და ქართული მწერლობის განვითარების პირობებს. მისი შენიშვნით, „რუსთაველის ლიტერატურული წყარო უნდა ყოფილიყო, რომელიც აწ დაკარგული, ერანიდან მომდინარე ქართული პროზაული მოთხრობა“ (გვ. 6), რომელიც პოეტს ძირეულად გარდაუქმნია და შეუფარდებია ქართული სოციალური და ნაციონალური ცხოვრების პირობებისათვის (იქვე). ავტორი იმოწმებს აკად. ნ. მარის შეხედულებებს. მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ კონსტრუქციას, აღნიშნავს მის დინამიკურობას და რუსთაველის სტილის მეტაფორულ ხასიათსა და ოსტატობას.

ავტორი იხილავს რუსთაველის ლექსის საკითხებს და მოჰყავს მაღალი და დაბალი შაირის ნიმუშები. ეხება ქართული მწერლობის დამოკიდებულებას რუსთაველის შემოქმედებისთან. ახასიათებს რუსთაველის პოეზიის თეორიას, მისი პოემის მოტივებს, მასში გამოხატულ სოციალურ იდეალებს და მისი აზროვნების მთავარ მომენტებს.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსნის 1712 წლის პირველ გამოცემას და ინტერპოლატურ მუშაობას, რომელიც გამოიხატა ვეფხისტყაოსნის ტექსტის გადაწერის პროცესში ვრცელი რედაქციების შექმნით.

1914. პანტ. ზერაძე

საბალი შაირის ბუნებისათვის ვეფხისტყაოსანში

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1935, № 3, გვ. 29—32.

ავტორი იხილავს ქართული პროსოდის საკითხს და გამოთქვამს მოსაზრებას ქართულში გრძელმოვანთა არსებობის შესახებ. ავტორი ჰეგზამეტრისა და გრძელი შაირის შედარებისას დაწვრილებით იხილავს მათ თავისებურებებს. მისი დასკვნით, გრძელ შაირსა და ჰეგზამეტრს აქვს ტერფების თანაბარი რაოდენობა. როგორც გრძელი შაირი, ისე ჰეგზამეტრი უმთავრესად დაქტილებისაგან შედგება. შაირში ორმარცვლოვანი ტერფები იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ჰეგზამეტრში სპონდე.

დასასრულს, ავტორი იძლევა გრძელი შაირის რიტმულ სხვაობათა სქემას.

1215. ვ. ზერაძე

საჭიროა თუ არა პოეტურ ნაწარმოების პროზაული თხრობა ღენის ენაზე

გაზ. კომუნისტური განათლება, 1935, 12 იანვარი, № 2(102), გვ. 3, ქვედურა.

ავტორი მოკლედ ეხება შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესათვის სამზადისს სხვადასხვა დარგში და ზათ შორის სპეციალურად იხილავს საკითხს:—საჭიროა თუ არა ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანის გაკეთება ქართულ ენაზე. ავტორი ასხვევებს შინაარსს თხრობისაგან და სანიმუშოდ მოჰყავს პოემის სქემატური შინაარსი. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება გიორგი იოსელიანის მიერ ვეფხისტყაოსნის მარტივი თხრობის ცდას და უარყოფითად ახასიათებს მის გაუღენას მოსწავლე ახალგაზრდობაზე.

ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის პროზაული თხრობა ქართულად ზედმეტი, უსარგებლო და მვენე შრომაა როგორც თვით პოემისათვის, ისე მკითხველისათვის.

1216. ვუკ. ზერაძე

რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის (ფატუში თუ განგება)

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1935, № 4, გვ. 39—62.

ავტორი აყენებს ვეფხისტყაოსანში განგებისა და ფატუმის დაპირისპირების საკითხს. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში განგებას უწოდებენ „ნეოპლატონისტურად გაგებული განგება“, რასაც „ფატალიზმის თეორიის“ კრიტიკას აყრდნობს. ვეფხისტყაოსნის გმირთა მსოფლმხედველობის საფუძველია არა ფატუმის, ფატალიზმის რწმენა, როგორც გმირთა ინდიფერენტობის, მათი უმოქმედობის განმსაზღვრელი, არამედ განგება, რაც მათ, პირიქით, ნების თავისუფლებას ანიჭებს. შეუძლებელია ფატალიზმის, როგორც უმოქმედობისა და პასიურობისაგან მოწოდების გამართლება თუნდაც მაჰმადიანურ ნიადაგზე, რაც თვით ვეფხისტყაოსნის გმირებს არ ახასიათებთ (გვ. 47). ძირითადი იმპულსი პოემის გმირთა აქტიურობისათვის განგების შეცნობაა (გვ. 43). მთლიანად პოემა შორსაა აღმოსავლური კვიციანისაგან. რუსთაველისათვის ფატუმი და გმირობა შეუთავსებელია (გვ. 48).

ავტორი აკრიტიკებს ნებედულებას თითქოს ვეფხისტყაოსანში გამოხატული იყოს პესიმიზმი. რუსთაველის გმირთა ტირილი და ცრემლის ღვრა არაა მსოფლმხედველობრივი, ის პოემაში „რომანის კომპოზიციითაა“ გამოწვეული.

ეს სტატია მცირე ცვლილებებით დაიბეჭდა რუსულად სათაურით: «К вопросу о мировоззрении Пуставели», კრებ. «Сборник Пуставели», Тифлис, 1938, გვ. 139—160.

1217. ბენო გორდენიანი

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებისათვის

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1935, სექტემბერი და ოქტომბერი, № 4, გვ. 83—90.
ავტორი აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რაც უნდა იყოს გათვალისწინებული ვეფხისტყაოსნის დასურათებისას და იხილავს ზიჩისა და გუდიაშვილის დასურათებას. ავტორის დასკვნით, ზიჩის სურათები უღაზაოანი არიან, ისინი ამცირებენ ვეფხისტყაოსანს. ზიჩის მიერ შექმნილი ერთგვარი შტამპის მოხსნა სცადა ლ. გუდიაშვილმა, მაგრამ მისი ცდაც მარცხით დამთავრდა.

1218. ე. გრიშაშვილი

შენიშვნები [რუსთაველის აფორიზმებზე]

წიგნი: საანდაზო ლექსები, ვეფხისტყაოსანი, ქილილა და დამანა, გურამიანი.

ილია კვაკავაძის ამოკრფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, ტფილისი, MCMXXXV, 204 გვ.

წიგნს წინ ერთვის ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობა „ჩემგან“ (გვ. 7—28), რომელშიაც ავტორი ეხება წიგნის შედგენის ისტორიასა და ხალხური ანდაზების რუსთაველის აფორიზმებთან ურთიერთობის საკითხებს.

„შენიშვნებში“ (გვ. 167—196) ავტორი ეხება რუსთაველის აფორიზმებს, რომელნიც ხალხური ანდაზების რეპერტუარში მოექცნენ.

1219. ა. ლულუჩაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერის შესახებ

(წინასწარი დახასიათება, მოკლე ისტორიული ცნობები)

გახ. კომუნისტი, 1935, 11 თებერვალი, № 36, გვ. 3, ჭედურა.

ავტორი საქავეშირო მეცნიერებათა აკადემიის მიერ საქართველოსათვის ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზა ციციშვილისეული ხელნაწერის გადმოცემასთან დაკავშირებით აღწერს ამ ხელნაწერს და შენიშნავს, რომ პოემას საქართველოში სდევნიდნენ სამღვდლო პირები და ცდილობდნენ მის გაყალბებას, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო პოემის შერყენისა დანამატი სტროფებით.

ავტორი ცდილობს გაარკვიოს ხელნაწერის წარმოშობისა და თარიღის საკითხები, ეხება მის შესახებ ლიტერატურაში არსებულ ცნობებს და ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის სტროფული შედგენილობის საკითხებს.

1220. K.

Текст поэмы Руставели

გახ. Восток, 1935, 23 октября, № 246, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, პოემის ხელნაწერთა გავრცელების ტრადიციის არსებობას, ტექსტის წარყენას გადამწერთა მიერ და იმეამად სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთაველის სექციაში მიმდინარე მუშაობას ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის. ავტორი მოკლეთ ახასიათებს ვეფხისტყაოსნის ზოგ ხელნაწერს და მის 1712, 1914, 1926, 1934 წლების გამოცემებს.

1221. ნ. კანდელაკი

შოთა რუსთაველის ჰუმორი

გახ. ლიტერატურული აქარისტანი, 1935, 25 იანვარი, № 2, გვ. 2.

ავტორი იუმორის ცნების განსაზღვრის შემდეგ აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი იშვიათად მიმართავს იუმორს, რასაც იყენებს ტექსტის ნათელსაყოფად. ავტორი ცდილობს ვეფხისტყაოსანში აქა-იქ ჩაკვალთული ჰუმორის ჩვენებას და სანიმუშოდ მოჰყავს რამდენიმე ციტატი პოემიდან.

1933. გიორგი ლეონიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი (წინასწარი ცნობები)

გაზ. კომუნისტი, 1935, 1 მარტი, № 52, გვ. 3, ქვედურა.

კრებ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფილისი, 1935, წიგნი I, გვ. 19—36.

ავტორი ეხება ე. წ. ციციშვილისეული ხელნაწერის ევრონეკროვისათვის გაჩუქების ისტორიას, მის შესახებ ქართულ რუსულ პრესაში არსებულ ცნობებს, მოკლედ აღწერს ხელნაწერს და არკვევს მისი წარმოშობის ვითარებას.

ავტორის დასკვნით, ხელნაწერი ზაზა ციციშვილის შეკვეთით 1663—1666 წლებში გადაუწერია პოეტ იოსებ ტფილელს. შეიცავს 190 ფურცელს. თუნცა თავდაპირველად 212 უნდა ჰქონოდა. მასში მოიპოვება ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტი გაგრძელებებით. აქვს საყურადღებო მინაწერები.

1923. ი. მანსვეტაშვილი

წარსულიან [ვეფხისტყაოსნის თარგმნის შესახებ]

ურნ. მხათობი, 1935, № 11—12, გვ. 216—235.

ავტორი გასული საუკუნის ქართული ლიტერატურული ცხოვრების საკითხებზე მსჯელობისას იგონებს ვეფხისტყაოსნის თარგმანებზე მუშაობას, რომელსაც ახორციელებდნენ ქართველ მწერალთა შემწეობით ა. ლაისტი, მარჯორი უორდროპი და სხვ. ამასთან ერთად ავტორი იგონებს, რომ თბილისში ჩამოვიდა ინგლისელი პროფესორი მორთილი, რომელსაც განზრახული ჰქონია ვეფხისტყაოსნის თარგმნა. მარჯორი უორდროპის მიერ შესრულებულმა თარგმანმა ხელი შეუწყო ბალმონტის წამოწყებასაც (გვ. 220—221).

1934. Ю. Н. Марр

Персидский прототип поэмы „Некто в Барсовой шкуре“

კრებ. АКАДЕМИЯ НАУК СССР,—XIV АКАДЕМИКУ Н. Я. МАРРУ

Москва-Ленинград, 1935, გვ. 613—619.

ავტორი აღნიშნავს, რომ მან 1931 წელს წამოაყენა წინადადება ნიზამის, ხაკანისა და რუსთაველის ეპოქისა და თხზულებების კოლექტიური შესწავლისათვის (გვ. 613). ჩერდება სიტყვა „აეთანდილ“-ის შესახებ ნ. მარის მიერ მოწოდებულ ეტიმოლოგიაზე, რომელსაც „ილ“ მიაჩნდა სვანური სუფიქსის გადმონაშთად. მოჰყავს მარის აზრი იმის შესახებ, რომ რუსთაველის მიერ გამოყენებული სპარსული ამბის პროზაული თხრობა ალბათ დიდხანს დადიოდა ხალხში, რომელშიაც „ტარიელ“ ჯერ კიდევ „შარიერ“—„შარიელ“ ფორმით არსებობდა (გვ. 616). ამასთან დაკავშირებით ავტორი ჩერდება ტარიელის, ნესტან-დარეჯანისა და სალამან-სალმან-ებსალის ეტიმოლოგიაზე.

1935. Ю. Н. Марр

К вопросу о позднейших толкованиях Хакани

კრებ. Хакани, Незаши, Руставели, АН СССР, Научно-исследовательский институт кавказоведения, Москва-Ленинград, 1935, I, გვ. 7—14.

ავტორი ხაკანის თხზულებებში კომენტატორებისა და გადამწერთა მიერ ზოგი სიტყვის არა სწორ გაგებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ:

«Не подлежит никакому сомнению, и Н. Н. Марр неоднократно отмечал это обстоятельство в «Древнегрузинских описаниях» и в статьях и высказываниях о «Витязе в Барсовой шкуре», что в позднейшие периоды имели место не только недоразумения с везгравинскими словами, но и непонимание слов. Фирян и отрывков, ставших идеологически непопулярными или неприемлемыми для новых читательских слоев, вплоть до нежелания видеть их в составе поэмы или стихов. Ясно, что повесть о некто в барсовой шкуре, в том виде, как она дошла до нас, прошла через ряд урезываний, дополнений, усечения и, может быть, переставовки» (გვ. 7).

Памяти моего слушателя Теряна

ჟურნ. Литературное Закавказье, Тифлис, 1935, № 2, февраль, გვ. 93—102.

ავტორი ახასიათებს ახალგაზრდა სომეხი პოეტ-მეცნიერის, თავისი მსწავლის ტერიალის მუშაობას ვეფხისტყაოსნის სომეხურ თარგმანზე. ავტორი ტერიალის მთარგმნელობით მეთოდზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ტერიანი ვეფხისტყაოსნის თარგმნის როგორც პოეტი. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მეცნიერული და პოეტური გაგების საკითხს, და აღნიშნავს, რომ ტერიანმა ვეფხისტყაოსნის პროლოგის სომეხურად თარგმნა და იწყო არა ჩემ მიერ დადგენილი პოემის პროლოგის ტექსტით, არამედ ტრადიციული ტექსტითაო. ტერიანს სიკვდილამდე მხოლოდ 12 სტროფის თარგმნა მოუწვრია.

ავტორი მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ტერიალის თარგმანს და ის პოემის დედნის კონგენიალურ თარგმანად მიაჩნია (გვ. 97). ტერიალის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის სომეხური თარგმანის ხასიათის გასათვალისწინებლად ავტორს მოჰყავს მისი რუსული თარგმანი მთლიანად. დასაწყისი:

«Гот, кто мошью всемогущим, создал неба свод небрежимый,

Душу свыше и дал душу каждому диканию во вселенной,

Кто даровал землю нам в ее беспредельности многошестную,

Тот усталовил на земле царя по образу своему и себе по цпету» (გვ. 99).

ვეფხისტყაოსნის ტერიალისეული თარგმანის შესახებ მარის ამ წერილთან დაკავშირებით, ტერიალის ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად იხ. პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგის წერილი: ვაჰან ტერიანი (გარდაცვალებიდან 10 წლის და დაბადებიდან 45 წლის შესრულების გამო), ჟურნ. «მნათობი», 1930, № 1, გვ. 216—221.

1227. პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგე

ზომეხი გადაწერილი «ვეფხისტყაოსნისა»

(შენიშვნა)

კრებ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტფილისი, 1935,

წიგნი I, გვ. 665—670.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის იმ ხელნაწერებს, რომელნიც XVII—XIX საუკუნეებში გაქართველებული სომეხი გადაწერილები-საგან არის გადაწერილი. ასეთებად ავტორს მიაჩნია:

1. 1671 წლის ხელნაწერი H 757 გადაწერილი აღმურანთ ბაღდასარას შეილის გასპარას მიერ.
2. 1680 წლის ხელნაწერი H 54 ბეგთაბეგის მიერ, რომელიც გიორგი XI-ის კარის მგოსანი და კალიგრაფი იყო.
3. პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერი № 10, გადაწერილი უეიცი სომხის ქალის ბეიას შეილის მიერ 1702 წელს.
4. 1826 წელს გადაწერილი უსახელო გადაწერის მიერ ყარაბაღის სოფელ ავეტარანოც ან ჩანახის.
5. 1839 წელს გადაწერილი ჩულღურეთში ავეტიკ გორგიჯანოვის მიერ.

1228. რეფ. კ. შიქაბერიძე

„ქაჯეთი“ (ნაწყვეტი სენარიადან)

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1935, ივნისი, № 2, გვ. 63—65.

ავტორს ვეფხისტყაოსნის თემაზე დაწერილი კინოსენარის ნაწყვეტში საილუსტრაციოდ მოჰყავს პოემიდან ზოგი ადგილი (ნესტანის წერილიდან).

Review. Z. Avalishvili: „Vep'khis T'qaosanis sakit'khebi“,

„The Problems of The Man in the Panther's Skin“.

Paris, 1931. pp. 174. Reviewed by V. Nosadze

კრებ. GEORGICA, A Journal of Georgian and Caucasian studies, London, 1935, Vol. 1, No. I, გვ. 116—125.

წერილი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიულ ნარკვევს ზურაბ ავალიშვილის წიგნზე „ვეფხისტყაოსანის საკითხები“ (პარიზი, 1931). ავტორი მოკლედ ეხება წიგნის შედგენილობას ცალკე თავების თანმიმდევრობით და არჩევს მის მთავარ დებულებებს სათანადო ლიტერატურის ციტირებითა და ანალიზით. დასასრულ ავტორი აძლევს საერთო შეფასებას ავალიშვილის წიგნს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების განვითარებასთან დაკავშირებით.

1230. ჯეშალ ნოლაიდელი

ქაიხოსრო ხემჭიფე (ხალხური ვეფხის ტყაოსანი)

ჩაწერილია ჯეშალ ნოლაიდელის მიერ

გახ. ლიტერატურული აკადრისტიკა, 1935, 25 იანვარი, № 2, გვ. 5.

ტექსტი წარმოადგენს მთლიან თხრობას, რომელსაც ერთი გვერდი უჭირავს. სქოლიოში აქვს შენიშვნა, რომ „კომენტარიები თქმულება“ „ქაიხოსრო ხემჭიფის“ შესახებ მოთავსებული იქნება შემდეგ ნომერში. რედ.“

დასაწყისი:

„იყო და რა იყო, იყო ერთი ქაიხოსრო ხემჭიფე. ხავდა ერთი მოურავი ტარიელი. ქაიხოსროს ხავდა ერთი მხისუნახავი. სახელათ მელტონ დარუჯანი. მას იახლა ერთი მოსამსახურე ასმათი.“

ხანდებან ქაიხოსრო და ტარიელი წელიწადში ერთხელ ნახულობდენ ქალაქში მელტონ დარუჯანს. ამასობაში ტარიელი შეიყვარა მელტონ დარუჯანმა. ნეტუბი გაუგზავნა მელტონ დარუჯანმა ტარიელს, რუმ ერთი მართო მესტუმრეო. წავდა ტარიელი და ინახულა...“

1231. შალვა ნუცუბიძე

რუსთველის სოფლმშენებლობისათვის

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1935, ტ. I, გვ. 1—62

შინაარსი: I. რუსთველის სოფლმშენების ფარგლები. II. იდეოლოგიური უთანხმოებანი IX—XII სს საქართველოში. სქოლასტიკა და ანტიკა. III. აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა. IV. ზოგიერთ შეხედულებათა წინასწარი განხილვა. V. დასავლეთი რუსთველის გაგებაში. VI. აღმოსავლეთი რუსთველის სოფლმშენებაში. VII. რუსთველი და დანტონაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიული გამოკვლევის ცდას რუსთაველის მსოფლმშენებლობის წყაროების გასარკვევად აღმოსავლეთ-დასავლეთის იდეოლოგიურ დაპირისპირებაში, მსოფლიო ლიტერატურის, ფილოსოფიისა და კულტურის გასწვრივ. ავტორი მიმოიხილავს ქართული სააზროვნო კულტურის ვითარებას რუსთაველის ეპოქის ფილოსოფიური სკოლებისა და მიმართულებების მიხედვით, აჯამებს რუსთაველამდე არსებული ქართული ლიტერატურის, ფილოსოფიისა და კულტურის საქმიანობას და სახავს საზღვრებს, რითაც უნდა წარმოვიდგინოთ რუსთაველის შემოქმედების შესაძლებელ გავლენათა სფერო აღმოსავლეთ-დასავლეთის წინაქრისტიანული და შუასაუკუნეობრივი კულტურული ცენტრების მსოფლიოსი — წინააზიის, საბერძნეთის, ბიზანტიისა და დასავლეთის გზით მომდინარე ანტიკური და ძველი აღმოსავლეთის შემოქმედებითი ტრადიციებისა.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველის პრობლემა როგორც მოაზროვნისა გასაგები ხდება მხოლოდ ქართულ ნიადაგზე არსებულ იმ ინტელექტუალურ-კულტურულ ძალთა განვითარების გათვალისწინების საფუძველზე, რომელზე-

ლაც აწენდა ვეფხისტყაოსანი. ამ პრემიაში გამოხატულება და დასრულება პოეა მთელმა იმ ქართულმა ინტენსიურმა შემოქმედებითმა მუშაობამ და ძალამ, რომლითაც ვითარდებოდა ქართული კულტურა და ინტელექტუალურ-კულტურული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა V—VI საუკუნიდან XIII—XIII საუკუნემდე. მის მსოფლიო კულტურის განვითარებაში თავისი წვლილი შექმნიდა და მისი მონაწილე იყო. ქართული კულტურა „ბიზანტიას უსწორდებოდა, ხოლო ლათინურ კულტურას საუკუნეზე მეტით წინ უსწრებდა“ (გვ. 4).

ავტორი ასკენის, რომ ვეფხისტყაოსანი გეაძლევს აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა ისეთ შეჯვარდინებას, რომელშიაც დაძლეულია ცალკე კულტურათა თანმხლები წინააღმდეგობანი, უპირველეს ყოვლისა, დანტესაგან განსხვავებით—სქოლასტიცში. ეს სინთეზი არის პლატონ-არისტოტელეს შერიგების—სიმფონიის პრობლემის გაგება, რომელიც დასავლეთში გაბატონებული აზროვნების ამ რეაქციას პეტრიწონელის წრემ წამოუყენა, როგორც დამოუკიდებელი საერო ფილოსოფიური საქმიანობა და რომელშიაც რუსთაველის მსოფლგაგების ძირი მოინახება.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველში აზროვნების გამოხატვის ფორმა არ არის გამათიშული მხატვრობისაგან. ვეფხისტყაოსანში „პოეტური ფორმა ემთხვევა ფილოსოფიურ შინაარსს და ადამიანთა ამბავის სახით არის გაშლილი მთლიანი და დამთავრებული ფილოსოფიური კონცეპცია“ „სინათლისა და ბნელისა“ (გვ. 18), რომელშიაც ცენტრალური ადგილი უჭირავს მზელმერთს არარელიგიური გაგებით. ავტორის აზრით, „მზე და ღმერთი იგივეა“, „ღმერთის განმარტება ემთხვევა მზის განმარტებას“ (გვ. 39). მზის ასეთ მიღებაში მოჩანს აღმოსავლეთის, უპირველეს ყოვლისა, ინდური პოეზიისა და ელინიზმის შედუღება, რაც ნიშნავს მობრუნებას წარმართობისაკენ, რადგან რუსთაველის ლტოლვა მზისკენ არის მზის ნამდვილი გაღმერთება, რომელიც მას წარმოსახული აქვს როგორც სამყაროს წესიერების წყარო თავის მრავალფეროვნებასა და ერთიანობაში.

ავტორი პოემის ფაბულის ანალიზით არკვევს ორიგინალობის პრობლემას. მისი დასაბუთებით, პოემის ფაბულასა და მსოფლგაგებას შორის ორგანული კავშირი შეუძლებლად ხდის მის არაქართულ ნიადაგზე წარმოშობის დაშვებას. მხოლოდ ქართულ ნიადაგზე შეიძლებოდა რუსთაველს თავის კონცეფციასში დაედგია, ერთის მხრივ, „რეფლექტური რაციონალიზმი დასავლეთისა“ და, მეორე მხრივ, „მისტიციზმი აღმოსავლეთისა“ და წამოეყენებინა „ნათელი მზისა და არსებობის, როგორც მოქმედი სიყვარულის პროცესის გაგება“ (გვ. 37). მზის, სინათლისა და ფერის ცნებათა თავისებური ინტერპრეტაციით ავტორი უარყოფს ირანული გავლენის შესაძლებლობას და მის ენესებს ინდურ მსოფლგაგებაში ხედავს (გვ. 41). მისი აზრით, მუსულმანურ-არაბულ კულტურასთან ურთიერთობა საერთო წყაროებით გამოწვეულ მხოლოდ ცალკეულ დამთხვევებში მდგომარეობს (გვ. 5). რუსთაველი მუსულმანური და ქრისტიანული დოგმატიკის გარეშე ღვას.

1232. მიქელ პატარძე

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანებისათვის

ფერ. ჩვენის თაობა, 1935, ტფილისი, № 3—4, გვ. 117—120.

იგივე: ვახ. На Русе:же Востока, 23 октября, № 26, გვ. 7.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის სიძნელებებს და გაკვრით ახასიათებს კლიჩკოვის, ბალმონტის, ცაგარლის, ყანჩელის,

რუმერის და პეტრენკოს რუსულად თარგმნის ცდებს. ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე სტროფი რუსული თარგმანებისა. მისი დაკვირვებით, კლიჩკოვის ცდა სუსტი გამოდგა. შედარებით ნათელია ბალმონტის თარგმანი, რომელშიაც სტროფი შინაგანი რითმებითა დატვირთული, რაც რუსთაველს არ მოეპოვება. ცაგარლის თარგმანში დაკარგულია რუსთაველის ხმოვანება. რუმერის თარგმანში დაცულია მაღალი და დაბალი შიირის მონაცვლეობა, მაგრამ ეფექტური არ არის, თუმცა ენის მხრივ ყველაზე მაღლა დგას. ყანჩელის თარგმანში მიღებულია წყვილადი რითმები, მაგრამ აზრი დანახინჯებულია. პეტრენკოს ცდა შედარებით მიზანს აღწევს. მისი ლექსი ხშირად უახლოვდება ორიგინალს და ხასიათდება მეტი სიზუსტით.

1233. შოთა რუსთავლი

Нослщий барсову шкуру

Грузинская поэма XII века, Перевод К. Д. Бальмонта.

Тифлис, 1935 год, XXXII+218 გვ.

იგივე ტიტული განმეორებულია მის წინა ფურცლის პირველ გვერდზე ქართულად, რომლის მეორე გვერდზე მოიპოვება წარწერები: «На аравах рукописи». «Отв. редактор: С. Мебука. Тех. редактор: А. Д. Квеладзе».

ტექსტს წინ უძღვის წერილები: Поэма Руставели. Предисловие к полному переводу ее. (გვ. VII—XIV); ბალმონტის ორი ლექსი (გვ. XV); Предисловие к 1-му неполному изданию (გვ. XVII—XVIII); ლექსი: Грузинская ода к Тамар (გვ. XIX). წერილი: Руставели (გვ. XXI—XXIV); Великие итальянцы и Руставели (გვ. XXV—XXIX); Турнир в честь Руставели. Грузинское народное предание (გვ. XXXI—XXXII).

ტექსტი წარმოადგენს კ. ბალმონტის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული სრული თარგმანის 1933 წლის პარიზის გამოცემის განმეორებას. იხ. ანოტაცია № 1129.

1234. შოთა რუსთავლი

Нослщий тигровую шкуру

Перевод с грузинского П. Петренко, Редактировал перевод К. Чичинадзе

გვ. На Р у с е же Востока, 1935, 10 мая, № 10(35), გვ. 7;

20 мая, № 11(36), გვ. 6.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის თავის — «ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა» რუსული თარგმანის სამოცამდე სტროფის სათაურით: «Сказ второй о том, как царь арабов увидел юношу тигрову шкуру носящую». დასაწყისი:

«У ручья, рыдая, чуждый чуждый юности сидел...».

Нослщий тигровую шкуру

Перевод с древне-грузинского Георгия Цагарели

გვ. На Р у с е же Востока, 1935, 20 июля, № 17 (42), გვ. 6—7.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პირველ თავს. დასაწყისი:

«Кня в Аравии властитель, Ростевай—избранник бога,
Вожь бойцов, глава вассалов, щедър, величествен и седър.
Судия, даривший милость, приговоръ вершая строго,
В битвах—мужественный воин, аятоуст—и часты беседа».

1235. შოთა რუსთაველი

Той, що в тирровій шкурі. Уривок зі вступу

Переклад Миколи Бажана

გაზ. На Рубеже Востока, 1935, 7 ноября, № 27(52), გვ. 4.

თარგმანის უკრაინული ტექსტი შეიცავს 10 სტროფს. დასაწყისი:

Львци світлий меч-рештуном, стріл и жеткі удари,

Коси, як бурштиня чорні, ілиш пудесні чари.

Сліво соняшсе царині звити славом над хари,

Hi, не голеи я вставляти велич і красу Тамари!

1236. [Rusḡāveli]

Niḡl āz fāliḡginō fihse Rusḡāveli. Akāze dāsḡān

წიგნი: В. С. Пугридзе, Начальная хрестоматия персидских лзыка (Тексты и персидско-грузинско-русский словарь)

Академия наук СССР, Закавказский филиал, Институт Кавказоведения,

Сектор лзыка и Мышления. Издательство Академии Наук,

Москва-Ленинград, 1935, გვ. 52—54.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის ნაწყვეტის პროზით შესრულებულ გარდათქმას. დაწერილია ანალიტიკური ანბანით. დასაწყისი:

„Dāḡ dīyāre āriāb fādewāhi bud, Rosdevan nām. U fārzāndi nā dāiḡ, māḡār doḡḡāri, qe esme an doḡḡār ḡināḡin bud“ (გვ. 52).

წიგნისთვის დართულ წინასიტყვაობაში ვ. ფუფურიძე აღნიშნავს, რომ „პროზათ გადმოღებული ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“ ეკუთვნის ი. მაროს და ამხ. შერვინ ბავენდის თანამშრომლობით არის შესრულებული“ (გვ. 21).

1237. [უაფტორი]

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის პირველი პლენარული სხდომა

ურბნ. საბჭოთა ხელოვენება, 1935, ივლისი და ავისტი, № 3, გვ. 91—94.

წერილი შეიცავს საინფორმაციო ცნობებს შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სხდომაზე გარჩეული საკითხების შესახებ, რომელნიც ეხებიან შოთა რუსთაველისათვის თბილისში ძეგლის დადგმას, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ ჩატარებულ მუშაობას, ვეფხისტყაოსნის თარგმნა-გამოცემას, შოთა რუსთაველის შემოქმედებისა და მისი ეპოქის ამსახველი გამოფენის მოწყობას და სხვ.

1238. [უაფტორი]

Новый перевод поэмы „Нослицы Тирровую шкуру“

გაზ. На Рубеже Востока, 1935, 1 августа, № 18, გვ. 8.

მცირე საინფორმაციო წერილში აღნიშნულია, რომ გიორგი ცაგარელმა დაამთავრა ვეფხისტყაოსნის სრული რუსული თარგმანი, რომელიც ავტორის, შენიშენით, უშუალოდ ძველი ქართულიდან შესრულებული თარგმანის პირველ კლას წარმოადგენს.

„Нослицы барсову шкуру“ на украинском лзыка

გაზ. На Рубеже Востока, 1935, 21 августа, № 20, გვ. 6:

23 октябрия, № 26(51), გვ. 7.

მცირე საინფორმაციო ცნობები მიკოლა ბაენთან ინტერვიუს შესახებ. მისი ვეფხისტყაოსნის უკრაინულ ენაზე სათარგმნელად გაწეული მუშაობის გამო.

1239. [უავეტორო]

Вечер переводов Шота Руставели

გაზ. На Рубеже Востока, 1935, 21 июля, № 28 (53), გვ. 2.

წერილი წარმოადგენს ანგარიშს მოხსენების შესახებ, რომელიც კ. ჭიკინაძემ გააკეთა ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის საკითხებზე. მომხსენებელს აღუნიშნავს რუსულ ენაზე არსებული თარგმანების გარდა ამჟამად წარმოებული მუშაობა პოემის რუსულად თარგმნისათვის გ. ცაგარლის, ს. ყანგელის, პ. პეტრენკოსა და შარტის მიერ, რომელთაც 5 ნოემბერს მწერალთა სასახლეში წაუკითხაეთ თავიანთი თარგმანების პირველი თავი. ავტორი ამასთან დაკავშირებით მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, მისი მეტყველების თავისებურებებს და გაკერით ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის ისტორიას.

1240. [უავეტორო]

К 750-летию со дня рождения Шота Руставели

გაზ. На Рубеже Востока, 1935, 21 августа, № 20 (45), გვ. 6.

საინფორმაციო წერილი შოთა რუსთაველის იუბილეს მოსაწყობად დასახულ ღონისძიებათა შესახებ: ვეფხისტყაოსნის გამოცემა, შოთა რუსთაველის შესახებ მოხსენების ჩატარება და სხვ.

1241. [უავეტორო]

[განცხადება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერების შეგროვებაზე]

გაზ. კომუნისტი, 1935, 1 დეკემბერი, № 277, გვ. 4.

ტექსტი მომყავს მთლიანად:

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მასთან არსებული რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი აწარმოებენ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შეგროვებას.

სახელმწიფო უნივერსიტეტი სთხოვს ყველას, ვისაც კი მოუპოვება „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი, რა სიტყვისა და მოკულობისაც არ იყოს იგი, მიაწოდოს უნივერსიტეტს შესაძენად. იმ საფასურის გარდა, რომელსაც განსაზღვრავს სპეციალური კომისია, ხელნაწერის შესაქურთვ მიიღებს ჯილდოს შემდეგის წესით:

- მე-17 საუკუნეზე ადრინდელ ხელნაწერებისათვის . . . 2000 მან.
- მე-17 საუკუნის ხელნაწერებისათვის 1000 მან.
- მე-18 საუკუნის ხელნაწერებისათვის 500 მან.

ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტი“.

1242. [უავეტორო]

საუბარი „ვეფხისტყაოსნის“-ს ტექსტის დამდგენ კომისიის

თავმჯდომარე პროფ. კ. კეკელიძისთან

ებრნ. საბჭოთა ხელოვნება, 1935, ივნისი, № 2, გვ. 11—12.

საუბარში გადმოცემულია პროფ. კ. კეკელიძის დახასიათებით ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორია საქართველოში, მოკლე ცნობები მისი ტექსტის გამოცემის შესახებ, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დაარსების გადაწყვეტილება, რომლის მიზანი იქნება რუსთაველოლოგიის მეცნიერული პრობლემების შესწავლა, ვეფხისტყაოსნის კრიტიკულ-აკადემიური გამოცემა.

დასასრულს, უფრო ვრცლად დახასიათებულია ინსტიტუტთან შექმნილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობა, რომლის დამთავრების შემდეგ უნდა დაიბეჭდოს პოემის დადგენილი ტექსტი, ლექსიკონით, სამეცნიერო აპარატით და კომენტარებით.

1243. [უავტოროს]

შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტში

ურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1935, დეკემბერი, № 6, გვ. 104.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ 23 დეკემბერს შედგა შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განხილული იყო საკითხები — საიუბილეო საფოსტო მარკების გამოშვება შოთა რუსთაველის გამოსახულებით, შოთა რუსთაველისათვის ძეგლის დადგმა, ვეფხისტყაოსნის გამოცემა და შოთა რუსთაველის ეპოქის განოფენის მოწყობა.

იქვე, გვ. 105:

პრემია შოთა რუსთაველის საუკეთესო თხზულებისათვის

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირის სამეცნიერო აკადემიის სხდომას აკადემიკოსმა ა. ს. ორლოვმა მოახსენა საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის ცნობა, რომ ნეაპოლის აღმოსავლეთის ინსტიტუტის მიერ დაწესებულია პრემია შოთა რუსთაველის შესახებ საუკეთესო თხზულების დაწერისათვის.

1244. ფეშანგი ფაშვიბერტყაძე

შაქნავაზიანი

წიგნში: ფეშანგი, შაქნავაზიანი, გიორგი ლენინის და სოლ. იორდანიშვილის რედაქციით, სახელგამი, 1935, V—LXVI+219 გვ.

ავტორი რამდენჯერმე ახსენებს რუსთაველს და ვეფხისტყაოსნის გამოცემებს.

„სიბრძნით საკემან რუსთუელმან აქო ნესტანჯა, ტარია;

იგ თინათინ და აეთანდილ, მართ მათი შესადარია;

მრუდიცა მართლად გამართა, ნახულთა დასადარია.

მთქმელი და ვამამეტყუელი მისებრი არსად არია“ (გვ. 5, სტროფი 1).

„სად მოესწუდებოდი საქებრად ამა ციერთა ზენასა?

თქმა რუსთუელს დარჩა ლექსისა, ცუდად ვიუბენ მე რასა?“ (გვ. 173, სტროფი

1051, 3—4).

1245. მ. ჩიქოვანი

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

კრებ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1935, წიგნი I. გვ. 208—231.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ხალხური ვარიანტების გამოვლენის ისტორიას და ერთ ვარიანტთან დაკავშირებით არჩევს ვეფხისტყაოსნის გმირთა ნათესაურ-გენეალოგიურ კავშირს ერთმანეთთან და პარალელურებს მწიგნობრულ და ხალხურ პოემა-რომანს შორის. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს მის მიერ ჩაწერილი ქართლური ვარიანტი ხალხური ვეფხისტყაოსნისა, რომელიც რუსთაველის პოემიდან გამომდინარე, მის მიხედვით შექმნილ ძეგლად მიიჩნია. ტექსტი შეიცავს პროზაულ თხრობას ჩართული ლექსებით. დასაწყისი:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე, რომელსაც ჰყავდა ერთი ვნობრი, სახელად ტარიელი. ხელმწიფემ თავის ვახრდილ ტარიელს მთელი ჭვეყნის ვეზირობა ჩააბარა. ეს ტარიელი ძრიან ლამაზი და ახლავანი კაცი იყო. მისი ყველას ეწინოდა...“ (გვ. 212).

ჩართული ლექსის ნიმუში:

„საწყალი ჩემი დედ-მამა, რა ცოდო-კირით მზრდიდიან:

ციხიდან ციხის წვერზედა, თოყები გამოიკიდიან.

მე ისე ფრენით გაერბოდი, რომ თვალნიც ვერ მომიკიდიან!

მე ის მეგონა, თუ მკლავენ, იგინი თურმე მწერთნიდიან“ (გვ. 228).

1246. გრიგოლ (ილარიონის ძე) წერეთელი

„ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე

კრებ. ლიტერატურული მეცნიერება, 1935, წიგნი I, გვ. 661—664.

ავტორი ეხება უნგრულ ენაზე თარგმნილ ვეფხისტყაოსანს, რომელიც ქ. ბუდაპეშტში დაიბეჭდა 1917 წელს, ბუდაპეშტის სამეცნიერო აკადემიის წევრის, ორიენტალისტის პროფ. ბელა ვიკარის თარგმანით. ავტორი აღნიშნავს მის შეხვედრებს ბელა ვიკართან, რომელსაც ვინმე წიკლაურის თუ წილოსანის დახმარებით თარგმნილი ტექსტი ვეფხისტყაოსნისა შეეგოს ავტორის დახმარებით უთარგმნელად დარჩენილი 10 ფურცლითაც. ავტორი ახასიათებს ბელა ვიკარს როგორც ქართული მწერლობის ძეგლების მთარგმნელს.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ბუდაპეშტის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ერთი ოთახის ნახევარი დაკავებული აქვს საქართველოში შეგროვილ სხვადასხვა ნივთებს, ქურკელს, ტანისამოსს, ცხენის მოკაზმულობას, სხვადასხვა ქსოვილებს, იარაღს და სხვ. ყველა ეს მასალა შეგროვილია მხატვარ ზიჩის მიერ, რომელმაც დაასურათა ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი გამოცემა“.

1247. მ. წერეთელი

ნ. მარი †

გაბ. თეთრი გიორგი, ქართველ პატრიოტთა ორგანო, პარიზი, 1935, იანვარი-თებერვალი, № 84—85, გვ. 1—2.

სტატია წარმოადგენს ვრცელ ნეკროლოგს აკად. ნ. მარის გარდაცვალების გამო. მარის სამეცნიერო მოღვაწეობისა და შრომების მიმოხილვისას ავტორი აღნიშნავს:

„ღვაწლი მისი დიდია მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი დიდი პრობლემა ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიისა და თვით ენათმეცნიერების დიდი პრობლემებიც მას წინააღმდეგ არ გადაუწყვეტია, არც ერთი მისი დიდი ჰიპოთეზა და თეორია არ გამართლდებულა. „ვეფხისტყაოსანი“ არ გამოდგა სპარსულიდან ნათარგმნი ისე, როგორც მარს ეგონა და არც მისგან ნავლისძეგვი სპარსული ხელნაწერი „ღეღამა“ „ვეფხისტყაოსნისა“ აღმოჩენილა ბრიტანეთის მუზეუმში. თავის პირველ ჰიპოთეზას მარმა თავი გაანება და მერმე რუსთელის მუსულმანობისა და სამცხე-საათაბაგოში რუსთველის დროს გაერცელებული მაჰმადიანობის ჰიპოთეზა წამოაყენა, რომ ამით გაერკვია „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები. ეს ჰიპოთეზაც უსაფუძვლო გამოდგა და თვითონვე უარჰყო ავტორმა“ (გვ. 1, სვეტი 2).

1248. პროფ. ივ. ჯავახიშვილი

შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლის თავის ზეიმის გამო

კრებ. ლიტერატურული მეცნიერება, 1935, წიგნი I, გვ. 10—18.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების სუკონობას, რასაც, ერთი მხრივ, იწივთ ხსნის, რომ რუსთაველს თაყვანისმცემლებთან და მადიდებლებთან ერთად ძლიერი მოწინააღმდეგენიც ჰყავდნენ უმთავრესად კლერიკალური წრეების წარმომადგენელთა შორის“, რომელთაც „პოეტის ვინაობა და ღვაწლი წყვედადით შემოსეს და საისტორიო თხზულებაში მისი ხსენებაც კი არ გამოაჩინეს“, და, მეორეს მხრივ, — ხაერთოდ საერო ლიტერატურის ძეგლების განადგურებით.

ავტორი არკვევს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ ღირებულებას და მის მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიაში, ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და ეხება რუსთაველის შესწავლის ისტორიის ზოგსაკითხს.

1249. სვიმონ ჯანაშია

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმნის გამო

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1935, 30 იანვარი, № 5(97), გვ. 3—4.

ავტორი ეხება ბარდტინსკისა და ველახოვის მიერ ვეფხისტყაოსნის რუსული ფრაგმენტალური თარგმანების გამო ატეხილ პაექრობას. მისი შენიშვნით, ბარდტინსკის პოემის თარგმანში ეხმარებოდა სამეგრელოს მთაერის დაიეთის ძმა — პოეტი დადიან-მინგრელსკი გრიგოლი, „კოლხიდელის“ ფსევდონიმი: ცნობილი, ბროსესთან ურთიერთობაში მყოფი, დიდი მწიგნობარი, ქართულ სიძველეთა ინტერპოლატორი და შესაძლოა ამ თარგმანის ინიციატორიც.

ავტორი აქვე აქვეყნებს იოანე გეგეპკორის ლექსს „გეგეპკორისაგან მიწერილი ალექსანდრე ქავკაეაძესთან, ოდეს სთხოვა მან შეწევნა ვეფხისტყაოსნის თარგმანში“, რომელშიაც, მისი დასკვნით, ლაპარაკია შოთას რუსულად თარგმანზე და დაწერილი უნდა იყოს 1843—5 წლებში.

ავტორის აზრით, ალბათ დადიანების ირგვლივ შექმნილი ლიტერატურული წრის გავლენით, მამია გურიელმა დაიწყო კომიროსის თარგმნა ქართულად რუსთველური შაირით. ეს სკოლა ანტიკური ჰექზამეტრის მეტრიკულ ფარდად ქართულში რუსთველურ შაირს თვლიდა. ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველის რუსულად თარგმნისას შესაძლებელია მიღებულიყო ჰექზამეტრი, რომელიც საშუალებას იძლევა დაკული იყოს ლოგიკური და მხატვრული სიზუსტე ორიგინალის გადმოცემისას და არც რიტმულზომილი მეტყველების ღირსებასაა მოკლებული.

დასასრულს, ავტორს მოჰყავს ბარტდინსკის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის ტექსტის თარგმანის ნაწყვეტი.

1936

1250. იუსტ. აბულაძე

„ვეფხისტყაოსანი“-ს სიუჟეტისათვის

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, ტ. I, გვ. 141—150.

ავტორი მოკლედ გადმოცემს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის პრობლემის განვითარების ისტორიას და მიმოიხილავს არსებულ შეხედულებებს პოემის ორიგინალობის შესახებ. განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის წარმოშობის შესახებ აკად. ნ. მარის თეორიაზე. ავტორის აზრით, პოემის სიუჟეტი წარმოშობით მაჰმადიანური, არაბულ-ირანული მოთხრობის ნაშთია გადამუშავებული და შეცვლილი ირანულ-ქართულ შეჯვარდინებათა ნიადაგზე. ვეფხისტყაოსნის ფაბულა თავისი იდეით შეესაბამებოდა საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ განწყობილებას და მდგომარეობას, რის გამოც თავისთავად პოემას აუსახავს საქართველოს მეფურ-ვასალური სისტემის და ფეოდალური წყობილების სურათი. მისი აზრით, რუსთაველის პოემის საშუალებით შესაძლებელი ხდება აიხსნას საქართველოს მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური წყობილების ზოგიერთი საკითხი.

1251. იუსტ. აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელის „ტარიელ“

და „ავთანდილ“ ეტიმოლოგიისათვის

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, III, გვ. 182—184.

ნაკვლევში მიმოხილულია „ავთანდილ“ და „ტარიელ“ სახელთა ეტიმოლოგიის გახსნის ცდები. ავტორის აზრით, „ავთანდილ“ წარმოადგენს არაბული სიტყვის Vatan-ის (სამშობლო) მრავლობითი რიცხვის ფორმას შემდე-

გი მნიშვნელობით „სამშობლო მხარეები“. ამ სახელის ძეგორე ნაწილი „დილ“-ირანულ „dil“-ს წარმოდგენს, და მთლიანად „აეთანდილ“ ნიშნავს „სამშობლოს გულს“.

„ტარიელ“ წარმოდგება ირანული „დარიელ“-ისაგან, რომელიც შედგება „Dara“-საგან, მნიშვნელობით მეფე და ირანული „Dil“, რაც ნიშნავს გმირს, მოყმს; საერთო მნიშვნელობა სახელისა „მეფე გმირი“ ან „მოყმე მეფე“.

1252. პროფ. იუსტიინე აბულაძე

„ამირან ღარეჯანიანის“ წარმოშობის საკითხისათვის
(დოქ. ა. ბარამიძის ნარკვევის გამო)

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1936, № 3, გვ. 31—35.

ავტორი ამირანღარეჯანიანის ამბის განხილვისას გაკერით ჩერდება ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნავს, რომ უცნაური მოყმის შეხვედრის მოტივი ნასესხებია სპარსულიდან (გვ. 32), ისე როგორც საერთოდ სადევგმირო ამბები (გვ. 35).

1253. პროფ. იუსტიინე აბულაძე

სადა სიუჟეტის სათავე

პასუხად კ. კიკინაძეს

გაზ. ლიტერატურული საქართელო, 1936, 27 აგვისტო, № 14, გვ. 4.

წერილი გამოწვეულია კ. კიკინაძის მცირე სტატიით „სიყალბის სათავე“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936, 18 ივლისი, № 11, გვ. 3), რომელშიაც უდიერად იყო მოხსენიებული ალ. სარაჯიშვილის მუშაობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ალ. სარაჯიშვილის ღვაწლს ქართული მწერლობის, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში და დასასრულს შენიშნავს ვეფხისტყაოსნის მკვლევართა საყურადღებოდ, რომ, თუ მათ ამ პოემის შესწავლა უნდათ, უნდა იცოდნენ „ირანული ენა, პოემის ენა და სტილი და საერთოდ ენის ნორმები და ის ძრავლისაგან უმრავლესი ხელნაწერები, რომლებიც მოიპოვება ჩვენს საგანძურებში“.

1254. იუსტიინე აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის ვითარება ვახტანგის რედაქციასთან. ლაკავირიძე
(„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საკითხისათვის)

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1936, № 7—8, გვ. 55—62.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის მოცულობას და დაბოლოებანარატების საკითხებს და აღნიშნავს, რომ შესაძლოა ვახტანგის რედაქცია არის ერთ-ერთი გადარჩენილი ძველი დედნის პირი, რომელიც რესტავრაციის დროს ძალზე დაზიანდა. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს დაზიანებისა და წარყენილი წაკითხვების არასწორად აღდგენის ნიმუშები, და მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ისტორიას.

წერილს ბოლოს, სქოლიოში აქვს რედაქციის შენიშვნა, რომ ის არ იზიარებს ავტორის ძირითად დებულებას და წერილს ათავსებს კამათის წესით.

1255. პროფ. იუსტიინე აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ უმველესი უნიკუმის აშკარა კვალი

(პროფ. ა. შანიძის მიერ გაზ. „კომუნისტის“ 266 №-ში მოთავსებული წერილის გამო)

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1936, № 11—12, გვ. 33—41.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის მოცულობის საკითხს ძველ ქართულ მწერლობაში დაცული ცნობების გათვალისწინებით, ვეფხისტყაოს-

ნის ტექსტის დადგენაზე მუშაობას, პოემის არსებულ გამოცემებს და უმთავრესად ჩერდება ტექსტის დასადგენად მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. ავტორის დასკვნით, მცდარია პროფ. ა. შანიძის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ვახტანგის ხელნაწერი ვრცელი იყო. ავტორს ვახტანგის დედანი ძალზე წარყენილ ტექსტად მიაჩნია.

1256. შ. აღიშვითი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ

გახ. მუშა, 1936, 5 სექტემბერი, № 205, გვ. 3; 14 სექტემბერი, № 212, გვ. 3.

წერილების სერიაში ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტუალურ საკითხებს, მისი კვლევა-ძიების ძირითად ეტაპებს ცალკე მკვლევარების მიხედვით, მოკლედ მიმოიხილავს პოემის ტექსტის ირგვლივ ჩატარებულ მუშაობას და ახასიათებს ტექსტის ესთეტიკური და ფილოლოგიური პრინციპით დადგენის არსებულ მეთოდებს.

1257. მიხეილ ალავეძე

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

გახ. სტალინელი, ქუთაისი, 1936, 24 ნოემბერი, გვ. 3.

ავტორს მოჰყავს 29 ოქტომბერს მის მიერ სოფელ საირმეში (ლენხუმში) 75 წლის მოხუცი პერგი ალავეძის თქმით ჩაწერილი „ტარიელის ამბავი“, რომელიც ხალხური ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთ უძველეს ვარიანტად მიაჩნია.

ტექსტი შეიცავს პროზაულ თხრობას ჩართული ლექსებით. დასაწყისი: „იყო ერთი ხენჭიფე. ხაედა ახალგაზრდა ქალიშვილი ლესტან-დარეჯანი. ქალი ლამაზი და სამდომიანი იყო. როცა ლესტან-დარეჯანი მოწითული შეიქნა ნეტემ შეინდომა მისი გათხოვება. ლესტან-დარეჯანი მიათხოვეს ქაფქემო ხენჭიფეს...“.

ჩართული ლექსის ნიმუში:

„ტარიელ დაგვი ვხირათ
სიტყვა შენ გაგაბჭობინე.
გიყვარდა ლესტან-დარეჯან
რატომ არ შემატყობინე...“.

1258. ლევან ასათიანი

შენიშვნა ი. ჯაბაძარის შესახებ

წიგნში: ი. მანსუტაშვილი, მოგონებანი — 5 ახული და გაგონილი, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თედურაძია, ტფილისი, 1936, გვ. 237.

შენიშვნის ავტორი მოკლე ექსკურსს აკეთებს ი. ჯაბაძარის მიერ ვეფხისტყაოსანზე დაბეჭდილი წერილის შესახებ, რომელმაც ქართულ საზოგადოებაში მწვავე გამოხმაურება გამოიწვია. მომყავს მთლიანად: „1889 წელს ი. ჯაბაძარმა პეტერბურგის ეურნალ „Северный Вестник“-ში Н. Л.-ს ფსევდონიმით მოათავსა „Письма о Грузии“, სადაც, სხვათა შორის, ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ნასესხები არისო. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იმდროინდელ ქართულ პრესასა და საზოგადოებაში. ილია ჭავჭავაძემ იმავე წლის „ივერიაში“ თავის სახელის მოუწერლად გააფთრებული პასუხი გასცა ჯაბაძარს წერილების სერით, რომელსაც საერთო სათაურად ჰქონდა „ისტორია“ („ივერია“, 1889).

ამ პოლემიკაში სხვებიც ჩაერივნენ, როგორც მაგ., „თეატრი“ (1889 წ. № 39—90) და „НОВОЕ СЛОВО“ (1889 №№ 2022—32—46—48). უფრო გვიანაც გაიხსენეს ეს კამათი: ის. ი. ჯაბადარის მოგონებანი (Глагол, 1907, № 9) და ნიკო ნიკოლაძის „Как пишется история“ (1908 „Закав.“ № 33).

1259. ალ. ბარამიძე

ვეფხის-ცყაოსნის ახალი ხელნაწერი

მოკლე აღწერილობა

კრებ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტფილისი, 1936, ტომი IX B. (1), გვ. 136—140.

ავტორი აღწერს მისთვის პროფ. ა. შანიძის მიერ გადაცემულ ვეფხის-ცყაოსნის ხელნაწერს, რომელიც მოკ. ალ. ჯავახიშვილს (ბოველეს) ჰქუთვნებია.

ავტორის ვარაუდით ხელნაწერი ეკუთვნის XVII საუკუნის მიწურულს. ხელის მიხედვით უახლოვდება S 5006 ხელნაწერს. დეფექტიანია. შეიცავს 224 ფურცელს. თავის დროზე რესტავრაცია განუცდია.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რესტავრატორის ნუშაობას სტროფული წაკითხვების თვალსაზრისით. მისი დასკვნით, ეს ხელნაწერი ტექსტუალური შედგენილობითა და რედაქციის მხრივ ერთ-ერთ საყურადღებო ვარიანტს წარმოადგენს და საკმაოდ განირჩევა ყველა დღემდის ცნობილი ხელნაწერიდან (გვ. 138). ავტორი მოკლედ უჩვენებს ამ განსხვავებებს და აღნიშნავს, რომ სტროფების რაოდენობის მხრივ ხელნაწერი ერთ-ერთ უვრცელეს ვარიანტად უნდა ჩაითვალოს (იქვე). მისი ტექსტი ძალზე წარყვნილია და გვეულგარეშული.

1260. პროფ. ალ. ბარამიძე

ერთი ფაქტური ცნობა „ვეფხის ცყაოსნის“ ლექსის ისტორიიდან

წერილში: ფაქტები და შენიშვნები

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 2 ივლისი, № 10, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისცყაოსნის იდეებზე კლერიკალური წრის წარმონაღებელთაგან, რაც გაძლიერდა განსაკუთრებით ვეფხისცყაოსნის 1712 წლის გამოცემის შემდეგ, რომელსაც დართული ჰქონდა კომენტარები. ამ კომენტარებში ვახტანგი ვეფხისცყაოსანს საღეთო ნაწარმოებად აცხადებდა, მაგრამ ვერც ამან იხსნა პოემა, და მოჰყავს ტიმოთესა და ანტონის შეხედულებანი.

ავტორი პლ. იოსელიანის ცნობას ვეფხისცყაოსნის დაწვის შესახებ, რაც, მისი შენიშვნით, დასაბუთებული არ იყო, ურთავს ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნიდან მცირე შენიშვნას პოემის ვახტანგისეული გამოცემის განადგურების შესახებ, რაც, მისი აზრით, სანდო ცნობას წარმოადგენს.

1261. ალ. ბარამიძე

მცირე შენიშვნები

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, V, გვ. 225—232.

წერილს აქვს ორი ქვესათაური:

1. შაჰ-ნაშესა და ვეფხის ცყაოსნის ერთი პარალელი.
2. ვეფხის ცყაოსნის პროლოგ-ეპილოგის საკითხისათვის.

1. ავტორს შესაძლებლად მიანჩნია ვეფხისცყაოსანში ვაყის უყოლობით გამოწვეული მწუხარება და თინათინის გახელმწიფების ეპიზოდი დაუნათესაოს შაჰ-ნაშეში ირანელთა მეფის — ფერიდუნის ვაყებზე, იამანელთა მეფის —

საროს ქალების დაქორწინების ეპიზოდს. ორივე შემთხვევაში აღწერილია ისეთი სიტუაცია, როცა მეფეებს არ ჰყავდათ ტახტის მემკვიდრე და გვარის გამგრძელებელი ვაჟიშვილები (გვ. 228). მისი აზრით, ეს ეპიზოდები უთუოდ ხედებიან ერთმანეთს ძირითადი იდეური კოლიზიის ნიადაგზე (გვ. 229). თერდოუსსა და რუსთაველს იდეური მიდრეკილებანი მსგავსი პოეტური სიტუაციებითა და ფორმულა-ათორიზებით აქვთ გამოთქმული. ორივე ტექსტს ერთგვარი, თუმცა საკმარისად შორეული სიუჟეტური ნათესაობაც ახასიათებს (იქვე), რაც შეიძლება მათი „საერთო ლიტერატურული ძირებით აიხსნებოდეს“ (იქვე).

2. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის ყალბად მიჩნევის საკითხის ისტორიას დ. კარიჭაშვილის, კ. კეკელიძისა და სხვების ნაშრომების მიხედვით. პროლოგ-ეპილოგის ყალბად მიჩნევის საფუძველი ყველა მკვლევარისათვის, მისი აზრით, არის თითქოს ვეფხისტყაოსნის პროლოგ-ეპილოგის სტროფების ერთმანეთთან და პოემის სიუჟეტთან შეუთავსებლობა. პროლოგ-ეპილოგის პოემის ძირითად შემადგენელ ნაწილად მიჩნევის ერთ საბუთად ავტორს მოჰყავს ცნობა ირანულ მწერლობაში ანალოგიური შესავლების არსებობის შესახებ. მისი დაკვირვებით, შაჰნამეს, იოსებ-ზილიხანიანის, ვისრამიანის, ხოსროვ-შირინიანის, ლეილ-მეჯნუნიანის, ისქანდერ-ნამეს (ალექსანდრიანის), ბარამ-გურჩიანის, ისე როგორც ვეფხისტყაოსნის პროლოგი, შემდეგი სამი ძირითადი, ერთნაირად დამახასიათებელი ნაწილისაგან შედგება: 1. ღვთის ქება. 2. მეფე-პატრონთა ან მეცენატთა ქება. 3. ძეგლის ისტორიულ-ლიტერატურული წყაროები. შესავალთა ეს სამი ელემენტი, ავტორის აზრით, პირდაპირ სავალდებულო ნორმის სახეს ატარებს მთელ ირანულ მწერლობაში, რაც ვეფხისტყაოსანშიც არის დაცული და ამდენად მის ტექსტში თავიდანვე უნდა ყოფილიყო სათანადო შედგენილობის პროლოგი.

1962. Микола Бакан

Моя работа над переводом Руставели

გაზ. Заря Востока, 1936, декабрь 29, № 302, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის უკრაინულ თარგმანზე თავის მიერ ჩატარებულ მუშაობას, რომელსაც 1933 წელს შედგომა. მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს მისი ლექსისა და მეტყველების თავისებურებებს და მსჯელობს რუსთაველის ლექსისათვის უკრაინულ ენაზე სათანადო ფორმის მონახვის საკითხზე.

1963. Л. Баталов

Шота Руставели — певец триумфского народа

ფრზ. Книжки с новостями, Информационно-библиографический журнал

Москва, 1936, 24 августа, № 24, გვ. 6—7.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ბალმონტის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის გამოცემის შესახებ (გამომცემლობა „აკადემია“). ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას, ქართულ კულტურასა და საზოგადოებრივ-სახელმწიფო ცხოვრებას, რომელთაც წარმოშვეს ვეფხისტყაოსანი. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, ეხება მის მთავარ იდეალებს, მოტივებს, გმირებს, პოემის მთავარ ხელნაწერებს, გამოცემებს და თარგმანებს.

კალმასობა

კ. კველიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, ტფილისი, 1936, ტომი პირველი, 307 გვ.

ავტორი თბზულების რამდენიმე ადგილას თავის გმირებს სხვადასხვა შემთხვევასთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსანზე და რუსთაველზე ალაპარაკებს. ამონაწერები მომყავს სრულად:

იოანე: რუსთაველი სწერა: „კოკასა შინა რაჲა დგას, იგივე წარმოდინდება“.

გიორგი: ბერო, რა შენი საქმეა საარზიყო წიგნებისსწავლა, ნუთუ თქვენმან წინამძღუარმან გასწავათ?

იოანე: არა, „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ხელისწავლულება არს და, ვინც როგორ იხეობს, იმ ნაყოფს გამოიღებს, როგორც თქვენ ხმარობთ საერისთოს“ (გვ. 53).

პეტრე ლარაქემ მის მიერ დაწერილი „შაირნი და ლექსები:

„მოთხოვნი იოანეს და იწყო კითხვა, და დიდად მოეწონა და უთხრა: ეს ასე გვარზედ ვეგონევათ, რომე უღრის რუსთაველისაგან კმნილსა წიგნსა „ვეფხისტყაოსანად“ წოდებულსა.

პეტრე: წარგიკითხეთ იგი?

იოანე: დიად, წამიკითხავს იგიცა და ჭილიდა მანანაც.

პეტრე: მაშა, გვარებოც გეცოდინებათ ქართლის ლექსებისა...“ (გვ. 272).

ავტორი განმარტავს შაირის აგებულებას და სანიღუმოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის პირველი სტროფი (გვ. 275).

ფისტიკაურის საზომის განმარტების სანიღუმოდ ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ერთადერთი ფისტიკაური (შეკრა წითელი ასიათასი...) (გვ. 276).

1265. პროფ. ვუკ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ენის თავისებურება

ურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1936, № 1—2, გვ. 65—70.

ავტორი ეხება რუსთველი-რუსთაველი დაწერილობის საკითხს და უარყოფს მ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „რუსთაველი“ სჯობია, იმ საბუთით თითქოს ხმოვანი „ა“ მეტრმა ამოაგდო, თორემ ის არსებობდა. ამასთან ერთად ავტორი ეკამათება მ. ჯავახიშვილს ვეფხისტყაოსანში მეტრთან დაკავშირებით ასოების ამოგდების საკითხებზე, რისთვისაც საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ადგილები, განსაკუთრებით „ნცა“ ნაწილაკის შესახებ. დასასრულს ავტორი აკეთებს რამდენიმე შენაშენას კ. კიკინაძის მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტში შეტანილ გასწორებებზე და ასკენის, რომ შოთა რუსთაველს არ უჭირს ლექსი და რითმის გულისთვის ის სიტყვებს არ კუმშავს.

1266. ვუკ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ გარშემო

(კ. კიკინაძის ახალ გამოცემის გამო)

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, ტ. III, გვ. 138—166.

წერილი დაყოფილია I—XI მცირე ნაკვეთად და შეიცავს ქვესათაურებს: დამახინჯებული ადგილების გასწორება. აფორისეი. მეტრი და რიტმი. მაჯანები.

ავტორი მოკლედ ეხება კ. კიკინაძის წიგნს 1934 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსნის მოწმადების ისტორიას, გამოცემის შედგენილობას და ხასიათს. სპეციალურად იხილავს ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისა და ტექსტის შიგნით არსებული ჩართული ადგილების საკითხს და ასაბუთებს კ. კიკინაძის მიერ რუსთაველურად ცნობილი ზოგი სტროფის აშკარა შეუსაბამობას. მისი დასკვნით, მომავალი აკადემიური გამოცემის კომისია, ყოველ მიზეზს გარეშე,

კ. ჭიჭინაძის მიერ ლეგალიზებულს, არა ერთსა და ორ სტროფს კვალად ყალბად მიიჩნევს და შოთას სხეულიდან მოჰკვეთს, როგორც მეწე ხორც-მეტს (გვ. 145).

ავტორის შენიშვნით, გამოცემაში არ უნდა დაბეჭდილიყო ე. წ. რუსთაველის სახელით ცნობილი ლექსები, რომელთაც ვეფხისტყაოსანთან არაერთი კავშირი არა აქვთ და მათი რუსთაველობაც საეჭვოა (გვ. 146). კ. ჭიჭინაძე დამახინჯებული ადგილის გასწორების ნაცვლად ბშირად თითონვე ამახინჯებს ნამდვილად სწორ ადგილებს (მაგ., „მხნედრა“ — „მხნედ-რე-ს“ საკითხი).

აფორიზმებს ვეფხისტყაოსნის ტექსტში გარკვეული მნიშვნელობა აქვს კონკრეტულ ვითარებაში, მაგრამ ბშირად ამოღებული სახით, განცალკევებულად კი აზრს იცვლიან და მათი ამოკლებისას საჭიროა მეტი სიფრთხილე. ასევე მეტი სიფრთხილეა საჭირო რუსთაველის მეტრისა და რიტმის გაგებაში ტექსტის ციტირების დროს.

ავტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას მაჯამების ამოხსნის შესახებ და განსაკუთრებით ჩერდება გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში დაშვებულ შეცდომებზე სიტყვათა განმარტების დროს და ბიბლიოგრაფიაში მნიშვნელოვან ნაშრომების გამოჩენაზე. ავტორი ამასთან დაკავშირებით იხსენებს ნ. ნიკოლაძის საპოლემიკო წერილებს: ჯაბაბაძის წინააღმდეგ ვეფხისტყაოსნის საკითხებზე და მოჰყავს ვრცელი ამონაწერები (გვ. 164).

დასასრულს, ავტორი აკეთებს რამდენიმე ენობრივი ხასიათის შენიშვნას და ასკვნის, რომ: „ტექსტის დადგენისა და ახსნის მხრივ ეს გამოცემა განსაკუთრებულს რასმე არ შეიცავს—პირიქით: ბევრში კიდევაც ჩამოუყარდება წინა გამოცემას“.

1267. ვუქ. ბერიძე

ღაფი ჩუბინაშვილი

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, V, გვ. 347—358.

ავტორი დ. ჩუბინაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის მიმოხილვისას განსაკუთრებით აღნიშნავს მის ლეწვლს ვეფხისტყაოსნის გამოცემა-შესწავლის საქმეში, მოჰყავს ფართო ამონაწერები მისი რუაული წერილიდან ვეფხისტყაოსნის შესახებ და შენიშნავს, რომ რუსთაველოლოგიის ზოგი საკითხის, კერძოდ ვეფხისტყაოსნის წარმოშობის გაგებაში დ. ჩუბინაშვილის აზრი დღესდღეობით არც უცხოა და არც მიუღებელი (გვ. 349—350), და რომ მას რუსთაველოლოგიაში ანგარიში უნდა გაეწიოს.

1268. პრაფ. ვუქოლ ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 30 იექტემბერი, № 16, გვ. 3.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსნის დაბოლოება უთუოდ შეიცავდა ამბავს ქაჯეთის ციხის ალების შემდეგაც, რომელშიაც პოემის ერთი მთავარი მოტივის — მეგობრობის ამბავი გრძელდებოდა და ბუნებრივად ვითარდებოდა. ეს დაბოლოება ვეფხისტყაოსნის დაეკარგა რალაც კატასტროფის შედეგად და შემდეგ ხალხში მეხსიერებით არსებული ალდგენა სცადეს. ამასთან დაკავშირებით, ავტორი იხილავს ინდობატაელთა ამბის პოემისათვის კუთვნილების საკითხს და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ის გარკვეული გაცხრილების შემდეგ პოემაში უნდა შევიტანოთ როგორც ტექსტის აუცილებელი ნაწილი.

ჟურნ. Советское студентство, 1936, Сентябрь № 7, გვ. 67—70.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის იუბილესათვის დიდ სამზადისს, ეხება პოეტის წარმოშობის საკითხს, ხსნის მისი ფსევდონიმისა და სახელწოდების ეტიმოლოგიას, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი, ზოგადად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის გამოცემებს და შესწავლის ისტორიას, აღნიშნავს პოემის თავისთავადობას მიუხედავად იმისა, რომ მოკმედი პირები ქართველები არ არიან — ისინი ქართული ფეოდალური საზოგადოების წარმომადგენლები არიან. ავტორი არჩევს რუსთაველის პოეზიის თეორიას, ახასიათებს მის მთავარ გმირებსა და იდეალებს — სიყვარულს, მეგობრობას, ხალხთა ძმურ თანამეგობრობას და აღნიშნავს მის შემოქმედებაში აფორიზმის როლს.

1970. პ. გელეიშვილი

XVIII საუკუნის ლიტერატურული შემოქმედება

აღ. ამილახოვი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი და მოაზროვნე

სსრკ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ფილიალი, ტფილისი, 1936, 172 გვ.

ავტორი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურისა და მწერლობის ცალკეული საკითხების განხილვისას გაკერით ეხება ვეფხისტყაოსანს.

საქართველოში რუსული თვითმპყრობელობის კოლონიალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ მან ქართველ ხალხს „მოუსპო კულტურის ყოველი სახე და თვით რუსთაველის ენა ძაღლის ენად იქნა გამოცხადებული“ (გვ. 31), საბჭოთა ხელისუფლების პირობებში კი დღეს „ქართული სულიერი შემოქმედების უდიდესი განძი „ვეფხისტყაოსანი“ საბჭოთა კავშირში შემაჯავლი ყველა ერის ენებზე ითარგმნება...“ (გვ. 42). ავტორი მსოფლიო ლიტერატურაში რუსთაველის თანდათანო პოპულარიზაციის საილუსტრაციოდ აღნიშნავს: „შემთხვევითი მოვლენა კი არ არის ამას წინათ ადგომობრივ გაზეითში გამოქვეყნებული ცნობა:—ნეაპოლიტანის სამეცნიერო აკადემიასთან არსებული რუსთაველის აღმოსავლეთის ინსტიტუტი პრემიას ნიშნავს „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ საუკეთესო გამოკვლევისათვის“ (გვ. 47). ავტორი ამ მოვლენას აფასებს თანამედროვე პოლიტიკურ ეითარებაში და აღნიშნავს, რომ „დღეს ფაშისტური იტალიის უდიდესი სამეცნიერო დაწესებულება ქართველი ერის სულიერი შემოქმედების უდიდესი განძის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას შესდგომია“, რასაც იმით ხსნის ავტორი, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად ძველად „ყოველ უფლებას მოკლებული ქართველი ხალხი წელში გაიმართა; ის პოლიტიკურ ძალად იქცა და ამიტომ მას დღეს ანგარიშს უწევს, მის წარსულს სწავლობენ“ (გვ. 48).

1971. Г. Глебов

„Витязь в тигровой шкуре“ на русском языке

გაბ. Заря Востока, 1936, 16 сентября, № 217, გვ. 2.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის რუსულ-უკრაინულ ენებზე თარგმნის ისტორიას ბალმონტის, პეტრენკოს, ცაგარლის, ყანჩელის თარგმანთა მიხედვით, ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის პეტრენკოს თარგმანზე. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება 14 სექტემბერს მწერალთა სასახლეში პეტრენკოს თარგმანისადმი მიძღვნილ სხდომას და მოკლედ გადმოსცემს მის შინაარსს.

Накануне юбилея Руставели

გაზ. Литературная газета, Москва, 1936, 30 июня, № 37, გვ. 2.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესათვის სამზადისს საბჭოთა კავშირში, დასახულ ამოცანებს, იუბილეს ჩასატარებელ საერთო გეგმას და პერიოდული პრესის მონაწილეობას რუსთაველის შემოქმედების პოპულარიზაციაში, მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და შენიშნავს, რომ, მიუხედავად მისი ზღაპრული ხასიათისა, რუსთაველის პოემა თავისი იდეალუზითა და მთავარი მოქმედი პირებით რეალისტურია.

ავტორის აზრით, პოემაში ვებდებით წინააღმდეგობებს. ვეფხისტყაოსნის რუსულად შესწავლისა და თარგმნის მიმოხილვისას ჩერდება ბალმონტის თარგმანის ნაკლოვანებებზე, ასახელებს გ. ცაგარელს, პ. პეტრენკოს, ს. კლიჩკოს, ს. ყანჩელს, ო. რუმერს, ს. შარტის, — ბელორუსულ ენაზე კი პოეტ მიკოლა სვედროვიჩს.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ირგვლივ ფართო მუშაობის ჩატარების საჭიროებას სპეციალური ლიტერატურის გამოშვებით, საკითხების დამუშავებით და სათანადო მოხსენებათა წაკითხვით.

1273. **А. Дудучава***О тексте поэмы Шота Руставели «Витязь в тиреной шкуре»*

გაზ. Заря Востока. 1936, 2 июля, № 126, გვ. 2.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიუბილეოდ დადგენაზე მუშაობას სპეციალური კომისიის წიერ და აღნიშნავს, რომ კომისიას 13 თვის განმავლობაში ჩაუტარებია 245 სხდომა, განუხილავს 2235 სტროფი, რომელთაგან რუსთაველისად უცნია 1580 სტროფი.

ავტორი მოკლედ ეხება კომისიის მუშაობის პირობებს, პოემის ხელნაწერებს და გამოცემებს, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ ტექსტის დასადგენად და ჩერდება ინდოხატაელთა ამბის საკითხზე, რომელიც კომისიას არ უცნია რუსთაველის კუთვნილებად.

ავტორი კრიტიკულად ახასიათებს კომისიის მუშაობას ტექსტის დადგენაში და გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას.

1274. **კოლა ეხმაშვილი**

რუსთაველის საღაურობის საკითხისათვის

გაზ. კომუნისტი, 1936, 4 აგვისტო, № 179, გვ. 3.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის საღაურობის საკითხს მესხეთის რუსთათთან დაკავშირებით, იმის გამო, რომ პ. ინგოროყვას განოკვლევებით მესხეთის რუსთავი როგორც პოეტის სამშობლო ექვს ქვეშა დაყენებული. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ვანის ქვაბის წარწერები და მოუწოდებს დანტერესებულთ შეისწავლონ ისინი საკითხის გასარკვევად.

1275. **А. Заславский***Шота Руставели*

გაზ. Правда, 1936, 6 июня, № 154, გვ. 3.

იგივე: გაზ. „კომუნისტი“, 15 ივნისი, გვ. 4; გაზ. „Заря Востока“, 14 июня, № 136, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ვადმოცემს ვეფხისტყაოსნის ფაბულას, ზოგადად ახასიათებს პოემას, მის პოეტურ მხარეს, მთავარ იდეალებს, გმირებს, მოტივებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველისათვის დამახასიათებელია ძლიერი ოპტიმი-

ზმი. რუსთაველის ეპოქის საქართველოს კულტურაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი მეცნიერებას აძლევს გასაღებს XII—XIII საუკუნის საქართველოს მდგომარეობის გასაგებად. ავტორი გაკვირით ჩერდება ბალმონტის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე და გამოთქვამს ოქმენას, რომ რუსულ ენაზე შეიქმნება რუსთაველის საკადრისი თარგმანი.

1976. Н. Зеллиский

Витязь в тигровой шкуре

ქრბ. Литературное обозрение, 1936, 10 сентября, № 17, გვ. 29—36.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ვეფხისტყაოსნის ბალმონტის თარგმანზე: Шота Руставели. — Витязь в тигровой шкуре. Поэма. Перевод с грузинского К. Д. Балмонта. Иллюстрации Зичи. Изд. «Academia». Стр. 291. Тираж 10.300. Ц. 35 руб., переплет 5 руб.

ავტორი დასაწყისში აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მისთანადთან გატანას სამშობლოს გარეთ და იმის საკირობებს, რომ ისე, როგორც „იგორის ლაშქრობა“, ვეფხისტყაოსანიც შეტანილი იყოს სასკოლო პროგრამებში და საერთო სწავლის საგანი გახდეს, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხალხთა ძველ მხატვრულ კლასიკურ თხზულებათა შორის, მათ შორის შედარებით „იგორის ლაშქრობასთანაც“, თავისი იდეების სიღრმით და მხატვრული თვისებების თვალსაზრისით პირველი ადგილი მიეკუთვნება. მსოფლიო ლიტერატურაში მას ჯერ არა აქვს სათანადო ადგილი მოპოვებული-

ავტორი ნოკლედ ეხება რუსთაველის ეპოქას, პოემის დაწერის დროს, მის ორიგინალობას, ხალხურობას, მის იდეებს, მოტივებს — სიყვარულს, მეგობრობას — ახასიათებს შინაარსს, მთავარ მოქმედ გმირებს, მის აფორისტულობას. ავტორი პოემის მხატვრულ დახასიათებაში აღნიშნავს, რომ: «Поэма Руставели принадлежит к тем поистине неувядающим произведениям, в которых каждое поколение находит для себя нечто новое» (გვ. 30). პოემა გვიტაცებს თავისი შინაარსის ადამიანურობით, ჰუმანიზმით, სიბრძნითა და ფაბულის მიმზიდველობით. პოემის გეოგრაფიულად ფართო საზღვრებს შეუფერება მისივე აზრობრივი პორიზონტის სიფართოვე. პოემის ფონი უცხოეთია, მაგრამ ის ქართულია შინაგანად და არსებითად. «В поэме все жс звучит Грузия и звучит на своем языке» (გვ. 36).

დასასრულს, ავტორი ეხება პოემის რუსულ თარგმანებს და ბალმონტის თარგმანს ახასიათებს როგორც «мгучитейшим, монотонным в своем зномкогласии» (გვ. 30). მან დიდი შრომა გაწია შინაგანი და გარეგანი რითმების ძებნაში, მაგრამ მისი თარგმანის პრინციპი ძირითადად არაა სწორი, რამდენადაც ის გამოეყიდა რუსთაველის ლექსის ბგერა-რიტმის დამსგავსების მიზანს; მან მოინდომა ქართული ორიგინალის ბგერადობა გადმოეცა რუსულად, რასაც შესწირა შინაარსის სისწორე, შედარებთა აზრი და მისი რიტმული თავისებურება. მიუხედავად ამისა, როგორც ერთ-ერთი თარგმანი, მაინც დიდი მოვლენაა რუსულ ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში.

1977. С. Иванов

Слава, прошедшая через века

ქრბ. Книга и пролетарская революция, 1936, № 11, გვ. 95—96.

წერილი წარმოადგენს მცირე რეცენზიას ბალმონტის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის სრული რუსული თარგმანის 1936 წლის გამოცემაზე. ავტორი აღნიშნავს, რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას და

მის პოპულარობას საქართველოში, მოკლედ გადმოცემს ვეფხისტყაოსნის უაბულას, აღნიშნავს პოემის სახალხო მნიშვნელობას და ზოგადად აფასებს ბალმონტის თარგმანს. ავტორის მოსაზრებით ბალმონტის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის სრული რუსული თარგმანი მხოლოდ დასაწყისად უნდა ჩაითვალოს. რამდენადაც ბალმონტმა ვერ შეძლო გადმოეცა ქართული პოეტური სიტყვის მთელი სიღამაზე. მის თარგმანში დაკარგულია რუსთაველის აფორიზმების გამოკვეთილობა და ხასიათდება არასიზუსტიდაც.

1276. ს. იორდანიშვილი

ქაშა აღმწერლის ერთი ცნობის შესახებ („შოთა კუპრი“)

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, III, გვ. 167—181.

ავტორი ეხება რუსთველოლოგიაში პაეღე ინგოროყვას მიერ წამოყენებულ მოსაზრებას შოთა რუსთაველის მანიქველობის შესახებ, რისთვისაც მოჰყავს ამონაწერები პ. ინგოროყვას მიერ 1922 წლის 4 ივნისს წაკითხული მოხსენების ანგარიშიდან და ამ მოხსენების შესახებ პროფ. იუსტ. აბულაძის აზრი. ავტორი ასაბუთებს, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ერთ გამოთქმაზე დამყარებით პ. ინგოროყვას მიერ ქართლის ცხოვრების შენიშვნის შემდეგი წაკითხვა: „ჭერეთის ერისთავი შოთა, რომელსა მანისი თერობისათვის კუპრობით უხმობდეს“, რაც შემდეგ „რუსთველიანში“ მთელ თეორიად გადაამუშავა, ტექსტის თვითნებურ გაგებაზეა აღმოცენებული. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება სიტყვების „ფერი“, „კუპრი“ ეტიმოლოგიებს და ინტერპრეტაციას უკეთებს ქაშა აღმწერლის ცნობებს, რომელთა თავისებური გაგებით პ. ინგოროყვას რუსთაველის მანიქველობის დამტკიცება უნდოდა, და ასევე, რომ მათში ამისი საფუძველი არ მოიპოვება.

1279. ს. იორდანიშვილი

კომისიების შენაობა „ვეფხისტყაოსანზე“ (სახელდასტო მითხილვა)

გახ. ბოლშევიკური კადრებისათვის, 1936, 12 ოქტომბერი, № 20(79) გვ. 3; 20 ოქტომბერი, № 21 (80), გვ. 2.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენად წარმოებულ მუშაობას ეხტანგ VI-ის გამოცემიდან უკანასკნელ დრომდე (1712, 1888, 1934 წლების გამოცემების მოზადება და მათთან მინარტებით საიუბილეო ტექსტის დადგენა). ავტორი მოკლედ აღწესხავს ჩატარებული მუშაობის შედეგებს პოემის დადგენის თვალსაზრისით და მოჰყავს ზოგი მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ შეასწორა პოემაში კომისიამ სხვა გამოცენებში წარყვნილი წაკითხვები. დასასრულს, ავტორი წერილს ურთავს ცხროლებს იმ სტროფებისას, რომელნიც მეტ-ნაკლებია გამოცემებში შედარებით იმ ახალ ტექსტთან, რომელიც საიუბილეო კომისიამ დაადგინა.

1280. ბ. კ.

„ასტონ კათალიკოსი და... ლაგოდებელი კომკავშირელები“

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1936, 1 ნოემბერი, № 252, გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დენის ისტორიას, მოჰყავს ანტონ კათალიკოსისა და ტინოთეს შეხედულებანი რუსთაველზე და აკრიტიკებს ა. ბარამიძის მოსაზრებას ვეფხისტყაოსანში ფეოდალური იდეოლოგიის გამოხატვის შესახებ. ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის იდეალების პროგრესულ ხასიათს და აღნიშნავს, თუ როგორ სწავლობენ ლაგოდებელი კომკავშირელები ვეფხისტყაოსანს როგორც სასარგებლო წიგნს, თუმცა მას ზოგი მწიგნობარი რეაქციონურად სახედა.

Русские на русском языке

გაზ. Заря Востока, 1936, 6 января, № 5, გვ. 4.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შემოქმედების მთავარ მხარეებს, აღნიშნავს მისი მეტყველების თავისებურებებს და მასთან დაკავშირებულ ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის სიძნელებებს.

ავტორი სპეციალურად ჩერდება პეტრენკოს მიერ გაწეულ მუშაობაზე ვეფხისტყაოსნის მთლიანი რუსული თარგმანისათვის.

1282. ვ. კაკაბაძე

რუსთაველის ხანელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის
მუშაობა ვეფხისტყაოსნზე

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, V. გვ. 363—365.

ავტორი რუსთაველის ინსტიტუტის 1936 წლის სამუშაო თემატიკის მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ ინსტიტუტის ძირითად სამუშაოს წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დადგენა და მისთვის ლექსიკონისა და კომენტარიების შედგენა.

1283. А. Канчели и Г. Агасов

О переводах Шота Руставели

ჟურნ. Литературный критик, Москва, 1936, № 7, გვ. 171—178.

ავტორები არჩევენ პოეტ პ. პეტრენკოს მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ცალკეულ ადგილებს და შესაძარებლად მოყვამთ იმავე ადგილების ზუსტი, პროზაული თარგმანები, ზოგჯერ კი ქართული სტრიქონები რუსული ტრანსკრიფციით და ასაბუთებენ, რომ პეტრენკოს თარგმანი დაცილებულია რუსთაველის პოეტურ ფრაზას, ხელოვნურია, შეიცავს აშკარა დამახინჯებებს, შეცდომებს, არსებითად არაპოეტურია, სუსტია რითმები, მხატვრულად ადეკვატური არაა და აზრობრივად ზუსტი.

1284. კ. კაპანელი

რუსთაველის ფილოსოფია

ჟურნ. მნათობი, 1936, № 2, გვ. 174—208.

ავტორი ცდილობს „რუსთაველის მსოფლმხედველობის გამოკვლევას მისი პოეტიკის ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით“, მოკლედ იხილავს ვეფხისტყაოსნის შესავალში შრეცემულ პოეზიის თეორიას და ეხება პოემის მთავარ გმირებს, ფაბულასა და სიუჟეტს რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხებთან მიმართებით. მისი აზრით, ავთანდილი აპოლონური ტიპია, ტარიელი — დიონისური, თინათინი ავთანდილისებური ტიპოლოგიურად, ხოლო ნესტან-დარეჯანი — ტარიელისებური (გვ. 179). „რუსთაველის შემოქმედება მოქსოვილია ელანური სოფლმხედველობით, განსაკუთრებით და კერძოდ პლატონის იდეებით“ (გვ. 181). დასასრულს, ავტორის აღნიშვნით, რუსთაველში ელინიზმთან ერთად იგრძნობა ირანო-სასანიდური კულტურაც.

1285. კ. ქაქელიძე

რუსთაველოლოგიური სტუდიები

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, III. გვ. 116—137.

ქვესათაურები: „ისტორიული აღუგორები: ნესტან—ტარიელი და თამარ—სოსლანი, თინათინი და თამარი. — კიდევ თარიღისათვის. ზახსეული ბელანწერი ვეფხისტყაოსნისა“.

ავტორი მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის შინაარსის გაგებაში აღუგორიულობის თეორიის წამოყენების ისტორიას, კატეგორიულად უარყოფს მის

რეალურ საფუძველს და ისტორიული ექსკურსებით ასაბუთებს, რომ არაერთარი ანალოგიები ისტორიულ პირთა და პოემის გმირთა შორის არ არსებობს. მისი აღიარება ისტორიულ მოწმობათა ტენდენციური წაკითხვისა და გაგების შედეგია. ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღის საკითხსაც. მისი აზრით, პოემის ზოგი სიტუაციის ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა პოემის დაწერის თარიღი მნიშვნელოვნად დავუახლოვოთ თამარის ეპოქას. მისი დასკვნით, ვეფხისტყაოსანი ვერ დაიწერებოდა 1227 და შესაძლოა 1245 წელზე ადრე.

ავტორი არკვევს ზაზა ციციშვილისეული ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ტექსტის დადგენისათვის ჩამატებული ადგილებისა და ხელნაწერის დათარიღების საკითხის თვალსაზრისით. მისი დასკვნით, ცხადი ხდება იოსებ ტფილელისა და ნანუჩა ციციშვილის ვეფხისტყაოსანზე მუშაობის ხასიათი და დასტურდება, რომ იოსებ ტფილელს ვეფხისტყაოსანში ჩაუმატებია 65 სტროფი, ნანუჩა ციციშვილს კი 31 სტროფი, რომლიდანაც 11 ჩამატებულია „ავთანდილის ანდერძში“, 20 კი თვით პოემის ძირითად ტექსტში.

ავტორი ტექსტუალური ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „ვახტანგს რაღაც მოკლე ტიპის ხელნაწერი კი არ გადმოუბეჭდია უცუელად, არამედ შეუმოკლებია ვრცელი ტექსტი პოემისა და, მაშასადამე, თავისი საკუთარი კრიტიკული რედაქცია მოუცია“.

1286. Корпелий Кенелидзе

Руставели и Низам Гянджеви

(К вопросу об Ирано-Грузинских литературных связях)

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, V, გვ. 157—178.

ავტორი აღნიშნავს, რომ სპარსულ კლასიკურ პოეზიას გარკვეული გავლენა ჰქონდა რუსთაველის შემოქმედებაზე. განსაკუთრებით ძლიერია გავლენა როგორც ეპიკურ-საგმირო (ფირდოუსი), ისე ეპიკურ რომანტიკული (გურგანი) პოემების ზეზე. ვეფხისტყაოსანს შესამჩნევე მსგავსება ეტყობა უმათერესად ნიზამი განჯელის „ლეილ-მეჯნუნთან“, რომელთანაც მას ზოგადად ცალკეული ფრაზეოლოგიური შეხვედრებიც. მაგ., „მისინი ვერ გასძლენს პატიენი ვერ კან ვერცა სალამან“, სადაც, მისი აზრით, კანეი ბიბლიური კანეი კი არ არის, არამედ ნიზამის პოემის ყაისი. „სალამან“ არა მარის ინტერპრეტაციის „სალამან ებსალ“-ის გმირია, არამედ „სალამან“ „თამარიანში“ დამოწმებული იგივე ნიზამის პოემის „იბნ-სეილამ“, რომელსაც ლეილა ძალით მიათხოვეს. ავტორი აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის სიახლოვე „ლეილ-მეჯნუნთან“ საგრძნობია სიუჟეტური მოტივებისა და ფაბულარული ელემენტების მსგავსებით, — ეს ორი პროექტი ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავდება გმირთა ხასიათების დახატვაში, სიუჟეტის საერთო ტრაქტოვებაში, მის იდეურ სარჩულსა და განსაკუთრებით კი ქალთა ტიპების მოცემაში.

1287. ვალ. ლუარსაბიძე

რუსთაველის მსოფლმხედველობათვის

გახ. კომუნისტის, 1936, 8 ოქტომბერი, № 233, გვ. 3, ქვედურა.

ავტორი კრიტიკულად იხილავს პროფ. შ. ნუცუბიძის ნაშრომს „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“ („უნივერსიტეტის შრომები“, 1935, 1) და პოლ. ცინცაძის წიგნს „ვეფხისტყაოსანი — მსოფლმხედველობა და მხატვრული კონსტრუქცია“ (1936).

ავტორი აღნიშნავს, რომ შ. ნუტუბიძის ნაშრომი იდეალისტური გაგებითაა შესრულებული. მისი მსჯელობა და დასაბუთება ბუნდოვანობით ხასიათდება. ის რუსთაველს იდეალისტთა ბანაკში ათავსებს. მკდარია მისი გაგება მზისა, როგორც ღვთაებისა. საერთოდ შ. ნუტუბიძის მსჯელობა რუსთაველის იდეოლოგიის საკითხებზე „საფიქრებელის“ და „თუს“ ფარგალს არ ცილდება.

ავტორი აღნიშნავს პოლ. ცინცაძის ნაშრომში წამოყენებულ მთავარ დებულებებს. მისი აზრით, პოლ. ცინცაძე საკმაოდ დამაჯერებლობით არკვევს და ასაბუთებს რუსთაველზე სტოელთა ფილოსოფიის გავლენას. მას კონკრეტულად და საბუთიანად აქვს განხილული ღმერთის, ფატალიზმის, სიკვდილსიციოცხლის, ბრძენი პიროვნების, მეგობრობისა და ქალის საკითხები ვეფხისტყაოსანსა და სტოელთა ფილოსოფიაში.

ავტორის საერთო დასკვნით, პოლ. ცინცაძის კრიტიკული ეტიუდი თავისი მეთოდოლოგიური გეგმითა და მასალის მეცნიერული დამუშავებით. პრობლემების გაბედული დაყენებითა და ძირითადად აწორად გადაქრით რუსთველოლოგიის მნიშვნელოვანი და სერიოზული შენაძენია.

1268. ლ. მ.

მსჯეობა „რუსთაველის საიუბილეო გამოფენისათვის

გაზ. კომუნისტური, 1936. 16 ივლისი, № 163, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქის გამოფენისათვის მასალის მოსამზადებლად პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. გ. ჩუბინაშვილი და ლ. მუსხელიშვილი ათვალეირებენ და სწავლობენ დმანისის ნაქალაქარს, ბოლნისის სიონს და გეგუთის სასახლის ნანგრევებს.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ამ ძეგლების მდგომარეობას, მათ ისტორიულ მნიშვნელობას და გამოფენაზე ექსპონირების გეგმას.

1269. მ. მ—ლი

სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით

გაზ. წითელარმიელი, 1936. 31 დეკემბერი, ან 301, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს ინფორმაციულ ანგარიშს 28 დეკემბერს საქართველოს მუზეუმში პოლკოვნიკ ლ. გარსიაშვილის მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ, თემაზე „სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“. მოხსენების მიხედვით, ვეფხისტყაოსნის შესწავლა მრავალ მნიშვნელოვან საკითხს გვირკვევს სამხედრო საქმის ისტორიისათვის საქართველოში და, მეორე მხრივ, თვით ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის. ამ მიდგომით მრავალი საინტერესო საკითხი იჭრება. ამასთან ერთად მოხსენებაში აღძრული ყოფილა საბრძოლო იარაღების, სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო გაწრთენის საკითხები.

დასასრულს, აღნიშნულია, რომ სხდომის თავმჯდომარეს პროფ. ივ. ჯავახიშვილს კარგი შეფასება მიუძღია მოხსენებისათვის.

1290. ე. მანხვეტაშვილი

მოგონებანი — ნახული და გაცონილი

ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

ფედერაცია, ტფილისი, 1936, გვ. 93—94.

ავტორი გაკვრით ეხება ივ. ჯაბადარის მიერ ვეფხისტყაოსნის შესახებ «Семьдесят Вестник»-ში წერილის დაბეჭდვას, რომელიც ცნობილია «Илиада о Грузии»-ს სახელით და აღნიშნავს მის მიერ რუსთაველის შემოქმედე-

ბისა და სახეების უმართებულო კრიტიკას, მასთან ილია ქავეჭავაძის შეკამათებას და სხვ.

ავტორი შენიშნავს, რომ ამ წერილში, რომელიც ჯაბადარმა „ივერიის“ რედაქციაში წინასწარ წაიკითხა „არ იყო დაცული ისტორიული სინამდვილე, ვერ შეეგნო ავტორს რუსთაველის გმირების სულსკვეთება, გულის ძგერა, მათი საქციელი, ისტორიული ეპოქის შესაფერად. ის უკივილებდა ნესტანდარეჯანს, ტარიელს პასივობას, უძრავად, გულხელ დაკრეფით ჯდომას ერთ ალაგას, განუწყვეტელ ჩივილს, წუწუნს და ცრემლის ღერას“.

ავტორს მოჰყავს ილია ქავეჭავაძის ვრცელი შენიშვნა ჯაბადარისადმი.

ავტორი აღნიშნავს, რომ, როგორც მან შემდეგ შეიტყო, ეს წერილი მთლიანად ჯაბადარს არ ეკუთვნოდა. მას მხოლოდ ეფეხისტყაოსნის შინაარსის გადმოცემა ჰკუთვნებია, ძირითადად კი წერილის დაწერა, გაშუქება და კრიტიკული განხილვა მის ცოლს, ლიუბატოვიჩის ქალს, ცნობილ რევოლუციონერს და „ნაროდოვოლცების“ წრის წევრს.

წიგნის შენიშვნებში, მოიპოვება რედაქტორის ვრცელი განმარტება ივ. ჯაბადარისა და მისი წერილის ირგვლივ შექმნილი კამათის შესახებ (გვ. 237).

1291. Titus Margvelashvili, Ph. D. (Berlin)

The Georgian epic: „The Man in the Panther's skin“

გერმ. GEORGICA, A Journal of georgian and caucasian studies
London, October, 1936, Vol. 1, Nos. 2-3, გვ. 24-43.

ავტორი ახასიათებს ეფეხისტყაოსანს მსოფლიო ლიტერატურულ მიმართებაში, მოკლედ გადნოსცემს ეფეხისტყაოსნისა და გილგამეშინის შინაარსს და გაჰყავს პარალელი. მათ შორის, თუმცა, მისივე შენიშვნით, ამ ეპოსების შინაარსები განსხვავებულნი არიან, მაგრამ ზოგ მოტივსა და დეტალში ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. ორივეში გმირები ბევრს ტირიან: მათში მსგავსია შეგობრობისა და ქალისადმი დამოკიდებულების გაშობატულება.

ავტორს ეს პარალელები საფუძველს აძლევს იფიქროს, რომ ეფეხისტყაოსანში ბევრი რამ შესაძლოა წინარე იაფეტური წარმოშობის ეპოსიდან მონდინარეობდეს. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ციტატები და ასახელებს სათანადო ლიტერატურას.

1292. Ю. Н. Марр.

По поводу имен Нестандарджани и Амрандарджани

კრებ. Ю. Н. Марр, Статьи, сообщения и резюме докладов, I,
АН СССР, Грузинский филиал, Научно-исследовательский институт кавказоведения
и. акад. Н. Я. Марра, издательство АН СССР. Москва-Ленинград, 1936, გვ. 62-64.

ავტორი ასაბუთებს, რომ აკად. ნ. მარის მიერ ნესტანდარეჯანისა და ამირანდარეჯანის დაბოლოებაში სპარსული „ჯაჰანის“ ნაცვლად „ჯან“ ფორმის მიღება საესებით შესაძლებელი და ნორმალურია სპარსულ ნიადაგზე. საილუსტრაციოდ მოჰყავს სპარსული მეტყველების ნიმუშები.

1293. Н. Я. Марр

Грузинский язык

კრებ. Язык и история, Ленинград, 1936, Сборник первый, გვ. 28-40.

ავტორი ქართული ენის თავისებურებაზე ნსჯელობისას გაკვირით ეხება ეფეხისტყაოსანს. პირველად დაიბეჭდა ფრანგულად: „La langue Géorgienne par N. Marr. Revue de L'Orient chrétien, 3. série (XXVI) VI, Paris, 1928, № 1-2, გვ. 3-21. სრული ანოტაცია იხ. ამ გამოცემასთან № 1089.

ვეფხისტყაოსნის ყარაბაღული ვარიანტი

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, V, გვ. 201—224.

წერილი წარმოადგენს სომეხი გადამწერის მიერ 1826 წელს შესრულებული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის აღწერილობას. ეს ხელნაწერი ავტორის მემკვიდრით საქართველოს მუზეუმს პოეტ ანტონ აუშტროვისაგან შეუძენია.

ავტორის იძლევა ხელნაწერის ტექნიკურ აღწერილობას და აღნიშნავს მის მინაწერებს, რომელთა მიხედვით ასკვნის, რომ ის გადამწერილი ყოფილა ყარაბაღის სოფელ ავეტარანოცს ანუ ჩანახჩს 1826 წლის 4 ივლისს. აღწერის მიხედვით ხელნაწერი შეიცავს 268 გვერდს. პოემას 64 თავი ჰქონია, რომელთა დასათაურებაც მოჰყავს. მასში მოიპოვება შემდეგი 9 თავი, რომელიც ჩვეულებრივ რედაქციებში არ არის:

1. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკუდილის ცნობა
2. ტარიელისაგან ინდოეთს მისულა და ხატაელთ დამორჩილება
3. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ინდოეთსა შინა
4. ტარიელის დასწრელება და ხეარაზმთ მეფისაგან სისხლის ტებნა
5. ესმა ინდოთ მეფესა ტარიელს მოსულაა ხეარაზმელთა
6. ტარიელისაგან ავთანდილთან და ფრიდონთან კაცის გაგზავნა
7. მისულა ავთანდილის და ფრიდონის ტარიელის საშუელად
8. ავთანდილისა და ფრიდონისაგან წასულა ხეარაზმსაა ხედა და მათთან ომი
9. ომი ხეარაზმელთა, ინდოთა და თურქთა თანა

ავტორი ყარაბაღული ხელნაწერის მნიშვნელობაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ის საყურადღებოა მისთვის დართული ვრცელი ლექსიკონით. ლექსიკონში აღნუსხული ყოფილა 581 სიტყვა, რომელთაგან 528 განმარტებულიცაა. ავტორი ნარკვევს ურთავს ლექსიკონის სრულ ტექსტს. პირველი სიტყვა:

„ა ბ ჯ ა რ ი — ტანსაცმელს ჯაქვსა, მშვილდისაარსა და სხვათ ამგვართ იარაღებს ჰქვიან“.

ბოლო:

„ჰ გ ი ა — ყვავილია“.

1295. გ. ნატროშვილი

წვეული ფეოდალი... რუსთაველი

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1936, 22 მარტი, № 67, გვ. 2—3.

წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას 1935 წელს გამოცემულ სახელმძღვანელო წიგნზე „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“. ავტორი აკრიტიკებს წიგნის ერთ-ერთ ავტორს ა. ბარამიძეს შოთა რუსთაველის შემოქმედების საკითხების გარჩევასთან დაკავშირებით. ავტორის შენიშვნით, ამ წიგნს შეუძლია მოსწავლეს შეაძულოს რუსთაველი. აქ ვეფხისტყაოსანი დაუნდობლად არის ვულგარიზებული, და რუსთაველი დახასიათებულია როგორც ლეგიტიმისტი, ფეოდალიზმის მომხრალი. რუსთაველის შემოქმედების შეფასება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ავტორის დასკვნით, ამ წიგნის მიხედვით მოწაფე ვერ იგარძნობს, რომ რუსთაველი განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული ლიტერატურის ისტორიაში, მით უმეტეს, რომ, ა. ბარამიძის სიტყვით, თითქოს ვეფხისტყაოსანს ღირსეულად უმშვენებენ მხარს სახობტო ძეგლები.

დასასრულს, ავტორი რუსთაველის შემოქმედებას ახასიათებს როგორც ჰუმანიტურსა და პროგრესული მნიშვნელობის მქონეს შედარებით დასავლეთ ევროპის მწერლებთან.

1936. გ. ნატროშვილი

ვით მარგალიტი წუობლი

გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1936, 1 ნოემბერი, № 252, გვ. 2—3.

ავტორი ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებაში გამოსახულ მთავარი-იდეებსა და მოტივებს, მის ადგილსა და მნიშვნელობას ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში, აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი რეალისტური ნაწარმოებია და მასში იკრძობა რენესანსის სული. ავტორის აზრით, რუსთაველის თავისუფალი აზროვნების წყარო საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აყვავების ეპოქა იყო XII საუკუნეში. რუსთაველი როგორც ჰუმანისტი უფრო მოწინავეა დანტესთან შედარებით.

ავტორი რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხებზე მსჯელობისას აკრიტიკებს პროფ. კ. კეკელიძეს, რომელსაც, მისი შენიშვნით, რუსთაველი პესიმიზმის და მისტიციზმის აღამდარად გამოჰყავს.

1937. К. Нур

Руставели в веках

გაზ. Заря Востока, 1936, 6 ноября, № 260, გვ. 4.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას, მისი პოემის სილიაღეს, მნიშვნელობას და იმოწმებს აკად. ნ. მარის შეხედულებებს. ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის საიუბილეოდ მზადებას და სხვ. საკითხებს.

1936. უშ. ოზოლაძე

შოთა რუსთაველის საიუბილეო ღიებები სკოლაში

ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1936, № 12, გვ. 31—34.

ავტორი შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით სახავს ღონისძიებებს, რომლებიც სკოლებში უნდა განხორციელდეს. მათ შორის ძირითადად მიაჩნია ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლა. ავტორი ამ მიზნით არჩევს ვეფხისტყაოსნის შესწავლის მეთოდოლოგიას ცალკეული კლასების მიხედვით და ადგენს იმ მასალის სქემას, რომელიც მოწაფეებს შოთა რუსთაველის შესახებ უნდა მიეცეთ. ამასთან დაკავშირებით ავტორი აგრეთვე მოკლედ შეუთითებს რუსთაველის მთავარ მოტივებს, აფორიზმებს, მისი ზეტყეულების მთავარ საკითხებსა და პოემის გამოცემებს.

1939. შოთა რუსთაველი

Витязь в тирюовой шкуре

Поэма, перевод с грузинского К. Д. Бальмонта, Москва, Академия, 1936, 291 გვ.

წიგნს აქვს მცირე წინასიტყვაობა უავტოროდ „От редакции“ (გვ. V—XVII), რომელშიაც ზოგადად გარკვეულია ვეფხისტყაოსნის შედგენილობის, ორიგინალობის, დაწერის დროის, მასში მოხსენიებული გეოგრაფიული ადგილების, რუსთაველის ბიოგრაფიის და პოეტური მეტყველების საკითხები. დასასრულს, გაკვრით აღნიშნულია ბალმონტის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის თარგმანის ზოგი ნაკლი, უმთავრესად კი თარგმანის შინაგანი რითმებით გადატვირთულობა.

იქვე მოიპოვება ბალმონტის თარგმანის 1933 წლის პარიზის გამოცემის სტატიიდან ამოღებული ნაწყვეტი «Из предисловия переводчика».

ტექსტი დაბეჭდილია ნუმერაციის გარეშე. ბალმონტის თარგმანის 1576 სტროფის, რომელიც ვახტანგის გამოცემის მიხედვით იყო შესრულებული, ამ გამოცემაში დამატებული აქვს ინდოხატაელთა ამბავი ე. ტარლოვსკაიას თარგმანით. ტექსტი შესავლისა და დასასრულის გარდა შეიცავს 50 თავს.

1300. [შოთა რუსთაველი]

Две строфы из сказа первого поемы Шота Руставели

«Носящий тшировую шкуру»

გაბ. На Рубеже Востока, 1916, 15 января, № 1, გვ. 7.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის მე-40 და 41-ე სტროფების ქართულ ორიგინალს, მისივე რუსული პროზაული, შინაარსობრივი თარგმანით და ლექსითი თარგმანების ტექსტებს შემდეგი მთარგმნელებისას: კ. ბალმონტის, გ. ცაგარლის, პ. პეტრენკოსა და ა. ყანჭელის.

1301. შოთა რუსთაველი

Носящий тшировую шкуру

Глава XX. Беседа Шерманиа с Автандилом пред тайным отбытием,
Перевод с грузинского Г. Цагарели, под литературной редакцией В. Эльснера,

გაბ. Заря Востока, 1936, февраль 21, № 42, გვ. 3.

თარგმანის ტექსტი შეიცავს 16 სტროფს. დასაწყისი ტაეპი:
«Войск водителъ дучезарный вед беседу с Шерманиом...».

1302. [შოთა რუსთაველი]

Афоризмы Шота Руставели

В переводе с грузинского Г. Цагарели

გაბ. Заря Востока, 1936, 11 апреля, № 85, გვ. 3.

ტექსტს წინ უძღვის პატარა შენიშვნა ვეფხისტყაოსნის შედგენილობისა და ხასიათის შესახებ. ტექსტი შეიცავს 12 აფორიზმს. დასაწყისი:
«Вяловь родится ты не сможешь, зла не обратишь в добре».

1303. შოთა რუსთაველი

Сказ тринадцатый

(Отрывок)

Перевод П. Петряко, под редакцией К. Чичинадзе.

გაბ. Вечерний Тбилиси, 1936, 10 октября, № 144, გვ. 3.

ტექსტი შეიცავს 12 სტროფს. დასაწყისი:

«Больше в сердце упованье не сияло ни одяю.

В башае завяес открылся, точно в божий рай окно,

Я вошел, увидя солнце, стало больше ме тейно.

Сердце сразу озарилось, но растаяло оно».

1304. შოთა რუსთაველი

«Витязь в тшировой шкуре» Шота Руставели

в украинском переложении Николая Бажан. Повесть перша, про Ростевана Арабского царя

გაბ. Заря Востока, 1936, Декабрь 29, № 302, გვ. 3.

თარგმანის ტექსტი შეიცავს 18 სტროფს. დასაწყისი:

«Ростевану був цар арабів,—з ласки бога владзував,
Шедрий, скромный, величавый, проводир витязкии див...».

1305. შოთა რუსთაველი

Витязь у Тшировій шкури

Переклад М. Бажан

ჟურნ. Молодыяк, Київ, 1936, № 10, გვ. 99 — 116; № 11, გვ. 103 — 133; № 12, გვ. 23 — 43. გავრცელება დაიბეჭდა იმავე ჟურნალში: 1937, № 2, 3. აგრეთვე ჟურნ.

«Молодий Білишовик», 1937, № 6—7.

თარგმანი შეიცავს ვეფხისტყაოსნის შესავალსა და I, II, III თავებს სულ 175 სტროფს (№ 10); IV—XII თავებს 176—496 სტროფებით (№ 11); XIII—XIX თავებს 498—721 სტროფებით (№ 12). დასაწყისი:

«Той, що силою своєю знів небесу височінь,
 Що високих горнім духом сповнив луні сотворін,—
 Він лі землі многобарвні дав для людських володін,—
 Він парії настановляв, як свою полубу й тін!»

1306. Шота Руставели

Лист Нестан-Дареджан до її коханою

з грузинської Микола Бажан

укр. Радянська Література, Київ, 1936, книга десята, зв. 39—40.

თარგმნილი ტექსტი შეიცავს 10 სტროფის: დასაწყისი:

«Пішє та, що осяває зором обрїї земї:

„Зрїла я твоєї вроди самошвїти осяїні,—

Ти прегарний був, примтавши після бою на конї,

О, судилоє проливати рїки слїз рїсних менї!»

1307. [Шота Руставели]

Послание Нестан-Дареджан к самолюбивому ер

(из поэмы «Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели)

зв. Правда, 1936, 6 июля, № 154, зв. 3.

ტექსტი შეიცავს «წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთანა» (ქართულ-საიუბილეო გამოცემის 1292—1317 სტროფები) 18 სტროფს. დასაწყისი:

«Плеча, с дрожью поцелуя, воздыхая и тоскул,

Вот любимому пишу я. Кто любимому зажжен,

Кто простившись с бьюрзюю, распален и огнях грозно,

Оя единственной слезою той любимой освещен».

1308. Шота Руставели

Витязь в тигровой шкуре

Отрывок

укр. Советское студенчество, 1936, Сентябрь, № 7, зв. 67—70.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის შესავლის 6 სტროფს ბალზონტის თარგმნით, პოეზიის თეორიის შესახებ.

1309. ტრ. რუხაძე

„აღორძინების პერიოდის“ მწერლობის ცნობები შოთა რუსთველსა და „ვეფხისტყაოსანზე“ კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, III, გვ. 185—213.

ავტორი ახასიათებს აღორძინების მწერლების დამოკიდებულებას რუსთაველის შემოქმედებასთან და ცალკე მწერალთა მიხედვით მოჰყავს ციტატები, რომლებშიაც რუსთაველი და ვეფხისტყაოსანია მოხსენიებული (სერაპიონ სოგრატიძე საბაშვილი, იოსებ ზილიბანიანის უცნობი მთარგმნელი, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი, მეფის მდივანი მამუკა, ფეშანგი, არჩილ მეფე, იოსებ სააკაძე, სულხან თანიაშვილი, იაკობ სამებელი დუმბაძე, ვახტანგ VI, იესე ტლაშაძე, მამუკა ბარათაშვილი, თეიმურაზ შეორე, დავით გურამიშვილი, ბესიკი, ანტონ კათოლიკოსი). მწერალთა შეხედულებების შეფასებას ავტორი ურთავს მოკლე ისტორიულ-ლიტერატურულ კომენტარიებს და იხილავს ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემას.

1310. იაკობ ხაფჩენკო

რუსთაველი უკრაინულ ენაზე

გვ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 2 ივლისი, № 10, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ახასიათებს მიკოლა ბაქანის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილ ვეფხისტყაოსანს და ეხება მის შემოქმედებით მუშაობას. მისი შენიშვნით, მთარგმნელი „საოცარი ძალით გადმოგვეცემს ვეფხისტყაოსნის გრძნო-

ბათა სიღრმესა და სიახლეს, მკვეთრ სახეებსა და ხასიათებს და გმირთა თვისებებს ეპოქის კოლორიტის შენარჩუნებით. მასში მოცემულია ახალი, რენესანსის ადამიანი თავისი ღრმა განწყურებით და წინაგარინობებით⁴.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას უკრაინელი ბალხისა და მიჩი კულტურისათვის.

1311. შიხ. ხაყვარელიძე

ვეფხისტყაოსანი რუსულად

Шота Руставели. Витязь в тигровой шкуре, Перевод с Грузинского
К. Д. Бальмонта, Академия, 1936.

გაზ. კომუნისტი, 1936, 10 სექტემბერი, № 210, გვ. 3.

ავტორი აღწერს ვეფხისტყაოსნის ბალმონტის თარგმანის 1936 წლის გამოცემის გაფორმებას, შედგენილობას და არჩევს თარგმანის ლირსება-ნაკლოვანებას. ავტორის აზრით, თვით თარგმანი ვერა დგას იმ სიმაღლეზე, რომელიც ორიგინალს ეკადრება. მისი ფორმა შინაარსს ჩაგრავეს. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი, მიუხედავად მის გმირთა ტანჯვა-ვაებისა, მოთქმა-გოდებისა, თავისი ძირითადი იდეით ჯანსაღი, ოპტიმისტური ნაწარმოებია. ბალმონტმა კი ვეფხისტყაოსანში შეიტანა მისტიკის ნიაქარი, ბურუსი სიმბოლიზმისა. მან ვერც რუსთაველის რითმა დასძლია, მისი შინაგანი რითმა არაა გამართლებული, რუსთაველის მეტაფორებს დაკარგული აქვთ დახვეწილობა.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ბალმონტის თარგმანი, ამ ნაკლთა მიუხედავად, მაინც მეტად სასარგებლო მოვლენაა რუსთაველის რუსულად გაცნობა-თარგმანის საქმისათვის.

1312. А. С.

Историко-географические основы поэмы Шота Руставели
«Витязь в тигровой шкуре»

Второе издание, Государственное издательство Грузии, Тбилиси, 1936, 73 гл.

იგივე პირველად დაიბეჭდა ქართულად 1934 წ. მცირეოდენი განსხვავებით (იხ. ანოტაცია № 1172). მეორედ სათაურით «Руставели и его поэма» ჟურნ. «Новый мир»-ში 1936 წ. № 9. А. Сванидзе-ს ხელმოწერით (იხ. ანოტაცია № 1313). ამ გამოცემაში ცვლილებები შეტანილი არ არის.

1313. А. Сванидзе

Руставели и его поэма

Журн. Новый Мир, Москва, 1936, № 9, гл. 252—272.

წერილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

Введение. Гулашаро. Муглазавარი. Каджети. Аравил. Индия. Хатаети. Хваразм. Проверка приведенных гипотез на основании Маршрутов, описанных в поэме Руставели. Несколько добавочных замечаний. Когда написана поэма Руставели.

ავტორი ეხება რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესათვის სამზადისის შიშდინარობას საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში და აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ირგვლივ კვლევაძიებითი მუშაობის გაცხოველებას. ავტორის შენიშვნით, მიუხედავად დიდი პოპულარობისა, პოემა შეუსწავლელია თავის ძირითად ხაზებში და ასევე უცნობია რუსთაველის პიროვნებას.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას და შუასაუკუნეების მსოფლიო პოლიტიკურ მდგომარეობას საქართველოს ისტორიის

საკითხებთან დაკავშირებით; ქართული კულტურის ირანულ-არაბულთან ურთიერთობას, ვისრამიანის, ამირანდარეჯანიანის, შაჰნამეს, ლეილმეჯუნია-ნის, ჰომეროსის ვეფხისტყაოსანზე გავლენის ნიშნებს და აღნიშნავს ჰომეროსისა და რუსთაველის მთავარი გმირები მსგავსებას.

ავტორი ძირითადად იხილავს ვეფხისტყაოსანში გამოხატულ ისტორიულ მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც ცდილობს დაასაბუთოს მისი ვაჟა, გეოგრაფიული გარემო და პოემის დაწერის თარიღი. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის გმირთა მოქმედების გეოგრაფიული ასპარეზი უფრო დიდია, ვიდრე ჰომეროსის გმირებისა, რუსთაველი ახსენებს როგორც ცნობილ, ისე უცნობ, მის მიერვე გამოგონილ სახელმწიფოებს.

ავტორი ცდილობს დაადგინოს, თუ რომელი სახელმწიფოები იგულისხმება გულანშაროს, მულაზანზარსა და ქაჯეთში და, იმავე დროს, როგორ საზღვრებშია მოქცეული მისი არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი.

ავტორის დასკვნით, გულანშარო ვენეციაა, მულაზანზარი — ტრაპეზუნდი, ქაჯეთი — ესპანეთის მავრიტანია, არაბეთი დამასკოს ცენტრით — გაერთიანებული წინააზიური ქვეყნები ეგვიპტით, ინდოეთი — ალთიმუშის ინდოეთის სასულთანო.

ავტორი ეხება პოემის გმირთა ჩაცმულობას, ვეფხისტყაოსნის დასურათებას და აღნიშნავს, რომ შეცდომაა რუსთაველის გმირების წარმოდგენა XIX საუკუნის ქართულ ჩერკესკებში (გვ. 270). ავტორის აზრით, უსაფუძვლოა დებულება, თითქოს პოემაში გამოხატულია ქართული სინამდვილე. პოემა თარგმნილია; სპარსულიდან და მისი გმირების ასპარეზი არ შეიძლება ყოფილიყო პატარა საქართველო. პოემა დაწერილია 1204—1206 წლებს შორის, ამ დროს კი აღარ არსებობდა ბიზანტიის იმპერია, რომელიც სწორედ ამიტომ არა აქვს გამოხატული რუსთაველს. ამგვარად, ის ვერ დაიწერებოდა 1204—1206 წლებზე ადრე და 1236—1238 წლებზე გვიანო.

1314. [უავტორო]

ღისკუტა ვეფხისტყაოსნის შესახებ ა. შანიძის მოხსენების გამო

ვახ. მუშა, 1936, 5 ოქტომბერი, № 230, გვ. 4.

ინფორმაციული ცნობა თბილისის უნივერსიტეტში პროფ. ა. შანიძის მიერ წაკითხული მოხსენების შესახებ, თემაზე: „ვახტანგისეული გამოცემის დედანი და მისი დამოკიდებულება ხელნაწერებთან“. ცნობაში მოკლედ აღმოსაზრებულია მოხსენების ძირითადი შინაარსი. კამათში გამოსულან კ. კეკელიძე, ალ. ბარაჩიძე, ს. იორდანიშვილი, იუსტ. აბულაძე, ს. ჯანაშია.

ამვე მოხსენების შესახებ დაიბეჭდა ანგარიში ვახ. ლიტერატურული საქართველო, 23 ოქტომბერი, № 17, გვ. 1. სათაურით: „ვახტანგისეული დედანი ვეფხისტყაოსნისა“.

1315. [უავტორო]

ვეფხისტყაოსნის ავტორი

ვახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1936, 1 ნოემბერი, № 252, გვ. 2.

წერილს ბოლოში აქვს შენიშვნა, რომ ის წარმოადგენს წინასიტყვაობის ნაწევრს, რომელიც დართული აქვს ამავე წელს ვეფხისტყაოსნის „Academia“-ს რუსულ გამოცემას.

დასაწყისში მოკლედ აღნიშნულია რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობათა სიმცირე, ზოგადად დახასიათებულია ვეფხისტყაოსანი, რუსთაველის შემოქმედება, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გადმოცემულია შოთა რუსთაველისათვის ძეგლის დადგმის ისტორია.

1316. [უავტორო]

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 15 სექტემბერი, № 15, გვ. 4.

სარეცენზიო მოკლე წერილში განხილულია მიხეილ ჩიქოვანის მიერ გამოცემული წიგნი „ხალხური ვეფხისტყაოსანი“. ავტორი აღნიშნავს, რომ მიხეილ ჩიქოვანი „მატერიალისტური პალეონტოლოგიის საფუძველზე ცდილობს გაარკვიოს ისეთი პრობლემები, როგორცაა რუსთაველის პოემის დამოკიდებულება ხალხურ ვეფხისტყაოსანთან, ხალხური ლეგენდის სტადიალობა, ვეფხისტყაოსნის ურთიერთობა მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალურ-რაინდულ სიუჟეტებთან და სხვ.“

დასასრულს, ავტორი ეხება წიგნის შედგენილობას.

იმავე გვერდზე მოიპოვება საინფორმაციო ცნობა — „ვეფხისტყაოსნის ახალი თარგმანი“ — იმის შესახებ, რომ ახლო ხანში საკავშირო სამეცნიერო აკადემიის მიერ გამოცემული იქნება პოეტ პ. პეტრენკოს მიერ რუსულად ნათარგმნი ვეფხისტყაოსანი. პოემის ტექსტის 1602 სტროფი უთარგმნია პეტრენკოს, დარჩენილი 143 სტროფი — პოეტ ბრიკს. ორივესთვის რედაქცია გაუკეთებია პოეტ კონსტანტინე კიკინაძეს.

1317. [უავტორო]

Руставели и его время

გაზ. На Русе же Востока, 1936, 31 января, № 2-3, გვ. 15.

მცირე საინფორმაციო წერილი შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მიერ 1936 წლის 1 იანვრიდან გამოცხადებულია კონკურსი შოთა რუსთაველზე საუკეთესო გამოკვლევისათვის. იქვე ჩამოთვლილია კონკურსის პირობები და სარეკომენდაციო დეტალური პროგრამა გამოკვლევისათვის საკითხების მითითებით.

1318. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ უცხო ენებზე

გაზ. მუშა, 1936, 23 ივნისი, № 143, გვ. 4.

ავტორი მოკლედ ასახელებს ვეფხისტყაოსნის თარგმანებს უცხო ენებზე როგორც სრულს, ისე ნაწილობრივს, რომელთაც, მისი შენიშვნით, ამჟამად ემატებათ უკრაინული, თურქული და ბელორუსული სრული თარგმანები.

1319. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ თურქულად

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 15 ნოემბერი, № 19, გვ. 4.

ავტორი მოკლედ ეხება იმ მუშაობას, რომელსაც ცნობილი აზერბაიჯანელი პოეტი ახმედ ჯაედი აწარმოებს ვეფხისტყაოსნის თურქულ ენაზე სათარგმნელად. ამ თარგმანისათვის კომენტარიებს წერს პროფ. ი. აბულაძე.

1320. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ უკრაინულად

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 31 ოქტომბერი, № 18, გვ. 4.

ინფორმაციულ ცნობაში აღნიშნულია, რომ უკრაინელმა მწერალმა მიკოლა ბაჟანმა უკვე დაამთავრა ვეფხისტყაოსნის უკრაინულ ენაზე თარგმნა სოლომონ იორდანიშვილის სიტყვა-სიტყვითი რუსული თარგმანის მიხედვით. მიკოლა ბაჟანს თარგმნის პროცესში განუწყვეტელი კავშირი ჰქონია ქართველ მწერლებთან და რუსთველოლოგებთან. ტექსტი დასაბეჭდად გადაეცა უკრაინის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობას.

1321. [უავეტორო]

*Подготовка в Азербайджане к 750-летию со дня
рождения Шота Руставели*

გაზ. *Заря Востока*, 1936, июль 14, № 264, გვ. 4.

ავეტორი მოკლედ ეხება აზერბაიჯანის სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებებში მიმდინარე მუშაობას შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად — ვეფხისტყაოსნის აზერბაიჯანულად თარგმნა აქმედ ჯავადის მიერ, შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გამოკვლევების, გამოფენებისა და მოხსენებების მზადება და სხვ.

1322. [უავეტორო]

[სხვა და სხვა ცნობები შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე]

გაზ. *Литературная газета*, 1936, 26 сентября, № 54(617), გვ. 3;

გაზ. *Советская Абхазия*, № 178, გვ. 1.

გაზ. *ლიტერატურული საქართველო*, 28 მარტი, № 3, გვ. 4;

2 ივლისი, № 10, გვ. 2

ჟურნ. *Книжные новости*, Москва 24 августа, № 24, გვ. 7.

«*Литературная газета*». ცნობა შეიცავს მოკლე ინფორმაციას საქართველოში რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესათვის სამზადისის მიმდინარეობის შესახებ.

«*Советская Абхазия*». ცნობა იმის შესახებ, რომ ვეფხისტყაოსნის ბალმონტის მიერ შესრულებული თარგმანის გამოცემის 1000 ეგზემპლარი მიღებული იყო თბილისში და რამდენიმე საათში გაიყიდა.

«*ლიტერატურული საქართველო*». მოკლე ცნობა ლაგოდების რაიონში შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის შესწავლისათვის მზადების შესახებ (№ 3).

ცნობა შოთა რუსთაველისათვის ძეგლის აგების სამზადისისა და საუკეთესო ძეგლისათვის კონკურსის პირობების შესახებ, წარმოდგენილი 16 პროექტიდან ზოგიერთის დახასიათებით (№ 10).

«*Книжные новости*». ინფორმაციული ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაამთავრა მ. ჩიქოვანის წიგნის «ხალხური ვეფხისტყაოსნის» ბეჭდვა.

1323. დ. ფანჩულძე

ქართული საზაროვნო კულტურა და რუსთაველი

გაზ. *ქომუნისტი*, 1936, 26 დეკემბერი, № 298, გვ. 4.

მცირე წერილი წარმოადგენს ანგარიშს შ. ნუტუბიძის მიერ წაკითხული ლექციისას: „ქართული საზაროვნო კულტურა მე-12—13 საუკუნეებში და რუსთაველი“. ავეტორი მოკლედ გადმოცემს ლექციის მთავარ დებულებებს.

1324. გერონტი ქიქოძე

ახალი კულტურის მიჯნაზე

ჟურნ. *საბჭოთა ხელოვნება*, 1936, № 3, გვ. 27—30.

ავეტორი ქართული კულტურის საკითხებზე მსჯელობისას გაკვირით აღნიშნავს, რომ შესაძლოა შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელი თანამედროვენი ყოფილიყვნენ და ერთმანეთი კარგად სცოდნოდათ. მაგრამ ვეფხისტყაოსანსა და ლეილ-მეჯნუნთან შორის განსაკუთრებით მსოფლმხედველობრივი და მსოფლშეგრძნობის თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა. ავეტორი უპირისპირებს ერთმანეთს მათში გამოხატულ იდეალებს და აღნიშნავს მათ რადიკალურ განსხვავებას.

1326. ს. ყაჯარ დუზოვი

მის. ჩიქოვანი.— „ხალხური ვეფხის-ტყაოსანი“ ტ. ს. უ.-ს გამოცემა, 1936 წელი

გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1936, 18 დეკემბერი, № 290, გვ. 4.

სარეცენზიო წერილში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს მ. ჩიქოვანის ნაშრომში წამოყენებულ შეხედულებას ვეფხისტყაოსნისა და ტარიელიანის ხალხური ვარიანტების ურთიერთობის შესახებ. ავტორი მოკლედ გადმოსცემს საკითხის კვლევის ისტორიას, მ. ჩიქოვანის შრომაში წამოყენებულ მთავარ დებულებებს იმის შესახებ, თითქოს ხალხური ტარიელიანის ვარიანტები რუსთაველის პოემის წყაროს წარმოადგენდნენ. ავტორი აღნიშნავს, რომ მ. ჩიქოვანი ახლა იმეორებს ა. ხახანაშვილია უკვე უარყოფილ აზრს, რომ ხალხური თქმულება ტარიელზე წინ უსწრებდა რუსთაველის ვეფხისტყაოსანს. ავტორის დასკვნით, მ. ჩიქოვანის ჰიპოთეზა ჭეიშხევა აგებული და მას არა თუ მერტი სინათლე და გარკვეულობა შეაქვს რუსთაველოლოგიურ მეცნიერებაში და ქართული ფოლკლორისტიკის კვლევის საქმეში, არამედ ბუნდოვანებასა და გაურკვევლობას ქმნის აღნიშნულ საკითხებში. დასასრულს, ავტორის დასკვნით, ხალხური თქმულების ყველა ვარიანტი სათავეს რუსთაველის პოემაში იღებს.

1326. პროფ. ა. შანიძე

ვეფხის-ტყაოსნის ტექსტის ისტორიისათვის

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 31 ოქტომბერი, № 18, გვ. 2.

ავტორი აყენებს ვეფხისტყაოსნის ორი რედაქციის არსებობის საკითხს, მათში ერთია მოკლე, რომლის ტრადიცია შეიქმნა ვახტანგის გამოცემით (1712 წ.) და შეიცავს 15879 სტროფს, მეორეა ვრცელი, რომელიც ხელნაწერებშია წარმოდგენილი და აღწევს 2300 სტროფს. ავტორი ეხება საკითხის შესწავლის ისტორიას პოემის გამოცემებთან დაკავშირებით და იხილავს მათი დამოკიდებულების საკითხზე არსებულ ორ განსხვავებულ შეხედულებას — ვახტანგმა უცვლელად დაბეჭდა რომელიმე მოკლე რედაქცია, თუ მისი გამოცემა ვრცელი რედაქციის კრიტიკულად დამუშავებულ ტექსტს შეიცავს?

ავტორი იხილავს ვახტანგის გაზოცემის შედგენილობას ვრცელი ტიპის ტექსტებთან მიმართებაში და აანიშნავს მოჰყავს ვახტანგის ტექსტოლოგიური მუშაობის რამდენიმე მაგალითი. მთელი რიგი სტროფების, თქმებისა და სიტყვების შედარებითა და ვახტანგის მიერ პოემისათვის დართული კომენტარიების ანალიზით ავტორი ასაბუთებს, რომ ვახტანგი თავის კომენტარიებს უკეთებდა სხვა ხელნაწერს, რითაც აიპანება ის ფაქტი, რომ ზოგი სტროფი და სიტყვა, რომელთაც ვახტანგი კომენტარს უკეთებს, თვით მისივე რედაქციით გამოსულ ტექსტში არ მოიპოვება, რაც იმას ნიშნავს, რომ ვახტანგის დედანი ვრცელი ტექსტი ყოფილა, მის მიერ დაბეჭდილი ტექსტი კი წარმოადგენს სხვადასხვა ხელნაწერის შედარების საფუძველზე კრიტიკულად დადგენილ გამოცემას, ვრცელი ტექსტის შემოკლებას. ვახტანგს, ჩანს, აღრევე ჰქონია მომზადებული რომელიღაც ვრცელი ხელნაწერის ტექსტის მიხედვით კომენტარიები, რომელიც შემდეგ დაურთეს დასაბეჭდად დამზადებულ, გაცხრილულ და შემოკლებულ ტექსტს. ამრიგად, 1712 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემა შეიცავს ტექსტს, რომელიც სხვადასხვა ხელნაწერის შედარების საფუძველზე კრიტიკულად არის დადგენილი. იგი ვრცელი რედაქციის შემოკლებაა. ეს შემოკლება ვახტანგის დროსაა ჩატარებული კომისიის მიერ, რომელსაც ვახტანგი ხელმძღვანელობდა.

1327. აკ. შანიძე

ვახტანგის ღვანი „ვეფხისტყაოსნისა“

ვახ. კო მ უ ნ ი ს ტ ი. 1936, 17 ნოემბერი. № 266, გვ. 2—3, ქველურა.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების მდგომარეობას და პოემის რედაქციების საკითხს, ვახტანგისეულ გამოცემასთან დაკავშირებით. ავტორის დასკვნით, ვახტანგს ჰქონდა გრცელი ტიპის რედაქცია, რომლისთვისაც გაუკეთებია ახსნა-განმარტებანი, მაგრამ დაბეჭდვის დროს სხვა რედაქცია შეუენშეაგებიათ. წერილის დიდ ნაწილში ავტორს მოჰყავს საკმაო საილუსტრაციო მასალა ვახტანგის ტექსტოლოგიური მუშაობის ნათელსაყოფად, პოემის ტექსტის დადგენისათვის. ავტორის დასკვნით:

„ვახტანგს გაუტორილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი, პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა არის ხელოვნურად შემოკლებული ტექსტი და არა უტყუელად დაბეჭდილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი. ვახტანგისეული გამოცემა არის კრიტიკული გამოცემა“.

1328. პროფ. აკ. შანიძე

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ აღდგენისათვის

ვახ. კო მ უ ნ ი ს ტ ი, 1936, 24 სექტემბერი, № 222, გვ. 4.

ავტორი აღწერს ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეულ, 1712 წლის გამოცემას, მის გაფორმებას, შრიფტს, სტროფულ შედგენილობას, ამ გამოცემის ჩვენამდე მოღწეული ცალების მდგომარეობას და მოკლედ ეხება მისი სტამბურად აღდგენის საკითხს,

1329. ა. შანიძე

ვახტანგის მონოგრაფია ვეფხისტყაოსნის შესახებ და მისი მნიშვნელობა პოემის

ტექსტის შესწავლისათვის

ფურნ. მ ნ ა თ ო ბ ი, 1936, № 10—11, გვ. 169—223.

ტექსტი წარმოადგენს ვახტანგ VI-ის მიერ ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემისათვის დართული განმარტებების პუბლიკაციას ა. შანიძის რედაქციით. პუბლიკაციას წინ უძღვის ა. შანიძის მცირე შესავალი ქვესათაურებით: I. პირველი ბეჭდური გამოცემა პოემისა. II. ვახტანგის მონოგრაფია, რომელშიაც ავტორი იძლევა ვახტანგის გამოცემის აღწერას და ნისთვრებზე დართული განმარტებების მოკლე დახასიათებას. ამასთან ერთად ავტორი ეხება განმარტებათა ტექსტზე მის მიერ ჩატარებული რედაქციული მუშაობის მიზანს, პრინციპსა და ტექნიკური გაფორმების წესს.

იხ. გაგრძელება: ფურნ. „მნათობი“, 1937, № 6—7, გვ. 227—233.

1330. მიხეილ ჩიქოვანი

ხალხური ვეფხისტყაოსანი

ტიფლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსთველის ლიტერატურის სამეცნიერო-კლექციითი ინსტიტუტი, ტფილისი, 1936, 300 გვ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

I. წინასიტყვაობა. 2. ავტორისაგან. 3. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ და ხალხური შემოქმედება.

II. 4. ტარიელიანი.

III. 5. ტარიელის ზღაპარი. 6. „ვეფხისტყაოსნის“ ზღაპარი. 7. ბენწიფე და მისი ნაშეილები. 8. ქაიხოსრო ხემწიფე. 9. ტარიელი და ნესტან დარეჯანი. 10. ტარიელის ამბავი. 11. ტარიელი და ღერწამ-დარეჯანი. 12. ხალხური „ვეფხისტყაოსანი“. 13. ხევისთრული „ვეფხისტყაოსანი“. 14. „ვეფხისტყაოსანი“. 15. „ვეფხისტყაოსანი“ ლექსად. 16. ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები. 17. კახური „ვეფხისტყაოსანი“. 18. „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები. 19. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები. 20. კახური „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები. 21. ტარიელის ლექსი. 22. ნაწყვეტი. 23. გალექსილი „ვეფხისტყაოსანი“. 24. ტარიელიანი ლექსად. 25. შალვა და შალვაგო. 26. შეგე აბრამ. 27. ავთანდილ გედვინიანოვი.

17. 28. „ვეფხისტყაოსანი“ გიო კანანელის თქმით. 29. ივენანა. 30. რუსთველზე. 31. რაო დაუწყვიტე სიძებო. 32. სამხითო „ვეფხისტყაოსანი“. 33. რუსთველის ნათქვამები. 34. შოთა. რუსთველი და მისი ცოლი. 35. ნესტან-დარეჯანი. 36. ანდროძი ავთანდილისა, თქვა ჯანა. სიკვდილისასა, ნაწუხან ჩამატებული მასუკან. 37. კიდევ სხვა ანდროძი ავთანდილისა, რუსთველი თქვა სიკვდილისასა ტფილელის იოსებისაგან თქმული. 38. ხალხური „ვეფხისტყაოსანი“—დასკვნითი დებულებები (რუსულად). 39. შენიშვნები. 40. დიალექტოლოგიური ლექსიკონი. 41. მოტივთა და სიტყვათა საძიებლები.

წიგნი შეიცავს მონოგრაფიულ გამოკვლევას ვეფხისტყაოსნისა და ხალხური ტარიელიანის ურთიერთობის შესახებ ტარიელიანის პროზაული და ლექსითი ვარიანტების ტექსტებით. გამოკვლევაში ავტორი მიმოიხილავს საკითხის კვლევის ისტორიას, ახდენს ტარიელიანას ვარიანტების კლასიფიკაციას. სიუჟეტთა ანალოზს, ადარებს ვეფხისტყაოსნის მოტივებს და აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსნის წყარო ხალხური ტარიელიანია, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი რუსთაველის მიერ მისი ლიტერატურულად დამუშავებამდე ძველი, გმირულ-მითოლოგიური თქმულების ტარიელიანის სახით ხალხში არსებობდა. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსანი იაფეტური ეპოსის ტიპური სიუჟეტია, რომელმაც, ვიდრე ჩვენამდე მოაღწევდა სამიჯნურო მოთხრობის სახით, რამდენიმე საფეხური გაიარა. ვეფხისტყაოსანი ორი დამოუკიდებელი პოეზიარომანის შეერთებას წარმოადგენს: პირველია „ვეფხისტყაოსნის ამბავი“ ანუ „ავთანდილიანი“, მეორე „ტარიელის ზღაპარი“ ანუ „ტარიელიანი“.

1331. მიხეილ ჩიქოვანი

ხალხური „ვეფხისტყაოსანი“

ურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1936, № 4—5, გვ. 27—30.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ხალხური ვეფხისტყაოსნის ვარიანტების შეგროვება-შესწავლაზე ჩატარებულ მუშაობას და მოჰყავს ერთი ვარიანტი ხალხური ვეფხისტყაოსნისა: „ხენწიფე და მისი ნაშვილები“, რომელიც ავტორს ჩაუწერია სოფ. ორბელში მელიტონ გოდერძის თქმით 1936 წ. 18 აგვისტოს-დასაწყისი:

„ყო ერთი ხენწიფე და მისი ნაშვილები. ხენწიფეს ყვად ერთი ქალიშვილი, რომელიც ძალიან შოუყვარდა ამ ნაშვილებს. ხენწიფე ხშირათ სანადიროთ დადიოდა და ბრველ ხადირს ხოცავდა...“.

1332. დ. ვ. ყოტუა

Герои поэмы Руставели и их мировоззрение

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, I, გვ. 164—189.

ნაშრომი წარმოადგენს 1917—18 წლებში ავტორის მიერ ზუგდიდში სოფლის მასწავლებლთა ყრილობაზე წაკითხულ მოხსენებას ვეფხისტყაოსნის შესახებ. ეს ალბათ ნაწილია დოკარგული გამოკვლევისა, რომლის დაბეჭდვა ავტორს თავის დროზე ვერ მოუხერხებია.

ნაშრომი ძირითადად ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობისა და მასში გამოხატული მსოფლმხედველობის პრობლემას და წარმოადგენს უფრო მეტად პირად შთაბეჭდილებათა დალაგებას, ვიდრე საკითხების თანმიმდევრულ მეცნიერულ კვლევას. ავტორი ურადლებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის შესწავლისათვის ჩვენ არ მოგვეპოვება არაერთი მასალა გარდა თვით პოემის ტექსტისა. ჩვენი დროიდან დაცილებულ ეპოქაში შექმნილი ამ ძეგლის გაგებას ხელს უშლის მაშინდელი პოლიტიკური და სოციალური პირობებისა და კულტურის ისტორიის ჯეროვანი შეუსწავლელობა. ამ ნაკლს შეესებას ვეფხისტყაოსნის შესასწავლად ავტორი ცდილობს ხალხური ეპოსისა და კლასიკური ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს არა ირანულიდან ნასესხებ უცხო ამბავს, არამედ ქართულ ხალხურ ეპოსსა და XI—XII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში არსებული იდეალებისა, სახეებისა და გმირების სინთეტიკას. პოემის ამბავი ღრმად ორიგინალურ ქართულია. ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირთა პროტოტიპები ქართულ სინამდვილეში მოიპოვება. მისი მთავარი იდეა მეგობრობისა და სიყვარულისა საქართველოს ძველი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პირობების ანარეკლია. ავტორის შენიშვნით: «...великое произведение Руставели «Вепхисткаосани» стоит в эволюции грузинской литературы не особняком, как что-то экзотическое, а находится в преемственной связи со всеми произведениями, о которых упоминается в послесловии самой поэмы» (გვ. 167). რუსთაველმა თავის პოემაში განავითარა და ახალ მაღალ მხატვრულ ფორმებში და ფილოსოფიურ გაგებაში განსახიერა მოსე ხონელის შექმნილი ამირან-დარეჯანისძის სტიქიური ძალა და დევებზე გამარჯვება, ვისისა და რამინის მგზნებარე სიყვარული და მათი ტანჯვები, შავთელის შექმნილი დავითის და თამარის შეუდარებელი ფიზიკური და სულიერი ღირსებანი; ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში მთავარი დღულისტური შეხედულება სამყაროს არსებობაზე, რომელიც როგორც სიკეთისა და ბოროტის საწყისის ბრძოლის განსახიერება ქართულმა ხალხურმა ეპოსმა ირანულიდან იისება და უანდერძა ვეფხისტყაოსანს (გვ. 171). ამ ბრძოლას ორ უკიდურეს ძალთა შორის აწარმოებენ, ერთის მხრივ, ამირანი ამირან-დარეჯანიანში, როგორც სიკეთის სიმბოლო, და ტარიელი ვეფხისტყაოსანში, მეორეს მხრივ კი დევები, როგორც ბოროტების სიმბოლო, ამირან-დარეჯანიანში და ქაჯები ვეფხისტყაოსანში. ავტორს ვეფხისტყაოსნის ქაჯეთი გამოჰყავს პირდაპირ ძველი ქართული რწმენიდან, რომლის გადმონაშთსაც, მისი აზრით, როკაპის—ქალის სახით არსებული ბოროტი სულის—დღემდე შემონახული რწმენა და მისდამი თავყვანისკემის არსებული რიტუალი გვიმტკიცებს (გვ. 168, 169). ავტორს ქაჯეთის სამეფო ქართული ეპოსიდან გამოჰყავს. დევების მენევიდრე ქაჯები იტაცებენ ნესტანდარეჯანს, ისე როგორც ქართულ ეპოსში დევები ხშირად იტაცებენ ხოლმე ქალებს. ასე დატყვევებულ ქალს ეპოსში გამოიხსნის ხოლმე ზეფის შვილი, ისე როგორც ტარიელი თავისი მეგობრებით დაიხსნის ნესტანს (იქვე).

ავტორის დაკვირვებით, ამ იდეური კავშირის გარდა, ვეფხისტყაოსანს ხალხურ ეპოსთან აქვს მრავალი შეხვედრის წერტილები. მაგ., ნადირობის დროს უცხო მოყმის ნახვის სცენა მთლიანად ამირან-დარეჯანიანიდან არის აღებული და ხალხური ეპოსის გავრცელებულ მოტივს წარმოადგენს (გვ. 70). ეს მომენტი ვეფხისტყაოსანში შლის მთელ კვანძს: ავთანდილის დამეგობრება ტარიელთან და ქაჯეთის ციხის აღება, ნესტანისა და თინათინის მიერ თავიანთ შეყვარებულთაგან გმირობის მოთხოვნა, აგრეთვე ძველ ეპოსში გავრცელებული ასეთივე მოტივის გამოხატულებას წარმოადგენს. ძველ ეპოსში სიკეთის მოქმედი მითიური გმირები ვეფხისტყაოსანში შეცვლილი არიან რეალური გმირებით, რომელთა სიკეთეს უკვე გარკვეული მიზანი აქვს. ამირან-დარეჯანისძე ეძიებს სახელსა და დიდებას, ის გმირობას სწირავს სამსახურს; ტარიელი და ავთანდილი—სიყვარულს და მეგობრობას.

ავტორის აზრით, რუსთაველს, ისე როგორც მის გმირებს, სწამს ორი საწყისის არსებობა, რომელშიაც ყოველთვის სიკეთე იმარჯვებს. საერთოდ პოემა წარმოადგენს ბოროტებაზე გამარჯვების ჰიმნს, განარჯვებული ცხოვრე-

ზისა და ბედნიერი ადამიანის სიმღერას. რაც მიღწეულია ადამიანის ფიზიკურ და სულიერი ღირსებათა ამაღლებით. აქედან მთელი პოემის ერთ-ერთი ძირითადი იდეალი — ლამაზი ტანი და ლამაზი სულია, რაც ტარიელსა და ავთანდილს შორის მეგობრობისა და თაყვანის საფუძველს წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსნის გმირთა გამარჯვების რწმენაში და მათ მიმართებანი ღმერთთან ავტორი ხელავს ფატალიზმს, მაგრამ იქვე შენიშნავს, რომ ფატალიზმი მათ უმოქმედობაში არ აგდებს. ავტორის აზრით, დარეჯანისძე, როგორც ქალის სახელი, წარმოადგენს მატრიარქალური ეპოქის ნაშთს, რომლის ერთი სახეობა მეგრული „დარჯა“ უნდა იყოს, ნესტანი კი მას მიაჩნია ამაჟამად დაკარგული მნიშვნელობის ეპითეტად (გვ. 166).

1333. A. Цагарели

К методике перевода поэмы «Нуслийный турполю шхуры»

გაზ. На Рубеже Востока, 1936, 15 января, № 1, გვ. 6 (მთელი გვერდი).

ავტორი ზოგადად ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის საკითხს. მოკლედ იხილავს არსებულ ცდებს და სპეციალურად — თავისი მუშაობის მეთოდებს პოემის თარგმანზე. ამასთან დაკავშირებით ავტორი ახასიათებს რუსთაველის მეტყველების თავისებურებას, ვეფხისტყაოსნის საზომს, შიარის ცვალებადობას, რითმას, ტერმებს, სტროფების აგებულებას და ლექსის ფონეტიკურ მხარეს. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის თარგმანისათვის ყველაზე მთავარია ორიგინალთან სიახლოვე, სიზუსტე და სიცხადე. საილუსტრაციოდ ავტორი ადარებს სხვადასხვა თარგმანის ნიმუშებს.

1334. პოლ. ცინცაძე

ვეფხისტყაოსანი

მსოფლმხედველობა და მხატვრული კონსტრუქცია. კრიტიკული ეტიუდი

სსრკ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს ფილიალი, დაბეჭდილია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის განკარგულებით, ტფილისი, 1936, 108 გვ.

შინაარსი: I. შესავალი. II. ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა-მეომკმედების სოც. ეკონომიური და იდეური ფონი. III. ბრძენი პიროვნების იდეალი და ცხოვრების შეფასების საკითხი. IV. მიჯნურობა და ქალის პიროვნება. V. მეგობრობა. VI. ვეფხისტყაოსნის გმირები. VII. მოკლე ფსიქოლოგიური და მოსწრებული თქმები. VIII. ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-იდეური კონსტრუქცია*.

ნაშრომი შეიცავს სპეციალურ ნაკვლევს რუსთაველის მსოფლმხედველობისა და ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის საკითხებზე. ავტორი ძირითადად იმ დებულებას აყენებს, რომ რუსთაველის ფილოსოფიური შეხედულებანი სტოელთა მოძღვრებას ემყარება. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს სტოიკური მსოფლმხედველობის უდიდეს მხატვრულ ძეგლს მთელ მსოფლიო ლიტერატურაში (გვ. 19). რუსთაველის პოემის მხატვრულ-იდეური კომპოზიცია სტოელური კოსმოპოლიტიზმის არეზე იშლება (გვ. 98).

ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ რუსთაველის შეხედულება ღვთაებაზე არა ჰგავს არც ერთ თეოსოფიურ-თეოლოგიურსა და წმინდა რელიგიურ შეხედულებას (გვ. 23). ავტორი ვეფხისტყაოსნის ზოგი აფორიზმის მსგავსებას სტოელთა პრაქტიკული ფილოსოფიის დებულებებთან იმის საბუთად მიიჩნევს, რომ რუსთაველი ძენონის, ეპიქტეტის, სენეკას და სხვათა პირდაპირი გავლენის ქვეშ იმყოფება და სარგებლობს მათი ნაწერებით. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში მოვლენები გაშლილი და გამოსახულია არა რელიგიური თვალსაზრისით, არამედ სტოიკური ფილოსოფიის თვალთახედვით (გვ. 11). მორალური ფილოსოფია რუსთაველს შეთვისებული აქვს

უშუალოდ სტოიკური ფილოსოფიიდან (გვ. 16). ლმერთი რუსთაველს სტოიკურად აქვს გაგებული. ლმერთის სტოიკური გაგებაა თქმაში: „რომელმან შეჰქმნა სამყარო...“ (გვ. 17). სიოცხლის წარმოშობის საკითხში რუსთაველის შეხედულება სტოიკურია (გვ. 18). ასევე სტოიკურად ესმის რუსთაველს ბედისწერა (გვ. 28—29), სწავლა-სიბრძნე (გვ. 37), მეგობრობა (გვ. 77) და სხვა საზოგადოებრივი მოვლენები.

ავტორს მიაჩნია, რომ რუსთაველის შემოქმედებაში აფორიზმისა და სენტენციის ფორმა სენეკასა და ეპიქტეტის კვალია (გვ. 99). მთელი რიგი აფორიზმები ეფეხისტყაოსანში ეპიქტეტიდანაა აღებული (გვ. 15). ავტორის აზრით, ეფეხისტყაოსანის მთავარი გმირები სტოეღთა ეთიკის ძირითად მოთხოვნებს ახორციელებენ და თვით პოემაში ყველა საკითხი ისეა დასმული და გადაჭრილი, როგორც სტოეღები სვამდნენ და კრიდნენ (გვ. 64).

ავტორი ცდილობს რუსთაველის სტოეღობას მოუნახოს სოციალურ-ეკონომიური საფუძველი იმ დროის საქართველოში ნატურალური მეურნეობის შერყევისა და სავაქრო კაპიტალის ძლიერი განვითარების სახით, რაც, მისი აზრით, საერთოდ ისტორიაში სტოიციზმის წარმოშობას იწვევს (გვ. 12).

რუსთაველის შემოქმედებაში სტოიციზმის იდეათა გამოხატულებასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ეფეხისტყაოსანის მხატვრული კონსტრუქციის საკითხებს, პოემის ალეგორიულ გაგებას, პოემის სიუჟეტის ხასიათს და მის მთავარ მოტივებს.

1335. [ილია ჭავჭავაძე]

[აზრი ეფეხისტყაოსანის გაგების შესახებ]

წიგნში: ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გაგონილი, ლევან ასათიანის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით [გამომცემლობა] „ფედერაცია“, ტფილისი, 1936, გვ. 93—94.

ი. ჭავჭავაძეს, ი. მანსვეტაშვილის მოგონების მიხედვით, ი. ჯაბადარჩისათვის მის მიერ ეფეხისტყაოსანზე წერილის წაკითხვისას კამათში სიტყვა-სიტყვით ასე უთქვამს: „ეგრე ადვილად ვერ დაგიტომობთ რუსთაველს. დღევანდელი რუსული კრიტიკის თვალთა ხედვის ისრით ვერ გაიზომება „ეფეხისტყაოსანი“. ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა. რუსული კრიტიკის ზენა-ქვერული ნაფარდობა აქ არ გამოდგება. აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა ჭკუით მხოლოდ, არამედ გულითაც, უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართველი გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი მარჯის ცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა და არა სკაბინიჩესკის კრიტიკა“.

1336. კ. კეკელიძე

შოთა რუსთაველი თუ სარგის თმოგველი?

(პროფ. კ. კეკელიძის გამოკვლევის გამო)

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, V, გვ. 179—200.

ავტორი ცდილობს დაასაბუთოს პროფ. კ. კეკელიძის ნაშრომში წამოყენებული შემდეგი დებულებების უსაფუძველობა:

1. ეფეხისტყაოსანი დაუწერია არა შოთა რუსთაველს, არამედ სარგის თმოგველს. რუსთაველი ყოფილა მე-16 საუკუნის მელექსე. ეფეხისტყაოსანის გამგრძელებელი.
2. ვინაიდან ეფეხისტყაოსანში ხშირად გვხვდება პესნიმისტური აზრები, ამიტომ ის დაწერილია არა თამარის დროს, როდესაც მატერიალური დოკლათიანობის გამო პესნიმის გამომწვევი მიზეზები არ ექნებოდა, არამედ მონღოლების შემოსევის შემდეგ.

3. ვეფხისტყაოსანში პოეტმა თვალწინ გადაგვიშალა აღმოსავლურ-მამამდიანური სამყარო მე-12—13 საუკუნეებისა, კრძოდ მან ავეიწერა მუსულმანური სექტის ასასინ-მოლიდების (მულიდების) დამახასიათებელი თვისებანი.

ამ პრობლემებთან დაკავშირებით აღძრულ საკითხებზე პროფ. კ. კეკელიძესთან კამათში ავტორი იყენებს სათანადო ლიტერატურას და საილუსტრაციოდ მოჰყავს ამონაწერები როგორც საკელევაძიებო მასალიდან, ისე ვეფხისტყაოსნიდან. ავტორი იცავს ტრადიციულად განმტკიცებულ იმ შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია თამარის ეპოქაში, მისი ავტორია შოთა რუსთაველი და პოემა ქართული, ორიგინალური თხზულებაა.

1337. კონსტანტინე ქვიციანიძე

სოფლის სათავე

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 18 ივლისი, № 11, გვ. 3.

ავტორი იხილავს ალ. სარაჯიშვილის ნაშრომს „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილები“ და მოკლედ გადმოცემს მის შესახებ ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში არსებულ შეხედულებებს. ალ. სარაჯიშვილის მეთოდის დასახასიათებლად ვეფხისტყაოსანში ყალბი ადგილების მოძებნისათვის, ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე სტროფის ირგვლივ ალ. სარაჯიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი და ფართო ლიტერატურული ანალიზით ასაბუთებს მათ უმართებულობას. დასასრულს, ავტორი ალ. სარაჯიშვილს უწოდებს უმეცარი მკვლევრისა და კრიტიკოსის სიმბოლოდ მიჩნეულ ზოილს, რომელმაც ეს შეფასება დაიმსახურა ჰომეროსის მიმართ.

1338. Н. Чичинадзе

Шота Руставели

გაზ. Литературная газета, М., 1936, 10 января № 2 (56), გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული დოკუმენტური ცნობების უქონლობას, რის მიხედვითაც ის დასკვნა გამოჰყავს, რომ რუსთაველი თავის თანამედროვეებს თვალსაჩინო პოეტად არ ეჩვენებოდათ, თითქოს პოეტს თავის ქვეყანაში არ იცნობდნენ და სიცოცხლეში ის პოპულარული არ ყოფილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მის შესახებ რაიმე ცნობები ჩვენამდე მოაღწევდა, მისი სახელი მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გახდა დიდო.

ავტორი აღნიშნავს იმ თვისებებს, რომელთაც რუსთაველი პოეზიის კანონმდებლად და პოპულარულად აქციეს თავის ქვეყანაში — მისი გრძობების სიღრმე, ფაბულის მომზიბველულობა, ლექსის შესანიშნავი ფორმა, აფორიზმი და მეტაფორული მეტყველება, დახვეწილი რითმა. ავტორი ანალიზს უკეთებს რუსთაველის ლექსის ფორმალურ მხარეს, ახასიათებს მის პოეტურ მეტყველებას, მეტაფორულობას, აღარებს რუსთაველისა და დანტეს პოეტურ ოსტატობას, აღნიშნავს მათი ლექსიკისა და რითმის მსგავს სიმდიდრეს და რუსთაველის ნოვატორობას პოეტური ლექსიკის დარგში.

დაასრულს ავტორი შენიშვნებს, რომ რუსთაველი არ ამქლავნებს არც ერთ გარკვეულ ფილოსოფიურ მოძღვრებისადმი კუთვნილებას.

ამ წერილის უკრაინული თარგმანი დაიბეჭდა მცირე კვლევებით: ჟურნ. «Молодия», Київ, 1936, № 9, გვ. 124—125.

1339. Константин Чичинадзе

«Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели

გაზ. Заря Востока, 1936, Май 24, № 119, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას, ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობასა და

იდეალებს, ახასიათებს მის მთავარ გმირებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველზე არანული ლიტერატურული გაელენა უდავოა.

რუსთაველის დახასიათებისას ავტორი ხაზს უსვამს მისი იდეალების პროგრესულობასა და რელიგიური აღსარების მიუკერძოებლობას.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს რუსთაველის განსაკუთრებულ ადგილსა და როლს ქართული კლასიკური მწერლობის ისტორიაში.

1340. **ჩ. ჩიჩინაძე**

Шота Руставели «Носищий тигровую шкуру»

Краткое содержание поэмы

გაზ. На Рубеже Востока, 1936, 12 мая, № 12, გვ. 4; 21 мая, № 13, გვ. 4.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის მოკლე პროზაულ შინაარსს. დასაწყისი: «Престарелый царь Аравии Ростеван, заручившись согласием своих вассалов, возводит на царский престол единственную свою дочь, сказочно красивую Тиватию...»

დასასრული:

«Три героя, связанные между собой узлами неизменной дружбы, еще некоторое время остаются вместе, проводя время в радостном весельи. Потом Аватандия и Фридон уезжают из Индии в свои царства.»

ტექსტში მოიპოვება ცალკეული სტროფების ლექსითი თარგმანები.

1341. **ჩ. ჩ. [კონსტანტინე ჰაჰინაძე]**

Витязь в тигровой шкуре

(Краткое содержание)

გაზ. Вечерний Тбилиси, 1936, 10 октября, № 144, გვ. 3.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის შინაარსს. დასაწყისი:

«Престарелый царь Аравии Ростеван уступает свой престол единственной своей дочерью прекрасной Тиватии...»

1342. **Константин Чичинадзе**

О переводах Шота Руставели

გაზ. Заря Востока, 1936, 16 сентября, № 217, გვ. 2.

ავტორი ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის საერთო მდგომარეობის შეფასებისას განსაკუთრებით აღნიშნავს ბალმონტის თარგმანის სიუსტეს და ეხება პეტრენკოს თარგმანს, რომელსაც მოუსწრია 1601 სტროფის თარგმნა, დანარჩენი 143 სტროფი კი უთარგმნია ბ. ბრიკს.

1343. **ს. ჯანაშია**

დავით ჩქოტუა და მისი ნაწევრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1936, 1, გვ. 186—189.

ავტორი მოკლედ გადმოცემს დავით ჩქოტუას ბიოგრაფიულ ცნობებს, ეხება მისი რუსთველოლოგიური ნაშრომის «Перед поэмой Руставели и их мировоззрение» აღმოცენების პირობებსა და მნიშვნელობას და უკეთებს რედაქციულ შენიშვნებს მისი ტექსტისპუბლიკაციას (იხ. ანოტაცია № 1322).

1937

1344. **გრ. აბაშიძე**

შაირის გარეშე

ჟურნ. ჩვენი თაობა, 1937, № 8, გვ. 50—57.

ავტორს შაირის განმარტებისა და დახასიათებისას საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან მაღალი და დაბალი შაირის ნიმუშები (გვ. 50).

ავტორის შენიშვნით, „ქართული ლექსის არცერთმა სახეობამ ასეთი

რიტმიული მრავალფეროვანება არ იცის, როგორც შაირმა“ (გვ. 51), რაც ქართულ პოეზიაში მისი გავრცელების პირობააო. ავტორის თქმით, „ვეფხისტყაოსანი საუკუნეებს ეყო მიზაძეებისა და ეპიგონობის წყაროდ“ (გვ. 52), მაგრამ „შაირი, რომელმაც რუსთაველის პოემაში ნამდვილი აყვავება განიცადა, უნიჭო მიზაძეელთა ხელში გაღარიბდა“ (გვ. 53).

დასასრულს, ავტორი გაკვრით მიმოიხილავს შაირის გამოყენების მდგომარეობას აღორძინების ხანის მწერლობასა და ახალ ქართულ პოეზიაში.

1345. გრ. აბაშიძე

ა. ჭავჭავაძის პოეტიკის სათავეები

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 29 მაისი, № 12, გვ. 5.

ავტორი ილია ჭავჭავაძის პოეტიკის საკითხებზე მსჯელობისას ეხება მისი პოეტური მეს ჩამოყალიბების საწყისებს და აღნიშნავს, რომ „ილია ჭავჭავაძე თითქმის იმეორებს რუსთაველისებურ (ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი) l'art poétique-ს შესაფერ დებულებას ეპოსისა და ლირიკული ენარის ურთიერთობის შესახებ“. ილია რუსთაველის მსგავსად წინ აყენებს ეპოპეას და იმ გარემოებას, რომ რუსთაველის შემდეგ ჩვენში ეპოსი ვეღარ შეიქმნა და მწერლობაში ლირიკა გაბატონდა, ტალანტების სისუსტით ხსნის.

1346. იუსტინე აბულაძე

შოთა რუსთაველი

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1937, № 6, გვ. 41—55.

სტატია წარმოადგენს პოპულარულ-მეცნიერულ ნარკვევს რუსთაველის პიროვნებისა და შემოქმედების საკითხებზე. ავტორი აჯამებს თავისი მუშაობის შედეგებს ვეფხისტყაოსნის ტექსტისა და პოეტის ბიოგრაფიის ირგვლივ, გაკვრით მიმოიხილავს რუსთაველოლოგიურ სპეციალურ ლიტერატურას მთავარ პრობლემათა მიხედვით.

დასასრულს, ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს მხატვრული და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით.

1347. პროფ. იუსტ. აბულაძე

„ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია კრებ. შოთა რუსთაველი სკოლაში, 1937, გვ. 196—231.

ნარკვევი წარმოადგენს რუსთაველოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიის ცდას. ავტორი ვეფხისტყაოსნის შესწავლას მიმოიხილავს მთავარი პრობლემების მიხედვით და იძლევა რუსთაველოლოგიის განვითარების სქემატურ ისტორიას—სიღუფეტის სადაურობის, შოთა რუსთაველის ვინაობისა და მისი ავტორობის, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისა და რაობის საკითხებზე. ავტორი მიმოიხილავს ძირითად მიმართულებებს რუსთაველოლოგიაში. ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით ჩერდება უმთავრესად დ. ჩუბინაშვილისა და სხვების, კერძოდ, აკად. ნ. მარის ნაშრომებზე და აკრიტიკებს პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძის და ა. ბარამიძის მოსაზრებებს რუსთაველოლოგიის სხვადასხვა საკითხზე.

დასასრულს, ავტორი აჯამებს საკუთარ შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ვითარებისა და პოეტის პიროვნების ირგვლივ.

საერთო შესავლის შემდეგ მოიპოვება ქვეთავები: პოეტის პიროვნების საკითხის გარშემო; „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის გაწეული მუშაობის შესახებ; „მცა“ ნაწილაკიანი კონსტრუქცია.

1346. სავლე აბულაძე

„სიერუე და ორიპრობა ავენს სორცა, მერე სულსა“

გახ. კომუნისტური განათლება. 1937, 24 დეკემბერი, № 120. გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ეთიკური იდეალების, ქადაგებაში, საილუსტრაციოდ იხილავს მის გამობატულებას გმირთა ურთიერთობაში და მოჰყავს სათანადო სტროფები.

1349. ნუნუ ავაშენაშვილი

ხალხის სავარელი ღიო პოეტი

ჟურნ. მშრომელი ქალი, 1937, № 12, დეკემბერი, გვ. 4.

მცირე შენიშვნაში გამოთქმულია ალტაცება ვეფხისტყაოსნით, და აღნიშნულია მისი ღიაობა.

1350. Адалис

Здравствуй, Шота из Рустави!

К юбилею Шота Руставели

გახ. Социалистический Донбасс, г. Сталино, 1937, 21 декабря, № 293. გვ. 2.

წერილი წარმოადგენს მხატვრული სტილის ნარკვევს რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ძირითადი საკითხების თემაზე თანადროულობასთან დაკავშირებით.

1351. შ. აღიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესახებ

ისტორიულ-ფილოლოგიური ძიების გზა. მხატვრული-ლიტერატურული ძიების გზა.

გახ. მუშა, 1937, 8 იანვარი, № 6, გვ. 3; 13 იანვარი, № 10, გვ. 4.

ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის მხატვრული-ლიტერატურული შესწავლის ცდას ალ. სარაჯიშვილის შრომებში. ეხება კონსტ. კიკინაძის მიერ ვეფხისტყაოსნის შესწორებაში ფორმალისმის მეთოდის გამოყენებას, რომლის ნიადაგზეც პოემის შესწავლაში ყურადღება არ ექცევა შინაარსსა და იდეას.

და რჩება მხოლოდ ლექსი. ასეთი თვალსაზრისით კიკინაძეს ვეფხისტყაოსნის ყველა ხელნაწერის ყველა ზედმეტი სტროფი რუსთაველისად მიაჩნია. რაც შეეხება ხელნაწერებში არსებულ შეუთანხმებლობას, კიკინაძე მათ ხსნის „ვარიანტული“ თეორიით, რაც იმაში მდგომარეობს, თითქოს რუსთაველმა პოემა დაწერა რამდენიმე ვარიანტად. ავტორის შენიშვნით, კ. კიკინაძე ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაში გაჰყვა ს. კაკაბაძის გზას და პირადი-შთაბეჭდილების მიხედვით შეარჩია ვეფხისტყაოსანში ჩასამატებული სტროფები. ავტორი ეხება კ. კიკინაძის მიერ ინდო-ზატაელთა ამბის რუსთაველისად მიჩნევის საკითხს, რასაც, მისი აზრით, ხელს უშლის ისტორიულ-ფილოლოგიური და მხატვრულ-სტილისტური შეუსაბამობანი ძირითად ტექსტსა და ინდო-ზატაელთა ამბავს შორის, რაც კიკინაძემ ვერ დასძლია.

დასასრულს, ავტორი ეხება აკად. ნ. მარის მიერ მეგობრობის იდეის მიჩნევის პოემის მთავარ იდეად, საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წლის დადგენილებას რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის იუბილეს შესახებ და ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის დანთავრებას.

1352. S. Adişvili

Rustaveli va gyrçystanda Iran eposu

კრებ. შოთა Rustaveli, Баку, 1937, გვ. 65—77.

ანოტაცია № 1808 ობ. მის რუსულ უფრო სრულ პუბლიკაციასთან 1938 წელს, ჟურნ. «ОКтябрь», кн. I, გვ. 165—175.

1353. შ. ადღეშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ კრანიზაციისათვის

გახ. კომუნისტი, 1937, 1 აპრილი, № 74, გვ. 3, ქვედურა 5 სვეტად.

ავტორი უარყოფითად აფასებს კ. მიქაბერიძის მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანი უნდა დაიდგას როგორც ზღაპარი, რასაც ტექნიკური სიძნელები ახლავსო. აკრიტიკებს „ქაჯეთის“ დადგმას, რამდენადაც შიგ შეტანილია გადაქარბებული ზღაპრული ელემენტი და პირობითი ფანტასტიკური სურათები.

არჩევს ვეფხისტყაოსანში ასახული გმირობის გაგებას. კლასიკურ ლიტერატურაში გმირი თავის მოქმედებაში ანგარიშს არ უწევს გარემო პირობებს, რუსთაველი კი თავის გმირებს უფრო რეალურად აშუქებს. რუსთაველმა ქაჯები ზღვას იქით გაისტუმრა და თავისი გმირები მონებთან აომა. მან ზღაპარი აიცილა თავიდან და მოქმედება რეალურ სიტუაციაში გაშალა. ქაჯეთის ციხეზე იერიში რუსთაველს რეალობის გაგებაში აქვს გადაწყვეტილი, სურათი „ქაჯეთი“ კი დადგმულია უფრო მეტად ანტირანდარეჯანიანის შესაფერად, სადაც ზღაპრული ელემენტი სქარბობს. მასში გამოხატული რუსთაველის გმირები რეალობას მოწყვეტილი სახეები და არ შეეფერებათ პოემის საერთო იდეას. საკიროს არა ტექნიკურ სიძნელებში გადატანა ვეფხისტყაოსნის ეკრანიზაციის ცენტრისა, არამედ მოქმედების რეალობასთან დაახლოება და ადამიანურ სფეროში გადაქრა.

1354. შ. ადღეშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემა

კრებ. შოთა რუსთაველი სკოლაში, 1937, გვ. 292-316.

ავტორი მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის გამოცემებს დაწვებული ეახტანვის 1712 წლის გამოცემით კ. ჭიკინაძის შიერ 1934 წლის გამოცემამდე.

ნაშრომში ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გამოცემების ადგილსა და მნიშვნელობას ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში და ვეფხისტყაოსნის ტექსტის კვლევის საკითხებს. ავტორი მიმოიხილავს თითოეული გამოცემის შედგენილობას, რედაქციულ თავისებურებებს, რედაქციის შენიშვნებს და გამოცემის მომზადებისა და განხორციელების პირობებს.

1355. შ. ადღეშვილი

Грузия эпохи Руставели. Социальная и культурная среда Руставели

გახ. Курортная газета, г. Сочи, 1937, 24 декабря, № 293, გვ. 2.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ წყობილებასა და კულტურულ ჰგომარეობას, როგორც პოეტის შემოქმედების გარემო საფუძველს, რამაც განაპირობა რუსთაველის პროგრესული იდეოლოგიის წარმოშობა..

1356. მახვილ ალაფიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ქართულ ფოლკლორში

გახ. სტალინელი, 1937, 23 დეკემბერი, № 292, გვ. 3.

ავტორი არკვევს ვეფხისტყაოსნისა და ტარიელიანის სიუჟეტურ პარალელებს, რისთვისაც მოჰყავს შესადარებლად პოემისა და ტარიელიანის ადგილები. ავტორის დასკვნით, „ტარიელიანის შრავალი ადგილები, სტროფები, მხატვრული სახეები საერთოა შოთას უკვდავ პოემასთან და ისინი ამ უკანასკნელიდან მომდინარეობენ“.

Boiyk xaly tontousi

(Tbilisi 25 deqabr. xysusi myxbiri mizdon, telefonla)

გაზ. *Communist*, 1937, 26 Deqabr, № 298, გვ. 1.

მთელი ნომერი მიძღვნილია შოთა რუსთაველისადმი.

წერილი წარმოადგენს ინფორმაციულ ცნობას თბილისში შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის პლენუმის გახსნისა და მიმდინარეობის შესახებ.

1358. A. Aborskij

*Gruziann bejic zahur*გაზ. *Sovet Tyrkmenistaub, Aşgabat*, 1937, 26-nci Dekabr, № 297, გვ. 3.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას მსოფლიო ლიტერატურის მიმართებაში და ეხება ვეფხისტყაოსნის მთავარ მოტივებსა და გმირებს.

1359. ხურენ აგჩიანი

*შოთა რუსთაველი სომხურ ენაზე*გაზ. *კომუნისტი*, 1937, 20 ივლისი, № 166, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას და ასახელებს ვინმე ტფილისელ ბერძენს, სოლომონ ქრისტეფორესძე კიპრიზოეს, რომელსაც ზეპირად სცოდნია ვეფხისტყაოსანი.

მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სომხურად პირველი შთარგმნელის სარგის ბასტამიანცის წერილიდან ნაწყვეტი ვეფხისტყაოსანზე.

აღნიშნავს თბილისელ სომხებში ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, ეხება ბასტამიანცის თარგმანს.

1360. Алладин

*Ha rodine Šota Rustaveli*გაზ. *Заря Востока*, 1937, 3 октября, № 227, გვ. 3.

ავტორი მოკლედ აღწერს შესხეთის რუსთავეს როგორც შოთა რუსთაველის შესაძლებელ სამშობლო მხარეს და ეხება მასთანვე დაკავშირებულ ხალხურ გადმოცემებსა და ისტორიულ ცნობებს.

1361. პროფ. ალექსანდროვი

სსკ კავშირის ხაზაბო არტიტი, წითელარმიული სიძღვრისა და ცაქვის წითელდროშოვანი ანსამბლის ხელმძღვანელი

[სახჭოთა კავშირის მოწინავე აღაშიანების აზრი შოთა რუსთაველის შესახებ]

გაზ. *კომუნისტი*, 1937, 23 დეკემბერი, № 293, გვ. 3.

ავტორი რუსთაველის ზოგად დახასიათებაში აღნიშნავს, რომ „რუსთაველის გაბედული აზროვნება, მისი მაღალი ჰუმანიზმი ბევრად უფრო მაღლად აყენებს მას საშუალო საუკუნეებზე და გამოჰყავს იგი აღორძინების ეპოქის პოეტების რიგში“.

1362. Н. А-ли

*И Часоваде о Шота Руставели.*გაზ. *Вечерний Тбилиси*, 1937, 15 июня, № 137, გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ილია ჭავჭავაძის ნაწერებში შოთა რუსთაველისა და მისი ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებს. განსაკუთრებით ჩერდება ა. წერეთელთან საბაეპროდ დაწერილ წერილებზე და არჩევს მათი პოლემიკის მთავარ დებულებებს.

1363. ჯ. ალტაუზენი

ყოველი გენიალური მხატვარი მუღამ თანამედროვეა

გაზ. კომუნისტი, 1937, 31 დეკემბერი, № 300, გვ. 3.

ტექსტი წარმოდგენს პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის მოკლე შინაარსს. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეალებს, გმირებს, მის რეალიზმს, პროგრესულ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ სახეთა სიღამა-ზით, სიუჟეტის მომიხილავი ფანტასტიკურობით ვეფხისტყაოსანს მსოფლიო კულტურაში ბადალი არ მოეპოვება.

იგივე მტირე ცელილებით დაიბეჭდა სათაურით: «Ирставели наш современник, გაზ. „Заря Востока“, 1937, 31 декабря, № 301, გვ. 3.

1364. პროფ. შ. ამირანაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ კვლ მხატვრობაში

გაზ. კომუნისტი, 1937, 18 ოქტომბერი, № 239, გვ. 4.

იგივე შემოკლებით დაიბეჭდა: გაზ. «Курортная газета» г. Сочи, 24 декабря, № 295, გვ. 3. სათაურით: «Ирставели в грузинской живописи».

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციას დიდი ადგილი უჭირავს ქართულ საერო მხატვრობაში. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს არსებულ ხელნაწერებში მოღწეული მხატვრობის ნიმუშებს, ეხება მათ მნიშვნელობა-ადგილს ქართულ მხატვრობაში და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსნის ძველი ილუსტრაციების გამოცემა წარმოდგენს აუცილებელ საჭიროებას, რაც მდიდარ მასალას მოგვცემს ქართული საერო კულტურისა და მხატვრობის საუკეთესო პერიოდის გასაშუქებლად.

1365. პროფ. შ. ამირანაშვილი

«Витязь в тигровой шкуре» в грузинской миниатюре

გაზ. Заря Востока, 1937, 17 მაი, № 111, გვ. 4.

ავტორი ზოგადად ეხება ვეფხისტყაოსნის დასურათების ტრადიციას და პოემის ხელნაწერების დასურათების შესრულებას სტილისა და თემატიკის მიხედვით სამ ჯგუფად ჰყოფს და იძლევა მათ მოკლე დახასიათებას.

1366. П. Антокольский

Мех и Рустави

გაზ. Советское искусство, Москва, 1937, 23 декабря, № 59, გვ. 3.

ავტორი ეხება რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მთავარ საკითხებს და აღნიშნავს მის მსოფლიო ღირებულებასა და პროგრესულ მნიშვნელობას, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ კონსტრუქციას, მის მთავარ იდეალებს და პოეტური ენის თავისებურებებს. განსაკუთრებით იხილავს რუსთაველის თეორიას პოეტურ შემოქმედებაზე პროლოგის სტროფების ანალიზით.

1367. П. Антокольский

Бессмертная поэма Руставели

ჟურნ. Литературное обозрение, 1937, 25 декабря, გვ. 14—16.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა და მისი ბიოგრაფია ჯერ კიდევ კვლევა-ძიების დიდი საგანია. ვეფხისტყაოსანი რაინდული რომანია, მაგრამ ის მაღლა დგას ევროპულ რაინდულ რომანებზე თავისი მეტი ბუნებრიობით, თავისთავადობით. ის უსწრებს ევროპულ საწიჯნურო ეპოსს. ამდენად რომანტიზმის საშობლო დასავლეთი კი არა—აღმოსავლეთია, მათზე ადრე საქართველოში დაიწყო სიყვარულის სიმღერა.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ბალმონტისეულ რუსულ თარგმანს უარყოფითად აფასებს. მისი შენიშვნით, ბალმონტმა პრინციპულად სწორად ვერ გაიგო რუსთაველი.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ენის ბუნებრიობასა და სისადავეს, რაც მას განასხვავებს აღმოსავლური პოეზიისაგან.

ეხება ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხებს და მოჰყავს ორი სტროფის საკუთარი რუსული თარგმანის ტექსტი.

1368. Д. И. Аранишвили

«Венхис ткаосани» в ирвинской мунике

გაზ. Заря Востока, 1937, 23 августа, № 193, № 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მეტრების მუსიკალურ მელიოდებში გამოხატულებას და იგონებს თავის ბავშვობას, როდესაც მისი მამა ვეფხისტყაოსნის სტროფზე «ეაი სოფელო რა შიჯან ხარ...»-ს ამღერებდა და მოჰყავს მისი მუსიკალური ჩანაწერი ნოტებით და ტექსტით. მისი თქმით, მას ჩაწერილი აქვს ცალკეული სიმღერები ვეფხისტყაოსნის ტექსტთან დაკავშირებით და მათ შორის 1901 წელს ს. ხოვლეში — მელიოდა პოემის მეტრებზე.

დასასრულს, ავტორი ეხება თავის მუშაობას შოთა რუსთაველის ლეგენდის საფუძველზე ოპერის შესაქმნელად.

1369. Ш. Ардиели

О новом издании Шота Руставели

გაზ. На Рубеже Востока, 1937, октябрь, 23, № 18, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას 1934 წელს კ. ჭიჭინაძის რედაქციით გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე. ავტორი უთითებს მთელ რიგ შეცდომებს და ნაკლოვანებებს. მისი შენიშვნით, წიგნში არაფერია ნათქვამი რუსთაველის ეპოქაზე, მის შემოქმედებაზე და არსებითად არაა შესწავლილი და ნაჩვენები რუსთაველის შემოქმედების მნიშვნელობა და ხასიათი.

ავტორი შენიშნავს, რომ კ. ჭიჭინაძემ ვეფხისტყაოსნის ტექსტს ჩაუმატა ყველა დანარჩენ გამოცემასთან შედარებით ორასამდე ისეთი სტროფი, რომელიც მკვლევართა უმრავლესობას ყალბად მიაჩნია. ავტორი აკრიტიკებს კ. ჭიჭინაძის მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის კომპოზიციის შესახებ და შენიშნავს, რომ მცდარია მისი ცდა ინლო-ხატაელთა ამბავი პოემას მიაკუთვნოს, აგრეთვე მისი მოსაზრებები პოემის სიუჟეტის განვითარების ზოგ საკითხზე. ავტორის შენიშვნით, კ. ჭიჭინაძე დაუმსახურებლად გვერდს უვლის ა. სარაჯიშვილის მუშაობას ვეფხისტყაოსნის ტექსტზე, საიდანაც შესაძლებელი იყო სასარგებლო რამ აეღო.

ავტორი ცალკე ჩერდება კ. ჭიჭინაძის წარყვნილ წაყითხუთა გასწორებებზე. დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ლადო გუდიაშვილის ილუსტრაციები არ შეეფერებოდა რუსთაველის პოემას.

1370. М. Arif

Shota Rustavelinin jasadıcedası

გაზ. Q o m m u n i s t, Baku, 1937, 26 deqabr, № 298, გვ. 2.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს შოთა რუსთაველის შემოქმედების საკითხებს სპარსულ კლასიკურ თხზულებებთან და აზერბაიჯანულ კულტურასთან მიზართებაში და მოჰყავს სათანადო ადგილები პოემიდან აზერბაიჯანული თარგმანით. იგივე დაიბეჭდა კრებ.: Shota Rustaveli, Baku, 1937, გვ. 75—86.

გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა

წიგნი: არჩილი. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად,
აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი,
თბილისი, 1937, ტომი მეორე, LII+230 გვ.

ავტორი თავში—ძველთ და ახალთ საქართველოს მელექსეთა“ შენი-
შნავს: „გაბაასება მეფის პატრონის თეიმურაზისა და მელექსეთ დასაბაძის
რიტორისა რუსთელისა ამ მიზეზით იქმნა, რამეთუ მათ მელექსეთ შედარება
მრავალჯერ წასმოდა მე მეფეს არჩილს“ (გვ. 7).

რუსთაველისა და თეიმურაზის გაბაასებაში გადმოშლილია ავტორის თა-
ნამედროვეობის დამოკიდებულება ეფეხისტყაოსნის ავტორთან და ზეპირო-
ტრადიციებით მოღწეული ცნობები პოეტის ბიოგრაფიისა და პოემის შესა-
ხებ. ავტორი დიდად აფასებს რუსთაველის პოეტურ ძალას და მას პოეზიის
საერთო საზომად და ნიშნულად აცხადებს. მისი თქმით, პოეზია შესაძლოა მხო-
ლოდ რუსთაველის გზით. ავტორი ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის ცალკეულ
მომენტებს და გვაწვდის საყურადღებო ცნობებს ეფეხისტყაოსნის ისტორიულ-
ლიტერატურულ საკითხებზე, კერძოდ პოემის ჩანართთა ავტორებზე.

„ნანუჩას რუსთელის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურეგია,
საბრალოს ვერ შეუწყეია, წმინდა რამ აუმღერგეია“ (გვ. 3, სტროფი 26).

„ვინ ვერ მიჰყვებს რუსთელის თქმულსა, გარდმოზრბანდეს ასე აქეთ!
მელექსება არ შეშვეის, დააყენო მისაბაქეთი“ (გვ. 5, სტროფი 36).

„ქართველთ ენითა მელექსე ვერ ეღარების ამ ორსა,
რუსთველსა ენა რიტორსა, მეფეს — ალვისა ნაშორსა.
ერთმანერთს რად გაბაასებთ? უხამს უყოფდენ ამბორსა!
სრულად იტყვიან უკლებად ამბავსა სპარსთა ნაჭორსა (იქვე, სტროფი 37)..

„მელექსენი ასე ითქვა, ბოლოც მმართებს შეუთაო,
ბატონი კი შეუდარო, სხვათ რუსთველი გაუთაო,
კარგადა ვთქვა ყველა კაი, არ მგონია ენანურაო!
კიდევ რამ ვთქვა, რასა ბრძანებთ, თუ ამაზედ გაუთაო?“ (იქვე, სტროფი 41).

„რუსთველო, ყური მომაპყარ, გვადრიან მე და შენაო,
ზოგი შენ გაქებს, მე მეტყვის: შოთამ გაჯობა შენაო...“ (გვ. 8, სტროფი 61).

„მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას, აზნაგი შემადარონ,
ჩემისთანა ვერსად პაიონს, სულ ხმელეთი მოიარონ...
სრულ მელექსეთ მიუფროსონ, ვით ისრავლთ მღღელი არონ“ (იქვე, სტროფი 62)-

„არც მე მინდოდა ბაასი, მითქვამს, აქებდეთ რუსთველსა,
მას ხარზად ენა-მეტყველსა, ვით ტბილი მოსდის თვე სთველსა“ (გვ. 9, სტროფი 64)-

„რუსთველო, სხვათ მელექსეთა თუცა შენ გაგითავესა,
მე არც ვისწორებ, არ იცი, კარვა შვირს ან თუ ავ ესა,
მე ჩემი უბნა მგონია, თუ სხვათ ვერ გამოგდავესა,
ერთი ამბავი აიწყვი, ბოლოც სხვათ შეგითავესა“ (იქვე, სტროფი 70).

„ესთქვი ჩემგან უწინ ართქმული. არც შემდგომთ მოსაპოვარი,
თქვენ რა იშოვნე იქუნის თქმით, ბევრი ეპენ მე საშოვარი“ (გვ. 10, სტროფი 73).

„საქართველო საესე არის, ჩემი წიგნი ყველგან გაქვებს,
ვის ღებინ აქვს, მას უბნობენ, ანუ გული ვისცა უწუხს“ (იქვე, სტროფი, 78).

„მე ვარ ძირი ლექსის თქმასა, მელექსენი ჩემზე ენობს...“ (გვ. 11, სტროფი 79).

„შოთამ დავასწარ მელექსეთ, თქვენცა მომბანდიოთ თუ ნულად,
მე ვთქვი სრული და უკლები, თქვენ მოგვე შესაძინელად“ (გვ. 12, სტროფი 87).

„არჩილიანი“ პირველად გამოაქა პ. იოსელიანმა 1853 წელს თბილისში სათაურით: „ცხო-
ვრება მეფის თეიმურაზ პირველისა, აღწერილი ლექსად არჩილისაგან მეფისა“. მოიპოვება
ქუთაისის გამოცემა 1888 წლისა.

[*შენიშვნა შოთა რუსთაველზე*]გაზ. *Армянская Коммуна*, г. Армавир, 1937, 26 декабря, № 296, გვ. 3.

ავტორი ზოგადად ეხება რუსთაველის იუბილეს და აღნიშნავს, რომ გენიალური ქართველი პოეტის იუბილე საბჭოთა კავშირის დიდი გამარჯვების გამოსატყულებაა.

1373. А. Аршаруни

*Ветхие шкафы*ფრნ. *Книга и Пролетарская революция*, 1937, № 10, გვ. 125—127.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესათვის მზადების ზომიანობას. მოჰყავს ზოგი ცნობა რუსთაველის ბიოგრაფიიდან და შენიშნავს, რომ რუსთაველს საქართველოში ებრძოდნენ და იძულებული გახდა გადახვეწილიყო უცხოეთში, სადაც მოკვდა კიდევ. რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხები დღემდე გაურკვეველია.

მოკლედ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შინაარსი და შენიშნავს, რომ დ. ს. დანდუროვის მიერ წამოყენებული თეზა რუსთაველის გმირების გაიგივებისა მის თანამედროვე ისტორიულ პიროვნებებთან საყურადღებოა.

ბოლოს ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის ზღვარგზობას, ქებით იხსენიებს გ. ცაგარლის თარგმანს, რამდენადაც ის შესრულებულია უშუალოდ დედნიდან. ასევე აღნიშნავს პეტრენკოს და ზაბოლოცკის მიერ შესრულებული თარგმანების ღირსებებს.

1374. А. Аршаруни и С. Вельтман

*Шоша Руставели и его поэма*ფრნ. *Литературный учебник, Ежемесячный орган Союза советских писателей*, Москва, 1937, № 12, გვ. 11—18.

დასაწყისში აღნიშნულია შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილესათვის სამზადისი საბჭოთა კავშირის და ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურული მნიშვნელობა. ავტორების შენიშვნით, ჯერ კიდევ არაა საკმაოდ შესწავლილი არც რუსთაველის ბიოგრაფია, არც მისი შემოქმედების საკითხები, და რომ საბჭოთა სინამდვილეში იწყება მისი ნამდვილი შესწავლა.

ავტორებს მოჰყავთ რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია, არჩევენ ვეფხისტყაოსნის შედგენილობას, მის სიუჟეტსა და მთავარ გმირებს. შინაარსის გადმოცემისას მოყვანილია ცალკეული ადგილების თარგმანები რუსულად. აღნიშნულია რუსთაველის რელიგიური მიუკერძოებლობა, მისი დევნა სამღვდელოების მიერ, რუსთაველის პოპულარობა-დიადობა, ვეფხისტყაოსნის ხალხური ვარიანტების არსებობა და გარჩეულია ხალხური ვეფხისტყაოსნის — ტარიელიანის თავისებურება პოეტურთან შედარებით.

1375. ერ. ახტვაცატუროვი

*შოთა რუსთაველი და ხალხი*გაზ. *Коммунистური განათლება*, 1937, 27 დეკემბერი, № 121, გვ. 2.

ავტორი ზოგადად ახასიათებს შოთა რუსთაველის შემოქმედებას, ეხება მის წყაროებს, განათლებას, განსაკუთრებით აღნიშნავს მის კავშირს ხალხური შემოქმედებისა და ენის ტრადიციებთან და საერთოდ ხალხის ცხოვრებასთან. ავტორის შენიშვნით, რუსთაველის შემოქმედება მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ძლიერებით იყო განპირობებული. ავტორი რუსთაველის დახასიათებაში იმოწმებს ილიას შეხედულებებს.

Бессмертный поэт

ჟურნ. Литературный Казахстан, Алма-Ата, 1937, № 11—12, გვ. 59—63.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის პოემის, ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურულ მნიშვნელობას და მის წარმოშობას აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შეჯვარების ნიადაგზე. პოემაში სიყვარულისა და მეგობრობის მარადიული თემა ახალ გაშუქებაშია გამოხატული, ვიდრე ის აღმოსავლურ პოემებშია. ვეფხისტყაოსანი განსხვავდება აღმოსავლური წიგნურ-მისტიკური ლიტერატურისაგან. ასევე განსხვავდება ის დანტეს ლეტაბრივი კომედიისაგანაც უფრო ფართო რაციონალისტური პორიზონტით. რუსთაველი არაა შეზღუდული არც ნაციონალური, არც რელიგიური ჩარჩოებით. მისი გმირები პირობითად არიან მოქცეული გეოგრაფიულ-ნაციონალურ ჩარჩოებში. ისინი ზოგად კაცობრიულ გრძნობებს გამოხატავენ. ამასთან ვეფხისტყაოსანში იგრძნობა ხალხური ნიადაგი, რაც მას ეროვნულ ხასიათს აძლევს.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს იმ მუშაობას, რომელიც წარმოებს კახახურ ენაზე ვეფხისტყაოსნის შესწავლისა და თარგმნის საქმეში, რაშიაც საუკეთესო პოეტები არიან ჩაბმული. ავტორი შენიშნავს, რომ ქართული პოეზიის ელერადობა კახახურ პოეზიას უნათესავდება.

1377. ს. აქიროთაძე

შოთა რუსთაველი და მისი შემოქმედება

გახ. საბჭოთა აფხაზეთი, 1937, 26 დეკემბერი, № 93, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ღვინას ქართული ეკლესიის მიერ, მისი შემოქმედების ოპტიმისტურ ხასიათს და არ ეთანხმება კ. კეკელიძის მოსაზრებას, თითქოს რუსთაველის ფილოსოფია პესიმისტური ყოფილიყოს. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანში გამოხატულ მთავარ იდეალებსა და გმირებს. მის პროგრესულობასა და მნიშვნელობას როგორც ქართული, ისე საკაცობრიო მასშტაბით.

1378. ი. ახუბელი

„ვეფხისტყაოსანი“ აფხაზეთურ ფოლკლორში

გახ. საბჭოთა აფხაზეთი, სოხუმი, 1937, 27 დეკემბერი, № 94, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს აფხაზეთურ ფოლკლორში ვეფხისტყაოსნის მოტივების გამოხატულებას და სანიმუშოდ მოჰყავს აფხაზეთი თქმულება შოთა რუსთაველის შესახებ, რომელიც, მისი აზრით, მოგვაგონებს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის ეპიზოდს. ამასთან ერთად ავტორი შენიშნავს, რომ აფხაზეთა შორის რუსთაველის მრავალი აფორიზმი ანდაზების სახითაა გავრცელებული.

1379. ი. ბ.

Народные сказания о жизни Руставели

გახ. Заря Востока, 1937, 30 октябрь, № 227, გვ. 3.

ავტორი სხვადასხვა თქმულებათა მიხედვით გადმოსცემს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას პოეტის აღზრდის, განათლების, თამარის კარზე მოღვაწეობისა და პოეტის დაწერის მოტივებზე.

1280. მ. ბ.

„Венхис ткаосани“ в современной грузинской музыке

გახ. Вечерний Тбилиси, 1937, 22 декабря, № 294, გვ. 3.

წერილში მოკლედ მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის თემატიკაზე დაწერილი ოპერები და მცირე ფორმის მუსიკალური თხზულებანი.

По Руставелинским местам

გაზ. Известия, 1937, 22 декабря, № 297(6459), გვ. 3.

ავტორი აღწერს სოფელ რუსთავის, ხერთვისის, თმოგვის, ვარძიის, აწყურის მდებარეობას და მათში არსებულ ციხე-კოშკებსა და ეკლესიებს. გამოთქვამს აზრს, რომ შესაძლოა სწორედ ეს პუნქტები ჰქონდეს მხედველობაში რუსთაველს თავისი პოემის ბევრ აღწერილობაში. ავტორი შენიშნავს, რომ ეს მიდამოები, რუსთავის ცენტრით, რუსთაველის შესაძლებელი სამშობლოა და ამდენად მისი შემოქმედების შთამავგონებელი ადგილები.

1382. მიკოლა ზაფანი

ვეფხისტყაოსნის თარგმნის სიმწვინი

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 15 იანვარი, № 1, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის დიდ მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით და ქართველი ხალხის მაღალ კულტურას, რომელთა პირობებში შეიქმნა ეს პოემა. ეხება თარგმნისათვის ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობასა და ქართველ პოეტთა დახმარებას თარგმნის პროცესში.

სიმწვინეთა შორის, რომელთა გადალახვა უხდებოდა ავტორს, აღნიშნავს უკრაინულ ენაზე რიტმული სტრუქტურის მოცემის ამოცანას და მაღალი და დაბალი შიირის შენაცვლების გადაღების საკიროებას, რითაც აცილებული იქნება ერთი ზომის მონოტონურობა იამბური და ქორეული სტროფების შენაცვლებით. უკრაინულ ენაზე დაბალი შიირის გადასაცემად მან არჩია ვაქური რითმა, რომელმაც სტრიქონში გამოიწვია ერთი მარცხლის დაკარგვა.

1383. М. Бажан

Геній іривинської поезії (стаття)

გაზ. Комуніст, Київ, 1937, 24 Березень, № 69, გვ. 3.

ავტორი ზოგადად აღნიშნავს ძველი ქართული ლიტერატურის სიმდიდრეს და რუსთაველის პოპულარობას. მოჰყავს ცნობები ვეფხისტყაოსნის დევნის შესახებ და ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას მსოფლიო კლასიკოსებთან დაპირისპირებაში. ეხება რუსთაველის ეპოქის პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას. ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებსა და მოტივებს. მოჰყავს რუსთაველიდან ციტატები და ჰყვება პოემის შინაარსის ძირითად ფაბულას. რუსთაველის მსოფლმხედველობის დახასიათებისას აღნიშნავს პოეტის რელიგიურ-ნაციონალურ შეუზღუდველობას და ვეფხისტყაოსანის მხატვრული ფორმისა და შინაარსის უყვადებებს.

1284. Мицла Бажан

Певцы дружбы

(750 лет со дня рождения Шота Руставели)

გაზ. Известия, 1937, 18 декабря, № 294, გვ. 3.

ავტორის აზრით, რუსთაველმა დანტეზე ასი წლით ადრე გამოხატა თავის პოემაში ბურჟუაზიული ჰუმანიზმის ამომავალი მზე. მან თავის შემოქმედებაში შეაერთა აღმოსავლურ-დასავლური მეცნიერებისა და პოეზიის მაღალი იდეალები და თემები სიყვარულისა და მეგობრობისა. მისი პოემა გაელენთილია ოპტიზმით, სინათლით, სიცხადით. მასში მაღალი პოეტური აზრი შეერთებულია დიდ ოსტატობასთან. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს თავის მუშაობას ვეფხისტყაოსნის უკრაინულად თარგმნაზე.

იგივე: გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1937, 26 დეკემბერი, № 93, გვ. 3; გაზ. „Вечерний Тбилиси“, г. Тбилиси, 1937, 29 декабря, № 300, გვ. 2. ქველურა, 5 სექტი.

გაზ. Комсомолец Украины, Орган центрального та Київського комітетів ЛКСМУ, Київ, 1937, 23 грудень, № 292, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურულ მნიშვნელობას, ჰყვება რუსთაველის ბიოგრაფიას, ეხება მისი ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ვითარებას, ქართული კულტურისა და ლიტერატურის მდგომარეობას, შოთას განათლებას; იმოწმებს მარის შრომებს და ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს, მოტივებს — მეგობრობას, სიყვარულს. სამშობლოს სამსახურს, სახელმწიფო იდეალებს, რასაც რუსთაველი გამოხატავს მხატვრულ სახეებში.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველზე შეიძლება ითქვას ის, რაც ენგელსმა თქვა დანტეზე, რომელმაც 100 წლის შემდეგ დაწერა თავისი თხზულება. „ის იყო საძულაო საუკუნეთა უკანასკნელი და ასალი ხანის პირველი პოეტი“. ქართული პოემა უკვდავია თავისი იდეებით და სახეებით. ავტორი ეხება რუსთაველის პოეტურ ოსტატობას — ენას, პოეტურ ფიგურებს, პოემაში არსებულ მგაჟურ დიალექტს, რუსთაველის პოეტიკასა და ლექსიკას. რუსთაველი ქართველი ხალხის პოეტური აზროვნების უმაღლესი გამოხატულებაა.

1366. აღ. ბარამიძე

შოთა რუსთაველი

ჯურნ. მნათობი, 1937, № 12, გვ. 153—172.

სტატია შეიცავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხების ზოგად მიმოხილვას. ავტორი ნოკლედ ჩერდება რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ-კულტურულ მდგომარეობაზე, აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სილიადასა და პოპულარობას, ახასიათებს მის მთავარ გმირებს, მოტივებს, იდეალებს, მისი პოეტიკის თეორიას პროლოგის მიხედვით, შაირის საზომს, მისი ლექსის თავისებურებებს, აფორისტულ ენას და მთლიანად პოემის ფაბულასა და შინაარსს; ავტორი ანალიზს უკეთებს პოემის სიუჟეტს და მის მხატვრულ კომპოზიციას.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველის ლიტერატურულ წყაროს ძველი ქართული მწერლობის ნიადაგსა და ხალხურ სიბრძნესთან ერთად წარმოადგენდა ირანულ-არაბული პოეზიისა და ანტიური ქვეყნების სიბრძნეც. მისი „შემოქმედებითი ფესვები ღრმადაა ჩაქსოვილი ეროვნულ ქართულ შეგნებასთან“ (გვ. 171). ვეფხისტყაოსანში ხაზგასმულია ანტიისპარსული ტენდენცია (გვ. 165). „წარსულში ირანელთა ძალმომრეობით შეპირვებულ საქართველოსთვის რუსთაველის ეს ტენდენცია შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. რუსთაველი გამოდიოდა... საქართველოს ეროვნული ღირსების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი თავისუფლების დაცვის თვალსაზრისიდან“ (გვ. 166).

ავტორი ეხება პოემაში გამოხატულ სოციალურ მოტივებს ქართულ ცხოვრებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ რუსთაველმა ჰუმანისტური იდეები წამოაყენა. მისი შემოქმედების ცენტრი ადამიანთა კეთილშობილი თვისებებით, სიყვარულისა და მეგობრობის გრძნობებით, გმირობით, პატრიოტიზმით. რუსთაველი ფილოსოფიური აზროვნებით წალო დადგა ნაციონალურ-რელიგიურ ნებლუდულობაზე, ის მსოფლიო მოქალაქეობრივი რწმენით აღქმურვლი პიროვნებაა, რის გამოც თავისი მოწინავე იდეებისათვის საძლედელოებისაგან დეენას განიცდიდა.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს რუსთაველის დიდ პოპულარობას საქართველოში, მის გავლენას ქართულ პოეზიაზე, ადგილს ქართული კულტურის ისტორიაში და რუსთაველის შემოქმედების პროგრესულ მნიშვნელობას თანაღრობისათვის.

ეს წერილი რედაქციული ცვლილებებით დაიბეჭდა იმავე წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სივადასხვა ენაზე:

რუსულად: ეურნ. „Интерпартийный Казакстан“, Алма-Ата, № 11—12, გვ. 64—69.

ბელორუსულად: ეურნ. „Шляхи Радзюнон“, Орган партійнаго с'юда с'оменіх іменіікау БССР. Кніга д'наз'нач'аю, Менск, № 12, გვ. 100—107.

ურაინულად სათაურით: Великий спільєє єуманізм, გაბ. „Віснї“, зь Груденя, № 293, გვ. 3.

ტაჯიკურად: ეურნ. „Барои адабиёти соціалістї“. Органї Правленїяї Итїроқи Нови-сандагонї Советїїи РСС Тосїкістон, Стамбула, № 9—10, გვ. 34—37.

აზერბაიჯანულად: კრებულში: Şota Rustaveli, 750 illi mönäsibətılı Azərbaycan sovet Jazıcları ittifaqı, Azərbaş, İndii ədabijət fəhri. Bakı, გვ. 3—22.

უზბეკურად: გაბ. „Ozıl Ozbekistan“, Taskent, 26 dekabr, № 296, გვ. 4.

გაბ. „Sotsijalistik Çol“, Aqtebe, 23 dekabr, № 293, გვ. 3—4.

ყაზახურად: გაბ. „Qaraqanda Proletariyatı“, Organı karqandaıkoı otkona u orıkoıa KPI(ó) Қазақстан, 24 dekabr, № 296, გვ. 3.

თათრულად: ეურნ. „Sovet ədabiatı“, Tatarstan sovet jazıcları s'iuze organı. Qazan, Dekabr, № 12, გვ. 69—77.

გაბ. „Levin tuvlı“ (Qaraqıstan—Petropavıl—galası) 31 dekabr, № 302, გვ. 3, 6 სვეტი.

გაბ. „Bolechnuklik Çol“, 30 dekabr, № 218, გვ. 1—2, ქვედურა, 7 სვეტი.

გაბ. „Qazaq edebijeti“, 27 dekabr.

თურქმენულად: გაბ. „İns Komunist“, Ashgabat, 24 dekabr, № 296, გვ. 3, ქვედურა, 6 სვეტი.

გაბ. „Qoıumunist“, 26 dekabr, № 298, გვ. 3, ქვედურა, 6 სვეტი.

1387. პროფ. ალ. ბარამიძე

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი აღდგენილი ა. შანიძის მიერ

გაბ. კომუნისტი, 1937, 11 ოქტომბერი, № 233, გვ. 3.

სარეცენზიო წერილში ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის ე. წ. ვახტანგისეული 1712 წლის გამოცემის აღდგენილ გამოცემას ა. შანიძის რედაქციით 1937 წელს. ეხება გამოცემის მიზანს, აღნიშნავს ვახტანგისეული ტექსტის მნიშვნელობას ვეფხისტყაოსნის ტექსტის აღდგენისათვის და იხილავს იმ ნუშაობას, რაც ა. შანიძემ ჩაატარა მისი რედაქციისა და აღდგენისათვის. ავტორის შენიშვნით, „ა. შანიძეს ისეთი ხასიათის შესწორებები შეუტანია ტექსტში, რომლებიც შეეფერება კრიტიკულ გამოცემას და არა აღდგენილ კოპიოს“. ამასთან ერთად ავტორი აღნიშნავს ზოგ შეცდომას აღდგენილ ტექსტში და უთითებს მაგ., სამსტრიქონიან შიირს (გვ. 346), რომელიც რედაქტორს შეუსწორებლად დაუტოვებია.

1388. პროფ. ალ. ბარამიძე

გაბასევა თეიმურაზისა და რუსთაველისა

გაბ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 20 დეკემბერი, № 31(53), გვ. 3.

ავტორი იხილავს არჩილის თბულებას „გაბასევა თეიმურაზისა და რუსთაველისა“; ეხება მის შედგენილობას და მასში გამოხატულ ქართული მწერლობის რუსთაველთან დამოკიდებულების საკითხებს, რუსთაველის შეფასებას ქართულ პოეზიასთან მიმართებით, უმთავრესად რუსთაველისა და თეიმურაზის დაპირისპირების საფუძველზე. დასასრულს ავტორი მოკლედ ეხება გაბასევის ტექსტის გამოცემებს.

Витязь в тиринийской шкуре

ჟურნ. Советское студенчество, 1937, № 10, გვ. 48—50

ავტორს მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობები და პოემის შინაარსი, ახასიათებს მისი ფაბულისა და სიუჟეტის მსატერულ მხარეებს, სტილის დინამიურობას, აფორისტულ მეტყველებას, მთავარ გაჩირებს და ლექსს.

ავტორი აღნიშნავს, რომ პოემაში გამოხატულია ქართული რეალური ყოფა თავისი პატრონყმობით. ახასიათებს მის მთავარ მოტივებს — სიყვარულს, მეგობრობას და აღნიშნავს, რომ პოეტი არაა შეზღუდული თავისი კლასითა და ნაციონალიზმით, ის დიდი მოაზროვნეა.

1390. А. Барамидзе

Образ Тарпили

ჟურნ. Литературный критик, Москва, 1937, № 12, გვ. 90—104.

იგივე მცირე ცვლილებით სათაურით: «Тарпило» დაიბეჭდა იმავე წელს:

გაზ. Заря Востока, 21 декабря, № 292, გვ. 3

დასაწყისში ავტორი ეხება ტარიელის ზედწოდების საკითხს, რომელიც პოემის სახელს წარმოადგენს და მოჰყავს პოემის სათანადო აღგილები. ციტაციის დროს იყენებს გ. ცაგარლის თარგმანს. აღნიშნავს, რომ პოემის ძირითად ძარღვს ტარიელის ამბავი წარმოადგენს. მიმოიხილავს ტარიელის სახის შესწავლის ისტორიას. აკრიტიკებს გულაკს, პროფ. ი. აბულაძეს, იხილავს ა. წერეთლის შეხედულებას, მასთან ი. ქავჭავაძის კამათს გმირების საკითხზე. კ. კეკელიძის აზრი მიაჩნია მკაცრ შეფასებად. ბოლოს ჩერდება. მ. კელენჯერიძისა და «Н. Д.»-ის წერილებზე.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის შესწავლისას უნდა ვიხედ-მძღვანელოთ ისტორიზმით. მისი აზრით, რუსთაველი იძლევა გმირის იდეალურ თვისებას, რომელსაც ამართლებს ტარიელი. ავტორი სწავლობს ტარიელს სხვა გმირებთან ურთიერთობაში და ასკვნის, რომ ის არის იდეალური ტიპი დაჯილდოვებულმა მაღალი ადამიანური ღირსებებით. ტარიელი შედის საერთო-საკაცობრიო ტიპების დიდ გალერეაში როგორც სრულყოფილი გმირი.

1391. Профессор Олександр Барамидзе

Прекрасний переклад

გაზ. Біл. шовник, Київ, Велірия газета, 1937, 21 грудня, № 292, გვ. 3

მცირე რეცენზია მ. ბაქანიის მიერ უკრაინულ ენაზე ვეფხისტყაოსნის სრული ტექსტის თარგმნის შესახებ. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანს და ზოგადად აღნიშნავს მის ღირსებებს.

1392. А. Барамидзе

Прабодник народом

ჟურნ. Литературное обозрение, 1937, 25 декабря, № 24, გვ. 7—13.

ავტორი ზოგადად ახასიათებს თამარის ეპოქას, როდესაც დაიწერა ვეფხისტყაოსანი. ეხება რუსთაველის პოეზიის თეორიას, მისი პოემის საგანს — სიყვარულს, მისი შემოქმედების მთავარ იდეებს და რუსთაველს ახასიათებს როგორც დიდ რეალისტს. აღნიშნავს რუსთაველის რელიგიურ შეუზღუდველობას, რომელსაც მის შემოქმედებაში ცვლის სიყვარული ადამიანისადმი და რწმენა მომავლისადმი.

რუსთაველის შემოქმედების მთავარი მოტივებისა და გმირების დახასიათებისას მოჰყავს ციტატები პოემიდან. აღნიშნავს რუსთაველის პოეტური ენის მაღალ თვისებებს და მის გავლენას ქართულ პოეზიაზე. მისი აზრით, რუსთაველის იდეების საფუძველი ხალხური სინამდვილეა და ამითვე აიხსნება მისი დიდი პოპულარობა ხალხში.

1303. Professor A. Baramidze

„*Colbaris lerisin çamlıgan hatır*“ *çana onıñ aptır*

გახ. *Sotsijalistik Qazaqıstan*, Алматы, 1937, 26 dekabr, № 296, გვ. 3—4, ქვედურა 9 სვეტი.

ზოგადად განხილულია რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხები, რუსთაველის ეპოქა და ქართული ლიტერატურული გარემო. ავტორი ჩერდება მთავარი გმირების, განსაკუთრებით ტარიელის დახასიათებაზე.

1304. ალ. ბარამიძე

ვისრამიანის საკითხისათვის

(პასუხად პროფ. იუსტ. აბულაძეს)

ჟურნ. *საბჭოთა ხელოვნება*, 1937, № 2, გვ. 75—81.

ვისრამიანის ქართული თარგმანის ორიგინალთან მიმართების საკითხების გარკვევისას ავტორი იმოწმებს ვეფხისტყაოსნის ერთ სტროფას და უარყოფს პროფ. ი. აბულაძის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ვეფხისტყაოსანმა მოახდინა გავლენა ვისრამიანზე და არა პირიქით. ავტორის დასკვნით, „ვეფხისტყაოსნის“ „ვისრამიანზე“ გავლენის შესახებ გამოთქმული მოსაზრება აბსურდულია (გვ. 78), რამდენადაც სპარსული დედნით უცნობი, ქართული ვისრამიანისათვის დამახასიათებელი ზოგი დეტალი, რომელსაც ი. აბულაძე ვეფხისტყაოსნის გავლენით ხსნიდა, თვით ვისრამიანის ტექსტში აღმოჩნდა.

1305. ბათიბ ბასანგოვი

ქალაქის მწერალი—დრამატურგი

რუსთაველის მემკვიდრე — სტალინური შეგობრობით შეკავშირებული საღვთები არიან

გახ. *კომუნისტი*, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 2.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას, სიღიადესა და მხოფლიო მნიშვნელობას.

1306. ი. ბეგლაროვი

შოთა რუსთაველი

ჟურნ. *მშრომელი ქალი*, სექტემბერი, № 9, გვ. 6—9.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, აღნიშნავს მის მსოფლიო მნიშვნელობას, პოპულარობას, მის დენას სანდვდლოების მიერ, არჩევს პოემის ძირითად მოტივებს და საილუსტრაციოდ პოემიდან მოჰყავს ცალკეული სტროფები.

1307. დემიან ბედნი

ლიად საღვს ჩემი საღამო

გახ. *კომუნისტი*, 1937, 24 დეკემბერი, № 294, გვ. 1.

ავტორი რუსთაველისადმი მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ მას უნახავს იოსებ სტალინი, რომელიც მის წარმოდგენაში არწივს ეღრება და ბედნიერია იმით, რომ იმ ქვეყანასა და ბუდეს ხედავს, „რომელმაც გვაჩუქა და მომავალშიც გვაჩუქებს არწივებს“. შოთა რუსთაველი ეს არის პოეტი პოეტთა შორის, ბრძენი-მასწავლებელი, რომლის ჯადოსნური სიმღერა ხალხმა შეიყვარა და ჩვენ ეპოქამდე მოიტანა.

1396. ღემიან ზედნი

სახსარულო შემთხვევ (ღემიან ზედნის სიტყვიდან)

გაზ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 1.

ავტორი იკონებს თორმეტი წლის წინათ მოსკოვში სტალინთან შეხვედრას, როდესაც მისთვის სტალინს წაუკითხავს ქართულ ენაზე შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ადგილები „იშვიათი ოსტატობითა და გრძნობათ-მომრევი გამსკვალულობით“.

ამავე ფაქტს იკონებს ავტორი პატარა შენიშვნაში: *Самое интересное воспоминание*, გაზ. «*Заря Востока*», 1937, 29 декабря, № 299, გვ. 2.

1399. პროფ. А. И. Белецкий

Живой в столетиях

გაზ. Харьковской Правды, 1937, 25 декабря, № 296.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მსოფლიო ლიტერატურულ მნიშვნელობას, მის თანდათან გატანას თავის სამშობლოს გარეთ, რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს და მოკლედ ითვალისწინებს მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ საკითხებს. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანი გარეგნულად გვაგონებს XII—XIII საუკუნეთა რაინდულ პოემა-რომანს. რუსთაველი განსხვავდება საშუალო საუკუნეთა ეპოქების ავტორებისაგან. ის თვითონ ჩანს პოემაში და თვითონ არის საინტერესო. მოკლედ გადმოსცემს პოემის ფაბულას და ეხება პოემის მთავარ მოტივებს. მისი აზრით, რუსთაველის გმირები სხვა ეპოქის გმირებისაგან განირჩევიან რეალურობით. ისინი ამქვეყნიური ცხოვრების გმირები არიან.

ავტორის აზრით, რუსთაველი ათეისტი არ არის, მაგრამ მის ღმერთს ოფიციალური ეკლესიის ღმერთთან კავშირი არა აქვს. ის ხასიათდება აზროვნების თავისუფლებით. მან აღმოსავლეთის ცოდნით დაასწრო დასავლეთს ორი საუკუნით.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს კარგი თარგმანების უქონლობას. იწონებს ბაჟანის თარგმანს და შენიშნავს, — რუსთაველით ჩვენ ვუახლოვდებით ქართველ ხალხს. რომლის წიაღიდანაც გამოვლინდა სტალინიო.

1400. Беляев—Болгария, Ланснес—Исландия, Пля И-Бельтран—Испания Участники II антифашистского конгресса

Праздник культуры

გაზ. Заря Востока, 1937, 26 декабря, № 296, გვ. 1.

მისალოც დებეშაში ნურალთა ისტორიული პლენუმისადმი, რომელიც ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად გაიხსნა რუსთაველის თეატრის დარბაზში 24 დეკემბერს, აღნიშნულია, რომ ქართველმა ხალხმა მსოფლიოს მისცა გენიალური შოთა რუსთაველი და სტალინი.

1401. პანტ. ბერაძე

შაირისა და გრძელი შაირის გამოყენების კანონზომიერება ვეფხისტყაოსანში

ფურც. ჩვენი თაობა, 1937, № 5—6, გვ. 114—128.

ავტორი ანალიზს უკეთებს მამუკა ბარათაშვილის დებულებას გრძელი შაირისა და შაირის განსხვავებულობის შესახებ და იძლევა გრძელი შაირის ლექსის ტერფთა შედგენილობისა და მისი ხასიათის განსაზღვრას. მისი აზრით „გრძელი შაირის ლექსი დამძიმებულია, უმთავრესად მძიმე სულიერ განცდათა გადმოცემისათვის არის შესაფერისი“.

ავტორი ცდილობს დაადგინოს ერთგვარი კანონზომიერება შაირის ორი სახეობის შენაცვლებაში, რისთვისაც ვეფხისტყაოსნიდან სათანადო ნასაღის ილუსტრაციით საზღვრავს მათი შენაცვლების თანმიმდევრობას და გრძელი შაირის ლექსში რიტმული ორმარცვლოვანი ტერფის ადგილშენაცვლების საფუძველზე (სქემები ა, ხ, ც, დ) განსხვავებათა ოთხ სხვადასხვა სქემას გამოჰყოფს, რომელთაგან C სქემის მიხედვით გამართული გრძელი შაირის ლექსი (C = 233323) ყველაზე დამძიმებული რიტმის შემკველად მიაჩნია. ავტორი აღნიშნავს არსენ იყალთოელის სახელით ცნობილ ეპიტაფიასა (დავით აღმაშენებელზე) და ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ სტროფს შორის რიტმულ მსგავსებას.

ავტორის საერთო დასკვნით, ვეფხისტყაოსანში ლექსის რიტმის ცვალებადობა თვით პოეზიის ამა თუ იმ ადგილის შინაარსთანაა დაკავშირებული. ასეთი ცვალებადობა პირველად პოეზიაში რუსთაველთან გვხვდება და მას პარალელი მხოლოდ ხელოვნების ფორმებში მოეპოვება.

1402. პროფ. ვუკ. ბერიძე

პროფ. იუსტინე აპულაძის მეცნიერული მუშაობის უნებისა და თვისების შესახებ
ურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1937, № 2, გვ. 72-74.

წერილის ქვეთაეებში—„ა. მცანაწილაკის შესახებ“ და „ბ. სარატანის შესახებ“ ავტორი მოკლედ მიმოიხილავს მათი შესწავლის ისტორიას ვეფხისტყაოსნის რამდენიმე წაითხვასთან დაკავშირებით და ეკაპათება ი. აბულაძეს მათი კვლევისა და გადაწყვეტის პრიორიტეტზე დ. ჩუბინაშვილსა და ა. შანიძესთან მიმართებით.

ქვეთაეში—„ი. აბულაძის და ს. კაკაბაძის ურთიერთობა „ვეფხისტყაოსნის გამოკემისას“ ავტორი აღნიშნავს, რომ ი. აბულაძე ვეფხისტყაოსნის 1914 წლის თავის გამოკემაში უმართებულობას იჩენს ალ. სარაჯიშვილისა და ს. კაკაბაძის მიმართ.

1403. პროფ. ვუკოლ ბერიძე

„ი.ო. რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

ვახ. საბჭოთა აფხაზეთი, 1937, 12 ნოემბერი, № 56, გვ. 4; 14 ნოემბერი, № 57, გვ. 4.

ავტორი იხილავს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას, რომელთაც წარმოშვეს დიდი პოეტი, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი, არჩევს რუსთაველის შაირობის თეორიას, პოემის ძირითად მოტივებს—მეგობრობას, სიყვარულს და ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს სათანადო ილუსტრაციის მოტანით.

იგივე წერილი მცირეოდენი ცვლილებით იმავე წელს დაიბეჟა ვახ. „საბჭოთა აკრახი“, 22 დეკემბერი, № 292, გვ. 3; 23 დეკემბერი, № 293, გვ. 3.

1404. პროფ. ვუკ. ბერიძე

ვახტანგისული „ვეფხისტყაოსანი“ აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი, 1937 წ.

ვახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 15 ნოემბერი, № 27, გვ. 4.

ავტორი ა. შანიძის რედაქციით 1937 წელს ვახტანგის ვეფხისტყაოსნის გამოკემასთან დაკავშირებით, აღნიშნავს სარედაქციო მუშაობას, რომელიც აღდგენილ გამოკემაში ჩატარდა ტექსტის დასაბეჟდალ აშკარა კორექტურული და ზოგი მცდარი წაკითხვების გასწორების თვალსაზრისით.

ავტორის შენიშვნით, პროფ. ა. შანიძის მიერ ჩატარებული მუშაობა საერთოდ აღასტურებს, რომ „ვახტანგს გაუცხრილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტი, პირველი გამოკემა ვეფხისტყაოსნის არის ხელოვნურად შემუშავებული ტექსტი და არა უცვლელად დაბეჟილი რომელიღაც ძველი ხელნაწერი“.

1405. პროფ. ვ. ბერიძე

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები

გახ. მ შუა, 1937, 29 დეკემბერი, № 299, გვ. 2.

ავტორი მოკლედ განიხილავს რუსთაველის შაირობის თეორიას ვეფხისტყაოსნის პროლოგის მიხედვით და ეხება მეგობრობის, ძმადღეცობისა და სიყვარულის მოტივებს, რომელნიც, მისი აზრით, პოეტმა ბრძოლის სახით გამოხატა, რაც პოემის მთავარი ძარღვია.

1406. პროფ. ვ. ბერიძე

რითაა ძვირფასი რუსთაველი

გახ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოემის ნორალურ-ეთიკური იდეალების სიდიადესა და მნიშვნელობას, მის მთავარ მოტივებს და დაასკვნის, რომ ვეფხისტყაოსნის სიყვარული განაპირობა შუა საუკუნეთა შეზღუდულ ეპოქაში რუსთაველის მიერ აღიარებულმა კაცისა და ქალის თანასწორობის დიადმა იდეამაც.

1407. Пля И-Бельтран

Его дыхание живет бессмертным пламенем

გახ. Заря Востока, 1937, 29 декабря, № 299, გვ. 3.

„გადათარგმნი ესპანურ ენაზე ვეფხისტყაოსანი“

გახ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ.

За Великое Будущее человечества

გახ. Вечерний Тбилиси, 1937, 29 декабря, № 300, გვ. 2.

წერილები წარმოადგენს ესპანელი პოეტის პლაა-ი-ბერტრანის სიტყვის შემოკლებას რუსთაველიადაში მიძღვნილ პლენუმზე.

ავტორი ესპანეთის ხალხისა და მწერლების სახელით მიულოცავს ქართველ ხალხს შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს, ზოგად ხაზგმობს ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს მის დიადობას და საზეიმო ვითარებაში პირობას იძლევა, რომ ის ვეფხისტყაოსანს გადათარგმნის ესპანურ ენაზე.

1408. О. I. Білецький

Доктор літературознавства

Бессмертия поэма ігузинського народу

გახ. Соціалістична Харківщина, Харків, 1937, 26 грудня, № 295,

გვ. 3. ქვეთურა, 7 სვეტი.

ავტორი აღნიშნავს, რომ უკრაინასა და რუსეთში რევოლუციამდე რუსთაველის შესახებ ცოტა იცოდნენ. პირველად უკრაინულ ენაზე ვეფხისტყაოსანი თარგმნა ო. ო. ნაეროციმ, რომელიც ვერ მოესწრო თავისი თარგმანის დაბეჭდვას. ავტორი განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის მ. ბაეანისეულ თარგმანზე. ეხება პოემის შინაარსს, ახასიათებს მის მთავარ გმირებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველის აფორიზმებში გამოხატულია პროგრესული იდეები.

რუსთაველის პოეტური მეტყველებისა და მხატვრობის დასასიათებისას ავტორი აღნიშნავს მის დიდ ოსტატობას. პოემის წყარო ხალხური შემოქმედებაა, რასაც ადასტურებს ამჟამადაც საქართველოში ხალხური ვეფხისტყაოსნის მთელი ციკლის არსებობა. ავტორი ეხება ქართულ კლასიკურ ლიტერატურას, აღნიშნავს რუსთაველის დამოკიდებულებას სპარსულ პოეზიასა და ბიზანტიურ განათლებასთან, ადარებს ვეფხისტყაოსანს შუა საუკუნეთა ევრო-

პის რაინდულ რომანებს და აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების თავისებურებას სპარსულთან მიმართებით, კერძოდ, მისი შემოქმედების თავისებურებას ნიზამთან დაპირისპირებაში.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის გმირებს პროტოტიპები თვით ქართულ ცოცხალ სინამდვილეში მოეპოვებოდათ. რუსთაველი დაბადებით ქრისტიანი იყო, მაგრამ ის თავისუფალი იყო მისი ფანტიზმისაგან, რისთვისაც სამღვდლოებისაგან იღვევებოდა.

1409. Ю. Блохин

Научный работник

Памяти о поэте Судзишвили

გაზ. Харьковский рабочий, 1937, 30 декабря, № 301, გვ. 3.

ავტორი გამოთქვამს თავის უშუალო შთაბეჭდილებას პოემის წაკითხვით და ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებით მთავარ იდეებსა და მოტივებს. მისი შენიშვნით, რუსთაველის ლირიკას განასხვავებს ის, რომ არაა აბსტრაქტული.

1410. С. С. Богатиров

Васлушительный профессор

Джелало матхисия

გაზ. Социалистична Харківщина, Харків, 1937, 26 грудня, № 295, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედება ბევრს მხატვრულ სახესა და თემას შეიცავს, რომელიც კომპოზიტორული შემოქმედებისათვის საინტერესო მასალას წარმოადგენს, და მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის შემოქმედების თემატიკაზე მუსიკალურ თხზულებათა შექმნის მდგომარეობას.

1411. Б. Б-ов

Шота Руставели 1187—1937

ფურხ. Огонек, 1917, 20 декабря, № 35, გვ. 6.

პატარა წერილი წარმოადგენს პეტრენკოსა და დერკაეინის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ნაწყვეტებისათვის დართულ შესავალს, რომელშიაც ავტორი იძლევა რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს, აღნიშნავს მის პოპულარობას საქართველოში, მის მსოფლიო მნიშვნელობასა და იდეურ კავშირს ჩვენ თანამედროვეობასთან.

1412. Джоомарт Бокомбаев

Стихи Руставели войдут в киргизскую поэзию, как родные

გაზ. Советская Киргизия, 1917, 26 декабря, № 297, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი და აგებულება რამოდენიმედ ეხმარება ყირგიზულ პოეზიას. ყირგიზული ეპოსის „მანას“ გაგრძელება „სემეთეა“ ჰგავს ვეფხისტყაოსანს, და მოჰყავს ცალკეული ეპიზოდები შესადარებლად. ორივესთვის საერთოა ხალხურობა.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ყირგიზულ ენაზე თარგმნის მუშაობას, ქართული პოეზიის სიდიადეს და პოპულარობას.

1413. А. Бологников

Народность Шота Руставели

(Творчество грузинского поэта XII—XIII вв.)

გაზ. Советское Искусство, М., 1937, 5 января, № 1, გვ. 3.

ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის ზოგად შეფასებას მსოფლიო მასშტაბით. გაჰყავს პარალელი შაჰნამესთან. მოჰყავს ჩხორტუას აზრით ვეფხისტყაოსნის შესახებ. მისი აზრით, რუსთაველი აგრძელებს შავთელისა და

პოსე ხონელის ლიტერატურულ ტრადიციებს. პოემის გმირები რეალურ სახე-ებს გამოხატავენ. პოემა უკავშირდება ხალხურ საწყისებს. რუსთაველმა გა-მოსატა ქართული ფეოდალიზმის ფილოსოფიური იდეალება. ავტორი აყუ-ნებს ტარიელისა და ამირანის იგივეობის თეზას. მისი აზრით, რუსთაველმა დახატა ქალის ისეთი ამაღლებული სახე, რომლის მსგავსი ევროპულ ლიტე-რატურასაც არ მოუყია.

1414. В. Борзюков

[*Шота Руставели*]

გვ. Советская Киргизия, 1937, 26 декабря, № 297, გვ. 3.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის მდგომარეობას, განსაკუთრებით ჩერდება რუსულ-უკრაინულ თარგმანებზე. აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და მის კულტურულ მნიშვნელობას.

1415. Г. Борисов

Накануне юбилея Шота Руставели

გვ. Заря Востока, 1937, 17 августа, № 188, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, აღნიშნავს მის დიადო-ბას, ხალხურობას, მის გავლენას ქართულ კულტურაზე და ეხება საიუბილეო კომიტეტის მუშაობას შოთა რუსთაველის 750 წლის თავის ჩატარებისათვის.

1416. А. Брагин

Родина Руставели

გვ. Советская Киргизия, 1937, 26 декабря, № 297, გვ. 2. ქვედურა 5 ხეტი.

ავტორს შოთა რუსთაველის 750 წლის თავის იუბილესთან დაკავშირე-ბით უმოგზაურია ახალციხის რუსთავეში, როგორც ვეფხისტყაოსნის ავტორის სამშობლო მხარეში. ავტორი აღწერს ახალციხე-რუსთავეის მიდამოებს და ეხება რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლებს.

1417. Борис Брик

Завещание Руставели (Отрывок из поэмы)

ჟურნ. Ревел, Ленинград, 1937, № 23, გვ. 10.

ტექსტი წარმოადგენს ავტორის საკუთარ მონტაჟს ვეფხისტყაოსნის ნოტივებზე შემდეგი შენიშვნით: „Руставели появляется в современном Тбилиси и, рассказав грузинским поэтам свою жизнь, оставляет им завещание“. დართული აქვს რუსთაველისადმი მიძღვნილი მეტად მდარე ლექსი.

1418. Петрус Бровка

Белорусский поэт

Вечно молодой

გვ. Советская Белоруссия, г. Минск, 1937, 26 декабря, № 71, გვ. 2.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და აღნი-შნავს, რომ ბელორუსიის პოეტებმა უნდა ისწავლონ რუსთაველისაგან სიუჟე-ტის მომხიბლავად გაკეთება და ხალხურობა.

1419. Читатель М. А. Бунинковский

Макоевка

[*შაბეჭდილება ვეფხისტყაოსნის წაკითხვით*]

გვ. Социалистический Донбасс, г. Сталино, 1937, 26 декабря, № 293, გვ. 3.

ავტორი გამოთქვამს თავის შაბეჭდილებას ვეფხისტყაოსნის წაკითხვით, აიგი აღტაცებულია რუსთაველის გმირების ოპტიმიზმით, მისი აფორიზმებით, რომლებშიც ხალხური სიბრძნეა ასახულია.

*Первый русский перевод поэмы Руставели*გაზ. *Заря Востока*, 1937, 5 июня, № 127(4148) გვ. 3.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ენაზე თარგმნის ისტორიას. ჩერდება რუსულ თარგმანებზე. განსაკუთრებით 1845 წელს გაზეთ „Иллюстрация“-ში მოთავსებულ ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტის გ. ბარტდინსკის მიერ შესრულებულ თარგმანზე. აღნიშნავს ამ თარგმანზე ზუსაობის პირობებს და მოჰყავს მისი ნიმუში 11 სტროფის რაოდენობით.

1421. **Çoomart B9%0nbajev***Sota Rustaveli*გაზ. *Qızıl Qırğızstan, Frunze*, 1937, 23 dekabr. № 293, გვ. 3. კველურა 17 სტროფით

ავტორი შოთა რუსთაველის 750 წლის თავის იუბილესთან დაკავშირებით მიმოიხილავს საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს, რუსთაველის ბიოგრაფიას, მის ეპოქას, თამარ მეფის საკარო ცხოვრების პირობებს. მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი და უთითებს პოემის მთავარ გამოცემებს. აღნიშნავს რუსთაველის გავლენას ქართულ ლიტერატურაზე.

1422. **Д. Г.***«Велик Ткачанин» и народное творчество*გაზ. *Бакинский Рабочий*, 1937, 26 декабря. № 298, გვ. 2

ავტორი აღნიშნავს, რომ ცნობილია ვეფხისტყაოსნის 70 ხალხური ვარიანტი და რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია. მოჰყავს ლეგენდების შინაარსი.

1423. **В. Г.***Поэма Руставели на языке*ჟურნ. *Красная Новь*, 1937, декабрь, № 12, გვ. 229—230.

ავტორი აღნიშნავს მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსანი ძვირფას მასალას შეიცავს პეროიკული ფილმის შესაქმნელად, ქართულმა კინომ ვერ შესწლო კ. მიქაბერიძის დადგმაში „ქაჯეთი“ რუსთაველის შემოქმედების შესაფერი ღირსეული ნაწარმოები შეექმნა. ძირითადი ნაკლი დადგმისა მისი სცენარის პრიმიტივობაში ჩდგომარეობს. სურათში გადმოცემულია მხოლოდ ერთი ეპიზოდი და ისიც ვერაა დაძლეული. ქაჯეთის ციხის აღება არაა გააზრებული როგორც პოემის კულმინაციური პუნქტი. არ იგრძნობა პოემის სიდიადე, მისი ეპიკური ძლიერება, ღირსი და პეროიკული ეპოპეის ნაცვლად უგემოვნებოდ გაზღაპრებული ამბავი მივიღეთ. სუსტია თამაშიც.

ავტორი ამასთან დაკავშირებით ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, რუსთაველის ეპოქის ქართულ კულტურას, სახელმწიფოებრივ ცხოვრებას და გამოთქვამს მოსაზრებებს პოემის გმირთა უკეთ გასცენირების შესახებ.

1424. **ეკ. გაბაშვილი***შოთა რუსთაველის იუბილე*გაზ. *ლიტერატურული საქართველო*, 1937, 26 დეკემბერი, № 32(54), გვ. 3.

ავტორი შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადების გამო აღტაცებას გამოთქვამს და მის პოპულარობასთან დაკავშირებით იგონებს დროს. როდესაც შოთა რუსთაველის ბიუსტების გავრცელება აკრძალული ყოფილა.

1425. **პ. გაგოშვილი***სამეცნიერო სესია უნივერსიტეტში*გაზ. *ახალგაზრდა კომუნისტი*, 1937, 26 დეკემბერი, № 294, გვ. 3.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს უნივერსიტეტში 22 დეკემბერს ჩატარებული შოთა რუსთაველის 750 წლის თავისადმი მიძღვნილი სესიის ანგარიშს.

1426. კონსტ. გაგუა

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები და მათი დახასიათება

კრებ. შოთა რუსთაველი სკოლაში, 1937, გვ. 28—63.

იგივე მცირეოდენი ცელილებით დაბეჭდილია ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937, № 11—12, გვ. 73—100, საათუროთ: „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირები და მათი დახასიათება“.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გმირებს — ტარიელს, აეთანდილს, ნესტან-დარეჯანს, თინათინს, ფრიდონს, ასმათს, შერშადინს, ფარსადანს, ფატმანსა და უსენს. ავტორს საკირო შემთხვევაში მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო სტროფები და გმირების დახასიათებას იძლევა თითოეული ნათგანის ქცევა-დამოკიდებულებაში, პოემის სიუჟეტის განვითარებასთან დაკავშირებით.

1427. კ. გაგუა

„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირები და მათი დახასიათება

ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1937, № 11—12, გვ. 73—100.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის გმირები — ტარიელი, აეთანდილი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვ. ზოგადი, ინტერნაციონალური ღირებულების ტიპებია. ისინი იმას გარდა, რომ „ამგლავნებენ ქართული ცხოვრების გარკვეული ეპოქის სწრაფვით, აგრეთვე გეგმულ ვენ ზოგადადამიანურ თვისებებსაც“.

ავტორი ახასიათებს ამ გმირებს პოემის შინაარსის მიხედვით ურთიერთ მიმართებაში, მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა და ასკენის, რომ რუსთაველმა მათ დახატვაში „თავი დააღწია ცალკე პორტრეტების ხატვას და შესწლო ზოგადი ტიპების შექმნა, ისეთი ტიპებისა, რომელთა სულიცკეთება, მიდრეკილება და ზრახვები სცილდება ადგილობრივს ეროვნულ ჩარჩოებს და მშობლიური ხდება ყველა ერის წარმომადგენელთათვის“.

1428. ლევან გარსიაშვილი

ვეფხისტყაოსანი

სამხედრო ხელოვნების ისტორიის მასალები

სახელმწიფო გამომცემლობა, სამხედრო სექტორი, ტფილისი, 1937, 30 გვ.

ქვესათურები: „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოკრეფილი მასალები სამხედრო ხელოვნების ისტორიისათვის. სამხედრო ორგანიზაცია, სამხედრო გაწვრთნა-მომზადება. საბრძოლო წყობილება და ბრძოლის წარმოების წესი. ჯარის მართველობა. დისციპლინა.

ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსანში გამოყენებულ სამხედრო საკურველის ტერმინოლოგიას, სამხედრო თანამდებობათა სახელწოდებებს, დარაზმებისა და ბრძოლის წესებს, თითოეული იარაღის ფუნქციის გარკვევით. ავტორი ცდილობს ვეფხისტყაოსანში გამოხატული სამხედრო ყოფის დახასიათებით შეისწავლოს საკითხი, თუ რომელ ხანას ეკუთვნის რუსთაველის მიერ აღწერილი სამხედრო ხელოვნება და რომელ სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას ასახავს იგი. მისი დასკვნით, რუსთაველი არ იცნობს მონგოლთა სამხედრო ხელოვნებას. ვეფხისტყაოსანში აღწერილი სამხედრო ხელოვნება განსხვავდება მეზობელი აღმოსავლეთის ერების — ირანელებისა და არაბების სამხედრო ხელოვნებისაგან. მას ძალიან ბევრი აქვს საერთო შიზანტიის სამხედრო ხელოვნებასთან. იარაღის სახეობა, ვასალიტეტის სისტემა, რაინდობა, ყმობის და ქალის კულტი, ყველა ეს უტყუარი ნიშანია შუასაუკუნეთა ევროპული ტიპის ფეოდალური ხანის რაინდობისა. ვეფხისტყაოსანში აღწერილია ისეთი ხერხები; რომელნიც იმდროინდელ სამხედრო ხელოვნებას მაღალ საფეხურზე აყენებენ.

[საერთო სათურის ქვეშ]:

Грузинские поэты и ученые о новых переводах поэмы Руставели

ფორმ. Книжные новости, Москва, 1937, 15 апреля. № 7, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანთა შორის, გ. ცაგარლის თარგმანი პირველია, რომელიც შესრულებულია უშუალოდ ქართული დედნიდან. არის კიდევ ერთი ასეთი თარგმანი დაწყებული ს. ყანჩელის მიერ, მაგრამ ის დამთავრებული არაა. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება თარგმნის მეთოდს და ახასიათებს რუსთაველის ლექსის თავისებურებებს. მისი აზრით, ცაგარლის თარგმანი მაქსიმალურად ახლოა ორიგინალთან. მისი თარგმანის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ პეტრენკოს მიერ შესრულებულ თარგმანში ზოგჯერ შინაარსი ეწირება რითმის საკურობებს.

1430. გ. გაფრინდაშვილი

რუსთაველი და თანამედროვეობა

გახ. კომუნისტი, 1937, 28 დეკემბერი, № 297, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს ანგარიშს მოხსენებისას, რომელიც ავტორმა რუსთაველის 750 წლის თავის იუბილესადმი მიძღვნილ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმზე წაიკითხა. ავტორი ეხება რუსთაველის შემოქმედების მთავარ საკითხებს, ახასიათებს პოემას და აღნიშნავს, რომ მას „საქართველოს დიდ გულს“ ეძახიან. ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ქართული კულტურისათვის მრავალმხრივია და მისი გავლენა ქართულ მწერლობაზე განუზომელი. დასასრულს ავტორი ახასიათებს ქართული მწერლობის დამოკიდებულებას რუსთაველთან ძველად და ახლა და აღნიშნავს მისი იდეალების პროგრესულობასა და მნიშვნელობას ჩვენი თანადროულობისათვის.

იკვე, იმავე წელს მცირე ცვლილებებით დაიბეჭდა:

გახ. „ლიტერატურული საქართველო“, 30 დეკემბერი, № 33(55), გვ. 4.

გახ. «Восток», 27 декабря, № 297, გვ. 3.

გახ. «Вечерний Тбилиси», 28 декабря, № 299, გვ. 2.

1431. ვ. გაფრინდაშვილი

რუსთაველის პოემა ხაჭოთა ხალხის დიდი გულია

გახ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სახალხო მნიშვნელობას, მის სიდიადეს და მოკლედ ახასიათებს პოემის მთავარ მოტივებსა და იდეალებს.

1432. აკ. გაწერელია

კლერიკალური წრეები და რუსთაველი

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 24 აგვისტო, № 19(41),

გვ. 3—4, ქვედურა, 11 სურტი.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის გარემო საქართველოში წარმოებულ დიდ ბრძოლას და უკრადლებას აქცეის გარემოებას, რომ რუსთაველზე ძველი ქართული წყაროები სდუმან, რისი მიზეზიც მისი ბიოგრაფიის თავისებურება ან მისი თხზულების ხასიათია.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის შიდარება თამარის პირველ მატთანთან ცხადყოფს, რომ რუსთაველის პოემის სახით ჩვენ გვაქვს ისტორიული წიფრების შემკველი ნაწარმოები. თამარის გამეფება ანალოგიურ როსტევეანის ასულის გამეფებისა, თინათინის ტახტზე ასვლისა და თამარის გამეფების აღწერის მსგავსება ასევე უდავოა.

ძირითადი მიზეზი რუსთაველის ღვენიას მისი მსოფლმხედველობაა, რომელიც დაშორებული იყო ორთოდოქსალური ეკლესიისაგან. ქალის კულტის აღიარება და ჰუმანური იდეები რუსთაველისა, ეკლესიის დოგმატებთან შეუთავსებელი იყო, რამაც გამოიწვია ეკლესიური რეპრესია. კლერიკალურად მონაზროვნენი პოემის აკრიტიკებდნენ შიგნიდან და მისი პოემა მიაჩნდათ საეროდ, რომელიც არ ასხენებს სამებას ერთარსულად. რუსთაველის ღვენიში მაინც ეს არ იყო უმთავრესი. ვეფხისტყაოსნის ღვენი რუსთაველის ღვენის მხოლოდ ნაწილი იყო.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს აღორძინების ხანაში კლერიკალური მსოფლმხედველობის ბატონობას და მწერალთა დანოკიდებულებას რუსთაველთან, ვახტანგის ცდას პოემის საერო ხასიათის საეკლესიო დოქტრინასთან შერიგებისას; მამუკა ბარათაშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის ტენდენციურ გაგებასა და დაცვას, ტიმოთე გაბაშვილის მტრულ შეხედულებას რუსთაველზე. ანტონ კათალიკოსის ბრძოლას ქართულ კლასიკურ პოეზიასთან. მოჰყავს პლატონ ოსელიანის ცნობა თითქოს ანტონმა ვახტანგ მეექვსის გამოცემული ვეფხისტყაოსნის 80 ცალი დააწვევინა და მტკვარში ჩააყრევინა.

ამ წერილის ანერბაიჯანული თარგმანი დაიბეჭდა მცირეოდენი ცვლილებით: გახ. „Qomunist“, Bakı, 24 dekabr, № 297, გვ. 3, საათური: „İttisatçı və ruhani dəjirələri“.

1433. აკაო გაწერელია

თეიმურაზ პირველი

ნარკვევი ქართული ეპიკის ისტორიიდან

ერნ. ჩვენის თაობა, 1937, № 8, გვ. 41—49.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის მეტრი („შაირი“) ბატონობდა ქართულ პოეზიაში მისი განვითარების მთელ მანძილზე და მასთანვე დიდი იყო ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ვარიაციების თხზვა, რის საილუსტრაციოდ მოჰყავს თეიმურაზის თხზულებებიდან პარალელები. ავტორი ამასთან ერთად რუსთაველის პოპულარობის საჩვენებლად უმთავრესად იხილავს არჩილის თხზულებას „გაბაასება მეფის თეიმურაზისა და რუსთაველისა“.

1434. აკ. გაწერელია

„ვეფხის ტყაოსანი“

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 26 დეკემბერი, № 32(54) გვ. 2.

შეიყავს ორ ქვესათურებს: 1. „ვეფხის-ტყაოსანი“ ხუნძახში. 2. ტოვთელ გოტიე და ზინი.

პირველში ავტორი ეხება გრ. ორბელიანის შამილის წინააღმდეგ გალაშქრებისას ხუნძახში ცხოვრების დროს ვეფხისტყაოსნის შოვნისა და კითხვის პირობებს, მეორეში ზინის მიერ ვეფხისტყაოსნის დასურათებაზე მუშაობას.

1435. აკ. გაწერელია

რუსთაველის პოეტიკის საკითხები

ერნ. ჩვენის თაობა, 1937, № 11—12, გვ. 69—77.

შეიყავს ქვესათურებს: 1. „დრო ვეფხის-ტყაოსანში“. 2. „ორი პლანი ვეფხის-ტყაოსანში“.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციის საკითხებს, და აღნიშნავს, რომ მისი საუცრებო ვითარდება ორი პლანიით. „რუსთაველის თხზულებაში მოცემულია სიუჟეტი დამუშავებული ლექსის კონსტრუქციის მამოძრავებელი ძალის — რიტმის თანახმად და ძლიერ განსხვავდება ჩვეულებრივი, პროზაული სიუჟეტისაგან თავისი აგებულების წესით. ის შეკუმშულია და ჩასმული პოემის ინტონაციის ჩარჩოებში“ (გვ. 70). ამასთან ერთად ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის მოქმედების დროის მსვლელობას.

იგივე ვრცლად შენიშვნების დართით: ერნ. „მნათობი“, 1937, № 12, გვ. 131—152.

1436. **ბ. გერგიშვილი**

რუსთაველის საიუბილეო გამოფენა

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1937, 22 დეკემბერი, № 291, გვ. 4.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ გამოფენას და უმთავრესად ჩერდება მისი ლიტერატურული ნაწილის აღწერაზე.

1437. **G. Gvasava**

Rustaveli and His Poem

რეგ. GEORGICA, A Journal of Georgian and Caucasian studies
London, 1937. Nos. 4-5, გვ. 3-9.

წერილი წარმოადგენს ნარკვევს რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე. შესავლისა და პოემის შინაარსის გარდა შეიცავს ქვესათაურებს:

1. The National Character of the Poem 2. The Universal Meaning of the Poem.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის დიდ მნიშვნელობას ქართველთა ცხოვრებაში და მისი პოემის გავლენას ქართულ პოეზიაზე. მისი შენიშვნით, თამარის ამ ცნობილი საკარო პოეტის შესახებ მცირე ცოდნას ავსებს პოეტის ირავლივ არსებულნი ლეგენდების ცნობები და თვით პოეტის ავტობიოგრაფიული ხასიათის შენიშვნები. ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის შინაარსის პროზაულ თხრობას, ანალიზს უკეთებს პოემას, ახასიათებს მის პერსონაჟებს—აეთანდილს, ნესტანს და ტარიელს, რომელიც პოემის მთავარ გმირად მიაჩნია. ავტორი ტარიელს ადარებს ჰამლეტს, რომელიც მისი შეხედულებით მხოლოდ აზროვნებს და არ მოქმედებს, ტარიელი კი მთლიანად მოქმედებაშია. პოემის მთავარი აზრია კონფლიქტი აზრსა და მოქმედებას შორის. ავტორი ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია. ის ასახავს საქართველოს მდგომარეობას და ქართულ ცივილიზაციას, რომლის გავლენა პოეტის ცხოვრების დროს მთელი კავკასიის ხალხებს სწვებოდა.

1438. **გლაგოლევა**

რეს. სახალხო არტისტი. მცირე ჟაჟრას მახაიბი

[საბჭოთა კავშირის მოწინავე აღმზანების აზრი შოთა რუსთაველის შესახებ]

გახ. კომუნისტი, 1937, 23 დეკემბერი, № 293, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს თავის მუშაობას ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის მხატვრულ კითხვაზე. პოემის ზოგად დახასიათებაში ხაზს უსვამს მის ხალხურობას, ფილოსოფიური აზრების სიღრმეს და პოეტური ფანტაზიის სიღამაზეს.

1439. **ფ. გლადკოვი**

შოთას უკვლევა მის ხალხურობაში

გახ. კომუნისტი, 1937, 24 დეკემბერი, № 294, გვ. 2.

ავტორის აზრით, შოთა რუსთაველის პოემის ვეფხისტყაოსნის გამძლეობის საფუძველი მისი ხალხურობაა. რუსთაველმა მიაგნო ხალხური სიბრძნის წყაროს, მან მხატვრულად ასახა ის, რაც აღუღებდა და ამოძრავებდა ხალხს და გენიალურ სიმალღემდე აიყვანა ხალხური სიბრძინე.

ავტორი იმოწმებს ბელინსკის შეხედულებას ყოველი დიდი მწერლის ხალხურობის შესახებ და შენიშნავს, რომ რუსთაველმა შესძლო ხალხის თვალთ დაენახა მოვლენები, ის ეკუთვნის მთელ კულტურულ კაცობრიობას.

1440. **Федор Гладков**

საერთო სათარად აქვს: *Советские писатели о Руставели*

გახ. Советская Белоруссия, г. Минск, 1937, 26 декабря, № 71, გვ. 2.

ავტორი ახასიათებს რუსთაველს და აღნიშნავს მის პოპულარობას.

1441. პეტრ გლებო

Белорусский поэт

Идеи мировой литературы

გაზ. Советская Белоруссия, г. Минск, 1937, 26 декабря, № 71, გვ. 2.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველია შემოქმედებას და აღნიშნავს მის რეალიზმა, მის მოწინავე იდეებს, პოემის ფაბულის მომხიბლაობას და ახასიათებს მის პოეტურ ოსტატობას.

დასასრულა, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ბელორუსულ ენაზე თარგმნის სიმწიფეებს და სამზადისს, რომელსაც ბელორუსი პოეტები ატარებენ.

1442. А. Г-и*Новое о Шота Руставели*

გაზ. Белинский Рабочий, 1937, 12 июля, № 161, გვ. 3.

ცნობა ეხება ასპინძის რაიონში არაქებულ რუსთაველის ეპოქის მატერიალურ ძეგლებს — ვარძიას, ვანის ქვაბებს, თმოგვს და ეკლესიებს. ავტორი შენიშნავს, რომ ვანის ქვაბების კედლებზე ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფები ყოფილა შიწერილი. თმოგვიც ციხე ის ციხეა, რომელიც რუსთაველს ქაჯეთის ციხის აღწერისას ჰქონდა მხედველობაში.

ცნობის ავტორი ეუბება ნ. გ. ნათენაძის მოხსენებაში აღძრულ საკითხს რუსთაველის საღაურობის შესახებ მეტაბური დიალექტური მონაცემების მიხედვით. ნათენაძეს მოუყვანია ვეფხისტყაოსნის ასამდე სიტყვა, რომელიც მეტაბოტში ცოცხლად დატყული და შააკე მიუთითებია მესხური სინტაქსური იგივეობანი ვეფხისტყაოსანთან და გაუმეორებია მარის მიერ ოდესღაც გამოთქმული ახრი იმის შესახებ, რომ? რუსთაველი და ჩაბრუსაძე ერთი და იგივე პიროვნებაა. ამასთან ერთად ნათენაძეს შეუნიშნავს, რომ პოემაში გამოხატული არიან ისტორიული პიროვნებანი.

1443. Юра Гнат

Находки в искусстве республики орденского

Свято народів

გაზ. Комуніст, Київ, 1936, 26 грудня, № 297, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების სიმკირეს, ვეფხისტყაოსნის პოპულარობა, შია დიდ მნიშვნელობას საბჭოთა კულტურისათვის და ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას. აღნიშნავს რუსთაველის იდეალების პროგრესულობას და მის კავშირს თანადროულობასთან.

1444. [ფილიპე ვოგინაიშვილი]*ტარიელ (ნაწევრები)*

წიგნში: პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწილი, პირველი, ლექსები, ანდაზები, გამოკანები, რედაქცია, ბიოგრაფია, წინასიტყვაობა და შენიშვნები ფ. გოკიჩაიშვილისა, ფედერაცია, ტფილისი, 1937, გვ. 17—22.

ტექსტი შეიცავს 4 ჩანაწერს ვეფხისტყაოსნის მოტივებზე. დასაწყისი:

„ერთი რაზე მოყმე ვნახე ნამტარალი ზღვისა პირსა,

ვეუბენ და არ მეუხნა, ხელი შაიფარა პირსა.

დაკარგოდა საყვარელი, დამჯდარა და მასა ტირსა,

დევრთვილა დიდი ველი იმის ცრემლის დანატირსა“.

დასასრული სტრიქონი:

„მზე იყო, მზეი მზეობდა, თინათინ თინათინობდა“.

შენიშვნებში მოიპოვება ჩაწერის ადგილისა და ჩამწერის აღნიშვნები.

[შოთა რუსთაველის პლენუმზე]

გაზ. კომუნისტი, 1937, 26 დეკემბერი, № 295(5096), გვ. 2.

მცირე წერილი წარმოდგენს სიტყვის შემოკლებას, რომელიც წარმო-
თქმულია ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავის იუბილესადმი მიძღ-
ვნილ სარკ საბჭოთა მწერლების კავშირის მეხუთე პლენუმის სხდომაზე 24 დე-
კემბერს თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრში.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის შემოკმედების პროგრესულობას, მისი
მოწინავე იდეების მნიშვნელობას და შენიშნავს, რომ „როგორც ჰომეროსი
არის ელადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, ისე შოთა რუსთაველი
არის საქართველო“.

იგივე დაბეჭდილია: გაზ. „Заря Востока“, 26 декабря, № 296, გვ. 2.

1446. Виктор Гольцев

Накануне юбилея Шота Руставели. Руставели невеликого

გაზ. Литературная газета, 1937, 15 ноября, № 62 (693), გვ. 3:

15 декабря, № 68 (704), გვ. 6.

წერილი შეიცავს მიმოხილვას იმ სამზადისის შესახებ, რომელიც შოთა
რუსთაველის 750 წლის იუბილეს აღსანიშნავად მიმდინარეობს საბჭოთა კავში-
რის რესპუბლიკების კულტურისა და მეცნიერების დაწესებულებებში, განათლე-
ვის სამინისტროებსა, მწერალთა კავშირის ორგანიზაციებსა და სხვაგან (№ 62).

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოკმედებას, აღნიშნავს
მასში განსაკუთრებით მეგობრობისა და გმირობის მოტივების გამოხატულე-
ბას და საილუსტრაციოდ მოჰყავს ციტატები ვეფხისტყაოსნის რუსული თარ-
გმანით (№ 66).

1447. Виктор Гольцев

Шота Руставели как выразитель своей эпохи:

გურმ. Красная новь, 1937, декабрь, № 12, გვ. 193—205.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის გარშემო შექმნილი ლიტერატურის
არამეცნიერულ ხასიათს და მთავარი საკითხების შესახებ მხოლოდ ჰიპოთე-
ზური შეზღუდვებების არსებობას. -

ვეფხისტყაოსნის საბჭოთა მკითხველისათვის აქვს შეშეცნებითი მნიშვნე-
ლობა. ის არის ღრმად რეალისტური თხზულება. მასში გამოხატულია ქართუ-
ლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება XI — XIII საუკუნეების საქარ-
თველოსი. რუსთაველი ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესული
ნაწილის წარმომადგენელია და ეხება ქართულ სახელმწიფოებრივ-საზოგადო-
ებრივ ცხოვრებას. ავტორს გაჰყავს პარალელები ვეფხისტყაოსნის ეპიზოდე-
ბსა და ქართულ ისტორიულ ცხოვრებას შორის. ახასიათებს მთავარ გმირებს
და შენიშნავს, რომ პოემაში ასახული პატრონეპული ურთიერთობა გმირებს
შორის, ქართული სანამდვილის ანარეკლია. პოლიტიკური იდეალი პოემისა
საქართველოს რეალურ ცხოვრებას გამოსახავს. ის არის ერთი მთლიანი სა-
ქართველო შექმნის იდეალი. იგი ქადაგება ცენტრალური ხელისუფლებისა
და ძლიერის სახელმწიფოსი, საითყენაც მისიწრაფოდა საქართველო. პოემაში
არსებული გმირებისა და სახელმწიფოების ურთიერთობა საქართველოს
ზღვომარობას გამოხატავს. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ზოგი
რამ არ არის გასაგები და გამართლებული. ხვარაზმელი სასიძოს მოკვლა მია-
ჩნია თვითონ რუსთაველის იდეალებთან შეუთავსებლად.

Героизм, любовь и дружба в понимании Руставели
 ურბ. Литературный Критик, Москва, № 12, გვ. 71-89.

ავტორს მოჰყავს დ. გურამიშვილის ლექსი რუსთაველზე, აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის დიდ პოპულარობას საქართველოში და რუსთაველის ბო-გრაფიული ცნობების უქონლობას. ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობას. მოჰყავს ვახტანგის აზრი და იხილავს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ კონსტრუქციას და პოემის მთავარი მოტივების — მეგობრობის, სიყვარულისა და გმირობის გამოხატულებას.

1449. **ვ. აქტერ გოლცივ**

შოთა რუსთაველი უნ ზაინ პოემე

გაზ. დერ ემეს, მოსკოვი, 1937, 26 დეკემბერი, № 291, გვ. 3, ქვედურა, 7 სვეტი.

წერილი დაბეჭდილია ებრაული შრიფტით და შეიცავს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შენეკმედების ზოგად მიმოხილვას, რაშიაც ავტორს გამოუყენებია თავისივე წერილები ამევე საკითხებზე.

1450. **ბ. გორდუზიანი**

„ვეფხისტყაოსნის“ დასურათებანი

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 26 დეკემბერი, № 32 (54), გვ. 4, ქვედურა, 7 სვეტი.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ილუსტრაციების უმრავლესობა „ირანული სტილით და ოვალით არის შესრულებული და დანახული“. მისგან მცირე გამონაკლისს წარმოადგენს მამუკა თაეაქარაშვილის მხატვრობა, რომელიც უფრო თურქული მხატვრობის ზეგავლენით შესრულებულს ჰგავს. ავტორი ახასიათებს ილუსტრაციებს თემატიკის შერჩევის, სტილის, კომპოზიციის, შესრულების ტექნიკის მიხედვით და არჩევს ზინისა (ვეფხისტყაოსნის 1898 წ. გამოცემა) და ლ. გუდიაშვილის (1934 წ.) ილუსტრაციებს. ავტორს ცალკე სურათების დახასიათებისას მოჰყავს საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნის სტროფები და აკეთებს მთელ რიგ შენიშვნებს ვეფხისტყაოსნის გაგების მიმართ ამ მხატვართა შემოქმედებაში.

1451. **Сандро Горели**

Руставелиевские дни в солнечной Грузии

გაზ. Советское Искусство, Москва, 1937, 29 декабрь, № 60, გვ. 1.

ავტორი მოკლედ მიმოხილავს რუსთაველის საიუბილეო დღეების მიმდინარეობას თბილისში და მასთან დაკავშირებით განხორციელებულ ღონისძიებებს სხვადასხვა დარგის ხაზით (გამოფენები, განოცემები და სხვ.).

1452. **Павел Григорьев**

Живые даты

გაზ. Правда, 1937, 26 декабря, № 354(7320) გვ. 4.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის და „ამბავს იგორის ლაშქრობაზე“ როგორც ერთი ეპოქის თხზულებებს. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ, მიუხედავად ფანტასტიური ელემენტებისა, ვეფხისტყაოსანში საგრანობია უპირველესად ადამიანური სინამდვილე, ისე როგორც იგორის ლაშქრობაში. ავტორი აღნიშნავს ორივე თხზულებას შორის საერთო ხასიათის სახეებს, თქმებს, აფორიზმებს და მოჰყავს სანიმუშოდ ცალკეული ადგილები.

Дружба братних літератур

გაზ. Вісті, 1937, 23 грудень, № 293, გვ. 3.

წარწერა მთელ გვერდზე: «750—річний ювілей Шота Руставелі»

წერილი იწყება იმის აღნიშვნით, რომ იმერეთის ველებზე აშულები რუსთაველზე მღერიან, მითითებულია რუსთაველის პოპულარობა და მისი შემოქმედების საერთო-საქავშირო კულტურული მნიშვნელობა.

მოკლედ მიმოხილულია რუსთაველის პოემის უკრაინულად თარგმნის ისტორია და ამასთან დაკავშირებით უკრაინულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა.

1454. Ладо Гудиашвили

Как я представляю себе Руставели и его творчество

გაზ. Литературная газета, 1937, 26 декабря, № 70, გვ. 2.

ავტორი რუსთაველის შემოქმედების მონუმენტალობას ადარებს ქართული ხელოვნების ძეგლების მონუმენტალობას, აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სიდიადეს, მის ხალხურობას, მოკლედ ახასიათებს პოემას და დასასრულს მსჯელობს რუსთაველის გმირთა მხატვრობაში გადმოცემის საკითხებზე.

1455. დიმიტრი გულია

როგორ ვთარგმნი „ვეფხისტყაოსანს“

გაზ. საბჭოთა აფხაზეთი, სოხუმი, 1937, 27 დეკემბერი, № 94, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ მან უკვე ბევრჯერაში გაიგო, რომ აფხაზეთში ტარიელი მამაკაცის საუკეთესო თვისებათა გამომხატველ ზედსართავ სახელს წარმოადგენს.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის თარგმნის სიძნელეს, პოემის მხატვრული მეტყველების თავისებურებებს და ეხება მეთოდოლოგიურ საკითხებს.

1456. П. Д.

Илья Чавчавадзе о Шота Руставели

გაზ. Заря Востока, 1937, 12 апреля, № 84, გვ. 3.

ავტორი ეხება აკაკი წერეთლის მიერ 1887 წელს ვეფხისტყაოსნის შესახებ წაკითხული ლექციების გაშო ილია ქაქავაძის განოსვლას, რომელშიაც რუსთაველის შესახებ გამოთქმულია მისი ძირითადი მოსაზრებანი. ავტორი მოკლედ გადმოსცემს აკაკისა და ილიას შორის წარმოებულ პოლემიკას მთავარი საკითხების მიხედვით ვეფხისტყაოსნის ორიგინალობისა და ლიტერატურული ღირებულების შეფასებაში.

1457. გ. დავითაშვილი

[შოთა რუსთაველის იუბილე]

გაზ. კომუნისტი, 1937, 26 დეკემბერი, № 295, გვ. 2.

მცირე სიტყვა წარმოადგენს მილოცვას დელეგატებისადმი, რომელნიც დაესწრნენ ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საბჭ. აბჭოთა მწერლების მეხუთე პლენუმის სხდომას თბილისში 24 დეკემბერს რუსთაველის სახელობის თეატრში.

ავტორი აღნიშნავს მთავრობისა და პარტიის ხელმძღვანელობით ქართველი ხალხის კულტურის იმ აყვავებას, რომლის პირობებში შესაძლებელი გახდა შოთა რუსთაველის იუბილეს გადახდა.

იგივე დაბეჭდილია: გაზ. „Заря Востока“, 26 декабря, № 296, გვ. 2.

ერბ. Новый Мир, Москва, 1917, книга двенадцатая, декабрь, гл. 245—253.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა ლიტერატურულის გარდა-
შეიცავს დიდ ღირებულებას როგორც ისტორიული დოკუმენტი. ის არის
XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა
სურათი. საერთო საკაცობრიო ხასიათი რუსთაველის სახეებისა მის პოემას
აქცევს არა მხოლოდ ქართულ, არაჩედ საერთოდ ფეოდალიზმის ძეგლად. მის
საფუძვლად გამოყენებულია ქართული ისტორიის დრამატიული მოწმენტი.
აეთანდლილი ავტორიოგრაფიული გმირია. რუსთაველი მონაწილეობას იღებდა
თავისი დროის პოლიტიკურ ცხოვრებაში და მას დიდი გამარჯვება ხელა
თამარის კარზე.

პოემაში დასშულია საკითხი — სახელმწიფო ძალაუფლება ერთიანი უნდა
იყოს თუ დაქუცმაცებული. რუსთაველი მიემხრო პირველს. ავტორი ცდი-
ლობს დაასაბუთოს, რომ პოემის საფუძველია ღებნას აჯანყების და დაღუპ-
ვის ეპიზოდი. ავტორი ამასთან ერთად ეხება რუსთაველის ადგილს ქართულ
საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქართული ისტორიის საკითხებთან დაკავშირე-
ბით. დასასრულ ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების პროგრესუ-
ლობას, ჩვენ თანამედროვეობასთან კავშირს და მოჰყავს ხალხური ლექსის
თარგმანი რუსულად შოთა რუსთაველზე.

О сюжете поэмы Руставели «Вепхис ткаосани»

ერბ. Год двадцатый, Алмазная двенадцатый, Государственное
издательство «Художественная литература», Москва, 1937, гл. 427—455.

- ქვესათურებო: 1. Споры вокруг поэмы. 2. Политическая борьба в Грузии XII века.
3. Национальный характер сюжета «Вепхис ткаосани». 4. Влияние «Вепхис ткаосани»
на современников.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს, ეხება მისი
დაწერის პირობებს და აღნიშნავს, რომ მასში გამოხატულია რუსთაველის
თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივ-სოციალური ცხოვრება და
ბრძოლები, რომლებშიაც თვითონ პოეტი იღებდა მონაწილეობას. ავტორი
მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხის შესწავლის
ისტორიას (ვახტანგ VI, ბროსე, ჩუბინაშვილი, ქვარიანი, სარაჯიშვილი, კა-
რიკაშვილი, ჯანაშვილი, მარი, იუსტ. აბულაძე) უმთავრესად პოემაში საქარ-
თველოს ისტორიული ცხოვრების ანარეკლის დანახვის თვალსაზრისით.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ეპოქის: საქართველოს პოლიტიკურ-
კულტურულ ცხოვრების მაღალ საფეხურს, ეხება სამეფო ოჯახის ისტორიას
პოემის ცალკეულ ეპიზოდებსა და გმირებთან ნიშანტებაში (გიორგი რუსის
გაძეგება). ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი იმდენად თვითმყოფელი.
ქართულ-ნაციონალურია, რომ ის შესაძლო იყო მხოლოდ საქართველოში
წარმოშობილიყო. ვეფხისტყაოსანი უდიდესი ეპოპეა, რომლის მოქმედ პი-
რებს ქართული სამეფო გვარეულობის წვევნი წარმოადგენენ.

დასასრულს ავტორი მოკლედ ახსიათებს პოემას, მის ცალკეულ ეპი-
ზოდებს, გმირებს და ატარებს ანალოგიას საქართველოს ისტორიული ცხო-
ვრების ცალკეულ მოვლენებთან.

Шота Руставели

სერიაში: Жизнь замечательных людей, журнально-газетное объединение,
Москва, 1937, 240 გვ.

შინაარსი: Грузинский феодализм эпохи Руставели. Классовая борьба в Грузии эпохи Руставели. Прогнозирование Руставели. „Венхис თკაოსანი“ — национальное эпическое произведение. Рассказ Тарнели о себе. В поисках Пестан-Лареджан. Руставели, его враги и друзья. В центре политической борьбы. Руставели—Фирдоуси—Данте. Примечания. Главнейшие источники“.

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიულ ცდას რუსთაველის ბიოგრაფიის დასადგენად. ავტორი უმთავრესად ემყარება საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფაქტებსა და ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ცალკეულ ეპიზოდებს შორის ანალოგიების აღნიშვნას, ავითარებს წინა ნაშრომებშია დებულებებს.

1461. А. Дандурау

„Венхис თკაოსანი“ национальный эпический твор

ჟურნ. Полярная Революция, Ленин, 1937, გვ. 87—99.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა, რომ წერილი ამოღებულია ავტორის წიგნიდან „შოთა რუსთაველი“. წერილი წარმოადგენს მოკლე გარდათქმას ავტორის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული მონოგრაფიისას რუსულ ენაზე (იხ. ანოტაცია № 1460). ტექსტში მოყვანილია რუსთაველის ერთი სტროფი ბალმონტის რუსული თარგმანით (ქვესა что знает меч неестествен). ავტორს მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი და ძირითადად ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს, რომელთაც არჩევს ვეფხისტყაოსნის შინაარსთან დაკავშირებით. ამასთან ერთად ავტორი ეხება რუსთაველის შემოქმედების ძირითად საკითხებს, მისი ორიგინალობის პრობლემა და ანალიზს უკეთებს მის მხატვრულ კონსტრუქციას რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით.

1462. Б. З. Дюблен

Технический завод и конструктору

Чудодейный твор

გვ. Социалистична Харківщина, Харків, 1937, 26. XIII, № 295, გვ. 3.

ავტორი გამოთქვამს თავის აღტაცებას ვეფხისტყაოსნის წაკითხვით და ყურადღებას აქცევს პოემაში ადამიანის ამამაღლებელი იდეალების გამოხატულებას — მეგობრობას, სიყვარულს და ოპტიმიზმის გრძობას.

1463. Д. Дмитриев

Руставелиевские дни в Грузии. Выставка в Тбилиси

გვ. Бажинский Рабочий, 1937, 24 декабря, № 298, გვ. 3; 26 декабря, № 299, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ეხება თბილისში რუსთაველის დეკადის მიმდინარეობას, მის საერთო-სახალხო ხასიათს და აღნიშნავს პოემის პოპულარობას ქართულ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაც იმის საფუძველად მიიჩნია, რომ ძველთაგანვე პოემა მოეპოება ხალხური ვარიანტები, და რუსთაველის ბიოგრაფიის უკავშირდება ბევრი გადმოცემა, თქმულება და ლექსი.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართველი მეცნიერი მუშაკებისა და მწერლების რუსთაველის იუბილესათვის სამხადის და ჩერდება რესპუბლიკის წესდებით მისი ჩატარების გეგმაზე (№ 298).

ცნობა ეხება რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენას. ავტორი მოკლედ ახასიათებს გამოფენის ცალკეულ განყოფილებებს. გამოფენის ექსპონატების დახასიათებისას ეხება პოემის ხელნაწერთა და გამოცემათა ისტორიას. არჩევს პოემის თარგმანებს და მოკლედ ჩერდება რუსთაველის ეპოქის ხელოვნებაზე.

О Шота Руставели

ჟურნ. Народное творчество, 1937, № 11, გვ. 17—20.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მის მნიშვნელობას ქართულ ყოფა-ცხოვრებაში, მისი პოეტური კულტურის გავლენას ქართულზე და იმოწმებს ფაქტს, რომ არსებობს პოემის სამოცდაათამდე ხალხური ვარიანტი. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის ზთაეარ გმირებსა და იღვალეებს—სიყვარულს, მეგობრობას და აღნიშნავს, რომ პოემის საფუძველი ხალხური შემოქმედებაა. ავტორი გადმოსცემს რუსთაველის ბიოგრაფიის ხალხური ლეგენდების მიხედვით და მოკლედ ახასიათებს მისი ეპოქის საქართველოს ცხოვრებას.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედებას ახასიათებს ჯანსაღი რეალური მსოფლმხედველობა. საილუსტრაციოდ პოემიდან მოჰყავს ცალკეული აფორიზმები.

1465. შალვა დოლაქიძე

ვეფხისტყაოსნის პოეტიკიდან

კრებ. შოთა რუსთაველი სკოლაში, ტფილისი, 1937, გვ. 122—152.

ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის ეპიკურ თეატრალურ თვალსაზრისით. ანალიზს უკეთებს რუსთაველის მეტაფორებს და ჰიპერბოლებს, რომელიც პოემის ძირითად მხატვრულ ხერხებად მიაჩნია. მისი აზრით, რუსთაველის ჰიპერბოლ-კონტრასტს გარკვეული ფუნქცია აქვს ტიპებისა და მოქმედების განვითარებაში. განმეორებანი შეპირობებულია ნაწარმოების კონსტრუქციასთან. პოემის კომპოზიცია დინამიკურია.

მისი აზრით, რუსთაველი განსაკუთრებით მუდმივ მეტაფორას მიმართავს. ახასიათებს რა რუსთაველის მეტაფორათა კლასიფიკაციას, განიხილვინებს, ეპითეტის მრავალსახეობას, შედარებათა, სისტემას, აღნიშნავს რომ ვეფხისტყაოსნის მხატვრული ხერხები პოეტის იდეოლოგიასთან მთლიანობაში არიან გამოყენებული.

ანალიზს უკეთებს რუსთაველის ლექსს შაირის სახეობათა მიხედვით და მის საფუძვლად რიტმული სახეობანი მიაჩნია. არკვევს რუსთაველის რიტმის ბუნებას. მისი აზრით, რუსთაველი რიტმსაც გარკვეული მიზნით მიმართავს. რუსთაველის რითმათა სახეობანი შინაარსის კონტრასტზეა დამოკიდებული. შათი ბუნების მსგავსებას ხალხური ლექსის ფორმებთან, ავტორი ხსნის ერთნაირი წყაროთი, რომელიც საერთო იყო როგორც ხალხური, ისე რუსთაველის პოეზიისათვის.

1466. შალვა დოლაქიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა

ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1937, № 11—12, გვ. 101—115.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ქართული ინდივიდუალური პეროდიული ეპოსის უარულყოფილეს მოვლენას წარმოადგენს და ეხება რუსთაველის პოეტიკის თეორიას, იხილავს რუსთაველის მხატვრული მეტყველების საშუალებათა სახეობებს, პოემის სიუჟეტს, კომპოზიციას და სპეციალურად ჩერდება რუსთაველის ეპითეტის, მეტაფორის, შედარების, ლექსთწყობის და რითმის საკითხებზე. მისი დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ცენტრალურ სიუჟეტს ტარიელის ამბავი წარმოადგენს (გვ. 106). ეპითეტის ზოგადი განმარტების შემდეგ ავტორი იხილავს რუსთაველის ეპითეტის სხვადასხვა ფორ-

შებს. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის ეპითეტები თემატურად ორად გაიყო-
ა: კონკრეტულად და აბსტრაქტულად. ვეფხისტყაოსანში კონკრეტული ეპი-
თეტები სპარბოზენ აბსტრაქტულს.

ავტორის შენიშვნით, მთელი პოემა ერთ დიდ მეტაფორას წარმოადგენს
(გვ. 107). მასში მეტაფორები ყველა ნიუანსით არის წარმოდგენილი, განსა-
კუთრებით ხშირია მულმივი მეტაფორა. ავტორი არჩევს მარტივ და რთულ
მეტაფორას, შედარების სახეებს, მოკლედ ეხება რუსთაველის ლექსიწყობას
და რითმის ზორთოლოგიის საკითხებს ვეფხისტყაოსნის რითმის საფუძველზე.

1467. Н. Д. Дондуа

Н. Я. Марр и Грузинское

კრებ. Язык и мышление, АН СССР, 1937, М.-Л., VIII, გვ. 49—70.

62—64 გვერდებზე ჩერდება მარის რუსთველოლოგიურ მუშაობაზე. ზო-
გადად მიმოიხილავს მისი შეხედულების განვითარებას რუსთაველზე მთავარი
შრომების მიხედვით, ვეფხისტყაოსნის სპარაული ლიტერატურული სინამდვი-
ლიდან გამოყვანის დებულებიდან მისი ქართული ძირების აღიარებამდე.

იქვე, გვ. 535—241: *«Н. Я. Марр и проблема иранскою слоя в грузинском»*

ავტორი ეხება მარის შეხედულებათა განვითარებას რუსთაველზე და აღ-
ნიშნავს, თუ როგორ უარყო მან ულტრაირანული თეოსაზრისი, რომელმაც
აიძულა იგი 1890 წ. წამოეყენებინა ვეფხისტყაოსნის სპარსულიდან თარგმნი-
ლობის დებულება (გვ. 237). დასასრულს იხილავს ნესტან-დარეჯანისა და ტა-
რიელის სახელთა ეტიმოლოგიებს მარის ინტერპრეტაციაში (გვ. 239).

1468. Проф. Н. Д. Дондуа

Чуждоициная безграмотность

გახ. Известия, 1937, 23 декабря, № 296, გვ. 4 ქვედურა.

წერილი წარმოადგენს ვრცელ რეცენზიას დ. დანდუროვის წიგნზე: «Шота Руставели»,
რომელიც გამოცემული იყო 1937 წელს მოსკოვში, სერიაში «Классические замечательные классики».
ავტორი აკრიტიკებს დ. დანდუროვის ალეგორიულ თეორიას ვეფხის-
ტყაოსნის სიუჟეტის გაგებაში, რომლის მიხედვით, ნესტანდარეჯანის ხვარა-
ზმელი საქმრო გიორგი III-ის ძმისწული დემნაა, ფრიდონი კი იური ბოგო-
ლუბსკი. მისი შენიშვნით, დანდუროვი აველგარება საქართველოს ისტორიულ
წარსულს და მეტად ტენდენციურად იყენებს რუსთაველის გარშემო არსებულ
ლიტერატურას. ასევე უეიცობა და ტენდენციურობა გამოსკვივის მსჯელო-
ბაში რუსთაველის ეროვნობის, მისი სახელის სადაურობის და «სომეხი»-სა
და «მესხი»-ს ინტერპრეტაციაშიც. პრინციულობით ხასიათდება დანდუროვის
წარმოდგენა ძველი ქართული ენის საკითხებზე, ქართული ენის ლექსიკაზე,
თვითონ ვეფხისტყაოსნის აგებულებასა და ხასიათზე, რუსთაველის ეპოქის
ქართულ ცხოვრებაზე და საერთოდ ქართულ ფეოდალიზმზე.

ქართული თარგმანი: საშინელი უმეტრება, ეფრ. „მნათობი“, 1968, № 1, გვ. 193—196.

1469. Проф. Н. Д. Дондуа

[О «Витязе в тигровой шкуре»]

გახ. Ленинградский университет, 1937, 21 декабря, № 41, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სიდიადეს, მის ხალხურობას და
ფოლკლორში გადასვლას. მისი აზრით, ეახტანგის კომენტარიების მიზანი იყო
ვეფხისტყაოსნის ხსნა ეკლესიური დევნისაგან, ამიტომ მან პოემის სიყვარუ-
ლი გაიგო როგორც ლთაებრივი გრინობის გამოხატულება.

Два Богатыря

გახ. Советская Киргизия, г. Фрунзе, 1937, 26 декабрь, № 297, გვ. 2.

ავტორი უპირისპირებს ვეფხისტყაოსანსა და ყირგიზულ ეპოსს „მანას“-ს. აღნიშნავს მათ ერთნაირ პოპულარობას თავიანთ ხალხებში და მსგავს ბედს. დასასრულს, ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს.

1471. E.

Первые переводы и статьи о Ш. Руставели

გახ. Вечерний Тбилиси, 1917, 13 июня, № 135, გვ. 3.

წერილი შეიცავს ვეფხისტყაოსანის რუსულად თარგმნა-პუბლიკაციისა და შესწავლის მოკლე ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას უმთავრესად რუსულ პერიოდული პრესის მიხედვით. მიმოხილვა მეტად სქემატური და არასრულია. 1472. ბ. ე.

საბრძოლო იარაღები ვეფხისტყაოსანში.

გახ. სტალინელი, ქუთაისი, 1937, 17 ოქტომბერი, № 239, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს ვეფხისტყაოსანში ნახმარ სამხედრო და სამხედრო-სახლეთა ტერმინების მიმოხილვას, რითაც ავტორი ცდილობს ნათელი გახადოს ძველ საქართველოში ხმარებული სამხედრო იარაღები და მათი გამოყენება. ავტორი მოკლედ განმარტავს შემდეგ ტერმინებს: აბჯარი, მუზარადი, საბარკული, ქაფი, ჩაბალახი, ჯაჭვი, ჯაჭვ-ჯაჭვანი, ფარი, ისარი კაპარკით, ცერა, ლახვარი, ლახტი, მათრახი, ხმალი კარკაშით, შიმშერი, შუბი, კეტ-კატარლა, სახნისი ძელით.

1473. Q. E.

Rustabelidim iyubelejine baba çatır

გახ. Sotsijalistik çol, Aqtebe, 1937, 21 dekabr, № 291, გვ. 3.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს სამზადისს და აღნიშნავს მისი შემოქმედების საერთო საკავშირო გამოძახილს.

1474. И. E.

Первое издание „Вепхис Ткаосани“

გახ. Вечерний Тбилиси, 1937, 15 декабря, № 288, გვ. 3.

გახ. Харьковский рабочий, 30 декабря, № 301, გვ. 3.

წერილი ეხება ვახტანგის მიერ 1712 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის სარედაქციო მუშაობას, პოემის შედგენილობას, მის კომენტარიებს, რომელშიაც ვახტანგმა მოინდომა ის საბარებისათვის დაეკავშირებინა, რომ ავტორი საშლედლოების წყრომა, თუმცა ის მაინც დაწვას ვერ გადაურჩაო. დასასრულს აღნიშნულია, რომ ვახტანგის გამოცემას აქვს შეცდომები.

1475. ელ.

უკვდავი პოეტი

ჟურნ. პიონერი, 1937, დეკემბერი, № 12, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის სიდიადეს და ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, რომელიც მისი თქმით თავისი მოწინავე იდეალებითაა უკვდავი.

1476. С. Евгеньев

Илья Чавчавадзе о Шота Руставели

გახ. Учительская газета, Москва, 1937, 27 декабря, № 38, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძის რუსთველოლოგიურ ცდებზე ყველაზე საყურადღებოა აკაკი წერეთელთან პაექრობა ვეფხისტყაოსანის გამოცემის თაობაზე. ავტორი მოკლედ არჩევს ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისს და

მოჰყავს ციტატები მისი შენიშვნებიდან. მის დამსახურებად თვლის ტიპოლოგიური განზოგადების საკითხის წამოჭრას და რუსთაველის პოეტური ენის პრობლემას. დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველს ი. ქავჭავაძის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს. ამ ორ პოეტს აერთებს ხალხურობა.

1477. Г. Еленина

Руставели в грузинской музыке

გაზ. М у з а კ ა, Москва, 1937, 26 декабря, № 32, გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის პოპულარობას საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ ისტორიულ წყაროებში ცნობები არ მოიპოვება. მისი აზრით, რუსთაველის პოემა ახალი დროის დიდ თხზულებებში პირველ ათეულში დგას. არსებული კვლევა-ძიება ბევრ დროს ხარჯავდა იმის დასამტკიცებლად, თუ რა არის რუსთაველის შემოქმედებაში შემოტანილი უცხოეთიდან. საჭიროა მასში თვით ქართულის მონახვა და აღნიშვნა. ვეფხისტყაოსანი ქართული, ორიგინალური, გრანდიოზული თხზულებაა.

ავტორი არჩევს პოემის სიუჟეტს, იძლევა მის ქარგას, ახასიათებს ავთანდილსა და ტარიელს, თინათინს, ნესტანს, ასმათს, ფატმანს მათი ხასიათების თავისებურებათა აღნიშვნით. მისი შენიშვნით, რუსთაველის შემოქმედება საერთოდ ხასიათდება იდეურობით. ახასიათებს პოემის მთავარ მოტივებს—სიყვარულს, მეგობრობას, ერთგულებას, გმირობას—რუსთაველის გაგებაში. რუსთაველი დანტესთან შედარებით იმსახურებს პრიორიტეტს მარქსის განმარტებისას იმის შესახებ, რომ ის არის „საშუალო საუკუნეთა უკანასკნელი და ახალი დროების პირველი პოეტი“. რუსთაველი უფრო მეტადაა თავისუფალი შუასაუკუნეობრივი ქრისტიანული დოქტრინისაგან. ღმერთი რუსთაველისათვის არის არა ლოცვა, არამედ სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, გმირობა. ის არ ემორჩილება ღვთაებრივ ბედისწერას, მის განსაზღვრას. რუსთაველი არ არის ფატლისტი. ჰუმანიზმს რუსთაველი გამოჰყავს ფეოდალური წრიდან.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ყველა ეპიზოდი რუსთაველს მხატვრულ ფორმაში აქვს გამოკვეთილი. მისი ზოგი ადგილი ისეა დახატული, რომ მსოფლიო ეპიკურ პოეზიაში ცოტა რამ შეედრება.

1555. И. Н. Луппол

Имя, сверкающее из лунины оеков

გაზ. Заря Востока, 1937, 29 декабря, № 299, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის დიადობას, მის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, მისი ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს და ეხება ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეალებსა და მოტივებს მსოფლიო მწერლობის მიმართებაში.

1556. Ф. Майский

«Витязь в тигровой шкуре»

გაზ. Красноярский рабочий, г. Красноярск, 1937, 26 декабря, № 296, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, მის მთავარ მოტივებს, აღნიშნავს რუსთაველის პოეტური ენის ოსტატობასა და მის პოპულარობას.

1557. ილია მაისურაძე

რუსთაველის მესხური ფოლკლორი

გაზ. მუშა, 1937, 7 ოქტომბერი, № 231, გვ. 3.

საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების მიერ ნესხეთ-ჯაეახეთში შოთა რუსთაველის საიუბილეოდ სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობასთან დაკავშირებით, ავტორი ეხება ამ ექსპედიციაში შეკრებილ მასალებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ცალკეული ნომენტების დადგენისა და ვეფხისტყაოსნის ზოგი სიტყვის განმარტების თვალსაზრისით. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველს შეგნებულად უსარგებლია მესხური მეტყველების ლექსიკური მარაგით, რის საილუსტრაციოდ მოჰყავს რამდენიმე მაგალითი.

ავტორი უთითებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ხალხურ ვარიანტებზე და მოჰყავს ს. კოთელიაში გაგონილი თურქული ლექსი ქართული თარგმანით, რომელშიც შემდეგი სტრიქონებია:

„ადექ, გამოუხიხლდი, რუსთაველო შოთა,
ხელიდან წაგვივიდა ასინძა, ოთა...“

1558. ი. მაისურაძე

შოთას მხატვრული სიტყვა

გაზ. მუშა, 1937, 17 დეკემბერი, № 289, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ავტორი ქარბად იყენებს მხატვრული მეტყველების რთულსა და მოქმედ ხერხებს, ეპითეტებს, ტროპებსა და მეტაფორებს, მოკლედ განსაზღვრავს მათ და საილუსტრაციოდ მოჰყავს პოემის ტექსტიდან მაგალითები.

1559. ი. მაისურაძე

რუსთაველი ხალხში

გაზ. სტალინელი, გორი, 1937, 27 დეკემბერი, № 70, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, სახალხო ხასიათსა და მნიშვნელობას და მოჰყავს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსები.

იქვე, გვ. 2

უკვდავი ქმნილება

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსნის, აღნიშნავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს, რასაც, მისი აზრით, ავსებს ხალხური თქმულებების არსებობა პოეტის შესახებ.

გაზ. Ленинградский университет, 1937, 23 დეკანბრა, № 41, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ეხება ქართული ლიტერატურის ტრადიციებს, რუსთაველის ეპოქის ლიტერატურას, მოჰყავს პოემის მოკლე შინაარსი, აღნიშნავს მის შთაფარ მოტივებს და იმოწმებს ციტატებს აკად. მარის შრომებიდან.

ჩერდება რუსთაველის პოეზიის თეორიაზე და მოკლედ ახასიათებს მთლიანად პოემის შედგენილობას და მხატვრობას.

1561. С. Маналатия

Родина поэта

გაზ. Красная Карелия, г. Петрозаводск, 1937, 26 დეკანბრა, № 296, გვ. 2.

ავტორი აღწერს მესხეთის რუსთავეს როგორც რუსთაველის სამშობლო მხარეს, მიმოიხილავს ამ რაიონის კულტურულ ვითარებას ისტორიულად და ეხება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს ვეფხისტყაოსნის ცნობილ ტაქთან დაკავშირებით:

„ეწერ ვინმე მესხი მელქსე, მე რუსთავესა დაბისა“...

იგივე დაბეჭდილია ჩუვაშურად: გაზ. «Чувашин Коммуна», гор. Чебоксари, 24 დეკანბერ, № 295, გვ. 3, სათურით: «Рустави შალე».

გაზ. «Литературная газета», 20 დეკანბრა, № 69, გვ. 2, სათურით «Родина Руставели».

1562. სერგი შაკალათია

სოფელი რუსთავი და თქმულება შოთა რუსთაველზე

გაზ. კომუნისტი, 1937, 30 აგვისტო, № 199, გვ. 4.

იგივე დაბეჭდილია: გაზ. «Вечерний Тбилиси», 2 октябрия, № 228, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს საქართველოს სამხარეთმცოდნეო საზოგადოების ისტორიულ-ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიშს მესხეთ-ჯავახეთში ჩატარებული მუშაობის შესახებ რუსთავესა და რუსთაველის სამშობლოსთან დაკავშირებულ სხვა სიძველეების გამოსაეღინებლად. ავტორი მოკლედ აღწერს ისტორიული მნიშვნელობის ნასახლარ ადგილებს და მოჰყავს სოფ. როკეთის მცხოვრების ეთო აკოფასძე დაელიშერიძის მიერ გადმოცემული თქმულება შოთა რუსთაველზე.

იმავე გვერდზე მოიპოვება უავტორო წერილი „რუსთაველის იუბილეს წინ“ ამავე ექსპედიციის მუშაობის შესახებ ინფორმაციული ცნობებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ მასში მონაწილეობას იღებდა ორი, წარმოშობით მესხი, მუშაკი ი. მაისურაძე და ა. გვარამაძე.

1563. სერგი შაკალათია

საქართველოს ფეოდალური მონარქია რუსთაველის ეპოქაში

გაზ. კომუნისტი, 1937, 23 დეკემბერი, № 293 (5094), გვ. 3.

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ და სახელმწიფოებრივ მდგომარეობას, როგორც რუსთაველის შემოქმედების შემქმნელ გარემოს.

1564. Кубаныбек Малинов

Дружба поэтов дружба народов

გაზ. Советская Киргизия, 1937, 26 დეკანბრა, № 297, გვ. 2.

პატარა წერილი წარმოადგენს შთაბეჭდილებას ვეფხისტყაოსნის წაკითხვის გამო. ავტორი ზოგადად აფასებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს, რომ ყირგიზელ მწერალთა მოვალეობაა აითვისონ რუსთაველის ოსტატობა და შესძინონ ის კასაცნობად ყირგიზელ ხალხს ღირსეული თარგმანის გაკეთებით.

750 лет со дня рождения Шота Руставели

გაზ. Ленинградский университет, 1937, 23 ლექსი, № 41, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ლენინგრადის უნივერსიტეტში რუსთაველის იუბილეს ჩასატარებლად შექმნილია კომიტეტი აკადემიკოს ი. ი. მეშჩანინოვის თავმჯდომარეობით. ლიტერატურის კაბინეტში მოწყობილია რუსთაველის განოფენა, და რომ 1938 წლის იანვრის შუა რიცხვებში შედგება საზეიმო სხდომა მიძღვნილი რუსთაველისადმი.

1566. მ. მაჭულაშვილი

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის მასალები. რუსთაველის იუბილესათვის

გაზ. სტალინელი, ქუთაისი, 1937, 10 ივნისი, № 131, გვ. 2—3; 14 ივნისი № 134, გვ. 2—3.

წერილი წარმოადგენს პოპულარულ ნარკვევს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებზე არსებული ზეპირი, ლიტერატურული და სამეცნიერო-კვლევითი მასალის გათვალისწინებით.

ავტორი იხილავს შოთა რუსთაველის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერ თქმულებებს, ისტორიულ-ლიტერატურულ გადმოცემებს, აღორძინების ხანის მწერალთა თხზულებებში არსებულ ცნობებს და რუსთაველის ბიოგრაფიის კვლევა-ძიებისათვის ჩატარებულ მუშაობას ქართულ-რუსულ და უცხო ენებზე (№ 131). ავტორი განსაკუთრებით ეხება აკად. ნ. მარის მუშაობას და აღაგებს მის შეხედულებებს პოეტის ბიოგრაფიის მთავარი საკითხების მიხედვით. ავტორი კრიტიკულად განიხილავს რუსთაველის ირგვლივ შექმნილ ბიოგრაფიულ კონცეფციებს (პროფ. კ. კეკელიძის, ი. აბულაძის, პ. ინგოროყვას, ნ. ნათენაძის, ლ. გარსიაშვილის) (№ 134).

1567. მისხეილ მაჭულაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია

გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1937, 20 ნოემბერი, № 265, გვ. 3.

წერილი შეიცავს შემდეგ ქვესათაურებს:

პოემის ხელნაწერთა საწერი მასალა. პოემის ხელნაწერთა დაღუპვის მიზეზები. დღემდე მოღწეული ხელნაწერები. პოემის ხელნაწერთა ურთიერთმიმართება. „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა. პოემის სხვა გამოცემები. ახლად აღდგენილი ტექსტის საკითხი“.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მომზადების პირობებს, ძველ ხელნაწერთა გავრცელება-შენახვის ვითარებას და მოკლედ ახასიათებს ზოგ ძველ ხელნაწერს. ავტორი ვახტანგის გამოცემის აღწერისას ხელნაწერებთან მიმართებით, მათ შორის სტროფული რაოდენობის განსხვავებას იმით ხსნის, რომ ვეფხისტყაოსნის დროთა ვითარებაში უმატებდნენ ყალბ სტროფებს, რის გამოც ხელნაწერებში დაახლოებით 700 სტროფი მეტია ვახტანგის გამოცემასთან შედარებით. ავტორის დასკვნით, ვახტანგის გამოცემა პოემის კრიტიკული შესწავლის შედეგია.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ახალი საიუბილეო ტექსტის დასაადგენად წარმოებულ მუშაობას.

1568. მ. მაჭულაშვილი

„ვეფხისტყაოსანი“

გაზ. სტალინელი, ქუთაისი, 1937, 17 ოქტომბერი, № 239, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის შესწავლის მეთოდოკას, პოემის ტექსტის ისტორიას, ხელნაწერთა მომზადება-გავრცელების ტექნიკასა და ხელოვნებას ძველ საქართველოში, ვახტანგის გამოცემას, იძლევა ზოგი ხელ-

ნაწერის მოკლე აღწერას და არკვევს ხელნაწერთა მიმართებას 1712 წლის გამოცემასთან. დასასრულს ავტორი იხილავს პოემის ტექსტის შესწავლისათვის მიმდინარე მუშაობას ქართულ სამეცნიერო დაწესებულებებში.

1569. შ. მამულაშვილი

ვეფხისტყაოსნის თარგმანები

გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1937, 30 დეკემბერი, № 298, გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის ცდებს ბროსიდან მოკიდებული ჩვენ დრომდე — ფრანგულად (ბროსე, ორბელიანი), გერმანულად (ლაისტეი), ინგლისურად (ჟორანროპი), უნგრულად (ბელა ვიკარი), ირანულად (ი. მარი), პოლონურად (ხოდკო), რუსულად (ბარტინსკი, ბალმონტი, პეტრენკო, ცაგარელი, ყანჩელი), უკრაინულად (ბაგანი), სომხურად, თურქულად. ამასთან ერთად, ავტორი აღნიშნავს, რომ მზადდება თარგმანები ბელორუსულ, ებრაულ, უზბეკურ, ტაჯიკურ, ჩუვაშურ, ყირგიზულ ენებზე.

1570. მ.—ლი

ნაღირობა, მუსიკობა და ბურთობა „ვეფხისტყაოსნის“

გაზ. სტალინელი, ქუთაისი, 1937, 22 დეკემბერი, № 291, გვ. 3.

ავტორი ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილების განხილვით ადგენს რუსთაველის ეპოქაში ქართული სპორტის სახეების განვითარებას და მასთან დაკავშირებით განმარტავს სასპორტო ტერმინებს.

1571. თ. მანსვეტაშვილი

მცირეოლენი შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე

ურბ. მნათობი, 1937, № 12, გვ. 220—222.

ავტორი მოგონებაში ეხება ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემის მომზადების ვითარებას — ტექსტის მომზადებას, კომისიის შედგენილობას, პოემის დასურათებაზე მუშაობას და სხვ.

1572. შ. Ф. Манура

Солнце грузинской поэзии

გაზ. Заря Востока, 1937, 29 декабря, № 299, გვ. 2.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას, მისი იდეალების პროგრესულობას, მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის პრობლემას და დასასრულს შენიშნავს, რომ ის თარგმნის პოემას თათრულ ენაზე.

1573. Академии Н. Марр

Грузинский национальный гений

გაზ. Известия, 1937, 17 марта, № 66, გვ. 3, ჭედიურა.

წერილს უძღვის რედაქციის შენიშვნა:

«Осеню 1920 г. покойный Акад. Н. Я. Марр написал большую статью о грузинской и армянской литературе. Статья осталась неопубликованной, рукопись хранится сейчас в кабинете Н. Я. Марра в Академии истории материальной культуры. Печатаемые отрывки из этой рукописи дают блестящий анализ условий расцвета гения автора «Витязя в тигровой шкуре» Шоты из Руставы 750-летнюю годовщину, рождения которого отмечают в этом году народы СССР».

ავტორი აღნიშნავს, რომ კავკასია ევროპასა და რუსეთს იზიდავს მატერიალურად და არა თავისი სულიერ-ლიტერატურული კულტურით. ის აღიზნავს უცხო იყო თავისი ლიტერატურული სიმდიდრით უცხოეთისა და

რუსეთისათვისაც. მისდამი ინტერესის საფუძველი იყო რომანტიკულ-ეპოტიკური წინასწარი შეხედულება. ამ უცნობლობას ხელს უწყობდა ქრისტიანული სამღვდელთაობა, რომელიც საერო მწერლობას საერთოდ უგულვებლყოფდა. ეს დევნა იოანე პეტრიწსა და ეფრემ მცირესაც მისწვდა. მონგოლების შემოსევამ და ეკლესიის გაღარიბებამ ხელი შეუწყო საერო იდეალების აყვავებას და სილანჯისადმი ლტოლვის გამოხატულებას. ქართული ფეოდალური წრე იყო ცენტრი რაინდული განათლებისა, მას ჰქონდა თავისი მორალი, განათლება, მეტყველება, ანბანი და გემოვნება. ის ცდილობდა განათლებისა და ლიტერატურული გემოვნების გაფართოებას. მაჰმადიანობამ დააკმაყოფილა ეს მისწრაფებები. მაჰმადიანურ სამყაროსთან ურთიერთობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართველებში შოთა რუსთაველის მოვლინება ისე, როგორც სომხებში—გრაგოლ ნარეკელისა. შეეცდომა, როცა ლიტერატურულ მოვლენის წყაროდ გარემო ბუნებას თვლიან, კერძოდ კავკასიის ლამაზი ბუნებით ხსნიან კულტურის ფაქტებს.

კავკასიაში მოიპოვება მთელი რიგი ძეგლები, რომელნიც მსოფლიო სახელს დაიმსახურებდნენ, მათ აქვთ მისწრაფება თავისთავადობისადმი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართული წერილობითი ლიტერატურის ისეთი ფაქტია, რომელიც იქცევა კანონის და ბაძვის საგნად. რუსთაველის წყარო ქართული რაინდული ყოფაა, ხალხური შემოქმედება, კერძოდ ხალხური მდიდარი მუსიკის რიტმი და მეტყველება. რუსთაველს არ ჰყავდა არც წინაპარი, არც მემკვიდრე.

1574. Юх. Мартш

Безсмертя

გაბ. Більшовик, Вечірня газета, Київ, 1937, 22 грудень, № 293, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის პოპულარობას ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჩერდება რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში წარმოებული მუშაობის შედეგებზე. კერძოდ, აღნიშნავს ფოლკლორული ექსპედიციებით მოპოვებული რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიული მასალების სიახლეს და მოჰყავს ერთ-ერთი ვარიანტი პოეტის ხალხური ბიოგრაფიისა.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემის სამზადისს კიევში და აღწერს მის განყოფილებებს, რომელნიც ქართველ პოეტის ეპოქას ასახავენ. დასასრულს შენიშნულია, რომ იუბილეს დღისათვის 24 დეკემბერს კიევში გახსნილ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ვეფხისტყაოსნის ყველა საიუბილეო გამოცემა.

1575. Л. Маруашвили

Гений и Эпоха

გაბ. Заря Востока, Иллюстрированное приложение № 7, 1937, 30 декабря, № 100.

წერილში აღწერილია საქართველოს მუზეუმის რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელშიაც ეპოქის ქართული სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლებია გამოფენილი. ავტორი ეხება გამოფენაზე წარმოდგენილ რუსთაველის ეპოქის ყოფის, ეკონომიკის, არქიტექტურის, მწერლობის, მხატვრობის, მეურნეობის, ნუმისმატიკის ცალკეულ საკითხებს და მოკლედ მიმოიხილავს საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ-პოლიტიკურ პირობებს. ეხება გამოფენაზე წარმოდგენილ ქართული მწერლობის ძეგლებს ძველ ხელნაწერებში, რუსთაველოლოგიასთან დაკავშირებულ ლიტერატურის გამოფენას და რუსთაველის იკონოგრაფიას.

Всенародный культурный праздник

გზ. Известия, 1937, 10 марта, № 60, გვ. 3.

ავტორი რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში, მის რეზონანსს საბჭოთა კავშირის ხალხებში, მის დიდ გავლენას ქართულ მწერლობასა და კულტურაზე და ზოგადად ეხება რუსთაველის შემოქმედების მთავარ იდეებსა და სახეებს.

1577. ე. მეგრელიძე

თქმულება რუსთაველზე

გზ. კომუნისტი, 1937, 27 დეკემბერი, № 296 (5097), გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის პიროვნებასა და მის შემოქმედებასთან დაკავშირებით ზეპირ გადმოცემაში არსებულ ვეფხისტყაოსნის ხალხურ პარალელებსა და ლეგენდებს თვით პოეტის შესახებ. ავტორს სანიმუშოდ მოჰყავს მის მიერვე 1930 წელს გურიაში ჩაწერილი ლეგენდა შენდევნი დასაწყისით:-

„თამარ მეფის დროს რაჭაში ცხოვრობდა კახაბერი-ერისთავი, თავადი. ჰყავდა ერთი ციცი, მოსამსახურეთ ჰყავდა აზნაური პავლია გოცირიძე...“.

1578. Q. Mejrbeqij

Cota Ruustabelij

გზ. Ontystik Qazaqstan, г. Чирчик, 1937, 27 Dekabr, № 296, გვ. 3, ქვედურა. 6 სვეტი.

ავტორი ზოგადად ეხება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას, პოემის შედგენილობას და აღნიშნავს რუსთაველის იდეალების პროგრესულობას და პოპულარობას საბჭოთა კავშირის ხალხებში.

ახსიათებს პოემის მთავარ გმირებსა და მოტივებს. დასასრულს აღნიშნავს შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს საქავშირო გამოძახილს.

1579. პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი

რუსთაველი და სომხური ლიტერატურა

კრებ. შოთა რუსთაველი სკოლაში, 1937, გვ. 281—291.

ავტორი აღნიშნავს ქართველთა და სომეხთა შორის პოლიტიკურ-კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ტრადიციებს, ეხება ამ ურთიერთობის კვლევის ვითარებას და მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის სომხურად თარგმნის ისტორიას ბასტამიანციდან დაწყებული. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს მდიდარი ბიბლიოგრაფიული ცნობები ვეფხისტყაოსნის სომხურად ბეჭდვისა და თვით რუსთაველის შემოქმედებისა და ბიოგრაფიის შესახებ გამომხატურების ანარეკლი სომხურ პრესასა და კრიტიკაში.

1580. Проф. Л. Меликсет-беков

Крепость Каджети

გზ. Заря Востока, 1937, 17 мая, № 111, გვ. 4; 20 мая, № 113, გვ. 3.

ავტორი მიმოიხილავს ჯავახეთის ისტორიულ ადგილებს და მათ შორის ყურადღებას აქცევს „ქაჯის ციხეს“ ანუ „შაითან ყალას“ და ასკვნის, რომ რუსთაველს ქაჯეთის ციხის აღწერისას ყოველგვარი ნიშნებით ეს ციხე უნდა ჰქონოდა მხედველობაში. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო ადგილები ორიგინალში მათი რუსული თარგმანით და უმატებს, რომ ეს ციხე ქართულ მატრიანებსაც აქვთ მოხსენიებული.

1581. ლ. მებრეველი

„ვეფხისტყაოსანი“ და ჩვენი ეპოქა

გაზ. კომუნისტი, 1937, 26 დეკემბერი, № 295(5096), გვ. 3.

ავტორი თანამედროვეობასთან მიმართებით ახასიათებს რუსთაველის შემოქმედების მთავარ იდეალებსა და მოტივებს და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის აფორიზმები მცირე განმარტებით.

იგივე იმავე წელს შემოკლებით დაიბეჭდა: გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, სოხუმი, 27 დეკემბერი, № 296, გვ. 3—4.

1582. შ. მებრეველი

ნაღობა და ბურთობა „ვეფხისტყაოსნის“ მისეღვიო

გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1937, 30 დეკემბერი, № 298, გვ. 3.

ავტორი მოკლედ განიხილავს ნაღობისა და ბურთობის მოტივების გამოხატულებას ვეფხისტყაოსანში და მოჰყავს სათანადო ციტატები.

1583. И. И. Мещанинов

Русские бессмертны в веках

გაზ. Заря Востока, 1937, 29 декабря, № 299, გვ. 2.

წერილი წარმოადგენს ავტორის მიერ რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლებას.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობას, მისი სიტყვით: «Вятыя в тигровой шкуре» принадлежит к числу тех немногих мировых произведений, которые сохраняют свою выдающуюся ценность во все времена и для всех народов».

1584. აკადემიკოსი თ. თ. მუშანინოვი

ლილი ზეიმი

გაზ. კომუნისტი, 31 დეკემბერი, № 300(5101), გვ. 3.

ავტორი ვეფხისტყაოსნის მოკლე დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ის „გენიალურია არა მარტო თავისი ეპოქისათვის, იგი ეყოფენის იმ თითო-ორიოლა მსოფლიო ნაწარმოებთა რიცხვს, რომელნიც თავის უდიდეს მნიშვნელობას ინარჩუნებენ ყველა ხანაში და ყველა ხალხისათვის“.

1585. Р. Миллер-Будницкая

Важа-Пшавела

ჟურნ. Звезда, 1937, № 5, გვ. 147—161.

ავტორი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი გზის გარჩევისას აღნიშნავს, რომ მასზე დიდი გავლენა მოახდინა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა, რომელიც მისთვის იქცა ქართული ნაციონალური აღორძინების დრომად-რუსთაველში შეერთებული აღმოსავლურ-მუსულმანური და დასავლურ-ქრისტიანული კულტურული გავლენები (გვ. 150). ის ქადაგებს ჰუმანიზმს, ადამიანურობას და ებრძვის ნაციონალურ-რელიგიურ კარჩაკეტილობასა და შუასაუკუნეობრივ სკოლასტიკურ აზროვნებას.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ უდიდესი ქართველი პოეტები: შოთა რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა სცილდებიან ნაციონალური ქართული კულტურის საზღვრებს და შედიან საერთო საკაცობრიო ეპიკური ხელოვნების შემოქმედთა რიცხვში.

შოთა რუსთაველი პირველი ევროპელი ეპიკური პოეტია, რომელმაც ევროპას რამდენიმე საუკუნით დაასწრო. მასში გამოსკვივის ევროპული რენესანსის პირველი განთიადის პირველი სხივები. მის გარშემო იკრიბებოდნენ პოეტები, სწავლულები, ფილოსოფოსები, რომელთაც მაღლა ექირათ ქართული რენესანსის დროა.

ფურც. Литературный Современник, Ленинград, 1937, № 12, გვ. 238—249.

წერილს ეპიგრაფად წინ უძღვის აკად. ნ. მარის შრომებიდან ამონაწერები რუსთაველზე. ნაშრომი დაწერილია მარის ზოგი დებულების გავლენით, განსაკუთრებით იმ დებულებისა, რომ რუსთაველი მესხურ-მუსულმანურ ვითარებაში წარმოიშვა.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პიროვნებაში შესამჩნევია გარეობა. მასში იბრძვის ორი სული—შუასაუკუნეთა „ძველი ადამი“ და აღორძინების ადამიანი. ის ქართული პატრონუმობის ადამიანია, რომელიც ბევრ რამეში მოგვაგონებს რომანულ შუასაუკუნეობრიობას. ის იყო განსაზღვრული სამხედრო-რაინდული ორგანიზაციის მეთაური, უნივერსალური ადამიანი, რომელიც აერთებდა პოეტს, მოაზროვნეს, პოლიტიკოსს, სახელმწიფო მოღვაწეს და მოგზაურს.

მოკაყავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ლეგენდები. ახასიათებს პოემის სოციალურ-პოლიტიკურ სარჩულს. მისი შენიშვნით, რუსთაველი იყო შუასაუკუნეების უკანასკნელი და ახალი ერის პირველი პოეტი. ამასთან დაკავშირებით დასავლეთ ევროპის რენესანსის ისტორია უნდა გადაიხინჯოს. მისი პირველი სტრიქონები იწყება არა იტალიაში, არამედ საქართველოშიო (გვ. 242).

ქართული რენესანსის მსოფლიო-ისტორიული აზრი იმაშია, რომ აქ დაიწყო განთიადი დასავლეთ-ევროპული აღორძინებისა, იმ დროს, როდესაც თითქმის მთელი ევროპა ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივ სიბნელეში იყო შთანთქმული. ამ დროს საქართველოში გადმოინაცვლა ევროპის ხალხთა სასიცოცხლო ცენტრმა და მსოფლიო ცხოვრების მაჯისცემა აქ დაიწყო. ქართველი ხალხი იქცა ევროპული კაცობრიობის მოწინავე რაზმად (გვ. 242). ქართულმა აბსოლუტიზმმა გაიმარჯვა შინაგან და გარეშე მტრებზე (გვ. 243). შოთა რუსთაველი არის მოძღვრალი გაერთიანებული საქართველოსი, რომელიც იბრძოდა ბიზანტიური ქრისტიანობის წინააღმდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის შექმნისათვის. რუსთაველი დანტესავით იყო თავისი ხალხის ენის შემოქმედიც, ფილოლოგიც და ენის ისტორიკოსიც.

ვეფხისტყაოსანი ნაციონალურ ისტორიულ-გმირულ ეპოსს წარმოადგენს. ისაა ბაგრატიონების დინასტიის პოეტური მატრიანე. პოემაში ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოხატვის თვალსაზრისით გარჩევისას გამოთქვამს აზრს, რომ მასში ასახულია თამარის ცხოვრება მთავარი მომენტებით. პოემის მთავარი ძარღვია მსოფლიო ხალხების ძმური კავშირი, მიუხედავად რელიგიური კუთვნილებისა.

საქართველოში წარმოებული რელიგიური და ფილოსოფიური სკოლების ბრძოლის მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ რუსთაველი თავის მოძღვრებას აშენებს ჰერაკლიტე-პლატონის და ნეოპლატონიკოსების გზის გავლით. ამასთან ერთად რუსთაველში იგრძნობა სპარსული ცეცხლთაყვანისმცემლობის გავლენა და ხალხურ, ადგილობრივ რწმენათა გამოხატულება. მთელი პოემა აშენებულია ახალბურთე გმირული ეპოსის ნიადაგზე.

დასასრულს, ავტორი ჩერდება რუსთაველის პოპულარობასა და ვეფხისტყაოსნის გავლენის ტარიელიანის წარმოშობის საკითხზე. ამ ნარკვევში აღძრული საკითხები ავტორს დამუშავებული აქვს სხვა წერილებშიც.

1587. უაპ მისი
(ჩუაშა პაბი)

რუსთაველმა აღგვიძრა ინტერესი ქართული კულტურისადმი

გაზ. კომუნისტი, 1937, 26 დეკემბერი, № 295 (5096), გვ. 3.

ავტორი შენიშნავს, რომ მას რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით აღგვიძრა სურვილი ქართული კულტურის შესწავლისადმი და პოეტ იან გაზის-თან ერთად შეუდგა ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტების თარგმნას ჩუეშურ ენაზე.

1586. А. Москович

Руставели і сучасність

გაზ. Комуніст, 1937, 26 грудень, № 297, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა ვეფხისტყაოსანი ქართველმა ხალხმა გამოატარა ტრაგიკულ-პოლიტიკური ცხოვრების ქარცეცხლში და მას ცოცხალი კავშირი ჰქონდა ქართველი ხალხის სინამდვილესთან. ვეფხისტყაოსნის ასეთი წარმატების საფუძველი მისი ხალხურობაა.

ავტორი ეხება რუსთაველის პოეზიის თეორიას, ზოგადად ახასიათებს მის შემოქმედებას მსოფლიო მნიშვნელობის თხზულებებთან დაპირისპირებაში, იხილავს ვეფხისტყაოსნის მთავარ მოტივებსა და გმირებს, რისთვისაც მოჰყავს პოემიდან ზოგი აფორიზმი უკრაინული თარგმანით.

1589. Мазы Машенат

Народное сказание о витязе в тигровой шкуре

გაზ. Заря Востока, 1937, 21 декабря, № 292, გვ. 3.

ტექსტი შეიცავს ახალციხეში ჩაწერილ ლექსნარევ თხრობას. აგებულია ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირთა ურთიერთობის მოტივებზე. დასაწყისი:

«Тарназ и Лердам-Дареджан росли вместе. Отец Лердам-Дареджан послал Тарназа во вражескую страну, а дочь решила выдать замуж за сына царя Хварасана...»

1590. Б. ნათენაძე

ვარძია—რუსთაველის ეპოქის უდიდესი შეგლო

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 30 იანვარი, № 2 (24), გვ. 3.

ავტორი მესხეთის სიძველეების, ისტორიულ-გეოგრაფიული ადგილების, კერძოდ ვარძიის აგებულიებაზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ ვარძიის მხატვრობაში მოიპოვება ერთი ფრესკა, რომელიც ემსგავსება შოთა რუსთაველის მინიატურის გამოსახულებას და შესაძლოა თვით რუსთაველი იყოსო.

1591. Б. ნათენაძე

შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის შესახებ

ურბნ. მნათობი, 1937, № 8—9, გვ. 265—290.

ავტორი ცდილობს უფრო დამაჯერებელი გახადოს შოთა რუსთაველის მესხური წარმოშობილობის შეხედულება ვეფხისტყაოსნის ლექსიკური მონაცემების, ხალხური თქმულებების, ზოგი გეოგრაფიული საკითხისა და ისტორიული მოწმობების შესწავლით, უმთავრესად მესხური მასალების ნიადაგზე.

ავტორს მოჰყავს სამი ჯგუფი სიტყვებისა, რომელნიც მესხეთის ცოცხალ მეტყველებაში შემონახული ჩანან პოემისათვის შეფარებული მნიშვნელობითო, რის მიხედვითაც ასკენის, რომ შოთა რუსთაველი მესხია, რასაც მისი აზრით, მხარს უჭერს მესხეთში არსებული ხალხური თქმულებების შესწავლაც. რუსთაველს ქაჯეთის ციხის მოდელად სამშობლო მხარეში არსებული ციხე გამოუყენებიაო (გვ. 289).

Б. ნათენაძის მიერ მწერალთა სასახლეში ამ საკითხებზე წაკითხული მოხსენების შესახებ
იხ. Новое в биографии Руставели, გაზ. «Вечерний Тбилиси», 1937, 19 მარტი, გვ. 2.

Szotha Rustaweli

წიგნი: Szotha Rusthaweli, 1937, Warszawa, გვ. 3—9.

ავტორი ზოგადად იხილავს ქართული მწერლობის განვითარებას, ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორიას და ასახელებს მის მთარგმნელებს უცხო ენებზე, მათ შორის ჩვენ ლიტერატურაში უცნობს: „Kazimierz Winiewicz“-ს (გვ. 4). ავტორი ზოგადად ახასიათებს პოემას, აღნიშნავს მის ღირსებას და მოჰყავს ამონაწერები ბალმონტის წინასიტყვაობიდან რუსთაველის შესახებ და მათ შორის მისი შენიშვნა, რომ: „Jak Homer jest Hellada, Dante—Italia, Szekspir—Anglia, Kalderon i Serwantes—Hiszpania, Rustaweli jest Gruzja“ (იქვე). ავტორი ახასიათებს რუსთაველის ეპოქას, ქართულ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი და საილუსტრაციოდ პოემის პოლონური თარგმანის 11 სტროფი.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობისა და წყაროების საკითხებს, მოჰყავს ნ. მარისა და ზ. ავალიშვილის შეხედულებანი და მოკლედ ახასიათებს საქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის აწმყოს ვეფხისტყაოსნის იდეალებთან დაკავშირებით.

1593. ა. ნატროშვილი

ღიი იუბილე

გახ. კომუნისტური განათლება, 1937, 21 აგვისტო, № 78, გვ. 3.

ავტორი რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მნიშვნელობას და ახასიათებს მის მთავარ გმირებსა და იდეალებს.

1594. Нур

Великий мастер с.1000

გახ. Заря Востока, 1937, 10 февраля, № 33, გვ. 5.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესათვის სამზადისის მიმდინარეობას საქართველოს, სონხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკათა სამეცნიერო დაწესებულებებში, გამოცემლობებსა და მწერალთა ორგანიზაციებში.

1595. Нур

Сборник высказываний Академика Марра о Руставели

გახ. Заря Востока, 1937, 17 мая, № 111, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ განზრახულია აკად. ნ. მარის შრომების გამოცემა შოთა რუსთაველის შესახებ, რომელსაც ამზადებს მარის სახელობის ინსტიტუტი. ამასთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ ახასიათებს მარის ძირითად შრომებს რუსთაველზე და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას რუსთაველოლოგიისათვის.

1596. პროფ. შ. ნუცუბიძე

„ადამიანის იდეა და აღზრდის პრობლემა“ ვეფხის ტყაოსანში

კრებ. შოთა რუსთაველი სკოლაში, 1937, გვ. 64—83.

ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის სოფელგაგებაში ადამიანის იდეა ექიდროდ უკავშირდება აღზრდის პრობლემას“ და აყენებს დებულებას, რომ ადამიანი რუსთაველის მსოფლმხედველობის ცენტრალური პრობლემაა. მისი აზრით, რუსთაველი აყენებს ადამიანის მოვალეობის გაგებას, რომელიც ორ

საწინააღმდეგო ვითარებაში იშლება — ქირსა და ლხინში. რუსთაველს ცოდნა, სწავლა, მტკიცე ნებისყოფა მიაჩნია ადამიანის სიკეთის პირობად. სწავლა, ცოდნის დაუფლება გზა სიბრძნისაკენ, რომლითაც მთლიანი ადამიანის-იდეა ხორციელდება. ეს იდეა რუსთაველს ქართული ჰუმანიზმიდან აქვს აღებული. ავტორი პოემის მთავარ გმირებს იხილავს ქვეყნისა და ხასიათის თვალსაზრისით და შენიშნავს, რომ მათთვის ცოდნა—ბრძოლისა და საქმის იარაღია. ავტორის დასკვნით, რუსთაველი თავისი ჰუმანიზმით მთლიანი ადამიანის შესაქმნელად იბრძვის დოგმატიკური საქრისტიანო და ასკეტიკური მსოფლგაგების წინააღმდეგ.

1597. Профессор Ш. Ныцубидзе

Грузинские поэты и ученые о новых переводах поэмы Руставели
ჟურნ. Книжные новости, Москва, 1937, 15 апреля, № 7, გვ. 5—6.

ავტორის აზრით, რუსულად არსებულ ვეფხისტყაოსნის ყველა თარგმანებს შორის ყურადღებას იმსახურებს პეტრენკოს თარგმანი, რომელიც იძლევა მისი ორიგინალის სრულ ილუზიას.

1598. Ш. Ныцубидзе

Мирозерцание Руставели

ჟურნ. Литературный критик, Москва, 1937, № 12, გვ. 54—70.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველმა თავის შემოქმედებაში გამოხატა XII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესული მიმდინარეობანი, ეხება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, არჩევს რუსთაველის ძირითად მოტივებს და იდეებს. ვეფხისტყაოსნის ცალკეულ სტროფების ციტაციას ახდენს საკუთარი თარგმანით. აღნიშნავს, რომ რუსთაველი ახლოა აღმოსავლეთთან. არკვევს ნიჰამისა და რუსთაველის შემხვედრ ხაზებს და ასაბუთებს მათ პრინციპულ განსხვავებას. შენიშნავს, რომ რუსთაველი დაეალებულია ქართული ყოფით და მითოლოგიით.

1599. შ. ნუცუბიძე, ს. ყაუხჩიშვილი

იოანე პეტრიწი და მისი «განმარტებაჲ»

წიგნი: იოანე პეტრიწის შრომები, ტექსტი გამოსცეს და გამოკლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, რუსთაველის ინსტიტუტი, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ტფილისი, 1937, ტომი II, CXII+228 გვ.

ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიის ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ავტორები გაკვრით ეხებიან შოთა რუსთაველს. ავტორები აღნიშნავენ, რომ პეტრიწი «გაბედულად გააყვია წარმართულია ფილოსოფიის გზას და საქართველოში საფუძვლები ჩაუყარა მზისა და ფერის იმ სოფლგაგებას, რომელიც ერთი საუკუნის შემდეგ XII—XIII საუკუნეთა მიჯნაზე რუსთაველის პოეტურ სოფლშეგრძნობაში უკეთიანა» (გვ. LI).

პროკლეს ნააზრევთან პეტრიწის დამოკიდებულებაზე მსჯელობისას ავტორი დასძენს: «ამით ქართული აზროვნება გარკვეულად თავის საკუთარ გზას დაადგა, რომელზედაც მან საუკუნე იარა და ვეფხისტყაოსანში მხატვრულად უკეთიანა» (გვ. LVII).

ავტორები აღნიშნავენ, რომ «იოანე იტალის ხელიდან გავარდნილი დროშა პეტრიწმა ხელთ აიღო და გელათის აკადემიის საფარში იმ სიმამლემდე ასწია, რომ საუკუნის ბოლოში ქართველი მოაზროვნის—პეტრიწის ნაღვაწი, ქართველმა ხელოვანმა რუსთაველმა ამავე წარმართულის გზით სიყვარულის ამხად გაშალა» (გვ. LXXII).

საკუთარი ნაწარმოები

გახ. კომუნისტი, 1937, 24 დეკემბერი, № 294 (5095), გვ. 1.

ავტორი გამოთქვამს სიხარულს იმის გამო, რომ პირველად ჩამოვიდა იმ ქვეყანაში „სადაც იშვა ყველა ჩვენგანისათვის უმახლობელესი ორი დიდი სახელი ... შოთა რუსთაველი და იოსებ სტალინი... აქ, სადაც დაიბადა დიდი სტალინი—დიდი შოთას სიმღერის ხმა ისმის“.

1601. ოიუნსკი, ელვი, სივცოვი

იაკუბის შწარალთა კავშირი

[მისალოცი ღებეშა რუსთაველის იუბილეს გამო]

გახ. კომუნისტი, 1937, 28 დეკემბერი, № 297 (5098), გვ. 1.

საქართველოს მწერალთა კავშირისადმი გაგზავნილ ღებეშაში იაკუტიის მწერალთა კავშირის სახელით ავტორები აღნიშნავენ, რომ „ის სალხი, რომელმაც კაცობრიობას რუსთაველი და სტალინი მისცა, მუდამ იქნება დიდოვანების ადამიანთა და ტალანტთა ბედნიერი აკვანი“.

1602. Андемин И. Орбели

Великое наследие (О творчестве грузин. поэта Шота Руставели)

გახ. Известия, 1937, 17 марта, № 66, სვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველისადმი ვალშია ქართული, რუსული, საბჭოთა და საერთოდ მსოფლიო მეცნიერება, რომელმაც არაფერი იცის მის შესახებ. აკად. ნ. მარმა საფუძველი ჩაუყარა რუსთაველის შემოქმედების მეცნიერულ შესწავლას და დასახა გზები მისი შეზღოში შესწავლისათვის. საბჭოთა მეცნიერების ამოცანაა შეისწავლოს ეს „არა მხოლოდ შესანიშნავი პოეტური თხზულება, არამედ განსაკუთრებით ღირებული ისტორიული დოკუმენტი“, ის არის ქართული განვითარებული ცხოვრების დოკუმენტი. რუსთაველის შემოქმედების თავისებურება, მისი აფორიზმები და აზრები ახასიათებს არა მხოლოდ თვითონ პოეტს, არამედ მის შემოქმედ ქართველ ხალხსაც.

რუსთაველის ლექსი განმაცვიფრებელია სილამაზით, გადმოცემის ფორმით და სიმღიდრით, რაც შეუძლებელია თარგმანში გადაიციეს. პოემის მხატვრული მხარე შესატყვისის პოულობს ქართული ხელოვნების და მასთან ახლო მდგომი კავკასიური და მცირე აზიის ძეგლების ფორმებში. რუსთაველის ენა პოეტური მეტყველების უმაღლესი საფეხურია. რუსთაველი და პუშკინი ერთმანეთს უტოლდება ლექსის ოსტატობაში. მათი ლექსი არ შეიძლება პროზაში გადაიტანოთ.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ მოიპოვება ჯეროვანი მეცნიერული გამოკვლევა და არც ტექსტის გამოცემა, რაც შემდგომად შესასრულებელ ამოცანას შეადგენს.

1603. აკადემიკოსი ე. ა. ორბელი

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანის შესახებ (წერილი ლენინგრადიდან)

გახ. კომუნისტი, 1937, 24 დეკემბერი, № 294 (5095), გვ. 3.

ტექსტი წარმოადგენს საუბარს კორესპონდენტთან. აკად. ი. ა. ორბელი საუბარში აღნიშნავს, რომ დღემდე არ მოგვეპოვება ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა. ტექსტის დადგენას აძნელებს ხელნაწერთა სხვადასხვაობა ტექსტის შედგენილობის მხრივ. ტექსტი საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა შესწორებებსა და ჩამატებებს. მისი აზრით, ჩამატებებს წარ-

მოადგენს, მაგ., ავთანდილის სალოცავად შესვლა მიზგითში. ამასთან გამოთქვამს ეჭვს, რომ არც მომავალი საიუბილეოდ დადგენილი ტექსტი იქნება თავისუფალი ყველა დამახინჯებისაგან.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის მდგომარეობას, პეტრენკოს თარგმანს და ტექსტის დასურათების სიზნელებს. მისი შენიშვნით, ქობულაძე ცდილობდა აესახა პოემის ძალა, მონუმენტალობა და დინამიკა. დასასრულს, ავტორი მოწოდებს რუს პოეტებს ზელი მოჰკიდონ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე მუშაობას.

1604. ი. ორბელი აკადემიკოსი

შოთა რუსთაველი შარის შრომებში

გაზ. კომუნისტი, 1937, 27 დეკემბერი, № 296 (5097), გვ. 3.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ნ. შარის მთავარ შრომებს ვეფხისტყაოსნის შესახებ. მისი სიტყვით, ნ. შარმა რუსთაველის შესწავლა დააყენა მტკიცე შეცნირულ ნიბდაზე, რასაც მოჰყვა რუსთაველის შემოქმედების განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიულ-კულტურული პრობლემების დაყენება. დასასრულს, ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და აღნიშნავს მის მსოფლიო მნიშვნელობას.

1605. А. С. Орлов

Памятник мирового значения

გაზ. Правда, 1937, 26 декабря, № 354 (7320), გვ. 3.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ზოგადი დახასიათებისას შენიშნავს:

«Поразила ее эмоциональность, соединение нежного чувства и глубокой мудрости. Это не есть плод бессознательной талантливости. Поэма обдумана, начиная с изысканной формы, и ковался мотивировкой повествования».

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ არ მოიპოვება ვეფხისტყაოსნის ღირსეული რუსული თარგმანი. ბალმონტის თარგმანის მოკლე დახასიათებაში შენიშნავს, რომ მისმა თარგმანმა „подменил ее стих».

1606. Д. Осипов

Героический народ

გაზ. Правда, 1937, 26 декабря, № 354(7320). გვ. 3, ქვედურა.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის გმირები და ქვეყნები რუსთაველის მიერ გამოგონილ სახელებშია გახვეული, რომელნიც ნაზღვილად საქართველოს სინამდვილეს გადმოსცემენ. ერთადერთი რეალური ქვეყანა პოემისა თვით საქართველოა. რომელზედაც პოემაში პირდაპირ ლაპარაკი არც არის. პოემა დაიწერა მაშინ, როცა აღმოსავლეთის დიდი კულტურა დასავალზე იწურებოდა, დასავლეთის აღორძინება კი ჯერ ეპირებოდა. ამ დროს ისტორიული გონების მზე პირდაპირ დანათოდა საქართველოს, როცა მისმა სახელმწიფოებრივმა ძლიერებამ და ცხოვრებამ შესაძლებელი გახადა პიროვნების განთავისუფლების იმ დიადი იდეების ჩასახვა, რომელნიც შემდგომ უფრო მოგვიანებით გაანათეს ევროპის ჰუმანიზმის სახით.

რუსთაველის გმირები მისი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში დაიბადნენ თავისუფლებისათვის და კულტურული თვითმყოფობისათვის ბრძოლაში. პოემა, მიუხედავად აღმოსავლური ორნამენტისა და სპარსულ პოეზიასთან აუცილებელი კავშირისა, უაღრესად ნაციონალურია, ორიგინალური ქართულია. ეს თხზულება არ არის არც აღმოსავლური, არც დასავლური პოემა. საქართველომ დიდი რბევისა და ნგრევის გზა გამოიარა, მაგრამ თავისი კულტურა გადაარჩინა ისტორიულ ქართველებს.

Տոთა Րუსთավելի յա Քոետան օն

გახ. Hoqiqati Uzbekiston, Toshkent, 1937, 22 dekabr, № 270, გვ. 2—3.

მთელ ჯერდს აქვს ანձლაგი: Տօիրի Բոսურჯի Գրսիյա

ტექსტი შეიცავს გვერდნახევარს. წერილში გაშუქებულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხები, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა. ავტორი ადარებს რუსთაველს მსოფლიო პოეზიის წარმომადგენლებს. მოკლედ გადმოცემულია ვეფხისტყაოსნის შინაარსი, აფორიზმები და დახასიათებულია პოემის მთავარი მოტივები და გმირები.

წერილს ბოლოში აქვს მინაწერი „Davom dorad“, მაგრამ შემდეგ ნომერში არ ჩანს გაგრძელება.

იგივე დაბეჭდილია: გახ. „Bajroqi mihnati“—на местно-еврейском языке, Toshkent, 1937, dekabr 20, № 280, გვ. 2.

Шота Руставели

გახ. Заря Востока, 1937, 23 декабря, № 294, გვ. 3.

შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს მიმდინარეობასთან დაკავშირებით აღნიშნულია მისი შემოქმედების პროგრესულობა, მსოფლიო მნიშვნელობა და პოპულარობა. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის ბიოგრაფიას, შემოქმედების მთავარ საკითხებს—პოემის მთავარ გმირებს, მოტივებს, ეპიზოდებს, რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ-კულტურულ ყოფას, ვეფხისტყაოსნის შინაარსს, მის მთავარ იდეალებს და აღნიშნავს მის დიდ გავლენას ქართულ პოეზიაზე.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველის შემოქმედება ორი კულტურის — აღმოსავლური და დასავლური კულტურის სინთეზია, ირანული ჰეროიკისა და დასავლური მორალისტიკისა. მისი აზრით, რუსთაველის პოემა ყველაზე უკეთესია, რაც კი შეუქმნია ოდესმე პოეტურ გენიას. რუსთაველის ჰუმანიზმი ორი საუკუნით უსწრებს ევროპულს. პოემის მოკლე დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროს აზიისა და ევროპის მწერლობაში არ მოიპოვება მსგავსი ლირებულების ნაწარმოები. ეს არის პირველი და ყველაზე მაღალი პოემა ადამიანის სულიერი ცხოვრების შესახებ საშუალო საუკუნოებში და ყველაზე ღრმა, ნათელი პოემა სიყვარულზე, რაც კი შექმნილა პოეტური გენიით. რუსთაველის შემოქმედებაში ახლებურად და თავისებურადაა გადაჭრილი მეგობრობის, სიყვარულისა და სხვა საკითხები. რუსთაველმა დასძლია რელიგიური და ნაციონალური შემოზღუდულობა, იქადაგა ხალხთა ძმობა-მეგობრობა და პირველმა გამოხატა ჰუმანიზმი.

ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ მან განიცადა ირანული გავლენა და ვეფხისტყაოსნის შინაარსიც ცოტაოდნად განიცდის ამ გავლენას, მაგრამ ძირითადად ორიგინალურია. ირანს რუსთაველი უპირისპირდება ფიზიკური ძალისათვის სულიერი ძალის დაპირისპირებით. სხვანაირია მისი ქალი. თავისებურია რუსთაველის შემოქმედებაში სიყვარულის თემა და ძმობა-მეგობრობის კულტი, რაც ქართული სინამდვილითაა გაპირობებული. მან უარყო სიყვარულის ძველი დოგმები. პოემაში იგრძნობა სპარსულისაგან განსხვავებული რაინდობის სხვანაირი კოდექსი, რომელშიაც ჰუმანიზმი გამოსკვეივის.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მნიშვნელობას ქართული კულტურის განვითარებაში, მის მსოფლიო ლირებულებას და მისი შემოქმე-

დების იდური კავშირს ჩვენ თანადროულობასთან, თავისი პროგრესული იდეალებით.

იგივე წერილი იმავე წელს დაიბეჭდა მცირედენი რედაქციული ცვლილებებით რუსულ და საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვადასხვა ენაზე:

გახ. „Deutsche Zentral Zeitung“, Moskau, 26 Dezember, № 294, გვ. 3.

გახ. „Казахстанская Правда“ 26 декабря, № 296, გვ. 3, ქველურა 5 სვეტი.

გახ. „Красная Башкирия“, 26 декабря, № 296, გვ. 3.

გახ. „Коммунист Таджикистана“, 26 декабря, № 299, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Правда Севера“, г. Архангельск, 26 декабря, № 296, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Бурят-монгольская Правда“, г. Улан-Уде, 24 декабря, № 298, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Социалистическая Кабардино-Балкария“, г. Нальчик, 26 декабря, № 297, გვ. 3.

გახ. „Армавирская Коммуна“, г. Армавир, 26 декабря, № 296, გვ. 3.

გახ. „Новоросийский рабочий“, Новоросийск, 24 декабря, № 294, გვ. 2, ქველურა 7 სვ.

გახ. „Звезда“, г. Пермь, 24 декабря, № 296, ქველურა 7 სვეტი.

გახ. „Красноярский рабочий“, г. Красноярск, 23 декабря, № 296, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Красная Карелия“, г. Петрозаводск, 26 декабря, № 293, გვ. 2, ქველურა 7 სვეტი.

გახ. „Советская Киргизия“, г. Фрунзе, 23 декабря, № 295, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Маяк Коммуны“, г. Севастополь, 26 декабря, № 294, გვ. 3.

გახ. „Полярная Звезда“, г. Мурманск, 26 декабря, № 298, გვ. 3.

გახ. „Большовик“, Чернигов, 23 Грудень, № 294, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Харьковский рабочий“, 25 декабря, სათაური: Геннальное произведение.

გახ. „Сталинский рабочий“, г. Сталино, 22 декабря, № 291, გვ. 3,

სათაური: Геннальный Песец, გახ. „Сталинградская Правда“, 26 декабря, № 296, გვ. 3.
Творец бессмертной поэмы, გახ. „Туркменская Искра“, г. Ашхабад, 26 декабря, № 297, გვ. 3.

Геннальное создание, გახ. „Волжская Коммуна“, г. Куйбышев, 26 декабря, № 296, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

Великий грузинский поэт, გახ. „Советская Белоруссия“, г. Минск, 26 декабря, № 71, გვ. 2, ქველურა 5 სვეტი

გახ. „Başqortostan“, г. Уфа, 26 dekabr, № 296, გვ. 3—4, ქველურა 8 სვეტი.

გახ. „Qsil Taçikiston“, Stalinabad, 31 dekabr, № 301, გვ. 2, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Sovet Turkmenistana“, Aşgabat, 26-nçı dekabr, № 297, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Junь Dynia“, Simferopol, 26 dekabr, № 296, გვ. 2, ქველურა 7 სვეტი.

გახ. „Sotsijalistik Qazaqstan“, Alma-Ata, 26 dekabr, № 296, გვ. 2.

გახ. „Qommuunist“, Baki, 18 dekabr, № 292, გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Qommuunist“, 26 dekabr, № 70 (295), გვ. 3, ქველურა 6 სვეტი.

გახ. „Der Stern“, [კვიცი], 22.XII, № 291, გვ. 3 (ებრაული ეარგონი).

გახ. „Taçikistoni surx“, Stalinabad, 26 dekabr, № 298, გვ. 3, ქველურა, 6 სვეტი.

გახ. „Kommuна“, Уфа, 27 dekabr, № 239, გვ. 3.

გახ. „Leninso“, Цф, რუსული ქვეტიტული: „Ленинсе“, Орган Башкирского обкома и Уфимского горкома ВЛКСМ, 28 декабр, № 125, გვ. 3.

სათაური: Rustaveli xiallargylyň togmyşga aşy („Pravda“ dan):

გახ. „Qyş Tatarstan“, Kazanь, 28 dekabr, № 296, გვ. 2, ქველურა 6 სვეტი.

გახ. Qyş Jәñlek, Kazanь, Орган Татарского и Kazanьского гор. ком. ВЛКСМ, 27 rekolnr, № 116, ქველურა 6 სვეტი.

Руставели пурнә қамна еңгәчәем, გახ. „Чышаш Коимуне“, гор. Чебоксари, 29-декабер, № 299, გვ. 3, ქველურა 5 სვეტი.

1609. П. Павленко

Манифест раинею Гуманизма

გახ. Литературная газета, 1937, 26 декабря, № 70(706) გვ. 4.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანმა რამდენიმე საუკუნეს განსაზღვრა ქართული პოეზიის განვითარება. რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში გამოხატა თავისი ეპოქის პროგრესული ტენდენციები. ის წარმოადგენს თავისი

დროის იდეოლოგიურ მანიფესტს და არა ეპოქის უბრალო ასახვას. ვეფხისტყაოსანში გამოხატული იდეალები განსხვავდება ირანელი წინამორბედებისაგან. ეს წიგნი ებრძვის არაბულ-ირანული პოეტის ძველ ტრადიციებს. ის იბრძვის ახალი ადამიანური იდეალებისათვის. გამოთქვამს ცნობილ მოსაზრებას, რომ ირანულმა ეპოსმა სიყვარული არ იცის და რუსთაველმა მოიტანა სიყვარულის თავისებური გაგება განსხვავებული ირანულისაგანო. ავტორის შენიშვნით ვეფხისტყაოსანი პირველი რეალისტური ნაწარმოებია საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში მოჰყავს პეტრენკოს თარგმანით ციტატები პოემის შესავლიდან პოეტის შესახებ. ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს, რომელნიც გამოხატავენ რუსთაველის იდეალებს.

1610. П. Павленко

Витяж о тшрковой шкуре

გაზ. Звезда Востока, 1937, 27 декабря, № 297, გვ. 2.

გაზ. კომუნისტი, 1937, 28 დეკემბერი, № 297, გვ. 2.

წერილი წარმოადგენს ანგარიშს მოხსენებისას, რომელიც ავტორმა წაიკითხა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე თბილისში. ავტორი რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ეხება ქართული კულტურისა და სახელმწიფო ცხოვრების ვითარებას რუსთაველის ეპოქაში. ავტორი მოხსენებაში აჯამებს თავის წერილებში გამოთქმულ შეხედულებებს რუსთაველოლოგიის საკითხებზე. მისი შენიშვნით:

„ვეფხისტყაოსანი საშუალო საუკუნეთა პირველი რეალისტური ნაწარმოებია. მას რაინდული ჰეროიკა ზღაპრული სიმბოლიკის სფეროდან რეალურ საყოფაცხოვრებო გარემოში გადააქვს, იგი გვიხატავს ადამიანთა ცოცხალ ხასიათებს და ამიტომ წარმოადგენს აგრეთვე საშუალო საუკუნეთა პირველ ფსიქოლოგიურ წიგნს. შოთა რუსთაველი გამოდის როგორც საშუალო საუკუნეთა პირველი სიმართლის მაძიებელი და შეგნებული მებრძოლი მორალისტი“.

იგივე: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, 30 დეკემბერი, № 33(53), გვ. 5.

1611. П. Павленко

На родине Шота Руставели

გაზ. Правда, 1937, 27 декабря, № 355 (7321), გვ. 5.

ავტორი მოკლედ აღწერს თბილისში რუსთაველისადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის მწერლების პლენუმის მიმდინარეობას — მწერალთა გამოსვლებს, შეხვედრებს, საუბრებს, სპეციალურ საიუბილეო გამოცემებს რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის ირგვლივ და შენდგომი დღეების გეგმას.

იგივე მცირე ცილოლებით დაიბეჭდა: გაზ. «Звезда Востока», 29 декабря, № 299, გვ. 3, სათაურით: «В гостях у Руставели».

გაზ. „Харьковский рабочий“, 1937, 27 декабря, № 298, გვ. 1.

1612. П. Павленко

Осуществление мечты Руставели

გაზ. Правда, 1937, 23 декабря, № 351 (7317), გვ. 4.

ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანი პირველი რეალისტური ნაწარმოებია საშუალო საუკუნეებში. მან დღემდე შეინარჩუნა მნიშვნელობა პოეზიის ცოცხალი ნიმუშისა. რუსთაველს რაინდული ჰეროიკა

ზღაპრული სიმბოლიკიდან რეალურ-ყოფით გარემოში გადააქვს. ის არის მებრძოლი მორალისტი. მისი პოემა აღსავსეა მოწინავე იდეებით.

ავტორი იძლევა პოემის მხატვრულ ანალიზს და მოჰყავს აფორიზმები. მისი შენიშვნით, რუსთაველის გმირები არ არიან ნაციონალურობით შემოფარგლულნი.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ჩერდება რუსთაველის ეპოქის საქართველოს და ამიერკავკასიის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და აღნიშნავს ქართული კულტურის მაღალ დონეს.

1013. Г. Павлов

Шота Руставели и его поэма „Витязь в тирровой шкуре“

журн. Сибирские огни. Литературно-художественный и общественно-политический журнал, Новосибирск, 1937, сентябрь-декабрь, № 5—6, гв. 119—127.

წერილი წარმოადგენს შოთა რუსთაველის შემოქმედების ზოგად დახასიათებას. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მის მსოფლიო მნიშვნელობას და გავლენას ქართულ პოეზიაზე, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს და პოეტის ირგვლივ საქართველოში უამრავი ლეგენდებისა და ხალხური ვეფხისტყაოსნის ვარიანტების არსებობას.

ავტორი ეხება პოემის სიუჟეტის სადაურობის საკითხს, იხილავს რუსთაველის ეპოქის პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას და გადმოცემს ვეფხისტყაოსნის შინაარსს, მოკლედ არჩევს პოემის პოეტურ ფორმას და აღნიშნავს, რომ ეპოსთან შერწყმულია ლირიზმი.

ავტორი იხილავს რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებს, პოემის გმირებს და აღნიშნავს, რომ რუსთაველი იყო წინამორბედი დასავლეთ ევროპის აღორძინების ხანის ჰუმანისტებისა. «Шота Руставели первым из поэтов увидел человека в его подлинной величественной человеческой сущности» (გვ. 127). რუსთაველი თავისი მოწინავე იდეალებისათვის იდეენობდა სამედელოების მიერ.

ტექსტში საილუსტრაციოდ ჩართულია ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის ცალკეული სტროფები გ. ცაგარლის თარგმანით.

1614. О. В. Паладин

Великий сын Грузии

зв. Коммунист, Київ, 1937, 26 грудень, № 297, гв. 3.

ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიასა და ვეფხისტყაოსნის აგებულებას. აღნიშნავს მის პოპულარობას, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებს, მოტივებსა და მის პროგრესულ იდეალებს. დასასრულს ხაზს უსვამს რუსთაველის ნაციონალურ-რელიგიურ შეუზღუდველობას და მისი მოწინავე იდეების ჩვენს თანადროულობასთან კავშირს.

1615. Академик А. В. Паладин

Украинский народ читает Руставели

зв. Правда, 1937, 26 декабря, № 354(7320), гв. 3.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს, რომ მ. ბაქანის მიერ უკრაინულ ენაზე თარგმნილი ვეფხისტყაოსნით ხალხს საშუალება აქვს შეისწავლოს რუსთაველის შემოქმედება. «Перевод дает возможность украинскому народу изучить бессмертную поэму великого гения грузинского народа—поэму про рыцарскую самоотверженную дружбу».

*Перлина світової літератури*გაზ. *Комуніст*, *Київ*, 1937, 26 გრუდსი, № 297, გვ. 3.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და ქართულ მწერლობაზე გავლენას. ავტორის აზრით, რუსთაველმა პოემისათვის გამოიყენა ხალხური შემოქმედებისა და თავისი ხალხის უძველესი კულტურის წყაროები. პოემის მხატვრული დახასიათებისას ავტორი ვეფხისტყაოსანს ადარებს მსოფლიო ეპიკურ ძეგლებს და ეხება რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებსა და გმირებს.

დასასრულს, ავტორი ახასიათებს რუსთაველის აფორისტულ სტილს და მოჰყავს პოემიდან ციტატები.

1617. А. Петренко

*Высокий образец мировой поэзии*გაზ. *Правда*, 1937, 26 декабря, № 354 (7320), გვ. 3.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს მის მსოფლიო მნიშვნელობას.

ამავე გვერდზე მოიპოვება მსგავსი ზოგადი შენიშვნების შემცველი მცირე ფორმის წერილები:

1. Сергей Арсалаш—Народное творчество.
2. И. Малишвица—Великий гуманизм.
3. А. Кукулевич—Гениальная поэма продолжает жить и вдохновлять.
4. Х. Давидов—Песед мужества.
5. Николай Иванов, Илья Добычин, Игорь Чибор—Мы—Наследники Шота Руставели.
6. Жаворонков—Проповедь борьбы.

1618. В. Полонский

Шота Руставели

თრბ. *Сибирские Огни*, Литературно-художественный журнал, Новосибирск, 1937, № 2, გვ. 139—141.

წერილი წარმოადგენს კომპილაციას. აღნიშნულია რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების სიმცირე, მისი პიროვნების უცნობელობა, პოემის პოპულარობა, XII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ძლიერება.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირი ქართულ ხალხურ პოეზიაში რუსთაველამდე იყო ცნობილი. რუსთაველმა გამოხატა თავისი ეპოქის მოწინავე იდეები. მის პოემაში აღორძინების იდეალებია წამოყენებული. დანტესთან შედარებით, რუსთაველი უფრო თავისუფალი გაქანებით ხასიათდება, რელიგიური შეუზღუდელობით, ნაციონალური და ფეოდალური კარჩაუქეტელობით, რისთვისაც ის იდენებოდა სამღვდელოების მიერ. მან გამოხატა ამაღლებული სიყვარულის იდეა, მეგობრობა, ოპტიმიზმი.

ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის პოეტურ ენასა და ლექსს. მოჰყავს რამდენიმე ციტატა ბალონტის თარგმანით. აღნიშნავს, რომ საზოგადოებრიობა ელოდება პოემის ახალ, კარგ თარგმანს რუსულ ენაზე.

1619. თაბრ უაროკოვ

კაზახსტანის პოეტი

რუხთაველის შემეყიდრენი—სტალინური მეგობრობით შეკავშირებული ხალხები არიან
გაზ. *კომუნისტი*, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 2.

ავტორი ზოგადად აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის სიდიადეს, მსოფლიო კულტურულ მნიშვნელობას, პოპულარობასა და მისი თარგმნის სიმწიფეებს.

Творение, живущее в веках

გაზ. Рабочая Москва, 1937, 26 декабря, № 296, გვ. 3.

ავტორი მოკლედ და ზოგად ხაზებში ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, მის მთავარ იდეებს და აღნიშნავს მის პოპულარობა-მნიშვნელობას თავისი პროგრესულობით თანამედროვეობასთან კავშირში.

1621. ბეს. ულენტა

შოთა რუსთაველი და სოციალისტური თანამედროვეობა

ჟურნ. მნათობი, 1937, № 12, გვ. 97—111.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის დიადობას, მის პოპულარობას საქართველოში, ვეფხისტყაოსნის გავლენას ქართულ მწერლობაზე და მის ეკლესიურ დენას. რუსთაველის შემოქმედების ზოგადი დახასიათებისას ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველმა ღრმად და ორგანიულად ასახა თავის დიდ პოეტურ ქმნილებაში ქართველი ხალხის ისტორიის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საფეხური და უაღრესად პროგრესული როლი შეასრულა თავისი თანამედროვეობის მიმართ“ (გვ. 103). რუსთაველმა გაუსწრო დანტეს, რომლის პოემა აღბეჭდილია რელიგიური სქოლასტიკის დალით (გვ. 104).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებსა და იდეალებს, აღნიშნავს რუსთაველის დამსახურებას ქართული ენისა და კულტურის წინაშე და გაკვირთ ჩერდება რუსთაველის პოეტიკის საკითხებზე. დასასრულს ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის გამომდახილსა და გავლენის კვალს ქართულ პოეზიაზე მთელი მისი განვითარების გასწვრივ თანამედროვეობამდე, მოჰყავს ამონაწერები რუსთაველისადმი დამოკიდებულების საილუსტრაციოდ თანამედროვე პოეტების თხზულებათაგან და შენიშნავს, რომ: „ქართული საბჭოთა პოეზია რუსთაველისაგან სწავლობს ღრმა პრინციპულობას, პოეტურს შემოქმედების მიზანმიმართულების გარკვეულობას“ (გვ. 108).

1622. ბ. ულენტა

[შოთა რუსთაველი]

გაზ. კომუნისტი, 1937, 26 დეკემბერი, № 295, გვ. 2.

ტექსტი წარმოადგენს ავტორის სიტყვის შემოკლებას, რომელიც მან წარმოთქვა 24 დეკემბერს ქ. თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრში ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილ სსრკ საბჭოთა მწერლების V პლენუმის სხდომაზე.

ავტორი ზოგადად აფასებს რუსთაველის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ მისი პროგრესული იდეები ერთნაირადაა გასაგები საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის, რომელთაც ის აახლოვებს თანამედროვეობის ამოცანების გაგების საფუძველზე.

ფიკვ დაბეჭდილია: გაზ. „Заря Востока“, 26 декабря, № 296, გვ. 2.

გაზ. „Коммунист“, 1937, 31 декабря, № 75(300), გვ. 3.

1623. Н. Р.

Накануне юбилея Шота Руставели

გაზ. Заря Востока, 1937, 7 марта, № 49, გვ. 3.

შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესათვის სამზადისთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ მიმოიხილავს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში მიმდინარე მუშაობას, განსაკუთრებით საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებსა და მწერალთა ორგანიზაციებში.

1624. **Xalid Rasul, Bahram Akbarov, Asrar Şair!**

Şota Rustaveli

გაზ. *Iaş Leninci*, Taşkent, 1937, 18 dekabr, № 184, გვ. 4, ქვედურა 6 სვეტი.

შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მოკლედ მიმოხილულია რუსთაველის ეპოქა, გადმოცემულია პოეტის ბიოგრაფიული ცნობები, ვეფხისტყაოსნის შინაარსი, დახასიათებულია რუსთაველის შემოქმედება, მისი მთავარი გმირები, მოტივები და დასასრულს აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის ხალხურობა და მისი კავშირი ჩვენ თანამედროვეობასთან.

1625. **ხალიდ რახული**

უზაყ პოეტი „ვეფხ. ტყ.“ შთარგმნელი

რუსთაველის შემოქმედებანი — სტალინური შეგობრობით შეკავშირებული ხალხები არიან

გაზ. *კომუნისტი*, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 2.

ავტორი გამოთქვამს ალტაცებას ვეფხისტყაოსნით და აღნიშნავს რუსთაველის სიდიადესა და პოპულარობას.

1626. **Б. Рест, Эль Регистан**

На плечуе правления союза советских писателей

От ваших специальных корреспондентов

გაზ. *Литературнак газета*, 1937, 26 декабрь, № 70(706), გვ. 1.

12. შამუკა ბარათაშვილი (მე-18 საუკ.) — „საქართველოს მელექსეთათვის“ (გვ. 106). ტექსტი შეიცავს 1 სტროფს:
„შოთა უდა დიდებულითურთ არჩილ და საბა სორითა,
ვახტანგ მოიხმო პირისპირ სსჯა უფლისწულთა სწორითა...“
13. თეიმურაზ I (1700 — 1761 წ.) — „ყოველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა-მცოდნესა ბრძენსა რუსთველსა ზედა, ბაასი მფიის მეორისა თეიმურაზისაგან“ (გვ. 107 — 110). ტექსტი შეიცავს 21 სტროფს; „სარეკ თქმულთა“ (წიგნი საქართველოს ზნეობათა შესახებ) (გვ. 110). ტექსტი შეიცავს 6 სტროფს. ანოტაცია იხ. 1939 წლის გამოცემასთან.
14. ანტონი I (1719 — 1788 წ.) — „თეიმურაზის რუსთველისა“ (გვ. 111). ტექსტი შეიცავს 1 სტროფს. ანოტაცია იხ. 1853 წლის გამოცემასთან № 65.
15. დავით გურამიშვილი (1705 — 178...წ.) — „საქართველოს მელექსეთათვის“, „ანდერძიდან“, გვ. 112—114). ტექსტი შეიცავს 16 სტროფს. იხ. ანოტაცია 1881 წლის გამოცემასთან № 170.
16. ანონიმი მე-14 საუკუნისა — „ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიყვალებოდა მის ვამისა ნათქვამი“ (გვ. 115—116). ტექსტი შეიცავს 10 სტროფს და წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ჩანართს. ურცულ ხელნაწერებში. იხ. ანოტაცია ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი ტექსტების 1948 წლის გამოცემასთან.
17. სარგის მცირე თმოგველი (მე-14 საუკ.) — „ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ვამსა სიყვადილისა მისისა“ (გვ. 117—118). ტექსტი შეიცავს 12 სტროფს და წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ჩანართს ურცულ ხელნაწერებში. იხ. ანოტაცია ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი ტექსტების 1948 წლის გამოცემასთან.

18. ნანუჩა (მე-15 — 16 საუკ.) — „ანდერძი ავთანდილისა, რომელ თქვა ეჰმა სიკვდილისა მისისა ნანუჩას ჩამატებულია მას უჯან“ (გვ. 119). ტექსტი შეიცავს 4 სტროფს და წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ჩანართს ვრცელ ხელნაწერებში. იხ. ანოტაცია ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი ტექსტების 1948 წლის გამოცემასთან.
19. იოსებ ტფილელი (მე-17 საუკ.) — „ვეფხისტყაოსნის ჩანართებიდან“ (გვ. 120). ტექსტი შეიცავს 1 სტროფს. იხ. ანოტაცია ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი ტექსტების 1948 წლის გამოცემასთან.
20. აკაკი წერეთელი — „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების ხასიათები“ („სამი ლექციიდან ვეფხისტყაოსანზე“) (გვ. 185 — 203). ანოტაცია იხ. 1898 წლის გამოცემასთან № 551.
21. ი. ჭავჭავაძე — „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი““ (გვ. 204 — 212). ანოტაცია იხ. 1887 წლის პუბლიკაციასთან № 313.
22. აკ. გაწერელია — „რუსთაველის პოეტიკის საკითხები“, (გვ. 213 — 228). ანოტაცია იხ. 1937 წლის პუბლიკაციასთან № 1435.
23. პავლე ინგოროვია — „შოთა რუსთაველი“, (გვ. 229 — 291). ანოტაცია იხ. 1938 წლის გამოცემასთან.
24. გერონტი ქიქოძე — „შოთა რუსთაველი“ (გვ. 292 — 301). ანოტაცია იხ. № 1747. დაიბეჭდა რამდენჯერმე.

1747. ხიმონ ქვაჩიანი

ვისი პორტრეტია?

ჟურნ. ოქტომბერი, 1937, № 2, გვ. 2 — 3.

ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის შინაარსისა და შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგ მოტივზე პოპულარულ ცნობებს მხატვრული თხრობით. მამასა და შეილს შორის დიალოგის ფორმაში ავტორი ბავშვებს აცნობს, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის მთავარ კითხვებს — შოთას დრო, დაბადება, ვეფხისტყაოსნის მოკლე დახასიათება, ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა, პოემის მთავარი გმირები, მისი პოპულარობა, მნიშვნელობა და სხვ.

**კახაბერის ნაღმზე
(ლეგენდა)**

ჟურნ. პიონერი, 1937, დეკემბერი, № 12, გვ. 7 — 10.

ლეგენდა წარმოადგენს ავტორის ფანტაზიის შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ხალხურ გადმოცემებზე.

ტექსტს ერთვის ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ეპიზოდის გამომსახველი სურათები, რომლებსაც ქვეშ უწერია პოემის ცალკეული სტროფები.

1748. გერონტი ქიქოძე

შოთა რუსთაველი

გაზ. კომუნისტი, 1937, 6 ოქტომბერი, № 229, გვ. 3 — 4.

ავტორი ზოგადად ახასიათებს კლასიკური პერიოდის სასულიერო და საერო მწერლობას და შენიშნავს, რომ „ავიოგრაფები შოთა რუსთაველის წინამორბედები არიან, არა იდეოლოგიით და მორალური შეხედულებებით, არამედ იმ ინტერესით, რომელსაც ისინი სინამდვილისადმი იჩენენ, ადამიანის სულის ცოდნით, ადამიანურ გულისთქმათა რეალისტური ასახვით“ (გვ. 3, სვეტი 2). „რუსთაველი ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ჯანსაღი ტრადიციის დამცველი და გამგრძელებელია... მან ამ ლიტერატურის სრული რეფორმა მოახდინა“ (იქვე). „რუსთაველმა უწინარეს ყოვლისა, სალიტერატურო ენა ხალხის სალაპარაკო ენას მიუახლოვა“ (იქვე).

ავტორი ახასიათებს შოთა რუსთაველის განათლების წრეს ვეფხისტყაოსანში გამოხატული იდეალების მიხედვით, აღნიშნავს მისი იდეოლოგიის წყაროებს და მოკლედ მიმოიხილავს იმ ნაწარმოებთ, რომელსაც, მისი აზრით, რუსთაველი იცნობდა.

ავტორი შენიშნავს, რომ „შოთა თავისი მთავარი გმირების იდეალიზაციას არ ახდენს“ (გვ. 3, სვეტი 7). დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში გამოხატულ მთავარ მოტივებს.

იგივე დაბეჭდილია აგრეთვე: ჟურნ. „ჩვენი თაობა“, 1937, № 11—12, გვ. 40—48. 1938 წელს წიგნში: „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი, გვ. 5—28.

1749. Г. Никодзе

Шота Руставели и его время

ჟურნ. Красная новь, 1937, книга двенадцатая, гл. 180—192.

იგივე მცირე ცვლილებით: *Shota Rustaveli во onun zamanь*,

კრებულში: *Shota Rustaveli*, Виль, 1937, გვ. 23—38.

გახ. «Комсомольская Правда», Москва, 26 декабря, № 297, გვ. 3.

ავტორი დასაწყისში აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს და ვახტანგის მიერ პოემის სპარსული დედნის არსებობის უარყოფას. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი ასახავს ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მასში ქართული სინამდვილეა გამოხატული. ვეფხისტყაოსნის გმირებიც ისევე მიჩნევიან უდაბნოში, როგორც ქართული აგიოგრაფიის გმირები, მხოლოდ პოემაში ღვთისმშობლის კულტი შეყვარებული ქალის კულტმა შეცვალა.

ავტორი ეხება ქართული მწერლობის განვითარებაზე რუსთაველის ძლიერ გავლენას, საქართველოს ისტორიულ ვითარებას რუსთაველის შემდეგ ხანებში და ახასიათებს მისი შემოქმედების მთავარ იდეალებსა და მოტივებს, რომელნიც პოემის გმირებშია გამოხატული. ავტორს სათანადო ციტატები პოემიდან მოჰყავს გ. ცაგარლის რუსული თარგმანის მიხედვით.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი კლასიკური კულტურის სინთეზია ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის თავისებური შეთავსებით. ის ხასიათდება რელიგიური და ნაციონალური განუსაზღვრელობით. მისი კულტია მეგობრობა, რაინდობა. ავტორს გაჰყავს პარალელები ვეფხისტყაოსნისა ლილშეჯნუნთან და ვისრამიანთან, რომელიც ტრისტან-იზოლდას თავისებურ ვარიანტად მიაჩნია (გვ. 187).

ავტორის ზოგადი დახასიათებით, რუსთაველი ადამიანური ხასიათების უბადლო მხატვარია. ის იყო ქართული მწერლობისა და ენის რეფორმატორი. მისი დიდი პოეტური ენა ხასიათდება მდიდარი რითმით, ალიტერაციით, აფორისტულობით.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტი შერყენილია გადამწერთა მიერ საუკუნეთა განმავლობაში.

1750. Геронти Никодзе

Великий поэт грузинского народа

ჟურნ. Литературный критик, Москва, 1937, книга двенадцатая, гл. 43—53.

წერილი შეიცავს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგად დახასიათებას და ნაწილობრივ იმეორებს წინა წერილს (ანოტაცია № 1749). ავტორი აღნიშნავს საკმარისი წერილობითი ცნობების უქონლობას რუსთაველის ირგვლივ, ეხება ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხს, XII საუკუნის ქართული მწერლობის განვითარებას, რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებსა და გმირებს, მისი განათლების წრესა და დონეს.

1751. გერონტო კიქოძე

შოთა რუსთაველის პორტრეტისათვის

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 30 დეკემბერი, № 33 (55), გვ. 5—6.
ქვედურა 12 სვეტი.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის პორტრეტისა და ავტოგრაფის მოუღწევლობას, ეხება რუსთაველის სტილის საკითხებს, მისი შემოქმედების მთავარ მოტივებთან დაკავშირებით და გამოთქვამს აზრს, რომ ვეფხისტყაოსნის მორალურ ჰუმანიზმისა და პატრიოტიზმის მორალია.

იგივე დაიბეჭდა 1938 წელს წიგნში: „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი, გვ. 29—53.

1752. Геронтий Кинодзо

Член Руставелиевского юбилейного комитета

Грузинские поэты и ученые о новых переводах поэмы Руставели

ფურც. К н и ж н ы е з в о с т и, Москва, 1937, 15 апреля № 7, გვ. 5.

აღნიშნულია, რომ გ. ცაგარლის რუსული თარგმანი ვეფხისტყაოსნისა საერთოდ კარგია, მასში რუსთაველის ძირითადი აზრები სწორადაა გადაცემული და თარგმანი ახლო დგას დედანთან.

1753. ს. ქობულაძე

მხატვარი

სახელოვანი იუბილე

გაზ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 3.

ავტორი გამოთქვამს ალტაცებას ვეფხისტყაოსნით, რომელიც მას როგორც მხატვარს მდიდარ მასალას აძლევს პოემის დასურათებისათვის, რაზედაც ის ამეამად მუშაობს.

1754. ალ. ლლონტო

ნ. მარი და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. კომუნისტი, 1937, 4 სექტემბერი, № 202 (5003), გვ. 3.

ავტორი ახასიათებს აკად. ნ. მარს როგორც მეცნიერული რუსთაველოლოგიის მამამთავარს, მოკლედ მიმოიხილავს მის შრომებს, აღნიშნავს მათ მნიშვნელობას და იძლევა მისი რუსთაველოლოგიური აზრის განვითარების სურათს უმთავრესად პოემის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით.

1755. ა. შანიძე

წინასიტყვაობა

წიგნის: ვეფხისტყაოსანი — ვახტანგისეული გამოცემა 1912 წლის

აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, ტფილისი, 1937, № 411 გვ.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, ეხება პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის შედგენილობა-მნიშვნელობის საკითხს და აღნიშნავს, რომ მისი აღდგენითა და რედაქციის გამორკვევით „შესაძლებელი ხდება რამდენიმე ძირითადი საკითხის გადაჭრა პოემის ტექსტუალური კრიტიკის დარგში“.

ავტორი ეხება ვახტანგისეული გამოცემის ტექსტის მიმართებას ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებთან შედგენილობის თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ „ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის ტექსტი არ წარმოადგენს რომელიმე ძველი ხელნაწერის პირს, უცვლელად დაბეჭდილს, როგორც ამას ზოგიერთები ამტკიცებდნენ, არამედ იგი შემოკლებაა ხელნაწერების ვრცელი რედაქციისა“. ავტორი ზოგადად ახასიათებს ვახტანგისეული გამოცემისათვის დართულ „თარგმანს“ როგორც „ვრცელ გამოკვლევას“ პოემის შესახებ, ეხება მის შედ-

ვენელობას და აღნიშნავს მასში არსებული სალექსიკონო მასალის დიდ მნიშვნელობას ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის.

ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის აღდგენილი გამოცემისათვის ა. შანიძის მიერ დაწერილი საეტიკური ნაკვეთის შესახებ, რომელიც წიგნს ბოლოში ერთვის იხ. ანოტაცია № 1629.

1756. Профессор А. Шанидзе

Чаши Руставелдского юбилейного комитета

Грузинские поэты и ученые о новых переводах поэмы Руставели.

ქუბნ. Книжные новости, 1937, 15 апреля, № 7, გვ. 5.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის გ. ცაგარლის მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანს უპირატესობა აქვს პეტრენკოს და ბალმონტის თარგმანებთან, მაგრამ რითმის გაკეთების საჭიროების ნიდაგზე ისიც შორდება ორიგინალს.

1757. პროფ. ა. შანიძე

„შვითი განძი“

ვახ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი თანდათან ხდება ნაცნობი მსოფლიოს ხალხებისათვის და „ყველანი თავისად სცნობენ ამ იშვით განძს“. ის უკვე ითარგმნება მრავალ ენაზე და მისივე მეშვეობით ქართული კულტურისადმი ინტერესი იზრდება.

იგივე დაიბეჭდა იმავე წელს: ვახ. კომუნისტური განათლება, 30 დეკემბერი, № 122, გვ. 3.

1758. Проф. А. Шанидзе

О редакции „Вечних Ткаосани“

ვახ. Вечерний Тбилиси, 1937, 28 марта, № 73, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობის საკითხს პოემის ხელნაწერების ვახტანგისეულ 1712 წლის გამოცემის ტექსტთან მიმართებით.

1759. დ. შენგელაია

საბჭოთა მწერლობა — მეგრძოლი მწერლობა

ვახ. კომუნისტი, 1937, 31 დეკემბერი, № 300 (510), გვ. 3.

ავტორი რუსთაველის შემოქმედების მოკლე დახასიათებისას აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის გავლენას მთელ მომდევნო ქართულ მწერლობაზე.

1760. Ясыр Шивазя

„Созвездье желчиюс“

ვახ. Советская Киргизия, г. Фрунзе, 1937, 26 декабря, № 297, გვ. 2.

მთელი ნომერი მიძღვნილია რუსთაველისადმი. ავტორი საბჭოთა კულტურის განვითარების მიზმილივაში აღნიშნავს რუსთაველის იუბილეს დიდ მნიშვნელობას და ამბობს, რომ 1937 — 38 წლებში დღენგაიურ ენაზე ითარგმნება შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, რომლის შესავალი უახლოეს ხანში დაიბეჭდება გაზეთ „დუნ ხუროზი“-ში. აღნიშნავს ამ თარგმანზე მუშაობის პირობებს და ზოგადად ეხება რუსთაველის შემოქმედების საკითხებს.

1761. Ю. Штаерман

Гениальный Шота из Рустави

ვახ. Социалистична Харківщина, Харків, 1937, 26 грудня, № 295, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში და მის დიდ მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის. ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის ტრადიციულ ცნობებს, მოჰყავს ხალხური ბიოგრაფია, შოთას განათლებისა და მის მიერ პოემის თამარისადმი მიძღვნის მოტივით.

ეხება რუსთაველის აზროვნების წყარებს და რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას, როგორც მის საფუძველს. იხილავს ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეებსა და მოტივებს მსოფლიო ლიტერატურულ მიმართებაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის ეპოქის შემდეგ საქართველოს ისტორიაში მონღოლების, სპარსელების და ოსმალების შემოსევის შედეგად კულტურული ცხოვრება ფერხდება და მატერიალური დოვლათი ნადგურდება, მაგრამ ქართველმა ხალხმა დღემდე შემოინახა თავისი საყვარელი პოემა.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი თავისი პროგრესული იდეალებით ეხმაურება ჩვენ თანამედროვეობას.

1763. ონოფრე შუშანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ პირადად მოტივები

ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, თბილისი, 1937, № 11—12, გვ. 61—72.

ავტორი არჩევს მიჯნურობის, გმირობისა და მეგობრობის მოტივთა გამოხატულებას ვეფხისტყაოსანში მსოფლიო პოეზიასთან მიმართებაში და სათანადო ილუსტრაციის მოყვანით ცდილობს დაასაბუთოს, რომ რუსთაველი ამ მოტივების გაგებაში განსხვავდება როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის პოეზიაში მიღებული ტრადიციული შეხედულებებისაგან და მთლიანად დამოკიდებულია ძველი ქართული ხალხური წეს-ჩვეულებებისა და რწმენისაგან.

1763. Г. Чиковани

Национальная гордость Грузии

გაზ. Рабочая Москва, 1937, 26 декабря, № 96, გვ. 3.

ზოგადად ეხება საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს, აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში, მის გავლენას ქართულ პოეზიაზე და ახასიათებს პოემას მხატვრული თვალსაზრისით.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველმა ქართული კულტურის ყველა სფეროს დააჩნია თავისი გავლენის კვალი და მისმა პოემამ განსაზღვრა ქართველი ხალხის შეგნება.

1764. მახვილ ჩაქოვანი

ხალხური ვეფხისტყაოსანი

გამოკლევა და ტექსტები

მეორე შეესებული გამოცემა, 1937 წ., სახუნტის გამოცემა

პირველად დაიბეჭდა 1936 წ. იხ. ანოტაცია № 1330. პირველ გამოცემასთან შედარებით შეტანილია მცირეოდენი ცვლილებანი.

1765. Михаил Чиковани

Шота Руставели и грузинский фольклор

ჟურნ. Литературный критик, Москва, 1937, № 4, Апрель, გვ. 231—251.

ავტორი ვეფხისტყაოსანს უწოდებს „ხალხურ პოემას“, აღნიშნავს მის პოპულარობას და იმ ფაქტს, რომ საქართველოში რუსთაველის ვეფხისტყაოსნის პარალელურად არსებობს ხალხური თქმულება იმავე თემაზე „ტარიელიანის“ სახელით, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, რომელთანაც ვეფხისტყაოსანია დაკავშირებული. ამასთან ერთად ხალხში თვით შოთა რუსთაველზე უამრავი ლეგენდა არსებობს.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის ხალხურ ვარიანტებს, რომლებსაც მისი შენიშვნით, ფაბულა ყველას საერთო აქვს, და რომელთა რიცხვი ორმოცამდე აღწევს. ავტორს მოკლედ მოჰყავს ტარიელისანი ცალკეული ადგილები, უპირისპირებს ვეფხისტყაოსანს, გაჰყავს პარალელები და ანალიზს უკეთებს მის ფაბულასა და მოტივებს ამირანიანის, აბესალომ და ეთერის, ტრისტან და იზოლდას ცალკეულ მოტივებთან დაკავშირებით. ავტორის აზრით, შოთა რუსთაველის მოტივები დამოკიდებულია ხალხური პოეზიისაგან. პოეტმა გადაამუშავა ხალხური ამბავი, მხოლოდ მან შეცვალა გმირთა შორის ნათესაობრივი დამოკიდებულება. ხალხურ ამბავში ვეფხისტყაოსნისაგან განსხვავებით შესამჩნევია ტრაგიკული ელემენტი ტრისტან და იზოლდას ამბის მსგავსად. ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის შინაარსს და აღნიშნავს, რომ ის ორი პლანით ვითარდება.

ავტორის დასკვნით, რუსთაველმა თავისი პოემისათვის გამოიყენა ძველი ხალხური თხრობა ვეფხისტყაოსნის თემაზე, მაგრამ შემდეგ თვით ვეფხისტყაოსნის გავლენით ეს თხრობა შეიცვალა და მისი ნამდვილი სახე დაიკარგა.

დასასრულს, ავტორი არჩევს რუსთაველის შესახებ არსებულ თქმულებას და ბოლოში ურთავს ზღაპარს ვეფხისტყაოსანზე: „Сказка о Витязе в тигровой шкуре“. პოემიდან ციტაციის დროს გამოყენებულია ბალმონტის თარგმანი.

იგივე იმავე წელს მციროდენი ცვლილებით და შემოკლებით დაბეჭდილია:

გახ. „Заря Востока“, 14 сентября, № 211, გვ. 3.

გახ. „Комунისტ“, Київ, 26 грудня, № 297, გვ. 3.

კრებ. „Nota Rustaveli“, Вакв, გვ. 56—65, სათაურით: „Nota Rustaveli va გურჯაღი ქარაღქაღღ“.

კრებ.: შოთა რუსთაველი სკოლაში, გვ. 153—195. ამ ქართულ ნაკლევს „შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი“ დართული აქვს დამატება შემდეგი ტექსტებით:

1. რუსთაველთა ნააბზობი. 2. შოთა რუსთაველზე. 3. შოთა რუსთაველის ამბავი. 4. შოთა რუსთაველის ვინაობა. 5. შოთაველი. 6. რუსთაველი და თმოგველი. 7. რუსთაველის ათინიდან დაბრუნება. 8. ჩატომ სთქვა შოთამ „ესე ამბავი სპარსული“. 9. ტარიელის ზღაპარი. 10. ტარიელის მართალი ჭეჭათი“.

ტექსტებს ერთვის მოკლე შენიშვნები ჩაწერის ადგილის, ჩამწერის, მთქმელისა და თარიღის შესახებ.

1766. მიხეილ ჩაქოვანი

შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება

ურნ. მნათობი, 1937, № 12, გვ. 195—219.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურულ მნიშვნელობას, მის დამოკიდებულებას ზეპირსიტყვიერებასთან და რუსთაველის შემოქმედების შესწავლისათვის ხალხური შემოქმედების შესწავლის საჭიროებას. ავტორის აზრით, ქართულ ხალხურ ანდაზებს, თქმულებებს, ლეგენდებს, გამოცანებსა და ზღაპრებს გარკვეული გამოხატულება უპოვიათ ვეფხისტყაოსანში. რუსთაველი ხალხურ საუნჯეს შემოქმედებითად იყენებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ყოველ კუთხეში მოიპოვება ტარიელის ზღაპარი, მოჰყავს მისი ნიმუში და ასახელებს მის ვარიანტებს. დასასრულს ავტორი ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს, მისი სადაურობა-წარმოშობის პრობლემას და მოჰყავს რუსთაველის ბიოგრაფია მესხური ფოლკლორული მასალების მიხედვით.

ნაკლევს ბოლოში დართული აქვს დამატება, რომელშიაც მოცემულია რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მოწყობილი ფოლკლორული ექსპედიციის მასალა შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე:

1. შოთა რუსთაველის ამბავი. 2. შოთა რუსთაველი. 3. შოთა რუსთაველის ვინაობა. 4. შოთას ამბავი. 5. შოთა რუსთაველი. 6. შოთა რუსთაველზე. 7. შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის შეხვედრა ჩორჩანში. 8. სარგის თმოგველი და რუსთაველი. 9. საყვარელი წიგნი. 10. ვეფხისტყაოსანი სიმღერად. 11. ქაჯეთის ამბავი. 12. ტარიელის ზღაპარი.

იმავე წელს წერილი მცირე ცვლილებითა და დამატების გარეშე დაიბეჭდა:

1. ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, თბილისი, № 11—12, გვ. 116—123.

2. ჟურნ. „ჩვენი თაობა“, № 11—12.

3. გაზ. „Правда“, 7 октября № 277.

4. გაზ. „Свѣш Коммуне“ (გორ. 'Небожари, 24 декабр. № 295, გვ. 3. სათაური: „Шოთა Руставели тата ჩაქიჩ თორაქსთი“. ჩუვაშურად დაბეჭდილ ამ წერილში რუსთაველის ცალკეული სტროფები მოყვანილია რუსული თარგმანით.

1767. Михаил Чиковани

Руставели и народ

გაზ. Литературная газета, 1937, 20 декабря, № 69 (705), გვ. 2.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნისა და ხალხური ტარიელიანის დამოკიდებულების საკითხებს და აღნიშნავს ქართული კულტურისა და რუსთაველის შემოქმედების საერთო ხასიათს.

იგივე წერილი იმავე წელს დაბეჭდილია: გაზ. „Janu Dynia“, Simferopol, 26 dekabr, № 296, № 2, სათაური: „Rustaveli vo xalq“.

1768. [მიხეილ ჩიქოვანი]

შოთა რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია

გაზ. კომუნისტი, 1937, 4 სექტემბერი, № 202, გვ. 3. იგივე იმავე წელს: გაზ. „Воспримъ Тѣмълихъ“, 3 септембръ, № 204, გვ. 4; ჟურნ. „მნათობი“, № 11.

ავტორის ცნობით შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორულ სექციაში მუშავდება და დასაბეჭდად მზადდება მესხეთ-ჯავახეთში ფოლკლორული ექსპედიციის მიერ მოპოვებული მასალები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის დადგენა. ავტორის აღნიშვნით. მასალებში მოიპოვება 70 ბიოგრაფიული ტექსტი და ვეფხისტყაოსნის 15 ხალხური ვარიანტი.

ავტორი მოკლედ აღწერს თითოეულ ტექსტს, უკეთებს შენიშვნებს ჩაწერის ადგილისა და მთქმელის ვინაობის აღნიშვნით და მოჰყავს რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის ერთ-ერთი ვარიანტი.

1769. Михайло Чиковани

Всенародне свято

გაზ. Білшовик, Вечірна газета, Київ, 1937, 21 грудень № 292, გვ. 3.

შთელი გვერდი მიძღვნილია რუსთაველისადმი წარწერით: Гениальний поет грузинского народу.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს პოეტის ახლო კავშირს ხალხთან და მის პოპულარობას.

ეხება რუსთაველის იუბილესათვის მიმდინარე სამზადისს და განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის დარგში წარმოებულ მუშაობაზე.

1770. М. Чиковани

Прославленный народом

გაზ. Вісті, 1937, 23 грудень, № 291, გვ. 3.

წარწერა შთელ გვერდზე: 750-річний ювілей Шота Руставелі

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის პოემა განუყრელადაა დაკავშირებული ხალხურ შემოქმედებასთან და მოკლედ მიმოიხილავს ხალხური ვეფხისტყაოსნის—ტარიელიანის გავრცელებას საქართველოს რაიონებში და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ რუსთაველმა ისარგებლა ხალხური ტარიელიანით.

Великий юбилей

გაზ. Сталинградская Правда, 1937, 26 декабря, № 296, გვ. 3.
წერილს აქვს შენიშვნა: Статья организована редакцией „Заря Востока“ для „Сталинградской Правды“.

დასაწყისში ავტორი ეხება რუსთაველის იუბილეს მიმდინარეობას საბ. კოთა კავშირში, მის სახალხო ხასიათს, რუსთაველის პოემისა და მისი გმირების პოპულარობას, მსოფლიო მნიშვნელობას და მის დიდ გავლენას ქართულ მწერლობაზე. ავტორი შენიშნავს, რომ ხალხური და პიროვნული შემოქმედება ვეფხისტყაოსნის თემაზე ერთმანეთს ფარავს, რითაც აიხსნება უამრავი ხალხური ვარიანტის არსებობა ტარიელის სახით. ავტორის შენიშვნით, რუსთაველმა ძირითადად ხალხური მასალა გამოიყენა თავისი პოემისათვის.

დასასრულს, ავტორი ეხება რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ გამოფენას, რომელზედაც ფართოდაა ნაჩვენები რუსთაველის ეპოქა.

1772. შიხ. ჩიქოვანი

„ვეფხისტყაოსნის“ სურათები ხალხურ მუსიკალურ საკრავებზე

გაზ. კომუნისტი, 1937, 28 ივლისი, № 171 (4972), გვ. 4

ავტორი მოკლედ ეხება ჯაგაბეთში რუსთაველის სახელობის ინსტიტუტის მიერ მივლინებული ფოლკლორული ექსპედიციის მუშაობას რუსთაველის ეპოქისა და მისი ბიოგრაფიისათვის მასალების შეგროვება-შესწავლის მიზნით და აღნიშნავს, რომ მესხეთ-ჯაგაბეთში გავრცელებულ მუსიკალურ საკრავთა შორის ყველაზე ხშირად ვხვდებით დაირას, რომელზედაც მოიპოვება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტიდან აღებული სურათები. ავტორი აღწერს ივანე აზარაშვილის ნაქონ ერთ ასეთ დაირას ტარიელის სურათით, რაც, მისი დასკვნით, იმის საკმაო საბუთია, რომ ვეფხისტყაოსნის ლექსი სიმღერით სრულდებოდა.

1773. მ. ჩიკოვანი

Рассказ сказителей из села Рустави

გაზ. Заря Востока, 1937, 3 октября, № 227, გვ. 3.

ავტორს მოჰყავს სოფელ რუსთავეში ჩანაწერი პატარა თქმულება ქალაქ რუსთავეის ძველი მდებარეობის, რუსთაველის დაბადების და აღზრდის შესახებ.

1774. შიხ. ჩიქოვანი, ვლ. ასათიანი, შიხ. ჩხენკელი,

ალ. ლლონტი, ალ. ჩავლეიშვილი

შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება

გაზ. კომუნისტი, 1937, 4 ივლისი, № 151, გვ. 3.

ავტორები აღნიშნავენ ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მის მნიშვნელობას ქართული კულტურის ისტორიაში, რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებსა და იდეალებს და ზეპირსიტყვიერი ვეფხისტყაოსნის გავრცელების ტრადიციას.

ავტორები მოკლედ ახასიათებენ ხალხური ტარიელის ვარიანტების მიმართებას ვეფხისტყაოსანთან, მოჰყავთ ლეგენდა რუსთაველის შესახებ და აღნიშნავენ მის მნიშვნელობას შოთა რუსთაველის შემოქმედების უკეთ შესწავლისათვის.

1775. სიმონ ჩიქოვანი

ვეფხისტყაი რუსთაველის პოემაში

გახ. კომუნისტი, 1937, 6 ოქტომბერი, № 229, გვ. 3.

ავტორი ეხება ეპოსებში გმირთა ტყაუებით შემოსვის საკითხს და აღნიშნავს, რომ „ტარიელისათვის ვეფხისტყაი მინც უბრალო სიმბოლო კი არ არის სიყვარულისა, არამედ ნაწილი, სახეობა თავის მიჯნურისა“, რის საილუსტრაციოდ არჩევს სხვადასხვა ეპიზოდს და მოჰყავს სათანადო მაგალითები.

1776. სიმონ ჩიქოვანი

სიყვარული, მეგობრობა და გმირობა „ვეფხისტყაოსანში“

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 26 დეკემბერი, № 32 (54), გვ. 2—3.

30 დეკემბერი, № 33 (55), გვ. 5—6.

იგივე: ჟურნ. „ჩვენი თაობა“, № 11—12, გვ. 78—80.

გახ. „საბჭოთა აფხაზეთი“, სოხუმი, 24 ნოემბერი, № 66, გვ. 3—4.

ავტორი წერილს იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ქართველი სამღვდელთა ვეფხისტყაოსანს არაერთხელ სწვადა და ჰყრიდა მტკვარში, და ეხება რუსთაველის შემოქმედების მთავარ მოტივებსა და მხატვრობის საკითხებს. ავტორი ზოგადად აღნიშნავს რუსთაველის მიუწვდომელ ადგილს, პოპულარობასა და მნიშვნელობას ქართულ პოეზიაში და საერთოდ ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ქართველი ხალხისათვის უფრო ახლობელი იყო, ვიდრე ძველი და ახალი აღთქმა; ხაზს უსვამს რუსთაველის იდეების პროგრესულობასა და მისი შემოქმედების რეალიზმს.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში გამოხატულ იდეალებს — სიყვარულსა და მეგობრობას და შენიშნავს, რომ სიყვარული რუსთაველის შემოქმედებაში რეალისტურ ხაზებშია მოცემული. რუსთაველმა ასახა ხალხის ცხოვრება რეალისტურად, მეგობრობის, სიყვარულისა და რაინდული მამაცობის საერთო საკაცობრიო იდეალებით. რუსთაველმა პოეტურ სახეებში გამოხატა თავისი ეპოქის საუკეთესო აზრები და გრძნობები. მასში დიდი სიბრძნე შერწყმულია გადმოცემის ოსტატობასთან, რის გამოც ის ემსახურება ადამიანის ზნეობრივ და ესთეტიკურ გრძნობათა აღზრდას. რუსთაველის პოეტურ ოსტატობაში შეერთებულია ლირიკული და ეპიკური ფორმა, რასთანაც რუსთაველი აკავშირებს პოემის ფილოსოფიურ საფუძვლებს. რუსთაველის შემოქმედებაში დრამატულ სცენას ცვლის ლირიკული მონოლოგი, მონოლოგს ჰყვება სიმღერები.

ავტორი ახასიათებს პოემის მთავარ გმირებს, ქალისა და კაცის დამოკიდებულებას და აღნიშნავს, რომ რუსთაველი ერთმანეთთან ამეგობრებს სხვადასხვა ქვეყნის გმირებს საერთო საქმისათვის, რომლის მიზანია მსოფლიო ბოროტების დაძლევა. ავტორი არჩევს პოემის ცალკეულ ეპიზოდებს რუსთაველის მხატვრული მეთოდის ნათელსაყოფად, მაგ., ლომ-ვეფხისტყაოსანის ბრძოლას და სხვ.

ავტორის შენიშვნით, რუსთაველი ჰუმანიზმის ქადაგებაში უსწრებს დიად იტალიელებს. რუსთაველის შემოქმედებაზე კეთილსასურველი გავლენა ჰქონდა XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურსა და კულტურულ მდგომარეობასა და საზოგადოებრივ ყოფას, რომელსაც მან თავისი მოწინავე იდეალების ქადაგებით გაასწრა.

ავტორის შენიშვნით, გარეგნობის დახატვაში რუსთაველი არაბულ-ირანული ტრადიციებიდან მოდის. რუსთაველის პოემაში მელანდრება არაბული და ბიზანტიური სამხედრო ხელოვნების ცოდნა. რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში ასახა ქართული რაინდობის მატერიალური და სულიერი კულტურის იდეალები. რუსთაველის გმირები მიმართავენ ცის მნათობებს ისე, როგორც დანტეს სამოთხეში. ორივე პოეტში გმირის სახე კოსმოსურ გარემოცვაშია მოცემული. მათი გმირები საერთო-საკაცობრიო სიმართლისათვის იბრძვიან. რუსთაველის პოემას ძირითად ხაზად გასდევს კეთილი საწყისის ბოროტზე გამარჯვების იდეა. პოემას ამთავრებს სიყვარულისა და მეგობრობის გამარჯვება ბნელ ძალებზე, რითაც რუსთაველმა გამოხატა თავისი ეპოქის საუკეთესო აზრები და გრძნობები.

იგივე, იმავე წელს მთრეოდენი ცულილებით დაიბეჭდა—უკრაინულად: Любость, дружба, героизм, გახ. „Вісті“, 18 грудень, № 289, გვ. 3.; რუსულად: Любовь, дружба, героизм, გახ. „Правда“, 26 декабря, № 206, გვ. 3.; Дружба, любовь и героизм в поэме Руставели, გახ. „Бакинский рабочий“, 26 декабря, № 298, გვ. 2; Любовь, дружба, отвага, გახ. „Заря Востока“, 26 декабря, № 296 (4317), გვ. 3.

1777. СИМОН ЧИКОВАНИ

Председатель поэтической секции ССР Грузии

Грузинские поэты и ученые о новых переводах поэмы Руставели

გურბ. Книжные новости, Москва, 1937, 15 апреля, № 7, გვ. 5.

ავტორი მოკლედ ახასიათებს გ. ცაგარლის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანს და აღნიშნავს, რომ, რამდენადაც მთარგმნელმა პოემის ორიგინალის ენა იცის, მან უფრო მეტად მოახერხა ახლო მდგარიყო ორიგინალთან, მაგრამ არც მისი თარგმანია აღდექათური.

1776. СИМОН ЧИКОВАНИ

Властелин дум грузинской поэзии

გახ. Литературная газета, 1937, 26 декабря, № 70, გვ. 2

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველი ჯერ კიდევ გამოსაცნობი და გასახსნელია და ეხება ქართული მწერლობის დამოკიდებულებას რუსთაველთან, ვეფხისტყაოსნის ხალხურობას და მის გავლენასა და გამოხატულებას მთელ ქართულ მწერლობაში.

1779. С. ЧИКОВАНИ И М. РЫЛЬСКИЙ

Поэма Руставели на украинском языке

გახ. Литературная газета, 1937, 30 июля, № 35, გვ. 6.

აღნიშნულია მ. ბაეანის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის უკრაინული თარგმანის დიდი ლიტერატურული მნიშვნელობა. ბაეანს მოსაზრდებელი მუშაობა დაუწვია 1929 წლიდან. მათი აზრით, ბაეანის თარგმანი არის პირველი პოეტური თარგმანი, ქუშმარიტად ახლო მდგომი ორიგინალთან-ბალმონტის თარგმანში პოემას ზღაპრული ხასიათი მიეცა და მისი ფილოსოფიური კონცეფცია გაუბრალოვდა.

პოემის განხილვისას, ავტორები შენიშნავენ, რომ ავთანდილი გამოხატავს რუსთაველის ფილოსოფიურ იდეებს. ბაეანის თარგმანში შენარჩუნებულია როგორც აზრთა სისწორე, ისე პოეტური გადმოცემა. მოყვანილია რამდენიმე მაგალითი:

Що зберіг—зручиш навіки,
Що розлуз—твое до гроба...

ბაეანმა დასძლია აგრეთვე ქართული ლექსის ელერადობის შენარჩუნების ამოცანა უკრაინულ თარგმანში.

В эпоху Руставели

გაბ. Вечерний Тбилиси, 1937, 23 июня, № 141, გვ. 3.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ნაშთებს საქართველოში და მოკლედ ახასიათებს მათ რუსთაველისადმი მიძღვნილ გამოფენაზე ზოგი ამ ძეგლის ექსპონირებასთან დაკავშირებით.

1781. В. Чичеров

Шоша Руставели — великий грузинский поэт

გაბ. Большевикский призам, г. Рубиновск, 1937, 27 декабря, № 107, გვ. 3.

ავტორი შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის ხალხების კულტურისათვის და მოკლედ მიმოიხილავს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხებს და მის ეპოქას. ეხება ვეფხისტყაოსნის ფაბულას, მის მთავარ გმირებს, მოტივებს და მოკაყვს ვეფხისტყაოსნიდან სანიმუშოდ რამდენიმე აფორიზმი. პოემის საერთო დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს მის ხალხურობას, პოპულარობასა და მისი იდეალების პროგრესულობას, რითაც ვეფხისტყაოსანი ეხმაურება ჩვენს თანადროულობას.

ოგივე წერილი მცირედენი ცვლილებებით დაიბეჭდა იმავე წელს:

გაბ. «Колхозная жизнь», г. Казань Алашайского края, 24 декабря, № 121, გვ. 3. ქვედურა, 5 სვეტი.

გაბ. «Коммуна», г. Калуга, 24 декабря, № 295, გვ. 3, ქვედურა, 3 სვეტი.

გაბ. «Звезда Алтая», г. Байск, 26 декабря, № 180, გვ. 2, ქვედურა, 5 სვეტი.

ბაშკირულად: V. Cicerov, *Шоша Руставели грузинский поэт* *Халқын бейек шагире*, გაბ. «Ural bolşevige». Dekabr 23, № 112, გვ. 2—3. (რუსული ქვეტიტული: Областная башкирская газета «Урал большевисте», Челябинск).

თათრულად: გაბ. «Stalincın», 25 Dekabr, № 281, გვ. 2 (რუსული ქვეტიტული: Ежедневная татарская газета «Сталинче». г. Нариманово, Сталинградской области).

1782. ვ. ჩკალოვი

საბჭოთა კავშირის გმირი

საბჭოთა კავშირის მოწინავე აღმანების აზრი შოთა რუსთაველის შესახებ

გაბ. კომუნისტი, 1937, 23 დეკემბერი, № 293, გვ. 3.

ვ. ჩკალოვი რუსთაველის ზოგად დახასიათებაში შენიშნავს, რომ რუსთაველმა კაცობრიობა გაამდიდრა უკვდავი ნაწარმოებით, რომელიც მიუხედავად სიშორისა მახლობელი და ძვირფასია ჩვენთვის*.

1783. მ. ჩხენკელი

ხალხური ვეფხისტყაოსანი

გაბ. კომუნისტი, 1937, 26 აპრილი, № 95, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას მ. ჩიქოვანის წიგნზე «ხალხური ვეფხისტყაოსანი» (თბ. სახ. უნივერსიტეტის გამოცემა, 1937 წ.). ავტორი აღნიშნავს, რომ აკად. მარმა შექმნა რუსთაველოლოგია და მიაქცია ყურადღება ვეფხისტყაოსნის ხალხურ ძირებს. საკითხის ისტორიის მიმოხილვაში აკრიტიკებს პროფ. ალ. ხახანაშვილს, როგორც გულუბრყვილოს და მასთან ვაფა-ფაველას შეკამათებას.

ავტორის შენიშვნით, მ. ჩიქოვანის ძირითადი დებულება შემდეგია: ხალხში არსებობდა ტარიელიანის არაკი, რომელიც რუსთაველმა გამოიყენა, გარდაქმნა და სრულყოფილ პოემად აქცია. ავტორი არ ეთანხმება მ. ჩიქოვანს იმაში, თითქოს რუსთაველმა მთოლოგიურ-სავაგირო ტარიელიანის ვარიანტის საფუძველზე შექმნა ვეფხისტყაოსანი. მის ლირებულ მიაჩნია, რომ შრომაში აღნიშნულია რუსთაველის კავშირი ხალხურ შემოქმედებასთან.

შოთა რუსთაველი

ჟურნ. *Красная новь*, 1937, январь, № 1, გვ. 60.

წერილი წარმოადგენს შესავალს ავტორის მიერ შესრულებული ვეფხის-ტყაოსნის რუსული თარგმანისათვის, რომელშიაც მოკლედ აღნიშნულია პოემის მნიშვნელობა, შოთა რუსთაველის იუბილეს სამზადისი, მთავრობის დადგენილება რუსთაველის იუბილეს ჩასატარებლად, რომელმაც გააცხოველა ინტერესი მისი შესწავლისადმი.

დასასრულს, ავტორი ეხება მის მიერ თარგმანზე ჩატარებულ მუშაობას.

1785. სოლ. ცაიშვილი

“*გოგიერთი ცნობა - ვეფხისტყაოსნისა*” მეორე რედაქციის მუშაობიდან

ჟურნ. *კომუნისტური აღზრდისათვის*, 1937, № 12, გვ. 124 — 128.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის დევნას სამლედლოების მიერ, პოემის ტექსტის პირველ გამოცემებს და აღნიშნავს, რომ ტექსტის გამოცემები 1887 წლამდე უმთავრესად იმეორებდნენ ვახტანგის 1712 გამოცემას. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დაზღვევის კომისიის მუშაობას 1888 წლის გამოცემისათვის, რომელსაც მეორე რედაქციას უწოდებს. ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი ამ კომისიის მუშაობის მიზნის შესახებ („დროება“, 1880, № 241) და ქართველი საზოგადოებისადმი გ. ორბელიანის ხელმოწერით მიმართვა (№ 242) ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა მოგროვებაში დახმარების აღმოსაჩენად. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს იონა მეუნარგიას ავტობიოგრაფიიდან ცნობები პარიზში ყოფნის დროს ვეფხისტყაოსანზე ტექსტოლოგიური მუშაობის წარმოების შესახებ.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენად პირველი კომისიის მიერ 29 ხელნაწერის მოპოვებას, შემწირველთა გვარებს, მუშაობის გეგმას, კომისიის მონაწილე წევრებს, მუშაობის მიმდინარეობას და მხატვარ ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების გაჩეთების პირობებს.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ქართველიშვილის ნიერ ავ გამოცემისათვის 10.000 მანეთის ვალებას, მის შესახებ ქართული პრესის გამომხმურებას და 1888 წლის გამოცემის განხორციელებას.

1786. ილ. ცერცვაძე

სამზითო „ვეფხის ტყაოსანი“

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1937, 24 დეკემბერი, № 293, გვ. 3.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის სამზითოდ ვატანების ტრადიციებს საქართველოში და აღნიშნავს, რომ პოემის მრავალი ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, მზითვის საგანი იყო. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ლიტერატურული ცნობები ვეფხისტყაოსნის გამზითვის შესახებ და ხალხური ლექსები ამ მოტივზე.

1787. ილ. ცერცვაძე, დავ. გამეზარდაშვილი

„ვეფხის ტყაოსანი“ და სამლედლოება

გახ. მუშა, 1937, 28 დეკემბერი, № 298 (4499), გვ. 2.

ავტორები აღნიშნავენ, რომ ვეფხისტყაოსანი, როგორც დიდი პოეტური ქმნილება, სამლედლოებისაგან იღვენებოდა და რომ „არა ერთი და ორ ხელნაწერი და ნაბეჭდი გამოცემა გამხდარა ამ სისაძვალის მსხვერპლი“. ამის საილუსტრაციოდ ავტორებს მოკლედ მოჰყავთ პლ. იოსელიანისა და ევგენი მიტროპოლიტის ცნობები ანტონ კათალიკოსის მიერ პოემის დევნა-განადგურების შესახებ.

1788. პ. ცინცაძე

რუსთაველის ღრის ფილოსოფიური აზროვნება და „ვეფხისტყაოსანი“

ვახ. კომუნისტი, 1937, 15 სექტემბერი, № 211, გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებას რუსთაველამდე მისი ძირითადი იდეების მწერლობასა და პოეზიასთან დაკავშირებით. ეხება რუსთაველის წინამორბედებს, უჩვენებს ზოგ პარალელს მათ შორის და აღნიშნავს, რომ „რუსთაველი რელიგიურ და ნეოპლატონისტურ-მისტიკური მსოფლმხედველობის მიმართ არავითარ დათმობაზე არ მიდის“, „რუსთაველი მტკიცედ სდგას ფილოსოფიური მონიშნის საფუძველზე“, მასში შერწყმულია ფილოსოფიური სიბრძნე და დიდი მხატვრული ოსტატობა.

1789. ი. ძერუინსკი

კომპოზიტორი, ირლენდის

ვახ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო საკაცობრიო მნიშვნელობას. მისი სიტყვით, „ვეფხისტყაოსანი — ეს განსაკუთრებით შალაღი ხელოვნების ქემშარიტი პოეზიაა. პოემის თვითმული ტაეპი გარკვეულ სახეს უკავშირდება“.

1790. ვ. წულუკიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი რუსული თარგმანი

ვახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 30 იანვარი, № 2, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნის საერთო მდგომარეობას, იხილავს ეპოსის თარგმნის პრინციპებს და მათ მიხედვით არჩევს პეტრენკოს მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანს სათანადო ილუსტრაციების მოტანით ქართულ-რუსულ ენებზე.

ავტორის საერთო დასკვნით, ვეფხისტყაოსნის პეტრენკოს მიერ შესრულებული რუსული თარგმანი წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს რუსთაველის რუსულად თარგმნის საქმეში.

1791. ვ. წულუკიძე

მასალები რუსთაველის ბიოგრაფიისათვის

ვახ. კომუნისტი, 1937, 6 მარტი, № 53, გვ. 4.

ავტორი ეხება ნ. ნათენაძის მუშაობას შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ახალი მასალების გამოვლინებისათვის და მოკლედ გადმოცემს მის ძირითად მოსაზრებებს პოეტის ბიოგრაფიის ზოგი საკითხის ახლებურად გაშუქებაში. ავტორის შენიშვნით, ნ. ნათენაძის მასალების მიხედვით უფრო მყარი საფუძველი ეძლევა შოთა რუსთაველის მესხობას, ვეფხისტყაოსანში მესხური კილოს სიქარბეს და მოსაზრებას, რომ შოთა იყო ჩახრუხას ძე.

1792. ვ. წულუკიძე

სსრკ-ის მწერალთა კავშირის მე-5, რუსთაველისადმი მიძღვნილი პლენუმის შედეგები

ფურც. ბოლშევიკი, 1937, № 12, გვ. 72 — 89.

წერილი წარმოადგენს მოკლე ანგარიშს, რომელშიაც მიმოიხილულია შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი სსრკ-ის მწერალთა კავშირის მე-5 პლენუმის მიმდინარეობა. ავტორს მოჰყავს მოხსენებებისა და გამოსვლების მოკლე ამონაწერები, აღწერს პლენუმის საქმიანობას და აღნიშნავს მის მნიშვნელობას რუსთაველოლოგიის განვითარებისათვის. დასასრულს ავტორი მოკლედ ეხება ძველი ქართული კულტურის აღმავლო-

ბას, მის ურთიერთობას მსოფლიო კულტურის ცენტრებთან, რუსთაველის გავლენას ქართულ მწერლობაზე, აღნიშნავს მის პროგრესულობას, აჯამებს პლენუმზე მოსმენილ მოხსენებებს და რუსთაველის შესწავლა-პოპულარიზაციისათვის დასახულ ღონისძიებებს.

1798. ილია ჭავჭავაძე

აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“

გახ. კომუნისტი, 1937, 6 მაისი, № 102, გვ. 3—4, ქვედურა, 12 სვეტად.

სათურის სკოლითში აქვს რედაქციის შენიშვნა: „სტატია დაწერილია 1887 წელს. იგი მრავალმხრივად საყურადღებოა: აშუქებს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ პრობლემას და არკვევს თვით ილიას ერთობ. საინტერესოა შეხედულებას შოთა რუსთაველის გენიოსურ კმნილებაზე. სტატიას ვაქვეყნებთ შოთასა და ილიას იუბილეებთან დაკავშირებით“.

ავტორი გადმოცემს აკაკის მიერ ვეფხისტყაოსანზე წაკითხული ლექციის ძირითად შინაარსს. მისი სიტყვით, აკაკის ლექციის ერთერთი მთავარი თეზა ისაა, რომ „რუსთაველმა გამოსახა თავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის ქართველი“.

იხ. ვრცელი ანოტაცია წერილის პირველ პუბლიკაციასთან № 313.

1794. ალ. ჭეიშვილი

რუსთაველის სადაურობა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის მიხედვით

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 1 მარტი, № 5, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შესახებ არსებული ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს და მიიჩნია, რომ ხალხურ თქმულებათა კარგად შესწავლას შეუძლია მნიშვნელოვნად შეავსოს ეს ნაკლი. ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს ნ. ნათენაძის ნაშრომს „შოთა რუსთაველის სადაურობა „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის მიხედვით“ და აღნიშნავს მის მთავარ დებულებებს.

1795. ს. ჭილაია

ილია ჭავჭავაძე რუსთაველის შესახებ

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 26 დეკემბერი, № 32, გვ. 4.

ავტორი შენიშნავს, რომ „თითქმის არ შეიძლება დასახელებულ იქნას ილიას მოთხრობა, პოემა, ლექსი თუ წერილი, სადაც ის რუსთაველის სახელს დიდის მოწიწებით არ იხსენიებდეს“ და მიმოიხილავს ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს სპეციალური წერილებისა თუ შენიშვნების, უმთავრესად კი ვეფხისტყაოსნის გმირების შესახებ აკაკი წერეთლის ლექციების საპასუხოდ დაწერილი სტატიის მიხედვით.

1796. კ. ჭიქინაძე

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

გახ. კომუნისტი, 1937, 24 დეკემბერი, № 294, გვ. 3.

ავტორი მოკლედ იხილავს რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს, მოჰყავს ხალხური თქმულებები მის შესახებ, ეხება თამარის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებას, ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, არჩევს პოემის მთავარ მოტივებსა და გმირებს, აღნიშნავს პოემაში გამოხატული იდეალების პროგრესულობასა და მნიშვნელობას მსოფლიო კულტურულ მოძრაობასთან მიმართებით და ხაზს უსვამს პოემის ხალხრობას, რამაც, მისი აზრით, განაპირობა პოეტის პოპულარობა საქართველოში. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი ირანულ ლიტერატურაში ცნობილი რომ ყოფილიყო, უთუოდ მის გადამღერებას შეეცდებო-

დნენ. მისი აზრით, „ირანული ლიტერატურის გავლენა რუსთაველის შემოქმედებაზე უდავო ფაქტია“, რის დადასტურებასაც ხედავს ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში, წერის მანერაში, მდიდარი მეტაფორებისა და სენტენციების აღმოსავლურობაში.

რუსთაველი მსოფლმხედველობით განსხვავდება მუსლიმანური აღმოსავლეთის პოეტებისაგან. რუსთაველი გაცილებით უფრო რთულ სიუჟეტსა და რომანის სიტუაციებს ქმნის. ავტორი აღარებს რუსთაველისა და ფირდოუსის მთავარ გმირებს და აღნიშნავს მათ განსხვავებას. რუსთაველი, მისი აზრით, არის დიდი ჰუმანიტარული ეპოქის წინამორბედი, რომელმაც კაცობრიობა შუასაუკუნეობრივი წყვდიადიდან გამოიყვანა. რუსთაველი ინდიფერენტულად უტკერის ყოველგვარ რელიგიის გარეგან წესებს. რუსთაველი საზოგადოდ გვერდს უვლის ყოველდღიურობის საკითხებს. ის ცდილობს გვიჩვენოს ასახული მოვლენების მთავარი მხარეები. მსოფლმხედველობის თვალსაზრისით რუსთაველი არ არის რომელიმე განსაზღვრული ფილოსოფიური მიმართულების გამტარებელი.

ვეფხისტყაოსნის მხატვრულ დახასიათებაში ავტორი აღნიშნავს მის გმირთა გრძნობების სიძლიერესა და სიღრმეს, პოემის წარმტაც ფაბულას, სიუჟეტის ოსტატურ დამუშავებას, ლექსის ბრწყინვალე ფორმას და იმ თავისებურებებს, რაც, მისი აზრით, რუსთაველს განასხვავებს ჰომეროსის თხზულებებისა და ნიბელუნგებისაგან. მისი შენიშვნით, პოემის მთავარი გმირი ტარიელია. ავტორი ახასიათებს რუსთაველის შეხედულებას პოეზიასა და სიყვარულზე, იხილავს მისი პოეტიკის თეორიას და მის აფორიზმებში გამოხატულ შეხედულებებს. მისი შენიშვნით, რუსთაველი ლექსისა და მეტაფორის დიდი ოსტატია. ის დიდ ყურადღებას აქცევს ლექსის მუსიკას. მან შეხოტბეების გაცვეთილი და მალაღმარდოვანი სტილი შეცვალა სადა სტილით და გააბატონა შაირის საზომი. რუსთაველმა გაამარტივა თავისი დროის პოეტური ენა.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს და პოემის ტექსტის მთავარ პუბლიკაციებს.

ეს ნარკვევი იმავე წელს მცირეოდენი რედაქციული ცვლილებებით დაიბეჭდა ჟურნალ-გაზეთებში ქართულ, რუსულ, უკრაინულ, ყაზახურ ენებზე:

1. ჟურნ. „ჩვენი თაობა“, № 11 — 12, გვ. 49 — 68.
2. ჟურნ. „Новый Мир“, Литературно-художественный и общественно-политический журнал, Москва, 1937, книга двенадцатая, декабрь, გვ. 254 — 262, სათაური: «Ишота Руставели и его поэма».
3. გაზ. «Бильшовики», Вечерняя газета, Киев, 21 грудня, № 292, გვ. 3, სათაური: «Ишота Руставели і його поезма».
4. ჟურნ. «Әдебиет мајданы», Alma-Ata, dekabr, № 12, გვ. 72 — 80. რუსული-ქვეტი-ტული: «Адебиет майданы, Орган Союза советских писателей Казахстана. ტექსტში ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფები ციტირებულია ყაზახური თარგმანით.

1797. კონსტანტინე ჰიჭინაძე

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1937, 30 იანვარი, № 2, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას საქართველოში, მისი გაცნობის მდგომარეობას მსოფლიო ლიტერატურულ საზოგადოებრიობაში, მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულ და უცხო ენებზე თარგმანის საკითხს და სპეციალურად ჩერდება პეტრენკოს მიერ შესრულებულ თარგმან-

ხე. მისი შენიშვნით, პეტრენკოს თარგმანის მთავარი ღირსებებია: სტროფების აგება ერთ რითმზე დედნის თანაბრად, მეტაფორებისა და აფორიზმების მოხერხებული ათვისება, მოთხრობის ნათელი და მკაფიო გადმოცემა, დიდი სიახლოვე დედანთან, რუსთაველის მღელვარე ტონის, მისი ემოციური ნაკადის დაქვერვა.

1796. Константин Чичинадзе

Руставели в переводе П. Петренко

გაზ. Литературная газета, 1937, 10 июня, № 31, გვ. 4.

იგივე: გაზ. „Заря Востока“, 28 декабря, № 298, გვ. 2.

ავტორი ახასიათებს რუსთაველის ლექსს, აღნიშნავს მის მეტაფორულ თავისებურებებს, მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის ისტორიულ ვითარებას, სპეციალურად აჩვენებს პეტრენკოს მიერ შესრულებულ რუსულ თარგმანს ბალმონტის თარგმანთან მიმართებით და ასკვნის, რომ პეტრენკოს თარგმანი უფრო სრულყოფილია. ავტორს საკუთარ შემთხვევაში საილუსტრაციოდ მოჰყავს მაგალითები პეტრენკოს და ბალმონტის თარგმანებიდან.

1799. Константин Чичинадзе

Певец любви и благотворства

გაზ. Харьковский рабочий, 1937, 30 декабря, № 301, გვ. 3.

ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიას (და აღნიშნავს მის დიადობას, პოპულარობას და გავლენას ხალხის ზნე-ჩვეულებაზე. მიმოიხილავს პოემის მთავარ იდეალებს და მოჰყავს რამდენიმე აფორიზმი. ავტორი შენიშნავს, რომ პოემა ვარიანტების საბით ცხოვრობს საქართველოს რაიონებში. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის გამორჩევა მომხიბლავი ფაბულით, რაც მას საინტერესო საკითხავად ხდის. ორი კულტურის—აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეჯვარდინებამ გამოხატულება პოემა ამ პოემაში, რამაც საშუალება მისცა რუსთაველს ხალხთა ურთიერთობის ფართო პორტიონტი გადაეშალა. პოემა ხასიათდება გამოსახვის საშუალებათა სიმდიდრით, რაც მას აყენებს უცვლელ ხალხებისა და დროის პოეტთა რიგში.

1800. К. Чичинадзе

Вымысел и безграмотность

О книге Л. Дандурова

ჟურნ. Литературное обозрение, 1937, 25 декабря, № 24, გვ. 25.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას დ. დანდუროვის წიგნზე «Шота Руставели», რომელიც 1937 წელს დაიბეჭდა სერიაში: „Жизнь замечательных людей“.

ავტორი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ რუსთაველზე არავითარი ისტორიული ცნობები არ მოიპოვება და როგორ შეძლო დ. დანდუროვმა მის ბიოგრაფიაზე ორასგვერდიანი წიგნის დაწერა. ავტორის დასაბუთებით, დანდუროვის ჰიპოთეზა, თითქოს რუსთაველმა თავისი პოემის გმირებში საკუთარი პიროვნება და თავისი თანამედროვენი გამოხატა, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. დასასრულს ავტორი დანდუროვის წიგნს უწოდებს: «...оскорбительную для памяти Руставели пустую, легкомысленную книгу, полную передержек и неточностей».

Шота руставели

გაბ. Більшовик, г. Чернівці, 1937, 21 березня, № 65, გვ. 3, ქვედურა, 15 სვეტი.
 ავტორი აღნიშნავს, რომ არავითარი ცნობები არ შენახულა პოეტის ბიოგრაფიისათვის. მხოლოდ თვით პოემა იძლევა მასალას მისი პიროვნების შესახებ და მიმოიხილავს სათანადო სტროფებს. ავტორი აღნიშნავს, რომ პოეტმა მხოლოდ სიკვდილის შემდეგ გაითქვა სახელი. ეხება ალორძინების ხანის მწერლობაში რუსთაველის მოხსენიების ისტორიას. აღნიშნავს რუსთაველის მეტყველების აფორისტულობასა და მეტაფორულობას. ეხება მის პოეტიკას, ვერსიფიკაციას, ადარებს მის რითმულ ოსტატობასა და ლექსიკის სიმდიდრეს დანტესას, ანალიზს უკეთებს შაირის ლექსს.

დასასრულ ავტორი აღნიშნავს მის სიდიადეს, ეპოქალურ მნიშვნელობასა და ღირებულებას.

1602. Константин Чичинадзе

Великий народный поэт

ეურნ. Зинаида, Москва, 1937, № 12, გვ. 175 — 177.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობების უქონლობას და მოკლედ მიმოიხილავს წერილობით წყაროებს. აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას საქართველოში. ეხება პოემის ძირითად იდეებს და მოტივებს. ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველი თავისი სენტენცია აფორიზმებით ახლოსაა ხალხთან. მოკლედ იხილავს პოემას, მის ურთიერთობას ფოლკლორთან, ეხება პოემის მოქმედების გეოგრაფიულ არეს, ვეფხისტყაოსნის ეკლესიურ დევნას და დასასრულ აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვა აღმოსავლურ-დასავლურ კულტურათა შეჯვარდინებამ.

1603. S. X.

Shota Rustaveli aqşamı teşkil, atlandırılmadı

გაბ. Жань Дуня, Simferopol, 24 dekabr, № 295, გვ. 4.

წერილი შეიცავს ინფორმაციულ ცნობებს სიმფეროპოლში ინტელიგენციისა და მშრომელთა დელეგატების თანადასწრებით შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საღამოს ჩატარების შესახებ.

1604. რ. ხალილოვი

Шота руставелиის იუბილე ლენინგრადში

გაბ. Комунисტი, 1937, 12 ივნისი, № 133, გვ. 4.

წერილი შეიცავს მოკლე ინფორმაციას ერმიტაჟის დირექტორთან აკად. ი. ა. ორბელთან საუბრის შესახებ ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებში შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადების მიმდინარეობაზე.

1606. ალექსანდრე ხოძკო

Шота რუსთაველი—ქართველი პოეტი

ეურნ. მნათობი, 1937, № 12, გვ. 224—227.

ტექსტი წარმოადგენს 1833 წ. ეურნ. „Телескоп“-ში დაბეჭდილი ალექსანდრე ხოძკოს წერილის შემოკლებული თარგმანის პუბლიკაციას ი. ენიკოლოფოვის რედაქციით. წერილს წინ დართული აქვს მისი პოლონურიდან მთარგმნელის პ. დუბროვსკის შტორე შენიშვნა ა. ხოძკოს შესახებ. წერილი შეი-

ცავს რუსთაველის შემოქმედების ზოგად დახასიათებასა და ვეფხისტყაოსნის რამდენიმე სტროფის პროზაულ თარგმანს.

იგივე მტირე ცელილებით დაბეჭდილია გაზ. «Вечерний Тбилиси», 2 октября, № 222, გვ. 3. იხ. ვრცელი ანოტაცია № 17.

1606. [И. Я. Хитаришвили]

Народный сказ о храбром Тариле

Записано М. Чиковани со слов сказителя из города Ахалцихе
рыбака И. Я. Хитаришвили

გაზ. Заря Востока, 1937, 23 декабря.

თქმულება წარმოდგენილია ვრცელი ტექსტით. დასაწყისი: „Жил на свете царь. И была у него единственная дочь“. დასასრული: „Тарилея назвала своим наследником и зажили они счастливо в своем государстве“.

თქმულების მიხედვით ტარიელს ბავშვობაში უპატრონოდ მიგდებულს სასახლის კართან იპოვნინა, რის შემდეგაც ის მეფის ასულთან ერთად იზრდება.

1607. არკ. ზუნდაძე

მხატვარი ზიჩი და „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. კომუნისტი, 1937, 14 დეკემბერი, № 63.

ავტორი მოკლედ ეხება მხატვარ ზიჩის საქართველოში ჩამოსვლის ვითარებას ვეფხისტყაოსნის გასაცნობად მისი დასურათებისათვის და 1888 წ. გამოცემულ ვეფხისტყაოსანს ზიჩის სურათებით, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა ქართულ პრესაში. ამასთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს, რომ, როდესაც 1895 წელს მხატვარ მიხეილ ალექსანდრეს ძე ზიჩს საშხატერო მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნავე იუბილე გადაუხადეს, მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებთან ერთად (მაზეპა, დემონი, ჩვენი დროის რაინდი) არ ახსენეს ვეფხისტყაოსანი.

1608. ვ. ზუროძე

„ვეფხისტყაოსანი“ როგორც მეზოქოლი წიგნი

გაზ. კომუნისტი, 1937, 21 დეკემბერი, 291, გვ. 3, 7 სვეტად.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი მეზოქოლი შემოქმედია, ავთანდილი მისი იდეებისათვის თავდადებული რაინდია, მისი ორეულია, რომლის სახითაც პოეტი თავის იდეებს გამოხატავს. ავტორი იხილავს ავთანდილისა და ტარიელის ხასიათებს. მისი აზრით, ისინი გამოხატავენ მთელი ქართველი ერისა და მისი ყველა ფენის იდეალებს. პოემაში „პირადი ეგონში ყველგან გზას უთმობს საზოგადოებრივ გრძნობებს“. რუსთაველის იდეები კლასობრივ საზოგადოებაში წარმოშობილი იდეებია, მაგრამ მათი ნიშანდობლივი თვისება შორდება კლასობრივ განსაზღვრულობას. რუსთაველის იდეალი ჰარმონიული საზოგადოებაა, რასაც პოეტი ხატავს თავისი პოემის ფინალში. ვეფხისტყაოსანი ბრძოლის სულით გაელენბოლი წიგნია. „ის იბრძვის ქალთა თანასწორობისათვის, გვიჩვენებს იდეალურ დამოკიდებულებას ყმასა და ბატონს შორის“ და ყველასათვის ბედნიერად საცხოვრებელ სამეფოს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ორტოლოქსალური ქრისტიანობის იმპერეციურ ბედნიერებასთან“. ასეთი დასკვნით რუსთაველი ეთიშება შუა საუკუნეობრივ ქრისტიანულ სქოლასტიკას. მისი იდეალები მატერიალისტური ხასიათისაა. მან ღმერთი და მისი რწმენა ამ ქვეყნად ჰარმონიული საზოგადოების დასამყარებლად გამოიყენა.

1609. ვ. ხუროძე

„ვეფხისტყაოსანი“ სკოლაში
მეოთხედი წერილი

ევრნ. კომუნისტური აღზრდისათვის, თბილისი, 1937, № 11—12, გვ. 27—38.

წერილის შესავალში აღნიშნულია რუსთაველის მნიშვნელობა, ვეფხისტყაოსნის სკოლაში სწავლების როლი და ის პრობლემები, რომლებიც მოსწავლე ახალგაზრდობას რუსთაველის შემოქმედებაში აინტერესებს.

ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის წაითხვის ორგანიზაციისა და მისი შინაარსის მთლიანი გადმოცემის საკითხებს. დასასრულ ვერცლად ჩერდება პოემის მხატვრული ანალიზის საკითხებზე.

იგივე დაბეჭდილია მცირეოდენი ცვლილებებით სათაურით: „ვეფხისტყაოსნის სწავლები-სათვის სკოლაში“, კრებულში: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, 1937, გვ. 266—280.

1610. ვარლამ ხუროძე

რუსთაველის სოციალური იდეალი

გაზ. მუშა, 1937, 23 დეკემბერი, № 294, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსანში სოციალური მოტივების გამოხატულებას და მათ შორის განსაკუთრებით ეხება პატრონჟურის ურთიერთობის, ემანსიპაციისა და ცენტრალური, ძლიერი სახელმწიფოს შექმნის იდეალებს, რომელნიც რუსთაველის შემოქმედების მთავარ მიზანდასახულებად მიაჩნია.

1611. პროფ. ივ. ჯავახიშვილი

შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა

გაზ. კომუნისტი, 1937, 9 მარტი, № 55, გვ. 3—4. ქვედურა 14 სვეტად.

სტატია წარმოადგენს შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილეს გამო დაარსებულ „შ. რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმის“ გამოფენის გეგმის განხილვას. ავტორის ცნობით, გეგმა სამი სექტორის მოწყობას ითვალისწინებს: სალიტერატუროს, ხელოვნების, ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობისას. ავტორი უფრო ფართოდ ჩერდება ყოფა-ცხოვრებისა და მეურნეობის სექტორის გამოფენის მასალებზე და მიზნებზე, რომლის ხელმძღვანელიც იყო თვითონ.

ავტორის ცნობით, ეს მუზეუმი შეუდგა ქართული გონებრივი და მატერიალური კულტურის სატერმინოლოგიო და მწერლობის ისტორიული ლექსიკონის შედგენას წერილობითი ძეგლებისა და სხვა წყაროების მიხედვით. მისი მიზანია გაითვალისწინოს, თუ რა ლექსიკური მარაგი ჰქონდა ქართულ მწერლობას XI საუკუნემდე და რა შესძინა ქართულ ენასა და მწერლობას XI—XII სს. შემოქმედებითმა კულტურულმა მუშაობამ. ამ მიზნით უკვე დამზადებული ყოფილა 111958 ქართაქი.

1612. პროფ. И. Джавахишвили

Личность и мировоззрение

გაზ. Известия, 1937, 17 марта, № 66, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართულ მწერლობაში რუსთაველის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები საკმაოდ არ მოიპოვება. მისი სახელით შენახულია მხოლოდ პოემა ვეფხისტყაოსანი. არსებული ტრადიციული ცნობები რუსთაველის თამარის კარზე ცხოვრებისა სანდოა. პოემის შინაარსისა და ენის მიხედვით რუსთაველი ღრმად განათლებული კაცი ჩანს თავისი დროისათვის. რუსთაველის ბუნებრივი სოციალური წრე რაინდობაა. ის აღსარებით ქრის-

ტიანი ჩანს, თუმცა ქრისტიანულ დოგმებს არ ქადაგებს. ის აღწერს მაჰმადიანურ ქვეყნებს, მაგრამ ამასთანავე ზოგიერთ გმირთა გამოთქმებში ბუსლიმანობას დასცილნის. რელიგიის მიმართ ის ინდიფერენტულადაა განწყობილი, მერყეობს პანთეიზმსა და ერთღმერთობას შორის.

დასასრულს, ავტორი იძლევა პოემის შინაარსის ზოგად დახასიათებას. მისი აზრით, პოეტი შეჰხარის მონარქიულ წყობას. რუსთაველის გმირი ქალები აქტიურ პერსონაჟებს წარმოადგენენ. ქალის კულტი მთავარი მამოძრავებელი ძალაა პოემის მდინარეებაში. პოემის მთავარი თემაა იდეალური სიყვარული და ძმადნათესაობა.

იგივე წერილი უფრო ფართოდ დაიბეჭდა იმავე წელს ინგლისურად სათაურით: „The Personality and Outlook of Shota Rustaveli“ ფრანგულში: „Georgica“, A Journal of georgian and caucasian studies, № 4 — 5, გვ. 10 — 12.

• 1813. პროფ. ივ. ჯავახიშვილი

რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. კომუნისტი, 1937, 29 დეკემბერი, № 298, გვ. 3.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა: „მწერალთა კავშირის პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან“.

ავტორი ახასიათებს რუსთაველის ეპოქისა და მისი წინა დროის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებასა და მდგომარეობას და აღნიშნავს რუსთაველის პოემაში ქართული სამხედრო ყოფის გამოსახულებას. მისი აზრით, ვეფხისტყაოსანში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი, რომლის წარმომადგენლები არიან ტარიელი და ავთანდილი. ავტორი ასკვნის, რომ პოემაში აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროს საქართველოში არსებობდა, მასში „ასახულია ქართველი საზოგადოების ფენების იდეები, საზოგადოებისა, რომლის უბაღირაო მებაიარაბტრეც ის იყო: ხალხთა ძმობა — განურჩევლად სარწმუნოებისა და ეროვნებისა“.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს რუსთაველის იდეალების პროგრესულობასა და თანადროულ მნიშვნელობას.

1814. მ. Джавახишвили

Писатель — Орденосносец

Грузинские поэты и ученые о новых переводах поэмы Руставели

ჟურნ. Книжные новости, Москва, 1937, 15 апреля, № 7, გვ. 6.

ავტორი ახასიათებს პეტრენკოს მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანს და აღნიშნავს, რომ ის ახლოს დგას ორიგინალთან და გამოირჩევა მხატვრულობით, რასაც იმით მიაღწია, რომ ის თითოეულ სტროფს რამდენიმე ვარიანტს უკეთებდა.

1816. გ. ჯაკობია

[შენიშვნები ვეფხისტყაოსანზე

წიგნში: ქ ა ი ხ ო ს რ ო, ო მ ა ი ნ ი ა ნ ი, ვეფხისტყაოსნის ვაგრძელება, რომანი მე-17 საუკუნისა, გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფილისი, 1937, „ფედერაცია“, გვ. VII — XXII.

ავტორი ომანიონის შესწავლა-დახასიათებისას, რომელიც ვეფხისტყაოსნის ვაგრძელებად მიაჩნია, ეხება ვეფხისტყაოსნის ცალკეულ საკითხებს, მისდამი ომანიონის მიმართების გარკვევაში — გმირების დახასიათება, ეპიზოდური თანხედენილობანი.

გაზ. Курортная газета, г. Сочи, 1937, 24 декабря, № 293 გვ. 2.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქის ხალხურ და თეატრალურ სანახაობათა შესახებ არსებულ ძველ ქართულ წერილობით წყაროებს და ეხება რუსთაველის ზოგ თქმას სახიობობის ხელოვნების შესახებ.

1817. დ. ჯანელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ დრამატურგია

გაზ. კომუნისტი, 1937, 12 აგვისტო, № 184, გვ. 3, ქველურა, 6 სვეტი.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს თეატრის ისტორიის საკითხებს ძველი ქართული წყაროების მიხედვით, რუსთაველის შაირობის თეორიაში უურადლებას აქცევს „სააშვიკო“ პოეზიის გამოყოფას და აღნიშნავს, რომ „რუსთაველის პოეზია აღორძინების ხანის ესთეტიკური ყოფის ღერძად სჩანს“. „ვეფხისტყაოსნის ტექსტი იმთავითვე დაუშრეტელ მასალად იქცა სასახიობო შესრულებისათვის და ამ მხრივაც მოთამაშეები დიდად დავალებული იქნებოდნენ დიდი პოეტისაგან“.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას აღორძინების ხანის მწერლობაში და მასთან პაექრობა-გაბაასების ტრადიციას. მისი აზრით, მეტერაშეტე საუკუნეში თეატრალური ცხოვრების გამოცოცხლების პირობებში უნდა აღძრულიყო სურვილი ვეფხისტყაოსნის ტრადიციად გასცენიურებისა. XIX საუკუნეში ვეფხისტყაოსნის გასცენიურება სცადეს გოდერძი ფირალიშვილმა (1805), ოქროპირ ბატონიშვილმა (1853) და გიორგი ერისთავმა.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის გასცენიურებაში ყველაზე საძნელოა პოემის ორი სიუჟეტური რკალის (ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტან-დარეჯანის) ერთ სცენიურ რკალში მოქცევა. მისი შენიშვნით, ოქროპირ ბატონიშვილი ვეფხისტყაოსნის გასცენიურებაში ტექსტის გამოყენების მხრით მერტ თავისუფლებას იჩენს, ვიდრე გიორგი ერისთავი. ავტორის აღნიშვნით, გოდერძი ფირალიშვილის დაწერიდან ასი წლის თავზე რ. მუინვარმა სცადა ვეფხისტყაოსნის თემაზე ბალეტის შექმნა. 1901 წ. პეტერბურგში გამოიცა „სურათები სცენისათვის ვეფხისტყაოსნიდან“. ავტორი აღარებს რ. მუინვარის მონტაჟს ოქროპირის პიესას. ამასთან შენიშნავს, რომ 80-იან წლებში ქართული თეატრის რეპერტუარში ცნობილი იყო კოტე ნესხის დრამა „შოთა რუსთაველი“. იმავე ციკლს მიეკუთვნება ხალხური ლეგენდების მიხედვით შექმნილი დ. არაყიშვილის ოპერის ლიბრეტო „თქმულება შოთა რუსთაველზე“ და მრავალი ცდა ვეფხისტყაოსნის თემაზე ცოცხალი სურათების დადგმისა.

1818. დ. ჯანელიძე

რუსთაველის ეპოქის სასპორტო სანახაობანი

გაზ. კომუნისტი, 1937, 21 ოქტომბერი, № 241, გვ. 4.

ავტორი განმარტავს ასპარეზობის შინაარსსა და მნიშვნელობას ძველი ქართული წყაროების მიხედვით და ჩამოთვლის სხვადასხვა სპორტულ თამაშობებს, მათ ტერმინებს, სასპორტო წვრთნას, მოასპარეზეთა შეჯიბრებებს და მის გამოხატულებას ვეფხისტყაოსანში, რომელიც, მისი აზრით, ასახავს რუსთაველის თანადროულ ქართულ ყოფა-ცხოვრებას. ავტორის აზრით, როსტევეანისა და ავთანდილის ასპარეზობა იმდროინდელი საქართველოს სი-

ნამდვალადან ამობეჭდილი სურათია, რის საილუსტრაციოდ ატარებს პარალელს როსტევეანსა და თამარის მამას გიორგის შორის მატინის ცნობებით. მოჰყავს ხალხური გადმოცემანი შოთა რუსთაველის ასპარეზობაში გასვლის შესახებ და იხილავს სხვადასხვა სპორტულ სანახაობებს (ჯირითობა, ჩოგანბურთი, ფუნდრუჟი, რენა, ოროლით თამაში და სხვ.).

1819. დ. ჯანელიძე

რუსთაველი ხალხურ პოეზიაში

გაზ. კომუნისტი, 1937, 15 დეკემბერი, № 286, გვ. 6.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და მის გამომხატველბას ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების მოვლენებში ხალხური ლექსების სახით. მისი შენიშვნით, ქართულ ნაწარში რუსთაველის სახელიც ისმის. ყოველგაქირვებასა თუ დაღმარებაში შოთას ახსენებენ. ავტორს მოჰყავს ხალხური ლექსები, რომლებშიც რუსთაველის სიყვარული და ქება-დიდება გამოთქმულია.

1820. დ. ჯანელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ აღნიშვნა ღმერთთაშორის

გაზ. კომუნისტი, 1937, 24 დეკემბერი, № 294, გვ. 3.

ავტორი იხილავს ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის დავალებით იმერეთის მეფის მდივნის კალიგრაფისა და მხატვრის მამუკა თავაქალაშვილის მიერ 1646 წელს გადაწერილი ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებს, რომლებშიაც. მისი აზრით, ავტორი უარს არ ამბობს „ირანული სტილის ზოგიერთი ხერხის გამოყენებაზე“. ამ სურათებში მამუკა უბრუნდება „ძველი მინიატურული და ფრესკული მხატვრობის ჯანსაღ ტრადიციებს, ნახატში ესწრაფვის აზრის გამოხატვას“, რაშიც შეაქვს მეტი მოქმედება და ტემპერამენტი. ავტორის აზრით, მამუკა დიდ ყურადღებას აქცევს გმირების ფსიქოლოგიურ დახასიათებას. მისი ყალბი შედარებით № 5006 ხელნაწერის სურათებთან „მეტსიტობის და ამბის მოყოლაში მეტ სიმარჯვეს ამტკიცებს“.

მამუკა ავთანდილს მიზგითას მაგიერ ეკლესიაში ალოცებს. ის არის იმდროინდელი რეალიზმის წარმომადგენელი, ნაციონალური თემატიკის გამტარებელი. მან რუსთაველის პოემა ქართული ყოფა-ცხოვრებისა და ქართველი გმირების ამსახველ ნაწარმობად გაიგო. ყოველი მისი ილუსტრაცია მისი თანამედროვე სამეგრელოს ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნით ამსახველი დოკუმენტია. მისი აზრით, შესაძლოა მამუკას რეალისტური წერის მანერა სამეგრელოში მყოფი პატრი კასტელის ნახატების გავლენა იყოს, რომლებსაც მამუკა იცნობდა.

1821. დ. ჯანელიძე

ბრძოლა „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო

ქრთ. ხვენი თაობა, 1937, № 11 — 12, გვ. 61 — 68.

იგივე შემოკლებულად დაბეჭდილია იმავე წელს: გაზ. „კომუნისტი“, № 29 დეკემბერი, № 298, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნის საკითხებს და აღნიშნავს პოემის მნიშვნელობას ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრებისა და თვითშეგნებისათვის. ამასთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შენოქმედების მთავარ მოტივებს.

1822. დ. ჯანელიძე

რუსთაველი და ენობრივი კულტურა

გაზ. საბჭოთა აფხაზეთი, 1937, 24 დეკემბერი, № 92, გვ. 3.

ავტორი ეხება რუსთაველის მეტყველების ცალკეულ საკითხებს და ვეფხისტყაოსნის ზოგ თქმას პოეტური ენის შესახებ რუსთაველის პოეზიის თეორიასთან დაკავშირებით. დასასრულ ავტორი საილუსტრაციოდ იხილავს ცალკე გმირთა მეტყველების თავისებურებას და ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს სათანადო ციტატები.

1823. დ. ჯანელიძე

ასპარეზობა „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. ფიზკულტურელი, 1937, 31 დეკემბერი, № 99, გვ. 3.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ზოგ ეპიზოდსა და თქმას ასპარეზობის სახეობათა გამოხატულების თვალსაზრისით—ვარჯიშობას, ნადირობას და აღნიშნავს, რომ რუსთაველის იდეალი ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი ადამიანი იყო, რის განსახიერებასაც ხალხური გადმოცემით თვით პოეტი წარმოადგენდა.

1824. Д. Джanelidze

Народность поэмы «Вепхис ткаосани»

ფურც. Полюмя Революции, Орган проработки союза советских писателей БССР, книга двенадцатая, Минск, 1937, გვ. 108 — 111.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და სახალხო ხასიათს მასში გამოხატული სიბრძნით. ეხება პოემის დევნას კლერიკალებისაგან მისი მოწინავე იდეალებისათვის, მოჰყავს ზოგი ხალხური ჩანაწერი ვეფხისტყაოსნის შესახებ და პოემის ცალკეული აფორისტული ტაეპები რუსული თარგმანით. დასასრულს ეხება ვეფხისტყაოსნის მუსიკაში გამოხატულების საკითხს.

იგივე სათურით „Народность поэмы «Вепхис Ткаосани» დაბეჭდილია: გაზ. „Маяк Коммуны“, г. Севастополь, 1937, 26 декабря, № 294, გვ. 3; გაზ. „Заря Востока“, 3 октября, № 227, გვ. 3.

1825. Ə. Hidayət

Şota Rustaveli və onun jərədə cəsbə

გაზ. Qomunist Maarif, Bakı, 1937, 24 dekabr, № 57, გვ. 2, სვეტი 4.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის პიროვნებას, ეპოქასა და შემოქმედებას ჩვენ თანადროულობასთან მიმართებით და აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას ქართველი და საბჭოთა ხალხების კულტურისათვის.

1938

1826. 8.

ნადირობა „ვეფხისტყაოსანში“

ფურც. მონადირე, საქ. მონადირეთა კავშირის „მონკავშირის“ ყოველთვიური ფურნალი, 1938, № 1(3), იანვარი, გვ. 2—4.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანში გამოხატულ ნადირობის ეპიზოდების სცენებს, მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან და ეხება ნადირობის ეპიზოდების მნიშვნელობას სიუჟეტის განვითარებისა და საერთოდ რუსთაველის შემოქმედებისათვის.

შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი

კრებ. რუსთაველის კრებული, ტფილისი, 1938, გვ. 81—84.

ავტორი ზოგადად ახასიათებს შოთა რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს. მისი შეხედულებით, შოთა რუსთაველი რაინდული სიყვარულის კულტის უბადლო გადმომცემია. ვეფხისტყაოსანი აგებულია აღმოსავლური ხასიათის ფაბულაზე და, მიუხედავად საქრისტიანო ცხოვრებისათვის შეუფერებლობისა, პოემა ქრისტიანის და არა მაჰმადიანის თხზულებაა.

ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის ფაბულას გმირთა დამოკიდებულებასთან მიმართებით, იხილავს ძირითად მოტივებს და შენიშნავს, რომ: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ირანული ლიტერატურის უბრწყინვალეს ვარსკვლავებს, ფირდოუსსა და ნიზამი განჯელს, არც სხვა რომელიმე სპარსელ პოეტს, ეპიკო-რომანტიული პოეზიის სფეროში არ შეუქმნია არც ერთი ისეთი ხასიათის ნაწარმოები, როგორც არის „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც ვხვდებით ქალ-ვაჟის რომანული სიყვარულის უმაღლეს წერტილამდე მხატვრულ განვითარებას და წრფელი რინდული სიყვარულის კულტს“ (გვ. 81). ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის მომხიბლავობის საფუძველია მასში ოსტატურად, შეუდარებელის ხელოვნებით გამოხატული სიყვარულის იდეა და პოეტის ჯადოსნური ლექსი.

1826. ილ. აბულაძე

ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიულ თხზულებას შესახებ

კრებ. ენიშკის შოთაძე, 1938, III, გვ. 201—207.

წერილში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის სახელით ცნობილი თხზულების ავტორი შესაძლოა შოთა რუსთაველი იყოს. ავტორს ამ აზრის დასაბუთებისას შოთაველს ანტონ პირველის ცნობა, რომლის მიხედვით რუსთაველს „თამარ მეფის ცხოვრება“ გამოუთქვამს.

იგი დაბეჭდილია რუსულად სათაურით: «К вопросу об историческом произведении Шоты Руставели», კრებულში: «Сборник Руставели», თბილისი, 1938, გვ. 161—169.

1829. Г. Агасов

Замысел и выполнение

ჟურნ. Литературный критик, 1938, № 8, გვ. 210—215.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ა. ჩაჩიკოვის წიგნზე „Поэма о Руставели“, რომელშიც ავტორი კ. ქიქინაძის ნაშრომის დამოწმებით („რუსთაველის გარემო“, 1928) აღნიშნავს, რომ რუსთაველის ბიოგრაფიისათვის არ მოგვეპოვება საჭირო ისტორიულ-ლიტერატურული მასალა, უცნობია მისი გვარი და სახელიც. ერთადერთი წყარო რუსთაველის სულიერი სახის გასახსნელად მისივე პოემაა, მისი ბიოგრაფია კი ნაწილობრივ იხსნება ლეგენდებით. ა. ჩაჩიკოვის პოემის მიზანია გენიალური პოეტის სახე მოგვეცეს პოეტური საშუალებებით. ავტორი იხილავს „პოემა რუსთაველზე“-ს აგებულებას. მის სიუჟეტს, რომელშიაც გადაშლილია პოეტის ფანტასტიკური ბიოგრაფია, XII საუკუნის საქართველოს ცხოვრებას, რუსთაველის თამარისადმი სიყვარულის მოტივს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ჩაჩიკოვის პოემიდან ადგილები.

ავტორის შენიშვნით, ჩაჩიკოვის პოემის ნაკლია, რომ მასში გამოხატულება არ უპოვნია თამარ მეფის პიროვნებას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა რუსთაველის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ჩაჩიკოვს არამართებუ-

ლად გამოჰყავს რუსთაველი მონღერლად, მიჰყავს აბანოში, ათაბაშებს ქად-
რაკს, აყვარებს ვინძე ნინოს და სხვა. საქართველოს მდგომარეობის დახა-
ტვაში ის ახდენს ისტორიის ფალსიფიკაციას, ყალბია სცენები და მოტივები
გადასახადების გამო ხალხის მღელვარებისა, აჯანყების ჩაქრობისა, ავადმყო-
ფი ბავშვისათვის წყლის მიტანისა და სიმღერისა, თამართან შეხვედრისა
და მისთ.

ავტორის საერთო დასკვნით, ჩაჩიკოვმა დახატა რუსთაველის მეტად არა-
სწორი, ყალბი სურათი. მას რუსთაველის მოცემაში ისეთივე მარცხი მოუვი-
და, როგორც 1846 წელს მაისურაოს მოთხრობაში „ვარდციხე“. ასევე მარც-
ხით დამთავრდა ბ. ბრიკის პოემა „რუსთაველის ანდერძის“ ნაწყვეტი (ჟურნ.
«Резец», 1937, № 28), რაც აგრეთვე უხამსობის ნიმუში იყო.

1830. А Адалис

Здравствуй Шота о Рустави

გახ. Литературна гасета, 1938, 5 სურსი, № 1, გვ. 3, ქველრა.

მთელი ნომერი მიძღვნილია რუსთაველისადმი. წერილი წარმოადგენს
შხატერულ ნარკვევს რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორი აღ-
ნიშნავს რუსთაველის პოპულარობასა და მნიშვნელობას ქართულ კულტურა-
ში, მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის საქართველოს გარეთ გატანის ისტო-
რიას და ეხება ბალმონტის თარგმანს.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის ბიოგრაფიული ცნობების სიმცირეს,
მისი ეპოქის საქართველოს ძლიერებასა და ურთიერთობას მოსაზღვრე ქვე-
ყნებთან და კულტურის მაღალ დონეს. ავტორი მოკლედ ახასიათებს ვეფხის-
ტყაოსნის მთავარ მოტივებსა და გმირებს და აღნიშნავს მის პროგრესულობას,
მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსანს საფუძვლად აღბათ ირანული ამბავი უღევს.

1831. Ш. Адейшвили

Руставели и иранский эпос в Грузии

ჟურნ. Октябрь, Москва, 1938, кн. I, გვ. 165 — 175.

ავტორი ისტორიულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხზე ნსჯე-
ლობისას, მსგავსებასთან ერთად აღნიშნავს განსხვავებულობის ანალიზის სა-
ჭიროებას. მისი აზრით, რუსთაველი შეუურიგებლად უპირისპირდება ირანული
ეპოსის საქართველოში გაერცელებულ ძეგლებს — შაჰნამეს, ვისრამიანს, ლეილ-
მეჯნუნიანს და ქართულ ამირან-დარეჯანიანს, რომელიც იდეურად ირანულს
ემსგავსება.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსანს იდეურ-კომპოზიციური და სტილის-
ტური დაპირისპირებით ირანულ ეპოსებთან გმირობის, მიჯნურობისა და
ბოროტისა და კეთილის საწყისთა ბრძოლის თემატიკის ნიადაგზე. ავტორის
აზრით, რუსთაველმა ზოგ ელემენტში განზრახ დაუშვა გარეგნული მსგავსება,
რათა მკითხველმა უფრო მკაფიოდ მიაქციოს ყურადღება იდეურ-შხატერულ
დაპირისპირებას ვეფხისტყაოსანსა და ირანულ ენაზე ცნობილ ეპოსს შორის.

იგივე დაიბეჭდა ახრუბაიჯანულად შემოკლებით: „Rustaveli va Gyrcystanda Iran
eposu“, კრებ. Sota Rustaveli, Bak, 1937, გვ. 66—74.

1832. М. Азадовский

Руставели в стихах Пушкина

ჟურნ. Звезда, 1938, № 5, გვ. 228—231.

ავტორი პუშკინის ერთი დაუმთავრებელი ლექსის «В проходе сладост-
ном фантанов» შედარებითი ანალიზით სხვა ლექსებთან, რომელიც პირვე-
ლად 1911 წელს «Русское слово»-ში დაბეჭდა პ. ე. შჩეგოლევა, ასკენის,
რომ სიტყვებში:

„Поэт той стороны,
Где мужи грозы и косматы,
А жемы гурьям равны“.

შესაძლოა იგულისხმებოდეს რუსთაველი დაპირისპირებული საადისთან, ვინაიდან კავკასიის არც ერთი სხვა პოეტი არ შეიძლება მხედველობაში ჰქონოდა მაშინ პუშკინსო. მისი აზრით, პუშკინს არ შეეძლო არ სცოდნოდა რუსთაველი. ამის დასამტკიცებლად ასახელებს ე. ბოლხოვიტინოვის 1802 წლის წიგნს და მოჰყავს მისგან ზოგი ციტატა რუსთაველის გარშემო.

1833. შ. ამირანაშვილი

შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ ხელოვნებაში არებ. ენიშკის მოამბე, მიძღვნილია ვეფხისტყაოსნის 750 წლისთავისადმი, ტფილისი, 1936, III, გვ. 135—155.

ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული მინიატურის ისტორიაში ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებს განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნებათ და ასახელებს, რომ ქართულმა ხელოვნებამ ორიგინალური ლიტერატურის თხზულებათა ილუსტრაციების ციკლები სრულიად დამოუკიდებლად შეიმუშავა, ხოლო ირანული მხატვრობიდან ნასესხები მზამზარეული ნიმუშები გადაამღერა ნაციონალურ გარემოსა და გემოვნებასთან შეფარდებით.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა დასურათებაში მინიატურების სამ ჯგუფს გამოჰყოფს, რომელთაგან პირველი ხასიათდება სტილიზებული მცენარეული და ისლამური ტიპის განყენებული გეომეტრული ორნამენტულობით (XVII ს. 3 ხელნაწერი), მეორე—(1646 წ. თარიღიანი ერთი ხელნაწერი), რომელიც შამუკა თავაქარაშვილის მიერაა შესრულებული, ქართული ყოფა-ცხოვრების ელემენტებს მოიცავს და სტილითა და შესრულების ტექნიკითაც ორიგინალურია, მესამე ძირითადად ირანული ხელოვნების აშკარა გავლენითაა აღბეჭდილი.

ავტორი საჭირო შემთხვევაში აღნუსხავს ყველა მინიატურას და იძლევა მათ დახასიათებას.

1834. М. Бажан

Слава наших народов

არებ. Шота Руставели (Статти і матеріали), АН УРСР, Київ, 1936, გვ. 57—63. სათაურს აქვს შენიშვნა, რომ წაკითხულია მოხსენებად თბილისში 1937 წელს დეკემბერს რუსთაველისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირის მწერლების პლენუმზე. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო პროგრესულ მნიშვნელობას, ახასიათებს მის მთავარ გმირებსა და მოტივებს და უთითებს რუსთაველის ლექსისა და მეტყველების თავისებურებებს, რისთვისაც მოჰყავს პოემიდან ციტატები უკრაინული თარგმანით.

ავტორის აქ გამოთქმული მოსაზრებაში რედაქციული ცვლილებებით იმეკლებოდა ცალკეული სტატიების სახით 1937 წლის ეურნალ-გაზეთებში სხვადასხვა სათაურებით. იხ. ანოტაციები № 1383—1385.

1835. შიკოლა ბაჯანა

ქართველი ხალხის ხამაჟე

ჯახ. კომუნისტი, 1936, 4 იანვარი, № 3 (5104), გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურულ მნიშვნელობას, ახასიათებს მის მთავარ იდეალებს და გმირებს და მოკლედ ჩერდება მის მიერ ჩატარებულ მუშაობაზე პოემის უკრაინულ ენაზე გადასათარგმნელად.

ტარიელი

კრებ. რუსთაველის კრებულთა, ტფილისი, 1938, გვ. 85—106.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველოლოგიაში ტარიელის შესწავლის ცდებს გულაყის, სუტნერის, იუსტ. აბულაძის, აკაკი წერეთლის, ი. ჯავახიძის, ჯ. კეკელიძის, მ. კელენჯერიძის, ნარდონის (ჯაბადარის), თ. ბეგიაშვილის და სხვათა ნაშრომების მიხედვით, რომელნიც, მისი დასაბუთებით, საერთოდ ცალმხრივად აფასებდნენ ტარიელის რთულ პიროვნებას და მის ფართო ბუნებას, რის გამოც ვლებულობდით უსიმპატიო, უხეში რაინდის სახეს.

ავტორი სწავლობს ტარიელის სახეს — მის ტიპს, ხასიათს, ადგილსა და როლს პოემის სიუჟეტის განვითარებაში მთელ კომპოზიციასთან, ეპიზოდებთან და სხვა გმირებთან მიმართებაში, რისთვისაც მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა, ადგენს ტარიელის ხასიათის მთავარ თვისებებს და იძლევა მის იდეალურ გაგებას. მისი დახასიათებით, ტარიელი ყოველგვარი ღირსებით შემკული რაინდის ტიპია. ის უზადო მიჯნურია, მომხიბლავი გარეგნობით, მას არ აკლია სულგრძელობა, თავმდაბალია, ზრდილი, თავაზიანი, მოწყალე, უებრო რაინდი და ეროვნული გმირი. ამრიგად, ტარიელი შემკობილია ფიზიკურ და მორალურ-გონებრივი სანაქებო თვისებებით, რასაც ის პოემის მთელი სიუჟეტის განვითარებაში, მის ყოველ ეპიზოდში ამჟღავნებს. ტარიელი არის ვეფხისტყაოსნის ხერხემალი, მისი მთავარი გმირი, რომლისადმი თვით პოემის ავტორის სიმპატია აშკარადაა გამომჟღავნებული. ავტორის დასკვნით, ტარიელი იყო და დარჩა სრულქმნილი ადამიანისა და რაინდის საკაცობრიო მიზიდველ სახედ.

იგივე: Образ Тарела, жур. «Литературный критик», 1937, № 12, გვ. 153—172. «Тарел», კრებ. «Шота Руставели» (Статті і матеріали), АНУ, Київ, 1938, გვ. 127—147.

1827. Ал. Барамидзе

Шота Руставели

კრებ. Радянське літературознавство, АН УРСР, Київ, 1938, გვ. 59—77.

ავტორი ზოგად-ზაზებში განიხილავს საქართველოს კულტურული ცხოვრების პირობებს XII—XIII საუკუნეებში, ვეფხისტყაოსნის მოვლინებას, აღნიშნავს რუსთაველის პოულარობას ხალხში, ეხება მისი შემოქმედების ძირითად საკითხებს და რუსთაველის იდეებისა და მისი გმირების დახასიათებისას მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფების უკრაინული თარგმანები.

1828. პროფ. ალ. ბარამიძე

ფირდოუსი და რუსთაველი

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1938, VII, გვ. 51—58.

ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი იცნობდა ფირდოუსს, რის საბუთადაც მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ტაეპი: „ისრითა მოკლის ნადირი როსტომის შკლა-უგრძლითა“. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის სიმბოლური მნიშვნელობა განსხვავებულია ვეფხისტყაოსანსა და შაჰნამეში. „რუსთაველის სიმბოლიკა უფრო ორიგინალურია, უფრო რომანტიკული“ (გვ. 51).

ავტორის შენიშვნით, „შაჰ-ნამესა“ და „ვეფხისტყაოსანს“ მოეპოვებათ მნიშვნელოვანი შეხვედრის წერტილები, ზოგ შემთხვევაში საგულისხმოა ცალ-

კულტურის პარალელები“ (გვ. 53) და საილუსტრაციოდ მოჰყავს მსგავსი მოტივების, მხატვრული ხერხებისა და სტილისტიკის ნიმუშები.

შემოკლებულად იგივე წერილი დაიბეჭდა: გაზ. „კომუნისტი“, 1938, 6 იანვარი, № 5 (5106), გვ. 3.

1839. ვასილ ბარნოვი

შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“

ჟურნ. მნათობი, 1938, № 1, გვ. 174—179.

წერილი წარმოადგენს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიისა და ვეფხისტყაოსნის პოეტურ მიმოხილვას. ავტორს მოკლედ გარდათქმული აქვს ქართლის ცხოვრების ცნობები შოთაზე, მატერიალური კულტურის ძეგლებში მოხსენიებული სახელი შოთას რუსთაველთან დაკავშირება და რუსთაველის ბიოგრაფია ტრადიციული ცნობების მიხედვით.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს როგორც ქართველთა სულის მისწრაფებათა ამსახველ ძეგლს, მის მხატვრობას, ენას, მის თვისებებს, რომელნიც პოემას უკვდავყოფენ.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ძირითად ქართულ წყაროს საკითხს და მისდამი ქართველი ერის დამოკიდებულებას. ბოლოს პოეტურ გარდათქმაში იძლევა რუსთაველის იმ სტროფების შინაარსს, რომელნიც მიჯნურობასა და მელექსეობას ეხება.

1840. Пля-И-Бельтран (Испания)

Во имя студийной человечества

გაზ. Литературная газета, 1938, январь 5, № 1 (708), გვ. 2.

მთელი გვერდი მიძღვნილია რუსთაველის საიუბილეო პლენუმისადმი წარწერით: „Русско-испанский пленум правления Союза советских писателей в Тбилиси“, წარმოადგენს პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლებას.

პლენუმს მიულოცავს ესპანელი მწერლებისა და მეზობელი ხალხისაგან რუსთაველის იუბილეს და აღნიშნავს მისი შემოქმედების საკაცობრიო მნიშვნელობას და მოპულარობას. მოჰყავს რუსთაველის ზოგიერთი აფორიზმი გმირობისა და თაყვანის თემაზე, რომელსაც უკავშირებს ესპანეთში წარმოებულ სამოქალაქო ომს.

ბოლოს პლენუმის წინაშე ის პირობასა სდებს, რომ ესპანურ ენაზე თარგმნის ვეფხისტყაოსანს.

1841. დიმიტრი ბენაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ჟურნ. ჩვენი თაობა, 1938, № 10, გვ. 52—62.

ავტორი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების დახასიათებისას ავლებს ზოგიერთ პარალელს რუსთაველის მოტივებთან. ავტორი აღნიშნავს, რომ „ბარათაშვილი რუსთაველის ნაშეირი იყო და არ შეეძლო უარი ეთქვა რეალურ ქვეყანაზე“ (გვ. 57). ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ „მიუხედავად იმ დიდი სულიერი ტკივილებისა, რომელსაც რეალური ცხოვრება იწვევდა რუსთაველში, იგი მაინც ამბობდა:

„საწუთრო კაცა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების!...“

ამ სტროფით ხსნის ავტორი ბარათაშვილის მოტივს: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან...“ (იქვე).

ავტორი ბარათაშვილის პოეტური შთაგონებისა და შემოქმედების წყაროებზე მსჯელობისას „მერანთან“ დაკავშირებით, შენიშნავს:

„რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა გვაგრძობინა ქართული ფრანზის ელვარება მთელი თავისი სიდიადით, მერანში ისმის აეთანდრის ანდერძის ხმა... მოიგონეთ ის ადგილი, სადაც აეთანდრილი ამბობს:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობულმან,
ღარაიბი მოკვდე ღარიბად. ვერ დამიტაროს შმოპულმან,
ვეღარ შემსუდრონ ღაზრდილთა და ვერცა მისანდობულმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე, ლობოპულმან“.

ამ ხმის გამომძილია ბარათაშვილის ქვეშარტად გენიალური სტრიქონები:

„ნუ დაემარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტაროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის,
შავი ყორანის გამოთხრის საფლავს მდელთა შორის ტილის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შეთენილთა ზარით, ღრილით მიწას მომაყრის“ (გვ. 56).

1643. პ. ბერაძე

რუსთაველის ლექსის რიტმი

კრებ. რუსთაველის კრებული, ტფილისი, 1938, გვ. 215—240.

კვესათურები: I. რუსთაველის ლექსის ორი ძირითადი სახეობა. II. გრძელი შიირის რიტმები. III. სტრიქონი. IV. სტროფი. V. შიირისა და გრძელი შიირის გამოყენების კანონზომიერება.

ავტორი ახასიათებს შიირისა და გრძელი შიირის ლექსის რიტმულ თავისებურებას. მისი დასკვნით, რიტმი დამოკიდებულია გარკვეულ განცდათა შემცველ სტროფებთან. ავტორი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს რუსთაველის ლექსის სტრიქონის თავისებურებებს და ანალიზს უკეთებს მის აგებულებას.

ავტორის შენიშვნით, შიირის „თვითეული სტრიქონი ცალკე სურათის, ან აზრის შემცველია“, სტროფი წარმოადგენს მთლიან ელემენტს: „ოთხივე სტრიქონი სტროფისა გაერთიანებულია მკიდრო შინაარსობრივი კავშირით“.

დასასრულს, ავტორი აჯამებს თავის დაკვირვებებს შიირისა და გრძელი შიირის გამოყენების კანონზომიერებაზე, რაც გამოთქმული ჰქონდა სხვა ნაშრომებში.

1648. პროფ. ვუკოლ ბერიძე

ტირილი და მისი აზრი „ვეფხისტყაოსანში“

ვახ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 1 იანვარი, № 1, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ „არც ერთს ლიტერატურულ ნაწარმოებში არ არის იმდენი ტირილი და ცრემლთა ფრქვევა, რამდენიც ვეფხისტყაოსანში“, ეხება მისი ახსნის ცდებს და პოემის სათანადო ეპიზოდების, სიტუაციებისა და გმირების ურთიერთობის ანალიზის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ ვეფხისტყაოსნის გმირებს ცრემლი დიდი ხნობით არ ედინებათ და ეს ნაწარმოებში ერთგვარ პოეტურ ხერხს წარმოადგენს, რომლის მიზანია მდგომარეობის სიმძიმეს გაუსვას ხაზი, ის ხშირად „ბრძოლის ერთი ატრიბუტთაგანია, მისი სიმძაფრის მაუწყებელი“.

1644. ვუკოლ ბერიძე

რუსთაველის შიირისთვის

კრებ. ენიშკის შუამბე, 1938, III, გვ. 189—200.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის შიირის ორ სახეობას — მაღალსა და დაბალ შიირს, ახასიათებს მათ თავისებურებებს — შედგენილობას და თითოეულის სპეციფიკას. ავტორის დაკვირვებით, მაღალი ანუ ჩქარი შიირი რუსთაველს უპირატესად გამოყენებული აქვს ნაშინ, როდესაც მდგომარეობა

დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვს, ამავე შიშით უფრო ხშირად გადმოცემულია მხიარული, საღალბო სცენები. დაბალი ანუ ნელი შიში უპირატესად გამოყენებულია მაშინ, როცა მოსაწყენი, სედიის მომგვრელი სურათებია შოკემული, აგრეთვე მძიმე, სერიოზული საკითხებია გადასაწყვეტი ანდა ეპიკური თხრობაა გადმოსაცემი. ავტორის საილუსტრაციოდ მოჰყავს მრავალი მაგალითი და ყურადღებას ამახვილებს ამასთან ერთად ბევრათ ელერაზე.

ავტორის დასკვნით, მაღალი და დაბალი შიში ერთმანეთს ენაცვლება არა მხოლოდ ფორმალური მოსაზრებით. მათი შენაცვლების კანონზომიერებას რუსთაველი სათანადო შინაარსით, შესაფერი მოტივით განსაზღვრავს.

1845. ვუკოლ ბერძე

შოთას პოეტიკისათვის

კრებ. ენიშკის მოამბე, 1938, III, გვ. 167—187.

ავტორი ვეფხისტყაოსნის პროლოგის მიხედვით ახასიათებს შოთა რუსთაველს როგორც პოეზიის თეორეტიკოსს და იხილავს შვიდ სტროფს შიშობის თემაზე (12—18 სტროფები). ავტორის შენიშვნით, „აქ დაუნჯებულად მოცემულია ის, რაც შემდეგ გაშლილია თვით ვეფხისტყაოსანში“. თითოეული ამ სტროფის გარჩევისას ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს საკითხის ლიტერატურას, თვით პოემიდან მოჰყავს საილუსტრაციო მასალა და მართავს რუსთაველის სახე-თქმებს, მეტაფორებს, ეპითეტებს, ხსნის ტემის მოვლენას, მოჰყავს სათანადო ნიმუშები (გვ. 176—177) და საერთოდ ახასიათებს რუსთაველის სტილს. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანში 45.000-მდე სიტყვაა და აქედან თითქმის 40% ზმნას უჭირავს. რუსთაველი თვითონ აზმნავეებს ბევრ სახელს და უფორმო სიტყვას, რისი მაგალითებიც ავტორს მოჰყავს (გვ. 178—181).

დასასრულს, ავტორი ეხება რუსთაველის შემოქმედებითი პროცესის ზოგ საკითხს.

1846. В. М. Беридзе

К вопросу о мировоззрении Руставели

კრებ. Сборник Руставели, თბილისი, 1938, გვ. 139—160.

პირველად დაიბეჭდა ქართულად სათაურით: „რუსთაველის სოულმხედველობისათვის (ფატუმი თუ განგება)“, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1935, № 4, გვ. 39—62. იხ. ანოტაცია № 1216.

1847. პროფ. ვუკოლ ბერძე

რუსთველოლოგიის ისტორიისათვის

ნიკო მარი

კრებ. რუსთაველის კრებული, ტფილისი, 1938, გვ. 107—119.

ავტორი მიმოიხილავს ნ. მარის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წარმოშობისა და შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხების მიხედვით. უმთავრესად ეხება ნ. მარის წინააღმდეგ მიმართულ პოლემიკას პოემის ორიგინალობის საკითხზე—ნ. ნიკოლაძის, ს. კაკაბაძის და სხვათა ნაშრომების მიმოხილვით.

დასასრულს ავტორი ასკვნის, რომ ნ. მარის ხელში „ვეფხისტყაოსნის სადაურობისა და წარმოშობის საკითხი თავის ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა: მსოფლიო მასშტაბისა და ღირებულების ამ ნაწარმოების ფუძე საქართველოა, იგი მთლიანად და საეცებით ქართულია“.

Шота Руставели в русской литературе

ურბ. Известия Академии Наук СССР, 1938, № 3, გვ. 49—80.

ავტორი იხილავს ქართულ-რუსულ საზოგადოებრივ-კულტურულ ურთიერთობებს უძველესი დროიდან და აღნიშნავს რუსულ ლიტერატურაში საქართველოს შესახებ არსებული ცნობების სიმკიცრეს და საერთოდ რუსული ლიტერატურის საქართველოსადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

ვრცელი სტატია იწყება იმის აღნიშვნით, რომ ქართული ლიტერატურა და კერძოდ შოთა რუსთაველი დიდხანს საეცებით უცნობი იყო რუსეთისათვის. მისდამი ინტერესი ჩაისახა XVIII საუკუნიდან. ქართულიდან რუსულად რამდენიმე წიგნი ითარგმნა (1773, 1779 წწ.). ევგენი ბოლხოვიტინოვის წიგნმა (1802) ინტერესი გააღვიძა ქართული ლიტერატურის, რუსთაველისა და ქართული ვერსიფიკაციის საკითხებისადმი. ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის შესწავლა-პოპულარიზაციის ისტორიას რუსეთში. განსაკუთრებით ჩერდება ბოლხოვიტინოვის წიგნზე, მოჰყავს ციტატები და აღნიშნავს ამ წიგნის როლს რუსთაველის უცხოეთში გატანის საქმეში. ახასიათებს აკად. ბროსეს და პროფ. ჩუბინაშვილის მუშაობას ქართველოლოგიასა და რუსთაველოლოგიაში. აღნიშნავს სენკოვსკის არამართებულ, უარყოფით დამოკიდებულებას ქართული კულტურისა და მწერლობისადმი. ანალიზს უკეთებს ბარტდინსკის (1845), ი. ევლახოვის (1846), ა. აბაშიძის პროზაულ (1849) თარგმანებს რუსულ ენაზე და აკრიტიკებს პ. იოსელიანის (1870) (კლას რუსთაველის ქრისტიანიზირებისას. ეხება გ. იოსელიანის ნაშრომს (1875), ე. სტალინსკის თარგმანს (1885), არჩევს ბერძენიშვილის (1853), ი. სლივიცკის, ნ. ზოტოვის, გულაქის, სუტნერის, განსაკუთრებით ნარდონის (ჯაბადარის) ნიჰილისტურ წერილებს (1889) და მის გარშემო არსებულ პოლემიკას (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, დ. სოსლანი, ა. ხახანაშვილი). იხილავს ა. ხახანაშვილის, ნ. მარისა და ყიფშიძის შრომებს რუსთაველზე, განსაკუთრებით მარის ლეაწლს ეფთხისტაიონის შესწავლაში. უორდროპის ინგლისურ და ბალმონტის რუსულ თარგმანთან დაკავშირებით არჩევს რუსთაველის საზომის რუსულად გატანის საკითხს, შარტის თარგმანს (1919), თითქმის ამომწურავად მიმოიხილავს რუსთაველის გარშემო რუსულად არსებულ პერიოდულ ლიტერატურას.

1849. А. Н. Бильдерев

Два ширванских поэта, Низами и Хакани

კრებ. Памятники эпохи Руставели, Государственный Эрмитаж,

Издательство Академии Наук СССР, Ленинград, 1938, გვ. 111—138.

ავტორი წერილის დასაწყისში გაკვირით ჩერდება რუსთაველზე და შესაეაღს იწყებს შემდეგი სიტყვებით:

„В истории культурной жизни кавказских стран конец XII в. блистательно отмечен творчеством великого грузинского поэта Шота Руставели. Его именем справедливо обозначена вся эпоха, связанная с его литературной деятельностью. Эпоха Руставели являлась золотым веком литературы и государственности феодальной Грузии.

Как значение великого произведений Руставели выходит далеко за пределы одной только грузинской литературы, так и расцвет литературной жизни кавказских стран эпохи Руставели не ограничился пределами грузинского государства“ (გვ. 111).

იმავე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ შირვანში სპარსულ ენაზე თავის თხზულებებს ქმნიდნენ რუსთაველის ორი კემშარიტად შესანიშნავი თანამედროვე—ნიზამი და ხაკანი. ავტორის შენიშვნით, რუსთაველსა და მის ამ

თანამედროვეებს შორის განსხვავება ენასა, რელიგიასა და ნაციონალბასახელმწიფოებრივ კუთვნილებაში მხოლოდ გარეგანი იყო (გვ. 115).

ავტორი გაკვირით აღნიშნავს ნიჰამისა და რუსთაველის პოემათა ფაბულის განსხვავებას (გვ. 117).

1850. А. Борисов

Миниатюры „Книги Макал“ Ал-Харири

კრებ. Памятники эпохи Руставели. Государственный эрмитаж, Издательство Академии Наук СССР, Ленинград, 1938, გვ. 171—178.

წერილის დასასრულს ავტორი გაკვირით ახასიათებს რუსთაველს და მის გმირს ავთანდილს.

1851. შალვა ბუაჩიძე

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვა

გაზ. კომუნისტი, 1938, 29 იანვარი, № 23, გვ. 4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მხატვრული კითხვის მნიშვნელობას და აღნიშნავს ამ მხრივ სურენ ქოჩარაიანის მიერ წარმოებულ მუშაობას, რომელმაც, მისი შენიშვნით, „ვეფხისტყაოსნის ისეთ ლიტერატურულ კომპოზიციას მიიღწია, სადაც ნაწარმოების ძირითადი ფაბულა, მისი თხრობის აღნაგობა, თვით სტილი თხრობისა დარღვეული არ არის“. ავტორი იხილავს ქოჩარაიანის კომპოზიციას და აღნიშნავს, რომ, თუმცა ის საათნახევარი კითხვლობს ვეფხისტყაოსანს, აუდიტორია მაინც სულგანაბული უსმენს.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ სპეციალურად გამოყოფილმა კომისიამ ქოჩარაიანის ლიტერატურული კომპოზიცია ფრიად ძვირფასს, სასარგებლო და მაღალკულტურულ შრომად აღიარა.

1852. შალვა ბუაჩიძე

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანები

გაზ. კომუნისტი, 1938, 14 თებერვალი, № 36 (5137), გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის ისტორიას და აღნიშნავს თარგმანის სიძნელეებს. ზოგადად ახასიათებს რუსთაველის სტილს, განსაკუთრებით მის აფორისტულ მეტყველებას. ჩერდება კ. ბალმონტის თარგმანზე, მოჰყავს მისი ნიმუშები და აღნიშნავს, რომ ბალმონტის თარგმანს მხოლოდ შორეული კავშირი აქვს ორიგინალთან და რომ მან „ვერ შესძლო გადმოეცა თავის თარგმანში ქართული პოეტური სიტყვის მოქნილობა“. ავტორის შენიშვნით, „ქართულ ორიგინალთან სიახლოვის მხრით გიორგი ცაგარლის თარგმანს უდავო უპირატესობა აქვს. ცაგარლის თარგმანის დახასიათებისა და მისი მუშაობის პირობებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მან განსაკუთრებით კარგად თარგმნა აფორიზმები. აქვს ზოგი ნაკლიც: „მასში დარღვეულია რუსთაველის ლექსწყობა“. იგი „ოთხსტრიქონიანი რითმის ნაცვლად ჯვარედინ რითმას ხმარობს“, რითაც „სპეციფიკური ქართული კოლორიტი დაუკარგა ნაწარმოებს“. ავტორი შენიშნავს, რომ „ის რაც აკლია გ. ცაგარლის თარგმანს: რუსთაველისებური პოეტური აღმფარგნა, ოთხსტრიქონიანი რითმა, — აქვს პანტლეიმონ პეტრენკოს თარგმანს“. პეტრენკოს თარგმანის დახასიათებაში ავტორი უთითებს ზოგ ბუნდოვან ადგილს. გაკვირით ჩერდება ნ. ზაბლოცკის თარგმანზე.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ყირგიზულ, ბაშკირულ, ებრაულ და სხვ. ენებზე.

1853. ს. გაჩეჩილაძე

მსატერული შეტყველების პრინციპები და შოთა რუსთაველის პოეტიკა
გაზ. მუშა. 1938, 7 იანვარი, № 5 (4507), გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს, რომ: „შოთა რუსთაველის მიერ პოეტური აფორიზმების სახით გამოთქმული აზრები მსატერული მეტყველების (შაირობის) შესახებ იშვიათი სიზუსტით ემთხვევა ლიტერატურისმცოდნეობის საკითხების იმ მეცნიერულ განმარტებას, რომელმაც თავისი საბოლოო ფორმა პოეტის ეპოქის შემდგომად, დაახლოებით შეიძინა საუკუნის გასვლის შემდეგ მიიღო“. იხილავს რუსთაველის პოეტიკის საკითხებს და მოჰყავს საილუსტრაციოდ სათანადო ადგილები ვეფხისტყაოსნის პროლოგიდან.

1854. აკ. გაწერელია

ნარკვევები ქართული პოეტიკიდან

გამომცემლობა ფედერაცია, თბილისი, 1938, 224 გვ.

ავტორი წერს: „თეიმურაზ პირველი, ნარკვევი ქანრების ისტორიიდან“ არკვევს თეიმურაზის დამოკიდებულებას რუსთაველის პოეტიკასთან და აღნიშნავს რუსთაველის ლექსის გავლენის სფეროს ქართულ პოეზიაში. მოჰყავს რამდენიმე პარალელი ალორძინების ხანის პოეზიისა რუსთაველთან, რაშიაც, მისი შენიშვნით, ჩანს არა მარტო საერთო მეტრი, არამედ ინტონაცია, რითმა და ლექსიკური მასალაც (გვ. 51). ავტორის დაკვირვებით, განსაკუთრებით ცხადად გამოიხატება რუსთაველის გავლენა თეიმურაზ პირველზე ცალკეული თქმების, მეტაფორებისა თუ სხვა პოეტური ხერხების გამოყენებაში. მეტრისა, სახეებსა და ლიტერატურული მოტივების შემცველ თქმებში თეიმურაზი რუსთაველზე დამოკიდებული.

ავტორი განსაკუთრებით ეხება თეიმურაზისა და რუსთაველის შედარების პრობლემას, რომელიც ალორძინების ხანის მწერლობაში იყო აღძრული.

იმავე წიგნში: გვ. 1—30 „რუსთაველის პოეტიკის საკითხები“; პირველად დაიბეჭდა: ტურს. „მნათობი“, 1937, № 12, გვ. 131—152; აგრეთვე კრებულში: „ქართული მწერლები რუსთაველს“, ტფილისი, 1937, გვ. 212—238.

წიგნის შესახებ იხ. რეკენზია: ბეს. ელენტი „ნარკვევები ქართული პოეტიკიდან“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938, 10 დეკემბერი, № 30 (85), გვ. 3.

1855. ი. გელდევანიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო ხელოვნება

გაზ. კომუნისტი, 1938, 5 იანვარი, № 4 (5105), გვ. 3.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსანში აღწერილ ომებს სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ „პრინციპები, რომლებზედაც აგებულია ვეფხისტყაოსნის“ სამხედრო მოქმედება, სავსებით იგივეა, რაც საფუძვლად ედო დავით აღმაშენებლისა და გამოჩენილი სარდლების მხარგრძელის და დავით სოსლანის სამხედრო მოქმედებას“. ამასთან დაკავშირებით ავტორი ანალიზს უკეთებს ქართულ სამხედრო ხელოვნებას ისტორიული ცნობების მიხედვით. ავტორის საბოლოო დასკვნით:

„ვეფხისტყაოსანში მოთხრობილი სამხედრო ბრძოლები, რა თქმა უნდა, სინამდვილეში არ მომხდარა, ისინი არ წარმოადგენენ ისტორიულ ფაქტებს, მაგრამ ამ ბრძოლების ტაქტიკა და სტრატეგია, სხვადასხვა საბრძოლო ხერხები და აგრეთვე შეიარაღება, წყობა სინამდვილიდან არის აღებული და ისტორიულად სავსებით გამართლებული“.

1856. პროფ. მოსე გოგობერიძე

შოთა რუსთაველი და ნეოპლატონიზმი

გაზ. კომუნისტი, 1938, 12 თებერვალი, № 35 (5136), გვ. 3—4.

ავტორი შენიშნავს, რომ „უმართებულოდ უკავშირებენ რუსთაველის სახელს მისი დროისა და მისი წინამორბედი ეპოქის იდეალისტურ-თეოლო-

გიურ-გნოსტიკურ ფილოსოფიათა კონცეპციებს, მაგალითად, წარმართულსა და ქრისტიანულ ნეოპლატონიზმს, მანიქეიზმს, ბიზანტიურ ლოგიკურ სკოლასტიკას, სუფიზმს და სხვ.“ რუსთაველი მართალია იცნობდა ყველაფერ ამას, მაგრამ არცერთი ამ სკოლის მიმდევარი არ ყოფილა.

ავტორი ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობის წყაროებს, საგანგებოდ იხილავს ნეოპლატონიზმის სახეობებს და შენიშნავს, რომ „ნეოპლატონიზმი იყო სიკვდილის გზაზე დამდგარი მონათმფლობელური რომის გაბატონებული კლასის ოფიციალური იდეოლოგია“, „ნეოპლატონიზმი სიკვდილის სიდიადეს ჰქადაგებდა, სიკვდილს განთავისუფლებად და არსებობის უმაღლეს ნიშნად აცხადებდა...“. ავტორის დასკვნით, სიკვდილის ამ ფილოსოფიასა და რუსთაველის მიერ მოცემულ სიკოცხლის დაუშრეტელ ჰიმნს შორის არაფერია საერთო: „რუსთაველის გენიალურ პოემაში არაფეთარი კვალიც კი არ მოიპოვება ნეოპლატონიზმისა, არაფეთარი წარმართობა და არაფეთარი მსოფლმხედველობრივი ატაეიზმი“.

1857. პროფ. მოსე გოჯიბერიძე

რუსთაველის მსოფლმხედველობის სათავეები

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 20 მარტი, № 7 (62), გვ. 3—4.

ქველურა, 11 სექტი

ავტორი ეხება რუსთაველოლოგიაში გავრცელებულ შეხედულებას რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის შესახებ და ასაბუთებს, რომ პოემის ორი ადგილი — „დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთივარ სულთა სირასა“ და „ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“, — არაფერს მხოლოდ ნეოპლატონიკურს არ შეიცავს, ის ნეოპლატონიკური დოგმა კი არ იყო, არამედ ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის ორტოდოქსია, მთელი ანტიკურობისა და საშუალო საუკუნეებისათვის საეალებული განათლება და იგი არისტოტელეს ფიზიკამ გადმოსცა საშუალო საუკუნეებს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ავტორი ეხება ავთანდილისა და ტარიელის ხასიათებს. დასასრულ ავტორი ეხება იმ გზას, რომლითაც არაბული არისტოტელიზმი რუსთაველის შემოქმედების ერთი წყარო ხდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიური პროგრესის პირობებში. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ვრცელი ამონაწერი მეგობრობისა და სიყვარულის შესახებ არისტოტელეს წიგნიდან, რომელშიც რუსთაველის იდეალების ანალოგიას ხედავს. ავტორის დასკვნით, არაბულმა განათლებამ რუსთაველს ხელი შეუწყო იმ ეპოქაში გაბატონებული ქრისტიანულ-კაბადოკიული პლატონური თეოლოგია და იდეალში დაეძლია. ჰუმანიზმი, ამჟვენიური ადამიანური ბედნიერებისა და სიყვარულის რუსთაველური იდეალი კი მშობლიური სინამდვილით იყო ნაკარნახევი.

1858. Georges Gvazava

Roustaveli et son œuvre

წიგნი: Chota Roustaveli, L'homme à la peau de léopard
Texte français de M. Georges Gvazava, et de Mme Anie Marcel-Paon,
Paris, 1938, 278 გვ.

წერილი წინასიტყვაობის სახით დართული აქვს წიგნს (გვ. 5—13). შესავლის გარდა შეიცავს შემდეგ ქვესათაურებს:

La Caractère national du poème გვ. (8—10).

La Portée universelle du poème (გვ. 10—13).

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებასთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსნის აგებულებას, მოკლედ გადმოსცემს პოემის შინაარსს, ანალიზს უკეთებს მის მთავარ-მოტივებს და აღნიშნავს პოემის ნაციონალურ ხასიათსა და მსოფლიო მნიშვნელობას.

1859. Л. Гюзальян

Грозомый калмани 1148 1.

კრებ. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1936, გვ. 217—226.

იშის შესახებ მსჯელობისას, რომ შუასაუკუნეთა ავტორები ხშირად იყენებდნენ შედარებისათვის კალამსა და მელანს, ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველიც მიმართავს ამ ხერხს (გვ. 220) და მოჰყავს სათანადო ილუსტრაცია ავთანდილთან დაკავშირებით (გვ. 221). ავტორის აზრით, გამორიცხული არ არის, რუსთაველი ამ სტრიქონებში შთაგონებული ყოფილიყოს ერთი სპარსული 1148 წლის წარწერით, რომელიც წარმოადგენს ლექსს კალმისა და მელანის ურთიერთობაზე (გვ. 220—221).

სავაქრო ურთიერთობის ასახვაზე მსჯელობისას ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სტროფი უსენის მოხსენიებით (გვ. 233) და შენიშნავს, რომ შემთხვევითი არაა ავთანდილის ვაქრულად გამოწყობა გულანშაროს მისვლისას (გვ. 226).

იქვე გვ. 227—236 ავტორს სტატიაში „Грозомый кувшин 1182 г.“ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ადგილი („რაცა ვის რა ბედმან მისცეს...“) რუსთაველის სოციალურ მოტივებზე შეხედულების საილუსტრაციოდ (გვ. 227).

1860. [სიეთ დედვარიაძე]

შოთა რუსთაველი უცხოეთის ლიტერატურაში
(ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა)

კრებ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, თბილისი, 1938, IV, გვ. 124—151.

ნაშრომი წარმოადგენს შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის უცხოეთის მწერლობაში გაცნა-გაცნობის მიმოხილვას, ცალკეული მნიშვნელოვანი სტატიების, ნარკვევების, მონოგრაფიებისა და თარგმანების გარჩევით და კრიტიკული შენიშვნებით. ავტორი ეხება ასაშვლ ცალკე გამოცემულ სპეციალურ სტატიას, გამოკვლევას, შენიშვნას, თარგმანსა თუ პერიოდულ პრესაში მოთავსებულ წერილებს, დაწყებული აკად. ბროსედან 1937 წლამდე.

ავტორი იძლევა საჭირო ბიბლიოგრაფიულ ცნობებთან ერთად მასალათა დახასიათება-შეფასებას და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას ქართველოლოგიისა და რუსთაველოლოგიის საკვლევამთხილო მუშაობის განვითარების თვალსაზრისით. საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ფართო ამონაწერები ცნობილ მკვლევართა ნაშრომებიდან, განსაკუთრებით ისეთი გამოცემებიდან, რომელნიც ჩვეულებრივი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი არ არის.

ავტორს გამოყენებული აქვს უმთავრესად ცალკეული გამოკვლევები ქართული კულტურისა და მწერლობის შესახებ, მონოგრაფიები საქართველოს ისტორიაზე, პოლიტიკურ წყობასა და სოციალურ-კულტურულ ვითარებაზე, რომლებშიაც რაიმე თვალსაზრისით გარჩეულია რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედების საკითხები. შესწავლილია ენციკლოპედიები, მოგზაურობანი, ვეფხისტყაოსნის გამოცემანი უცხო ენებზე, ტურნალები, გაზეთები და კრებულები, რომლებშიაც მიმოხილულია რუსთაველის შემოქმედება სპეციალურად თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ნაწრომის სათაურს სკოლიოში აქვს შენიშვნა, რომ დამუშავებულია საჯარო ბიბლიოთეკის კავკასიისენციკლოპედიის კაბინეტის მასალების მიხედვით. ბოლოში დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ქრონოლოგიური საძიებელი 52 სათაურით, იმის აღნიშვნით, თუ რომელი მათგანი მოიპოვება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში.

1861. მ. დელბა

Заметки о «Ветхис-тхаосани»

კრებ. Алманах писателей Абхазии, Союз советских писателей Абхазии, Сухуми, 1938, книга четвертая, гл. 170—181.

წერილი წარმოადგენს რუსთაველის შემოქმედების ზოგად დახასიათებას. ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხს, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მოტივებს, იდეალებს და მთავარ გმირებს, რისთვისაც ციტატები მოჰყავს რუსული თარგმანით. ავტორი ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის ხალხურობას, მოჰყავს ხალხურ პოეზიაში რუსთაველის მოტივების გამოხატულების ნიმუშები და შენიშნავს, რომ:

„Не только непосредственно грузинский народ, чьим бессмертным сыном является Руставели, но и братский абхазский народ, исторически тесно связанный экономикой, культурой и политикой с грузинским народом, составляющий неотъемлемую часть грузинского народа, отражает величие Шота Руставели в своем фольклоре“ (გვ. 173—174).

1862. კარ. დონაძე

ქალთა ფაქები „ვეფხისტყაოსანში“

გახ. კომუნისტური განათლება, 1938, 24 მარტი, № 26(448), გვ. 2.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანში დახატულ ქალთა ტიპებს—ნესტან-დარეჯანს, თინათინს, ასმათს, ფატმანს, ანალიზს უყენებს მათ როგორც მხატვრულ სახეებს პოემიდან სათანადო ციტაციის მოყვანით და ასკვნის, რომ ისინი „მტკიცე მეგობრობით, სიმართლის სიყვარულითა და გამბედაობით ვეფხისტყაოსნის მამაკაც გმირების საამაყო სიმალლეზე დგანან“.

1863. კარ. დონაძე

„ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკა

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 26 აპრილი, № 10(65), გვ. 6.

ავტორი ეხება რუსთაველის შაირობის თეორიას და აღნიშნავს, რომ მისი პოემა მხატვრული ილუსტრაციაა იმ ძირითადი თეალსაზრისისა, რომელიც თვით პოემის შესავალში კონდენსირებულად არის გამოთქმული. ავტორი ახასიათებს რუსთაველის პოემის მხატვრულ მხარეებს, არჩევს მის შეხედულებას პოეზიის სახეებზე, ეხება რუსთაველის შაირს და მხატვრულ საშუალებებს—რიტმას, ლექსიკასა და სხვ. საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო ადგილები.

1864. კარ. დონაძე

„ვეფხისტყაოსანი“ და ეკლესია

გახ. კომუნისტური განათლება, 1938, 12 აპრილი, № 32(454), გვ. 3.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ეკლესიური დევნის ისტორიას და მიაჩნია, რომ პოემა იდეენებოდა როგორც ანტირელიგიური, ანტიქრისტიანული, საერთოდ საეკლესიო დოგმატიკის უარყოფელი ნაწარმოები, რადგან ის პუმანიზმის, ადამიანის ბუნების, მატერიალური საწყისის ლოზუნგებს აყენებდა. ეს დევნა, ავტორის შენიშვნით, განსაკუთრებით მწვავე

იყო აღორძინების ხანაში, რის გამოც ვახტანგი იძულებული იყო ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემისათვის დაერთო პოემის საღვთო გაგების გამომსახველი კომენტარები. პოემის დენასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ანტონ კათალიკოსის, ტიმოთეს, პლატონ იოსელიანისა და ბოლხოვიტინოვის ცნობები.

1865. პროფ. კ. დონდუა

საშინელი უმეცრება

ჟურნ. მნათობი, 1938, № 1, გვ. 194 — 196.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას დ. დანდუროვის წიგნზე „Шота Руставели“ (მოსკოვი, 1937, სერიაში „Жизнь замечательных людей“).

პირველად დაიბეჭდა გაზ. „Известия“ 1937, 23 დეკემბერს, № 298 სათაურით: „Чудовищная безграмотности“. იხილეთ ანოტაცია № 1468.

1866. Проф. К. Д. Дондуа

Шота Руставели и грузинская литература

ჟურნ. Известия Академии Наук СССР, 1938, № 3, გვ. 11—28.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქის წინა ხანების საქართველოს პოლიტიკურ, სოციალ-კულტურულ ვითარებასა და ლიტერატურული ცხოვრების გარემოს და აღნიშნავს ძლიერ სახელმწიფოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობასა და მდიდარი ჰაგიოგრაფიული და ფილოსოფიური ლიტერატურის განვითარებას, რომელთაც მოამზადეს ნიადაგი რუსთაველის შემოქმედებისათვის. ავტორს გაჰყავს პარალელი ვეფხისტყაოსნის ცალკეული მოტივების, სახეებისა და თქმებისა ამირანდარეჯანიანსა, ვისრამიანსა, აბდულმესიასა და თამარიანთან. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსანთან გარკვეული ხაზებით ყველაზე ახლოს დგას ამირანდარეჯანიანი. მათში მრავალი პარალელია ეპიზოდური თუ მოტივური. შესაძენეია სტილისტური და ლექსიკური შეხვედრებიც. ზოგიერთ გამოთქმასა და შედარებაში რუსთაველი შთაგონებულია აგრეთვე ვისრამიანით და ექვს არ სტოვებს, რომ რუსთაველმა იცოდა ვისრამიანის ქართული თარგმანი.

რუსთაველის პოეტური კულტურისათვის მნიშვნელობა ჰქონდა შავთელისა და ჩახრუხაძის ოდენსაც, რომელთანაც ვეფხისტყაოსნის ზოგი ტაეპი პოულობს პარალელს, რის ნიმუშებიც ავტორს მოჰყავს. მათში საერთოა სტილი, მეტაფორა, ეპითეტი და რითმაიც კი.

ეს საერთო ხაზები რუსთაველის ლიტერატურულ გარემოს წარმოადგენდა, რომელთაც რუსთაველზე ერთგვარი გავლენა მოახდინეს. მისი მნიშვნელობა ის არის, რომ მან მოგვცა თავის წინამორბედთა განვილი შემოქმედებით ძიებათა მხატვრული სინთეზი. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსანში გამოხატული დასაუღეთისა და აღმოსაუღეთის კულტურათა სინთეზი არ არის მექანიკური პროცესი მათი ქართულზე გავლენისა. მათი ფესვები, ზემოთ აღნიშნული, თვით ქართული ნიადაგია.

ავტორი ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის პრობლემას, მისი პოეტური ხელოვნების პრინციპებს, სიყვარულის თეორიას, რომელსაც უპირისპირებს მეგობრობას, როგორც პოემის მთავარ იდეას. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის ეს მთავარი იდეები მეგობრობისა და სიყვარულისა ყოველგვარი სახის ნაციონალურ და რელიგიურ შემოზღუდულობას უარყოფენ. ავტორს მოჰყავს პოემის სქემატური შინაარსი, არჩევს მის სიუჟეტს, კომპოზიციას, გმირების

ურთიერთობასა და ხასიათებს. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ლიტერატურულ კრიტიკაში ზოგჯერ ფატმანი დაუმსახურებლადაა უარყოფით ტიპად გაგებული.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის საერთო მნიშვნელობას ქართული პოეზიის განვითარებისათვის, მის გავლენას აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაზე, მისდამი ქართული ლიტერატურული წრეების დამოკიდებულებას და მის გამოძახილს XIX საუკუნის საზოგადოებრივ განწყობილებასა და მწერლობაში ჩვენ თანამედროვეობამდე.

1867. К. Дондуа

А.ишрандареджиниანი

კრებ. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1938, გვ. 91—110.

ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი სტროფი („ამირან და რეჯანისძე...“) რუსული თარგმანით და აღნიშნავს, რომ რუსთაველს ამ სტროფში მოხსენებული ჰყავს მისი დროის ყველაზე მეტად ცნობილი ავტორები და მათი თხზულებანი (გვ. 91). ამ სტროფით განსაკუთრებით პოპულარული ჩანს საქართველოში ამირანდარეჯანიანი და მკვლევარები საკმაო საფუძვლიანობით სვამენ საკითხს ვეფხისტყაოსანზე ამ თხზულების გავლენის შესახებ (გვ. 93). ზოგი ეპიზოდისა და მოტივის საერთო ხასიათი ამირანდარეჯანიანსა და ვეფხისტყაოსანში იმას მიეკუთვნება, რომ ორივეს რაღაც საერთო წყარო ჰქონიათ (გვ. 94).

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის სტილს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის თქმები (გვ. 94, 97) იმის საჩვენებლად, თუ პატრონებული ინსტიტუტის იდეალები და ყოფა როგორ გამოხატულებას ჰპოვებენ პოემაში ამირანდარეჯანიანთან პარალელისა და ანალოგიის თვალსაზრისით.

1868. В. Дондуа

Басили, историк царицы Тамары

კრებ. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1938, გვ. 33—76.

ავტორს ბასილის სტილის დახასიათებისას პარალელი გაჰყავს რუსთაველის ზოგ თქმასთან (გვ. 37).

1869. Г. Дусавицкий

„Венхис ткаосანი“ українською мовою

გახ. Літературна газета, 1938, 5 сирень, № 1, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ავსებს მრავალეროვანი, მდიდარი სოციალისტური კულტურის ფონდს და უკრაინა მიკოლა ბაჟანს უნდა უმადლოდეს, რომ მან ვეფხისტყაოსნის შესანიშნავი თარგმანი შეასრულა უკრაინულ ენაზე. აღნიშნავს ბაჟანის თარგმანის ლირსებებს და პოემის ორიგინალის ენობრივ თავისებურებებს, რომელნიც თარგმანში ინარჩუნებენ ძალასა, მონუმენტალობას და კოლორიტს. მოჰყავს რამდენიმე სტროფი სანიმუშოდ. მისი შენიშვნით, ასევე კარგადაა თარგმნილი აფორიზმები დამახასიათებელი სისადავით, სიმძაფრით და მისაწვდომობით. ზღაგ.

„Ліше смерть, достоїнства слави, ніж згяньбоване життя“.

დასასრულს ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის უკრაინულად თარგმანის ისტორიას და აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის უკრაინული თარგმანის გამოცემის დიდ მნიშვნელობას.

1870. М. М. Дьяконов

Люстровое блино с изображением царского двора

კრებ. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1938, გვ. 195—200.

ავტორი ხელოვნებაში მეფისა თუ დიდებულთა გამოსახვის ხერხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ რუსთაველიც მისდევს მეფის გამოჩენისა და განდიდების ისეთსავე ხერხს როგორსაც, მაგ., ფირდოუსი. ტარიელი მთელ ჯარს ამარცხებს, ასევე ავთანდილი ხოცავს ყაჩაღებს. ამ ხერხთან დაკავშირებით ხსნის ავტორი ტარიელთან სხვა გმირთა დამოკიდებულებას, რომელთა ცენტრშიც ის არის მოქცეული და რასაც მეგობრობა და სიყვარული აკავშირებს.

1871. М. М. Дьяконов

Ширвинский бронзовый водолей 1206 г.

კრებ. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1938, გვ. 247—254.

ავტორი შენიშნავს, რომ შოთა რუსთაველის შემოქმედებისა და მისი განმაპირობებელი იდეების კარგად გაგებისათვის აუცილებელია მისი დროის მატერიალური კულტურის შესწავლა (გვ. 247). ავტორის შენიშვნით, თუმცა რუსთაველი აღსარებით ქრისტიანი იყო, თავის გმირს არაბ ავთანდილს — მაჰმადიანს ის მნათობთადმი ალოცებს (გვ. 250). 1206 წლის სარწყულზე ასახული იდეალები და განწყობილება რუსთაველის პოემის ილუსტრაციებს გვაგონებენ (გვ. 251). რუსთაველის პოემაში მსოფლიოს ქვეყანათა მრავალფეროვნება ასახული (გვ. 251) და სარწყულის მოტივები იმდენ საერთოს შეიძლება რუსთაველის პოემის სურათებთან, რომ მას ერთმა საბჭოთა მეცნიერმა უწოდა „რუსთაველის პოემა ბრინჯაოში“ (გვ. 254).

1872. ივ. ენაქლოფოვი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოკვლევები და თარგმანები რუსულ ენაზე
ფერ. მნათობი, 1938, № 1, გვ. 197—200.

ავტორი იძლევა ბიბლიოგრაფიულ ცნობებს რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის ირგვლივ არსებულ ლიტერატურაზე 1802 წლიდან დაწყებული 1917 წლამდე რუსული პერიოდიკისა და ცალკეული გამოცემების მიხედვით. მათში ზოგი დახასიათებულია ვრცლად, უფრო ხშირად კი ავტორი კმაყოფილდება მხოლოდ სათაურის აღნიშვნით.

ბიბლიოგრაფია სრული არ არის და ხასიათდება შეცდომებით.

1873. Н. Заболоцкий (РСФСР)

Плен в великой дружбы и любви

გახ. Литературная газета, 1918, Января 5, № 1 (708), გვ. 2.

გაზეთის მთელი გვერდი მიძღვნილია რუსთაველის საიუბილეო პლენუმისადმი წარწერით: «Руставелевский пленум правления Союза советских писателей в Тбилиси». წერილი წარმოადგენს რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლებას.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და აღნიშნავს თანამედროვე ახალგაზრდობის დიდ ინტერესს ვეფხისტყაოსნისადმი, რაც პოემის მოწინავე იდეებითაა გამოწვეული. ავტორი ეხება მის მიერ შესრულებულ ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანს, რომელიც ახალგაზრდობისათვის გასაგებ ენაზე გადაუმუშავებია. ამ თარგმანში ავტორს მიზნად დაუსახავს შეენარჩუნებინა ორიგინალის სტილისტიკური თავისებურებანი და მასთან ერთად ცდილა, რომ თარგმანი ადვილად წასაკითხი ყოფილიყო.

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

ჟურნ. Костёр, Ежемесячный журнал для детей среднего и старшего возраста
ЦК ВЛКСМ, издательство детской литературы,
Москва-Ленинград, 1938, Январь, № 1, გვ. 41—44.

7. Tariel æmæ Nestan-Daredzin (Galiag adæmon tauræh) (გვ. 49—51).
8. Sergei Makhalatija—Rustauy Qæv æmæ Տօտա Rustavelljy tauræh გვ. (53—54).
9. „Adæmon tauræh ystajy carmdarnl“ (გვ. 55—58). წარმოადგენს ხალხურ ვეფხისტყა-
ოსანს ლექსნარევი პროზით.
10. Sota Rustavelljy adæmon biografi“ (გვ. 59—60).
11. Th. Ruxadze—Rustavelljy biografijy tyxxæj fystadon suadættæ (გვ. 61—62).
12. Xarebaty Anisim—Sota Rustaveli (გვ. 63—67). შეიცავს რუსთაველის ბიოგრაფიისა და
შემოქმედების ზოგად დახასიათებას იუბილესთან დაკავშირებით.
13. Docent P. Beradze—„Rustavelljy æmdzæggæty ritmy tyxxæj“—(69—71).
14. Fæsaryæjnag tysæytæ S. Tbilisy (გვ. 75—81). შეიცავს სხვადასხვა ქრონიკალურ ცნობას
რუსთაველის იუბილეს მიმდინარეობაზე.

1928. *Մօտա Րուստավելօ*

ვეფხისტყაოსნის აფორიზმები ლოტოზე

შეადგენილია ალ. ინაშვილის მიერ, გამოცემა „ტექნიკა და შრომისი“, თბილისი,—1938.

შეიცავს თამაშის წესებს 13 გვერდად, კარტებს და მუყაოს ფირფიტებს.
ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილ 90 აფორიზმს. აფო-
რიზმები მოთავსებულია სათამაშო ლოტოს კარტებზე, თამაშის წესების წიგ-
ნაკში და მუყაოს ფირფიტებზე.

1029. [შოთა რუსთაველი]

[ვეფხისტყაოსანში მოხსენიებული ფრინველები]

წიგნში: გიორგი ნათიძე, ვეფხისტყაოსნის ფრინველები, საქ. ა. ლ. კ. კ. კ. კ., საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტ. გამომცემლობა, თბილისი. 1938, 16 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილ სტროფებს, რომლებშიაც მოხსენიებულია ფრინველები: კაკაბი, გნოლი, ღურაჯი, ბულბული, იადონი, იხვი, ბატი, ტრედი, ყორანი, ყვავი, გავაზი, შვებარდენი, ქორი, არწივი, ორბი, ბუ. ტექსტს დართული აქვს ფრინველთა სურათები. დასაწყისი:

„...ემა გარდაიჭრა, დაბა, ეთა კაკაბი მახეს,
მხას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთ სახესა...“

1030. [Шота Руставели]

Шота Руставели (Статти і матеріали)

Упорядкував і редагував П. І. Альтман, Академія Наук УРСР, Інститут української літератури ім. Т. Г. Шевченка. Видавництво Академії Наук УРСР, Київ, 1938, 214 გვ.

კრებული წარმოადგენს ნარკვევებს რუსთაველოლოგიის საკითხებზე, რომელთა ნაწილი ცალკე სტატიების სახით დაბეჭდილი იყო 1937 წელს რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. კრებულს წინ უძღვის უაქტუროდ მცირე შესავალი „Велике свято радянської культури“ (გვ. 3—6), რომელშიაც ზოგადად დახასიათებულია რუსთაველის შემოქმედება და აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის მსოფლიო ლიტერატურული მნიშვნელობა. კრებული შეიცავს შემდეგ მასალას:

1. Акад. П. Тичина—„У пісні, в славі, в помислах жише“ (გვ. 7—13).
2. П. Ігнорова—„Шота Руставелі і його поема“ (გვ. 14—41).
3. Н. Тихонов—„Поет і світ“ (გვ. 42—56).
4. М. Бажан—„Слава наших народів“ (გვ. 57—63).
5. Доц. С. Йорданішвілі—„Зміст доля поеми Руставелі „Витязь у тигровій шкурі““ (გვ. 65—79).
6. Проф. К. Кекелідзе—„Соціально-політичний і культурний стан Грузії в епоху Руставелі“ (გვ. 80—104).
7. С. Чіковани—„Любов, дружба і героїзм в поемі Руставелі“ (გვ. 105—126).
8. Проф. Ал. Барамідзе—„Таріель“ (გვ. 127—147).
9. С. Кубанішвілі—„Герої „Вепкіс ткаосаї“ в народних переказах“ (გვ. 148—183).
10. Ясамані—„Витязь у Тигровій шкурі“ Шота Руставелі українською мовою (გვ. 185—188).
11. П. Тиховський—„Поема Шота Руставелі в перекладі О. О. Навроцького“ (გვ. 189—201).
12. Бібліографія (გვ. 208—212). რუსთაველოლოგიური ლიტერატურა უკრაინულ ენაზე შეიცავს ზეთ ნაწილს:

I. Шота Руставелі в перекладі на українську мову 10 სახელწოდებით.

II. Російські переклади Шота Руставелі в українській пресі 3.

III. Статті про Шота Руставелі 43.

IV. Вірні присвячені Шота Руставелі 14.

V. Ювілейні дні Шота Руставелі на Україні (Замітки, привітання, оголошення в українській пресі) 17.

1031. ტრ. რუხბაძე

რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული ძეგლები

თრნ. მნათობი, 1938, № 1, გვ. 201—202.

წერილი წარმოადგენს ზოგად შენიშვნებს გამომცემლობა ფედერაციის მიერ ილ. აბულაძის რედაქციით და პროფ. შ. ნუცუბიძის და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის წინასიტყვაობით გამომცემულ „სიბრძნე ბალავარისა“ და პროფ. ს. კაკაბაძის რედაქციით გამომცემულ „აბდულმესიანსა“ და „თაბარიანზე“.

Шота Руставели

Опера-легенда в 4-х действиях

Краткое содержание и музыкальный обзор составлен Н. Рядновой, Тифлис, 1938, 20 экз.

ოპერის „შოთა რუსთაველი“ ლიბრეტოს შინაარსთან დაკავშირებით, ავტორი მოკლედ ეხება შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს. რუსთაველის დაბადების თარიღად აღნიშნავს 1169 წელს, სიკვდილისად — 1245 წელს. ავტორის შენიშვნით, რუსთაველი იზიარებდა სპარსული სექტის „მანის“ მოძღვრებას. მისი პირველი პოემა იყო „ქებანი“. ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1207 წ. რამდენადაც რუსთაველი პოემაში აქვებდა მწესროგორც ლეოთებას, სამღვდლოება სდევნიდა მას. პოეტი იყო მონგოლთა წინააღმდეგ შეთქმულების მეთაური.

დასასრულს, მოყვანილია რუსთაველის შესახებ არსებულ ლეგენდათა ფაბულური და დახასიათებულია მისი ხალხური ბიოგრაფია როგორც მასალა ოპერის ლიბრეტოსათვის.

1933. თ. ხახოკია

„ვეფხისტყაოსნის“ ფიგურალური სიტყვანი და გამოთქმანი
კრებ. ენციკლის მოამბე, 1938, III, გვ. 275—310.

ნარკვევი შეიცავს თანამედროვე მკითხველისათვის ვეფხისტყაოსანში ნახმარი ძველი და ძნელად გასაგები სიტყვებისა და თქმების დოკუმენტალურ განმარტებას დალაგებულს ანბანთა რიგზე. განმარტებებში ახსნილია რუსთაველის მეტყველებისათვის დამახასიათებელი მხატვრული გამოთქმის თავისებურებანი, მათი მნიშვნელობის მითითებით.

ავტორი დასაწყისში მოკლედ ეხება თავისი ნაშრომის მიზანსა და შედეგილობას და აღნიშნავს, რომ ამ ლექსიკონში 208 განმარტებაა მოცემული, რომელთა დართვა ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემისათვის აუცილებელია. ყოველ განმარტებას ავტორი კონტექსტის გასაგებად ურთავს სათანადო ტექსტს, რომელშიაც ესა თუ ის სიტყვა თუ თქმაა მოცემული და რის განმარტებასაც ავტორი იძლევა, მაგ.:

ბედის მოქცევა — პირდ. ბედის აცილება, ბედისგან შორს დატოვება, გდტ. გაუბედურება, გასაყოფა. 836. ვის გმორჩილობენ ცივნი, ერთის იოტის წამისად, ბედსა ნუ მოცელი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად!

1934. Акад. В. В. Струве

Великий гуманист

Речь на пленуме ССП СССР, посвященном 750-летию поэмы Шота Руставели

„Витязя в тигровой Шкуре“ (Тбилиси) декабрь, 1937 г.

ჟურნ. Известия АН СССР, Москва—Ленинград, 1938, № 3, გვ. 9—10.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ თხზულებაში გამოსახა ყოველგვარი მოწინავე და კარგი, რაც კი აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეტებსა და მოაზროვნეებს მოუციათ. მან შეაერთა დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოეზიისა და აზროვნების ყველაზე საუკეთესო იდეალები. მან გააერთიანა თავის შემოქმედებაში ფეოდალური კულტურა, ანტიკური ფილოსოფია და ლიტერატურა თავისი ხალხის მდიდარ შემოქმედებით ტრადიციებთან. მასში გამოსახულია ქართული სახელმწიფოებრივი იდეალი — ხალხების ერთიანობისა და სარწმუნოებრივი თავისუფლებისა. მისმა გენიამ დათრგუნა შუა საუკუნეობრივი შემოზღუდულობა, ფანატიზმი და რამდენიმე საუკუნით დაასწრო დასავლეთს ჰუმანიზმის ქადაგებაში. მისი მოწინავე იდე-

ები იმის მიზეზი გახდა, რომ ის გამოცხადდა ქრისტიანობის მტრად. რუსთაველის პროგრესული იდეალები ეხმაურება ჩვენ თანამედროვეობას.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის ქვეყანამ —საქართველომ თავისი წიაღიდან წარმოშვა ი. ბ. სტალინიც, რომელმაც ლენინთან ერთად გაათავისუფლა მიჯაჭვული პრომეთე და დედამიწის ერთმეექვსედზე ნაციონალურ ჩაგვრას ბოლო მოუღო. საბჭოთა ჰუმანიზმის ეპოქამ განახორციელა გენიალური ქართველი პოეტის იდეალები.

1935. Академин В. В. Струве (РСФСР)

Осуществленные мечты гения

გაზ. Литературная газета, 1938, январь 5, № 1 (706), გვ. 2.

მთელი გვერდი მიძღვნილია რუსთაველის საიუბილეო პლენუმისადმი წარწერით: „Руставелевский пленум правления Союза Советских писателей в Тбилиси“.

ტექსტი წარმოადგენს პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლებას. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების მსოფლიო მნიშვნელობას, რომელშიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურათა საუკეთესო ტრადიციებია გაერთიანებული, ის ლახავს ნაციონალურ-რელიგიურ შემოზღუდულობას და თავისი მოწინავე იდეალებით ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობასო.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას და ზოგადად ეხება ქართველი ხალხის კულტურას.

1936. П. Тиховский

Поэма Шота Руставели о истреблении О. О. Попронского

კრებ. Шота Руставели (Статти і матеріали), АН УРСР, 1938, Київ, გვ. 189—201.

ავტორი ეხება უკრაინულ ენაზე ვეფხისტყაოსნის პირველი თარგმანის ცდას ოლექსანდრ ოლექსანდრეს ძე ნაეროკის (1823—1892) მიერ. ავტორს მოჰყავს შესადარებლად ნაეროკისა და ბაეანის უკრაინული თარგმანები, მოკლედ გადმოცემს ნაეროკის ბიოგრაფიას და განსაკუთრებით აღნიშნავს მისი კავკასიაში ცხოვრების ვითარებას. სტატიას ბოლოში ერთის ნაეროკის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის უკრაინული თარგმანის ნიმუში პირველი თავისა (32—83 სტროფები): „Про Ростевана, царя армян“ (გვ. 192—201).

1937. Н. Тихонов

Поэт и Мир

Из доклада на пленуме ССП СССР в Тбилиси, посвященном 750-летию поэмы

„Витязь в тигровой шкуре“ Шота Руставели (декабрь 1937 г.).

ურბ. Известия Академии Наук СССР, Отделение общественных наук, Изд-во АН СССР, Москва-Ленинград, 1938, № 3, გვ. 81—86.

ავტორი იძლევა ვეფხისტყაოსნის ზოგად შეფასებას ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვით. მისი აზრით, რუსთაველმა შესძლო აესახა თავისი დროის სინამდვილე და ექადავა ჰუმანურ-პროგრესული იდეები. ავტორის საერთო დასკვნით, რუსთაველის მიერ დახატული გმირები თავისი იდეებითა და მოტივებით ბევრ სასარგებლოს შეიტაცენ მსოფლიო პოეზიის თვალსაზრისით. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეალებსა და გმირებს და მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან.

იგივე დაიბეჭდა სათაურით „Поэт и мир“ კრებულში: Шота Руставели (Статти і матеріали), АН УРСР, Київ, 1938, გვ. 42—56.

ამავე თემაზე ავტორმა წაიკითხა მოხსენება რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე თბილისში. მოკლე ანგარიში იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1938, 3 იანვარი, № 2, გვ. 3.

კრებ. შოთა რუსთაველი (Статті і матеріали), АН УРСР, Київ, 1938, გვ. 7—13.

სათაურს სკოლიოში აქვს შენიშვნა, რომ ეს სტატია მოხსენების სახით წაკითხულია 1937 წელს რუსთაველის პლენუმზე თბილისში.

მილოცვის შემდეგ ავტორს მოჰყავს რუსთაველის აფორიზმები უკრაინული ტრანსკრიფციით, მათივე უკრაინული თარგმანით, აღნიშნავს მათ პროგრესულ მნიშვნელობას, ეხება რუსთაველის პოპულარობას, მის მსოფლმხედველობას, ჰუმანიზმს და რუსთაველს ადარებს მსოფლიო პოეზიის წარმომადგენლებს.

ავტორი აღნიშნავს უკრაინული საზოგადოებრიობის დაინტერესებულობას რუსთაველის შემოქმედებით. ჩერდება ნაფროცკიზე, რომელსაც XIX საუკუნეში უთარგმნია ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილები უკრაინულ ენაზე. დასასრულს, ავტორი ეხება ქართულ-უკრაინულ ლიტერატურულ ურთიერთობებს და ამ მხრივ წარმოებულ მუშაობას ორივე ენაზე, განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის უკრაინულ ენაზე თარგმნის მდგომარეობას და რუსთაველის პოპულარობას საბჭოთა კავშირის ხალხებში.

1939. Павло Тычина

Имя Руставели близко трудящимся массам

გაზ. Литературная газета, 1938, январь 5, № 1 (708), გვ. 2.

მთელი გვერდი მიძღვნილია რუსთაველის საიუბილეო პლენუმისადმი წარწერით: „Руставелевский пленум правления Союза Советских писателей в Тбилиси“.

წერილი წარმოადგენს პლენუმზე წარმოთქმული სიტყვის შემოკლებას. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების სიდიადეს, მის პოპულარობას, მოკლედ ახასიათებს მისი შემოქმედების მთავარ იდეალებსა და მოტივებს, აღნიშნავს რუსთაველის აზროვნების თავისებურებას, რომელიც მას ასხვავებს ინდოელ და სპარსელ დიდ მოაზროვნე-პოეტებისაგან. ავტორის შენიშვნით, რუსთაველისათვის მთავარია არსებობის გაგება არა როგორც სიმბოლოსი, არამედ როგორც სინათლისა.

ავტორი ახასიათებს რუსთაველს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებთან დაპირისპირებაში და მოკლედ ჩერდება ვეფხისტყაოსნის უკრაინულად თარგმნის ისტორიაზე (ა. ა. ნაფროცკი, მ. ბაქანი). დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედებაში განხორციელებულია ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის ოცნებანი და მიღწევანი.

1940. [უაცტორი]

თბილისის ქალაქის საბჭოს რუსთაველისადმი მიძღვნილი საზეიმო პლენუმი

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 10 იანვარი, № 1 (56), გვ. 1.

საინფორმაციო წერილში მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის დაწერიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისის ქალაქის საბჭოს მიერ ჩატარებული საზეიმო პლენუმის მიმდინარეობა ოპერისა და ბალეტის თეატრში ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა და ინტელიგენციის აქტივთან ერთად, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლების თანდასწრებით. იქვე მოკლედ აღნიშნულია საზეიმო პლენუმისა და საპატიო პრეზიდენტების შემადგენლობა და მომხსენებელთა და დეკლავატთა გამოსვლები. საზეიმო პლენუმი გახსნა მ. გეიშოანმა, შესავალი სიტყვა წარმოსთქვა ვ. ბაქრაძემ, მოხსენება „შოთა რუსთაველი და მისი შემოქმედება“ წაიკითხა პროფ. ქ. კეკელიძემ. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: ვ. სტავსკი, ვ. გომარელი, პროფ. არნოლდ

წიქობავეა, პოეტი რილსკი, გ. ლეონიძე, აკაკი ვასაძე, ჰასემ ლახუტი, იმან ტურაიევა, ჩიმლაზ ასლანოვა, სამედ ეურგუნი, ჯამბუღლი, ს. ვაშაქიძე, ქ. ძიძარია, ზ. ჩაბაიევი, ვალერია გერასიმოვა, ლეონიდ სობოლევი, ილია ერენბურგი, ვ. ბუჯიაშვილი, აკაკი ხორავე.

იქვე: სსრ კავშირის ხალხთა ენებზე პოემა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელთა დაჯილდოება.

საინფორმაციო წერილში დასახელებული არიან პოეტები, რომელნიც საქართველოს სსრ ცაკის დადგენილებით ვეფხისტყაოსნის სსრ კავშირის ხალხთა ენებზე თარგმნისათვის სიგელებითა და ფულით დაჯილდოვდნენ: უკრაინულზე — მ. ბაეანი; რუსულზე — გ. ცაგარელი, ნ. ზაბოლოცკი; აზერბაიჯანულზე — სამედ ეურგუნი; მამედ რაჰიმი, სულეიმან რუსტამი; მადლობა გამოცეხადათ: სომხურზე — ნ. ზარიანს, გ. სარიანს, გ. ასატურს; რუსულზე — პ. პეტრენკოს, ვ. ელსნერს; ბელორუსულზე — აგნეცეტს; ბაშკირულზე — გ. სალიამის; თათრულზე — ა. ისხაკოვს; ჩუვაშურზე — იანგაბის; უზბეკურზე — ახუნდის; ებრაულზე — ფინინბერგის; აფხაზურზე — დ. გულიას.

იქვე, გვ. პ. ქართული მწერლები შოთა რუსთაველს

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებულის გამოცემა ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობის აღნიშვნით და კრებულის შინაარსის მოკლე გადმოცემით.

1941. [უაფტორო]

„რუსთაველის ეპოქის ძეგლები“

გაბ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 26 აპრილი, № 10 (65), გვ. 6.

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ საქავეშირო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ლენინგრადში გამოსცა „რუსთაველის ეპოქის ძეგლები“ ერმიტაჟში მოწყობილი გამოფენისათვის „რუსთაველის ეპოქა“. წიგნში მოთავსებულია 14 სტატია და შეიცავს 406 გვერდს.

1942. [უაფტორო]

ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა

გაბ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 24 ივლისი, № 18 (73), გვ. 6.

საინფორმაციო ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა უბის ვეფხისტყაოსანი საიუბილეო აკადემიური ტექსტის მიხედვით, ამასთან ერთად ცნობაში დახასიათებულია წიგნის გაფორმება.

1943. [უაფტორო]

კრებული შოთა რუსთაველზე უკრაინულად

გაბ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 10 აგვისტო, № 19 (74), გვ. 4.

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ უკრაინის სამეცნიერო აკადემიის გამომცემლობამ გამოსცა სტატიებისა და მასალების კრებული შოთა რუსთაველზე. კრებული შედგება 4 განყოფილებისაგან და შეიცავს 214 გვერდს. წერილები შეეხება ვეფხისტყაოსნის როლს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მის შინაარსსა და კვლევა-ძიებას მისი საკითხების ირგვლივ. მონაწილეობენ აკად. პ. ტიჩინა, პ. ინგოროყეა, ნ. ტიხონოვი, მ. ბაეანი, დოც. ს. იორდანიშვილი, პროფ. კ. კეკელიძე, ს. ჩიქოვანი, პროფ. ა. ბარამიძე, იასანანი და ა. ტიხოვსკაია.

1944. [უაფტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულად (თარგმანი პ. პეტრენკოსი)

გაბ. კომუნისტი, 1938, 15 აპრილი, № 86, გვ. 4.

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის გამოცემის შესახებ, რომელიც შესრულებულია პოეტ პანტელეიმონ პეტრენკოს მიერ. იქვე მოკლედ დახასიათებულია თარგმანი და აღნიშნულია, რომ

პეტრენკოს სიკვდილმა მისი მუშაობა შეწყვიტა პოემის 1601 სტროფზე და მისი ბოლო თარგმნა პოეტმა ბ. ი. ბრიკმა. გამოცემის რედაქტორის იოსებ ორბელის შენიშვნით, პეტრენკოს თარგმანი რუს შკითხველს წარმოადგენას აძლევს ვეფხისტყაოსანზე და ის არ არის ბალმონტისებური გადამღერება, ბრიკის მიერ თარგმნილი ნაწილი კი უფრო დაშორებულია დედანს და ნაკლებ შეეხმატებილება მას.

1945. [უაფტორო]

ხალხური „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები

გახ. კომუნისტი, 1938, 28 აპრილი, № 97, გვ. 4.

საინფორმაციო წერილში აღნიშნულია, რომ 26 აპრილს მწერალთა სასახლეში პოეტმა კ. ქიქინაძემ გააკეთა მოხსენება უზბეკეთში გავრცელებულ ხალხური ვეფხისტყაოსნის ვერსიების შესახებ. იქვე აღნიშნულია კ. ქიქინაძის მიერ უზბეკეთში მოგზაურობისას ვეფხისტყაოსნის ხალხური ვერსიების ჩაწერის შესახებ აშუღ თაზილ იოლდაშევისაგან. კ. ქიქინაძის აზრით, უზბეკეთში ვეფხისტყაოსნის ვერსია მონღოლთა საქართველოში შემოსევების დროს უნდა იყოს წალბებული. დასასრულ აღნიშნულია მოხსენებების ირგვლივ გამართული კამათის შესახებ. უმრავლესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ შესაძლოა ამ ვერსიების არსებობა რუსთაველის საიუბილეო დღეების გამოხატულებაც იყოს და უზბეკური ვერსიები შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის გადამღერებას წარმოადგენდეს.

1946. [უაფტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ჩინურ ენაზე

გახ. კომუნისტი, 1938, 18 მაისი, № 112, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს მოსკოველი კორესპონდენტის მოკლე ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჩინელი რევოლუციონერი პოეტისა და მწერლის ემი სიოოსაგან მიღებულია ცნობა, რომ მას განზრახული აქვს ჩინურ ენაზე თარგმნოს ვეფხისტყაოსანი, რისთვისაც დახმარებას თხოვს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ლენინგრადის ინსტიტუტს.

იქვე მოყვანილია ემი სიოოს საუბარი შოთა რუსთაველის შემოქმედების საკითხებზე.

1947. [უაფტორო]

ჩინელი პოეტი ემი სიოო თბილისში

გახ. კომუნისტი, 1938, 24 აგვისტო, № 194, გვ. 4.

საინფორმაციო წერილში ემი სიოოს თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით მოკლედ დახასიათებულია მისი შემოქმედება და აღნიშნულია, რომ „ამჟამად სიოო ჩინურ ენაზე სთარგმნის შ. რუსთაველის ვეფხისტყაოსანს“.

იქვე აღნიშნულია, რომ 25 აგვისტოს მწერალთა სასახლეში დანიშნულია შეხვედრა ემი სიოოსთან, სადაც ის წაიკითხავს ჩინურად თარგმნილი ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტებს.

1948. [უაფტორო]

Переклад поеми Шота Руставелі на мови народів СРСР

გახ. Літературна газета, 1938, 5 იანვარი, № 1, გვ. 1.

მთელი გაზეთი მიძღვნილია რუსთაველისადმი

ცნობა რუსთაველის საიუბილეო პლენუმზე საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე ვეფხისტყაოსნის თარგმნისა და საშუალო სკოლების სასწავლო გეგმებში მის გათვალისწინებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ.

იქვე: *Незабытые времена*

ცნობა რუსთაველის საიუბილეო პლენუმიდან დაბრუნებული უკრაინის დელეგაციის ანგარიშის მოხმების შესახებ.

იქვე, გვ. 3. *Відкриття Пуставицької виставки*

ცნობა იმის შესახებ, რომ თბილისში 1937 წლის 30 დეკემბერს გაიხსნა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელიც სამი დღის განმავლობაში 4 ათასმა კაცმა დაათვალიერა.

იქვე: *Вечір пам'яті Івнїальною поетя*

ცნობა ჩერნიგოვის ოლქის რომენსკის საშუალო სკოლის ლიტერატურული წრის მიერ რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამოს გამართვის შესახებ, რომელზედაც წაკითხული ყოფილა მოხსენება რუსთაველის შემოქმედებაზე და ნაწყვეტები ვეფხისტყაოსნიდან უკრაინული თარგმანით.

იქვე: *Пуставицька виставка в Харкові*

ცნობა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით ეროვნულ სახელობის ხარკოვის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში რუსთაველის შემოქმედებისა და ეპოქისადმი მიძღვნილი გამოფენის მოწყობის შესახებ, რომელზედაც წარმოდგენილი ყოფილა 250 ექსპონატი.

იქვე: *Кийський лекторій до Пуставицьких днів*

ცნობა კიევის ლექტორიუმის მიერ რუსთაველის შემოქმედების საკითხებისადმი მიძღვნილი ლექციების ციკლის ჩატარების შესახებ.

1949. [უაფტორო]

Вечір пам'яті Шота Руставелї

(В кийському університеті, виступ на вечорї родянских письменників)

გაზ. *Література* та газета, 1938, 17 сирень. № 3, გვ. 4.

საინფორმაციო წერილი შეიცავს ცნობას იმის შესახებ, რომ 1938 წლის 14 იანვარს კიევის უნივერსიტეტის ლიტერატურულმა ფაკულტეტმა უკრაინის მწერლებთან ერთად მოაწყო რუსთაველისადმი მიძღვნილი საღამო, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა სახანია. მწერლებმა ილაპარაკეს თავის თბილისურ შთაბეჭდილებებზე. ბაენმა წაკითხა ვეფხისტყაოსნის მის მიერ შესრულებული უკრაინული თარგმანის ნაწყვეტები. თბილისში ჩატარებული რუსთაველის პლენუმის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ივან ლე. საღამოში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მწერლებმა გოროდსკაიამ, პანჩმა, კობილენკომ და სხვებმა.

პოეტებმა წაკითხეს რუსთაველისადმი მიძღვნილი ლექსები.

1950. [უაფტორო]

Великий поет-промадьян

გაზ. *Вісті*, 1938, 8 сирень, № 6, გვ. 1.

წერილი წარმოადგენს გაზეთის მეთაურს.

ნეკრასოვის იუბილესთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირში ჩატარებულმა შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილემ მასიური ხასიათი მიიღო, რაც საბჭოთა კულტურის დიდ მიღწევას წარმოადგენს.

1951. [უაფტორო]

Шота Руставелї — Афоризми

ბიულეტენი: *Новые издания издательства Академии Наук СССР, Москва—Ленинград, 1938, № 2, გვ. 17—18.*

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ საკ. მეცნ. აკადემიის გამომცემლობა ბეკდავს შოთა რუსთაველის აფორიზმების კრებულს 5 საბეჭდო

ფორმის მოკლეობით, ქართულ-რუსული პარალელური ტექსტით და მოკლე განმარტებებით. განცხადების ტექსტი მომყავს მთლიანად:

«Шота Руставели, Афоризмы, 1938, 5 печ. з. Тир. 5000, Ш. (оригент.) 5 р.
Прекрасные по форме, насыщенные мыслью высказывания Руставели, вкрапленные в поэму „Штатль в тигровой шкуре“ в форме афоризмов, выпускается отдельной книжкой с параллельным текстом на русском и грузинском языках с краткими пояснениями. Книга выпускается в изящном оформленном карманного формата. Книга рассчитана на широкие круги читателей».

ეს წიგნი არ გამოსულა. მისი გამოცემა შეჩერებული იყო რამდენიმე ფორმის აწყობის შემდეგ. იხ. ამის შესახებ: ი. მეგრელიძე, გადმოცემები რუსთაველის შესახებ, მეორე შეკვებული გამოცემა, სტალინური, 1954, გვ. 89, შენიშვნა, რომლის მიხედვით წიგნი შედგენილი იყო ი. მეგრელიძის მიერ, აკად. ი. ორბელის რედაქციით, დარჩული ჰქონდა ი. მეგრელიძის გამოკლევა ქართული ანდაზების შესახებ და რუსთაველის თითოეულ აფორიზმს აზრის საილუსტრაციოდ თან ახლდა თემატიური სურათი.

იქვე, გვ. 25. მცირე ბიბლიოგრაფიულ სამიებელში აღნიშნულია ლიტერატურა ვეფხისტყაოსანზე, № К — 403, 402, 458.

1952. [უაფგორო]

[შენიშვნა რუსთაველის კრებულის გამოცემის გამო]

კრებ. რუსთაველის კრებული, 1938, გვ. V — VI.

კრებულის მიზნის, მნიშვნელობისა და რუსთაველოლოგიის ამოცანების აღნიშვნასთან ერთად ავტორი წერს: „მეცნიერული რუსთაველოლოგია თავისი არსებობის უკვე მესამე საუკუნეს ითვისის, მაგრამ რუსთაველის პოემა და რუსთაველის ეპოქის ქართული მწერლობა არ შეიძლება ჩაითვალოს ყოველმხრივ შესწავლილად, რუსთაველოლოგიას გადასაქრელი აქვს არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი პრობლემა“.

1958. [უაფგორო]

Предисловие

კრებ. Памятники эпохи Руставели, Ленинград, 1938, გვ. V — VIII.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანს როგორც მსოფლიო კულტურის მნიშვნელოვან ძეგლს, მის პროგრესულ იდეალებს და დასასრულს მოკლედ უთითებს კრებულის მიზანსა და ავებულებას.

1954. [უაფგორო]

რუსთაველის იუბილე პარიზში

გაზ. კომუნისტი, 1938, 6 ივლისი, № 153 (5254), გვ. 1.

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის საზოგადოებრიობამ გულთბილად ჩაატარა შოთა რუსთაველის 750 წლისთავის დღესასწაული. პრესამ დიდი ადგილი დაუთმო რუსთაველის შემოქმედების დახასიათებას და მსოფლიო ისტორიაში მისი ადგილისა და როლის განსაზღვრას. 24 ივნისს „ინტერნაციონალურ მეგობრობის“ საფრანგეთის სექციის მიერ მოწყობილ საზეიმო სხდომაზე მოხსენებით გამოსულა საფრანგეთის აკადემიის წევრი ელმონ ეალუ, რომელსაც დაუხასიათებია რუსთაველის შემოქმედება, გადმოუყვა ვეფხისტყაოსნის შინაარსი და თავისი მოხსენება დაუმთავრებია სიტყვებით: „რუსთაველის დამსახურება ისაა, რომ მან უკვდავი ფორმით გამოხატა დიდი ხალხის სული“.

1955. [უაფგორო]

К итогам Руставелевского пленума

ფურ. Знамя, 1938, февраль, книга вторая, გვ. 303—307.

საინფორმაციო წერილი შეიცავს 1937 წლის დეკემბერს თბილისში ჩატარებულ შოთა რუსთაველის 750 წლისთავის იუბილესადმი მიძღვნილი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის V პლენუმის მიმოხილვას.

ავტორი ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს მის მთავარ იდეალებსა და მოტივებს, მის სახალხო ხასიათს და ხაზს უსვამს მის პროგრესულობას. ამასთან დაკავშირებით, ავტორს მოჰყავს პლენუმზე გამოსულ მწერალთა და კულტურის სხვა მოღვაწეთა შეხედულებანი რუსთაველის შემოქმედების საკითხებზე, განსაკუთრებით მის მსოფლიო მნიშვნელობაზე.

1956. დ. ფანჩულიძე

ქართული მწერლები შოთა რუსთაველს

გაზ. კომუნისტი, 16 თებერვალი, № 38, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს მცირე რეცენზიას გამოცემლობა „ფედერაციას“ მიერ 1938 წელს გამოცემულ წიგნზე „ქართული მწერლები შოთა რუსთაველს“. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს წიგნის მასალას.

1957. გერ. ქიქოძე

შოთა რუსთაველი

პროგნოზი. სიყვარულის კონცეპცია. გვირობის იდეალი

ულან. მნათობი, 1938, № 3, გვ. 172 — 185.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის მოუხსენებლობას ქართულ წერილობით წყაროებში, რასაც ხსნის იმით, რომ თავისი სიდიადით თანამედროვეობისათვის გაუგებარი იყო და ეხება რუსთაველის იკონოგრაფიისა და ბიოგრაფიის ზოგ საკითხს წერილობითი წყაროების მიხედვით დაკავშირებით პოემის მონაცემებთან. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებს პოემიდან ცალკეული ადგილების ციტაციით.

ავტორი ეხება სიყვარულის მოტივის გამოხატულებას ვეფხისტყაოსანში რუსთაველსა და თამარს შორის თითქოს არსებული სიყვარულის გრძობასთან დაკავშირებით. ავტორის აზრით, რუსთაველის მიერ გაგებული სიყვარული არც პლატონურია და არც ტლანქად სენსუალისტური, არც მისტიკურია და არც მშრალად ინტელექტუალური. არამედ თავისებურად რუსთაველურია, ეს მისი შემოქმედებითი გონების და ბუნების დიდი ორიგინალობით აიხსნება“.

დასასრულს ავტორი იხილავს გვირობის იდეალის გამოხატულებას პოემაში. იგივე დაიბეჭდა ავტორის კრებულში: „ლიტერატურული ნარკვევები“, 1938, თბილისი, გამომცემლობა „ფედერაცია“, 194 გვ.

1958. ნ. ქოიავა

პეირფასი ქვები შოთა რუსთაველის პოემაში

კრებ. ენიშკის მოამბე, 1938, III, გვ. 55 — 87.

ნაშრომი წარმოადგენს მონოგრაფიულ გამოკვლევას ვეფხისტყაოსანში ნახსენები ძვირფასი ქვების შესახებ. ავტორი იკვლევს ძვირფასი ქვების სახელწოდებასა და მნიშვნელობას როგორც ჩვეულებრივ, აგრეთვე სიმბოლიურ-პოეტურ გაგებაში სხვა ქართული ძეგლების მონაცემებთან დაკავშირებით. ამასთან ერთად ავტორი იკვლევს ძვირფასი ქვების მსოფლიო მოპოვების პუნქტებს, მათი საქართველოში მოტანის ზეგზა და საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილები ქართული მწერლობის ჩვენებებთან მიმართებით ძვირფასი ქვების ეტიმოლოგიურ და სემასიოლოგიურ საკითხების გასარკვევად. ადგენს მათ ფერს, ღირსებას, სილამაზეს, ტექნიკურ თვისებებს, დანიშნულებას, გამოყენებას და ეხება მათი დამუშავების — ვათლა-ვაპარიალების ისტორიას. ყოველ ცალკე შემთხვევაში ავტორი იხილავს საკითხის შესწავლის ლიტერატურას. ქვების ქართულ სახელწოდებათა მნიშვნელობის გარკვევასთან ერთად იძლევა მათ ბერძნულ, რუსულ, ფრანგულ,

:გერმანულ შესატყვისობებს. ავტორის დასკვნით, რუსთაველი ძვირფასი ქვების სიმბოლიკას სრულებით არ იყენებს. პოემაში ქვები გამოყენებულია სემკაულის, ტანსაცმლის, ავეჯეულის, ჟურქლეულის. — მოკაზმულობის სახით. ძვირფას ქვებს რუსთაველი ახსენებს 169 ჯერ. საილუსტრაციო ციტატა ვეფხისტყაოსნიდან ნაჩვენებია იუსტინე აბულაძის 1926 წლის გამოცემის მიხედვით და მისივე ნუმერაციითაა მოცემული ბოლოს დართული ძვირფასი ქვების მარკენებელი შემდეგ სახელწოდებათათვის: ალმასი, ამარტა, აყიყი, ბლახში ან ბადახში, ბროლი, გიშერი, ზურმუხტი, იაგუნდი, ლალი, ლავეარდი, მარგალიტი, სათი, ფაზარი, ფეროზი ან ფარუზი, ქარვა, ძოწი, თვალი.

იგივე მტიროდენი შემოკლებით დაბეჭდილია რუსულად: „Драгоценные камни в поэме Руставели“ კრებულში: Сборник Руставели, თბილისი, 1938, გვ. 69 — 96.

1959. 6. ქოიავა

ფულის ტრიალი რუსთაველის ეპოქის საქართველოში

კრებ. ენიმკის მოამბე, 1938, III, გვ. 89 — 110.

ავტორი სწავლობს XII საუკუნეში საქართველოში არსებულ ძირითად მონეტებს, რისთვისაც იყენებს ვეფხისტყაოსნის მონაცემებსაც და ფულის ტრიალთან დაკავშირებულ ტერმინების გამორკვევისასაც იმორწმუნებს ვეფხისტყაოსნის ზოგ თქმასა და სიტყვას (გვ. 104, 106, 107, 108, 109).

დასასრულს ავტორი ეხება ოქროს შეფასების რუსთაველისეულ გაგებას და მოჰყავს იმ სტროფთა სათვალავი, რომლებშიაც რუსთაველს ნახსენები აქვს ოქრო, ვერცხლი, დრაპკანი, დრაბა, პერპერა (გვ. 110).

იგივე დაბეჭდილია რუსულად სათაურით: Денежное обращение Грузии в эпоху Руставели, კრებულში: Сборник Руставели, Груз. Филиал АН СССР, თბილისი, 1938, გვ. 97 — 127.

1960. 8. მუბანეიშვილი

Герои „Вепхис Ткаосани“ в народных переказах

კრებ. Шота Руставели (Статьи и материалы), АН УРСР Київ, 1938, გვ. 148 — 183.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას საქართველოში და იმ ანტიგონიზმს, რომელსაც ვეფხისტყაოსანი ეკლესიურ წრეებში ხედებოდა. ავტორს გაჰყავს ზოგი პარალელი ვეფხისტყაოსანსა და მის ხალხურ ვარიანტებს შორის და აღნიშნავს ხალხურის თავისებურებებს. ავტორს შედარებისათვის მოჰყავს საილუსტრაციოდ ცალკეული ადგილები ხალხური ლექსებისა, მთლიანად ტარიელის ამბავი (Казка про Тарієля) და ტარიელისა და ნესტანდარეჯანის ამბავი (Тарієль і Нестан-Дареджан) შიგ ჩართული ლექსებით უკრაინული თარგმანებით.

წერილს ბოლოში დართული აქვს შენიშვნები (Примітка), რომელშიაც მითითებულია ნაშრომში განხილული ხალხური ვეფხისტყაოსნის ვარიანტები, ჩამწერის ვინაობის, ჩამწერის ადგილის და გამოქვეყნების თარიღის ჩვენებით.

აღნიშნული შრომა მცირედ განსხვავებული სახით დაბეჭდილი იყო 1934 წელს (გვ. „Нз рубеже Востока“, 30, XI, № 21) სათაურით: «Тарієль в народных вариантах поэмы Шота Руставели». იხ. ანოტაცია № 1186.

1961. 9. შარაფუტინოვ

Шота Руставели и узбекский фольклор

გვ. Правда Востока, Ташкент, 1938, февраль, № 48 (4612), გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების, დიდ მნიშვნელობას და მის გავლენას საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურაზე, რის ერთ კერძო გამოხატულებად მიაჩნია ფაქტი, რომ ცნობილი უზბეკური ზღაპარი „ბატრი არს-

ლანი“ ვეფხისტყაოსნის პირდაპირი გავლენით შექმნილი თხზულებაა და ქართული პოემის ერთ-ერთ გადამუშავებულ ვარიანტს წარმოადგენს. ავტორი უთითებს პარალელებს ვეფხისტყაოსანსა და „ბატარ არსლანს“ შორის და აღნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს გვიან იღვეური შინაარსითაც და ფილოსოფიური საფუძვლებითაც. ამ თხზულებათა გმირების ხასიათები მსგავსია. მათ ერთნაირად ახასიათებთ რელიგიური მიუკერძოებლობა. ამასთან ერთად ავტორი უთითებს მათ შორის განსხვავებას, განსაკუთრებით საკუთარ სახელებში და ზოგიერთი ეპიზოდის არათანხედენილობაში. ეს ვარიანტი, ავტორის აზრით, უზბეკეთში დიდი ხანია არსებობს და თანდათან ცვლილებებს განიცდის.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი უზბეკეთში შესაძლებელი იყო აღრევე შესულიყო, რამდენადაც იგი შუააზიაში ცნობილი იყო.

1962. ე. შიშმაროვი

შოთა რუსთაველი

(რამდენიმე პარალელი და ანალოგია)

კრებ. ენიშკის მთაბზე, თბილისი, 1938, III, გვ. 229—250. იქვე დაბეჭდილია მისი ფრანგული პირი: „Chotha Roustaveli (Quelques parallèles et analogies)“, გვ. 251—274; იგივე სტატია რუსულად: Шота Руставели (Несколько параллелей и аналогий) ტრ. Вестник Академии Наук, Москва-Ленинград, 1938, № 6, გვ. 29—47. ამ სტატიის სათაურს სქოლიომ აქვს შენიშვნა: „В основу статьи положено мое выступление на пленуме ССН СССР, посвященном 750-летию поэмы Шота Руставели (Тбилиси, декабрь, 1937 г.).“

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ კონსტრუქციასა და იდეოლოგიას მსოფლიო ლიტერატურის თვალთახედვით. რუსთაველის შემოქმედების წყაროებისა და ძირების ჩვენებისათვის ავტორი არკვევს ქართული ლიტერატურის განვითარების ფაზებს, მის დამოკიდებულებასა და ურთიერთობას ბიზანტიურ-სპარსულთან და ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას სპარსულიდან წარმოშობილობის მარის მიერ წამოყენებულ თეორიასთან დაკავშირებით. პოემისა და მისი ავტორის შესახებ საკითხების დაყენებაში ავტორი ეყრდნობა აკად. ნ. მარის კონცეფციებს. მისი აზრით, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება და მასთან დაკავშირებული ლიტერატურა საერთოდ აღმოსავლურ-სპარსული გავლენით წარმოიშვა. აბდულმესისა და თამარიანი მოსაზრება გავლენის ნიშნებს ატარებენ. მთლიანად სტატიას ის მთავარი მოსაზრება გასდევს, თითქმის ვეფხისტყაოსანს გააჩნდეს სპარსული დედანი, რომელიც ჯერ ნაპოვნი არ არის და რომ ქართული ლიტერატურის ფორმირებაში სპარსულ ლიტერატურას დიდი როლი ჰქონდა, ქართული საზოგადოების ლიტერატურული გემოვნება სპარსული ეპოსითა და ლირიკით იყო განპირობებული. ამ მხრივ გადამჭრელი მნიშვნელობა იმასაც აქვს, რომ ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელები არაბულ-სპარსულია, თუმცა ისინი არსებითად ქართველები არიან. თვითონ რუსთაველის ლექსიკაში საკმაოდ იგრძნობა სპარსული კვალი და ზოგი მოტივის სპარსულობა ექვს არ სტოვებს, რომ ქართველმა პოეტმა სპარსული სკოლა გაიარა. ლექსიკური და სტილისტიკური-სახეობრივი და ფრაზეოლოგიური ანალოგიებით სპარსული მწერლობის ძეგლებთან ავტორი ასკვნის, რომ ქართული საერთო პოეზია და კერძოდ ვეფხისტყაოსნის ავტორი სპარსულისა და ნეოპლატონიზმის იდეოლოგიური ზეგავლენით განვითარდა, მაგრამ ეს მოვლენა შექანიკური არ იყო. სპარსული გავლენა იყო მხოლოდ ძიების ერთი ეტაპი. ამ დროსვე საქართველოში ადგილობრივ ნიადაგზე შექმნილი იყო დამოუკიდებელი ლიტერატურული ნაკადი, რაც შესაძლებელი გახდა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური

ძლიერების პირობებში. რუსთაველმა გამოხატა თავისი ეპოქის იდეალები და განწყობილებანი.

ვეფხისტყაოსანი ვადამუშავდა ადგილობრივი პირობების მიხედვით და შიგ გამოიხატა ქართული ურთიერთობანი თავისი დამახასიათებელი თავისებურებებით. ვეფხისტყაოსნის გმირთა ყოფა სპარსულ-არაბულისაგან განსხვავებით უაღრესად ქართულ გარემოშია მოცემული. რუსთაველის პოემაში სხვისი სახელითა და სხვისი სიუჟეტში ადგილობრივი ქართული ურთიერთობანი გაგამოსქივვის. მასში მოიპოვება ქართული ქრისტიანობის გარკვეული კვალი-ვეფხისტყაოსნის მოვლინებას ხელი შეუწყო ქართულ სასულიერო პოეზიაში საერო ელემენტების ჩასახვამ. ავტორი აღნიშნავს პოემის მოტივების საწყისებს უცხო და ქართული სინამდვილის ურთიერთობაში და ვეფხისტყაოსნის ეპიზოდებს უძებნის პარალელებს კლასიკური ქართული მწერლობის ძეგლებში. მისი შენიშვნით, ქართულ სოციალურ ცხოვრებაში გადატეხილი აღმოსავლური, ბიზანტიური და ქართული ლიტერატურა და ფილოსოფია არის საფუძველი რუსთაველის იდეალებსა. ვეფხისტყაოსანი არსებითად ქართულ ტიპებს ხატავს და მათ ხასიათებში განხორციელებული ზოგადი საკაცობრიო იდეალები პოემის მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშად აქცევენ.

რუსთაველის პოეზიის თეორიის განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი თავისუფალია ეკლესიური დოქტრინებისაგან, რასაც დასავლეთის პოეტებმა თავი ვერ დააღწიეს. არჩევს რუსთაველის შეხედულებებს სიყვარულის, ძმად-ნაფიცობისა, რაინდობა-ყმობის შესახებ და გაჰყავს პარალელი ქართულ და დასავლეთ-ევროპულ ლიტერატურას შორის სიყვარულისა და რომანის ზოგი მოტივის ერთნაირი გადაწყვეტის თვალსაზრისით. ავტორი ახალიზს უკეთებს რუსთაველის პოეტური მეტყველების ზოგიერთ ხერხს, კერძოდ პოეტური პარალელიზმის მოვლენას, აღნიშნავს მისი შემოქმედების საკაცობრიო მნიშვნელობას და ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გმირებს მსოფლიო ლიტერატურულ ურთიერთობაში.

ავტორი აკრიტიკებს ნ. მარის კონცეფციას „მესხურობის“ დიდი როლის შესახებ პოემის შექმნაში, რომ თითქოს მესხეთი წარმოადგენდა კულტურის ცენტრს და შოთა რუსთაველი, თვითონ მესხი, ამ ცენტრის პირობებში ქმნიდა ვეფხისტყაოსანს.

ავტორი ყურადღებას აქცევს შოთა რუსთაველის ირგვლივ არსებულ ხალხურ ლეგენდებს, რომელნიც აშუქებენ პოემის დაწერისა და პოეტის ბიოგრაფიის ზოგ უცნობ მხარეებს, რისთვისაც ასახელებს ი. მეგრელიძის ნაშრომს (Народные предания о Шота Руставели, М., 1938).

ავტორი თავის კვლევა-ძიებაში იყენებს უშთავრესად რუსულ ენაზე არსებულ რუსთველოლოგიურ ლიტერატურას და პოემის რამდენიმე პუბლიკაციას უცხო ენაზე.

1962. კ. ჩაიკანი

ქართულ-ირანული ურთიერთობიდან (სამი ცნობა)

კრებ. ენიშკის მოამბე, 1938, III, გვ. 13-23.

წერილი შეიცავს ქვეთავებს:

1. არსებობდა თუ არა ხაკანისა და რუსთაველს შორის შეტოქობა.
2. ნესტანდარეჯანის სახელის განმარტებისათვის.

ავტორი ვარაუდობს, რომ რუსთაველსა და ხაკანის შორის პირადი ურთიერთობის არსებობა სავსებით დასაშვებია მაშინდელ საქართველო-შარვანს შორის მეზობლობის პირობებში. ავტორს მოჰყავს ხაკანის ერთი ლექსი,

რომელშიც „ხარ-ე-რუსთა“ სიტყვა ესმის როგორც რუსთაველის სამშობლო, რომელსაც შეიძლება ამავე მნიშვნელობით დაუკავშირდეს კიდევ სხვა ერთ უასილადი ნახშიარი სიტყვა „რუსთა“, როგორც მტრის ეპითეტი (გვ. 19). ავტორის საბოლოო დასკვნით, თუ კი ხაკანი რუსთაველს ხედებოდა, ეს მოხდებოდა არა უგვიანეს 1179 წლისა.

ამასთან ერთად ავტორის რუსთაველის ცნობილი აფორიზმის „ლეკვი ლომისა სწორია...“ საანალოგიოდ მოჰყავს ხაკანის ერთი ოდის ბეითი:

„შეუფი სახელმწიფოს საქმეებში—რაც შამაყაია, ის ქალაია.

ლომეში ბრძოლაში—რაც ხვალაია, ის ძუა“.

მარის მიერ მოცემულ ნესტანდარეჯანის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ ის სრულ დადასტურებას ჰპოვებს ისტორიკოსის ბონდარის ნაწარმოებიდან ამოღებულ ერთ არაბულ ტექსტში, სადაც მასუდის დედის სახელს წარმოადგენს „ნისთ ანდარ ჯეჰან“ (გვ. 22). ამრიგად ეს სახელი მნიშვნელობით „არ არის ქვეყნად“ დამოწმებული ჩანს XII საუკუნის მეორე მეოთხედში და მას ატარებდა ცნობილი მანდილოსანი, სელჩუტა სულტანის ცოლი, რომელიც დაქვრივების შემდეგ ცოლად შერთეს მანგუბარს. ავტორის დასკვნით, რუსთაველს კი არ გაუგონია ეს სახელი, არამედ პირდაპირ აუღია ის მზამზარეული სახით.

დასასრულს, ავტორი აზუსტებს „ნისთ-ნესთ“ გამოთქმათა ფორმას და შენიშნავს, რომ ეს სახელი იხმარებოდა XII საუკუნის ნახევრამდე.

იგივე წერილი დაბეჭდილია რუსულად სათაურით: „Из Грузино-иранских связей (тры сообщения)“, კრებულში: „Сборник Руставели“, Тбилиси, 1938, გვ. 17–30.

1964. Александр Чачинов

Поэма о Руставели

редактор В. Гафрияшвили

Издательство „Заря Востока“, Тбилиси, 1938, 50 გვ.

ტექსტი წარმოადგენს პოემას რუსთაველთან გასაუბრებისა და რუსთაველის ბიოგრაფიის თემაზე. მოქმედება იშლება რუსთაველის ეპოქის საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფონზე.

1965. В. Чепелев

Мотивы творчества Руставели в искусстве Грузии

გვ. Советское искусство, Москва, 1938, 4 января, № 1 (407), გვ. 2.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ილუსტრირების ცდებს XVII საუკუნიდან და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის სარაჯიშვილისეულ 80 სურათიან ხელნაწერს ეტყობა ირანულ მხატვრობასთან კავშირი. მამუკა თავაქალაშვილის მიერ გადაწერილ ხელნაწერის ილუსტრაციებს ავტორი ამჩნევს ქართული ფრესკული მხატვრობის გავლენას, რომელიც თავისუფალი ჩანან ირანული სტილიზებისაგან. ავტორი ასევე ზოგად ხაზებში ახასიათებს შოთა რუსთაველის პორტრეტს და აღნიშნავს, რომ შესაძლოა მისი პორტოტიპის აღმოჩენას ველოდოთ ვარძიასა ანდა ყინწვისის მხატვრობაში. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღწერს რუსთაველის გარეგნობას ხალხური გადმოცემების მიხედვით.

ავტორის დაკვირვებით, ვეფხისტყაოსანში ხშირად ვხვდებით ბუნების აღწერას, ქვეყნის ობიექტური სილამაზის გადმოცემას. ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს მათი გამოხატულების ტრადიციებს ქართულ ხელოვნებაში საერთოდ და აღნიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქის ქართული ფრეს-

კის ოსტატებს ანგელოზებისა და წმინდანების გამოსახულებაში შეჰქონდათ ადამიანური ფსიქოლოგიის ნიშნები—ჰუმანურობა, კეთილშობილება. ავტორის ვიარაუდით ქართული არქიტექტურული დიდი ნიმუშები შესაძლოა რუსთაველის ქმნილებაში რამენაირადაა გამოხატული.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გამოცემათა დასურათების საკითხს, მოკლედ ახასიათებს ზირის ილუსტრაციებს და ჩერდება ფიროსმანიშვილის მიერ შესრულებულ რუსთაველის პორტრეტზე.

1966. ან. ჩიკობავა

ლიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. ვენიჭიის მოამბე, 1938, III, გვ. 209—227.

ავტორი წინასწარ შენიშნავს, რომ ლიალექტიზმების განსაზღვრას ვეფხისტყაოსანში მნიშვნელობა აქვს რუსთაველის საღაღურბობის საკითხისათვის, და მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ლექსიკის შესწავლის ვითარებას ამ თვალსაზრისით, კერძოდ ნ. მარის შეხედულებას ვეფხისტყაოსანში მესხური ლიალექტის არსებობის შესახებ და უარყოფს მესხურის განსაკუთრებულ ფენას. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსანში მოიპოვება როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების დამახასიათებელი მოვლენები, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტური სინამდვილის ნიშანდობლივი თვისებები. ქართლ-კახური „დაღმა-დაღმე“, „იე“ სუფიქსი, „ოდ“ სუფიქსის ნაცვლად „ოყოს“ გამოყენება, ზმნისართი „აქათ“; დასავლური ნაცვალ-სახელის „მისი“-ს ხმაურება „თავისი“-ს ნაცვლად, „ისი“-ს მსაზღვრელად გამოყენება, „აქა“ ზმნისართის ნაცვლად „აქანა“-ს ხმაურება და სხვა მოვლენები, ავტორის აზრით, საკმარისი არ არის საკითხის გადასაწყვეტად, ვიდრე ქართული ენის ისტორია მთლიანად არ იქნება გათვალისწინებული და მასში ვეფხისტყაოსნის ადგილი არ განისაზღვრება. ავტორის შეხედულებით, ყველა ეს მოვლენა ლიალექტიზმია, მაგრამ არა ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორისა, არამედ ძველი ქართული სალიტერატურო ენისა. აღნიშნული ლიალექტიზმებიდან, ავტორის აზრით, აღმოსავლური წარმოშობის დიალექტიზმები შეიძლება უფრო მეტად რუსთაველის ენის დამახასიათებელი იყოს.

ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ენა ძველი ქართული აღარაა, ის უკვე განვითარების იმ სტადიაშია, რომელიც პირდაპირი წინაპარია ახალი სალიტერატურო ქართულისა. რუსთაველი წერს იმდროინდელი ლიტერატურული ენით და თავისი კუთხის მეტყველების გავლენისაგან თავისუფალია. პოემაში არსებული დიალექტიზმები იმდროინდელი ქართული სალიტერატურო ენის კუთვნილებაა და არა რომელიმე კუთხისა.

ავტორს ვეფხისტყაოსანში დიალექტიზმების ამა თუ იმ მოვლენის გამოხატულებაზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო მასალა პრიმადან.

თავი ნარკვევი მცირედენი შემოკლებით დაბეჭდილია რუსულად: „К вопросу о диалектизмах в поэме Руставели „Вепхис-тквасви“, კრებულში: „Сборник Руставели“ Тбилиси, 1938, გვ. 205—222.

1967. С. Чиковани

4

Любов, дружба и героизм в поэме Руставели

კრებ. Шота Руставели (Статьи и материалы), АНУ РСР, Київ, 1938, გვ. 105—126.

პირველად დაიბეჭდა 1937 წელს მრავალ ტურნალ-გაზეთში. იხ. ანოტაცია № 1776.

1968. მიხ. ჩიქოვანი

რუსთაველი და პუშკინი

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 24 ივლისი, № 18 (73), გვ. 4.

ავტორი ეხება ეურნ. „ზეზდაში“ (№ 5) დაბეჭდილ პროფ. მ. კ. აზადოვსკის წერილს „რუსთაველი პუშკინის ლექსებში“, რომლის მთავარ დებულებებს გადმოსცემს იმის შესახებ, რომ პუშკინი იცნობდა შოთა რუსთაველის შემოქმედებას, რაც მტკიცდება 1829 წელს დაწერილი ლექსით, რომელიც 1911 წელს აღმოჩნდა და რომლის სტრიქონები (И вот твой чудный стих...) გულისხმობენ საქართველოს და რუსთაველს.

ავტორს მოჰყავს ეს ლექსი, უყეთებს კომენტარიებს და ეთანხმება პროფ. მ. კ. აზადოვსკის მოსაზრებას.

1969. მიხეილ ჩიქოვანი

ზღაპარი ტარიელისა

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 1 იანვარი, № 1, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს ხალხური ვეფხისტყაოსნის გავრცელების ტრადიციას, მის მნიშვნელობას ზეპირსიტყვიერებაში, ეხება მისი ვარიანტების შესწავლის მდგომარეობას, ახასიათებს ტარიელისა შედგენილობას, მის მთავარ მოტივებს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ცალკეული ადგილები.

1970. [მიხეილ ჩიქოვანი]

„ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 10 მაისი, № 11(66), გვ. 4.

წერილი ეხება კონსტანტინე ჭიკინაძის მიერ უზბეკისტიანიდან ჩამოტანილი უზბეკური ხალხური ვეფხისტყაოსნის ორი ვერსიის შესახებ 25 აპრილს მწერალთა სასახლეში მოხსენების წაკითხვას. ავტორი უდარებს ვეფხისტყაოსანს მის უზბეკურ ვერსიებს და აღნიშნავს იოლდაშევის მიერ დამღერებული ვერსიის სრულ მსგავსებას ვეფხისტყაოსნის კომპოზიციურ აღნაგობასა და სიუჟეტურ განვითარებასთან. ავტორს მოჰყავს უზბეკი მეცნიერი მუშაქის შარათ ფუნდინოვის აზრი იმის შესახებ, რომ იოლდაშევის მიერ ნაამბობი ზღაპარი წარმოადგენს რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ტექსტის გადამღერებას. ფუნდინოვის აზრით, ვეფხისტყაოსანი უზბეკეთში შეტანილი უნდა იყოს მონღოლთა შემოსევის შემდეგ თემურ ლენგის დროს. კონსტანტინე ჭიკინაძის აზრით, ეს ზღაპარი შესაძლებელია ვეფხისტყაოსნის დაწვარად მთელს აღმოსავლეთშიაც იყო გავრცელებული, რაც შემდეგ რუსთაველს გამოუყენებიაო.

აზრი გამოუთქვამთ: კ. კეკელიძეს, პ. ინგოროვს, ი. აბულაძეს, მიხ. ჩიქოვანს, ი. გრიშაშვილს, კ. გამსახურდიას და ა. ვაწერელიას. მათი საერთო აზრით, იოლდაშევის ნაამბობი ვერსია რუსთაველის პოემის პირველ წყაროს არ წარმოადგენს. არც ვეფხისტყაოსანია შეტანილი უზბეკეთში ჩვენში მონგოლების შემოსევის შემდეგ. გრიშაშვილის აზრით, ეს მსგავსებანი იმით აიხსნება, რომ უზბეკური ვერსიები წარმოადგენენ ვეფხისტყაოსნის ზეპირ ასლს, რაც შეიქმნა მისი შინაარსის ზეპირი მოსმენისა და გადამუშავების შედეგად სულ ახლო წარსულში რუსთაველის იუბილეს მზადების დროს.

1971. სოლ. ცაიშვილი

რამენიმე ლეცალი ღლი ხქმიდა

გაზ. მუშა, 1938, 10 იანვარი, № (4510), გვ. 3

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პირველ გამოცემათა საერთო ხასიათსა და მუშაობის დაწყებას ტექსტის დადგენისათვის, რასაც 1888 წლის გამოცემა მოჰყვა. მუშაობის მონაწილეთა და მისი მიმდინარეობის გა-

კვრით აღნიშნვისას ავტორი სხვათა შორის შენიშნავს, რომ უნგრელი მხატვრის ზიჩისათვის, რომელმაც სრულიად უსასყიდლოდ იკისრა პოემის დასურათება, იონა მეუნარგიამ ფრანგულად თარგმნა ვეფხისტყაოსანი, რადგან მან ქართული არ იცოდა.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ჩერდება ვეფხისტყაოსნის ფრანგულ თარგმანსა და ზიჩის მიერ პოემის დასურათებაზე.

1972. სოლ. ცაიშვილი

სამი შეგობარი

გაზ. მუშა, 1938, 5 თებერვალი, № 29 (4531), გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემაზე მომუშავე სამი პიროვნების ღვაწლს (იონა მიხეილის ძე მეუნარგია, გიორგი დავითის ძე ქართველიშვილი და მიხეილ ალექსანდრეს ძე ზიჩი). ამასთან დაკავშირებით, ავტორს მოჰყავს ამონაწერები სხვადასხვა დოკუმენტიდან ვეფხისტყაოსნის ტექსტის 1888 წლის გამოცემის მზადების შესახებ, — ი. მეუნარგიას მიერ საორგანიზაციო მუშაობის ჩატარებას, ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნის დასურათების პირობებს, ი. მეუნარგიას მიერ ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნას და სხვ.

1973. ხოლომონ ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ფრანგული თარგმანის შესახებ

გაზ. კომუნისტური განათლება, 1938, 3 თებერვალი, № 10 (432), გვ. 3.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, დიადობას, მისი იდეალების საკაცობრიო პროგრესულ მნიშვნელობას და გაკვირვებით უცხოელთა დაინტერესებას ვეფხისტყაოსნით. განსაკუთრებით ჩერდება იონა მეუნარგიას მიერ ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნის ისტორიაზე და აღნიშნავს, რომ ამ თარგმანით თავის დროზე უსარგებლია ბალმონტს ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის დროს.

იონა მეუნარგიას ფრანგული თარგმანი დაუბეჭდავი დარჩა.

1974. პოლ. ცინცაძე

ქალის პიროვნების საკითხი „ვეფხისტყაოსანში“

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1938, № 1 (56), გვ. 4.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსნის ავტორი ქალს გვიხატავს არა ფეოდალურ-რაინდული თვალსაზრისით, არა ძვირფას განძად, სამკაულად, არამედ ვაჟის თანასწორ, სრულუფლებიან პიროვნებად. მიუხედავად თავისი დროის ტრადიციული შეხედულებისა, რუსთაველი ქალისა და ვაჟის პოლიტიკურ-მორალურ თანასწორუფლებიანობას აღიარებს. ავტორს ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციოდ მოჰყავს სათანადო ადგილები ქალისა და ვაჟის ურთიერთობის, მათი თანასწორობის ნათელსაყოფად. ამასთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ მიმოიხილავს მსოფლიო ლიტერატურაში ქალის უფლების თანდათანო ზრდის გამოხატულებას და აღნიშნავს, რომ ვერც ერთი ფეოდალურ-ბურჟუაზიული მწერლის ნაწარმოებში ვერ ვნახავთ ქალის ყოველმხრივ მაშაქაცის თანასწორობას, როგორც ეს ვეფხისტყაოსანშია მოცემული. ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის რამდენიმე ეპიზოდს და გმირთა ურთიერთობას იმის დასამტკიცებლად, რომ რუსთაველმა ვაჟის თანასწორად სცნო ქალი, როგორც პიროვნება და ადამიანი.

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირმცოდნეობა

გახ. ბოლშევიკური კადრებისათვის, 1938, 16 იანვარი, № 1, გვ. 3.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, მის მზითვეში გატანების ჩვეულებას და ეხება პოემის ზეპირად ცოდნის ტრადიციას ქართულ ოჯახებში. ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნის ტრადიციამ შექმნა პოემის აუარებელი ვარიანტი, რომელიც განსხვავდება რუსთაველის თხზულებისაგან. ავტორს მოჰყავს ძველი ქართული მწერლობიდან ცნობები ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნის შესახებ და იმოწმებს პლატონ იოსელიანს, რომელსაც ქართულში უნახავს ზეპირად მცოდნე გლეხი „მკერამსიტყვაობის იმპროვიზატორი“. აგრეთვე ოლივერ უორდესსონის შენიშვნას, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ყოფილა დრო როდესაც ვერ გათხოვდებოდა ქართველი ქალი, თუ ზეპირად ვერ გადმოგცემდათ მთელ ამ პოემას“ (გაზ. „ივერია“, 1886).

1976. გ. წერეთელი

„ნესტან-დარეჯანი“ შუა აზიის არაბულ ფოლკლორში

კრებ. ენიშკის მოამბე, 1938, III, გვ. 1—12.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების, განსაკუთრებით ნესტან-დარეჯანის, ეტიმოლოგიას ნ. მარის შეხედულებასთან დაკავშირებით, რომლის საანალოგიოდ მოჰყავს შუააზიის არაბულ დიალექტზე მის მიერ ჩაწერილი ზღაპარი ნესტარ-ჯეჰანის მოქმედი პირობით. ავტორის დასკვნით, თუმცა ამ ზღაპარსა და ვეფხისტყაოსანს არაფერი აქვს საერთო, მაგრამ „ნესტარ-ჯეჰანი“ და „ნესტან დარეჯანი“ ფონეტიკურადაც და სემანოლოგიურადაც ერთი და იგივეა. ავტორი პარალელს ავლებს ამ ზღაპრის ზოგ ეპიზოდში გმირების აღწერასა და ვეფხისტყაოსნის გმირებს შორის, ადარებს მხატვრულ ხერხებს ნესტანდარეჯანის აღწერილობაში, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილები და ურადლებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ნესტანდარეჯანი მზეთუნახავისა და ზეციური სილამაზის მქონე არსების სახელია და მას რუსთაველი სწორედ ამ მიზნით იყენებს. ის თავის გმირს ახასიათებს მზის ეპითეტით, როგორც მზეთუნახავს. ასეთი გაგება კი ამ სახელის შინაარსისა — ერთი და იგივე ქართულში და არაბულშიც.

ამასთან ერთად, ავტორი ურადლებას აქცევს პროფ. კ. ი. ჩაიკინის მიერ მოწოდებულ ცნობას მეცამეტე საუკუნის არაბი მწერლის თხზულებაში სახელის „ნისტ ანდლა ჯაჰანის“ არსებობის შესახებ და მთელი რიგი მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის შედეგად ასკენის, რომ ნ. მარის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგია „ნესტან დარეჯანისა“ ირანულთან დაკავშირებით ცხადად დადასტურდა. ყოველივე ეს, ავტორის დასკვნით, ზაინც არაფერს გვეუბნება ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სესხების შესახებ. ვეფხისტყაოსანი შინაარსითა და ფორმით ქართული ნაწარმოებია და მაჰმადიანურ ქვეყანაში მისი მსგავსი თხზულება არ შეიძლებოდა დაწერილიყო და თუ ვეფხისტყაოსნის ამბის შემტყველი რამ მაინც აღმოჩნდება ირანულში, მაშინაც შესაძლებელი იქნება ის რუსთაველის გენიალური თხზულების ანარეკლად მივიჩნიოთ ირანულში.

იგივე ციტატები შემოკლებით დაბეჭდილია რუსულად სათურით: „Нестан-Дареджан“ в среднеазийском арабском фольклоре, კრებულში: „Сборник Рустаели“, თბილისი, 1938, გვ. 1—15.

ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიები

ურნ. მნათობი, 1938, ოქტომბერი, № 10, გვ. 135—173.

ავტორის მოუსმენია ტაშკენტში შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილ სესიაზე მოხსენებები „რუსთაველი და უზბეკისტანის ლიტერატურა“ დოც. შარაფუტდინოვისა და სახალხო მგოსნის მიერ დომბრაზე დამღერებით შესრულებული ნაწყვეტები ხალხური ვეფხისტყაოსნისა, რომელიც მას თავის ახალგაზრდობაში ჰქონია გაგონილი.

ავტორის შესადარებლად მოჰყავს უზბეკური ზღაპრის „ბატირ-არსლანი“-ს ტექსტი, რომელსაც დოც. შარაფუტდინოვი უკავშირებს ვეფხისტყაოსანს, და ფაზილ იულდაშევის პოემა-ზღაპრის ქართული თარგმანი, მანსურ იუსალოვის ჩანაწერის მიხედვით. ავტორის აზრით, ამ ზღაპრებსა და ვეფხისტყაოსანს შორის შესაძენეია სიუჟეტურ-ეპიზოდურ დამთხვევასთან ერთად გმირთა ხასიათების მსგავსება.

ვეფხისტყაოსნის ფაზილ იულდაშევისეული ვარიანტის დასაწყისი:

„არაბეთის მეფეს ჰყავდა ერთადერთი შვილი — ასული თინათინი. მეფის სამსახურში იყო სარდალი აეთანდილი. მას და თინათინს ერთმანეთი უყვარდათ. ერთხელ თინათინი და აეთანდილი თაიანთი მეგობრებითურთ სანადიროდ წავიდნენ. იქ თინათინმა წყაროსთან რაღაც დაინახა და უთხრა აეთანდილს: „ვილაც სდგას იქ, თითქოს ჰაბჯიკი...“.

ავტორი ამ ზღაპრებს ურთავს ნაკვლევს: „ხალხური ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიების გამო“, რომელშიაც მოკლედ აღნიშნავს შარაფუტდინოვის აზრს იმის შესახებ, რომ „ბატირ-არსლანი“ რუსთაველის პოემის ზღაპრული ვარიანტია (ასახელებს წერილს გაზ. „Прода Восток“, 1938, 28. II), ის აღმოცენებულია ვეფხისტყაოსნის ნიადაგზე, რასაც იმით ხსნის, რომ შესაძლოა ვეფხისტყაოსანი შუა აზიაში თვით ქართველებს წაეღოთ და მოჰყავს ვრცელი ამონაწერი.

ამასთან დაკავშირებით, ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის პრობლემას ძირითად. შეხედულებათა გათვალისწინებით ამ საკითხზე და უარყოფს პოემაში ქართული ცხოვრების მოვლენათა ანალოგიების არსებობას. მას გადაუტყრელად მიაჩნია საკითხი, თუ საიდან შევიდა უზბეკეთში პოემის სიუჟეტი. მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის ამ უზბეკურ ვერსიებს მნიშვნელობა აქვს პოემის დაბოლოების საკითხის გარკვევისათვის, რამდენადაც ისინი შემუშავდნენ არაუგვიანეს XIV საუკუნისა და შესაძლებელია შემონახული ჰქონდეთ ძველი კვალი. ავტორის აზრით, „ესენი ადასტურებენ პოემისათვის ინდოხატაელთა ამბის კუთვნილებას. უზბეკური ვერსიები გვაახლოებენ ვეფხისტყაოსნის“ დაწერის ხანას — ჩვენში არსებული პოემის ძველ ხელნაწერთან შედარებით, სულ მცირე სამი საუკუნით მაინც“ (გვ. 172).

1976. К. Чичинадзе

Вспомини и безграмотность

О книге Д. Дандурова „Шота руставели“

გაზ. Заря Востока, 1938, 11 ливаря, № 9 (431), გვ. 3.

წერილი წამოადგენს რეცენზიას 1937 წელს „Жизнь замечательных людей“ სერიაში გამოცემულ დ. დანდუროვის წიგნზე „Шота Руставели“.

ავტორის შენიშვნით, რამდენადაც არ მოიპოვება რუსთაველის შესახებ ცნობები გარდა თვით პოემისა, დ. დანდუროვი ამოდო ცდილობს თავისი წიგნის თემად გაიხადოს რუსთაველის პირადი ცხოვრება. ის ქმნის რუსთაველის ეპოქის ყალბ გაგებას, პოემის გმირების საქართველოს პოლიტიკურ

მოღვაწეებთან გაიგივებით, და გამოთქვამს უმეკრებამდე მისულ შეხედულე-ბებს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, რომლის ანალოგიას ხედავს პოემაში. მისი მცდარი შეხედულებით, რუსთაველმა თავის პოემაში თავისი თავი გამოხატა შენიღბულად. ასევე მცდარია თითქოს — თინათინი და ნესტანი ასახიერებენ თამარს, გიორგი რუსი — ფრიდონია, ღემნა კი — ხვარაზმელი სასიძო.

1979. ანტონ ხინთიბიძე

გურული ფოლკლორი

საქართველოს საზოგადოებრივი საზოგადოების შრომები, თბილისი, 1938, გვ. 50.

ფირალ მუხუზულას შესახებ არსებულ ლექსის განხილვისას ავტორი შე-ნიშნავს, რომ მას ვეფხისტყაოსნის გავლენაც გადასჭარავს, უთითებს სათანადო საანალოგიო ადგილს და დასძენს, რომ ხალხურ პოეზიაში მწიგნობრული გავ-ლენის ეს საყურადღებო მომენტი სპეციალურ კვლევას მოითხოვს (გვ. 50).

ფირალ ტარიელ დათუნაშვილის ლექსის გარჩევისას ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ „ხალხი ტ. დათუნაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ გმირს, ტარიელს ადარებს“ (გვ. 53).

1980. ვარლამ ხუროძე

„ვეფხისტყაოსნის“ ეთიკა და სოციალური იდეალები

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 30 იანვარი, № 3 (58): გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი ძველ საქართველოს ენცი-კლოპედიაა და მისი მიზანია ამოიკითხოს პოემაში „თუ როგორი ურთიერ-თობა უნდა იყოს ადამიანთა შორის და რაგვარად უნდა იყოს მოწყობილი მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრება“. ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტ-ყაოსნის იდეალებს მისი ცალკე გმირებში გამოხატულების თვალსაზრისით, მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან და ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის ეთიკა, ერთის მხრით, ემპირიულ მოვლენებს ეყრდნობა, მეორეს მხრივ — ზე-ემპირიულს, ერთის აზრით, ადამიანთა მიერია, მეორეთი — ღვთისმიერი“. „ვეფხისტყაოსანი ფეოდალური ქრისტიანული საქართველოს ეთიკის წიგნია, რაინდულ-ქრისტიანული ზნეობის კოდექსია, მაგრამ შოთას ქრისტიანიზმი არ არის ორტოლოქსალური“. „ვეფხისტყაოსნის კლასობრივი ეთიკა უაღრესად განვითარებული და გართულებული ცხოვრების პროდუქტია, იგი აჯამებს იმ დიდ ისტორიულ წარსულს, რომელიც ძველ საქართველოს ჰქონია“. „შოთა საერთო საკაცობრიო აზრებს გამოსთქვამს, ისეთ აზრებს, რომლებითაც ყო-ველი კლასის, მდგომარეობისა და ერის ადამიანს შეუძლია იხელმძღვანელოს“. ავტორის შენიშვნით, „შოთა ცდილობს სიყვარულის მეშვეობით უწამლოს სო-ციალურ უბედურებას“.

1961. ს. ხუციშვილი

„შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე“

გახ. კომუნისტი, 1938, 15 მარტი, № 60, გვ. 4.

მცირე ბიბლიოგრაფია ემება 1937 წელს ჯაფარიძის სახელობის ბიბ-ლიოთეკის მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ საძიებელს „შოთა რუსთაველი ქართულ-რუსულ ენებზე“. ავტორი მოკლედ იხილავს წიგნის შედგენილობას და აღნიშნავს, რომ მასში დაშვებულია უხეში შეცდომები, რომელთა საილუს-ტრაციოდ მოჰყავს მაგალითები.

1982. [პროფ. ივ. ჯავახიშვილი]

შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა

პროფ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, თბილისი, 1938, VIII+468 გვ.

კრებული წარმოადგენს რუსთაველის ეპოქის მატერიალური ძეგლების შესახებ სხვადასხვა ავტორთა ნაკვლევებს. წინ უძღვის ივ. ჯავახიშვილის ხელმოწერით „წინასიტყვაობა“ (გვ. V — VIII), რომელშიაც ავტორი ეხება კრებულის აგებულებას და აღნიშნავს, რომ „წინამდებარე წიგნი შ. რუსთაველის ხანის საქართველოს მატერიალური კულტურის გასათვალისწინებლად დაწერილი ნაკვლევების კრებულს წარმოადგენს. როგორც თვით ამოცანა, ისევე მისი მოცულობაც შ. რუსთაველის 750 წ. დღესასწაულისათვის განკუთვნილი გამოფენის მატერიალური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების სექტორის მოწყობასთან არის დაკავშირებული. აქ უნდა წარმოდგენილი ყოფილიყო იმდროინდელი საქართველოს მაღალი კულტურული დონე, როგორც მეურნეობაში, ისევე ყოფა-ცხოვრებაშიც“. დასასრულს, ავტორი მოკლედ ახასიათებს კრებულის მასალებს. კრებულში მასალები დაბეჭდილია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. პროფ. ლ. ლ. დეკარელეიჩი—შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის უმთავრესი კულტურები (გვ. 3—22).
2. პროფ. ლ. ლ. დეკარელეიჩი—შოთა რუსთაველის ეპოქის მინდვრის ზოგიერთი უმთავრესი კულტურის სამებრნო მნიშვნელობა (გვ. 25—29). იგივე განმეორებულია რუსულად.
3. პროფ. ს. ჩოლოვაშვილი—მასალები საქართველოს XII—XIII საუკუნეების ეპოქის საქითხისათვის (გვ. 61—105).
4. მის. რჩეულიშვილი—მასალები ქართული ცხვრის შესწავლისათვის (გვ. 109—190).
5. დოც. ალ. ლოსაბერიძე—ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები (გვ. 193—223).
6. შ. ზიდაშელი—სხალტბა-შომოდინის 1202 წ. წყალსადენი (არქეოლოგიური გათხრების ანგარიში) (გვ. 231—264).
7. ხერთო. ლ. რჩეულიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი—XI — XII სს. ზიდი მდინარე ბესლეთზე (განახობის განმარტებითი ბარათი) (გვ. 267—269). იგივე განმეორებულია რუსულად (გვ. 273—274).
8. თ. ლომოური—ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში (გვ. 283—316).
9. ლ. მუსხელიშვილი—დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა) (გვ. 319—448).
10. ხერ. ვ. წილოსანი.—გვეფთი (ციხე-დარბაზი) (გვ. 451—457).

1988. ივ. ჯავახიშვილი

რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1938, 10 იანვარი, № 1 (56), გვ. 2.
გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1938, 3 იანვარი, № 2, გვ. 2—3.

წერილი წარმოადგენს შოთა რუსთაველის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საკავშირო საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმზე წაკითხული მოხსენების შემოკლებას. ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის ეპოქის საქართველოს სოციალურ კულტურას, და ვეფხისტყაოსანს როგორც ამ ეპოქის იდეოლოგიის გამოხატულებას. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებს, იდეალებს და ასკენის, რომ პოემაში ასახულია ის პოლიტიკური ტენდენციები, რომელნიც იმ დროს საქართველოს ცხოვრებას განსაზღვრავდა. ავტორი ხაზს უსვამს ვეფხისტყაოსნის პროგრესულ იდეალებს, რომელნიც ჩვენი ცხოვრების თანადროულობას ეხმაურებიან.

1984. ს. ჯანაშია

წინასიტყვაობა

კრებ. ენიმკის მოამბე, 1938, III, გვ. IX — XII.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის იუბილეს წარმატებით ჩატარებას საბჭოთა კავშირში, მის პოპულარობას, პროგრესულობასა და მნიშვნელობას. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი შევიდა სოციალისტური კულ-

ტურის საგანძურში როგორც მისი უბერებელი მშვენება, რუსთველმა ხალხთა მეგობრობის ამ დიად სიმღერაში სხვადასხვა მოდემის ხალხები ერთმანეთს დაუკავშირა. უკვდავი პოემა როგორც შინაარსით, ისე ფორმით ორგანულად არის დაკავშირებული მშობლიურ ნიადაგთან და გარკვეული მნიშვნელობით ამთავრებს ქართული ეროვნული კულტურის მთელ თავის წინამორბედ განვითარებას.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მეცნიერული შესწავლის საჭიროებას და იძლევა ასეთი შესწავლის გეგმის სქემას.

1986. С. Н. Дманашия

Даниел Чхотуа и его очерки о поэме Руставели

კრებ. Сборник Руставели, 1938, თბილისი, გვ. 199 — 203.

პირველად დაბეჭდილი იყო უნივერსიტეტის შრომებში (1936 წ., I, გვ. 164 — 189) დავით ჩხორტუას სტატიისათვის დართული შენიშვნების სახით, სათაურით: „დავით ჩხორტუა და მისი ნარკვევები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. იხ. ანოტაცია № 1343.

1986. დ. ჯანელიძე

რუსთაველის საიუბილეო გამოფენა

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1938, № 1 (56), გვ. 4.

წერილში მიმოხილულია რუსთაველის შემოქმედების, ცხოვრებისა და ეპოქისადმი მიძღვნილი გამოფენა შრავალფეროვან ექსპონატებში. ავტორის შენიშვნით, ეს გამოფენა შესანიშნავად ასახავს შოთას ეპოქას, ვეფხისტყაოსნის ხალხურობას, მის ზეგავლენას ხალხის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და აგრეთვე გვიჩვენებს ქართული საბჭოთა მეცნიერების აღორძინებას. რუსთაველის ეპოქის კულტურის ექსპონატების მიმოხილვის შემდეგ ავტორი ეხება გამოფენაზე წარმოდგენილ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს, იშვიათ გამოცემებს და ზოგადად ახასიათებს მათ. ავტორი აღნიშნავს, რომ 1712 წლიდან დღემდე 30 ქართული გამოცემა არსებობს, აქედან საბჭოთა პერიოდზე მოდის 7 გამოცემა. ავტორი ახასიათებს ზოგიერთ გამოცემას, განსაკუთრებით 1888 წ. გამოცემის მომზადებას. გამოფენაზე წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის ოთხი ფრანგული თარგმანი ბროსესი, მეუნარჯიასი, ბორენისა და ე. იოსელიანის, პოლონურზე — კ. ლაპჩინსკისა, ინგლისურად — მ. უორდროპისა, უნგრულად — ბელა ვიკარისა, ირანულად — ი. მარისა და თადიმ ზადესი, რუსულ ენაზე 13 თარგმანის ნიმუში — ბარტდინსკის, ეელახოვის, აბაშიძის, გულაჟის, სტალინსკის, მეუნარჯიასი, პოლტორაკის, სარაჯიშვილის, ჯანაშვილის, დავიდოვის, ნ. მარის, შარტისა და ბალმონტის. სომხურად — ბასტაშიანის, შირიშიანის. დასასრულ მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის საბჭოთა დროის თარგმანები და გამოკვლევები რუსთაველზე.

1939

1987. პიოტ. იუსტინე აბულაძე

რუსთაველის მსოფლმშეველობისა და ფილოსოფიური აზროვნების წყარო

ურბ. საბჭოთა ხელოვნება, 1939, № 12, გვ. 50 — 53.

ავტორის აზრით, „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი წარმოადგენს ტიპური მოარული აღმოსავლური ამბის საუცხოო ნიმუშს, რომლის შინაარსიც იძლევა მთელი აღმოსავლეთის არაბულ-ინდურ-სპარსული ყოფაცხოვრებისა და მსოფლმხედველობათა სრულ სინთეზს“. მთელი წერილი იმის დასაბუთების ცდას

შეიცავს, რომ ვეფხისტყაოსანში გამოვლინებულია ძველი სპარსული რელიგიური სეფასიანური მოძღვრების დოგმები, რომლისთვისაც უმთავრესად დაშახსიათებელი იყო მნათობთა კულტი. ავტორი ცდილობს ამ მოძღვრების ცალკეულ დებულებებს შეუფარდოს რუსთაველის შეხედულებები, რისთვისაც მოჰყავს სათანადო ციტატები ვეფხისტყაოსნიდან.

1986. იოსებ გელევანიშვილი

სამხედრო სელოვნება „ვეფხისტყაოსანში“

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის
თბილისი, 1939, ნაკვეთი I, გვ. 5 — 16.

ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსანში აღწერილ ორ დიდ ომს: 1. ომი ტარიელისა ხატაელების წინააღმდეგ. 2. სამ გმირთა ომი ქაჯეთის წინააღმდეგ. ავტორის დასკვნით, „პრინციპები, რომლებზედაც აგებულია „ვეფხისტყაოსანი“-ს სამხედრო მოქმედება, სავსებით იგივეა, რაც საფუძვლად ედგა დავით აღმაშენებლის და მის მიმდევართა, თამარის დროის გამოჩენილ სარდლების, მხარგრძელის და დავით სოსლანის სამხედრო მოქმედებას“ (გვ. 13). მაგ., ვეფხისტყაოსნის „სამ წყებად იერიშის მიტანა“ „არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მაშინდელ მსოფლიოში პირველად დავით აღმაშენებელმა შემოიღო“ (გვ. 14). შოთა რუსთაველი, ავტორის აზრით, „ბრძოლათა წარმოების ტაქტიკასა და სტრატეგიას, შეიარაღებას, საბრძოლო ხერხებს ქართული სინამდვილიდან იღებს“ (გვ. 16).

ავტორი აჯამებს ვეფხისტყაოსნის ორი ომის განხილვის შედეგებს და მათში აღნიშნულ პრინციპებს ქართულ სამხედრო ხელოვნებას უფარდებს.

1989. მ. დუღუჩავა

რუსთაველი და არისტოტელეს პოეტიკა

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1939, № VII-VIII, გვ. 62—65.

ავტორი გაკვრით გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსნის პოეტიკა არისტოტელეს პოეტიკის პრინციპების განვითარებას წარმოადგენს.

1990. ბ. ეშელთანოვი

„ვეფხისტყაოსანი“ რუსულ სცენაზე

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1939, 10 ივნისი, № 17 (104), გვ. 1.

ბოლოში უწერია: „ლიტერატურაზე გახეტა“

ავტორი აღნიშნავს, რომ მოსკოვში ფრუნზეს რაიონის პიონერთა სახლის თეატრალურმა კოლექტივმა დადგა ვეფხისტყაოსანი, რომელიც უჩვენეს აგრეთვე მანდელშტამის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და მოსკოვის მეცნიერთა სახლში. ავტორის შენიშვნით, ეს არის დიდი ქართველი პოეტის უკვდავი ქმნილების დრამატიზაციისა და გასცენიურების პირველი ცდა საბჭოთა კავშირში. ამ დადგმისათვის დრამატიული სცენები გაუკეთებია საბავშვო მწერალს როზანოვს.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გასცენიურების სიძნელეებს და ეხება იმ მუშაობას, რომელიც თეატრალურმა კოლექტივმა ჩაატარა და აღნიშნავს, რომ დადგმაში შენარჩუნებულა ვეფხისტყაოსნის ძირითადი თემა— იდეალური სიყვარული და თავგანწი. ელი მეგობრობა. ავტორი ახასიათებს დადგმის სცენიურ, მხატვრულ და მუსიკალურ მხარეს. დასასრულს, ავტორს მოჰყავს მიმართვის ტექსტი ლექსად მაყურებელთადმი, რითაც სპექტაკლი თავდება:

„Все, что здесь мы вам играли, декламировали, пели,
Это только лишь крупицы всей поэмы Пуставели,
Он в поэзии бессмертен, равен солнцу — так могуч,
Мы же — капля дождевая, отражающая луч“.

გამონათქვამები რუსთაველზე

წიგნში: თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჯაფარიძის წინასიტყვაობით. რედაქციით, ლექსიკონით და ზნეობებით, თბილისი, 1939, XLIII+281 გვ. თეიმურაზ მეორე პოემებსა და ლექსებში სხვადასხვა გარემოებასთან დაკავშირებით იხსენიებს რუსთაველს და ვეფხისტყაოსნის გმირებს, რითაც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას რუსთაველის შემოქმედებასთან.

„თქვან მუნასიბი ლექსები ბრძენის რუსთაველისაგან თქმულება“

(„სარკე თქმულთა“, გვ. 59, სტროფი 471,2).

„მემაყრულეთ თქვან რუსთაველისა, მუნასიბები ქებისა“ (იქვე, გვ. 65, სტროფი 519,1).

„მოაგონდეს რუსთაველის ლექსი, შემოსამახონ წამ ასია“ (იქვე, გვ. 67, სტროფი 536,1).

„სულთქმით სწერს ყვაიღის რუსთაველი, ნახვით არ გასახანესა,

სუფევას აძლევს ავთანდილს ტარიელს მოსახმარესა“

(„ანბანთქება 1“, გვ. 119, სტროფი 19,1).

„მინდა რუსთაველსა შეეკადრო სიტყვათა ბასეზანი,
გქითხოთო, რაზედ თქვა ლექსები ტყბილი, ღრმად მტყვევლებანი“

(„გაბაასება რუსთაველთან“, გვ. 122, სტროფი, 1, 3—4).

„ვეთხრათ: რად დამერი ტყვილზედ, რაც სთქვი, არ იყო წესიო,

ამას მოწმობენ ქართელნი, იბერელი და მესხიო,...“ (იქვე, სტროფი 2).

„ნესტან-დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დავუცხრომელად?

ტყვილის ტარიელისთვის სტირს ცრემლის შეუშრობელად...“ (იქვე, სტროფი 3).

„აწ მოგახსენებ, რუსთაველო, რაც ჩემი სიტყვა არი საღ:

ნესტანჯარ ესრეთ გიქია, არ თუ სხვის შესადარისად,

„თინათინ მზესა სწუნობს“ო თქვენ ბრძანეთ — ქებად გმარისად,

კუდამადს მიჯნურსა ახელეთ ერთმანეთს გასახალისად“ (იქვე, სტროფი 4).

„არა გაგონილა ინლოთს ნესტან-დარეჯან ქალადა,

არცა ტარიელ კაცს ერქვას — გიწოდებია ძალადა!

არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-უქილადა,

ვერ პოვებთ ავთანდილსაცა მის ეშვით დანამთვრალადა“ (იქვე, სტროფი 5).

„არა ყოფილა ფარსადან ექვს სამეფოზედ მჯდომელად,

არცა განთქმული ინლოთს, რომ ყოფილიყოს მუღობელად,

გამოჩნდით მათთვის, ღირს ქმენით რას ლექსის შესამკობელად,

ტარიელ, ნესტან-დარეჯან სთქვი ერთმანეთის მღომელად“ (იქვე, სტროფი 6).

„ეს შეიღნი სახელმწიფოზი დიდნი, ვარგნი და არ ავნი,

არც მჯდარა მეშვიდედ მეფედ სარიდან მტერთა შწარავი,

არც კაცი, არცა პქონია სახლი, სამყოფი, კარავი

გაკეთებული სიბრძნითა — არ არის დასაფარავი“ (იქვე, სტროფი 7).

„არ თქმულა მეფედ არაბეთს როსტკვან სახელდებულად:

არც მის ასულად თინათინ, რომ სხვას ვის ეთქვას ქებულად.

ვერც ავთანდილზედ შემოწმენ იმისთვის თავდადებულად —

დაგინახავსა ტყვილად მიჯნურებ ცუცხლ-მოღებულად!“ (იქვე, გვ. 123, სტროფი 8).

„თქვენნი ღრმად მტყვევლებანი უცხო რამ, საკვირველია,

თუმცა მართალზე თქმულოყო, რა ტყბილი საკითხველია!

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსები სხვას ლექსთა გამოცხველია,

საჭარბელოსა კეთათვის სატრფო და სასურველია“ (იქვე, სტროფი 9).

„შენი ნათქვამი საღმთოდ, თუ საეროდ მოიხმარების,

სჯობდა მას ზედა თქმულოყო, ვის მზე არ შეედარების,

ვერობიაში რომელსა ბნელი არ მიეკარების,

ვიწყ რომე ნათლობს ნიადაგ, შუქი არ დემალებს!“ (იქვე, სტროფი 10).

ამას მოჰყვება რუსთაველის პასუხი „მიგება რუსთაველისაგან“, რომელშია ცხად პოეტი თავს იცავს საყვედურებისაგან (სტროფები 11—21). პასუხი აგებულია რუსთაველის ბიოგრაფიის მოტივებზე.

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1939, X, პირველი სერია.
საზოგადოებათმეცნიერებანი, გვ. 95 — 115.

ნაკვლევე შეიცავს შემდეგ საკითხებს:

A. ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა. B. რუსთველის სადაურობისა და სახელისათვის.
C. ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემის შედგენილობასა და ხასიათს და ასკვნის, რომ ის შეიცავს ორი სხვადასხვა პირის ნამუშევარს.

პოემის ტექსტი რედაქტირებულია დეკანოზის შეილის მიქელის მიერ. კომენტარიები კი თვით ვახტანგს ეკუთვნის. ეს ორი ნაწილი „როდესაც პოემის ბექდვას შეუდგენ, მექანიკურად გააერთიანეს და გადააბეს“, რაც იქიდან ჩანს, რომ დაბეჭდილია ერთი ტექსტი და კომენტარიები გაკეთებული აქვს სულ სხვას. ეს იმიტომ მოხდა, რომ პოემის ბექდვის დროს ვახტანგი სპარსეთში იყო წასული და უშუალო მონაწილეობას არ იღებდა პოემის ბექდვაში. ამიტომ ამ გამოცემას ვახტანგისეული ეწოდება იმდენად, რამდენადაც მის დაბეჭდვაში განხორციელდა იდეა და სურვილი ვახტანგისა.

რუსთაველის სადაურობისა და სახელის გამო ავტორი ასკვნის, რომ რუსთაველის ავტორობა შედარებით ძველი ტრადიციაა, მაგრამ „ენიმე შესხობა“ არ გულისხმობს რუსთაველს, არამედ მის მიმბაძველსა და გამგრძელებელ სხვა პოეტს. რუსთაველის სახელის „შოთას“ ტრადიცია ჩამოყალიბდა მე-17 საუკუნის დამდეგს და მასთან ამაოდ ათანაბრებდნენ ჩვენი წარსულის ამა თუ იმ პიროვნებას და საბოლოოდ არც ყოფილა გაზიარებული, რის გამოც პოეტის სახელად „ბირთველიც“ იყო გამოცხადებული.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის დამატებებსა და დაბოლოებათა საკითხს ინდობატურული, ხვარაზმელთა და ძმადნაფიც გმირთა გარდაცვალების ამბებს და ცდილობს დაადგინოს პოემის ნამდვილი დასასრულის შედგენილობა, რისთვისაც იძლევა სტროფების ნუმერაციას.

1993. Проф. Н. С. Кекелидзе

Конспекттивный курс истории древне-грузинской литературы

Издательство Тбилисского Госунта им. Сталина, Тбилиси, 1939, 118 გვ.

ქართული საერო მწერლობის მიმოხილვისას ავტორი სპეციალურად არჩევს ვეფხისტყაოსანს. ავტორი ეხება პოემის მხატვრულ მხარეებს, ახასიათებს მის სიუჟეტს, მთავარ მოტივებს და გმირებს, ქართულ სოციალურ-კულტურულ მდგომარეობას და აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების პროგრესულ ხასიათსა და მნიშვნელობას. ავტორი განსაკუთრებით ხაზს უსვამს რუსთაველის ჰუმანიზმს (გვ. 58 — 69).

ამავე წიგნში, ალორძინების ხანის მწერალთა შემოქმედების განხილვისას ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მნიშვნელობას და მისი მოტივების გამოხატულებას ცალკეულ მწერალთა თხზულებებში (გვ. 75, 84, 88, 89, 94).

1994. Ю. Н. Марр

Из грузино-персидских литературных связей

კრებ.: Ю. Н. Марр, Статьи и Сообщения, АН СССР,

Труды института языка и мышления имени Н. Я. Марра,

Издательство АН СССР, Москва—Ленинград, 1939, II, გვ. 132 — 136.

ავტორი ეხება რუსთაველის სპარსული განათლების სფეროს და არკვევს მისი დამოკიდებულების ხასიათს სპარსულ კლასიკურ პოეზიასთან. მისი

დაკვირვებით, რუსთაველი იცნობდა ონსორის, დაყიყის, ფირდოუსის. მოჰყავს ზოგი პარალელი რუსთაველის თქმებისა ფირდოუსისა. ავტორის აზრით, რუსთაველსა და ფირდოუსს შორის არსებულ თანხედენილობათა წყარო და გზა ჯერ კიდევ მთელი სისრულით არაა ნათელი.

1995. Ю. Н. Март

К толкованию одного места в «Витязе в барской шкуре»

კრებ. Ю. Н. Март, Статьи и Сообщения, АН СССР, Труды института языка и мышления имени Н. Я. Марр, Москва—Испинград, 1939, II, გვ. 137 — 143.

ავტორი არკვევს სიტყვა „ობოლი მარგალიტი“-სა და „საგოგმანები“-ს მნიშვნელობას ვეფხისტყაოსნის ტაეპში:

„ყო მარგალიტი ობოლი, ქელის-ველ საგოგმანები“.

ავტორის დასაბუთებით „ობოლი“ და „საგოგმანები“ მარგალიტის ხარისხის აღმნიშვნელი ტექნიკური ტერმინებია. საგოგმანები დაკავშირებულია მორგავლებულობისა და გორაობის თვისების გაგებასთან. ასეთი ინტერპრეტაციით, ავტორის აზრით, უფრო კონკრეტული მნიშვნელობა ეძლევა რუსთაველის ამ პოეტურ თქმას.

1996. შოთა მესხია

თეიმურაზ ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა

კრებ. მასალები საქართველოსა და ქვეყანის ისტორიისათვის, თბილისი, 1939, ნაკვეთი I, გვ. 19 — 78.

ავტორი თეიმურაზ ბატონიშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის დახასიათებისას ეხება მის რუსთაველოლოგიურ შრომებს ბროსესთან თანამშრომლობის პირობებში და აღნიშნავს მის მთავარ ნაშრომს „განმარტება პოემავეფხისტყაოსნისა“, რასაც უყუბებს მოკლე შენიშვნებს (გვ. 40 — 41).

1997. В. М. Молотов

XXII годовщина Октябрьской революции

გაზ. П р а в д а, Москва, 1939, 7 ноября, № 309 (7994), გვ. 2.

მოსხენებაში მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1939 წლის 6 ნოემბერს ავტორი შეეხო რა ნაციონალურ კულტურათა აყვავებასა და ურთიერთთან დაახლოებას, აღნიშნა, რომ პუშკინის და შეფჩენკოს იუბილებებს ემატება ახალი სახელები განთქმული პოეტებისა და გმირებისა:

„Поэтому гениальные творения грузинского поэта Шота Руставели и армянского эпоса о народном герое Давиде Сасунском становятся достоянием всех народов Советского Союза и пользуются огромными симпатиями в среде всех культурных советских людей“.

1996. შოთა რუთაველი

Витязь в тирровой шкуре

Перепол с грузинского Пантелеймона Пестренко, при участии и под редакцией

Константина Чичинадзе, Государственное издательство «Художественная

Литература», Москва, 1939, 268 გვ.

წიგნის მეორე გვერდზე წარწერა: В литературно-стилистической работе над текстом настоящего издания принял участие и строфы 1602—1744 перевел поэт Борис Брик. Иллюстрации худ. Лазо Гудашвили. Переплет, форзац, титул и орнаментация худ. И. Масаяненико.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის სრულ თარგმანს. სტროფებს სავალავე ნუმერაცია არა აქვს. წინ უძღვის შესავალი წერილი: „Шота Руставели и его поэма“ (გვ. 3—22) კონსტანტინე ჭიჭინაძისა.

სრული ანოტაცია იხ. 1938 წლის გამოცემასთან № 1919.

1999. შოთა რუსთაველი

Отрывок из поэмы „Витязь в тигровой шкуре“

Перевод Пантелеймонов Петрович, при участии Константина Чичинадзе.

წიგნი: შოთა რუსთაველი (187), Одесская областная государственная филармония, ответственный редактор Я. Я. Подляпский, Одесса, 1939, 12 გვ.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის რუსული თარგმანის თავს: «Взятие каджетской крепости и избавление Нестан Дареджан» 19 და „Заключительные строфы“-ის 5 სტროფს (გვ. 8—11). დასაწყისი:

„Видел я троих героев; блестях ярче совины бы;
В световой столбе стояли под опекою светил...“

„Так окончилась их повесть, словно смутный сон ночной...“

ტექსტს წინ უძღვის უაქტოროდ წინასიტყვაობა „Шота Руставели“ (გვ. 3—5), რომელშიაც მოკლედ დახასიათებულია თამარის ეპოქის საქართველო, რუსთაველის შემოქმედება და აღნიშნულია მისი მნიშვნელობა.

2000. [შოთა რუსთაველი]

Шота Руставели и его время

(Сборник статей)

Государственное издательство «Художественная литература», редактор В. Гольцев, Москва, 1939, 278 გვ.

წიგნი წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა ავტორთა გამოკვლევებისას რუსთაველოლოგიის საკითხებზე. კრებულს წინ უძღვის მკირე წინასიტყვაობა „От редактора“ (გვ. 3—4), რომელშიაც ზოგადად დახასიათებულია ვეფხისტყაოსანი და აღნიშნულია მისი მნიშვნელობა ქართული და მსოფლიო კულტურისათვის. კრებული შედგება შემდეგი ნარკვევებისაგან:

1. проф. Павел Ингорова—„Шота Руставели и его поэма“ (გვ. 5—57). შეიცავს შემდეგ ქვესათურებს: 1. Пути развития Грузинской литературы до Руставели. II. К вопросу о биографии Руставели I. Имя поэта и его прозвище. 2. Время написания поэмы «Витязь в тигровой шкуре». 3. Не лошедшие до нас произведения Руставели. 4. Образование поэта. 5. Голение на поэму Руставели. 6. Философское мировоззрение поэта. III. Историко-литературные вопросы.—О сюжете поэмы. IV. Поэма Руставели и жизнь ее в веках.

ნარკვევი დაბეჭდილია რედაქციული ცვლილებებით გაზეთებში, ვეფხისტყაოსნის გამოცემის წინასიტყვაობის სახით და ცალკე წიგნად. წაკითხული იყო მოხსენების სახით 1937 წლის სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის რუსთაველისადმი მიძღვნილ პლენუმზე თბილისში (იხ. ანოტაცია № 1502). დაიბეჭდა აგრეთვე: ჟურნ. «Известия Академии Наук ССРСР», 1938, № 3, გვ. 87—92 (იხ. ანოტაცია № 1879). ცალკე წიგნად 1938 წელს გადამუშავებული სახით სათაურით „შოთა რუსთაველი“ (იხ. ანოტაცია № 1881).

2. Геронти Кикодзе—„Руставели и его время“ (გვ. 58—81). რედაქციული ცვლილებით დაიბეჭდა: ჟურნ. „მზაობა“, 1938, № 3, სათაურით „შოთა რუსთაველი“ (იხ. ანოტაცია № 1957).

3. Николай Тихов—Поэт и мир (გვ. 82—102) დაიბეჭდა კრებ. Известия Академии Наук, СССР, 1938, № 3, გვ. 81—86 (იხ. ანოტაცია № 1937).

4. Проф. К. С. Кекелидзе—„Социально-политическое и культурное состояние Грузии в эпоху Руставели“ (გვ. 103—141). დაიბეჭდა კრებულში: „შოთა რუსთაველი სკოლაში“ 1937 (იხ. ანოტაცია № 1521).

5. Виктор Гольцев—„Шота Руставели, как выразитель своей эпохи,“ (გვ. 142—176).

6. Михаил Чиковани—„Шота Руставели и народное творчество“ (გვ. 177—183).

7. Проф. И. К. Луппол—„Образы и идеи Шота Руставели“ (გვ. 184—212)

8. Проф. А. Барамидзе—„Образ Тарнала“ (გვ. 213—236). ადრე დაიბეჭდა რედაქციული ცვლილებებით: ჟურნ. „Литературный критик“, 1937, № 12, გვ. 153—172. უკრაინულად: „Тарнала—Шота Руставели“, კრებ. АНУ, Кіев, 1938, გვ. 127—147; ქართულად: „ტარაღლი“, კრებ. „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 85—106. (იხ. ანოტაცია № 1836).

9. Проф. Ш. Амиранашвили — „Взгляды в тигровой шапке“ и др. вене-гр. укр. искусство“ (გვ. 237—269). პირველად დაიბეჭდა: კრებ. „ენიმიკის მონაბე“, 1938, № III, გვ. 135—155 (ნხ. ანოტაცია № 1833).

10. დოქ. С. Г. Иорданашвили — „Переводы поэмы Руставели на европейские языки“ (გვ. 270—276). დაიბეჭდა კრებ. „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 241—251 (ნხ. ანოტაცია № 1884).

2001. ტრიფონ რუხაძე

ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის ლიტერატურაში“

პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1939, 256 გვ.

ავტორი ქართული მწერლობის საკითხებთან დაკავშირებით გაკერით თუ სპეციალურად ეხება რუსთაველს შემდეგ გვერდებზე: 15, 16, 54, 67, 132, 137, 138, 163, 201—204, 211, 214—216.

ავტორი აღნიშნავს, რომ „გარდამავალი ხანის“ პოეზიას ტონს აძლევდა, ისე როგორც თითქმის მთელ „აღორძინების პერიოდის“ ლიტერატურას, „შოთა რუსთაველი და მისი ქმნილება“ (გვ. 15). ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნისადმი დამოკიდებულებას ქართულ მწერლობაში და ასკენის, რომ „გარდამავალი ხანის პოეტები ერთის მხრივ იცავენ რუსთაველის პოემას იდეური დამახინჯებისაგან და მეორე მხრივ იყენებენ შოთას პოეზიის მარგალიტებს“ (გვ. 16).

ხუმბარდიანის განხილვასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ „პირველი თხზულება, რომელიც ავტორს მუდამ აგონდებოდა, ცხადია, ვეფხისტყაოსანი იყო“, „როცა პოეტი რომელიმე ფილოსოფიურ-ლიტერატურულ პრობლემას აყენებს, საპიროდ მიაჩნია რუსთაველი დაიმოწმოს“ (გვ. 54). იქვე ავტორი მიუთითებს ადგილებს, რომელნიც მისი დაკვირვებით რუსთაველის მიზაძეთაა დაწერილი (გვ. 55).

ავტორი მსჯელობს რუსთაველის გავლენაზე „გარდამავალი ხანის“ მწერლობაში და აღნიშნავს, რომ „სარიდონიანის“ ავტორი ბაძაყს მას (გვ. 201), რასაც დასძენს, ამ პოემაში პროფ. ალ. ხახანაშვილი სამართლიანად ხედავდა ვეფხისტყაოსნის იმიტაციას (იქვე). სარიდონიანის მთავარი გმირი რუსთაველის პოემიდან ამოღებული ადგილებითაა დახასიათებული და მთელ პოემას ბტყვივა ვეფხისტყაოსნის მოტივების გავლენა (გვ. 202). სარიდონიანის ავტორი ცდილობს მიზაძის რუსთაველს სიყვარულის და ზედისწერის გაგებაში (გვ. 204).

ავტორი აღნიშნავს, რომ „იოანე გეგეჭკორს მონაწილეობა მიუღია ვეფხისტყაოსნის თარგმანში, რისთვისაც დახმარება უთხოვინია ალექსანდრე ჰაეკავაძისთვის“ (გვ. 211).

2002. [უაგტორო]

ვეფხისტყაოსნის ამერიკული გამოცემა

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1939, 3 მარტი, № 50 გვ. (3649), 4.

ქრონიკალური ცნობა იმის შესახებ, რომ ამერიკულმა გამომცემლობამ „ინტერნეიშნელ პაბლიშერმა“ გამოსცა ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანი. ცნობაში მოყვანილია გაზეთ „დეილი უორკერ“-იდან აზრი რუსთაველზე: „თუმცა XII საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტის ეს პოემა დაწერილია ფეოდალიზმის ეპოქაში, მაგრამ იგი ხასიათდება ფართო მსოფლმხედველობით და არის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურის პროდუქტი. რუსთაველის პოემა მეტად პოპულარულია საბჭოთა კავშირში, სადაც ამას წინათ გადახდილ იქნა მისი 750 წლის იუბილე“.

От редактора

კრებ. Илота Руставели и его время, Москва, 1939, გვ. 3—4.

ტექსტი წარმოადგენს წიგნის მცირე წინასიტყვაობას, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას და მის მნიშვნელობასა და ადგილს მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით: «Ее можно сопоставить лишь с такими произведениями, как «Илиада» и «Одиссея» Гомера, «Илиада» Фирдоуси, или «Божественная комедия» Данте».

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის იდეების პროგრესულ ხასიათს, მოჰყავს „Илиада“-დან ამონაწერი მისი თანადროულობისათვის მნიშვნელობის შესახებ და დასასრულს მოკლედ ეხება კრებულის გამოცემის მიზანს.

2004. ა. შანიძე და ა. ბარაშიძე

საქართველოს მუზეუმის 5 ფონდის აღწერილ ხელნაწერთა საქმიანული

კრებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1939, ნაკვეთი II, 59 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ე. თაყაიშვილის მიერ 1902—1912 წლებში დაბეჭდილ წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობათა ორი ტომისათვის შედგენილ საძიებლებს. საძიებლების მიზანია გააადვილოს აღწერილობებში მოქცეული მასალით სარგებლობა, რაც გაძნელებული იყო იმით, რომ ე. თაყაიშვილმა ვერ მოასწრო თავისი ტომების დამთავრება და მათთვის განზრახული საძიებლების ვაკეთება. ნაშრომს ერთვის ა. შანიძის წინასიტყვაობა (გვ. 3—8), რომელშიაც აღნიშნულია საძიებლების დანიშნულება და მითითებულია მათი სარგებლობის წესები. საძიებლებში შეტანილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობისა და შოთა რუსთაველთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალის მითითებანი შემდეგი სახით (გვ. 45):

„რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“ 44 (1, 244); 45 (1, 251); 45 (1, 251); 48 (1, 266); 73 (1, 281, 282); 83_{1,2} (1, 296 ნაწყვეტები); 88 (1, 296); 91 (1, 297); („მაჯამა“ ვეფხ.-ტყაოსნიდან) 141, 12 (2, 270); 177, 28 (2, 282); „ვეფხ.-ტყ.“—194₁ (2, 288); 196 (2, 288); 226 (2, 288); 237 (2, 288); 314—335 (2, 288—289); 336 (2, 288—289) თეიმურაზის კომენტ.; 339—340 (2, 288); 341, 1 (2, 288); 342—343 (2, 288—289); 426, 1 (2, 288—289); იამბიკო—150, 1 (2, 287); 189, 28 (2, 287).

შოთა რუსთაველის გასამართლებლად დაწერილი ლექსი 301, 1, ხ (2, 288).

2005. ხიმონ ჯანაშია

გიორგი შარვაშიძე

ნარკვევი აფხაზეთისა და სამეგრელოს კულტურული ისტორიიდან

კრებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1939, ნაკვეთი III, 61 გვ.

ავტორს მოჰყავს ამონაწერი გიორგი შარვაშიძის წერილებიდან, სადაც ის ეხება შოთა რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს—ვეფხისტყაოსნის გარყვნის უცნობთა ჩამატებული ლექსებით, შოთა რუსთაველის სურათის გამოგონებას (გაზ. „საქართველო“, 1915 წ. № 169. იხ. ანოტ. № 908). (გვ. 23). ავტორი იმოწმებს ილ. ჭყონიას და შ. დადიანს და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი, ცნობილი მხატვარი ზიჩი გიორგის თურმე ულამაზეს კაცად სთვლიდა და ტარიელის ხორციელი განპიროვნებისათვის უფრო შესაფერს ობიექტს ვერ ჰპოულობდა“ (გვ. 28). ავტორს მოჰყავს ბოროზდინის შენიშვნა იმის შესახებ, რომ სამეგრელოს მოწინავე წრე „თავისუფალ-

დროს ანდომებდა საღეთო წერილს, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, ჩახრუხადისა და სხვა ძველ მოწაირეთა ლექსებისა და არისტოტელისა და პლატონის თარგმანების კითხვას (გვ. 48). მურავიოვის შენიშვნა იმის შესახებ, რომ გრიგოლი „ერთს რუსის პოეტთან ერთად ჰექსამეტრებით სთარგმნის რუსულად ვეფხისტყაოსანს“ (გვ. 51).

1940

2006. II. A.

Новый перевод поэмы Шота Руставели

გაზ. Известия, 1940, 30 октября, № 253, გვ.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა ენაზე თარგმნა-გამოცემის მდგომარეობას და აღნიშნავს ბალმონტისა და პეტრენკოს თარგმანთა ნაკლოვანებებს, რასაც ძირითადად ხსნის იმით, რომ მათ ქართული ენა არ იცოდნენ და თარგმნიდნენ პწკარედით. მისი შენიშვნით. არც გ. ცაგარლის თარგმანიც ორიგინალთან დაახლოებული.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის შედგენილობას და აღნიშნავს, რომ პოემაში 45.000 სიტყვაა და ხასიათდება რითმების მრავალფეროვნებით. თუ დანტეს 750 ძირითადი რითმა აქვს, რუსთაველს 755 მოეპოვება, სამაგიეროდ განმეორება რითმისა ორნახევარჯერ ნაკლები აქვს.

ბალმონტის თარგმანში შინაგანი რითმების შეტანამ დაარღვია რუსთაველის ლექსის აგებულება, სხვა თარგმანებში კი ორიგინალის მუსიკალური სილამაზე შიქმალულია.

პოემის შესწავლა-თარგმანზე სერიოზული მუშაობა ჩაატარა პროფ. შ. ნუცუბიძემ, რომელთანაც თანამშრომლობდა პოეტი სერგეი გოროდეცი. ავტორი იწონებს შ. ნუცუბიძის თარგმანს, რომელშიც, მისი შენიშვნით, შენარჩუნებულია ორიგინალის რიტმული თავისებურება.

2007. პროფ. ი. აბულაძე

„ამირან-ღარეჯანიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ წარმოშობის საკითხისათვის

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქეციერო სესია, 1940 წ. 7—11 მაისი, მოხსენებათა თეზისები, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940, 182 გვ.

ტექსტი წარმოადგენს სესიაზე წაკითხული მოხსენების თეზისებს (გვ. 124). ავტორი თეზისებში ავითარებს იმ მთავარ შეხედულებას, რომ ვეფხისტყაოსანი და ამირანღარეჯანიანი როგორც შინაარსით, ისე ფორმით ახლოს დგანან სპარსულ საღვეგმირო და ეპიურ-რომანტიკულ სიუჟეტებთან.

2008. მიხეილ ალაგოძე

ოქროპირ ბაგრატიონის პიესა „ვეფხისტყაოსანი“

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1940, 6 ნოემბერი, № 31(154), გვ. 4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გასცენიურების ცდას 1853 წ. მეფის ძის ოქროპირის მიერ და მოჰყავს მისი პიესის წინასიტყვაობიდან ცნობა, რომ 1805 წ. გოდერძი ფირალიშვილს დაუწერია 5 მოქმედებიანი ტრაგედია ვეფხისტყაოსანი. ავტორი ეხება გ. ერისთავის ასეთსავე ცდას, რომელსაც ერთი მოქმედება გაუსცენიურებია.

ავტორი ოქროპირის პიესის კომპოზიციის გარჩევის შემდეგ ასახელებს იმ მოქმედ პიერებს, რომელნიც ოქროპირს ვეფხისტყაოსანთან შედარებით ზედმეტად ჩაუმატებია თავის პიესაში.

2009. აღ. ბარაშიძე

„ამირან-დარეჯანიანის“ ახალი გამოცემის გამო

ურნ. მნათობი, 1940, № 3, გვ. 157—160.

სათაურს აქვს შენიშვნა სქოლიოში: „ამირან-დარეჯანიანი“, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, სახელგამი, თბ., 1939, XXX+184 გვ.

სარეცენზიო წერილში ავტორი ს. კაკაბაძის მიერ ამირანდარეჯანიანში შენიშნული იმერიზმებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭების გამო, რომელსაც მხედველობაში აქვს „ზრახვა“—„დაზრახვა“, აღნიშნავს, რომ „ანალოგიის გზას რომ მივმართოთ, ს. კაკაბაძის ლოგიკით, ან „ვეფხისტყაოსანი“ არ გამოდგება ლიტერატურული ქართულის კრიტერიუმად, ან „ვეფხისტყაოსანი“ იმერეთში შეთხზულად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საქვეყნოდ არის განთქმული რუსთაველის აფორიზმში:

„სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

2010. აღ. ბარაშიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II,

(XV—XVIII). სტალინის სახელობის თბილ. საზ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940, 498 გვ.

ავტორი თეიმურაზის, არჩილის და სხვა მწერლების შემოქმედების განხილვისას გაკვირვით თუ სპეციალურად ჩერდება შოთა რუსთაველსა, და მისი პოემის გმირებზე ანალოგიებთან დაკავშირებით. შოთა რუსთაველი გვერდები: 11, 14, 15, 20, 45, 49, 50, 52, 72, 75, 169, 139, 145, 151, 152, 152, 160, 161, 162, 177—186, 193, 203, 204, 210, 211, 215—220, 222—224, 227, 228, 230, 231, 252, 260, 339, 346, 415, 416, 450—453, 456—458, 463, 471—473.

2011. პროფ. აღ. ბარაშიძე

ივანე ჯავახიშვილი და ძველი ქართული მწერლობა

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1940, 28 ნომბერი, № 33 (156), გვ. 2.

ავტორი გაკვირვით აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილის რუსთაველოლოგიურ ნაშრომებს. მისი შენიშვნით, ივ. ჯავახიშვილმა 1914 წ. დაბეჭდილ „ქართული ერის ისტორიის“ ფურცლებზე მოგვცა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი საცილობელი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხის დღემდე დაუძლეველი გარჩევა“. ავტორი მიუთითებს, რომ 1935 წ. „ვეფხისტყაოსანზე“ დაბეჭდილ ვრცელ ნარკვევთან ერთად, მას მოეპოვება სპეციალური ნარკვევი ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციის საკითხებზე. გაზ. „ბახტრიონი“-ს მითითებით (1922.3.7.), აღნიშნავს, რომ დაუბეჭდავია მისივე ვრცელი მოხსენება „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლის ძირითადი საფუძველი: საკითხი სადაურობისა, დროისა და ავტორის პიროვნების შესახებ და ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა დახასიათებასა და ტიპიურობის პრობლემაზე.

2012. ივ. ბუჭურაული

ილია ქაუჭავაძე
(მოგონებანი)

კრებ. ლიტერატურის მათიანი, 1940, წიგნი 1—2, გვ. 178—184.

ავტორი სამასწავლებლო ინსტიტუტში 1893 წ. სწავლასთან დაკავშირებით იგონებს ასეთ შემთხვევას:

„მეადინეობენ მოწაფეები. ზოგი გაკეთილუხს ამხადებს, ზოგი კითხულობს წიგნს. ორი თუ სამი მოწაფე განხე დგას და ლაპარაკობენ. „რას იპრანკებით ვილაყ რუსთაველო, დაუწერია რალაყ ძალლის ტყავი—დიდი რამეა!“—ხმა მალღოე წამოიყვირა შერახმელმა

ბუსლავემა. ამ ხმაზე წამოვარდა შაქრო კანდელაქი, რომელიც კლასის ერთ კუთხეში იჯდა და წიგნს კითხულობდა, მივარდა გაფთხებული და შეუყურია: „რა დაუწერია?“

— ძაღლის ტყავი, რა იყო?— იყო პასუხი.

კანდელაქმა არც აცნობა, არც აცხელა და ისეთი სილა უთავაზა ბუსლავეს, რომ უკანასკნელი გაიმხლარათ იატაკზე.

ბუსლავე გავარდა დირექტორთან საჩიველლად.

კანდელაქს შერჩა სილა“ (გვ. 178).

2013. Виктор Гольцев

Шота Руставели и его поэма

Москва, Советский писатель, 1940, 158 გვ.

Оглавление: Глава I. „Некоторый госпудим по имени Руставель“. 2. Глава II. Век Руставели. Глава III. Проблема биографии автора «Витязя в тигровой шкуре». Глава IV. Социально-политическая борьба в изображении Руставели. Глава V. Гуманизм, как основа мирозерцания Руставели. Глава VI. Героизм, любовь и дружба в повествовании Руставели. Глава VII. Мастерство и народность.

Приложение: Сюжет «Витязя в тигровой шкуре».

ავტორი ცდილობს კრიტიკულად შეისწავლოს რუსთველოლოგიის ლიტერატურა და იძლევა რუსთაველისა, მისი ეპოქისა და პოემის დახასიათებას.

არსებული კვლევა-ძიების საფუძველზე, ძირითადი რუსთველოლოგიური ლიტერატურის გამოყენებით ავტორი ახასიათებს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ, ვითარებას, ქართულ სააზროვნო და ლიტერატურულ წრეს, რომელშიაც წარმოიშვა რუსთაველი. ვეფხისტყაოსნისა და მისი მთავარი გმირების დახასიათებასა და რუსთაველის პოეტური ოსტატობის ჩვენებაში, ავტორი მრავალ საყურადღებო გარემოებას მიუთითებს, თუმცა არსებითად მთლიანად ნაშრომი ატარებს კომპილაციურ ხასიათს.

ამ წიგნის ქართული თარგმანი გამოვიდა 1941 წელს (თარგმანი ილია ზურაბიშვილის, თბილისი, ფედერაცია, 249 გვ.). შესწორებული სახით რუსულად გამოვიდა 1948 წელს (Тбилиси, издательство «Заря Востока», 136 გვ. ა. ბარამიძის რედაქტორობით. წიგნს დართული აქვს რედაქტორის ა. ბარამიძის მცირე წინასიტყვაობა (გვ 2.), რომელშიაც ზოგადად შეფასებულია მისი მნიშვნელობა); 1948 წ. მოსკოვში, 157 გვ. ს. ჩაუხჩიშვილის რედაქტორობით; 1952 წ. მოსკოვში, 123 გვ.; 1956 წ. მოსკოვში, 119 გვ. ა. დმიტრიევას რედაქტორობით.

2014. Н. Дондуа

Метафора красоты в поэме «Витязь в тигровой шкуре»

წერილში: Метафора в широком смысле и метафора поэтическая

(К проблеме значения слова)

კრებ. Языки и мышление, т. IX, 1940, Москва—Ленинград, АН СССР

Институт языка и мышления им. Н. Я. Марра, гв. 55 — 64.

ავტორი არჩევს რუსთაველის სტილისტიკურ ხერხს ერთი მეტაფორის მიხედვით:

„უწყალობა კლავს, წყალი სღის აროდეს არ გახმოლი“.

სადაც სიტყვა „უწყალობა“—ს იგებს როგორც მრავალი მნიშვნელობის მეტაფორას. „უწყალობა“ არა მხოლოდ უწყალობაა, არამედ შეუბრალებლობა, რამდენადაც წყალი ქართულში უკავშირდება აგრეთვე სილამაზეს, ბრწყინვალეობას და ეს მრავალმნიშვნელობითი სიტყვის თამაში მეტაფორის პოეტურ ხასიათს ამახვილებს. მის ამ მნიშვნელობას ავტორი ასაბუთებს ქართულში სიტყვა „წყალი“-ს მეტაფორული გაგებით, როგორც ლამაზის იგივეობისა.

ჩემი ლინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალი“

ავტორის გაგებით, აქ წყალი, მისი წყალია, ე. ი. მისი ლამაზი.

2015. ოსებ იმედაშვილი

ზოგანება აკაკიზე

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1940, 28 იანვარი, № 18, გვ. 4.
ავტორი აღნიშნავს, რომ დაახლოებით 1897—98 წლებში მერკვილაძეების ოჯახში აკაკის ხელმძღვანელობით შექმნილი იყო ვეფხისტყაოსნის შემსწავლელი წრე. სადაც ახალგაზრდობა აკაკის ახსნა-განმარტებას ღიძი ბალისით ისმენდა, „ხშირად მთელი საღამო (3—4 საათი) მხოლოდ ერთი ტაეპის ახსნას უნდებოდა. აკაკი თითოეული სიტყვის ნიშნულბობის ახსნასთან ერთად, ლიტერატურის, ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის აწინდელი მღგომარეობის ირგვლივ მუსაიფს იწყებდა ისეთი დაშკრული ენით, რომ მისი მოსმენა კაცს არ მოსწყინდებოდა: „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა ჩავიდგაფთ გმირულ სულს, თავის თავისადმი რწმენას... აღგაფრთოვანებთ... და როცა ქართველი დედა ამ წიგნს გაიგებს და შოთას შეიგნებს, მაშინ წარმოშობს ტარიელს, აეთანდილს, ფრიდონს, თინათინს... ქაჯეთის ციხიდან მიჯნურს ნესტანს გა მოიხსნის...“, „აკაკი ისეთი თვალგაბრწყინებებით გველაპარაკებოდა, თითქოს ნესტანს, თინათინს, ტარიელს, აეთანდილს, ფრიდონს ცხადივ კვრეტო“.

2016. გ. იმედაშვილი

წვეფხისტყაოსნის ვკლესიური დენა

ჟურნ. მებრძოლი ათეისტი, 1940, № 10, გვ. 10—19; 26 11, გვ. 16—23.

ავტორი მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნისა და შოთა რუსთაველისადმი ანტაგონისტური განწყობილების გამოხატულებას მატრიანებესა, ძველი მწერლობისა და სხვა ისტორიულ დოკუმენტთა მიხედვით, ავტორი კრიტიკულად სწავლობს ვეფხისტყაოსნის დენის ისტორიულ ცნობებს და ასკენის, რომ რუსთაველის დენა საქართველოში ატარებდა უფრო მეტად მწიგნობრულ, კლერიკალური თვალსაზრისით პოეტის შემოქმედების კრიტიკის ხასიათს და თუ მას ფიზიკური გამოვლინებაჲ კჳონდა ეს ჯერ არ მტყიცდება დოკუმენტალურად.

2017. სოლომონ იორდანიშვილი

იაკობ გოგებაშვილი და ვეფხისტყაოსანი

კრებ. იაკობ გოგებაშვილი, საიუბილეო კრებული. გ. კიკნაძის,

გ. თავიშვილის და დ. ყიფნის რედაქციით, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1940, გვ. 205—209.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ი. გოგებაშვილის შეხედულებებს ვეფხისტყაოსანზე და მის დამოკიდებულებას ვეფხისტყაოსნის გამო გამართულ პოლემიკასთან.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ახალი დროის პერიოდის რუსთაველოლოგიამ სავსებით დადასტურა ი. გოგებაშვილის ძირითადი შეხედულებები ვეფხისტყაოსნის საკითხებზე.

2018. სოლომონ იორდანიშვილი

აკაკი და ვეფხისტყაოსანი

კრებ. აკაკი წერეთელი, საიუბილეო კრებული, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1940, გვ. 189—195.

ავტორი აღნიშნავს, რომ შემთხვევითი არ იყო სტუდენტ აკაკი წერეთლის მიერ საკანდიდატო თხზულებად ვეფხისტყაოსნის ორიგინალბობის საკითხის წარდგენა. ავტორი ეხება აკაკი წერეთლის შემოქმედებაში რუსთა-

ველის მნიშვნელობას, მისი მოტივების, თემების და სახეების გამოხატულებას, უმთავრესად ვეფხისტყაოსნის აფორიზმებთან დამოკიდებულებას. ავტორი განსაკუთრებით ჩერდება აკაკი წერეთლის მიერ წაკითხულ ლექციებზე ვეფხისტყაოსნის გმირების შესახებ და მის ირგვლივ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის გამართულ პოლემიკაზე.

2019. ხ. იორდანიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ეკრანოლეპულ „უკვლევს“ ხელნაწერის შესახებ
კრებ. მუხეშუმის მოამბე, 1940, ტ. 10—11, გვ. 225—247.

ავტორი ეხება H ფონდის № 2074 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის დათარიღების საკითხს, რაც რუსთველოლოგიაში პრობლემატურია. ავტორი მიმოიხილავს მის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებს (ალ. ხახანაშვილი, პროფ. იუსტ. აბულაძე, სარგის კაკაბაძე, შალვა ამირანაშვილი), ანალიზს უკეთებს ხელნაწერის ისტორიულ-ლიტერატურულ და პალეოგრაფიულ მონაცემებს სხვა ხელნაწერებთან მიმართებით და ასკენის, რომ H 2074 ხელნაწერის ვეფხისტყაოსნის უძველეს ნუსხად გამოცხადება გაუგებრობაზეა აშენებული (გვ. 239). მისი მტკიცებით, ეს ხელნაწერი იოსებ ტფილელის ხელში უნდა იყოს გამოვლილი და მისივე სიცოცხლეში გადაწერილი XVII საუკ. მეორე ნახევარში და არა 1590—1600 წლებში იოანე ავალიშვილის მიერ გადაწერილი, როგორც ეს ს. კაკაბაძეს შეცდომით ეგონა (გვ. 241).

2020. დავით კობიძე

ნეზამი განჯელი

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1940, 14 იანვარი, № 2, გვ. 4.

ავტორი გაკვირვებულად შენიშნავს, რომ „ნეზამი განჯელს თავის ეპოქის პოეტთა შორის თუ დიდ რუსთაველს არ მივიღებთ მხედველობაში, რომანიული ეპიზოდების მაღალ პოეტურ ფორმაში გადმოცემის თვალსაზრისით, ტოლი არა ჰყავს“.

2021. კ. კეკელიძე

ღიღი ქართული პოეტი და ჰუმანიტი საშუალო საუკუნეებისა

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1940, ტ. XI, გვ. 113—131.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობას, მის პოულარობას ქართულ მწერლობაში, არკვევს პოემის წარმოშობის პოლიტიკურ-კულტურულ პირობებს ქართული ისტორიული სინამდვილის ვითარებაში ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ ამ დროს „ჩვენში ისახება მხატვრული საერო ლიტერატურა, რომლის მსგავსი არცერთმა სხვა საქრისტიანო ქვეყანამ ამ დროს არ იცის“ (გვ. 121). ვეფხისტყაოსანში საკაცობრიო იდეალების გამოხატულებებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველმა უფრო მეტად გადალახა ნაციონალურ-ეროვნული ზღუდეები, ვიდრე ჰომიროსმა და ფირდოუსმა“ (გვ. 122). რუსთაველის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი იდეალები ხასიათდებიან პროგრესულობითა და ჰუმანიზმით, ის დიდი ჰუმანიტია ფილოსოფიურ-რელიგიური აზროვნების სფეროშიაც (გვ. 125).

რუსთაველის იდეოლოგიასა, მისი ჰუმანიზმის წყაროებსა და წარმოშობა ნიდაგზე მსჯელობისას ავტორი აკრიტიკებს საერთოდ რუსთაველის პეტროვიით გამოჩენის მარისეულ დებულებას და აღნიშნავს, რომ ის მომზადებულია, მთელი წარსული დროის ქართული კულტურული ცხოვრებით, რუსთაველი ქართულმა სინამდვილემ შეამზადა და წარმოშვა (გვ. 128).

Образы и идеи Шота Руставели

კრებ. Литературные этюды, Москва, 1940, 326 გვ.

ნარკვევი წარმოდგენს რუსთაველის შემოქმედების მთავარი იდეალების, მოტივებისა და გამოცემების განხილვას (გვ. 167—180). ავტორი ერთგვარად აჯამებს მის მიერ სხვადასხვა დროს ცალკეულ სტატიებში გამოთქმულ შეხედულებებს აღძრულ საკითხებზე. ავტორი ახასიათებს რუსთაველის ეპოქის ქართულ კულტურას, გადმოგვცემს და იხილავს ვეფხისტყაოსნ.ს სიუჟეტს და აღნიშნავს, რომ პოემაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების ანალოგიების ძიება მთლად დამაჯერებელი არ არის, რამდენადაც პოეტი ემპირიულ ფაქტებს ყველაფერში არ იმეორებს. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს რუსთაველის მხატვრულ სახეებს, მის ოსტატობას, მის თავისუფალ სტილს, რომელიც არაა დამძიმებული დოქტრინალური ფილოსოფიით. ავტორი იხილავს რუსთაველის მთავარ გმირებს, რომელნიც პოეტს დახატული აქვს უცხო ქვეყნების გმირთა წარმომადგენლების სახეებით, თუმცა მათში ქართული სინამდვილეა ასახული.

2023. [თ. მაქავარიანი]

[ბიბლიოგრაფია შოთა რუსთაველზე]

წიგნში: ქართული ეურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკ. I (1852—1877), დოქ. გ. აბზიანიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები თ. მაქავარიანის, საქ. სსრ სახელმწ. კ. მარქსის სახელ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, თბილისი, 1940.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში შოთა რუსთაველზე მოიპოვება წერილებისა და შენიშვნების ბიბლიოგრაფიული მითითება სხვადასხვა მწერალთა და პერიოდულ გამოცემათა მიხედვით შემდეგ ნომრებზე: 952, 959. (გვ. 79), 1785 (გვ. 121), 2345 (გვ. 155), 2360 (გვ. 156).

2024. И. В. Мегрелидзе

Шота Руставели и грузинский фольклор

ჟურნ. Советское Востоковедение, I, АН СССР, 1940, გვ. 112—146.

ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ქართულ ფოლკლორთან დაკავშირების საკითხზე არსებულ რუსთაველოლოგიურ ლიტერატურას და აღნიშნავს სიუჟეტურ, ეპიზოდურ და ფრაზეოლოგიურ პარალელებს, რომელნიც პოემასა და მის ხალხურ ვარიანტებს შორის არსებობს. იძლევა სიუჟეტის წარმოშობის შესწავლის ისტორიას. ანალიზს უკეთებს არსებულ თეორიებს და მოტანილი მასალების ანალიზით აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი შექმნილია დამოუკიდებლად, ხალხური პოეზიის ეპიზოდური ნაწყვეტები უმთავრესად წიგნური წარმოშობისაა. ამასთან ერთად, ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წყარო სპარსულ ფოლკლორში მოიძებნოს. მისი აზრით, საბოლოოდ მოხსნილი არაა შესაძლებლობა ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის მსგავსი თქმულება ირანულში აღმოჩნდეს.

ავტორი აქვეყნებს ცნობას 1225 წლის სომხურ წარწერაში სახელის „ტარიელის“ მოხსენიებისა (გვ. 144) და გურიაში ვეფხისტყაოსნის იმიტაციით შექმნილი „ძაღლისტყაოსნის“ არსებობის შესახებ.

ავტორის ძირითადი დებულებაა, რომ რუსთაველმა ნაწილობრივ ისარგებლა ხალხური სიბრძნით და ზღაპრული ელემენტებით, როგორც თავის

მხრივ ხალხმა ისარგებლა თვით პოემით. ვეფხისტყაოსნის საფუძველზე შეიქმნა ხალხური „ტარიელიანი“, რომელსაც, ავტორის აზრით, ენიჭება დამოუკიდებელი ფოლკლორული მნიშვნელობა.

ვეფხისტყაოსანში ცალკეულად ხმარებულ სიტყვებში „თქმულა“, „გაუსო“, „სწორია“ და სხვ. მისთ. ავტორი ხედავს იმ ხალხურ ძეგლთა წყაროს კვალს, რომლითაც რუსთაველს უნდა ესარგებლოს. ავტორის საპიროდ მიიჩნია შოთა რუსთაველის პიროვნების შესახებ არსებულ თქმულებათა ცალკე შესწავლა ისე, როგორც თვით ვეფხისტყაოსნის პარალელების შესწავლაც.

ნაშრომი შეიცავს საგნის ლიტერატურის უხე ბიბლიოგრაფიულ მასალას.

2025. ლეონ მელიქიძე-ბეგი

შ. რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. სომხურ ლიტერატურაში

(ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა)

წიგნი: საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, თბილისი—1940, ტომი V, გვ. 243—252.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა: გაგრძელება. დასაწყისი იხ. ამ „შრომების“ IV ტომში, თბილისი, 1938, გვ. 159—163.

სტატიას წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა ვეფხისტყაოსნის შესახებ 1937 წლის შემდეგ სომხურად გამოსული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვით. წერილი შეიცავს ბიბლიოგრაფიას დაწყებული 33 ნომრიდან—58-მდე, მოკლე ცნობებით და სომხური სათაურების ქართული თარგმანებით.

დასასრულს, ავტორი ეხება სომხურ ენაზე ვეფხისტყაოსნის თარგმანებს მათი სისრულის თვალსაზრისით.

2026. იონა მუუნარგაა

[შემართვა ქართველ საზოგადოებისადმი გაზეთის გამოცემის შესახებ]

წერილში: სოლ. ცაიშვილი „დროუმიდან“—„ივერიაში“.

კრებ. ლიტერატურის მატრიანე, 1940, წიგნი 1—2, გვ. 490—495.

გაზ. „დროების“ დახურვის გამო ახალი ქართული გაზეთის დაარსების მიზნით ავტორს მიუძღრთავეს ქართველი საზოგადოებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, რომელშიაც სხვათა შორის შეუნიშნავს:

„ქართულ ენას ჩვენში სხვადასხვა გარემოებათა წყალობით არც სასწავლებლებში ასწავლიან, არც სასამართლოში დაპარაკობენ, არც სამმართველოში და ასე გასინჯეთ ჩვენი სიმუხლო,—თითქმის არც ოჯახებში. ერთდერით ადვილი, საცა ქართულ სიტყვას გაიგონებდა კაცი, იყო ქართული გაზეთი. ამის საშუალებით ყოველდღე ერთი თაბაზი ქალაქი მოვიტანდათ თქვენ ქვეყნის გარემოებას ცოცხალის ქართულის ენით დაწერილს. რუსთაველის ენა აუად თუ კარგად განუწყვეტელს მოძრაობაში და წარმატებაში იყო...“ (გვ. 492—493)

2027. Акад. И. И. Мещанинов

К юбилею Шота Руставели

კრებ. Язык и мышление, Москва—Ленинград, т. IX, 1940, გვ. 7—14.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობას და პოპულარობას, განსაკუთრებით 1937 წ. ჩატარებული იუბილეს შემდეგ. საქართველო მოწინავე ქვეყანა იყო და რუსთაველმა, როგორც განათლებულმა ადამიანმა, თავისი დროის მოწინავე იდეები გამოხატა.

მოკლედ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი და ეხება რუსთაველის გმირებს, იდეალებს და მთავარ მოტივებს. აღნიშნავს რუსთაველის თავისუფლებას კულტურულ-ნაციონალურ შემოხრულულობისაგან. იხილავს რუსთაველის ბიოგრაფიულ ცნობებს.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში მხატვრულად არის გადმოცემული ეპოქის შინაარსი. საპიროა ვეფხისტყაოსნის შესწავლა არა მხოლოდ ფილოლოგიურად, არამედ მაშინდელი პოეზიის მიმართებაში ისტორიულად როგორც მხატვრული ძეგლი.

Colbors terisin kijgen baatur

Qыргызча lastырыp erkin qotorqon Alykul Osmonov

Frunse—Qazan, Qыргызмамбас, 1940, 376 გვ.

[ქართული ტიტული] შოთა რუსთაველი—ვეფხისტყაოსანი (გვ. 2).

რუსული ტიტული] Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (на киргизском языке) Киргизское Государственное издательство, Фрунзе—Казань (გვ. 376).

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ყირგიზული სრული თარგმანის 54 თავს, პოემის შესავალი გამოტოვებულია. სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. ვეფხისტყაოსნის შაირის ოთხსტრიქონიანი სტროფი ყირგიზულად თარგმნილია ექვსი სტრიქონით. პირველი თავის დასაწყისი პირველი სტროფი:

„Тақырым сыыр, таалайыңа бақ берген,

Urmats uluu, min-min qoldu eelegen;

Arabijada Rostevan degen xan boldu,

Qыzal tilden, çoqtur buqa ten Kelgen.

Qolu da akteq, djetpax aulu martqan

Qyzy çarqan, qyzy da çatqan er kelden“

ტექსტს წინ უძღვის უაქტორო და უსათაურო წინასიტყვაობა (გვ. 5—6), რომელშიც აღნიშნულია რუსთაველის იუბილეს ჩატარება, ვეფხისტყაოსნის ყირგიზულად თარგმნის ვითარება და შედარებულია პოემის ერთი სტროფი ბალმონტის რუსული თარგმანისა იმავე სტროფის ოსმანოვის მიერ შესრულებულ ყირგიზულ თარგმანთან.

2029. *Shota Rustaveli**Витязь в тигровой шкуре*

Перевод Ш. Нуцубаев

ჟურნ. Тридцать дней, Орган Союза Советских писателей

[Москва], 1940, № 11—12, გვ. 25—30.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სამი თავის რუსულ თარგმანს. I. «Беседа Таризля с Нестан-дареджан и их решение» 21 სტროფი. დასაწყისი:

„Так лежала, как у крыжа, разъяренная тигрица,

„Не сравнятся с ней чивара, ясныи месля и деняцца.

„Мие, сраженному, велела дальше сесть Асмаг сестрицца.

„А Нестан, вахиурав брови, приподнялася, гавводница“ (გვ. 26).

ტექსტს წინ უძღვის მცირე წინასიტყვაობა, რომელშიაც მოკლედ შეფასებულია შ. ნუცუბაიძის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი და ზოგადად დახასიათებულია ვეფხისტყაოსანი ქართულ კულტურასთან მიმართებით.

2030. *Shota Rustaveli**Витязь у тигровой шкуры*

Грузинська поема переклад Микола Бажана

Переклад відзначен похвальною грамотою ЦВК РСР Грузії від 10 лютого 1938 року

Державне літературне видавництво, Київ, 1940, 228 გვ.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სრულ უკრაინულ თარგმანს 1666 სტროფით. წიგნს აქვს წინასიტყვაობა მიკოლა ბაჟანისა: „Незмиертна поема грузинського народу“ (გვ. 3—12), რომელშიაც ზოგადად დახასიათებულია შოთა რუსთაველის შემოქმედება და ცხოვრება, აღნიშნულია მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოეზიის მასშტაბით და მხატვრული მემკვიდრეობის თავისებურებანი. ბოლოში ერთვის „Пояснения деяких слов та термінів“ (გვ. 221—224). სრული ანოტაცია 1937 წლის პირველ გამოცემასთან № 1645.

«Вилхис ткъаусани»

Цишикьрал вуттиравусса нарт (Кутла бурну бувьссса) (Гурჯი იაზრეჲთჳ პოэмალჳ
კუტლასსა содержавиე чирчуссар Гляжиел Гьонсайиула)

წიგნბი: Гаджиев Гусейн, Литературная хрестоматия, 5-ურ კლასრან, შიკიკჳ მას,
დაგესთასოე ხოსთასოე იაღასასოე, 1940, 238 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის პროზაულ გარდათქმას ლაკურ
ენაზე (გვ. 221—227). დასაწყისი:

«Альрабустаннай ивкляя ур ша Ростиваш тлссса начыяг. Тамал арсрү кьавиы:луи
бур, муияяту таман ччам бивкляя бур цува иваланинн ишла душ Тшштати начыяг-
шавруй битан...».

დასასრული: «Автапдшллул, Таркადлулва фридошлул дусшину ташинна ишла орпрурла
ახირდაви дияშიл цайишнал эбрал дасუსса шла ликлайкунсса дусшину лирჩი дур.

Мукунсса дусшавრუჲთჳ бувьсса поэмარ Шота Роставелил «Вилхис ткъаусани»
тлссса хавар—Цишикьрала ду лавхма» тлсссар».

პროზაულ ტექსტს ბოლოში მოსდევს პოეტური თარგმანი «წიგნი ნესტან-
დარეჯანისა პირველი»-დან 1292—1311 სტროფები (გვ. 227—230). დასაწყისი:

«Яру аѣтний, дак кьуплатий ччаву вьунайи ттк ччччч бур,

Итгаркшшайш макь ккурккугшй дакшшувьсса нур вешлак дур.

Хьункля тлутуа кьлуплиякушма, ми мух-ураша кьавкь дуллай дур.

Ми букманал дакшшн чччла члатларакькушна кьუტლაი дур».

ტექსტებს წინ მოსდევს შიგრი წერილი: «Гурикиял халкьуниал хьуньссა
шаер—Шота Руставели» (Уку 750 შინ შავუ), რომელშიაც მოკლედ დახა-
სიათებულია რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი (გვ. 220—221).

2032. [უაგრორო]

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1940, 9 ილისი, № 19, გვ. 1.

ცნობა მოსკოვის გამომცემლობა «საბჭოთა მწერალის» მიერ რუსულ
ენაზე ექტორ გოლცევის წიგნის «შოთა რუსთაველი და მისი პოემის» გამო-
ცემის შესახებ. ცნობაში მოკლედ გადმოცემულია წიგნის შინაარსი და შენიშნუ-
ლია, რომ მას მოკლე ხანში ქართულად თბილისში გამოცემს «ფედერაცია».

2033. [უაგრორო]

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

1938—39 აკად. წლის ანგარიში

თბილისი, 1940, 512 გვ.

ფილოლოგიური ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგა-
რიში აღნიშნულია, რომ ძველი ქართული ლიტერატურის კათედრაზე:

1. პროფ. კ. კვეციძემ დაამუშავა თემა: «ვეფხისტყაოსნის აეტრის სადაურობისათვის»,
«ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის» და «ვეფხისტყაოსნის 1712 წლის გამოცემა».

2. დოც. ი. აბულაძემ «ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოც.-იდეოლოგი მიზეზები».

3. დოც. ს. იორდანიშვილმა: «რუსთაველის ადრინდელი შემოკმედებიდან» და «ვეფხისტ-
ყაოსნის ხელნაწერების აღწერილობა».

4. ასისტ. გ. იმედაშვილმა: «რუსთაველოლოგიის ისტორიისათვის» (გვ. 98—99).

აღმოსავლურ ენათა კათედრის მუშაობის მიმოხილვაში აღნიშნულია:

პროფ. ი. აბულაძემ დაამუშავა თემა: «ვეფხისტყაოსნის სუფიტისა და რუსთაველის მსოფლ-
მხედველობის შესახებ» (გვ. 103).

დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორიის კათედრის მუშაობის
ანგარიშში:

დოც. ნ. ურუშაძემ დაამუშავა თემა: «დასავლეთ ევროპის საჩინდო პოეზია და ვეფხისტ-
ყაოსანი» (სადისერტაციო შრომა).

2034. ივ. შილაკაძე

მასალები რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის

წიგნში: მასალები ამიერკავკასიის ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის რედაქციით, საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, V, 1940, გვ. 5—21.

ტექსტი შეიცავს ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე არსებული ისეთი სტატიებისა, ნარკვევებისა თუ ცალკეული გამოცემების ანოტირებულ ბაბლიოგრაფიას, რომელნიც შეიცავენ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებისა და გამოცემების აღწერილობა-შესწავლას, რუსთველოლოგიური საკათხების კვლევამბებს, სპეციალურ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს რუსთველოლოგიურ საკითხებზე, კატალოგებს, რომლებშიაც რუსთველოლოგიური ლიტერატურაა ასახული და არქივების მითითებას, რომლებშიაც ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებია დაცული. დასახელებულია 45 ნაშრომი შემდეგი ავტორებისა: იუსტ. აბულაძე, შ. ადგი-შვილი, სურენ აფიანი, შ. ასათიანი, ვუკოლ ბერიძე, ექ. თაყაიშვილი, ს. იორდანიშვილი, ს. კაკაბაძე, დ. კარიჭაშვილი, ალ. კობახიძე, თ. მჭავარიანი, ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ნ. მთვარელიშვილი, ტრ. რუხაძე, ი. ყიფშიძე, აკაკი შანიძე, ზაქარია კიკინაძე, ა. ხახანაშვილი. მ. ჯანაშვილი, თ. ჟორდანი, ა. ცაგარელი, ე. თერზიბაშიანი, ბროსე, მაკლერი.

2035. ხოლ. ცაიშვილი

„დროებიდან“ — „ივერიაში“

კრებ. ლიტერატურის მატრიანე, საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, თბილისი, 1940, წიგნი I-2, გვ. 490—495.

ავტორი აქვეყნებს იონა მეუნარგიას დაუბეჭდავ წერილს, დაწერილს 1885 წელს გაზეთ „დროებას“ დახურვასთან დაკავშირებით, სადაც ახალი გაზეთისათვის სახსრების მოგროვებისათვის მოწოდებაში ნათქვამია: „სწორედ ამგვარს შემწეობაზე უთქვამს ჩვენს დიდ რუსთველს: „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ (გვ. 425).

2036. სიმონ ჯანაშია

უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრების შესახებ
მასალები აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე
კრებ. ენობის მოამბე, V—VI, თბილისი, 1940, გვ. 633—694.

სარგონის ლაშქრობის აღწერასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს: „სანგბუთოს ოლქისა და ყველა ამ ქალაქის მცხოვრებთ სწრაფად გადაუციათ ასურელების მოახლოების ამბავი ურარტუს შორეული საზღვრებისათვის იმ წესით, რომელიც ავეფხისტყაოსანშია“ აღწერილი: მთის მწვერვალებზე აღმართულ სვეტებზე ანთებდნენ ისინი ცეცხლს ბუჩქნარისაგან და ამით გადასცემდნენ დიდ მანძილზე მტრის მოახლოების ამბავს დილით და ღამით“.

1 9 4 1

2037. ი. ვ. აბულაძე და X. გ. შარაშიძე

К вопросу об имени и родине Руставели
(Предварительное сообщение)

კრებ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 7, 1941, გვ. 681—688.
მოყვანილია საქ. მუზეუმის H 1572 ხელნაწერში ხუტურად ნაწერი ცხოვრების ანდერძი, რომელიც შეიცავს რუსთველური შაირით დაწერილ თხზულებას 24 სტროფად და წარმოადგენს სადგერის გიორგის შექებას.

ავტორები ცდილობენ დაასაბუთონ, რომ ტექსტის მიხედვით ამ თხზუ-
ლების ავტორია XV საუკუნის მესხი მეზობტე სიმეონ შოთასძე, რომელიც
თავის თავს შოთა რუსთაველის შთამომავლად აცხადებს. ამ რიგად თხზულე-
ბა შეიცავს რუსთაველის სახელის „შოთას“ მოხსენიების პირველ შემთხვევას.
ქართულ მწერლობაში.

2038. И. Андронов

Новый персод поэм Шота Руставели

გაზ. Известия, 1941. 13 марта, № 60, გვ. 3.

ავტორი ზოგადად აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობასა და პო-
პულარობას. ეხება მისი შესწავლის მდგომარეობას და რუსულად თარგმნის
ცდებს. განსაკუთრებით ჩერდება შ. ნუცუბიძის რუსულ თარგმანზე, რომე-
ლიც „Художественная литература“-მ გამოსცა (1941).

ავტორი აღნიშნავს, რომ ყველა არსებული თარგმანი ძლიერაა დაშო-
რებული სრულყოფას. რუსთაველი რუსულ ენაზე ჯერ კიდევ არაა გადატა-
ნილი. განსაკუთრებით აკრიტიკებს ბალმონტის თარგმანს, რომელშიაც რით-
მისა და კეთილშობილების ძიებამ რუსთაველის იდეები მიჩქმალა და დაამა-
ხინჯა მისი აზრები და ფორმა.

ავტორი სანიშნოდ აღარებს ერთმანეთს ბალმონტის, ცაგარის, პეტრენ-
კოს და ნუცუბიძის თარგმანში მეექვსე სტროფს და აღნიშნავს, რომ ნუცუბიძის
თარგმანში დაძლეულია ქართული ლექსის თავისებურების გადატანის ამოცა-
ნა რუსული ლექსის პლასტიკაში. ნუცუბიძის თარგმანი უმრავლეს შემთხვე-
ვაში ინარჩუნებს ორიგინალის თავისებურებას სიტყვების დალაგებაში და
რითმებს სწორედ იმ სიტყვებზე აკეთებს, როგორც ორიგინალი. ამ თარგმა-
ნით რუსი მკითხველი ეცნობა ნამდვილ რუსთაველს—რეალისტს.

დასასრულს, ავტორი ზოგადად ახასიათებს პროფ. შ. ნუცუბიძის სამეც-
ნიერო მოღვაწეობას ქართული კულტურისა და მწერლობის შესწავლაში.

2039. А. Аршаруни

Шота Руставели

წიგნი: Большая Советская Энциклопедия. Москва, Огиз, РСФСР, 1941.

том сорок девятый, 901—904.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების სიდიადეს, მის მსოფლიო
მნიშვნელობას, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მაღალმახატველობას მსოფლიო
პოეზიის მასშტაბით და მოკლედ გადმოცემს რუსთაველის ბიოგრაფიას ტრა-
დიციული ლეგენდური ცნობებით (მისი თამარის კარზე ცხოვრების, ბიზან-
ტიაში განათლების მიღების, პოემის დაწერისა და საქართველოდან გადახვე-
წის შესახებ). ავტორი მიმოიხილავს საქართველოს სოციალ-პოლიტიკური და
კულტურული ცხოვრების განვითარებას X—XII საუკუნეებში, რომელმაც
მოამზადა ქართული საერო ლიტერატურის განვითარება და შესაძლებე-
ლი გახადა ამ პოემის შექმნა.

ავტორი პოემაში აღნიშნავს ორი საწყისის—დასავლურ-ბიზანტიური და
აღმოსავლურ-ირანულის გამოხატულებას და ახასიათებს ვეფხისტყაოსნის
შთავარ იდეალებსა და გმირებს. ახასიათებს რუსთაველის გავლენას ქართულ
პოეზიაზე, მის პოპულარობას საქართველოში, მის პოეტურ ოსტატობას და
პოემის წინააღმდეგ წარმოებულ კლერიკალურ ბრძოლას. მოკლედ ეხება რუს-
თაველის ენის თავისებურებებს, მისი ლექსის ვერსიფიკაციას და მიმოიხილავს

ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის ისტორიას წთაფარი გამოცემებისა და თარგმანების აღნიშვნით.

დასასრულს, სტატიას დართული აქვს საგნის ძირითადი ლიტერატურის მცირე სია.

3040. М. Афзалов

Фольклористическая работа в Узбекистане

ჟურნ. Советский фольклор, 1941, № 7, გვ. 262.

ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ უზბეკისტანის კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სხვა ნაშრომებთან ერთად დასაბეჭდად მომზადებული აქვთ შოთა რუსთაველის გენიალური პოემის ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვარიანტი.

3041. проф. А. Барамидзе

Новый перевод поэмы Руставели

გაზ. Правда, 1941, 13 марта, № 71 (8479), გვ. 4.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის ისტორიას მარი ბროსედან დაწყებული, აკეთებს ზოგი მათგანის მიმართ ზოგად შენიშვნებს და სპეციალურად იხილავს პროფ. შალვა ნუცუბიძის მიერ შესრულებულ რუსულ სრულ თარგმანს, ამ თარგმანში, ავტორის აზრით, ზუსტადაა გამოვლენილი რუსთაველის იდეოლოგია, უზრუნველყოფილია ტექსტუალური სიზუსტე, შეჩვენებულია დედნის რიტმი, მუსიკალური ელერადობა, ალიტერაციული სახეები. ის მკითხველს საშუალებას აძლევს ნამდვილად შეიყნოს რუსთაველის ქმნილება.

ვეფხისტყაოსნის ტექსტის გააზრებისა და თარგმნის საქმეში პროფ. შ. ნუცუბიძის მიერ გაწეული მუშაობის დახასიათებისას ავტორი შენიშნავს, რომ თარგმანში გაშთერულია ბევრი ბუნდოვანი ადგილი, სახელი და იდეა. თარგმანის ენა ხასიათდება სისადავითა და ხალხურობით.

3042. პროფ. ა. ბარამიძე

ბესარიონ გაბაშვილი

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 7 თებერვალი, № 6, გვ. 2

წერილის ბოლოში ბესიკის ლირიკასთან დაკავშირებით, ავტორი გაქვრით შენიშნავს, რომ „ლირიკულ ეანრებს კი დიდხანს ერთგვარად გზას უღობავდა შოთა რუსთაველის დაუძლეველი ავტორიტეტი. „მოშირიე არა ჰქეიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“ — სთქვა მხატვრული გემოვნების კანონმდებელმა და ქართული პოეზიაც საუკუნეთა განმავლობაში მას მიჰყევობდა“.

3043. თედო ბეგიაშვილი

ტარიელი ანუ ხალხური ვეფხისტყაოსანი

წიგნი: ქართული ფოლკლორი, სტალინის სახელობის თ. ს. უ. დაუსწრებელი

ქედ. განყ-ბის გამოცემლობა, თბილისი, 1941, 236 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ლექსნარეკ პროზაულ თხრობას (გვ. 134—150). დასაწყისი:

„იყო და არა იყო რა, იყო ერთი უწინდებური დიდი გმირი კაცი, სახელად ტარიელი. ჰყავდა ცოლად მეტად მშვენიერი მზეთუნახავი, სახელად მზექალი...“

ჩართული ლექსი:

დასხლიან მკვიდობნენი:

იამზარ, ამზარ და უმზარნი,

იმათ კილობან აავეს

ქებითა, არა ქებითა,

შივ ქალი შესვეს, მზექალი,

ძალითა, განა ნებითა!.. (გვ. 135).

დასასრული:

„ტარიელმა და პეტანდილმა ამოსწვიტეს შიდალ ერთიანად ქაჯების სინილა, წამოიყვა... ნეს ტარიელის მშექალი და წამოვიღენ... კარგა სიარულის შემდეგ მოადგენ ერთს მდინარის ხილს...“ (გვ. 150).

ტექსტის შესახებ შენიშვნა მოიპოვება წიგნის ბოლოს გვ. 226: „ტარიელი“, სადაც მითითებულია ჩაწერის ადგილი და პუბლიკაცია.

ამავე წიგნში მოიპოვება მცირე ფორმის ლეგენდა „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“ (გვ. 199). დასაწყისი:

„შოთას ჰყვდა ცოლი და მოსამხაზურე არაბი აბლუა. თუმცა შოთა. თვალტანდაც და ვაკაცობითაც გამოჩენილი პირი იყო, მაგრამ ცოლმა მაინც უღალატა და არაბი აბლუა. შეიყვარა...“.

2044. დიმიტრი ბენაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

წიგნში: ხელოვნების საკითხები, ფედერაცია, თბილისი, 1941, გვ. 166 — 167.

ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის მსგავსად, ბარათაშვილი რეალური ცხოვრების მკაცრი კრიტიკით გვაძლევს ნათელ წარმოდგენას, ქეშმარიტს, ნამდვილს ცხოვრებაზე“, რასაც ბრწყინვალედ ადასტურებს „მერანია“. ამასთან ავტორი დასძენს, რომ „რუსთაველის შემდეგ მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილმა გვაგრძნობინა ქართული ფრაზის ელვარება მთელი თავისი სიდიადით. მერანიაში ისმის ავთანდილის ხმა“. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს რუსთაველის სტროფი „თუ საწუთრომან დამამზოს“ (8C2), რის გამოძახილადაც მიაჩნია ბარათაშვილის სტროფი „ნუ დავიძარხო ჩემსა მამულში“ (მერანი).

2045. პანტელეიმონ ბერაძე

ჰქესამეტრი და გრძელი შიირის ლექსი

გვ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 16 მაისი, № 20, გვ. 3.

ბერძნული ჰქესამეტრის საკითხებთან დაკავშირებით ავტორი ეხება ქართული შიირის უძველესი სახეობის პრობლემას და ასკენის, რომ ჰქესამეტრსა და ქართული გრძელი შიირის ლექსს აქვს ზოგიერთი შემხვედრი მომენტი როგორც მათი განვითარების, ისე გამოყენების თვალსაზრისით.

შიირის განვითარებაში ავტორი ამჩნევს — შემდეგ ძირითად სახეებს: მთიბლურ ცხრა-რეამარცვლიან ურითმო ლექსს, თექვსმეტმარცვლიან ურითმო ლექსს და შიირის ორ ძირითად სახეობას, გართმულ შიირსა და გრძელ შიირს.

ავტორი დასასრულს შენიშნავს, რომ ბერძნული ჰქესამეტრი ქართული გრძელი შიირის ანალოგიის მიხედვით სწორედ ორი ლექსის შეერთების საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული და განვითარებული.

2046. ვუკოლ ბერიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის წაყიფვისა და გაგებისათვის

კრებ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. II, № 8, 1941, გვ. 783—790.

ავტორი ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსნის 879-ე სტროფში ტაეპი „უბოროტო ვის ასშია, რაც ა საქმე საეშაყო“ უნდა წაეყიფებოთ შემდეგი რედაქციით: „უბოროტო ვის ასშია, რაც ა კარგი, უეშაყო“, რის საფუძველსაც ხედავს მთელი სტროფის სხვა სტროფებთან შინაარსობლივ მიმართებაში და რუსთაველის სახეობრივი — აზროვნების სტილში, რომლის მიხედვითაც „უეშაყო“ აქ „კარგის“ სინონიმია, რითაც პოეტი აძლიერებს „უბოროტოს“ მნიშვნელობას.

უზენაესი არხების ცნება „ვეფხისტყაოსანში“
 ჟურნ. მნათობი, 1941, № 5, გვ. 97—121.

ავტორი არკვევს ღმერთის ცნების წინაშეწელობას ვეფხისტყაოსანში და აღნიშნავს, რომ რუსთაველს არც ქრისტიანული ღმერთისათვის უცია თაყვანი და არც მაჰმადიანურისათვის. რუსთაველი არც ათეისტი ყოფილა და არც წარმართი. ვეფხისტყაოსანში რუსთაველი ღმერთის ცნებას 700-ჯერ მიმართავს, მაგრამ არსად არაა მოხსენიებული ოფიციალური ღმერთი რომელიმე ილსარებისა, თუმცა ღვთაების ცნება ერთგვარი ხიდი და გზა იყო რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის.

რუსთაველის ღვთაება დაჯილდოებულია მონოთეისტური რელიგიებისათვის დამახასიათებელი ყველა პრედიკატით. ღმერთის ძიებაში რუსთაველი განახლების გზას დაადგა. რუსთაველი აყენებს რენესანსის ეპოქისათვის დამახასიათებელ განგების ცნებას. რუსთაველის ღმერთი განგებისა და გონების სინთეზია. ღმერთი, როგორც შემოქმედი ძალა, მასში მოცემულია არაბული არისტოტელიზმის მიხედვით (გვ. 120). რუსთაველის ღმერთი პერსონა კი არ არის, არამედ ძალა. ავტორის აზრით, სწორედ ამასთან დაკავშირებითაა გასაგები რუსთაველის პოლიტიკური იდეალები—მისი მონოთეიზმი მონარქიული ბუნებისაა, შეპირობებულია აბსოლუტიზმთან, ამიტომ არ შეიძლება ის წარმართობასა და პოლითეიზმს დაბრუნებოდა, რაც რეგრესი იქნებოდა.

ღმერთის ცნების გაგებასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს სათანადო ლიტერატურას, განასკუთრებით ნ. მარის შეხედულებებს და მის ცდებს ვეფხისტყაოსნის მაჰმადიანური გარემოს დასაბუთებისას. ავტორის დასკვნით, პოემაში მაჰმადიანური არაფერია, მას გამორიცხავს რუსთაველის ჰუმანიზმი და სიბრძნე. რუსთაველმა პოემაში ასახული მუსლიმანური ქვეყნები თავისი ფანტაზიით შექმნა. მასში ქართული ამბავია, იმდროინდელი საქართველოსათვის დამახასიათებელი ქართული ღმერთით, მაგრამ ეკლესიასთან რომ არ მოსვლოდა კონფლიქტი, მან ამბავი განგებ მაჰმადიანურ ქვეყნებში გადაიტანა. ვეფხისტყაოსანში, თუმცა ქრისტიანული გაგების ღმერთის ცოდნა გამოსკეივის, რუსთაველი გვერდს უვლის ქრისტიანობას, ის მის სრულ იგნორაციას ახდენს, რადგან ვერ იტანს აზროვნების შეზღუდულობას. ავტორის აზრით, არაბული ფილოსოფია და მეცნიერება იყო ის წყარო, რომელმაც საშუალება მისცა რუსთაველს კრიტიკულად შეხედდა ორთოდოქსალურ-ქრისტიანული, კაცად ქცეული ღმერთისათვის (გვ. 121). მისი ზეგავლენით რუსთაველმა არსება წარმოსახა კოსმიურ ძალად. ავტორს მოჰყავს ცალკეული მაგალითები რუსთაველის ავიცენასთან შესაბამისა. მისი საბოლოო დასკვნით, ვეფხისტყაოსანი ქრისტიანი ავტორის მიერაა დაწერილი, ის განიცდის ქრისტიანობის გავლენას და გამოხატავს ქრისტიანულ-ქართული ფეოდალიზმის გარემოს.

ავტორი ეხება მანიქველურ მოძრაობას შუასაუკუნეებში, პ. ინგოროყვას ცდას რუსთაველის მანიქველად წარმოდგენისას და აღნიშნავს, რომ მანიქეიზმი, როგორც მკაცრი დუალიზმი და სინკრეტიზმის იშვიათი სახე, რუსთაველის ღვთაების გაგებაში არ არსებობს. რუსთაველის მანიქველობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ფაქტი, რომ შეიდი მნათობისადმი ავთანდილის ლოცვაში, მათდამი თაყვანისცემა მანიქველობისათვის დამახასიათებელი ნიშნით არაა დახატული, არამედ საწინააღმდეგოდ. მანიქეიზმი მთვარეს ანიჭებს პირველ ადგილს, რუსთაველი კი მზეს.

ავტორი ცალკე ეხება შხის ლეთაებად წარმოდგენას ვეფხისტყაოსანში. მისი დასკვნით, რუსთაველი არ აიგივებს შხესა და ლეთაებას. რუსთაველი შხეს მიმართავს როგორც მეტაფორას. (გვ. 115). ამიტომ ყოველივე აზრს მოკლებულია რუსთაველის სოლარიზმზე ლაპარაკი. რუსთაველის ასტრალური სამყაროს წყარო შეიძლება იყოს ირანის ძველი და ახალი მათოდმხედველობა, ავტორი ეხება აკად. ნ. მარის მიერ დასმულ პრობლემას რუსთაველის ნეოპლატონიზმის შესახებ და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის სტროფებში, რომლითაც ამის დამტკიცება უნდათ, არაერთი ნეოპლატონური ფილოსოფია არ არის (გვ. 111).

2048. შოსე გოგიბერიძე

ფილოსოფიის ისტორია
ტილისი, 1941, გვ. 258—262.

ავტორი XI—XII საუკუნის საქართველოში ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაზე მსჯელობისას აყენებს დებულებას, რომ რუსთაველმა ყველაზე მეტად ნატურალისტურად ინტერპრეტირებული არისტოტელის შეგაყენა განიცადა, რის საბუთსაც ზეცის მიმართ მონოთეიზმისა და მიწის მიმართ პრინციპული ნატურალიზმის აღიარებაში ხატავს. მისი აზრით, რუსთაველი არა მარტო ქრისტიანობის იგნორაციას ახდენს, არამედ კრიტიკულად უყურებს ყოველგვარ ოფიციალურ საარწმუნოებას. რუსთაველის შემოქმედებასა და სიმბრძნეში ავტორი არაბული ფილოსოფიის კვალს ხედავს.

2049. ვაქტორ გოლცევი

შოთა რუსთაველი და მისი პოემა

თარგმანი ილია ზურაბიშვილისა, ფედერაცია, თბილისი, 1941, 249 გვ.

წიგნის შენარჩობა: თავი პირველი: ივნიშე ბატონი, რუსთაველად სახელწოდებული. თავი მეორე: რუსთაველის საუკუნე. თავი მესამე: ვეფხისტყაოსნის ავტორის ბიოგრაფიის პრობლემა თავი მეოთხე: სოციალურ-პოლიტიკური ბრძოლა რუსთაველის ასახვით. თავი მეხუთე: ჰუმანიზმი როგორც რუსთაველის მსოფლმხედველობის საფუძვლი. თავი მეექვსე: გმირობა, სიყვარული და მეგობრობა რუსთაველის გავებით. თავი მეშვიდე: ისტატობა და ნაღზურობა.

ანოტაცია იხ. წიგნის პირველ, 1940 წლის გამოცემასთან № 2013.

2050. М. Делба

Шота Руставели и его „Вепхис-Ткаосани“.

Заметки к абхазскому изданию поэмы

Сухуми, Издание Абгшаз, 1941, 31 გვ.

იგივე დაიბეჭდა ქართულად: ჟურნ. „მნათობი“, № 4, გვ. 79—92.

წიგნს მესამე გვერდზე ეპიგრაფად უძღვის შ. კალინინის ციტატა ქართული კულტურის სიძველისა და რუსთაველის პოემის გენიალობის შესახებ.

ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და იმ სახელმწიფოებრივ-კულტურული ცხოვრების პირობებს საქართველოში, რომელთა გარემოშიაც შეიქმნა პოემა. აღნიშნავს რუსთაველის ორგანულ კავშირს ქართულ კულტურასთან, მის პოპულარობას, მისდამი დამოკიდებულებას მომდევნო საუკუნეებში, დევნას სამღვდელოების მიერ. ეხება რუსთაველის შემოქმედების მთავარ საკითხებს ქართული ფილოსოფიის მონაცემებთან დაკავშირებით. იხილავს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს, მთავარ გმირებს და ძირითად მოტივებს. განსაკუთრებით ჩერდება ქალის ასახვაზე, სიყვარულისა და მეგობრობის იდეალებზე, ვეფხისტყაოსანში დახატულ ბატალურ სურათებზე, სამხედრო ყოფის

ამსახველ თქმებზე, გმირთა ხასიათებზე, პატრიოტულ იდეებზე, ბრძნულ თქმებზე და გაპყავს პარალელი რუსთაველის ცალკეულ თქმებსა და ჰერაკლიტეს ზოგ სენტენციას შორის. ციტატები პოემიდან მოპყავს ცაგარლისა და ნუკუბიძის თარგმანებით.

ავტორის შეხედულებით რუსთაველმა თავისი პოეტური გენიით გამოხატა თავისი ხალხის სული, მისი საოცნებო აზრები და გრძნობები (გვ. 19). პოემის გმირები ქართველები არიან. ვეფხისტყაოსანი არ შეიძლება ფარსის ნიადაგზე წარმოშობილიყო. ის არის პროდუქტი ქართული კულტურის ხანგრძლივი განვითარებისა და ჩამოსხმულია ნაციონალურ ფორმებში. საქართველო თავისი ისტორიული გზით ვითარდებოდა და ვეფხისტყაოსანი ქართული ნაციონალური კმნილებაა.

ავტორი სპეციალურად ჩერდება ვეფხისტყაოსნის აფხაზურ თარგმანზე და აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას აფხაზი ხალხის კულტურისათვის. მისი აზრით, დიმიტრი გულიას მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის აფხაზური თარგმანი უშუალოდ ქართული დედნიდან დიდი მიღწევაა. ის გამოირჩევა ქართულ ორიგინალთან სიახლოვით, რომელშიაც შენარჩუნებულია რუსთაველის შაირის 16-მარცლოვანი ზომა. ამ თარგმანის წარმატებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ამ მუშაობაში გულიას ეხმარებოდნენ აკად. ს. ჯანაშია და დოც. ქ. ლომთათიძე.

დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი პოპულარულია აფხაზურ ფოლკლორში, სადაც ვხვდებით ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელებს, მისი სიუჟეტის გადამწევაებს და ცალკე ეპიზოდებს, ამასთან ერთად ანდაზებს, რომელთა წყარო ვეფხისტყაოსანია.

2051. მ. დელბა

აფხაზეთის ახტრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ვეფხისტყაოსნის აფხაზურ ენაზე გამოცემის რედაქტორი

„ვეფხისტყაოსანი“ აფხაზურ ენაზე

გაზ. კომუნისტური, 1941, 27 აპრილი, № 99 (6104), გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობასა და უკვდავებას, ახასიათებს მის მთავარ მოტივებსა და გმირებს და შენიშნავს, რომ „რუსთაველმა გამოხატა თავისი ხალხის სული, მისი სანუგეარო აზრები და გრძნობები“, რომ „რუსთაველის გმირები ქართველები არიან“, ვეფხისტყაოსნის გმირების საუკეთესო თვისებები—გონიერება, ფიზიკური სილამაზე, სულოვანი კულტურის სიმამლე, კეთილშობილება, მამაცობა, პატრიოტიზმი—ქართველი ხალხის თვისებებია. ავტორი ვეფხისტყაოსნის ქართულ სინამდვილესთან მიმართებით დახასიათებისას აღნიშნავს, რომ რუსთაველი ქართველი იყო და XII—XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო პროგრესში გამოზარდა მისი მძლავრი გენია ავტორის აღნიშვნით:

„ქართველ ხალხთან ერთად, რომლის უკვდავი შეილიც არის შოთა რუსთაველი, აფხაზი ხალხი, ათასეული წლის მანძილზე თავისი პოლიტიკური და კულტურული ინტერესებით ქართველ ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული, ასახავს რუსთაველის სიდიადეს თავის ხალხურ პოეზიაში, თავის ფოლკლორში“.

ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზურ ფოლკლორში გავრცელებულია თქმები, რომელთა წყაროს ვეფხისტყაოსანი წარმოადგენს და მოპყავს სათანადო სილუსტრაციო მასალა. ავტორი აღნიშნავს აფხაზურ ენაზე ვეფხისტყაოსნის თარგმნის დიდ მნიშვნელობას, ზოგადად ახასიათებს პოემას და მოკლედ ეხება თარგმნის პირობებსა და ვითარებას. ავტორის შენიშვნით, „ქართული და აფხა-

ზური ენების ნათესაობის ნეოზებით, მთარგმნელის წინაშე წამოჭრილი მნიშვნელოვანი სიმნელნი წარმატებით იქნა დაძლეული, „ლიბიტრი გულიამ შესძლო რუსთაველის ლექსის—შაირის თექვსმეტმარცვლოვანი ზომის შენარჩუნება“.

დასასრულს, ავტორი მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გამოცემას.

2052. Н. Дондуа

Русская. III том

წიგნი: Энциклопедический словарь Гранат, Огиз, Москва, 1941, Сельское издание, том тридцать шестой, часть VII, гл. 658—669.

ავტორი ზოგადად ეხება შოთა რუსთაველის ბიოგრაფიას და ვეფხისტყაოსნის აგებულებას, მოკლედ ახასიათებს რუსთაველის ლექსის ფორმას—შაირს, მოჰყავს მისი სქემა, აღნიშნავს რუსთაველის სტილის აფორისტულობას და იხილავს მის თეორიას პოეზიაზე. ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის მოკლე შინაარსი პროზაული გარდათქმით. ახასიათებს რუსთაველის ეპოქის ქართულ მწერლობას, მისი შემოქმედების წყაროებს, მიუთითებს სპარსულ-არაბულ და ბიზანტიურ-ელნიურ გავლენას პოემაზე, ეხება ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებს, მოტივებსა და იდეალებს და აღნიშნავს რუსთაველის მნიშვნელობას ქართული და მსოფლიო ლიტერატურისათვის.

დასასრულს სტატიას ერთვის ძირითადი რუსთაველოლოგიური ლიტერატურისა და ვეფხისტყაოსნის მთავარი გამოცემების ვრცელი ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი.

2053. о. თავაძე

ქართული ხალხის სელოვნება

ურნ. მნათობი, 1941, № 2, გვ. 55—62.

ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება ვეფხისტყაოსანი საერო ლიტერატურის გვირგვინია, რომ დიდმა პოეტმა და მოაზროვნემ შოთა რუსთაველმა, რომელმაც თავის გენიალურ პოემაში განახორციელა ხალხთა ძმობის იდეა, თავისუფლებისა და ბედნიერებისადმი ადამიანის უფლება, ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა მთელი ქართული პოეზიის განვითარებაზე დაწყებული უძველესი დროიდან, თითქმის ჩვენს დღემამდე.

2054. სულხან თანიაშვილი

ამირან-ღარეჯანიანი

გ. ჯაკობიას რედაქციით, წინასიტყვაობით, ლექსიკონით და შენიშვნებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1941, 380 გვ.

ტექსტს წინ უძღვის გიორგი ჯაკობიას გამოკვლევა „გალექსილი ამირან-ღარეჯანიანი“ (გვ. V—XXXVII), რომლის გარჩევა-დახასიათებისას ავტორი ჩერდება ვეფხისტყაოსნის საკითხებზე და მოჰყავს საილუსტრაციოდ ცალკეული სტროფები პოემიდან (გვ. XXX, XXXIII, XXXVIII) თანიაშვილის ტექსტთან შესადაარებლად იმის საჩვენებლად, რომ „მისი ლიტერატურულ-პოეტური გააზრება და გაფორმება, უეკველად, შოთასაგან არის ნასესხები“ (გვ. XXXIII).

ქართულ პოეზიაში რელიგიური მოტივების გამოხატულებაზე მსჯელობისას გ. ჯაკობია შენიშნავს:

„თეიმურაზის, სულხანის, არჩილის, ეახტანგ VI-ისა და სხვათა მიერ ასე კარბად რელი-
გიური მოტივების წინა პლანზე წამოწევამ საბაბი მისცა XVIII საუკუნის რეაქციონერ კლ-
ერიკალურ წრეებს დევნა. ეწარმოებოდა „ვეფხისტყაოსნის“ წინააღმდეგ, როგორც სულის
„წამწმენდელი“ რამ წაწარმოებისა, ეინიდან შოთა არ გაიძახოდა „უფლი აქვეით“-ო და
განისახლვრა ასეთი თქმით:

„შიაობა პირველადე სიბრძნისა ერთი დარგი,
სალმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი“
(გვ. XXXVII—XXXVIII).

სულხან თანიაშვილი თავის გალექსილ „ამირან-დარეჯანიანში“ გაკვრით
იხსენიებს რუსთაველს:

„არა დაგვიგდო რუსთველმან ლექსისა ჩვენ ქართულები,
ბევრი თქვა, მაგრამ ვერ ჰყოვნა, რაც თაყა ჰქონდა წყლულები...“ (გვ. 3, სტროფი 2).
„რუსთველმან ამბო ლექსები გულისა მსგავსად მოსხმული,
თქვა გაქრა ტარელისა, ჰყო ვეფხის ტყაფთა მოსხმული,
ცრემლი აჩქეფა თვალთაგან მიწოდოთ საღობლად მოსხმული,
მის ამბით ვარდხედ ბულბულნი მოვლენ სატირლად მოსხმული“ (გვ. 6, სტროფი 23).
„მისთვის მოწონდა რუსთველი: ტარიელ შექნა ბულბულად,
არ აპოვნინა იგი მზე გაურჯელ და უჩხუბულად,
ეირემდის არა [ა]დინა თვალთაგან ცრემლი გუბულად,
რა მიეწურა სიკვდილა, მაშინ ქნა შენატყვებულად“ (იქვე, სტროფი 25).
„რუსთველს აქათ მელექსე ბევრი ყოფილა მთქმელია,
მას არსად დარჩა სიტყვანი, მით წინ დამიხედა მელია,
უსინჯეთ სიტკბო ქართულის მალალ-მდაბალი, ნელია,
მას ნურეინ ებაძათ მელექსე, თაჯების ვიყენეთ მცველია“ (გვ. 215, სტროფი 1651).

2055. გაიოზ იმედაშვილი

რუსთველოლოგია

ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვა
თბილისი, 1941, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 259 გვ.

წიგნის სარჩევი: წინასიტყვაობა. შესავალი. I. რუსთველოლოგიური კვლევის ბაზა. II. წი-
ნარუსთველოლოგიური პერიოდი. III. ვახტანგის პერიოდი რუსთველოლოგიაში. IV. რუსთა-
ველი და ვეფხისტყაოსანი რუსულ და ევროპულ ლიტერატურულ კრიტიკაში. V. უცხოურ
და ქართული ნიჰილიზმი რუსთველოლოგიაში. VI. ნაციონალური თვალსაზრისის განვითა-
რება რუსთაველზე. VII. მარის პერიოდი რუსთველოლოგიაში. VIII. საბჭოთა პერიოდი
რუსთველოლოგიაში. IX. რუსთაველის სოფლმედიცინა და მხატვრობა. X. რუსთველო-
ლოგიის პრობლემათა კლასიფიკაციის სქემა. XI. საერთო დასკვნები რუსთველოლოგიურ
კვლევა-ძიების საკითხებზე. დამატება: რუსთველოლოგიის ძირითადი ლიტერატურის ანოტი-
რებული ბიბლიოგრაფია. სახელთა საჩიებელი. შემოკლებათა განმარტება.

წიგნი წარმოადგენს რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების ისტორიას.
კრიტიკულად მიმოხილულია რუსთველოლოგიური აზრის განვითარება ვახ-
ტანგის კომენტარიებიდან დაწყებული 1937 წლამდე, ყველა გამოკვლევისა,
ცალკეული შენიშვნისა თუ გაკვრით გამოთქმულ მოსაზრებათა მიხედვით,
რომელნიც ქართულ-რუსულ თუ სხვა ენებზე გამოქვეყნდა ცალკე წიგნების
სახით ანდა პერიოდულ პრესაში.

წიგნი აგებულია რუსთველოლოგიაში პრობლემების წამოყენების, მათი
განვითარებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, რომელიც ლიტერატურ-
ულ აზროვნებაში მკვიდრდებოდა. რუსთველოლოგიის პრობლემათა კლასიფი-
კაციის სქემაში (გვ. 189—191) წარმოდგენილია რუსთველოლოგიურ პრობ-
ლემათა რიგი, რომელიც აჯამებს განვლილ საკვლევაძიებო მუშაობას შემდეგი
ძირითადი საკითხების მიხედვით: I. თხზულების ავტორი. II. დაწერის თა-
რილი. III. ფაბულა და სიუჟეტი. IV. ვეფხისტყაოსნის წყაროები. V. ვეფხის-

ტყაოსნის ტექსტი. VI. ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქცია. VII. ვეფხისტყაოსნის სოციოლოგია. VIII. წყაროები და მასალები რუსთველოლოგიის პრობლემათა შესასწავლად. IX. კვლევითი მუშაობა.

წიგნში მდიდარი ბიბლიოგრაფიული მასალაა. ანოტაციაქმნილ ბიბლიოგრაფიაში 105 ნომერს გაკეთებული აქვს სტატია, მათგან ბიბლიოგრაფიულად იშვიათს—უფრო ფართო სახით.

2056. პავლე ინგოროყვა

თამარ მეფის იამბიკონი

ფერ. მნათობი, 1941, № 3, გვ. 115—153.

ქვეთავში: „რა სახით არის მოღწეული ჩვენ დრომდე თამარის მემკვიდრეობა“, ავტორი აღნიშნავს, რომ თამარის ეპოქიდან მოიპოვება ცნობები ათეულ პოეტურ ძეგლთა შესახებ, მაგრამ თვით ნაწარმოებები ჩვენს დრომდე არ შენახულა, „შორს რომ არ წაიღეთ, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა სრულის სახით თვით შოთა რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობა. რასაკვირველია რუსთაველის მემკვიდრეობა არ განისაზღვრებოდა მარტოოდენ ვეფხისტყაოსნით. ისეთი სრულყოფილი ხელოვნების ძეგლი, როგორც არის ვეფხისტყაოსანი, ცხადია, ერთის ხელშეებით არ იბადება. ვეფხისტყაოსანზე ადრე შოთას, ცხადია, დაწერილი უნდა ჰქონოდა სხვა პოეტური ქმნილებანი და როგორც ახლა დამტკიცებულია, ჰქონია კიდევ, მაგრამ ისინი დაღუპულა, ისევე, როგორც დაიღუპა ამ ეპოქის სხვა პოეტურ ძეგლთა დიდი უმრავლესობა. ასე დაკარგულა შოთას ადრინდელი პოეტური ქმნილება „ქებანი“, რომლის შესახებაც თვით შოთა ლაპარაკობს ვეფხისტყაოსნის პროლოგში. დაკარგულია ასევე შოთას პოემა იოსებ მშენიერი, რომლის შესახებაც შენახულია ცნობა მე-16 საუკუნის დასაწყისის ერთ ნაწარმოებში (გვ. 121). ამ ადგილს ავტორი სქოლიოში იმოწმებს თავის ნაშრომს: „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ (კრებ. „რუსთაველის კრებული“, ტფ. 1938 წ. გვ. 12—19).

ქვეთავში: „თამარი, შოთა რუსთაველი და იოანე ფილოსოფოსი“ ავტორი აყენებს დებულებას, რომ თამარი თავისი ფილოსოფიური იამბიკონებით ეხმარება ქართული პოეზიისა და ფილოსოფიური აზროვნების კორიფების შოთა რუსთაველს (გვ. 140), რომ რუსთაველისა და თამარის პოეტურ მემკვიდრეობაში შეინიშნება შეხვედრები. თამარს იამბიკონებში გადააქვს რუსთაველის პოეტიკის ნიშანდობლივი და სპეციფიკური ელემენტები. აქვე ავტორი ეხება რუსთაველის პოეტური მემკვიდრეობის თავისებურებას—სახეების ალიტერაციის საკითხს. რუსთაველი ვერბალური ალიტერაციით, სიტყვებისა და სახეების უაღრესად თავისებური მხატვრული ორკესტრირებით აღწევს პოეტური მემკვიდრეობის ნამდვილს სრულხმოვანებას, ჰმატებს პოეტურ სიტყვას ახალს ელერას (იქვე). ავტორი შენიშნავს, რომ ერთადერთი პოეტი ქართული მხატვრული სიტყვის ისტორიაში თამარია, რომელიც გამოეხმაურა რუსთაველის ამ თავისებურებას (გვ. 141). ასევე მზის სიმბოლიკა ერთნაირადაა წარმოდგენილი როგორც თამარის იამბიკონებში, ისე რუსთაველის პოეზიაში (გვ. 142). მზის სიმბოლიკის სახით ვეფხისტყაოსანში გაშლილია ცენტრალური იდეა პოემისა (იქვე). ამრიგად თამარის იამბიკონები უახლოესად ენათესავენ რუსთაველის პოეზიას—ფორმით, პოეტური მემკვიდრეობით, ვერბალური ალიტერაციის პოეტიკით, მზის სიმბოლიკით (გვ. 142).

2057. პროფ. ხარგის კაცობაძე

ძველი ლიტერატურის ერთი მნიშვნელოვანი ძეგლის გარშემო

(პართენ მდივნის წერილი მეფის ასულთან)

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 5 იანვარი, № 1, გვ. 2.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას საქართველოს ფეოდალური საზოგადოების ყოფა-ცხოვრების შესასწავლად. მისი აზრით, პოემის სიუჟეტისა თუ მისი აღნაგობის სპარსულიდან წარმოშობილობის თეზა უარსაყოფია. აკად. ნ. მარის მიერ ვეფხისტყაოსნის გმირთა სპარსულ ნიდაგზე ახსნა არ მართლდება, ამ სახელებს საფუძველი ძველ ქართულში მოეპოვებათ. ტარიელი არის წმინდა ქართული ფორმა ძველი სპარსულის დარიოსისა, ის დაბადების ძველ ქართულ ვერსიაში გვხვდება დარიელის ფორმით. ასევე ავთანდილი და თინათინი წმინდა ქართული ფორმისა უნდა იყოს, მთლიანად პოემა კი საქართველოს ცხოვრების „აღნაბეჭდია“. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველს ემჩნევა ტენდენცია ყველაფერი რეალისტურად ასახოს.

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ვეფხისტყაოსანში ტარიელის სიყვარულისათვის ველად გაქრის მოტივს და აღნიშნავს, რომ ის აღუბულია ქართული ფეოდალური ცხოვრების სინამდვილიდან. ამის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს XVIII საუკუნის ცნობილი მემუარისტის იესე ოსეს ძის ვადანაწერი დოკუმენტი (საქ. მუზ. № 1234), რომელიც წარმოადგენს სიყვარულისათვის ტყე-ლრეში გაქრის ვინმე მდივან პართენის წერილს თავისი ნათლიდედა მეფის ქალისადმი, რომელიც თავის მხრივ პართენს წერდა „ხელობას“ თავი დაანებო. ავტორის დასკვნით, წერილი XIII—XIV საუკუნეებს ეუთვნის. ავტორის აღწერით, პართენის წერილის ტექსტს ორსეგუნახევიარი უქირავს. სტილი პართენისა მეტად პათეტიკურია. წერილში ტარიელის გაქრასთან პარალელისათვის ავტორის მითითებით საყურადღებოა ადგილი:

„ხელთა სადგური და სამყოფელი ულრან-მალჩანი არისო. თუმცაღა კლდეთა თავი ჩაქოქიო, იგიცა აუგან არა შანს“.

„გულსა ზემა იმ ხელობა ესე გვარად ძნელობს და ამისათვის იმ ხელობაზედ ხელის აღება არ შემიძლია“.

2058. კონსტანტინე კაპანელი

რუსთაველის მხატვრული მეტყველების ზოგი თვისება

კრებ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, 1941, ტ. I, გვ. 75—76.

ავტორი ზოგადად ეხება მხატვრული მეტყველების საკითხს და აღნიშნავს, რომ რუსთაველმა მოგვცა ქართული ლექსთწყობის ლალი, მდიდარი, გაშლილი, უაღრესად მუსიკალური ფორმა. ამასთან დაკავშირებით ავტორი ახსნათებს შაირის საზომს და აღნიშნავს ვეფხისტყაოსანში შაირის ცვლილების სიტუაციური თავისებურების მიხედვით, რის საფუძველია „ადამიანის განცდის ფსიქოლოგიური თავისებურება“. რუსთაველის შაირის ვერსიფიკაციის ზოგი თავისებურების, ტერმების აგებულებისა და ხასიათის განსაზღვრისას ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველი იყენებს იამბს, როგორც პოეტურ ხერხს, პირიქთან გაერთიანებით, რითაც იქმნება მეორე პეონი.

ავტორი დასასრულს შენიშნავს, რომ „გინაიდან ქართულ ლექსთწყობაში იამბის არსებობა დღემდე სადაოდ იყო მიჩნეული, ჩვენ მიერ ზემოთ დამტკიცებული აზრი უნდა ჩაითვალოს ერთგვარ სიახლედ ლიტერატურათმცოდნეობაში“.

უცხოელები საქართველოს შესახებ

(ანტირეზული ბიბლიოგრაფია)

კრებ. ბიბლიოგრაფიის მოამბე, საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, თბილისი, 1941, 2-3, გვ. 221—232.

საქართველოს შესახებ უცხო ენებზე არსებული ზოგი წიგნის მიმოხილვაში ავტორი ეხება გოტფრიდ შერცბახერის შრომას „Aus den Hochregionen des Kaukasus (Leipzig, 1901), რომლიდანაც მოკლედ გადმოცემს შერცბახერის შენიშვნებს შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 229).

2060. პროფ. კორნელი კეკელიძე

ვეფხისტყაოსანი

წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი მეორე, მეორე შეესებული და შესწორებული გამოცემა, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1941, გვ. 90—217.

ავტორი მიმოხილავს ვეფხისტყაოსანისა და მისი ავტორის ბიოგრაფიის შესწავლის მდგომარეობას და არკვევს რუსთველოლოგიაში დასმულ ძირითად პრობლემებს — პოემის ავტორის, დაწერის დროს, ორიგინალობის, ავტორის მსოფლმხედველობის, პოემის მხატვრული კონსტრუქციის და მათ მომიჯნავე საკითხებს.

აღნიშნულ საკითხთა გარკვევაში ავტორი ეყრდნობა რუსთველოლოგიური ლიტერატურის კრიტიკულ შესწავლას და უამრავი პირველწყაროს გამოყენებას. ვეფხისტყაოსანის შინაარსის პროზაულად გადმოცემის შემდეგ (გვ. 90—101), ავტორი ჩერდება პოემის მნიშვნელობაზე, პოპულარობაზე, მისი ტექსტის ისტორიაზე, ვახტანგის 1712 წლის გამოცემაზე, რომელიც მისი აზრით, არ არის უცვლელი განმეორება ძველი ხელნაწერისა, არამედ კრიტიკული გამოცემა (გვ. 105). ამ გამოცემის ტექსტის რედაქცია ეკუთვნის უცნობს ვილაც მიხეილს (გვ. 107).

პოემის ავტორის საკითხთან დაკავშირებით პროლოგის შედგენილობის გარჩევისას ავტორი აღნიშნავს, რომ პროლოგის ყველა სტროფი და ეპილოგის რამდენიმე არ ეკუთვნის პოემას. რუსთაველის სახელი შოთა მისაღებია მხოლოდ პირობითად (გვ. 116). პოემის ავტორის „მესხობას“ ნიადავი არ შეეპოვება (გვ. 119). პოემის ენის მიხედვით ვერ ხერხდება რუსთაველის სადაურობის გარკვევა (გვ. 120). პოემის ავტორის ვინაობისა და სადაურობის საკითხის მიმოხილვით ავტორი ასკენის, რომ პოემის ავტორად რუსთაველის მიჩნევისა და მისი მედროშეობის გარდა ვერაფერი ვერ მტკიცდება. რუსთაველის ლიტერატურული მემკვიდრეობის გარჩევისას (გვ. 125) ასკენის, რომ პოემა თამარის მეფობაში არ უნდა იყოს დაწერილი (გვ. 135). მის ეპოქაში კი პოემას მხედველობაში აქვს რუსუდანის მეფობის დასაწყისი ხანა (გვ. 141).

პოემის ნასესხობის ან უცხოურიდან წარმოშობილობის თეორიას არავითარი საფუძველი არა აქვს (გვ. 151). ის დაწერილია ქართველის მიერ და ორიგინალური თხზულებაა (გვ. 156). შედარებითი ანალიზით ვეფხისტყაოსანის სიუჟეტისა თარგმნილ თუ ორიგინალურ სხვა თხზულებათა სიუჟეტებთან, რომელთანაც პოემას ნაწილობრივი მსგავსება ეჩვენება (ეისრაშიანი, ლიონმეჯნუნინი, შაჰნაჰე, ვამეყ და აზრა, ამირანდარეჯანიანი, თამარიანი, აბდულმეჯნუნი), ავტორი ასკენის, რომ თუმცა მათი ცოდნა იგრძნობა პოემაში, მაგრამ ის ორიგინალურია (გვ. 178).

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქას, პოემის იდეოლოგიას, არჩევს პოემაში ასახული იდეალებისა და მისი ჰუმანიზმის წყაროებს. მისი აზრით, რუსთაველის ფილოსოფიურ შეხედულებათა შედარებითი თავისუფლება და ჰუმანურობა საქართველოში მის დროს არსებული „სულის თავისუფლების“ გამოხატულებაა (გვ. 191). სხვადასხვა აღსარების, რელიგიისა და ღმერთის ცნების განხილვით, ავტორი ასკვნის, რომ რუსთაველი არაერთარ შემთხვევაში არაა მაჰმადიანი (გვ. 191), არც მანიქეისტი (გვ. 194), არც ნეოპლატონიკოსი (გვ. 195). პოემის ავტორი ქრისტიანია (გვ. 199—208). რუსთაველის ზოგი ადგილი შთაგონებულია ბიბლიით, კერძოდ საბარებით. პოეტი თავისი მიზნებისათვის სარგებლობს ბიბლიის აზრებითა კელძოდ (გვ. 204).

ბოლოს ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მხატვრული კონსტრუქციისა და პოეტიკის საკითხებს, რუსთაველის გამგრძელებლებს, რუსთაველთან გაბაასების ენარს (გვ. 214), რუსთაველის გაულენას ქართულ მწერლობაზე და მის რეალიზმს.

ამავე წიგნში ავტორი ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ჩერდება რუსთაველოლოგიის პრობლემებზე გაკვრით თუ სპეციალურად, რასაც მიმოვიხილავ ბეჭდური თანმიმდევრობით (გვ. 19, 20, 80, 223, 224, 250, 257, 258, 281, 283, 286, 312, 320, 321, 355, 366, 369—371, 439, 448—468, 481, 483, 485, 486, 518, 519, 538, 542, 562, 564, 565, 605, 606).

1. ძველი მწერლობის ვითარების მიმოხილვაში ავტორი შენიშნავს, რომ დაცემის ხანაში ვეფხისტყაოსნის რომელიღაც შემავსებელს დაურთავს მისთვის ერთი ტაეპი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათისა, რომელიც გვაწვდის რამდენიმე ცნობას კლასიკური პერიოდის მწერლობიდან:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,

აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,

დილარგეთ სარგის თოგველსა, მას ენა დაუშრომელსა,

ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შუშრომელსა“ (გვ. 19).

ავტორი ეხება კრიტიკულ-ლიტერატურულ მუშაობას ძველ საქართველოში და აღნიშნავს, რომ 1712 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემაში დასმულია საკითხი რუსთაველის ნაშრომის ნამდვილი მოცულობისა და მისი სიუჟეტის ორიგინალობის შესახებ (გვ. 20).

2. ამირან დარეჯანიანის ორიგინალობის პრობლემასთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს, რომ უმნიშვნელო არაა მოვიგონოთ ის ფსევდორუსთველური სტროფი, სადაც ნათქვამია: „ამირან დარეჯანისძე მოსეს უქია ხონელსა“. საქმე ისაა, რომ ამ სტროფში ჩამოთვლილია მხოლოდ ორიგინალური თხზულებანი: აბდულ-მესია, დილარიანი, ვეფხისტყაოსანი; მაშასადამე, ავტორს ამ სტროფისას, ვინც არ უნდა იყოს ის, ამირანდარეჯანიანიც ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნია, ის კი ამ შემთხვევაში გამომხატველია საქართველოს ლიტერატურულ წრეებში განმტკიცებული რწმენისა და ტრადიციისა“ (გვ. 80).

3. არჩილის თხზულებიდან ავტორს მოჰყავს რამდენიმე სტროფი („პირველთა და შემდგომითი შემდგომთა მეფეთა ქება და სახსენებელი“) სადაც ლაპარაკია ჩახრუხადის შესახებ და, ავტორის შენიშვნით, აქ არჩილი აღნიშნავს, რომ ჩახრუხადის მწერლობითი მოღვაწეობა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა რუსთაველის მოღვაწეობას (გვ. 223).

ავტორი შენიშნავს, რომ ნ. მარმა შოინდომა დასაბუთება მ. ბროსეს მიერ 1830 წელს შემთხვევით გამოთქმული აზრისა, ვითომც ავტორი ვეფხისტყაოსნისა და თამარიანისა იყო ერთი და იგივე პიროვნება—შოთა რუსთაველი ჩაბრუნებამდე (გვ. 224). მას გამოეხმაურა მ. ჯანაშვილი, რომლის აზრითაც ამ თხზულებათა ავტორი არის შოთა რუსთაველი ართავიანოსძე, რის საბუთსაც ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და ეპილოგის ცალკეული სტროფების თავისებურ ინტერპრეტაციაში ხედავდა.

4. ავტორი ვაკვრით აღნიშნავს, რომ ცნობილია დაყენებითი ვადმოცემა პოეტის იასე ხემშიასძე ძაგნაკორელის შესახებ, რომელიც თითქოს რუსთაველზე ადრე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა და რომლის მიერ შემოღებულ სალექსო ფორმას „ძაგნაკორული“ ერქვა (ავტორი იმოწმებს „მცირე უწყება ქართულთა მწერალთათვის“, ძველი საქართველო, I, განყ. III, გვ. 26), (გვ. 250).

ავტორი ქართულ თხზულებებში სპარსულ კერძო სახელთა ხმარებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში აეთანდილზე ნათქვამი: „ისრითა მოკლის ნადირი როსტომის მკელავთ უგრძესითა“ (გვ. 195), არ ნიშნავს რომ ეს სახელი თხზულებაში პირდაპირ სპარსული დენდიდან იყოს შესული (გვ. 257). მარის აზრითაც, ის შეტანილი იყო არა სპარსული დენდიდან, არამედ ქართული თარგმანიდან, რომელიც, მისი სიტყვით, შესრულებული იყო მეორემეტე საუკუნეში (იმოწმებს შრომას: ორიოდ სიტყვა ქართული თარგმანის შესახებ, „ივერია“, 1891, № 132). ვაკვრით შენიშნულია, რომ ნიშამი განჯელის ლეილმეჯნუნიანს უდავოდ იცნობდა რუსთაველი (იმოწმებს ნაშრომს: К. Кекелидзе, Руставели и Низами Гянджеви, Тбилиси, 1936) (გვ. 258).

5. ავტორს მოჰყავს შაჰნამეს გამლექსავეის სერაპიონ საბაშვილის თხზულებიდან ქაიხოსროს მეფობის ამბის ადგილი, რომელიც წარმოადგენს გაბაასებას სერაპიონსა, ბაგარატსა და რუსთაველს შორის, რომელშიაც მოიპოვება „აქა რუსთველისაგან პასუხის შექცევა“ (გვ. 281). რამდენადაც გაბაასებაში რუსთაველი სერაპიონს ბერს უწოდებს, ავტორი ასკვნის, რომ ამ დროს პოეტი უკვე მოხუცებული ყოფილა (გვ. 283). სერაპიონის თხზულება, რომელიც დაწერილია 16-მარცვლოვანი რუსთველური შაირით შეიცავს 3729-მდე სტროფს და, ავტორის შენიშვნით, მას მართლაც შეეძლო ეთქვა:

„ნაძლევი ვარ რუსთველსა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა“—ო (გვ. 286).

6. სულხან თანიაშვილის მიერ ვალექსილი ამირან-დარეჯანიანის მიმოხილვისას, შენიშნულია, რომ სულხანი მელექსეობაზე ლაპარაკის დროს იგონებს რუსთაველს, და მოჰყავს ორი სტროფი („რუსთველმან ამბო ლექსები“ და „მისთვის მომწონდა რუსთველი“) (გვ. 312).

7. ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის დამატებათა საკითხს მთლიანი თავებისა თუ ეპიზოდების დართვის სახით, როგორც არის ვილაც მელექსეს მიერ დაწერილი ამბავი იმის შესახებ, თუ რა პირობებში გამეფდა ტარიელი, ცოცხალი იყვნენ თუ არა მათი დაბრუნებისას ნესტანის შობილები ან რა პირობებში იყო თვით ინდოეთი. მაგ., მთელი თავი: „ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატავლთ დამორჩილება“ და ზოგიერთი დეტალი „ტარიელისა და ნესტან-დარეჯნის ქორწილში“ (გვ. 320).

ვილაც მელექსეს დაუწერია ვეფხისტყაოსნის გაგრძელება, „სადაც აღწერილია ტარიელის დაბრუნება და ხეარაზმშასაგან სისხლის ძებნად მოსლა ინდოეთს, ტარიელისაგან თავისი მეგობრების საშუელად მოწვევა, ომი ხეარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა“ (იქვე).

ერთს მელექსეს აღუწერია გარდაცვალება ტარიელისა და ნესტანისა, ავთანდილისა და თინათინისა, დატირება მათი ფრიდონის მიერ და გარდაცვალება ამ უკანასკნელისა“ (გვ. 321).

ასევე ვილაც მელექსეს შეუთხზავს ტარიელისა და ავთანდილის ანდერძები, „რომლისათვის მერე კიდევ დაუმატებიათ ახალ-ახალი ანდერძები“ (იქვე).

ავტორი არკვევს ამ დამატებათა დაწერის დროს და მათ ავტორებს. მისი აზრით, მათი წერა უნდა დაწყებულიყო არა უადრეს მეთოთხმეტე-მეთექვსმეტე საუკუნისა. შემდეგ ამ დამატებებშიც და ვეფხისტყაოსანშიც მელექსეებს შეჰქონდათ დამატებები. ასეთი დამატებლები იყვნენ—იოსებ სააკაძე და ნანუჩა ან მანუჩარ ციციშვილი.

8. სხვა თხზულებათა შორის, რომელნიც ბარამ გურიანის მთარგმნელს ნოდარ ციციშვილს სცოდნია ქართულ მწერლობაში, ავტორი ასახელებს ვეფხისტყაოსანს, რომლის შესახებაც ციციშვილს თავის თარგმანში მოეპოვება სტრიქონები (გვ. 356):

„მსგავსად უკია რუსთველსა ტურფად საქები რომელი“ (1734)

„თინათინ, ნესტან-დარეჯან მას ვერ ედრების სახითა“ (570).

ავტორი შენიშნავს, რომ „ნოდარ ციციშვილი ეკუთვნის თეიმურაზის ლიტერატურულ სკოლას, რომელსაც მისაზამ მაგალითად გაუხდია ვეფხისტყაოსანი. ამიტომ გასაკვირველი არაა, რომ ჩვენს პოეტს რუსთაველიდან აუღია როგორც 16-მარცვლოვანი შაირი, ისე ღთელი პოეტური აქსესუარე: სურათები, შედარებანი, ეპითეტები, მეტაფორები, ლექსიკური მასალა, ფრაზეოლოგია. ერთი სიტყვით, კითხულობთ ნოდარის პოემას და ჭეიქრობთ, რომ ვეფხისტყაოსნის მხატვრულ სამყაროში იმყოფებით (გვ. 357). ბარამგურიანში მრავლადაა გაფანტული სენტენცია-აფორიზმები, ისე როგორც ვეფხისტყაოსანში; ზოგიერთი მათგანი თითქოს განმეორებაა რუსთაველის სენტენციებისა, ზოგიერთი კიდევ მის ყაიდაზეა ჩამოსხმული (გვ. 358), მათ მსგავსება ვეფხისტყაოსნის თქმებთან, რომლის ნიმუშებიც მოჰყავს ავტორს, „პირდაპირ ორიგინალობას ემიჯნება“ (გვ. 358).

9. ავტორი აღნიშნავს, რომ „შეუწყნარებელია ი. აბულაძის აზრი, ვითომც ბარამგულანდამიანს გავლენა მოეხდინოს ვეფხისტყაოსანზე (გვ. 365), რადგან ის დაიწერა არა უადრეს მეთექვსმეტე საუკუნისა (გვ. 366) და არავითარი არსებითი მსგავსება ბარამგულანდამიანსა და ვეფხისტყაოსნის ხიუფეთა შორის არ არსებობს“ (იქვე).

10. ავტორი აღნიშნავს, რომ „როდესაც ქართულს ბარამ-გულიჯანიანს კითხულობთ, უნებლიეთ თვალწინ გიდგებათ ვეფხისტყაოსანი მთელი მისი დეტალებით“ და მოჰყავს ამ ორ თხზულებას შორის არსებული მსგავსებანი (გვ. 369). მისი აზრით, „ეპიზოდები და საგმირო საქმეები ბარამის ცხოვრებაში ვეფხისტყაოსნის გმირთა ცხოვრებისა და ეპიზოდების თითქმის განმეორებაა“ (გვ. 370), მაგრამ ეს არ იყო საკმაო საფუძველი იმისათვის, რომ ზოგიერთ მკვლევარს ჰგონებოდა თითქოს სპარსულ ბარამ-გულიჯანიანს გავლენა მოეხდინოს ვეფხისტყაოსნის ავტორზე (იქვე), რადგან ბარამ-გულიჯანიანის ავტორი ხაჯუ ქირმანელი მეთოთხმეტე საუკუნის მწე-

რალია (იქვე). არსებული მსგავსებანი იმით აიხსნება, რომ ამ თარგმანის გამლექსავს ონანას ის გადაუყენებია ვეფხისტყაოსნის ყაიდაზე, საიდანაც გადაუტანა ცალკეული ეპიზოდები, სურათები, აზრები, პოეტური შედარებანი და ფრაზები (იქვე). ბოლოს ამ პოემაში მოკლედ მოყვანილია მთელი შინაარსი ვეფხისტყაოსნისა. ამგვარად, ავტორის დასკვნით, ამ თხზულებაში ჩვენ საქმე გვაქვს ვეფხისტყაოსნის უბრალო, შექანიკურ მიმბაძველობასთან (გვ. 371). სანიმუშოდ მოყვანილია ონანას ერთი სტროფი ვეფხისტყაოსნის გმირთა მოხსენიებით (გვ. 720):

„ოქვიან: ბარამ გავს ტარიელს, არს აუთანდილის დარია,
გულიჯან ნესტან-დარეჯანს, თინათინ მინაგვარია;
იტყოდეს: უსუფ-ზილიხანს შეენება ორთავ დარია,
ყაის, ლეილ, ვისი, რამინ, ზაზიყაც მათში გარია“.

11. ე რ ა ს ტ ი თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ რუსულიდან თარგმნილი თხზულება „მოკლედ გამოსახსნელი ამბავი ქრომისა კეისრებისა და სხვათა შეფეთა, მთავართა და მხედართ-მთაურობისა“, რომელიც ვახტანგის მიერაა გალექსილი (გვ. 438), შეიცავს რუსთაველის მოხსენიებას, რომელიც ავტორს მოჰყავს ორი რელაქციით:

„ტბილმოუბარსა რუსთველსა დაუფრქვევია მკობანი,
სიბრძნის სწავლითა იგავნი, საცოლქმრო ამოკობანი,
გამოსაგვებსა საძნელოდ მიბაძეს ცული ჯობანი,
საღეთო ნაკადი სალიზრად დაგვეტოვენით გმობანი“ (გვ. 439).

მეორე რელაქცია იძლევა მცირე ვარიანტულ სხვაობას.

12. ფეშანგის „შაჰნავაზიანის“ შინაარსის განხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ პოეტი მოიგონებს რუსთაველს, ტარიელ-ნესტან-აეთანდილ-თინათინის შემშკობს (გვ. 448). ფეშანგის ბიოგრაფიული საკითხების გარკვევისას ავტორს მოჰყავს მისი ერთი სტროფი რუსთაველის მოხსენიებით:

„ჯელჯუვ მიწამან ფეშანგომ ამა წიგნისა წერასა,
სიტყუა დაუხანჯე ცოთითთა, ვერად ეუბენ ენასა;
სად მივსწუდებოდოლ საქებრად ამა ციერთა ზენასა?
თქმა რუსთუელს დარჩა ლექსისა, ცედალ ეიუბენ მე რასა“ (გვ. 459).

ავტორის აღნიშვნით, ფეშანგი „ცდილობს მიბაძოს რუსთაველს და მის მძლავრ გავლენას განიცდის, მის ნაწარმოებში ხშირად ვხუდებით ვეფხისტყაოსნის ეპითეტებს, ფრაზებს, აზრებს და სურათებს“ (გვ. 461), რის საილუსტრაციოდაც მოჰყავს რამდენიმე მაგალითი (გვ. 462).

13. ავტორი შენიშნავს, რომ არჩილიანის ერთ ნაწილში თეიმურაზიანში, რომელიც 16-მარცვლოვანი რუსთაველური ლექსითაა დაწერილი, გაბაასებულნი არიან ერთმანეთთან თეიმურაზ პირველი და შოთა რუსთაველი (გვ. 463). მის მეორე ნაწილში „ძველთა და ახალთა საქართველოს მელექსეთა“ ის ყველა მელექსეს შოთასა და თეიმურაზზე დაბლა აყენებს, რომელთა შორის ცლობის შესახებ ბევრჯერ სმენია (გვ. 464). ავტორი იხილავს „გაბაასების“ ცხრამეტი პასუხის შინაარსს და მოჰყავს საილუსტრაციოდ ზოგი სტროფი, მათ შორის რუსთაველის პასუხიდან:

„მე ვარ ძირი ლექსის თქმისა, მელექსენი ჩემზე ვენობს.

ვოქვი ჩემან უწინ არ თქმული, არც შემდგომთ მოსალოყარი“ (გვ. 465).

და რუსთაველის მეთექვსმეტე პასუხის შინაარსი მთლიანად რამდენიმე სტროფის დართვით მეთექვსმეტე და მეოთხამეტე პასუხიდან.

14. ავტორი აღნიშნავს, რომ დიდმოურავიანში მოყვანილია ციტატები ვეფხისტყაოსნიდანაც. მისი ავტორი ზოგჯერ იმეორებს ვეფხისტყაოსნის სიტყვებს (გვ. 481).

15. ავტორი აღნიშნავს, რომ იესე ტლაშაძის პოემა „კათალიკოს-ბაქარიანი“ დაწერილია 16-მარცვლოვანი რუსთველური ლექსით (გვ. 483). მისი ავტორი „ეკუთნის რუსთველის სკოლას, რომელსაც ის ჰბაძავს ლექსთაწყობაში, ფორმაში და ლექსებშიაც. ვეფხისტყაოსანი მას ზედმიწევნით სცოდნია, ვინაიდან აქედან მას ხშირად მოჰყავს მთელი ციტატები ისე, როგორც ეს ჩვეოდა ხოლმე იმ დროის მწერლებს (გვ. 485) და მოჰყავს ორი ტაეპი მისი პოემიდან რუსთაველის მოხსენიებით:

„რიტორ რუსთველო, კარგ გამოთქმელო, ენატკილო და შაქარიანო,
ავმა მოქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო“ (გვ. 486).

16. ავტორი აღნიშნავს, რომ თეიმურაზი მიმდევარია რუსთაველის სკოლისა პოეზიაში. ის წერს 16-მარცვლოვანი რუსთველური შაირით (გვ. 518)-იშვიათია აღორძინების ხანის ისეთი მელექსე, რომელიც, რუსთაველის სახელთან ერთად, მის სახელსაც არ ახსენებდეს (გვ. 519). ამ ხანაში ჩვეულებრივი ყოფილა ცილობა და კამათი იმის შესახებ, თუ ვინ ვისა სჯობს, როგორც პოეტი: რუსთაველი თეიმურაზს, თუ თეიმურაზი რუსთაველს? ყოფილან ისეთებიც, რომელნიც უპირატესობას თეიმურაზს ანიჭებდნენ. თვითონ თეიმურაზი თავის თავს კადნიერად აყენებდა რუსთაველის გვერდით:

„ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკილიად სასმენლად ყურისა,
მამინც რუსთველსა აქებენ, მე მან გამაგულისა“ (იქვე).

17. ავტორი აღნიშნავს, რომ არჩილი თავისი მასწავლებლების, რუსთაველისა და თეიმურაზის შეფასებისას ყველა პოეტზე მალა მათ აყენებს, მაგრამ არ უქებს მათ იმას, რომ:

„სრულად იტყვიან, უკლებლად, ამბავსა, საარსთა ნაჯორსა“ (გვ. 538).

18. ავტორი აღნიშნავს, რომ „ვახტანგის მიერ 1709 წელს თბილისში დაარსებული სტამბიდან გამოვიდა, სხვათა შორის, პირველი გამოცემა ვეფხისტყაოსნისა (1712 წ.) ვახტანგის კომენტარებით, რომელნიც შეადგენენ პირველ ცდას ამ ნაწარმოების შეცნობად გათვალისწინებისას და რომლებშიაც ავტორმა მოგვცა მორალურ-დიდაქტიკური ინტერპრეტაცია პოემის სუფეტისა და შინაარსისა“ (გვ. 542).

19. ავტორი აღნიშნავს, რომ თეიმურაზ მეორეს პეტერბურგში 1761 წელს დაუწერია ლექსად „ჯუველთა მელექსეთა უმჯობესსა, დიდსა ფილოსოფიისა ცოდნესა, ბრძენს რუსთველსა ზედაა ბაასი პეტერბურს“ (გვ. 562). იგი ბარბარე ალექსანდრეს ასულის მშვენიერების აღწერისას მიმართავს რუსთაველს საკუთარი პოეტური უძლურების აღიარებით და უსაყვედურებს, რომ ზან შეაქო აბარსებული გმირები, რაზედაც რუსთაველი ლექსითვე უპასუხებს (გვ. 563). ავტორის შენიშვნით, ამ გაბაასებაში გვესმის გამოძახილი არჩილ მეფის შრომისა და გატარებულია შეხედულება, რომელიც ფეშანგი ფაშვიტერტაძეს გამოუთქვამს, იმის შესახებ, რომ რუსთაველმა თავი შეიწუხა აბარსებულ პირთა ქებით და თანამედროვე ცოცხალ პირთათვის კი არ მიუქცევიდა ყურადღებაო (გვ. 564).

20. ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის პროლოგში გამოთქმულ რუსთაველის შეხედულებას პოეზიის ეპიკურზე და აღნიშნავს, რომ მან ნამდვილი პოეტის სახელი ეპიკური ეპიკის მოშაირეს მიაკუთვნა (გვ. 565). რუსთაველი

კანონმდებელი შეიქმნა მთელი მომდევნო ქართული პოეზიისა და მისი გაელენით ჩვენში დაკანონდა ეპიკური ეპოსი. პირველ პოეტად, რომელმაც რუსთველური ტრადიცია დაარღვია ლირიული ეპოსის შემოტანით ამდენხანს მამუკა ბარათაშვილი მიაჩნდათ, შემდეგ საბა-სულხან ორბელიანი, ახალი დაკვირვებით კი ავტორის ასეთ ნოვატორად „ნარგიზოვანის“ ავტორი მიაჩნია (იქვე).

21. ავტორი აღნიშნავს, რომ დ. გურამიშვილის იდეალი პოეზიისა მისივე სიტყვებით განხორციელებულია რუსთაველში:

„ლექსი, რუსთელისებრ ნათქვამი, მე სხვისი ვერა ვნახე და“.

ის რუსთაველს ღებდას უწოდებს, თავის თავს კი „წიკელასა ზედა მჯდომ მცირე ყრმას“ (გვ. 605). პოეტი ამბობს, რომ „მე რუსთველსა ლექსს არ უდრი, ვით მარგალიტს ჩალის ძირსა“ (გვ. 606). და მიუხედავად ასეთი კრძალულებისა, დავითი არ შერჩა პოეზიის დარგში მხოლოდ და მხოლოდ რუსთაველს: „ის საუკეთესო წარმომადგენელია გარსევან ჩოლოყაშვილის და მამუკა ბარათაშვილის სკოლისა, რომელმაც საბოლოოდ შეარყია რუსთველური ლექსის ბატონობა ჩვენს მწერლობაში. რუსთველურ 16-მარცვლოვან და ჩახრუხაულ 20-მარცვლოვან ლექსთან ერთად, დავითი ხმარობს 5, 6, 7, 11, 12 და 14-მარცვლოვან ლექსს“ (იქვე).

2061. ს. კიწორია

„შოთა რუსთაველი და მისი პოემა“

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 23 მისი, № 21 (180). გვ. 4.

წერილი წარმოადგენს ბიბლიოგრაფიას ვიქტორ გოლცევის წიგნის „Шота Руставели и его поэма“-ს ქართულ თარგმანზე, რომელიც შესრულებულია ილია ზურაბიშვილის მიერ. რეცენზენტი ზოგადად ახასიათებს წიგნს, მის აგებულებას და მოკლედ მიმოიხილავს შინაარსს ცალკეული თავების მიხედვით. ავტორას შენიშვნით, ეს წიგნი ამართლებს თავის დანიშნულებას—რუს მკითხველს მიაწოდოს საჭირო ძირითადი ცნობები რუსთაველსა და ვეფხისტყაოსნის თავისებურებებზე. ავტორი უფრო ვრცლად ჩერდება ვეფხისტყაოსნის პოპულარობასა და შესწავლის საკითხებზე საბჭოთა პერიოდში. დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ „მართალია, ამ ნაშრომში არის საღაო და არასწორი მოსაზრებებიც, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანად იგი არ არის მოკლებული ინტერესს“.

2062. Б. Корнеев

Народный сказ „Витязь в тигровой шкуре“

Литературная обработка Б. Корнеева, Издательство „Заря Востока“,

Томский, 1941, 46 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ბ. კორნეევის მიერ ლიტერატურულად გადამუშავებულ კომპოზიციას ხალხური ვეფხისტყაოსნის შემდეგი ჩანაწერების მიხედვით: 1. სოფ. ქალაში 1894 წელს ა. სოლოლაშვილის თქმით ჩაწერილი ტექსტი: „ტარიელი და ნესტან დარეჯანი“ (გაზ. „ივერია“, 1894, № 150); 2. ახალციხეში 1937 წელს ივ. ხითარაიშვილის თქმით მ. ჩიქოვანის მიერ ჩაწერილი ტექსტი: „ტარიელის მართალი ეკიათი“ (დაიბეჭდა კრებულში „შოთა რუსთაველი სკოლაში“, 1938, გვ. 190—195); 3. ნიკო ასათიანის მიერ მანა მოშენათის თქმით ჩაწერილი ტექსტი: „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ (გაზ. „ქოლექტივიზაცია“, 1934, № 204); 4. სოფ. ხიზაბერაში კ. გვარამაძის მიერ ჩაწერილი ტექსტი „გმირი ტარიელი“ (მიხეილ ჩიქოვანი — ხალხური ვეფხისტყაოსანი, 1937, გვ. 301—307).

ტექსტი შეიცავს ლექსნარევ პროზაულ თხრობას შემდეგი ქვესათურგებით:

1. Об отважных рыцарях Таризте, Придои и Автандиле (გვ. 5—16).
2. О царевне Нестан, похищенной каджамн (გვ. 15—22).
3. О храбром Таризде и царевне Лернам (გვ. 23—33).
4. О трех братьях, выручивших из плена красавицу Нестан (გვ. 34—42).

ტექსტის დასაწყისი: „Жил на свете один простой человек. У него было три сына — Таризд, Придои и Автандил. Когда пришло время старику помирать, он призвал своих сыновей и сказал каждому из них, как им следует жить без него и что они должны делать“...

დასასრული: „... Затем все трое, с Нестан на руках, добрались обратно к берегу, возвратили купцам одежду и товары и поехали к Фатьме. Придои сдержал свое слово. Он женился на Фатьме. Братья торжественно отпраздновали свадьбу“.

ტექსტს წინ უძღვის მკირე შესავალი (გვ. 3—5), რომელშიც ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობას ქართული კულტურისათვის, ახასიათებს მის მთავარ გმირებს და აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მოტივების გამოხატულებას ხალხურ პოეზიაში. ბოლოში ერთვის შენიშვნები, გამოყენებული ლიტერატურის შესახებ (გვ. 43).

2063. ს. ლანდია

ლიბრეტი გულია—„ვეფხისტყაოსნის“ შთარგმნელი აუხაზურ ენაზე

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 9 მაისი, № 19, გვ. 3.

მკირე ბიბლიოგრაფიულ წერილში ავტორი აღნიშნავს იმ შთარგმნელობით მუშაობას, რომელიც ლიბრეტი გულიას ჩაუტარებია ქართულიდან აუხაზურ ენაზე ვეფხისტყაოსნის გადასათარგმნელად.

2064. თ. შაქავარიანი

[ბიბლიოგრაფია შოთა რუსთაველზე]

წიგნში: ქართული ეურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკ. II (1877—1892) დოკ. გ. აბზიანიძის რედაქციით და წინასიტყვაობით, ბიბლიოგრაფიული რედაქცია და საძიებლები თ. შაქავარიანის, საქ. სსრ საბელმწ.

კ. მარქსის სახელ. საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, თბილისი, 1941, 447 გვ.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში შოთა რუსთაველზე მოიპოვება წერილებისა და შენიშვნების ბიბლიოგრაფიული მითითება სხვადასხვა მწერალთა და პერიოდულ გამოცემათა მიხედვით შემდეგ ნომრებზე: 116, 408, 431, 457, 462, 714, 807, 1266, 1268, 1340, 2279, 2314, 2456, 2466, 2472, 2482, 2488, 2490, 2491, 2494, 2495, 2498, 2499, 2500, 2503, 2506, 2508, 2515, 2822, 2998, 3553, 3945, 4267, 4272, 4295, 4322, 4352, 4380, 4429; 4504, 5365, 5368, 5378, 5405, 5411, 5439.

2065. მახვილ მახათაძე

პატრიოტული მოტივები „ვეფხისტყაოსანში“

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1941, ტ. II, გვ. 309—331.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ რუსთაველის ჰუმანიზმში „წამყვანი ადგილი უჭირავს ეროვნულ-ნაციონალურ, პატრიოტულ იდეალებს“. ეს იდეალები XII საუკუნის საქართველოს მოწინავე, პროგრესული საზოგადოებრივი ფენების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მისწრაფებების ანარეკლია“.

ავტორი პოემის ტექსტის სათანადო ადგილების ანალიზითა და ილუსტრაციით ეხება აჩრადი და ინდური გმირების ეროვნულ-პატრიოტულ მისწრაფებებს.

ფებებსა და სახელმწიფოებრივ იდეალებს. მთავარ გმირთა დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს, რომ ისინი სამშობლოს ინტერესებს მალა აყენებენ პირად კეთილდღეობაზე, თვით სიყვარულზეც კი, რომელიც არ წარმოადგენს მთავარ მოტივს პოემაში.

2066. ა. შვიგანა

გაიოზ იმედაშვილი—რუსთველოლოგია, ისტორიულ-კრიტიკული შიშოსილვა
ურნ. მნათობი, 1941, № 12, გვ. 154—155.

ავტორი სარეცენზიო წერილში ზოგადად აღნიშნავს გაიოზ იმედაშვილის წიგნის „რუსთველოლოგია, ისტორიულ-კრიტიკული შიშოსილვა“-ს მნიშვნელობას რუსთველოლოგიის საკითხების შესწავლისათვის. მისი შენიშვნით, სარეცენზიო წიგნი არა მარტო რუსთველოლოგიის მატიანება, არამედ ზოგად ხაზებში ქართული კულტურისა და აზროვნებისა. ის არ წარმოადგენს ლიტერატურის უბრალო აღნუსხვასა და რეგისტრაციას, მასში ისტორიულ-კრიტიკული თვალსაზრისითაა განხილული მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რაც კი მოიპოვება რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორი ეხება წიგნის შედგენილობას ცალკე თავების შინაარსის მიხედვით და შენიშნავს, რომ გ. იმედაშვილი მასალის კრიტიკულად განსილვისას ძირითადად მეცნიერებაში გაბატონებულ და საერთოდ გაზარებულ შეხედულებებიდან გამოდის, ზოგიერთ შემთხვევაში კი ის მოქცეულა ცალკე მკვლევართა გაველენის ქვეშ, ზოგჯერ კი სუბიექტური მიდგომა გამოუჩენია.

რეცენზენტის საერთო დასკვნით, წიგნი უპასუხებს მეცნიერულ მოთხოვნილებებს. გარდა სპეციალისტებისა იგი დახმარებას გაუწევს ყველას, ვინც რუსთაველისა და მისი პოემის შესწავლისადმი გამორჩენს ინტერესს.

2067. დოც. ი. შვებელიძე

მასალეი ამერკავკასიის ბიბლიოგრაფიისათვის

გახ. საბჭოთა აფხაზეთი, 1941, 11 იანვარი, № 9, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს სარეცენზიო შენიშვნებს იე. შილაკაძის წიგნაზე: „მასალეი რუსთველოლოგიური ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიისათვის“. ავტორი ამასთან დაკავშირებით ეხება წიგნაკის შედგენილობას და უთითებს ზოგ ნაშრომს, რომელიც ამ ტიპის ბიბლიოგრაფიაში უნდა ყოფილიყო მოხსენიებული. ავტორი შენიშნავს: „ზოგჯერ შემდგენელს ბიბლიოგრაფიის ბიბლიოგრაფიაში ზოგიერთი ნაშრომების მეორე ხარისხოვანი მომენტები აღუნიშნავს და პირველი გამოორჩენია“, თუმცა წიგნი ამ სახითაც სასარგებლო და საპირაოა.

2068. ლეონ მელიქსეთ-ბეგი

ქველი სომხური ლიტერატურის ისტორია

(სახელმძღვანელო უმაღლეს სკოლისათვის)

სჯალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 1941. გვ. 161.

ავტორი სომხურ პოეზიაში „ჰაერენ“ ანუ „ჰაერენ“ საზომის დამკვიდრების შესახებ მსჯელობისას შენიშნავს, რომ ის მალალი ფორმის, მალალი სტილის ლექსია, უკეთ შაირი, რომელსაც ქართულში უდრის „ქართული“ („ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“ = ესე ამბავი მაჰმადიანური მალალ პოეტურ ფორმაში თქმული).

ავტორი ასკვნის, რომ „ჰაერენ“ არ ნიშნავს „სომხურს“, ისევე როგორც „ქართული“ = „ქართულს“, ვინაიდან ორივე შემთხვევაში პოეტის ცნებასთან და არა ეთნიკურ ტერმინთან გვაქვს საქმე“.

Заметки вокруг Шота Руставели и его школы «Витязь в тигровой шкуре»
(Рецензия)

კრებ. Известия Армянского филиала Академии Наук СССР,
Издательство Армяния, 1941, № 1 (6), გვ. 75—84.

ნაშრომი დაბეჭდილია სომხურ ენაზე, რომელსაც ერთვის რეზუმე რუსულად. ავტორი აზუსტებს შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ზოგ საკითხს და განსაკუთრებით ჩერდება ტერმინის „ქართულის“ განმარტებაზე სომხურ „ჰაერენ“-თან მიმართებით. იხ. ანოტაცია № 1058.

2070. ს. 6.

ქართული წიგნი

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 14 მარტი, № 11, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას საქართველოს წიგნის პალატის მიერ გამოცემულ წიგნზე „ქართულ წიგნი“, რომელშიაც ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის გამოცემათა აღწერილობებს, ავტორი განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ვახტანგისეულ, 1841 წლის ბროსისეულ და 1888 წლის ქართველიშვილისეულ გამოცემებზე.

2071. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

[თბილისი] სახელგამი, 1941, 407 გვ.

დაიბეჭდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის მიხედვით.

— 3/მგ. გამოშვებისათვის კონსტ. კიკინაძე. ილუსტრაცია ზიჩისა. გარეგანი ვაფორმება ბ. გორდეზიანი. ტექსტი შეიცავს 1669 სტროფს. ბოლოში ერთვის „ლექსიკონი“ (გვ. 335—403) პროფ. იუსტინე აბულაძისა, „საძიებელი“ ა) პიროვნებანი. ბ) გეოგრაფიული და ეთნოლოგიური სახელები (გვ. 404—405).

2072. შოთა რუსთაველი

ახეს-ცია ზეშე

ეთიფგევიტ აფსნგ ვილარ რაოეტ დგრმიტ გულია, არუდაკია ახიოიტ

აკადემიკ სიმონ ჯანაშია, აფხაეია ივიტ მიხა დელბა

აფთივთშეყუთჯერთა, აყუა, 1941, XVI+350 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის სრულ აფხაზურ თარგმანს—ნათავს შესავლით და დასასრულით. სტროფებს სათვალავი ნუმერაცია არა აქვს. შესავლის პირველი სტროფი:

„ადუნი ზეგ ინოღმჰეკუა იხშაზ ზხატელმშარა შირალა,
ხანდტი აქიანახდტი ფსღუნდ ილბააშონდ ფსზხოლ ზეგ შშაზ უს ქუნაგალა.
იპაშაზ პარა, აუა, ადგდელ, ეილოუ ხუაფშითუტ ხკ რაყილა,
ირგულტ აბრა ამენოქარციაგა, იარა იხლწუა უს აფშარალა“ (გვ. 3).

პირველი თავის „არაბცია რპინთქარ როსტევეან იაქიბაბე“ დასაწყისი:

„ღუან რაბსთან, ზნასელ ბზიაზ პინთქარს უაყა უს როსტევეან,
უი დუაჟ დუნ, დგუაზულ-დგუთბაან, ტიელა რაცია ბეარლა იგახმან;
ვილარუ რეძხუჯ, აუაჟ იაშა, უი აფხაუა იიუხმაზ რაყიან,
აიპაშარაჟუტ უბრი დღუღუნ, ხშაჟუ ღერარალა უი დეიბაგან“ (გვ. 9).

დასასრულის ბოლო სტროფი:

„ამირანი აშია დანწა დარა დორირხზონ უს ხონელი,
აბღულ-მესხი ირჩხუნარაშე შიახკ ნეიმეტ უი შაეთელი,
დილარგეთი ირღურაზე ყია-ხაა იირხუეიტ უა თმოგველი,
ღლაღურაშო რუსთაველი მესუ დორირხზონ ტარიელი“ (გვ. 340).

ტექსტს ბოლოში მოსდევს „ალექსიკონ“ (გვ. 343—345). დასაწყისი:

„ამიღახორ—აუახად რხლაფუშეკ...“

დასასრული: „წინწილა—მუხია რაჰაგა მათიხუჰა“.

წიგნს წინ ერთვის წინასიტყვაობა „აფხაჯია“ (გვ. V—XV) მიხა დელ-ბას ხელმოწერით. ავტორი იხილავს შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს. ავტორი აღნიშნავს რუსთაველის შემოქმედების ქართულ და მსოფლიო მნიშვნელობას, იხილავს ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირებს, მოტივებს და აღნიშნავს მისი იდეალების პროგრესულობას. ავტორი ვეფხისტყაოსნის სახეებისა და იდეალების წყაროს ხედავს საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების სინამდვილეში და პოემიდან უხვი ციტატების მოყვანით ახასიათებს რუსთაველის მხატვრული აზროვნების, მისი იდეოლოგიის პროგრესულობას ქართულ სინამდვილესთან მიმართებით.

2073. შოთა რუსთავლი

Витязь в тирровой шкуре

Поэма в стихах, перевод с грузинского Шавла Пунцелидзе

Редакция Сергея Городецкого,

Государственное издательство «Художественная литература», Москва, 1941, 320 გვ.

წიგნი გაფორმებულია მხატვრულად. ჩართულია ზინის, ს. კობულაძისა და ი. თოიძის ილუსტრაციები. ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სრულ რუსულ თარგმანს LXII თავით, 1671 სტროფით. ტექსტის შესავლის დასაწყისი პირველი სტროფი:

„Тот, кто создал мирочьяне самовластьем всемогущим
И, с небес дыхание жизни даровав всем тварям сущим,
Мир аеинной нам, людям, отдал многообразно цветущим,—
И царей облек обличьем, одному ему присущим“ (გვ. 31).

პირველი თავის დასაწყისი 32-ე სტროფი:

„Был в Аравии властитель Ростеваз, судьбой взмесенный,
Благородный и доступный, мощью войска окрыленный,
Добрый, щедрый, правосудный, в управленьи умудренный,
Безупречный был он витязь, красворечьем озаренный“ (გვ. 36).

ეპილოგის უკანასკნელი 1671-ე სტროფი:

„Амирана Дареджани воспевая Моса Хонели,
Похвалу Абдуя-Мессии в славных спел стихах Шавтели,
Дидаргета меуставно прославляя Саргис Тмогвели,
Таризля ж со слезами я воспел, его Руставели“ (გვ. 309).

ტექსტს ბოლოში დართული აქვს «Указатель имен и слов» (გვ. 311—316). გამოცემას წინ უძღვის „От издательства“ (გვ. 5—8), რომელშიაც მოკლედ დახასიათებულია პოემის შ. ნუცუბიძის თარგმანი, აღნიშნულია მისი დადებითი მხარეები, დედანთან ახლოს დგომა, რუსულ ტექსტში დედნის სიტყვიერ და მხატვრულ სახეობათა მარაგის გამოყენება, რიტმის გადაცემა, რუსთაველის იდეოლოგიის, შეხედულებათა სისტემის გამოვლენა თარგმანში.

შ. ნუცუბიძის ხელმოწერით „От переводчик“ (გვ. 9—28), რომელშიაც მთარგმნელი ეხება რუსთაველს ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ საკითხებს. ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის შედგენილობას, ეხება პროლოგისა და ტექსტის მიმართებას, არჩევს მის მთავარ მოტივებს და სპეციალურად აშუქებს ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის პრობლემას. ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს რუსთაველის მეტყველებისა და ლექსის თავისებურებებს, მის მხატვრულ ხერხებსა და სახეებს, ახასიათებს მის მსოფლმხედველობას, უთითებს მის წყაროებს, აღნიშნავს მისი შემოქმედების პროგრესულ იდეალებს და მის მნიშვნელობას მსოფლიო ლიტერატურულ მიმართებაში.

Витязь в тирровой тулре

Поэма в стихах. Перевод с грузинского Шалва Нунубидзе,
Редакция Сергея Городецкого, ОГИЗ, Государственное издательство
художественной литературы, Москва, 1941, 284 гб.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სრულ რუსულ თარგმანს და წარმოადგენს ამავე წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნის ტექსტის განმეორებას. LXII თავით და 1671 სტროფით, რომელსაც აქვს იგივე აპარატურა (იხილე გამოცემის სრული ანოტაცია № 2073). მასთან შედარებით გამოცემაში მცირეოდენად შეცვლილია წინასიტყვაობა (გვ. 9—24). თვით ტექსტში შეტანილია ზოგი რედაქციული გასწორება. მაგ., პირველი სტროფის მეოთხე ტაქტი: „... И парей облек обличьем, одному ему присущим“ (გვ. 31).

ამ გამოცემაში ასეთა გასწორებული:

„Одаряи парей он ляком, одному ему присущим“ (გვ. 27).

2075. ტრ. რუხაძე

ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ-იდეური მოტივები

კრებ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, 1941, ტ. I, გვ. 79—88.

ავტორი ეხება რუსთაველის წინააღმდეგ ქართულ მწერლობაში არსებულ ანტიგონიზმს და ირკვევს ამ ბრძოლის იდეურ მიზეზებსა და მის ისტორიულ საარჩულს. ავტორის აზრით, რუსთაველთან ბრძოლა გაპირობებული იყო პოემის ორიგინალობის პრობლემით, იმასთან დაკავშირებით, რომ ის უცხო, არაქართული, სპარსული სინამდვილის გამოხატულებად იყო მიჩნეული. ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსანთან აღორძინების ხანას მწერალთა დამოკიდებულებას სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობასთან მიმართებით და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანს ებრძოდნენ იმ ყალბი შეხედულების საფუძველზე, თითქოს რუსთაველის პოემა „სპარსული ნაწარმოები“ ყოფილიყოს, რაც ეწინააღმდეგებოდა ქართველთა ქრისტიანულ თვითშეგნებას.

2076. А. И. Словинский

Реальность в содержании поэмы Руставели

Труды Московского государственного института истории, философии и литературы имени Н. Г. Чернышевского, филологический факультет, сборник статей, Москва, 1941, том. VIII, гв. 173—196.

სათაურს სქოლიოში აქვს შენიშვნა:

„Настоящая статья является двой из глав моего исследования „Художественное построение поэмы Руставели“. Исследование мое удостоилось положительного отзыва на всесоюзном конкурсе при Грузинском филиале Академии Наук СССР в 1937 г.“

დასაწყისში ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის მოქმედება დიდ გეოგრაფიულ ფართობებზე მიმდინარეობს და ეხება საქართველოს ისტორიული გზების კავშირის მსოფლიო ვაჭრობის ცენტრებთან. მისი აზრით, საქართველოს აქტიური კავშირი და ურთიერთობა დიდ მსოფლიო ქვეყნებთან იმაში გვარწმუნებს, თუ რუსთაველი როგორ კონკრეტულად აზროვნებდა, როცა თავის გმირებს ამოდენა ქვეყნებში ატარებდა. ამასთან ერთად ავტორი ცდილობს ვეფხისტყაოსნის ზოგი გეოგრაფიული სახელი შეუთავსოს სინამდვილეს და შენიშნავს, რომ რუსთაველი პირადად იცნობდა მთელ რიგ ისტორიულ პიროვნებებს, რომელნიც საქართველოს ისტორიასთან იყვნენ დაკავშირებული. საქართველოში იმდენი ცნობილი პიროვნება და გმირი იყო, რომ რუსთაველს სულაც არ ესაქიროებოდა თავისი გმირების პროტოტიპები საქართველოს გა-

რეთ ეძებნა. პოემაში გამოხატული სიმდიდრე, გულუხვობა, ადამიანურ ღრთიერება, საომარი მოქმედება, ნადირობა, მეკობრეობა, საზოგადოების სხვადასხვა ფენების—რაინდებისა და ვაქერების, დიდებულებისა და მოხელეების ყოფა-ცხოვრება ქართული სინამდვილიდან აღებული. ვეფხისტყაოსნის გმირთა მხატვრულობის საკითხის გადასაწყვეტად და მითი ხასიათების გასახსნელად იხილავს ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის განვითარების მთავარ ხაზს და მისი ეპიზოდებისა და ყოფითი დეტალების საწყისს ქართულ სინამდვილეში ხედავს.

რუსთაველი, ავტორის აზრით, იღწვოდა ფანტასტიურ-ზღაპრულ-იგავური ელემენტები ადამიანურით შეეცვალა. მან, მართლაც დასძლია ჯადოსნური ადამიანურით.

ავტორი ეხება რუსთაველის სტილისა და პოეტური მეტყველების საკითხებს, რომელთა თავისებურებაც, მისი აზრით, გაპირობებულია რაინდული ყოფით და ქართული ბუნებით. პოემაში იგრძნობა ქართული ჰავე და პეიზაჟები. პოემიდან ციტატების მოყვანისას უმთავრესად პეტრენკოს თარგმანით სარგებლობს. შიგადაშიგ არჩევს თარგმანებს რუსთაველური პოეტური ფიგურალობის თვალსაზრისით.

ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის შინაარსს რეალური საფუძველი აქვს—გეოგრაფიული, ისტორიული, ყოფითი თუ სხვა ქართულ სინამდვილესთან უშუალო კავშირით.

2077. [უაგტორო]

Предисловие

წიგნის: Низам Гянджеви, Поэмы (отрывки)

Азербейш, отдел художественной литературы, Баку, 1941, გვ. V—VII.

ავტორი ნიზამის მსოფლიო მნიშვნელობაზე მსჯელობისას გაკვრით შენიშნავს, რომ მისი გავლენა განიცადა უდიდესმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა (გვ. VI).

2078. [უაგტორო]

ოქმულემა შოთაზე (აფხაური ზღაპარი)
თარგმანი გ. აბაშიძისა

კრებ. აფხაზეთის მწერლობა, აფხაზეთის სახელგამი, ქ. სოხუმი, 1941, 186 გვ.

ტექსტი წარმოადგენს პროზაულ თხრობას რუსთაველის ბიოგრაფიის მოტივებზე. დასაწყისი:

„სცხოვრობდა ოდესღაც ადამიანი, რომელსაც ერქვა შოთა. იგი იყო ბრძენი და მეტად სწავლული ადამიანი. ერთხელ შოთამ მოგზაურობა განიზარაბა. შეჯდა თავის ტიპზე და მობა ზურჯინი უნაგირს. გაკევა გზას. მას ჰყავდა მშვენიერი ფეხმარდი ტიპი, რომელსაც არაბი ერქვა...“.

დასასრული: „ამის შემდეგ, მალე ბრწყინვალე ქორწილი გაჩაღდა. — შოთამ შეირთო თავისი ასული“.

2079. [უაგტორო]

Руставели, Шота

წიგნის: Малая Советская Энциклопедия, главным редактором О. Ю. Шмидт, Второе издание, том девятый, Огыз, Москва, 1941, გვ. 370—372.

ავტორის მოპყავს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები შოთა რუსთაველის შესახებ, ახასიათებს ვეფხისტყაოსნის, აღნიშნავს მის მთავარ იდეალებს, გმირებს, მნიშვნელობასა და პოპულარობას ქართულ მწერლობაში.

დასასრულს, ავტორი უთითებს ვეფხისტყაოსნის მთავარ თარგმანებს რუსულ ენაზე.

2080. [უავტორო]

ესტონური ეურნალი საქართველოს შესახებ

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 14 თებერვალი, № 7, გვ. 1.

საინფორმაციო წერილში მიმოხილულია ესტონური მხატვრული ჟურნალის „ეისინიურკის“ იანერის ნომერი, რომელიც მთლიანად მიძღვნილი ყოფილა საბჭოთა საქართველოსადმი. ჟურნალში დაბეჭდილი ყოფილა ვეფხისტყაოსნის შესავალი სტროფები იური შერმაკოვის თარგმანით. იქვე აღნიშნულია, რომ იგი განგრძობს პოემის ესტონურად მთლიან თარგმანზე მუშაობას.

2081. [უავტორო]

ქართული წიგნი—ბიბლიოგრაფია, ტომი ჰირველი, 1629—1920

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა, თბილისი, 1941, XL+560 გვ.

ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიული საძიებელი შეიცავს შოთა რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე მითითებას შემდეგ ნომრებზე:

ავტორთა საძიებელში—15, 182, 266, 347, 455, 848, 1100, 1164, 1507, 1911, 2241, 2242, 2353, 2730, 2731, 3781, 4337, 4605, 5258, 5675 (გვ. 478).

Personalia-ში—908, 1037, 1049, 1293, 1481, 1507, 1911, 1958, 1993, 2105, 2242, 2262, 2933, 3031, 3474, 3835, 4355, 4397, 4477, 4546, 4641, 4764, 4783, 4784, 5216, 5310, 5492, 5775 (გვ. 486).

ვეფხისტყაოსანი საგნობრივ საძიებელში—15, 182, 234, 266, 347, 455, 848, 908, 1037, 1049, 1100, 1164, 1293, 1481, 1507, 1911, 1958, 1993, 2105, 2184, 2241-2, 2353, 2730-1, 2933, 3031, 3781, 4397, 4477, 4546, 4641, 4764, 4783-4, 5216, 5258, 5310, 5492, 5675, 5775, 5778 (გვ. 552).

წიგნისათვის დართულ შესავალში მოკლედ მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის ტექსტის ბეჭდვის ვითარება ზოგი სახალხო, იაფი გამოცემის მოკლედ დახასიათებით (გვ. XX—XXI).

2082. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსნის“ აფხაზური თარგმანი

გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 9 მაისი, № 19, გვ. 3.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის აფხაზურ ენაზე თარგმანზე მუშაობას, რომელიც ჩატარებია დიმიტრი გულიას. ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის პოპულარობა აფხაზებში და ის ფაქტი, რომ მათ ზეპირად იციან პოემის ეპიზოდებისაგან წარმოშობილი ამბები. აქვე მოყვანილია დ. გულიას შეხედულება ვეფხისტყაოსანზე და მისი აფხაზური თარგმანის შეფასება პრესაში.

2083. ი. ფანცხავა

„ვეფხისტყაოსნის“ ავტორის საკითხის შესახებ

კრებ. მუხეშვილის მოამბე, 1941, XI-B, გვ. 185—225.

ავტორი მოკლედ ეხება ჩახრუხაძისა და რუსთაველის ერთი ავტორობის საკითხის ისტორიას მარი ბროსიდან დაწყებული. მოჰყავს მის მიერ აღრევე პრესაში გამოთქმული შეხედულება (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1917, № 253—254) რუსთაველის ზოგადი დახასიათებით და ცდილობს ეს შეხედულება, რომელსაც ავტორის სიტყვით, აკად. მარმა საგულისხმო ფილოლოგიური საფუძველი მოუძებნა, დაასაბუთოს უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიხედვით. ავტორს მოჰყავს თამარიანიდან და ვეფხისტყაოსნიდან საანალოგო სტროფები, როგორც გარკვეული პარალელები და აღნიშნავს, რომ ჩახრუხაძესა და რუსთაველს თავიანთ თხზულებებში ერთი და იგივე ფილოსოფოსნი ჰყავთ დასახელებული (გვ. 186—187), რუსთაველს ვეფხისტყაოსნის დაწერამდე ქაბუკობაშიც უქია თამარ მეფე, მისთვის ხოტბანი უძღვნი

(გვ. 189). ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვეფხისტყაოსნის ეპილოგში ჩახრუხაძე ნახსენები არ არის ცნობილ პოეტთა შორის (გვ. 190) იმიტომ, რომ რუსთაველს არ შეეძლო თავისი თავის მეორედ ხსენება, რადგან თამარიანის ავტორი თვითონვე იყო. ავტორის საბოლოო დასკვნით, თამარიანისა და ვეფხისტყაოსნის დამწერი არის ჩახრუხაძე.

ამ დებულების დასაბუთებასთან დაკავშირებით ავტორი ეხება რუსთაველის შემოქმედებისა და ცხოვრების სხვადასხვა საკითხს პავლე ინგოროყვას მონოგრაფიების საფუძველზე: უმთავრესად—ჩახრუხაძისა და რუსთაველის შესახობის პრობლემას (გვ. 192). ავტორის აზრით, ჩახრუხაძისა და რუსთაველის ბიოგრაფია თითქმის ერთი და იგივეა, ამის საბილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს პ. ინგოროყვას გამოკვლევების მიხედვით შედგენილი ამ პოეტთა ბიოგრაფიული დეტალების შედარებითი მწკრივები (გვ. 193—195) და ასკვნის, რომ ჩახრუხაძის ბიოგრაფია დეტალებშიც კი ეთანხმება რუსთაველისას. იქვე ავტორი იხილავს რუსთაველის ბიოგრაფიის დეტალებს (გვ. 196—197).

დასასრულს ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის ზოგ ეპიზოდსა და გმირის ხასიათს, ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის თეორიასთან დაკავშირებით იხილავს არსებულ თეორიებს, რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხს და გამოსთქვამს მისაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანი დაწერილია XII საუკ. დასასრულს და XIII დასაწყისს (გვ. 218). იხილავს ზოგ სტროფს და მიაჩნია, რომ ყალბია 1348 და 1350 სტროფები (გვ. 219).

ნაშრომს ერთი და ორი ნაწილი, რომლებითაც სარგებლობდა ავტორი (გვ. 221—222), დამატებინი: „ქართული ადამები და ზნეჩვეულებანი ვეფხისტყაოსანში“, „ბუნების აღწერა ვეფხისტყაოსანში“ სათანადო სტროფების ჩვენებით და შენიშვნები.

2084. კ. ფალაგა

ქალთა სახეები „ვეფხისტყაოსანში“

სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 17—18.II.1941.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1941, თბილისი, გვ. 52.

ტექსტი წარმოადგენს თეზისებს, რომელშიც ავტორი ხაზს უსვამს ძირითადად იმ გარემოებას, რომ რუსთაველმა „ქალები გაუთანასწორა მამაკაცებს და აღქურვა ისინი ადამიანური უფლებებითა და ღირსებით“.

2085. მის. ჩინჩალაძე

აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“

სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი 17—18.II.1941.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1941, გვ. 50.

ავტორი თეზისებში გაკერით აღნიშნავს, რომ „თორნიკე ერისთავი“ მხატვრულ ნათესაობას ამერღიენებს ვეფხისტყაოსანთან.

2086. შოთა ძიძიგურა

ცნება სინონიმური პარალელიზმისა

კრებ. აკადემიის მოამბე, 1941, ტ. II, № 7, გვ. 689—696.

ავტორი ადგენს სინონიმური პარალელიზმის სახეობებს ძველ ქართულ სამწერლობო ენაში და აყენებს დებულებას, რომ სინონიმების ერთად, პარალელურად ხმარება ძველ ქართულში გამოწვეული იყო ნასესხები სიტყვის გავრცელების მიზნით, რამდენადაც სინონიმურ წყვილში ერთი სიტყვა ნასესხებია, მეორე—ქართული და ერთი ხსნის მეორეს, რის დასაბუთებლად, როგორც საბილუსტრაციო მასალა, ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს ცალკეული ადგილები. მაგ.:

„ამილახორო, შოასხი რუმა, ჯოგი და ყხენია“ (54).

„მომღერალი და მუტრიზნი არ იყენეს სულ-ლაღებულნი“ (368).

„თქვენვე განახე მზიარული ღიღებით და დაჟღამარავლად“ (796).

„ესე მტად მომეწონა თათბირი და გამორჩევა“ (546) და სხვ.

ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ სინონიმურ წყვილში „მომღერალი და მუტრიზნი“, „თათბირი და გამორჩევა“ და სხვ. ერთი სიტყვა უცხოა (არაბული, სპარსული), მეორე — ქართული და მათი პარალელურად ხმარების საფუძველია ახლადშემოსული არაბული სიტყვის გავრცელება მსესხებელ ენაში არსებული სინონიმის შემწეობით. ამასთან დაკავშირებით, ავტორი აკრიტიკებს ნ. მარს, რომელსაც ასეთი პარალელიზმი ვეფხისტყაოსანში მიაჩნდა სტილისტიკური ხასიათის განმეორებებად. ნ. მარს, ავტორის სიტყვით, „პარალელიზმი არ აქვს გავებული, როგორც უცხოური სიტყვის დანერგვის ხერხი, ეს არისო, — ამბობს მარს, — შეუცნობელი ტავტოლოგია ანუ შეუცნობელი რიტორიკული ფიგურა“ (დასახელებულია ნ. მარსის ნაშრომი: «Витязь в барском шкуре Шотм из Рустава...», 1917, გვ. 485), № 287. ა. ქეიშვილი

„ლიტერატურის მატინე“ № 1—2

გახ. ლიტერატურული საქართველო, 1941, 4 აპრილი, № 14, გვ. 4

წერილი წარმოადგენს მცირე რეცენზიას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ 1940 წელს გამოცემულ წიგნზე: „ლიტერატურის მატინე“, № 1—2. ავტორი ყურადღებას აქცევს ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმის სანდრო რაზიკაშვილის მიერ დაწერილ მოგონებას ვაჟა-ფშაველაზე, რომელშიაც აღნიშნულია, რომ პოეტის მამის პატრიარქალურ ოჯახში კვირაობით იკრიბებოდა გარშემო მდებარე სოფლების ახალგაზრდობა და კითხულობდნენ ვეფხისტყაოსანს.

1942

2088. იუხტინე აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის

კრებ.: უნივერსიტეტის შრომები, 1942, ტ. XXV, გვ. 145—146.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსანში გამოხატულება უპოვია ძველ სპარსულ სფასიანური სექტის მოძღვრებას, რის დასაბუთებაც: ცდილობს ვეფხისტყაოსანში სათანადო ადგილების მიკვლევით, რომელნიც, მისი აზრით, ამ მოძღვრების უშუალო გამოხატულებას წარმოადგენენ. ავტორი ამის საფუძველზე შესაძლებლად თვლის შესწორება შეიტანოს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ზოგიერთ წაკითხვაში.

2089. პ. ბერაძე

ბერძნული საბრძოლო ელფგია

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1942, XXIII, გვ. 125—132.

ავტორი ბერძნული ჰეგზამეტრის აგებულების გარჩევისას უდარებს მას ძველი ქართული პოეზიის საზომს და აღნიშნავს, რომ „თუ ბერძნული ჰეგზამეტრის გამართვისას ბერძნული ენა ერთგვარ ძალდატანებას განიცდის, ქართულ ხალხურ პოეზიაში როგორც ხევსურულში, ისე სევანურში თავისი ძველი სახით ქართული ჰეგზამეტრი საესებით ბუნებრივად თავსდება... ქართული ჰეგზამეტრის შემდგომი განვითარებულის სახე გვხვდება უკვე გარითმული ლექსის სახით როგორც ხალხურ პოეზიაში, ისე მწერლობაშიაც. უეჭველად ჰეგზამეტრი გახლავთ ეგრეთწოდებული დაბალი შაირის, ან, უკეთ, გრძელი შაირის ლექსი, რომელიც თექვსმეტი მარცვლისაგან შედგება და შეიცავს ექვს ტერფს“. ავტორის სილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ტაქები ცეზურისა და ტერფების ჩვენებით.

Гორიყსჳი გოსუდარყენყჳიყი პედაგოგიყიყი ინსტიტუტი გამოყება, თბილისი, 1942, გვ. 3—7.

ავტორი იხილავს „ილიადის“ ერთი ეპიზოდის მიხედვით გმირობის მოტივს ქართულ ხალხურ ბალადასთან „აშბაეი ვეფხისა და მოყმისა“ მიმართებით და მისი საზომის გარჩევისას აღნიშნავს, რომ ის დაწერილია გრძელი შაირით, რომელიც ქართულ ვერსიფიკაციაში იმავე როლს ასრულებს, რასაც ბერძნული ექვსტერფიანი ჰეგზამეტრი (გვ. 6).

2091. ვუკოლ ბერიძე

საგან—სიტყვის ეტიმოლოგიისათვის

კრებ. აკადემიის შოამბე, ტ. III, № 4, 1942, გვ. 381—388.

„გან“ თანდებულისა და „საგანი“ სიტყვის მნიშვნელობის გარკვევისათვის ავტორს ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს ცალკეული ტაბები, რითაც ასაბუთებს, რომ „გან“ ძირითადად ადგილის მაჩვენებელია (სტროფებში 35, 434, 46 და სხვ.). საგანი მიზანია (გული ძეს საგნად ისრისა, 708), გასაგანნა (მშვილდოსანნი გასაგანნა 367), ისარი, გად. მნიშ. ისრით განწონეა, გაწბილება.

2092. სამონ გაჩეილაძე

ლიტერატურისმცოდნეობის საუქმელები

სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1942, 434 გვ.

ავტორი მალალი და დაბალი შაირის, ასევე ქართული ლექსის ცალკეული საკითხების—მეტრიკის, ალიტერაციის, რითმის, მაჯამის განმარტებისას საილუსტრაციოდ იყენებს ვეფხისტყაოსნის სტროფებს.

წიგნი რამდენჯერმე გამოიყა გადაშუშავებული საბით (1949, 1953, 1955). მესამე, 1953 წლის გამოცემას აქვს წარწერა: „სახელმძღვანელო უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის. დაშუებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ“.

წიგნის 1949 წლის გამოცემაზე იხ. ვიეი მიქაძის სარკვევითი წერილი: „მნიშვნეები ერთი სახელმძღვანელოს გარშემო“ (ეურნ. „მნათობი“, 1950, № 9, გვ. 170—173), სადაც ავტორი განსაკუთრებით აკრიტიკებს სიმონ გაჩეილაძის მოსაზრებებს რუსთაველის ლექსის საკითხებზე.

2093. გაბოზ იმედაშვილი

ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატ. სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტი, სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნიე.

გამომცემლობა, თბილისი, 1942, 83 გვ.

ავტორი რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე ჩერდება 52—65-ე გვერდებზე. ეხება ვეფხისტყაოსნის გმირთა ქართული, ეროვნული თვალსაზრისით გაგების პრობლემას, პოემის მიჩნევას ქართველი ერის არსებობის პოეტურ ისტორიად, ვეფხისტყაოსანში ქართული ცხოვრების სინამდვილის გამოხატულებასა და მისი მინაარსის საქართველოს ისტორიასთან დამოკიდებულების საკითხს. ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ამ თვალსაზრისით წარმობულ ცდებს ბროსეს, ჩუბინაშვილის, ორბელიანის, ჯანაშვილის, ა. წერეთლის, ს. ქვარიანის ნაშრომებში.

ავტორის დასკვნით, პოემის მთავარი ძარღვია ქართული სამხედრო-სარაინდო იდეალი და სამშობლო. ტარიელისა და ავთანდილის, ისე როგორც ნესტანისა და თინათინის, სახეებში ეროვნული სულისკვეთების გამოხატვა მთელი პოემის ძირითადი მიზნის,—თავისუფალი სამშობლოს იდეალის—პოეტური გამოსახება. რუსთაველის უცხო ეროვნულ სამოსადაცმული გმირები

საბოლოოდ გასაგები მხოლოდ ქართულ სინამდვილესთან შეფარდებით ხდებოდა. ისინი ასახიერებენ იმ ყველაზე ლამაზსა და მაღალ-საკაცობრიო იდეალებს, რეალურ-სახელმწიფოებრივ ჩვევებს თუ სულიერ მისწრაფებებს, რითაც ხასიათდება თამარის ეპოქის საქართველო და რაც იყო მისი ისტორიული ცხოვრების შემდგომი განვითარების პერსპექტივა. რუსთაველი მთელი პოემის მანძილზე, სიუჟეტის საერთო განვითარებაში თუ ცალკე ეპიზოდებში, არც ერთ შემთხვევას არ უშვებს, რომ გმირობა და სანშობლოსათვის თავდადება არ იქადაგოს. პოემაში იმდენადაა წამოწეული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტენდენცია გმირთა მოქმედებაში, რომ ის ჩრდილავს მიჯნურობას.

2094. ხოლ. იორდანიშვილი

რუსთაველის ჩვენამდე არმოდწეულ პოემა-რომანის შესახებ

კრებ. ლიტერატურის მატრიანე, საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, თბილისი, 1942, წიგნი 3—4, გვ. 333—340.

ავტორი ეხება პავლე ინგოროყვას მიერ აღძრულ საკითხს იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველს დაუმუშავებია განთქმული რომანტიული სიუჟეტი: იოსებ მშვენიერზე. ავტორი იხილავს პავლე ინგოროყვას დასაბუთებას და სათანადო მასალის—ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების ანალიზით ამტკიცებს, რომ პავლე ინგოროყვას „ცაღა—დაამტკიცოს, რომ შოთას მიერ დაწერილი იყო რომანი-პოემა იოსებ მშვენიერზე, უშედეგა“.

2095. ხარგის კაკაბაძე

აკად. კ. კეკელიძე—ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I და II, 1941 წ.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა

ურნ. მნათობი, 1942, № 9, გვ. 156—159.

ავტორი პროფ. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ (1941, ტომი II) რეცენზირებაში განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის შეფასებაზე და შენიშნავს, რომ ის „ვრცელი არგუმენტაციით ახასიათებს რუსთაველს როგორც დიდ ჰუმანისტს და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებას, რომელიც იმავე დროს ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე იყო აღზრდილი და ამ მსოფლმხედველობითაც განმსჭვალული. საერთოდ „ვეფხისტყაოსანში“ კ. კეკელიძე პოულობს სპეციფიკურ ქრისტიანულ აზრებს, რასაც ასაბუთებს ვრცელი ციტატებით. ცალკე თავებში ავტორი დაწვრილებით ეხება პოემის ავტორის ვინაობას, პოემის დაწერის დროს, ორიგინალობის საკითხს და მის მხატვრულ მხარეს.

2096. შიხელი მახათაძე

სამხედრო ხელოვნება „ვეფხისტყაოსანში“

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ჰედაგოგური ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1942, ტ. IV, გვ. 170—203.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი იმ დროს წარმოიშვა, როდესაც დასავლეთის ქვეყნები ჯერ კიდევ ფეოდალურ ერთეულებად იყვნენ დაქსაქსული, საქართველო კი გაერთიანებულ, ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ენგელსის დამოწმებით ავტორი ახასიათებს ფეოდალური ეპოქის სამხედრო ხელოვნებას, აღნიშნავს ქართული სამხედრო ხელოვნების მაღალ დონეს და ახასიათებს ვეფხისტყაოსანში გამოხატულ სამხედრო ხელოვნებას მასში აღწერილი სამი ბრძოლის მიხედვით—ინდოხატაელთა, ფრიდონის სამეფოსა და ქაჯეთის ციხეში. მათი ანალიზით და ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან შესაბამეობით ავტორი ახასიათებს ქართულ სამხედრო ხელოვნებას

ისტორიულ მოწმობათა მიხედვით და აღნიშნავს, რომ „გენიალური შემოქმედნი რეალური სინამდვილიდან იხატავდა თავისი პოემის ბატალურ სურათებს“.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის მიერ პოემაში ასახული სამხედრო ხელოვნება, რომელიც ქართულის გამოხატულებას წარმოადგენს, მაღლა დგას შუასაუკუნეთა ფეოდალური ქვეყნების სამხედრო ხელოვნებაზე და მისი სტრატეგიული და ტაქტიკური საფუძვლები დღესაც ინარჩუნებენ მნიშვნელობას.

2097. Леон Меликсет-бег

Металитическая культура в Грузии и ее пережитки в эпоху Руставели
კრებ. პუშკინის სახელობის თბილისის პედ. ინსტიტუტის შრომები, 1942, III, გვ. 149—164.

ავტორი დანართში ეხება ქაჯეთის ციხის საკითხს.

2098. Шалва Нучубидзе

Поэма «Тамаряни» как культурно-исторический памятник
წიგნები: Чакрахадзе, Тамаряни, перевод с грузинского Шалва Нучубидзе,
Издательство тбилисского государственного университета имени Сталина,
Тбилиси, 1942, 169 გვ.

ქართული კულტურისა და ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ჩახრუხადის შემოქმედებასთან დაკავშირებით ეხება რუსთაველის შემოქმედების ცალკეულ საკითხებსაც (გვ. 20—32). ავტორი ეხება რუსთაველის დამოკიდებულებას თაძარის კართან, მის სახელმწიფოებრივ იდეალებს, აღორძინების ხანის პოეტების შეხედულებას რუსთაველისა და ჩახრუხადის დამოკიდებულებაზე, არჩილის მთსაზრებას ჩახრუხადის გავლენის შესახებ რუსთაველის შემოქმედებაზე. ავტორი ამ საკითხებთან დაკავშირებით ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და მისი პოეზიის ცალკეულ მოტივებსა და ხერხებს.

ავტორის დასკვნით, რუსთაველისა და ჩახრუხადის პოეტის დამოკიდებულება ყოველ ექვს გარეშეა, რაშიაც გვარწმუნებს ქართული პროსოდისა და იდეოლოგიის შესწავლა შავთელისა და ჩახრუხადისაგან დაწყებული რუსთაველამდე.

2099. შოთა რუსთაველი

ანდერძი ავთანდილისა როსტყვან მეფისა მიმართ, ოდეს გაიპარა

კრებ. ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია, ლევან ასათიანის რედაქციით და წინასიტყვაობით, „ფედერაცია“, თბილისი, 1942, 188 გვ.

წიგნს ერთვის უსათაურო წინასიტყვაობა ლევან ასათიანისა (გვ. I—IV), რომელშიაც ავტორი ქართული მწერლობის პატრიოტული ნაკადის დახასიათებისას აღნიშნავს, რომ: „პატრიოტიზმის კეთილშობილი გრძნობითა და მაღალი ჰუმანიზმის ნათელი იდეებით არის გამსჭვალული ქართული პოეზიის საუკეთესო შედეგები, რუსთაველიდან მოკიდებული, ჩვენს დრომდე“ (გვ. I) და, რომ „გმირობა, ვაჟაყობა, სამშობლოს ერთგულება, მისი სახელისა და დიდებისათვის თავის განწირვა—აი ის მთავარი იდეები „ვეფხისტყაოსნის“ საერთო იდეურ კონცეპციიდან, რომლებიც სახელმძღვანელო იდეებად რჩებოდნენ საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის შემეცნებაში და დღესაც ასეთებად ითვლებიან ჩვენი ეპოქის ახალ ისტორიულ ვითარებაში“ (გვ. I—II). ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს სათანადო აფორიზმები ვეფხისტყაოსნიდან.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის თავს: „ანდერძი ავთანდილისა როსტყვან მეფისა მიმართ, ოდეს გაიპარა“. სტროფებს სათვალაფე ნუმერაცია არა აქვს. უდრის საიუბილეო გამოცემის 788—808 სტროფებს. დასაწყისი:

„დაჯდა წერად ანდერძისა, სახრალისა საუბრისადალ:

„ჟე მეფეო, გავიპარე ძეზნად ჩემგან საქმზრისადალ

ვერ დაედგებო შეუკრულად ჩემთა ცუცხლთა მომდებრისადალ.

შემინდე და წამატანე მოწყალეზა დმრთუებრისადალ“.

ამ ტექსტის 803 და 804 სტროფებს შორის საიუბილეო გამოცენასთან შედარებით მეტია ორი სტროფი, რომელიც შეტანილი ჩანს ვეფხისტყაოსნის კ. კიკინაძისეული 1934 წლის გამოცემიდან (სტროფები 859—860).

2100. Геронти Кикодзе

Ишота' Руставели

წიგნი: Грузинские классики, Издательство „Заря Востока“, Тбилиси, 1942, 61 გვ.

ნარკვევი წარმოადგენს რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების ზოგად დახასიათებას. ავტორი ქართულ სინამდვილესთან მიმართებაში ეხება ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეალებსა და გმირებს, არკვევს მის მთავარ წყაროებს და აღნიშნავს რუსთაველის მხატვრული აზროვნებისა და მეტყველების თავისებურებებს (გვ. 3—22). იხ. ანოტაცია ნარკვევის პირველ გამოცემასთან 1938 წელს № 1957.

2101. ხოლ. ცაიშვილი

სემინარიის დღიურები

კრებ. ლიტერატურის მატრიანე, საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, პეგ. რედაქტორი გიორგი ლეონიძე, თბილისი, 1942, წიგნი 3—4, გვ. 195—198.

წერილი შესავლის სახით ერთვის იონა მეუნარგიას დღიურების პუბლიკაციას. ავტორი იონა მეუნარგიას ლიტერატურული მოღვაწეობის მიმოხილვაში აღნიშნავს მის ლეაწლს ვეფხისტყაოსნის შესწავლასა, ტექსტის დადგენასა და გამოცემაში. ავტორის ცნობით იონა მეუნარგიამ 1876—1878 წლებში პარიზში ყოფნისას ნაციონალურ ბიბლიოთეკაში გადმოსწერა ნანუჩა ციციშვილისეული ვეფხისტყაოსნის დამატებანი (396 სტროფი). 1880 წელს იონა მეუნარგიას ინიციატივით შედგა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი რედაქცია, რომლის მუშაობის შედეგიც იყო 1888 წლის გამოცემა. ამავე ხანებში მეუნარგიამ ვეფხისტყაოსანი თარგმნა ფრანგულად, რამაც საშუალება მისცა უცხოელებს გასცნობოდნენ პოემას. ავტორს მოჰყავს ილია ჭავჭავაძის აზრი მეუნარგიას შესახებ ვეფხისტყაოსანზე მუშაობასთან დაკავშირებით, და სხვ.

2102. ალ. კეიშვილი

„ვეფხისტყაოსანი“ და ქართველი რომანტიკოსები

წერილი I. რუსთაველი და ბარათაშვილი

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1942, ტ. XXV, გვ. 119—143.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას საქართველოში, მის გავლენას ქართულ მწერლობაზე და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ზოგი თქმის პარალელად ბარათაშვილის „მერანის“ ცალკეული სტრიქონები, რისთვისაც ყურადღება მიუქცევა პ. ინგოროყვას (გვ. 120). ამ პარალელებში ავტორი ხედავს ძირითადი იდეისა და განწყობილების შეხვედრას (გვ. 121). მსგავს პარალელებს რუსთაველსა და ბარათაშვილს შორის ავტორი მიუთითებს სხვა ლექსებთანაც და შენიშნავს, რომ „რუსთაველმა თავის პოემაში გადაშალა ჰუმანიზმის სწორედ ის სახეობა, რომელიც კაცობრიობის აზრსა და ფიქრს დაეფუტა XVIII საუკუნის მიწურულში და XIX საუკუნის გარიყრაყზე და რომელიც რუსთაველის და შემდეგ რომანტიკოსების მხატვრულ-იდუერ კონ-

„ცეცხლიაში გაიშალა“ (გვ. 127). ავტორი ფართო ლიტერატურული ანალიზით ცდილობს ახსნას სევედის წყარო ვეფხისტყაოსანში, და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის გმირთა გადამეტებულ მგრძობიერებასა და ტირილში მოჩანს აღმოსავლური შწერლობიდან, უმთავრესად სპარსულიდან გადმოსული ემოციონალური კოლორიტი (გვ. 130).

1943

2103. ეფხისტყაოსანი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1943, ტ. XXV, გვ. 145—146.

[თვით სტატიას გვერდის თავტიტულზე თარიღად უხის 1942 წელი]

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტაეპში:

„შუე ჩაგვისვენდა ზნელსა ვსკერეთ—ღამესა ჩვენ უმთაროსა“

„ღამესა უმთაროსას“ გაგებას და ასკენის, რომ მის მიერ აღრეულ გამოცემაში ამ კონტექსტის გასწორება „ღამესა უმთენაროსა“ არაა გამართლებული და ის უნდა შესწორდეს სპარსული სეფასიანური სექტის „პაემან-ე-ქერქანგ“-ის მონაცემების მიხედვით „ღამესა მომთენაროსა“-თი. ამასთან დაკავშირებით ავტორი იძლევა ტაეპის განმარტებასაც.

2104. შ. ბერძენი

ქართული იამბიკოს შესახებ

კრებ. აკადემიის შრომები, 1943, ტ. IV, № 6, გვ. 585—592.

ავტორი ეხება ქართული მახვილის საკითხს და აღნიშნავს, რომ ის მერყეულია, არ არის მტკიცე, რის საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ადგილი (გვ. 585). ავტორის დასკვნით, „ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფი არის ქართული ლექსის საფუძველი. ეს დებულება რუსთაველის პოემის ლექსის გათვალისწინებითაც შეიძლება დადასტურდეს“ (გვ. 587).

ავტორი შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის 1600 მეტ სტროფში შაირი და გრძელი შაირი არც ერთხელ არ ერევა ერთიმეორეს, თითოეული სტროფი გამართულია ან შაირით, ან გრძელი შაირით. ისინი ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფის თავისებური განლაგებით“.

ავტორი ახასიათებს შაირისა და გრძელი შაირის აგებულებას და საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო ტაეპები (გვ. 587—589).

2105. ვუკოლ ბერძენი

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი მხატვრული ხასის განმარტებისათვის

კრებ. აკადემიის შრომები, ტ. IV, № 6, 1943, გვ. 601—604.

ავტორი ქაჯეთის ციხეში ტარიელისა და ნესტანის შეხვედრის ეპიზოდის აღწერისას ყურადღებას ამახვილებს ვეფხისტყაოსნის 1421 სტროფის ტაეპზე: „ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“ და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აქ ერთმანეთს ხედებიან მუშთარი და ზუალი ანუ იუპიტერი და სატურნი, რასაც ნამდვილად აქვს ადგილი, როგორც გარკვეული მნიშვნელობის მოვლენას და არა მუშთარისა ვენერასთან, როგორც ზოგნი ფიქრობდნენ. მათი შეხვედრის გრანდიოზულობით გადმოცემულია ტარიელისა და ნესტანის შეხვედრის სიღიადე.

2106. კ. დონდუა

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი შესავალი სტროფის ლინგვისტური ანალიზისათვის
კრებ. აკადემიის მოამბე, 1943, ტ. IV, № 9, გვ. 922—930.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მე-19 სტროფის პირველი და მეოთხე სტრიქონის დამოკიდებული სარიტმო სიტყვის „მიქია“. სწავილავს, მიმოიხილავს მისი შესწავლის ისტორიას, არჩევს მარის. წაკითხვას (კამ-იქია), ითვალისწინებს მისი წაკითხვის შესაძლებლობებს და ასევე, რომ ტრადიციული წაკითხვა უფრო სწორი უნდა იყოს და თუ ეს არ გამართლდა, უნდა ვეფიქროთ, რომ ამ სტროფს ან დეფორმაცია განუტლია, ან მისი გარკვეული ნაწილი რომელიმე რედაქტორის შემოქმედებას ეკუთვნის.

2107. კ. კ.

И. В. Абуладзе и Х. Г. Шаранидзе „К вопросу об имени и родине Руставели (Сообщения Академии Наук Грузинской ССР, 1941, т. I, № 7, 681—688).

კრებ. ლიტერატურული ჭიებანი, 1943, I, გვ. 275—277.

ავტორი კრიტიკულად განიხილავს ილია აბულაძისა და ქ. შარაშიძის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს H 1572 ხელნაწერში მოთავსებული 24¹/₂ სტროფის შემცველი ტექსტის მიხედვით დამაჯერებელი ხდებოდეს, რომ სვიმეონ შოთასძე რუსთაველის შთამომავალი იყოს და ამრიგად მეთხუთმეტე საუკუნის ვასილისაძვის დასტურდებოდეს რუსთაველის სახელი და მისი მესხური წარმოშობილობა.

ავტორი ასაბუთებს, რომ თხზულება დაწერილია არა მეთხუთმეტე საუკუნეში, არამედ მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევარს, ტექსტში მოხსენიებული შოთასძე არ ჩანს უთუოდ შოთა რუსთაველის შთამომავლად და არც მისი მესხობა დასტურდება, რამდენადაც შოთასძეების გვარი თვით ამ ტექსტის მიხედვით ბოლნისის მახლობლად კორინთაში მოსახლეობდა და საერთოდ შოთასძეების გვარი კახეთშიაც ყოფილა ცნობილი.

2108. კონსტანტინე კაპანელი

ქართული მწერლობის ტრადიციები

გზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1943, 5 ნომბერი, № 3, გვ. 2.

ავტორი ეხება ქართულ ლიტერატურაში წამოყენებულ ჰუმანიზმისა და პროგრესულ იდეალებს და აღნიშნავს, რომ ადამიანის ბუნების სრული ემანსიპაციისა და პატრიოტიზმის პირველ დიდ აქტს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში რუსთაველის პოემა წარმოადგენს. მასში მოცემულია გარეგანი და შინაგანი სულიერი ეშხითა და სილამაზით შემეპული რაინდი. რუსთაველი ებრძვის აღმოსავლეთს, მისი ყოფა-ცხოვრების ნორმებს და მორალს. რუსთაველის პოემის სული ქართულია. რუსთაველის ტიპები იდეალური შესაძლებლობის რეალური სახეები არიან, როგორც ჰომეროსის გმირები. ისინი კონკრეტულ სახეებს წარმოადგენენ იდეალურ შესაძლებლობაში.

ავტორის აღნიშვნით, რუსთაველის ესთეტიკური კონცეფციის დედაზარი, მისი მიმართება არის არა აღმოსავლური, არამედ ქართული.

ავტორს ვაჰყავს პარალელი რუსთაველსა და საბერძნეთის მწერლებსა და მოაზროვნებს შორის. მისი შენიშვნით, რუსთაველმა და იოანე პეტრიწმა სქოლასტიკურ დოგმატიკას დაუპირდაპირეს ინტელექტის კულტურა.

ავტორი ახასიათებს ავთანდილს როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ტიპს, რომელშიაც გონების პრიმატი დაძლეულია სკეპტიციზმი.

დასასრულს, ავტორი განიხილავს მონგოლების შემდეგდროინდელი ქართული მწერლობის იდეებს და აღნიშნავს, რომ იგი ძირითადად რუსთაველის მიერ დასმული ადამიანისა და ადამიანობისათვის ზრუნვის იდეას გამობატავს.

2109. გ. ნათაძე

შობღერება სახელმწიფო შესახებ ვეფხის ტყაოსანში

კრებ. სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, 1943, III, გვ. 105—131.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მრავალგვარი თვალსაზრისით კვლევის საჭიროებას და მას მიიჩნია, რომ მსოფლიო ისტორიისა და სახელმწიფო სამართლის პრობლემების მკვლევარს პოემის მიმართ აღძვრის საკითხი, თუ როგორ უტყვრის შოთა რუსთაველი სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორია, მისი აზრით, ხელისუფლების ხასიათი და რა არის მისი რეალური ბუნა. ამ მიზნით ვეფხისტყაოსნის განხილვისას ავტორი ყურადღებას ამახვილებს ორი სტროფის შესწავლაზე:

49. ვარდა და ნუხთა ვინათგან მზე სწორად მოუფიხის...

50. მეფეთა შიგან სოუხვე, ვით ეღვს ალვა, რგულია....

ავტორის დაკვირვებით რუსთაველის გამოთქმები „სილამაზის გარდა, მეტად ზუსტი ცნებების და მოვლენების აღმნიშვნელნი არიან. ამ მხრივ ისინი მეცნიერულ ზედმიწევნობასაც კი აღწევენ“ (გვ. 106). ვეფხისტყაოსანში გამოხატული სამეფო ხელისუფლების ხასიათის, მისი საფუძველის, სოციალური ურთიერთობის საკითხთა შესწავლისათვის ავტორი მნიშვნელობას ანიჭებს სიტყვებს—ახსნილი, დაბმა, სივამე; რემა, ნუხვი და ცდილობს მათი მნიშვნელობის გაგებაში ამოიცნოს რუსთაველის შეხედულება სახელმწიფო ცხოვრებასა და საზოგადოებრივ ურთიერთობაზე. ავტორი ამ სიტყვათა მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ითვალისწინებს მათ შინაარსს იმის მიხედვით, თუ ისინი როგორ თარგმნეს და გაიზარეს შ. ნუცუბიძემ, ბალმონტმა, პეტრენკომ, ცაგარელმა და მოჰყავს საილუსტრაციოდ სათანადო ნიმუშები. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში თუმცა არაბეთზეა ლაპარაკი, მაგრამ იგულისხმება მეთორმეტე საუკუნის საქართველო (გვ. 111). ამასთან დაკავშირებით ავტორი ატარებს გარკვეულ ანალოგიებს პოემასა და ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის.

ავტორის დასკვნით, რუსთაველის შეხედულება მეფის ხელისუფლებაზე კლასობრივია. მისი მეფე მოგვაგონებს განათლებული აბსოლუტიზმის დროის მეფეს. ეს მეფე ღვთისაგან არ მომდინარეობს. ის გვაროვნული მეფე არ არის. რუსთაველი პატრიარქალურ მეფობას უარყოფს და თვითმპყრობელი მეფობის იდეალიზაციას ატარებს. ისაა უზუნაესი სუზერენის ძალა-უფლება—კეისრობა, ე. ი. ბიზანტიურ-აზიური თვითმპყრობელობა.

2110. შოთა რუსთაველი

აფორიზმები ვეფხისტყაოსნიდან

აფორიზმები ამოკრიბეს: კ. აბეჯანაძემ და ს. ხუციშვილმა. რედაქტორი გ. ქიქოძე [ტფილისი], 1943, 32 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილ და ანბანზე დალაგებულ 52 აფორიზმს. აფორიზმები თითოეულ გვერდზე ჩასმულია ქართული ორნამენტის მოტივებიან, მხატვრულად შესრულებულ თავსამკაულე-ბში. წიგნი გამოცემულია ლიტოგრაფიულად: დასაწყისი:

„ავად შეაფრობს მიჯნურსა, მიჯნურობისა ცხადება“.

დასასრული:

„ხელმან ვარდი რად იხლთა, რათგან ასრე ვერ მოჰქრეფდა“.

2111. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

დ. ხელაძის გამოცემა, Gedruckt in der Gallus Druckerei KG Berlin, Charlottenburg 2, ბერლინი, 1943, 576 გვ.

დაიბეჭდა 500 ეგზემპლარი—450 ჩვეულებრივ ქაღალდზე; 50 ეგზემპლარი კი განსაკუთრებულ ქაღალდზე და არის დანუმრილი 1—50.

წიგნი პატარა ფორმატისაა $6\frac{1}{2} \times 10$ სანტიმეტრზე. ტექსტი სრულია და შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროლოგს, პოემას XLVII თავით და პოემის ბოლოსიტყვაობას მთლიანად. თითოეულ გვერდზე მოთავსებულია 3 სტროფი. შრიფტი პეტრიტია. სტროფებს სათვალავი არა აქვს.

დართული აქვს შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის სურათები. გამოცემას არა აქვს არც წინასიტყვაობა, არც ლექსიკონი, არც რაიმე შენიშვნები.

2112. შოთა რუსთაველი

სთამც ცარმლაგ

პოემა ამბავგათაჲ ვურძიავ ავზავაჲ ჟა რათალმაქილთა საჯლოსთჲ მესტარ

ხუსსარ ირგისტონგ ფადცახდონ რავალდად, სტალინი, 1943, 368 გვ.

აქვს რუსული ტიტული: Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, поэма в стихах, перевод с грузинского Мухтара Шавлохова, Госиздат Юго-Осетинской Автономной области, Сталинир, 1943.

ტექსტს წინ უძღვის შესავალი წერილი „რაზძერდ“ (გვ. 3—5), „რედაქციონ კოლლეგი“-ს ხელმოწერით.

ტექსტი შეიცავს 1669 სტროფს. დასასრულ ერთვის ლექსიკონი: „ზენ ამბარან ძერდ ამონან“ (გვ. 365—368). პირველი სტროფი ტექსტისა:

„ჩი სჭალღსთა ღუნ-ღუნეჲ ჯად ჟა ვარუ 'შა ჟა თუხაჲ,

ცარდ ულაძთ ცჲ რადთა ზახხულ 'ფფათ ცარავოჲთან რავღღაჲ,

აღამაგან გუჲჲჲჲ რადთა აცჲ სორჲ ღუნე სჯუჯუნაჲ,

ჯჲ არგვარდთა ფადცახთჲ, სხჯუჯუნ სჲ ქოდთა ჟაჯუნღაჲ“.

2113. ქხენია სიხარულიძე

თამარ მეფე ხალხურ შემოქმედებაში

სსსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტი,

თბილისი, 1943, 38 გვ.

თამარ მეფესთან დაკავშირებული ლეგენდების საერთო მიმოხილვაში, ავტორი ენება მათში გამრხატულ თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ურთიერთობას, ანალიზს უკეთებს ზოგიერთ ლეგენდას და მოჰყავს საილუსტრაციოდ ხალხური ლექსები და ვეფხისტყაოსნის ზოგი თქმები (გვ. 30—35).

2114. სოლ. ყუბანეიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVIII—XIX სს-ში კრებ. ლიტერატურული ძეგლების, 1943, I, გვ. 109—123.

ავტორი ეხება ბოლხოვიტინოვისა და სხვების ცნობას ვახტანგისეული 1712 წლის ვეფხისტყაოსნის გამოცემის ფიზიკური განადგურების შესახებ და მიმოხილავს საკითხის ლიტერატურას. ავტორი კრიტიკულად სწავლობს ვეფხისტყაოსნის განადგურების ფაქტის ახსნის ცდებს. მისი დასკვნით, ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ, მართლაც, ადგილი ჰქონდა ზრძოლას, მაგრამ ის იდეური ხასიათისა იყო. კლერიკალური წრეები ვერ ურიგდებოდნენ ვახტანგის კომენტარიების თეზას პოემაში ლეთაებრივი სიყვარულის გამოხატვის შესახებ და ამდენად ებრძოდნენ არა პოემას, არამედ მის კომენტარიებს. ამრიგად, თუ ვეფხისტყაოსნის განადგურებას ჰქონდა ადგილი, მისი მიზანი იყო ვახტანგის კომენტარიები და არა პოემაო.

ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვის ცდას. XIX საუკუნის დასაწყისს. მის მიერ მოტანილი დოკუმენტების მიხედვით, ასეთივე ბედი ეწია ვახტანგის კომენტარიებს 1826 წელსაც, როდესაც მონდომეს პოემის დაბეჭდვა. მეფის ცენზურას ნიკოლოზ ჩუბინაშვილის მოხსენების საფუძველზე მაშინაც სწორედ ვახტანგის კომენტარიების ბეჭდვა აუკრძალავს, რასაც თვით პოემის ბეჭდვის საკითხის მოხსნაც მოჰყვა.

ნარკვევში მრავალი საყურადღებო სამუშეო ცნობაა მოყვანილი აღძრულ საკითხთან დაკავშირებით. ნარკვევს ერთვის რეზუმე რუსულ ენაზე.

2115. ხოლ. ყუბანეშვილი

ახლადამოწანილი დოკუმენტები „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა აკრძალვის შესახებ XIX საუკუნეში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზოგადოებრივი მეცნიერებათა განყოფილების XIV სამეცნიერო სესია, 1943 წლის 25, 27 და 28 დეკემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1943, გვ. 13—14.

ავტორი ეხება 1826 წელს პეტერბურგში ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის დაბეჭდვისა და 1888 წელს ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნა-გამოცემის ცდებს, რაც არ ყოფილა განხორციელებული საცენზურო კომიტეტის მიერ ნებართვაზე უარის თქმის გამო.

იქვე თეზისების ტექსტი განმეორებულია რუსულად.

2116. შიხ. ჩიქოვანი

საგმირო-რომანტიკული მოტივები ქართულ ეპოსში (წინასწარი ცნობა)

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1943, I, გვ. 241—255.

ავტორი შუასაუკუნეების საგმირო-რომანტიკულ თხზულებებსა და ზეპირ-სიტყვიერ ეპოსში არსებულ მონათესავე, მხატვრულ-სიუჟეტური მომენტების აღნიშვნისას ჩერდება ვეფხისტყაოსანზე (გვ. 243—244). ავტორის შენიშვნით, კლასიკური ხანის საგმირო-რომანტიკული ლიტერატურიდან ეპიკურ გმირთა რიცხვ-განსაზღვრულობას ყველაზე უფრო შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი იცავს, ის ყველაზე ხშირად რიცხვს „სამს“ მიმართავს (გვ. 244) და ამ მხრივ შეიძლოდ არის დაკავშირებული ეროვნულ ფოლკლორთან. ავტორის დაკვირვებით, ვეფხისტყაოსნის ძირითად პერსონაჟთა რიცხვი სამით განისაზღვრება (ტარიელი-ავთანდილი-ფრიდონი || ნესტანი-თინათინი-ფატმანი). ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს მაგალითები რიცხვი სამის გამოყენებისა ვეფხისტყაოსანში (გვ. 245):

ქართულ ეპოსსა და ზეპირსიტყვიერებაში დამპობილების სახეების განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში გმირები რაინდული წესით შეეკვრიან ერთმანეთს (გვ. 248).

1944

2117. ძლია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

1. „ცქაფი-ცქაფვა. მომცქაფავი“.

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, თბილისი, 1944, XXVI, სერია B, გვ. 225—229.

ავტორი ვეფხისტყაოსნის 654-ე და 1165-ე სტროფებში ნახვარი სიტყვების „ცქაფნი“, „მეცქაფენს“, მომცქაფავისა-ს მნიშვნელობათა გაავსებისათვის ეხება „ცქაფის“ ეტიმოლოგიას. ძველი ქართლისა და სომხურის ლექსიკურ ჩვენებებთან დაკავშირებით, ავტორი იხილავს ამ სიტყვის გამოყენება-განმარტების ისტორიას და ასკვნის, რომ ცქაფი ნიშნავს არაპირდაპირს, უწრფელს, მტყუილს, ტყუილის მთქმელს, სიტყუეს.

2118. პროფ. იუსტინე აბულაძე

„მზიანი ღამე“ და „ცათა კულტი“ ვეფხის-ცყაოსანში“

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, 19 მაისი, № 17, გვ. 2—4.

ავტორი ცდილობს გააჩვეოს ვეფხისცყაოსანის მკვ-ე სტროფში „მზიანისა ღამისად“ მნიშვნელობა, რისთვისაც მოკლედ მიმოიხილავს საკითხის ისტორიას და ამ თქმის გააზრების ცდებს. მისი აზრით, „პოემაში ჩანს ირანელთა ძველის-ძველი სექტის ე. წ. სეფასიანების სექტის გავლენა“, ამიტომ ავტორს „მზიანისა ღამისად“ ასტრალურ კულტთან ჰგონია დაკავშირებული. რომელსაც ეს სექტა აღიარებდა. მათი მოძღვრებით „მზე მზიანი ღამის ხატია“.

ავტორი ამ მოსაზრების დასაბუთებას ცდილობს თეოლოგიურ-ნითოლოგიური ექსკურსებით და ვეფხისცყაოსანის სხვადასხვა ადგილის ამ თვალსაზრისზე ინტერპრეტაციით. მას მიაჩნია, რომ ვეფხისცყაოსანში მოხსენიებული ცხრა ცა, ცხრაღის ფიცი, შვიდი მნათობი, შვიდი ცის ბორბალი აღებულია სეფასიანების მოძღვრებიდან. მისი დასკვნით, ამასთან დაკავშირებით „ვეფხისცყაოსანი წარმოადგენს ძველის-ძველ მოარულ აღმოსავლურ ამბავთა ფონზე გაშლილი პოეტური შემოქმედების ნაყოფს, სადაც გამოყვანილი არიან სეფასიანების სექტის მოძღვრების თანახმად, აღამიანები, რომლებსაც ახასიათებთ ასტრალური კულტის აღიარება და ცხრა ცის და შვიდი ცის, ისე საერთოდ, ცათა რწმენა, მეტადრე შვიდი ცის და შვიდი მნათობის პოეტური სახეებისათვის გამოყენება“.

2119. პროფ. ი. აბულაძე

წერილი რედაქციის მიმართ

(„მცირე შენიშვნის“ გამო)

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, 2 ივლისი, № 23, გვ. 4.

წერილი წარმოადგენს პასუხს კ. კეკელიძის, ა. ბარამიძის და ეუკ. ბერიძის წერილებზე „მცირე შენიშვნა“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, 23 ივნისი, № 22), რომელშიაც ისინი პროფ. ი. აბულაძეს უთითებდნენ, რომ მან არა სწორად მოიყვანა კ. სმირნოვის წიგნიდან მისთვის საჭირო ციტატა ვეფხისცყაოსანის ერთ სტროფზე მსჯელობასთან დაკავშირებით. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი მიზანი იყო არა ციტატის მოყვანა, არამედ სმირნოვის წიგნიდან კონცეფციის ნოკემა თავისი სიტყვებით. ავტორი მარტავს „მზიანი ღამის“ ცნებას ვეფხისცყაოსანში მერჩულის, რუსთაველისა და სმირნოვის წიგნის მიხედვით.

2120. ლ. ასათიანი

გან თანდებულის სინტაქსური და სტილისტიკური

ფუნქციები „ვეფხისცყაოსანის“ მიხედვით

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეექვსე სამეცნიერო

კონფერენცია, 1944 წ. 19, 20 და 22 მაისი, თეზისები, თბილისი, 1944, გვ. 9.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისცყაოსანში „გან“ თანდებულის სიტყვა უპასუხებს კითხვაზე: ვისგან, რისგან (დაერთვის ნათესაობითს, მაგ., „ძისაგან ითავსებოდა“); საიდან (დაერთვის მოქმედებით ან ნათესაობით ბრუნვას); „თავითგან გიხმობ“, „ცხენისაგან გარდაიქრა“; სად.—გან თანდებულის სახელი გამოყენებულია შედარების დროს, აგრეთვე ზოგ ზმნასთან (მაგ. არავისგან პრცხენოდა).

2121. აღ. ბარამიძე

კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო შრომები

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1944, II, გვ. 01—020.

ავტორი აღნიშნავს, რომ „კ. კეკელიძე თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც დაამზადა გაბოსაცემად „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური, საიუბილეო ტექსტი და რომ „კ. კეკელიძეს შემუშავებული აქვს საკუთარი შეხედულება ვეფხისტყაოსნის ისეთ საკითხებზე, როგორცაა რედაქციული შემაღდგენლობა პოემისა, ვახტანგისეული გამოცემის რაობა, ფაბულურ-სიუჟეტური ორიგინალობა, თარიღი, ისტორიულ-სოციალური ინტერპრეტაცია პოემის შინაარსისა, რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობა და სხვ.“ (გვ. 018).

2122. აღ. ბარამიძე

ნესტანი

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1944, II, გვ. 269—285.

ავტორი ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი ქალის ნესტანის სახეს და აყენებს მოსაზრებას, რომ ის ყოველმხრივ სრულყოფილი, ჰარმონიული პიროვნებაა ზნეობისა, ემოციებისა და ინტელექტუალური თვალსაზრისით.

ავტორი ეხება ნესტანისა და ვეფხის სიმბოლურ დაკავშირებას რუსთაველის შემოქმედებაში და საერთოდ ვეფხის, როგორც მხატვრული სახის, სიმბოლიკას. განსაკუთრებით ჩერდება ნესტანის ეპითეტებზე, სპეციალურად მზის ეპითეტზე და იძლევა ნესტანის პორტრეტს. ნესტანის რომანტიულ და პოლიტიკურ იდეალებს ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის სათანადო ადგილებს ილუსტრაციით. არჩევს ნესტანისა და ტარიელის ურთიერთობას და ნესტანის თავგადასავალს მთელი პოემის სიუჟეტის განვითარებაში, რომელშიაც ვლინდება ნესტანის სახე. ავტორი განსაკუთრებით არჩევს ხვარაზმელი სასიძოს მოკვლის ეპიზოდს და აღნიშნავს, რომ ჯერ მკვლევართა ყურადღების საგანი არ გამხდარა საკითხი იმის შესახებ, თუ ნესტანის და ტარიელის ფარული მიჯნურობის ამბავი მათმა მშობლებმა წინასწარვე იცოდნენ. ავტორის მოსაზრებით, ნესტანისა და ტარიელის ამბის გახსნით რუსთაველმა დაგმოძალდატანებით პრინციპი მუელღეობისა და იქადაგა ნებისა, გრძნობისა და სიყვარულის თავისუფლება. ნესტანს ამოქმედებს ორი საწყისი—სიყვარული სატრფოსი და სამშობლოსი. ნესტანი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ იდეალს უმორჩილებს პირად ბედნიერებას. ის სიმბოლოა აბსოლუტური სილამაზისა და სიკეთისა. მისი მხატვრული სახე ხასიათია და არა ტიპი. ნესტანი საკაცობრიო მნიშვნელობის სახეა, უფრო მეტად სახე-ხასიათი, ვიდრე სახე-ტიპი. ტიპოლოგიურად ფატმანის სახე უფრო რეალისტურია, ვიდრე ნესტანისა.

ავტორს სადავოდ არ მიაჩნია ვეფხისტყაოსნის ფაბულის ფორმალური დაკავშირი სპარსულ მწერლობასთან, თუმცა ქალთა საკითხში რუსთაველი დიამეტრალურად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს. მისი აზრით, ნესტანის ასეთი ამალღებული სახის იდეა რუსთაველის ეპოქის ქართულ სინამღვიღეს არსებობდა. იგი მკეთრად გამოუხატავს მწერალს ნიკოლოზ გულაბერიძეს, რომელმაც წმ. ნინოს მოვლენების ინტერპრეტაციით შინაგანად დაასახბუთა თამარის, როგორც ქალის გამოფების ფაქტი და ეს ყველაფერი ებმურებოდა ქალის კულტს. ავტორი იმორწმებს აკად. ნ. მარისა და აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებებს ამ საკითხზე. მისი დასკვნით, შოთა რუსთაველმა ლექსით

უკვდავეო ქალის ღირსება, ქალის ღირსებამ შექმნა ნესტანი, ხოლო ნესტანმა გვაგაძნობინა დიდი თამარი. ავტორს ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს თამარის შესხმის შემცველი სტროფები და შენიშნავს, რომ რუსთაველისათვის თამარის ნახე იღვანაა ქეული, რის ნიადაგზედაც მან უკვდავეო ქალის ღირსება, რაც შესანიშნავად განასახიერა ნესტანში.

ნაშრომს ბოლოში ერთვის რეზუმე რუსულ ენაზე.

2123. ბ. ბერაძე

ქართული ლექსის ბუნებისათვის

ა) მახვილისათვის

ვერნ. მნათობი, 1944, მარტი, № 3, გვ. 137—150.

ავტორი იხილავს შაირის ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერმების მიმართებასა და ხასიათს, მოჰყავს საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან ციტატები (გვ. 142, 143, 144), რის მიხედვითაც ასყენის, რომ ქართული ლექსი სილაბური ავებულეზისაა.

ქართული ლექსის მახვილის სხედასხვა საკითხზე მსჯელობისას ავტორს საილუსტრაციოდ მასალად მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილები.

2124. ვუკოლ ბერაძე

სიკვდილისა და თვითმკვლელობის საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. ვნიშკის მთაბებე, 1944, № 14, გვ. 133—150.

ავტორი სიკვდილის საკითხთან დაკავშირებით ეხება ქართულ „გარდაცვალებას“ და სიკვდილის შიშის პრობლემას ტოლსტოისა და ილია ჭავჭავაძის მხატვრულ თხზულებათა ანალიზით.

მისი აზრით, რუსთაველის გმირებს სიკვდილის არ ეშინიათ, რამდენადაც მათ შეგნებული აქვთ მისი გარდუვალობა—„დღეს არა, ხვალე მოკვდები, სოფელი ასე შეწელია“ (სტროფი 36). როსტევეანი, ავთანდილი, ტარიელი, ნესტანდარეჯანი, ასმათი, შერმადინი სიკვდილის შიშშეუვალი ხალხია, რადგან მათ სწამთ გამარჯვება და სიკვდილის არ ეშინიათ როგორც გარდუვალი მოვლენისა.

ვეფხისტყაოსნის გმირები თვითმკვლელობას უარყოფითად აფასებენ, რადგან მათი ამოსავალია ოპტიმიზმი ცხოვრებაში. დეარის თვითმკვლელობა გამოჩინისა რუსთაველის შეხედულებებში და მას ავტორი ხსნის მდგომარეობით.

ავტორი ვეფხისტყაოსნის გმირების სიკვდილისა და თვითმკვლელობისადმი ასეთ უშიშ და უარყოფით დამოკიდებულებაში ხედავს საქართველოს მაშინდელი გამარჯვებული ცხოვრების გამოხატულებას.

2125. ვუკოლ ბერაძე

ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“

კრებ. ვნიშკის მთაბებე, 1944, № 14, გვ. 151—170.

ავტორი მიმოიხილავს ილიას მუშაობას ქართველი კლასიკოსების შესწავლის საქმეში, ანალიზს უკეთებს ილიას მხატვრულ თხზულებებში რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის გამოხატულებას, ეხება ილიას მონაწილეობას ვეფხისტყაოსნის დამდგენ კომისიაში და არჩევს მის პოლემიკას აკაკის ლექციებთან დაკავშირებით. მისი აზრით, „აკაკის ლექციებში ილიამ უკან დახვევა დაინახა“. ილია პირველად იძლევა ვეფხისტყაოსნის მხატვრულ ანალიზს და ტიპების ფსიქოლოგიურ დახასიათებას.

ავტორი ეხება ილიას პოლემიკურ გამოსვლას ივ. ჯაბადარისა და ნ. მარის ისეთი შრომების წინააღმდეგ, რომელშიც მათ ნიჰილისტური აზრები აქვთ გამოთქმული ვეფხისტყაოსანზე.

2126. ვუკოლ ბერიძე

შერისა და მიშერის გაგვიხათვის ვეფხისტყაოსანში

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1944, II, გვ. 15—27.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მესამე სტროფში სარითმოს სიტყვების „მშიერისა-ხშირისა“-ს წაკითხვას, მიმოიხილავს მათი დადგენის ისტორიას და ასაბუთებს, რომ „ხშირისა“ და „მშიერისა“ წარმოადგენს წარყენილ წაკითხვას, ისინი არღვევენ რუსთაველის ამ. სტროფის რითმას და ეწინააღმდეგებიან მას აზრობრივად.

ავტორს ამ სიტყვების მართებულ წაკითხვად მიაჩნია „შერისა“ და „ში-შერისა“. პირველი, მისი განმარტებით, ნიშნავს რჩეულს, კარგს, მეორე კი — მისრულს, ეგვიპტურს. ამიტომ, მისი აზრით, საიუბილეო გამოცემაში მიღებული ამ სიტყვების დაწერილობა „შე, რისა“, „მი, შერისა“ უნდა შესწორდეს „შერისა“, „შიშერისა“.

ნაშრომს ბოლოში ერთვის რეზუმე რუსულ ენაზე.

2127. რ. გ.

ლიტერატურის მატიანე

წიგნი მე-3—4, საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის გამოცემა, რედაქტორი გ. ლეონიძე.

ურნ. მნათობი, 1944, გვ. 221—226.

მატიანეს შინაარსის მიმოხილვაში აღნიშნულია სოლომონ იორდანიშვილის სტატია: „რუსთაველის ჩვენამდე არ მოღწეული პოემა-რომანის შესახებ“.

2128. ივ. ვაგინეიშვილი

სიტყვაწარმოების თავისებურებანი ვეფხისტყაოსანში

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია — აკად. ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1944, 8 გვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ენის შესწავლა სპეციალურად ენათმეცნიერული მიზნებით ფართოდ არ წარმოებულა. ჩატარებული მუშაობა ლექსიკოლოგიური ხასიათისა იყო. ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომები გარკვეულ ეტაპს წარმოადგენენ ენის შესწავლაში. შემდგომი მკვლევარები ვეფხისტყაოსნის ენას სწავლობდნენ არა სპეციალურად, არამედ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორც სალინგუისტრაციო მასალას.

ავტორი ეხება შოთა რუსთაველის სადაურობის საკითხს ვეფხისტყაოსანში მესხურისა და ჰერული დიალექტობების ძიებასთან დაკავშირებით. მისი შენიშვნით, აკად. ნ. მარის ჰიპოთეზას პოემის ენის სონ-მესხურობის შესახებ მტკიცე დასაყრდენი არა აქვს. მის მიმდევართა მუშაობა კი (მაგ., ს. კაკაბაძე) ელემენტარული, ენათმეცნიერული ცნებების გაუთვალისწინებლობით ხასიათდება. არც ჰერეთის კილოს გავლენა დასაბუთებული, როგორც ამას პ. ინგოროყვა აცხადებდა. აღნიშნავს იუსტ. აბულაძისა და ვუკ. ბერიძის ნაყოფიერ მუშაობას ვეფხისტყაოსნის ენის კვლევაში. მისი აზრით, ერთადერთი ნაშრომი, რომელშიც ვეფხისტყაოსნის ენა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით სპეციალური კვლევის საგნადაა ქცეული, არნ. ჩიქობავას გამოკვლევაა „დიალექტიზმების საკითხისათვის ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, გარკვეულია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში და გადაწყვეტილია დიალექტიზმების პრობლემა პოემაში. მისი აზრით, ასევე ღირებულია აკ. შანიძისა და კარპ. დონდუას ნაკვლევები.

ავტორი არკვევს სიტყვაწარმოების თავისებურებებს ვეფხისტყაოსანში და ძირითადად იხილავს ლექსიკური ხასიათის სიტყვაწარმოებას (სახელთა ფუძეებისაგან წარმოქმნილი სახელები, ნაზმნარი სახელები, ნასახელარი ზმნები), რის მავალითებიც მოჰყავს.

ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში ნაწარმოები სიტყვების დიდ პროცენტს ავტორი ხსნის რითმისა და ლექსთწყობის საჭიროებით. მისი დასკვნით, რუსთაველი დიდი სიტყვათშემოქმედელია. მისი ენა მთელს ეპოქას წარმოადგენს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში.

2128. ტ. გუდაგა

შედარებითი ხასიათის წარმოება და ფუნქციები „ვეფხისტყაოსანში“

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეცხვე სამეცნიერო კონფერენცია, 1944 წ. 19, 20 და 22 მაისი. თეზისები. თბილისი, 1944, გვ. 9—10.

ავტორი დაასკვნის, რომ ვეფხისტყაოსანში შედარებითი ხარისხი იწარმოება სრული (უ-ეს II უ-ოს) ანუ უსრული (უ-ე, უ-ო) სახით. სრული სახე ნელს მართავს ნათესაობითში („უღურჯესი ლილისა“), ხოლო უსრული სახე— მიცემითში („უნათლეა სინათლესა“).

2130. ტ. კასრაძე

კ. კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1944, II, გვ. 021—043.

ქრონოლოგიურ საძიებელში მითითებულია კ. კეკელიძის რუსთველოლოგიური ნაშრომები მათი გამოკვეყნების თარიღის მიხედვით. ყოველ ცალკე შემთხვევაში მოყვანილია მხოლოდ სატიტულო მრავალ ცნობები. ანბანურ საძიებელში იგივე ნაშრომები მითითებულია სათაურის მიხედვით. რუსთველოლოგიური ნაშრომები მითითებულია შემდეგ ნომრებზე: 65, 66, 78, 86, 88, 89, 92, 93, 94, 95, 97, 98, 99, 100, 101, 105, 108, 110, 113, 120.

სხვა ბიბლიოგრაფიულ ცნობებში ცალკე შრომათა შინაარსები გახსნილი არ არის და არაა მითითებული მათი თემატიკური შედგენილობა ისე, რომ თუ ვეფხისტყაოსანი ან რუსთაველი სათაურში ნახსენები არ არის, გაურკვეველია წარმოდგენილ მასალაში რუსთველოლოგიური საკითხების შედგენილობა.

2131. აკად. კ. კეკელიძე

ქართული ლიტერატურის ისტორიკოსები—მოსე ჯანაშვილი

(გარდაცვალებიდან ათი წლისთავზე)

უფრ. მნათობი, 1944, № 12, გვ. 82—96.

ავტორი მიმოიხილავს მ. ჯანაშვილის მუშაობას რუსთველოლოგიაში და ასახელებს ძირითად შრომებს (გვ. 91—93) და მთავარ პრობლემებს, რომლებზედაც მუშაობდა მ. ჯანაშვილი: ავტორი პოემისა, დრო მისი დაწერისა, პოემის ორიგინალობა, პერსონაჟები პოემისა. ავტორი კრიტიკულად იხილავს ზოგიერთ დებულებას და აღნიშნავს მის დამსახურებას ვეფხისტყაოსნის კვლევაში საკმეში. მისი ერთი შემადგამებელი შრომის „თამარ მეფის მეზობენი“-ს (1923) საბოლოო დასკვნებია: -1. ავტორი პოემისა არის შოთა თორელი ართავაჩოს ძე (1155—1226), რომელსაც აგრეთვე დაუწერია თამარიანი. ვეფხისტყაოსანი დაწერილია 1215 წლამდე. მასში ასახულია თამარის საქართველო და ღრმად ორიგინალურია.

ავტორის აზრით, მ. ჯანაშვილის ლექსიკოლოგიური შტუდიები, პოემის კლარჯულ-ინგილოური გლოსები თუ სიტყვათა განმარტებანი არასდროს არ დაკარგავენ მნიშვნელობას და ღირებულებას.

მცირე შენიშვნა

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება. 1944, 23 ივნისი, № 22, გვ. 4.

ავტორების კატეგორიული განცხადებით, პროფ. იუსტ. აბულაძის წერილში: „მზიანი ღამე“ და „სათა კულტი“ ვეფხისტყაოსანში“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944, 19 მაისი), რომელიც შეიცავს მტკიცებას, თითქოს ვეფხისტყაოსანში ირანელთა სეფასიანების სექტის მოძღვრების გავლენა ჩანს, რისთვისაც მითითებულია კ. სმირნოვის წიგნი (Перси, Гюфаси, 1916, გვ. 32—56), ნამდვილად იმ ცნობას არ შეიცავს, რასაც ი. აბულაძე იმორწმუნებს. ავტორებს მოჰყავთ სმირნოვის წიგნიდან სათანადო რუსული ტექსტი და აღნიშნავენ, რომ მასში არ მოიპოვება „მზიანი ღამე“ და ის აბულაძის მიერ შეთხზულ, არარსებულ ციტატას წარმოადგენს.

2133. გაიოზ იმედაშვილი

ვეფხისტყაოსნის პარალელები მეთე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში
კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1944, ტ. II, გვ. 197—218.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ რუსთაველს ძველ ქართულ მწერლობაში მოეპოვება ისეთი პარალელები, რომელნიც ექვს არ ტოვებენ, რომ ვეფხისტყაოსანში პოეტური სამკაულის ზოგი ფორმა, მთელი რიგი თქმები, ეპითეტები და მოტივებიც კი გარკვეული ძეგლებიდან მომდინარეობენ, უმთავრესად კი კლასიკური ქართული საგალობლების მეტყველებიდან.

რუსთაველის შემოქმედების ასეთი ქართული ძირების საილუსტრაციოდ ავტორი აღნიშნავს რამდენიმე რიგის პარალელს ვეფხისტყაოსანსა და მეთე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში შემოქმედებაში, როგორც ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ურთიერთობის კერძო გამოხატულებას. ამ პარალელების მიხედვით, ავტორი ცდილობს დაასაბუთოს გარემოება, რომ რუსთაველი ბევრით იყო დავალებული ქართული ლიტერატურისა და პოეტური მეტყველების ტრადიციებით, რომელთაც კარგა ხნის ისტორია ჰქონდათ რუსთაველამდე. რუსთაველის პოეტური მეტყველების ზოგი თავისებურება ამ პარალელების გათვალისწინების ნიადაგზე თვით ქართულ გარემოში პოულობს ახსნას, რის გაზრც საჭირო აღარაა ამ თავისებურებათა წყაროები უცხო, კერძოდ, სპარსულ გარემოში ვეძიოთ. ავტორის მტკიცებით, რუსთაველმა აითვისა და შემდეგ განავითარა პოეტური მეტყველების ფორმები, სტილისტური თავისებურებანი, ეპითეტები, მეტაფორები, ლექსიკური მოვლენები და ზოგი მოტივი ქართული საგალობლებისა, რაც კიდევ ერთი საბუთია იმ ურყევი დებულებისა, რომ რუსთაველის შემოქმედების წყარო თვით ქართული ნიადაგია, ქართული მწერლობის ტრადიციები.

ავტორის მტკიცებით, ვეფხისტყაოსნის პირველი სიტყვა „რომელმან“ წარმოადგენს საგალობლების მეტყველებაში შემუშავებულ და შემდგომ გაქვავებულ ეპითეტს ღვთაებისას, რომელიც რუსთაველმა სწორედ ასეთი მნიშვნელობით გამოიყენა. ასეთივე გაქვავებულ ფორმად მიაჩნია ავტორს გამოთქმა „უფალო უფლებათაო“ ავთანდილის ლოცვაში, რომელიც რუსთაველს აგრეთვე საგალობლების მეტყველებიდან აულია და რასაც ძველ ქართულ ძეგლებში მოეპოვებათ ძირები. სხვა პარალელებს შორის ავტორს მოჰყავს მიქელ მოდრეკილის ერთი საგალობლის დასაწყისი ტაეპი:

„რომელმან სიბრძნით დაჰბანდა ცანი მალანი ძალიურთ“

და მისივე მსგავსი თქმები მრავალ საგალობელში, როგორც რუსთაველის პირველი სტროფის წყარო თემატიკურადაც და სიტყვიერადაც:

„რომელმან შექმნა სამყარო ძლიოთა მით ძლიერიოთა...“

რუსთაველის მშვენიერი მეტაფორის:

„აკვანდა, თუცა შეურილყენეს ორნი მზენი, ერთი მთვარე“ (1382)

პარალელად ავტორის მოჰყავს იოანე მტბევეარის საგალობლიდან ტაქვი:

„ეთთარცა მთოვარეჲ შორის ორთა მზეთა“.

ვეფხისტყაოსანი: „ეონ მდაბალთა გააბაღებ, მეფობასა მისცემ, სვესა“ (957).

მიქელ მოდრეკილი: „მდაბალთა აღმაშაღლებულო და მაღალთა მფლობულო ღმერთო“.

ვეფხისტყაოსანი: „აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცროდეს ბროლისა ცუარიოთა“ (1329).

საგალობლები: „ღრუბელნი სამყაროთანი აცურევენ ცუარსა საღრმოსა“

„აყურევენ ღღეს ღრუბელნი ცუარსა სიშარლისასა“.

ავტორის განმარტებით, ეს მსგავსებანი ეყრდნობა იმ მოვლენას, რომ რუსთაველის მსოფლგაგებისა და ღმერთისა და სამყაროს ურთიერთობის გაგების წყარო ქართული ფილოსოფიური ნიადაგია. ასევე ქართულია და საგალობლებიდან მომდინარეობს ბუნების კულტისა და ასტრალური სინამდვილის ზოგი გამოხატულება ვეფხისტყაოსანში.

ნაშრომს ერთეის რეზუმე რუსულ ენაზე.

ამავე წელს ეს ნაშრომი წაკითხული იყო მოხსენებად და დაიბეჭდა თეზისები. იხ. „რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის III სამეცნიერო სესია 1944 წლის 29 და 30 დეკემბერს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1944, გვ. 4—5.

2134. შალვა შაქავარიანი

რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორია

კრებ. ს ტ უ დ ე ნ ტ ა ს ა მ ე ე ნ ი ე რ ო შ რ ო მ ე ბ ი ს კ რ ე ბ უ ლ ი, II, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1944, გვ. 9—28.

ნაშრომი შეიცავს შემდეგ ქვესათაურებს:

„შესავალი. I. რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის კვლევა-ძიება. ა. რუსთაველის ნეოპლატონიკოსობის თეორია. ბ. რუსთაველის სტოელობის თეორია. II. რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობის კვლევა-ძიება. ა. რუსთაველის მაჰმადიანობის თეორია. ბ. რუსთაველის მანიქეველობის თეორია. გ. მოსახრება რუსთაველის ქრისტიანობის შესახებ“.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, აღნიშნავს მის პოპულარობასა და მნიშვნელობას და ითვალისწინებს რუსთაველის მსოფლმხედველობის კვლევის ისტორიას ვახტანგ VI-იდან დაწყებული. ავტორი საჭირო შემთხვევაში ასახელებს ქართულ, რუსულ და უცხოურ ლიტერატურას და მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან. ავტორი რუსთაველის მსოფლმხედველობაზე შეხედულებათა განვითარებას იხილავს ცალკეულ მკვლევართა ნაშრომების უშუალო ანალიზით (პლატონ იოსელიანი, ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, ვუკ. ბერიძე, შ. ნუკუბიძე — ნეოპლატონიკოსობის თეორია; პოლიხრონ ცინცაძე — სტოელობა; ს. ფირცხალაევა, პ. მირიანაშვილი, ნ. მარი, ი. აბულაძე — მაჰმადიანობის თეორია; პაველე ინგოროყვა — მანიქეველობის თეორია; კ. კეკელიძე — ქრისტიანობის თეორია). აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით ავტორი უხვად იყენებს რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხებზე შექმნილ პოლემიკურ ლიტერატურას.

2135. გიორგი ნატროშვილი

ლიტერატურული შენიშვნები

(რუსთაველის სახ. ქართული ლიტ. ისტ. ინსტიტუტის შრომების პირველი კრებულის
„ლიტერატურული ძიებანი“ გამო)

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, 8 სექტემბერი, № 31, გვ. 3-4.

წერილი მთლიანად მიმართულია ქართულ მწერლობაზე უცხო გაკლენის
გაზეიადების წინააღმდეგ. ავტორი გაკერით ჩერდება რუსთაველის საკითხზე
და აღნიშნავს, რომ:

„არიან მეკლუარნი, რომენიც რუსთაველის სიბრძნის სათავეებს, პირვანდელ წყაროებს
დღესაც ისევ მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის, არაბეთის, სპარსეთის ლიტერატურაში და
ალანმა უწყის კიდევ სად ეძებენ. ცხადია „ვეფხისტყაოსანი“-ს ავტორი ზიარებული იყო თა-
ვისი ეპოქის მსოფლიოს მოწინავე იდეებს, მაგრამ მისი უკუდავების საიდუმლოება აქ კი
არ არის, არამედ პოემის ნაციონალურ თვითყოფილებაში. ყველაზე უმთავრესი და ნამდ-
ვილი წყარო რუსთაველის გენიალობისა ქართული ხალხის სულიერი და მატერიალური
კულტურა იყო“.

2136. გლ. ნორაკიძე

ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის ვეფხისტყაოსანში

ურნ. მნათობი, 1944, მარტი, № 3, გვ. 117-136; № 4-5, გვ. 201-217.

ავტორი მოკლედ იხილავს ილია ქაეკეაძის შეხედულებას ვეფხისტყაოსნის
გმირთა ხასიათებზე ა. წერეთლის დებულების კრიტიკასთან დაკავშირებით, რომ-
ლის მიხედვით ტიპები ორ ჯგუფად იყოფა—გრძნობების მიმდევრად და ინტე-
ლექტის მიმდევრად. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის გმირების ქა-
რაქტეროლოგიური ანალიზის მიხედვით ეს თვალსაზრისი არ მართლდება,
რადგან „რუსთაველს არ უცდია მოეცა ისეთი ტიპები, რომლებშიაც გონება ან
გრძნობა სპარბობდეს“ (№ 3, გვ. 118). მისი შენიშვნით, „ტიპები არ არის
წამყვანი პოემის სიუჟეტის განვითარებისა, მისი კომპოზიციისა“. ავტორს გააყავს
ვეფხისტყაოსნის პარალელები სხვა ეპიკურ ძეგლებთან ტიპების გაშლათვის
თვალსაზრისით და ანალიზს უკეთებს გმირების ქცევას პოემის ძირითადი
მოტივების გაშლის მიხედვით.

ავტორი შენიშნავს, რომ რუსთაველი არასოდეს არ ღალატობს ფსიქო-
ლოგიურ სიმართლეს (გვ. 121).

ტარიელის ველად გაქრის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ანალიზი-
სას მოკლედ მიმოიხილავს ამ სფეროში არსებულ კვლევა-ძიებას. აღნიშნავს
ტარიელის პოპულარობას საქართველოში, რასაც ხსნის მის სახეში ჰუმანური
იდეების გამოხატულებით. ტარიელი, ავტორის შენიშვნით, არის ნამდვილი მი-
წიერი ადამიანი, ზოგადის კონკრეტული ხატი (№ 3).

ავტორი სწავლობს ავთანდილის, ასმათის, ფატმანისა, ნესტანისა და ტა-
რიელის ტიპს ქარაქტეროლოგიური თვალსაზრისით. მისი აზრით, ავთანდილი
ქარაქტეროლოგიურად იგივე ტარიელია, მხოლოდ სხვა მხრივ წამოსახული.

ავთანდილი მეტად მძლავრი იმპულსებისა და ემოციების ადამიანია. ეს
ტარიელისაგან ასხვავებს მხოლოდ განცდებისა და ქცევების განსხვავებულ სი-
ტუაციაში მიმდინარეობა. ხასიათის შინაგანი ლოგიკის, შინაგანი აუცილებლო-
ბის თვალსაზრისით ისინი ერთგვარნი არიან. ერთგვარია მათი განწყობა, ხასია-
თის დინამიკა და სტრუქტურა. მათგან ამ მხრივ არც ფრიდონი განსხვავდება.

ავტორი იკვლევს კითხვას, თუ რატომ არ განასხვავა რუსთაველმა თა-
ვისი მთავარი გმირები ერთმანეთისაგან. მისი აზრით, რუსთაველმა მოგვეცა
ადამიანობის უნივერსალური ტიპი ტარიელისა და ავთანდილის სახით. მან
ტარიელი განაღდა მიჯნურობის პათოსში, ავთანდილი მეგობრობის პათოსში.

§137. ვლ. ნორაკიძე

ვეფხისტყაოსნის ერთი სიტუაციის ფსიქოლოგიური ანალიზისათვის

(თათბირი ფარსადან მეუის სასახლეში)

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, II, 1944, გვ. 219—228.

ავტორი ფსიქოლოგიურ საფუძველს უძებნის ტარიელის ქცევას თათბირზე, რომელზედაც გადაწყდა ნესტანის საქმროდ ხეარაზმელი სასიძოს მოყვანა. სათანადო ლიტერატურის კრიტიკული შესწავლისა და თვითონ ტარიელის პიროვნების ანალიზის შედეგად, ავტორი აყენებს დებულებას, რომ ტარიელს ყველაფერში ამოქმედებს შეცნობილი ნება. ტარიელის მონაწილეობა თათბირში, მისი პოზიცია და მასთან დაკავშირებული მოქმედებანი, ავტორის აზრით, ღრმად გამიზნულია მთელი სიტუაციის შეგნებით. ის საყვებით გონიერი განკვერთით ილტვის დასახული მიზნის მისაღწევად. მის ხასიათში განცდები და ემოციები ემორჩილება გონებასა და ნებას. ტარიელის ქცევა დაწყებული მეფის მიერ ნესტანის გათხოვების გაცხადებიდან, სასიძოს მოკვლამდე მთლიანად ნებელობითი ქცევაა.

ნარკვევს ბოლოში ერთვის რეზუმე რუსულად.

§138. ბ. საბაშვილი

ნარიანი და ებ-იანი მრავლობითი „ვეფხისტყაოსანში“

სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შექვეყნებული სამეცნიერო კონფერენცია, 1944 წ. 19, 20 და 22 მაისი, თეზისები, თბილისი, 1944, გვ. 10.

ავტორის დაკვირვებით „ვეფხისტყაოსანში“ ებ-იანი მრავლობითი უფრო ხშირია, ვიდრე ძველ ქართულში, რაც ლექსის საკვიროებით აიხსნება. ნ-იანი მრავლობითი თითქმის ყოველთვის ითანხმებს ზმნას, ებ-იანი კი ვერა.

§139. А. Н. Словинский

Художественное построение поэмы Руставели „Венхис-Ткаосани“

Тбилиси, 1944, 346 зб.

ნაშრომი წარმოადგენს მანქანაზე გადაბეჭდილს ხელნაწერს. შეიცავს 7 რვეულს შეკინძულად. დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში. ნაშრომი წარმოადგენს იყო ინსტიტუტში ფილოლოგიურ მკვნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, დადებითი შეფასებად მიიღო, მაგრამ ავტორის გარდაცვალების გამო დაცვა არ შედგა.

შინაარსი: Предисловие, Вступление (1—7). Приложение I-ое. Литература вопроса. Приложение II. О переводах поэмы Руставели и примечания (15—36); Справка библиографического характера (37—38).

Гл. I. Речьия „любовь“ и „дружба“, как организующие понятия в поэме Руставели (1—114).

А. Тармел и Нестан-Дареджан (1—35). Примечания к гл. I. А. (36—46).

Б. Агтагдელ и Тиватин (47—73). Примечания к гл. I. Б. (74—85).

В. Друзья—герои (86—108). Примечания к гл. I. В. (109—114).

Гл. II. Физиогномия и психика в их взаимодействии на фактах стили поэмы Руставели (115—143). Примечания к гл. II (144—154).

Гл. III. Реальность в содержании поэмы Руставели (155—211). Примечания.

Гл. IV. Слово, Речь в практике персонажей поэмы (212—238).

Гл. V. Приемы художественной выразительности в поэме (239—294).

Гл. VI. К вопросу о композиции поэмы Руставели (295—326). Примечания (327—336).

Приложение е—Об оригинальном, свободном творчестве Руставели при создании поэмы, по III-ей главе „Истор. Груз. Литер“. Академика К. С. Кекелидзе (384).

ამ ნაშრომის ნაწილი დაიბეჭდა 1941 წელს. იხ. ანოტაცია № 2076.

2140. [უავტოროს]

[ბიბლიოგრაფია შოთა რუსთაველზე]

წიგნში: ქართული ეურნალეზისა და კრებულეზის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვ. III (1893—1905), საქ. სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის გამოცემა, თბილისი, 1944.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში შოთა რუსთაველზე მოიპოვება წერილებისა და შენიშვნების ბიბლიოგრაფიული მითითება სხვადასხვა მწერალთა და პერიოდულ გამოცემათა მიხედვით, შემდეგ ნომრებზე: 5173, 5952, 6341, 6581, 8309, 8766, 8775, 11932, 11939, 11946, 11963, 11969, 11991, 12011, 12033, 12172.

2141. ბესო ელენტი

რას აშპოვნ ციტატები (პასუხად აშ. კონსტანტინე კიკინაძეს)

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1944, 7 იანვარი, № 2, გვ. 3—4.

ავტორი კონსტანტინე კიკინაძესთან კამათში, რომელიც უსაყვედურებდა პოეტ გრ. აბაშიძეს გიორგი მეექვსისადმი „მხეცქმნილი“ ეპითეტის გამოყენების უმართებულობას, იმომწმებს ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ გამოთქმას იმის დასასაბუთებლად, რომ პოეტს შეუძლია გმირის თვისება შეუდაროს ანა თუ იმ ნადირის თვისებას მხატვრული ეფექტის მისაღწევად.

2142. აკაკი შანიძე

ფისტიკაურის ისტორიისათვის.

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1944, II, გვ. 5—13.

ავტორს მოჰყავს ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან ფისტიკაურის ნიმუშები და ეხება მისი კვლევის ისტორიას ქართულ ვერსიფიკაციაში. იხილავს ვეფხისტყაოსანში ფისტიკაურით დაწერილ ერთადერთ 771-ე სტროფს. მისი აზრით, 16-მარცვლოვანი შიირით დაწერილ პოემაში ამ ერთადერთი ფისტიკაურის არსებობა იმით აიხსნება, რომ ის რუსთაველის კალამს არ ეკუთვნის, არამედ მერმინდელი ჩანართია. ავტორი იხილავს ამ ფისტიკაურის ვარიანტებს და პოემის ხელნაწერებსა და გამოცემებში მისი შიირად გადაკეთების შემთხვევებს. მას მიაჩნია, რომ ვახტანგ VI ცდებოდა, ეგონა რა თითქოს რუსთაველმა იმიტომ დაწერა ფისტიკაური, რომ ქვეყნისთვის ეჩვენებინა ამნაირი ლექსის წერაც ვიციო. ავტორი ეკამათება ვახტანგს იმაში, რომ ფისტიკაური და ჩახრუხალე ერთსა და იმავე საზომს არ წარმოადგენს, მათ განსხვავებებს შინაგანი რითმის უქონლობა ფისტიკაურში, რომელიც უფრო აღრინდელი საფეხურია ქართული ლექსის ტექნიკის განვითარებაში, ვიდრე ჩახრუხალე, რაშიც იმომწმებს პ. ინგოროყვას.

ფისტიკაურის ქართულ სასულიერო მწერლობაში გამოყენების მიმოხილვას ემდებდა ავტორი ეხება „ბისტიკას“ ეტიმოლოგიას და არჩევს თეიმურაზ მეორის „ვაბაასება რუსთაველთან“-ში მოხსენიებული ბისტიკას მნიშვნელობას. ნაშრომს ბოლოში ერთვის რეზუმე რუსულ ენაზე.

2143. კონსტანტინე კიკინაძე

პოეტური შეფუძელების კულტურის დასაცავად

ჟურნ. მნათობი, 1944, № 1—2, გვ. 154—164.

წერილის სათაურს სქოლიოში გაკეთებული აქვს შენიშვნა: „რედაქცია არ იზიარებს ავტორის მთელ რიგ დებულებებს“.

ავტორი ეკამათება ბესო ელენტს მის მიერ პოეტ გ. აბაშიძის პოემის „გიორგი მეექვსის“ შესახებ მოთავსებული წერილის გამო (გაზ. „ლიტერა-

ტურა და ხელოვნება“, 1943, № 5), რომელსაც თავისი დებულების დასასაბუთებლად ვეფხისტყაოსნიდან ციტატა გამოუყენებია. ავტორის შენიშვნით, „თანამედროვე პოეტებს ბევრი რამ არ განაოადგებათ რუსთაველის ლექსიკონიდან და პოეტური ხერხებიდან. რუსთაველი თავის გმირს ავთანდილს ვირსაც აღარებს („შემომყარე კეშანი, ტვრითი მიძიმე, ვითა ვირსა“), მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვიქმთ“ (გვ. 160). ავტორს ამასთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსნიდან კიდევ მოჰყავს სხვა კონტექსტები (გვ. 160, 161, 162), რომელთა გამოყენება თანამედროვე პოეტურ ენაში, მისი აზრით, ასევე გამართლებული არ არის.

1945

2144. პროფ. იუსტინე აბულაძე

ავთანდილის ეტიმოლოგიისათვის

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, 12 იანვარი, № 2, გვ. 4.

ავტორს შესწორება შეაქვს ავთანდილის ეტიმოლოგიის გახსნაში, რომელიც მან წარმოადგინა სპეციალურ წერილში „ვეფხისტყაოსნის“ ორი უმთავრესი გმირის სახელთა „ტარიელ“-ის და „ავთანდილ“-ის ეტიმოლოგიისათვის“, სადაც, მისი აზრით, ორი სიტყვაა—არაბული „ავტან“ სამშობლო და სპარსული „დილ“ გული. ავტორი ამ მტკიცებას უმატებს ახალ საბუთს ვაკე-იმერეთში ხანის ეკლესიის ნივთების ნუსხაში მოხსენიებული სახელის „ავთანდილ“ სახით, რაც, მისი აზრით, ნათლად ადასტურებს მის მიერ მოცემული ამ სიტყვის პირველი ნაწილის ახსნას. „ავთანდილ“ სახელის მეორე ნაწილში „დილ“ ავტორი ხედავს არაბულ „დინ“-ს, სარწმუნოებას. ავტორის დასკვნით, ამ სახელის წარმოშობის საბოლოო სქემა არის—ავტან-უადდინი, ვატანუდდინი, რაც ქართულის ფონეტიკურ ბუნებას აუთვისებია „ავთანდილ“-ის სახით, რომლის მნიშვნელობაა სარწმუნოების ბინა, კერა.

2145. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის საკითხები

წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I.

მეორე შეესებული და გადამუშავებული გამოცემა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1945, გვ. 155—236.

ნაშრომი შეიცავს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ შრომებისა და სტატიების პუბლიკაციას რუსთველოლოგიის საკითხებზე. ესენია:

I. ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო (გვ. 155—180). პირველად დაიბეჭდა 1932 წელს (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, გვ. 130—169). იხ. ანოტაცია № 1115. სტატია შედარებით პირველ გამოცემასთან საფუძვლიანად გადამუშავებულია, განსაკუთრებით დასკვნით ნაწილებში, რომელნიც ეხება რუსთაველის მსოფლმხედველობის, რელიგიური შეხედულებებისა და სოციალური მოტივების საკითხებს. მასში ავტორს წამოწეული აქვს რუსთაველის იდეების შედარებით პროგრესული ხასიათი და როლი, ავტორი ასაბუთებს, რომ ვეფხისტყაოსნის ამბავი ქართული პატრონუმური სოციალური ცხოვრების ფონზეა გაშლილი და ის საერთოა არაბეთისა და ინდოეთისათვის. ამ ურთიერთობის ანალიზისათვის ავტორი არკვევს პოემის გმირთა შორის დამოკიდებულებას. მისი შენიშვნით, ტარიელისა და ნესტანის, ასევე ავთანდილისა და თინათინის მიჯნურობას გარკვეულ ხასიათს აძლევდა პატრონ-ყმური დამოკიდებულება.

მეთის თაყვანისცემის იდეასთან ერთად ვეფხისტყაოსანი აღიარებს შკაპრი ლეგიტიმიზმის პრინციპს. ვეფხისტყაოსნის პატრონებურ საზოგადოებაში გამოირჩევა მოკმე რაინდთა კლასი, რომელთანაც დაკავშირებულია მიჯნურობის შოტივის გაშლა პოემაში. ავტორი ახასიათებს სიყვარულის შოტივის და მიჯნურის იდეალურ ტიპს რუსთაველის შემოქმედებაში, რომელშიაც შეერთებულია ქალისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მამაცობა, გულუხეობა. ავტორი ეხება პოემაში გამოხატული ძმობა-მეგობრობის, მონათხი ინსტიტუტის, ვაჭრული სოციალური ურთიერთობის საკითხებს. განსაკუთრებით ჩერდება ფატიმანის დახასიათებაზე, რომელიც, მისი აზრით, რუსთაველს დახატული აქვს მდაბიო ზნეობის გამოხატველ ქალის ტიპად, ვულგარული, დიაკური მიჯნურობის გამოხატველად, რითაც რუსთაველი დიაკობას და დიაკურ ზნეობას კიცხავს.

ავტორი ცალკე ჩერდება ვეფხისტყაოსანში გამოხატულ რელიგიურ მრწამსზე. მისი შენიშვნით, პოემის ავტორი მორწმუნე ყოფილა. რუსთაველს სწამს აბსოლუტური კეთილი ძალა. რუსთაველის გზირებს სწამთ ბედისწერა. მთლიანად პოემაში არც ერთი რელიგიური ოფიციალური აღსარება არაა გამოხატული.

II. ტ ა რ ი ე ლ ი (გვ. 181—203). პირველად დაიბეჭდა 1938 წელს („რუსთაველის კრებული“, გვ. 85—106. ნაწილობრივ სათაურით «Одна Тарбия» კრებულში: Шота Руставели и его время, М., 1939, გვ. 213—236. იხ. ანოტაცია № 1836).

III. ნ ე ს ტ ა ნ ი (გვ. 204—221). პირველად დაიბეჭდა 1944 წელს („ლიტერატურული ძიებანი“, II, გვ. 269—285).

IV. ფ ი რ დ ო უ ს ი და რ უ ს თ ა ვ ე ლ ი (გვ. 222—229). პირველად დაიბეჭდა 1938 წელს („უნივერსიტეტის შრომები“, VII, გვ. 51—58. შემოკლებით გაზ. „კომუნისტი“, 1938, 6 იანვარს. ანოტაცია იხ. № 1838).

V. შ ა ჰ - ნ ა მ ე ს ა და ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს ე რ თ ი პ ა რ ა ლ ე ლ ი (გვ. 230—234). პირველად დაიბეჭდა 1936 წელს („უნივერსიტეტის შრომები“, V, 225—232. იხ. ანოტაცია № 1261).

VI. ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს პ რ ო ლ ო გ - ე ბ ი ლ ო გ ი ს სა კ ი თ ხ ი ს ა თ - ვ ი ს (გვ. 235—236). პირველად დაიბეჭდა 1936 წელს („უნივერსიტეტის შრომები“, V, გვ. 225—232. იხ. ანოტაცია № 1261).

იქვე, Varia-ში:

I. ე რ თ ი ც ნ ო ბ ა ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს დ ე ვ ნ ი ს ი ს ტ ო რ ი ი დ ა ნ (გვ. 401—402). პირველად დაიბეჭდა 1936 წელს (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 2 ივლისი, № 10. იხ. ანოტაცია № 1260).

II. ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ე უ ლ ი ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი 1712 წ ლ ი ს ა (აღდგენილია ა. შანიძის მიერ) (გვ. 403—405). პირველად დაიბეჭდა 1937 წელს (გაზ. „კომუნისტი“, 11 ოქტომბერი. იხ. ანოტაცია № 1387).

III. ვ ე ფ ხ ი ს - ტ ყ ა ო ს ნ ი ს ა ხ ა ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი (მოკლე აღწერილობა) (გვ. 406—410). პირველად დაიბეჭდა 1936 წელს (საქ. სახ. მუზეუმის შრომები, ტ. IX B, გვ. 136—140. იხ. ანოტაცია № 1259).

იქვე: მირე სტატია „ამირან-დარეჯანიანი და ვეფხისტყაოსანი (მიჯნურობის საკითხისათვის)“ (გვ. 59—62).

ავტორი ეხება ამირანდარეჯანიანსა და ვეფხისტყაოსანს შორის პარალელთა საკითხებს და ზოგ ანალოგიასთან ერთად უმთავრესად აღნიშნავს

განსხვავებებს მიჯნურობის მოტივის გამობატვაში და ასკენის, რომ „ამირან-დარეჯანიანში“ მოცემულია ფალაენური სიყვარულის მოტივი, პრიმიტიული სახე. „ვეფხისტყაოსანი“ კი აყალიბებს რთულ, სულიერი და სოციალურ კოალიზებით გამჭაფრებული სიყვარულის უმაღლეს, რაფინირებულ რაინდულ ფორმას, რაინდულ სიყვარულს“ (გვ. 62).

იქვე: ვისრამიანი (გვ. 63—104).

იმის დასადასტურებლად, რომ „ვისრამიანს“ ასახელებს ქართული კლასიკური პერიოდის ყველა ცნობილი მხატვრული ძეგლი, ავტორს მოჰყავს სამი ტაეპი ვეფხისტყაოსნიდან:

„იგი ვირი არ უნახავს არ რამინს და არა ვისსა“ (183,3)

„ფატმანს ჰკლვიდა უმისობა, რამინისა ვითა ვისსა“ (1080,4)

„ნუ ეჭვ მიჯნურად მათობრსა, ნუცა თუ რამინს და ვისსა“ (1543,4).

სიტყვა „თურქისა“ და „ნათურქალის“ საქართველოში აღრიდანევე გავრცელებულობის დასადასტურებლად ვეფხისტყაოსნიდან მოყვანილია ტაეპი:

„აღაფობდეს საპურქლესა მისსა, ვითა ნათურქალსა“.

2146. კონსტანტინე გამსახურდია

თანამედროვე რომანიზატორის

წერილი მეოთხე

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, 3 ივნისი, № 19, გვ. 2.

ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ რუსთაველს უყვარდა ნატურალისტური თქმები, როგორცაა, „შე ბოზო, ბოზო დიაცო“, „ბოზი ნაცი“ და სხვ.

2147. კონსტანტინე გამსახურდია

სალიტერატურო ქართულისათვის

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945, 23 ავისტო, № 28, გვ. 2.

ავტორი ქართული ენის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას გაკვრით შენიშნავს, რომ ქართული ენის მწერლობისა და ფილოსოფოსების ენად ქცევის შემდეგ, რომელსაც მდიდარი სიტყვიერი ინვენტარი ჰქონდა, შესაძლებელი გახდა დაწერილიყო ვეფხისტყაოსანი. ავტორის შენიშვნით, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის დიდი საფრთხე იდგა ქართული ენის წინაშე. „ეს იყო გასოფლურება, მოკლედ, საფრთხე მოგველოდა — რუსთველისა და მერჩულის ენა არ გადაქცეულიყო ორლობის ენად“.

2148. მ. ებრალოძე

ნესტანდარეჯანის ხასიათის გავებისათვის

თეხისები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შეხვედრე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1945, გვ. 18.

ტექსტი მომყავს სრულად:

„1. არ არის მართებული სპეციალურ ლიტერატურაში გავრცელებული შეხედულება, თითქოს ნესტანდარეჯანი აფექტური ტიპი იყოს, ხშირად გონებას ანგარიშს არ უწევდეს თავის მოქმედებაში და ამით განსხვავდებოდეს თინათინისაგან“.

2. ნესტანისა და თინათინის ქცევათა განსხვავებულობა მეტწილად შეპირობებულია სა-მოქმედო სიტუაციათა სხვადასხვაობით და არა ამ ორი პირის ხასიათის განსხვავებულობით.

3. ნესტანი ღრმა და სათნო მიჯნურული და მამულიშვილური ტრფიალების მატარებელია, მაგრამ იგი არ არის გრძნობის მონა: ნესტანის ყოველი ქცევა-მოქმედება შექმნილ ვითარებაში შესაძლო მაქსიმალური მიზანშეწონილობით ხასიათდება“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი
(ნარკვევი)

წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1945, LXXV III + 170 გვ.

ავტორს ვაპყვივს პარალელები ბარათაშვილის პოეზიის ცალკეული თქმებისა და მოტივებისა ვეფხისტყაოსნის ადგილებთან (გვ. LXIII—LXV). ავტორის შენიშვნით, ბარათაშვილის „მერანი“ ეხმარება ვეფხისტყაოსანს. „მერანი“ შეინიშნება ზოგიერთი შეხვედრითი ხაზები რუსთაველთან, ამასთან ეს შეხვედრა ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანია იდეურად, არის ნაწილობრივ შეხვედრა პოეტურ ინვენტარში (გვ. LXIV). „პოეტური სახე „მერანი“ წარმოადგენს რემინისცენციას რუსთაველის პოემიდან“ (იქვე).

2150. კ. კეკელიძე

უძველესი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1945, 382 გვ.

კრებული შეიცავს სტატიას „კ. ქიქინაძის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 160—170). ავტორი აყალიბებს პრინციპებს, რომელთა მიხედვითაც უნდა იყოს გაგებული ვეფხისტყაოსანი და მისი ტექსტი დადგენილი. იგი აკრიტიკებს კ. ქიქინაძის მიერ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენად ჩატარებულ მუშაობას, არჩევს მის მიერ პოემის ტექსტში შეტანილ შესწორებათა მართებულების საკითხს და ეხება ე. წ. ინდოხატაველთა ამბის ვეფხისტყაოსნისათვის კუთვნილების პრობლემას. ავტორი იხილავს არსებულ ლიტერატურას და ასკენის, რომ ინდო-ხატაველთა ამბავი არ ეკუთვნის პოემის ავტორს და ის შემდეგაა დამატებული.

კრებულში მოიპოვება რუსთაველის შემოქმედების ცალკეული საკითხების შესახებ შენიშვნები ქართული მწერლობის ამა თუ იმ პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით, გაკვრით (გვ. 3, 4, 11, 30—33, 35, 158, 181) თუ სპეციალურად (გვ. 180, 205, 216, 282, 283, 285, 287, 288).

ავტორი პოემა „სამარდიანზე“ მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „კომპოზიცია თხზულებისა და ზოგიერთი მოტივი ვეფხისტყაოსნის გავლენას ამჟღავნებს“, რაც სამარდიანის ავტორის ქართველობის მაჩვენებლად მიაჩნია (გვ. 180). ავტორი სტატიაში: „შემოქმედებითი პროცესი ძველ-ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით“ (გვ. 195—217) საერო მწერლობისადმი უპატიო დამოკიდებულებაზე მსჯელობისას გაკვრით შენიშნავს, რომ საერო პოეზიის ძეგლების პირდაპირი დევნის, დამახინჯებისა და ფიზიკურად მოსპობის მავალითისათვის შეიძლება მოვიგონოთ ვეფხისტყაოსანთან გარკვეული წრეების დამოკიდებულება (გვ. 205). ავტორის აღნიშვნით, ანომალიებს არც საერო მწერლობა იყო მოკლებული: „მოვიგონოთ ის დევნა, დამკირება, ცილისწამება და შეგნებლი დამახინჯება, რაც განუტყლია ვეფხისტყაოსანს და მის ავტორს“ (გვ. 216).

ავტორი სტატიაში: „Отражение восточного суфизма в древне-грузинской поэзии“ (გვ. 281—286) მსჯელობს ქართულ მწერლობაში სუფიზმის გამოხატულების შესახებ და შენიშნავს, რომ რუსთაველის ეპოქაში ან ფილოსოფიურ მიმართულებას კარგად იცნობდნენ. კერძოდ რუსთაველი ვეფხისტყაოსნის პროლოგში დაუფარავ პოლემიკას აწარმოებს სიყვარულის სუფისტურ

აგების ხერხის მხრივ მიჰყვება „ამირანის“ განმანახლებელს მოსე ხონელს, რომელსაც უნდა დაეკანონებინოს ქართულ ლექსში „ა“-ნით ეოკალიზებული რითმა გენეტიკის დაბოლოებათა სახით—ასა, არისა, არითა (გვ. XXX). ავტორის აზრით, რუსთაველის პოემაში ასეთი წესით დამთავრებული რითმის უპირატესობა აშკარაა—ვეფხისტყაოსანში სარიტმოდ დაბოლოებას „ა“-ნის საშუალებით სამოცი პროცენტი უჭირავს (იქვე).

ავტორს მოჰყავს ერთი მაგალითი იმის ნათელსაყოფად, რომ რუსთაველს მოსე ხონელთან ანათესავენ მთელი რიგი სახეებისა და მეტათორებისა.

§153. Sciotha Rusthaveli

La Pelle di Leopardo

Tradizione dal georgiano di Scialva Beridzic. Milano, 1945, XIII+351 გვ.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის იტალიურ თარგმანს პროზით. შედგება წინასიტყვაობისა და XLVIII თავისაგან 1576 სტროფად.

დასაწყისის 1 სტროფი:

„Io mi rivolgo à Colui che ha creato l'Universo con la Sua potenza, a Colui che ha infuso la vita a innumerevoli esseri, visibili e invisibili, a Colui, infine che ha dato a noi questo mondo multicolore e vario, e da cui hanno origine e vita i sovrani, simili a Lui“ (გვ. 3).

პირველი თავის 32 სტროფი:

„In Arabia viveva Rostevan, Re benedetto dal Creatore, magnanimo, generoso e benevolo. Capo di una innumerevole armata, ricco, giusto e ospitale, misericorde, retto nel giudizio, guerriero d'impareggiabile bravura, non meno che incensurabile conversatore“ (გვ. 10).

დასასრული სტროფი 1576:

„Amirao, figlio di Daredgian, fu cantato da Mosè Khoneli; Abdul Messia fu cantato da Sciautheli, i cui versi raccolsero tante lodi; Dilargueth fu cantato da Sarghis Thmogveli, la cui eloquenza era incensurabile; Tariel, infine, fu cantato dal suo Rusthaveli, il quale ha versato per lui lacrime senza fine“ (გვ. 347).

ტექსტს ზოგიერთ ადგილას სქოლიოებში მოეპოვება ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების ახსნა-განმარტება.

წიგნს ერთვის მცირე ბიბლიოგრაფიული ცნობები ვეფხისტყაოსნის გამოცემათა და თარგმანთა შესახებ (გვ. IV), რასაც მოსდევს შალვა ბერიძის ხელმოწერით წინასიტყვაობა (Prefazione), რომელშიაც ავტორი ზოგადად ეხება რუსთაველის ეპოქის საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ მდგომარეობას, ვეფხისტყაოსნისა და მისი ავტორის შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის და შემოქმედებას საკითხებს (გვ. VII—XIII) და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის მოკლე დედააზრი. ავტორი აღნიშნავს, რომ მან ამჯობინა პოემის პროზად თარგმნა, რადგან ლექსითი თარგმანის დროს საჭირო იქნებოდა იტალიური ლირიკული ტრადიციების დაცვა, რაც ორიგინალურ, ქართულ იერს დაუკარგავდა ტექსტს. ლექსით თარგმანს არა ნაკლებ ართულებს რუსთაველის ლაკონიურ, ინტენსიურ გამოთქმათა მანერა.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ მან თარგმანი შეასრულა ვეფხისტყაოსნის 1903 წლის კარიჟაშვილის გამოცემის მიხედვით და ძლიერ სწუხს, რომ ვერ შესძლო თბილისის უნივერსიტეტის 1937 წლის გამოცემით სარგებლობა.

2154. ვენერა ურუშაძე

ი. ჭავჭავაძის „განდევილი“ და მარჯორი უორდროპი
ურბ. მნათობი, 1945, № 10, გვ. 100—110.

მარჯორი უორდროპის მთარგმნელობითი მუშაობის მიმოხილვაში ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ მის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანი ხელნაწერის სახით დარჩა (გვ. 103), რომელიც 1912 წელს ლონდონში დაიბეჭდა, როდესაც მთარგმნელი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამასთან დაკავშირებით ავტორი იხსენებს 1914 წლის გაზ. „Nation“-ში შენიშვნას იმის შესახებ, რომ მარჯორი უორდროპი ადრევე დაჰპირებია საზოგადოებას შოთა რუსთაველის „გაცნობას“ (გვ. 104) მის მიერ ინგლისურ ენაზე ლონდონში გამოცემული ქართული ზღაპრების წინასიტყვაობაში.

ავტორის აღნიშვნით, მარჯორი უორდროპს ვეფხისტყაოსანზე მუშაობა დაუწყია 1891 წელს კენტში (ინგლისში) და შავად დაუსრულებია 1898 წელს ქერჩში, რის შემდეგაც ის 1909 წლამდე განუწყვეტლივ მუშაობდა მის შესწორება-გაუმჯობესებაზე. ავტორი მოკლედ აღწერს ვეფხისტყაოსნის ინგლისურ გამოცემას, მის წინასიტყვაობას და დამატებას. ავტორის აზრით, წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ მთარგმნელმა ზედმიწევნით იცოდა ქართული ენა. ავტორის შენიშვნით: „პოემის წინასიტყვაობა წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას და აშკარად სჩანს ზედმიწევნითი ცოდნა ქართული ენისა და დიდი სიმპატია ქართველი ხალხის სიძველეთა მიმართ. შესავლის ავტორი დიდი სიმპატიით იხსენიებს იმ ხალხს რომელმაც აღზარდა რუსთაველი. „რუსთაველიო“ — ამბობს შესავლის ავტორი, — „პოეტია მთელის ერისა, „ვეფხის-ტყაოსნის“ სიტყაქიზე და სინაზე ერთი კლასის კუთვნილება კი არ არის, არამედ თვისებაა ყველასი...“ (გვ. 105).

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ მარჯორი უორდროპის მიერ თარგმნილი ი. ჭავჭავაძის განდევილის ინგლისური გამოცემის რეცენზიაში გაკვრით ნათქვამია, რომ „მე-12 საუკუნის დიდი ეპოქის პოეტის რუსთაველის ვეფხისტყაოსანი არაფერს დაკარგავს ფირდოუსის შაჰნამესთან შედარებით“ (გვ. 105).

განდევლის თარგმანის გარჩევისას ავტორი აღნიშნავს მანსკეტაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ განდევლის უკვდავმა იდეამ უფრო მოაჯადოვა ქალის გული, ვიდრე ვეფხისტყაოსნის გმირთა გულის ტკივილმა და სულსიკვებამ.

2155. მ. შანიძე

წინაობის საკითხებისათვის „ვეფხის-ტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“

თეხისები: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა მეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 1945, გვ. 23—24.

ტექსტი მომყავს სრულად:

1. „ვეფხის-ტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“ მოკლემულ ზნეობრივ თელსაზრისთა შედარება არკვევს ამ ორი ნაწარმოების ძირითად იდეურ კონცეფციათა მსგავსებას.

2. გაგრძელებული აზრი „ვისრამიანზე“, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ზორციელი სიყვარულის აპოლოგიაზე, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს. სიყვარულის თავისებურ გაგებასთან ერთად „ვისრამიანი“, ისევე როგორც „ვეფხის-ტყაოსანი“, ასახავს ყოვლისშემძლე სიყვარულის იდეის გამარჯვებას.

3. „ვისრამიანი“, როგორც ლიტერატურული მოვლენა, ერთგვარი საფეხურია „ვეფხის-ტყაოსნისათვის“ სამიჯნურო იდეალების შემუშავების მხრით.

4. „ვეფხის-ტყაოსანში“ საბოლოოდ დაძლეულია ის წინააღმდეგობანი ადამიანობასა და მიჯნურობას შუა, რომელთაც ვხვდებით „ვისრამიანში“.

5. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა „ვეფხის-ტყაოსანს“ ავტორის საშუალებას აძლევს მიჯნურობა სიცოცხლეზე მოგვეს სიყვარულის აპოთეოზი, მაშინ როდესაც „ვისრამიანი“ მას ადგილს აკვს მხოლოდ გმირების სიკვდილის შემდეგ.

2156. კონსტანტინე ჰიქსინაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიისათვის

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1945. 18 ნომბერი, № 39, გვ. 3.

ავტორი ეკამათება პროფ. კ. კეკელიძეს, რომელსაც არ გაუზიარებია მის მიერ გამოთქმული მოსაზრება ქაჯეთის ციხის ინდოეთთან ტერიტორიალურად ახლო მდებარეობის შესახებ („ეტიუდები“, გვ. 167).

ავტორი აღნიშნავს, რომ ზღვა დიდ როლს ასრულებს ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიაში. ზღვის პირზეა ინდოეთის ქალაქი, არაბეთი კონტინენტალური ქვეყანაა, ტარიელის ქვაბი მდებარეობს არაბეთიდან აღმოსავლეთით და ის ადგილი ზღვის პირზე, სადაც ტარიელმა ავთანდილი მიიყვანა და აღმოსავლეთისაკენ გაისტუმრა, არის სპარსეთის ყურე. ავთანდილი აღმოსავლეთისაკენ სიარულით მივა ფრიდონის ქვეყანაში, რომლის შემდეგ მდებარეობდა გულანშარო—ინდოეთის მოსაზღვრე მხარე.

ავტორი ასკვნის, რომ ქაჯეთი მდებარეობდა გულანშაროდან ჩრდილოეთით, ამრიგად არაბეთიდან შორს იყო. ამიტომ იყო, რომ ტარიელმა ქაჯეთი გულანშაროს უთავაზა. ქაჯეთის მდებარეობის გარკვევასთან დაკავშირებით, ავტორი აღნიშნავს, რომ გმირებმა ქაჯეთის ციხის აღება მანამდე მოასწრეს, ვიდრე იქ გრძნების მკოდნე, ნამდვილი ქაჯეები დაბრუნდებოდნენ, რომელნიც ამ დროს ზღვის იქით ქაჯთა დედოფლის დის დასატირებლად იყვნენ წასული.

დასასრულს, ავტორი აქრიტიკებს პროფ. კ. კეკელიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქაჯეთთან ყველაზე დაშორებული ინდოეთია და რომ თითქოს ქაჯების სახით პოემაში გამოყვანილი არიან მოლიდები, თვითონ ციხე კი ალაშუთის ციხეს ასახავს.

1 9 4 6

2157. ალ. ბარათაძე

ნ. ბარათაშვილი და ძველი ქართული პოეზია

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1946, III, გვ. 55—68.

ავტორი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში ძველი ქართული პოეზიის კვალზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ პოეტი ვეფხისტყაოსნიდან ახდენს ციტირებას: „რაკი ტურფა გაიფლდეს, აღარა ღირს არცა ჩირად“ (გვ. 57).

ავტორი ს. ჩიქოვანისა და პ. ინგოროყვას მიერ დადგენილ პარალელს ნ. ბარათაშვილის მერანსა და ვეფხისტყაოსნის შორის, ურთავს ბარათაშვილის ერთ ლირიკულ შეძახილს: „მე შენი გულიც მეყოფის“, რომელიც, მისი აზრით, საუცხოოდ ეხმაურება ნესტანის წერილის ნაწყვეტს:

„შენი სიციხსლე მეყოფის ჩემად იმედად გულისად“ (გვ. 67).

2158. ვუკოლ ბერძე

ზღუდე სიტყვისა და მისგან ნაწარმოებ შეზღუდულის მნიშვნელობის

ევილენციისათვის

კრებ. იბერიულ-კავკასიური ქნათმეცნიერება, თბილისი, 1946,

გვ. 347—354.

პოეტურ ენაში „კუბო“ სიტყვის მნიშვნელობის ცვალებადობის საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის სტროფი 1484 („იგი მზე უჯდა კუბოსა...“) და თართოდ მიმოიხილავს ზღუდისა და შეზღუდულის მნიშვნელობათა ცვლას ძველი მწერლობის მასალების მიხედვით.

2159. ღაფით ზრეგაძე

შოთა რუსთაველი და პეტრე ლარაძე
კრებ. ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები,
ქუთაისი, 1946, ტ. VI, გვ. 75—106.

ავტორი ეხება რუსთაველის გავლენას მომდევნო ხანის პოეტებზე, კერძოდ პეტრე ლარაძის შემოქმედებაზე და აღნიშნავს, რომ „რუსთაველმა მომდევნო საუკუნეების ქართული მხატვრული ლიტერატურა თითქმის მე-19 საუკუნემდე თავისი გავლენის ქვეშ მოაქცია. შოთას მიზაძეა საერთო საველდებულო ნორმად გადაიქცა“. პეტრე ლარაძეს ვეფხისტყაოსნის ეპიზოდები თავისი შემოქმედების წყაროდ გაუზღია. ავტორი უდარებს ვეფხისტყაოსანს ლარაძის თხზულებას „დილარაინს“, რომელშიაც აღნიშნავს მთელ რიგ პარალელებს როგორც გარეგანი გაფორმების მხრივ, აგრეთვე ცალკეული ეპიზოდების, მოტივების და სახე-თქმების მხრივაც.

ავტორი დაასკვნის, რომ „რუსთაველის მომაჯადოებელმა ნიჭმა ერთგვარ ჩარჩოში მოაქცია „აღორძინების ხანის“ და ე. წ. „გარდამავალი პერიოდის“ პოეტები. რუსთაველის ნაწარმოები, როგორც ზევით აღენიშნეთ, მისაბაძი გახდა, მაგრამ მიზაძეცა და მიზაძეცა: ერთნი რუსთაველს ბაძავენ ბრმად და მეორენი კი რუსთაველის თქმულს ახალ რაიმეს უმატებდნენ, გამოირჩეოდნენ, როგორც უშუალო, დამოუკიდებელი შემოქმედნი; სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის პეტრე ლარაძე“.

2160. Б. В. Горнунг

Ады и расказы

წიგნი: История греческой литературы, Академия наук Союза ССР,

Институт мировой литературы им. Горького, Москва—Ленинград, 1946, том. I, გვ. 76.

ავტორი მსჯელობს ეპოსის ზეპირი შესრულების ტრადიციებზე, რის განვითარებასაც, მისი შენიშვნით, ხელს უწყობდა სიმღერის შინაარსისადმი მსმენელთა ცოცხალი დამოკიდებულების ჩვეულება და ასეთი ტრადიციის ერთ-ერთ საშაგალითო ნიმუშად ვეფხისტყაოსანს ასახელებს, რომლის გამო ავტორი შენიშნავს:

«О силе впечатления такой песни говорят и наблюдения над исполнением в Грузии поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре». Поэма исполняется иногда при молотке; слушатели восклицают: «Верно! Согласен! Я бых при этом!» настолько их воображение».

2161. კ. კეკელიძე

კომენტარები „აბღულ-მეზიანის“ ზოგიერთი ტაქისა

(შეოცე საუკუნის გამოცემათა გამო)

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1946, III, გვ. 361—374.

ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ სიტყვა „ლომს“ ზოდიაკოს ვაგებით „ეტლის“ მიუმატებლად რუსთაველიც ხმარობს, რომლის სანიმუშოდ მოჰყავს 1201, 3 ტაქი:

„აგანდა, ოდეს ლომსა შეჯდეს მზე, მნათობთა უკეთესი“ (გვ. 362).

2162. ღაფით კობიძე

რუსთაველისა და ნიჭამის ურთიერთობისათვის

წერილი: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1946, III, გვ. 203—215.

ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის შემოქმედების ღრმად შესწავლისათვის საჭიროა გაირკვეს ვეფხისტყაოსნის სპარსული მწერლობისადმი დამოკიდებულების ყველა საკითხი“ და რუსთაველის ეპოქის სპარსული ღი-

ტერატორიის ზოგი საკითხის შესწავლასთან დაკავშირებით სუამს კითხვას— იცნობდა თუ არა რუსთაველი ნიჰამის ნაწარმოებებს, რამდენადაც ისინი ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ?

ავტორი მოკლედ აღნიშნავს ამ მხრივ წარმოებულ ცდებს და უჩვენებს შეხვედრებს ვეფხისტყაოსნის ზოგი მოტივისა და ეპიზოდისას „ზოსროეში-რინიანთან“ და „ლეილ-მეჯნუნთან“. ამასთან ერთად, ავტორს მოაქვს ზოგი თქმები ნიჰამის პოემიდან ვეფხისტყაოსნის თქმების პარალელად. ავტორის დასკვნით, რუსთაველი ღრმად იცნობს არა მარტო „ლეილ-მეჯნუნთან“, არამედ „ზოსროე-შირინიანსაც“. რუსთაველი ნიჰამის მხატვრული თქმების ღრმა მცოდნეა და, მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოეტთან აქა-იქ ერთნაირი მეტაფორები მოიძებნება, „ვეფხისტყაოსანში იმ მეტაფორებსა და შედარებებს, რომლებსაც კი შეიძლება რაიმე ნათესაობა გააჩნდეს საერთოდ სპარსულ პოეზიასთან და კერძოდ კი ნიჰამის შემოქმედებასთან, სულ სხვა გააზრება და განლაგება აქვთ მიღებული, ვიდრე სპარსული პოეზიის რომელიმე კმნილებაში“ (გვ. 208). ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა და აღნიშნავს რუსთაველის თქმების თავისებურებას.

დასასრულს, ავტორი გაკვირვით სუამს კითხვას იმის შესახებ, რომ რუსთაველი შესაძლოა ვეფხისტყაოსნის დაწერამდეც იყო ცნობილი, როგორც პოეტი, და, იქნებ, ნიჰამისაც ესმოდა ქართული ისევე, როგორც მის თანამედროვეს ხაკანის და მის შემოქმედებასაც დაჰქროდა ნიათი ქართული პოეზიისა?

2163. არამ მარტიროსოვი

თანდებული ქართულში

კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1946, გვ. 202—246.

ქართული თანდებულების გენეზისისა და სინტაქსური ფუნქციების კვლევის საილუსტრაციოდ დამოწმებულია მასალა ვეფხისტყაოსნიდან:

ზედა (გვ. 216, 217); ზედან (გვ. 213); შიგან (გვ. 217); თვის (გვ. 223); კერძო, კენ, კე (გვ. 225, 226); გან (გვ. 229, 230); ურთ (გვ. 233); მდი (გვ. 234). ავტორი დასძენს, რომ ვეფხისტყაოსანში დადასტურებული „კერძო“ თანდებულის სამივე სახის ცვლილების კვალი საშუალ ქართულის აღრინდელ ძეგლებში აღარა ჩანს, ამასთან ვეფხისტყაოსანში „კენ“ იშვიათია, „კე“ კი ათეულს ითვლის (გვ. 226).

2164. მიხეილ მახათაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისათვის სამხედრო ხელოვნების თვალსაზრისით

კრებ. პედაგოგიკის ურთიერთობები, ქუთაისი, 1946, ტ. VI, გვ. 155—172.

ავტორი ცდილობს პოემის დამაბოლოებელი ზოგიერთი თავის ბატალური სურათების ანალიზით პოემის ტექსტის დადგენაში შეიტანოს ზოგი კორექტივი. ზოგადად ეხება ტექსტის დადგენის პრინციპებს ვეფხისტყაოსანზე მუშაობის დროს და ინდოხატაელთა ამბის რუსთაველისათვის კუთვნილების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ეს თავი ჭიჭინაძისა (1934) და საიუბილეო გამოცემებში შეტანილია რედაქციაკმნილი, შეკვეცილი სახით. მისი დაკვირვებით, საქ. მუზ. N 4499 და ქუთაისის მუზ. N 205 ხელნაწერებში საიუბილეო გამოცემის ტექსტის 1608—1609 სტროფებთან შესაბამისად მოიპოვება შვიდი სტროფი (ს. კაკაბაძის 1914 წ. გამოცემის 1600, —16007), რომელიც ინდოხატაელთა ამბის კუთვნილებაა. ამ თავში ასახული ბატალური სცენის რუსთაველის სამხედრო ხელოვნებასთან შედარება, ავტორის საფუძ-

ველს აძლევს დაასკენას, რომ ინდოხატაელთა ამბის გაგრძელება პოემის ძირითად ტექსტს არ ეკუთვნის, რამდენადაც მასში მოცემული სამხედრო ყოფის სურათები არ წარმოადგენს არც ქართული, არც სხვა რომელიმე ქვეყნის სამხედრო ხელოვნების ასახვას, ის შაჰნამეს გაელენითაა დაწერილი.

2165. ტ. რუხაძე

პოეტი სვიმონ ლეკანოზი შოთასძე (შოთაშვილი)

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, III, 1946, გვ. 379—381.

ავტორი ახლად მოპოებული სიგელის მიხედვით, რომელიც მეფე ლუარსაბ პირველს მიუცია სვიმონ ლეკანოზის შოთასძისა და მისი ძმებისათვის, ასახულებს, რომ „სადგერის წმიდის გიორგის ქება“-ში მოხსენიებული სვიმონ ლეკანოზი შოთასძე არის XVI საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე, როგორც შენიშნა აკად. კ. კეკელიძემ, და არა XV საუკუნისა, როგორც ეგონათ ამ ქების პუბლიკაციის ავტორებს ილ. აბულაძეს და ქ. შარაშენიძეს.

2166. [უავტორო]

ბიბლიოგრაფია

«თბილისის უნივერსიტეტის «მომავალი» და «სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის «შრომები» მოთავსებული სტატიებისა 1921—1946 წლებში

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1946, XXVIII, გვ. 225—248.

ბიბლიოგრაფია შეიცავს უნივერსიტეტის „მომავალი“ და „შრომებში“ 1921—1946 წლებში რუსთაველოლოგიურ საკითხებზე მოთავსებულ ნაშრომების დასახელებას შემდეგი ავტორებისას: ილ. აბულაძე, იუსტ. აბულაძე, ა. ბარამიძე, პ. ბერაძე, ვ. ბერიძე, კ. კეკელიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, შ. ნუსუბიძე, ტრ. რუხაძე, დ. ჩხორუა, ალ. კვიციანი, კ. კიკინაძე.

2167. ლ. ქუთათელაძე და ნ. კახრაძე

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა]

წიგნში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილ მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), აკად. ს. ჯანაშიას საერთო რედაქციით, დასაბუთად მომზადებულია ხელნაწერთა განყოფილების თანამშრომლების ლ. ქუთათელაძისა და ნ. კახრაძის მიერ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი, სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1946, ტომი I, 392 გვ.

წიგნში შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები აღწერილია შემდეგ ნომრებზე: 54 (1660 წლისა), 66 (1832), 167 (XIX), 248 (XIX), 288 (1829), 302 (1803), 403 (1818), 412 (XIX), 422 (XIX), 455 (XIX).

2168. შიხელი ჩიქოვანი

ქართული ფოლკლორი

სახელგამი, თბილისი, 1946, 499 გვ.

ავტორი ქართული ფოლკლორისა და მწერლობის ურთიერთობის საკითხების განხილვისას ეხება ვეფხისტყაოსნისა და რუსთაველის შემოქმედების ცალკეულ საკითხებს (გვ. 6, 12, 18, 35, 55, 58, 60, 79, 82, 170—173, 185, 300, 309, 397, 398, 409, 443, 470).

ავტორი გაეკრით თუ სპეციალურად ეხება მწერლობასა და ფოლკლორში ვეფხისტყაოსნის ვარიანტების გაჩენის საკითხს და სანიმუშოდ ასახელებს ვეფხისტყაოსნის, რომელშიაც მოიპოვება ხელნაწერთა გადაწერის შედეგად წარმოქმნილი განსხვავებული წაკითხვები (გვ. 7).

ავტორი „მგოსანი“ სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევისას ეხება ვეფხისტყაოსნის პროლოგის ჩვენებებს პოეტურ ხელოვნებაზე და მოჰყავს სათანადო სტროფები მუსიკალური ტერმინების საილუსტრაციოდ (გვ. 55—58).

ხალხური და პოეტური შემოქმედების ურთიერთობის საკითხების განხილვისას ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით ვაეა-ფშაველას მიერ წარმოებულ პოლემიკას პროფ. ა. ხახანაშვილთან და მოჰყავს ამონაწერები (გვ. 170—173).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ეპიკურ გმირთა რიცხვგანსაზღვრულობას ყველაზე უფრო შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი იცავს“. მისი დაკვირვებით, რუსთაველი უფრო ხშირად სამ რიცხვს მიმართავს. ვეფხისტყაოსნის ძირითად პერსონაჟთა რიცხვი სამია და მთლიანად ნაწარმოები სამი გმირის სამიჯნურო თავგადასავლის აღწერას წარმოადგენს. ასევე პოეტი „სამს“ მიმართავს დროის კატეგორიისა და საგანთა რაოდენობის აღნიშვნის შემთხვევაშიც და შორალურ-დიდაქტიკური პრინციპების ჩამოთვლის დროსაც. ავტორის დასკვნით, „შოთა რუსთაველი რიცხვთა ხმარებაში ქართული ეპოსის ტრადიციას განაგრძობს“ (გვ. 397—398).

ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ის აფორიზმები, რომელთაც აკაკი წერეთელი თავის თხზულებებში იყენებს (გვ. 443).

2169. ხოლომონ ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ მეუნარეასეული თარგმანის შესახებ

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1946, 8 ივნისი, № 29, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს ი. მეუნარეას ვეფხისტყაოსნის ფრანგულ თარგმანზე მუშაობის პირობებს და იმ გარემოებას, რომ ჯერ კიდევ 1877 წელს მეუნარეას რუსთაველის შესახებ საუბარი ჰქონია გამოჩენილ ფრანგ მწერალ ჰიუგოსთან. მეუნარეას ვეფხისტყაოსნის თავისი ფრანგული თარგმანის ეგზემპლარი ალექსანდრე მესამესთვის მიუღრთმევია და ამჟამად ერმიტაჟშია დაცული რუსულ მოკლე თარგმანთან ერთად. 1915 წელს უკანასკნელი საავტორო ეგზემპლარი მეუნარეას ბალმონტისათვის მიუცია.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ საკიროთა ერმიტაჟში დაცული მეუნარეას მიერ თარგმნილი ვეფხისტყაოსნის ფრანგული ტექსტის ასლის გადმოღება მისი შესწავლის მიზნით.

1947

2170. შიხეილ ალავიძე

ოქროპირ ბაგრატიონის პიესა „ვეფხისტყაოსანი“

კრებ. პედინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1947, ტ. VII, გვ. 117—135.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას საქართველოში და ეხება 1853 წელს მოსკოვში ოქროპირ ბატონიშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის თემაზე დაწერილ პიესის გამოცემას. ავტორი მოკლედ აღწერს წიგნს, ოქროპირ ბატონიშვილის ბიოგრაფიას და პიესის გარჩევასთან დაკავშირებით ეხება ვეფხისტყაოსნის კომპოზიციას. ავტორის შენიშვნით, „პიესა ინარჩუნებს რუსთაველის სულს, ნაფიქრ-ნაზარეკს“. დასასრულს ავტორს მოჰყავს ვრცელი ციტატები ოქროპირის პიესიდან.

2171. ვუკოლ ბერიძე

ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი ნაწილის შედგენილობისათვის

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1947, XXV/1 ბ, გვ. 395—409.

ავტორი ეხება რუსთაველის შაირის შედგენილობას და სალექსო სტრიქონთა და სტროფთა ურთიერთობის საკითხებს. ნ. მარის, ალ. სლოვინსკისა და პ. ბერაძის მოსაზრებათა კრიტიკული განხილვის შემდეგ ავტორი ფართო

არგუმენტაციითა და ანალოგიების მოყვანით ვეფხისტყაოსნიდან ცდილობს დაასაბუთოს მათი მკდარობა და აყენებს დებულებას, რომ ვეფხისტყაოსანში ყველა სტრიქონი და ყველა სტროფი ცალკე არაა შეკრული და დამოუკიდებელი მომდევნოსაგან, როგორც ეს მათ ჰგონიათ. ვეფხისტყაოსანში ხშირად სტრიქონი სტრიქონში გადადის და ზოგ შემთხვევაში—სტროფი სტროფში.

სტროფიდან სტროფში გადასვლის საილუსტრაციოდ ავტორი არჩევს მე-13—14 სტროფების მიმართებას და ასაბუთებს, რომ ეს ორი სტროფი ზოლიანად ერთ სინტაქსურ „გარდამავლობით“ დაკავშირებულ ერთეულს წარმოადგენს. მისი აზრით:

მე-13 სტროფის ბოლო ტაქტი:

„რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლექა“

მე-14 სტროფის პირველი ტაქტი:

„მაშინღა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა“

ერთმანეთთან არა მხოლოდ ლოგიკურ, არამედ სინტაქსურ კავშირშია, მათ შორის იგულისხმება ნიშანი მძიმე და არა წერტილი, როგორც ზოგ მეკვლევისს ჰგონია და ბევრი გამოცემა ბეჭდავს.

2172. М. А. Брисман

Шота Руставели

Семьсот шестьдесят лет со дня рождения

პლაკატი: Календарь памятных дат, Издание государственной публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина, редактор: Н. Я. Морачевский, [Ленинград], 1947, декабрь.

პლაკატი წარმოადგენს ცალმხარეზე ორ სვეტად დაბეჭდილ ერთ ფურცელს შუაში შოთა რუსთაველის პორტრეტით.

ტექსტი შეიცავს შოთა რუსთაველის ეპოქის, ცხოვრებისა და შემოქმედების მოკლე დახასიათებას. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობასა და პოპულარობას საქართველოში, ახასიათებს მის მთავარ გმირებსა და მოტივებს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს რუსთაველის ჰუმანიზმს. დასასრულს აღნიშნულია, რომ ვეფხისტყაოსანი თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა მრავალ ენაზე და ფართოდაა ცნობილი.

პლაკატის ბოლოს დართულ ბიბლიოგრაფიაში «ЧТО ЧИТАТЬ» დასახელებულია 6 წიგნი: შ. ნუსუბიძის, გ. ცაგარლის, პ. პეტრენკოს თარგმანები პოემისა და ვ. გოლცევის, გ. ქოქოძისა და ს. მეგრელიძის შრომები ვეფხისტყაოსანზე.

2173. აკაკი გაწერელია

მახვილი ქართულ ლექსში

ჟურნ. მნათობი, 1947, № 9, გვ. 90—111.

ავტორს სხვადასხვა რაოდენობის მარცვლიანი სიტყვების მახვილის სახეობათა სანიმუშოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან მაგალითები (გვ. 94, 95, 97, 99, 100, 103, 106) და აღნიშნავს ქართული მახვილის თავისებურებებს. პოეტურ ენაში.

2174. ალ. გვენცაძე

„ტანჯორის“ მნიშვნელობისათვის „ვეფხისტყაოსანში“

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, თელავი, 1947, გვ. 118—122.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის 447-ე სტროფში სიტყვა ტანჯორის მნიშვნელობას, მოჰყავს საკითხის შესწავლის ისტორია და ჩვეულებრივად გავრცელებული გაგების—მწერის მაგივრად მიაჩნია, რომ ტანჯორი ცხოველია, რომელიც ერთი წლის მეტის სახედრის ნაშობ დედალს ნიშნავს..

[გამონათქვამები რუსთაველზე]

წიგნში: ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით. [გამომცემლობა] „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1947, XVIII+208 გგ.

ავტორი თუმცა გაკვირით, მაგრამ გარკვეულ პრინციპულ დამოკიდებულებას ამტკიცებს რუსთაველის სახელთან და მის შემოქმედებასთან, რაც ეხსაურება მის მიერ ვეფხისტყაოსნის „თარგმანებში“ გამოთქმულ შეხედულებას:

„გვემდარები, ნუ მიჩრტე ლექსისა სიგჳე განებსა,
 ნურცა რუსთველსა მდარებ; ნურცა-ღა ლექსთა სხეანებსა“
 („პირ-ნასარანაი“. გვ. 86, სტროფი 133, 1—3)
 „რუსთველსა ენა-შაქარსა უჭნია რისმე მკობანი,
 სიტკბო, სიბრძნე და იგაენი, ცოლქმართა აშვიობანი,
 ბევრად საჩხრკეი; ვერ მიხედენ, მიბაქეს ცუდი ხმობანი,
 სამლოო წერილი საცრუოდ თქვეს და დაგვიდგეს გმობანი“
 („სიბრძნე მაღალია“. გვ. 92, სტროფი, 1)
 „რუსთელისა ლექსი მუფეა ტახტზედ გვირგვინით მჯდომელი“
 (გვ. 168, სტროფი 812, 1).

2176. თეიმურაზ ბაგრატიონი

გვარნი ანუ საზომი ქართლისა ენისა სტისთა

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1947, ტ. IV, გვ. 229—250.

ავტორი განმარტავს შაირის საზომს და საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის პირველი სტროფი, რომელსაც მარცვლების აღსანიშნავად გაკეთებული აქვს ნუმერაცია (გვ. 229). იგივე სტროფი ავტორს მოჰყავს დამარცვლით და ეხება ლექსში მარცვლის მნიშვნელობას საზომთან მიმართებით (გვ. 220—231). ავტორი ასევე იხილავს 1030-ე სტროფს და აყენებს საკითხს რუსთაველის შაირის წყაროს შესახებ (გვ. 331). მისი აზრით, ვეფხისტყაოსნის როგორც მაღალი, ისე დაბალი შაირის საფუძველი ხალხური პოეზიის ვერსიფიკაციაა. ასეთ საფუძველად მიაჩნია მას „ლილინი არნა ნანოს ხმა“:

„არანარ პარნი არანანო, პარნი პარნანი პარანარ“ (გვ. 231).

საილუსტრაციოდ ავტორს მოჰყავს ამ საზომთან შესაფარებლად ვეფხისტყაოსნის 84-ე სტროფი: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე...“ (გვ. 232) და შენიშნავს, რომ „სხვათადაცა ლექსთა... ყოველთავე აქვსთ თჳს თჳსნი გვარნი, საგალობელნი და სამღერელნი ჳმანი“ (იქვე).

ავტორი ასევე იხილავს ფისტიკაურის საკითხს ვეფხისტყაოსნის ერთადერთი ფისტიკაურის მაგალითზე და მოჰყავს მისი სქემა (გვ. 232).

ამ ნაშრომს წინ უძღვის გაიოზ იმედაშვილის წერილი: „თეიმურაზ ბაგრატიონის შრომა ქართული ვერსიფიკაციის საკითხებზე“ (გვ. 221—228; ტექსტისათვის: გვ. 251—254), რომელშიაც ავტორი არკვევს თეიმურაზის ნაშრომის ღირებულებასა და მნიშვნელობას ქართული ვერსიფიკაციის შესწავლის ისტორიაში, მოკლედ მიმოიხილავს თეიმურაზის რუსთაველოვანი მონაწილეობას და შენიშნავს: „თეიმურაზის ამ მოსაზრებათა ღირებულება, არა მხოლოდ მაშინდელი ვითარების მიხედვით, დღევანდელი თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია, თუ აღვნიშნავთ, რომ რუსთაველის შაირის წარმოშობის საკითხი, მიუხედავად რუსთაველოლოგიური ფართო მუშაობისა მთელი საუკუნის მანძილზე, ჯერ კიდევ საგრძნობლად არ დაძრულა წინ და ჩვენ იმაზე მეტი, რაც იცოდა და თქვა თეიმურაზმა, თითქმის არათფერი არ ვიცით“ (გვ. 225).

ტექსტი წარმოადგენს ამავე გაზეთში დაბეჭდილი ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანის ნაწყვეტებისათვის დართულ შესავალ წერილს.

ავტორი მოკლედ განიხილავს შოთა რუსთაველის ეპოქისა, ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს, გაკერით ჩერდება ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღზე და იმ პირობებზე, რომელთა ვითარებაში წარმოიწეა ქართული ჰუმანიზმის დიდი ქმნილება ვეფხისტყაოსანი. ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მთავარ მოტივებს სათანადო სტროფების ილუსტრაციით და მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი, რომელშიაც ჩართულია პოემის ცალკეული სტროფების მის მიერვე შესრულებული თარგმანები.

ავტორი მოკლედ ახასიათებს პოემის მხატვრობას, მის აგებულებას, ეხება რუსთაველის პოეტიკის საკითხებს, მისი ფილოსოფიის წყაროებს, აღნიშნავს მის ადამიანურ ხასიათსა და მისი იდეალების ცოცხალ კავშირს მიწასთან, შედარებით შუა საუკუნეთა სხვა დიდ მწერლებთან და იმ მეტ სინათლეს, რომელიც რუსთაველის პოეზიის მოაქვს.

წაგნს წინ ერთვის რედაქტორის აკად. კ. ქვეკელიძის მცირე შენიშვნა, რომელშიაც ზოგადად შეფასებულია წიგნის მნიშვნელობა და ხასიათი (გვ. 2). ბოლოს დართული აქვს შენიშვნები (გვ. 335—379) და სახელთა ინდექსი (გვ. 381—386). შინაარსი წიგნისა:

I. Проблема Ренессанса. Восточный и Западный Ренессанс. II. Мистицизм в ересь на Востоке и на Западе. III. Главные этапы еретического движения на Востоке. IV. Главные этапы еретического движения в Западной Европе V. Мистицизм и мистика как формы борющихся идеологий. VI. Основные моменты развития мистицизма, как части революционной оппозиции, на Востоке и на Западе. VII. Архопагитский мистицизм на Востоке и на Западе. VIII. Восприятие античного наследия и проблема Ренессанса. IX. Возрождение архопагитики в Грузии XI—XII веков. X. Иоанн Петриши и идеология грузинского Ренессанса. XI. Руставели и поэзия грузинского Ренессанса. Мое Хонели и борьба между церковно-книжными и народными источниками поэзии Ренессанса. XII. Руставели и поэзия грузинского Ренессанса. Шавтели. XIII. Руставели и поэзия грузинского Ренессанса. Чакрухадзе. XIV. Мирозозерцание Руставели. XV. Руставели и грузинский Ренессанс. XVI. Руставели и Восточный Ренессанс.

ავტორი სწავლობს რუსთაველის შემოქმედების ქართულ ძირებს მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების და კულტურული მოძრაობის საკითხებთან მიმართებით. განსაკუთრებით ეხება ქართული საეკლესიო და საერო მწიგნობრობისა და პოეზიის ურთიერთობის საკითხებს და ასკენის, რომ მათ შორის ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ ხალხურმა შაირმა როგორც საზომმა პოეზიაში პირველი ადგილი დაიკავა (გვ. 161). რუსთაველმა შეისისხლბორცა თავისში ყველაფერი, რაც კი ქართული რენესანსის პოეზიის განვითარებას ახასიათებდა და თავისი გენით ქართული სახელმწიფოებრიობის საზოგადო-

ეზრივე-ეკონომიური განვითარების პირობებში ეს რენესანსი მაღალ საფეხურზე აიყვანა, რითაც ქართული რენესანსი ვასცადა თავის ნაციონალურ საზღვრებს (გვ. 284). ამიტომ, ავტორის შენიშვნით, მსოფლიო რენესანსის შესწავლა ქართული რენესანსის შესწავლის გარეშე სავსებით შეუძლებელი საქმეა (იქვე).

ავტორი წიგნში აყენებს ქართული პოეტიკის მრავალ საკითხს შაირის საზომის განვითარება-დამკვიდრებასთან დაკავშირებით.

2179. В. М. Жирмунский, Х. Т. Зарифов

Грузинский народный героический

Огонь, Москва, 1947, გვ. 50.

უზბეკი აშულის, სახალხო პოეტის ფაზილის შემოქმედებაზე მსჯელობისას, ავტორები აღნიშნავენ, რომ მისი პოეტური თავისებურებანი როგორც იმპროვიზატორისა, გაუმომლავნდა მის მიერ შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში ვეფხისტყაოსნის თემაზე ორიგინალური ხალხური პოემის „იულბარს ტერინი კიივან პალვონის“ შექმნაშიც. ავტორები დასძენენ, რომ ეს პოემა ფაზილმა შექმნა ტაშკენტში შოთა რუსთაველის საიუბილეო გამოფენის დათვალეირებისა და ვეფხისტყაოსნის შინააარსის გაცნობის შედეგად. მან გალექსა ვეფხისტყაოსნის მისთვის მონაყოლი ამბავი უზბეკური სახალხო დასტანების მხატვრული ტრადიციების მიხედვით (გვ. 50).

2180. Sota Rustaveli

Viteazul in blani de Tigru

Prelnecrare din Limba rusa de vera Roman casa Scoalelor

[წარწერა უკანა ყდაზე]: Iust de Arte grafice „Luceafarul“ S. A. B. Bucuresti—1947.

წიგნს ერთვის წინასიტყვაობა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ (გვ. 9—16) და რუსული ენიდან შესრულებული ვეფხისტყაოსნის პროზაული თარგმანი რუმინულ ენაზე (გვ. 10—189).

ტექსტში ჩართულია რამდენიმე ილუსტრაცია მხატვარ კობულაძისა.

2181. Schota Rustaveli

der Ritter im Tigerfell

წერილი: Eine georgische Dichtung der Frührenaissance, von W. Kopizyx

(Nachdichtung von, Martin Remané)

გაბ. Berlin am Mittag, 1947, den 24. Mai, № 92, გვ. 3;

den 27. Mai, № 93, გვ. 3;

den 23. Juni, № 116, გვ. 4.

№№ 92, 93-ში კოპიცინის წერილია შოთა რუსთაველის შემოქმედების შესახებ, რომელშიც საილუსტრაციოდ ჩართულია ვეფხისტყაოსნის ცალკეული სტროფები.

ვეფხისტყაოსნის ტექსტი მოთავსებულია № 116-ში სათაურით: „Liebes Klage Awtandils“,—რომელსაც ქვეშეაქვს შენიშვნა: „Kapitel XXXIX: „Abfahrt. Awtandils zu Pridon“, Verse 953—970, Nachdichtung von Martin Remané“.

ტექსტი შეიცავს 18 სტროფს. დასაწყისი:

„Warum reisst in ihren Wirbel uns die wirre Welt hinein?—

Soll das Leben, ihr ergeben, stets getrübt von Tränen sein?—

Kaum geboren, schon verloren, droht des Todes bittere Pein.

Doch Erbarmen mit den Armen hat der Götter Huld allein“.

ვეფხისტყაოსანი

წიგნი: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა,
ქუტურამათია საშუალო სკოლის IX კლასისათვის,

შეადგინეს ა. შანიძემ, აღ. ბარამიძემ და ილ. აბულაძემ. ა. შანიძის რედაქციით,
მეცხრე გამოცემა, დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ,
სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1947, გვ. 92—116.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და პოემის გამოკრებილ ადგილებს და ავტორისტულ გამოთქმებს, რომელთაც შინაარსის მიხედვით გაკეთებული აქვთ დასათარუება, მაგ., შაირობა, ქაში ჩაყარდნილი, ვარდი, სნეული ექიმი, გარდასრული ქირი, მოყვარე, კაცის გული, მამაცი, ქირთა თქმა, გონება, გამოდარება. თითოეული ამ თემატური სათაურის ქვეშ მოყვანილია ერთი ან რამდენიმე ამოკრებილი სტროფი.

მთლიანი თავების სახით დაბეჭდილია: ამბავი როსტევეან არაბთა მეფისა, როსტევეან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა, ნახვა არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა, ანდერძი ავთანდილისა როსტევეან მეფისა მიმართ ოდეს გაიპარა, წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი, აღება ქაჯეთის ციხისა და დახსნა ნესტან-დარეჯანისა.

ტექსტს ყოველ გვერდზე სქოლიოებში დართული აქვს არქაულ და ძნელად გასაგებ სიტყვათა განმარტებანი.

2183. სოლომონ ყუბანეიშვილი

ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა
(დოკუმენტები)

კრებ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული
მუზეუმის შრომები, თბილისი, 1947, ტომი I, გვ. 385—392.

ავტორი ზოგადად ენება XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსი მკითხველი საზოგადოების მიერ ვეფხისტყაოსნის გაცნობის ისტორიას, ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეულ გამოცემას, ზიჩის მიერ ვეფხისტყაოსნის დასურათებით გალვივებულ ინტერესს პოემისადმი, იონა მეუნარგიას მიერ ვეფხისტყაოსნის შინაარსის რუსულ თარგმანს და იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩეულის მიერ ვეფხისტყაოსნით ალტაცების გამო ქართველიშვილისა და მეუნარგიას დაჯილდოებას.

ავტორი აქვეყნებს გრიგოლ ლევანის ძე დადიანის ინიციატივით განზარახულ ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნა-გამოცემასთან დაკავშირებულ 1888—89 წლების მასალებს. მათ შორის არის:

1. გრიგოლ დადიანის წერილი ი. ი. ვორონცოვისადმი, რომელშიაც გარკვეულია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა და დასაბუთებულია მისი რუსულად თარგმნა-გამოცემის საჭიროება.

2. ი. ი. ვორონცოვის მიმართვა განათლების მინისტრის ი. დ. დელიანოვისადმი ვეფხისტყაოსნის განზარახული თარგმნა-გამოცემისათვის საჭირო თანხების შოვნისა და ამ საქმის ორგანიზაციის შესახებ.

3. ი. დ. დელიანოვის წერილი პროფ. ალ. ცაგარლისადმი, რომელშიაც სთხოვს თავისი აზრი და შენიშვნები გამოთქვას ამ საქმეზე.

4. ალ. ცაგარლის პასუხი, რომელშიაც ის აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის სიძნელეს და იმ პირობებს, რაც საჭიროა ასეთი საქმისათვის, და მიუთითებს, რომ მხოლოდ მეუნარგია მას ვერ დასძლევს და საჭირო იქნება რაფიელ ერისთავი, ილია ჭავჭავაძე, ქართველი პოეტების რუ-

სულად მთარგმნელი ტბორევესკი და პირადად მისი მონაწილეობა თარგმანის საბოლოო რედაქტირებაში.

5. მინისტრის საბოლოო პასუხი ევრონაციონისადმი, რომელშიაც აღნიშნულია ამ საქმისათვის საკირო თანხების უშოვნელობა.

2184. ა. შანიძე, აღ. ბარამიძე, და ილ. აბულაძე

შოთა რუსთაველი

წიგნი: ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ქრესტომათია საშუალო სკოლის IX კლასისათვის ა. შანიძის რედაქციით, მეცხრე გამოცემა, დატყობილია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1947, გვ. 88—91.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის ამორჩეული ადგილების პუბლიკაციისათვის დართულ წინასიტყვაობას, რომელშიაც ზოგადად დახასიათებულია რუსთაველის პიროვნებისა და მისი პოემის ძირითადი საკითხები. აღნიშნულია რუსთაველის ცხოვრების მთავარი თარიღები, დახასიათებულია ვეფხისტყაოსნის გმირები, მისი მოტივები, სიუჟეტი, და მისი იდეალები.

დასასრულს, მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის ძირითადი გამოცემანი და მთავარი თარგმანები რუსულ თუ სხვა ენებზე.

წინასიტყვაობის ბოლოში ერთვის საგნის ლიტერატურა 24 სახელწოდებით.

2185. მიხეილ ჩიქოვანი

მიჯაჭველი ამირანი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1947, VII+450 გვ.

ხალხური სიტყვიერებისა და მწერლობის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ავტორი ვაკერით თუ სპეციალურად იხსენიებს რუსთაველს შემდეგ გვერდებზე: 5, 7, 82, 92, 143, 210, 215, 216, 259, 268, 422.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ციხიდან ციხეზე გადაღრენას, ერთი მხრის მეორესთან ჰაერის გზით დაკავშირების მითიურ მოტივს კარგად იცნობდა შოთა რუსთაველი“ და მოჰყავს საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან 1339-ე და 1276-ე სტროფები (გვ. 82).

მზის დაბნელების მოტივზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ „ვეშაპი მზეს ჩანთქმისა“-ს მსგავსი „მითოლოგიური საფუძველი აქვს რუსთაველის გამოთქმას: „მზე ვეშაპსა დაბნულა“ (გვ. 143).

ავტორი ეხება „ტარიელის“ ხალხურ ეტიმოლოგიას და იხილავს ტაბუს გამოხატულებას ვეფხისტყაოსნის ხალხურ ვარიანტებში აღენ და ომარეს და ტარიელისა და ავთანდილის გასაუბრების ეპიზოდებთან დაკავშირებით (გვ. 209).

ავტორი ეხება ნესტან დარეჯანის ეტიმოლოგიის საკითხს, მოკლედ გადმოსცემს მის ვითარებას (გვ. 215—216) და აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის სტროფი „ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა“ მიჩნეულია ფსევდო-რუსთაველურად (გვ. 259) და რომ ტარიელიანი წინ უსწრებდა შოთა რუსთაველს (გვ. 268).

2186. სოლომონ ცაიშვილი

იოანე გეგეჭკორისა და კოლნოიკლის იგივეობის შესახებ

კრებ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის შრომები, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, I, თბილისი, 1947, გვ. 109—130.

ავტორს მოჰყავს ტ. რუხაძის ცნობა იოანე გეგეჭკორის მონაწილეობის შესახებ დავით დადიანის ლიტერატურულ სალონში 1843—45 წლებში წარ-

მოებულ ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე გადათარგმნის საქმეში (გვ. 109—110).

ავტორი გაკვირით აღნიშნავს, რომ დავით დადიანის ლიტერატურულ სალონში პოეტ ბარტდონსკის მიერ ნათარგმნი ვეფხისტყაოსნის საუკეთესო ადგილები 1846 წ. გაზეთ „ილუსტრაციების“ № 6 7-ში მოთავსდა (გვ. 118), რომელიც მერე მურავიოვმა თავის ნარკვევში შეიტანა (გვ. 119). ბარტდონსკის დამხმარე ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნაში ყოფილა გ. დადიანი. საერთოდ ავტორს მოაქვს მასალა ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნა-ბეჭდვის შესახებ, ისტორიული შენიშვნები, ამონაწერები და ცალკეულ მკვლევართა მოსაზრებანი.

ავტორი გაკვირით ეხება ვეფხისტყაოსნის თარგმნაში პოეტ ალ. ქავკაიძის მონაწილეობის საკითხს (გვ. 125).

2187. ხოლომონ ცაიშვილი

იონა მეუნარგიას წერილები

კრებ. ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ენოლოგიური მუზეუმის შრომები, ზუგდიდის მუზეუმის გამოცემა, თბილისი, 1947, I, გვ. 131—172.

ავტორი იონა მეუნარგიას კერძო მიწერ-მოწერის მნიშვნელობის გარკვევისას აღნიშნავს, რომ მათში განსაკუთრებით გამოირჩევა წერილები ო. გურამიშვილისა, ნ. ნიკოლაძისა და ივ. მაჩაბლისადმი, სადაც მთელ სხვა ფაქტებთან ერთად, მოცემულია საყურადღებო ცნობები „ვეფხისტყაოსნის გ. ქართველიშვილისეული მდიდარი გამოცემის შესახებ“ (გვ. 132).

ავტორს მოჰყავს მცირე ჩანაწერი ი. მეუნარგიას უბის წიგნიდან, რომელიც მას პარიზში უწარმოებია 1877 წელს. ამ ცნობის მიხედვით ჰიუგო დაინტერესებულა ვეფხისტყაოსნით. ავტორის აზრით, ალბათ ამის შემდეგ დაებადა იონა მეუნარგიას სურვილი ვეფხისტყაოსნის კვლევა-ძიებისა (გვ. 135) და საქართველოში დაბრუნებისთანავე შეუდგა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დასადგენი და გამოსაცემი მუშაობის ორგანიზაციას. ავტორს მოჰყავს ამონაწერები და ცნობები ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიისა, ხელნაწერთა შეგროვებისა და ტექსტის დადგენაზე მუშაობის დაწყების შესახებ (გვ. „დროება“, 1880, № 242, 250), ილია ქავკაიძის სამადლობლო სიტყვა ი. მეუნარგიასადმი ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნის გამო („დროება“, 1884, № 260), ი. მეუნარგიას წერილი ი. მაჩაბლისადმი ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის შესახებ და ი. მაჩაბლის წერილი ვეფხისტყაოსნის გამოცემის მომზადებაზე (გვ. 141).

2188. შოთა ძიძიგური

სიტყვის სესხვა

ჟურნ. მნათობი, 1947, № 7, გვ. 138—139.

ავტორი გამოჩენილ მწერალთა სიტყვის მარაგზე მსჯელობისას ასახელებს რუსთაველს, რომელსაც ვეფხისტყაოსანში გამოყენებული აქვს 45.000 სიტყვა, რომელთაგან 15.200 სხვადასხვა გრამატიკული ფორმითაა გამოყენებული (გვ. 120).

სიტყვის სესხებასთან დაკავშირებით, ავტორი ეხება სინონიმურ პარალელ-ლიზმებში ქართულ-უცხოური სიტყვის ერთად ხმარებას, როდესაც უცხოურს მარტავს ქართული და საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს მაგალითები, მაგ.: „ამილახორო, მოასხი რემა, ჯოგი და ცხენია“ (54), სადაც სპარსულიდან ნასესხებ სიტყვას „რემა“ მარტავს ქართული—„ჯოგი“.

2289. ა. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის ინტერპოლაციათა ხაკიონისათვის

I. ინო-ხატაელთა ამბავი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, 26, სესია 23—24 აპრილს 1948 წ., მოზსუნებათა თეზისები, თბილისი, 1948, გვ. 7—8.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვრცელი ტიპის ხელნაწერებისათვის დამახასიათებელი ეპიზოდი, რომელშიაც მოთხრობილია ტარიელის ინდოეთში დაბრუნება და ხატაელების წინააღმდეგ მეორე ბრძოლის ამბავი, აკლია ვახტანგისეულ გამოცემას. ამ ამბის ზოგიერთი ენობრივ-სტილისტური და მხაერულ-პოეტიკური მონაცემი ადასტურებს იმის უშუალო კავშირს რუსთაველის ტექსტთან, მაგრამ „არსებითს ნაწილში გარკვეულად უპირისპირდება „ვეფხისტყაოსნის“ სინამდვილეს, როგორც იტყურობით, ისე ფორმითა და ზოგჯერ შინაარსობლივი მოტივებითაც კი“. ის წარმოშობილია ვეფხისტყაოსნის ხარვეზიანი რედაქციის აღდგენისა თუ განახლების შედეგად.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ე. წ. უზბეკური ვერსია ჩამოყალიბებულია პოემის რუსული თარგმანების გავრცელების შემდეგ და მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ქართული დედნის საცილობელი რედაქციული საკითხების გადაჭრის თვალსაზრისით.

2290. ალ. ბარამიძე

ნაწიქარი „ვეფხისტყაოსანი“

(მოკლე აღწერილობა)

კრებ. მუხუშისის მოამბე, თბილისი, 1948, ტ. XV—B გვ. 33—36.

წერილი წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის ახალ კოლექციაში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის Q № 859 აღწერილობას, რომელიც სომხეთიდან იყო ჩამოტანილი. აღწერის მიხედვით, ხელნაწერი ვრცელი რედაქციის ტიპისა ყოფილა. დეფექტურია, უთარილო, გადაწერილი ჩანს XVII საუკუნის მეორე ნახევარში. ტექსტს ახასიათებს ა-შეტობა (მაგ. „გაყაროი“, „ქანებოდა“). წაკითხვების მხრივ ეერაა მაღალი ღირსებისა. ხშირია დამახინჯებანი. დასასრულს ავტორი ურთავს ვეფხისტყაოსნის სტროფების შედარებით ცხრილს.

2191. პ. ბერაძე

ლაქტიური ქვზამეტრის გენეზისისათვის

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1948, XXXIII, გვ. 121—132.

ავტორი აღნიშნავს, რომ აურიტმო ექვსტერფიანი დაქტილური ლექსიდან მივიღეთ დაბალი, ანუ გრძელშიარის ლექსი. ეს ლექსი ექვსტერფიანია, დაქტილურია და ამ საზომით არის დაწერილი რუსთაველის პოემის უმეტესი ნაწილი“ (გვ. 127).

2192. იოანე ბატონიშვილი

შოთა რუსთაველისათვის

წიგნში: კალმასობა, ტომი მეორე კ. კველიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამო, თბილისი, 1948, 253 გვ.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის პიროვნებას, რომელმაც მისი სიტყვით:

„ქმნა წიგნი, „ვეფხისტყაოსნად“ წოდებული შიარღ, რომელ ჯერეთ არაეის ქართველ-თაგანსა უმჯობეს მისა უთქვამსთ შაირნი“ (გვ. 184).

2193. დავით ბრეგაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდები აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ლიტერატურაში
კრებ. პედინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1948, ტ. VIII, გვ. 149—174.

ავტორი აღნიშნავს, რომ „აღორძინებისა და გარდამავალი ხანის ქართული მწერლობა ვეფხისტყაოსნის ძლიერი გავლენის ნიშნის ქვეშ ვითარდებოდა“, რაც მრავალმხრივი იყო. ვეფხისტყაოსნიდან სესხულობდნენ ცალკეულ ეპიზოდებს და მოტივებს, ზოგჯერ კი თითქმის მთლიანად იმეორებდნენ მის ადგილებს. ავტორი ხსნის ამ გავლენის მოზეზებს და მიმოიხილავს განსაკუთრებით ქ. ჩოლოყაშვილის, ო. მდივნის, გ. ბაგრატიონისა და პ. ლარაძის იმ თხზულებებს, რომლებშიაც ეს გავლენა უფრო მკვეთრად იგრძნობა.

2194. გ. გამურელიძე

თბილისის უნივერსიტეტი 1913—1948 (მასალები უნივერსიტეტის ისტორიისათვის)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1948, 363 + X გვ.

ავტორი უნივერსიტეტის სისტემაში 1934 წელს ენისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა და ისტორიის ინსტიტუტის დაარსებასა და მის მიზნებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ შემდეგ ის გადაკეთდა ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტად, ეწოდა რუსთაველის სახელი და მასში სხვა სექციებთან ერთად ჩამოყალიბდა რუსთაველის სექცია (გვ. 133). ავტორი ეხება ინსტიტუტის მუშაობას ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დასადგენად, ვეფხისტყაოსნის 1937 წ. გამოცემის განხორციელებას და ვახტანგისეული 1712 წლის ტექსტის აღდგენილ გამოცემას (იქვე).

2195. აკაკი გაწერელია

მასალები ქართული ვერსიფიკაციის კვლევის ისტორიისათვის

ურნ. მებათობი, 1948, № 1, გვ. 116—146; № 3, გვ. 134—159.

ქართული ლექსის კვლევის ისტორიის მიმოხილვაში ავტორი გაკერით ეხება რუსთაველის შაირის გამოყენებისა და შესწავლის ცალკეულ საკითხებს. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართული ლექსის, განსაკუთრებით შაირის საზომის საკითხებზე შეხედულების განვითარებამ განიცადა ე. ბოლხოვიტინოვის ნაშრომის გავლენა. „ე. ბოლხოვიტინოვის შრომას იცნობს ავტორი წერილისა „შოთა რუსთაველი, ქართველი პოეტი“, რომელიც 1833 წელს დაიბეჭდა ურნ. „ტელესკოპ“-ში, თუმცა ვეფხისტყაოსნის საზომის მეტრული სქემა სხვაგვარადაა წარმოდგენილი“ (გვ. 132). ავტორს მოჰყავს ამ შრომიდან ამონაწერი და ასკენის, რომ „ამ სქემის მიხედვით გამოდის თითქოს ვეფხისტყაოსნის საზომი ანაპესტური ტერფებისაგან შესდგება, ხოლო რითმა ვაჟურია“ (იქვე).

ავტორი იხილავს დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას ქართული ლექსწყობის სილაბურობის შესახებ, მოჰყავს ამონაწერი მისი ნაშრომიდან ვეფხისტყაოსნის შაირის სქემით და შენიშნავს, რომ მის მიერ ციტირებული სტროფები ზუსტად ვერ გამოხატავენ რუსთაველის ლექსის ვერსიფიკაციულ თავისებურებებს. ამავე დროს კავშირის ფორმა „და“ ჩუბინაშვილს მახვილის მქონე მარცვლად მიუჩნევია (№ 1, გვ. 146). ავტორი იხილავს გულაგის (№ 3, 136—137), კ. დოდაშვილის (№ 3, გვ. 140), ნ. მარის (№ 3, გვ. 145) მოსაზრებებს რუსთაველის შაირზე და არკვევს ქართული ლექსის სტროფის მეტრული სქემისა (№ 3, გვ. 155—156), სიტყვებისა და ტერფების საზღვრების დამთხვევის საკითხებს (გვ. 158).

პირველად დაიბეჭდა 1940 წელს მოსკოვში ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით (იხ. ანოტაცია № 2013). აღ. ბარამიძე მცირე წინასიტყვაობაში ზოგადად ეხება წიგნის შედგენილობას და მოკლედ ახასიათებს ნაშრომს.

2197. მამია ებრაღიძე

არჩილის ლიტერატურული შეხედულებანი

კრებ. სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1948, II, გვ. 168—202.

ავტორი პოეტის არჩილ მეფის ლიტერატურულ შეხედულებათა განხილვისას აღნიშნავს, რომ ნიუხედავად თაყვანისცემის გრძნობისა, არჩილი რუსთაველს უწუნებდა თემატიკას როგორც „სპარსთა ნაქორს“ (გვ. 175).

ავტორი არჩევს თეიმურაზისა და რუსთაველის გაბაასებას და იმეორებს სათანადო სტროფებს რუსთაველის შეხედულებათა საილუსტრაციოდ. ავტორის შენიშვნით, „არჩილი სავსებით იზიარებს რუსთაველის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით ნამდვილ პოეტად ეპიკური ენარის მელექსე თუ ჩაითვლება მხოლოდ, ამასთან უპირველესად ისეთი, ვისაც „ძალუქს სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა“ (გვ. 184). „ამა თუ იმ პოეტის შეფასებისას არჩილი საზომად რუსთაველს იყენებს“ (იქვე).

ავტორის შენიშვნით, „ვეშარიტად სამართლიანია არჩილის მსჯავრი ვეფხისტყაოსნის შემავსებელ ნაწილს მიმართ“ და მოჰყავს სათანადო ციტატი (გვ. 186). არჩილი რუსთაველს აძლევს უპირატესობას თეიმურაზთან შედარებით (გვ. 190). დასასრულს ავტორი ახასიათებს არჩილის შეხედულებას რუსთაველზე სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (გვ. 193—199).

2198. ვ. თავნიშვილი

ქალთა აღზრდის შინაარსი და ყოუქცევის წესები

წიგნში: სახალხო განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების ისტორია

საქართველოში, თბილისი, 1948, II, 218 გვ.

ავტორი მე-19 საუკუნეში წერა-კითხვის გავრცელების საქმეში ქართველ ქალთა ინიციატივაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ მათ უკიდურესად აკონდათ შენარჩუნებული ინიციატივა და „მათ მზითვეს ძეგლებურად ამკობდა ხელნაწერი თუ ბეჭდური „ვეფხისტყაოსანი“. ამასთან დაკავშირებით ავტორს სქოლიოში მოჰყავს აკაკი წერეთლის ნაშრომიდან „სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე“ ამონაწერი ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანების ტრადიციის არსებობის შესახებ საქართველოში.

2199. [სოლომონ იორდანიშვილი]

ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი

ტექსტი გამოსაცემად დამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო ს. იორდანიშვილმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული

ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1948, IV + 104 გვ.

წიგნს წინ უძღვის წინასიტყვაობა ს. იორდანიშვილის ხელმოწერით (გვ. III—IV), რომელშიაც ავტორი მოკლედ ეხება რუსთაველის 750 წლისთავის საიუბილეოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის წარმოებულ მუშაობას, ხელნაწერთა შეჯერების შედეგად ტექსტის დამდგენი კომისიის. შიერ ვეფხისტყაოსნის ჩანართ-დანართი სტროფების გამოყოფასა და მათ დადგენას გარკვეულ მოსაზრებათა საფუძველზე. ავტორი უთითებს იმ წესს,

რომლისთაჲ ჩანართ-დანართი სტროფებია დაბეჭდილი დადგენილ ტექსტთან შიშართებთი და წიგნის აპარატურას, წინასიტყვაობას მისდევს ჩანართ-დანართი სტროფების ტექსტი (გვ. 1—96), რომელიც შეიცავს 765 სტროფს, სტროფების ამ სათვალავს პარალელურად მისდევს დადგენილი ტექსტის მიხედვით ვეფხისტყაოსნის იმ სტროფების მაჩვენებელი, სადაც ჩანართ-დანართი სტროფებია მოთავსებული ვრცელ ხელნაწერებში; მომყავს ჩანართ-დანართი სტროფების დასათაურება სტროფთა რაოდენობის აღნიშვნით:

1. დასაწყისი 1—9 სტროფი.
2. ამბავი როსტევან არაბთა მეფისა 10—35.
3. როსტევან მეფისაგან და აეთანდილისაგან ნადირობა 36—43.
4. ნახე არაბთა მეფისაგან მის ყმისა ვეფხისტყაოსნისა 44—68.
5. თინათინისაგან აეთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად 69—86.
6. აეთანდილისაგან მის ყმის ძებნად წასვლა 87—108.
7. ამბავი აეთანდილისა რომ ეუბნების ქვაბშიგან 108—123.
8. შეყრა ტარიელისა და აეთანდილისა 124—127.
9. ტარიელისაგან ამბის მბოზა აეთანდილთან 128—151.
10. ამბავი ტარიელის გამარჯვებისა 152—162.
11. წიგნი ნესტან დარეჯანისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი 163—166.
12. წიგნი ტარიელისა ხატელთა თანა 167.
13. წიგნი ხატელთა მეფისა ტარიელს წინაშე მოწერილი პასუხად 168.
14. ტარიელისა და ნესტანდარეჯანის პირისპირა შეყრა 169, 171.
15. ტარიელისაგან ხატეთს წასვლა და დიდი ომი 172, 179.
16. ტარიელის ტირილი და დაბნედა 180—183.
17. რჩევა ნესტანდარეჯანის გათხოვებისა 184—185.
18. ტარიელისა და ნესტანდარეჯანის თათბირი და გამორჩევა 186, 187.
19. ჭეარახშვას შეილის ინდოეთს მოსვლა საქორწილოდ და ტარიელისაგან მისი მოკლა
188—189.
20. ამბის ცნობა ტარიელისაგან ნესტან დარეჯანის დაკარგვისა 190—194.
21. ამბავი ნურადინ ფრიდონისა ოდეს ტარიელ შეეყარა 195—196.
22. ფრიდონისაგან ნესტანდარეჯანის ამბის მბოზა 197—206.
23. ამბავი აეთანდილის არაბეთს შექცევისა 207—220.
24. დათხოვნა აეთანდილისა როსტევან მეფესთანა და ეპიროსის საუბარი 221—227.
25. აეთანდილისაგან შერმადინის საუბარი 228, 229.
26. ანდერძი აეთანდილისა როსტევან მეფის წინაშე 230—232.
27. ლოცვა აეთანდილისა 233.
28. ცნობა როსტევან მეფისაგან აეთანდილის გაპარვისა 234.
29. წასვლა აეთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ 235, 236.
30. პოვნა აეთანდილისაგან დაბნედილის ტარიელისა 237, 238.
31. ტარიელისაგან და აეთანდილისაგან ქვაბს მისვლა და ასმათის ნახვა 239.
32. წასვლა აეთანდილისაგან ფრიდონისას 240, 241.
33. მისვლა აეთანდილისაგან ფრიდონისას 242—248.
34. წიგნი აეთანდილისა ფატმანთანა 249—251.
35. ფატმანისაგან ნესტანდარეჯანის ამბის მბოზა 252—258.
36. ამბავი ნესტანდარეჯანის ქაჯთაგან შეპყრობისა და ფატმანისაგან მბოზა აეთანდილ-
თან 259—265.
37. წიგნი ფატმანისა ნესტანდარეჯანთანა 266.
38. წიგნი ნესტანდარეჯანისა საყვარელთანა 267—269.
39. წიგნი აეთანდილისა ფრიდონთანა 270.
40. წასვლა აეთანდილისა გულანშაროთ და ტარიელის შეყრა 271—274.
41. ტარიელისა და აეთანდილის წასვლა ფრიდონისასა 275, 276.
42. თათბირი ტარიელისა 277—279.
43. ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისვლა 280—282.
44. სამთავარზე ქვაბსა მისვლა და მუნით არაბეთს წასვლა 283—289.
45. ქორწილი აეთანდილისა და თინათინისა არაბთ მეფისაგან 290—325.

46. ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა 326—328.
47. ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და მატკელთ დამორჩილება 329—336.
48. კორწილი ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა 337.
49. აქა ტარიელის დანაწევლება და შურაზმში მეფისაგან სოსხლის ძებნად მისვლა ინდოეთს 338—372.
50. გამარჯვება ზურაბზემ ზღაპრითაგან ინდუსტრის ლაშქართ ზედა 373—377.
51. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილთანა და ფრიდონთანა 378—402.
52. მოსულა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის შველად 403—420.
53. ავთანდილისაგან და ფრიდონისაგან წასვლა და ზურაბზემელთა ომი 421—451.
54. აქა ომი ზურაბზემელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა 452—605.
55. აქა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შვილსთანა 606—622.
56. ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიყვალბოდა მის ვაჟისა ნათქვამი 623—656.
57. აქა კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა 657—661.
58. აქ კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტანდარეჯანისა, ტფილელის იოსების ნათქვამი 662—701.
59. ანდერძი ავთანდილისა რომელ თქვა ვაჟსა, სიკვდილისასა, ნანუჩას ჩამატებული მას უკან 702—717.
60. კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ვაჟსა სიკვდილისასა, ტფილელის იოსების ნათქვამი 718—749.
61. აქა ფრიდონისაგან ორჯანვე მისვლა და ტირილი 750—765.

ჩანართ-დანართების პირველი სტროფი:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ საარსულად.
 უხეზობა ვეფხისტყაოსნობით, არსხა შეიქმნ ხორცს არ სულად.
 საეროა, ან ახსენებს საშეძასა, ერთ-არსულად.
 თუ უფურა მონაზონიან შეიქმნების გააპარსულად“ (სტროფი 1-ა).

ჩანართ-დანართების დასასრული სტროფი:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უკია ხონელსა,
 აბდულ-მესია შავოელსა, ლექსი მას უკეს რომელსა.
 ღლიარგეთ სარგის ამოვევლასა, მას ენა დაუშრომელსა,
 ტარიელ მისსა რუსთაფელსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა“ (765—1669¹):

ჩანართ-დანართების ტექსტს ბოლოში ერთვის: „ვეფხისტყაოსნის ხელ-ნაწერები სამუზეუმო ფონდისა და ნომრის ჩვენებით“ (გვ. 87) და „ჩანართ-დანართების საჩვენებელი“ (გვ. 89—104).

შეშობ. აკად. კორნელო კეკელიძე

რუსთაველისა და ქართული რენესანსის საკითხისათვის

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, 20 ივნისი, № 24 (217), გვ. 3—4.

ერცელი საღისეკუსიო წერილი წარმოადგენს მოხსენების სახით წაკითხულ კრიტიკულ შენიშვნებს პროფ. შალვა ნუცუბიძის წიგნზე: «Руставели и Восточный Ренессанс».

ავტორი აღნიშნავს, რომ პროფ. შ. ნუცუბიძის ცდა ვეფხისტყაოსანში „აღმოაჩინოს მთელი სისტემა არეომაგიტიკების და პეტრიწის წარმართულ-ერეტიკული შეხედულებებისა“ „...აგებულია პოემის ტექსტის ყალბ გაგებასა და ინტერპრეტაციაზე“ და მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან იმის დასამტკიცებლად, რომ სწორად არაა გაგებული შ. ნუცუბიძის თარგმანში ვეფხისტყაოსნის სტროფები (მაგ., 1525, 239, 259).

„ვეფხისტყაოსნისა“ და „თაშარიანის“ ურთიერთობისათვის

კრებ. პედინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1948, ტ. VIII, გვ. 175—197.

ავტორი აყენებს თამარიანისა და ვეფხისტყაოსნის ურთიერთგავლენისა და მათი დაწერის თარიღთა საკითხს და ცდილობს დაასაბუთოს, რომ თამარიანში იგრძნობა ვეფხისტყაოსნის ანარეკლი. თამარიანის ზოგ სტროფში, ავტორის აზრით, თამარი გარდაცვალებული მოჩანს. ცდილობს გაასწოროს მეცხრე ოდის ზოგი ადგილის მარისეული წაკითხვა და ექვი შეაქვს, რომ შეთორმეტე ოდა ერთი მთლიანი თხზულება იყოს.

ავტორის დასკვნით, თამარიანის დაწერა 1215 წელზე ადრე დამთავრებულად ვერ ჩაითვლება, რამდენადაც გარნიის ბრძოლაზე მითითება ამ თარიღს უფრო გვიახლოვებს. ვეფხისტყაოსანი 1210—1212 წლებში დამთავრებული ჩანს და ვეფხისტყაოსნისა და თამარიანის ავტორები ეკუთვნოდნენ რაერთ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ წრეს, შესაძლოა წერის პროცესში ერთმანეთის თხზულებებს ეცნობოდნენ და ერთმანეთზე გავლენასაც ახდენდნენ. დასასრულ მისი შენიშვნანი ჩახრუხაძე თვით რუსთაველს უნდა იმორწმუნებდეს.

2202. В. А. Миханкова

О работе кабинета Н. Я. Марра в 1945 г.

(Доклад, прочитанный в январе 1946 г. на заседании пленума ЛОИИМК, посвященном памяти Н. Я. Марра)

კრებ. Академия Наук СССР, Краткие сообщения института истории материальной культуры имени Н. Я. Марра, Москва—Ленинград, 1948, вып. XIX, გვ. 22—26.

ავტორი ნ. მარის დაუბრუნებელ შრომების გამოსაცემად მომზადებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ მათთან ახლო კავშირი აქვს ნ. მარის ნაშრომს: „Грузинская поэма «Витязь в барсовой шкуре» и новая культурно-историческая проблема“ (ИАН, 1917, стр. 415—446, 475—506) (გვ. 22).

ავტორი ახასიათებს მარის კაბინეტში ხელნაწერის სახით დაცულ შრომას (А 32) „Кавказская поэзия и ее технические основы—доклад в Восточном отделении Русского археологического общества 5 февраля 1919 г.“ ავტორი აღნიშნავს მარის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ:

«В поэме Руставели по форме, по внешности, все—страля, люди, географические и этнические термины, вся материальная обстановка—не только не грузинские, но и не кавказские. настолько, что исследователь склоняется к признанию поэмы заимствованной. Между тем в части отношений героев, их психологии, мыслей, чувств, поэма так тесно связана с определенной общественной средой, что если бы—пишет Н. Я., «речь шла о приурочении поэмы за неизвестностью имени автора к определенному краю, той или общественно-культурной среде не могли бы указать, как Кавказ», как Грузия определенной эпохи.

В этой народности поэмы—причина привязанности к ней не только образованных грузин, но и народных масс. Высокий подъем средневековой кавказской культуры как одного из течений общечеловеческой культуры, насколько она проявилась у грузин в поэме Руставели... была бы нереальна и ирреальна, если бы корни ее не шли в местную среду, в местные очаги устной литературы...» (გვ. 25).

მარის აზრით, შუასაუკუნეთა კავკასიის კულტურის განვითარება, როგორც საერთო საკაცობრიო კულტურის ერთ-ერთი დინებისა, რომელიც რუსთაველის პოემაში გამოისახა, გაუგებარი და არარეალური იქნებოდა, მისი ძირები, რომ ადგილობრივ კერებში, ხალხურ შემოქმედებაში არ მიდიოდეს (იქვე). მეათე საუკუნის ქართული საგალობლებისა და რუსთაველური საზომის ლექსი ხალხურია წარმოშობით (გვ. 26).

2203. Shot'a Rust'aveli

The testament of Avt'andil to king Rostevan when he stole away

Translated by Venera Urushadze

კრებ. Anthology of Georgian poetry, State publishing house, Tbilisi, 1948, 192 გვ.

წიგნს ერთვის ვენერა ურუშაძის მოკლე წინასიტყვაობა „Preface“ (გვ. 9) და „Introduction“ (გვ. 11—24) უაქტოროდ, რომლებშიაც ზოგადად დახასიათებულია ვეფხისტყაოსანი და აღნიშნულია მისი მნიშვნელობა (გვ. 12—13). ბოლოში ერთვის „Biographical and notes“ (გვ. 179—190), რომელშიც მოიპოვება შენიშვნა „Shot'a Rust'aveli“ (გვ. 179) რუსთაველის დახასიათებით და მასთან ქართული მწერლობის დამოკიდებულების მოკლე განსაზღვრით.

ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანის ტექსტს სტროფული სათვალავი არა აქვს. შეიცავს რამდენიმე თავს:

1. „The testament of Avt'andil to king Rostevan when he stole away“ (გვ. 27—29). შეიცავს 20 სტროფს.
2. „Of the going of Avt'andil to P'ridon's when he met him at Mulghazanzar“ (გვ. 30—32). შეიცავს 18 სტროფს.
3. „The letter written by Nestan-Darejan to her beloved“ (გვ. 33—35). შეიცავს 26 სტროფს.

პირველი თავის დასაწყისი სტროფი:

„He sat to write the will inditing: „King, in quest of him I go:
I steal away to seek the knight who makes our hearts with wonder glow,
The kindler of my bosom's fires, to be away from him is woe.
Be merciful to me as God, and let thy blessings o'er me flow“ (გვ. 27).

2204. [უცნობი ავტორი]

თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნთსაცავის კატალოგი

დაამუშაა გამოსაცემად, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ს. იორდანიშვილმა, კარლ მარკსის სახელობის ხაქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1948, VIII+92 გვ.

შეიცავს ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის აღწერასთან დაკავშირებით შოთა რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიას და მისი შემოქმედების დახასიათებას სათაურით: „წიგნი პოემა, რომელ არიან ლექსნი, ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 38, № 175). იქვე, გვ. 45, № 213: „ვეფხისტყაოსნის სტიხების რომელთაზე ლექსების განმარტება მეფის ძის თეიმურაზის შიერ“.

იქვე შენიშვნებში გვ. 46, მითითება № 175-ზე:

„ვეფხისტყაოსანი რუსულად ასე უნდა ითქვას Барсовой кожей“.

2205. ქრისტინე შარაშიძე

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა]

წიგნი: ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კონსული კველიძის საერთო რედაქციით, შედგენილია და დასაბუქდალ დაზადებული ქრისტინე შარაშიძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948, ტომი III, 522 გვ.

ტექსტი შეიცავს: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას შემდეგ ნომრებზე: 1079 (1823 წ.), 1090 (XIX ს.), 1128 (XIX ს.), 1290 (ცალკეული სტროფებია), 1179 (ვეფხისტყაოსნის 1841 წ. გამოცემის ბროსესეული წინასიტყვაობის ასლი). აგრეთვე მითითებას შოთა რუსთაველზე №№ 1280, 1282: გვ. 83 (შენ.).

„ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიების გამო

გახ. სახალხო განათლება, 1948, 27 მაისი, № 22, გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს პოეტ კ. ქიქინაძის მიერ 1938 წ. ქურნ. „მნათობში“ № 10 უზბეკურ ენაზე სახალხო მომღერლის ფაზილ იულდაშევის თქმით ჩაწერილი შოთა რუსთაველის პოემის ზეპირსიტყვიერებითი ვერსიის ქართული თარგმანის დაბეჭდვას უზბეკურ ზღაპართან ერთად. ავტორი იხილავს კ. ქიქინაძის შეხედულებას ამ საკითხზე და სევამს კითხვას: „საიდან მომდინარეობს ფაზილ იულდაშევის პოემა-ზღაპარი? როდის შეიქმნა და რა კავშირი აქვს მას რუსთაველის თხზულებასთან? და აღნიშნავს, რომ კ. ქიქინაძემ უზბეკურ ვერსიაზე დაყრდნობით ინდო-ხატაელთა ამბის რუსთველურობა ექვემდებარება აღიარა. ავტორი ამასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევის შედეგად ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის იულდაშევისეული ვერსია შექმნილია მწიგნობრული გზით შოთა რუსთაველის 1937 წლის იუბილეს დღეებში“ და მოჰყავს დასამტკიცებლად ამონაწერი თირმუნსკის წერილიდან (უზბეკური ხალხური გმირული ეპოსი, 1947, გვ. 50) იულდაშევის შემოქმედების დასახსნათებლად, საიდანაც ირკვევა, რომ იულდაშევისათვის უამბიათ ვეფხისტყაოსნის შინაარსი, მას კი ის თავისებურად უზბეკური პოეზიის მიხედვით გაულექსია.

2207. სიმონ ჩიქოვანი

ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1948, 23 მაისი, № 20 (213), გვ. 2—3.

სტატია წარმოადგენს მოხსენებას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმზე. ავტორი ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურის მცოდნეობის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ უმართებულოდ და ცალმხრივადაა შეფასებული აკად. კ. კეკელიძის ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ქართული მწერლობის წარმოშობის, კერძოდ კი შოთა რუსთაველის შემოქმედების ძირითადი საკითხების გაგებაში. ამასთან დაკავშირებით ავტორი ილაშქრებს უცხოურ კულტურათა გავლენით ქართული კულტურის წარმოშობის ახსნის წინააღმდეგ და ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, როგორც ქართული კულტურის ორგანულ მოვლენას. ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველის პოემა ქართული ხალხურობიდან და ქართული ხალხის ბუნებისა და პოეტური აზროვნებიდან არის ამოზრდილი. რუსთაველის პოეზიაში ცალკეული სტრიქონების მიხედვით სპარსელი პოეტების გავლენის ძებნა დიდი შეცდომაა. შოთა რუსთაველი თავისი ოპტიმისტური პოეტური სამყაროთი, მკაფიოდ გამოკვეთილი ხასიათებით და ზუსტად ჩამოსხმული ლიტერატურული ფორმით გარკვევით უპირისპირდება აღმოსავლური პოეზიის შედეგებს“. „რუსთაველის პოემაში უარყოფილია სპარსელი პოეტებისათვის დამახასიათებელი მისტიციზმი და ზედმეტი მგრძნობელობით გამოწვეული პესიმიზმი. შოთა რუსთაველის მიერ დაგმობილია ცხოვრებიდან განდგომის და სასოწარკვეთილების განწყობილება“.

დასასრულს, ავტორი რუსთაველის ეროვნულობისა, პროგრესულობისა და თავისებურებების დახასიათებისას შენიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის პოეტური ენა თავისი ხალხურობით და ბუნებრივობით სრულიად ახალი საფეხურია“, „რუსთაველმა თავის დროზე მოახდინა დიდი პოეტური რეფორმა და სალიტერატურო ენა ხალხურ ენას დაუახლოვა“.

2208. გ. ჩხიკვაძე

ქართული სალხის უკველესი სამუსიკო კულტურა

საქართველოს სსრ მუსიკალური ფონდი, თბილისი, 1948, 42 გვ.

ავტორი სიტყვა „მღერა“-ს და „თამაშის“ მნიშვნელობის გარკვევისას ძველ ქართულში, სათანადო მაგალითების მოყვანით იმოწმებს ვეფხისტყაოსანს (გვ. 17—18).

2209. დ. ჯანელიძე

ქართული თეატრის სალხური საწესისებო

საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმი, სახელგამი, თბილისი, 1948, წიგნი პირველი, 570 გვ.

ავტორი ქართული კულტურისა და მწერლობის საკითხებზე მსჯელობისას გაკვირვებით ეხება რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს (გვ. 16, 222, 223, 225, 226, 228, 423).

ქართული ხელოვნების ძეგლებში გილგამეშის ეპოსის განსახიერების კვალის გამოხატულებასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ ლომთან შებმის „უძველესი შოტივი ჯერ კიდევ შთამაგონებელი იყო რუსთაველისათვის (ვეფხისტყაოსან რაინდის ლომთან და ვეფხთან შებმა)“ (გვ. 16).

ავტორს სახიობის ტრადიციებზე მსჯელობისას საილუსტრაციოდ ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს სათანადო თქმები (გვ. 222) და შენიშნავს, რომ რუსთაველი „მგოსანთა და მუშაითთა შემოქმედებაში თამაშობას დიდ როლს აკუთვნებდა“, რისთვისაც ახდენს 119-ე სტროფის ციტაციას“ (გვ. 223).

ავტორი არჩევს რუსთაველის შეხედულებას შაირობაზე, მოჰყავს სათანადო ციტატები და შენიშნავს, რომ „რუსთაველით შაირობა მარტო ლექსის წერას არ გულისხმობს. მოშაირე ლექსის გამომთქმელიც იყო და მისი მხატვრულად წარმომთქმელიც“ (გვ. 225) და აღნიშნავს, რომ „შაირობაში მთბველისა და შემსრულებლის ოსტატობა იყო გაერთიანებული“ (იქვე). „რუსთაველს სამღერელი (სათამაშო) მელექსეობა „შაირობის“ ერთ-ერთ სახეობად მიიჩნდა“ (გვ. 226). „რუსთაველი ცალკე გამოყოფდა „სამღერელ“, ე. ი. სათამაშო შაირობას“ (გვ. 228).

ცხოველის ტყავის ადამიანისათვის სიმბოლურ მნიშვნელობაზე მსჯელობისას ავტორი უთითებს ტარიელის მიერ ვეფხისტყაოსნის ტარების ფაქტს და მისივე აღიარებას, რომ ვეფხისტყაოსნის ნესტანის სახის გამომხატველად ვატარებო და მოჰყავს სტროფი 657:

„რომე ვეფხი შენიერი სახედ მიხად დამისახავს,

ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომანახავს“ (გვ. 423).

1949

2210. ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონი

2. გა[ნ]ქიქება

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1947, XXX ბ., გვ. 295—301.

ავტორი მარტავს ვეფხისტყაოსნის 19-ე სტროფის სიტყვას „გამიქიქია“-ს ნ. მარის, ი. აბულაძისა და პ. ინგოროყვას განმარტებათაგან განსხვავებით. ავტორის აზრით, ეს სიტყვა ნიშნავს არა გაწბილებას, არამედ გაცხადებას.

დასასრულს, ავტორი ეხება „გამიქიქიას“ ძირის „ქიქ“ ეტიმოლოგიას.

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის

ინდო-ხატაელთა ამბავი

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1949, ტ. V, გვ. 134—174.

ავტორი ვეფხისტყაოსნის ბუნებრივი დაბოლოების საკითხთან დაკავშირებით, იკვლევს ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა ამბების რუსთაველისათვის კუთვნილებას. გაგრძელებათა ამბებში, რომელნიც ვრცელი ტიპის ხელნაწერებშია მოცემული, ავტორი აღნიშნავს სამ ძირითად ამბავს—ინდო-ხატაელთა ამბავს, ხვარაზმელთა ამბავს და ვეფხისტყაოსნის მთავარ გმირთა სიკვდილის ამბავს. ავტორის აზრით, ვახტანგის გამოცემამდის იცნობდნენ პოემის ვრცელ რედაქციას, რომელშიც მოიპოვებოდა გაგრძელებანი და მათი ავტორები ცნობილნი იყვნენ ლიტერატურული საზოგადოებისათვის. ვეფხისტყაოსნისათვის დაბოლოებათა თხზვა გრძელდებოდა ვახტანგის გამოცემის შემდეგაც, თვით XIX საუკუნის ორმოციან წლებამდე. ცნობილია დამატებათა ავტორები—ნანუზა ციციშვილი, ვინმე მესხი მელექსე, იოსებ ტფილელი, გიორგი თუმანიშვილი და სხვ.

ავტორი არჩევს ორი ტიპის გაგრძელებებს—ერთნი მიზნად ისახავენ რუსთაველი შეავსონ, მეორენი მიზნად ისახავენ პოემის შიგნიდან გაყალბებას (გვ. 137).

ავტორი შენიშნავს, რომ ვახტანგისეული ტექსტი, რომელიც კრიტიკულ გამოცემას წარმოადგენს, თავისთავად ხასიათდება ხარვეზებით. მას აკლია არა მხოლოდ სტროფები ტექსტის შიგნით, რისი მაგალითებიც მოჰყავს (გვ. 138—143) და რომელნიც, ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის უქვეყლ კუთვნილებას წარმოადგენენ (გვ. 143), არამედ ტექსტს აკლია ბუნებრივი დაბოლოებაც მთელი ამბის სახით, რომლის არსებობა იგულისხმება პოემის სიუჟეტის განვითარებითა და ამბების ლოგიკური მიმდინარეობით. ამ აზრის დასაბუთებისათვის ავტორი მიმოიხილავს ჩანართთა გაჩენის პირობებს, სწავლობს პოემის დაბოლოებას სიტუაციის, ეპიზოდების, ჟრთიერთობის, გმირთა დამოკიდებულებისა და ამბების მიმდინარეობის თვალსაზრისით და ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის გმირთა არაბეთიდან გამგზავრებასა და ტარიელის ინდოეთში გახელმწიფების ამბავს ვახტანგისეული რედაქციით ემჩნევა სიუჟეტური ხარვეზი“ (გვ. 150). ვახტანგის გამოცემას კარგად ეტყობა რედაქციული მუშაობის კვალი შეკვეცის სახით (გვ. 153).

დაბოლოების საკითხის შესწავლის შედეგად, ავტორი ასკვნის, რომ „ინდო-ხატაელთა ეპიზოდი ბუნებრივი რგოლია ვეფხისტყაოსნის სიუჟეტური მწყობრისა“ (გვ. 153). „შინაარსობლივად ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსნის არა თუ ბუნებრივი ნაწილია, არამედ ის პოემისათვის აუცილებელია, მოტივურად ნაგულსხმეგია წინა ეპიზოდებით და საერთო მწყობრიდან გამოურჩეულია“ (გვ. 154), „ინდო-ხატაელთა ეპიზოდს ახასიათებს ვეფხისტყაოსნის მხატვრული აზროვნებისა და მხატვრული მეტყველების ნიშანდობლივი თვისებები“ (გვ. 155).

ავტორი ამასთან დაკავშირებით ეხება ცალკეული სტროფების (1543—1545) ინდო-ხატაელთა ამბისთვის კუთვნილების საკითხს (გვ. 159—166) და აღნიშნავს რიგ ანალოგიებსა და განსხვავებებს. ავტორი ასკვნის, რომ „ინდო-ხატაელთა ამბის ავტორს აუღია ვეფხისტყაოსნიდან კარგად ცნობილი ეპიზოდი ტარიელისა და რამაზის ბრძოლისა და ის ხელმეორედ გადაუმუშავე-

შია ინტერპოლაციური წესის კვალობაზე“ (გვ. 167). „ინდო-ხატაელთა ამბავი თუმცა საერთოდ ვეფხისტყაოსნის კუთვნილებას შეადგენს, ის არ შეიძლება მიეწეროს ამ პოემის გენიალური პირველმთქმელის კალამს“ (გვ. 169). საბოლოოდ ავტორი ასკვნის, რომ თუმცა ეს ამბავი პოემას ეკუთვნის, მაგრამ თვით ტექსტი რუსთაველისა არ არის, მიუხედავად ამისა, ის უნდა შევიდეს ვეფხისტყაოსანში (გვ. 170).

ვეფხისტყაოსნის დაბოლოების საკითხთან დაკავშირებით ავტორი ეხება კ. ჭიქინაძის მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის უზბეკური ვერსიების შესახებ და ასაბუთებს მისი დასკვნების მკლარობას უზბეკური ვერსიების წარმოშობისა და მნიშვნელობის შესახებ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის (გვ. 170—173).

2212. Фео́дор Бе́гишвили

Венхис Тқасანი

წიგნში: *История древнегрузинской литературы V—XII вв.*

Министерство просвещения Грузинской ССР, издательство научно-методического кабинета, Тбилиси, 1949, 239 გვ.

ქვესათაურები: *Общее значение поэмы. Содержание поэмы. Основные мотивы и действующие лица поэмы Руставели. Личность Руставели. Поэтические особенности поэмы. Популярность поэмы Руставели* (გვ. 153—216).

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოპულარობას, დიდობას, მის ლიტერატურულ მნიშვნელობას და მოჰყავს პოემის შინაარსი. ეხება ვეფხისტყაოსნის ძირითად მოტივებს და შენიშნავს, რომ ის, რაც რუსთაველმა პოემის პროლოგში დასაბა, როგორც პროგრამა, თვითონვე განასახიერა პოემის შინაარსში.

ავტორი პოემის მთავარ გმირთა დახასიათებისა და მათ თავისებურებათა აღნიშვნისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუსთაველის მიზანია ადამიანის განზოგადებული ტიპის — რეალური სახის მოცემა. ამასთან ერთად, ავტორი ახასიათებს თვით რუსთაველის პიროვნებას, მის მსოფლმხედველობას და ასკვნის, რომ ის საესებით თავისუფალია მისტიციზმისა და მეტაფიზიკისაგან და კეშმარიტ ჰუმანისტს წარმოადგენს.

დასასრულს, ავტორი ეხება რუსთაველის მხატვრულ თავისებურებებს, მისი პოეტიკის საკითხებს — ლექსთწყობას, პოეტურ სახეებს, აფორიზმებს და აღნიშნავს მისი მხატვრობის სიმდიდრეს, რაც ვეფხისტყაოსნის სიდიადის, უკვდავებისა და ხალხურობის საფუძველს წარმოადგენს.

ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების საილუსტრაციოდ ავტორი იყენებს შ. ნუცუბიძის თარგმანს. ბოლოს დასახელებულია სპეციალური რუსთაველოლოგიური ლიტერატურა ქართულ და რუსულ ენებზე მცირე ბიბლიოგრაფიული ცნობებით.

2213. П. А. Бердззе

Грузинские истоки зреческою дактилическою гексаметра

Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени доктора филологических наук, Тбилисский государственный университет имени Сталина. На правах рукописи, Тбилиси, 1949, 20 გვ.

დაქტილური ჰეგზამეტრის საზომის განხილვისას ავტორი შენიშნავს: „Ведущую роль отводит этому размеру и Руставели. Он впервые выдвигает на передний план наиболее народный размер длинного шаяри, который есть не что иное, как дактилический гексаметр...“ (გვ. 18). ავტორი ამასთან

შენიშნავს, რომ გრძელი შაირი, რომელიც უძველესი წარმართული თქმულე-ბების ძირითად საზომად ითვლებოდა, ქრისტიანობის მიერ უგულვებელყოფილი იყო და რუსთაველის გენიალობა ის იყო, რომ მან ის გამოიყენაო (იქვე)-
 ავტორის გამოთვლით ვეფხისტყაოსნის 906 სტროფი დაწერილია დაქტი-
 ლური ჰეგზამეტრით—გრძელი შაირით, დაქტილური დიქორიული ტეტრაამეტ-
 რით—შაირით კი 762 სტროფი (იქვე). რუსთაველთან ნათლად იჩენს თავს.
 ქართული ლექსისათვის დამახასიათებელი თვისება—დაქტილური ტერფისა
 და დაქტილური სიტყვის თანხედნილობისა (გვ. 19). ავტორს დაქტილუ-
 რი სიტყვებით შედგენილი სტროფის ნიმუშად ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს.
 ადგილი:

„ახალმან უფქმან დათოვა, ვარდი დაორთილა, დანასა,
 შონდის გულზე დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა“.

ავტორი ამასთან ასკვნის: „В этих стихах каждое слово предст-
 авляет собой отдельную стопу; тем не менее, стихи эти ни в какой мере
 не уступают другим стихам того же автора, или же любому другому сти-
 ху грузинского гексаметра“ (იქვე).

2214. დავით გამეზარდაშვილი

გიორგი ერისთავი

ცხოვრება და მოღვაწეობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის
 სერია, თბილისი, 1949, 206 გვ.

ავტორი აღნიშნავს, რომ „გ. ერისთავის ლიტერატურულ მოღვაწეობას-
 40-იან წლებში მნიშვნელოვანს ხდის მისი ღვაწლი ვეფხისტყაოსნის უცხოე-
 ლებისათვის გაცნობის საქმეში“. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება პოე-
 მის პოლონურ ენაზე პირველი თარგმანის ისტორიას. ავტორის სიტყვით:
 გ. ერისთავს პოლონურ ენაზე კაზიმირ ლაფჩინსკისთან ერთად პროზით უთარ-
 გმნია ვეფხისტყაოსანი მთლიანად (გვ. 30). ავტორი ეხება ამ თარგმანზე მუ-
 შაობის პირობებს, მის შესახებ ტურნ. „ცისკარში“ (1870 წელი, № VI) მოთა-
 ვებულ წერილს და მოკლედ გადმოცემს მის შინაარსს, იქიდანვე ამონაწე-
 რების დართვით (გვ. 31).

ავტორი იმოწმებს ნ. გულაქის ცნობას ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგ-
 მანის 1863 წელს ტურნ. „Biblioteka Warszawska“-ში დაბეჭდვის შესახებ“
 (გვ. 32) და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანი პოლონურ ენაზე
 ნათარგმნია 1841—44 წლებში (გვ. 33). ავტორს მოჰყავს დავით გიორგისძე.
 ერისთავის კერძო წერილის ამონაწერი, რომლის მიხედვით ცხადი ხდება,
 რომ ლაფჩინსკის ვეფხისტყაოსანი, მართლაც, გიორგი ერისთავმა უთარგმნა-
 (იქვე). ავტორის საბოლოო დასკვნით, ვეფხისტყაოსნის პოლონური თარგმანი
 ეკუთვნის გ. ერისთავს, რომელსაც დახმარებას უწევდა კ. ლაფჩინსკიც
 (გვ. 34).

2215. Ge. D.

Rustaveli Sota

წიგნი: Enciclopedia Italiana, Roma, 1949, XXX, გვ. 343.

მცირე სტატია შეიცავს ზოგად ცნობებს შოთა რუსთაველსა და ვეფ-
 ხისტყაოსანზე ბიბლიოგრაფიული მითითებით პოემის ქართულ და ზოგი-
 თარგმანის გამოცემაზე.

2216. გაიოზ იმედაშვილი

თეიმურაზ ბაკრაძის რუსთველოლოგიური ციანი

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1949, ტ. V, გვ. 175—199.

აეტორი მიმოიხილავს თეიმურაზ ბატონიშვილის რუსთველოლოგიურ ნაშრომებს მათში წამოყენებული პრობლემების მიხედვით, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ დაბეჭდილი არ არის. ესენია თეიმურაზის მიწერა-მოწერა ბროსესთან ვეფხისტყაოსნის ირველივ, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა და სხვ. ამ ნაშრომებში დასმულია ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის, ჩანართებისა და დანართების, შედგენილობის გარკვევის, რუსთაველის ლექსის, ტექსტის განმარტების, პოემის ორიგინალობის, შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის და სხვ. საკითხები.

დასასრულს, აეტორი არკვევს თეიმურაზის ნაშრომების მნიშვნელობას და გამოხატულებას რუსთველოლოგიურ კვლევა-ძიებაში.

2217. ხ. კაკაბაძე და პ. გაგოშიძე

ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, I, შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის

და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, საქართველოს სსრ შსს

საარქივო სამმართველო, თბილისი, 1949, 302 გვ.

წიგნი შეიცავს არქივში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას.

1. № 44. XVIII ს-ის მეორე ნახევრისა, სოფ. მერეთიდან (გვ. 40—41).

2. № 59. გადაწერილია 1853 წელს, სოფ. იკოთიდან (გვ. 58).

3. № 92. XIX საუკუნის პირველი ნახევარი. თელავიდან. თავბოლო ნაკლული (გვ. 89).

4. № 166. XVIII ს. პირველი ნახევრის. თავბოლო ნაკლული (გვ. 162).

5. № 289. XVIII საუკუნის (გვ. 252—253).

ამ წიგნის მეორე ტომი გამოვიდა 1950 წელს.

2218. კორნელი კეკელიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშთილი წერი

კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარეკლი ძველ

ქართულ ლიტერატურაში

თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრაფია, საქართველოს სსრ პოლიტიკური და

მეცნიერული ცოდნის გამაერცლებული საზოგადოება, თბილისი, 1949, 31 გვ.

აეტორი აღნიშნავს, რომ აღორძინების ხანის მწერლობაში ტერმინი

„სპარსული“ იხმარებოდა ცუდის, უვარგისის და მიუღებლის სინონიმად და ის პირნი, რომლებიც შეგნებულად ცდილობდნენ ვეფხისტყაოსნისათვის სახელის გატებას, მას „სპარსულს“ უწოდებდნენ. აეტორი ეხება ვახტანგის მოსაზრებას ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის შესახებ (გვ. 22) და აღნიშნავს, რომ „ქართული ეროვნული თვითშეგნება ისე შეკეთრად არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებში არ გამოიკენია სპარსულ იდეოლოგიასა და კულტურულ გარემოს, როგორც ვეფხისტყაოსანში (გვ. 25). რუსთაველი თავის პოემაში იდეურად და ცემიჯნება სპარსულ პოეზიას და კულტურულ გარემოს (იქვე). მის მიერ დახატული მიჯნურობა შეგნებული კონტრასტია სპარსულ „ვისრამიანში“ დახატული სიყვარულისა (იქვე). ვეფხისტყაოსანს არაფერი აქვს საერთო სპარსულ პოეზიაში გაბატონებულ სუფიზმთან. აეტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსანს, რომელიც „ზუსტად გამოხატულია ქართული სულის, შეგნებისა და ეროვნული სიამაყისა, უკიდურესად უარყოფითი პოზიცია უკავია სპარსული იდეურ-პოლიტიკური სამყაროსადმი“ (იქვე).

2219. დმიტრო კოსარიკო

დავით გურამიშვილი უკრაინაში
საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1949, 164 გვ.

ავტორი არჩევს პ. ტიჩინას ლექსს დავით გურამიშვილზე და აღნიშნავს, რომ „რუსთაველის იდეალების პროპაგანდისტის, დ. გურამიშვილის ხმა უკრაინაში არ დარჩა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ (გვ. 79). ავტორს ტიჩინას ლექსიდან მოჰყავს ისეთი ადგილები, რომლებშიაც რუსთაველის შეფასებაა გამოხატული:

„ჩვენთვის დიდი რუსთაველი იყოს მაგალითად...“
„შიბლაეს სიმხვე რუსთაველისა, სული ცეცხლოვანი...
სიყვარული ჩემს გულს ანთებს „ვეფხისტყაოსანი“.
„აწ ჩემი ხარ, რუსთაველო, სამუდამოდ მწამლე...“
„— ტპილი ქღერიო, რუსთაველო. შენ გამითბე გული,
პოი გამაღობ, ცეცხლად ღვივის გულში სიყვარული...“ (გვ. 79—80).

2220. ვიორჯო ლეონიძე.

ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი

წიგნში: ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან,
XVII—XVIII ს., ტომი პირველი, საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1949, გვ. 304—323.

ნარკვევი შეიცავს შემდეგ ქვესათაურებს:

1. ხელნაწერის თავგადასავალი.
2. ლიტერატურა.
3. ხელნაწერის აღწერილობა.
4. ხელნაწერის პირველი მუხატრონე.
5. ზახა ციციშვილი.
6. ხელნაწერის დათარიღებისათვის
7. ხელნაწერის მნიშვნელობისათვის.

პირველად მცირე სახით დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტი“ 1935 წელს, 1 მარტს, № 52. გვ. 3. იხ. ანოტაცია № 1222.

ამ სტატიაში ავტორი უფრო ვრცლად გადმოგვცემს ხელნაწერის პირველი მუხატრონის სარდლის სახლთუხუცესის ზახა პაპუნას-ძე ციციშვილისა და ხელნაწერის მნიშვნელობის შესახებ.

2221. ივ. ლოლაშვილი

ხელნაწერთა აღწერილობა

კრებ. ლიტერატურის მატრიანე, წიგნი 5, ნაკვეთი მეორე; საქართველოს
სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. საქართველოს სსრ სახელმწიფო
წიგნის პალატის გამომცემლობა, თბილისი, 1949, 106 გვ.

შეიცავს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას.

1. № 30. 1802 წლისა. 168 ფურცელი (გვ. 27—28).
2. № 31. XIX საუკუნის. 185 ფურცელი. ვრცელი ვარიანტია (გვ. 28).
3. № 32. XIX საუკუნის, ნინო ხედგინიძის გადანაწერი. 185 ფურცელი (გვ. 28—29).
4. № 33. XIX საუკუნის პირველი ნახევრისა. ნაკლულია. 161 ფურცელი (გვ. 29).
5. № 34. XIX საუკუნის. ნაკლული. 47 ფურცელი (გვ. 29).
6. № 35. 1863 წლისა. 130 ფურცელი (გვ. 30).
7. № 36. XIX საუკუნის. 152 ფურცელი. ნაკლულია (გვ. 30).
8. № 37. XIX საუკუნის. 239 ფურცელი (გვ. 31).
9. № 38. ვეფხისტყაოსნის ტექსტი მოიპოვება კრებულში. 1860—62 წლებისა. ვრცელი ვარიანტისაა (გვ. 32).

2222. Академик Н. Я. Марр

Грузинский язык

Сталинград, 1949, 67 გვ.

ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი თავის თავს უწოდებს მოხეტიალე შეყვარებულს. მესხს, რომელსაც თავის ლექსებში შეუქია თამარი, რისთვისაც უსარგებლია ქრისტიანული სამების ტერმინებით წარ-

მართული აზროვნების სახეებთან ერთად და თამარი გაუიგივებია ლეთების სამპიროვნებასთან—შესთან, ცასთან და მასზე უფრო უნალღესთან (გვ. 47).

ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის მთავარი იდეაა ყველა ხალხთა ძმობა, მხოლოდ პოეტის მიერ სამი განსხვავებული ეროვნების გმირის დამეგობრება განსაზღვრულია სოციალური სტრუქტურის გაბატონებული ფენით—რაინდობით (გვ. 48).

პირველად შემოკლებული სახით დაიბეჭდა 1929 წელს გერმანულად (იხ. ანოტაცია № 1094).

ამის შესახებ შენიშვნა წიგნის ბოლოში: O работе Н. Я. Магара «Грузинский эпос», Кадж-ტორის ი. მეგრელიძისა.

2223. М. С. Махатадзе

*Военное искусство по Вепхисткаосани и некоторые основные
проблемы руставелизма*

Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, Ленинградский Государственный университет им. А. А. Жданова, [1949], 13 გვ.

შინაარსი: Глава I. Из истории изучения вопроса. Глава II. Военное искусство по Вепхисткаосани. Глава III. О взаимоотношениях грузинского воинского искусства и военной системы Руставели. Глава IV. К установлению текста Вепхисткаосани с точки зрения военной системы Руставели. V. К датировке Вепхисткаосани.

ავტორი აღნიშნავს, რომ შეტად მცირე კვლევა-ძიებითი მასალა მოიპოვება როგორც ვეფხისტყაოსანში ასახული სამხედრო ხელოვნების სისტემისა, ისე ქართული სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესასწავლად. საკითხის ისტორიის მოკლედ მიმოხილვის შემდეგ ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ბატალური სურათები შეტანილია არა როგორც თვითმონაწერი ეპიზოდები, მხატვრული ეფექტისათვის, არამედ როგორც გარკვეული ეპოქისა და ხალხის განსაზღვრული სამხედრო სისტემის გამოხატულება.

ვეფხისტყაოსნის მიხედვით ავტორი ცდილობს განმარტოს სამხედრო ხელოვნებისა და ომის წარმოების სხვადასხვა ცნებები. რუსთაველის პოემაში ასახული საბრძოლო სურათებისა და თხრობის ნადავზე ავტორი ცდილობს დაადგინოს რუსთაველის ომის თეორია—ომის დამოკიდებულება პოლიტიკასთან, ომის მომზადება, მისი დაგეგმვა, ომის დაწყება, წარმოება, დამთავრება, ჯარის ორგანიზაცია, ჯარის გვარეობანი, იარაღის ხმარება, ბრძოლის სხვადასხვა სახეობა ხმელეთსა და ზღვაზე, ომის მოგების ფაქტორები და სხვა.

ავტორი აყენებს დებულებას, რომ რუსთაველის სამხედრო სისტემაში მთლიანადაა გამოხატული ქართული სამხედრო ხელოვნების სისტემა. პოემაში ასახულია საქართველოს XII—XIII საუკუნეების ომები და ჯარისა და ომების ისეთი ორგანიზაცია, როგორც საქართველოს სახელმწიფო ცხოვრებას ახასიათებდა. მისი აზრით, რუსთაველის სამხედრო სისტემა გამოხატავდა გარდამავალ საფეხურს ფეოდალურიდან ახალ საუკუნეთა სისტემისაკენ.

ავტორი ეხება ინდო-ბატალთა ამბის რუსთაველისათვის კუთვნილების საკითხს და კრიტიკულად განიხილავს განსაკუთრებით პოეტ კ. კიკინაძის ფორმალისტური მეთოდის გამოყენებას ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის მუშაობაში. ყურადღებას აქცევს კ. კიკინაძის შრომაში ქედმოდრეკილობისა და მონური თავყანისცემის გამოხატულებას ყოველივე უცხოურისადმი. ავტორი ასკვნის, რომ პოემის საეკვოდ მიჩნეულ თავებში ბატალური სცენები არ გამოხატავენ არც ფეოდალურ სამხედრო სისტემას, არც ქართულ ფეოდალურ სამხედრო სისტემას. ისინი უფრო მეტ მსგავსებას იჩენენ

შაჰნამესთან და ამირანდარეჯანიანთან. ამდენად საკამათო თავები (მათ შორის ინდოხატაელთა ამბავის თავი) რუსთაველს არ ეკუთვნის, ისინი ვინმე შესხის კუთვნილება.

დასასრულს, ავტორი ეხება პოემის დაწერის თარიღის საკითხს და უარყოფს აკად. კ. კეკელიძის მიერ მიღებულ თარიღს (1227—1250), როგორც არამეცნიერულს; რომელიც ემყარება საქართველოს ისტორიის იდეალისტურ-ნაციონალისტურ გაგებას და თამარის პიროვნების როლის გაზეიადებას საქართველოს ისტორიაში.

ავტორის აზრით, პოემის დათარიღებაში მნიშვნელობა აქვს პოემაში გამოხატულ ბატალურ სცენებს, რომელშიც რუსთაველის სამხედრო სისტემა გამოხატული, როგორც ქართული სამხედრო წარსულის ანარეკლი. მისი დასკვნით, პოემაში გამოხატულია ისეთი სამხედრო მდგომარეობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში 1210 წლამდე, მეორე მხრივ, პოემაში არაასახული მნიშვნელოვანი ფაქტები, რომელთაც შემდეგ ჰქონდათ ადგილი, — მათში არაა ქართულ მხედრობათა მიერ გამოყენებული სამხედრო ტაქტიკური ხერხები, არც მონგოლების შემოსევის შედეგად ქართულ სახელმწიფო-სამხედრო ცხოვრების დიდების დაცემა, ამდენად პოემის დაწერა საგულეებელია 1210—1212 წლებში.

2224. ლეონ მელექსეთ-ბეგო

საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები კატალოგი, საარქივო სამმართველოს გამოცემა, 1949, გვ. 76—79.

ქართული მწერლობის ძეგლთა პუბლიკაციების აღწერილობაში 47-ე ნომერზე ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის მთავარ ქართულ გამოცემებსა და თარგმანებს სომხურ, რუსულ და სხვა ენებზე ძირითადი ბიბლიოგრაფიული მასალის მითითებით და მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსანს ქართულ ისტორიულ ცხოვრებასთან მიმართების შუქზე.

2225. ლუბა მეფარაშვილი

ხელნაწერთა აღწერილობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფ. მუზეუმის ხელნაწერები (კოლექცია H), ტ. V, შედგენილია და დასაბუქდად მომზადებული ლუბა მეფარიშვილის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1949, 362 გვ.

შეიცავს საქ. მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას:

- 1 № 2052. XIX საუკუნისა. ნაწყვეტი 10 ფურცელი (გვ. 30).
- 2 № 2055. XIX საუკუნისა. 197 ფურცელი (გვ. 31).
- 3 № 2074. XVI—XVII საუკუნისა. 260 ფურცელი. ვრცელი ვარიანტისა (გვ. 41—42).
- 4 № 2223. 1806 წლისა. 197 ფურცელი, ვახტანგის რედაქცია (გვ. 223).

2226. В. А. Миханнова

Николай Яковлевич Марр

Очерк его жизни и научной деятельности, Издание третье, исправленное и дополненное, Академия Наук СССР, Серия «Итоги и проблемы современной науки», Издательство Академии Наук СССР, Москва—Ленинград, 1949, 554 გვ.

ავტორი აკად. ნ. მარის სამეცნიერო შრომების მიმოხილვისას, სპეციალურად თუ მომიჯნავე ლიტერატურულ პრობლემებთან დაკავშირებით იხილავს რუსთაველის ცხოვრება-შემოქმედებისა და ვეფხისტყაოსნის შესწავლის საკითხებზე გვ. 48, 72, 113, 114, 129, 177, 193—195, 202, 236, 246—247, 249—252, 256, 475.

2227. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

[გამომცემლობა] „საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1949, 386 გვ. პ. მგ. გამოშვებისათვის:
დ. მაისურაძე

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო გამოცემის განმეორებას. სტროფებს სათვალავე ნუმერაცია არა აქვს. წიგნი დაბეჭდილია შესავლისა და ლექსიკონის გარეშე. თითო გვერდზე 5 სტროფია. ფორმატი პატარაა.

2228. შოთა რუსთაველი

Витязь в тигровой шкуре

Перевел с грузинского и для юношества обработал А. Заболоцкий

Издательство «Заря Востока», Тбилиси, 1949, 184 გვ.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის 30 თავად გადაკეთებულ მთელ პოემას. სტროფებს სათვალავე არა აქვს. იხილე ანოტაცია № 1639 ამ თარგმანის პირველი 1937 წლის გამოცემისათვის.

2229. შოთა რუსთაველი

Витязь в тигровой шкуре

Поэма в стихах, Перевод с грузинского Шавва Нунцхвაც,

Издание «Заря Востока», Тбилиси, 1949, 254 გვ.

წიგნს წინ უძღვის მცირე წინასიტყვაობა „От редактора“ (გვ. V—VI). ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის სრულ რუსულ თარგმანს (იხილე ანოტაცია თარგმანის პირველი გამოცემისა, № 2073). 1941 წლის გამოცემასთან შედარებით თარგმანში შეტანილია მცირეოდენი შესწორებანი.

2230. ტრიფონ რუხაძე

„ვეფხისტყაოსანი“ ძველ ქართულ დრამატურგიაში

წიგნში: ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, საქართველოს თეატრალური საზოგადოება, გამომცემლობა „ბელონება“, თბილისი, 1949, 566 გვ.

ავტორი ძველი ქართული თეატრისა და დრამატურგიის საკითხებზე მსჯელობისას ეხება რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს.

ავტორი „მღერას“ და „თამაშას“ პარალელურ მნიშვნელობაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ცნობილია რუსთაველის სიტყვები: მე სიყვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“ (გვ. 30). „რუსთაველის გმირებს უყვართ მგოსანი“ (გვ. 38), „მგოსანი აუცილებელი ატრიბუტია ვეფხისტყაოსნის“ მეფეთა სასახლის ლხინისა და სანახაობისა“ (გვ. 39). მართიანეს ცნობებს „მგოსანთა ხმა და სახიობა მოშაითთა“, ავტორის შენიშვნით, „პოეტური გვირგვინით მოსავეს რუსთაველის სიტყვებში როსტევეან მეფეზე:

„ესე თქვა და სხარული თამაშობა აღიდა,

მგოსანი და მოშაითი უბმეს, პოვეს რაჟა სადა...“ (გვ. 73).

ავტორის შენიშვნით, „მუშაითობის ერთერთი სახე რუსთაველმა აგვიწერა. ფართოდ ცნობილია ფრიდონის სიტყვები, რომ მასწავლეს მუშაითობა და გაბმულ ბაწარზე ხელმოუკიდებლიე გავივლიდიო“ (გვ. 36) და მოჰყავს საილუსტრაციოდ 1391 სტროფი (გვ. 83).

ავტორი აღნიშნავს, რომ „როცა ანტონ პირველმა, ფრანგი და რუსი მწერლის მსგავსად, სცადა ჩვენში ხმარებაში შემოეტანა „მაღალი“ და „დაბალი შტილის“ სალიტერატურო ენა, მის წინააღმდეგ ხმა აღიმართა დავით ბატონიშვილმა: რუსთაველის ენას არ ჰირღება „განწრფელებაო“ (გვ. 145)

დი მოპყავს ციტატი ხელნაწერიდან (H 2181, გვ. 308): „ხოლო რუსთა აქესთ საღმრთონი წერილნი ჯერთა განუწრფელებელ და მსგავსადვე მიხედვითა კავშირისა, ვეფხისტყაოსანისა და სხვათა ძველთა აღნაქესთასა. არა უხმს ენასა ჩვენსა განწრფელებამ...“ (გვ. 152).

ავტორის შენიშვნით, „გოდერძი ფირალიშვილმა... საფუძვლად აიღო რუსთველის პოემის ფონი და გმირთა მოქმედება გაშალა, ისე როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“ (გვ. 154) ავტორი ეხება რუსთაველთან ქართული მწერლობის დამოკიდებულებას და აღნიშნავს დაკით ბატონიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოზიციის მართებულებას (გვ. 248—249). ავტორის აღნიშვნით, „რუსთველის გავლენა განუტღობა ძველ ქართულ დრამასაც. როგორც ეტყობა, რუსთველისა და მისი პოემის გასცენიურება მხოლოდ XIX საუკუნეში არ დაწყებულა“ (გვ. 249). „ვეფხისტყაოსანი პიესის სახით პირველად გოდერძი ფირალიშვილმა დაამუშავა“ (გვ. 250), იმოწმებს ოქროპირ ბატონიშვილის და ზ. ჭიჭინაძის ცნობებს (იქვე) და მოპყავს ამონაწერი რუსეთის ყოფ. იმპ. განათ. სამინისტ. არქივის აღწერილობიდან ამ პიესის შესახებ, რომელშიაც მოხსენიებულია როგორც: „მემკვიდრე ინლოეთისა ანუ სიყვარული სამშობლოსადმი“ (გვ. 251) და მოკლედ დაბასიათებულია პიესის მომქმედი პირები და შეფასებულია თვითონ პიესა.

2231. ქსენია სიხარულიძე

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 1949, 305 გვ.

ავტორი ქართულ, ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა ციკლების მიმოხილვისას ეხება შოთა რუსთაველისა და თამარ მეფის ურთიერთობის შესახებ არსებულ ლეგენდა-გადმოცემებს, ლექსებს და ასახელებს სათანადო ლიტერატურას სქოლიოებში.

2232. [უაფტორო]

ლიტერატურის ისტორიის გაუაღბებისა და ანტიპატრიოტიზმის წინააღმდეგ
გაზ. კომუნისტი, 1949, 11 მაისი, № 93, 8396, გვ. 3—4.

იგივე: გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1949, 15 მაისი, № 19 (264), გვ. 1.

სტატია წარმოადგენს სარედაქციო წერილს.

ავტორი ილაშქრებს ნაციონალური ნიპილიზმის, კერძოდ იმ მოსაზრების წინააღმდეგ, თითქოს ქართული ლიტერატურა არაბულ, სპარსულ, თურქულ ლიტერატურათა „უბრალო დანამატია“ და აღნიშნავს, რომ: „ცალკეული მკვლევარები თავგამოდებით ეძებენ საბაბს როგორმე დაამტკიცონ, რომ ქართველი ერის სიამაყე—უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ თითქოს არ იყოს ორიგინალური ნაწარმოები“, დაანტკიცონ „ვეფხისტყაოსნის“ არა ქართული წარმოშობა. ასეთი შეხედულების მიმდევრად ავტორი ასახელებს პროფ. იუსტინე აბულაძეს და მისი ნაშრომებიდან მოპყავს ციტატები, რომელთა მიხედვით ვეფხისტყაოსანი არ არის ქართული ორიგინალური ქმნილება და წმინდა მამადიანური სულითა და აზროვნებითაა გაელენთილი. ასევე პროფ. შ. ნუცუბიძე „მიზნად ისახავს დაამტკიცოს, თითქოს ქართული კულტურა და კერძოდ „ვეფხისტყაოსანი“ იყოს პროდუქტი აღმოსავლეთ ქვეყნებში ოდესღაც არსებული მისტიკურ-ეროტიკული მოძღვრებებისა“. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ „ქართული კულტურის აღორძინების, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ სათავეები უნდა ვეძებოთ არა აზიის უძველეს მისტიკურ

რეაქციულ მოძღვრებებში, არამედ თვით ქართველი ხალხის წიაღში“. ავტორი უარყოფს აკად. კ. კეკელიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „XVI საუკუნე-ნიდან ოსმალური ლიტერატურა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქართული მწერლობის აღორძინებისა“, რომ თითქოს დასავლურმა ბიზანტიზმმა და მაჰმადიანურმა ორიენტალიზმმა განსაზღვრეს ქართული კულტურის ორი მაგისტრალი, მისი გარკვეული ხასიათი. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და ანალოზს უკეთეს მის მიოტივებს იმის ნათესაყოფად, რომ მათი წყარო და ნიადაგი შეიძლება მხოლოდ ქართული სინამდვილე ყოფილიყო და მოჰყავს ილია ქაქავაძის შეხედულებები ქართული კულტურის დასაცავად ცნობილი ნიჰილისტის ნარდონის სტატიებში წამოყენებულ მოსაზრებებთან საწინააღმდეგოდ.

ავტორი დასასრულს აკრიტიკებს კ. კახანელისა და ს. დანელას ნიჰილისტურ შეხედულებებს ქართული ისტორიის, კულტურის და კერძოდ ვეფხისტყაოსნის შესახებ.

მშშშ. ს. ფირცხალავა

რუსთაველის უცხო ლექსები არხულ ენაზე

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1949, 9 იანვარი. № 1 (246), გვ. 2.

ავტორის ცნობით, რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთში ტუსენის მიერ გამოცემულ წიგნში „სიყვარულის და ომის ისლამური სიმღერები“, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა არაბულიდან თარგმნილი ქართველ პოეტთა თხზულებანი და მათ შორის შავთელისა და რუსთაველის სიმღერები, ავტორს მოჰყავს ამ ფრანგული გამოცემიდან რუსთაველის (რუსტუალ) ლექსის—ვეფხისტყავის ნაწყვეტის მის მიერვე შესრულებული ქართული თარგმანი, რასაც ურთავს თავის შენიშვნებს. ავტორი შენიშნავს, რომ, როგორც ტუსენის ცნობით ირკვევა, ეს ლექსები ნახულია არაბი მწერლის აბულ-ფარაჯის თხზულებათა კრებულში, რომელიც ქაიროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება.

ამ ლექსებთან დაკავშირებით ავტორი ეხება არაბულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, რომლის ვითარებაში შესაძლებელი იყო ქართულიდან არაბულად თარგმნილიყო რუსთაველის ლექსები. არაბულად არსებული რუსთაველის ლექსის ფრანგული თარგმანის მიხედვით შესრულებული ქართული თარგმანის ტექსტის დასაწყისი:

„უძღური ვარ, ვით ახლად ამოსული ზალახი, რომელიც ეხეცაა შიოღის ფეხმა გასთელა.“

შემიბრალე! გვეციები, ყოველ საღამოს მოუად წყარობთან მენ შესაბედრად!...
დასასრული:

„... ვური უგდე ტყის ჩურჩულს, ის გვეუბნება, რომ ყოველთვის გაგვიზადებს თავის ხავს...“

მშშშ. ბ. ფურცხანაძე

აღაშიანის პატივისა და ღირსების დაცვა სასხლის ზამრთლის კანონმდებლობაში

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1949, 294 გვ.

ნაშრომის მეორე თავში „კლასობრივ საზოგადოებაში ღირსების დაცვის შესახებ კანონმდებლობის ისტორია“ (გვ. 81—157) ავტორი ქართული მწერლობის ძეგლებში ღირსების დაცვის ცნების შინაარსის გამოხატულების განხილვისას ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, როგორც ღრმა ფილოსოფიური აზროვნების დოკუმენტს, და აღნიშნავს, რომ „ქართველთა ყველა შემდგომი თაობანი აღიზარდნენ იმ ზედმიწევნით მოწინავე პოზიციებზე, რომლებსაც ხობტა შეასხა რუსთაველმა“ (გვ. 134). ავტორი უთითებს ვეფხის-

ტყაოსანში მხატვრულ სახეებში აღბეჭდილ ზნეობრივ პრინციპებს, რომლებშიაც რუსთაველის სოციალური შეხედულებების პროგრესულობა ვლინდება, განსაკუთრებით ქალის პატივისცემის, სიტყვის ერთგულების, სამშობლოს სიყვარულისა და გმირობის მოტივებს და მოჰყავს სათანადო ციტატები პოემიდან. ავტორის შენიშვნით, „ყველა ის კეთილშობილური, ქეშმარიტად ადამიანური თვისებანი, რომელთაც ქადაგებს რუსთაველი, ახასიათებდა მხოლოდ და მხოლოდ გეაროვნულ წყობილებას“ (გვ. 137). ვეფხისტყაოსნის თემატიკაში გამოხატული სოციალური ცხოვრების მოტივების დახასიათებისას ქართულ სინამდვილესთან მიმართებით ავტორი შენიშნავს:

„რუსთაველის პოემა, რომელიც პირველ ყოვლისა დიდ მხატვრულ ნაწარმოებს (Dichtung) წარმოადგენს, ამავე დროს არის უაღრესად ძვირფასი ისტორიული დოკუმენტი (Wahrheit), რომელშიც მოცემულია ავტორის თანამედროვე სინამდვილის უტყუარი აღწერა. მთელი ფეოდალური აღმოსავლეთის ცხოვრების შესანიშნავი მცოდნე, გენიალური მხატვარი-რეალისტი შოთა რუსთაველი არაჩვეულებრივად მკვეთრი ფერებით ვიზუალურ ინდროინდულ საზოგადოების ცალკეული კლასების ყოფაქცევასა და ზნეჩვეულებას; ისტორიკოს-მემბრანის კეთილსინდისიერებით მოგვითხრობს იგი სახელმწიფოებრივი წყობილების, მრავალრიცხოვან თანამედრობრივ პირთა უფრთხილებისა და საქმიანობის შესახებ, სამხედრო ლაშქრობათა, საბრძოლო ტაქტიკის, გართობების, ნადირობის, ქორწილისა და სხვ. შესახებ“ (გვ. 137).

1 9 5 0

2225. გიორგი აბზიანძე

ქართული კლასიკოსები
სახელგამი, 1950, 296 გვ.

ავტორი ქართველ კლასიკოსთა თხზულებების განხილვისას ეხება რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს (გვ. 33, 57, 86, 87, 100, 146, 173, 177, 180).

ავტორი ა. ქავკავაძის შემოქმედებაში სიყვარულის მოტივის განხილვისას ახასიათებს სუფისტურ სიყვარულს და აღნიშნავს, რომ მისგან განსხვავებულია ვეფხისტყაოსანში დაბატული სიყვარულის კულტი: „აქ სიყვარულის რაინდულ, გმირულ გაგებასთან შერწყმულია რეალური სიყვარულის იდეა, მაგრამ იგი არასოდეს არ არის დაკავშირებული თრობის კულტთან. რუსთაველისათვის უცხოა არარეალური ტრფიალება, ღვთაებასთან შერწყმაში გამოხატული. მისი რაინდული და კეთილშობილური სიყვარული ბუნების მთელი სიძლიერით ელინდება რეალურ-ადამიანურ ტრფიალებაში და განათებულია მშვენიერების სხივებით“ (გვ. 33). ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს რუსთაველის ტაბი.

ავტორი ბარათაშვილის შემოქმედების ძველ ქართულ ძირებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „სახელწოდება „მერანი“ ბარათაშვილს, შესაძლებელია, აღებული ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნიდან“ და მოჰყავს სათანადო სტროფები ვეფხისტყაოსნიდან, სადაც მერანია ნახმარი (გვ. 86). ავტორი ამასთან აღნიშნავს, რომ „არ არის გამორიცხული ის შესაძლებლობაც, რომ რუსთაველის გმირის ტარიელის მერანით თავდავიწყებულ ლტოლვას მიეცეს პირველი პოეტური შთაგონების ნაპერწკალი ბარათაშვილისათვის თავისი მერანის პოეტური კონცეფციის შესაქმნელად“ (გვ. 87).

ავტორი „ბედი ქართლისაში“ ბუნების სურათის აღწერის განხილვისას აღნიშნავს, რომ სიმღერაში „მორბის არაგვი არაგვიანი“ ქართველი ადამიანის ლალი და ლამაზი შინაგანი სამყაროს ღრმად შეგრძნობის, მისი მოჰზიბლველი ხასიათის, ცხოვრების სიხარულის მძაფრი ვანცდის და მშობლიური ბუნების მშვენიერებით აღტაცების გადმოცემით „ბარათაშვილი ეხმარება

რუსთაველის გენიას. ჩვენს წინ გაიფიქრებს გრაციოზული სურათი ავთანდილის სიმღერისა მდელითა შორის, როდესაც ქართველ გმირს გარინდებით უსმენს ბუნების მთელი სამყარო“ (გვ. 100).

ავტორი იხილავს ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ქართული კრიტიკული აზრის შესახებ და მოჰყავს ციტატა: „...ჩვენ არას ვიტყვი ჩვენს ძველ ლიტერატურაზე, რომელსაც ასეთი სიუხვით ასხივოსნებს „ვეფხისტყაოსანი“, ეს უძირო მორვეი, ზღვა აზრისა და გრძობისა“ (გვ. 146). ავტორს მოჰყავს აქაი ვერეთლის ციტატა: „პატარა საქართველო ყოველგვარ განსაცდელსა და გასაპირს გაუძლებს. და მართლაც ის ვერა, რომელმაც წარმოშობა: რუსთაველი, მთაწმინდელი, გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ჭიორგი სააკაძე და მათი მსგავსნი განა სასიკვდილოა?“ (გვ. 173—174).

2226. შ. Я. Амиранашвили

Поэма Шота Руставели „Витязь в тигровой шкуре“ в грузинской миниатюре
წიგნი: История грузинского искусства, Государственное издательство
«Искусство», Москва, 1950, 330 გვ.

ავტორი საერო ხასიათის ხელნაწერთა მინიატურების განხილვისას განსაკუთრებით ეხება ვეფხისტყაოსნის დასურათებას პოემის ხელნაწერების მიხედვით (გვ. 281—287).

ავტორის შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებს XVII საუკუნის ქართული საერო მინიატურის ისტორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს (გვ. 281). ავტორი მოკლედ ითვალისწინებს ვეფხისტყაოსნის დასურათების შესწავლის ისტორიას, ჰყოფს პოემის ილუსტრაციებს სტილისა, შინაარსისა და ხასიათის მიხედვით სამ გარკვეულ ჯგუფად და იხილავს მათ ქართულ სინამდვილესთან მიმართებით. ავტორი ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციების განხილვისა და მათი მნიშვნელობისა და მხატვრული ღირებულების განსაზღვრაში ძირითადად ავითარებს იმ შეხედულებებს, რომლებიც მას ამ საკითხზე აღრეულ ნაშრომებში აქვს გამოთქმული (იხ. ანოტაციები № 1065, 1833).

ამავე წიგნში ავტორი ქართული ხელოვნების საკითხებზე მსჯელობისას გაკვირვებით ახსენებს რუსთაველს (გვ. 209, 219).

2227. Микола Бажан

Бессмертна поема грузинского народа

ქართული აქვს წინასიტყვაობის სახით წიგნი:

Шота Руставели, Витязь у тигровий шкури, Переклад з грузинської Миколи Бажана,
Державне видавництво художньої літератури, Київ, 1950, გვ. 5—17.

ავტორი აღნიშნავს შოთა რუსთაველის შემოქმედების სიდიადეს; მოკლედ ეხება მის ეპოქას, ბიოგრაფიას, ვეფხისტყაოსნის მთავარ იდეალებს, მოტივებს და გმირებს საქართველოს კულტურასა და ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებით, რისთვისაც მოჰყავს საილუსტრაციოდ პოემიდან სათანადო აღვლები.

2228. აღექსანდრე ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის ტიპიკის საკითხისათვის

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI, 1950, გვ. 93—124.

ავტორის მიზანია გაარკვიოს, „თუ რა ტიპოლოგიურ სახეობას ან სახეობრივ ტიპოლოგიას იძლევა ვეფხისტყაოსანი“, ე. ი. დაადგინოს 1) რუსთაველის პერსონაჟები რეალური კონკრეტული მხატვრული პორტრეტები, 2) თან-

ტასტიკური, განზნავონი, ირეალური არსებანია დროისა და სივრცის გარეშე წარმოსადგენნი თუ 3) რეალისტურად მოფიქრებული ზოგადის კონკრეტისებული ინდივიდუალური სახეები (სახე-ტიპები ან სახე-ხასიათები).

ავტორი მიმოიხილავს საკითხის კვლევის ისტორიას ძველი ქართული მწერლობის ჩვენებებთან დაკავშირებით, კრიტიკულად სწავლობს არსებულ ლიტერატურას და ასკენის, რომ „ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის ვერც ერთი ცდა ვერ იძლევა დამაჯერებელ შედეგს, ისტორიული სინამდვილე და ალეგორია ერთმანეთს არ ემთხვევა, ვლელულობთ ნაძალადევი ისტორიულ ინტერპრეტაციას“ (გვ. 108).

ავტორი აკაკი წერეთლის, ილია ქავჭავაძის, ივ. ჯავახიშვილის, ელ. ნორაკიდის შეხედულებათა კრიტიკული მიმოხილვისა და რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდისა და მისი გმირების ხასიათების შესწავლის შედეგად ასკენის, რომ: „რუსთაველი თეორიული გააზრებითაც და შემოქმედებითი პრაქტიკითაც დაუახლოვდა საგანთა და მოვლენათა რეალისტური ასახვის მეთოდს. მეტიც: რუსთაველის შემოქმედებაში უშუალო კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ე. წ. სტიქიურმა რეალიზმმა. რუსთაველის პერსონაჟები, მართალია, არ წარმოადგენენ ისტორიულ პირთა პორტრეტებს, თუმცა, შესაძლებელია, (და საფიქრებელიც) ზოგჯერ, იქნებ, სწორედ კონკრეტული ისტორიული პირთ იყოს ჩაგონებული და მონახული პოემის მხატვრული სახე თუ სახეიდეა (მაგალითებურ, ნესტანი-თამარი). რუსთაველის გმირები არც გამოზნავონი, ირრეალური, ფანტასტიკური სახეები. „ვეფხისტყაოსნის“ გმირები გარკვეული სოციალურ-კლასობრივი შეგნების ნიადაგზე მდგომი ავტორის მიერ შექმნილი ცოცხალი სახე-ხასიათებია ან, ცალკე შემთხვევაში, ტიპური სახეები“.

2239. ალექსანდრე ბარამიძე

აკად. ნ. შარი—ქართული მწერლობის მკვლევარი

ვახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, 22 იანვარი, № 4(301), გვ. 3-4, ქვედურა.

ავტორი ნ. შარის ფილოლოგიურ ნაშრომთა მიმოხილვისას, ჩერდება ვეფხისტყაოსანზე წარმოებულ კვლევა-ძიებაზე, მოკლედ ახასიათებს შარის მუშაობას რუსთაველოლოგიის პრობლემებზე და მოჰყავს მისი მთავარი მოსაზრებანი. ავტორის შენიშვნით, „ნ. შარმა კონკრეტულად გამოიძია „ვეფხისტყაოსნის“ ხალხურობის ნაციონალური ძირები. ესაა, უწინარეს ყოვლისა, მანდილოსნის კულტი და ძმად ნაფიცობის იდეა“, „ჰუმანისტური სულისკვეთება“, „იდეური მოტივები, ენა და პოეტური საზომი“.

2240. ვუკოლ ბერიძე

ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1950, ტ. VI, გვ. 125-132.

ავტორი აყენებს ვეფხისტყაოსნის მე-17 სტროფის მეორე ტაეპის სიტყვის „სათრეველად“ გაგების საკითხს, მიმოიხილავს საკითხის შესწავლის ცდებს, მოჰყავს ქართული მწერლობიდან სათანადო მაგალითები და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ამ სიტყვის სრული დაწერილობა უნდა ყოფილიყო „გასართეველად“, მაგრამ ლექსმა მოინდომა ის შეკუმშულიყო „გასართეველად“ ფორმაში, რომელშიაც წინსართი „გა“ სიტყვების „სანადიმოდ, სამღერეველად, სააზიოდ“ ანალოგიით უნდა შეცვლილიყო „სართეველად“ სიტყვით. მისი მნიშვნელობა სხვისი გართობა, რომლის საწყისი ფორმებია: გართვა, გარბთვა, გასართევი, გასართეველი.

2241. ამბერკო გაჩეჩილაძე

ქართული რეალიზმის ისტორიისათვის

1. ლავერენტი არდაზანი

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1950, ტ. VI, გვ. 145—183.

ლ. არდაზანის სამწერლო მთარგმნელობითი მუშაობის მიმოხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ მას უნდა ეკუთვნოდეს 1829 წელს „ტფილისის უწყებანის“ № 3-ში მოთავსებული წერილი სათაურით „რამე რუსთველისათვის“, რომელიც ხელმოწერილია ინიცილებით „ლ. ა.—დ“ (გვ. 155-ის სქოლიო). იქვე ავტორი მოკლედ ეხება ამ წერილის დაბეჭდვის ისტორიას და მის შესახებ ა. აბრამიშვილის ცნობას „ბიბლიოგრაფიის მოამბე“-ში (1948, № 4—5). ავტორის აზრით, წერილი დაწერილია ს. დოდაშვილის ხელმძღვანელობით და არა მის მიერ, როგორც ა. აბრამიშვილს ჰგონია.

2242. გაიოზ იმედაშვილი

ორი შვე ვეფხისტყაოსანში

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1950, ტ. VI, გვ. 133—143.

ავტორი სწავლობს მზის ეპითეტალურ და მეტაფორულ მნიშვნელობას ვეფხისტყაოსანში და არკვევს ორი, სამი და ოთხი მზის სახეობრივ ფუნქციას რუსთაველის მხატვრულ მეტყველებაში. ქართული მწერლობის სხვა ძეგლთა მაგალითებისა და ვეფხისტყაოსნის მონაცემებზე დაყრდნობით ავტორი არკვევს ასტრალურ მეტაფორათა წარმოშობასა და მნიშვნელობას. მისი დასკვნით, ასტრალურ მეტაფორებში რუსთაველი გმირთა დამოკიდებულებასა და ხასიათს გადმოგვცემს მნათობთა ურთიერთ მიმართების ანალოგიით, რაშიაც ამელავენებს სამყაროს აგებულების ცოდნას და სინამდვილის მალალ-მხატვრული ათვისების დიდ ოსტატობას. ამ ასტრალურ მეტაფორათა საფუძველი გარკვეული ოპტიკური მოვლენებია და მათ გამოყენებაში რუსთაველი დაეაღებულია ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებით.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ნიადაგზე ასტრალურ მეტაფორათა ასეთი საფუძვლის მონახვისთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა «Слово о полку Игореве»-ში ერთი ბუნდოვანი ადგილის ახსნა.

2243. გაიოზ იმედაშვილი

ზოგი რამ რუსთაველის უილი მნათობის შესახებ

კრებ. მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XI, № 4, 1950, გვ. 263—269.

იგივე რუსულად გვ. 261—267.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში მნათობთა ასტრალური მნიშვნელობის გაგებას მხატვრულ გააზრებაში რუსთაველის ცოდნის წყაროებთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ავთანდილის მნათობთა დმი ეედრებაში, მნათობთა მოხსენიების რიგი ეთანხმება დედამიწასთან სიახლოვე-დამორების რეალურ მდებარეობას, რომელშიაც მზის გამონაკლისი—მეოთხეს შავიერ პირველ ადგილზე ყოფნა—უძველესი ტრადიციია, რაც რუსთაველს კარგად სცოდნია. ავტორი მიმოიხილავს სათანადო ლიტერატურას და ჩერდება 958-ე სტროფში მოხსენიებულ ზუალის მნიშვნელობაზე და ტაეპში „შემომყარე კაემანი, ტვირთი მძიმე, ვითა ვირსა“ „ვირს“ იგებს როგორც ზუალის ეპითეტს ძველ ასტროლოგიურ წარმოდგენათა მიხედვით და ასახუთებს, რომ მთელი სტროფის გაგება ეთანხმება ამ ეპითეტს, რამდენადაც მისი ასტრალური შინაარსი ზუალის ძველთაგანვე აღიარებული ხასიათისა და თვისების გამოხატულებაა.

„Четыре солнца“ и „Слова о полку Игореве“

კრებ. Слово полку Игореве, Сборник исследований и статей под редакцией члена-корреспондента АН СССР В. П. Адриановой-Перетц, Академия Наук СССР, Институт русской литературы (Пушкинский дом), Издательство Академии Наук СССР, Москва — Ленинград, 1950, გვ. 218—225.

ავტორი იხილავს „იგორის ლაშქრობის“ ტექსტში ასტრალურ გამოთქმათა მნიშვნელობას, კერძოდ საკითხს ოთხი მზის ხსენების შესახებ და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეს ოთხი მზე წარმოადგენს არა ოთხი რუსი და მარცხებული თავადის სიმბოლოს, როგორც ეს რუსულ კრიტიკაში იყო გაგებული, არამედ სავსებით რეალური ასტრალური მოვლენის გამოხატულებას, რამაც დასაბამი მისცა ასტრალურ მეტაფორას. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს:

„Например, великий грузинский поэт эпохи «Слова» Руставели взаимоотношения своих героев часто передает путем сложных астральных метафор, что в известной мере созвучно со «Словом». Такова, например, астрально-метафорная зарисовка встречи Атавидла, Таризла и Придона:

„Казалось сошлись два солнца с луною“ (გვ. 224).

ავტორი ანალიზს უკეთებს რუსთაველის ამ მეტაფორას ქართულ მწერლობაში და თვით ვეფხისტყაოსანში გამოხატულ სხვა ასტრალურ მეტაფორებთან დაკავშირებით და ადგენს მისი წარმოშობის პირობებსა და ასტროლოგიურ-ლიტერატურულ მნიშვნელობას. ავტორის დასკვნით, „იგორის ლაშქრობისა“ და ვეფხისტყაოსნის ასტრალურ მეტაფორათა საფუძველი ერთი და იგივე მოვლენაა, მაგრამ რუსთაველი და „ლაშქრობის“ უცნობი ავტორი განსხვავებული გაგებით იყენებენ მათ. რუსთაველისთვის ასტრალური მეტაფორა პოეტური სიტყვის მასალაა, მშვენიერ შედარებათა სფერო. „ლაშქრობის“ ავტორისათვის კი ის რეალური სინამდვილის ანარეკლს წარმოადგენს, ბუნების თავისებური სინამდვილის დახატვას, რის მოწმეც შესაძლოა პირადად თვითონაც ყოფილიყოს (გვ. 224—225).

2245. ს. კაკაბაძე და პ. გაგოშიძე

ეცენტრალური ხასელმწიფო საისტორიო არქივი

ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა. II.

შედგენილია პროფ. ს. კაკაბაძის და პ. გაგოშიძის მიერ, აკად. კ. კეკელიძის რედაქციით, საქართველოს სსრ შს საარქივო სამმართველო, თბილისი, 1950, 289 გვ.

შეიცავს არქივში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას:

1. № 425. XIX საუკუნის. 117 ფურცელი, ნაკლული (გვ. 67—68).
2. № 445. XIX საუკუნის. 134 ფურცელი. ილია ბეჟაბაძის ნაქონი (გვ. 77—78).
3. № 537. XVIII საუკუნის. 102 ფურცელი (გვ. 135—139).

2246. ვლენე მეტრეველი

საქართველოს ხასელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, შედგენილი და დასაბჭვდად დახმადებული ვლენე მეტრეველის მიერ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ხასელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1950, 500 გვ.

შეიცავს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა H ფონდში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას:

1. № 1759. XIX საუკუნისა. 116 ფურცელი. ნაკლული (გვ. 186—189).
2. № 1839. XIX საუკუნისა. 177 ფურცელი (გვ. 238).

2247. სოლომონ იორდანიშვილი

[ვეფხისტყაოსანი და ინდოეთი]

წინასიტყვაობა წიგნისა: რაფიელ დანიბეაშვილი, მოგზაურობა ინდოეთში. თარგმანა, წინასიტყვაობა და დამატებანი შენიშენებითურთ დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბილისი, 1950, 121 გვ.

საქართველოს ინდოეთთან კულტურულ ურთიერთობაზე მსჯელობისას ავტორი გაკვირით შენიშნავს, „ქართველების ინდოეთისადმი გარკვეულ ინტერესზე უნდა მიგვიითივებდეს ის გარემოება, რომ უებრო გმირობისა, სიყვარულის და სილამაზის განმსახიერებელ ნესტან-ტირაელის სამშობლოდ ქართველთა გენიამ ინდოეთი დასაბა“ (გვ. IV).

2248) შოთა რუსთავლი

Витязь в тирровой шкуре

Перевел с грузинского и обработал для юности Н. Заболоткин, Государственное издательство детской литературы министерства просвещения, Школьная Библиотека, Москва—Ленинград, 1950, 239 გვ.

წიგნის ერთის ბესო ელენტის წინასიტყვაობა „Шота Руставели и его поэма“ (გვ. 5—15). ტექსტი შეიცავს 30 თავს და ეპილოგს.

იხ. ანოტაცია პოემის 1937 წლის პირველ გამოცემასთან № 1639.

2249. შოთა რუსთავლი

Витязь в тирровой шкуре

Перевел с грузинского Шалава Нунцидзе, Государственное издательство художественной литературы, 1950, 242 გვ.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის სრულ რუსულ თარგმანს 1671 სტროფით. იხ. ანოტაცია 1941 წლის პირველ გამოცემასთან № 2072.

2250. შოთა რუსთავლი

Витязь у тирровой шкури

Переклад в грузинської Миколи Блжана, Державне видавництво художньої літератури, Київ, 1950, 303 გვ.

მოგზოვება ქართული ტიტული:

შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თარგმანი მიკოლა ბაჯანისა, ხაზელმწიფო ლიტერატურული გამოცემლობა, კიევი, 1950 წ.

ტექსტს წინ უძღვის მიკოლა ბაჯანის ხელმოწერით შესავალი: „Незсмертна поема грузинського народу“ (გვ. 5—17).

ტექსტი შეიცავს 1666 სტროფს. პირველი გამოცემის (1937, № 1645)

ტექსტისაგან განსხვავდება ზოგი შესწორებებით. პირველი სტროფი:

Той, що силою своєю сотворив будову світу,
Вклав у живі створіння душу, з духом неба злиту,—
Він нам, людям, дав цю землю, многобарвну, повну шліту,
І царів убрал у власну він подобу гордовиту“.

დასასრულ დართული აქვს „Пояснения деяких слів та термінів“ (გვ. 297—299). მაგ.:

А м і р б а р —командуєт військово-морськими силами держави, на ч. з. н. и. к. ф. л. т. у“.

2251. ს. ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი რუსული თარგმანი

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, 5 თებერვალი, № 6 (303), გვ. 4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის რუსულად თარგმნის საქმის დაწყებას 1843 წელს დავით დადიანის ლიტერატურულ სალონში გრიგოლ დადიანის მიერ, რომელსაც ამ მიზნით ზუგდიდში ჩამოუყვანია პოეტი ი. ბარტიდინსკი. ავტორი მოკლედ ახასიათებს მათი მუშაობის მიმდინარეობას თარგმანზე და იმ წვლილს, რაც მასში შეუტანია პოეტ ალ. კვაქავაძეს თავისი ცოდნით და შემოწმებით.

2252. იუსტიცე აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტრადიციული ადგილის შესწორების გამო
კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1951, ტ. 45, გვ. 283—284.

ავტორი უდილობს დასაბუთოს, რომ ვეფხისტყაოსნის 1937 წლის ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ 50-ე სტროფში: „მფეთა შიგან სიუხვე...“ მეოთხე ტაეპის ვახტანგისეული წაკითხვის (რომელსაც ყველა ხელნაწერი ეთანხმება) „რასაცა გასცემ შენია: რაც არა დაკარგულია“ შესწორება შემდეგნაირად: „რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“, არაა გამართლებული მთელი სტროფის აზრის მიმდინარეობით და ის უნდა დარჩეს ტრადიციული წაკითხვით „რაც არა“.

2253. შიხილ ალაღიძე

ლენინური ზეპირსიტყვიერება

„საბჭოთა მწერალი“, თბილისი, 1951, 152 გვ.

ლენინუმში ჩაწერილ თქმულებებს შორის ავტორის მოკაყვას ტექსტი თქმულებისა „შოთა რუსთაველი და თამარ მეფე“ (გვ. 49—52) ექვთიმე აბულედიანის თქმით, რომელსაც ის თბილისში ყოფნისას პლატონ იოსელიანის ოჯახში გაუგონია. თქმულებას აქვს მცირე შესავალი. ტექსტის დასაწყისი: „თურმე მესხეთში რუსთავი ჰქვია ერთ სოფელს და შოთა იქ დაბადებულა. მამამისი—ადრე მომკედარა და შოთა ობოლი დაუტოვებია. შოთას დედა კარგი შესახედავი ქალი ყოფილა, მეტად ლამაზი. მაშინ მეფედ იყო თამარი...“

იქვე, გვ. 53—55, მოთავსებულია „ტარციელის ამბავი“, რომელიც წარმოადგენს ლექსნარევე პაროზას. დასაწყისი:

„ცხოვრობდა ერთი მეფე, ჰყავდა ახალგაზრდა ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი. ქალი ლამაზი და სანდომიანი იყო...“

წიგნისათვის დართულ შენიშვნებში მოკლედ მითითებულია თქმულებათა შესახებ (გვ. 138).

2254. ლევან ასათიანი

ი. ბ. სტალინის აღრიცხვით, ქართულად დაწერილი ხაზრომების ენა და სტილი
კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1951, ტ. VII, გვ. 19—32.

29—30-ე გვერდზე ავტორი აღნიშნავს, რომ ამხანაგი ი. სტალინი ძალიან მოხერხებულად იყენებს რუსთაველის სტრიქონებს თავისი აზრის დასასურათებლად: „...ერთხელ—წერს ირონიულად ამხანაგი სტალინი—ყვავმაკ იშოვა. ვარდი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია. ტყუილად: კი არაა ნათქვამი:

„რა ყვავი ვარდა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია!“

იხ. ანოტაცია № 676.

2255. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1951, VII, გვ. 185—239.

ავტორი ზოგადად ენება ვეფხისტყაოსნის შედგენილობას და იხილავს რუსთაველის პოეზიის თეორიას.—მიჯნურობას, მის ცალკეულ სახეებს რუსთაველის მიხედვით და ასკვნის, რომ „ის რაც პროლოგში თეორეტიკული განზოგადებით არის მოცემული, პოემაში სრულყოფილია მხატვრული თხრობით“ (გვ. 201). აკად. ნ. მარის შეხედულების კრიტიკის შემდეგ რუსთაველის ეპი-

კოსად მიჩნევის და მასში სუბიექტურის გამორიცხვის შესახებ, ავტორი ასკვნის, რომ „ეპიკური ჟანრის ნაწარმოებში რუსთველი უარესობამდე ამკლავნებს თავის პირადულ, სუბიექტურ (ლირიკულ) განწყობილებას...რუსთველის ინდივიდუალობა, როგორც ავტორისა, ძლიერ ხშირად იჩენს თავს ცალკეული სიტუაციებისადმი და პერსონაჟებისადმი დამოკიდებულებით“ (გვ. 203) და მოჰყავს სათანადო ადგილები ვეფხისტყაოსნიდან. ავტორის შეხედულებით, „რუსთველის შემოქმედების მეთოდში შერწყმულია რეალისტური და რომანტიკული საწყისები. ძირითადად რეალისტურად მოაზროვნე პოეტია, ოღონდ მის რეალისტურ აზროვნებას რომანტიკულობის ძლიერი დალიც დაჩნევია“ (გვ. 207).

ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნის შინაარსი (გვ. 207), ანალიზს უკეთებს პოემის კომპოზიციას და შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნისათვის ნიშანდობლივად დამახასიათებელია სიუჟეტებისა და მხატვრული სახეების დუბლირება. ავტორი ხსნის რუსთველის პოეტურ სახეთა სიმბოლიკას, რითაც დახატული არიან ტარიელი, ნესტანი, სხვა გმირები და თვით პოემის სათაური, რომელიც მთავარი გმირის ეპითეტს წარმოადგენს.

ავტორის დაკვირვებით, ვეფხისტყაოსანში ორი ამბავია მოთხრობილი. ნადირობის ეპიზოდი წარმოადგენს ცენტრალური სიუჟეტური ამბის საკვანძო პუნქტს (გვ. 213). რუსთველის სტილის დახასიათებაში ავტორი აღნიშნავს, რომ აფორიზმებს დიდი როლი აქვს მისი აზრების გადმოცემაში. ასევე განსაკუთრებული ფუნქცია აქვს დაკისრებული რუსთველის მხატვრულ საშუალებათა სახეებს—სტილისტურ, ლექსიკურ განმეორებებს, ეპიკურ-სიუჟეტურ განმეორების მოტივებს, ალიტერაციებს (გვ. 222—224), პოეტურ პარალელიზმებს (გვ. 225—226). ავტორი არჩევს რუსთველის მეტაფორებს (გვ. 229—233), ეპითეტებს (გვ. 234—235) და ალიტერაციის სახეებს (გვ. 235—236). დასასრულს, ავტორი უთითებს საკითხის ძირითად ლიტერატურას.

2256. პროფ. გ. ბერიძე

ვეფხისტყაოსნის ხალხურობისათვის

საქმეცნიერო სესია 1951 წ. 1—5 მარტს, მუშაობის ჯგმა და მოხსენებათა თეზისები, ტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1951, გვ. 110—111.

ტექსტი შეიცავს მოხსენებათა თეზისებს, რომელშიაც ავტორი ხალხური ლიტერატურის სპეციფიკის განსაზღვრასთან დაკავშირებით ეხება ვეფხისტყაოსნის ხალხურობის საკითხს და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში ხალხურია ის, რაც შოთამ თქვა და ხალხმა მიიღო და ხალხურია ისიც, რაც ხალხმა თქვა და შოთამ აიღო მისგან: ორივე ვეფხისტყაოსნის ხალხურობის მაუწყებელია. ავტორის დასკვნით, პოემის მთელი რიგი მოტივები ქართული ხალხურია, ამდენად ვეფხისტყაოსნის სესხების თეორია მთლიანად იმსხვრევა და შოთას უკვდავი ქმნილება ჩვენ გვევლინება როგორც აბსოლუტურად ქართული ნაწარმოები შინაარსითა და ფორმით.

2257. გაიოზ იმედაშვილი

რუსთველის ლომი და შხე

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1951, VII, გვ. 241—250.

ავტორი სწავლობს რუსთველის მხატვრულ მეტყველებაში ლომისა და შხის მეტაფორულსა და ეპითეტურ მნიშვნელობას მათ ურთიერთ მიმართებაში. მისი დასკვნით, რუსთველისათვის ლომისა და შხის ზოდიაქური ურ-

თიერთობა თავისებურად ჩვეულებრივი რეალობა იყო, არა მხოლოდ როგორც ასტროლოგიური იდეალი, არამედ როგორც პოეტური მეტყველების მოვლენაც. ლომისა და შვის სახე ასტროლოგიური აპერაციებით ქართულ სინამდვილეში ლიტერატურულად რუსთაველამდეც იყო ცნობილი. რუსთაველი თავის რჩეულ გმირთა სახეებს ამ ასტრალურ წარმოდგენათა საფუძვლით ხატავს და მათვე აქცევს თავისი გმირების სიმბოლოებად, იმიტომ, რომ ისინი ზოლიაქური წესრიგის თვალთახედვით ბედნიერი ეტლის გამობატულებას წარმოადგენენ.

ავტორს თავის მოსაზრებათა დასაბუთებისათვის ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს სათანადო ადგილები და მასთან დაკავშირებით აანალიზებს ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლების მაგალითებს.

2258. პროფ. შ. ნუცუბიძე

„სპარსული ამზავის“ ხაიოხი „ვეფხისტყაოსანში“
სამეცნიერო სესია 1951 წ. 1-5 მარტ. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1951, გვ. 126.

ტექსტი შეიცავს მოხსენების 5 თეზისს, რომელშიაც ავტორი ავითარებს: დებულებას, რომ საჭიროა ახლებურად გაეიზროთ ვეფხისტყაოსნის პროლოგის გამოთქმა „ესე ამბავი სპარსული“, რომლის პირდაპირი მნიშვნელობით გაგების გამო ვეფხისტყაოსნის დედანს ხან სპარსეთსა და ხან კასპიის მიღმა მხარეებში ეძებდნენ.

2259. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე. ილუსტრაციები მხატვარ ირ. თოიძისა, ყდა, ტიტული და სამკაულები მხატვარ ს. კეცხოველისა.

საქართველოს ს. ს. რ. მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, სახელგამი, თბილისი, 1951, 410 გვ.

ტექსტი შეიცავს 1669 სტროფს.

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 347—396) შენიშვნით: „ლექსიკონი შეადგინა პროფ. იუსტინე აბულაძემ“.

საძიებელი პიროვნებათა და გეოგრაფიულ-ეთნოლოგიურ სახელთა (გვ. 398—399).

რედაქციისაგან (გვ. 403—408) წინამდებარე ტექსტის მომზადებისა და მასში საიუბილეო გამოცემასთან განსხვავებით შეტანილ შესწორებათა შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ 1937 წ. საიუბილეო გამოცემაში კორექტურულ შეცდომებთან ერთად გაიპარა „სწორად დადგენილი ტექსტის წარყვანის შემთხვევებიც“ (გვ. 403) და მითითებულია რამდენიმე რედაქციული ხასიათის შეცდომა, რომელიც აზრს ამახინჯებს. ამასთან ერთად აღნიშნულია ამ გამოცემაში შედარებით წინა გამოცემებთან გასწორებული ორთოგრაფიული და პუნქტუაციის შეცდომები.

წერილის დასასრულს აღნიშნულია; რომ ვეფხისტყაოსნის ამ გამოცემის ტექსტი დასაბუქდად მოამზადა ალ. ბარამიძემ ასპირანტ მ. ებრაღიძის დახმარებით. ტექსტი საბოლოოდ გამართა და სასტამბოდ გააწყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოყოფილმა კომისიამ ა. შანიძის, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის შემადგენლობით.

„ვეფხისტყაოსნის“ ეს გამოცემა რიცხვით ოცდამეოთხეა. საბჭოთა ხელისუფლების დროს პოემა იბეჭდება მეთხთმეტიჯერ“.

2260. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია—რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1951, 384 გვ.

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, ჯ. კეკელიძე, ა. შანიძე.

პასუხისმგებელი გამომცემისათვის ალ. ბარამიძე. სწავლული კორექტორი შ. ებრაელიძე.

ტექსტი შეიცავს 1669 სტროფს და წარმოადგენს 1937 წ. საიუბილეო გამოცემის პირს მთელი რიგი კორექტურული შეცდომებისა და ზოგი მცდარი წაკითხვების გასწორებით.

დართული აქვს ლექსიკონი (გვ. 337—383) შენიშვნით: „ლექსიკონი შეადგინა პროფ. იუსტინე აბულაძემ“.

საძიებელი: ა) პიროვნებანი ბ) გეოგრაფიული და ეთნოლოგიური სახელები (გვ. 384).

2261. შოთა რუსთაველი

Жолборс терисин кийин баатыр

Бир менен жазылган поэма Кыргызчаахшытрын эркин которгон Алымкул Осмонов Кошумчалаанып жана ондолум экинчи Басмышы, Фрунзе, Кыргызмам амбас, 1951, 226 გვ.

ტექსტს წინ უძღვის 3-გვერდიანი წინასიტყვაობა (Башки сөз ордунга) ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობისა და მისი უცხო ენებზე თარგმანების შესახებ. სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. რუსთაველის ოთხი სტრიქონი ყირგიზულად თარგმნილია 6 სტრიქონით.

შესავალის პირველი სტროფი შემდეგნაირად იკითხება:

«Ааламды адамду кылып жаратканым,
Баларына эччи белгүм жашаганамын,
Асмандан жердегиге күбат берип,
Дүйнөңүм жарыктылым жыраалдарым,
Бир гана адамз атка жазып койгон,
Бийлигиңи өкүм кылып подышамын».

2262. შოთა რუსთაველი

Жолборс терисин кийин баатыр

Бир менен жазылган поэма

Кыргызчалааштырып эркин которгон Алымкул Осмонов, Кошумчалаанып жана ондолум экинчи басмышы, Фрунзе, Кыргызмам амбас, 1951, 332 გვ.

რუსული ტიტული: Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре, Поэма в стихах, на киргизской языке, Фрунзе, Киргизгосиздат, 1951.

ვეფხისტყაოსნის ყირგიზული თარგმანის ეს ტექსტი მის პირველ გამოცემასთან შედარებით (1940 წლისა, იხ. ანოტაცია № 2028), შეიცავს ზოგიერთ რედაქციულ ცვლილებას. ამ გამოცემას პირველისაგან განსხვავებით დართული აქვს წინასიტყვაობა, უფრო ვრცლად „Башки сөз ордунга“ (გვ. 5—7), რომელშიაც ზოგადად ლაპარაკია რუსთაველის ბიოგრაფიისა და შემოქმედების საკითხებზე, ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობასა, თარგმანებსა და უმთავრესად მის ყირგიზულად თარგმნის ვითარებაზე. წინასიტყვაობაში შენიშნულია, რომ მთარგმნელი პ. ოსმანოვი სარგებლობდა ბჭკარელი თარგმანის გარდა ბალმონტის, პეტრენკოს, ცუკარლის და ნუცუბიძის რუსული თარგმანებით. ტექსტში სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. ტექსტს პირველი გამოცემისაგან განსხვავებით დართული აქვს პოემის შესავალი ნაწილი (Бет ачар) და მთლიანად შეიცავს 58 თავს. პირველი თავის „Арзб ханы Ростеван жөнүндө баян“ -ის პირველი სტროფი:

«Тагдыр суйу», талайына бак берген,
Урматы улук мин-мин, колу эдеген,
Арабияда Ростеван деген хан болду
Кызыл тилдеи, жоктур буга теи келген,
Колу да ачык айт пачы анык марттылыи—
Жузу жаркын, Озу да жаткан эр келген».

2263. Алексей Сурков

Книжки всесоюзного совещания переводчиков

გახ. литературная газета, 1951, 8 декабря, № 145 (2863), გვ. 1.

ავტორი საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის თხზულებების თარგმანთა მასობრივად გავრცელების პირობებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი თარგმნილია 15 ენაზე და გავრცელებულია 742.000 ტირაჟით.

2264. [უავეტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ჩინურ ენაზე

გახ. სახალხო განათლება, 1951, 22 აგვისტო, № 34 (1146), გვ. 3.

ინფორმაციულ ცნობაში აღნიშნულია, რომ საქ. მუზეუმმა შანხაიდან საჩუქრად მიიღო ჩინურ ენაზე შანხაიში გამოცემული ვეფხისტყაოსანი, რომელიც 1951 წელს დაუბეჭდიათ მასობრივი ტირაჟით და შეიცავს 412 გვერდს.

პოემის ჩინური თარგმანი შეუსრულებია ბეი ვანს და ში ხინს ინგლისური გამოცემის მიხედვით. წიგნს დართული ჰქონია პ. ინგოროყეას წერილი, რომელიც იქიდანვე უთარგმნიათ.

იგივე ცნობა დაიბეჭდა: გახ. „კომუნისტი“, 21 აგვისტო, № 196, გვ. 2.

გახ. «Заря Востока», 15 июля, № 165, გვ. 3. Витязь в тигровой шкуре на китайском языке».

2265. ლილი ქუთათელაძე

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ბიბლიოგრაფია]

წიგნში: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული ლილი ქუთათელაძის მიერ, ილია აბულაძის რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1951, ტომი II, 411 გვ.

კატალოგში აღწერილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და ნახსენებია რუსთაველი შემდეგ ნომრებზე: 599 (ერცელი რედაქცია 1546 წლისა), 740 (ერცელი რედაქციის შემოკლებული ვარიანტი XVIII საუკუნისა), 741 (ვახტანგისეული რედაქცია XIX საუკუნისა), 742 (ვახტანგისეული რედაქცია 1869 წლისა), 743 (XIX საუკუნისა), 757 (ერცელი რედაქცია 1671 წლისა), 783 (ერცელი რედაქცია 1857 წლისა), 925 (სრული რედაქცია XVIII საუკუნისა), 933 (მოკლე რედაქცია 1834 წლისა), 937 (XIX საუკუნისა), 964 ა (XVIII საუკუნისა), 964 ბ (XIX საუკუნისა).

2266. გიორგი შატერაშვილი

სათრეველი თუ სართეველი—ლიტ. პიეზანი, ტ. VI-ში მოთავსებული

ვ. ბერიძის წერილის გამო

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1951, 21 იანვარი, № 3 (352), გვ. 2.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის მე-17 სტროფში სიტყვა „სათრეველის“ წაკითხვა-კომენტარების ცდებს (ვ. ბერიძის—სართეველად, პ. ინგოროყეას—სათნეველად).

ავტორის აზრით, რუსთაველი სააშვიკო და სანადირო ლექსების გვერდით მალანძლავ ლექსს კი არ ასახელებს, არამედ ამხანაგთა სათრეველ, სახუმარო შაირებს და ზმებს.

ავტორს მოჰყავს ქართული პოეზიიდან ამხანაგთა შორის გასართობი, ზმით ნათქვამი ლექსის მაგალითები და გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სათრეველ ლექსს სალალობო, სააშვიკო და სამღერელ ლექსებს შორის თავისი ადგილი აქვს. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსანი არ იცნობს ე. ბერიძის მიერ მოწოდებულ სიტყვას „რთევა“, „გართობა“, „სართეველს“ და ის მიაჩნია ხელოვნურად ნაწარმოებ ფორმად და სალიტერატურო და ქართული ენის წესს არ ექვემდებარება. „ამხანაგთა სათრეველი“ ლექსი მიეკუთვნება სიამოვნებისათვის განკუთვნილ, გასართობ ლექსების კატეგორიას.

2267. ს. ცაიშვილი

ილია ჭავჭავაძე და „ვეფხისტყაოსანი“

ს ტ უ დ ე ნ ტ ა სა მ ე ც ნ ი ე რ ო კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა (13), 5. VI—10. IV. 1951.

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება, თბილისი, 1951, 134 გვ.

ავტორი თეზისებში ავითარებს იმ ძირითად მოსაზრებას, რომ ილია ჭავჭავაძემ პირველმა სცადა ვეფხისტყაოსნის მხატვრული და ფსიქოლოგიური ანალიზი, რომ მის სწორ პოზიციას, როგორც 1888 წლის გამოცემის მეთაურისა და მკვლევარისას, „განაპირობებდა საქართველოს დიდი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა“ (გვ. 52).

2268. თორნიკე ჭყონია

მადანაფიცობის კულტი საქართველოში და „ვეფხისტყაოსანი“

კ რ ე ბ. ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი ძ ი ე ბ ა ნ ი, 1951, VII, გვ. 251—260.

ავტორი სწავლობს მმადანაფიცობის გავრცელების საკითხს ქართული წყაროების მიხედვით და შენიშნავს, რომ შორეულ წარსულში ქართველ ტომებს შორის მმადანაფიცობა ძალიან ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რასაც ადასტურებს ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, ლიტერატურული და ისტორიული ძეგლები. ავტორის შენიშვნით, მმადანაფიცობის დღესაც რეალურად არსებობა საქართველოში იმას მოწმობს, რომ ის რუსთაველის ეპოქაში უფრო ძლიერად უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამის მიხედვით ავტორი ასკვნის, რომ რუსთაველი უთუოდ იცნობდა ქართულ ნიდაგზე წარმოშობილ-განვითარებულ მმადანაფიცობის წეს-ჩვეულებას მისი დამახასიათებელი ნიშნებით (გვ. 256). მმადანაფიცობა ქართველ ხალხში შემუშავებული არქმენით მეგობრობის უმაღლესი ფორმაა, რასაც რუსთაველი გამოხატავს თავისი გმირების ურთიერთობაში. მმადანაფიცობის ფორმების განხილვის შედეგად ავტორი ასკვნის, რომ მისი მნიშვნელობა იმგვარადვე ესმის რუსთაველს, როგორც ქართველ ხალხს (გვ. 259).

ამასთან დაკავშირებით ავტორი კონსტატაციას უკეთებს იმ ფაქტს, რომ ვეფხისტყაოსანი არ იცნობს მმადანაფიცობის რიტუალს, მიუხედავად იმისა, რომ ის პოემის ძირითადი მოტივია და ამოდის ქართული სინამდვილიდან (გვ. 259). ამას ავტორი იმიტ ხსნის, რომ „რუსთაველმა აიღო ქართული სინამდვილიდან მმადანაფიცობის მხოლოდ იდეა და გაიტანა იგი უფრო ფართო ტერიტორიაზე—არაბეთში, ინდოეთსა და ფრიდონის სამეფოში. ავტორის მტკიცებით, მმადანაფიცობა რომ საქართველოდან არის გატანილი, ამას ის გარემოება ადასტურებს, რომ თვით ინდოეთში მმადანაფიცობის წეს-ჩვეულება გავრცელებული არ ყოფილა, რასაც იქ ხელს უშლიდა ცხოვრების კისტური მისიტემა (გვ. 260).

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველს უფრო აინტერესებდა თავისი გმირების სამოქმედო ასპარეზად ინდოეთისა და არაბეთის ტერიტორია, ვიდრე ამ ქვეყნების ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილის ასახვა“ (იქვე). „რუსთაველმა ქართულ ძმადნაფიცობას მოაშორა კუთხური შეზღუდულობის მარჯვენა რიტუალი და მისცა ზოგად ნაციონალური მნიშვნელობა“.

1952

2269. [ავტორები]

[ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობა]

წიგნი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ძველ ხელნაწერთა საცავების გზამკვლევი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1951 [ყდაზე: 1952], 345 გვ.

მუზეუმის სხვადასხვა ფონდების აღწერაში მოკლედ მითითებულია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები შემდეგ გვერდებზე: 58, 59, 138, 166—168, 213 (იხ. საძიებელი გვ. 318). იქვე მოიპოვება ზოგი ხელნაწერის მოკლე დახასიათება და ბიბლიოგრაფიული ცნობები.

2270. ილია აბულაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 1 თებერვალი, № 5 (406), გვ. 4.

ავტორი ეკაბათება კ. ჭიჭინაძეს, რომელიც ვეფხისტყაოსნის ტექსტის 1951 წლის გამოცემის რედაქციას ბრალს სდებდა (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 6 იანვარი, № 1) „თმასა ლელსა“ წაკითხვის შესწორების ავტორობის მითვისებაში. ავტორი ფართო არგუმენტაციით ადგენს სიტყვა „ლელის“ შინაარსს.

2271. ლევან ასათიანი

ბელაღის ნაწერების კითხვის დროს
რუსთაველის სტრიქონები

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 21 ნოემბერი, № 47 (448), გვ. 1.

ქვეთავში: „რუსთაველის სტრიქონები“ ავტორი აღნიშნავს, რომ ამხანაგ ი. სტალინის ადრინდელ ნაშრომებში არა ერთხელ გვხვდება რუსთაველის გამონათქვამთა ბრძნული გამოყენება. მისი დაკვირვებით, სტატიაში „გაკვერით პარტიულ უთანხმოებაზე“ (1905) სტრიქონი „რა ყვავი ვარდსა იშოვის...“ თავი ბულბული ჰგონია“ აღებულია ვეფხისტყაოსნიდან (სტროფი 1254). ასევე „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა“ (1906) სტატიის გამოთქმაში: „მას უნდა რევოლუცია და კონტრრევოლუცია შეარიგოს, თხა და მგელი ერთად აძოვოს...“, ავტორის აზრით, გამოხატულება უპოვია რუსთაველის 1664-ე სტროფის ერთ ტაქსს: „შიგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად სძოვდეს“.

2272. ალ. ბარაშიძე

ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში
თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრაფია

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცენტრის გამაერთიანებელი საზოგადოება,
1952, 24 გვ.

ავტორი აღნიშნავს რუსთაველის პოპულარობას. საქართველოში, განსაკუთრებით ალორძინების ხანის მწერლობაში და მოიხილავს რუსთაველთან კლერიკალური წრეების ბრძოლის მიმდინარეობას, მისი პოემის ჩანამატებით

გაყალბებისა და გაკრიტიკების ცდებს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ რუსთაველმა არ ასახა ქრისტიანული დოგმები, რისთვისაც ვეფხისტყაოსანს უზენოესის გამაჟვრებლად აცხადებდნენო.

დასასარულს, ავტორი ეხება ვახტანგ VI-ის ცდას ეს ბრალდება მოეხსნა რუსთაველისათვის, იმით რომ ვეფხისტყაოსანის თავის 1712 წლის გამოცემას დაურთო კომენტარიები, რომლებშიაც ვეფხისტყაოსანს ღვთის სიყვარულის ქებად იკებდა.

2273. ალ. ბარამიძე

რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი
ნარკვევი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, მეცნიერულ-პოპულარული სერია, თბილისი, 1952, 84 გვ.

შინაარსი:

შესავალი. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები. ვეფხისტყაოსნის ავტორი, ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წყაროს საკითხი. ვეფხისტყაოსნის კომპოზიცია. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები. ვეფხისტყაოსნის პოეტიკა. ვეფხისტყაოსნის იდეური მოტივები. სიყვარული და მობა-მეგობრობა. სიყვარული. მანდილოსნის კულტი. მობა-მეგობრობა. ხალხთა მეგობრობა. პატრიოტიზმის მოტივი. რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. ვაჭრული საზოგადოება. რუსთაველის რელიგიური შეხედულებების შესახებ. რუსთაველის შემოკმედებითი მეთოდი. რუსთაველის ენა. რუსთაველის ვნის მხატვრული თავისებურებანი. რუსთაველის ლექსი. ვეფხისტყაოსნის ხალხრობა. ვეფხისტყაოსნის მსოფლიო მნიშვნელობა. რუსთაველი და თანამედროვეობა.

ავტორი პოემის შესწავლას აღნიშნული საკითხების მიხედვით აყრდნობს მხოლოდ და უშუალოდ ვეფხისტყაოსნის ანალიზს, კვლევა-ძიებითი მასალის გამოყენების გარეშე და თავის მიერ წამოყენებულ შეხედულებათა დასამტკიცებლად მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილები, რომელთაც კომენტარებს ურთავს.

2274. ალ. ბარამიძე

ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 1952, III, 464 გვ.

წიგნი შეიცავს რუსთაველოლოგიურ ნარკვევებს, რომელნიც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულნი იყვნენ პერიოდულ მეცნიერულ ან ცალკე გამოცემებში.

1. ბრძოლა რუსთაველის გარშემო XV—XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში (გვ. 7—23).
2. „ვეფხისტყაოსნის“ ტიპის საკითხისათვის (გვ. 24—63).
3. ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა საკითხისათვის (გვ. 64—123).
4. შენიშვნა მესხი მელექსის შესახებ (გვ. 124—127).
5. ვეფხისტყაოსნის პოეტიკის საკითხები (გვ. 128—196).
6. ნიხამი და რუსთაველი (გვ. 197—229).
7. შ. ნუტუბიძე—Пустьавели и Востоуашии Ренессанс (გვ. 399—410).

ამ წერილებთან ერთად წიგნში მოიპოვება ავტორის სხვა ნაშრომები, რომლებშიაც ვეფხისტყაოსნის ესა თუ ის საკითხია განხილული. მთლიანად წიგნში რუსთაველი ნახსენებია შემდეგ გვერდებზე: 5, 7—17, 19—26, 28, 29, 31—33, 36, 40—42, 44, 45, 47, 49—54, 59—63, 66—68, 71, 74—77, 82, 83, 88, 90, 95, 96, 99, 100, 103, 106—119, 124—127, 129—156, 158, 159, 161—167, 170—175, 177, 179, 181—192, 194, 195, 197, 209, 210, 215, 217, 221, 222, 225, 227—229, 232, 250, 255, 257, 259—262, 265, 266, 337, 380, 400—403, 405—407, 410, 415—422, 430, 435, 444.

Шота Руставели

წიგნი: **А. Барамидзе, Ш. Радзини, Б. Жентин**, История грузинской литературы, краткий очерк, Академия Наук грузинской ССР, Институт истории грузинской литературы имени Руставели, Государственное учебно-педагогическое издательство министерства просвещения РСФСР, Москва, 1952, 136 გვ.

მცირე შესავლის გარდა სტატია (გვ. 30—45) შეიმღებ ქვესათაურებს:

„Сюжет поэмы. Основные идейные мотивы поэмы. Жизнь-утверждающие мотивы и героика. Образы—характеры. Художественные особенности поэмы. Народность поэмы. Значение поэмы“.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს რუსთაველის ბიოგრაფიის მთავარ ცნობებს, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტს, ზოგადად ახასიათებს პოემას, იხილავს მის მთავარ მოტივებს და არჩევს გმირთა ხასიათებს მათ მიმართებაში პოემის მთავარ იდეალებთან და სიუჟეტის განვითარებასთან. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის პოეტური მეტყველებისა და ლექსის თავისებურებებს, მის ხალხურობას და მნიშვნელობას ქართული და მსოფლიო კულტურის თვალსაზრისით.

2276. ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 8 თებერვალი, № 6 (407), გვ. 3—4.

წერილი წარმოადგენს შენიშვნებს ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემასთან დაკავშირებით კ. ჭიჭინაძის მიერ დაბეჭდილი წერილის გამო (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 6 იანვარი) საჩუქრული გასწორებათა შესახებ პოემის ტექსტში.

ავტორები იხილავენ კ. ჭიჭინაძის შენიშვნებს, ასაბუთებენ მათ შეუსაბამობას და აღნიშნავენ, რომ სამას გასწორებათაგან, რომელიც 1951 წლის გამოცემის ტექსტში შეიტანა რედაქციამ, კ. ჭიჭინაძე შეეხო 21 გასწორებას, რომელთაგან ცხრა მიიჩნია საკამათოდ, რასაც ავტორები უარყოფენ.

2277. ამბერკი ვაჩეჩილაძე

ლავრენტი არღაზიანი

წიგნი: ნარკვევები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან I, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1952, 184 გვ.

ლავრენტი არღაზიანის ასპარეზზე გამოსვლის შესახებ მსჯელობისას ავტორი აღნიშნავს, რომ 1929 წლის „ტფილისის უწყებანის“ № 3-ში მოთავსებული წერილი რუსთაველზე „სათაურით „რაიმე რუსთაველისათვის“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ლ.ა-დ“ ლ. არღაზიანს ეკუთვნის.

ავტორის შენიშვნით, ამ წერილის დაბეჭდვის ინიციატორი და ხელმძღვანელი ყოფილა სოლომონ დოდაშვილი, რომელიც ამ დროს მსახურობდა მასწავლებლად და გაზ. „ტფილისის უწყებანის“ კომიტეტის წევრად.

თვით წერილის „რაიმე რუსთაველისათვის“ შესახებ იხ. ანოტაცია № 10.

2278. აკაკი ვაწარელია

პოეტური თარგმანის საკითხების გამო

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 13 იანვარი, № 2(403), გვ. 3—4.

ავტორი მხატვრული თარგმანის საკითხებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ: „რუსთაველმა შეგნებულად უარყო შინაგანი რითმები ჩაბრუნების ზოტებისა, კ. ბაღმონტმა კი მთელი პოემა შინაგანი რითმებით თარგმნა, ე. ი. მან არსებითად შექმნა ინტონა-“

ციის მხრივ სრულიად საწინააღმდეგო რუსული ვარიანტი რუსთაველის პოემისა...
„... რუსთაველის სიტყვიერი ფაქტურის ყველა თავისებურება, მშენიერი სისადავე, ეპიური
კილო თხრობისა თარგმანში შეკლილია შინაგანი ბგერითი ტაქტოლოგიით“.

2279. **Винтор Гольцев**

Шота Руставели

Редактор А. Дмитриева, Государственное издательство художественной литературы.
Москва, 1952, 124 зб.

იხ. ანოტაცია წიგნის პირველ, 1940 წლის გამოცემასთან, № 2013.

2280. **გ. გოცაძე**

პირველი ქართული ეურნალი

კრებ. საისტორიო მოამბე, თბილისი, 1952, № 6. გვ. 229—314.

ავტორი მიმოიხილავს პირველი ქართული ეურნალის „სალიტერატურო-
ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“-ს დაარსების ისტორიას და მის მასალებს შო-
რის მოპყავს ს. დოდაევის ხელმოწერით წერილის ტექსტი: „მოკლე განხილვა
ქართულისა ლიტერატურისა ანუ სიტყვიერებისა“ (გვ. 272—276), რომელ-
შიაც ზოგადად დახასიათებულია შოთა რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი.

იხ. ანოტაცია № 13 მის პირველ პუბლიკაციასთან 1832 წელს.

2281. **პროფ. დავით კობიძე**

აღ. ბარამიძე—ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. III
ტურნ. მნათობი, 1952, № 10, გვ. 152—156.

წერილი წარმოადგენს ნაშრომის სარეცენზიო მიმოხილვას, რომელშიაც
ავტორი სპეციალურად ჩერდება აღ. ბარამიძის გამოკვლევაზე ვეფხისტყაოს-
ნის პოეტის საკითხების შესახებ და შენიშნავს, რომ, თუმცა ავტორის მი-
ზანი იყო ვეფხისტყაოსნის პოეტის პრინციპული საკითხებისა და წამყვანი
ტენდენციების ძიება, ნაშრომის ძირითადი ნაწილი პოეტური მეტყველების
საკითხებს ეხება. ავტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას ნაშრომის აგე-
ბულუბაზე და გამოყენებული ლიტერატურის მიმართ. განსაკუთრებით იხილავს
ვეფხისტყაოსნის რამდენიმე მეტაფორის განმარტებას აღ. ბარამიძის ინტერ-
პრეტაციაში.

2282. **Г. М. Каландаришвили**

Очерки по истории логики в Грузии

(Материалы к опит исследования)

Академия Наук Грузинской ССР, Институт философии, Тбилиси, 1952, 223 გვ.

წიგნის თავი: „философско-логические взгляды грузинских деятелей
XI—XII в. в.“. ავტორი გაკრით აღნიშნავს რუსთაველისა და პეტრიწის
ზოგიერთი განონათქვამების თანხედენილობას და შენიშნავს, რომ რუსთაველი
თავის პოემაში გამოხატული საერო მსოფლმხედველობით, რომელიც გაკრენ-
თილია ჯანსაღი ნატურალიზმითა და რეალიზმით, ვათავისუფლდა სქოლას-
ტიკური მსოფლმხედველობისაგან, რაც მას ასხვავებს პეტრიწისაგან. ავტორი
შენიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით, შემთხვევითი არ იყო, რომ რუსთაველის
ამ „საერო“ შეხედულებათა წინააღმდეგ ქართული კლერიკალიზმის წარმომად-
გენლები ილაშქრებდნენ.

2283. **შალვა კვასხვაძე**

ქართული წიგნის გრაფიკული ხელოვნება—ვანტანგ VI სტამბის წიგნი 1709—1722

ქართული ხელოვნების ისტორია, [გამომცემლობა] „ხელოვნება“, თბილისი, 1952, 256 გვ.

ავტორი იძლევა ვანტანგ VI-ის მიერ 1712 წელს თბილისში გამოცე-
მული ვეფხისტყაოსნის ტექნიკურ აღწერილობას (გვ. 158—162), ახასიათებს

ჯარეგნობას, ტიტულს, სამკაულებს, შრიფტს, ვახტანგის პორტრეტს, სანეფოგარბის ვსტამბს და აღნიშნავს, რომ „ვახტანგის სტამბის წიგნთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემა. მისი ფორმატი ვახტანგის წიგნთა შორის თავისებური და ახალია, ასევე შრიფტიც რამდენადმე განსხვავებულია და მისი ანაწყოები ლაქა შეფარდებულია მთლიანი გვერდის კომპოზიციურ სქემასთან“ (გვ. 161). ავტორი ეხება წიგნის ორნამენტაციას და აღნიშნავს, რომ „მის შემუშავებელ, წამყვან ელემენტთა საფუძველს, მისი გენეზისის ძიების მხრივ, ქართული ორნამენტის სათავეებამდე მიყვავართ“ (გვ. 161). ავტორი ასკენის, რომ „ვახტანგის სტამბიდან გამოსული „ვეფხისტყაოსანი“ მხატვრული თვალსაზრისით, ძირითადად ქართულ საერო-ლიტერატურის ხელნაწერ წიგნთა ტრადიციას ემყარება“ (გვ. 162).

ავტორი დასასრულს გაკვრით ეხება პროფ. ა. შანიძის რედაქციით გამოსული ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გამოცემას და აღნიშნავს, რომ „იგი ნამდვილად არის პირველი მეცნიერული ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის აღდგენისა, რაც უდავოდ დიდად საინტერესოა და შესრულებული“ (იქვე).

2284. N. Pospelow, P. Schabliowski, A. Soetschanow

„Der Ritter im Tigerfell“ von Schota Rustaweli

წიგნი: Geschichte der russischen Literatur. Gesamtedaktion N. L. Brodski, Band I, Von den Anfänge bis zu den dreissiger Jahren des 19 Jahrhunderts.

Verlag Kultur und Fortschritt, Berlin, 1952, 404 გვ.

ძველი ქართული ლიტერატურის მიმოხილვისას ავტორები შედარებით ვრცლად ჩერდებიან რუსთაველის შემოქმედებაზე. ქვესათაურები:

1. Das Leben Schota Rustawelis. 2. Georgien zur Zeit Rustawelis. 3. Der Inhalt des Epos. 4. Die Gestalt Tariels. 5. Die Gestalt Avtandils. 6. Die Frauengestalten. 7. Der ideelle Gehalt des Epos. 8. Freundschaft und Liebe. 9. Das Schicksal des Epos, 10. Die künstlerischen Besonderheiten des Epos.

2285. რუგოშელი

„დასაყვიარად“ თუ „დასახივარად“

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 15 თებერვალი, № 7(408), გვ. 4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის 1038-ე სტროფში „დასაყვიარად“ სიტყვის მნიშვნელობას 1951 წლის გამოცემაში შეტანილ გასწორებასთან დაკავშირებით. მისი დასკვნით, კომისიას სიტყვა „დასაყვიარად“ უმართებულოდ შეუცვლია სიტყვით „დასახივარად“.

2286. Schota Rustaweli

Der Recke im Tigerfell

[თარგმანი Hugo Huppert-ისა]

გახ. Tag e b u c h, Wien, 1252, 25 Oktober, Nr. 21.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ორი თავის ნაწყვეტს: „Rostewan und Awthandil auf der Jagd“ თავის 72—83 სტროფები და „Thronrat über eine Verheiratung Nestan-Daredshans“ თავის 507—516 სტროფები.

დასაწყისი, სტროფი 72-ე:

„Morgens früh erschien der Ritter—lilienschöne Augenweide—, hoch auf weissem Hengst der Edle, reichgeschmückt im Purpurkleide; Goldgewebt der Turban, und das Schwert in goldgetriebener Scheide. Fordert seinen Herrn zum Wettkampf frisch heraus Wald und Heide“.

ტექსტს წინ უძღვის მცირე განმარტება ჰუგო ჰუპერტის მეშაობის შესახებ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე და მოცემული ტექსტის ირგვლივ.

2287. [უაფცორო]

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი გერმანულ ენაზე

გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 11 აპრილი, № 15 (416), გვ. 4.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის გერმანულად თარგმნის ცდებს და აღნიშნავს, რომ ჰუგო ჰუპერტმა დაიწყო ტექსტის სრულ თარგმანზე მუშაობა და რომ მას თავისი თარგმანის ნიმუშები წაუკითხავს. ავტორის შენიშვნით, ჰუპერტი გულმოდგინედ იცავს რუსთაველის ლექსის ფორმის თავისებურებებს, მის მეტრულ წყობას და სტროფის გარითმვის წესს (კატრენს).

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს ჰუპერტის მიერ ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობას თარგმანისათვის—ქართული კულტურის ძეგლების გაცნობას, ქართველ ლიტერატორებთან ურთიერთობას და სხვ.

2288. [უაფცორო]

[ბიბლიოგრაფია შოთა რუსთაველზე]

წიგნში: ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ტომი 11, გაზ. „დროება“ 1866—1885 წ. წ.: გაზ. „ზრომა“ 1881—1883 წ. წ., საქართველოს სსრკ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, თბილისი, 1952, 1037 გვ.

ბიბლიოგრაფიულ საძიებელში შოთა რუსთაველზე მოიპოვება ბიბლიოგრაფიული მითითებანი სხვადასხვა მწერალთა მიხედვით შემდეგ ნომრებზე 10607—10655 (გვ. 716—719).

2289. შიხელი ჩიქოვანი

ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1952, 542 გვ.

ავტორი მწერლობისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთობის სხვადასხვა საკითხის განხილვისას სპეციალურად თუ გაკერით ჩერდება რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე (გვ. 9, 14, 19, 27, 44, 47, 50, 51, 52, 53, 136, 172—75, 186).

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში ორჯერაა ნახსენები სიტყვა მგოსანი და მოჰყავს სათანადო ადგილები (გვ. 44).

მგოსან-სატირიკოსის ტიპის მთხვეულებზე მსჯელობასას ავტორი ეხება რუსთაველის შეხედულებას მოშიარებზე (გვ. 47).

სიმღერასა და მასთან დაკავშირებულ ტერმინებზე მსჯელობისას ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან საილუსტრაციო მასალა (გვ. 50).

ხმისა და წყობილსიტყვაობის პარამონიული შეხამებისა და სიმღერის უდიდეს ძალაზე მსჯელობისას ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში ტერმინებს — მუტრიბი, მუშაითი, სულეთო და სხვ. (გვ. 51—53). ტერმინი „სულეთო“ ავტორის მოსაზრებით ნიშნავს ამ სახელწოდების ჰიმნს, რომელიც ნადიმზე შესრულებიან (გვ. 52).

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნისა და ტარიელიანის ურთიერთობაზე და მოკლედ იხილავს ამ საკითხზე წარმოებულ პაექრობას ა. ხახანაშვილთან (გვ. 172—175).

ავტორი აღნიშნავს ხალხური ვეფხისტყაოსნის შესახებ ცნობების დაბეჭდვას და მოჰყავს ამონაწერები პ. უმიკაშვილის წერილიდან (გვ. 186).

2290. ს. ცაიშვილი

ერთი საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის ისტორიიდან
სტრუქტურა და მხედველობა კონფერენცია (14), 17. VI—23. VI 1952, თბილისი,
1952, 210 გვ.

ავტორი ეხება ვახტანგისეული განოცემის შედგენილობისა და წყაროს საკითხს და № 5006 ხელნაწერის განხილვის შედეგად ასკვნის, რომ „მისი ერთი ნაწილი ვახტანგისეული გამოცემის პირს წარმოადგენს“. ვახტანგისეული გამოცემა ხელოვნური რედაქციაა (გვ. 79—80).

2291. კონსტანტინე კიჭინაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემა

გაბ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 6 იანვარი, № 1 (402), გვ. 2.

წერილი შეიცავს შენიშვნებს სახელგამის მიერ 1951 წელს ვეფხისტყაოსნის ტექსტის ოცდამეფურამეტე გამოცემის შესახებ.

ავტორის შენიშვნით, საერთოდ არსებობს ვეფხისტყაოსნის ტექსტის სამი ძირითადი რედაქციის გამოცემა, რომელთაგან პირველია 1712 წ. ვახტანგის გამოცემა, რომელთანაც შედარებით თვით ავტორისეული 1934 წლის გამოცემის ტექსტი შეიცავს ინდოხატაელთა ამბავს როგორც პოემის დაბოლოებას.

ავტორი აღნიშნავს საიუბილეო გამოცემაში (1937) გაპარულ შეცდომათა ზოგ გასწორებას და ეკამათება რედაქტორებს მათ მართებულებაში.

2292. კონსტანტინე კიჭინაძე

პასუხების პასუხი

გაბ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 15 თებერვალი, № 7 (408), გვ. 4.

ავტორი ეკამათება ილია აბულაძეს და 1951 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტის რედაქტორებს გამოცემაში შეტანილ წაკითხვათა შესწორებათა მართებულებაში, მათ მიერ გამოქვეყნებულ პოლემიკურ წერილებთან დაკავშირებით ამ საკითხებზე.

2293. შალვა ხიდაშელი

საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმართულებანი

ფოლკლორ-საქართველოში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტი,
თბილისი, 1952, გვ. 104.

ძველ საქართველოში საეკლესიო და საერო მსოფლმხედველობათა მიმართების საკითხზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში „საერო მსოფლმხედველობამ ყველაზე თანმიმდევრული, ზუსტი და, რამდენადაც ეს შუა საუკუნეების პირობებში იყო შესაძლებელი, კატეგორიული განსაზიერება პოვა“. (გვ. 66). მხატვრული მწერლობის წინააღმდეგ ეკლესიური რეაქციის ბრძოლის დახასიათებისას ავტორი აღნიშნავს, რომ „განსაკუთრებული ენერგიით საეკლესიო წრეების წარმომადგენლები... ვეფხისტყაოსნის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ“ (გვ. 67) და იმოწმებს სათანადო ლიტერატურას.

ვეფხისტყაოსნის გაყალბებას ცდილობდნენ ჩანართი სტროფებით თვით პოემაშიც, რის საბუთად მოჰყავს სტროფი „პირველ თავი დასაწყისი...“ (გვ. 68).

ავტორი იმოწმებს რუსთაველის ტაეპს „შიაირობა პირველადე...“ იმ აზრის დასაბუთებისათვის, რომ „ძველი ქართული საზოგადოებრივი და ფილოსო-

ფიური აზრის შესანიშნავი წარმომადგენლისათვის პოეზიას შემეცნებითი ღირებულება ჰქონია და „სიბრძნის“ (მსოფლმხედველობის) ერთ-ერთი დარგი ყოფილა. რუსთაველის ეს დებულება წინამორბედი ქართული მწერლობის დაკვირვებული და ღრმა შესწავლის შედეგს და განზოგადობას წარმოადგენს“ (გვ. 74).

2294. შ. В. Хидашели

[*Шота Руставели*]

სტატიაში: Грузинская советская социалистическая республика

XIII. Философия, гл. 71—72

წიგნი: Большая Советская Энциклопедия, т. 13, второе издание [Москва], 1952.

ავტორი აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველის პოემა ეფუხისტყაოსანი წარმოადგენს ქართული ფეოდალური კულტურის კვლავ მწვერვალს, რომელშიაც განზოგადებულია მთელი ქართული აზროვნების განვითარება პოეტურ ფორმაში.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, მსოფლმხედველობას, ესთეტიკას, მის წყაროებს, აღნიშნავს მის პროგრესულობას, ორიგინალობას და ეხება პოემის მთავარ მოტივებს.

დასასრულს, მოკლედ ახასიათებს ეფუხისტყაოსნის მნიშვნელობას ქართული მწერლობის განვითარებისათვის და მისდამი ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებას.

2296. შალვა ხიდაშელი

შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხისათვის

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1952, 14 ნომბერი, № 46 (447), გვ. 3—4.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს, რომ „მის პოემაში თავისი დროისათვის მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული სიღრმის მსოფლმხედველობა არის განსახიერებული“ და მოკლედ ეხება მისი მსოფლმხედველობის კვლევის საკითხს. მისი შენიშვნით, ეფუხისტყაოსნის დედაარსი, მისი ძირითადი აზრია, რომ რეალობა თვით ამქვეყნიური სინამდვილეა, რომ მას თავისთავადი ღირებულება და მნიშვნელობა აქვს. მან პირველთაგანმა ყოველივე ამ ქვეყნიურის ასკეტურ უარყოფას დაუპირისპირა მიწიერი, სინამდვილისადმი ძლიერი სიყვარული გამსჭვალული მსოფლმხედველობა. რუსთაველი, როგორც მოაზროვნე ცნებებით, ხშირად ეწინააღმდეგება რუსთაველს, როგორც მოაზროვნეს სახეებით, რაც მაშინდელი ეკლესიური იდეოლოგიის გარემოცვითაა განსაზღვრული. ავტორი იხილავს რენესანსის ფილოსოფიის საკითხებს ქართულ სინამდვილესთან მიმართებით. „შოთა რუსთაველი თამამად უარყოფს იმ დროის გაბატონებულ ტრადიციას, იგი არღვევს გაბატონებული იდეოლოგიის თვალსაზრისს ამქვეყნიურზე და იმქვეყნიურზე“. „რუსთაველის აზრით აღდამიანის ძირითად მისწრაფებას ამქვეყნიური მისწრაფებანი შეადგენს და ამიტომ იგი ყოველთვის და ყველა პირობებში სიცოცხლისათვის უნდა იბრძოდეს...“

ავტორი რუსთაველის მსოფლმხედველობასთან დაკავშირებით იხილავს რუსთაველის თეორიას პოეზიის საგნის შესახებ და დასასრულს ეხება ლეონების საკითხს რუსთაველის შემოქმედებაში. მისი აზრით, „რუსთაველის მიხედვით, ლმერთის ადგილიც ამქვეყნიურ სინამდვილეში უნდა ვიგულისხმოთ“, მისი „მსოფლმხედველობის ძირითადი ტენდენცია მიმართულია დუალიზმის

ამქვეყნიური სინამდვილის საფუძველზე დაძლევისაკენ და, მაშასადამე, ლეთა-
ებაც ამავე სინამდვილესთან უნდა იყოს შერწყმული“. რუსთაველი წინამორ-
ბედია პანთეონის სახით ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მიმდინარეობისა,
რომელიც ლმერთის მატერიალიზაციის პრინციპზე იყო დაფუძნებული.

1953

2296. ალ. ბარამიძე

ნ. მარის შეცდომების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიის
საკითხების გაშუქებაში

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1953, ტ. VIII, გვ. 35—52.

ავტორი აღნიშნავს, რომ მარის „ნაშრომები სავსეა ერთიმეორის აბსო-
ლუტურად საწინააღმდეგო, ხშირად ერთიმეორესთან შეუთავსებელი და ერთი-
მეორის გამომრიცხავი მოსაზრებებით“ რამაც გამოხატულება ჰპოვა შოთა
რუსთაველის ვეფხისტყაოსნის პრობლემის დამუშავებაშიც. ავტორი მიმოიხი-
ლავს მარის იმ ნაშრომებს, რომლებშიაც ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის სპარსუ-
ლიდან წარმოშობილობა ან სპარსულის გავლენა საბუთდება, დაწყებული
1890 წლიდან მისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანამდე. ავტორის საერთო შე-
ნიშვნით, ნ. მარს შოთა რუსთაველი განოკუპდა უნიადაგო კოსმოპოლიტად.
ნ. მარმა სრულიად მოწყვიტა შოთა რუსთაველი საქართველოს ისტორიულ
სინამდვილეს, ქართულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ნიადაგს (გვ.
44). „ძველი ქართული მწერლობის საკითხების კვლევა-ძიება ნ. მარმა დაიწყო
ბურჟუაზიული ობიექტივიზმის პოზიციებიდან და დაასრულა ანტიმარქსისტული,
ეულგარული სოციოლოგიზმითა და ეულგარული მატერიალიზმით“ (გვ. 47).

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ნ. მარის ულტრასპარსული თეო-
რიის წინააღმდეგ ხმა აღიმალა ილია ქავჭავაძემ, ავაკი წერეთელმა, იაკობ
გოგებაშვილმა, გიორგი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა. ავტორი მოკ-
ლედ ახასიათებს მარის საწინააღმდეგო გამოსვლებს ქართულ მწერლობასა
და კრიტიკაში და მოკყავს ამონაწერები ილია ქავჭავაძის პოლემიკური წერი-
ლებიდან.

2297. ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1953, VIII, გვ. 345—360.

წერილი შეიცავს ორ ნაწილს, რომელთაგან პირველი (დაბეჭდილი იყო
გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“-ში, 1952, 8 თებერვალი) წარმოადგენს
პასუხს კ. ტიქინაძის 9 შენიშვნაზე ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის
გამო (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 6 იანვარი).

ავტორების შენიშვნები, კ. ტიქინაძის 1951 წლის გამოცემაში კომისიის
მიერ შეტანილი 31 გასწორებიდან 26 შეუწყნარებია, ხუთი კი უარუყვია.
ამასთან ერთად ავტორები ასაბუთებენ ამ ხუთი გასწორების უარსაყოფად
კ. ტიქინაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა უსაფუძველობას.

მეორე წერილის ნაწილი წარმოადგენს პასუხს კ. ტიქინაძის პასუხების პასუხ-
ზე (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1952, 15 თებერვალი, № 7). ავტორე-
ბი ასაბუთებენ კ. ტიქინაძის ათი შენიშვნის უსაფუძველობასა და მცდარობას.

წერილის დასასრულს სქოლიოში შენიშნულია, რომ „კომისიის მიერ
დადგენილი ტექსტი შეცდომებით დაიბეჭდა 1937 წელს, მაგრამ კომისიას ამაში
არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც კომისიის დამზადებული ტექსტი
დაიბეჭდა კომისიის მონაწილეობის გარეშე“.

2298. დ. ბრეგაძე

ქართველი პოეტები რუსეთში (XVIII ს.)

კრებ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ქუთაისი, 1952—1953, ტ. XI, გვ. 269—304.

ავტორი ეხება საქართველოდან რუსეთში გადახვეწილ ქართველი მწერლების ონანა მდიენისა და დიმიტრი სააკაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას და მათი პოეზიის დახასიათებისას გაკერით აღნიშნავს შოთა რუსთაველის შთაბეჭებით მნიშვნელობასა და სტილისტიკურ-აფორისტული გავლენის ზოგ კვალს.

2299. დავით გამეზარდაშვილი

სარკვევები ქართული რელიგიის ისტორიიდან

სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1953, 487 გვ.

ავტორი გიორგი ერისთავის საზოგადოებრივი, ლიტერატურული მოღვაწეობის მიმოხილვისას ეხება მის მონაწილეობას ვეფხისტყაოსნის პოლონურ ენაზე თარგმნის საქმეში (გვ. 84—88). ავტორი ამის შესახებ ძირითადად იმეორებს მის მიერვე წიგნის პირველ გამოცემაში გამოთქმულ ცნობებს და შეხედულებას (იხ. უფრო ვრცელი ანოტაცია 1949 წლის გამოცემასთან № 2215), მხოლოდ მისგან განსხვავებით ახლად მოპოვებული მასალის საფუძველზე აღნიშნავს, რომ პოლონურ ენაზე ვეფხისტყაოსანი თარგმნა გ. ერისთავმა, რომელსაც კ. ლაფჩინსკი მხოლოდ დახმარებას უწევდა. ეს თარგმანი გაკეთდა 1850—1854 წლებში და დაიბეჭდა 1863 წელს ვარშავის ეურნ. „Biblioteka Warszawska“-ში (იხ. ანოტაცია № 92).

2300. აკაკი გაწერელია

ქართული კლასიკური ლექსი

მახვილი, რიტმი, რითმა და სტროფი (VII—XVIII ს. ს.) (მონოგრაფია)

საბჭოთა მწერლობა, თბილისი, 1953, VIII+324 გვ.

ავტორი მთელი ნაშრომის სივრცეზე ქართული ვერსიფიკაციის საკითხების, განსაკუთრებით შაირის საზომის კვლევისა და მისი თავისებურებების განსაზღვრისას საილუსტრაციო მასალად იყენებს ვეფხისტყაოსნის ცალკეულ ადგილებს.

2301. ალ. გვახარია

ნიჰამი და საქართველო

ურნ. მნათობი, 1953, № 12, გვ. 169—174.

ავტორი აღნიშნავს ნიჰამის შემოქმედებაში ქართული სინამდვილის ანარეკლს, რის საილუსტრაციოდაც მოჰყავს გარემოება, რომ ქალის შეფასება ნიჰამისთან საოცრად ემთხვევა რუსთაველისეულს (გვ. 171). ავტორის შენიშვნით, „ნუშაზე არ შეიძლება მოვწყვიტოთ ქართულ სინამდვილეს, ისევე როგორც მისი სამშობლოს ისტორია საქართველოსას“ და შესაძლოა მელიქ დუალისათვის ტყვეობიდან გამოხსნილი დედოფლის მითხროვებაში თამარისა და დავით სოსლანის ქორწინების გამოძახილი გვექნდესო. ამასთან დაკავშირებით ავტორი ასკვნის, რომ „მთელ ამ შინაგან კავშირს ნათლად ავკვირვებებს ის უმაღლესი შეფასება-დასკვნა, რომელიც უშუალოდ ეხმაურება რუსთაველს:

„შე ვარ ლოჰალი, თუ შენ ხარ ლოჰაჟი.“

ბრძოლის დროს რა ქუ და რა ხედი ლოჰი...“ (გვ. 174).

იქვე ავტორი შენიშნავს, რომ ნიჰამის „ისქანდერ ნამეში“ „ორჯერ იხსენიება სახელი „ნესტან დარეჯანი“. თანაც ნიჰამი იძლევა მის ზუსტ ეტიმოლოგიას („ჩემნაირი არ არის ქვეყნად“).

2302. ვაჟა ფშაველა

ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

წიგნში: ვაჟა ფშაველა, რჩეული, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1953. გვ. 344—353.

წერილი შეიცავს ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-ლიტერატურულ დახასიათებას ხალხურ ტარიელთან მიმართების საკითხებთან დაკავშირებით.

პირველად დაიბეჭდა 1911 წელს ჟურნ. „განათლება“-ში, № VIII. იხ. სრული ანოტაცია № 753.

2303. მის. ზანდლუკელი

ვაჟა-ფშაველა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1953, 386 გვ.

ავტორი ვაჟა-ფშაველას შემოქმედების საკითხების რკვევისას გაკვირვებულა ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველს. რუსთაველი მოხსენიებულია: 10, 12, 95, 247, 332, 360, 373 გვერდებზე. ვეფხისტყაოსანი—235, 360, 373.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვაჟა-ფშაველას ნიჭიერად აქვს ათვისებული ქართული ლიტერატურის კლასიკოსების, მათ შორის შ. რუსთაველის ლიტერატურული ტრადიციები (გვ. 10). რუსთაველის შემოქმედებაში ნიჭიერადაა შესისხლბორცებული ძვირფასი მხარეები ხალხური შემოქმედებისა (გვ. 12).

ავტორს მოჰყავს ტაეპი „ჭირსა შიგან გაძაგრება ისე უნდა ვით ქვით-კირსა“ და შენიშნავს: „ტყუილად კი არა თქვა ხალხის გენიამ და ეს თქმა, ისედაც ხელიხელ საგოგმანებელი, უკვდავმა შოთამ გონიერულობის მწვერვალზე აიტანა“ (გვ. 95). ავტორი იმოწმებს ე. თაყაიშვილის მოგონებას იმის შესახებ, რომ ილია ქაქავაძე ვაჟა-ფშაველაზე ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვეყოლიაო“ (გვ. 247). ავტორის შენიშვნით, „შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ თექვსმეტ მარცვლოვანი შაირი მთავარი ცეზურით მერვე მარცვლის შემდეგ ძირითად და მთავარ ზომად გადაიქცა როგორც ხალხურ ზეპირ პოეზიაში, ისე მწერლობაში“ და იმოწმებს ს. გარგაძის მოსაზრებას შაირის საზომის პოპულარობის მიზეზის შესახებ (გვ. 360).

ავტორი გაკვირვით შენიშნავს, რომ „ალიტერაცია ძველთაგანვე გავრცელებული პოეტური ხერხია, როგორც ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ისე ქართულ მხატვრულ მწერლობაში, რომელიც შ. რუსთაველმა მხატვრობის უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა“ გვ. (373).

2304. გ. იმედაშვილი

მზიანი ღამე „ვეფხისტყაოსანში“

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. VIII, 1953, გვ. 141—152.

ავტორი მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის 836, 1-ე ტაეპში „მზიანისა ღამისა“ გამოთქმის შესახებ არსებულ შეხედულებებს ვახტანგის, თეიმურაზ ბაგრატიონის, დ. ჩუბინაშვილის, ალ. სარაჯიშვილის, იუსტ. აბულაძის ნაშრომთა მიხედვით. უმთავრესად იხილავს იუსტ. აბულაძის მოსაზრებას, რომლის მიხედვით „მზიანი ღამე“ სეთასიანთა ზოძღვრების მეათე ცაში არსებული მზიანი ღამეა.

ავტორის დასაბუთებით, მზიან ღამეში ისმის რუსთაველის ცოდნა რეალური სამყაროსი, რომლის საფუძველი რეალური მზის ჩაუსვლელია. ავტორს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს სხვა ჩვენებანი ქართული მწერლობის

ძეგლებიდან ანალოგიისათვის და 834, 835, 836, 837-ესტროფების პროზული თარგმანი და განმარტება სიტუაციის გასაგებად.

ავტორის დასკვნით, ამ პოეტური შედარების პროტოტიპი ბუნებაში რეალურად არსებული შიანი ღამეა, სიმბოლურად ღეთების სახე და მისივე სატრფოს სიმბოლო. მას კავშირი არა აქვს არც სახარება-სამოციქულოს ადგილებთან, არც სეფასიანთა მეთე ცასთან.

2305. სოლომონ იორდანაშვილი

[რუსთველოლოგიური ნაშრომები]

წიგნი: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, საბჭოთა მწერალი, თბილისი, 1953, 246 გვ.

წიგნი შეიცავს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებულ რუსთველოლოგიურ შვიდ ნაშრომს:

1. „ვეფხისტყაოსნის“ ეგრეთწოდებული „უძველესი ხელნაწერის“ შესახებ (გვ. 3—27).
 2. ვამთაღმწერლის ერთი ცნობის შესახებ („შოთა ჟიჰი“) (გვ. 29—55). პირველად დაიბეჭდა 1936 წ. თბ. სახ. უნივ. შრომებში, III, გვ. 167—181.
 3. რუსთაველის ჩვენამდე არმოდებული პოემა-რომანის შესახებ (გვ. 56—71).
 4. პირველად დაიბეჭდა „ლიტერატურულ მატრიანში“, 1942, 3—4.
 5. ვეფხისტყაოსნის აკადემიური გამოცემისათვის (გვ. 72—94).
 6. პირველად დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, 1937, № 22, 23.
 7. ვეფხისტყაოსნის თარგმანები, ევრაელ ენებზე (გვ. 95—114). პირველად დაიბეჭდა „კრებულში რუსთაველის კრებულში“, 1938, გვ. 241—251.
 8. აკაკი და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 116—127). პირველად დაიბეჭდა კრებულში „აკაკის კრებულში“, 1940.
 9. იაკობ გოგებაშვილი და „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 128—133). პირველად დაიბეჭდა კრებულში: „იაკობ გოგებაშვილი—საიუბილეო კრებულში“, 1940 გვ. 205—209.
- ამ წიგნის შესახებ საინფორმაციო ცნობა იხ. გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1953, 21 აგვისტო, № 28, გვ. 4.

2306. ლ. კალანდაძე

მეგობრობის იდეა „ვეფხისტყაოსანში“

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (15), 20.IV—27.IV. 1953, თბილისი, 1953, 260 გვ.
ავტორი ახასიათებს მეგობრობას რუსთაველის გაგებაში ვეფხისტყაოსნის სათანადო ჩვენებათა მიხედვით და მოჰყავს პოემიდან ცალკეული ადგილები (გვ. 134—136).

2307. ნ. კასრაძე, ე. შეტრეველი, ლ. მეფარიშვილი,

ლ. ქუთათელაძე, ქ. შარაშიძე

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილია და დასაბეჭდად მომზადებული ნ. კასრაძის, ე. შეტრეველის, ლ. მეფარიშვილის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ, აღ. ბარამიძის რედაქციით. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955, ტომი VI, 539 გვ.

კატალოგში აღწერილია ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები შემდეგ ნომრებზე: 2610 (XVIII საუკ. დასაწყისის, ვრცელი რედაქცია), 2684 (ნაწყვეტი XIX საუკ.), 2689 (XIX საუკ., ნაწყვეტი), 2765 (1882 წლის კრებულში, ნაწყვეტი), 2850 (XIX საუკ., ვახტანგისეული რედაქცია), 2930 (XIX საუკ., ვრცელი რედაქცია), 3061 (XVIII საუკ.), 3249 (XVII საუკ., დაზიანებული, ნაწყვეტები).

რუსთაველი ნახსენებია ვეფხისტყაოსნისა თუ სხვა ხელნაწერთა აღწერილობებთან შემდეგ ნონრებზე: 2523 (თეიმურაზ ბატონიშვილის „განმარტება ვეფხისტყაოსნის ზოგიერთი სიტყვისა“), 2610, 2684, 2689, 2850, 2930, 3019 (ს. კაკაბაძის ლექსია შოთა რუსთაველის შესახებ), 3061, 3249.

2308. აკაკი კენჭოშვილი

ალექსანდრე ქავჭავაძე (ცხოვრება და შემოქმედება)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტი, თბილისი, 1953, 128 გვ.

ავტორი ალექსანდრე ქავჭავაძის შემოქმედების საკითხების გარჩევასთან დაკავშირებით გაკვრით ეხება შოთა რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს (გვ. 22, 30, 63—65, 105).

ქართული რომანტიზმის ნიადაგის ძიებისას, ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველის შემოქმედებაში ჩვენ გვაქვს ისეთი მოტივები, რაც ნიშანდობლივი გახდა მე-19 საუკუნე. ქართული რომანტიზმისთვისაც (გვ. 22). ვეფხისტყაოსანი ქართული რომანტიზმის განვითარებისათვის გარკვეულ ლიტერატურულ ნიადაგს ქმნის (გვ. 30). ა. ქავჭავაძის შემოქმედებაში სიყვარულის მოტივის დახასიათებისას ავტორი შენიშნავს, რომ მისი გაგება რუსთაველიდან მოდის (გვ. 63, 65).

ავტორის აზრით, ალ. ქავჭავაძე პოეტური მეტყველების თვალსაზრისით ნაწილობრივ ვეფხისტყაოსანს ემყარება (გვ. 64).

ალ. ქავჭავაძის ლექსის მეტრის, რიტმისა და რითმის განხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ ალ. ქავჭავაძე ქართულ ლექსთწყობაში რუსთაველის ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა (გვ. 105).

2309. გრაგოლ კიკნაძე

ქართული ხატვისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1953, 438 გვ.

ავტორი ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში სატირისა და იუმორის გამოხატულებაზე მსჯელობისას ამ თვალსაზრისით იხილავს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი არ შერწყმის კომიზმის გამომხატველ მკვეთრ ტენდენციას, მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოებში არაერთგზის ვხვდებით კომიკურის წარმოსაქმნელად ასე თუ ისე ხელსაყრელ სიტუაციებს“ (გვ. 92). ამასთან, ავტორის შენიშვნით, პოემაში მოიპოვება „სატირულ დამოკიდებულებაზე მიმთითებელი სტრიქონები“, რის საილუსტრაციოდაც ასახელებს რამდენიმე მომენტს ვეფხისტყაოსანში (გვ. 92—93) და აღნიშნავს, რომ რუსთაველი „არ არის განსაზღვრული სატირული მიზნით“, მიუხედავად ამისა, ავტორის აზრით, რუსთაველს „კომიკურის გარკვეული თეორიაც კი აქვს წარმოდგენილი თავის პოემაში“ (გვ. 93). დასასრულს ავტორი გამოთქვამს რამდენიმე შენიშვნას პროფ. ალ. ბარამიძის მოსაზრებაზე ვეფხისტყაოსანში „იუმორისტიკული“ ადგილების არსებობის შესახებ (გვ. 93—94) და ასკვნის, რომ „მოვლენათაღმი არც სატირული და არც იუმორისტიკული დამოკიდებულება არ არის ვეფხისტყაოსანში მკვეთრად გამომეღაფნებული და გამოაშკარავებული“ (გვ. 94). „რუსთაველის პოემის არც ერთ გმირს ჯერ არ შეხებია სატირიკოსისა და იუმორისტის კალამი. ამის საფუძველს არ იძლევა, ერთის მხრივ, სუთი რუსთაველის ჩანაფიქრი, და მეორეს, მხრივ მკითხველთა სტილიზებული და მოწიწებითი დამოკიდებულება მისი თხზულებისადმი“ (იქვე)

Виктор Гольцев. Шота Руставели. М., Гослитиздат.

1952, 124 სტ. ტირაჟი 20.000, ღირსება 3.50 კ.

ფრან. Советская Книга, Ежемесячный критико-библиографический журнал, Академия Наук Союза ССР, Москва, 1953, Август, № 8, გვ. 93—96.

ავტორი მოკლედ აღნიშნავს რუსთაველის პროგრესულობას და გადადის წიგნის გარჩევაზე. მისი აზრით, ვ. გოლცევა ისტორიული ფაქტებისა და დოკუმენტების ხანგრძლივი შესწავლის შედეგად შესძლო გაეხსნა სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ფაქტორები, რომელთაც წარმოშევეს რუსთაველი და მისივე აზროვნება განაპირობეს. ავტორი ახასიათებს წიგნში დასმული საკითხების რიგს და მასში მხოლოდ იმ ნაკლს ხედავს, რომ საქირო არ იყო სამეფო გვარეულობის შთამომავლობის დაწერილებითი აღწერა, რომელსაც ვ. გოლცევი იძლევა.

2311. გიორგი მარგველაშვილი

მონოგრაფია შოთა რუსთაველზე

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1953, 20 თებერვალი, № 2, გვ. 2

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ვიქტორ გოლცევის წიგნზე: „Шота Руставели, Гослитиздат, Москва, 1952“.

ავტორის აზრით, ვ. გოლცევა ამ წიგნში გაითვალისწინა ქართული რუსთაველოლოგიის მიღწევები, კრიტიკულად შეისწავლა რუსთაველის შესახებ დაგროვებული მასალა და გააშუქა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის პოზიციებიდან.

ავტორს გოლცევის დამსახურებად მიაჩნია, რომ მან მკაფიოდ დასვა საკითხი რუსთაველის ეპოქაში საქართველოსა და რუსეთს შორის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ და კრიტიკულად მოეკიდა ქართველი ისტორიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების ტენდენციას, რომელიც ქართული ისტორიისა და კულტურის გაიდვალებაში მდგომარეობს.

წერილის დასასრულს ავტორი გოლცევს მიუთითებს რამდენიმე მცდარ დებულებას მის წიგნში, რომელნიც ნაშრომს მთლიანად ზიანს მანიც არ აყენებენო.

2312. გ. მარგველაშვილი

Под влиянием теории «единого потока»

ფრან. Новый Мир, Москва, 1953, № 3, გვ. 260—264.

სარეცენზიო წერილში გარჩეულია 1952 წელს რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „История грузинской литературы“ ა. ბარამიძის, შ. რადიანისა და ბესო ელენტიის ავტორობით. ძველი მწერლობის საკითხთა განხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ წიგნში არაა ნაჩვენები ქართული ლიტერატურის გაფურჩქვნის პროცესი, რომელსაც რუსთაველის სახით ქართულმა ლიტერატურამ XII საუკუნეში მიაღწია (გვ. 260), რუსთაველის შემოქმედების ანალიზში პროფ. ალ. ბარამიძეს არასაკმაო ყურადღება მიუქცევია ჰუმანიზმის პრობლემისათვის (იქვე). ამასთან ავტორს სუსტად ეჩვენება რუსთაველის პოემის პოეტურ თავისებურებათა ანალიზი, — აქ არაფერია ნათქვამი პოემის კომპოზიციასა, სიუჟეტის აგებულების პრინციპებსა და სახეთა სისტემაზე (გვ. 261).

2213. არამ მარტიობოვო

ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველი ფუნქციები ძველ ქართულში
კრებ. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. V, 1953, გვ. 73—96.
ძველ ქართულში „მო“ და „წა“ ზმნისწინებზე მსჯელობისას საილუ-
სტრაციო მასალად ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ცალკეული ტაეები,
რომლებშიც გამოყენებულია „მო“, „წა“ (სტროფი 7, 379, 144).

2214. ე. ნიკოლაძე

ხელნაწერთა აღწერილობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი,
შედგენილია და დასაბუთად მომზადებული მუზეუმის მეცნიერი მუშაის ე. ნიკოლაძის მიერ,
რედაქტორი საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი პროფ. კ. ყაყულიძე,
თბილისი, 1953, ტომი I, 482 გვ.

კატალოგში აღწერილია ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილე-
ბის ფონდში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები შემდეგ ნომრებზე: 204
(ნაკლული, 1839 წლისა), 205 (XVII საუკუნისა), 209 (1843 წლისა), 214
(XIX საუკ.), 215 ვეფხისტყაოსნის დამატებანი (XVII საუკ.).

2216. შ. ნუცუბაძე

ვეფხისტყაოსნის ახალი გერმანული თარგმანის გამო

ჟურნ. დ რ ო შ ა, 1953, აპრილი, № 4 (21), გვ. 18.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი გერმანულ ენაზე ითარგმნება
მესამეჯერ. პირველად თარგმნა არტურ ლაისტმა, მეორედ—მარია პრიტ-
ვიცმა, მესამედ მას თარგმნის ჰუგო ჰუპერტი.

ავტორი მოკლედ ახასიათებს ლაისტისა და პრიტვიციის თარგმანებს,
ეხება ვეფხისტყაოსნის გერმანულად თარგმნის თავისებურებებს და შენიშნავს,
რომ დღემდე არსებული ინგლისური, ფრანგული და გერმანული თარგმანები
ვერ უხსნიან გზას უცხოეთში რუსთაველის გენიის აღიარებას, რასაც რამდე-
ნადმე ჰუპერტის ახალი თარგმანი აკეთებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ ხანგრძლივი მუშაობისა და შერჩევის შედეგად
ჰუპერტმა აირჩია რუსთაველის კატრენი ოთხბჭაროვანი შაირის დამახასია-
თებელი რითმით და მარცვალთა რაოდენობით..

2216. შოთა რუსთაველი

ვეფხისტყაოსანი

ძველ ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბილისი, საბჭოთა მწერალი, 1953, 518 გვ.

ტექსტი შეიცავს 1669 სტროფს საიუბილეო 1937 წლის გამოცემის მი-
ხედვით. წიგნს ბოლოში დართული აქვს შენიშვნები სათაურით „ვეფხისტყა-
ოსნის ტექსტისათვის“ (გვ. 397—516). შეიცავს მცირე შესავალს და შემდეგ
თავებს:

I. ვეფხისტყაოსნის ტრადიციული ტექსტის მცდარი წაკითხვების გას-
წორება.

ა. გასწორებანი დაზიანებული რითმებისა.

ბ. გასწორებანი პოემის ტექსტის დანარჩენი დაზიანებული ადგილებისა.

II. ვეფხისტყაოსნის შედგენილობა.

შესავალში მოკლედ მიმოხილულია ვეფხისტყაოსნის გამოცემათა და ხელ-
ნაწერთა შორის მიმართება და მითითებულია ხელნაწერები როგორც ვეფხისტ-
ყაოსნის ტექსტის საფუძველი.

შენიშვნებში მიმოხილულია მცირე განმარტებებით ტექსტში შეტანილი
454 შესწორება სხვადასხვა ხასიათისა.

თავში „ვეფხისტყაოსნის შედგენილობა“ ზოგადად გარკვეულია ვეფხისტყაოსნის შედგენილობა ვახტანგის 1712 წლის გამოცემისა და ხელნაწერთა შიშარების საფუძველზე, ავტორი აყენებს დებულებას, რომ პოემის ვახტანგისეული ტექსტი დოკუმენტური ხასიათისაა. მას საფუძველად დასდებია შედარებით ძველი დროის დედანი ვეფხისტყაოსნისა, რომელიც თავისუფალი ყოფილა იმ მრავალი დანართი ადგილებიდან, რომლებიც წარმოდგენილია ვეფხისტყაოსნის XVI—XVII საუკუნეთა ხელნაწერებში.

რედაქტორის საბოლოო დასკვნით, ვახტანგისეული გამოცემის სახით ჩვენ გვაქვს შედარებით ყველაზე ძველი და ამდენად ყველაზე მნიშვნელოვანი დედანი ვეფხისტყაოსნის ჩვენ დრომდე გადარჩენილ დედანთა შორის.

დასასრულს, გამოცემის რედაქტორი ახასიათებს 1888 წლისა და საიუბილეო 1937 წლის გამოცემებს და მათში ვეფხისტყაოსნის სტროფთა რაოდენობის საკითხს.

2317. შოთა რუხთაველი

ახეს-ცია ზმეუ

ვით. დ. ი. გულია, (ავბატი ათეჯრა)

აფიქნთშიყუთეჯრთა, 1953 [სუბუმი], 311 გვ.

არედაქცია აკოლლეგია: მ. ბლაძიბა, ი. თარბა, მ. ქაშხა (თაქვზმ. არედაქტორი)

რუსული ქვეტირული ჰეფორხაცხე და გარეჯანზე:

Шота Руставели, Витязь в тигровой шкуре (из анжиском измке)

შეიცავს ვეფხისტყაოსნის მთელ ტექსტს უნუმერაციოდ. ბოლოში დართული აქვს „ალექსიკონ“ ორ გვერდზე (გვ. 307—308), იწყება სიტყვით „ამილახორ“. ბოლო „წინწილად“.

ტექსტი ძირითადად იმეორებს მის პირველ 1941 წლის გამოცემას მცირე შესწორებით. იხ. ანოტაცია № 2072.

2318. შოთა რუსთაველი

Витязь в тигровой шкуре

Поэма, Перевод с грузинского Георгия Цагарели, Второе, переработанное издание Государственное издательство художественной литературы, Москва, 1953, 246 гв.

წიგნს წინ ერთვის: „Предисловие переводчика к первому изданию“ (გვ. 5—6); „Предисловие переводчика ко второму изданию“ (გვ. 7).

იხ. ანოტაცია თარგმანის პირველ 1937 წლის გამოცემასთან № 1637.

ტექსტში, შედარებით პირველ გამოცემასთან, შეტანილია შესწორებანი. გამოცემა მხატვრულადაა გაფორმებული.

2319. ტრ. რუხთავე

ქაიხოსრო ჩოლოვაშვილი და მისი „ომანიანი“

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1953, VIII, გვ. 179—196.

ავტორი ტარიელის შეილიშვილის ომანიანის ამბის განხილვასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ XVI საუკუნის მწერლისათვის უკვე ცნობილი იყო ვეფხისტყაოსნის სამი ძირითადი დამატება: ინლო-ხატაელთა ამბავი, ტარიელის დაბრუნება და ხვარაზმელთა მეფისაგან ძებნა და დაპარცხება, ტარიელის სიკედილი და სარიდანის გახელმწიფება. ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის დამატებათა საკითხს, ომანიანის ავტორის პრობლემას და ომანიანს ვეფხისტყაოსნთან მიმართების თვალსაზრისით.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის იდეალებს და მოტივებს ითვისებენ მისი დამატებლებიც. მისი აზრით, ხალხური ვეფხისტყაოსანი მონგოლთა ბატონობის ხანაში უნდა გაჩენილიყო (გვ. 194) და ზოგ ინტერპოლატორს

უკვე დატყობიან ვეფხისტყაოსნის ხალხური ლექსების გავლენის კვალი. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ეხება ხალხური ვეფხისტყაოსნის რუსთველურთან ურთიერთობის ზოგ საკითხს.

დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელების საკითხს. და აღნიშნავს, რომ, თუ რუსთველოლოგიური ლიტერატურის მიხედვით ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები XII—XIII საუკუნის რეალური ცხოვრების ამსახველი არიან, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის კონცეფციით, „ომიანი ცხოვრობს ხოსროს ანუ შერეანის“ დროს VI საუკუნეში, მაშასადამე, ავთანდილსა და ტარიელს, რომელთა შეილიშვილი იყო ომიანი, V—VI საუკუნეში უნდა ეცხოვრა“ (გვ. 196).

2320. [უაგტორო]

[ბაბლოგრაფია რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე]

წიგნში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. I—XI, 1940—1950. სტატიების მაჩვენებელი, რედაქტორი ვლ. უზნაძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1953.

განყოფილებაში №4. ლიტერატურათმცოდნეობა“ (გვ. 190—194) დასახელებულია „მოამბეში“ დაბეჭდილი შრომები ვეფხისტყაოსანზე შემდეგი ნომრებით: 1203, 1204, 1205, 1206, 1230.

2321. [უაგტორო]

ხ. იორდანიშვილის ნარკვევები

გახ. ლიტერატურული გახეთი, 1953, 12 აგვისტო, № 28, გვ. 4.

ქრონიკალურ ცნობაში ნარკვევების შინაარსში ჩამოთვლილია წერილები რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე და აღნიშნულია, რომ „ხ. იორდანიშვილის ნარკვევები რუსთველოლოგიის სფეროში მრავალ საინტერესო საკითხს აღძრავს“.

2322. შალვა შენგელი

იონა მეუნარგია

გახ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1953, 10 იანვარი, № 2(455), გვ. 4.

იონა მეუნარგიას საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის მოკლე დახასიათებაში ავტორი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი მუშაობა ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში პოემის 1888 წლის გამოცემასთან დაკავშირებით. ამასთან ავტორი შენიშნავს, რომ „იონა მეუნარგიამ ილია ქაქუაძის დავალებით „ვეფხისტყაოსანი“ ფრანგულ ენაზე სთარგმნა“.

2323. მის. ჩიქოვანი

ძველი ქართული წერილობითი ცნობები ზეპირსიტყვიერი ეპიკის შესახებ

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1953, VIII, გვ. 299—308.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ტერმინის „ამბავის“ მნიშვნელობაზე მსჯელობისას ავტორი გაკერით აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანში სათავგადასავლო-პოეტურ ეპიზოდებს ყოველთვის ამბავი ეწოდება და, რომ შოთა რუსთაველი „ამბავის“ სახით მხატვრულ მოთხრობას გულიანობის, რომლის შინაარსი შეიძლება ისტორიულ სინამდვილეს არ წარმოადგენდეს (გვ. 305)...

2324. ხ. ჩხაიძე

ნ. მარის შესვლასთან კრიტიკა რუსთველური შაირის შესახებ სტალინური

ენათმეცნიერული მოძღვრების უკუყ

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (15), 20.IV.—27. IV. 1953.

თბილისი, 1953, 260 გვ.

ავტორი თეზისებში ავითარებს იმ აზრს, რომ „მეთოდოლოგიური წინამძღვრები, რომლებითაც ნ. მარი უდგებოდა რუსთველური შაირის კვლევა-ძიებას, (ცეცხარი, არამარქსისტულია“ (გვ. 136).

2236. ხოლომონ ცაიშვილი

ღვთი ჩქორტუა

კრებ. ლიტერატურული აღმანახი, სუბუმი, აფხაზეთის სახელგამი, 1953.

წიგნი მეექვსე, გვ. 116—128.

დავით ჩქორტუას სამწერლო მოღვაწეობის მიმოხილვაში ავტორი გაკვრით ეხება მის მუშაობას ვეფხისტყაოსანზე, გადმოსცემს ზის ნაშრომის „*С-роиl пoэмь Руставели и их мироуазреиие*“ მთავარ დებულებებს (გვ. 126—128) და მოჰყავს ზოგი აზრი მოკლე ამონაწერების სახით.

ღ. ჩქორტუას ბიოგრაფიული ცნობების მიმოხილვაში ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ 27 წლის განმავლობაში ჩიტას რაიონში გადასახლებაში ყოფნისას დავით ჩქორტუა საკატორლო სამუშაოებს ასრულებდა და ამ დროს ზას განუყრელად უბეში ედო თავისი საყვარელი წიგნი ვეფხისტყაოსანი (გვ. 120).

ავტორი ეხება დ. ჩქორტუას მუშაობას ვეფხისტყაოსნის შესწავლაზე (გვ. 125) და აღნიშნავს, რომ ის გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ განაგრძობდა მუშაობას, რომელიც დაწყებული ჰქონდა ცრებიჩში გადასახლებამდე (გვ. 126).

2236. კონსტანტინე ქიქინაძე

გაჭიანურებული ღიხუსია

ჟურნ. მნათობი, 1953, № 12, გვ. 185—191.

სადისკუსიო წერილი გამოწვეულია „ლიტერატურული ძიებანი“-ს VIII ტომში (1953 წ.). ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის შესახებ ა. ბარამიძის, კ. კეკელიძის და ა. შანიძის მიერ მოთავსებული შენიშვნებით. ავტორი ითვალისწინებს ამ გამოცემის წაკითხვებთან დაკავშირებით აღძრული კამათის ისტორიას და ეხება ზოგი წაკითხვის მართებულობის საკითხს („ზეპირ“—„ზეპირ“, „დღე ჰგვანდა არ აღესებისა“—„დღე ჰგვანდა არს აღესებისა“, „გარეშემო მკვიდიან“—„ვარე შემომკვიდიან“, „დასახივარად“—„დასაივარად“, „მედიდებულთა“—„ძე დიდებულთა“ და სხვ.) და ცდილობს დაასაბუთოს, თითქოს კომისიის მიერ ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის ტექსტში შეტანილი ვასწორებანი არაა სწორი და პოემის დამახინჯებას წარმოადგენენ.

2237. კონსტანტინე ქიქინაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ორი ადგილის გაგებასთვის

ჟურნ. მნათობი, 1953, აპრილი, № 4, გვ. 114—115.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ზოგი მეტაფორის განმარტებას ა. ბარამიძისა და დ. კობიძის ნაშრომებში. მისი აზრით, სტროფში:

„აუთანდილ დაჯდა ტირილად. ტირს ხმითა შევნიერთა,

ყორანსა გაგლეჯს ხმირ-ხმირად, აფრთხობს ბროლისა ჰერითა,

გახეთქა ღალი, გათლილი ანდამატისა კერითა.

მუნით წყარონი გამოჩნდის, ძოწსა ვაშგავსე ფერიოა“ (1342)

„ბროლის კერი“ არ ნიშნავს ხელის თითებს, არამედ ადამიანის თავის ზემო ნაწილს შუბლითურთ. ასევე კერი არ ნიშნავს მუშტს, არამედ მართლაც კერს. ავტორი არ ეთანხმება ა. ბარამიძეს ტაქსში:

„ადრე მივიღეს მეფისა სახლად, სამყოფად, არუბად.“

სიტყვის „არებად“-ის „სარებად“-ზე გადასწორებას, რომელშიაც ეს სიტყვა გაგებულია როგორც სასახლები, მაშინ როდესაც ეს სიტყვა გადასწორების გარეშე თავის ადგილზეა და ნიშნავს „არე“-ს.

ქალის კულტი საქართველოში და „ვეფხისტყაოსანი“

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1953, VIII, გვ. 117—140.

ავტორის შენიშვნით, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული და საუკუნეთა მანძილზე ფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის წიაღში განვითარებული ქალის კულტი სრულყოფილ ასახვას პოემაში ვეფხისტყაოსანში. ამის დასაშვებლად ავტორი იკვლევს ქალის კულტის განვითარებას საქართველოში ლიტერატურული, ისტორიული, ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალების მიხედვით მსოფლიო კულტურისა და რელიგიის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანში საქართველოს იდეგორიული გამოხატულების საკითხს (გვ. 131) და აღნიშნავს, რომ შოთა რუსთაველი ანგარიშს უწევს მეფე ქალის ვალმერთების საკითხში არა ისლამის, არამედ ქრისტიანული რელიგიის პრინციპებს, რომელსაც იცავდნენ ქართველები და მოჰყავს ვეფხისტყაოსანიდან სათანადო ადგილები (გვ. 132). ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში ასახულია არა მუსლიმანური, არამედ ძველი ქართული ჩვეულება. ინდოელი ტარიელი ქართული წესით არის ნაშვილები ფარსადანის მიერ (გვ. 133).

ავტორი იხილავს რუსთაველის მიჯნურობის თეორიას და ოჯახური ურთიერთობის საკითხს. აკრიტიკებს ნ. მარის შეხედულებას რუსთაველის მაჰმადიანად აღიარების შესახებ (გვ. 135). ავტორის დასაბუთებით, ვეფხისტყაოსანში გამოხატულია ქართული ოჯახისა და მორალის საკითხები. რუსთაველი გამოხატავს ქართველების თვალსაზრისს.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსანის ორი ციკლური წრის—არაბეთისა და ინდოეთის გმირთა ურთიერთობას სიყვარულის, ცოლქმრული ურთიერთობა-მოვალეობისა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით და აღნიშნავს, რომ არაბეთის შეყვარებულ წყვილთა სახით რუსთაველი აგვიწერს ისეთ ფეოდალურ საზოგადოებას, რომელსაც კანონიერად მიაჩნია ქალის ნეფობა და ქალ-ვაჟთა შეუღლება სიყვარულით (გვ. 136). ტარიელისა და ნესტანის წყვილით კი რუსთაველი ისეთი საზოგადოების სურათს ხატავს, სადაც სიყვარული სახელმწიფო ინტერესითაა შეპირობებული და ნესტანი ცდილობს დაქარგული უფლების აღდგენას. ამ ციკლების სახით ერთმანეთს ეპირისპირება ორი ტიპის სახელმწიფოებრივ-სოციალური ცხოვრება სიყვარულისა და ოჯახური ურთიერთობის განსხვავებული გაგებითა და მნიშვნელობით. ნესტანი ეძიებს გამოსავალს სიყვარულის არჩევანისათვის, რასაც აღწევს კონფლიქტით, თინათინისათვის კი ეს თავისუფალი არჩევანი თავისთავად იყო განხორციელებული. ნესტანმა და ტარიელმა გაილაშქრეს საუკუნეთა მანძილზე ფეოდალთა კლასის მიერ განმტკიცებული ქორწინება-გარიგების წინააღმდეგ.

ავტორის დასკვნით, „ქორწინების ის წესი, რომლის თანახმად მოხდა თინათინისა და ავთანდილის შეუღლება (როსტევანის სამეფო), მხოლოდ ბრძოლით შეიძლებოდა შეეტანათ ტიპიურ ფეოდალურ სახელმწიფოში (ფარსადანის სამეფო) (გვ. 140).

2329, Г. М. Херхеулидзе

Эпопея Георгия Леонидзе в свете развития грузинской поэмы

Автореферат диссертационной работы, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, на правах рукописи, Академия наук грузинской ССР, Институт истории грузинской литературы имени Руставели, издательство Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, 1953, 15 гл.

ქართული პოემის საწყისებსა და განვითარებაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ ქართული პოემის ჰიროელ ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, რომელიც ახლაც ეპიკური თხრობისა და პოეტური ოსტატობის შეუდარებელი მაგალითია. ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის იდეების მოწინავეობას და განმარტავს მის ეანრულ თავისებურებას. მისი აზრით, პოემაში დაკულია შინაარსისა და ფორმის ერთიანობა. მის თხრობაში შეინიშნება ლირიული ეპიზოდებიც, მაგრამ ის მაინც ეპიკური თხზულებაა. ამასთან დაკავშირებით ავტორი იზოწმებს ილია ჭავჭავაძის აზრს.

1954

2330. დ. ა. Алиева

Отражение дружбы азербайджанского и ирландского народов в их литературных взаимоотношениях в XIX веке

Автореферат диссертации, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, Академия Наук Грузинской ССР, Издательство Академии Наук Грузинской ССР, Институт истории грузинской литературы имени Шота Руставели, Тбилиси, 1954. 19 გვ.

ავტორი აზერბაიჯანისა და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის ისტორიის მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ ბაქანი თბილისში ყოფნისას შესაძლოა რუსთაველთან ერთად მონაწილეობას იღებდა პოეტების შეჯიბრში (გვ. 6). შოთა რუსთაველი ტარიელის სიყვარულის ამბის გადმოცემისას ივონებს ნიზამის გმირებს (იქვე). შოთა რუსთაველი და ნიზამი ერთ ეპოქაში ცხოვრობდნენ და კმნიდნენ. მათ შემოქმედებაში საერთო მოტივები მოიპოვება (გვ. 7). ისინი თავის გმირებს მეგობრობის მაღალი გრძნობით აღქურავენ (იქვე). რუსთაველი და ნიზამი თავის გმირებს ერთნაირად ახასიათებენ მეგობრობის გაგებაში. დასასრულს ავტორი აღნიშნავს, რომ რუსთაველისა და ნიზამის თხზულებანი ერთნაირადაა გატენილი გმირობისა და პატრიოტიზმის სულით (იქვე).

2331. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსანი

წიგნში: კ. ვეფლიძე, ა. ბარამიძე—ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი პირველი, ძველი ქართული ლიტერატურა (V—XVIII სს) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ტომი I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 257—310.

ქვესათაურები: ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და გამოცემები. ვეფხისტყაოსნის ავტორი. ვეფხისტყაოსნის დაწერის თარიღი. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის წყაროს საკითხი. ვეფხისტყაოსნის სიუჟეტი. ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები. რუსთაველის პოეტოკა. ვეფხისტყაოსნის იდეურ-თემატოკური მოტივები. სიყვარული, ქალის კულტი. მშობა-მეგობრობა. ხალხთა მეგობრობა. პატრიოტიზმი. რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი. ვაჭართა საზოგადოება. რუსთაველის რელიგიური შეხედულების შესახებ, რუსთაველის შემოქმედებითი მეთოდი. რუსთაველის ენა. ჰუმანიტური მსოფლმხედველობა. რუსთაველის ენის მხატვრული თავისებურებანი. რუსთაველის პოეტური ენის ბგერითი მხარე. რუსთაველის ლექსი. ვეფხისტყაოსნის ხალხურობა. ვეფხისტყაოსნის საკაცობრიო მნიშვნელობა. ვეფხისტყაოსნის თარგმანები.

წიგნში ქართული მწერლობის საკითხების გარკვევასთან დაკავშირებით სხვა მწერლებსა და თხზულებებზე მსჯელობისას მოხსენიებულია რუსთაველი: 36, 190, 200, 209, 251, 252, 316—319, 322, 324, 327, 328, 334, 351, 357, 358, 360, 361, 363, 365—369, 378, 382—384, 389, 397, 405, 412, 414, 424, 427—429, 448, 458, 462, 463, 465—468, 491, 494 გვერდებზე.

XIX საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შთავარი მოღვაწეები
„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია (XVI), 3.IV — 12.VI. მუშაობის გეგმა და
მოხსენებთა თეზისები, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 101—102.

თეზისებში (7) ჩამოყალიბებულია დებულებები უმთავრესად ა. წერეთ-
ლისა და ი. ჭავჭავაძის ლეაწლის შესახებ ვეფხისტყაოსნის შესწავლის საქმეში.
ავტორი აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი უხვად
იყენებენ „ვეფხისტყაოსანს“ მხატვრულ შემოქმედებასა და კრიტიკაში“, მოკ-
ლედ ახასიათებს მათ შეხედულებებს რუსთაველის შემოქმედების საკითხებზე
და დასძენს, რომ ნიკო ნიკოლაძე და იაკობ გოგებაშვილი ვეფხისტყაოსანს
ილია ჭავჭავაძის პოზიციებიდან აფასებდნენ.

2333. დიმიტრი ბენაშვილი

სანისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“
სახელგამი, თბილისი, 1954, 310 გვ.

შინაარსი: წინასიტყვაობა. შესავალი. რუსთველოლოგიაში დღემდე არსებული მდგომარეობა
სახისა და ხასიათის ანალიზის მიხედვით (საკითხის ისტორიისათვის). „ვეფხისტყაოსანში“
ახაზული ინდური და არაბული ტიპის ალეგორიულ სახელმწიფოთა ობიექტური წესრიგი და
მათში წარმოშობილი ხასიათები. „ვეფხისტყაოსნის“ ხასიათები: ა. ტარიელის ხასიათი,
ბ. ნესტანის ხასიათი. გ. ავთანდილის ხასიათი, დ. თინათინის ხასიათი, ე. ფატიმის უხასია-
თო ხასიათი. „ვეფხისტყაოსნის“ იდეური და მხატვრული არქიტექტონიკა ხასიათების შექმ-
ნის თვალსაზრისით. რუსთაველის ხასიათების ლენინურ-სტალინურ ეპოქასთან დამოკიდებუ-
ლების საკითხისათვის. საერთო დასკვნა.

დასაწყისში ავტორი ცდილობს ახსნას სახისა და ხასიათის ცნება,
მათი შექმნის ფორმები და მიზნად ისახავს სახისა და ხასიათის პრობლემა
შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანში მარქსისტული ესთეტიკის შუქზე
გადაწყვიტოს. ამ საკითხზე არსებული ძირითადი ლიტერატურის კრი-
ტიკული მიმოხილვის შედეგად ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის
გმირთა ხასიათების განხილვის ცალკეული ცდები რუსთველოლოგიაში ამომწუ-
რავად ვერ ხსნიან ხასიათის პრობლემას ვეფხისტყაოსნის საერთო შედგენი-
ლობასა და იდეებთან მიმართებაში.

ავტორი ვეფხისტყაოსნის გმირთა ხასიათების გახსნისათვის აყენებს
ინდური და არაბული ტიპის სახელმწიფოთა ობიექტური წესრიგის არსებო-
ბის პრობლემას. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამ სახელმწიფოთა
ობიექტური წესრიგი განსაზღვრავს პოემაში ერთმანეთთან დაპირისპირებულ
ორ კონტეფციას და ისინივე განაპირობებენ მათთანვე შეფარდებულ ხასია-
თების თავისებურებას. ვეფხისტყაოსანში არსებული ეს ორი წესრიგი მისგან
გამომდინარე ხასიათების ქმნის თავისებურ სახეებს. არაბული ტიპის სახელ-
მწიფოში ქვეყნის გარეგანი მდგომარეობა შეესატყვისებოდა ხასიათების ში-
ნაგან სულიერ ზრახვებს და მათი არსებობა ჰარმონიული იყო. ინდური ტი-
პის სახელმწიფოში კი გმირების სუბიექტური განზრახვანი რადიკალურ წინააღ-
მდეგობაში მოდიან სინამდვილესთან. ავტორი სახელმწიფოთა ამ გარეგან
მდგომარეობასთან გმირთა ზრახვების მიმართებით ხსნის სიტუაციის, კონფ-
ლიქტისა და კოლიზიის წარმოშობას და ამ კომპონენტებით განპირობებული
ხასიათის ქცევას სხედ. ავთანდილი და ტარიელი იმდენად განსხვავდებიან
როგორც ხასიათები, რამდენადაც თავის-სახელმწიფოთა ობიექტური წესრი-

გის უკუფენას შეიცავენ თავისთავში. ავთანდილში ამალღებულს წარმოადგენს გონება და ნება, როგორც არაბული სახელმწიფოს ობიექტური წესრიგის შედეგი, ტარიელში გრძობიერება, როგორც ინდური ტიპის სახელმწიფოს ობიექტური წესრიგის შედეგი.

ავტორის აზრით, რუსთაველი ორივე შემთხვევაში როგორც არაბულ, ისე ინდური ტიპის სახელმწიფოთა აღწერის დროს, ემყარება ქართველი ხალხის უძველეს თვითშეგნებას და ეს ანიჭებს ეფეხისტყაოსანს იყოს უალრესად ნაციონალური ნაწარმოები (გვ. 99). „ტარიელი, ავთანდილი, თინათინი და ნესტანი იმ დროის შეილები არიან, როდესაც ჩამოყალიბდა ფეოდალური სახელმწიფოს კლასიკური ტიპი“ (გვ. 100). ეფეხისტყაოსანში მკვეთრ გამოხატულებას პოულობენ ქართული ყოფის ელემენტები—ქალის ადამიანური უფლება, მმადნაფიცობა, დადნაფიცობა.

ავტორი იძლევა ეფეხისტყაოსანის გმირთა ხასიათების განსაზღვრას და ასკვნის, რომ შოთა რუსთაველმა ეფეხისტყაოსანის თემად რეალურად მომხდარი ამბავი და ამ ამბის მონაწილე ადამიანები აიღო. რუსთაველი, მისი აზრით, ხასიათების ბუნებას უმორჩილებს ლექსთწყობასაც. ეს ხასიათები წარმოადგენენ ნაციონალურისა და ზოგადკაცობრიულის მონოლითურ მთლიანობას. რუსთაველისათვის სახე და ხასიათი არის საშუალება ობიექტური სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის. სამშობლოსადმი სიყვარულის, მეგობრობის, მიჯნურობის, თავისუფლებისადმი მისწრაფების მაღალი იდეალები ეფეხისტყაოსანში აერთიანებენ სხვადასხვა ხალხის წარმომადგენლებს—ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს და ერთ მთლიან ძალად კრავენ ბოროტების დასათრგუნავად.

2334. ღიშატრი ბენაშვილი

ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის ხაქითხისათვის
ურნ. მნათობი, 1954, № 3, გვ. 135—147.

ავტორი გაკვრით აღნიშნავს, რომ „მამაკაცისა და დედაკაცის თანასწორუფლებიანობის იდეამ განმსჭვალა „ეფეხისტყაოსანის“ დიდებული სურათები. ამ იდეის გამო აუჯანყდა ნესტანი თავის საკუთარ მამას, რომელიც ოფიციალური დამცველი იყო გაბატონებული საზოგადოებისა და უარყოფდა ქალის გახელმწიფების უფლებას“ (გვ. 136).

2335. აშბერკე გაჩეჩილაძე

ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დაჰყვირებულობის მცხრამეტე საუკუნის
ქართულ ლიტერატურაში

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1954, ტ. IX, გვ. 183—258.

ავტორს მოჰყავს ამონაწერები ლ. არდაზიანის მიერ 1862 წელს. ეურნ. „ციცკარი“-სათვის დაწერილი და დღემდე დაუბეჭდავი წერილიდან „ახალნი მნათობნი“, რომელშიაც იგი ეკამათებოდა ილია ქაქავაძეს შოთა რუსთაველისა და ჩახრუხაძის პოეზიის შეფასების საკითხზე. ლ. არდაზიანი ხელმძღვანელობს თხზულებათა შეფასებაში ისტორიული თვალსაზრისით, რომლის მიხედვით ჩახრუხაძეს თავისი დროის შესაფერად ჰქონდა მნიშვნელობა. „მწერლის შემოქმედების საზომად, ხალხის, საზოგადოების თვალსაზრისი უნდა იქნეს მიჩნეული, თუ ხალხი როგორ შეფასებას აძლევს მწერალს, რადგან ხალხი მხოლოდ ქეშმარიტ პოეტს სცემს პატივს და მის ხსოვნას ინახავს“. „ხალხი კარგად ანსხვავებს ჩაბრუხაძესა და რუსთაველს და მხოლოდ ამ უკანასკნელს თელის დიდ პოეტად“ (გვ. 220).

ავტორის მოჰყავს ვრცელი ამონაწერი რუსთაველზე ლ. არდაზიანის წერილიდან:

რაჲც სასწენელი გამეხსნა, მას აქეთ ყოველ დღე და საათს, შინ და გარეთ ქუჩებში, ბაზარში, ვაზში, სოფლებში, ქალაქებში, ბარათ თუ მთაში შესმოდა და შესმის ქება რუსთაველისა დიდისაგან და პატარასაგან. ქალისაგან და ვაჟისაგან, მოხუცისაგან და ახალგაზრდისაგან, სომხისაგან და ქართველისაგან. ყველამ იცოდა და იცის ზეპირ უკვდავი პოემა უკვდავის რუსთაველისა. იმისი ტკბილი და მშვენიერი მაღალი ფილოსოფიით სავსე ლექსები იმბარებთან ანდაზათ, მაგალითად სიმღერაში, შესაქცევად. ყველას უყვარს, ყველა პატივისცემით მოიხსენიებს რუსთაველსა; ყველა ქართველს აქვს აგებული თავის გულში სახსოვარი რუსთაველისა, თითქმის თანასწორათ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფისი. აი თუ ქართველებმა არ იციან ღირსეულად დაფასება ნამდვილის ტლანტისა" (იქვე).

2336. ამბერკო გაჩეჩილაძე

აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერულ-პოპულარული სერია, თბილისი, 1954, 218 გვ.

აკაკი წერეთლის ბავშვობის პერიოდის აღწერისას, ავტორი გაკვირვებით აღნიშნავს, რომ „მომავალი მგოსანი რვა წლისა იყო, როდესაც მან მამის-ოჯახში გაიქნო „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 8). აკაკი წერეთლის შემოქმედებაზე ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედების გავლენის მიმოხილვაში ავტორი სპეციალურად ჩერდება აკაკის შემოქმედების ვეფხისტყაოსანთან დამოკიდებულების საკითხებზე (გვ. 192—201). ავტორი აღნიშნავს, რომ აკაკიმ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას საკანდიდატო შრომად ვეფხისტყაოსნის ორიგინალობის საკითხი წარადგინა (გვ. 193), რომლის განვითარებას, ავტორის აზრით, მისი ცნობილი ლექციები წარმოადგენდა ვეფხისტყაოსნის გმირების შესახებ. ავტორი მოკლედ ახასიათებს ამ ნაშრომის მთავარ დებულებებს და აღნიშნავს აკაკის ღვაწლს ვეფხისტყაოსნის შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში (გვ. 194—195) და მიუთითებს მოტივებსა და სახეებს, რომლებსაც აკაკი წერეთელი თავისი შემოქმედებისათვის ვეფხისტყაოსნიდან იღებდა. ავტორი შენიშნავს, რომ აკაკი რუსთაველს უწოდებდა თავის მასწავლებელს (გვ. 195), მიუთითებს ვეფხისტყაოსნის გავლენის კვალს მის პოეზიაში და აღნიშნავს, რომ აკაკი ხშირად იყენებს თავის შემოქმედებაში რუსთაველის მიერ ვეფხისტყაოსანში გამომუშავებულ მხატვრულ სახეებსა და აფორიზმებს (გვ. 196), რისი ნიმუშებიც მოჰყავს (გვ. 197—200).

ავტორის დასკვნით, საქართველოს ალეგორიულად გადმოცემის ხერხის გამოყენებაში რუსთაველსა და აკაკის ბევრი რამ აქვთ საერთო. აკაკის შემოქმედება ვეფხისტყაოსანთან შეიძროდა დააკავშირებული.

2337. შანაა გიგინეიშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

კვლავ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

გზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1954, 8 ივლისი, № 81, გვ. 3.

წერილი წარმოადგენს 1953 წ. პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის რეცენზიას კრიტიკული შენიშვნებით. ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ უმართებულოა პ. ინგოროყვას გამოცემაში საიუბილეო ტექსტის ზოგი სიტყვის შესწორებანი სტროფებში: 455, 957, 1005, 1430, 1023, აგრეთვე 518, 52. ამასთან ერთად ავტორი არ იზიარებს პ. ინგოროყვას

ყას სიტყვათა გასწორებას რთიმებში საყრდენი თანხმონების მიხედვით და ისეთ გასწორებებს, რომელნიც რიტმს არღვევენ (მაგ., 205-ე სტროფი).

ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის ამ ახალ გამოცემაში რედაქტორის მიერ შეტანილ გასწორებათა მეტად საგრძნობი ნაწილი უმართებულოა და უმჯობესი იქნებოდა გასწორებულყო ტრადიციული ტექსტის მხოლოდ არასწორი წაკითხვები.

2238. И. Ениколов

Из истории грузино-украинских культурных связей

გახ. *Заря Востока*, 1954, 23 мая, № 121(9003), გვ. 3, ქვედურა 6 სტრი.

გულაკის ლიტერატურული მოღვაწეობის მიმოხილვაში ავტორი ეხება მის მიერ 1884 წელს თბილისში გამოცემულ გამოკვლევას ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორის მოჰყავს გულაკის შრომიდან ვრცელი ციტატები რუსთაველის დასახასიათებლად და მიუთითებს მის გამოძახილს ქართულ საზოგადოებაში.

2239. ლეილა ერაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა კოლექციები

ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, თბილისი, 1954, № 1—2, გვ. 94.

ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსნის გამოცემებს და აღნიშნავს, რომ ძმების ასლანიშვილების კერძო კოლექციაში ვეფხისტყაოსნის სამოცდათექვსმეტი გამოცემიდან მოიპოვება სამოცდარვა. განსაკუთრებით ჩერდება ვახტანგის 1712 წლის გამოცემის დახასიათებაზე და ჩამოთვლის ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმანთა გამოცემებს. ავტორის შენიშვნით, 1934 წლის ვეფხისტყაოსნის კ. ქიქინაძისეული გამოცემა საფუძვლად დაედო რუსთაველს 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით სპეციალური კომისიის მიერ მომზადებულ ვეფხისტყაოსნის ტექსტს.

დასასრულს, ავტორი ჩამოთვლის ვეფხისტყაოსნის იმ გამოცემებს ქართულ და უცხო ენებზე, რომელნიც ასლანიშვილების ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება.

ასლანიშვილების კოლექციის შესახებ იხ. კიდევ: „Семьдесят шесть изданий поэмы «Витязь в тигровой шкуре» (გახ. „Заря Востока“, 1954, 13 марта, № 67 (8949), გვ. 3; „Редкая коллекция владений «Витязь в тигровой шкуре», (გახ. „Молодой Сталин“, 1956, 18 декабря, № 150 (4913), გვ. 1; გახ. „Заря Востока“, 1956, 16 декабря № 292 (9792), გვ. 4; გახ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1956, 20 დეკემბერი, № 152 (6256), გვ. 4.

2240. პავლე ინგოროყვა

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1954, 12 მარტი, № 11 (869), გვ. 3—4;

19 მარტი, № 12 (870), გვ. 3—4.

ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის სტროფული შედგენილობის დადგენისა და მცდარი წაკითხვების გასწორების საკითხებს მისივე რედაქციით 1953 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებით. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ვითარებას ძირითად ხელნაწერთა და გამოცემათა მიხედვით და განსაკუთრებით ჩერდება 1937 წელს გამოცემულ საიუბილეო ვეფხისტყაოსნის განმეორებულ, შესწორებულ 1951 წლის გამოცემაზე. ავტორი თვლის, რომ ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფი-

ლებელი ვეფხისტყაოსნის ტექტის დადგენის საქმე, ის შეიცავს კიდევ მრავალ დამახინჯებულ წაკითხვას, რომელთა გასწორებაც მან თავის 1953 წლის გამოცემაში განახორციელა. ავტორს თავის გასწორებათა სანიმუშოდ მოჰყავს 618, 956, 23, 692, 453, 1501, 885, 495, 1521, 1201, 1271 სტროფებში მის მიერ შეტანილ შესწორებათა დასაბუთება. ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის 1953 წლის თავის გამოცემაში, 1951 წლის გამოცემასთან შედარებით შეტანილია 454 ასეთი გასწორება დიდი და მცირე, დამყარებული დოკუმენტურ მასალაზე და პოემის ტექსტის ანალიზზე (№ 11).

წერილის გაგრძელება (№ 12) წარმოადგენს პასუხს და შენიშვნებს კ. ჭიქინაძის მიერ დაბეჭდილ რეცენზიაზე პოემის 1953 წლის გამოცემის გამო (გახ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, № 9). დასაწყისში ავტორი მოკლედ ეხება კ. ჭიქინაძის მიერ 1934 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსნის ტექსტში შეტანილ გასწორებებს 159 (მხნედრე—მხნედ-რე), 1616 (ჯერათ—ჯართ) სტროფების მაგალითზე და ასაბუთებს მათ მცდარობას.

ავტორი სპეციალურად არჩევს კ. ჭიქინაძის შენიშვნებს, რომელნიც მან გააკეთა ვეფხისტყაოსნის 1953 წლის გამოცემაში შეტანილ გასწორებათა გამო სტროფებში 1019, 559, 560, 567, 932, 934, 348, 349, 594, 733, 820, 35, 36 და ასაბუთებს საკუთარ გასწორებათა მართებულობას. ავტორი ასკვნის, რომ კ. ჭიქინაძემ ოთხასზე მეტი გასწორებიდან სადავოდ გამოაცხადა ათიოდე გასწორება, მაგრამ მკითხველისათვის ნათელი გახდა ამ შენიშვნების უსაფუძვლობაცო.

2341. პავლე ინგოროყვა

გორგი შერაღლე—ქართველი მწერალი შვაბო საუკუნისა

ნარკვევი საქართველოს ლიტერატურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან საბჭოთა მწერალი, 1954, 888+0125 გვ.

ავტორი ქართული მწერლობის მიმოხილვაში ზოგ საკითხთან დაკავშირებით გაკვრით ეხება ვეფხისტყაოსანს: ავტორი აღნიშნავს, რომ „ქართული ლიტერატურის განვითარება საშუალო საუკუნეებში დაგვირგვინდა ისეთი დიდი, მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენით, როგორიც არის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 552).

ძველ ქართულ პოეზიაში „ლექსი“, „მელექსე“ ტერმინებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ „რუსთაველთან ტერმინი „ლექსი“ იხმარება... მნიშვნელობით „წყობილი სიტყვა“ (და არა ორი მნიშვნელობით,—მარტივად სიტყვა და წყობილი სიტყვა)“ (გვ. 556).

სილაბურ მუხლედოვან ანუ ძველ-ქართულ კლასიკურ ლექსზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს: „მისი უმაღლესი სრულყოფილი სახე ჩვენ გვაქვს შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაში „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 557). „ქართულ მწერლობაში რუსთაველის შენდევ ერთიანი მ-მარცვლენი მუხლედებით წყობილი ლექსი იშვიათად გვხვდება, მწერლობაში გაბატონებულია დაბალი და მაღალი შაირის ფორმები (3-, 4- და 5-მარცვლედები) (გვ. 560).

ავტორს მოჰყავს ლეონტი მროველის თხზულებიდან დაბალი შაირის 16-მარცვლენი სალექსო საზომის შემცველი ციტატი; „რომელმან შეკრა ჯაჭუთა ბევრასფ გუელთა უფალი...“ ამოღებული „უფალთა წიგნიდან“, რასაც დასძენს, რომ აქ დამოწმებულია სწორედ ის ხალხური სალექსო საზომი, „რომელიც გამოიყენა და სრულყოფამდე აიყვანა შოთა რუსთაველმა ვეფხისტყაოსანში“ (გვ. 576).

XII — XIII საუკუნეთა საერო პოეზიის ძეგლების სალექსო საზომების შიშობილვაში ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში ორი საზომია მიღებული: დაბალი შაირის 16-მარცვლელი და მაღალი შაირის 16-მარცვლელი“ (გვ. 585).

ავტორი აღნიშნავს, რომ გრიგოლ ხანძთელის ჰიმნის „გალობანი აღესებინანის“ დასაწყის სტროფს: „რონელმან დაქჳსი სიმრგულეჲ ცისაჲ, სიტყუაო...“ ეხმაურება ვეფხისტყაოსნის პროლოგის სტროფი „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“. ავტორი ყურადღებას აქცევს იმას, რომ აქ აღსანიშნავია არა მარტო შინაარსობლივი დამთხვევა ამ ორი ტექსტისა, არამედ ისიც, რომ ორივე შემთხვევაში სტროფები თბრობის დასაწყისის წარმოადგენს (გვ. 818). ავტორი შენიშნავს, რომ „რაც უფრო მეტს ვსწავლობთ შოთას უკედავ პოემას, მით უფრო ნათელი ხდება ვეფხისტყაოსნის ორგანული კავშირი ძველ-ქართულ სამყაროსთან“ (გვ. 819).

2343. ლუკა ისარლიშვილი

მოკლე კანონი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებისანი

წიგნში: ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს). გივი მიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 134—154.

ავტორი ძველ ქართულ პოეზიაზე შსჯელობისას შენიშნავს:

„მარტო მხოლოდ პოემა „ვეფხისტყაოსანი“ შოთა რუსთაველისა საქმათა დასამტკიცებლად, რომე ქართული პოეზია მდიდარი ყოფილა ძველ დროსა“ გვ. (136).

შაირის საზომის გარჩევისას ავტორი აღნიშნავს:

„სულ უპირველესი წარჩინებული, განთქმული ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაწერილა შოთა რუსთაველის მიერ ამა ლექსთწყობილებით. ამის გამოც, სადაც კი ლაპარაკობენ ქართულს ენაზედ, ზეპირად იციან ჩამომავლობით „ვეფხისტყაოსნის“ ლექსები, თუძე ექსლასანი წელიწადი მეტია, რაც დაწერილია. ესეა დაწყება მისი: რომელმან შექმნა სამყარო...“ (გვ. 138).

ჩაბრუნაულის საზომზე შსჯელობისას ავტორი გაკვირით შენიშნავს:

„შოთა რუსთაველმა თავის „ვეფხისტყაოსანში“ ჩაატანა ჩაბრუნაული (იმის) დასამტკიცებლად, რომ მასაც შეეძლო იმგვარი ლექსწყობილებით წერა (გვ. 141).

2344. И. Мегрелидзе

Предания о Руставели

გაღმომცემები რუსთაველის შესახებ

На русском и грузинском языках, მეორე შესვებული გამოცემა.

სამხრეთ ოსეთის სახელგამი, სტალინირი, 1954, 128 გვ.

მთლიანად წიგნი რუსულ-ქართულ პუბლიკაციას შეიცავს. შინაარსი:

Предисловие. Глава I. О месторождении, родных и воспитании Руставели 1. Местечко Рустави и поэт Руставели. 2. Предки Руставели. 3. Из разных сказов о родных Руставели и о нем самом. Глава II. Личность Руставели. 4. Турнир в честь Руставели. 5. В гостях у Кахабери. Глава III. Любовь Руставели. 6. Жена Руставели и Абдула Араб. 7. Шота и его жена. 8. Шота и Тамара. 9. Тамара, Шота и его брат. 10. О невестах Шота и его жене. Глава IV. Из народных стихов о Руставели. 11. Шота Руставели. 12. Иавиана (თ.იანბ.იანბ).

თავი I. რუსთაველის დაბადების ადგილის, მშობლებისა და აღზრდის შესახებ. 1. დაბა რუსთავი და პოეტი რუსთაველი. 2. რუსთაველის წინაპრები. 3. სხვადასხვა თქმულებებიდან მშობლებისა და თვით რუსთაველის შესახებ. თავი II. რუსთაველის პიროვნება. 4. რუსთაველისადმი მიძღვნილი ტურნირი. 5. სტუმრად კახაბერთან. თავი III. რუსთაველის სიყვარული. 6. რუსთაველის ცოლი და აბდულა არაბი. 7. შოთა და მისი ცოლი. 8. შოთა და თამარი. 9. თამარი, შოთა და მისი ცოლისძმა. 10. შო-

თას საცოლვებისა და ცოლის შესახებ. თავი IV. ხალხური ლექსებიდან რუსთაველის შესახებ. ბ. 11. შოთა რუსთაველს. 12. იანანა. Комментарии и заметки (Размыслил). წინასიტყვაობის, კომენტარებისა და შენიშვნათა რეზიუმე. Приложение: Два словесных памятника эпохи Руставели; 1. Эпитафия Давида Строителя. 2. Эпитафия парня Тамары.

პირველად დაიბეჭდა 1938 წელს ლენინგრადში АН СССР-ის გამოცემით (იხ. ანოტაცია № 1904). პირველთან შედარებით მეორე გამოცემა საგრძნობლად შეცვლილი და გაფართოებული. ავტორს თქმულებათა ქართული ტექსტები ადგილ-ადგილ შეუსწორებია, ზოგი შეუმოკლებია, ზოგან ორისამი გადმოცემა ერთად უქცევია და მათი სტილი ლიტერატურული ქართულით გაუმართავს. წიგნში გავრცობილია აგრეთვე შენიშვნები ლეგენდებისა და მათი პუბლიკაციის გამო აღძრული საკითხების შესახებ. წიგნს ცალკეული გვერდების მიხედვით დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის ვრცელი საძიებლები.

ამ გამოცემის ირგვლივ შეიქმნა ერთგვარი ლიტერატურა ცალკეული რეცენზიებისა და შენიშვნების სახით:

1. ი. მეგრელიძე—ერთი ფაქტიური შეცდომის გასწორება, გაზ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, 19 ნოემბერი, № 47 (905), გვ. 4.

2. [უაეტორო]—ერთი მანკიერი წიგნის შესახებ, გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1954, 28 ნოემბერი, № 235 (5576), გვ. 2. წერილი ფაქტიურად არჩევს მხოლოდ წიგნის მესამე თავს „რუსთაველის ცოლი და აბდულა არაბი“ და შეტად ტენდენციურად ჩრდილავს წიგნის მნიშვნელობას და ხასიათს.

3. რედაქციის აგან—გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1955, 26 იანვარი, № 18 (5617). მცირე სარედაქციო წერილში აღნიშნულია „ერთი მანკიერი წიგნის შესახებ“ შეფასების ცალმხრიობა და მითითებულია ი. მეგრელიძის წიგნის ღირსება-მნიშვნელობა, რაც რეცენზიაში უგულვლელყოფილი იყო.

4. შ. კახაბერიძე—რუსთაველის ხალხური ბიოგრაფია, ჟურნ. „მნათობი“, 1954, № 12, გვ. 156—157. შეიცავს დადებით შეფასებას.

5. Н. Никозашвили—Интересная книга о Ш. Руставели, გაზ. „Заря Востока“, 1955, 22 марта, № 68(9260) გვ. 3.

6. ჩ. ხაიძე—ხალხური გადმოცემები რუსთაველის შესახებ, ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1955, № 4, გვ. 90—92.

2344. ლ. შენაბღე

„ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო

კრებ. უნივერსიტეტის შრომები, 1954, ტ. 55, გვ. 361—387.

სარეცენზიო წერილი შეიცავს კრიტიკულ შენიშვნებს პაეღე ინგოროყვას რედაქციით 1953 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე. ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაზე მუშაობის ისტორიას და იხილავს ინგოროყვას გამოცემაში შეტანილ გასწორებებს და აღნიშნავს, რომ ამ გამოცემაში არსებითად შესწორებულია ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის ტექსტი. ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის პრობლემას ვახტანგის გამოცემასთან მიმართებით. არსებული კვლევაძიების გათვალისწინებით ცალკეულ წაკითხვათა გაგება-გასწორებაში, მოჰყავს საილუსტრაციოდ შესაბამისი წაკითხვები და ინგოროყვას მიერ მოცემულ 450 გასწორებას აჯგუფებს მათი ხასიათის, სარწმუნოებისა და ორიგინალობის თვალსაზრისით. ავტორი აღნიშნავს, რომ ინგოროყვა საჭირო შემთხვევაში არ ასახელებს ხელნაწერს, არც ვახტანგისეულ და არც რომელიმე სხვა გამოცემას, რის გამოც იქნება შთაბეჭდილება, რომ ეს შესწორება გამომცემელს ეკუთვნის.

ავტორის დასკვნით, ინგოროყვას „წიგნის კვლევითი ნაწილის კონცეფციური მხარე სუსტია და ისტორიულ-ლიტერატურული დებულებანი მკდარი. პოემის ტექსტში რედაქტორის მიერ შეტანილ შესწორებათაგან ზოგი მნიშვნელოვანია და საყურადღებო, შესაწყნარებელი და გასაზიარებელი, მაგრამ შესწორებათა მეტი წილი თვითნებური, მკდარი და მიუღებელია“.

2345. გივი შიქაძე

[რუსთაველის პოეტიკის საკითხები]

წიგნში: ქართული პოეტიკის ქრისტომათია (XVIII—XIX სს), გივი შიქაძის რედაქციითა და შენიშვნებით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემლობა, თბილისი, 1954, 278 გვ.

წიგნში მოთავსებულ ქართული პოეტიკის სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებში მოხსენიებულია რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი. რუსთაველი—გვერდებზე: 7, 8, 10, 11, 16, 24, 26, 30, 32, 38, 65, 81, 99, 102, 110, 111, 115, 119, 120, 132, 136; 138, 141, 143, 156, 171—173, 175—177, 180—182, 195, 209; ვეფხისტყაოსანი: 26, 63, 65, 66, 110, 120, 135, 136, 138, 141, 161, 172, 174, 181, 182, 209.

შეიცავს შემდეგ ავტორებსა და ძეგლებს: მამუკა ბარათაშვილი—ლექის სწავლის წიგნი (გვ. 7—23); ვეგენი ბოლხოვიტინოვი—ქართული ლექსთწყობის შესახებ (გვ. 24—27); იოანე ბაგრატიონი—პოეზიისა ანუ მოლექსეობისათვის (გვ. 28—57); თეიმურაზ ბაგრატიონი—გვარნი ანუ საზომი ქართულისა ენისა სტიხთა (გვ. 62—80); ლაერენტი არდაზიანი—პროსოდია (გვ. 81—92); კოტე დოდაშვილი—ქართული ლექსთწყობა (გვ. 99—133); ლუკა ისარლიშვილი—მოკლე კანონნი ქართულის პოეტიკისა ანუ ლექსთა თხზულებიანი (გვ. 134—154); არქიმანდრიტი კირიონი და გრიგოლ ყიფშიძე—ლექსთწყობა (გვ. 155—163); მელიტონ კელენჯერიძე—ლექსთწყობა ანუ წყობილსიტყვაობა (გვ. 164—195); გრიგოლ ყიფშიძე—ქართული ლექსთწყობა (ვერსიფიკაცია) (გვ. 196—212).

2346. გ. შიქაძე

სომელების უცნობი წერილები

გაბ. ახალგაზრდა სტალინელი, თბილისი, 1954, 17 დეკემბერი, № 39, გვ. 2

ავტორი ეურნალ „განთიადში“ ხელმოუწერლად დაბეჭდილი წერილების ავტორად ასახელებს რომანოზ ფანცხავა-ხომელს, რომელთა შორის მიუთითებს წერილს „ვეფხისტყაოსანი რუსულად“ (ეურნ. „განთიადი“ 1915, № 16, გვ. 26—32; № 17, გვ. 25—26).

2347. ვაქტორ ნოზაძე

განკითხვანი ვეფხისტყაოსანისა — ვეფხისტყაოსანის ფერთამეტყველება

El simbolismo de colores en el epos heroico georgiano del siglo 12 por Shota Rusthaveli „El Caballero de la Piel de tigre“

Le symbolisme des couleurs dans le poeme heroique Georgien du 12 siecle de Shotha Rousthaveli „Chevalier a la peau de tigre“

The symbolism of colours in the Georgian romantic epic of the 12th century by Shotha Rousthaveli „The Knight in the tiger's skin“

Die Farbensymbolik in dem Georgischen Epos des 12. Jahrhunderts von Shotha Rusthaveli „Der Ritter im Tigerfell“

Символизм цветов в грузинской эпической поэме 12 века Шота Руставели „Рыцарь в тигровой шкуре“

ბუენოს აირეს—Buenos Aires, 1953, 208 გვ. გარკვევზე თარიღი 1954.

წარწერა გვ. 207-ზე: „ამ წიგნის დაბეჭდვა დასრულდა 1954 წ. ივლისში“.

შენიშვნა: „წიგნისა «ვეფხისტყაოსანის ფერთა მეტყველება» გამოწერა შეიძლება შემდეგი მისამართით: Dr. Victor Nosadse, Blanco Encalada 5196, Buenos Aires, ARGENTINA».

ს ა რ ჩ ე ვ ი: უწყებულება მკითხველისათვის (გვ. 3—8); წინარი (8—19).

ქარა პირველი — ვეფხისტყაოსანის ფერნი. I. მნიშვნელობა სიტყვისა „ფერი“.

- ა. ფერი — წითლობა. ბ. ფერი — სხედასხვაობა. გ. ფერი — ღამაზობა. დ. ფერი — მსგავსება და განსხვავება. ე. ფერი — წოდებრივი ნიშანი. ზ. ფერი — არსი. დასკვნა. II. ფერნი ვეფხისტყაოსანში: 1. შავი ა. შავი — მწუხარება. ბ. შავი — სამოსელი. გ. შავი — რიდე. დ. შავი — ბედი. ე. შავი — გული. თ. შავი — ცხენი. ზ. ფერი — ფერადობა, ფერთა ნაირობა. ზ. შავი — ქვა. ც. შავი — მონაზანგი. თ. შავი — სიმბინჯე. ე. შავი — გრძნეული. ია. შავი — სიღამაზის ნიშანი. იბ. მური. იგ. ბნელი. იდ. ღები. იე. ფისი. 2. თეთრი. ა. თეთრი — ცხენი. ბ. ზუბი. 3. წითელი. ა. წითელი — წითელი. ბ. სისხლის ფერი. გ. ძოწის ფერი. დ. არღვანის ფერი. ე. ლალის ფერი. 4. ყვითელი. ა. ყვითელი — ყვითელი. ბ. ნარინჯის ფერი. დ. ზაფრანის ფერი. ე. სპეტი. ვ. ამარტის ფერი. 4. ლურჯი. ა. ლურჯი — ლურჯი. ბ. ლაყვარის ფერი. გ. იის ფერი. დ. ლლის ფერი. 5. მწვანე. 6. ფერად ფერადი. ა. თეთრ-ძოწეული. ბ. შავ-თეთრი. გ. შავ-მწვანე. დ. წითელ-შავი. ე. წითელ-ყვითელი. ვ. წითელ-მწვანე. ზ. ყვითელ-შავი. ც. ლურჯ-მწვანე. 7. მნათობთა ფერნი. 8. ეტ-ის ფერთა სიმბოლოზნი (გვ. 19—36).

ქარა მეორე — ვეფხისტყაოსანის ქსოვილი და სამოსელი. I. ქსოვილი და სამოსელი საერთოდ. II. ვტ-ის ქსოვილი. 1. ტურფა. 2. კრელი. 3. ფარდაგი. 4. ნახა. 5. ოქსინო 6. ორბაული. 7. სტავრა. 8. ხატაური. 9. ატლასი. 10. შარდი. 11. ხეხი. 12. ლარი. III. ვეფხისტყაოსანის სამოსელი: 1. კაბა. 2. ჯუბა. 3. ყაბანა. 4. ნახლი. 5. ხარკაში. 6. ყარაყუმი. 7. ძოწი და ძოწეული. 8. ძოწი. 9. პორფირი. 10. რიდე. 11. საბურავი. 12. აჯილა. 13. ხეჩარი. 14. პერანგი. 15. ხაში. 16. სამოსელი კაბეჯური და ვაკრული. 17. ძაძა. 18. ფლასი. 19. სულარი. IV. შეთელილი. 1. ნაბადი. 2. მოლი. 3. ხარკა და მახრები. V. სარტყელი და სარტყელი. 1. ქელი. 2. ხლა. 3. სარტყელი. 4. სამხრე. 5. ხელმანდილი. VI. ქსოვილთა და სამოსელთა სიმბოლოზნი (გვ. 36—82).

ქარა მესამე — თვალმარტანი. I. თვალი და თვალნი პატროსანი. II. თვალნი.

1. თვალი. 2. სინათლე. 3. თვალი რეტი. 4. თვალთ გაყდა. 5. თვალი მლაღვი. 6. თვალის წუთილი. 7. თვალი შეგნება, გონება. 8. თვალი ღმრთისანი. 9. წამი. 10. თვალის მოწყვედა. 11. თვალნი ცრემლთა საგუბარნი. 12. თვალი — ნარგისი. 13. თვალად. 14. წყაროს, თვალი 15. კერეტი. 16. თვალი პატროსანი. 17. თვალი ანუ თვალი პატროსანი. 18. თამარის ღრთო. III. თვალნი პატროსანი: 1. ჯავარი. 2. ლალი. ა. ლალი — რუბინი. ბ. ლალი მწერლობაში. გ. ლალი — ლაწვი. დ. ლალი — პირისახე. ე. ლალი — ნივთი. 3. ბაღაში: ა. ბაღაში. და ბაღაში ბ. ბაღაში — ნივთი. გ. ბაღაში — პირისახე. დ. ბაღაში — ლაწვი. 4. იაგუნდი. ა. იაგუნდი წითელი. 5. აუიყი. 6. ღამე მუხებერ გაანათლოს. ა. ხლაპრული თვალი. ბ. ანთრავი. 7. მას ფერი ეხარდებოდა. 8. კვლა ერთი თვალი. 9. ხურმუბტი. 10. ფეროლი. 11. ლაყვარდი. 12. აღმასი. ა. აღმასი — გული. ბ. აღმასი — შედარება. გ. აღმასი — ნივთი. 13. აღმანტი. 14. გასტეხს ქვასა ცა მაგასა. 15. ბროლი. ა. ბროლი — პირისახე. ბ. ბროლი — ბაკმი. გ. ბროლი — კბილი. დ. ბროლი — ყელი. ე. ბროლი — თითები. ვ. ბროლი — ცრემლი. ზ. ბროლი — მინა. ც. ბროლი და ლალი. თ. ბროლი — სათი — ლალი. 16. ყვითელი იაგუნდი. 17. ქარვა. 18. ამარტი. 19. გიშერი. ა. გიშერი — მელანი. ბ. გიშერი — თმა. ბ. გიშერი — წამწახანი. 20. სათი. 21. თვალი თლილი. 22. თვალი მრთელი. 23. ფახარი. IV. არა-თვალნი. 1. მინა. 2. ჩინის ქვა. V. თვალთა რაობა. VI. მარგალიტნი: 1. მარგალიტის ამბავი. 2. მარგალიტი — სამკაული. 3. მარგალიტი — ძღვენი. 4. მარგალიტი — სიტყვა. 5. მარგალიტი — ცრემლი. 6. მარგალიტი — კბილი. ა. თინათინის კბილი. ბ. ნესტანის კბილი. გ. ავთანდილის კბილი. დ. ტარიელისა და ავთანდილის კბილი. 7. მარგალიტნი ტყუბანი 8. მარგალიტი — ლალის ფერი. 9. მარგალიტი აღმოსაქულურ მწერლობაში. 10. მარგალიტი — შუღლები სიმბოლო. 11. გვარი. 12. მანგი. 13. სადაფი. 14. მარგალიტის რაობა. IV. თვალმარგალიტთა სიმბოლოზნი (გვ. 83—136).

ქარა მეოთხე — I. ვტ-ის ვარდყვავილინი. II. ვტ-ის ვარდი. 1. ვარდი — ყვავილი. 2. ვარდი — სიცოცხლის სიმბოლო. 3. ვარდი და მზე. 4. ვარდი — სურნელება. 5. ვარდი და იაღლი. 6. ვარდი და ყვავი. 7. ვარდი — პეფანის ნიშანი. 8. ვარდის წყალი. 9. ვარდი და კვალი. 10. თინათინი — ვარდი. 11. ავთანდილი — ვარდი. 12. ნესტანი — ვარდი. 13. ტარიელი — ვარდი. 14. ფრიდონი — ვარდი. 15. ვარდი — პირავენება. II. ვყავი. III. არღვანი. IV. ნარგისი. V. სოსანი. VI. ია. VII. ზაფრანა. VIII. სპეტი. IX. ნეხე. X. ყვავილინი. XI. ვარდყვავილთა სიმბოლოზნი (გვ. 136—154).

კარი მეხოფე—ვეფხისტყაოსანის სიღამაზე: I. სიღამაზე და შეენება. II. თინათინის სიღამაზე. 1. თინათინის ტანი. 2. თინათინის პირი. 3. თინათინის ლაწენი. 4. თინათინის თვალნი. 5. თინათინის ბაგენი. 6. თინათინის კბილნი. 7. თინათინის წარბ-წამწამნი. 8. თინათინის თმა. 9. თინათინის ყული. 10. თინათინის მკერდი. 11. თინათინის შეენება. III. ნესტანის სიღამაზე. 1. ნესტანის ტანი. 2—3. ნესტანის პირი და ლაწენი. 4. ნესტანის თვალნი. 5. ნესტანის ბაგენი. 6. ნესტანის კბილნი. 7. ნესტანის წარბ-წამწამნი. 8. ნესტანის თმა. 9. ნესტანის თითები. 10. ნესტანის შეენება. IV. ანათი. V. ფატმანი. VI. ვტ.-ის დედაკაცთა სიღამაზე. VII. ავთანდილის სიღამაზე. 1. ავთანდილის ტანი. 2 და 3. ავთანდილის პირი და ლაწენი. 4. ავთანდილის თვალნი. 5. ავთანდილის ბაგენი. 6. ავთანდილის კბილნი. 7. ავთანდილის წამწამნი. 8. ავთანდილის თმა. 9. ავთანდილის ყული. 10. ავთანდილის მკელები და ხელი. 11. ავთანდილის შეენება. VIII. ტარიელის სიღამაზე. 1. ტარიელის ტანი. 2 და 3. ტარიელის პირი და ლაწენი. 4. ტარიელის თვალნი. 5. ტარიელის ბაგენი. 6. ტარიელის კბილნი. 7. ტარიელის წამწამნი. 8. ტარიელის შეენება. IX. ფრიდონის სიღამაზე. X. ვტ.-ის გმირთა სიღამაზე. XI. უსენის სიღამაზე. XII. ვტ.-ის მამაკაცთა სიღამაზე. XIII. სიღამაზე აღმოსავლეთის მწერლობაში. XIV. სიღამაზე დასავლეთის მწერლობაში. XV. ვტ.-ის სიღამაზის თავანება. XVI. ვტ.-ის სიღამაზის ცოცხალი ნიბუში (გვ. 154—186).

უკმოხილვა. ფერნი ესთეტური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ფერნი ასტროლოგიური საზრისით. ჩასიული და წოდებრივი მიდგომით. სოციალ-პოლიტიკური საზრისით. სოციალ-ეკონომიური საზრისით. რელიგიური მოსაზრებით. ესთეტური მოსაზრებით. სურათთა ენის მიხედვით. სიღამაზის ჩვენებით (გვ. 187—189). მასალათა მათი თითებელი: (გვ. 189—192). დანართი პირველი. ფერთა სახელნი სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში (გვ. 194—195). დანართი მეორე: თვალთა პათიოსანთა სახელნი სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონში (გვ. 196—197). დანართი მესამე: თვალთა და ფერთა სახელნი ეპიფანე კვირიკის თხზულებაში (გვ. 197—198). დანართი მეოთხე: თვალთა პათიოსანთა არაბული სახელნი (გვ. 198—200). ბოლოსიტყვა (გვ. 200—203). სარჩევი (გვ. 204—207).

ავტორი „უწყებულება მკითხველისათვის“-ში (გვ. 3) შენიშნავს, რომ მისი განზრახვა იყო „განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა“ შემდეგი წიგნების შედგენილობით დაეხმება:

1. ღმრთისმეტყველება. 2. ვარსკვლავმეტყველება. 3. მზისმეტყველება. 4. საზოგადოებათმეტყველება. 5. ზნეობამეტყველება. 6. სიუარულთამეტყველება. 7. სიბრძნისმეტყველება. 8. ფართამეტყველება. 9. ბუნებისმეტყველება. და ზოლის, 10. დასკვნა: ვეფხისტყაოსნის მსოფლმხედველობა.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ტექსტის გაგების სიძნელეს. მისი შენიშვნით, ვეფხისტყაოსნის მუსიკალობა „ისეთი ძლიერი და წარმტაცი; ისეთი ღრმა და მომხიბვლელია; ისეთი უზენაესი და მომაჯადოებელია, რომ ვეფხისტყაოსანის მკითხველს ლექსის აზრი ეპარება და მისი მნიშვნელობა შეუშინეველი რჩება. მკითხველი მუსიკას მისდევს; იგი მისგან საესებით დაპყრობილია და უკვე აღარ ეკითხება თავის თავს,—გაიგო მან წაკითხული თუ არა! მუსიკა ვეფხისტყაოსანში აზრს ჭფარავს და აზრი იკარგება მუსიკაში“ (გვ. 3). ავტორი ვეფხისტყაოსნის ჯეროვნად გაგებაზე მსჯელობასთან დაკავშირებით მოკლე ახასიათებს პოემას, რომელიც „ქართველიერის შუა საუკუნეთა უძლიერესი და უდიადესი გამომსახველია, განსაკვირებელი მოკლე კაზმული სიტყვით; თითო სხარტული მხატვრული თქმა და თითოულად მოკვეთილი სიტყვა გარდასრული კულტურის მთელ დარგზე მიუთითებს და ამიტომ ამ დარგთა შესწავლას მოითხოვს“ (იქვე).

ავტორი მსჯელობს ქართული კულტურის მსოფლიო კულტურასთან მიმართების საკითხებზე და შენიშნავს:

„ვეფხისტყაოსანი—ქართული ეროვნული სულის გამგლავნებაა, და ქართულ ცხოვრებაში მისი დიდი ამაგი აქვს დადებული“ (გვ. 4—5). ვეფხისტყა-

ოსნის ეროვნული მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით ავტორი იხსენებს მის მიერ პარიზში 1938 წელს გამოცემულ კრებულში: „ქართლოსი“ ციტირებულ ვახუშტი ბატონიშვილის შენიშვნას: „უკეთუ ჰქონოვს ვისმე ქართველსა ანუ იმერსა, მესხსა, ჰერ-კახსა, რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს—ქართველს... არს ამათ ყოელთა წიგნი და ენა ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნულ; და ჰქითხოს მათ წინ-თქმულთა კაცთა—„რა ენა და წიგნი უწყით?“ მოგიგებს მყის—„ქართული“, რამეთუ არა იტყვის არცა ჰსჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა, და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულს...“ (იქვე). ამასთან ერთად, ქართული ნაციონალური თვითშეგნების საკითხზე მსჯელობისას ავტორს იქვე შეუნიშნავს, რომ ქართველი ერის ცხოვრებაში ვეფხისტყაოსანმა დიდი ეროვნული როლი ითამაშა, რითაცაა განპირობებული მისი ხალხურობა და განუსაზღვრელი პოპულარობა (გვ. 5, მეორე სვეტი). ვეფხისტყაოსანმა შეადლუბა საქართველოს ყველა ტომი და წოდება: და „საერთო ეროვნულ სულიერ საღაროდ შეიქმნა, როგორც მაღალი წოდებისათვის, ისე დაბალ წოდებათათვის; იგი მთელი ერის სულიერ გამოძახებულად გარდაიქცა“ (იქვე). ვეფხისტყაოსანმა „ყოველი ქართველი მოხიბლა, ერთი მეორეს გადააბა, სულიერად დაამობილა და ამგვარად მთელი პოემა საქართველოს, მთელი ერის სულიერ წყაროდ იშვა“ (გვ. 6).

ამის მიზეზს ავტორი იმაში ხედავს, რომ რუსთაველის ვეფხისტყაოსანი არის უმაღლესი ხელოვნებისა და პოეტური სიტყვის გენიოსური მიღწევა. მასში რუსთაველი უმღერის სიცოცხლეს, ადამიანს, ბრძოლას, სიყვარულს, მეგობრობას, ვაჟკაცობას, თავდადებას, ძმობას, ძმადნაფიცობას, თავგანწირულობას, სილამაზეს, შევნებას, გონებას, სიბრძნეს, სიკეთეს, სიმართლეს, თანასწორობას, სოციალურ პარმონიას, სამშობლოს დაცვას (გვ. 6). „ვეფხისტყაოსანი გახდა ერის შემქმნელ ერთ კავშირად, ეროვნულ ელემენტად. ვეფხისტყაოსანი ის ეროვნული წიგნია ის დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი დუღაბია, რომელიც ქართველ ერს მის პოლიტიკურად დაშლილობის ხანაში, სახელმწიფოებრივი დაქუცმაცების ეპოქაში, მტრის კირთებს ქვეშ, საუკუნეთა მანძილზე, ერთ ერად ინახავდა და იცავდა“ (გვ. 6).

ავტორი თავისი გამოკვლევის მიზნის ჩამოყალიბებისას აღნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ვეფხისტყაოსნის ლექსიკონის გაგება, „თითოული სიტყვის გამოშიგნა, სინათლეზე გადმოშლა და ცხადად დანახვა მისი“, რადგან „ყოველ სიტყვას განსაზღვრულ ხანაში თავისი ღებდა-აზრი აქვს, თავისი შინა-აზრი და შინა-არსი,—ერთ ხანაში ხანდახან იცვლება იგი, მოწინააღმდეგე მნიშვნელობასაც კი ღებულობს“ (გვ. 7). ავტორი სიტყვათა მნიშვნელობის ცვალებადობის საილუსტრაციოდ ასახელებს სიტყვებს: „პატივი“, „უმა“, „მონა“, „სოფელი“, ასევე „ტექნიკურ ტერმინებს“, რომელთა მნიშვნელობა დღევანდელი შკითხველისათვის მიუწვდომელია: „ერთარსება“, „ერთი“, „გონება დაფარული“, „სირა“, „სოფელი“, „ძალი“, „ქრელი“, „ლაშქარი“, „სპა“, „კაბუჯი“ (იქვე). ასევე მნიშვნელობა გამოცვლილ სიტყვებს: „კატა“, „გვარი“, „ტურფა“. ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტის მართებული გაგებისათვის საჭიროა ამ სიტყვების ინტერპრეტაცია ძველ ქართულ ენაში მათ მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

ავტორი შენიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის შესწავლა ჯერ ფართო პროგრამით არაა განხორციელებული: „საჭიროა ვეფხისტყაოსნის მეცნიერული გამოკვლა; ამას დიდი მუშაობა სჭირდება—ყველა არსებული ხელნაწერის შე

დარება და, რაც მთავარია, განსხვავებათა აღნიშვნა* (გვ. 8). თავის შრომას ავტორი უყურებს როგორც „ვეფხისტყაოსნის კრიტიკული გარჩევის, მისი სხეულის განაწევრების, დაწვრილების, ანატომიური ანალიზის პირველ კადნიერ კლასს“ (იქვე). საილუსტრაციოდ ციტაციის დროს იყენებს ვეფხისტყაოსნის საიუბილეო 1937 წლის უნივერსიტეტის გამოცემას, თუმცა მისთვის არც ესაა დამაკმაყოფილებელი.

გამოკვლევის ძირითადი მიზანია ვეფხისტყაოსანში ნახმარ ფერთა სახელწოდებების სიმბოლიკის დადგენა—ძვირფას ქვათა, სამოსელთა და სილამაზის ყოველი გამოხატულების მიხედვით, რაც ფერის ცნებებით აღიქვება. ამასთან დაკავშირებით, ავტორი ფართოდ ეხება ვეფხისტყაოსნის ფერთა ლექსიკის საკითხებს სპარსულ-არაბულ, ლათინურ ლექსიკასთან მიმართებით და ვეფხისტყაოსნის ცალკეული წაკითხვების მართებულებას იხილავს სხვადასხვა შველევართა ნაშრომების მიხედვით. ავტორი ამ მიზნით იყენებს უამრავ მასალას როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე და ზოგ საკითხს ურთავს ვრცელ ექსკურსებს.

ავტორი სპეციალურად იხილავს ფერთა სიმბოლიკის საკითხს რელიგიის ისტორიაში, ასტროლოგიაში, პოეზიაში, ძველი ხალხების რწმენებში (ეგვიპტელები, ებრაელები, ბერძნები, სპარსელები, არაბები) და განსაკუთრებით ეხება ფერთა ქრისტიანულ სიმბოლიკას. ამასთან დაკავშირებითვე ავტორი სწავლობს ფერთა მნიშვნელობას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, მათ კლასობრივ და წოდებრივ გამოხატულებას და ფერთა სიმბოლიკის შემეცნებას მწერლობაში. ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანი მეტად მდიდარია ფერთა ჩვენებით. სხვადასხვა ფერი ვეფხისტყაოსანში დასახელებულია ასჯერ მაინც, პარტიოსან ქვათა და ვარდ-ყვავილთა ფერებთან ერთად კი სამასჯერ, რომელთა მნიშვნელობის დადგენა წიგნის მთავარი საგანია (გვ. 19).

ავტორი იწყებს სიტყვა „ფერის“ მრავალგვარი მნიშვნელობის განსაზღვრით და ანალიზს უკეთებს თითოეული ფერის კონკრეტულ შინაარსს ვეფხისტყაოსნის ჩვენებათა მიხედვით, მათ ასტროლოგიურ გააზრებას და ასვენის, რომ „ფერთა სიმბოლიკაში ხელოვნების ისეთი მიწვენილობით და სიმდიდრით არის გამოყენებული ეტ.-ში, რომელს ვერც ერთი სხვა ნაწარმოები ვერ შეედარება. ვეფხისტყაოსანში ფერწერითი შემოქმედების მადლიანი ხელია, უმაღლესი შთაგონებისა და ძლიერად შემსრულებელი მხატვარისა, რომელსაც პოეტისი დარგში მერტოვ არ მოეპოვება. ეს მხატვარი მარტოდ სდგას შუა საუკუნეთა მსოფლიო მწერლობის კალმით ფერწერითი ხელოვნების უუმაღლეს მწვერვალზე“ (გვ. 36).

ავტორი ქსოვილთა და სამოსელთა ეროვნულ, სახელმწიფოებრივ და წოდებრივ მნიშვნელობაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ, თუმცა ვეფხისტყაოსანში მკითხველი ისლამურ ხალხებსა ხედავს, პოემაში ამ ხალხთა აღწერილობა არ მოიპოვება (გვ. 38). „ვეფხისტყაოსანი არისტოკრატიული პოემაა და მასში უმთავრესად მაღალი წოდების სამოსელსა და მის ფერსა ეხებადეთ“ (გვ. 39). ავტორი აღნიშნავს, რომ სიტყვას „ტურთა“-ს ვეფხისტყაოსანში ორი მნიშვნელობა აქვს—ქსოვილისა და ლამაზისა (გვ. 39). ავტორი იხილავს სიტყვა „ქრელი“-ს მნიშვნელობას ხელოვნების სხვადასხვა დარგში და ასვენის, რომ „ვეფხისტყაოსანის „ქრელი“ არის ბროლერი, ნიოდლორკი, უზორნატია რაბოტა, უზორ, სურათოვანი ფერადი მოქარგულობა, ნემსითი დამუშევარი ქსოვილთა შესამკობად და დასასურათებლად“ (გვ. 45). ავტორი

სამოსელთა სიმბოლოურ მნიშვნელობაზე მსჯელობისას ეხება სიტყვა „მოლი“-ს გაგებას, იხილავს არსებულ შეხედულებებს და ასკენის, რომ ის ნიშნავს „ნაბაღას“ და არა „მოლიდ“-ს, ალამუთის ასასინს, როგორც ეს პროფ. ჯ. ქეკე-ლიძეს ჰგონია (გვ. 77). ავტორი თვალ-მარგალიტთა სიმბოლიკის გამო შენიშნავს, რომ „თვალთა და თვალთა პატიოსანთა ფერების მნიშვნელობა ვეფხის-ტყაოსანში იგივეა, რაც თვით ფერთა და ამ ფერთა ქსოვილ-სამოსელზე დასხვა საგნებზე გადატანითი მნიშვნელობით“ (გვ. 83). „ვეფხისტყაოსანის საზოგადოება ძლიერ მდიდარია ძვირფასი ქვებით, რომლითაც ერთი ზეორეს უხვად ასაჩუქრებს, ოღონდ ამ რომანში თვალნი პატიოსანნი უფრო პოეტური მიზნებისათვის არიან გამოყენებული, ვით აღწერა და სიმბოლიკა“ (გვ. 89). ავტორი სპეციალურად იხილავს რუსთაველის ცნობილ ტაეპს „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, კრიტიკულად აფასებს მისი განმარტების შესახებ არსებულ ლიტერატურას და ასკენის, რომ მასში სავსებით რეალური მნიშვნელობის მოწყობილობაა აღწერილი, აღმასის სათლელი იარაღია და რუსთაველის სტრიქონში ყველა სიტყვა თავის ადგილზეა (გვ. 108). ავტორი ანალიზს უკეთებს 709—710-ე სტროფებს ზურაბ ავალიშვილის განმარტებასთან დაკავშირებით და ასკენის, რომ „ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ-ჰქმნა მისი საწაღელი“ სექსობრივი ურთიერთობის გამომხატულება არ არის, ის დაქორწინების აღთქმის სიმბოლოა (გვ. 123—132).

ავტორი იხილავს სიტყვა „გვარის“ მნიშვნელობას 1178-ე სტროფში და ასკენის, რომ ის ნიშნავს მარგალიტს და არა „ამ გვარს“ (გვ. 133).

ვარდ-ყვავილთა სიმბოლიკის მიმოხილვისას მსოფლიო მწერლობაში ავტორი აღნიშნავს, რომ მას ვეფხისტყაოსანში დიდი ადგილი უჭირავს, განსაკუთრებით ვარდს და ამ მხრივ ქართული პოემა ევროპულ მწერლობას რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს (გვ. 140). ტაეპში „ვარდთა და ნეხეთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“ (სტროფი 49), ავტორის დასაბუთებით, სიტყვა „ნეხეთა“ ნიშნავს ნეხვას, ანუ მყრალ ბალახს (გვ. 141). ასეთივე გაგება აქვს ამ სიტყვას 1253-ე სტროფში: „უმისოდ ნეხეთა ზედა ეზი ბულბული მსგავსად ყვავისად“ (გვ. 153). ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით „ვარდთან არის დაწინააღმდეგებული“ (იქვე). „მზე“ და „ვარდი“ ვეფხისტყაოსანში შეყვარებულ გმირთა მპილრო დამოკიდებულებისა და მათი მტკიცე ურთიერთობის გამომსახველი არიან“ (გვ. 142). ავტორის შენიშვნით, მცდარია პროფ. იუსტ. აბულაძის შეხედულება თითქოს „...და ლერწამი ტანად ეზროს“ (სტროფი 177) უგვანო შედარებას წარმოადგენდეს (გვ. 142). მცდარია ჯ. ჭიჭინაძის გასწორება სიტყვისა „ალამნეს“ 943-ე სტროფში სიტყვით „ალომნეს“ (გვ. 148). მცდარია პავლე ინგოროყვას მოსაზრება თითქოს ვეფხისტყაოსანში მზე ღმერთი იყოს (გვ. 148). ავტორი ეხება „ნარგისის“ მნიშვნელობას და ასკენის, რომ ის ვეფხისტყაოსანში „თვალთა შესატყვისი და მისი სილამაზის მაჩვენებელია“ (გვ. 150). იასილამაზის სიმბოლოა და ზოგჯერ მწუხარების ნიშანი (გვ. 151).

ავტორი განმარტავს სიტყვა „შვენებას“ და „ლამაზს“ ქართული მხატვრული შემეცნების მიხედვით, ანალიზს უკეთებს ვეფხისტყაოსანის გმირების სილამაზეს პოემის ეპიტეტებთან და შედარებებთან მიმართებაში, მიმოიხილავს სილამაზეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მწერლობაში და ასკენის, რომ „ვეფხისტყაოსანის, ანუ ქართული და ევროპული წარმოდგენა სილამაზეზე ერთი და იგივე არის, ერთნაირია, თუ შეხედველობაში არ მივიღებთ გერმანულ-ეროვნულ ფერს: ოქროს ფერს, ქერას; ხოლო რომანულ (ფრანგულ, ესპანურ და

იტალიურ) ქვეყანათა სილამაზის გემოვნება და ქართული საესკებით თითქმის იგივეობას აღნიშნავს“ (გვ. 176—177). „ვეფხისტყაოსანი სილამაზის ნამდვილი თაყვანებაა—ნამდვილი კულტა“ (გვ. 177). „ვეფხისტყაოსანში მამაკაცთა და დედაკაცთა სილამაზე თანაბარია, თანასწორი, სილამაზეში ორივე სქესი ერთნაირია“ (იქვე). „ძველმა საქართველომ თავისი წარმოდგენა სილამაზეზე ვეფხისტყაოსანის სიტყვით დაგვიხატა“ (გვ. 181). „სილამაზე ვეფხისტყაოსანში არ არის იდეალი;— იგი არის სინამდვილე—სილამაზე ადამიანური,—ოღონა ღვთიურობის შემცველი...და ქართული“ (გვ. 181).

ავტორი ეხება შეხედულებას რუსთაველის ნეოპლატონიკოსად მიჩნევის შესახებ, კრიტიკულად იხილავს არსებულ თეორიებს, აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანი არის ხორციელი სილამაზის ხობა და ქება; იგია შეგნების გალობა, დიდება ხორცთა; სიმღერა ხორციელ სიყვარულზე! და რა კავშირი აქვს მას სიკვდილის მოტრფიალე ნეოპლატონიზმთან?...ერთი“—ს ანუ ღმერთის სიყვარულთან, რომელიც ნეოპლატონიზმის შეგნების საფუძველია და გრძობათა გამომხატველი“ და ასკვნის: „ვეფხისტყაოსანს ნეოპლატონიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს“ (გვ. 182).

ავტორი ეხება საკითხს, თუ რა არის ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზის საფუძველი და ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსანში დახატული სილამაზე არის ქართული სილამაზე, ხალასი ქართული. ქართული გემოვნება სილამაზისა და ქართული გემო შეგნებისა არის დასურათებული ვეფხისტყაოსანში, და ეს ხატი ქართული სილამაზისა არ არის მარტო წარმოდგენითი, ფიქრითი გამოსახულება, არ არის ოცნებითი დასახვა და ნატრიონი. ეს სილამაზის ჩვენება და შეგნებითი გამოჩენება, რომელს ვეფხისტყაოსანი გვაძლევს, არის სინამდვილე, მხატვრულად გადმოღებული ქართული სინამდვილედან, რომელს ჩვენ მე-17 და მე-18 საუკუნეშიც და დღესაც ვხედავთ“ (გვ. 182). „აწასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ცნობები ქართული სილამაზის შესახებ ქართული და უცხო წყაროების მიხედვით (გვ. 182—186) და ასკვნის, რომ „ქართული სილამაზის ეს აღწერანი არაფრით არ განსხვავდებიან იმ აღწერათაგან, რომელთაც ვეფხისტყაოსანში ვეცნობით...ვეფხისტყაოსანის სილამაზე „ქართულია, ქართულია იმ ხანიდან, როცა იწერებოდა ეს შესანიშნავი და შეუდარებელი რომანი—ვეფხისტყაოსანი—ქართული ერის სიბრძნისა და გემოვნების შევნიერი ნაყოფი“ (გვ. 186—187). „ღვთიური და მზიური რომანი“—ს (გვ. 155) „სილამაზე არის ნამდვილი ქართული სილამაზე, ქართველი ერის ტიპური სილამაზე“ (გვ. 189).“

ავტორი ნაშრომის ძირითად დებულებათა საბოლოო შეჯამებისას აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში ფერნი გამოყენებულნი არიან განზრახული პოეტური მიზნით და თითოული ფერი თავისი საკუთარი მეტყველებითაა ახმაურებული, და თავისი კერძო სიმბოლიზმით გამხილებული და ნაჩვენები“ (გვ. 187). „ვეფხისტყაოსანი ფერთა გალობაა და ფერთა შექებაა, რომელს ვერც ერთი გალობა ფერზე ვერ შეედარება“ (გვ. 187). „ვეფხისტყაოსანის ფერთა სიმბოლიზმი ესთეტიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ უზრადლებას იპყრობს, რადგან აქ ფერთა სიმბოლიზმს დიდი და ფართო გასაქანის ასპარეზი უკავია. ვეფხისტყაოსანის გმირთა სილამაზე დახატულია ფერებით და ამ ფერთა შორის, რასაკვირველია, თერთი, წითელი და შავი პირველ რიგზეა წარმოდგენილი“ (გვ. 188). „ამნაირად: ფერთა სიმბოლიზმი ვეფხისტყაოსანში ფერდა შეცნობის, შეგრძნობის, დაფასების,—საერთოდ, ფერთა კულტურის

შეცველია და ეს ფერთა მეტყველება შესანიშნავი სურათოვანი ენითა და მგონსური აღმაფერებითაა ნათქვამი, გენიოსური ყალამითაა დახატული“ (გვ. 189).

წიგნის ბოლოსიტყვაში ავტორი ეხება ნაშრომის აგებულებას, მოჰყავს მიქელ თარხნიშვილის მიერ მასთან მიწერილი ბარათის ამონაწერი და თავისი პასუხი, რომელშიაც ეხება ვეფხისტყაოსნის შესწავლის საკითხებს. ავტორი ამ ციტირებულ წერილში საგანგებოდ იხილავს კ. ჭიჭინაძის მიერ ვეფხისტყაოსნის 1934 წლის თავისი გამოცემის ტექსტში შეტანილ რამდენიმე გასწორებას და აღნიშნავს, რომ კ. ჭიჭინაძეს სწორედ არ ესმის ვეფხისტყაოსანში სიტყვა „გონებამან“, რის გამოც თავისი გასწორებით ამახინჯებს ტექსტს (გვ. 201—202). ასევე მცდარია კ. ჭიჭინაძე, როდესაც სიტყვას „საშინელი“ („მე შემომძღვნეს რამაზისგან ძღვნად საქურძელ საშინელი“) ასწორებს სიტყვით „საჩინელი“ (გვ. 202—203). ავტორს ამ სიტყვათა ინტერპრეტაციისათვის პოემიდან და სხვა ძეგლებიდან მოჰყავს საილუსტრაციოდ უამრავი ციტატა.

ავტორი მთელი ნაშრომის გასწვრივ კრიტიკულად იხილავს განსაკუთრებით აკად. ნ. მარის, პროფ. კ. კეკელიძის, პროფ. იუსტ. აბულაძის, ს. კაკაბაძის, პავლე ინგოროყვას და კ. ჭიჭინაძის ცდებს ვეფხისტყაოსნის ცალკეული ადგილების ვაგება-გასწორებისათვის.

2348. P. P. Орбели

Собрание грузинских рукописей института Востоковедения

Академия Наук СССР, Общий обзор

წიგნები: Ученые записки института Востоковедения, АН СССР, Институт Востоковедения, Москва—Ленинград, 1954, том IX, гв. 30—66.

ავტორი საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერაში აღნიშნავს, რომ ქართული კლასიკური ლიტერატურის ყველაზე საუკეთესო ტრადიციები თავის სრულ გამოხატულებას კპოეებს პოეტ-ფილოსოფოსის შოთა რუსთაველის შემოქმედებაში (გვ. 54).

ავტორი მიუთითებს ქართულ ხელნაწერთა ამ ფონდში დაცულ ვეფხისტყაოსნის 6 ხელნაწერს, პოემის 1712 წლის ვახტანგისეული გამოცემის 2 ეგზემპლარს და იძლევა მათ მოკლე ტექნიკურ აღწერილობას (იქვე). ავტორი უთითებს ვეფხისტყაოსნის გაგრძელების „ომანიანი“-ს ხელნაწერს, რომელიც პეტრე ლარაძის ნაქონი ყოფილა.

2349. რუგოშელი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

გახ. საბჭოთა აკადრია, ბათუმი, 1954, 24 ივლისი, № 146 (9400), გვ. 3, კვლევა.

ავტორი მოკლედ ახსიათებს ვეფხისტყაოსნის ტექსტს არსებულ გამოცემათა მიხედვით და სპეციალურად იხილავს 1953 წელს პავლე ინგოროყვას რედაქციით გამოსულ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემას. ავტორი ინგოროყვას მიერ ამ გამოცემაში შეტანილ 454 გასწორებიდან იხილავს რამდენიმეს, როგორც მართებული გასწორების ნიმუშს (მაგ.; 26-ე სტროფში „თმოზასა“ მაგიერ „ლმობასა“; 496-ში: „მშვენოდეს“ მაგიერ „შენ ოდეს“). ამასთან ერთად, ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგი გასწორება აშკარად გაუმართლებელია, რისი ნიმუშებიც მოჰყავს.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ საჭიროა გამოცემის რედაქტორმა ანგარიში გაუწიოს წიგნის შესახებ გამოთქმულ საკმთან შენიშვნებს (მხედველობაში აქვს სარგის ცაიშვილისა და მანანა გივინიშვილის შენიშვნები).

2350. შოთა რუსთაველი

ათორიზმები

შემდგენელი და პ/მ გამოშვებისათვის ა. შილაკაძე, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“-თბილისი, 1954, 26 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილ ათორიზმებს. დასაწყისი:

„აჲსა კაცსა აუ სიტყვა უჩრებია სულსა, გულსა...“

2351. რუსთაველი

სუ ღი უპი [ვეფხისტყავეი რაინდი]

ძაი ლი-ჩიე [თარგმანა ლი-ჩიემ], ჯოძა ჩუ ძან ს' [გამომცემლობა „მწერალი“-ქ. პეჯინ, 1954, 250, გვ.

184,000 ასო-ნიშანი, ტირაჟი 10,700. ფასი 9,900 იენი.

ტიტულს მგორე ვგვრდუე აწერია: „Shot'ha Rust'haveli, The Knight in The Tiger's Skin, Jaternational publishers. M. S. Wardrop. E. Orbelyani, S. Jordanishvili.“

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ჩინური თარგმანის 1631 სტროფს. თარგმანი შესრულებულია პროზით. თარგმანს წინ უძღვის შთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც ავტორი ეხება საქართველოს ისტორიის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საკითხებს, ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ პოემა თარგმან ვეფხისტყაოსნის ინგლისური თარგმანიდან, ისარგებლა მისთვის დართული პ. ინგოროყვას შესავალი წერილით და მას თარგმნილი ტექსტის რედაქციაში ეხმარებოდა კოპო-ჯენ-მომყავს ქართული ტრანსკრიფციით ვეფხისტყაოსნის ჩინური თარგმანის პირველი თავის: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ დასაწყისი 32-ე სტროფი:

„ძაი ასიაა ჯუ ი-ვედ მ'ნ სან უნ დე კო ვან რუსტვეან,
ტან ქუაილოდი ჩუნ კოდე, კჷან კადე ჯან შადუ დე.
ს' სილოო ჯუნ დეა ხ-უ ძე-დე სოლოდონ, ჯუნ-ძი,
ჩუ ჩუნ-რ-დე აუ დენ ჯუნ, ძ-ჯი-ს' ი-გოო, უ-ფი უ-ფიდი,
ჯან-ძ'. დუ-სან ვუა ჟუნ-ს“.

2352. Rusztaveli

A Tigrisbörös lovag

Forditotta Weöres Sándor, Zichy Mihály 27 Képpel, Budapest, 1954, 320 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის უნგრულ სრულ პოეტურ თარგმანს. შეიცავს პოემის შესავალს, LXIV თავს და დასასრულს 1671 სტროფით. პირველი თავის „Rege Rosztéván királyrol“-ის დასაწყისი 32-ე სტროფი:

„Rosztéván arab király volt, jósors vitto diadalra,
nemes, nyájas, népét—öb. szárnya seregek hatalma,
büls és higgyadt az elméje, igazságos az uralma
a tanácsban ékes-szöb. harcban gáncs-nélkül dalja“ (გვ. 11).

დასასრულის უკანასკნელი 1671-ე სტროფი:

„Rég Amirán Darodzsánit dalolta Mosze Honeli,
Abdul-Messziának ékes vers-koszorút font Savteli,
Dilargetről fáradatlan énekelt Szargisz Tmogvöli
és Tarielt könnyek között magasztaltom én, Rusztveli“ (გვ. 312).

წიგნს ბოლოში ერთვის შენიშვნების სახით კერძო სახელთა ლექსიკონი. (გვ. 319—320), ისეთ სიტყვათა განმარტებებით, რომელნიც თარგმანში ქართული ფორმით არიან დატოვებული.

ტექსტი დასურათებულია ზიჩის ნახატებით. ბოლოში ერთვის „Csatlós János“-ის ხელმოწერით ბოლოსიტყვაობა „Rusztaveli: A Tigrisbörös Lovag“ (გვ. 313—318).

ჩატლოშ იანოში ეოროშ შანდორის მიერ შესრულებული ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის გამოცემისათვის დართულ ბოლოსიტყვაობაში: „რუსთაველის ვეფხისტყაოსანი უნგრულ ენაზე“ ეხება საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებას, რუსთაველის ეპოქას, მოკლედ გადმოსცემს რუსთაველის ბიოგრაფიას და პარალელს ავლებს პოეზიის სიუჟეტსა და საქართველოს ისტორიული ცხოვრების ფაქტებს შორის. ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, ეხება მის წყაროებს და აღნიშნავს სპარსული პოეზიის გავლენას.

ავტორის აზრით, რუსთაველი უკვდავია არა მარტო სიყვარულის აღწერით, არამედ რენესანსის იდეალებით, ადამიანური ხმით. რუსთაველი პოეტი-მეცნიერია, მაგრამ არა პედანტი. ის თანმიმდევარი ფილოსოფოსია. ის იყო ახალი საუკუნეების პირველი მედროშე. რუსთაველი ხასიათების გამოხატვის ოსტატია. ავტორის დაკვირვებით, ვეფხისტყაოსნის 1000 სტროფამდე სიუჟეტი თანმიმდევრულად ვითარდება, მიწიერ სინამდვილეშია მოქცეული, 1000-იდან 1500-მდე შენიშვნება წინააღმდეგობანი, მასში ზღაპრულ-ჯადოსნური ელემენტები სჭარბობს. 1342-ე სტროფში პოეტი ჯამის ახსენებს, რომელიც რუსთაველის შემდეგ 300 წლის მოგვიანებით ცხოვრობდაო, რაც, ავტორის შენიშვნით, ცხადყოფს, რომ ვეფხისტყაოსანმა განიცადა გადაკეთება-დამახინჯებანი. შემდეგი დროის ასეთ გადაკეთებათა მაგალითად მიაჩნია ავტორს სტერეოტიპული გამოთქმები.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ბელა ვიკარისეულ უნგრულ თარგმანს და უთითებს ამ თარგმანში პოემის ზოგი ადგილის მცდარ გაგებას. მის ერთ ნაკლად მიაჩნია გარემოება, რომ მასში ყურადღება არ მიექცა შაირის ორ სახეობას. ავტორი წერილს ათავებს შემდეგი სიტყვებით: „ვეფხისტყაოსანს ახალ უნგრულ თარგმანში უფლება აქვს მსოფლიო ლიტერატურის ეპიკურ თხზულებათა შორის იდგეს. ის შეიქმნა პატარა ხალხის შემოქმედებით ძალაზე, მის მდიდარ კულტურაზე, კაცობრიობის სულის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე, რომელმაც, დასძლია რა წარსული სიღუბეპირე, თავის მიზნად დაისახა გაფორმება შუასაუკუნეთა შემდგომი დროის უფრო თავისუფალი საზოგადოებისა, უფრო თავისუფალი კულტურისა, ე. ი., აღორძინების ხანის საზოგადოებისა“.

ბოლოში წერილს დართული აქვს შენიშვნა ზიჩის მუშაობის შესახებ ვეფხისტყაოსნის დასურათებაზე, მისივე მცირე ბიოგრაფიული ცნობებით.

შპნშ. [უაგტორო]

ერთი მანკიერი წიგნის შესახებ

გახ. საბჭოთა ოსეთი, სტალინირი, 1954, 28 ნომერი, № 235 (5576), გვ. 2.

წერილი წარმოადგენს რეცენზიას ი. მეგრელიძის წიგნზე: „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“ (მეორე შეესებული გამოცემა, სამხრეთ ოსეთის სახელგამი, 1954 წელი, იხ. ანოტაცია № 2343).

ავტორი მცირე შენიშვნის შემდეგ შოთა რუსთაველის პიროვნებისა და ვეფხისტყაოსნის შესახებ, ი. მეგრელიძის წიგნის გამო აღნიშნავს, რომ „ეს წიგნი არა თუ უქვს არა ჰყენს შოთას პიროვნებას,—მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, არამედ უფრო აბნელებს მას...ამ წიგნის ზოგიერთი ფურცელი პირდაპირ შეურაცხყოფს დიდ შოთას, ყალბად წარმოგვიდგენს მის ზნეობრივ იდეალებს, გაორებულიად სახაევს შოთა რუსთაველს, როგორც ადამიანს“.

ავტორს ამ შენიშვნების საილუსტრაციოდ მოჰყავს რუსთაველის შესახებ ზოგი ლეგენდის ნაწყვეტი, რომელშიაც პოეტის პიროვნება უარყოფითად

არის წარმოდგენილი და ასევე, რომ ისინი ჩრდილს აყენებენ ქართველი ხალხისა და მოწინავე კაცობრიობისათვის უძვირფასეს სახელს. ი. მეგრელიძის წიგნი შეურაცხყოფს გენიალურ ქართველ პოეტს და რუსთველოლოგიის მთელი საქმის ინტერესებისათვის საზიანოა.

ამვე გაზეთის 1955 წლის 26 იანვარს (№ 18/5617) რედაქციამ მოათავსა ზენიშენა, რომელშიაც გაკრიტიკებულია ამ წერილის ცალმხრიობა და ტენდენციურობა.

2354. [უაფგორო]

Семьдесятшесть изданий поэмы „Витязь в турской шкуре“

გახ. Заря Востока, 1954, 19 марта, № 67 (8949), გვ. 3.

მცირე საინფორმაციო წერილი ეხება თბილისში მცხოვრები ძმების დოც. ი. ასლანიშვილისა და ვ. ასლანიშვილის მიერ შეკრებილ ვეფხისტყაოსნის გამოცემათა კოლექციას. ცნობის მიხედვით ვეფხისტყაოსანი გამოცემა 76-ჯერ. აქედან ქართულად 40-ჯერ. რუსულად 18-ჯერ, უკრაინულად 3-ჯერ, ორ-ორჯერ აფხაზურად, აზერბაიჯანულად, ჩინურად, ინგლისურად; თითო-ჯერ—სომხურად, ყირგიზულად, ოსურად, უნგრულად, გერმანულად, იტალიურად, ებრაულად.

დასასრულს, მოკლედ გათვალისწინებულია ვეფხისტყაოსნის თარგმნა-გამოცემის ვითარება.

2355. ივ. ქავთარაძე

ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1954, XV+356 გვ.

ძველ სალიტერატურო ქართულში „ზამ“ ფუძისაგან ნაწარმოები ფორმების განხილვისას, ავტორს საილუსტრაციო მასალად მოჰყავს ვეფხისტყაოსნის „ზმიდი“ („გახსოვს, ოდეს ჰჰაის“ ჰზმიდი, ცრემლი ზენნი ველთა ჰზანდეს“ 526,1). ამ ფუძიდან მომდინარეობენ ფორმები—ზმნა—აზმნობს, ჰზამ, ჰზენ (გვ. 200—201).

2356. ქრისტინე შარაშიძე

საქართველოს სახელმწიფო უზენაესი ქართულ სელნაწერთა აღწერილობა

ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით, ტომი IV, შეადგინა ქრისტინე შარაშიძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1954, 635 გვ.

შეიცავს საქ. მუზეუმის ხელნაწერთა A ფონდში დაცული ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა აღწერილობას:

1. № 1123. 1833 წლისა. 148 ფურცელი (გვ. 145).

2. № 1313. ლოცვები და საგალობლები XVIII საუკუნისა. ბოლოში ხელნაწერს აქვს ნუსხური შრიფტით მიწერილი ვეფხისტყაოსნის სტროფი (გვ. 383—384).

3. № 1342. თეოდორე სტოდოელი. სწავლანი სულიერნი. XVI საუკუნისა. აქვს მინაწერი II—2 ვეფხისტყაოსნის ერთი სტროფი XVI საუკუნის მხედრულით (გვ. 425).

4. № 1350. გამ-გულანი. XVII საუკუნისა. ხელნაწერს 18 და 229—230 გვერდზე აქვს მიწერილი ვეფხისტყაოსნის აფორიზმი და ერთი სტროფი (გვ. 437).

2357. ფ. შატერაშვილი

ლილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხუცებათა თეზისები სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1954, გვ. 104—105.

ავტორი თეზისებში ახასიათებს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის ნაშრომების მნიშვნელობას ვეფხისტყაოსნისათვის.

2356. სოლომონ ჩხაიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1954, 26 ოქტომბერი, № 128 (5920), გვ. 4.

წერილი შეიცავს შენიშვნებს 1953 წ. პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ მცდარია პ. ინგოროყვას დებულება იმის შესახებ, რომ ვახტანგის გამოცემა ემყარება ერთ-ერთ ძველ ხელნაწერს. ასევე გაუმართლებელია პ. ინგოროყვას მიერ უპირატესობის მიცემა XVII—XVIII საუკუნეთა ხელნაწერებისათვის ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისათვის. წარმოებულ მუშაობაში შედარებით „ძირითად ხელნაწერ ვარიანტებთან“.

ავტორი აღნიშნავს პ. ინგოროყვას გამოცემაში რამდენიმე უმართებულო გასწორებას შედარებით საიუბილეო ტექსტთან. ავტორის აზრით, ე. წ. „საყრდენი თანხმობის“ მიხედვით რითმის სწორება გაუმართლებელია.

დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ პ. ინგოროყვას ხშირი მითითებებით იმის შესახებ, რომ „ამა და ამ წაკითხვას ამართლებს ვეფხისტყაოსნის „ძირითადი დედნები“ (?)“ „შეცდომაში შეყავს პოემის ამ ოციათასტირაჟიანი გამოცემის მასიური მკითხველი“.

2359. ხარგვის ცაიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის შესახებ

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1954, 5 ივნისი, № 67, გვ. 2, ქვედურა, 6 სვეტი.

სარეცენზიო წერილი შეიცავს შენიშვნებს 1953 წელს პაულე ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის შესახებ. ავტორი შენიშნავს, რომ „ამ გამოცემის გასწორებათა ნაწილი საექვოა და მოკლებულია დამაჯერებლობას“ და მოჰყავს რამდენიმე მაგალითი ტექსტის უმართებულად გასწორებისა. ავტორის შენიშვნით, „რედაქციას ერთგვარი ნაჩქარევი ხელიც ეტყობა“.

დასასრულს, ავტორი ასკენის: „უმჯობესი იქნებოდა, რომ ახალი გამოცემის ეს შესწორებანი გამოქვეყნებულიყო, ვიდრე პოემის ოციათასტირაჟიანი გამოცემა ამ სახით მიმოეფინებოდა მკითხველებს“.

2360. სოლომონ ცაიშვილი

ივანე მაჩაბლი „ვეფხისტყაოსნის“ რედაქტორი

ფრან. ღრთშა. 1954, № 2, გვ. 17—18.

ავტორი მოკლედ ითვალისწინებს ვეფხისტყაოსნის 1888 წლის გამოცემის მომზადების პირობებს და კერძოდ ივანე მაჩაბლის მუშაობას გამოცემის ტექნიკურ გაფორმებასა და ბექლვის დროს ურისგდების საქმეში, რასაც ის 1887 წელს შესდგომია. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს ამონაწერები ი. მაჩაბელსა და ი. მეუნარგიას შორის მიწერ-მოწერიდან ვეფხისტყაოსნის ბექლვის შესახებ.

2361. გ. ცისკარიშვილი

წარწერები ასპინძის რაიონიდან

კრებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1954, ნაკვ. 30, გვ. 167—188.

ვანის ქვაბების მხედრული წარწერების მიმოხილვაში ავტორი ეხება დედათა მონასტრის ჩრდილოეთის შესავლის თაღში მოთავსებულ ათსტრიქონიან წარწერას რომელიც ვეფხისტყაოსნის ორ არასრულ სტროფს წარ-

შოადგენს. ავტორის საილუსტრაციოდ მოჰყავს ამ წარწერის ცინკოგრაფიული პირი შისივე გაშიფრული ტექსტით და შენიშნავს, რომ „ეს წარწერა საინტერესოა იმ მხრივ, რომელთა ვეფხისტყაოსნის დღემდის შემონახული უძველესი ხელნაწერი ეკუთვნის XVII ს., ეს ორი ტაბი XV ს. მეორე ნახევრისა უნდა იყოს“ (გვ. 175). წარწერა ავტორის გაშიფვრით ასე იკითხება:

„ქ. ცახეს ეზი ეხო მალალსა თუ[ა]ლნი[ა] ჭ[ი]ქ შემომდება,
გზა გურაბითა შემოულენ, მცველი მაზედა დგებიან,
მაშიგან ორნი გუმაგნი[ა] ნობადსა არა დაადება,
მათსა შემგელსა დაქოცენ, ცახლურებ მოუღებ[ი]ან.
ჩემო, ნუ მოხუ[ა]ლ ჩემუდან სხუ[ა]თა მებრძოლთა წ[ე]ქითთა
ნურცა მე მომკლ[ა]ქ გირთა ამისგან უარესითა,
დამთმუთა, დავთობ გირქითა ამისგან უ[ა]რქესითა.“

2362. შოთა ძიძიგურა

ძიძიგური ქართული ლიტერატურული
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა
თბილისი, 1954, 272 გვ.

იმერული, ლეჩხუმური და რაჭული დიალექტების თავისებურებათა გარკვევისას ავტორი საილუსტრაციო მასალად იყენებს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო პარალელებს (გვ. 159, 162, 176, 236).

II თურმეობითში „ოდა“ დაბოლოების ნაცვალად „იყო“ დამხმარე ზმნის გამოყენებაზე მსჯელობისას იმერულში ავტორი უთითებს ანალოგიურ მაგალითს ვეფხისტყაოსანში: „რაცა თქვენთვის არ ვარგიყოს“ 764,1 (გვ. 162).

იმერულში „ისი“ ნაცვალსახელის არსებობასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს პარალელი ვეფხისტყაოსნიდან: „ისი დიაცი აქა ზის“... (1046,1); „რას გეჟადდა ისი კაცი“... (1073,2); „წა, ნახე ისი სპანი“... (939, 1) (გვ. 159).

ლეჩხუმურში „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელებთან „ლა-ცა“ ნაწილაკების შებრუნებით ხმარებაზე მსჯელობისას ავტორს ვეფხისტყაოსნიდან მოჰყავს ანალოგიური ფორმები: „ეინ ცალა ჰადრებს, მან ჰადროს“...; „აწ იგი იქმნას, რა ცალა ენებს ღმრთისა წადილსა“ (608,1) (გვ. 176).

რაჭულში III კავშირებითის გამოყენებაზე მსჯელობისას პირობითი წინადადების კონსტრუქციაში ავტორის საილუსტრაციო მაგალითი მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან: „აჯლაცა ეჰადრე: მე თუ, ნზეო, შენთვის ფიცი გამეტეხოს, ღმერთმან აწეე რისხეა მისი ზეცით ჩემთვის გაამეხოს“ (532) (გვ. 236).

იქვე ავტორის ვახტანგის კომენტარიებიდან „თუ“-ს გამოყენების საილუსტრაციოდ მოჰყავს ვრცელი ციტატი.

2363. В. Д. Чантурия

Педагогические идеи гуманизма Шота Руставели

წიგნში: Педагогика грузинского гуманизма XI—XII в. в.

Под редакцией члена-корреспондента Академии педагогических наук РСФСР проф. В. Я. Струмицкого и доц. М. И. Стабловышвилл, Госиздат, Батуми, 1954, 198 გვ.
ნაშრომი შეიცავს შემდეგ თავებს:

„А. Жизнерадостное свободомыслие, как методология построения руставелевских идей педагогики гуманизма.“

Б. Народный гуманизм — один из основных источников мировоззрения Руставели.

В. Оценка умственного воспитания и система образовательных наук по Руставели.

Г. Система нравственного воспитания.

Д. Идея воспитания человечности.

Е. Идея сочетания национального и общечеловеческого в процессе воспитания.

Ж. Идея воспитания чувства, воли и характера.

З. Идея воспитания дружбы и товарищества.

И. Идея всеяго-физического воспитания подрастающего поколения.

К. Идея отвошения к женскому полу и воспитание женщины.

რუსთაველსა და ვეფხისტყაოსანზე მოიპოვება ცალკეული შენიშვნები აგრეთვე წიგნის შემგომ ორ თავშიც:

8. Общее заключение.

9. Критические замечания на специальные работы проф. Г. Я. Тавэишвили.

ავტორი მიმოიხილავს რუსთაველის ეპოქის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ხასიათის ძეგლებს მათში პედაგოგიური იდეების გამოხატულების თვალსაზრისით, განსაკუთრებით ანალიზს უკეთებს რუსთაველის შემოქმედებას, მოჰყავს ვეფხისტყაოსნის ცალკეული თქმები და აფორიზმები და ცდილობს წარმოადგინოს რუსთაველის პედაგოგიურ იდეათა სისტემა, რომელიც სრულყოფილი ადამიანის აღზრდას ემსახურება. ავტორი კრიტიკულად იხილავს რუსთაველის შემოქმედების ამ მხრივ შესწავლის ცდებს და ფართოდ იყენებს არსებულ ლიტერატურას. მისი საერთო დასკვნით, რუსთაველი ამოთავრებს ქართული ჰუმანიზმის პედაგოგიურ იდეათა გაფორმებას. ის მხატვრულ ფორმაში გადმოსცემს თავის პედაგოგიურ შეხედულებებს ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საკითხებზე. რუსთაველის მიხედვით, აღზრდა-განათლების ძირითად მიზანს წარმოადგენს კაცობის აღზრდა ობიექტივაციისა, მამაკაცობისა და ადამიანურობის საფუძველზე. სრულყოფილი პიროვნება, რუსთაველის გაგებით, არის ცოდნისა, ფიზიკური განვითარებისა და მორალურ-ესთეტიკური თვისებებით აღჭურვილობის რეზულტატი. რუსთაველის ზნეობრივი აღზრდის კონცეფცია უპირისპირდება შუასაუკუნეობრივ მისტიკურ-ასკეტიკურ აღზრდას. ჯანსაღ პატრიოტულ აღზრდას ის უთავსებს საერთო საკაცობრიო იდეალებს. მასში მთავარია გრძნობის, ნებისყოფისა და ხასიათის აღზრდა. რუსთაველი ერთ-ერთი პირველთაგანი მოუწოდებს ბავშვთან ჰუმანურ დამოკიდებულებაზე.

დასასრულს ავტორი აკრიტიკებს გ. თაფეიშვილის შრომებს ვეფხისტყაოსანში პედაგოგიური იდეების გამოხატულების საკითხებთან დაკავშირებით, რისთვისაც მოჰყავს სათანადო ლიტერატურა და პოემის ცალკეული ადგილების ციტირებით აკეთებს მთელ რიგ შენიშვნებს რუსთაველის პედაგოგიური იდეალების მართებულად გაგების თვალსაზრისით.

წიგნს დართული აქვს ლიტერატურის მაჩვენებელი, სახელთა საძიებელი, და პედაგოგიურ ცნებათა მცირე ლექსიკონი.

2364. კონსტანტინე ჰეინაძე

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1954, 26 თებერვალი, № 9 (867), გვ. 3.

სარეცენზიო წერილი ეხება 1953 წელს პავლე ინგოროყვას რედაქციით გამოცემულ ვეფხისტყაოსანს. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ გამოცემაში მართალია გასწორებულია 1951 წლის გამოცემის ზოგი დამახინჯებული წაკითხვა, მაგრამ თვითონ მას ახასიათებს ტექსტის ახალი, ბევრად უფრო მძიმე დამახინჯებანი. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეხება საერთოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტის გასწორებათა საკითხს და იხილავს პავლე ინგოროყვას მიერ ტექსტში შეტანილ გასწორებებს. მისი შენიშვნით, ამ გამოცემაში მისაღებია მხოლოდ რამდენიმე გასწორება, უმეტესობა კი, მათ შორის გასწორებანი რითმებში,

მოკლებულია საფუძველს და თვითნებურია. ავტორის მოქაყავს სანიშნოდ რამდენიმე გასწორების, მაგალითი და დასასრულს აღნიშნავს; რომ პაეღე ინგოროყვა თაჲისი გამოცემისათჲის დართულ შენიშენებში იმეორებს თაჲის ძველ, მცდარ შეხედულებას, თითქოს ვახტანგს უკვლელად დაებეჭდოს მის ხელთ არსებული რომელიღაც ძველი ხელნაწერი.

2366. ზ. კუმბურიძე

მცირე შენიშენა ვეფხის-ტყაოსნის ერთი ადგილის გასწორების გამო

გაზ. ახალგაზრდა სტალინელი, თბილისი, 1954, 13 თებერვალი, № 5 (66), გვ. 4.

წერილი წარმოადგენს სარეცენზიო შენიშენებს 1953 წ. პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის ტექსტში შეტანილ რამდენიმე გასწორების შესახებ, რომელნიც პ. ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის 1951 წ. გამოცემისაგან განსხვავებით გაუკეთებია. ავტორი ზოგადად აღნიშნავს, რომ ამ გამოცემაში მოიპოვება რამდენიმე მისაღები შესწორება, მაგრამ არის „ზოგი საეკვო, ზოგი კი თვითნებური და მცთარი“.

ავტორი სანიშნოდ ჩერდება 376, 1005, 485, 1031, 404, 348 სტროფებში ცალკეულ სიტყვათა შესწორებებზე.

2366. შალვა ხილაშელი

ქუმიანის ზოგიერთი ხაჲისი ავეფხისტყაოსანში*

ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, 1954 წლის 14—15 აპრილი, საქართველოს

სსრ მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა,

თბილისი, 1954, გვ. 16—18.

შეიკავს 7 თეზისს. ავტორის აღნიშვნით, რუსთაველის დამოკიდებულება მიჯნურობისადმი ესთეტიკური და თეორიული მიმართულებით ირკვევა. ორივე შემთხვევაში სიყვარული რუსთაველს ესმის როგორც მიწიერი, მაგრამ ამაღლებული გრძნობა, რაც განსაზღვრულია მისი მთლიანი მსოფლმხედველობით. სინამდვილესთან დამოკიდებულების საჲითში რუსთაველი გაემიჯნა; ძველ ქართულ საეკლესიო მწერლობაში გაბატონებულ უარყოფით შეხედულებას ადამიანის მიწიერებაზე, მის ბუნებრივ მიღრეკილებებზე, რაც ჰუმანიზმის საწყისია და რუსთაველს თეორიის სიმალლეზე აჲყავს, როგორც სინამდვილესთან ესთეტიკური დამოკიდებულება.

2367. შ. ხილაშელი

ქუმიანის ზოგიერთი ხაჲისი ფეოდალური ხანის ქართულ მწერლობასა და

ავეფხისტყაოსანში*

კრებ. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა

აკადემია, 1954, ტ. V, გვ. 267—294.

ავტორი აღნიშნავს, რომ ფეოდალური ხანის ქართულმა აზროვნებამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს ვეფხისტყაოსანში მიაღწია, რომ შოთა ოუსთაველის მსოფლმხედველობა არის ყველაზე მოწინავე, რადიკალური და პროგრესული ყველა იმ შეხედულებათა შორის, რომლებიც წარმოიქმნა და შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების შუა საუკუნეების პირობებში. ავტორი მოკლედ მომოიხილავს ფილოსოფიური აზრის განვითარებას საქართველოში და აღნიშნავს, რომ რუსთაველის შეხედულებანი ამქვეყნიურ სინამდვილეზე და, კერძოდ, ადამიანურ გრძნობებსა და მისწრაფებებზე შემდეგი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო წინ. მისი დამოკიდებულება ადამიანური გრძნობებისადმი პრინციპულად განსხვავდება წინაპერიოდის მწერლობისაგან, რაც ელინ-

დება შემოქმედებით მეთოდსა და მის თეორიაშიც და რაც უკავშირდება მის ჰუმანიზმს. ვეფხისტყაოსანში დაძლეულია დულიზმი, რომელიც სინამდვილეს ზეციურის მხოლოდ ანარეკლად მიიჩნევდა. ბუნებას, ამქვეყნიურ სინამდვილეს. დამოუკიდებელი, თავისთავად მნიშვნელობა აქვს—ეთიკური, ესთეტიკური და ონტოლოგიური რეალობაც.

ავტორი არჩევს ვეფხისტყაოსნის მე-20, 21 და 24-ე სტროფებს მიჯნურობის შესახებ და ასკვნის, რომ რუსთაველი სიყვარულის სამ სახეობას იცნობს, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი მიაჩნია ნამდვილ მიჯნურობად, რასაც პოემაში ახორციელებს კიდევ. ავტორი იხილავს მიჯნურობის ამ სამ ფორმას და ახასიათებს რუსთაველის ამალღებული სიყვარულის გაგებას, რომელიც, მისი აზრით, თავისებური სინთეზია მიწიერი და ზეციერი, ხორციელი და სულიერი გრძნობისა, რაც რუსთაველის ჰუმანიზმს აპირობებს. რუსთაველის ჰუმანიზმის საფუძველია ღმერთის აღიარება „სავსება ყოველთა“-დ და პანთეონში, რომელიც ამქვეყნიურ სინამდვილეს იმქვეყნიურში არ გათქვეფვდა.

2568. **ოთარ ჯინორია**

ჰუმო ჰუმერტი

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1954, 16 ივლისი, № 29 (887), გვ. 4.

ავტორი ჰუმერტის მიერ ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის. სამუშაოს დამთავრებასთან დაკავშირებით მოკლედ გადმოსცემს მის ბიოგრაფიას, ეხება მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, მის მთარგმნელობით მუშაობას და განსაკუთრებით ჩერდება ჰუმერტის მიერ ვეფხისტყაოსნის გერმანულად თარგმნის ვითარებაზე. ავტორი აღნიშნავს იმ რთულ პირობებს, რომელიც ვეფხისტყაოსნის თარგმნას ახასიათებს—ვეფხისტყაოსნის ტექსტუალურათვისებას, მის მეცნიერულ შესწავლასა და პოეტურ განცდას. ავტორის აზრით, ჰუმერტი სწორად მოიქცა, რომ განოსავალ წერტილად ენის საკითხში „აირჩია გერმანული კლასიკური პოეზიის ენობრივი ფორმა“, რომ სალექსო ფორმის რიტმისა და რითმის... ორიგინალური ძღერადობისათვის მან გაბედულად სცადა შეექმნა „გერმანული შაირი“ და დაბალი და მაღალი შაირის ვარიაციის სტილისტური თავისებურების რეპროდუქცია ქალური და ვაჟური რითმების ზონაცელოებით განახორციელა.

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრიობა ყურადღებით შეხვდა ჰუმერტისეულ თარგმანს.

2569. **Hugo Huppert**

Nachwort

წიგნი: *Georgischer Wandertab, Ein Buch west-östlicher Zeitgedichte*
Verlag Volk und Welt-Berlin, 1954, გვ. 217—224.

ავტორი ქართული მწერლობის ზოგადი მიმოხილვისას, მისი ნიმუშების გერმანულ ენაზე თარგმნის საკითხთან დაკავშირებით, გაკერით ეხება ვეფხისტყაოსანსა და შოთა რუსთაველს (გვ. 221—223).

1956

2570. **ა. აბრამიშვილი**

დაიწვებული წერილი შოთა რუსთაველის შესახებ

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1955, IX, გვ. 397—400.

ავტორი ეხება 1829 წლის 21 იანვარს გაზ. „რეფილისის უწყებანის“ მე-სამე ნომერში „ლ. ა.—დ.“-ის ინიციალებით დაბეჭდილ წერილს „რამდენ“

„რუსთაველისათვის“, რომელიც „ადრინდელ ქართულ პრესაში ლიტერატურულ თემებზე გამოქვეყნებულ ერთადერთ წერილად“ მიიჩნია. ავტორი მოკლედ იხილავს წერილის შინაარსს და აფასებს მის მნიშვნელობას სხვა ლიტერატურულ ცნობებთან მიმართებით. დასასრულს მოჰყავს „რამე რუსთაველისათვის“ სრული ტექსტი (გვ. 398, იხ. ანოტაცია № 10).

„რამე რუსთაველისათვის“ ავტორობის საკითხს ა. აბაშიშვილი გაეკრიტ შევხო სტატიაში „ტფილისის ვედომოსტები“ („ტფილისის უწყებანი“), კრებ. „ბიბლიოგრაფიის მოამბე“, საქართველოს სსრ სახალმწიფო წიგნის პალატა, თბილისი, 1948, № 4—5, გვ. 237—261; ავტორს ამ სტატიაში მოჰყავს „რამე რუსთაველისათვის“ მოკლე შინაარსი (გვ. 246—248) და განმარტავს ახრს, რომ ფსევდონიმი „ლ. ა.—დ.“ ენის მიხედვით უნდა ეკუთვნოდეს ალექსანდრე დოდაშვილს (გვ. 246).

2371. ალ. ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემა

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1955, ტ. IX, გვ. 455—474.

ნარკვევი წარმოადგენს 1953 წელს პავლე ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ვეფხისტყაოსნის ირგვლივ გამართული დისკუსიის ერთგვარად შემავსებელ წერილს, რომელშიაც ავტორი მოკლედ ეხება დისკუსიის მსვლელობას არსებული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვით და დისკუსიაში აღძრული ძირითადი საკითხების განხილვით. ავტორი არკვევს ვეფხისტყაოსნის საიუბილეო 1937 წლის გამოცემის ტექსტთან მიმართებით 1951 და 1953 წლების გამოცემათა ტექსტის რაობას, მათ თავისებურებას, წაკითხვათა განსხვავებასა და მართებულება-საფუძვლიანობას, საერთოდ ვეფხისტყაოსნის ტექსტის შესწავლის ძირითადი ამოცანების თვალსაზრისით. ავტორი კრიტიკულად იხილავს პავლე ინგოროყვას მიერ ვეფხისტყაოსნის 1953 წლის გამოცემის ტექსტში შეტანილ გასწორებებს და სათანადო ანალიზით, შედარებითი შესწავლითა და ციტაციით ცდილობს ნათელჰყოს მათგან უმეტესობის უსაფუძვლობა ტექსტის გაგების თვალსაზრისით.

ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემას უერ კიდევ სერიოზული გასწორება სჭირდება არა მარტო რედაქციული წაკითხვების მხრივ, არამედ სტროფული შემადგენლობის მხრივაც. მასში გაპარულია ზოგიერთი აუცილებლად არარუსთველური სტროფი (მაგალითისათვის ასახელებს 835-ე სტროფს). საჭიროა მომზადდეს შესაფერისი აპარატი შემკული ვეფხისტყაოსნის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი.

2873. А. Г. Барамидзе, Ш. В. Хидашели

Руставели Шота

Большая Советская Энциклопедия, Второе издание, 1955, т. 37, стр. 482—483.

სტატია შეიცავს რუსთაველის შემოქმედების ზოგად დახასიათებას. დასაწყისში მოკლედ აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის დაწერის შესაძლებელი თარიღი, მისი დიდი მნიშვნელობა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის და დახასიათებულია მისი მთავარი მოტივები და იდეალები ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებით, მისი ესთეტიკური შეხედულებანი და მის პოემაში დახატული სოციალური ურთიერთობა.

დასასრულს, აღნიშნულია რუსთაველის პოეტური მეტყველების თავისებურებანი, მოკლედ მიმოხილულია პოემის მთავარი თარგმანები უცხო ენებზე და მითითებულია ძირითადი ლიტერატურა რუსულ-ქართულ ენებზე.

2373. მ. ბაქრაძე

ლუი არაგონი ქართული ლიტერატურის შესახებ

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1955, 8 ივლისი, № 27 (937), გვ. 4.

ავტორი საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მოკლედ ახასიათებს მის მონაწილე ფრანგი მწერლის ლუი არაგონის ნარკვევებს ქართული მწერლობის შესახებ და განსაკუთრებით ეხება ნარკვევის „ქართული სიმღერის“ ქვეთავებს: „ვეფხისტყაოსანი“, „რუსთაველის აქტუალობა“, „რუსთაველიდან გურამიშვილამდე“. ავტორის შენიშვნით, არაგონი კარგად გაეცნო ვეფხისტყაოსანს, მან გააჩინა დაბალი და მაღალი შაირი, გაცემაში მოვიდა ალიტერაციით, ენის სილამაზითა და პარამონიით, მეტაფორათა სიუხვით. ავტორის გადმოცემით, არაგონის ნარკვევი აღნიშნულია, რომ:

„ვეფხისტყაოსანი თავისუფალია ყოველგვარი მისტიციზმისაგან და, აღორძინების ხანის პოეზიის მსგავსად, ქრისტიანულ რწმენაზე მაღლა სდგას. პოემა დაიწერა ჯვაროსნული დაშტრობის ხანაში. მასში კი იერუსალიმი ერთზედაც არ არის ნახსენები“. „რუსთაველის პოემა ახალი სიბრძნის საგანძურია, არა მარტო უდიდესი ეპოპეა, არამედ საუწუხ დღემდე ცოცხალი აზრებისა და ამასთან ერთად ქართული პოეტური ფორმის შედევრი...“

2374. დემეტრი ბენაშვილი

წერილი რედაქციის მიმართ

ჟურნ. მნათობი, 1955, № 12, გვ. 188—192.

წერილი წარმოადგენს შენიშვნებს გ. მარგველაშვილის მიერ ჟურნ. „მნათობში“ (1955, № 8, გვ. 178—180) დაბეჭდილი რეცენზიის გამო „წიგნი-ვეფხისტყაოსანზე“.

ავტორი აღნიშნავს, რომ გ. მარგველაშვილს „ობიექტური; მიუდგომელი განხილვის ნაცვლად მიზნად დაუსახავს შრომის გალანძლევა“. ის „დღემლით უვლის გვერდს ვეფხისტყაოსანის პრობლემატიკას“, არ იცნობს რუსთაველოლოგიას, რომლის გარეშე შეუძლებელია აღძრული საკითხების განხილვა, იხილავს არა ძირითად, არამედ დამხმარე საკითხებს და ამჟღავნებს სურვილს სარეცენზიო-წიგნში გამოთქმული აზრი გაიგოს არა ისე, როგორც ის არის, არამედ უკუღმართად. ამასთან ერთად, ავტორის შენიშვნით, გ. მარგველაშვილის ციტირებული ადგილები მოჰყავს არა ზუსტად, რომლებშიც თვითნებურად ამოგდებული ან ჩამატებულია სიტყვები და შეცვლილია ფრაზები. მარგველაშვილი ავტორს აწერს ისეთ აზრს, რომლის კვალიც შრომაში არ მოიპოვება.

ავტორი ამ შენიშვნების მიხედვით იხილავს მარგველაშვილის რეცენზიაში გამოთქმულ მოსაზრებებს და იძლევა აღძრული საკითხების ანალიზს ფართო-ციტატების მოსახილველად და განმარტებით. ავტორი იხილავს რამდენიმე თეორიულ საკითხს იმის საილუსტრაციოდ, თუ გ. მარგველაშვილი როგორ აყალიბებს რეცენზიაში ბენაშვილის აზრებს სიტყვების შეცვლითა და გამოტოვებით.

2375. ლ. ბიწაძე

მიმღობითი წარმოება „ვეფხისტყაოსანში“

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7.VI—14. IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 129—130.

ავტორი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მიმღობათა საწარმოებლად გამოყენებულია იგივე აფიქსები, რაც ახალ ქართულშიც გვაქვს. მიმღობათა მეტი წილი ისეა ნაწარმოები, როგორც თანამედროვე ქართულში, მაგრამ ვხვდებით თავისებურებებსაც“. თეზისებში ავტორი უთითებს ამ თავისებურებებს, ანალიზს უკეთებს მათ და მოჰყავს სათანადო ნიმუშები

2376. ლ. გელენძიძე

გაუზიარების წარმოებისათვის „ვეფხისტყაოსანში“
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7.VI—14. VI, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა
თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 128—129.

ავტორი უთითებს შუალოებითი გზის საწარმოებელ სუფიქსებს ვეფხისტყაოსანში (გვ. 128—129).

2377. მ. გუგუშვილი

„ვეფხისტყაოსანის“ პროლოგის რამდენიმე ადგილის წაკითხვისათვის

(ბ. ინგოროყვას მიერ 1953 წლის გამოცემაში შეტანილი გასწორებების შესახებ)

ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა VI სამეცნიერო კონფერენცია 1955 წლის 25—
29 აპრილს, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემია, თბილისი, 1955, 208 გვ.

ავტორი იხილავს პაულე ინგოროყვას მიერ 1953 წელს გამოცემულ ვეფხისტყაოსანის ტექსტში შეტანილ რამდენიმე გასწორებას პოემის საიუბილეო ტექსტთან მიმართებით და ასკვნის, რომ: „ინგოროყვას მიერ პროლოგში შეტანილი არც ერთი გასწორება არ არის მართებული. პროლოგის ეს ადგილები უნდა დარჩეს ისე, როგორც არის დაბეჭდილი 1551 წლის გამოცემაში“ (გვ. 28—29).

2378. თ. დოლაბერიძე

ნაშრომი ხასისა და ხასიათის პრობლემაზე „ვეფხისტყაოსანში“

ფუნ. კომუნისტური აღზრდისათვის, 1955, მარტი, № 3, გვ. 89—92.

ავტორი იხილავს დ. ბენაშვილის ნაშრომს „ხასისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“. ავტორის საერთო შეფასებით, „ნაშრომში მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის შუქზე გარკვეულია „ვეფხისტყაოსანში“ ხასისა და ხასიათის პრობლემები და მათთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური და სპეციფიკური საკითხები“. ავტორი წიგნს იხილავს ცალკეულ გამოყოფილებათა მიხედვით და ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქვამს შენიშვნებს. ავტორის აზრით, დასაზუსტებელია ხასიათისა და ლიტერატურული ტიპის ცნებათა განმარტება. მასში უგულებელყოფილია პერსონაჟის გარეგნული მხარე (გვ. 90), არასრულია მოსაზრება თითქოს „ხასიათის, სულის შეგნება მხოლოდ მხატვრული სიტყვის მეშვეობით შეიძლებოდეს“ (იქვე). ავტორს არასწორად მიაჩნია ცნება „ინდური და არაბული ტიპი“. მისი შენიშვნით, „საქირო იყო უფრო გამახვილებულიყო ყურადღება ხასიათების ანალიზის დროს პერსონაჟთა ხასიათების ინდივიდუალურ ფსიქო-ფიზიკურ თვისებებზე“ (იქვე). „მეტ დავას იწვევს ფატმანის დახასიათება“, უპირველეს ყოვლისა კი გამოთქმა „ფატმანის უხასიათო ხასიათი“ (გვ. 91), მიუხედავად იმისა, რომ ბენაშვილი თვით ფატმანის ხასიათის კარგ ანალიზს იძლევა“ (გვ. 92). დასასრულ, ავტორის შენიშვნით, სათანადო ყურადღება უნდა მიექცოდეს „პერსონაჟთა ენას და ავტორის ენას“ და „მოსწავლე ახალგაზრდობაზე პოემის ხასიათების ზეგავლენის საკითხს“ (იქვე).

2379. შაშია ებრაელიძე

გალაქტიონ ტაბიძე და ძველი ქართული პოეზია

ფუნ. მნათობი, 1955, № 9, გვ. 168—176.

ავტორი ძველ ქართულ პოეზიასთან გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედების მიმართებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ ის „ღიმილ პოეტური სიტოზით და ოსტატობით ძერწავს რუსთაველის სახეს, ამასთან ერთად იძლევა მისი

პოემის უბადლო ღირსებათა მოხდენილ სახეს“ (გვ. 168), „შთამავაგონებლად წარმოსახავს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის უკუდავ სახეს“ (იქვე). ავტორის შენიშვნით, „გალაქტიონ ტაბიძის პოეტური სიახლოვე და ნათესაობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორთან თავისი სპეციფიური სახით საძიებელია არა მარტო იდეურ-შინაარსობრივ თუ თემატიკურ სფეროში, არამედ ფორმის დარგშიც“ (გვ. 169). „გალაქტიონ ტაბიძის ნაწარმოებებში გვხვდება ენობრივი მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელი იყო ვეფხისტყაოსნისათვის“ (გვ. 169). ავტორს ამ მოსაზრებათა საილუსტრაციოდ მოჰყავს ნიმუშები ცალკეული სიტყვებისა, ლექსიკური ფორმებისა, პარალელიზმებისა, რუსთველური ხერხების გამოყენებისა ტაბიძის შემოქმედებაში, როგორც ვეფხისტყაოსნის შემოქმედებითი გავლენის საინტერესო ნიმუშები.

2880. ლ. ენუქიძე

თანდებულთა ხმარება „ვეფხისტყაოსანში“

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7. IV—14. IV, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 130—131.

ავტორი ჩამოთვლის ვეფხისტყაოსანში ხმარებულ თანდებულებს და იხილავს ამ თანდებულთა ხმარების მხრივ ალსანიშნავ მოვლენებს.

2881. მ. თოღუა

რუსთველის პორტრეტის ერთი დეტალის გამო

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1955, 26 მარტი, № 37 (5985), გვ. 4.

ავტორი ეხება რუსთაველის პორტრეტის წარმოშობის საკითხს პოეტის ქუდზე ბატის ფრთის გამოსახულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, მოკლედ იხილავს არსებულ შეხედულებებს, განსაკუთრებით პ. ინგოროყვას მოსაზრებას და ისტორიულ მოწმობათა და ლიტერატურულ მითითებათა გათვალისწინების შედეგად ასკვნის, რომ რუსთაველის ქუდზე ბატის ფრთა არ უნდა იყოს, იგი გაუგებრობის შედეგია: „რუსთაველს აქვს ჩვეულებრივი, ბეწვით დათბილული, მაღალი, კონუსისებური წოწოლა ქუდი, ყოველგვარი ბატის ფრთის გარეშე“.

2882. ლოცენტი აკ. თოფურია

რამდენიმე შენიშვნა მნიშვნელოვან თეორიულ საკითხზე

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1955, 19 ნოემბერი, № 139 (6087), გვ. 3.

ავტორი ლიტერატურის თეორიისა და მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საერთო საკითხების თვალსაზრისით ეხება დ. ბენაშვილის ნაშრომს „სახისა და ხასიათის პრობლემა“ ვეფხისტყაოსანში“. ავტორის შენიშვნით, ბენაშვილის ნაშრომში „ნათლად ჩანს ავტორის მისწრაფება მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის მომარჯვებით ცხადყოფს „ვეფხისტყაოსანში“ გატარებული საეკობრივ-პუმანური იდეების ორგანული კავშირი თანამედროვეობის სადღესიო ამოცანებთან. ავტორი კონკრეტული ფაქტებით ნათლყოფს, თუ რა ანიჭებს რუსთაველის ქმნილებას ესოდენ მომჯადოებელ და მომხიბველ ძალას, რით ინარჩუნებს იგი დღესაც, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „განსაზღვრულის მხრივ ნორმისა და მიუწევდომელი ნიმუშის მნიშვნელობას“, „ტექსტზე დაყრდნობით ავტორი იძლევა თვითნებური მთავარი პერსონაჟის ვრცელსა და თანამიმდევრულ დახასიათებას“. ამასთან ერთად, ავტორი აღნიშნავს, რომ ნაშრომი დაზღვეული არ არის ნაკლოვანებებისაგან, რომელნიც „უმთავრესად თავს იჩენენ ლიტერატურის ზოგად თეორიულ სა-

კითხვებზე მსჯელობის დროს“. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი იხილავს სამს: 1. სახისა და ხასიათის ცნების განსაზღვრა. 2. მხატვრული ფორმის შესახებ. 3. მშენებარების არსის გაგების შესახებ. ავტორი კრიტიკულად იხილავს ბენაშვილის ნაშრომში ამ საკითხთან დაკავშირებულ მოპყავეს სათანადო ციტატა და მათ საპირისპიროდ აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს.

2383. გ. იმედაშვილი

ვახუშტის-ნამუს ქართული ვერსია ამირნასარიანი

კრებ. ლიტერატურული ძეგლები, 1955, ტ. IX, გვ. 325—375.

ავტორი ამირნასარიანის ვახტანგისეული თარგმანის დახასიათებისას შენიშნავს, რომ მასში არსებული აფორიზმები:

„მაჲ უყადე — ან მოჲყდე და ან სახელი ჰქმნა“

„სოტას მიცემით ზური დაგარება“

შთაგონებული უნდა იყოს ვეფხისტყაოსნის შემდეგი აფორიზმებით:

„სჯობს სოცხლებსა ნაზახსა სიყდილი სახელოვანი“

„რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“.

2384. კ. იმედაშვილი

რუსთველური ლექსის წინამორბედი X—XI საუკუნის ქართულ მწერლობაში სტრუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 7. VI—14. VI, მუშაობის აგება და მოხსენებათ თეზისები, თბილისი, 1955, 182 გვ.

ავტორი ეხება შირის საზომის წარმოშობა-განვითარებას, უთითებს მის შესაძლებელ საწყისებს, ზოგადად ახასიათებს მას და ასკენის, რომ „შირის საზომი უპირატესად სრულყოფას აღწევს რუსთაველის შემოქმედებაში. რუსთაველმა ამ საზომს დიდი გამომსახველობითი ძალა შესძინა; მან შეიმუშავა შირის ვარიანტები, რომელიც თბილისის ტემპის ცვალებადობას დაუკავშირა და ფორმისა და შინაარსის ერთიანობით უდიდესი ესთეტიკური ძალის მქონე პოემა შექმნა“ (გვ. 104).

2385. ა. კახრაძე

[ბიბლიოგრაფია შოთა რუსთაველზე]

წიგნში: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემებისა და კრებულების სტატიების მაჩვენებელი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თბილისი, 1955, 196 გვ.

შეიცავს შოთა რუსთაველისა და ვეფხისტყაოსნის ცალკეულ საკითხებზე პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში მოთავსებული ნაშრომების ბიბლიოგრაფიას ავტორთა მიხედვით შემდეგ გვერდებზე: 48, 50, 70—72, 74—78, 82, 85.

2386. კ. კეკელიძე

ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1955, III, 333 გვ.

ავტორი ქართული მწერლობის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით ფაქტობრივ ეხება ვეფხისტყაოსანსა და რუსთაველს შემდეგ გვერდებზე: 23, 28, 30, 32, 61, 63, 64, 132, 134, 136, 146, 153.

ავტორი „ქართლის ცხოვრების“ „ბაპაროს და ნაეზი“-ს სახელთა ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას შენიშნავს: „ნ. მარი ფიქრობდა, რომ აქ ჩვენ გვაქვს სახელი ვეფხისტყაოსნის პერსონაჟებისა: ტარიელის (ბაპაროს — შარიაროს—

ტარიელ) და ნესტანდარეჯანისა (ნავაზ-ოსნაოზ-ჰუსანათ-nestandardedahan—ნესტანდარეჯან) (გვ. 23).

წერილში „კომენტარები «თამარიანის» ზოგიერთი ტაეპისა“ ავტორი „ოსანოს“-ზე მსჯელობისას იხსენიებს მარის ეტიმოლოგიას და შენიშნავს, რომ „ნ. მარმა თამარიანში აღმოაჩინა ვეფხისტყაოსნის თითქოს მთავარი პერსონაჟების სახელები. თუ ეს მოსაზრება გამართლებოდა, ჩვენ გვექნებოდა ყველაზე ძველი ცნობა ვეფხისტყაოსნის შესახებ. ამდენხან ამგვარ ცნობად ითვლებოდა ვაჰანის ქვაბების ერთერთი ეკლესიის კედელზე შეთეთბმეტე საუკუნის მეორე ნახევრის მხედრული ხელით წარწერილი ნაწყვეტი ნესტანის წერილისა ტარიელისადმი ქაჯეთის ციხიდან“ და მოჰყავს ვ. ცისკარიშვილის ნაშრომიდან „წარწერები ასპინძის რაიონიდან“ (მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 30, 1954, გვ. 175) ვეფხისტყაოსნის სტროფები 1300—1301 ვაჰანის ქვაბების წაითხვით (გვ. 28—29).

ავტორის დასკვნით, „თამარიანის «ოსანოს» არ აღნიშნავს არც ვეფხისტყაოსნის (ტარიელი-ნესტანი, უსენ, როსან), არც შაჰნამეს (ოსნაოზ), არც სხვა რომელიმე კონკრეტული თხზულების პერსონაჟს“ (გვ. 32).

ავტორი წერილში «Грузинское возрождение» რუსთაველის ეპოქაში ქართული ჰუმანიზმის მოვლინების საკითხზე მსჯელობისას აღნიშნავს:

„Высота культурного развития, на которую поднялась Грузия в „классическую“ эпоху, способствовала в особенности зарождению и расцвету светской, высокогуманистической и художественной поэзии; эта поэзия завершила свое яшла в бессмертной поэме Руставели „Витязь в тигровой шкуре“. Будучи порождением закономерного развития всей предшествующей грузинской культуры, возникшая на чисто национальной, народно-вольной почве, воплощенная в звучных стихах народного происхождения, известных под именем „шапри“, эта поэма, реалистическим воспроизведением жизни, проповедью о правах человеческого разума и земных человеческих потребностей, является апогеем красоты и любви в земных ее формах, дружбы до самопожертвования, мужества и храбрости, равенности мужчин и женщин, беспридельной и бескорыстной преданности родине и близким. Руставели на несколько столетий раньше деятелей эпохи европейского Возрождения с большой силой и широтой выразил гуманистические идеи, родившие его с лучшими представителями западно-европейского Ренессанса. Гуманизмом пропитаны его политические и социальные воззрения, он безусловно чужд тонкостей схоластики, он более свободен от церковной догматики и мистики, чем завещавший после него в Европе Данте; героев Руставели более земные, плотские существа, чем бескровные фигуры „Божественной Комедии“ (გვ. 63—64).

წერილში „მცირე კანონი“ იოანე ზოსიმესი“ ავტორი სიტყვა „აღვსება“-ს მნიშვნელობის გაგებაზე პროფ. ა. შანიძესთან კამათში აღნიშნავს, რომ „ძველს ქართულ პასქალიებში (იოანე-ზოსიმესი, აბუსერიძე ტბელისა, ვახუშტი ბატონიშვილისა) მთვარის აღვსება აღინიშნება ტერმინით «მცხრალი», რაც დღეს და წინათაც, გარკვეული დროიდან, მგავალითად ვეფხისტყაოსანშია, ნიშნავს ვაგისოდ მთვარის დაკლებას, გალეულ მთვარეს“ (გვ. 132). ავტორის დასკვნით, „ტერმინი „აღვსება“ ქართულ სინამდვილეში გადმონაშთია უძველესი, პირველყოფილი ქრისტიანული პრაქტიკისა, ამდენად დიდიამისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა“ (გვ. 133).

ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ არ შეიძლება გმირის გახვიადებული თვისებები ფალსიფიკაციად მივიჩნიოთ, ისინი ჰიპერბოლას წარმოადგენენ უამისოდ „ფალსიფიკაციად უნდა ჩავთვალოთ, ვეფხისტყაოსანიც, რადგანაც, ტარიელი ამბობს თავის თავზე:

ხუთისა წლისა შევიქნ მსგავსი ვარდისა შლილისა... (გვ. 153).

2387. ვიქტორ კერნახი

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობისას
თარგმანი ლ. თეთრაძისა

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1955, 4 თებერვალი, № 5 (915), გვ. 1.

ავტორი აღნიშნავს, რომ ის ნახევარი წელია, რაც მუშაობს ვეფხისტყაოსნის რუმინულ ენაზე სათარგმნელად და ამასთან დაკავშირებით ეხება თარგმნის პირობებს, მისი დაწყების ისტორიას, განსაკუთრებით ჩერდება ვეფხისტყაოსნის საზომისათვის რუმინულ ენაზე შესაფერი ლექსის შონახვის საკითხზე და ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს.

2388. ე. კლიშიაშვილი

ა. წერეთელა და ი. ჭავჭავაძე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

სტუდენტთა საბუნებისმეტყველო კონფერენცია, 7. VI—14. VI, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 111.

ავტორი ზოგადად მიმოიხილავს ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსებს ვეფხისტყაოსნის შესწავლისა და ტექსტის დადგენის საქმეში.

2389. მ. მანათაძე

ვასტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთაველმეცნიერობის ერთი ხაიოსის გაშუქებაში
კრებ. ქუთაისის ქედაგოგური ინსტიტუტის შრომები,
ჭუთაისი, 1955, XIV, გვ. 103—136.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ორიგინალური წარმოშობილობისა და სპარსულიდან ნასესხობის შესახებ აღორძინების ხანის ქართულ მწერლობაში გამოთქმულ შეხედულებებს, მათ კომენტირებას თანამედროვე რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ვეფხისტყაოსნის ქართული წარმოშობის თეორია ვახტანგს კი არ ეკუთვნის, არამედ ის მხოლოდ მანამდე არსებული და კარგად ცნობილი შეხედულების—ვეფხისტყაოსნის ეროვნული, ქართული წარმოშობის თვალსაზრისი დამადასტურებელია; ის ნოვატორი არ არის ამ საკითხის არც აღქერაში, რადგან აღორძინების ხანაში არც ვახტანგამდე და არც მის შემდეგ სხვანაირი თვალსაზრისი არც არსებობდა და მცდარია შეხედულება, თითქოს, „ვეფხისტყაოსნის ქართულ-ეროვნულ ნაწარმოებად გამოცხადება ვახტანგს (თუ არჩილს და ვახტანგს) უნდა მიეაწეროთ“. ავტორის აღნიშვნით:

„ვახტანგს (ან არჩილს) ვერაუთარ ნოვატორობას ვერ მივაწერთ პოემის ვეფხისტყაოსნის საკითხის გაშუქებაში. ვახტანგი მხოლოდ კონსტატაციას აძლენს იმ ერთადერთი შეხედულებისას. პოემის წმინდა ქართული წარმოშობის შესახებ, რომელიც მტკიცედ იყო ფერმოყიდებული ჩვენში, აშკარაა, თითო პოემის წარმოშობის დღიდან. აღორძინების ეპოქის სალიტერატურო-მწიგნობრულ წრეებს კი მხოლოდ ისლა დარჩენოდათ, რომ პირადად დაეცვათ და გადმოეცათ წინამძღუდი ეპოქის თვალსაზრისი. აღორძინებამ ეს ამოცანა შეასრულა. სწორედ ეს მისი თვალსაზრისი გაიმეორა და დაასაბუთა ვახტანგმა, რათა სტრაფს „ესე ამბავი“ დაბნეულობა არ გამოეწვია მომავალ თაობათა შეხედულებებში, და ამითვე განისაზღვრება მისი როლი საკითხის განვითარებაში“ (გვ. 134).

ნაშრომის ბოლოში ერთევის რეზიუმე რუსულად, სათაურით: «Отношение романа Вахтанга VI в освещении одного вопроса Руставеливедения» (გვ. 136).

2390. გ. მარკველაშვილი

წიგნი „ვეფხისტყაოსანზე“

თურნ. მნათობნი, 1955 № 8, გვ. 178—180.

სარეცენზიო სტატია წარმოადგენს ლ. ბენაშვილის წიგნის „სახისა და ხასიათის პრობლემა ვეფხისტყაოსანში“ განხილვას. ავტორის შენიშვნით, წიგნში „შეიძლება განვასხვავოთ ორი ნაწილი—საერთო თეორიული მსჯე-

ლობა და დებულებები სახის, ხასიათის, ტიპის, მშვენიერის, ფორმისა და შინაარსის, მხატვრული ენისა და სტილის შესახებ და „ვეფხისტყაოსნის“ ხასიათების, სიუჟეტის, იდეური პრობლემატიკის კონკრეტული ანალიზი“: ავტორი აღნიშნავს, რომ დ. ბენაშვილმა „თუ წიგნის კონკრეტულ ნაწილში ასე თუ ისე შესძლო მთელი რიგი საკითხების გაშუქება... თეორიული ნაწილი, სამწუხაროდ, ძალიან დაბალ დონეზე დგას“. ამასთან დაკავშირებით, ავტორი აკეთებს ბენაშვილის ნაშრომის მიმართ რამდენიმე შენიშვნას. ავტორი უარყოფს ბენაშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „ხასიათები არსებობდნენ მხოლოდ ჰომეროსიდან შექსპირამდე, ხოლო ტიპები კი მხოლოდ შექსპირის შემდეგ“. ავტორი ეკამათება ბენაშვილს ხასიათისა და ტიპის გაებაში, მხატვრობის „ძირითადი პირობის“ განსაზღვრაში, მშვენიერის განმარტებაში. დასასრულს ავტორს მოჰყავს ბენაშვილის წიგნიდან ამონაწერები შეუსაბამობათა, წინააღმდეგობებისა, აზრობრივი არასიზუსტისა, ყალბი პარალელებისა და სტილის ბუნდოვანობის საილუსტრაციოდ.

2391. გიორგი ნადირაძე

ხელოვნების ზოგიერთი საკითხი რუსთაველის ესთეტიკაში
ჟურნ. საბჭოთა ხელოვნება, 1955, № 3, გვ. 17—24.

ავტორი მიხედობს ვეფხისტყაოსანში მხატვრული წარმოების ნივთების აღწერის ცდილობს დაადგინოს ხელოვნების ზოგიერთი ძირითადი პრინციპი რუსთაველის ესთეტიკაში. ასეთ ნივთებად ავტორი უთითებს ძვირფას ავეჯეულობას, სამეფო ტახტებს, გვირგვინებს, სკიპტრებს, ჭურჭლეულობას, ოქროს, იაგუნდის, ფირუზის, ლალის და სათის რუბებს, ჯამებს, ქიქებს, ოქროს გობებს, ცხენის მოსართავეებს, ლაგამ-აბჯარ-უნაგირებს, მოკედელ მძივებს, ოქრო მოქარგულ ტანისამოსს, ყაბაჩებს, ჯუბაჩებს, ჩიდეებს, სარტყლებს, ბეჭდებს, სხვადასხვა სახის ლარს, სტაერას, რომელთაც იშვიათი სილამაზის ბეჭედი აზით. ავტორი ამ ნივთების აღწერილობას ვეფხისტყაოსანში უკავშირებს XI—XII საუკუნეთა ქართული ფეოდალური საზოგადოების სიმდიდრესა და ხელოვნებას. მისი შენიშვნით, საინტერესოა არა იმდენად თავისთავად ეს ნივთები, რამდენადაც რუსთაველის შეხედულება ამ ნივთებზე. მათი აღწერისას რუსთაველს ამოძრავებს ესთეტიური ინტერესი: რუსთაველი იღიღინებდა ემოციური გამომსახველობით აგვიწერს ხელოვნების ნაწარმოებთა ფორმის სილამაზეს და იმ ესთეტიურ განცდებს, რომელთაც მათი აღქმა იწვევს. ხელოვნების ნაწარმოებთა აღწერა ყოველთვის დაკავშირებულია ამავე პოემის გმირებთან. რუსთაველის ფილოსოფიური და ეთიკური მსოფლმხედველობის ცენტრი არის ადამიანი. მის ესთეტიკურ კონცეპციას აშკარად გამოხატული ანტროპოცენტრული მიმართება ახასიათებს.

ავტორს თავის მოსაზრებათა დასასაბუთებლად საილუსტრაციოდ უხვად მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან ცალკეული სტროფები, თქმები, ადგილები და ანალიზს უკეთებს მათ. მისი შენიშვნით, „რუსთაველი იყრ ძვირფასი ქვების უღიღინებელ მორტრფიან და მომღერალ მსოფლიო პოეზიაში“. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ძვირფასი ქვების გამოყენებას რუსთაველის პოეტურ თქმებში. ავტორის აზრით, „რუსთაველის პოემაში მხატვრული წარმოების ნივთები და ძვირფასი ქვები არასოდეს არ გამოდიან განყენებული ფენომენების სახით“. რუსთაველისათვის არაფერი არ შეიძლება იყოს მშვენიერი ადამიანთან მიმართების გარეშე. რუსთაველი ყოველი საგნის სილამაზეს ადამიანის მშვენიერებას უკავშირებს, ადამიანის თვალსაზრისით განსაზღვრავს და ზომავს.

2322. გიორგი ნადირაძე

ვარდის სიმბოლიკა «ვეფხისტყაოსანში»

გახ. ლიტერატურული გახეტი, 1955, 1 პერილი, № 13 (923), გვ. 3-4.

ავტორი იხილავს ვარდის სიმბოლიკის გამოხატულებას მსოფლიო პოეზიაში, მისი განვითარების მთავარი საფეხურების გათვალისწინებით და აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყველაზე უკმნიან უძველესებს პოეტურ სამკაულებს. მათ შორის ესთეტიკური პრიორიტეტი ეკუთვნის ვარდს. ავტორი კრიტიკულად მიმოიხილავს ვეფხისტყაოსანში მცენარეების, პატიოსანი თვლებისა და ასტრალური ფენომენების გამოყენების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს და აღნიშნავს, რომ მათი გამოყენება „ორგანიულად არის შეხამებული პოემის მთლიან მხატვრულ არქიტექტონიკასთან და მას დაკისრებული აქვს მხოლოდ ერთადერთი ესთეტიკური ფუნქცია: პლასტიკურად და ლამაზად გამოხატოს მისი შინაარსი, იდეები და ემოციები“. ავტორის ცდაა ეს დაასაბუთოს ვარდის მაგალითზე. ავტორის შენიშვნით, „მთელი ეს ესთეტიკური მასალა მოპოვებულია არა ლიტერატურული გზით, არამედ რეალური აღქმით და განცდით“ და სწორედ ამიტომ, რომ, მაგ., ვეფხისტყაოსანი არ იცნობს სუბულს, იმით რომ ის ქართული ბალისათვის არ ყოფილა ის, რაც იყო ირანულისათვის. „რუსთაველის ბაღში ხარისებენ მხოლოდ ქართული მცენარეები, ქართული ყვავილები“. რუსთაველის მეტყველებაში „მხატვრულ სახეს საესებით რეალური მნიშვნელობა აქვს“.

ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს ვარდის კულტურის გავრცელებას საქართველოში ქართული წყაროების მიხედვით და მოჰყავს რუსთაველის თქმები, რომლებშიც გამოხატულება უპოვნია ვარდის გავრცელების მაღალ დონეს. ავტორის აზრით, ქართულ მწერლობაში ვარდის სიმბოლიკა შევიდა ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან. ის დამახასიათებელია კლასიკური ხანის სხვა ძეგლებისთვისაც, მაგრამ ვეფხისტყაოსანი ვარდის სიმბოლიკის თვალსაზრისით „სრულიად უნიკალური ნაწარმოებია მსოფლიო მასშტაბით“. „ვეფხისტყაოსანში“ კონცენტრირებულია ვარდის სიმბოლიკის ყველა ის სახეობა, რომლებიც უკავშირდებიან სიციცხლეს, ამქვეყნიურ სიხარულს და სიტკბოებას“. რუსთაველმა ვარდის სიმბოლოს „დააკისრა თავისი მაღალი იდეებისა და ემოციების გამოხატვა. ვარდში ამ მინიატურულ ესთეტიკურ ფენომენში ასახულია რუსთაველის მსოფლმხედველობა...“ რუსთაველის თქმებით „გაჩნდა პოეზიაში ახალი მხატვრული სახე—ვარდი როგორც ამქვეყნიური ცხოვრების მარადიულობის სიმბოლო“.

ავტორი ვარდის სიმბოლიკასთან დაკავშირებით ეხება ქართული რენესანსის საკითხებს, იხილავს სხვადასხვა მოტივების გამოხატულებას ვარდის სიმბოლოს მეშვეობით და მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო საილუსტრაციო მასალა თავის დებულებათა დასაბუთებისათვის.

2323. გიორგი ნადირაძე

„ვეფხისტყაოსნის“ გერმანული თარგმანი

გერმ. მნათობი, 1955, № 7, გვ. 131-135.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის გერმანულ ენაზე თარგმნის ვითარებას და ეხება ჰუგო ჰუპერტის მუშაობას ახალი პოეტური თარგმანის შესაქმნელად. ამ თარგმანის პირველი განხილვა ავტორის საფუძველს აძლევს განაცხადს, რომ „ჰუპერტის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ საესებით აკმაყოფილებს შემოქმედებითი თარგმანის ძირეულ მოთხოვნებს“

(გვ. 132). ავტორი აღნიშნავს ქართული შიარის საზომის გერმანულ ლექსში გადატანის სიმწიფეს და მიაჩნია, რომ „ჰუპერტის დამსახურებაა „ვეფხისტყაოსნის ერთრიტმიანი კატრენის შენარჩუნება გერმანულ თარგმანში“ (გვ. 132). ავტორს სანიმუშოდ მოჰყავს თარგმანის ცალკეული სტროფები ორიგინალის ტექსტთან შესადარებლად და შენიშნავს, რომ „მეტრის, რიტმის და სტროფიკის მხრივ ჰუპერტი საესებით სწორად სწვევტს ამოცანას“ (გვ. 133). მასში შენარჩუნებულია რუსთაველის მეტაფორული სტილი, არქაული ლექსიკის ელემენტები და პოეტური ფიგურები. ავტორის დასკვნით:

„ზგო ჰუპერტის ნაშრომი საესებით აკმაყოფილებს კვალიფიციური მხატვრული თარგმნის ყველა მოთხოვნას; იგი ხელმძღვანით გადმოსცემს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს და მხატვრული სტილის კომპონენტებს. იგი ელერს ბუნებრივად. მისი რიტმი მკვეთრია, რითმა მდიდარი, ენა კლასიკური. გერმანულ მკითხველს სრული შესაძლებლობა ექნება ნათელი წარმოდგენა შეიმუშაოს ქართული კულტურის ამ უდიდეს ძეგლზე“ (გვ. 135).

2394. Н. Николайшвили

Кандидат исторических наук

Интересная книга о Ш. Руставели

გვ. Заря Востока, 1955, 22 марта, № 68 (9260), გვ. 3.

მოკლე სარეცენზიო წერილი ეხება ი. მეგრელიძის მიერ 1938 წელს ლენინგრადში გამოცემული წიგნის „Предания о Руставели“ განმეორებულ 1954 წლის გამოცემას. ავტორს მოჰყავს ამ წიგნის შესახებ აკად. ვ. ფ. შიშმარიოვის აზრი (Известия АН СССР, 1938, № 3, გვ. 46), აღნიშნავს ახალი გამოცემისათვის დამატებულ მასალას, ეხება წიგნის აგებულებას და დასასრულს აკეთებს რამდენიმე შენიშვნას ლეგენდების ვარიანტების მიმართ.

2395. შოთა რუსთაველი

Витязь в тифовой шкуре

Перевел с грузинского и обработал для юношества Н. Заболоцкий,

Рисунки М. Энин, оформление М. Борисовой-Мусатовой и Л. Зусманя,

Государственное издательство детской литературы министерства просвещения РСФСР,

Москва, 1955, 232 გვ.

ტექსტს წინ უძღვის შესავალი წერილი ბესო ელენტიას „Шота Руставели и его время“ (გვ. 5—13), სადაც ავტორი ზოგადად ახასიათებს ვეფხისტყაოსანს და აღნიშნავს მის მნიშვნელობას.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის რუსულ გადამუშავებულ თარგმანს ოცდაათ თქმულებად. სტროფებს ნუმერაცია არა აქვს. დასაწყისი:

«Кня в Аравии когда-то
Царь от бога, царь счастливый—
Ростевый, бесстрашный воин
И владыка справедливый.
Снискоидительный и щедрый.
Окруженный громкой славой,
Он до старости глубокой
Управлял своей державой».

დასასრული:

«И об этих властелинах,
Этих мудрых исполнцах,
Кто прославлен был в походах
И в сражениях старинных,
Кто в несчастиях друг друга
Никогда не покидал,—
Мехк я некий, Руставели,
Эту повесть написал».

Der Recke im Tigerjell

Altgeorgisches Poem

Deutsche Nachdichtung von Hugo Huppert

Mit 12 Illustrationen von Prof. Sergo Kobuladse

Herausgegeben von der Gesellschaft für kulturelle Verbindung der Georgischen SSR mit dem Ausland, Rütten-Loening, Berlin, 1955, 319 Ss.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის სრულ გერმანულ თარგმანს. „შეიცავს პროლოგს, LXIV თავს და ეპილოგს სულ 1671 სტროფით. პირველი თავის „Mär von Rostewan, der Araberkönig“-ის დასაწყისი სტროფი 32-ე:

„Einst war König in Arabien Rostewan, ein hochgeweithen,
huldvoll edler Fürst, beflügelt von der Heermacht seiner Streiter,
mild, gerecht, voll Grossmut war er, seinem Staat ein kluger Leiter,
unerreicht als kühner Kriegermann und beredt wie kaum ein zweiter“ (გვ. 43).

ეპილოგის უკანასკნელი სტროფი 1671-ე:

„Amirans Preislied zu singen, ist Choneli wohl gelungen,
Zu Abdul-Messia's Ehrung hat Schawthelis Vers geklungen.
Dilargets Lobpreisung sangen des Thmogweli Liederzungen.
Ich nun, Rusthaweli, habe weinend Tariels Los besungen“ (გვ. 289).

ტექსტს წინ უძღვის მთარგმნელის შესავალი წერილი: „Rusthaweli und sein Poem—Geleitwort des Übersetzers“ (გვ. 5—35), რომელშიაც გაშუქებულია რუსთაველის შემოქმედებისა და ცხოვრების საკითხები ქართულ კულტურასთან მიმართებით. ავტორი აღნიშნავს, რომ აღრეული ჩვენსაწინის უდიდესი წარმომადგენლის რუსთაველის ქვნილებას დასავლეთ ევროპაში არ იცნობენ ანდა მეტად ცოტას. ვეფხისტყაოსნის მშვენიერებაზე ნათელ წარმოდგენას ვერ იძლევა პოემის პროზაული თარგმანები ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ ენებზე. ამასთან დაკავშირებით მთარგმნელი აღნიშნავს, რომ მისი მიზანია გერმანულ მკითხველს მიაწოდოს ვეფხისტყაოსნის არა მხოლოდ ზუსტი, ადექვატური თარგმანი, არამედ ამასთან ერთად შეძლებისამებრ დაიცავს რუსთაველის ლექსის ფორმა და გამოთქმის თავისებურებანი. ავტორი ამასთან დაკავშირებით ეხება ვეფხისტყაოსნის თარგმანზე მუშაობის პირობებს, თარგმანის მეთოდოლოგიურ საკითხებს, იხილავს რუსთაველის მეტრიკის საკითხებს და მისი ლექსის თავისებურებათა გერმანულად გადატანის შესაძლებლობას გერმანული ლექსის საზომთან შეფარდებით, რაც აქამდე ჯერ არავის უცდია.

ავტორი მოკლედ ახასიათებს რუსთაველის წინააღობის ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს და აღნიშნავს რუსთაველის ეპოქის ქართული ცხოვრების ბრწყინვალეობას. ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის პრობლემას დღემდე არსებული ყველა თეორიის, ხალხური გადმოცემების და თვით ვეფხისტყაოსნის ჩვენებათა გათვალისწინებით რუსთაველის ბიოგრაფიის ბუნდოვანი საკითხების გასარკვევად. რუსთაველის მსოფლწიედველობის საკითხებზე მსჯელობისას ავტორი ითვალისწინებს უმთავრესად პროფ. შალვა ნუცუბიძის მოსაზრებებს, ეხება რუსთაველის დამოკიდებულებას ნეოპლატონიზმთან, პეტრიწის მოძღვრებასთან და აღნიშნავს მის შემოქმედებაში პლანიტიურ-ბიზანტიზმის ნაკადის შერწყმას აღმოსავლურთან. ავტორი აღიარებს რუსთაველს შუასაუკუნეთა ევროპის აღრეული ჩვენსაწინის ზოგ წარმომადგენელს და აღნიშნავს რუსთაველის მოწინავეობას პროგრესული

იდეალების ქადაგებაში. ავტორის შენიშვნით, მარქსს რომ სცოდნოდა რუსთაველი, მას დაიმოწმებდა ისე, როგორც შექსპირის ციტატებსო.

პოემის ტექსტს ბოლოში ერთვის „Anmerkungen und bibliographischer Anhang“ (გვ. 293—314) ჰუგო ჰუპერტის ხელმოწერით.

ავტორი აკეთებს რამდენიმე შენიშვნას გერმანულ ტექსტში ქართული გამოთქმით ხმარებულ კერძო სახელისა და სიტყვის გამო და ეხება მალაღობა და ბაბალი შაირის საზომის საკითხს.

ავტორი ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში მიმოიხილავს ვეფხისტყაოსნის ძირითად გამოცემებს, თარგმანებს, მათ შესახებ არსებულ გამოკვლევებს და მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსნის თარგმანებს გერმანულ-ინგლისურ ენებზე პარალელური ტექსტების მოტივით.

2207. Schota Rusthaweli

Der Recke im Tigertell

Ans dem Géorgischen nachgedichtet von Hugo Huppert

ურნ. Neue Deutsche Literatur, Monatschrift für schöne Literatur und Kritik, 1955, August, Heft 8, გვ. 105—113.

ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანის ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა ჰუგო ჰუპერტისა პოემის თარგმანის პირობების შესახებ. თარგმნილი ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის ორი თავის ნაწყვეტს: „Rostewan und Awtland auf der Jagd“ (გვ. 108—109) 12 სტროფის და „Thronrat über eine Verheiratung Nestan-Daredshans“ 34 სტროფის.

ეს ტექსტი პირველად დაბეჭდილი იყო 1952 წელს (გაზ. „Tagebuch“, 25 Oktober, Nr. 21). ტექსტის ნიმუშისათვის იხ. ანოტაცია № 2223.

2298. შოთა რუსთაველი.

ტორა ნო კავა ო კიტა აჟსი

რედაქტორი: ნიზა სეფი, მთარგმნელი: ძუჟურო იპეა

გამომცემლობა «დაი ნიპონ ჰუბენკაე კოდანსო» ბანკიოკუ ოტობამატი 3—19.

ქ. ტოკიო, 1955, 309 გვ.

წიგნს აქვს წინასიტყვაობა ძუჟურო იპეასა და ნასი ტაძიროსი.

ძუჟურო იპეა მოკლედ აღნიშნავს საქართველოს ისტორიულ ძლიერებასა და კულტურულ განვითარებას და ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას. მისი აზრით, რუსთაველმა ამ პოემაში გამოხატა დაქსაქსული საქართველოს სისუსტე, ქალისა და მამაკაცის თანასწორობა. რუსთაველის მოკლე ბიოგრაფიაში ძუჟურო აღნიშნავს, რომ პოეტი იღვენებოდა თავისი იღვებისათვის. მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისათვის და დიდად პოპულარულია.

ვეფხისტყაოსნის იაპონურ თარგმანში, მთარგმნელის შენიშვნით, გამოვიდა 6000 სტრიქონი და 40,000 სიტყვა. ძუჟურო თავისი თარგმანის დახასიათებაში აღნიშნავს, რომ მან გამოტოვა განშეორებანი, რომელნიც პროზულ თარგმანში ზედტეტად მოეჩვენა. უსარგებლია ვეფხისტყაოსნის შ. ნუცუბიძის 1941 წლის და გ. ცაგარლის 1953 წელს გამოცემული რუსული თარგმანებით. დახასიათებულია ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირები: ტარიელი, ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი, ნურადინ ფრიდონი, როსტევენი, ასმათი, ფატმანი. მაგ.:

...ფატმანის გამოჩენა პოემაში სამხრეთის ქარის ქროლას მოგვაგონებს. ის პოემას სიმართლესა და ფერადოვნებას მატებს.

...ტარიელი დამარცხებულ მტერს იწყალებს, ...ავთანდილში ხასიათის ყველა ნიშანი ერთნაირი ძალითაა ნოცემული, ...ნესტანს სახელმწიფო... ესმის.

ნასი ტაძიროს სიტყვით, ვეფხისტყაოსანი ძველ რუსულ თხზულებას წარმოადგენს, რამდენადაც ქართველობა სლავიანური მოდგმის ტომად მი-
აჩნია. მოკლედ ეხება რუსთაველის ბიოგრაფიის საკითხებს და აღნიშნავს, რომ ქართულ კულტურას ეტყობა ბიზანტიისა და არაბეთის გავლენა. მისი შენიშვნით, რუსთაველმა ადრე იქადაგა ჰუმანიზმი. ეს საოცარი პოემა მარა-
დიულად იცოცხლებს ლიტერატურაში.

ვეფხისტყაოსნის იაპონური თარგმანი გაფორმებულია მხატვრულად. წიგ-
ნი მუყაოს ყდით მოთავსებულია ბუდეში. ტექსტი, ყდა და ბუდე დასურათე-
ბულია ზიჩის კომპოზიციებით.

2399. ა. ხანაღიაძე

ერთი ლექსისა და მისი ავტორის შესახებ

ყურ. დ რ ო შ ა, 1955, მისი, № 5, გვ. 17

ავტორი ეხება 1910 წელს გამოცემულ წიგნაკში „Песни хаторгъ მო-
თავსებულ ლექსს, „Там где беретъ каспийское море“, რომელიც იაგორ წიკ-
ლაურს ჰკუთვნება. ავტორის მტკიცებით, ეს პიროვნება ესპერანტოს მკოდნე
ის წიკლაურია, რომელიც ბელა ვიკარს დაეხმარა ვეფხისტყაოსნის ქართული-
დან უნგრულ ენაზე თარგმნაში. ის იყო რევოლუციონერი და პოეტი. ავტორს
ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის 1917 წ.
გამოცემის შესავლიდან ცნობები წიკლაურის შესახებ და ზოგი მასალა, რაც
ახალ ნათელს ჰფენს მის უცნობ ბიოგრაფიას.

2400. ლ. ხანაძიძე

უცხო ლექსიკონათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენაში

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია, 7. VI—14. VI, ბუზობის გეგმა და მოხსენებათა
თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 131.

ავტორი აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში გვხვდება ირა-
ნული, ბერძნული, სემიტური, სომხური ენებიდან მომდინარე სიტყვები და
იხილავს მათი შეთვისების სხვადასხვა გზებს.

2401. ს. ხერუბრაძე

“ვეფხისტყაოსნის“ კაჟდრის ასპირანტი

ქართულ პოეტურ ნაწარმოებთა რუსულად გადართმნის საკითხები

(„ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე)

სამეცნიერო სესია 1955 წ. 19—22 დეკემბერს. ბუზობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის
ფაკულტეტი; თბილისი, 1955, გვ. 12—14.

ავტორის განსაზღვრით, ადექვატური თარგმანი შეიცავს თარგმანის რიტმი-
სა, რითმებისა და ორიგინალის მხატვრული სახეების გადმოცემისა და ენის სა-
კითხებს. ამ თვალსაზრისით ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის რუსულად თარ-
გმნის ცდებს და აღნიშნავს, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდ-
რებული ტრადიცია ვეფხისტყაოსნის თარგმნისათვის რეაგერფიანი ქორეც
გამოყენებისა არ შეეფერება ორიგინალის რიტმს, რადგან პოემაში უფრო ხში-
რად გვხვდება დაქტილი. ავტორის დასკვნით, ვეფხისტყაოსნის რუსულად
სათარგმნელად უფრო შესაფერისია ექსტერფიანი ამფიბრაქი. აუცილებელი
არ არის ოთხივე სტრიქონს ერთი და იგივე სარიტმი დაბოლოება გააკეთ-
დეს. დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ იგი შეეცადა ვეფხისტყაოსნის რამ-
დენიმე თავის ექვს ტერფიანი ამფიბრაქით თარგმნას.

2402. პირობ. ი. ტუსკია

ახალი ფუნდამენტალური ნაშრომი ქართულ მუსიკოგრაფიაში
ფერნ. საბჭოთა ხელოცნება, 1955, № 5, გვ. 55.

ავტორი აღნიშნავს, რომ ოთარ ჩიჯავაძისა და ვ. გვახარიას მიერ შე-
მუშავებულია ქართული სამუსიკო ლექსიკონი 80 თაბახის რაოდენობით. ამ
შრომის მესამე ნაწილში გადმოცემულია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელოვანი
ხელნაწერების მიხედვით სამუსიკო ტერმინოლოგია.

2403. [უავტორო]

უ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უნგრულ ენაზე

გაბ. კომუნისტი, 1955, 26 აპრილი, № 98 (10184), გვ. 3.

საინფორმაციო ცნობაში აღნიშნულია, რომ უნგრულ ენაზე „ახალმა
უნგრულმა გამომცემლობამ“ გამოსცა ვეფხისტყაოსნის ახალი უნგრული თარგ-
მანი შესრულებული შანდორ კორეზის მიერ. იქვე მოკლე დახასიათებულია
გამომცემა და მისთვის დართული იანოშ ჩატლოშის ბოლოსიტყვაობა ბელა
ვიკარიუსელი და ახალი თარგმანის მიმართებაზე.

2404. [უავტორო]

Афоризмы Ишота Рыставаши

ფერნ. Д р у ж б а н а р о д о н . 1955, Октябрь, № 10, გვ. 190.

სარეცენზიო წერილი ეხება გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ მიერ
1954 წელს გამოცემულ რუსთაველის აფორიზმების კრებულს. ავტორი ზო-
გადად ახასიათებს რუსთაველის აფორიზმებს, აღნიშნავს მათ მნიშვნელობას,
მოჰყავს სანიმუშოდ ზოგი მათგანი რუსული თარგმანით და ახასიათებს აფორიზ-
მებში ასახულ მოტივებს და იდეალებს. დასასრულ გამოთქმულია სურვილი,
რომ რუსთაველის აფორიზმები გამოიცეს ცალკე წიგნის სახით რუსულადაც.

2405. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ლექსტანში .

გაბ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1955, 2 ივნისი, №66 (6014), გვ. 1.

მცირე ინფორმაციული ცნობა მახაჩკალიდან იმის შესახებ, რომ მთიანი
დაღისტინის აულში გელში ცხოვრობს პოეტ-მომღერალი ვაგიზ ზაბროვი,
რომელიც დედანში გასცნობია ვეფხისტყაოსანს, უთარგმნია უმბიყურ ენაზე,
მის ცალკეულ ადგილებზე შეუქმნია მუსიკა და თითონვე ასრულებს კიდევც.

2406. [უავტორო]

ლექციების თემატიკა

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება,
თბილისი, 1955, 216 გვ.

ლიტერატურის განყოფილების თემატიკაში მოწონებულ და წასაკითხად
ნებადართულ ლექციებს შორის დასახელებულია:

№ 27. „შოთა რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ — საზოგადოების წევრი პ. ლუდუ-
შაური; № 28. „შ. რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ — საზოგადოების წევრი ნ. კანდ-
ლაკი“ (გვ. 49).

2407. [უავტორო]

ჭუგო ჭუპერტის შემოქმედების საღამო

გაბ. ლიტერატურული გაზეთი, 1955, 17 ივნისი, № 24 (934), გვ. 1.

ავტორი ჭუგო ჭუპერტის მთარგმნელობითი მუშაობის მოკლე მიმოხილ-
ვაში აღნიშნავს, რომ მან „შექმნა გერმანულ ენაზე ქართული პოეზიის საუნ-
ჯის—ვეფხისტყაოსნის მაღალმატერული თარგმანი“. ამასთან დაკავშირებით,
ავტორი ეხება ჭუპერტის მუშაობას ვეფხისტყაოსნის თარგმანზე და აღნიშნავს,
რომ „მან შესწლო ვეფხისტყაოსნის გერმანული თარგმანისათვის გამოენახა
ქართული შაირის შესატყვისი მეტრი—16 მარცვლიანი სილაბოტონური ტეპი.
რამაც საშუალება მისცა ნიჰიერ პოეტს ოსტატურად გადაეტანა გერმანულ
ენაზე ვეფხისტყაოსნის ელერადობა“.

2408. რ. ჟირცხალაიშვილი

ვაკა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ
სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია 7.IV - 14.IV, მეშაობის გეგმა და მოხსენებათა
თეზისები, თბილისი, 1955, გვ. 108-109.

ავტორი იხილავს ვაკა-ფშაველას შეხედულებებს ვეფხისტყაოსნის შესახებ და მათ აჯგუფებს ორი ძირითადი საკითხის გარშემო—ვეფხისტყაოსნის პალნურიდან მომდინარეობა და ორიგინალურობა. ავტორი იხილავს ვაკა-ფშაველას პოლემიკას აღძრულ საკითხებზე და ასკვნის, რომ ვეფხისტყაოსნის გაგებაში „ვაკას მხატვრული შემოქმედება სრულ აზრობრივ ერთიანობაში იმყოფება ძისავე კრიტიკულ წერილებთან“.

2409. ლილი ქუთათელაძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერაობა
ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები (A კოლექცია), აღგესანდრე ბარამიძის
რედაქციით, შეადგინა ლილი ქუთათელაძემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია,
აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ
მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1955, ტომი V, 314 გვ.

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა ფონდის A კოლექციიდან წიგნში
აღწერილია:

1. № 1726. გ. იოსელიანის მიერ მოზრდილ ყმაწილებისათვის ვეფხისტყაოსნის პროზად გადაკეთებული შინაარსის გამოცემის დედანი 1898 წლისა (გვ. 186-187).
2. № 1754. პროფ. ალ. ცაგარლის მიერ გადაწერილი ვახტანგ VI მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის თარგმანების პირი (გვ. 228).

2410. დოცენტი ალ. ლლონტი

სტალინის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი
„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან

ვახ. საბჭოთა ოსეთი. 1955, სტალინირი, 5 ივლისი. № 131 (5720), გვ. 3-4.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის ლექსიკის სიმდიდრესა და მისი შესწავლის საჭიროებას და ეხება „სიტყვა ბრძენი და მისგან ნაწარმოები სიბრძნე“ სიტყვის მნიშვნელობას. ავტორი მოკლედ ითვალისწინებს ამ სიტყვის ისტორიულ გაგებას ძველი ქართული ძეგლების მიხედვით და მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო მასალა „ბრძენისა და სიბრძნის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენების საილუსტრაციოდ და აღნიშნავს, რომ რუსთაველის გაგებაში სიბრძნე იხმარება ზოგადად მეცნიერების აღსანიშნავად, „აქ გადმოცემულია სწავლა-აღზრდის მთელი სისტემა, მისი სტრუქტურის ელემენტები, შინაარსი. ეს სისტემა, ჩანს, მიღებული იყო XII საუკუნის საქართველოში“. რუსთაველმა შაირობა სამეცნიერო სისტემის დარღვევად მიიჩნია. სიტყვა ბრძენს რუსთაველი ხუთი მნიშვნელობით ხმარობს. ა. სწავლული, მოძღვარი. ბ. გონიერი ადამიანი. გ. ჭკვიანი. დ. ფილოსოფოსი. ე. მეხოტბე, მგოსანი. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა ვეფხისტყაოსნიდან. დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ ეტიმოლოგიურად ბრძენი წარმოქმნილია (ბრძ-ენ-ი) და ენათესავება ბრძანებას (ბრძ-ან-ა, ბრძ-ან-ება). მათი საერთო შეყვამული ძირი უნდა იყოს „ბრძ“.

2411. ალ. ლლონტი

ნარკვევები

ხალხური ზეპირსიტყვაობის, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხი, I.
სამხრეთ ოსეთის სახელგამი, სტალინირი, 1955, 148 გვ.

ავტორი ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ვახტანგ მეექვსეს ქართულ ლექსიკოგრაფიაში საკითხი ადგილი უნდა მიეკუთვნოს“ და ვახტანგის მიერ ვეფხისტყაოსნის :712

წლის გამოცემისათვის დართულ „თარგმანს“ იხილავს როგორც პირველ ქართულ ბეჭდურ ლექსიკოგრაფიულ შრომას. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოჰყავს პროფ. ა. შანიძის მოსაზრება (გვ. 69—70).

იქვე, გვ. 98 საბას ლექსიკონის განხილვაში ავტორი განსაკუთრებით აღნიშნავს ფაქტს, რომ საბას ლექსიკონში ვეფხისტყაოსნიდან მრავალი ათეული სიტყვა შეტანილი, მაგრამ დამოწმებულია მხოლოდ 39 (გვ. 98). ავტორი აჯერებს პოემის ტექსტის ლექსიკას საბას ლექსიკონს, აღნიშნავს მსგავსება-განსხვავებებს და მოჰყავს საილუსტრაციოდ ზოგი სიტყვის განმარტება (გვ. 99—102).

2412. ხიმონ ყაუხჩიშვილი

რუსთველოლოგიის ახალი წარმატება

(„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო)

ჟურნ. მნათობი 1955, № 5, გვ. 155—164.

სარეცენზიო წერილში განხილულია ვეფხისტყაოსნის ტექსტის 1953 წლის გამოცემა პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს „ერთადერთი გამოცემაა, რომელსაც ახლავს ვარიანტულ სხვაობათა მითითება და ამ სხვაობათა განმარტება“ (გვ. 155). ავტორი ამ თვალსაზრისით მოკლედ მიმოიხილავს არსებულ გამოცემებს და შენიშნავს, რომ მათში არ ჩანდა თუ რა საბუთით იყო შეცვლილი პოემის ესა თუ ის წაკითხვა ახალი წაკითხვით. ავტორს საილუსტრაციოდ მოჰყავს ვეფხისტყაოსნის გამოცემებიდან სათანადო მაგალითები, ითვალისწინებს პავლე ინგოროყვას შიერ თავის გამოცემაში გამოყენებულ ტექსტის დადგენის პრინციპებს, გამოჰყოფს გასწორებათა ჯგუფებს მათი ხასიათის მიხედვით სხვა გამოცემებთან მიმართებით, უჩვენებს წყაროებს, რომელთაც ეყრდნობა ინგოროყვასეული გამოცემის გასწორებანი და იხილავს იმ წაკითხვათა გასწორებებს, რომელნიც ამ გამოცემაშია შეტანილი 1951 წლის გამოცემასთან შედარებით.

ავტორის აღნიშვნით, „სრულიად საღი და ცხოველმყოფელია ის კრიტიკიუმი, რომელსაც პ. ინგოროყვა 1951 წლის გამოცემაში დამახინჯებული რითმების გასწორების დროს იყენებს“ (გვ. 162), მიუხედავად ამისა პ. ინგოროყვას ზოგი შესწორება ვერ ჩაითვლება რუსთველოლოგიის საბოლოო სიტყვად“ (იქვე). ამასთან დაკავშირებით ავტორი იხილავს რამდენიმე მაგალითს და აკეთებს შენიშვნებს.

დასასრულს, ავტორი ეხება დოც. ლ. მენაბდის მიერ დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს ვეფხისტყაოსნის პ. ინგოროყვას 1953 წლის გამოცემაზე („უნივერსიტეტის შრომები“, 1955, № 55), არჩევს მის მოსაზრებებს და ასკვნის, რომ „ხსენებული რეცენზია არ არის დაწერილი იმ წესების დაცვით, რომლებსაც მოითხოვს საზოგადოება ყველა მკვლევარისაგან. ასეთი არაკეთილსინდისიერი პოზიციებიდან დაწერილი რეცენზია ვეფხისტყაოსნის საკითხთა კვლევას ხელს ვერ შეუწყობს“ (გვ. 164).

2413. პროფ. ა. შანიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის

სამეცნიერო სესია 1955 წ. 19—22 დეკემბერს. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ფილოლოგიის ფაკულტეტი,

თბილისი, 1955, გვ. 11—12.

ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის ვითარებას არსებული ხელნაწერებისა და გამოცემების მიხედვით, აღნიშნავს, რომ პოემის უკანასკნელი, 1951 წლის ოფიციალური გამოცემაც არ არის უნაკლო

და მოპყავეს საილუსტრაციოდ ნაირ-ნაირი ფორმების ხმაურების ნიმუშები და ისეთი შეცდომები, რომელნიც სრულიად ცვლიან აზრს. ავტორის წინადადებით, უნდა შესწორდეს 708,3-ე ტაბეში სიტყვა „დლისითლა“ სიტყვით „დღესითგან“; 1412,3-ში: „ანაჩქარები“, სიტყვით „არ-ნაჩქარები“; 1613,4-ში: „უკუ ნაცარსა“ სიტყვით „უკუნასთარსა“.

2414. ს. ჩხაიძე

ხალხური გადმოცემები რუსთაველის შესახებ

ჟურნ. კომუნისტური აღზრდისათვის, თბილისი, 1955, აპრილი, № 4, გვ. 90—92.

წერილი წარმოადგენს სარეცენზიო მიმოხილვას ი. მეგრელიძის ნაშრომზე „გადმოცემები რუსთაველის შესახებ“ («Предания о Руставели». Сталинири, 1954).

ავტორი აღნიშნავს, რომ ი. მეგრელიძეს საფუძვლიანად გადაუმუშავებია თავისი ნაშრომი მის პირველ, 1938 წლის გამოცემასთან შედარებით. პირველ გამოცემაში ხალხური გადმოცემების ტექსტების კილოური თავისებურებანი შეცვლილია ამ გამოცემაში ლიტერატურული ქართულით.

ავტორი ეხება ნაშრომის აგებულებას, ზოგადად ახასიათებს მის ცალკეულ განყოფილებებს და იხილავს წიგნში წამოყენებულ მოსაზრებებს რუსთაველის ხალხური ბიოგრაფიის თუ სხვა საკითხთა შესახებ და აკეთებს რამდენიმე შენიშვნას ზოგი დებულების მიმართ.

2415. სოლომონ ცაიშვილი

ავსტრიელი შწერლები საქართველოში

ჟურნ. დროშა, 1955, მაისი, № 5, გვ. 18.

ავტორი ეხება 1876 წელს საქართველოში ნიკოლოზ დადიანთან ავსტრიელი მწერლების არტურ გუნდაკარ სუტნერის და მისი ცოლის ბერტას სტუმრად ჩასვლის ვითარებას, მათ საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომლის შედეგი იყო სუტნერის ვრცელი ფელეტონი 1884 წელს ვეფხისტყაოსნის შესახებ (იხ. ანოტაცია № 220).

ავტორი ამასთან დაკავშირებით იხილავს სუტნერის შემოქმედებას და იძლევა მის შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს.

2416. სოლომონ ცაიშვილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი გამოცემელი თარგმანის შესახებ

გახ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1955, 29 სექტემბერი, № 117 (6065), გვ. 4.

ავტორი ეხება გასული საუკუნის 80-იან წლებში ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით ილია ჭავჭავაძის დავლებით იონა მეფენარკვის მიერ ვეფხისტყაოსნის ფრანგულად თარგმნის ისტორიას და აღნიშნავს, რომ ეს თარგმანი რომელმაც დადებითი როლი შეასრულა ვეფხისტყაოსნის უცხოელთათვის გაცნობის საქმეში, ჯერ კიდევ არაა გამოცემული, დაკარგვის გზაზეა და საჭიროა მისი მოძებნა. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ ამ თარგმანის ერთი ცალი ერმიტაჟში უნდა იყოს დაცული და მეორე კი მთარგმნელს ბალმონტისათვის უთხოვებია, მაგრამ ეს საქართველოში აღარ დაუბრუნებიათ, რის შემდეგაც მისი კვალი არა ჩანსო.

2417. ხარგის ცაიშვილი

ვანტანგისეული ვეფხისტყაოსნის საკითხისათვის

კრებ. ლიტერატურული ძიებანი, 1955, IX, გვ. 313—324.

ავტორი იხილავს ვეფხისტყაოსნის ორი ძირითადი რედაქციის რაობას, — ვრცელ რედაქციას დამატებებით და მოკლეს, რომლის ნიმუშს წარმოადგენს პოემის ვანტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. ავტორი მოკლედ ით-

ვალისწინებს მათი შესწავლის ისტორიას, ეხება დ. კარიკაშვილის, პროფ. იუსტ. აბულაძის, პ. ინგოროყვას მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით ვახტანგისეული გამოცემა ძველი ხელნაწერის უცვლელ განმეორებას წარმოადგენს და მეორე მხრივ პროფ. ე. თაყაიშვილის, პროფ. კ. კეკელიძის, პროფ. ა. შანიძის, პროფ. ა. ბარამიძისა და პოეტ კ. ჭიჭინაძის შეხედულებებს, რომელთა მიხედვით ვახტანგისეული რედაქცია წარმოადგენს დამატებათაგან მნიშვნელოვნად გაწმენდილ კრიტიკულად დადგენილ ტექსტს. ავტორი ვეფხისტყაოსნის № 5006 ხელნაწერის შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ ის ვახტანგისეული რედაქციის წყარო კი არ არის, არამედ პირიქით თავის დიდ ნაწილში წარმოადგენს მის ასლს, ამასთან ნაწილობრივ მე-17 საუკუნის რომელიღაც ხელნაწერის პირს და გადაწერილია მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში.

2418. **С. С. Цайшвили**

Вакхтанговская Редакция «Витязя в тирровой шкуре»

Автореферат диссертационной работы, представленной на соискание ученой степени кандидата филологических наук, Академии Наук Грузинской ССР, Институт истории грузинской литературы имени Руставели, Издательство Академии наук Грузинской ССР, Тбилиси, 1955, 14 გვ. На правах рукописи.

სადიპლომატიკო ნაშრომის თეზისებში ავტორი ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ვახტანგისეულ გამოცემაზე აყალიბებს მოსაზრებას, რომ ის წარმოადგენს XVII საუკუნის ხელნაწერთა მემკვიდრეობაზე დაყრდნობილ, კრიტიკულად შემუშავებულ ტექსტს. ავტორი ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა რედაქციების შესწავლით ვახტანგისეულ გამოცემასთან მიმართებით ასკვნის, რომ 1712 წლის გამოცემა რედაქციულად უნდა მოდიოდეს მოკლე ტიპის ე. წ. ზახასეული რედაქციის ხელნაწერთა ჯგუფიდან.

პოემის ვრცელი და მოკლე რედაქციების ურთიერთობასთან დაკავშირებით აღძრულია პოემის მოცულობისა, ნამდვილი დასასრულისა და პროლოგისა და ეპილოგის საკითხები მათ თანმიმდევრობასა და შედგენილობასთან ერთად. დასასრულს, გარჩეულია ვახტანგის გამოცემისათვის დართული კომენტარიების ზოგი საკითხი, უმთავრესად ტექსტოლოგიური ხასიათისა.

2419. **ს. ცაიშვილი**

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქციის წყაროების საკითხისათვის

ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა VI სამეცნიერო კონფერენცია 1955 წლის 25—29 აპრილს, მუშაობის გეგმა და მოხსენებთა თეზისები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1955, 208 გვ.

ავტორი ეხება ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გამოცემის წყაროების საკითხს და აღნიშნავს, რომ მის წყაროდ პოემის არც ერთი ხელნაწერი არ ჩანს. ავტორის დასკვნით, „ვახტანგის მიერ სხვა თხზულებებზე გაწეული რედაქტორული მუშაობის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ იგი აქაც, ვეფხისტყაოსნის ახალი რედაქციის შედგენისასაც, ყურდნობოდა არა ერთს, არამედ რამდენიმე ხელნაწერს“ (გვ. 15).

2420. **დ. კანტურაშვილი**

ჭლოცენტრიზმის ნიშნები „ვეფხისტყაოსანში“

გახ. სახალხო განათლება, 1955, 7 დეკემბერი, № 49 (1349), გვ. 3.

ავტორი სამყაროს აგებულებაზე გეოცენტრული და ჰელიოცენტრული შეხედულებების განვითარების მოკლე მიმოხილვისას ხაზს უსვამს გარემოებას, რომ XII საუკუნეში გაბატონებული იყო გეოცენტრული შეხედულება.

და ჰელიოცენტრული შეხედულება მხოლოდ XVI საუკუნეს ეკუთვნის. აზასთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსანში მიმოხილული მასალის ანალიზით ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ რუსთაველი უარყოფდა გეოცენტრულ სისტემას და ჰელიოცენტრულ შეხედულებას იზიარებდა. ავტორს მოჰყავს საილუსტრაციო მასალა და უთითებს ვეფხისტყაოსანში ადგილებს, რომელნიც გაუგებარია გეოცენტრულად და მხოლოდ ჰელიოცენტრული თვალსაზრისით შეიძლება გაეიგოს. დასასრულს ავტორი ასკვნის, რომ:

„ვეფხისტყაოსანში“ ჰელიოცენტრის ნიშნების არსებობის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XII საუკუნის საქართველოში ასტრონომიული შეხედულებანი ჰელიოცენტრის გზით ვითარდებოდა“.

2421. კონსტანტინე ჰეპინაძე

ივენენ თუ არა პოეტები გიორგი თუმანიშვილი და იოსებ თბილელი ფალობის მქონელები? გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1955, 19 აგვისტო, № 33 (943) გვ. 4.

ავტორი აკად. კ. კეკელიძისა და პროფ. ა. ბარამიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით ეხება ვეფხისტყაოსნის ტექტის შედგენილობისა და რედაქციების ზოგი საკითხის იქ მოცემულ გადაწყვეტის ცდას, კერძოდ განსაკუთრებით იხილავს გიორგი თუმანიშვილის ყალბისმქნელად შინაგონ შეხედულებას და ცდილობს დაასაბუთოს, რომ მართალი არაა თითქოს გიორგი ეგნატეს ძე თუმანიშვილის მიერ ვეფხისტყაოსნის დავით რექტორისეულ ხელნაწერში ჩართული 17 სტროფი მისივე შეთხზული იყოს. ეს 17 სტროფი თუმანიშვილს უნდა ენახოს რომელიღაც უფრო ძველ ხელნაწერში. ავტორი აკრიტიკებს ალ. სარაჯიშვილის მოსაზრებას ამ საკითხზე როგორც უნიადაგოს. მისი აზრით, თუმანიშვილს ვეფხისტყაოსნის ზოგი სტროფის წაკითხვებში მხოლოდ შესწორებები შეუტანია. ავტორი ასევე ცდილობს დაასაბუთოს, რომ მცდარია მოსაზრება იოსებ თბილელის ყალბისმქნელობის შესახებაც.

2422. შალვა ხიდაშელი

რამდენიმე შენიშვნა ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის საკითხებზე

გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1955, 14 იანვარი, № 2 (912), გვ. 3—4.

ავტორი ზოგადად იხილავს პროფ. კ. კეკელიძისა და პროფ. ალ. ბარამიძის ნაშრომის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ იმ მონაკვეთს, რომელიც რუსთაველის პოემისადმი მიძღვნილია (გვ. 257—310). ავტორის შენიშვნით, აქ „რუსთაველის სიდიადე, ორიგინალობა და ისტორიული მნიშვნელობა ყოველთვის სათანადო სიღრმით ვახსნილი არ არის და ცალკეულ დებულებებს რუსთაველის შესახებ, ზოგჯერ დაუსაბუთებელი და წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვთ“ (გვ. 4, სვეტი 1). არ არის სათანადოდ ახსნილი რუსთაველის ჰუმანიზმი „მაშინდელ საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული პირობებით, იგი არ არის დაკავშირებული არც ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების წინა საფეხურებთან და არც თვით „ვეფხისტყაოსნის“ ისეთ მნიშვნელოვან თავისებურებებთან, როგორცაა მისი ხალხურობა, მისი საკაცობრიო მნიშვნელობა და პოემაში გამოყენებული შემოქმედებითი მეთოდი“ (იქვე, სვეტი 2). „რუსთაველი არ არის საკმარისად გამიჯნული შუა საუკუნეების შეხედულებებისაგან“ (იქვე). ავტორი განსაკუთრებით ეხება ნაშრომში რუსთაველის მიჯნურობისა და შაირობის თეორიების ინტერპრეტაციას და შენიშნავს, რომ ასეთი

ინტერპრეტაციის შედეგად რუსთაველის პოემაში ჩნდება წინააღმდეგობანი-
აეტორი ამ შენიშვნებთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მას „ადგილის
სიმცირის გამო არ შეუძლია პოზიტიური შეხედულებანი გამოთქვას და
ფორმული მსჯელობანი გაშალოს“ და კმაყოფილდება რამდენიმე კონკრეტული
ილუსტრაციითა და ანალიზით.

2433. ს. ხუციშვილი

ქართული ლიტერატურული კრიტიკის შოკლე მიმოსილვა XIX საუკუნეზე
წიგნი: ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიისათვის,
ქრისტომათია, I, შეადგინა, წინასიტყვაობა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო
ს. ხუციშვილმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, სამეცნიერო-მეთოდურ
კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1955, 442. გვ.

აეტორი ქართული კრიტიკის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით
სპეციალურად თუ ვაკვირთ ეხება რუსთაველს (გვ. 8—10, 14—23). აეტორი
აღნიშნავს, რომ „კრიტიკული შეხედულებების გამოთქმის ბრწყინვალე ნიმუშს
ძველ ქართულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს. შოთა
რუსთაველს კარგად სცოდნია ქართული მწერლობის წინამავალი ეპოქა, ზოგი-
ერთი ლიტერატურული პერსონაჟი მას დასახელებული ჰყავს. პოემაში თავის
გმირთა ხასიათისა თუ განწყობილების საილუსტრაციოდ. პოეტს შეფასება
მიუცია სხვადასხვა თხზულებისათვის“ (გვ. 8). აეტორი იხილავს რუსთაველის
შაირობის თეორიას (გვ. 8—9). აეტორის შენიშვნით, „შოთა რუსთაველის
შემდეგ ქართულ ლიტერატურაში არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად დამოუკი-
დებელი ხმის მქონე მოღვესე თეიმურაზ პირველამდე (გვ. 9—10). აეტორი მი-
მოიხილავს აღორძინების ხანის მწერლების დამოკიდებულებას შოთა რუს-
თაველთან და განსაკუთრებით არჩევს ვახტანგ მეექვსის შეხედულებას (გვ. 15).
წიგნისათვის დართულ შენიშვნებში აეტორი იძლევა ბიო-ბიბლიოგრა-
ფიულ ცნობებს ვეფხისტყაოსნის შესახებ გამოქვეყნებულ წერილებთან დაკავ-
შირებით (გვ. 421—422).

ამავე წიგნში დაბეჭდილია: სოლომონ დოდაშვილის სტატიის ტექსტი:
„შოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა (ანუ სიტყვიერებისა)“ (გვ.
25—29). ანოტაცია იხ. მის პირველ პუბლიკაციასთან 1832 წელს № 13.

დავით იასესძე ჩუბინაშვილის წერილი: „შენიშვნები ვეფხისტყაოსნის
თარგმანზე“ (გვ. 29—32). ანოტაცია № 44 იხ. მის პირველ პუბლიკაციასთან
1846 წელს.

ივანე ევლახოვის წერილი: „პასუხი უფ. დ. ჩ.-ს შენიშვნაზე გაზეთ „კავ-
კაზის“ № 15-ში მოთავსებული „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტის თარგმანის შესა-
ხებ (გვ. 32—36). ანოტაცია № 39 იხ. პირველ პუბლიკაციასთან 1846 წელს.

წიგნში მოთავსებულ სხვადასხვა მასალაში რუსთაველი ნახსენებია შემდეგ
გვერდებზე: 28—32, 34—37, 39, 47, 56, 62, 69, 70, 73, 83, 84, 90; 104,
118, 121, 138, 164, 167, 170, 182, 189, 209, 236, 238, 249, 250, 258,
276, 286, 372, 393, 404, 415, 418.

2424. ვიორჯი ჯიბლაძე

რუსთაველის ესთეტიკა

წიგნი: ხელოვნება და სინამდვილე, I, მეორე გამოცემა, სამეცნიერო-მეთოდური
კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1955, 626 გვ.

აეტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედებას, აღნიშნავს
მის დიდ მნიშვნელობას ქართული პოეზიისა და ცხოვრებისათვის და არჩევს
მის შეხედულებას პოეტურ ხელოვნებაზე (გვ. 81—88). აეტორის სიტყვით.

რუსთაველს პოეზია წარმოდგენილი აქვს „ცოდნის ქეშმარიტ წყაროდ, სიბრძნედ და ოსტატობად“ (გვ. 83). აეტორს მოჰყავს სათანადო სტროფი და აღნიშნავს, რომ რუსთაველის გაგებაში პოეზია შეიცავს ოთხ ძირითად ელემენტს—ენას როგორც გამოთქმის საშუალებას, გრძნობას, ოსტატობას და გონებას, „რომელიც წინათდასახელებული სამი ელემენტის მბრძანებელი და წარმმართველია“ (იქვე). აეტორი არჩევს თითოეული ამ ელემენტის მნიშვნელობას რუსთაველის ესთეტიკისათვის და ასკენის, რომ „რუსთაველი არ სცნობს პლატონის თეორიას, უარყოფს მას, უფრო სწორად მიიჩნევს არისტოტელესეულ გაგებას, თუმცა მის ესთეტიკაში ჩვენ არ გვაქვს რომელიმე ფილოსოფიური სკოლის დაცვა ან უარყოფა; გვაქვს მხოლოდ რუსთაველის კონცეფცია, რუსთაველის სისტემა, საკვებით ორიგინალური და ღრმა“ (გვ. 84). აეტორი იხილავს რუსთაველის პოეზიის თეორიას, პოეტური თხზულების სახეებს, უთითებს პოეტური თქმის ნიშნებს და განმარტავს პოეტური ხელოვნების ცნებებს ვეფხისტყაოსნის პროლოგის მონაცემების მიხედვით. რუსთაველის პოეტური ხელოვნება მოითხოვს ლაკონიურობას, მონუმენტურობას, ერთიან ფაბულას.

აეტორი ამავე წიგნში აღორძინების ხანის მწერალთა შესახებ მსჯელობისას (ფეშანგი, არჩილი, თეიმურაზ პირველი, ნოდარ ციციშვილი) ახასიათებს შეხედულებებს, რომელიც რუსთაველის შემდეგ და რუსთაველთან დაკავშირებით განვითარდა ქართულ მწერლობაში.

წიგნი პირველად დაიბეჭდა 1948 წელს.

1956

2425. ან. აბრამიშვილი, აღ. ლლონტი

აკაკი წერეთლის უცნობი ლინერტაცია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალბაზე
გახ. ლიტერატურული გაზეთი, 1956, 3 აგვისტო. № 31(993). გვ. 7.

წერილი ეხება ლენინგრადის ოლქის ისტორიულ არქივში აკაკი წერეთლის საკანდიდატო დისერტაციის ხელნაწერის „რამდენიმე სიტყვა ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის სასარგებლოდ“ აღმოჩენას. აეტორები მოკლედ ეხებიან ნაშრომის ისტორიას, ხელნაწერის აღმოჩენის ვითარებას და მოჰყავთ ნაშრომის ძირითადი დებულებანი. დასასრულს: აეტორები მიმოიხილავენ აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიურ ცდებს.

2426. შალვა ამირანაშვილი

ბექა ოპიზარი

სახელგამო, თბილისი, 1956, 50+55 გვ.

აეტორი ქართული კულტურის განვითარების საკითხებზე მსჯელობისას შენიშნავს, რომ „ქართული კულტურის მრავალსახიანობას და ღრმა შინაარსს XII—XIII სს. მიჯნაზე შესანიშნავად ასახავს რუსთაველის უკედავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (გვ. 45).

იგივე დაიბეჭდა რუსულად იმავე წელს: Бека Опизарн, Издательство «Заря Востока», Тбилиси, გვ. 45.

2427. П. Антокольская, М. Ауэзов и М. Рильский

«Художественные переводы литератур народов СССР»

წიგნი: Второй всесоюзный съезд советских писателей, 15—26 декабря 1954 года, Стенографический отчет, Советский писатель, Москва, 1956, 604 გვ.

აეტორები მხატვრულ თხზულებათა რუსულად თარგმნის საკითხებზე მსჯელობისას აღნიშნავენ, რომ:

«Многие из поэтов пытались передать на своем языке поэму Руставели «Витязь в тигровой шкуре». Есть и полные переводы ее на русском

язык. Первый по времени принадлежит Бальмонту, последний — Нуду-шадзе. Но ни один из русских переводов не может вполне удовлетво- рить взыскательного читателя. Но зато у нас есть блестящий перевод Ру- ставели на украинский язык, сделанный Миколой Блажаною» (გვ. 261).

ავტორები პოეტური თარგმანის სიძნელეებზე მსჯელობისას, აღნიშნავენ რომ დედნის მეტრის ზუსტი გადმოცემა სხვა ენაზე შეუძლებელია. ამასთან დაკავშირებით შენიშნავენ:

«Гот размер, которым передают русские и украинские переводчики, скажем, поэму Руставели, только общим своим характером соответствует знаменитому грузинскому шаири» (გვ. 263).

2428. მარინე ახვლედიანი

ქართული მწერლები უცხოურ ენაზე

ჟურნ. მნათობი, 1956, № 9, გვ. 142—150.

ავტორი ქართული მწერლობის ძეგლთა უცხო ენებზე თარგმნა-შესწავ- ლის მოკლე მიმოხილვაში სპეციალურად ეხება ვეფხისტყაოსნის თარგმნის ის- ტორიას სხვადასხვა ენაზე. ავტორი ჩერდება ვეფხისტყაოსნის ინგლისურად— მარჯორი უორდროპის, გერმანულად—არტურ ლაისტის, უნგრულად—ბელა ვი- კარის და ვიორეშ შანდორის, პოლონურად—იულიან ტუვიმის, გერმანულად— ჰუგო ჰუპერტის, ჩინურად—ლი-დი-ე-ს, რუმინულად—ვერა რომანის, იაპონუ- რად—ფუკურო იპეის თარგმანების ისტორიაზე. ავტორი განსაკუთრებით ახა- სიათებს მარჯორი უორდროპის მუშაობას ვეფხისტყაოსნის შესწავლა-თარგ- მნის საქმეში და აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას პოემის პოპულარიზაცი- სათვის.

ავტორს მოჰყავს ამონაწერები უცხო ენებზე გამოქვეყნებულ წერილები- დან ვეფხისტყაოსნის შესახებ (ალენის, კერნაბის, ზარონ სუტნერის) და იქვე ურთავს მის გამომხატურებას ქართულ პერიოდულ პრესაში.

2429. ალ. ზარამიძე

საქირო განმარტება

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1956, 7 სექტემბერი, № 36(998), გვ. 2.

წერილი წარმოადგენს გამომხატურებას პროფ. ა. შანიძის ნაშრომში «ვეფ- ხისტყაოსნის ენის საკითხები» (II, პოემის ტექსტის მეცნიერული გამოცემისა- თვის) გამოთქმულ მოსაზრებებზე ვეფხისტყაოსნის საიუბილეო 1937 წლის გა- მოცემის ისტორიისა და ამავე გამოცემის 1951 წლის პუბლიკაციის მომზა- დების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ავტორი ეკამათება პროფ. ა. შანიძეს ვეფხისტყაოსნის ზოგი წაკითხვის მართებულების საკითხებზე 1937, 1951 წლე- ბის გამოცემების ტექსტთან მიმართებით. დასასრულს, ავტორი შენიშნავს, რომ: «შიშველი გრამატიკული ნიშნის მომიზეზებით არ შეიძლება ვეფხის- ტყაოსნის ტექსტის აზრობრივად და მხატვრულად გამოკვეთილი სახის შე- ცვლა ან გადაკეთება».

2430. ალ. ზარამიძე

მეორე შენიშვნა

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1956, 19 ოქტომბერი, № 42(1004), გვ. 2.

მეორე შენიშვნა გამოწვეულია ა. შანიძის მიერ «ლიტერატურულ გაზეთ- ში» (21.IX.56) მოთავსებული წერილით «უსაქიროესი განმარტება». პოლე- მიკის საგანია ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის მომზადების ზოგი დე-

ტალი ტექსტის დადგენაში. ავტორი აღნიშნავს, რომ მის ხელთაა ვეფხის-ტყაოსნის 1951 წლის გამოცემის საკორექტურო ანაბეჭდი, გასწორებული ა. შანიძის შიერ, რომლის მიხედვით უცვლელად დაიბეჭდა ტექსტი და საინდანაო ჩანს, რომ მასში გაპარული შეცდომები, რომელთაც ა. შანიძე სხვას მიაწერს, მასვე ეკუთვნის, ამიტომ მისი განცხადება უსაფუძვლოა.

2431. აღ. ბარამიძე

ხალხთა ძმობა-მეგობრობის იდეა ნიჰამი განჯელისა და შოთა რუსთაველის პოემების მიხედვით

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1956, ტ. X, გვ. 173—185.

ავტორი მოკლედ მიმოიხილავს XII საუკუნეში კავკასიის ხალხთა პოლიტიკურ-ეკონომიურსა და კულტურულ მდგომარეობას, ახასიათებს ნიჰამი განჯელისა და შოთა რუსთაველის შემოქმედების ცალკეულ მხარეებსა და მოტივებს, განსაკუთრებით მეგობრობის მოტივის გამოხატულებას რუსთაველის შემოქმედებაში, მოჰყავს სათანადო ციტატები და ასკენის, რომ: „რუსთაველი და ნიჰამი განჯელი ოცნებობდნენ ადამიანთა და ხალხთა კეთილდღეობაზე, ადამიანთა და ხალხთა თავისუფლებასა, თანამეგობრობასა და თანამშობაზე, ამიტომ არიან ჩვენთვის მახლობელი რუსთაველი და ნიჰამი განჯელი, მათი ჰუმანისტური იდეები მკაფიოდ ეხმაურება ჩვენი სოციალისტური ცხოვრების დღეისდღობას“ (გვ. 185). რუსთაველმა და ნიჰამი განჯელმა ერთმანეთისაგან დაშოუკიდებლად თავის თხზულებებში გამოხატეს თავისი დროის საზოგადოების პროგრესული ფენების ჰუმანისტური განწყობილება, რაც ხალხთა ძმობის იდეაში გამოვლინდა.

2432. თედო ბეგიაშვილი

ვეფხისტყაოსანზე წახკიხის ლექციების თეზისები

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ცენტრალური სალექციო ბიურო თბილისი, 44 გვ.

წიგნს აქვს „წინასიტყვაობის მაგიერ“ (გვ. 3—4), რომელშიაც ავტორი აღნიშნავს, რომ „ამ წერილში მოცემულია მითითებანი—რა თემაზე შეიძლება წაკითხულ იქნას ლექცია რუსთაველის და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ გარშემო. თეზისების სახით ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დალაგდეს ლექციაში საკითხები, რომლებიც ლექციის დროს გაიშლება, უნდა დასაფერისად დასაბუთდება და პოემის ტექსტიდან მოყვანილი ილუსტრაციებით დამშვენდება“ (გვ. 3).

წიგნის შინაარსი: I ლექცია: ვეფხისტყაოსნის მხატვრულ-ლიტერატურული მნიშვნელობა (გვ. 5—7); II ლექცია: ვეფხისტყაოსნის ავტორი—ლექციის გეგმა: 1. საბელი და საბელწოდება: რუსთველი, შოთა რუსთაველი, ვინზე მუხაი. 2. წარმოშობა: ჰერთელობა, მესობა. 3. ცხოვრების დრო და პოემის დაწერის თარიღი: ავტორის ეპოქა XII საუკუნის ბოლო და XIII საუკ. დასაწყისი (გვ. 8—12); III ლექცია: ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის ორიგინალობა—ლექციის გეგმა: 1. პოემის ორიგინალობა, ხალხური ზეპირი პოეზიის და ძველი ქართული კულტურის ფალი პოემაში. 2. ლიტერატურულ ნაწარმოებთა კვლი პოემაში („აბდულმუსია“, „თამარიანი“, „ამირან დარეჯანიანი“, „საარსული—შანამე“, „ეოსრაშანი“, „ლეილმეჯნუნიანი“). 3. ფილოსოფიური ლიტერატურის გავლენა: ანტიკური ფილოსოფოსები, ბიზანტია, ძველი აღმოსავლეთი (გვ. 13—16); IV ლექცია: ვეფხისტყაოსნის პერსონაჟები—ლექციის გეგმა: 1. ვეფხისტყაოსნის მოქმედი პირები. მთავარი ტიპები, დამხმარე ტიპები. 2. მოქმედ პირთა ინდივიდუალური დახასიათება: ფსიქოლოგიური მსჯავება და განსჯავება აუთანდელსა და ტარიელს, თინათინსა და ნესტანდარეჯანს შორის. დანართნ მოქმედ პირთა სუბიექტური თვისებები (გვ. 17—23); V ლექცია: ვეფხისტყაოსნის იდეურ-თემატიკური მოტივები—ლექციის გეგმა: მიჯნურობა, მეგობრობა, ხალხთა მეგობრობა, პატრიოტიზმი, ქალის კულტი, რაინდობა, ჰუმანიზმი, ადამიანის იდეალი (გვ. 24—27); VI ლექცია: ვეფხისტყაოს.

5 ა ს ს ო კ ი ო ლ ო გ ი ა. ლექციის გეგმა: პატრონეჟობა. აბსოლუტური მონარქიზმი, საგაბრო ფრთიერობა და ფეოდალური ყოფა (გვ. 28—30); VII ლექცია: ე ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ნ ი ს მ ხ ა ტ ე რ უ ლ ი ფ ო რ მ ა. ლექციის გეგმა: 1. ენის თავისებურებანი და მხატვრული-პოეტური ხერხები: მეტაფორები, ეპითეტები, შედარებანი, განმეორებანი, პარალელიზმები, აფორიზმები. 2. ენის ბგერითი მხარე და ლექსის ფორმა: ასონანსები და ალიტერაცია, მაღალი და დაბალი შიორი (გვ. 31—35);

თითოეული ლექციის გეგმას აერთიანებდა ერთავს განმარტებას დასახელებული საკითხების გაგებისათვის, მოკლე განხილვით, საკითხის ისტორიის გათვალისწინებით, რისთვისაც საჭირო შემთხვევაში მოჰყავს ციტატები უმთავრესად ვეფხისტყაოსნიდან. ლექციების გეგმას ბოლოში ერთვის:

1. გამთავებელი ლიტერატურის სია, რომელშიაც დასახელებულია ძირითადი წყაროები მათი მოკლე დახასიათებით (გვ. 36—38).

2. ვეფხისტყაოსნის ქართული გამოცემები და მათი მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობებით პოემის 36 სრული გამოცემის შესახებ. (გვ. 39—42);

3. ვეფხისტყაოსნის თარგმანები უცხო ენებზე: დასახელებულია მარი-ფელისიტე ბროსეს ფრანგული, კახიბი ლაფინისკის პოლონური, არტურ ლანტის გერმანული, მარჯორი სკოტს თარგმანის ინგლისური, ვიკარ ბელას უნგრული თარგმანები მოკლე ცნობებით და რუსული თარგმანები შესრულებული კ. ბალმონტის, ს. შარტის, გ. ცაგარლის, პეტრენკოს, შ. ნუტუბიძისა და ნ. ხაბოლოცის მიერ (გვ. 43—44).

შ. შ. შ. ლადო ბელიაშვილი — Beliachvili Vladimir

რუსოველის და დანტეს იტალია
სიტყვა პირველი, პარიზი, 1956, 80 გვ.

Les Secrets de Rousthaveli et de Dante Alighiery. Premier discours

წიგნს აქვს შემდეგი ქვესათაურები: რუსთაველი და კოპერნიკი (გვ. 5—10); მთვარე (გვ. 11—12); ლალი (გვ. 13); მთვარე ანუ თუარე (გვ. 13); თუ არე (გვ. 13—14); მზე (გვ. 14—15); ცოთმინი (გვ. 16—18); მთვარე უმთარე (გვ. 18—19); ოტარიდი (გვ. 19); ასპირაზი (გვ. 19—21); შუკი მნათობთა (გვ. 21—22); მზის ლაქები (გვ. 22—23); ცა (გვ. 23—25); ეტლი (გვ. 26); დედა-მიწა ანუ სოფელი (გვ. 26—29); ზოდიაკი (გვ. 29—32); ფილოსოფია, მეცნიერება და რუსთაველი (გვ. 32—33); ანდერძი (გვ. 33—36); ხალხი და რუსთაველი (გვ. 37); ალი. სამალი და ნასამალი (გვ. 38—40); მიჯნურობა (გვ. 40—42); რუსთაველის შემოქმედი ანუ ლმერთი (გვ. 43—44); დაბადება ანუ შექმნის პროცესი (გვ. 44—48); პირადი და ლადი რუსთაველისა (გვ. 49—51); რუსთაველის წინა მორბედნი (გვ. 51—67); მიძღვნა (გვ. 68—77).

წიგნის დასასრულს შენიშვნა: „პირველი სიტყვა, თქმული პარიზის „სოსიეტე-დე-სავან“-ის დარბაზში 1953 წელს“ (გვ. 77).

ნაკვლევის ძირითადი თემაა რუსთაველის „ასტრონომიული და კოსმოგრაფიული გაგება“. აეტრონის შეხედულებით „რუსთაველი ხელობით არის მიჯნური ანუ ასტრონომი“, მას „არამც თუ მარტო სხვისაგან უსწავლია ასტრონომია, არამედ თვითონაც უწარმოებია გამოკვევანი“ (გვ. 10) და ამ დარგში ჰქონია შრომები, რომელნიც დაკარგულა. რუსთაველს ვეფხისტყაოსანი ჩაფიქრებული ჰქონია როგორც ასტრონომიული ცოდნის დაფარულად გამოხატვის თხზულება. რუსთაველი თითქოს სამყაროს აგებულების შესახებ ისეთ მოსაზრებებს გამოთქვამს, რომელთა საჯაროდ გამხელა მის დროს, ქრისტიანული ეკლესიის ინკვიზიციის პირობებში არ შეიძლებოდა, რისთვისაც მიმართა კამუფლაჟს, ალეგორიულ შაირობას, მიჩქმალვას, გამოსაგებ ენას, დაფარულ ბრძოლას. ესაა აეტრონის გაგებით რუსთაველის „იდუმალი“—თითქოს ვეფხისტყაოსანში შენიღბულად გადმოცემულია მსოფლიოს აგებულების ცოდნა, რაც „ედრება თანამედროვე მეცნიერებას“ (გვ. 36), მის დროს კი აშკარად არ შეიძლებოდა თქმულიყო. ამიტომ რუსთაველმა თავის პროზაში მეცნიერული ცოდნა ჩააქსოვა, „ვეფხისტყაოსანში ტარდება ორაზროვნობა:

მეცნიერება და რომანი“ (გვ. 68), რომ თითქოს „რუსთაველის შემოქმედებაში მთავარი ადგილი უჭირავს მეცნიერებას“ (გვ. 72).

რუსთაველის ამ ასტრონომიულ ცოდნაში, ავტორის გაგებით, მთავარია „დედამიწის სამ-მაგი მოძრაობა“, სამყაროს ცენტრალ მზის აღიარება, რაც „სკოდნიათ რუსთაველსაც და დანტესაც“ და „არ სკოდნია კოპერნიკს 300 წლის შემდეგ რუსთაველისა“ (გვ. 5). ამიტომაც, რომ „რუსთაველი პოემას იწყებს მზის ქებიდან“ (გვ. 68), ავტორი ამ დებულებათა დასაბუთებას ცდილობს ვეფხისტყაოსნის ასტრალურ გამოთქმათა, სიტყვათა და პოეტურ შედარებათა ანალიზითა და გაგებით, მათთან დაკავშირებული ქართული ისტორიისა, რელიგიის, მითოლოგიის, ფოლკლორის საკითხების განხილვითა და მსოფლიო კულტურის, განსაკუთრებით ასტრონომიული ცოდნის პრობლემატიკაში ექსკურსებით. ავტორის შენიშვნით, „რუსთაველი ეძებდა იზებს“ (გვ. 63), ის „მზეს შემოქმედებისა და მამოძრავებელ ძალას ანიჭებს“ (გვ. 14), „გვიხსნის და განმარტავს მზის სისტემას ანუ სამყაროს“ (გვ. 17), გვასწავლის დედამიწის ბრუნვას და გვიხსნის ამ მოვლენას (გვ. 27—28), „გვასწავლის მატერიის მუდმივობას“ (გვ. 50). „რუსთაველისათვის დრო არის მთავარი განზომილება: ამიტომ რუსთაველი ქვეყანას, სამყაროს და მსოფლიოს უწოდებს საწუთროს. საწუთრო(კოსმოსი)-ს მოძრაობა ხდება აღმა-ფრენაში, სადაც ყველა სხეულის არსებობა განისაზღვრება დროით“ (გვ. 29). „რუსთაველის საზყარო განისაზღვრება 7 ცის ბორბლით“ (გვ. 24). ანასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ „ტყუილია ის აზრი, რომ ვითომც რუსთაველი იხსენიებს მხოლოდ 7 მნათობს, იმიტომ რომ რუსთაველის დროს საქართველო იყო დაყოფილი 7 სამთავროდ“ (გვ. 17). „რუსთაველი გამოსთქვამს სწორ აზრს, რომ მნათობთა შუქი არის მზის სხივთა ანარეკლი ანუ მნათობნი არიან მზის სხივთა მიერ გასამსალებულნი“ (გვ. 21).

ავტორის შენიშვნით, რუსთაველის დამსახურებაა სამყაროს აგებულებაზე მეცნიერული ცოდნა, რაც თანამედროვე შეხედულებასაც ეთანხმება, რამდენადაც ის მანამდე აშკარად არაეის გამოუთქვამსო. (გვ. 21) ავტორი არაერთხელ აღნიშნავს, რომ რუსთაველი თავისი მეცნიერული ცოდნით გაემიჯნა ფილოსოფიასა და რწმენას, რითაც ამაღლდა სუფთა მეცნიერულ დონემდე „ხოლო ეინშტეინი, ვინაიდან ვერ გაეჭკა ფილოსოფიას, მისი რელატივიზმი ვერ შეედრება რუსთაველის რელაციას ანუ მიჯნურობას“ (გვ. 51). ავტორს მიანინაა, რომ რუსთაველის ცოდნის წყარო საქართველოში განვითარებული მეცნიერული და კულტურული პირობებია და „რუსთაველის ცოდნიდან ის ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის აკადემიაში გაერთიანებულა პირველად დასავლეთისა და აღმოსავლეთის მეცნიერება“ (გვ. 61).

ავტორი აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით ეხება ზოგი სიტყვის ეტიმოლოგიას და იძლევა ნებისმიერ გაგებას. მაგ., მიჯნურა, როგორც ასტრონომი, მისი აზრით, ეტიმოლოგიურად გამოდის სიტყვიდან „მიჯნა“, რაც მისთვის რელაციის, რელატივობის სინონიმია (გვ. 41). სიტყვა „ლალი“, მისი აზრით წარმოებულია „ალი“-დან (გვ. 13). „ტარიელი“ გამოდის „ელ, ელიოს, ელვა, სანთ-ელი, წმ. ელია, ელოიმ, ელექტრო“-დან როგორც სინათლის გამომსახველი ცნებებიდან, რასაც დამატებია ჩაღბი ანუ ტარი და მიღებულია მზე ანუ ტარიელი (გვ. 70). ავტორისათვის სიტყვა „ქანარ“—დედამიწა (გვ. 27), „უეამოსა ეამისად“—მზეა (გვ. 25), მთავარ—თუ არე—ძველი საგალობლის გლოსოლალური ნაშთი (გვ. 13), „შუქი დასწავას“, „გაეყრების“—ავტო-

რისაზრით, ნიშნავს ეკლოპსს (გვ. 11), სიტყვა ურდული მიღებული ყოფილა „ურია“-დან და სხვ. მისთ.

ავტორი ეხება ფერთა სიმბოლიკის საკითხს ასტრალურ მიმართებაში და აღნიშნავს, რომ „რუსთაველი მზეს უწოდებს სამ ფერს და სამ ალიანს“ (გვ. 58). ავტორი ეხება რიცხვთა სიმბოლიკას და აღნიშნავს, რომ „წმიდა რიცხვებში რუსთაველმა შეიტანა რიცხვი 8 (გვ. 17). მისი შენიშვნით, „რუსთაველის ლექსთა წყობაში ყველა ასოს აქვს თავისი უალრესი მნიშვნელობა“ (გვ. 68). ვეფხისტყაოსნის პროლოგის განხილვისას ავტორი შენიშნავს, რომ ის შედგება უთუოდ 33 სტროფისაგან, რადგან რიცხვი 33 რუსთაველს მი-აჩნდა წმინდა რიცხვადო (გვ. 68).

ასტრონომიულ საკითხებთან დაკავშირებით ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნისა და რუსთაველის ბიოგრაფიის ცალკეულ პრობლემებს. მისი აზრით, საქართველოში თქმულება ტარიელზე რუსთაველზე აღრე ყოფილა ცნობილი, მხოლოდ ის წმინდა ქართული წარმოსობისაა (გვ. 70), რუსთაველი თავისი ასტრონომიული შეხედულებებისათვის „მზის იდუმალისათვის“ „ჩაიკეტა თუ ჩაჰკეტეს მონასტერში“ (გვ. 36); ის „ციხეში იყო ჯაჭვით დაბმული და ტყვე ქმნილი“ (გვ. 63). რუსთაველს არ შეიძლებაოდა თამარ დედოფალი ჰყვარებოდა (გვ. 36). ავტორი გაკვირვებით შენიშნავს, რომ „ვერც რუსთაველი და ვერც დანტე ვერ იტანენ ფეოდალურ წყობილებას“ (გვ. 76).

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის დიდ მნიშვნელობას ქართული ენისა და ქართული ისტორიული ცხოვრებისათვის. მისი შენიშვნით, „რუსთაველი რომ არ ყოფილიყო, ქართული ენა სავსებით განადგურდებოდა საქართველოსთან ერთად“ (გვ. 65). საყურადღებოა ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, თითქოს მისი საფრანგეთში ყოფნის დროს პარიზში გოყიდულა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი მეთოთხმეტე საუკუნისა, რომელიც ლონდონის წიგნთსაცავშია დაკულიო (გვ. 75), თუ კი ეს ცნობა რაიმე გაუგებრობის ნაყოფი არ არის.

მთლიანად ნაშრომს ეტყობა პრეტენციოზული კილო: „რუსთაველის იდუმალის გარკვევას კაცობრიობა მოუნდა 775 წელიწადს, რაც იწყება ჩემგან და რასაც კაცობრიობა იოლად ვერ მოინებებსო“ (გვ. 75). ავტორი არ ასახელებს არავითარ ლიტერატურას.

2424. ტიმოთე ვაბაშვილი

მიმოსლვა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და სამიხედელი დაურთო ელ. მეტრეველმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956, 0052+160 გვ.

ავტორი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სიძველეთა აღწერაში მიმოიხილავს წარწერებს, რომლებშიაც შოთა რუსთაველია მოხსენიებული (იხ. ანოტაცია წიგნის პირველ 1862 წლის გამოცემასთან № 64) (გვ. 80, 81; 80 სქ. 1; 82, 10; 121, 30; 123, 30).

ამ პუბლიკაციის მიხედვით სახელი შოთა ზოგან მოცემულია „შოთამ“ ფორმით. წიგნს ერთის ვრცელი გამოკვლევა ელენე მეტრეველისა: „ტიმოთე ვაბაშვილის „მიმოსლვა“. რომელშიაც ავტორი ვრცლად ეხება რუსთაველის შესახებ ცნობებს (იხ. ანოტაცია № 2449).

იმავე წელს გადაიბეჭდა წიგნი: კონსტანტინე გამსახურდია, კრიტიკა—Essays, I, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1956, გვ. 3—18.

ავტორი ზოგადად ახასიათებს რუსთაველის შემოქმედლებას, უთითებს მისი პოეზიის თავისებურებებს, მის პოპულარობას საქართველოში და აღნიშნავს, რომ:

„რუსთაველი იყო არა მარტო ფუძემდებელი ქართული პოეზიისა (ლიტერატურათა ფუძემდებელი სებადასხვა დროსა და სებადასხვა ხალხში ბეორგხარისხოვანი ტალანტებიც ყოფილან), არამედ ქართული პოეზიის უწარჩინებელი მამული, არა მარტო უხადლო მეტრი დიდ-ოსტატობისა, არამედ დიდი შემკრები ქართული მეტყველებისა, ქართული ენის მაღალი კანონმდებელი და შეუმუსრელი დედაბი ქართული ენის კულტურისა“.

ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანში „დაცულია რომაინული ქარგის მათემატიკური კანონზომიერება“, რუსთაველი „უალრესად აფორისტული მანერით ტუმშავს და ამკერძეებს სათქმელს“. რუსთაველის ლექსის ფორმა „ზედ-მიწვევით იდეალურია როგორც უხმოდ საკითხავად, ისე წარსათქმელად და სასიმღეროდ“.

ავტორი არჩევს რუსთაველის პოეტიკის თეორიას, სიყვარულის მოტივის გამოხატულებას, მსოფლიო და ქართული რენესანსის საკითხებს და ასკვნის, რომ „როგორც თავისი კოსმოგონიით, ისე პოეტური მეტყველებითა და სახეთა კომპლექსით რუსთაველი გაცილებით ახლო დგას ჩვენს ეპოქასთან, ვიდრე რენესანსის პოეზიის თავკაცი“.

2436. ბოვლან გემბარხიკო

ქართული ლიტერატურა და პოლონეთის საზოგადოებრიობა

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1956, 21 დეკემბერი, № 51 (1013), გვ. 1

ავტორი ქართველი პოეტებისა და მწერლების პოლონურ ენაზე სათარგმნელად მის მიერ ჩატარებული მუშაობის მიმოხილვაში აღნიშნავს, რომ ვეფხისტყაოსანის თარგმნა მან დაიწყო ბჭკარედის ვარემე, რუსული თარგმანების შეშვეობით. ამრიგად თარგმნილი ვეფხისტყაოსანის პოლონური ტექსტი მას „დაუბეჭდავს ჟურნალ „ტიგოდნიე პოეშენში“. ავტორი მოკლედ ახასიათებს თავის თარგმანს იულიან ტუვიმის მიერ შესრულებულ თარგმანთან შედარებით. დასარულს ავტორი აღნიშნავს, რომ ის განაგრძობს ვეფხისტყაოსანის პოლონურ ენაზე თარგმნას და, რომ უახლოეს ხანში დაიბეჭდება რამდენიმე თავის პოლონური თარგმანი.

2437. მოხე გოვებერიძე

რუსთაველის ლექსის ენაშკიობა. მუსიკალური ფერი და მსატერობა

ურბნ. მნათობი, 1956, № 10, გვ. 120—128.

ავტორი განმარტავს ენაშკიობის ცნებას და აღნიშნავს, რომ „რუსთაველი კანონმდებელია ქართული მეცნიერული ცნებისა, ქართული ტერმინისა, ე. ი. მან გზა უჩვენა ქართულ აზროვნებას, თუ როგორ შეესატყვისება ერთმანეთს სიტყვა და აზრი. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტი მოწმეა იმისა, რომ რუსთაველს ძალიან ბევრი უფიქრია სიტყვის, ენის, თქმის, აზრის ურთიერთობაზე, განსაკუთრებით იმ ჯადოსნურ მიზიდვულ ძალაზე, რასაც ზომით და მხატვრობით თქმული სიტყვა შეიცავს თავის თავში“ (გვ. 120). ავტორი ახასიათებს სიტყვის მნიშვნელობას რუსთაველის მეტყველებაში და აღნიშნავს, რომ „რუსთაველმა იცის, რომ სიტყვა ორი ძირითადი ფორმით უერთდება

სამყაროს, — როგორც ხმა და როგორც აზრი“ (გვ. 121). ამასთან დაკავშირებით, ავტორს მოჰყავს ვეფხისტყაოსნიდან სათანადო სტროფები, რომლებშიც რუსთაველის ენაშვებია ინახება და იხილავს რუსთაველის მეტყველების მხატვრულ საშუალებებს—მისი პოეზიის ხმებს და ფერს—მისი ლექსის მუსიკალურ ფერს. მისი შენიშვნით, „რუსთაველის ლექსის მუსიკალური ფერის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ანაფორული ალიტერაციების სიჭარბე“ (გვ. 124), ავტორი აღნიშნავს ამ საკითხის კვლევაში კონსტანტინე ჭიჭინაძის დამსახურებას, მაგრამ მან „გადაამლაშა, ალიტერაციას დააკისრა ისეთი საკითხების გადაჭრა, რაც ალიტერაციის შესაძლებლობას აღემატება. კ. ჭიჭინაძემ ალიტერაციების დახმარებით ყალბი აპოკრიფები შოთას ხელით დაწერილ ორიგინალებად გამოაცხადა“ (გვ. 125).

ავტორი მსჯელობს ვეფხისტყაოსნის მეტყველების თავისებურებებზე და აღნიშნავს, რომ „თუ რუსთაველის ლექსთა აკორდს მოვუსმენთ, თუ ვეზიარებით რუსთაველის ლექსიდან მიღებულ განცდას რითმისა და კონტრაპუნქტისას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ რუსთაველის ხელიდან გამოსული ლექსი მთავრდება 1578 ტაქტით“, „ამის შემდეგ კიდევ რაღაც ამბების წერა ამ თემაზე გემოვნების უქონლობის შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო“... (იქვე). „რუსთაველის ლექსის მუსიკალური ფერის თეორია საუცხოოდ ამტკიცებს იმას, რომ 1599 ტაქტიდან დაწყებული ლექსები შოთას კალმის კუთვნილებას არ შეადგენს. ყოველივე დანარჩენი აპოკრიფულია და სხვა არაფერი“ (იქვე).

ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსთაველის გენია უნივერსალურია...“, მას ახასიათებს „ენაშვობა და აზრი სიტყვისა, მელოდია და კონტრაპუნქტი მუსიკისა, ფერწერა და სინათლის ჩრდილი მხატვრობისა“. მისი დაბადება აჩვენებს, რომ თამარ მეფის საქართველოში უაღრესად განვითარებული საერო პოეზია და შესაფერისი საზოგადოებრივი გემოვნება ყოფილა გაფორმებული“ (გვ. 125).

ავტორი რუსთაველის ფერებთან დამოკიდებულებაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „ცნობილი და საერთოდ აღიარებული ფერების ფიზიკის გვერდით არსებობს რუსთაველის ფერების მეტაფიზიკა“ (გვ. 127). დასასრულს, ავტორი ეხება ვეფხისტყაოსნის ფერის სიმბოლიკას, პოემის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

2438. Виктор Гольцев

Шота Руставели

Издание второе, доработанное, Редактор А. Дмитриева, Государственное издательство художественной литературы, Москва, 1956, 120 гб.

წიგნის ტექსტი ძირითადად იმეორებს წარსულ გამოცემებს. დაიბეჭდა 6-ჯერ. წინა გამოცემებთან შედარებით შეტანილია მცირეოდენი შესწორება-შინაარსი:

1. Начало изучения Руставели в России.
2. Век Руставели.
3. Проблема биографии автора «Витязя в тигровой шкуре».
4. Социально-политическая борьба в изображении Руставели.
5. Гуманизм как основа мировоззрения Руставели.
6. Героизм, любовь и дружба в поэме Руставели.
7. Мастерство.

იხ. სრული ანოტაცია პირველ, 1946 წლის გამოცემასთან № 2313.

2439. გაეა-ფშაველა

ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ

წიგნი: გაეა ფშაველა—ეთნოგრაფია, ფოლკლორის, კრიტიკა, პუბლიცისტისტიკა, კორესპონდენციები, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, აღ. აბაშელის რედაქციით, თბილისი, 1956, ტომი მეშვიდე, გვ. 315—330.

პირველად დაიბეჭდა 1911 წელს ეურნ.: „განათლება“-ში, № 8, იხ. ანოტაცია № 753.

ამავე წიგნში გვ. 331—336: „ჩემი პოემების“ შესახებ (გამოუქვეყნებელი თავი წერილიდან: „ფიქრები ეფთხისტყაოსნის“ შესახებ“). პირველად დაიბეჭდა 1934 წელს ტურნ. „მნათობში“, № 11—12.

იქვე, გვ. 7—30: სტატიაში „ფშაელები“ (პირველად დაბეჭდილი იყო გაზ. „ივერია“-ში 1886 წ., №№ 34, 35, 36, 39). ავტორი ფშაელების მოსაქმეობაზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ აღედაკაცი ქსოვს ფარდაგებს, წინდებს, ხურჯინებს, თლასებს, შალებს, სთელავს ნაბღებს, რასაც დასძენს:

„ყველა ეს ზელობა ძველს დროში ჩვენს ქალებს სცილნიათ, რადგან რუსთაველს მოჰყავს ამის დამამტკიცებელი, ცხოვრებიდან ამოღებული სურათი, როდესაც ის ადარებს მშაღას, ლაჩარს კაცს ქსლის მბეჭველს დედაკაცსა:

„კაცი ჯაბანი რითა სჯობს ღიაცა ქსლისა მბეჭველსა“ (გვ. 9).

წაწლობის ჩვეულებზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს:

„ძველს დროში, როგორც მოხუცებულები ამბობენ, რუსთაველური მიჯნურობა ყოფილა, დღეს კი საყვარლობად გადაიქცა. რომელმა ქართველმა არ იცის ჩვენის პოეზიის და ეროვნების დედაბოძის შოთა რუსთაველის სიტყვები:

„მიჯნურობა არის ტურფა საყოღნელად ძელი გვარი.

მიჯნურობა სხვა რაშუა, არ სიძვისა დასადარო.

სიჭა სხვაა, იგი სხვაა. შუა უძვეს ღიღი მზღვარი, და სხვა“ (გვ. 17—18).

იქვე, გვ. 180—186: „ეფთხის-ტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს). პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“, 1890 წ., № 39. იხ. ანოტაცია № 402.

იქვე, გვ. 181: სტატიაში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ ავტორი მსჯელობს გენიოსთა თხზულებების ნაციონალური ნიადაგის მნიშვნელობის შესახებ და შენიშნავს:

„ნათუ სხვა ქვეყნის ზელი ისე დასტებდა „ეფთხის-ტყაოსნით“ და ისე ვაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი?—არას დრის. გენიოსს, როგორც, პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი“.

გვ. 312: სტატიაში „ნიკიერი მწერალი“, ავტორი მსჯელობს მწერლის შემოქმედების ეროვნული ფესვების მნიშვნელობაზე და შენიშნავს:

„ღიდად საქირთა მწერლისათვის პატრიოტიზმი, რუსთაველს მონგოლურად ან არაბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ეფთხისტყაოსანი“!

ან დიდი მცოდნეც რომ ყოფილიყო მონგოლურის და არაბულის ენებისა და იმთ ენაზე დაეწერა თავის უკუდავი ნაწარმოები, ის იწებოდა, რასაც დღეს უბედათ? არც შესაძელი“.

გვ. 368: სტატიაში: „ჩემი ნაწერები და კორექტურა“ ავტორი აღნიშნავს კორექტორების დაუდევრობის შედეგად მის ნაწერებში გაპარულ შეცდომებს და შენიშნავს:

„ქსლის ბეჭვა (შოთას ნათქვამს „ღიაცა ქსლისა მბეჭველსა“ ნუ დაივიწყებთ!) მოჰყავთ, დაევიწყებთ, ნამეტნაუად ბარად, თვით ქსლის საქსევის იარაღების სახელებიც დაგვაიწყვდა“.

2440. გრიგოლ კოენაძე

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება

სახელგამი [თბილისი], 1956, 320 გვ.

ავტორი წიგნის თავში: „ვაჟა-ფშაველა — ქართველ მწერალთა შემკვიდრე და წინაპარი“ (გვ. 266—296) აღნიშნავს, რომ „იმის ერთ მაგალითს, თუ რამდენად შესაძლებელია ვილაპარაკოთ კემშარიტ პოეტურ ნიმუშთა ურთიერთ ნათესაობაზე ეფთხისტყაოსნის“ და ვაჟას შემოქმედების ზოგიერთი მომენტის შედარება წარმოადგენს“ (გვ. 270). ეფთხისტყაოსნის გავლენის გამოხატვის ავტორი ხელდასმულად „სიტუაციებსა და თქმათა დამსგავსე-

ბაში", მოჰყავს ვეფხისტყაოსნის 238—239-ე სტროფები („პირსა ზედა გაგულ-
ლისდა, თვალთა სისხლი მოედინა...“) იმის საილუსტრაციოდ, რომ „ამ სტრი-
ქონებს, უფრო კი, მათში გადმოცემულ ეითარებას გვაგონებს გოდერძის
ლაპარაკი და მოქმედება პოემაში „ეთერი“: „ნუ მიწყენ ქალო ვისი ხარ?
ტყე-ვევთ რას დაიარები“ (იქვე). ამასთან, ავტორის შენიშვნით, „ეთერის“
შემდეგი ადგილი:

„სხენებს და ჯორებს აკიდეს ნანადირევი მრავალი
ხოხობი, გნოლი, ირემი, ფსიტი კლდეებში მავალი...“.

შეიძლება დაწერილი იყოს „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგი სტრიქონების
გავლენით:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა ანგარიშ მიუწომელი,
ირემი, თხა და კანჯარი, ქურციკი მალღა მალტომელი...“

2441. David M. Lang

Georgian Studies in Oxford

ქრნ. Oxford Slavonic Papers, Vol. VI, 1955, Oxford, 1956, გვ. 115—143.

ავტორი საქართველოს კულტურის შესწავლისა და მსოფლიოში გატა-
ნის ისტორიის მიმოხილვისას ეხება XIX საუკუნეში ამ მხრივ წარმოებულ
მუშაობას, გაეკრით აღნიშნავს ინგლისურ ენაზე ედმუნდ მალანისა და მორ-
ფილის მოღვაწეობას და განსაკუთრებით ჩერდება ოლივერ და მარჯორი
უორდროპების ლეაწლზე ვეფხისტყაოსნის ინგლისურ ენაზე თარგმნა-გამოცე-
მის საქმეში. ავტორის ცნობით, ედმუნდ მალანი იყო პირველი ინგლისელი,
რომელმაც ისწავლა ქართული ენა და 1866 წელს გამოსცა ინგლისურ ენაზე
წიგნი „ქართული ეკლესიის ისტორია“. მორფილმა, რომელმაც საქართველო-
შიაც იმოგზაურა და შეისწავლა ქართული ენა, დაწერა წიგნი „ქართული ენა
და ლიტერატურა“, რომელშიაც დაახასიათა ვეფხისტყაოსანი (გვ. 119). მის
მიერ დატოვებულ ბიბლიოთეკაში მოიპოვება ვეფხისტყაოსნის 1841 წლის
ბროსესეული გამოცემის ცალი (გვ. 121).

ავტორი ეხება მარჯორი უორდროპის მიერ ვეფხისტყაოსნის ინგლისუ-
რად თარგმნის და დაბეჭდვის პირობებს (გვ. 132) და აღნიშნავს იმ როლს,
რომელიც ამ თარგმანმა შეასრულა ქართული კლასიკური პოემის უცხოეთში
გატანა-პოპულარიზაციის საქმეში. ავტორი მოკლედ ახასიათებს მარჯორი-
სეულ თარგმანს და აღნიშნავს, რომ ამ თარგმანის ღირსებამ შთააგონა მო-
რის ბოურას დაეწერა მისთვის შესანიშნავი შესავალი წიგნი „შთაგო-
ნება და პოეზია“ (Inspiration and Poetry, London, 1955). ავტორი მოკლედ
გადმოსცემს მორის ბოურას წერილის შინაარსს, კარგ შეფასებას აძლევს მას
და აღნიშნავს მასში გამოთქმულ შეხედულებას რუსთაველის პოემაში ნეოპლა-
ტონიზმის კვალის შესახებ (გვ. 133).

ავტორი მოკლედ აღწერს ოქსფორდში ბოდლენის ბიბლიოთეკაში და-
ეულ ვეფხისტყაოსნის ორ ხელნაწერს, რომელთაგან ერთია XVIII საუკუნისა
მინიატურებით და მეორე XVII საუკუნის მეორე ნახევრისა 21 ილუსტრა-
ციით, რომელიც, ავტორის შენიშვნით, ყველაზე უძველესია (გვ. 142—143).

მარჯორი უორდროპის ბიოგრაფიის მოკლე ცნობებში ავტორი აღნიშ-
ნავს, რომ მისი გარდაცვალება საქართველოში აღინიშნა როგორც ეროვ-
ნული უბედურება (გვ. 131).

ავტორის ცნობით, ოლივერ უორდროპს დამზადებული ჰქონია შოთა რუს-
თაველის 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით მოხსენება ვეფხისტყაოს-

ნის შესახებ, სადაც აღნიშნული ჰქონია, რომ-მას 1887 წელს იერუსალიმის ჯვარის მონასტერში უნახავს შოთა რუსთაველის პორტრეტი, მაგრამ მაშინ მას არ შეეძლო წარმოედგინა, რომ მისი და მისი ოჯახის ბედი სამუდამოდ დაუკავშირდებოდა ამ მწერლის შემოქმედებასა და მისი ქვეყნის ისტორიას.

2442. ირ. კენჭოშვილი

საუბარი ინგლისელ პროფესორთან

გახ. ახალგაზრდა სტალინელი, 1956, 17 ოქტომბერი, № 26 (162), გვ. 2.

ავტორი მოკლედ გადმოსცემს თბილისის უნივერსიტეტში სტუმრად მყოფ ინგლისელ პროფესორ ზუკხენთან შეხვედრისა და მასთან საუბრის შესახებ და გაკვირით შენიშნავს, რომ, როგორც საუბრიდან გამოირკვა, „ბატონ ზუკხენს წაუკეთხავს მ. უორდროპისეული თარგმანი „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც პირველად 1912 წ. გამოიცა ინგლისში“ და რომ, როდესაც ბაასში ნახსენები იყო რუსთაველის აფორიზმი „ლეკვი ღომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეაღია“, პროფესორ ზუკხენს ეს სიტყვები გახსენებია ინგლისური თარგმანიდან.

2443. გაიოზ ჩმედაშვილი

სელიანინი და რინდული რომანის ზოგი ხაყონი

კრებ. ლიტერატურული ძეგბანი, 1956, ტ. X, გვ. 257—276.

ძველს ეპოსებში გმირის მოგზაურობის მოტივის მნიშვნელობაზე მსჯელობისას ავტორი გაკვირით აღნიშნავს, რომ მოგზაურობანი „ვეფხისტყაოსანში“ სიუჟეტის განვითარების აუცილებლობით არის განპირობებული და მხატვრულად „გააზრებული თხზულების მთავარ იდეასთან დაკავშირებით“ (გვ. 270).

2444. მურმან ლებანძე

ცოცხალი წიგნი

გახ. ლიტერატურული გახეთი, 1956, 17 აგვისტო, № 33 (95), გვ. 4.

ავტორი აღნიშნავს მწერალთა კავშირში ახალგაზრდა დამწყები პოეტის უარაღაჯელი გლების შეილის ვალერიან ქვრივიშვილის მოსვლას და მის მიერ ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნის დემონსტრაციას. ავტორის შენიშვნით, ქვრივიშვილი ვეფხისტყაოსანს ზეპირად კითხულობდა არტისტიზმისა და მანერულობის გარეშე, სულწაოუთქმელად, არა თანმიმდევრობით, რათა შესიერების ძატი არ გასწყვეტოდა, „არამედ ყოველი ახალი თავიდან, ვეფხისტყაოსნის ყოველი ჩვენს მიერ შეკვეთილი სტრიქონიდან, ამასთან ტექსტის ცოდნათა და გაგებით“.

დასასრულს, ავტორი ეხება ქვრივიშვილის მიერ პოემის ზეპირად დასწავლის პირობებს და აღნიშნავს საქართველოში ძველთაგანვე ვეფხისტყაოსნის ზეპირად ცოდნის ტრადიციის არსებობას, რაც სასურველია აღდგენილიქნასო.

2445. ლოც. ილ. მაისურაძე

საუურადღებო ზენაწერი

გახ. წითელი დროშა, კ. ახალიცხე, 1956, 19 აგვისტო, № 99, გვ. 4.

ავტორი აღწერს ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დატულ ხელნაწერ კრებულს № 132, რომელიც XIX ს. ნახევარში შეუდგენია ივ. გვარამაძეს. კრებული სხვა თხზულებათა შორის შეიცავს ვეფხისტყაოსნის ტექსტს, რომელსაც დართული აქვს „განმარტება წინამსიტყველთა, მთხზველთა მი-

მართ, ხოლო პოემის ზოგიერთი სტროფი გარკვეული პირობითი ნიშნებიდან არის გამოყოფილი და ტექსტის ბოლოში ახსნილია მათი მნიშვნელობა. ანის მიხედვით ზოგი სტროფი მიჩნეულია ნანუქას ჩამატებულად, ზოგი მარი ბროსეს მიერ თავის გამოცემაში ჩართულად. იქვე მოყვანილი ყოფილა ორი ლექსი, რომელსაც რუსთაველს მიაწერენ.

2446. მიხეილ შამულაშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გერმანული თარგმანი

გაზ. ლიტერატურული გაზეთი, 1956, 2 ნოემბერი, № 44 (1006), გვ. 4.

სარეცენზიო წერილი ეხება 1955 წელს ბერლინში გამოცემულ ვეფხისტყაოსნის გერმანულ სრულ თარგმანს, რომელიც შესრულებულია ავსტრიელი პოეტის ჰუგო ჰუპერტის მიერ. ავტორი დასაწყისში მოკლედ მოშოიხილავს საერთოდ ვეფხისტყაოსნის უცხო ენებზე თარგმნის მდგომარეობას და იხილავს ჰუპერტის გერმანულ ტექსტს. ავტორის შენიშვნით, მიუხედავად ზოგიერთი მეორეხარისხოვანი ნაკლისა, ჰუპერტის თარგმანი ყველა დღემდე არსებულ ევროპულ თარგმანზე მაღლა დგას: „პოემა თარგმნილია შესანიშნავი ენით, რუსთაველის ბრწყინვალე, ზეჟარდოვანი სტილი არ იჩრდილება ჰუპერტის თარგმანში. პოეტი პოულობს უღარესად თავისებური გამოთქმების საუცხოო შესატყვისებს, განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაუტარებია მთარგმნელს რუსთაველის აფორიზმებისა და სენტენციების მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემისათვის. მისი ლექსი ბუნებრივია, ძალდაუტანებელი, შოთას ამაღლებული ფრაზები ასევე ვაჟაყულად ეღერს ჰუპერტის თარგმანში. მასში დიდი ძალით იგრძნობა როგორც ორგინალობის შეუღარებელი სიძლიერე, ისე გერმანული პოეტური ენის მთელი მშვენიერება“. „რუსთაველის შიირისათვის ჰუპერტს ამოურჩევია თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური ტაქტი; პოემა თარგმნილია მთლიანად ერთრიტმიანი კატრენებით“.

ავტორი აღნიშნავს ვეფხისტყაოსნის თარგმანის სიძნელეებს, მიუთითებს ჰუპერტის თარგმანში ზოგიერთ ნაკლს და მოჰყავს საილუსტრაციოდ რუსულ-ინგლისურ თარგმანებთან შეფარდებით ისეთი მეტაფორის თარგმანები, რომელნიც ქართულ დედანს ძალიან შორდებიან.

დასასრულს, ავტორი ეხება ჰუპერტის გერმანული თარგმანისათვის დართულ შესავალ წერილს „რუსთაველი და მისი პოემა“ და აღნიშნავს, რომ „ამ შრომით ევროპელი მკითხველი რუსთაველზე ნათელ და სწორ შეხედულებას შეიმუშავებს“. აქვე ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას იმის შესახებ, თუ რუსთაველის გმირები რატომ ღვრიან ამდენ ცრემლს, რაც ევროპელი მკითხველისათვის განმარტებას საჭიროებს. ამასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „რუსთაველი ამ მხრივ მარტოა ხომ არ არის მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურაში. საკმარისია დავასახელოთ ბაბილონური ეპოსი „გილგამეში“, სადაც გმირები არანაკლებ ცრემლს ღვრიან, ვიდრე ტარიელი და ავთანდილი“.

2447. გივი მარუაშვილი

სახალხო ჩინეთში

გაზ. კომუნისტი, 1956, 29 ნოემბერი, № 278, გვ. 3.

ავტორი იგონებს ჩინეთში ყოფნისას ცუნცინში 1943 წელს ბრძოლის დღეებში ვეფხისტყაოსნის ჩინურ ენაზე თარგმნას ლი ცი-ეს მიერ. მოკლედ ახსიათებს პოემას, მის მთავარ გმირს ტარიელს და მოჰყავს ტაეპის „სჯობს სიცოცხლესა ნაძარასა სიკვდილი სახელოვანი“ ჩინური თარგმანი: „ნუნ ში, ბუ ჩიე“.

ვეკლაზე საუკეთესო სუვენირი

გაზ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1956, 4 დეკემბერი, № 145. გვ. 3.

შოტლანდიაში სავაჭრო მოგზაურობაზე მსჯელობისას ავტორი შეინიშნავს:

„შოტლანდიელები გულყთილი ხალხია. ისინი ამბობენ, რომ ცდილობენ ქვეყაში ქართულებს მიბაძონ. ეს იმაზე მეტყულებს, რომ შოტლანდიელები იცნობენ საბჭოთა ხალხის, ყრბოდ ქართველების ისტორიას, ცხოვრებას. შოტლანდურად თარგმნილია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

2449. ელენე მეტრეველი

ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსლვა“ (გამოკლევა)

შესავალი წიგნისა: ტიმოთე გაბაშვილი — მიმოსლიეა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლობა, თბილისი, 1956, 0252+160 გვ.

ავტორი ვრცლად იხილავს ტიმოთე გაბაშვილის ნაშრომში „მიმოსლვა“ ცნობებს რუსთაველის პოეზიაზე კლერიკალური შეხედულების შემუშავების ვითარებასთან დაკავშირებით (გვ. 046—063). ავტორი „მიმოსლვის“ ტექსტის ავტოგრაფული ხელნაწერების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მიდის, რომ რუსთაველის განმაქიქებელი შეხედულება გამოთქმული ტიმოთეს ცნობილ სიტყვებში, რომ რუსთაველი იყო ლექსთა ბოროტთა მოქმელი „რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განარყენა ქრისტიანობა“ პირველად ჩნდება C რედაქციაში მინაწერის სახით. ავტორი ეხება რუსთაველზე კლერიკალური შეხედულების შემუშავების ისტორიას და ასაბუთებს, რომ რუსთაველის გამოკლევი ცნობა ტიმოთემ ხელნაწერში შეიტანა საქართველოში დაბრუნების შედეგად, როდესაც გადაამუშავა თავისი ნაშრომი მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების გავლენით. ტიმოთეს ეს თვალსაზრისი შემუშავდა როგორც წერილობითი, ისე ადგილობრივ გავრცელებული ვადმოცემების საფუძველზე. ავტორის დაკვირვებით, B და C ხელნაწერებში ტიმოთე ეხება შოთა რუსთაველის არა პოეზიას, არამედ მის მოღვაწეობას იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღდგენის საქმეში. ამ ტიმოთეს რუსთაველი მოხსენიებული ჰყავს იმ ქართველ ზეფეთა და დიდებულთა სიაში, რომელთაც დიდი ღვაწლი დასდეს იერუსალიმში არსებულ ქართველთა მონასტრების დაცვა-აღდგენის საქმეს. ავტორს ნიაჩნია, რომ ასეთი მაღალი შეფასება რუსთაველის მოღვაწეობისა არ ეთანხმება C ხელნაწერის იმ მინაწერს, სადაც მისი პოეზია შეფასებულია როგორც გამარყენელი. ასეთი შეფასება არ გამომდინარეობს იმ მასალიდან, რაც ტიმოთეს ჰქონდა. ავტორის დასკვნით, ასეთი თვალსაზრისი რუსთაველის პოეზიაზე ტიმოთეს შთააგონა იმ იდეოლოგიურმა ბრძოლამ, რომელიც XVIII საუკ. 60-იან წლებში წარმოებდა ქართლში საერო იდეოლოგიისა და მწერლობის წინააღმდეგ. ასეთი უარყოფელი შეხედულება არაა შეთანხმებული მთლიანად „მიმოსლვის“ ისტორიულ-ლიტერატურულ გეგმასთან და არ გამომდინარეობს ტიმოთეს საკუთარი შეხედულებებიდან.

ავტორს სათუოდ მიაჩნია, რომ „შოთა რუსთაველი იგივე იერუსალიმში მოღვაწე და აღაპებში მოხსენიებული შოთა მექურტკლეთუხუცესი იყოს“.

2450. გ. შიქაძე

შეცნიერულ-ათვისტური პროპაგანდის ზოგიერთი საკითხი მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარი სამმართველო, თბილისი, 1956, 32 გვ.

ავტორი „ურწუმნო და ბილწი წიგნების“ წინააღმდეგ წმინდა მამების ბრძოლაზე მსჯელობისას ეხება ვეფხისტყაოსნის ეკლესიურ დევნას და მოკყავს ცნობები ტიმოთე გაბაშვილთან, ანტონ კათალიკოსთან და იოანე კათალიკოსთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსნისა და ვახტანგ მეფის მიერ პოეზიისათვის დართული კომენტარების დევნა-განადგურების ფაქტის საილუსტრაციოდ (გვ. 20—21).

2451. E. Mskhétely

Les acrostiches de Chota Roustavéli
Document autographique, Découverte et exposition par E. Mskhétely
Mémorial 1946—1956, [4 გვ.]

აკროსტიხები ვეფხისტყაოსანში—აღმოჩენა და მათი ახსნა ე. მსხეთელის მიერ
წარწერა №4 გვერდზე: Fontaines-Châteauroux (France)—XII—MCMMLVI.

ავტორი მცირე ნაკვეთში ცდილობს დაასაბუთოს ვეფხისტყაოსნის პროლოგისა და თვით პოემის ტექსტის ზოგი სტროფის აკროსტიხული წაკითხვის აუცილებლობა. ავტორის აზრით, ვეფხისტყაოსანი შეიცავს გარკვეული აკროსტიხული სისტემით გამოთქმულ ცნობებს რუსთაველის ბიოგრაფიისა და პოემის შესახებ. ნაკვეთი შედგება შემდეგი ქვესათაურებისაგან:

Notice préalable. a.) Dans le prologue au poème. b.) Dans la première strophe récit épique (début). c.) Dans l'épilogue du poème (2). Observation Generale.

ტექსტს სქოლიოებში აქვს უხეი შენიშვნები. ვეფხისტყაოსნის პირველი სტრიქონის აკროსტიხული გახსნა:

R—omelman Ch—éhquna Samqkaro Dzalita Mith Dzierita.

R—oustavéli Ch—otaï Samtskhisa Dzéi Méléqsei Dzéouli.

= Originaire de Roustavy, Chotaï, de Samtskhé fils, le poète poursuivi.

2452. გიორგი ნადირაძე

ესთეტიკური განცდის პრობლემა ვეფხისტყაოსანში

ჟურნ. მნათობი, 1956, № 5, გვ. 150—158.

ავტორი განმარტავს ესთეტიკური სიამოვნების ცნებას, აღნიშნავს, რომ მას რუსთაველი უწოდებს „საამურობას“ და მოკყავს სათანადო სტროფები ვეფხისტყაოსნიდან. ავტორი ეხება საკითხს, თუ რა კავშირია რუსთაველთან ესთეტიკურ სიამოვნებასა და ნათლად გამოთქმას შორის და აღნიშნავს, რომ რუსთაველთან „საამურობა ჩასმულია ისეთი ფუძემდებელი ესთეტიკური კატეგორიების მწკრივში, როგორცაა სიბრძნე, ლთაფერივობა და მარგებლობა, ე. ი. ესთეტიკური სიამოვნების პრინციპი კოორდინებულია პოეზიის ზოგად-ესთეტიკურ პრინციპებთან“ (გვ. 152). ავტორის შენიშვნით, „ენის სიმშენიერე რუსთაველის მარტოოდენ ფორმალურ კატეგორიას არ წარმოადგენს“ (გვ. 153) და მოკყავს სათანადო ციტატები პოემიდან. დასასრულს ავტორი არჩევს რუსთაველის შეხედულებებს ესთეტიკური სიამოვნების წყაროებზე.

2453. შალვა ნუცუბიძე

[რუსთაველი და ვეფხისტყაოსანი]

წიგნი: ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი პირველი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1956, 534 გვ.

ავტორი ქართული კულტურისა და ფილოსოფიის საკითხებზე მსჯელობისას ეხება რუსთაველს და ვეფხისტყაოსანს. ავტორი აღნიშნავს, რომ „სო-

ციალ-კლასობრივ ბრძოლებში ქართული ჰუმანიზმის მწვერვალმა რუსთველმა მიწიერი და ზეციერი სიყვარულის გარეგნული, მექანიტური დაპირისპირების ფორმა არ მიიღო და მათ შორის პოლარული დამოკიდებულების გაშლა სცადა“ (გვ. 63).

იოანე ლაზისა და პეტრე იბერიის ქართულ წყაროებში მოუხსენებლობის აღნიშვნასთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს: „საკმარისია გავიხსენოთ რუსთაველის ამბავი. იგი არ არსებობს საქართველოს ისტორიაში ოფიციალური წყაროების თვალსაზრისით და, ხალხს რომ რამდენიმე ხელნაწერი არ შეენახა, ბნელი ძალების მიზანი მიღწეული იქნებოდა...“ (გვ. 202).

იოანე მოსხზე მსჯელობისას ავტორი გაკვრით შენიშნავს, რომ „სახოგადოდ მესხი ანუ მოსხი ეთნიურად ქართველთა ტომებს მიეკუთვნებოდა და საქართველოს სინამდვილეში ისტორიულად სათანადოდ აღინიშნებოდა, ისე როგორც მის ლიტერატურაში, სადაც სიტყვა მოსხი ანუ მესხი იხმარება საუკეთესო ქართველი მწერლის რუსთაველის მიმართ „მესხი მელექსე“ (გვ. 300).

მოსე ხონელთან დაკავშირებით ავტორი შენიშნავს, რომ მას „ხალხური ფორმის გაცოცხლების გამო წინამორბედთა შორის პირველ ადგილზედ ასახელებს ხალხურობის პოეტური გვირგვინი—შოთა რუსთაველი“ (გვ. 351).

ავტორი ურადლებას აქცევს იმას, რომ „თარგმანი“ აზროვნების ანუ მსჯელობის მნიშვნელობით ნახშირი აქვს, მაგალითად, ვახტანგ VI-ს—„ვეფხისტყაოსანის“ 1712 წ. გამოცემა“ (გვ. 456). „და სწორედ რუსთაველის იდეათა განმარტებისათვის არის გამოყენებული“ (გვ. 479).

ავტორი პეტრიწთან დაკავშირებით გაკვრით შენიშნავს, რომ „კაცი კაციისა პირველ“ შესანიშნავად გამოიყენა რუსთაველმა: „კაცი არ ყველა სწორია დიდი მეს კაცით კაცამდე“ (გვ. 480).

2434. გეჯურა პაპუაშვილი, ფელა კვიციანიძე, გ. ხუტაშვილი

ტარიელი. ტარიელი, ავთანდილ გადინადრა.

წიგნში: ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტომათია, შეადგინა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დურთო ქს. სიბარულიძემ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საშენიერო მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956, 334 გვ.

1. „ტარიელიანი“-ს ტექსტი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ ლექსნარევ პროზას (გვ. 146—159). რედაქტორის შენიშვნით, ჩაწერილია დ. ხიზანიშვილის მიერ გეჯურა პაპუაშვილისაგან თიანეთში. იქვე მითითებულია მისი პუბლიკაციები.

2. „ტარიელი“—ტექსტი წარმოადგენს ლექსნარევ პროზას (გვ. 160—169). ჩაწერილია სოფელ ბერშუეთში ფიდა კვიციანიძის თქმით ალ. ლონტის მიერ. დასაწყისი:

„სამნი ძმანი იყვნენ: ავთანდილი, ფრიდონი და ტარიელი. ფრიდონი მამაპაის მამულზე დაბინავდა და ცხენის ჯოჯი გაიჩინა“.

შენიშვნაში მითითებულია პუბლიკაცია (გვ. 169).

3. „ავთანდილ გადინადრა“—ტექსტი შეიცავს ლექსს (გვ. 169—170). ჩაწერილია ნიჩბისში გ. ხუტაშვილის თქმით. იქვე რედაქტორის შენიშვნა ლექსის გავრცელებისა და ხასიათის შესახებ (გვ. 170).

ლექსი შეიცავს 12 სტროფს. დასაწყისი:

„ავთანდილ გადინადრა.

ჭედი მალალი, ტყიანი,

ვერც მოკლა ხარი, ვერც ფური,

ვერცა ირემი რკიანი...“.

გარდაეცა ვერდი სიტყვისა „ვეფხისტყაოსანისა“

გვ. ახალგაზრდა კომუნისტი, 1956, 10 ნოემბერი, № 135 (6239), გვ. 4.

ავტორის განცხადებით, ვეფხისტყაოსნის 29-ე სტროფი ყველა გამოცემაში დამახინჯებულად იბეჭდება წაკითხვისა და რითმის თვალსაზრისით. ავტორი ანალიზს უკეთებს ამ სტროფს ვეფხისტყაოსნის სხვა სტროფების წაკითხვებთან მიმართებით და ცდილობს დაასაბუთოს, რომ ამ სტროფის პირველ ტაქტში: „მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამელავენოს“... სიტყვა „გაამელავენოს“ უნდა შეიცვალოს სიტყვით: „გაამჩინოს“. მთელ სტროფს ავტორი თავისი წაკითხვით შემდეგნაირად გვაწვდის:

„მას უშმაგო ვით მიენდოს, ვინ მოყვარე გაამჩინოს,
ამას მეტი რამცა არგო, მას ავნოს და თვითცა ივნოს
რათამცადა ასახელა, რა სიტყვითა მოაყენოს?
რა ჰგავა, თუ მოყვარესა კაცმან გული არ ატყინოს!“

2456. [შოთა რუსთაველი]

ვეფხისტყაოსანი ჩანართი და ღანართი ტექსტებით

ტექსტი გამოცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. ყუბანეიშვილმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956, O12+359 გვ.

ტექსტს წინ უძღვის წინასიტყვაობა სოლ. ყუბანეიშვილის ხელმოწერით (გვ. O3—O12), რომელშიაც ვარკვეულია ამ გამოცემის მიზანი და აგებულება. ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის ტექსტის შედგენილობის, მისი გამოცემისა და ხელნაწერთა ტრადიციის საკითხებს. აღწერს 1671 წლის თარიღიან ხელნაწერს H 757, რომელიც ყველაზე ვრცელი ტიპისაა და რომლის მიხედვითაც დაიბეჭდა ეს გამოცემა. დასასრულს ავტორი მოკლედ არკვევს H 757 ხელნაწერის მიმართებას სხვა ხელნაწერებთან და ეხება ამ გამოცემის დანიშნულებას. ავტორის შენიშვნით, „წინამდებარე გამოცემის მიზანია დაინტერესებულ პირთ გააცნოს ვეფხისტყაოსანი ჩანართ-ღანართი ტექსტებით, იგი ამჟამად დროს უნდა გამოდგეს რუსთაველოლოგების სამუშაო წიგნად“ (გვ. 11). „წინამდებარე გამოცემა, რა თქმა, უნდა, არ არის ფართო საზოგადოებისათვის განკუთვნილი საკითხავი წიგნი. ამ გამოცემის მიზანია დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს მასალები ვეფხისტყაოსნის სტროფული მოცულობის დასადგენად და, ამჟამად დროს, წარმოადგინოს ინტერპოლატორების მიერ შექმნილი ტექსტები დაწყებული უძველესი დროიდან ვიდრე XX საუკუნემდე“ (გვ. O4).

ვეფხისტყაოსნის ჩანართ-ღანართიანი ტექსტი შეიცავს 75 თავს ცალკე სათაურით და ძირითადი ნუმერაციით 2126 სტროფს. ამ სტროფებს ემატებათ სკოლიკობაში განმეორებული ნუმერაციით ჩანართი სტროფები სხვა ვრცელი ტიპის ხელნაწერთაგან 202 სტროფის რაოდენობით. ამრიგად მთელი ტექსტი შეიცავს 2328 სტროფს. თავების დასათაურება:

1. ამა ამბების დასაწყისი პირველი ამო, და სასმენელად შევნიერი სწავლისათვის მოზიარეთასა, ტარიელს და ნესტან-დარეჯანს ვეფხისტყაოსნობით უნმობენ
2. დასაწყისი პირველი ვეფხისტყაოსანთა, ამბავი მიჯნურობისა
3. ამბავი პირველი როსტევან არაბთა მეფისა
4. ნახუა არაბთა მეფისაგან ყმისა მის ვეფხისტყაოსანისა
5. წიგნი ავთანდილისა თავის ყმათა თანა
6. ავთანდილისაგან ტარიელის ძებნად წასვლა

7. არაკი ავთანდილისა, ასმათს რომე უბრძანა თვითან
8. ტარიელისაგან თავისი ამბების მბოძა ოდეს ავთანდილს უამბო
9. ამბაჲი ტარიელის გამიჯნურებისა პირველ რომე გამიჯნურდა
10. წიგნი ნესტან-დარეჯანისი საყვარელსა თანა მოწერილი
11. წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი პირველი
12. წიგნი ტარიელისა ხატელთა თანა და კაცის გავხანა
13. წიგნი ხატელთა მეფისა ტარიელსა წინაშე მიწერილი
14. ტარიელისაგან ხატელთს წახვლა დასაქირავად, მათი დიდი ომი
15. წიგნი ტარიელისი ჰინდოთ მეფისა წინაშე, ოდის გაიმარჯვა
16. აქა ასმათისაგან მორთმევა სამხრისა ნესტან-დარეჯანის გამოგზავნილი
17. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მოწერილი
18. წიგნი ტარიელისა საყვარელსა თანა მიწერილი
19. ამბებისა ცნობა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანისა დაკარგვისა
20. ამბაჲი ნურადინ-ფრიდონისა, ოდეს ტარიელ შემოეყარა
21. შევლა ტარიელისაგან ფრიდონისი და გამარჯვება მათი
22. ფრიდონისაგან ნესტან-დარეჯანის ამბების მბოძა ტარიელთან
23. აქა ტარიელისაგან ნესტან-დარეჯანის ამბების ცნობა ფრიდონისაგან
24. ამბაჲი ავთანდილისა ტარიელისაგან არაბეთს წეცევისა
25. დათხოვა ავთანდილისაგან როსტევან მეფისაგან და ვახიჩის საუბარი
26. შერმადინის საუბარი ავთანდილისაგან, ოდეს გაიპარა
27. ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფეს წინაშე, ოდეს გაიპარა
28. ლოცვა ავთანდილისაგან მასჯითას და გაპარვა
29. ცნობა როსტევან მეფისაგან ავთანდილის გაპარვისა
30. წასვლა ავთანდილისა მეორედ გაპარვით და ტარიელის შეყრა
31. პოვნა ავთანდილისაგან ტარიელისა, ლომ-ვეფხნი რომ დაეზოცა
32. მბოძა ტარიელისა ავთანდილისათვის ლომ-ვეფხისა დახოცა
33. აქა ტარიელისა და ავთანდილისაგან ჭეპბს მისვლა და ასმათის ნახვა
34. წასვლა ავთანდილისაგან ფრიდონისასა, ნახეთ გონიარება და კისციობა მისი
35. აქა ავთანდილ ვარსკვლავთა ეუბნება თავისა ბუნებასა ზედა
36. ავთანდილისაგან ფრიდონისას მისვლა, ტარიელს რომ გაეყარა
37. წასვლა ავთანდილისაგან ნესტან-დარეჯანის საძებრად ფრიდონისით
38. ამბაჲი ავთანდილისა გულანშაროს მისვლისა
39. ფატმანისაგან ავთანდილის გამიჯნურება
40. წიგნი ფატმანისა ავთანდილს თანა სამიჯნურო დია შიშითა
41. წიგნი ავთანდილისა ფატმანის პასუხად მიწერილი
42. აქა ფატმანისაგან ნესტან-დარეჯანის ამბის მბოძა ავთანდილის წინაშე
43. უსენისაგან გამყდვენება ნესტან-დარეჯანისა მეფესთანა
44. ამბაჲი ნესტან-დარეჯანისა ქაჯთაგან შეპყრობისა
45. წიგნი ფატმანისა ნესტან-დარეჯანის წინაშე მიწერილი
46. წიგნი ნესტან-დარეჯანისა ფატმანთანა, თავის ხელითა სწერს
47. წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელთან მიწერილი
48. წიგნი ავთანდილისა ფრიდონის წინაშე თავის ყმების ხელითა
49. ავთანდილისაგან გულანშაროთ წასვლა და ტარიელის შეყრა
50. ტარიელისა და ავთანდილისა წასვლა ფრიდონისას
51. თათბირი ნურადინ-ფრიდონისა
52. თათბირი ავთანდილისა
53. თათბირი ტარიელისა
54. ტარიელისაგან ზღვათა მეფისასა მისვლა ნესტან-დარეჯანიითურთ
55. ტარიელისაგან ფრიდონისას მისვლა ნესტან-დარეჯანიითურთ
56. ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ფრიდონისაგან
57. ტარიელისაგან ჭეპბსავე მისვლა მეორედ ნესტან-დარეჯანიითურთ
58. ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა ახ, სოფელთა
59. ტარიელისაგან ჰინდოთა მეფისა სიკვდილისა ცნობა
60. აქა ტარიელ დიდვაჭართა ჰინდუსტინის ამბავსა ჰკითხავს
61. ტარიელისაგან ჰინდოთს მისვლა და ხატელთა დამორჩილება

62. შინ მისვლა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისაგან და ქორწილი მათი
63. ხვარაზმთა მეფისაგან ტარიელის ავად-ყოფის ცნობა და შიგა ჩამოღვრამა
64. ესმა ჰინდოთა მეფესა მოსვლა ხვარაზმელთა, ვაგლან შენ სოფელი
65. გამარჯვება ხვარაზმთ ხელმწიფისაგან ჰინდუსტნის ლაშქართ ზედა
66. ტარიელისაგან კაცის გაგზავნა ავთანდილსთანა და ფრიდონთანა
67. მოსვლა ავთანდილისა და ფრიდონისაგან ტარიელის შევლად
68. ავთანდილისაგან და ფრიდონისაგან წასვლა და ხვარაზმელთა ომი
69. ანდერძი ტარიელისი, ოდეს მიიკვალებოდა მის ქმისა ნათქვამი
70. სიკვდილი ტარიელისი და ცოლისა მისისა
71. ანდერძი ავთანდილისა, რომელი თქვა ეჰმა სიკვდილისა მისისა
72. აჰა კიდევ ანდერძი ავთანდილისა ეჰმა სიკვდილისასა
73. სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა
74. აჰა ფრიდონისაგან ორგანვე მასვლა და ტირილი და მოთქმა

ამ სათაურებს გარდა ტექსტში მოიპოვება განმეორებული ნუმერაციით-
დამატებულ სტროფებში სქოლიოებში ჩატანილი ორი სათაური ჩანართი-
თაეებისა, რომელიც არაა შესული ძირითადი H 757 ხელნაწერის ტექსტის-
დასათაურებაში:

1. აჰა პირველი ანდერძი ტარიელისაგან თავის შეილს თანა (გვ. 310).
2. აჰ კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გზობა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, ტფი-
ლელის იოსების ნათქვამი (გვ. 317).

ტექსტის დასაწყისი პირველი სტროფი:

„პირველ თავი დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად,
უხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ზორც არ სრულად,
საეროა, არ ახსნებს სამებასა ერთ-არსულად,
და თუ უჭურა მონაზონმან შეიქნების გაპარსულად“.

ტექსტის ბოლოს 2126-ე სტროფს განმეორებული ნუმერაციით მოსდევს-
აქოლიოში 2124² სტროფი, რომლითაც თავდება პოემა:

„ესულია ესე სოფელი, ვითა სიხმარი ღამისა!
არ მამეხმარა საკურტლელ ღელისა, არცა მამისა;
უხანობისა ქარი ქრის, ვითა ერთისა წამისა,
[და ოხრად] გახდების აერი ტურფისა თვალ-წამწამისა“.

ტექსტს ბოლოში ერთვის შენიშვნები და საძიებლები (გვ. 333—357),
რომელიც შეიცავს:

1. პირობითი ნიშნების ახსნას (გვ. 333).
2. ხელნაწერთა სამუხეუმო ფონდების ჩვენებას (გვ. 333).
3. გამოყენებული ხელნაწერების ნუსხას თარიღების აღნიშვნით (გვ. 333).
4. დამატებითი ჩანართი სტროფების ხელნაწერთა მითითებას (გვ. 333—334).
5. ნაბეჭდი გამოცემების სტროფებთან შეფარდების ცხრილს (გვ. 336—354).
6. პიროვნულ, გეოგრაფიულ და ეთნიკურ სახელთა საძიებელს (გვ. 354—357).

2457. Sola Rustaveli

Viteazul in Piele de tigru

Tâlmăcire, studiu introductiv, note și glosar de Victor Kernbach,
[București], 1956, 388 გვ.

ტექსტი წარმოადგენს ვეფხისტყაოსნის სრულ რუმინულ თარგმანს. შეი-
ცავს პროლოგს, პოემის LXIV თავს და ეპილოგს 1672 სტროფით. პირველი-
თავის „Povestea lui Rostevan, craiul arabilor-ის დასაწყისი 32-ე სტროფი:

„Domn pe Rostevan ursita în Arabia-l alese.
Nobil netrufaș, din arme slava el și-o cuprinzese.
Jntelept, bun, drept și darnic—lăudat era adese
Pentru faptele din curata inimă a sa purcese“ (გვ. 33).

ეპილოგის უკანასკნელი 1672-ე სტროფი:

-Pe-Amiran Daredjianani I-a cîntal Mose Honeli.

L-a slăvit pe—Abdul Messia-n vers de flacără, Savteli.

Jar lui Dilarghet eîntare i-a nălțat Sarghis Tmogveli.

Pe Tariel, plîngînd Intruna, I-am cîntat eu, Rustaveli* (გვ. 366).

ტექსტი ბოლოში ერთვის კომენტარიები (გვ. 369—376) ქართული ფორმით გამოყენებულ სიტყვათა განმარტებისათვის. იქვე მცირე ბიბლიო-გრაფიული ცნობა „Traduceri ale poemului in alte limbi“ (გვ. 376), რომელშიაც მიმოხილულია მოკლედ ვეფხისტყაოსნის თარგმანები სხვადასხვა ენაზე. ბოლოში მოთავსებულია „Nume și cuvinte străine folosite de Șota Rustaveli“ (გვ. 379—382) სპეციალურ ტერმინთა განმარტებისათვის.

2458. [Шота Руставели]

Сказ о Ростеване, царе арабов

თარგმანი კ. ოვანოვისა

გაზ. ახალგაზრდა სტალინელი, თბილისი, 1956, 14 ნოემბერი, № 30 (166), გვ. 3; 28 ნოემბერი, № 32 (168), გვ. 3; 7 დეკემბერი, № 33 (169), გვ. 3.

ტექსტი შეიცავს ვეფხისტყაოსნის პირველი თავის „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ 32—64 სტროფების რუსულ თარგმანს. დასაწყისი:

„Был Ростеван в стране арабов, царь возвеличенный сульманъ,
Высокий родом, щедрый, сиромыный, богатый войском и казной,
Царь правосудный, милосердный, разумно правящий страной,
Прозавлеленный в бою отвагой, в беседе—слога красотой“.

ტექსტს წინ უძღვის შესავალი წერილი ამ თარგმანის შესახებ ვ. სერებრიაკოვისა (იხ. ანოტაცია № 2459).

2459. ს. სერებრიაკოვი

კვლევა ქართული ენის კავადის ასპირანტი

„ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანის ცდა რუსულ ენაზე

გაზ. ახალგაზრდა სტალინელი, თბილისი, 1956, 14 ნოემბერი, № 30 (166), გვ. 3.

წერილი წარმოადგენს შესავალს, რომელიც ერთვის კ. ოვანოვის მიერ ქართული დედნიდან რუსულ ენაზე შესრულებული ვეფხისტყაოსნის პირველი თავის თარგმანის ტექსტს. ავტორის აღნიშვნით, ეს თარგმანი მნიშვნელოვნად განსხვავდება დღემდე არსებული თარგმანებისაგან იმით, რომ კ. ოვანოვმა გვერდი აუარა საერთოდ მიღებულ ტრადიციას, —ჰომერის ქორეს საზომით თარგმნას და პირველად გამოიყენა იამბი. ავტორის დაკვირვებით, რუსულ ენაზე იამბით უკეთ შეიძლება რუსთაველის ლექსის სილიაღის გამოხატვა, ვიდრე ქორეთი. ავტორი აღნიშნავს, რომ კ. ოვანოვის თარგმანში გადმოცემულია მაღალი და დაბალი შიარის განსხვავებული რიტმი, რასაც ის ახერხებს რუსულ ენაზე ქალური დაბოლოებების შეტანით სტრიქონის პირველ ნახევარში ცეზურასთან.

ამასთან დაკავშირებით ავტორი მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის სრულ რუსულ თარგმანებს. მისი შენიშვნით, ბალმონტის თარგმანი დაშორებულია ორიგინალს და სიმბოლიზმის სულითაა გატენილი, ცაგარლის თარგმანის ნაკლია პოეტური სახეების უფერულობა, პეტრენკოს თარგმანი ხასიათდება დაუხვეწავი პოეტური სტილით და პოეტური ენის სისუსტით, ნუცუბიდის თარგმანი მეტი სიზუსტით გადმოგვცემს დედნის აზრს, მაგრამ ხანდახან არღვევს რუსულ ლიტერატურული ენის ნორმებს, საერთოდ კი დღეისათვის ის ყველაზე საუკეთესოა. ავტორს მოჰყავს სათანადო მაგალითები და მოკლედ ეხება ვეფხისტყაოსნის თარგმნის საკითხს.

2460. გ. სოსელია

საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება

„ვეფხისტყაოსნის“ შიშველი

აფხაზეთის სახელგამი, 1956, 232 გ.

სარჩევი: შესავალი (3—6 გ.).

I. პ ა ტ რ ო ნ ყ მ ო ბ ა: „შეწინარების“ ინსტიტუტი.—ყმური მორჩილების ხასიათი.—პატრონსა და ყმას შორის ურთიერთდამოკიდებულება.—მემამულის შეუვალობის საკითხი.

რუსთაველის დროინდელი ისტორიული წყაროები პატრონყმობის შესახებ.

აღმოსავლეთის ქვეყნების, ბიზანტიისა და დასავლეთ ევროპის ფეოდალური ქვეყნების საზოგადოებრივი წყობილება და ქართული პატრონყმობა.

აღმოსავლეთი „თაყუანისცემა“ ქართულ პატრონყმობის პირობებში (7—37 გ.).

II. მ ო ნ ა და მ ო ნ ო ბ ა: „მონა“—ერთგულ-თავდადებული, ყმა-მოყმე.—„მონობა“—ერთგულება, ყმური მორჩილება.—„მონა“ მხედარი—„მონა“—მონა მსახური.

ქართული ისტორიული წყაროები მონასა და მონის შესახებ.

დასავლეთ ევროპის, ბიზანტიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების საზოგადოებრივი წყობილება და ქართული მონობა (38—57 გ.).

III. ქ ა ლ ი ს მ დ გ ო მ ა რ ე ბ ა: სქესთა თანასწორულებიანობის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“—ქალის მაღალი მდგომარეობა პოემის მიხედვით.

წიგნი წარმოადგენს მონოგრაფიულ ცდას, რომელშიაც ავტორი ცდილობს გაარკვიოს ვეფხისტყაოსანში გამოხატული სოციალური იდეალების საფუძველი, ქართული ისტორიული ცხოვრების სინამდვილესთან მიმართებით და აყენებს იმ ძირითად თეზას, თითქოს ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივი ყოფის საფუძველია თემური წყობილება.

2461. [უავტორო]

ბულგარელი სტუმრები საქართველოში

გაბ. ლიტერატურული გახეთი, 1956, 17 თებერვალი. № 7 (969), გვ. 4.

თბილისში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების დელეგაციის წევრთა ჯგუფის თბილისში ყოფნის მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ მწერალ ხ. დადეკის განცხადებით ბულგარულ ენაზე დღემდე არ არსებობს ვეფხისტყაოსნის თარგმანი და რომ „ამჟამად „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას შეუდგა ბულგარელი პოეტი მთარგმნელი ნიკოლაი ლილიევი“.

2462. [უავტორო]

„ვეფხისტყაოსანი“ ჩანართი და ღანართი ტექსტებით

გაბ. ლიტერატურული გახეთი, 1956, 10 აგვისტო, № 32 (994), გვ. 1.

საინფორმაციო წერილში მოკლედ აღნიშნულია ვეფხისტყაოსნის ტექსტის გამოცემათა ვითარება და მოკლედ დახასიათებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილების მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელი ვარიანტი მე-17 საუკუნის ერთ-ერთი საყურადღებო ხელნაწერის მიხედვით“.

2463. [უავტორო]

Schota Rusth(a)weli [Schota aus Rusthawi]

Der Grosse Brockhaus, Sechzehnte, völlig neubearbeitete auflage in zwölf Bänden, Zehnter Band, Rin—Sok, 1956, გვ. 469.

მცირე შენიშვნაში რუსთაველი დახასიათებულია როგორც თამარ მეფის დროის საკარო პოეტი, რომელმაც შექმნა ნაციონალური რაინდული ეპოსი, ვეფხისტყაოსანი. პოემა ვითარდება წყვილად შეყვარებულთა სიუჟეტით. შეიცავს უამრავ თავგადასვლებს და მთავრდება ბედნიერი დასასრულით.

დასასრულს, დასახელებულია ვეფხისტყაოსნის ვახტანგის 1712 და აბულაძის 1926 წლების გამოცემანი, არტურ ლაისტის (1890) გერმანული, უორდრობის (1912) ინგლისური და ჰუპერტის (1955) გერმანული თარგმანები.

წიგნი: Encyclopaedia Britannica, London, 1956, Vol. 10, გვ. 203—204.

ავტორი ქართული ლიტერატურის ზოგად მიმოხილვაში მოკლედ ახასიათებს ვეფხისტყაოსანს, უთითებს ინგლისურ ენაზე მისი პროზაული თარგმანის არსებობას და აღნიშნავს, რომ ეს პოემა თავისი სიდიადით საქართველოს მსოფლიო ლიტერატურაში მაღალ ადგილს ანიჭებს.

2465. თ. ფირალიშვილი

თამარ აბაქელია

მონოგრაფია, სახელგამი [თბილისი], 1955, 122+XXXIII გვ.

ავტორი თამარ აბაქელიას შემოქმედების განხილვისას განსაკუთრებით ჩერდება მის მუშაობაზე ვეფხისტყაოსნის დასურათებისათვის პოემის რუსული და უკრაინული გამოცემებისათვის (გვ. 49—62). ავტორი აღნიშნავს, რომ ამ მუშაობის ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენდა სურათი „ვეფხისტყაოსნის მზითვად გატანება“ (გვ. 48). ავტორი მოკლედ მიმოხილავს ვეფხისტყაოსნის დასურათების ისტორიას ზიჩიდან მოკიდებული და აღნიშნავს, რომ „ზიჩიმ გზა გაუყვლია შემდეგი თაობის მხატვრებს როგორც დასურათებული თქმების შერჩევით, ისე მათი რეალისტური დანახვის თვალსაზრისითაც“ (გვ. 49). ავტორი აღნიშნავს, რომ ზოგმა მხატვარმა არ გაითვალისწინა ვეფხისტყაოსნის დასურათებისათვის მისაღები მხოლოდ ერთადერთი მეთოდი—რეალისტური, რის შედეგადაც „ლადო გუდიაშვილმა პოემის დასურათება სცადა პირობით-დეკორატიული სტილიზაციით, სერგო ქობულაძემ კი კლასიციზტურით“ (გვ. 50). „რაც შეეხება ირაკლი თოიძესა და თამარ აბაქელიას ცდებს, მათ გენიალური პოემის სრულყოფილად ილუსტრირებას ვერ მიაღწიეს, მაგრამ, რეალისტური მეთოდის მომარჯვების გამო, მათს ნამუშევარში ბევრი ღირსშესანიშნავი ილუსტრაციაა“ (გვ. 50).

